გური ოტობაია

სიცოცხლეშისჯილები

ფრთოსანი ჭიანჭველა

ერთი
© ბელეტრისტის
ტრიბუნა

ᲒᲣᲠᲘ ᲝᲢᲝᲑᲐᲘᲐ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲛᲘᲡᲯᲘᲚᲔᲑᲘ

რᲝᲛᲐᲜᲘ-ტᲠᲘᲐᲓᲐ

ᲤᲠᲗᲝᲡᲐᲜᲘ ᲭᲘᲐᲜᲭᲕᲔᲚᲐ

ᲬᲘᲒᲜᲘ

I

თბილისი

2005

სონეტი გუტუტიას

ეთექგ დინუ ბუტუტია, მუჟამგ ფსუა ქაჩანუნი,
მუჟამგ დიხას ქიდიტენს დო ჟინცას გორუნს დოხორესუ,
მუჟამგ ცვერეთგ მიახიოლგ მურიცხეფიშგ ნოცორეფსუ,
მორო მითინს ფსუაშგ უმშოთ უღურალა ვაჭარუნი.

ბუტუტია დინაფილგ რე ოდაბადეს ვაჯანუდა,
ულირგ დღაში გოჯოგაფა ვამუცუნანს წოხოლენსუ,
ინას ფსუა მეუცოთანს მონტერე დო მხოლესუ,
მორო სინთე ვადარზინე ფსუათგ ვეგლეხვარჩალუდა.

ვემიდინე სოვრეთინი გურცუ მუგდა ვეპალუნი,
ტფია ზეპეს ბაჩაჩიას, მუჟმს ართშა გეცალუნი,
მინშა ჯვარიშგ გეჭკადუა ულიებუ ხვამა დღა რე.

ეგებგ გვალო გეღორონთი ფსუალეფქუ ეფალუნი?!
მაფურინჯე, ბუტუტია, ღურა მუში მამარდა რე,
რინაშგ ნება ქორდასგნი, ქიანა მუში მაფართა რე.

ფრთოსანი ჭიანჭველა

THESIS*

რინა* პირველი

ბუტუტი
142857

ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, მაგრამ უკვდავება ფრთების გარეშე არ არსებობსო, აეკვიატა დილიდანვე ბიძის შეგონება კოჩია ჰალიძონიას. ცხრა საათისათვის მიყოლებით დაკლა ბურვაკი, ინდაური და ქათმები. საღორეს ამოფარებულ და თითებით ყურებდაცობილ ვაჟიშვილს გასძახა, ,,ბონდო, შვილო, მოაშორე, ესენი აქაურობასო'', თან ხელსაბნისაკენ დაძრულმა გასისხლულდანიანი მარჯვენაც მიაშველა დავალებას.

ზვარაკეულობა სამზადის გაჩაღებულ კერიასთან ურიკათი მიიტანა გასაფუფქავად ბონდომ და ის იყო, სამფეხზე შემოდგმულ ქვაბს თუნგია დაუმიზნა აკვარჩხალებული წყლის გადმოსაღებად, რომ ,,არიქა, ჯეგე მასწავლებელი გიხმობს, ნანაგეო'', უთხრა ყმაწვილს გადია მაფამ და თვალებით ალერსად დამდნარმა ჭურჭელი გამოართვა.

— შვილის დღეობა მაინც რომ არ ჩამამწარდეს, დაიქცევა ქვეყანა? — წაიღრინა თავისთვის კოჩიამ, როცა არხისაკენ თავქუდმოგლეჯით გაქცეულ პირმშოს შეასწრო მზერა. „ციჰ! ფრთოსანი ჭიანჭველა! თაფლი აცხია იმ წყეულს?! ისე მიუხარია ძმათამკვლელისაკენ, მიწას ფეხსაც არ აკარებს!''

ჯინი ანთარმა და ბონდომ ჭყონკაკუტის უკაცრიელ კუნძულზე ტომრებით გადაზიდეს ქატო და ქვამარილი.

წინ რქანამგალა ლომა გამორბოდა. ქვეყანას მოანგრევდა ჯოგის

მეთაური. ფეხდაფეხ მოსდევდნენ ტანსრული ფურკამეჩები და მოწითურობალნიანი შიშაგები. მოკუნტრუშობდნენ კუდაპრეხილი ღოღოები და ღოტიები. მოზოზინებდნენ მაკეები.

— ხომ დიდებული სანახავია, ბუტუტი?! — ჩაეკითხა მოძღვარი, — შავ სოლს არა ჰგავს ჯოგი, წკვარამიდან სამზეოში გადმოტყორცნილს?!

— ჭეშმარიტად! — დაემოწმა ახალგაზრდა.

დათრთვილულ ჭალაში ლუტა ფურკამეჩიღა დარჩა, რომელიც ხშირ ბალახებში თავს მალიმად ხრიდა, აქვე პირუტყვის უზაკველი სათნოებით დროდადრო წყვეტი-წყვეტილად მოაყროყირებდა ოსტატსა და შეგირდს.

— ალბათ, ზაქი მოიგო რქენიამ, — ჩაილაპარაკა მხცოვანმა და კენტად დარჩენილი კამეჩისაგან წაწეულ ჯეელს მაჯაში სწვდა.

მკერდზე მოხუტებული, გასლექილი, პრიალადრუნჩიანი კოტიათი, მალე მობრუნდა ჟინი ანთარი ტოლით შემოჭედილ სადგომებთან. ბონდო საურველით უტრიალებდა ჯოგს. თითოეულს საგულდაგულოდ აცლიდა ბაძგარიას, ბირკასა და მკბენარს. ცოტაც და ცხიმწასმულ-რქაგაპოხილი კამეჩები გიშრისფრად ალაპლაპდნენ.

სისინებდნენ კაცის სიმაღლის ლელიანები და გორახგორახ შექუჩებული ისლები.

როდის-როდის მიუბრუნდნენ ჭურიის გაშლილ სანახებს.

დღეობაზე ეჩქარებოდა ბონდოს და კისერი აკაციის ტევრისაკენ ეღრიცებოდა, მაგრამ ჟინი ანთარი აინუშიაც არ აგდებდა თანამგზავრის მოუსვენრობა-წრიალს.

— დუდუდუ-დუმ, დუდუდუ-დუმ! — აიჩემა რატომღაც და კვლავინდებურად ლელიანში მოტორიანი ნავით დაათუხთუხებდა მოწაფეს.

მუნჩიისა და ოხოხულეს გავლით, ოზორმეხეს სათბურებში მოშენებულ სამკურნალო მცენარეებს წუნწუხი დაუსხეს.

იქიდან ოხეჯასა და ქვიშილის მღვრიე-მღვრიე ნაკადებს დაუყვნენ. მუხურჯინჯის მისადგომებთან თავიდან ბოლომდე დაუარეს წყალსატევს. ყურადღების გასინჯეს წვრილადნაქსოვი უჟანგავი მავთულ-ბადე. წაბლისფერბეწვიან წავებს და მუქნაცრისფერი შეფერილობის ნუტრიებს ორ-ორი კალათი თევზი ჩაუცალეს საკვებურებში.

მოგვიანებით ბუკისა და წკვერემიას მობუყბუყე ლამებში დაბი-

ნადრებული სარკისებრი კობრი მოინახულეს. გვერდი აუქციეს ფეხდაუკარებელ ჩალმებსა და ჩირეებს. თორსას და ონწყვეწიას დუმფარებით დაფარულ წყლებზე ნიჩბების თრევამ მკლავები მოსწყვიტა ბონდოს, მაგრამ გულთმისანი მასწავლებლის წინაშე დაღლას როგორ შეიმჩნევდა?!

— რამდენადაც გადაქათქათებულია, იმდენად ვერაგია ონწყვეშია, — თქვა მოულოდნელად ჟინი ანთარმა, — ასობით კამეჩი და ძროხა ეყოლება ჩათრეული. ცხრაას ოცდაერთში სამი სალდათი დანთქა ოხერმა... ერთხელ გავიხედე და რას ვხედავ?! ჭაჭია ქობალია ხომ გახსოვს, ჰოდა, მის შუათანა ძმას, ნირგას, ცხენდაცხენ არ მოსდევს მაუზერგაშიშვლებული კოლი ჭანია?!

მე მომპარე, არა, მე? მით უარესი შენთვის! გაგკოჭავ და სწორედ მაგ კამეჩით მიგათრევ ოდაბადეშიო, მიჰყივის. დაფეთებული ნირგა კი მრბის და მირბის ონწყვეშიას ლეჭენჭყოში. აი, ზუსტად აქ დაიძრა თვალებგადმოკარკლული. მხოლოდ ჩვენ ოთხმა, მე, შენ, კოლი ჭანიამ და ონწყვეშიამ ვიცით ეს ამბავი ახლა.

უჩაღალთან ხალიანი ყანჩა წამოუფრინდათ. მუხლებამდე წყალში მოყურყუტე მუხებთან და მიგრეხილ-მოგრეხილ თხემლებთან ყვიტყვიტით აიშალნენ გარეული იხვები. შეამოწმეს ტიოზიაზე ჩამწკრივებული საფუტკრეები. როდესაც სატანჯოსკენ მოტრიალდნენ, ფერფლისფერი მზე შუბისტარზე იდგა.

უცებ ჟინი ანთარმა ყურები ცქვიტა. მოტორი გამორთო. გაირინდა ნისლში მცურავი თვალსაწიერი. შორს, შორს, ტრაქტორები გუგუნებდნენ.

კოკიასთან, წოწოლა ზვინების რიგთან გადმოსვა მასწავლებელმა მოწაფე.

— მალე დავბრუნდები! — უთხრა და ლერწმოვანებში თვალს მიეფარა.

თექვსმეტი წელიწადი მიიწურა მას აქეთ, რაც კოჩია ჰალიძონია სატანჯოელებს შეეკედლა, მაგრამ აქაურ ჩანახშირებულ აკლდამებზე უფრო სულ ცხვირპირმოჭმული ბიძისა ეშინოდა. მისი გონების მაგიურმა ძალამ იმთავითვე მონუსხა. დრო გადიოდა და კოჩია თანდათან ხვდებოდა, რომ ეს პერიოდი მამა და შვილი უსუსურ ჭიანჭველასავით საცდელი არსებანი იყვნენ მტკნართვალება მოხუცისათვის.

ამ ზეგავლენამ განსაკუთრებით ბონდო მოიცვა. კვების მკაცრი რეჟიმი დაუწესა მას ჟინი ანთარმა. თვეობით მხოლოდ თაფლსა და

ხიზილალას აჭმევდა. თხემიდან ტერფამდე გულისწამღები ცხიმებით ზელავდა. კიდურებს და თავის ქალას უზომავდა. წონიდა. ფეხის ადგმამდე ნაკადულს მიაჩვია. ლათინურად ემუსაიფებოდა. საწადელს მიღწეული ხელებს იფშვნეტდა და ის დღე ჯაგებში ბნედიანივით დაშლიგინებდა.

მართალია, კოჩია ჰალოძონია ბიძის ლაბორატორიულ საქმიანობას ყოველთვის შიშით უთვალთვალებდა, მაგრამ თვითონაც და ჟინი ანთარისგან ბუტბუტით მონათლული ბონდოც, ჭაობნარში ცხოვრებას ნელინელ ესისხლხორცებოდნენ.

ამასობაში კოჩიას პირმშომ პირველი ნაბიჯებიც გადადგა და ადამიანის ენაზეც ატიტინდა. თვალსა და ხელს შუა წამოჩიტულ შვილში მსგავსებას ეძებდა მამა, სატანჯოში წივილ-კივილით მოხდომილ ნაცოლარს, ცირა შკვითინიას, თოფის ბათქაბუთქით დაიფრენდა ხოლმე.

ტყეში ჭიანჭველებს აბინავებდნენ. სკებსა და კამეჩებს ამრავლებდნენ. თოხნიდნენ ყანებს.

ბონდო ჰალიძონია უკვე თევზივით სრიალებდა წყალში. ჩაყვინთავდა და მდინარის ფსკერზე იმდენხანს გაწვებოდა, რომ მოყურადეს სუნთქვა შეუგუბდებოდა. უბელო კვიცებს ფაფარში ჩაფრენილი დააგელვებდა. კამეჩს კუდზე ჩაეჭიდებოდა და დასალიერამდე შეცურავდა ზღვაში. ნაყარ ფუტკარს გეჯაში პეშვით გადაიყვანდა. სანადირო თოფს წაიღებდა, პანტითა და ძუძუმაყვალათი ჩანთაგატენილი კი მობრუნდებოდა.

მამა-შვილი ჰალიძონიები აქამდე წარმოუდგენელ ცდებს აკვირდებოდნენ, ვარდისა და ჭინჭრის შეზავებას უთვალთვალებდნენ. გამოჰყავდათ რქანამგალა კამეჩები და ოქროსმატყლიანი ვერძები; ჭურიის კუნძულებს შორის საწნახისმაგვარი ნავებით მიმოცურავდნენ, სადაც ზოგან სიმინდს თესავდნენ, ზოგან — სელს, კანაფსა და ხაშხაშს. ერთგან სამკურნალო მცენარეებს ახარებდნენ, სხვაგვან გიურზებსა და ჩხრიალებს აშენებდნენ.

ასე და ამგვარად, ჟინი ანთარის ორანმა*. კოჩია უმტკივნეულოდ დაიმონა. ბიძის ძალაუფლების ჩრდილში შეყუჟულმა მორჩილების უღელი თვინიერად მოირგო. ხსოვნიდან ვერც ძმა არდაშელის გაღრმაფესვებული უნდობლობა ამოძირკვა. ხვალინდელი დღის იმედად და ნუგეშად მარტოოდენ ბონდოღა დარჩენოდა, მაგრამ ისიც რომ ერთმეოდა ნელინელ?! ცხოვრებას ვერ უშხამავდა შვილს და სიყრ-

მიდანვე გამოგონილი წარსულით ატყუებდა.

— ტყუპებს ელოდა თურმე დედაშენი, — ლურსმანივით აჭედებდა ბავშვის გონებაში, — დიდხანს გვაწამა უშვილობამ, გაგვიჩნდა და... — წამოდუღებულ ცრემლს ხელისგულს უმარჯვებდა, — რანაირი წამებით დალია სული?! მეორეც გადამირჩინე, კოჩია, ძმა არ წაერთვას ძმასაო, მთხოვდა უბედურიო, — ამისი ხსენება და ბონდოც მყისვე ჩაეხუტებოდა, — გავთავდი კაცი. ცოცხალია ორივე-მეთქი, ვუმტკიცებდი. მკვდარ შვილსაც საღსალამათად ვაჩვენებდი. ხელიღა გაიწოდა თქვენკენ, — არწმუნებდა წარამარა. ის მკლავი მერე ზღაპრულ ცისარტყელასავით აქანავდა მეოცნებე ბიჭის სიზმრების ცაზე.

შემდეგ ნორჩი მსმენელის თვალწინ ჩაირონინებდა აჩხავლებული ჩვილის ზვინში ჩაკვეხების სცენა. ძმისა და დედის აკაციის ტევრში დასაფლავების სურათი.

იმ წამიდან გამოგონილ სამარეს ველური ყვავილები არასდროს მოკლებია.

— რატომ არ დამეშრიტება თვალები, რატომ არ ამომერთმევა სული! ო, ბონდო, შვილო, როგორ ფართოვდება უბედურება მარტოკაცისათვის, ან რა წყული ნაპირები ჰქონია დასაქცევს?! — იტყოდა და მოზარდიც აკაციების იქით ჩაცისფერებულ სივრცეს მიაჩერდებოდა. მეჩხერწვერიან ნიკაპზე თითებს მიუცაცუნებდა.

— მზემ მაინც გამომიტყუა აკაციის კოროვიდან, მაინც მომაბრუნა შინისაკენ. ბილიკიც რომ ჩვეული სიმარტივით იკლაკნებოდა! არავითარი ნუგეში სცემა, ეს ჩვენ ვესადაგებით ბუნებას ხოლმე და ვტყუვდებით: გვემოწყალაო კალთა მისი. არ ვიცი, რისთვის გადავევლე ნაკადულს და ტყიურივით რისთვის გავარღვიე ძეძვების ხლართი?! მზის შუქი დასდგომოდა თივის ზვინს, შუქი და მერე როგორი?! დილის ცვარ-ნამი ბოლავდა და ცისარტყელდებოდა საკვირველად, ხოლო წაბლის ტოტს ახალგანაყარი ფუტკარი დასეოდა. მზეს უღიმოდი, ჩემო თვალისჩინო! ხელები ამოგეცოცებინა ჩვრებიდან, თითქოს სამყაროს ეფერებოდი, თითქოს მაუკვდავებელ ნექტარს ისრუტავდი და მეც ავქვითინდი. ასეთი ქვითინი მიეტევება, ალბათ, კაცს! — თვალგაშტერებულ ბონდოს ამგვარად აბრუებდა კოჩია ჰალიძონია, მერე ერთგან დედის აღნაგობის აღწერა ითხოვა შვილმა და კაცმაც არ დააყოვნა. რძისფერს მარწყვისფერი შეურია. იმ საღებავით შეუფერადა ცირა შკვითინიას სახე. თმა აკაციის ყვავილების

თაფლს დაუმგვანა. შუბლი გაუსპეტაკა, მაგრამ მალხაზის ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა — მტკაველ-მტკაველ, ნაწილ-ნაწილ აძერწვინებდა დედის მხრებსა და ხელებს, ტუჩებსა და ნესტოებს და კოჩია ჰალიძონიაც ოქროსთმიანი მემკვიდრის სურვილების უსასრულო რიგს შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდა.

— ხმა, ჩემო თვალის ჩინო? როგორი და აი, სატანჯოს სამრეკლოს ზარუკელა რომ გამოსცემს ფოლადის დაკარებისას, იმისთანაა, უხსნიდა, რის შემდეგ ჩაშამბული ბილიკების გავლით უხსოვრობისდროინდელი აკლდამებისაკენ წაბობღდებოდა ბონდო. ძელზე მოვალალე ზარს ჯოხ-რკინას შემოჰკრავდა. ფოლადის მოგუდული კვნესა უმალვე უსიერ ტყეში შთაინთქმებოდა. ისევ მიურაკუნებდა და განსვენებული დედის ხმას მერამდენედ გამოსტაცებდა უკუნეთს.

ერთხელაც ჩაქცეული აკლდამიდან წიწილები ამოასხა ჩხრიალამ. კაცთა მოდგმისაგან დაწყვლილი ტაფობელაზე დაიგრაგნა, ირწეოდა. მისმა შთაგონებულმა ცეკვამ ანგელოზი გაახალისა. ბოლოს გარინდული ასპიტის მიფერებაც გაბედა, რამაც ბექობზე ამოღწეულ კოჩიას მუხლები მოჰკვეთა.

— უხსენებელი დასვი! — სასოწარკვეთით გაიღო ხმა. ბონდომ თხოვნა შეუსრულა და როგორც კი საშიშროება ჩამოშორდა კოჩიას პირმშოს, ხეიბარს ხმაც დაუთბა, ხელებიც, სიფითრებამც მალე გადაუარა.

იქიდან მოყოლებული ხორცშესხმული დედა და უსახელოდ წასული ტყუპისცალი ძმა ბონდოსთვის მახლობელ გარემოს მოუშინაურდნენ. ნაკვთებს და კულულებს ნაკადული კარნახობდა. წყლის ჩქერალებით ათამაშებულ სახეებს აედევნებოდა.

ზოგჯერ შარვალ-ხალათს იხდიდა და აქაფებულ ტალღებში იკარგებოდა. ძმისა და დედის სულებთან გაიგავებულ ზვირთებში ოქროსფრად აენთებოდა მეოცნება ბავშვის ქოჩორი.

ისინი სახლობდნენ ჩირგვებსა და ხავსმოდებულ ლოდებში, მთვარესა და მზეში, ყველგან. მოკლედ, სადაც კი თვალი გაუშტერდებოდა, გადანისლულ სანახებს მაშინვე უსაყვარლესი არსებანი შეენაცვლებოდნენ. ხანაც აკაციის ყვავილების სურნელით გაჟღენთილ ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავდა, მობიბინე მოლზე მიწვებოდა და თვალმოჭუტული შესცინებდა ფოთლებში ასხმარტალებულ მნათობის სხივებს.

ადრე, როცა კოჩიას ნახელავი მშვილდ-ისრით უმწიფარ ხაპებს

და ყელიან გოგრებს დიდის ამბით ცხრილავდა ბონდო, „ამათ რას ერჩი, ბუტბუტიო“, უწყრებოდა ჟინი ანთარი. არც უნორჩესი ნერგების მოთელვას უწონებდა, აღარც — ჭიანჭველების საბუდარის ჩხიკინს და მით უფრო — ფრინველების აწიოკებას.

— ესენიც ცოცხლობენ, ბუტუტი! — უხსნიდა და მენცარი* ოსტატის წყალობით შეგირდიც თანდათან ესისხლხორცებოდა დედაბუნებას. ეფერებოდა გაკვირტულ შიმალებს, ფრთოსანთა ბუდეებს პატრონობდა. მერე და ფერების ჰარმონია! მიუჩვეველი თვალისთვის დაფარულ რამდენ მშვენიერს მალავდა ტყე?! ტოტებს მიმოსწევდა ბონდო, სიგრილე-სინოტივეში შეცურდებოდა. სიცოცხლით დამუხტულ სამყაროში ღვთაებრივი შუქი ეფინა ყველაფერს.

არა, რაღაც მფარველობდა პატარას ნამდვილად.

„რა არის ეს, დედის ნათელი თუ ჯიმაგეს* უღალატო არსება?!“ — ემუსაიფებოდა თავისთავს იგი, — „მერე რა, თუ წამით სუნთქვა შეწყვიტეს. ხელის ერთი შეტოკებაც კი საკმარისი აღმოჩნდა მათ გასაცოცხლებლად“, ასკვნიდა სიამაყით.

მოჭრილად რომ ვთქვათ, თავიდან წარმოსახვით სულშთაბერილ ადამიანებთან ტიტინიც ჰყოფნიდა ბიჭს, მაგრამ ჩქარა ჟინი ანთართან მეცადინეობამ მილევადი შებინდების დიდებულება დაანახა, სიბრძნის ძალა აგრძნობინა, მშვენიერისა და ამაღლებულის რაობაში ჩაახედა, მზე და მთვარე აფიცებინა, ზარატუსტრას ქადაგებით აჰურამაზდა* ახილვინა, ბევრჯერ აამაღლა ცათა.

მოედინებოდა უშეღავათო მასწავლებლის წარმოდგენები მატერიაზე, სივრცეზე, დროზე. გადმოსცემდა სახეზე მყოფ ანტიკურ ნატურფილოსოფიურ ინტუიციებს, არაბების სპორადულ აღმოჩენებს, იტალიის არნახულ წარმატებებს ხელოვნებაში.

ასწავლიდა, თუ როგორ უმასპინძლდებოდა კოცონებით ინკვიზიცია ჯორდანო ბრუნოს, ჰუსს, „მაგრამ კანტისეული „ცის თეორიის“ უარყოფა არ ხელეწიფებოდა, ვინაიდან მეცნიერმა მთელი მზის სისტემა წარმოგვიდგინა დროის მაჯისცემაში წარმოქმნილ ფენომენად — ქმნადი და ქრობადიო“, განუმარტავდა სულგანაბულ მოწაფეს.

მეტად გასაგები ენით უხსნიდა ფილოსოფიის საბერძნეთიდან გერმანიაში გადმონაცვლების მიზეზებს. იდეალიზმისა და მატერიალიზმის აქამდე გაუგონარი მძვინვარებით ჭიდილს. „ამიტომაც,

როგორც მოსალოდნელი იყო, სამყაროს ბიბლიურ გააზრებას თუ შიშით შექმნილ სიყვარულს ყავლი გაუვიდაო“, შთააგონებდა გამუდმებით.

— საოცრება, ბუტუტი, ღრმად გავლებული ხნულია, — უმტკიცებდა თვალებაგზნებული, — ხმალი რომ დაჟანგდება, ზარბაზნის ლულაში ობობა ქსელს გააბამს და ადამიანთა გასაჟლეტად დამზადებული ატომური ბომბებით სასიცოცხლო ენერგიას მოვამრავლებთ, ასეთი საოცრების უნდა გვწამდეს! — ეჩიჩინებოდა. ასე რომ, ბონდოს ჯერ კიდევ რიგიანად ვერ დაედგინა ჟინი ანთარის ცოდნის მასაზრდოებელ-მარწყულებელი წყარო. ვერ გაერკვია, მისი სიბრძნე საიდან იღებდა სათავეს, როგორ გამოისახებოდა სიტყვებით, რანაირად შემკვრივებულიყო, წვეთწვეთობით თუ ერთბაშად.

მუჭისტოლა ოთახში ცხოვრობდა მენცარი ოსტატის დაწესებულ რეჟიმში ჩაკეტილი შეგირდი, საიდანაც უკვდავი გმირების მხარდამხარ ეთერში მიცურავდა ის, ჰაეროვანი დედა და ტყუპისცალი ჯიმაგე. იქიდან ერთად აყურადებდნენ ფეხმარდი პელაზგის რისხვას, ებრძოდნენ ქარის წისქვილებს, ლაშქრავდნენ ქაჯეთის ცამდე აზიდულ ციხე-სიმაგრეს, ყორღანებიდან წინაპართა თავისქალიანი ამოჰქონდათ და ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე ბარბაცებდნენ, ვალპურგიის კლასიკურ ღამეში ინთქმებოდნენ, უმეტესად კი მანტუის მკვიდრს აედევნებოდნენ ჯოჯოხეთიდან სალხინობლისკენ, ზევით და ზევით, ნაზარეველის თვალშეუდგამი საუფლოსაკენ.

„კი, მაგრამ რისთვის?! ჩემი სიცოცხლე ხომ ერთი კვირტია ამ მარადმოძრავ სამყაროში?! რას შეცვლის, რა სიახლეს შემატებს ბუნების ურყევ კანონებს ეს უცაბედი აციმციმება? — აცხადებდა ხმელეთის ბინადართა ძიძგილს ჩაკვირვებული ბონდო, — ნუთუ უმარტივესს ასეთნაირი წრიალი გარდაქმნის ურთულესად?! განა სიფრიფანაფრთიან ჭიანჭველას თვითშენარჩუნებისათვის სადღეღამისო ღოღიალი ამოძრავებს მხოლოდ?! განა მის ფაციფუცში მცირობს Homo sapiens*-ისისთვის მიუწვდომელი?! განა ერთი და ორი მიკროსამყარო გვაერთობლივებს ადამიანებს?! იქნებ ყოვლისმომცველი, ასეთი, ოღონდ უფრო მასშტაბური ორგანიზაციის შედეგია და აბსოლუტურისკენ ჩვენს ლტოლვას ბნელში ხელების ცეცებაღა ეთქმის სავალალოდ?! გრძნობს კი თავად მატერია ამ დავას?! ნეტავი ჩემი შემეცნება აირეკლება, ფიქსირდება სადმე, რომელიმე სიბრტყეზე, ჩემს მიღმა?! — აინტერესებდა, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა —

რანაირი ყვავილის ნაყენს არ დასწაფებია თურმე დედაჩემი, ოღონდაც მე გავჩენოდი. ხომ შეიძლება ის მცენარე ვერასდროს მოეწყვიტა ჟინი ანთარს?! მაშინ? მაშინ ვინ იოცნებებდა ნაკადულის პირას? ან ქვეყნიერებას ჩემზე წინ ჯიმაგე რომ მოვლენოდა, იაზროვნებდა ამგვარად?!" — სჯიდა ბონდო ჰალიძონია და ბამბუკივით მატულობდა სიმაღლეში.

გასაოცრად იმახსოვრებდა ყოველ სიტყვას, ყოველ ფერსა და ბგერას.

ო, როგორ ნეტარებდა ბონდო, როცა წარსულს მოხედავდა და ნათელი დღეების ასხმა შემოანთებდა კამკამა სიღრმეებით; როგორ გადაჰკრავდა მათ ოქროცურვილი ბაღებისა და მინდვრების ფერი! ო, რა ტკბილი იყო ყრმობის წლებზე ყურის მიდება! მაგრამ ჟინი ანთარი უმალვე გამოარკვევდა. მის სულს ქანდაკებასავით ძერწავდა.

ნაკადულს გაჰყვებოდა ბიჭის ყირმიზ ლოყაზე გასრიალებული ცრემლი და ამგვარი შინაგანი თრთოლვის მიუხედავად, მაინც ზეიმობდა, მაინც ხარობდა, მოვლენებს უღრმავდებოდა, გარემოს პირქუში ნიღაბი შორდებოდა. ასე რომ, შეგირდი ძალდაუტანებლად ერწყმოდა მენცარი ოსტატის საქმიანობას. მისი თეორიული მოსაზრებებისა და ლაბორატორიული მუშაობის შედეგებზე დაყრდნობით სამყაროს შეურყეველ კანონზომიერებებს ადგენდა.

სიდარბაისლე სჭარბობდა მათ დაუსრულებელ კამათში. მოწიწება სუფევდა მათ ხმასა და საუბრებში, სადაც უნდა გამართულიყო ეს, ჭიანჭველების საბუდართან, კამეჩების ჯოგის ლელქაშში გადარეკვისას თუ სილიან სანაპიროზე ვარჯიშობისას.

მოკლედ, ბონდო მთელი არსებით ერწმუნებოდა ჟინი ანთარის განჭვრეტილი სამყაროს სწორედ იმნაირ სურათს, სადაც სიცოცხლის ჩასახვა ცნობიერდებოდა, როგორც დროსა და სივრცეში მოძრავი მატერიის უზენაესი უნარი, როგორც სულისათვის ხორცის მისჯა.

— ყოველივე განვითარებული ადრე თუ გვიან პირველსაწყისს მიუბრუნდება, — განუმარტავდა მასწავლებელი ხოლმე, — რაც ახლა ხასხასებს და ხვანცალებს, რაც ახლა აღმაფრენას და სრულყოფას განიცდის, აბსურდია მომავლის თვალსაზრისით. ოდესმე ერთიანად მოისპობა პრიმიტიული ყვავილიცა და ურთულესი გონებაც, მაგრამ საგანგაშო არაფერია, ვინაიდან წრებრუნვის კვალობაზე ისევ აღმოცენდებიან ზეცით მონაბერი ფორმები.

— Got sei bei uns!* —ივედრებოდა თუ არა ოსტატი ყმაწვილის გასახელებლად, ,,გარდაცვლილებზე ან კარგი უნდა თქვა, ან — არაფერიო‘‘, მყარი შეგონებით დაუხვდებოდა შეგირდი.

— Verschonen Sie mich mit ihren Bemerkungen!* — შეეჯიქურებოდა მასწავლებელი და მაშინვე, ,,პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება — უფრო დიდი მეგობარიაო‘‘, მოუჭრიდა მოწაფე.

ჟინი ანთარი ყასიდად პოზიციას არ თმობდა. თავს ასაწყლებდა ასე ურცხვად რომ სწირავდა ,,Self-made man!*‘‘-ს

,,Fater alles ungluklich‘‘-ს ეკედლებოდა.

სიბრძნის ვითომ მცდარად შემთვისებელ ახალგაზრდის სახელს ანტიკურ ელვარებას მიანიჭებდა მეცნიერი და ,,შენც, ბუტუტიო‘‘, გაიოცებდა კეისრის გამომეტყველებით.

ბონდო გადაიხარხარებდა, გადაიზნიქებოდა, ქათქათა კბილებს ააელვარებდა.

— ჭკვიანისთვის საკმარისია! — ჩამომარცვლიდა, ხოლო როცა დაწყნარდებოდა, როგორც ბიბლიური ნაყოფის ძე, ბრძენკაცის წინაშე მუხლებზე დაეცემოდა.

— რაბი, რაბი*! — იტყოდა და გამოწვდილ ხელზე ეამბორებოდა მოძღვარს.

ასე და ამგვარად მხცოვანსა და ყრმას შორის ზღვარი წაშლილიყო. ისინი თანაბრად მსჯელობდნენ საგნებზე, მოვლენებზე. ამდენად, ბონდომ დაბეჯითებით იცოდა, თუ სად იარებოდა მოყმის დედაი; ვისთან, ვისკენ მიიჩქაროდა შვილმკვდარი, ან რამდენი მტკაველი აშორებდა მინდიას ჰამლეტისა და ფაუსტის ხასიათებისაგან.

რასაკვირველია, ჟინი ანთარის გონების ძალამ კოჩია იმთავითვე დაჩრდილა. უფრო მეტიც, აღსაზრდელი ოსტატს სავსებით მიენდო. უხაროდა ბონდოს, რომ მის ემოციებს და სურვილებს ასეთი გულმოდგინებით უკირკიტებდა სატანჯოელი. მოკლედ, ჟინი ანთარის მიკროსკოპის ქვეშ საცდელ ჭიანჭველასავით ცხოვრება ყმაწვილს მოთხოვნილებად ექცა.

წელიწადში ორჯერ, ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით, როგორც წესი, კამეჩების ჯოგს წარეკავდნენ ზუგდიდის სასაკლაოში, ერგეტის, დარჩელის, კახათისა და ინგირის ნასიმინდრების გავლით.

ფეხათრეულ საქონელს სახრეს უცხუნებდნენ ცხენებზე ამხედ-

რებული კაცები. სულგუნით სავსე კასრებითა და თაფლით გალიპ-ლიპებული ბიდონებით დატვირთული ურმის კოფოზე ბონდო იჯ-და. მის თვალწინ ისე უსიხარულოდ მიზოზინობდნენ კამეჩები, რომ გული უკვდებოდა, იცოდა, საწყლებს ყველაფერი ნაგრძნობი ჰქონ-დათ.

იმ ღამეს ანთარიებთან გაათენებდნენ. დილით ბუღალტერიაში გაუნაღდებდნენ თუ არა ფულს, ცხენებს და კოჩიას გულღია მასპინ-ძლებს დაუტოვებდნენ. თვითონ ოსტატი და შეგირდი კი ტვირთია-ნად საკოლმეურნეო ბაზრისკენ გასწევდნენ და რამდენსამე საათში ხელს დაიცლიდნენ.

ერთხანს ქალაქში იხეტიალებდნენ, საჭირო ნივთებსა და სურ-სათს იყიდდნენ. კაფანდარა თერძსაც შეუვლიდნენ. ფოტოგრაფსაც ეახლებოდნენ. რაიონული ბიბლიოთეკიდან წიგნებს გამოიწერდნენ.

მორჩენილი ფული ბონდოს სახელზე შემნახველ სალაროში შეჰ-ქონდა ჟინი ანთარს.

საზოგადოებას მოწყვეტილ ყმაწვილს სწრაფად ბეზრდებოდა განსხვავებული გარემო. ენითუთქმელი სევდა ეძალებოდა. უსიხარუ-ლოდ უმზერდა ჭიანჭველებივით დაფაცურებულ ხალხს, ქვაფენი-ლებს, ონკანიდან მოჩქაფუნე წყალს, ჭადრების ხეივანს, ასფალტზე მოსრიალე მანქანებს, ტოლების ჟრიამულს სკოლის სტადიონზე.

სახელოზე ექაჩებოდა მასწავლებელს და თვალი სულ სატან-ჯოსკენ ეჭირა, სადაც ცხადისა და ირეალურის ნაჯვარი ქვეყანა ელოდა ისლების სისინით, ბაყაყების ყურისწამღები ყიყინით, კამე-ჩების წარღვნისდროინდელი ყროყინით, ჩაშამბული სამარხებით, სათანადო აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიითა და საც-დელი მინდვრებით.

ნამდვილი ცხოვრება პატარა ფილოსოფოსის ცნობიერებას ნაკ-ლებად ესადაგებოდა. ამიტომაც არიდებდა თავს „კაბინეტური მუ-შაობით ქანცგაწყვეტილ“ თანამდებობის პირებსაც, გაქსუებული კა-მეჩების მაძებარ მესაქონლეებსაც, ხუთიოდე კილომეტრის მოშორე-ბით ბაგი ზანთარიას მეცადინეობით გამართულ ფარეხსაც და მის მკვიდრ მწყემსებს, კოლი ჭანიას თუ ჭაჭია ქობალიას.

წარმოსახულისა და ჭეშმარიტის მიჯნაზე იზრდებოდა მშვენიე-რის შემცნობელი, მეტრფე.

აჰა, დღეს ჩვიდმეტი წელიწადი შეუსრულდებოდა ბონდოს, მაგ-რამ დედის არსებობის შესახებ ძველებურად აღარაფერი იცოდა.

მამიდა მაფაც, ჟინიც ერთგულად ამოუდგნენ მხარში კოჩია ჰალიძონიას და რაც კი ოდაბადესთან აკავშირებდათ: სისხლი, ჯილაგი, წინაპართა საფლავები, ერთიანად მიუჩუმათეს ბონდოს, თუმცა კოჩიას, ეს გაუთავებელი მიმოსვლები, ათასში ერთხელ ,,სადხარ, ბონდო, შვილო''-ს ძახილით ცირა შკვითინიას მოვიშვიშება თუ სხვა წვრილმან-მსხვილმანი, მიაჩნდა, რომ ვაჟიშვილს თანდათან უფორიაქებდა. ამიტომაც ხან აკაციის ტყეში გადასატან სკებს მოიმიზეზებდა, ხანაც ჭყონკაკუტის საძოვრებზე კამეჩების ჯოგის გადარეკვას. მომქანცველ საქმეებს არად დაგიდევდათ, ოღონდ ბონდო დაემარტოხელებინა, ბონდო ჰყოლოდა გვერდით, ბონდოს სიახლოვეს ეტრიალა.

ზოგჯერ ნაკადულში მობანავე ვაჟთან სადავე წაყრილ ცხენებს მოაყენებდა კოჩია. ამ წყალს სასმელად როდი ხმარობდნენ. წყარო ქვევით ჰქონდათ, ნამეხარ წაბლთან, მაგრამ თავს ვერ იმორჩილებდა. წყალს ყასიდად ეწაფებოდა, სინამდვილეში შვილის ზრახვების ამოკითხვას ლამობდა.

ბონდოს სველ ტანზე პერანგი მიჰკვროდა. ოქროსფერი კულულები ლოყაზე მისწებებოდა.

,,ხომ არ გათქვა ძმათამკვლელმა ჩემი საიდუმლო?!'' შიშობდა სულ კოჩია.

ყმაწვილს წაბლისფერი კვიცი და სისვი ფაშატი თავებს რიგრიგობით ახუტებდნენ და ,,შენც ისწავლი, შემოგევლეო'', ჩასჩურჩულებდა. ხელისგულს თავზე გადაუსვამდა.

ლაგამმინებებული ცხენები ფრუტუნებდნენ. კვიცი გათარანებულ სილაზე კოტრიალებდა. სინიბს ეფერებოდა ახალგაზრდა და თითქოს მამის ნათქვამი არც გაუგონიაო, მოახტებოდა ხშირფაფარიანს და გაჰქუსლავდა.

,,სად მიდიხარ, შეჩერდი, შვილო!'' ეძახდა მოჯირითეს ნაადრევად გაჭაღარავებული სული, მაგრამ სისუსტეს სძლევდა. ნაკადულს აედევნებოდა თავჩაქინდრული.

ასე იყო აქამდე, ახლა კი, აგერ, ნავის კიჩოს მისვენებული ჟინი ანთარი დურბინდით უთვალთვალებდა უსიცოცხლო მზით მოვარაყებული ოდაბადის სანახებს. ხსოვნაში ჩაწრეტილი ტანწერწეტა დღეები და მათი მკვიდრები, ისე შეუმჩნევლად წასულიყვნენ, ისე წარხოცილიყვნენ მიწის პირისაგან, რომ მათ წინაშე თავს ვერასო-

დეს გაიმართლებდა, ნიჩაბს რანაირადაც მისწოლოდა, გარდასულებს ვერაფრისდიდებით დაეწეოდა. რაც კი თავნაკარა ხატი ჩაეჭედვოდა სულში, ყველა ერთდროულად ამოუტივტივდა ჟინი ანთარს რატომღაც.

„სიჭაბუკეში თუ წავფორხილდი, განა ჩემი ძმები ცოტა ომახიანი შემოძახილით ჩავიწროვდნენ შთამომავლების მეხსიერებაში?! — გაუელვა გონებაში სატანჯოელს, — რა დრო გასულა? მას აქეთ, ღმერთმა უწყის, რამდენმა ტიტლიკანა ცინგლიანმა იქორწინა და მათი ნაშიერის ნაშიერი აგერ მამლანყინწაობს კიდეც!“

— წრებრუნვა თუ სპირალი?! — საკუთარმა ხმამ შეაკრთო მოხუცი.

ენგურის სიკამკამემ ჟინი ანთარი სინანულით ჩააღიმა.

„რა პატარა ყოფილა! არადა, ხომ იყო დრო, როცა სიკვდილივით გვეშინოდა მისი?! გარემო ნაპირზე გამორიყული კალმახის ლაყუჩებით სუნთქავს. მდინარის კალაპოტში თვითმცლელები დაბობღავენ. იატაკჩამპალ, გაუქმებულ ბორანზე, არვე კიკინებს. ეგერ, მერხზემოკალათებული ჭოფია. თუთუნს აფუტებს ისევ ჩემი ძმისწული. ბაგირზე არ სხედან ალისფერი ნისკარტით მკერდის მქექავი მერცხლები. მანქანები მისრიალებენ ხიდზე. მრავლისმომსწრე ჭყონდიდის ძირას არვინ ზის. ლადი ჭანია ღურუმ* მიიზიდა მაგნიტსავით, მისი მრევლი — ტელევიზორმა.“

ადრეც, როცა აღმოსავლეთი ახალ ალიონს ამოისუნთქავდა, სოფლის ქალები სარეცხს მოიტანდნენ. თეთრეულს ენგურის დინებაში ამოავლებდნენ.

ჟინი ანთარს უშურველი ღიმილი გადაურბენდა ტუჩებზე მაშინაც. დედაკაცები მბზინავ მუხლისთავებზე კაბის კალთებს აიკრეფდნენ, ასე რომ, ზოგიერთი ჭოფიას მიმქრალი თვალებისათვის სხვა სითეთრესაც იმეტებდა. მერე სატანჯოელი ნიჩბებს მიაწვებოდა. ბუხრის მახლობლად ტახტაზე გაუხდელად მიიკრუნჩხებოდა. თვალს მილულავდა, მაგრამ შიგნიდან ჩხვლეტდა რაღაც თუ ვიღაც.

დამცხრალ ცეცხლს შეშას შეუკეთებდა საღამურისამარა მაფა ჰალიძონია. ოფლით დაცვარულ შუბლს შეუმშრალებდა, დააწყნარებდა სიზმრებით გვემულს.

არადა, იზრდებოდა ბონდო, იზრდებოდა წამიწამ, დღითი დღე, რაც აზეიმებდა და იმავდროულად აშინებდა კიდეც ჟინი ანთარს.

„დაე, მიძახონ ოდაბადელებმა ცხვირპირ მოჭმული, სულწარწყმედილი, ძმათამკვლელი! დაე, ჩემი სნეულებითა და ჯადოქროობით დააშინონ ბებიებმა ონავრები! მე შენით, ბუტუტი, მალე, სულ მალე აღვსდგები დაფერფლილი სულიდან. გავწყვეტ სიბერის ჯაჭვებს და ბორკილებს. შემოვიცილებ წლობით შემოქურუშებულ წუნწუხ-დარდუბალას და ისევ, ისევ გავერევი საზოგადოებაში, ხალხში, შენი სათნოებითა და საზრიანობით გავერევი, შვილო! ამ ძვირფასი წუთის მოსახელთებლად არაფერი დამიშურებია მე. ყოველგვარი საზღვარი და დაბრკოლება ცუჰუს უთქმელად, წარბშეუხრელად გადამილახავს და გასაკვირია განა, მჩატე სხეულით მოარული ძმების პატრონი, სასოწარკვეთით მოგძახოდე: ჩემო სიცოცხლემისჯილო რაინდო, თონთლო ჭორომებიდან ოდაბადელების საზრუნავისკენ და მათი უკეთესი მერმისისკენ, შეუფერხებლად ივლი თუ არა, ივლი თუ არა?!“

ჟინი ანთარის წარმოსახვაში ქვიშის სვეტები აღმართა ქარიშხალმა. საადამიანოსაკენ მოისწრაფოდა მზეც და ამ მექანიკურ მასაში შეუფერხებლად მოაბიჯებდა ბონდო ჰალიძონია, მოაბიჯებდა, როგორც ერთადერთი ნუგეში, როგორც ერთადერთი წყალობა, როგორც მისი ცოდვილი სულის ერთადერთი ხსნა.

კოჩია ჰალიძონია ნავსაბმელთან დაუხვდა ოსტატს და შეგირდს. კინკრიხოზე ასხდა ნაბახუსევი თვალები.

— ხალხი არა ხართ, არა გწამთ ღმერთი?! ლოდინით ძარღვები დაგვაწყდა! — უსაყვედურა დაბრუნებულებს მისებურად. „ზედაც არ შემომხედა!“

სახელოზე გამოდებული ნეკისისხო ეკლის ღერო ცერით მოსინჯა ჟინი ანთარმა, შეატრიალ-შემოატრიალა.

— რას ვერჩით ამას, ბუტუტი! — თქვა შთაგონებულმა, გადაამტვრია მკლავის გაშლაზე, ამოიჩარა იღლიაში და განაგრძო, — ოდაბადელი როდია, იმთავითვე გვიმჟღავნებს ხვაშიადს. Nolli me tangere*-ო, გვაფრთხილებს შორიდან და მისი ბრალია, მხარს თუ წავჰკრავთ? „რატომ არ უნდა მაპატიოს ვითომ?!“

ნაოჭმრავალი შუბლიდან უკიდურესად ბანჯგვლიანი მაჯით ოფლი მოიწმინდა ჟინი ანთარმა. ბრეზენტის კაპიუშონიანი საწვიმრით შემოსილს მძლავრი მკერდი ისე აუდ-ჩაუდიოდა, იფიქრებდით, რაღაც სასწაულად მოუმართავს განგებასო.

ავ სენს ჯერ კიდევ სიჭაბუკეში თითქმის ქლიავის კურკისოდენად წაეკვნიტა მისთვის ზედა ტუჩი. უჩინარ მატლს ცხვირის მარჯვენა ნესტოც გამოეხრა მუხუდოს მარცვლისხელად, მაგრამ ამ ნაკლს ძნელად თუ შენიშნავდა უცხო თვალი, ვინაიდან ერთს სქელი ულვაში უფარავდა, ხოლო მეორე ოსტატურად ამოეგლისა სანთლით. მანათობლის უსიცოცხლო შუქზე წამოზრდილი ყვრიმალები უბზინავდა. ლომის ფაფარივით ეწებებოდა ჭაღარა წვერი და თმა. მის აღნაგობას სიმეტრიულობა შერჩენოდა, მხოლოდ ხელები მიუგავდა ნაჯახით გამოჩორკნილს. იმ სიზვიადისათვის ფრიად შეუფერებელი წვრილი წელი ჰქონდა. ისეთი სიმსუბუქით მიაბიჯებდა, ოთხმოცდაერთი წლისად ვერავინ ჩააგდებდა.

ერთხანს ახოსპირას შეყოვნდა ჟინი ანთარი. ჭიანჭველების ბუდეებს დააკვირდა.

— მალე დიდთოვლობაა მოსალოდნელი, — მოსჭრა ჩვეული დამაჯერებლობით, — ამდენი კამეჩის გამოზამთრება გაგვიძნელდება ნამდვილად. ვიდრე დამჭლევდებოდეს საქონელი, საჩქაროდ სასაკლაოზეა ზუგდიდში გასარეკი.

— აჰ! — შეკრთა კოჩია.

— მაგათ ვუჩვენებ მე გატყიურებულს! Vivere militare est*.

— დაემუქრა სატანჯოელი დიდგვიმარონს. „აწი უკანდახევა გვიანია“.

აოხშივარებულ ორჩოგან ღომს კამეჩის შებოლილი ყელი მრავლად დაურთეს.

ხასხასებდა წმინდა ხაზის ოხრახუში და ხახვი, წიწმატი და წიწაკა. კრიალებდა ჰიბრიდული შუშა კიტრები და კვახისხელა პომიდვრები. ქინძისა და საკმეველის გამაბრუებელ სურნელში წითლად ღუოდა მარწყვი, საზამთრო და ვაშლები. ქარვისფრად კამკამებდა გრეიპფრუტი, ფეიხოა და ლიმონი.

სუფრის შუაგულში, ჩვიდმეტსანთლიანი ტორტის გვერდით, ბურვაკის მოხარშული ხორცი იდო სინით. თიხის ქილებით კამეჩის მაწონი ედგა წინ თითოეულს. სისხლისფერი ზოლები ჩამოსდიოდა ოჯალეშითა და იზაბელათი სავსე ხელადებს. გრაფინში დაჯაჭვული თაფლის არაყი ესხა. ღრმა თეფშებით მორთმეულ საცივს, შემწვარ თევზსა და კუპატებს, ზუთხის ხიზილალას, გადია მაფამ ყველიანი კვერებიც წაუმატა და მოწყვეტით დაეშვა სკამზე ფრაკში გამოწყობილი ქმრის ხელმარჯვნივ.

კოჩია ჰალიძონიამ არაყი მალულად ჩამოარაკრაკა გრაფინიდან და წელწვრილი სასმისი მოხერხებულ დროს ერთი ყლუპით გადაჰკრა. ხმელ-ხმელი მამიდის უკმაყოფილო გამოხედვას უცოდველი თვალები შეაგება. კეცზე გამომცხვარი, ფუმფულა პური დაყნოსა. ნიგოზივით დანაოჭებული სახე სწრაფად წამოუგიზგიზდა.

ოჯალეშით აფერადებული ჭიქა მაგიდის მეორე ბოლოში, პირისპირ მჯდომ შეგირდს, თავს ზევით წამოუწია ოსტატმა. ოლიმპიური სიმშვიდით უმზერდა გამომცდელად, მრავლისმეტყველად.

— ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ბუტუტის! — თქვა ბერმუხამ და ნება-ნება, ტუჩების ტკბარუნით გამოწრუპა ღვინო. ,,გავა დრო და მადლიერიც დამრჩება“.

— გაუმარჯოს! — აიტაცა შვილის სადღეგრძელო კოჩიამ, — უხიაგის ერთს! — დაამატა და მეორე უკვე შესაშური სითამამით გადახუხა.

— მრავალს დაესწარი, ნანაგე! — თავზე ხელი შემოავლო შორიდან მაფა ჰალიძონიამ. ,,უმისობას ვერ გადავიტან მე!“

იუბილარი ზეზე წამოდგა. ოჯალეშიან სასმისს ხელი შეუშვა და მახლობელი ადამიანებისაკენ გამოეშურა სახეგაბადრული. ტკბილ გადიას გამხმარ მკერდზე მიახუტა ლოყა. უშეღავათო მასწავლებელს თვალები ამოუკოცნა. მხარზე ეამბორა მოამაგე მამას, მერე სულის ერთი შებერვით ჩააქრო მოლიცლიცე სანთლები.

— ასე ნუ მიყურებ! —შეუბღვირა კოჩიას ბონდომ, როცა თავი ამართა და მის საწყალობელზე საწყალობელ მზერას წააწყდა.

— აბა, რანაირად შემოგხედოს, ნანაგე?! — გამოესარჩლა მამიდა ძმისწულს.

— დღეს მაინც მოვეშვათ მაგ ბიჭს! — ჩაერია საუბარში ჟინი ანთარი, — კოჩიაზე ახლობელი ვინ ჰყავს, მაგრამ მაჭარივით ბუყბუყებს ახლა და იმიტომაა ფიცხობს. მყვირალობის ჟამის დადგომამ იცის ეგრე.

— ვერ ვამჩნევ განა, მყვირალობისაგან არის ეს თუ სხვა რამისაგან?! — კბილებში გამოსცრა კოჩიამ. ,,არ ედგომება შინ ჩემს ბონდოს. უჩინარი ძაფი ვიღაცისკენ ეწევა და ეწევა, დამტირებელ მემკვიდრეს ზეზეურად მართმევს. გადამირია შვილი. მაჯობა ტუჩმოჭმულმა. ნუთუ გათქვა საიდუმლო?! ძმათამკვლელი! ძმათამკვლელი! სატანჯოში ბონდოს ჩაკეტვა ხომ ხრონცის* საბოლო განადგურებას ნიშნავს?! სხვანაირად ვერ გამოაშკარავებს ხანგრძ-

ლივი გამოკვლევის შედეგებს. აბა, სახელგამტყდარს თავი სად გამოეყოფა?! უყურე შენ, ბაგისაც რისთვის იახლოვებდა, თურმე, სულწარწყმედილი! ჭურიაში მოსაბრუნებელი საბაბი რომ მიეცა, „კაპიტალის“ ეს და ეს გვერდი ყურადღებით წაიკითხეო, წაისისნებდა და სიტყვას შუასაუბარში, აი, რისთვის გაუწყვეტდა?! რა მიზნით დაატარებს ნეტავ, დაძონძილს, მეფუტკრის ნიღბით?! რა სწადია, რა?!“ არაფერი შეეშალოს ვინმეს, თორემ... „ამ ხელებით დაგახრჩობ, ბებერო, მორიელო!“

— ტყულისა და მეგრულის მეტი ყველაფერი უსწავლია ჩემგან! — თვალები დააკვესა ჟინი ანთარმა და არყისმსმელიც მყისვე დაიჩუტა, — განათლება თავისუფალ კაცს სჭირდება და არა სატანჯოს აკლდამებში ჩაკეტილს. კოსმოსში გასულა ადამიანი, მთვარეზე დაუბიჯებია ფეხი, ჩვენი ბუტუტი კი წყეული ჭორომებიდან ვერ გაღწეულა. ზის ტელევიზორთან, იქექება წიგნებში, უკირკიტებს ელექტრომიკროსკოპს და ვარსკვლავების სიშორიდან უთვალთვალებს ყურისძირას მოჩუხჩუხე ცხოვრებას. დამოუკიდებლობა, მეტი დამოუკიდებლობა, აი, რა სჭირდება მას ახლა ჰაერივით. მყვირალობის თვე ნასწავლსა და შეძენილზე გაცილებით მეტია, ცოლის ძმისწულო! საკუთარი წაბორძიკების მაგალითებზე გამომიზრდია შენი ძე. გეხსომება, იმთავითვე რეჟიმში ჩავაყენე. თვეობით მხოლოდ თაფლსა და ხიზილალას ვაჭმევდი. გამოხდა ხანი და მალე თავისთავში ნათელწმინდა აჰურა-მაზდა და ბნელთამპყრობელი აჰრიმანი* ვახილვინე. თანამიმდევრულად ვაზიარე სამყაროს იმგვარი გააზრება, როგორიც აპეირონია, მაგალითად, ანაქსიმანდრესთან, ჰაერი — ანაქსიმენე მილეთელთან, ნივთთა თესლი — ჰომომერიები — პირონთან, ლოგოსი — ჰერაკლიტესთან, ატომები — დემოკრიტესთან, კატალეპსისი — ძენონთან, იდეები — პლატონთან, მატერია, ფორმა, მოძრაობის საწყისი და მიზანი — არისტოტელესთან, აბსოლიტური გონი — ჰეგელთან, დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსთან და ენგელსთან, ამას ზედ დავურთოთ უმწიფარი დღევანდელობა — ბერგსონი, კირკეგორი, შპენგლერი, ჰაიდეგერი და მიხვდები შენი ცათაფრენა ბონდოს სულის ყოველი წახნაგი როგორ გამიბასრავს! არც მუშტი-კრივის ეშინია შენს თვალისჩინს ახლა, არც ტყვიისა და რაპირის, აღარც — ფილოსოფიური შეხლაშემოხლის, ლიბიდოს გამოცდებს თუ გაუძლო. კაცის ბედის მჭედელი ხომ გარკვეულწილად Femininum*-იცაა?! მაფასნაირს გადაეყრება და ააშენებს, მაგრამ ზოგიერთისმაგვა-

რიMenage a trois* დააქცევს. ესეც იღბალზეა. ტყუილისა და მეგრულის მეტი ყველაფერი უსწავლია ჩემგან. სიცოცხლე და დღეგრძელობა ბუტუტის! გატყიურებულს ვანახებ მე მაგათ! — თქვა და დალია სიამით.

— ციცქნა ბალღის ამარა დავრჩი, — ხან ბიძას ეღრიჯებოდა კოჩია ჰალიძონია, ხანაც — მამიდას, — ბონდოს ნუგეშითღაა განგება დღემდე რომ მაცოდვილებს. ,,დროს ჩვენამდე ხელი არ მოუწვდებაო, მიმტკიცებდა აქამდე, ძმათამკვლელი! ჯალათი!'' სიკეთე და სიყვარული არ ჩამომართვა ქვეყანამ. ხელი ამიკრა ბადაგით სავსე ფიალაზე. არ მემეტება ცრუ წუთისოფლისათვის, გამირყვნიან და წამიბილწავენ იქ.

— ყველაფერი განდიდების მანიით შეპყრობილის ბრალია! — მოსჭრა სატანჯოელმა. ,,სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ''.*

— შუაზე ვიხლიჩები კაცი! სიმწრის ოფლში ვიწურები შვილისათვის ,,მაგრამ, როგორც ვატყობ, მარტო ბაგი ანთარიასგან არ უნდა მჭირდეს ვაება. შენ ხარ ამისი მიზეზი, მხოლოდ შენ, გველო!'' ვარდისა და ჭინჭრის შეზავებას ვუთვალთვალებდი, მე სულელი! ბაყაყისა და უხსენებელის გაწონასწორებას შევკანკალებდი, როცა ,,მამა-შვილი'' თვითონ ვყოფილვარ საცდელი არსება! — თქვა და აფეთქების პირას მისულ ყმაწვილი ქვეშ-ქვეშ შეათვალიერა კოჩია ჰალიძონიამ.

— მორჩი ახლა ლათაიებს! ოდაბადელებს, ჩემო კარგო, სატანჯოს უბადრუკი მითი ერთხელ და სამუდამოდ დაავიწყდათ, ჯერ კიდევ იქიდან, როცა ჭოფიას ბორანთან ჩემს მიზიდულ სანოვაგეს ველურებივით დაიტაცებდით ხოლმე. კი, კი, შენთვისაც მომიკრავს იქ თვალი, უთავბოლო ღრიანცელში მონაწილესთვის თუ არა, მოყურადესთვის მაინც! ხალხი რა საუნჯეცაა, დავრწმუნდი. თორსას და ონწყვეშიას ჭორომებისაგან ბევრად როდი განსხვავდება, ძვირფასო! მართალია აქა-იქ ბუტუტოსნაირ გონებანათელ ადამიანებს Tmifolium metilohus*-ვით ამოატივტივებს, ამოსტყორცნის ზოგჯერ, რათა მათი თვალებით მიაჩერდეს მერე სამყაროს ბრმა დაიმონი* და დასტკბეს კიდეც ერთხანს იქიდან შემოღწეული შუქით, მაგრამ მალე საკუთარი სიმყრალე-სივერაგე შეზარდება, დაგმანავს ჭეშმარიტების სარკმლებს, შთანთქავს შვენიერს და ამაღლებულს. ასეთი იყო აიეტისდ-

როინდელი ოდაბადე, ასეთს გამოვექეცით საუკუნის წინათ მე და მაფა, შენ — ცხრაას ორმოცდა თხუთმეტში; ასეთის მესვეურია ბაგი ანთარია დღეს... ვეღარაფერი გამიგია, ყოვლად მოუფიქრებელ საქმეებს რაღა მაინცდამაინც ჩემი სისხლხორცები უნდა მეთაურობდნენ?! ერთმა, აგერ, მამულის ტყეების ცოდვა დაიდო კისერზე. მეორეს ენგური მიჰყავს სვანეთისაკენ აღმა. მესამე კავკასიონის მთაგრეხილების გასწორებას მოიწადინებს, ალბათ, ხვალ-ზეგ, ან უფრო სახიერო რამეს გამოჰკრავს კბილს, თუმცა რა გასაკვირია, ჩვენ, ანთარიებს, ხომ ჯიშით მოგვდგამს დონკიხოტობა. აქაოდა, ყველაო, სავსე მთვარის ანარეკლს იჭერდა პეპერა ენგურში. პაპა გაცეხვილ ბრინჯს და მარილს თესავდა თურმე. მამაჩემი და ბიძები ბერდანაკებით ასწორებდნენ კუზიან ქვეყანას. ძმებმა ხომ უკვდავებაში შეტოპეს მთლად, ადგნენ და არაფრის გულისათვის, გზის მთხოვნელ ხალხს შეაკლეს თავი! **„ანთარიები ვართ ჩვენ, ძაღლისგაგდებულებო! ვაი, ჯეგე ანთარიას! ვაი, ჯეგე ანთარიას!“**

— რა ხდება, რა ამბავია? — იკითხა იდაყვზე ჩამოყრდნობილმა მაფამ.

— გავკაფავთ აქაურობას, რძეს და ხორცს მოვამრავლებთო, კი იქადნებოდა გამუდმებით ის ბედოვლათი, მაგრამ უტოპისტს ხალხი ჭანჭრობში რას წამოჰყვება-მეთქი, ასეთი ფიქრებით ვუჩუმდებოდი მამითობოლს. მერე გამოხდა ხანი, ბაგი ანთარიამ ჯერ კოლი ჭანიას და ჭაჭია ქობალიას აურია გონება, შემდეგ — მესამეს და მეოთხეს. ჭურიის კუნძულებიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით ფარეხი გაიჩინეს.

არაფერია, მობეზრდებათ-მეთქი, ვინუგეშებდი თავს, მაგრამ გაგონილა? რაც ბულდოზერი და ექსკავატორია კოლხეთში, აქ არ შეუყრია, დიდგვიმარონთან?! შესევიან უღრანებს და ჰექტარზე მეტი ტყე გაუჩანაგებიათ უკვე. ,,ვერ მიხვდა, პირონი ანაქსაგორაში რომ ავურიე‘‘

ვისი ნებით დაგიწყიათ ტყეების განადგურება-მეთქი, მივაძახე ნავიდან.

ვისი და ხალხის ნებითო.

ხალხი რა ნახირიცაა, ვიცი, ბევრად კი არ განსხვავდება ამ ჭაობისაგან-მეთქი, ვუყივლე.

გამოდის, რომ სამოთხის კარები მხოლოდ ცოდვილებისათვის ყოფილა ღიაო. მორჩა, ამიერიდან ვერ გერწმუნებით, ჟინი ბატონო,

რადგანაც ჭიანჭველას, კამეჩს და ადამიანს ათანაბრებთო. სანიმუშოდ თქვენი გმირული წარსული და გატყიურებული ბონდო ჰალიძონიაც იკმარებსო.

— ჭოფიას შვილიშვილმა?! — შეიცხადა მაფამ.

— შენს თავს ვფიცავ! Gott sei bei uns-მეთქი და ავაპყარი ცისკენ თვალები. ,,და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი''.*

მაგინებთ, ალბათ მაგრამ უცხო ენების დაზუთხვას მამულისთვის გეერთგულა სჯობდაო. შენისთანა ერუდიციის კაცი მეორე არ ღირსებია აქაურობას, თუმცა სკივრში გამოკეტილი ცოდნა რისი მაქნისიაო. რამდენი აუხდენელი იმედის გაღვივება, შეგეძლო, რამდენი დამსხვრეული ოცნების — აღორძინება! ტყეებს ებღაუჭები, როცა ექვს ძმას თვალის დახამხამებაში მოუსწრაფე სიცოცხლეო. საკუთარი გრძნობების მართვა რა ბედენაა, ჟინი ბატონო, საზოგადოების გაძღოლა იკითხე შენ თორემო. უწყინარ კამეჩს შეიძლება რაღაც რეფლექსი გამოუმუშავო, მაგრამ ადამიანი სხვაა. აქეთ წამოდიო, ეუბნები და იქით მიდის, იოლ გზას რომაა ჩვეული, იმიტომო. ხალხის ინტერესებისთვის დაგმე, ამოძირკვე, მოსპე უცხო და დრომოჭმულიო, გვასწავლის პარტიის პროგრამა, მაგრამ თქვენისთანების ხელში ერთიანი ფრონტი ვეღარაფრით გაგვიშლიაო, მამაძაღლმა. რა ვქნათ ახლა, ვის ვუცადოთ, რომელ განკარუგლებას?! გულზე ხელები დავიკრიფოთ და არდაშელ ჰალიძონიასნაირებს ვაყვლეფინოთ სოფელი თუ ცხვირიდან ძმარი ვადინოთო. არა, არა, რაღაც უნდა შეიცვალოს ქვეყნის მასშტაბით! დროა გაიგივდეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგია; დროა უარი ეთქვას მონეტარულ სისტემას დამასზე აგებულ მცდარ დაგეგმვებს; დროა წინ წამოვწიოთ ნატურალური მაჩვენებლები და ქვეყნის ეკონომიკა წარვმართოთ ადამიანთათვის სასარგებლო პროდუქციის წარმოებისაკენო.

— გაუფრენია, საწყალს! — თქვა კოჩია ჰალიძონიამ. ,,ახია შენზე, უარესიც მოგიხდება!''

— ჯერ სად ხართ! ,,მცირედ-მორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი?''*

ნუთუ იმ ორი ნაბიჭვრის ცოდვა მაინც არ დაგფლავს ჯოჯოხეთში. საკუთარი შვილების გაუბედურებას არ კმარობ და ახლა ბონდოც გინდა შეიწიროო?! ვერ მოგართვესო. იმის ნაცვლად, ლახტით ესუსხებოდეს წვივები კოჩიას ბიჭს და მოპარულ ჭყინტ სიმინდს უფიცხებდეს შენი სასახელო კემეს კოცონს, გამადიდებელი შუშუბი

ააფარეთ თვალებზე, გამადიდებელი და თანაც ფერად-ფერადიო. ბოლოს და ბოლოს, იტყვი თუ არა ვინა ხარ შენ, რომელი, ჟინი ანთარი თუ ჯეგე ანთარია, უძრავი ღმერთი და მოჩუხჩუხეადამიანიო. ხომ ნახირი ვართ, შენი თქმით, ბალახის ცოხნას გადაჩვეული ნახირი, ჰოდა, კეთილი, დამალეთ, კარგად დამალეთ ის ველური, არაფერი მოაცვდეს! სამედიცინო კომისიაზე გავწერეთ სხვა წვევამდელებთან ერთად. სამხედრო კომისარიატში დილაადრიან მიიყვანეთ თორმეტში, თორემ მოვლენ მილიციიდან და უფრო საიმედო ადგილას გადამალავენო. აბა?! ,,აეწყო საქმე! თამამად, თამამად, ჟინი!''

— შენ სად იყავი, მამა?! — ჰკითხა ბონდოს ერთიიანად დაძაგრულმა კოჩიამ.

— მე კოკიასთან შევყოვნდი ჩამოშლილი ზვინების მისახედად, — უპასუხა შვილმა.

— ბაგი კი არა, ორფეხა ბუბალუსი* უნდა გერქვას შენ-მეთქი.

შინმოუსვლელთა ობელისკი რას მიქვია, ჩვენ კაკლის ხეების სულის მოსაბრუნებელი ხეივანი გვჭირდებაო, ხომ გაჰყიოდი მამლაყინწასავით ამ თოთხმეტიოდე წლის წინ-მეთქი?

კი, ეგრე იყოო.

არდაშელ ჰალიძონიას ხალხს უჯანყებდი, როცა თანხების დაზოგვის საბაბით ყოველი შინმოუსვლელის სახელზე თითო ჭადრის დარგვას მოითხოვდა. ხედავთ, ოდაბადელებო, როგორი ყაირათიანი გახდა უცებ ჩვენი ნოჩოევიჩი? გადავყარეთ თუ არა ფული გზის შეკეთებაზეო, კითხულობდი და გადავყარეთო, უპასუხებდი იქვე-მეთქი. ვის ჩავურიცხეთ აბანოს ასაშენებელი თანხებიო, იჭაჭებოდი და მყისვე არდაშელის ჯიბესო, მოსჭრიდი-მეთქი. რა გამოვიდა ყოველივე ამით? რა და არაფერი-მეთქი. აბანო თქვენ არ გაქვთ და ფეხსალაგი. კლუბი თქვენ არ გივარგათ და გზები. შარშან სტავროპოლელ მეცხენეებს ექვსასი ათასი მანეთი მე გადავურიცხე, თუ თქვენ-მეთქი?

ჩვენო.

მერე-მეთქი?

მერე არდაშელმა საცხენოსნო სპორტული სკოლის თავლა გახა ჰალიძონიასდროინდელი ჯაგლაგებით გაავსო, ხოლო ის თეთრონი ქერქენჯი, უფროს ქალიშვილს, ხანტურს, უსახსოვრა დაბადების დღეზეო.

არ გადამრიო, კაცო, თავის წონა ფულზე შეძენილი ცხენი-

მეთქი?

ჰო, მაგიო.

მე რომ თქვენი რაიკომის მდივანი ვიყო, ხომ დაგიჭერდით ორივეს-მეთქი?

ორივეს რისთვისო.

რისთვის, ბუბალუსებო, და შიმშილით სული გძვრებათ, წმინდა სისხლის მერანს კი ყიდულობთ, რომელი მერანიც თავისი ღირებულებით კლუბის, ბაგა-ბაღის, აბანოს და კიდევ რაღაც-რაღაცის აშენებისათვის საჭირო თანხას აღემატება-მეთქი. სად გქონდათ თვალი, ყური, ენა, თუ დაბრმავდით, დაყრუვდით და და მუნჯდით ყველა?! არ კმარა ვითომ ქამანდისათვის-მეთქი.

კმარა, მაგრამ მარტო ვეღარაფერს გავხდი ამ კაციჭამიებშიო.

ხოხ, კაციჭამიებში მაგზავნინებ მერე კოჩიას ანგელოზ ბაღანას-მეთქი. რა ჭადარი, რის ჭადარი, მიმატება კი არა, რაც გვატიალია, ისიც ერთიანად ამოსაძირკვია, მხოლოდ და მხოლოდ კაკლის ხე, ხალხოო, მე ვფაფხურობდი თუ შენ-მეთქი.

მეო.

ოდაბადეში ხუთ ჰექტარზე კი გააშენეთ კაკლის ხეივანი, მაგრამ რაღა ფასი აქვს ყოველივეს, თუკი ჭურიაში ათასობით ჰექტარ ტყეს მოსპობთ-მეთქი. განა შეიძლება ხელაღებით გადაასხვაფერო ის, რაც საუკუნეების მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებულა-მეთქი. უჩაქვერსემიაში* ჩაძირვას უქადით ენგურის ხეობას! აქეთ ათასობით ჰექტარ უსიერს ხელის აუკანკალებლად გააჩანაგებთ, იქით კი ორი იმდენი ათვისებული მიწა ზღვას მიაქვს. ლამისაა ჩაის ნარგავებს შეაჭამოთ მთელი კოლხეთი. წარმოიდგინეთ, თვით ის სავარგულებიც კი, სადაც ეს კულტურა სრულ მოსავლიანობას ვეღარაფრით ეღირსა-მეთქი. ამომავალი მზის ქვეყანაში, იაპონიაში, სადაც მიწის ყადრი ნამდვილად ესმით, ვიდრე უცხო კულტურას მასობრივად დანერგავდნენ, სულ ცოტა, რამდენიმე ათეულ წელიწადს მაინც დააყოვნებენ კარანტინში. თქვენ კი, სოციალისტური საქართველოს არსებობის ორმოცდათერთმეტი წლის მანძილზე განუკითხავად გააშენეთ ჩაი, მანდარინი უნშიუ, ფორთოხალი, ლიმონი, ფეიხოია, გრეიპფრუტი, ევკალიპტი, კორდატა * და კიდევ ვინ მოსვთვლის-მეთქი. ახლა შედეგს არ იკითხავთ?! გამეჩხერდა ასობით ჰექტარი ჩაი, ყინვამ მოსრა მამფორიას ციტრუსები.

ბუნება შურს იძიებსო, გენისომა ბრძანა. შეიგნეთ თვითმკვლელებო, რომ ის, რაც სიკეთეს აკლდება, ბოროტების ბეღელშია; ის ვინც მშვიდობას განუდგა, Status belli* —ს ყურმოჭრილი ყმაა. თავის დროზე აქაური ეკოსისტემა მეცნიერული თვალსაზრისით რომ შეფასებულიყო, კოლხეთი დღეს მეკამეჩეობის სასახელო მხარე იქნებოდა, მაგრამ სად მეცნიერული თვალსაზრისი და სად — თქვენ-მეთქი. შეაყარე ცერცვი კედელს! თვითმკვლელებო, ბუბალუსებო-მეთქი და ზურგი შევაქციე ყველას და ყველაფერს.

თორმეტი იანვარი არ დაგავიწყდეს, თორმეტი იანვარიო.

როგორ გგონიათ, ცოტას მოასწრებენ და დაწყნარდებიან ვითომ?! — ჟინი ანთარმა ისევ შეივსო ჭიქა, — იმდენი ხეირი ჩვენს მტერს. ოდაბადელებს ხვალ-ზეგ კახათელები აუბამენ მხარს, კახათელებს — ინგირელები, ინგირელებს — დარჩელელები, დარჩელელებს — რუხელები, რუხელებს — ოდიშელები, ოდიშელებს — ჭაქვინჯელები, ჭაქვინჯელებს — ჭკადუაშელები. კანონი და უჭკუობა მათ მხარესაა და რატომაც არა?! თიბეთ ხაია და ჟალტამი! — ისეთნაირად მიახალა კოჩიას, იფიქრებდით, ამ ფერხულს ბონდოს მამა მეთაურობსო, — არა, უმადურობა შორსაა ჩემგან! თქვენც ხართ მოწმე, ზურგს უკან თუ პირში, როდისმე დამცდენია გადაბრუნებული სიტყვა?! სულ ამოჩემებული მქონდა, ძრავა-გენერატორი, ელექტრომიკროსკოპი და მოტორიანი ნავი რომ გვაშოვნინა; სოფლის სახელით ტელევიზორი და სტერეომაგნიტაფონი რომ გვისახსოვრა, სამაგიეროდ ვისი სანაშენე ზაქებით გაიმართნენ წელში? ვისი ბედნიერებისათვის გამომყავდა უხვმოსავლიანი სიმინდი და ლობიო? ვისი ბედნიერებისათვის ვუკირკიტებ ახლაც ლიმონისა და მანდარინის ყინვაგამძლე ჯიშებს? ხატი, რჯული, დავიშურე უნარი, ენერგია, ათასები?! ხშირად ვუმადლობდი საჭირო წიგნებით, მედიკამენტებითა და ბენზინით მომარაგებისათვის, თუმცა ბიდონებით რომ მისდიოდათ თაფლი და ხიზილალა, რატომღაც დაივიწყეს. არა, უმადურობა შორსაა ჩემგან! მესმის, ბაგის თავგამოუდებლად, ამ მიყრუებული ჭორომებიდან გამიჭირდებოდა უსათუოდ კონტაქტების დამყარება ჯორჯ გეილორდ სიმპსონთან*, ერნსტ მაირთან, ჟულიან ჰექსლისთან და სხვებთან, მაგრამ ჭურიაში ფარეხის გამართვის შემდეგ სათოფეზე რომ არ გავიკარეთ, თანაც ამდენი ხნით ვუმალავთ ბუტუტის, გიჟდებიან.

— აქაც არ გვაყენებენ?! ამოგდებული მათი ფესვი და ძირი! — მიაწყევლა ოდაბადელებს მაფა ჰალიძონიამ. „რა მეშველება!“

— მერე და ხომ ხედავ, არც შენს ძმისწულს ეთმობა ცრუ წუთისოფლისათვის. ვაითუ გაურყვნან და წაუბილწონ იქ. გატყიურებულს ვანახებ მაგათ!

ჟინი ანთარმა თვალი თვალში გაუყარა შეგირდს, რაღაც მომნუსხველი ძალა გადასდო.

— ტყუილისა და მეგრულის მეტი ყველაფერი უსწავლია ჩემგან. შენი სიწმინდისა იყოს, ბუტუტი! — თქვა და წვერი მოიბრჭყალა ერთხელ, მეორედ, მესამედ.

კოჩია ჰალიძონია გაფაციცებით, შიშნეულად უმზერდა შვილს. ხელში არ უჩერდებოდა გრაფინი და არაყი სუფრაზე ეღვრებოდა, თუმცა ეს ყოველივე ნაკლებად ადარდებდა ბონდოს. ყმაწვილი მასწავლებლის იქით ვეღარაფერს ამჩნევდა, ვერც მაფას ფერნაკლულობას, ვეღარც მამის ფორიაქს. ჟინი ანთარის წამებაგამოვლილი გამოხედვა იმდენ უთქმელ ერთგულებას იტევდა, რომ სული ძვრებოდა ბონდოს. ეჩვენებოდა, თითქოს ეს თვალები პატრუქის უკანასკნელი ელვარებით ანთებდნენ და შეგირდიც აქამდე ფარულ შინაგან ხმას აჰყვა, ოსტატის წინაშე მუხლებზე დაეშვა.

— Pater, de te fabula norratur?!* — წაიჩურჩულა და გამოწვდილ მარჯვენას ტუჩებით დაეწაფა.

— Pater, Silentium, Bututi,* — ეუბნებოდა სატანჯოელი და ხეშხეში ნებით შეღინღლულ სახეზე ეფერებოდა. — Alea iacta est*.

— Caesar citra Rubiconem, sed non supra grammaticos* — შეეპასუხა ახალგაზრდა მკვირცხლად.

— ტყუილისა და მეგრულის მეტი ყველაფერი უსწავლია ჩემგან. მაფა, თუ გიყვარდე, ის ალბომი გამომიტანე!

— რა დროს ალბომია, თოლიგე! მართლაც რკინის კი არ ვარ! ,,დავიღუპე!"

— იქნებ არც ჩემთვისაა იოლი ეს დღეები მოურჩენელ levis Culpa*-ებს რომ ვუმხელ, მაგრამ ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდესო, ძველმა რომაელებმა.

,,დაიწყებენ ახლა სამიჯნურო წერილების კითხვას!" გაიფიქრა კოჩიამ, როცა მაფა ჰალიძონია თავის ადგილს დაუბრუნდა.

ჟინი ანთარს ალბომზე დადებული მარჯვენა აუტოკდა, აუთამაშდა, მერე თითქოს მარგალიტს ბღუჯავსო, მომუჭა. ერთხანს იჯდა ასე, ასაფრენად გამზადებულ არწივივთ შეკუმშული, ბოლოს მოეშვა, სკამის საზურგეს მიესვენა, ალბომი ცოლისაკენ გააცურა გადაუთვალიერებლად და იმავე ხელით წვერი მოიბრჭყალა ერთხელ, მეორედ, მესამედ.

,,სიზმრის წარმოდგენები არ შეიძლება ყოველთვის მივიჩნიოთ

მეხსიერების წარმოდგენებად და საზოგადოდ, სიზმარი — მეხსიერების მოქმედებადო. ესე იგი, აქა-იქ შეიძლება. აბა, რად შემომიტიეს კოშმარებმა. საკმარისი აღმოჩნდა გული გადაეხსნათ მოხუცებს, რომ უშფოთველი ძილიც გაქრა. **მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს.** მახსოვს ჯიბეებს ვიქექავდი. უცებ კბილებჩამტვრეული სავარცხელი ამომყვა. გულგრილად შევათვალიერე და მოვისროლე ზურგს უკან. მერე? ჰო, ატყდა ხორხოცი, კვნესა და კბილთა ღრჭენა. მივტრიალდი. ტრიფოლიატის ცასაბჯენილი ღობე შემრჩა ხელთ, რომელსაც შესასვლელი ერთი ჰქონდა, სხვაგან ნემსსაც ვერსად გაუძვრენდი. რისი მაუწყებელია ნეტავ ეკლის ტრიუმფალურ თაღს გამობმული მტრედი და ყორანი?!

არ მომეკაროო, წიოდა პირველი და ეკლებს ეხეთქებოდა.

ქიმმეხვარით,* ქიმეხვარითია, ყრანტალებდა ყასიდად ფრთადაშვებული ლეშიჭამია. მარჯვენა ხელი მტრედისაკენ გამექცა. მარცხენა ყორანს გავუწოდე. ერთმა ლაჟვარდისკენ წამწია, მეორემ — ინწყვეშისაკენ.

ჟინი. რამდენადაც გადაქათქათებულია, იმდენად ვერაგია ონწყვეშია.

უვიწროესი თვალები სიხარულისაგან უელვარებდათ ეკლებს. გადახასხასებულ მინდორზე, ბალახის ძირებიდან, დაჩრჩილული ცხვირები ჰაერს შემზარავად შეიყნოსავდნენ.

შენც, ბუტუტიო, დუდღუნებდნენ. ჟინისას ჰგავდა ნამდვილად. მინდოდა იქაურობას რამენაირად გავცლოდი, ცაში მოფართხალე მტრედს გავყოლოდი, მაგრამ ყორანიც თავისას ცოდვილობდა. შემდეგ, შემდეგ რა გადამხდა? გალავნის მიღმა ყურისწამღებად ჟრიამულობდნენ ახალგაზრდები. ფეხბურთს თამაშობდნენ.

მეც გადმომიგდეთ-მეთქი, ვეხვეწებოდი მათ და როგორც იქნა, მორიელისბოლოიან ტრიფოლიატებს ვეება სფეროც გადმოევლო. ტრიალებდა, ტრიალებდა სფერო. გადადიოდა, იღვრებოდა ერთმანეთში ლურჯი, ყვითელი, წითელი, მწვანე. თავი დავუხვედრე უკან მისაბრუნებლად, მაგრამ მაცდუნებლად ბრჭყვიალა სფერო ლამაზად შეღებილი ქვა აღმოჩნდა. კეფა ჩამელეწა. პირი მოტკბო, თბილი სისხლით ამევსო. არა, იმ განცდას შიში როდი ახლდა, არც რაიმე წყენა, ოღონდ ეს იყო, რომ ლოდს ფარული ფეთქვა შევატყვე თანდათან, განსაკუთრებით მას მერე, რაც ჭიაყელასავით წაკლაკნილი სისხლი მიუჩუხჩუხდა და მიუჩუხჩუხდა.

ყოჩაღ, შენ, გამონახე სათამაშო დრო-მეთქი, ჩავილაპარაკე ნიშ-ნისმოგებით, ეს იყო და ეს. ამასობაში მტკივან კეფაზე თაკარა ხელის-გული შევიგრძენი. ვერც კოჩიას მივამსგავსე, ვერც გადია მაფას და მით უფრო — რაბის. ქომაგის დანახვა მწადდა, მაგრამ კისერს ვერ ვატრიალებდი. მაბრუებდა აყვავებული აკაციის სურნელი და მჯე-როდა, დაბეჯითებით მჯეროდა, რომ ვკვდებოდი ვიღაც უხილავის თანდასწრებით, ვკვდებოდი მტრედითა და ყორნით ზესკნელ-ქვესკნელისაკენ დაძრული. სადაც იყო მივსხვაფერდებოდი და ყვე-ლაფერს რომ მოვეშვათ, იმ გარდასახვას უკვე ნეტარებისა ეთქმოდა. ეგეც რომ არა, ახლახან ზურმუხტისფერი ლოდი ტალახისფრად ქცე-ულიყო. შესაძლოა სფინქსის* სხეულის ჩამონასხლეტია-მეთქი, ვფიქ-რობდი, თან იეროგლიფები* გამირბოდა თვალწინ. ყოველ ასო-ნიშანში ერთიანი მოძრაობდა საკვირველად. ამ აღმოჩენით სუნთქ-ვაშეკრულმა დავასკვენი მაშინ, რომ თითოეული ციფრი ერთისაგან გაქცევას, სხვადყოფნის სურვილს ეწირებოდა. ალმაცერი მზერით სა-იდუმლო წარწერებს ვიმახსოვრებდი. უკვდავების ფორმულის გა-დარჩენას ვლამობდი. უსასრულო ხარისხის ფესვის ნიშნის ქვეშ ელ-ვისებური სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ნატურალური რიცხვები — 1 2 3 4 5 6 7 8 9. თავიდან და ისევ თავიდან. ტოლობის ნიშნის იქით პასუხი არ ჩანდა. ძნელია ახლა განვსაჯო, იმ დუმილის სიკვდილზე მეტად რისთვის მეშინოდა. სულ იმას ვცდილობდი, რომ მოჭუტული თვალებიდან ტოლობის ხელმარჯვნივ, თარაზული რვი-ანის ნაცვლად კვლავ იგივე ნატურალური რიცხვები არ დამელანდა.

ჟინი. პიროვნების აქტივობა აღკვეთილია და ფანტაზიის მოქმედებას თავისუფალი ხასიათი აქვს. სიზმარში წარმოდ-გენილი სინამდვილე ფანტაზიის თავისუფალი მოქმედების პროდუქტს წარმოადგენს. მასაც განსაზღვრავს პიროვნების მოთხოვნილებები, ინტერესები, მისწრაფებები, მაგრამ ეს უნე-ბურად, განუზრახველად ხდება.

ზღვის პირას ბავშვატატებული ქალი გამორბოდა, ზოგჯერ გამ-ჭვირვალე, ხან კიდევ ჰარმონიული კონტურებით გამოკვეთილი. მარ-ჯვენა ძუძუსკერტის წაკვნეტა უკვე მოესწრო პირმშოს და ტუჩებსის-ხლიანი ყრმა ამჯერად მარცხენას ეარხეინებოდა. ამასობაში მივიწყე-ბული ფორმულა გამახსენდა, მაგრამ იქ არც უსასრულო ხარისხის ფესვი დამიხვდა და აღარც — ნატურალური რიცხვების მიზანშე-წონილი მონაცვლეობა. იქ დედამიწა ბრუნავდა საათის ისრის მოძ-

რაობის საწინააღმდეგოდ, ხოლო პასუხის ალაგას მუშა ჭიანჭველები დამსხვრეულ ფრთებს ალაგებდნენ და ალაგებდნენ“.

— ...შორად, შორად ცის დასავალსა, — მისწვდა ბონდოს ჟინი ანთარის ხმა, — იქნებ გეეჭვებათ, ტყუილისა და მეგრულის მეტი ყველაფერი რომ უსწავლია ჩემგან?!

— როგორ გეკადრებათ! —ზურგისკენ გადაიზნიქა გულშექანებული კოჩია.

— შენი იმედი მაქვს, ბუტუტ! დავუმტკიცოთ ყველას, რომ ეს წლებიArare litus*-ი არ ყოფილა. აბა, რა ჩამოჰყვა შენს მასწავლებელს ცხრაასთვრამეტში საფრანგეთიდან?!

— რა უნდა ჩამოჰყოლოდ, რაბი? ფრაკი, Lues*-ი და ფანერის თორმეტი ცილინდრული ყუთი.

— ის ყუთები საჩუქრებით სავსე გვეგონა, ნანაგე, — ამოიოხრა მაფამ.

— მართლა?! — ღიმილით თავი გააქნია ჟინი ანთარმა.

— სინამდვილეში კი Formica rufa*-თი გამოტენილი აღმოჩნდა.

— ესეც მე ვარ. ცოტაც გვაცალეთ და თვალნათლივ დაინახავთ, თუ რანაირი რეზიუმე გაუკეთეს ჟინი ანთარის ცხოვრებას.

— ქორწილიდან გამოქცევას და მისთანებს გულისხმობთ, არა? კეთილი. თქვენი იმდროინდელი ქმედება, რაბი, ვფიქრობ, ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. მართლაც, აღნიშნულ მოვლენას სიღრმისეულად თუ გავაანალიზებთ, თქვენ დამნაშავე აღმოჩნდებით არა მარტო საკუთარი პიროვნების, არამედ — ჭეშმარიტების წინაშე საერთოდ. Ab equïs ad asinos* ითქმის ამაზე.

— ნამდვილად, ბუტუტი! — ხელების ფშვნეტას მოჰყვა ჟინი ანთარი.

— ადამიანი ყოველ წუთს ზამბარასავით დაჭიმული უნდა იყოს მთელის, საზოგადოების ინტერესების გადასარჩენად, მაგრამ სავალალოდ, კაცობრიობის ისტოროია ომების სასაფლაო უფროა, ვინემ ჰუმანიზმის ტაძარი. შემთხვევით არაფერი ხდება ცისქვეშეთში. შემთხვევით, კენჭიც რომ კენჭია, ისიც კი არ ჩამობზრიალდება პიტალო კლდის ბუმბერაზი მკერდიდან და როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ წაბორძიკებას უფრო დამანგრეველი მეორე გადაეჭდო. როცა სამშობლოს მტერს ფიანდაზად გაეგები ფეხქვეშ, აქ უკვე სულის ხსნაზე ფიქრიც კი ზედმეტია. ბორნის მოტაცებით თქვენ საბოლოოდ გაირიყეთ ხალხის გულიდან. ძმებმაც სასტიკად დაგსაჯეს. რაინდების საკადრისი თავდადებით სცადეს თქვენი დანაშაულის, დაცემის

გამოსყიდვა-გაბათილება, მაგრამ ერთხელ დამწვარი აინთება ხელმეორედ განა?! არაფრისდიდებით! აქაც სამარცხვინო კრახი განიცადეთ ნაწილის პოზიციაზე დგომით. მოკლედ, სიკვდილის შიშმა უდღეურ არარაობაში შეგაქანათ. ან რომელი ზნეობრივი ნორმით გამართლდება ის სიმდაბლე, როცა Scorpularia nodosa*-ში

Datura stramonium*-ი შეურიეთ, Clahoma hederacea*-ში, Hyoscyoms negeri*-ში და სრულიად შეუმოწმებლად უკვდავების წამლად მიასაღეთ ხელებში იმედით შემყურე სნეულებს?! წუთისოფელი კი გაიხანგრძლივეთ, რაბი, მაგრამ — მაკიაველის* მეთოდებით, სხვათა სიცოცხლის ხარჯზე. ეს ხომ კატასტროფა იყო უკვე, სრული კატასტროფა!

— ჩემო ტანჯულო, ჩემო ტანჯულო! — აქსუტუნდა მაფა ჰალიძონია.

„რატომ არ ჩაძაღლდა მაშინ?!“ შეეხმიანა ფიქრში კოჩია მამიდას.

— რაც შეეხება გადიას, — აგრძელებდა ბონდო, — ვერც იგი გადაურჩა თქვენს Culpa levis-ს. აქეთ თქვენ არ ეთმობოდით, იქით — ოდაბადე. სცილას* და ქარიბდას* შორის მოქცეულისათვის ცხოვრება აუტანელი შეიქმნა. ამ ორი შეუთავსებელი ძალით გათანგულს ვერაფერი მოესაზრებინა, ვერაფერი ეღონა. ამაო აღმოჩნდა მოვლენების Status qvo*-ში დაბრუნების ყოველგვარი ცდა, ყოველგვარი მეცადინეობა. არავის მონასა ხელეწიფების ორთა უფალთა მონებადოო, ლუკამ* და როგორც კი ნათესავებმა გათხოვებაზე სიტყვა ჩამოუგდეს, განათდა თითქოს, გამოჩნდა თითქოს საშველი. თვითშეწირვა ერქვა ამ მიგნებას. ამისათვისაც გამოიგონა შერცხვენილი კაცის საყვარლობა. თოკით ქვა ამისათვისაც გამოაბმევინა ძმებს კისერზე, ასე რომ, ჰალიძონიებმა ღვიძლ დაიას უბიძგეს თუ არა ენგურისკენ, აპოგეას მიღწეულ თქვენს Culpa levis-ს ლოგიკური წერტილი დაესვა, დასრულდა, სამუდამოდ დასამარდა იგი.

— ეჰ, დასრულდა კი, დასრულდა ვითომ?! — სინანულით გააქნია თავი ჟინი ანთარმა.

ხედავდა ბონდო, თუ როგორ მინებდა მასწავლებლის ტორს ალბომზე დასვენებული მაფას ხელები, როგორ ჩაეხლართა თითები თითებს. რაღაცნაირმა შურმა თუ ეჭვმა გაკენწლა და ვარდებით სავსე ლარნაკზე გადაიტანა მზერა.

— აი, თურმე რისთვის ყმუოდა მამაჩემი სიმთვრალეში, დამჩაგ-

რა ბედმა, დის ცოდვა მსდევნისო, — იბღავლა კოჩია ჰალდიძონიამ, — აი, თურმე რისთვის მოგვაწყევლიდა მე და არდაშელს დედაჩემი ცარო, შავსისხლიანების შთამომავლებოო. თქვი, მამიდა, მართლაც გაგწირეს ბიძებმა?! თქვი!

— რა მნიშვნელობა აქვს ახლა მაგას, კოჩია, ამდენი ხნის შემდეგ?!

— აქვს, მამიდა, აქვს! „სატანას ხელში დაბეჩავებული წმინდანი!“

— გეუბნები, რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. ხომ ხედავ, ცოცხალი ვარ, პირში სული მიდგას. მეტი რაღა გინდა?! „გაჩუმდი მაინც, უბედურო!“

— აბა, ბორნის ხოფს არ გამოდებულიყავი მაშინ, ან ჭოფიას სძინებოდა თავის კოკროჭინა ჯიხურში?! — თვალებში ჩააცქერდა მეუღლეს ჟინი ანთარი.

— სიმართლის ღირსადაც არ მთვლით?! არ გებრალებით სრულებით?!

— მიეცით კეისრისი კეისარსა და ღმერთისაი ღმერთსაოო, მათემ. რა გითხრას, შე უღმერთოვ, რა?! ყელზე ქვაგამობმული ენგურში გადამაგდეს ძმებამაო?!

— ამისთანა სულმდაბლობას ჩემი ბიძები არ იზამდნენ, არა.

— ამოგიჩემებია ბიძები, ბიძებიო, თითქოს მამაშენს ფრთები ამოსდიოდა იღლიებიდან.

— რატომ გაჩუმებულხარ, მამიდა, თქვი რამე! „ალბათ ყველაფერი ჩაუკაკლა“.

— დის ცოდვა მსდევნისოო, მე ვღმუოდი თუ ნაარყალი მამაშენი?!

— მამაჩემი, მაგრამ ეგ რა შუაშია?!

— გამარჯობა, შენი! კიდევ საბუთებს მთხოვ?! ის, რაც ფხიზელს თავში აქვს, მთვრალს ენის წვერზე აკერიაო, ნუთუ არასდროს გსმენია ლადი ჭანიასაგან მაინც?!

— მსმენია, დიახაც, მსმენია! „სულ იმას შესციცინებს თვალებში!“

— მეყოფა, კმარა! კმა-რა! —გაალმასდა მაფა ჰალიძონია.

— კი, მაგრამ მე რას მერჩით? აკვანში ვწოლილვარ მაშინ! — იბღავლა კოჩიამ და კარისაკენ გაქანდა. სიჩქარეში ჯორკოს გამოსდო ფეხი, წონასწორობა დაკარგა და იატაკზე ყუნწმომტვრეულ გოგრასავით გაკოტრიალდა. — შეჰკარით პირი ჩემს წინააღმდეგ ხომ, შეჰკარით ხომ?! — იდორბლებოდა კოჩია, — გამიშვი, შვილო, ხელი,

ხეიბარს! მე თვითონ, მე თვითონ!

ბონდომ წვალებით წამოაყენა მომჩვარული კაცი, მაგრამ მშობელი ფეხზე დადგა თუ არა, მაშინვე გავარდა ოთახიდან. კარები გაიაფარჩავა და კიბეებზე ცარიელი კასრივით ჩახრიგინდა.

— მიხედე, ნანაგე, ხიფათს არ გადაეყაროს ვაცაიჭარე!* — გამოუწია ყელი მიტკლისფერმა მაფამ ყმაწვილს.

— ჯანდაბამდის გზაც ჰქონია! — მიაწყვლა ჟინი ანთარმა, — გული აუჩივლდა ვაჟბატონს! ვითომ შენი სიბრალულის გამო ვერ ჩერდება ერთ ადგილას.

— არ გინდა, თუ გიყვარდე! ოღონდ დღეს გაჩუმდი, ჩემი ხათრით გაჩუმდი და ხვალ-ზეგ თვითონვე გამოვასწორებ ყველაფერს! — მისწვდა გადიის მუდარაგარეული ხმა ბონდოს.

— ტყუილად მთხოვ, შემოგევლე! Aut Caesar, aut nihil!*

,,კიდევ დარჩათ სათქმელი, იმდენი თვითმხილების შემდეგ?! ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსეო, პოეტმა. იდუმალი ერთარსია მხოლოდ. სამება უბადრუკი სიშიშვლეა.

მაფა: უბედურების შიში ჩემი ჯეგეს დაბრუნებამდე ორი წლით ადრე დამჩემდა, ნანაგე. არ მინდოდა შენი მასწავლებლის ღალატი მერწმუნა, მაგრამ მისი წერილები დღითი დღე ილეოდა და წინათ იმ ფურცლებიდან ბადაგი თუ წვეთავდა, ჯეგეს ხმაში თანდათან გულგრილობამ, განსჯამ დაისადგურა. ასე რომ, კარჩაკეტილ კუნძულზე მცხოვრები, ნანაგე, დროთა მსვლელობაში ბარათეის ხასიათს უნებურად შევურიგდი. ცხრაას თოთხმეტშც კი, როცა გერმანია მთელს მსოფლიოს წაეპოტინა დასაპყრობად, როდესაც სასაკლაოდან ცალხელა ჩამომივიდა უფროსი ძმა, ბადუ, სამაზლო ჯღვამამ და ათობით ოდაბადელმა ძვლები ძლივს მოაჟღარუნეს, როცა ნებით თუ უნებლიეთ ბევრი სწავლასმოწყურებული სტუდენტი მოშორდა, დაეხსნა იქაურობას, ჯეგე ანთარია კვლავინდებურად კანტი-კუნტად იწერებოდა, ოღონდ — უკვე საფრანგეთიდან. დიახ! თავიდან ათგვერდიანი გაჭედილი წერილები რომ მომდიოდა, ნანაგე, საფიცარმა ადამიანმა საუბარი ნელინელ გამინახევრა. ხელწერასაც რაღაცნაირი ზერელობა დაეტყო. გაქრა ოდინდელი სისადავე. ჯეგე ანთარია მალე ნაძალადევი ბატიფეხურით შეკოწიწებულ ერთ გვერდს დასჯერდა. ახლა საკუთარ თავზე არაფერს ამბობდა. მის შორეულ ხმას შემაძრწუნებელი სიცივე ჩამოჰყვა...“

ცხოვრება ოდაბადეშიაც აირია, აიწეწა, მამას შვილი ეურჩებოდა, ძმა ძმას მტრობდა და ახლობელი — ახლობელს: ამდენად, რა გასაკვირი იყო, თუ უცხო და შინაური ამბებით ძარღვებაშლილ მაფას აქა-იქ გაუტანელი წუთისოფლის სამდურავი წამოსცდენოდა ჭყონდიდის ძირას თავმოყრილ ხალხში?! ყაჩაღანა ასულის სითამამე ბევრს აღიზიანებდა, შურიანები ხომ დედასთან დაასმენდნენ ხოლმე, მაგრამ ჭორიკანა თავსაფრიანებს ლისა შკვითინია სათითაოდ ხმას აკმენდინებდა, შვილის სიმჩატეს გამართლებას უეჭველად მოუძებნიდა, თუმცა არც შინმობრუნებულს დააყენებდა კარგ დღეს.

— შარვლიანების საქმესთან შენ რა ხელი გაქვს, თოლიგე?! — უწყრებოდა დამარტოხელებულს წარამარა, — ქალის დაწყობილი ქვეყანა სმენილა ჯერეთ?! ეს რკინის დროება ეშმაკის მოგონილია, შემოგევლე, აკვნის რწევა და თითისტარის ტრიალი ჩვენი ყისმათი. მერედა, დანიშნული ხარ, ნანა გენაცვალოს, ქალის სახელის სიწმინდეს კი ისეთივე გაფრთხილება სჭირდება, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს, — არიგებდა დამტირებელ გოგოს, მაგრამ ლაღად გაზრდილი ქალწული არას დაგიდევდა.

ანთარიები სარძლოს ყოველკვირა ნახულობდნენ. ჟინის წაბლისფერ კვიცს მოუყვანდნენ, რომელსაც შუკა-შუკა დასეირნობდა მაფა. ხანაც სატრფიალო ტირიფების ძირას ჩაიყვანდა. დაბანდა, ძუაფაფარს დაუვარცხნიდა. ჭკვიანურ თვალებს დაუკოცნიდა.

— თქვენ გადამრიეთ ანგელოზი ბავშვი, თქვენ, — წამდაუწუმ აქვესკნელებდა ვაჟიშვილებს ლისა შკვითინია, — ვაშინერს,* ნანაგე, ვინ გაქცევია საკუთარ ბუნებას, შენ რომ გაექცე?! ერთი განგება დაატარებს ყოველ გრძელთმიანს. ფუძის მოვლა-პატრონობა ჰქვია ამ ბედისწერას. სამამაკაცო საქმეებს დაეხსენ! დაბრუნდება ის ნასწავლი ბიჭი და ტყე-ღრეში ხეტიალს, იცოდე, არ გაპატიებს! — ეტყოდა, რის შემდეგ ხორკლიანი ხელისგულით ცრემლს მოიწურავდა. დედობრივი მოვალეობა აიძულებდა ასულისათვის შეუფერებელი ჩვევები მოეშლევინებინა, მაგრამ მაფა დაუამდებოდა, თავშალს გადახდიდა და ფერებ-ფერებით დაამშვიდებდა.

ჟინი ანთარის ბოლო წერილი თებერვლის მიწურულს მოუვიდა მაფა ჰალიძონიას.

„გიხაროდეს, უკვე დოქტორი ვარ და სამ-ოთხ კვირაში ჩამოვალ“, ატყობინებდა საქმრო.

ჰალიძონიები სასიძოც აქამდეც მოელოდნენ, თუმცა ნანატრმა

ცნობამ ისინი უფრო დააფაცურა.

მდუღრავდნენ ავეჯს. აპრიალებდნენ კარ-ფანჯრებს. ამზეურებდნენ ქვეშაგებს, საბნებს. შეყვარებულის მოლოდინით დაქანცულ დედოფალს საპატარძლო კაბას უკერავდნენ.

ოდაბადელი ყმაწვილები სიმინდის ღეროებს აგროვებდნენ ნაყანარში, ბორნის სიახლოვეს გორებად ახვავებდნენ, რათა უცხოეთში განსწავლულ თანასოფლელს ზარ-ზეიმით დახვედროდნენ. რჩეული შვილის მოლოდინში იქ აღამებდნენ და ათენებდნენ. ნაცარგარეულ წყალში დიდრონი ქვაბით იქ ხარშავდნენ შემოდგომის სიმინდს. იქ აჟღარუნებდნენ კაკლის ხის გულისაგან გამოჩორკნილ ნარდს. იქ აღუღუნებდნენ ყელმოღერებულ ჩონგურებს.

პარასკევ საღამოს კოცონების ბრიალმა და მხიარულმა შეძახილებმა მაფა ჰალიძონიას მიჯნურის დაბრუნება ამცნო.

— ჯანმრთელობა ჯეგე ანთარიას! — ყვიროდნენ ერთხმად.

— გამრავლება ჯეგე ანთარიას! — დასჭექდნენ ისევ.

— ბედნიერება ჯეგე ანთარიას! — გუგუნებდა გაბრდღვიალებული ხაბოსთავი.

ჟინი: შევაბიჯე თუ არა ბორანზე, უცხოეთში გადაკარგულ მემკვიდრეს მუხლები ამიკანკალდა. ჭიაკოკონების შუქზე ნარბენალი ცხენის ზურგივით ლაპლაპებდა ენგური. მგზავრობით მოჟამულის ბარგს ოდაბადელი ონავრები ხორხოცით აწყობდნენ ბორნის მოფამფალებული მოაჯირის სიახლოვეს. როგორც ჩემს არყოფნისას დაკოჭლებული ძმისწული ჭოფია ირწმუნებოდა, სოფელი თურმე რა ხანია მელოდა. მაშხალებითაც ამისათვის მეგებებოდნენ. ბუტუტი, რატომღაც მომეჩვენა, თითქოს კუნძულ სატანჯოს წყეული ჭორომებიდან ვიღაცამ უხორცო მკლავი დამიქნია. ვედრებით, სასოწარკვეთით მიხმო, მაგრამ მაცდური მოლანდება უმალ საერთო მხიარულებამ დაჯაბნა და ბორანი, როგორც კი ფიცარნაგს შეეხო, განსწავლული ძე მყისვე ხელებში ამიტაცეს. ოდაბადელები ზეიმობდნენ. ევროპიდან დაბრუნებულს ფრანკის ყორნისფერ კალთებზე მეფერებოდნენ. ღიმილით მიმზერდნენ გულაჩუყებულს, ჩემს მღელვარებას და ცრემლს შვიდ წელიწადს უცხოეთში ყოფნას, გასხვაპურებას მიაწერდნენ, მაგრამ ტაშ-ფანდურით გარემოსილი ვგრძნობდი, რომ სათქმე-

ლადაც კი საშინელ სენს ისე გავექცეოდი, როგორც თივის ზვინი — შემოპარებულ მუგუზალს.

მაფა: ლისა შკვითინიას მომატებული სიფრთხილე რომ არა, მეც სხვებივით სატრფოსთან ვიქნებოდი, ნანაგე, მაგრამ დედაჩემმა, სად გაგონილა საცოლე იქით მიგებებოდესო საქმროს, ბრძანა და თავი დამახრევინა. შინ როგორ დამედგომებოდა აფორიაქებულს, მით უფრო მაშინ, როცა უჯიათი ჩემიანების გარდა ყველა ანთარიებისკენ გაიკრიფა, მაგრამ რას გავაწყობდი. მშობლების კუდაბზიკურმა ამპარტავნობამ და ღირსების შეხსენებამ მომთოკა. მესმოდა მხიარულება, რომელიც ბინდისფერი სოფლის სიღრმეში ილეოდა, ინავლებოდა და სარკმელს აწებებული უნუგეშოდ ავქვითინდი.

რიგრიგობით მაკითხავდნენ დაქალები. საბედოს ჩამოსვლას მილოცავდნენ.

დედა, როგორ დამშვენებულაო, ნაბავდნენ თვალებს. ათას სისულელეს მეჩურჩულებოდნენ, ჯეგე ანთარია კი იგვიანებდა. ზეიმობდა დიდ-პატარა, მხოლოდ მე დავვიწყებოდით. თეთრებში გამოკვართული ყოველ ფეხის ხმას გულის ფანცქალით ველოდი, თუმცა — ამაოდ. ექვსივე სამაზლო ნაშუადღევსღა მეწვია სარძლოს.

ღვინომ აწყინა და უქეიფოდ შეიქმნა შენი ჯეგე, მომიბოდიშეს ნაბოლარა ძმის სანაცვლოდ. ახლა კი ყური ვათხოვე დედის წიწმატობას, მამის დუდღუნს. ზანთარაიებს ავედევნე. აფორიაქებულმა მორღვეული სხეული ძლივს ავიტანე კიბის საფეხურებზე. სახლეულები გზას მითმობდნენ. სარეცელზე მწოლს გაფითრებული თითები მკერდზე დაეწყო.

აქამდე სად ხარო, მაფა, ესღა წამოილუღლუღა ჯეგემ, უკეთ, უკანასკნელი სიტყვა ტუჩების მოძრაობამ უფრო მიმახვედრა, თორემ ხმა „მაფამდე“ ჩაუწყდა ხელსახოცით შუბლწაკრულს. ამასობაში, მართალია, ჭირთათმენით, მაგრამ ჯვარდაუწერელ კაცთან აშკარა ალერსის რიდ-მოკრძალებას მაინც ვაჯობე. მომხნევებული ჯეგეც ყველასდა სასიხარულოდ მკერდში მიხუტებდა სანატრელს და ცრემლით დანამულ თვალის უპეებს ხელისგულით მიმშრალებდა.

ნურაფრის გეშინიაო ჩემო, ამ სიტყვებით მამშვიდებდა.

მესამე დღეს შენი მასწავლებელი მოკეთდა, ნანაგე, მაგ-

რამ ოდესღაც ხალისიანი, უცხოეთში ყოფნას ძირ-ფესვიანად შეეცვალა. შეკაზმული წაბლა ფრუტუნით მისდევდა ურმის თვლებით დალიანდაგებულ შუკაში. სიმაღლეში ალვის ხეს ავით წასულს, ევროპულად შემოსილს, გავერანებული ეზოებიდან ეგებებოდნენ ბავშვებატატებული ქალები და ჭრელ-პერანგიანი კაცები. წელში მოღუნულები ღარიბულ ჭერქვეშ ეპატიჟებოდნენ ბეწო სიხარულის გასაზიარებლად, მაგრამ თავჩაკიდული ჯეგე ყველას და ყველაფერს გაეცლებოდა. როდემდე იბრანცალებს ნეტავ?! დარწმუნებულია მივსდევ და რა ენაღვლება? უხიაგს ერთი!

ჟინი: უსამშობლობით სულშეხუთული აქამდისაც ბევრჯერ ვსტუმრებივარ ოცნებაში მამულს. აქამდისაც ბევრჯერ ვსტუმრებივარ ტალახიან შუკებს, ტრიფოლიატის ჩაგრაგნილ ღობეებს და ორმხრივად გათლილი თხმლების ლატანებისაგან შეკრულ ჭიშკრებს. სადმე ყრუ ადგილას თბილ სილაზე წამოწოლილი, მზის დიდებულ წაბრძანებას ვიზეიმებდი ჯერ. მერე უპეებში გაბრწყინებულ მძივებს მუჭით მოვიწურავდი. ციცინათელებს დადევნებული ანცებით გახალისებულ ეზოებს მივაყურადებდი. მალე ქვეყნიერებას ჭრიჭინები დაეუფლებოდნენ. ასე იყო უცხოეთში ყოფნის ჟამს, მაგრამ ჩამოსვლის შემდეგ არც ეს სიდუხჭირე მანაღვლებდა და აღარც ლაფაროსთან დადარაჯებული ჭანჭრობი თუ კოღო ენოფელესი*. ამრეზით შევყურებდი მალარიით განესვისფრებულ სახეებს თუ ოდაბადელების მწირ ყოფას. ბებერ ტირიფებთან განმარტოებულს გრილ სილაზე უცნაური ფიგურები გამომყავდა წკირით. უამურ ფიქრებს დაბრუნების დღეს ხაბოებზე ერთდროულად აბრიალებული კოცონების გახსენებით უკუვიყრიდი ხოლმე. საწუთრო გასაყარი სკასავით ფუთფუთებდა. ვგრძნობდი ჯიგარგამოცლილი, რომ სამშობლო სულ მალე სასაკლაოდ გადაიქცეოდა, მაგრამ მამალი ორაგულის მსგავსად მაინც მას მოვაშურე. შინაგან ხმას აყოლილმა სიკვდილის უპირატესობა ერთხელ და სამუდამოდ ვირწმუნე. საწუხარი ობობას ქსელივით შემომებანდღა. ბედისწერა მიმონებდა. დავცინოდი საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში შეძენილ ცოდნას თუ ფოლიანტების კითხვაში

გაცრეცილ ღამეებს. ისევ თვალდავსებულ სიკვდილს ვეძებდი. ავადმყოფობის მარწუხებით ჩასაფრებულს თუ ზოგადსაკაცობრიოს, ერთიც და მეორეც სრულ განადგურებას რომ მიქადდა.

ხვალ-ზეგ ნათესავს ნათესავი წაეკიდება-მეთქი, ვუმტკიცებდი საკუთარ თავს, შეირყევიან პირქუში ქოხმახები და ჯარგვალიები. მახლობელთა სისხლი გადარეცხავს ხოდაბუნებს და ტყვიის წივილი დააფეთებს ცხენების გალაღებულ რემას. ლერწამტანა ასულებს შეარცხვენენ. მეტ განთიადს ვერ იხილავს, ვინც დღესვე, ამწუთასვე არ დაიჩოქებს-მეთქი. არადა, უკვდავებას წაპოტინებულს ქარბორბალა მოყვითალო სულს მიფხოჭნიდა. სნეულებამ დამაბრმავა და დამაყრუა,ß განსაცდელის მოლოდინმა მომითავა.

სიდინჯე არასდროს აკლდა რაბის, მაგრამ ასეთი დაუნჯობელი და თვითკმარი ჯერ მე არ მახსოვს“.

კი, ქვეყნის, სამართლიანობის მსახურად გააჩინეს მშობლებმა, გიმი მესხიამ და ხუმუ ანთარიამ, კი, თავდადებისათვის აახმიანეს ლომა კამეჩის ტოლისდამდებმა ძმებმა: კვეკვემ, ჯღვამამ, ბათაყვამ, ბაბუშმა, ჩოქოლმა და ქვაფუმ, რომლებთანაც სიმინდის ყანის გამარგვლის თუ გამორიდების ჟამს ბევრჯერ დაუგუგუნებია ლადი ჭანიას სიმღერა:

,,ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
პაპის იყო, დღეს ჩემია,
როგორც შვილი მამის არი.
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ჩვენ ვინ მოგვცა გასაწირი
საქართველო საფიცარი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,
ლარი დაწყდეს ლამის არი,
ორგულია? ძმაც რომ იყოს
ქორწილის დღეს მიუსწარი!
ჰა, მშვილდი და ჰა, ისარი,

ლარი დაწყდეს ლამის არი...

ჟინი ანთრი დემონურ განგებას ამაოდ ებრძოდა.

ამ სიფერმკრთალეს ადრე სამშობლოს უნახაობას აბრალებდნენ ოდაბადელები, მაგრამ როცა შუკებში მხრებჩამოყრილი წახეტიალდა და ცინგლიანი ბალღები აიდევნა ჭიანჭველებივით სავსე, ფანერის ცილინდრული ყუთებით, თანაც ,,მეთაყვანეთ, მეთაყვანეთ ჟინი ანთარსო'', წაეპოტინა წარმართული ღვთაების დიდებას, კუნძული რაღაც ავის მოლოდინში გაირინდა.

მაფა ჰალიძონია მეტოქის სახელდება უჭირდა, მაგრამ გრძნობდა, რომ უხილავი ძალა სატრფოს ართმევდა.

,,დაე, ეს მოწინააღმდეგე ქერათმიანი ქალი ნუ იქნება და დანარჩენს ყველაფერს ეშველება, წიგნებსაც, მეცნიერების მწვერვალებსაც თუ სხვას, ჩემთვის დაფარულ-მიუწვდომელსო'', ფიქრობდა იგი, ამიტომაც უჩინარი მტრის კლანჭებიდან ძვირფასი ადამიანის გამოსახსნელად შეუძლებელს ეჭიდებოდა. მოსალოდნელ შერცხვენასაც შეურიგდა მაფა და მიჯნურს სატრფიალო ნაკადულის პირას, ძეწნების შრიალში მიაკითხა, მაგრამ ჟინი ანთარი წყაროს ლიკლიკით დანოტიოებული ლოდივით დუმდა.

გავიდა პირველი კვირა, მეორე, მესამე და დუნიაშემოვლილის ჩოხა-ახალუხი როგორც იქნა გასრულდა.

ყვავილებით რთავდნენ სეფას.

— სიყვარულის მალამო გააბრწყინებს, — მსჯელობდნენ, ხოლო ის სევდა-უთქმელობა, რაც საანთარიოს აგრერიგად აფორიაქებდა, კვლავინდებურად მომეტებულ სხვადყოფნას, გაქსუებას ბრალდებოდა.

— მამულის ჰავა და წყალი წელზე მახვილს შემოარტყმევინებსო, — ირწმუნებოდნენ. ძირფესვიანად გარდაქმნილი ჟინის თავში კი ასი მორევი და ორი იმდენი დანაკუწებული წკვარამი დაქროდა.

ბინდისფერი ენგურის პირას ჩამოჯდებოდა. ფრუტუნებდა საოცარ ცხენი, მაგრამ მისთვის არ ეცალა უილაჯო პატრონს — უღრანებიდან, გაბარჯღლულ ხეებს შორის გასიგრძეგანებული ლანდი ეძახდა. იქით ყვავი მიყრანტალებდა, მძორის მძაფრი სუნი სცემდა.

დაიხვიხვინებდა მხედრის მუხლებს მონატრებული წაბლა, მაგ-

რამ ჟინი ანთარი უზანგს ირონიით შეავლებდა თვალს, ხან უმისამართოდ უბნიდან უბანში გადადიოდა. ფეხდაფეხ მისდევდა აღვირათრეული თოხარიკი. თანასოფლელების მოსალმება ძარღვსაც არ აუტოკებდა და როცა აყაყანებულ ბრბოს გაუსწორდებოდა, „Pavta pei“*„Qvo vadis“*, „Pêle-mele“*-ო, ამბობდა შეჩოჩქოლებული საზოგადოებისათვის გაურკვეველს.

ხშირად საშაროს ჩხრეკდა, ჩხუბის მოწადინე.

— ცოდვილთა მოდგმავ, მკვლელებო! მუხლებზე, მუხლებზე ჟინი ანთარის წინაშე! —იტყოდა მათ გასამწარებელს თვალების ბრიალით, მაგრამ სულგრძელობას იჩენდნენ, წყენას უსიტყვოდ ყლაპავდნენ.

ჟინი ანთარი გამუდმებით უსახსრობაზე წუწუნებდა. თითქოს მის წინსვლას ხელმოკლეობა აფერხებდა. აქილიკებდა მარჩენალი ოდაბადელების უმეცრებას. გასაჭირს მოხერხებულად ჩქმალავდა, მაგრამ ბრძენთა შეგონებისამებრ, საწუხარი თვითონვე გამოაშკარავდა. მართალია, ჯერ მხოლოდ მაფას არსებაში, მაფას თვალწინ, თუმცა ცხრაკლიტული საიდუმლო მაინც დაემხო. ჟინის მეობას უკვე სხვა განაგებდა, ქედს უცხოს უხრიდა, რომელი უცხოც „ლათინური კვარტალის გამოწურულს“ წარბშეუხრელად ეგებებოდა. თუ ჰალიძონხეს წყალობას შეიფერებდა ჟინი, ივლიდა წელგამართულად, შეურცხვენლად, ვიდრე საზიარო ლოგინში ამოლპებოდნენ. არადა, შეყვარებული დაუმსახურებელი ტვირთვისთვისაც არ ემეტებოდა.

ჟინი ანთარი ზოგჯერ გამოიდარებდჟა კიდეც. თვალები უბრწყინდებოდა. შთაგონება ჩამოშორდებოდა.

„არცა მე განგიკითხავ შენო“, — ჩაილაპარაკებდა, მაფას ცხენზე შესვამდა, თვითონაც ამხედრდებოდა და ხელად ჰალიძონიების ბზინვარე ჭიშკართან გაჩნდებოდნენ.

წინმიგებებული ლისა შკვითინია დანიშნულებს თავზე ხელს შემოავლებდა სათითაოდ.

კაცები ნარდს მიუჩოჩდებოდნენ, ქვეყნის მომავალზე მასალათობდნენ, მაგრამ მაფას მათთვის ნამდვილად არ ეთმობოდა საქმრო. მკლავს გამოსდებდა. ოქროცურვილ ალბომებს გამოურბენინებდა, ნეკის სისქე სურათებს გადაუშლიდა, ცრემლით დასველებულ წერილებს უკითხავდა. ნაბოლარა ანთარიას ხიბლავდა საკუთარი ბარათებში ჩაქსოვილი თრთოლვა და ენერგია, ქალიშვილის შეხსენებულ სიყრმის დროინდელ ბედნიერ წლებს კი რატომღაც ყოველთვის წაუყრუებდა. სიტყვას ბანზე აუგდებდა. საფრანგეთიდან ჩამოყვანილ

ტყის წითურ ჭიანჭველებზე ესაუბრებოდა.

— ჭიანჭველებით ავაღორძინებ კოლხეთის წელში გატეხილ სოფლის მეურნეობას! — უმტკიცებდა აგზნებული.

მაფა ჰალიძონიას აბრუნებდა საქმროს აზროვნების სიღრმე და სირთულე.

— არაფრით ვჯობივართ ჭიანჭველებს, — იტყოდა ოხვრით ჟინი, — არც მათ აკლიათ მონები და მუქთახორები. ისე კი, ცნობისათვის, სამი ჯურის ჭიანჭველა ცხოვრობს უმეტეს ოჯახში. ესენია გამრავლების უნარს მოკლებული მუშები, რომლებიც შესაშური არქიტექტურული ნიჭიერებით აშენებენ გიგანტურ სასახლეებს, აგროვებენ საკვებს, ზრდიან ბარტყებს. სულელები! მათ მოსდევს, უფრთო, კვერცხმდებელი დედეოფლები. დასასრულ, ჭიანჭველეთის მშვენება — მრგვალბოლოიანი მდედრები და მახვილბოლოიანი მამრები. ამათ მუშა ჭიანჭველები განსაკუთრებული მზრუნველობით კვებავენ. რჩეული წყვილი მალე გაუსწრებს პროპორციებში დანარჩენ ყარტაყურტას, ხოლო ბუნების გამოღვიძებისთანავე ხდება დაუჯერებელი რამ — უწყინარ ჭიანველას ფრთები გამოუვა. გამობზუილდებიან მერე ფრთოსნები, ჰაერში შეერწყმიან ერთმანეთს. სასიცოცხლო ძალებისაგან გამოცლილი მამალი სულს განუტევებს, ხოლო თაფლობის წუთიდან ჩამონარცხებულ დედალს მუშები ფრთებს გადაუღრღნიან, გააჩვეულებრივებენ.

მაფა ჰალიძონიას აოცებდა ჭიანჭველებისა და ადამიანების ცხოვრების მსგავსება. იქაც და აქაც საზოგადოება ამზადებდა წინამძღოლს, ბელადს, მაგრამ მერე ჯვარზე აცვამდა მესიას ორივე. მოკლედ, ვიღაცის გაწირვით გრძელდებოდა სიცოცხლე, ოღონდაც ამ მსხვერპლს ინდივიდიცა და ხალხიც თანაბარი ექსტაზით გაიღებდა.

ჟინი ანთარი საცოლეს მოუთხრობდა მენდელის, *სეტონის, მორგანის, საკვირველ აღმოჩენებზე. ესაუბრებოდა ვილერის,. ლუკასის, შლაიპის, რუზსკის * სტატიებსა და მონოგრაფიებზე. უამბობდა სიფრიფანა ფრთიანების სარგებლიანობაზე, თუ ბალახის რამდენი თესლი მიმოჰქონდათ, რამდენ მავნე მწერს ანადგურებდნენ და ლაპარაკისას მერმისზე სანუგეშოს არაფრისდიდებით გამოიმეტებდა. ბევრჯერ გადაბრუნებულა ქალწულის თავქვეშ ცრემლით დასველებული ბალიში. არათუ მაფა, მთელი სოფელი ცხადლივ ხედავდა ჟინის გადასხვაფერებას, რასაც უმეტესწილად წიგნებს აბრალებდნენ

და წელში გამწყდარ ჭაბუკს თვალს სინანულით გააყოლებდნენ.

რინა გამწარებული ასული ყოველნაირად ცდილობდა გარდაქმნილი საქმროს ფიქრებში შეჭრას, მაგრამ ჭაბუკს საკუთარი თავისა და საქმის გარდა არაფერი ახსოვდა, არც — დედ-მამა და ძმები, აღარც სკასავით დანჯღრეული სამშობლო და შეყვარებული, სამაგიეროდ ღორების გადაჩიჩქნილ ჭიანჭველების ბუდეებზე იმდენს სწუხდა, იფიქრებდით, სამზეო ბიბლიურ წარღვნას წაულეკიაო.

მაფა ჰალიძონია ჯვრის დაწერასაც ამისთვის ჩქარობდა, ვინაიდან ღრმად სწამდა, რომ მეგობარს სავალალო მდგომარეობიდან რამენაირად გამოიყვანდა, წინააღმდეგ შემთხთვევაში, ,,ვეფხის ტყაოსნით'' აღზრდილი თავს არ იცოცოხლებდა.

ჟინი ანთარი ხან რას იმიზეზებდა და ხან — რას, მაგრამ დანიშნულის დაჟინებამ თავისი გაიტანა და ქორწილამდე ორი კვირით ადრე გასაჭირი გაუმჟღავნა.

— წელიწადნახევარი იწურება, რაც უკურნელი სენი მჭირს, — ეუბნებოდა სიმორცხვისაგან წამონთებული, — სიმართლეს მოითხოვ და ბარემ ყველაფერს დაუფარავად გეტყვი. რამდენიმე თვის სიცოცხლე დამრჩენია ,,რას არ გაუძლებს კაცი?!'' არა, არაფერს ვაზვიადებ. ჩემი სნეულება დღესდღეობით ტუბერკულიოზზე საშიშ ავადმყოფად მიიჩნევა. მასთან თვით ერლიხის ,,სალვარსანიც''* კი უძლურია, ასე რომ, წყეული ჯერ შიგნეულს გამოუხრავს ადამიანს, გამრავლების უნარს წაართმევს, მერე ცხვირ-პირს წააჭამს და დასასრულ, ან გიჟის ხალათს მოასხამს, ან კიდევ უსაძაგლესად ჩააძაღლებს.

ისედაც ძარღვებაშლილ მაფას გამხელილმა ახლა მთლად თავზარიც დასცა, თუმცა არაფერი დაიტყო. ტუჩებზე ღიმილი მოიხშირა. შინაგანად გმირობისთვის განემზადა. დღეიდან მის სიყვარულს მკაცრზე მკაცრი გამოცდა ელოდა.

— აგერ არ გყავარ?! ნურაფრის გეშინია, ჩემო სულისდგმავ! უეჭველად მოგარჩენ, მაგრამ თუ მაინცდამაინც საშველი გაწყდა, შენს წუხილს და სატკივარს წარბშეუხრელად გავიზიარებ! — ანუგეშებდა, ამხნევებდა რჩეულს.

— ჩემი ფრთოსანი ჭიანჭველა ხარ შენ! — თქვა ნიკაპათრთოლებულმა ჭაბუკმა.

მაფა არც გულგახსნილის ქუთუთოებიდან მომწყდარ ცრემლს შეუშინდა. იმწუთას ყველაფერს გასწირავდა მისთვის, სანათესაოსაც, საადამიანოსაც კი, ოღონდ გულისწორს ადრინდელივით წელ-

გამართულს ევლო.

საქორწილო სიმღერა-თამაში, ჯვარდაწერილების თავზე ხურდა ფულის კორიანტელი, ქუსლებით თეფშების დამსხვრევა, გაუთავებელი მილოცვები თუ ჰალიძონხეს სიახლოვე, ჟინი ანთარს აშკარად აღიზიანებდა. ანგარიშმიუცემლად მიაბიჯებდა პატარძლის გვერდით. მარმარილოსაგან ნათალი მისი სახე ფრიად საგულისხმო ვარამს დაენაცრა. მართლაც, ნეფეს ეს ბედნიერება აოხშივრებულ ქვებებთან მოსუნსულე ძაღლებზე ნაკლებად უხაროდა. უფრო მეტიც, საქმროდ დაყოლიებულს ტაშ-ფანდურა მთელი არსებით შეზარდა. ამიტომაც დილიდანვე, როგორ და რანაირადაც შეეძლო, სადღესასწაულო სამზადისს გაურბოდა, მაგრამ მაფას მავედრებელ ხმას ქვითინიც დაერთო და ჟინი ანთარიც მოტყდა.

,,მაინც რა ძალა აქვს ქალის ცრემლს?'' გაიფიქრა მან და დედოფლის შუბლი მკერდზე უნებურად მიიხუტა.

პატარძლის კაბის ლამუნს ადევნებული ჟინი ანთარი ბაგეს იკვნეტდა. ქალის საწყალობელი გამოხედვა და წაბღაუჭება აშკარად მიახვედრებდა, რომ მაფას მისი განზრახვა — გაქცევა — ამოეცნო და ისედაც არეული, მოქეიფეთათვის ფარულმა, მაგრამ გულისსწორისათვის უცხადესმა თრთოლვამ შეიპყრო, თუმცა თანდათან შერცხვენის შიშს აჯობა, სძლია, მოერია.

ახლა ჟინი ანთარი ავისმქნელკეთროვანთა საზარელი ბუნაგისაკენ — სატანჯოსკენ უმიზნებდა, საითკენ სიტიც უფრთხის ფრენასაო, ვინ იცის, რამდენჯერ სმენია ლადი ჭანიასაგან უცხოეთში გამგზავრებამდეც?!

— იქ სიკვდილის ანაფორით მეფობს ხაბოდან ხაბოზე მხტომელი ბევრი ვაჟკაცის წამხდენი ჰაერი, მაგრამ ვინც ერთხელ მიეკედლება და მის დამყაყებულ არეებს სულს მოაწამვლინებს, ბედისწერის ზღვარს გადააბიჯებს, აუხდენელ ნანინანატრს აისრულებსო, — უთქვამს მხცოვან ოდაბადელს.

ჟინი ანთარი სატანჯოს ჭაობნარის ბინადარს არასდროს შეჰყრია, თუმცა ათიმთიმებული სნება კალაპოტს თავისით იგნებდა, შიშისმომგვრელი აკლდამებისაკენ მიუძღოდა. მის ცნობიერებაში საქორწილო სუფრა და მექორწილენი ნელ-ნელა უდაბურ ტყედ გარდაისახა. მოხშირდა მაჯისსისხო ბინულები. ცას ფერები გაუნაზდა და თუ აქამდე შეყვარებული, დედ-მამა, ძმები, სამშობლო, რაღაცით მაინც ბოჭავდა, წყალწაღებულის მსგავსად ხავსს თუ ეპოტინებოდა, საერთო მხიარულებით გარემოსილს თანდათან სისხლი მოაწვა თვა-

ლებში. გონებაარეულმა ნეფემ უდიერად მოიცილა პატარძლის მკლავი. ქათქათა სუფრას წაეტანა, მიწაზე ჩამოხვეტა პურ-მარილი და არეული ნაბიჯებყით მოშორდა ეზოს, დაფეთებულ ნათესავებს, მეგობრებს.

— საით, საფიცარო?! — მიაქვითინა გაქცეულს სასოწარკვეთილმა მაფამ, — ქორწილის დღეს ძაძებს მაცმევ, თოლიგე? — ზღვაური ახანგრძლივებდა იმ ხმას, — სხვა თუ გიფარდა, მე რას მერჩოდი, რას?

,,ოღონდ ჩირქი არ მოცხებოდა რაბის და არარსებულ მეტოქესაც კი მოიშველიებდა. ჩემი გადია! სწორუპოვარი ფრთოსანი ჭიანჭველა! ფერია პირწავარდნილი!

მაფა: მაგრამ თუ მაინცდამაინც საშველი გაწყდებოდა,ჯეგეს წუხილს და სატკივარს წარბშეუხრელად გავიზიარებდი, ნანაგე. მაყრიონი აიშალა. ძაღლები აყმუვლდნენ. ნისლისფერი კაბა ქარში მიფარფატებდა. მერე ნაბოლარა ანთარიას შეშლა-სიფითრე მეც გადმომედო. უპეებში ცრემლი შემაშრა და იქითკენ გავქანდი, იქითკენ, სადაც მორევს ერკინებოდა ჟინი ანთარის წარმართულ ძალმოსილებას წაპოტინებული მოკვდავი, თუმცა აბობოქრებულ მდინარეში გადასაშვებად მომზადებული პატარძალი ხაბოსთავზე შეკრებილებმა გამაკავეს.

ვაი, ჯეგე ანთარიას! ვაი ჯეგე ანთარიას! ბღაოდნენ მისი შერცხვენილი ძმები და ფართო-ფართო შუბლზე ხელისგულებს დაუზოგავად იცემდნენ.

ჟინი: მორევიდან ამოსულმა ლტოლვილმა ტყეებს ალმაცერად გავხედე. ვისაც სოფელი მიფიცებდა, ვინც ოდაბადემ მშობა და გამაკაცა, გაუტანელმა სენმა დამამხო. შემდეგ დღეს კვირა მიჭყვა და კვირას — თვე, მაგრამ, ბუტუტი, შვილო, სულ ის ხაბო მიტრიალებდა თვალწინ, სულ ის ცეცხლი მწვავდა, ყურებში გამუდმებით სულ ის ბღავილი ჩამესმოდა. ქარიც აფრებს მოაქროლებდა მალისად. მთვარე წყალზე წერწეტა ჩრდილებს ხატავდა. სულში უჩინარი ვულკანი ამოიფრქვეოდა. ზარწართმეულ სამრეკლოს ემსგავსებოდა ზეცა. სადაც შევყოვნდებოდი, სადაც შევღონდებოდი, ყოველთვის ის ხაბო ამესვეტებოდა, ის გოდება-ბღავილი ყურთასმენას მიბასრავდა, სიზმარშიაც ჩამედევნა. ვერაფრით ამოვფესვე, დამიმონა, დამიტყვევა და დროთა მსვლელობაში სამყაროს სრულყოფილება ვიეჭვე. დავსცინე მოაზროვნე ცხო-

ველის მოჩვენებით სიზვიადეს, რამეთუ გაჩენის აქტით ჟამთასვლის კანონებში ჩავერთე.

გველის ღობეშიც რომ გავძვრე, გალაქტიკათა უნაპირო ფენებს ვეღარაფრით გავექცევი-მეთქი, ვასკვნიდი და რადგანაც წუთისოფელს იქით სხვა ხსნაც იგვიანებდა, უსიცოცხლო თვალებით მივაჩერდებოდი წარმოსახული ოდაბადის ალიბჭეთა ნირშეუცვლელ საუბარს ცასთან, იქაური ძაღლების ღავღავს თუ კერიასთან მასალათს. არადა, ჩემს დაუკითხავად მიღელავდა ენგური, ცხოვრება, დრო, მიგრიალებდა თავისი წესითა და კანონზომიერებით, ჩემთვის სრულიად გაურკვეველი მიმართულებით.

მარტო ანალიზის უნარი რად ღირს?!

მაფა: ჩემი სიცოცხლე რითი უნდა სჯობდეს ზეზეურად ჩამომდნარ სანთელს-მეთქი, ვგლოვობდი უარყოფილი პატარძალი, ნანაგე, და მაინც სასწაულს ველოდი. ზებუნებრივ ძალებს ვუხმობდი, რომელიც შეყვარებულს მოურჩენელი ავადმყოფობისაგან დამახსნევინებდა. უკვე დედის შეგონებისაგან საბოლოოდ თავდაღწეულმა ნარძლევმა ნაირ-ნაირი კაბები გავასაჩუქრე. მეუღლის წაბლაზე შევჯექ და ხალხი ზურგს უკან ავალაპარაკე“.

ოდაბადეში უბედურება აქამდეც ტრიალებდა, მაგრამ სიდუხჭირე მალე უფრო თვალშისაცემი შეიქმნა. ყოველ გათენებას და შეღამებას ახალ-ახალი სიავე მოჰყვა. ვის ჯარგვალი დაეწვა, ვის წყალდიდობამ სარჩო-საბადებელი წაართა. მოხშირდა ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, რასაც წესისამებრ ხუმუ ანთარიას ნაბოლარა ბიჭის თახსირ დაბრუნებას აბრალებდნენ და მართლაც, გუშინწინ, გუშინ ბაღნარი ოდაბადე, სადაც ერთდროულად ყვავილობდა, მწიფდა და ჭკნებოდა მცენარე, დღითი დღე გავერანდა, გადაშენდა.

მაფა ჰალიძონიას ვეღარაფრით გაერკვია, თუ „ჯეგეს რა უფლებით ადანაშაულებენ ოდაბადელები ძორგო მესხიას ფათერაკში? ბორანთან შეკრებილ ხალხში ენაგადმოგდებულ ძაღლს რაღა მაინცდამაინც იმ ცოდიშვილმა წაჰკრა ფეხი? რისთვის სწყვლიან, ლუკმას რისთვის აყვედრიან? ნეტავი რომელ ჭკუათმყოფელს ესაქმება ხუმუს ფულს მეცნიერებას შეალევდა თუ მეძავებს? სწორედ არამკითხეებს შეუთანხმებდა ჯეელობას რანაირად მოუფრთხილდებოდა, თავს დაისნეულებდა, ძმებსავით კამეჩების ჯოგს უმწყემ-

სავდა თუ კვეკვესავით კერიას გააღვივებდა?“ წუხდა, მწარობდა ოცნებაში მარტოდდარჩენილი.

— ჭიანჭველების შესასწავლად რაღა გერმანიაში და ფრანციაში მიდიოდა, ცოტაა ოდაბადეში?! — ამასაც იტყოდნენ. ის კი არა, მოგვიანებით, როცა ცხოვრება უფრო და უფრო გაჭირდა, როცა ძრომდე დავიდა დერგში წაქი და ხულაში — სიმინდი, მოსახლეობამ ჟინი ანთარის სტუდენტობის დროს შაურის გაწეული ხარჯი მანეთად აქცია და უნამუსოდ ვალის დაბრუნება მოსთხოვა სისხლგამშრალ ძმებს. სხვა მათ ადგილას ან ყამაზე გაიკრავდა ხელს, ან კიდევ საგონებელში ჩავარდებოდა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. სახრეების ზუზუნით ზუგდიდში გაირეკეს ზოზინა კამეჩები და თითოეულს ორმაგად მიაშავეს კუთვნილი თანხა. ასე და ამგვარად, ხერხემალში გადამსხვრეული ანთარიები ყოველნაირად ცდილობდნენ ძმის დანაშაულის გამოსყიდვას, უცოლოდ ბერდებოდნენ, მომეტებული გულკეთილობით სირცხვილის ჩამობანას ლამობდნენ, თუმცა როგორც ამისთანა შემთხვევაში ხდება, ნაბოლარას ერთხელ გატეხილ სახელს სოფელი არაფრით უმრთელებდა.

მოხუცი მამის სიკვდილიც გზასაცდენილ მემკვიდრეს დასწამეს.

,,ჟინის ქარაფშუტობა რომ არა, საწყალი ხუმუ ახლაც ცოცხალი იქნებოდაო, — კი, მაფას ზურგს უკან, ანთარიების უჩუმრად ამბობდნენ ამგვარად, მაგრამ ღირსებაშერყეულ საგვარეულოს უწყინარი გადაჩურჩულებაც კი ათას ეჭვს აღუძრავდა და ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რაღაცნაირად გაამართლებდით კვეკვეს ოზურგეთელ ცოლს, რომელიც ,,ოღონდ აქაურობას მომაშორე და სიკვდილამდე შენი მონა-მორჩილი ვიქნებიო“, ეჩიჩინებოდა ქმარს გამუდმებით.

მხოლოდ ჰალიძონიხეს სწამდა, რომ უცხოეთის ცხოვრებით ჭკუაარეული კაცი იმკურნალებდა, გამოჯანსაღდებოდა და უანგარო საქმეებით წახდენილ სახელს რამენაირად აღიდგენდა.

ვერაფრით გაეგო მაფას, თუ ,,მამიდა ცურცს მაინც რა დაუშავა ჯეგემ? ოჯახკურთხეული ბიკი ჭანიას ის ხომ არ შესჩენია, გინდა თუ არა ოცფუთიანი ლოდი ასწიეო?! ამოიჩემა ცხონებულმა, ქარი გაუტარა და ხერხემალიც გადაილეწა“. საოცარი ის იყო, რომ ადრე მოკინკლავე რძალ-დედამთილმა პირი შეკრა და ანთარიებს წყევლა კრულვა ერთობლივად შეუთვალა.

— ეს რა უბედურება ჩამოჰყვა წარწყმედილს?! — ზეზეურად გლოვობდნენ იმედგადაწურულ გოლიათს. მაფასღა ებრალებოდა სოფლის საჯიჯგნად ქცეული რაინდი ძმები.

აუია აბშილახეს მოლოგინებამ და აღსასრულმა „ორშაბათს დაწყევლილი ნარძლევი“ ძირძირამდე დაარწმუნა, თუ რა მოსაზრებით გასცლოდა სათაყვანებელი ადამიანი და ამ აღმოჩენამ ისედაც „სულზე უტკბესი ჯეგე“ ახლა მთლად ღვთაებრივი შუქითაც შემოსა.

— შერცხვენა არჩია ჩემს სიკვდილს, — გმინავდა ხანდახან.

ნათესავებთან წაკიდებულ ქალიშვილს განსაკუთრებით ის უწეწავდა ძარღვებს, რომ ყოველმა ფლიდმა და ნაძირალამ მის სულისდგმას დაუწყო განქიქება. ესეც არაფერი, ხალხმა საკუთარი უზნეობა-სიფლიდე დაივიწყა და სენით დაძიძგნილის კაცობა ფეხქვეშ გაიგდო. ყოველი ფათერაკი, მარცხი თუ წარუმატებლობა სულ წყევლამიდევნებულს დაუკავშირეს. მწარობდა მაფა, მაგრამ ნათქვამია: ძალა აღმართს ხნავსო, და ოდაბადელების შემპარავ ქირქილს თავისი გაჰქონდა.

ჟინი ანთარს აბრალებდნენ ნირგა ქობალიას გაუჩინარებადაკარგვას, მისი უფროსი ძმის მიერ ძაღლის ხორცით გამართულ პურმარილს, ასაკმოყრილი მამისა და ბიკი ჭანიას სიკვდილს. ერთი სიტყვით, დღემდე მოხდენილს თუ აწმოსალოდნელს. სულ რაღაც ათიოდე თვის წინ მხრებში ამაყად გაშლილი ანთარიები ლანდებს დაემსგავსნენ. იხტიბარს შერცხვენილი პატარძალი არ იტეხდა მხოლოდ. მისთვის ჯეგე ჯეგედვე დარჩა, ისეთივე სპეტაკი, როგორც ყმაწვილობიდან ახსოვდა — მაფას გულისთვის ენგურის დინების შემჩერებელი და ვარსკვლავების ციდან ჩამომწყვეტელი.

სახელი და პატივისცემა ჰალიძონიებს აქამდეც არ კლებიათ, მაგრამ საზოგადოებისაგან ბოლოდროინდელმა, მოჭარბებულმა თაყვანისცემამ მაფას მშობლებიც შეაძულა, ღვიძლი ძმებიცა და სოფელიც.

„განა ანთარიები ჩვენზე ნაკლები მუხლჩაუხრელობით წრუპავენ საწუთროს ტკბილ-მწარეს? — განა ნაკლები თავდადებით უმკლავდებიან ყოველდღიურ საზრუნავს და გასაჭირს?!“ ექომაგებოდა ათვალწუნებულებს ფიქრებში.

ლამაზ ფერებში დახატული ბადუ ჰალიძონიასეული ქვეყნის მერმისი ოდაბადელებს დიახაც ხიბლავდათ, მაგრამ უიღბლობაზეც და-

იჩივლებდნენ უსათუოდ.

— ჩვენ ვინ გვქნა ისეთი ყისმათისანი, — ამოიხვნეშებდნენ, — აგერ, მზე და მთვარე რომ ამოგვდიოდა, ლუკმას რომ ვუყოფდით, იმან გაგვწირა და სხვა რომელი ჩაგვიხუტებს სულში?! —ამოიოხრებდნენ და სიმწრისაგან ბაგეჩაკვნეტილ ქადაგს მერე პოლიტიკაზე საუბრის გაგრძელება უჭირდა.

ოდაბადესა და სატანჯოს შორის სიძულვილი ენგურივით მიგრიალებდა ძველებურად. არადა, ქალური სიამაყე ერთის მხრივ, ადათწესი ცალკერძ, ბოჭავდა მაფა ჰალიძონიას, ჭორომებში გამოდევნებოდა ადამიანს, რომელსაც მხარში ამოდგომა განსაკუთრებულით ახლა ესაჭიროებოდა. ოჯახს ოციოდე ვერსით მოშორებული, დახმარების მოლოდინში ზეზეურად ილეოდა.

სატანჯოსაც კუნძული ეთმოდა ოდაბადესავით, ოღონდ განსხვავებით კაცის სიმაღლის ლელიანი და დაუსრულებელი ჭაობი ერტყა გარშემო.

აქაურობას აღმოსავლეთით უხსოვარი დროიდან შლამავდა მდინარე ჭურია, რომელსაც თვალუწვდენად აფართოებდა მუნჩიის, ოხოჯეს, ოხოხულეს, ოთახუეს, ქვიშილის შენაკადები.

დასავლეთით ბუკისა და ონწყვეშიას ლამები ბუყბუყებდა: ათფუთიანი ღლავები შლამში გაეხვეოდნენ და როგორც ლადი ჭენია ირწმუნებოდა, ზოგი მათგანი კამეჩსაც კი ძირავდა.

— ნალიანი ჩლიქების ელვარება გამოაფხიზლებს ლოქოს, ჭაობს აატორტმანებს, ვეება პირით ფეხზე ჩამოეკიდება და თანდათან, მომთენთავი ჩაყურყმელავებით ფსკერზე ჩაითრევს. მერე დახაშმული წყლით გატიკნული კამეჩი დატივტივებს, აღმა-დაღმა უპატრონო ბადიასავით, დალეშდება, ყვავ-ყორნებს შემოისევს. აი, არშინულვაშიანი მტაცებელიც მაშინ იმარჯვებს. მძორს ნთქავს, ნთქავს და საბუდარს დაძეძგილი მიუბრუნდებაო, — უთქვამს მეჩონგურეს.

სამხრეთით უჩაღალისა და ფართოღალის, შქაღალისა და დიდღალის შეერთებული დინება უვლიდა სატანჯოს. ჩრდილოეთით კი ენგურის გუგუნში ინთქმებოდა ჯუმი, კახათწყარი და ჩხოუშია. ასე და ამგვარად, სხვადასხვა ხასიათისა და სიდიდის ღელე-მდინარეები ბადესავით ქსელავდა ჭაობიან ზღვისპირეთს, საგულდაგულოდ მიჯნავდა სოფლებისაგან.

ფეხდაუკარებელ ჩირეებსა და ჩალმებში* კიდევ მოიძებნებოდა

ათიოდე კუნძული: იზორმეხე და თორსა, დიდგვიმარონი და ტუბუ-ხი, მუხურჯინჯი და წკვერემია, ჭყონკაკუტი და ტიოზია, მაგრამ ლტოლვილმა სატანჯოზე დასახლება ამჯობინა, ვინაიდან მხოლოდ აქ ხარობდა ჭაობის მუხა და გაღუნული აკაცია; აქ ოდინდელი სამარ-ხები — დიხაგუძუბები,* ბორცვებად აღმართულიყვნენ. ამასთან ერ-თად, ოდაბადეს ემეზობლებოდა იგი და რაც მთავარია, დაწყევლილ კუნძულზე არც მტერი შეაწუხებდა და აღარც — მოყვარე.

ჟინი ანთარი სადგომიდან გამობობღდებოდა თუ არა, კეთროვ-ნებიც მაშინვე მუხლებში ჩამალავდნენ სახეებს, საკუთარი სიმახინ-ჯე-სიბეჩავესი რცხვენოდათ, მაგრამ მერე და მერე მოშინაურდნენ.

შემოდგომის ზამთარი ცვლიდა, ზამთარს — გაზაფხული და რაც მეტი დრო გადიოდა, ჭაბუკს უფრო და უფრო ენიშნა ლადი ჭანიას მიერ ჯერ კიდევ როდის ყალიონის პლაკუნით გაცხადებული:

— სატანჯოს მიწაზე ვინც ფეხს დაადგამს, სულერთია, გლოვის ჟამი დაუდგება ადრე თუ გვიან. კეთრი დაძიძგნის ყმაწვილს თუ ბე-ბერს, ზღვა ფიქრი თავის ქალას აუკვარჩხალებს, სამაგიეროდ მშობ-ლიური ქვეყნის ალერსს ვერასდროს ეღირსება მისი ბინადარი. ეგეც არის, წუთისოფლის არსში ჩაახედებს განმარტოება, ყოველივე ბრძნულს ეზიარება ეული, ცოდნით გაბრწყინდება, მაგრამ საუნჯე რად გინდა, თუ ვერავის გაუზიარებ, თავის თავშივე ჩაიღვინთები?!

სამკურნალო მცენარეების სიკეთე ჟინი ანთარს აქამდეც ზედმი-წევნით შეესწავლა, ახლა კი, მთლად მათი შემოწმების საშუალებაც მიეცა — ავზნიანს და კრუნჩხვებიანს კონიოს ნაყენი შეასვა; ციებ-ცხელებით შეპყრობილს ასისთავას ხსნარი უწილადა. იპუტებოდა შემოგარენში რძიანა და მატიტელა, ლემა და კულმუხო, ოშოშა და მრავალძარღვა, მოლოქა და ჭინჭარი, რომლებიც კურნავდნენ სიყ-ვითლეს, წყალმანკს, ბრონქიალურ ასთმას, ვენერიულ სნეულებებს და დავრდომილებიც „ჟინი ანთარის უკვდავების წამალს“ ხარბად ეწაფებოდნენ. მეცნიერიც თავის მხრივ „საცდელ ობიექტს“ დღითი დღე დოზას უძლიერებდა. იცოდა, რომ ასეთი დანაშაულისათვის არავინ დასჯიდა. ცხადია, ავადმყოფებიც ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ.

„როგორც ჩანს, მიზანი ამართლებს საშუალებას. ესეც თავის შეცოდებით, სიბრალულის გრძნობის აღძვრით ცდილობს ახლა ჩე-მი გულის მონადირებას. ამ შემთხვევაშიც პირველი საშუალებაა და მეორე — მიზანი, თუმცა შედარებით მდარე ხასიათისა.

ჟინი: არაფერი ვაწყენინოთ, თორემ გაგვექცევაო, ში-

შობდნენ და ამდენად, წაუყვედრებლად ითმენდნენ ათასგვარ დამამცირებელ ცდას, უბიწო ჩასახვა იყო ეს, იმ ნაყოფის ხელაღებით გაწირვა თუ სხვა.

ოღონდ ნუ მიგვატოვებ და რაც შენ გინდოდეს, ის გვიქენით, მეღრიჯებოდნენ. იქნებ ჩვენზე დაკვირვებით რამე შენთვის სასარგებლო გამოჩხრიკოო, მეჩიჩინებოდნენ გონებაამღვრეულ მკურნალს და ჟინი ანთარის მოსარჩენი წამლის ძიებამ, ვინ იცის, რამდენი კეთროვანი გაუყენა გრძელი ქვეყნის გზას! ლტოლვილი კაცი გვამებს ვფატრავდი, ბუტუტი, სიკვდილის მიზეზებს ვარკვევდი. უცხოეთში შეძენილ თეორიულ ცოდნასაც თანდათან პრაქტიკული საქმიანობით ვიმდიდრებდი. ბიოლოგიურ მასალასაც ნელ-ნელა შევეთვისე და უკვე საითკენაც წავიდოდი, მხსნელივით ავიდევნებდი კეთროვნებს.

ჩვენში ჰპოვებ შვებას და მარადისობასო, მეტყოდნენ მზერაგაშტერებულს და საკმარისი იყო რომელიმე ჯანმილეული მკლავზე წამტანებოდა, რომ დამფრთხალი დასტაქარიც მაშინვე შეშლილივით გავშლიგინდებოდი ჯაგებში. მერე იქ, სადაც ტყეების სარდალი მუხა იდგა, როდის-როდის წავიქცეოდი. დუჟმორეულს და თვალებამოტრიალებულს მომეჩვენებოდა, თითქოს შიშველ ტანზე უნასების ლაშქარი გადამსდიოდა; თითქოს მოფუთფუთე ჭიანჭველების სარეცელზე ვიწექი. ყინვით გათოკილი წყაროებივით ამიტომაც მებოჭეოდა სული. ეკალ-ბარდში ბოდიალით დაღლეტილს კეთროვნები ზეამსწევდნენ და აკლდამებისკენ შემაბრუნებდნენ.

ბნელს და შიშისმგვრელს განარიდე, ღორონთი სქან ოროში გოლვაფროო,* ივედრებოდნენ ჩემთვის ცისკენ ხელაპყრობილი უძლურები. შემდეგ ჟამს ჟამი შეეწონებოდა. გაიფანტებოდა სხეულის მომკრუნჩხავი სიზმრები. მოთელილი გვიმრის სარეცელზე მეღვიძებოდა. შრიალა ლელიანების მოალერსე მთვარეს და მოჩუხჩუხე უმწიკვლო ნაკადულს მივაჩერდებოდი.

ჰომეროსის ბადალი პოეტი იქნებოდა.

კვირას თვე მისდევდა, თვეს — წელიწადი და რაც მეტი დრო და ხანი გადიოდა, სატანჯოს აკლდამები ნაკლებად მაკრთობდა ანაქორეტს.* დღითი დღე ვეგუებოდი კეთროვნებს, მარტოობას, სენს, სიკვდილის საშიშროებასაც. აქა-იქ

ლეყებისფერი ნავით გავსრიალდი. სიყრმისეული სურათები ამოვიტივტივე ოცნებაში. უკიდეგანო სივრცეს მივესიყვარულე. ვეფერებოდი სიყვითლეშეპარულ ფოთლებს, ნიავში ჩაწნულ კვამლის გრაგნილებს. ვიხუტებდი საკინძეგაღეღილ ტრამალებს და ხატის წინ აქვითინებული ჰალიძონხეს მოლანდებას. ეს უნაზესი ხილვები გონებაში წარუშლელად ჩამრჩა. იგი მაყვარბდა ნაკადულის მძივადსხმულ კენჭებს, ქარით გადახრილ აკაციებს და მონატსრის მოჟღურტულე ქონგურებს. სატანჯოში განმარტოება უწინარესად სკუთარ თავს შემამეცნებდა, ბუტუტი. ეს განდგომა სამყაროს აგებულებაშიაც მარკვევდა და დროის მდინარებაში გახირული ადამიანის რაობაშიც.

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, ერთხელ ლელიანში, სასიარულო ბილიკების დადგენისას, დევნილ ჯარისკაცებს რომ არ გადავყროდი. ჭაობს შერკინებულები აღჭურვილობას იმსუბუქებდნენ. მცირეკალიბრიანი ქვემეხები რა მოსატანია, როცა შაშხანებსაც კი ელოდნენ. არც ცხენების ძუა-ფაფარზე ჩაბღაუჭებას თაკილობდნენ, ოღონდ ონწყევშიას ულმობელი ჭორმისაგან თავი რამენაირად დაეღწიათ.

ვხედავდი აღრეულ მუნდირს და აღნაგობას, რომელიც წუმპეში თრევას ერთფეროვნად — ტალახისფრად ექცია. მესმოდა ერთმანეთში ათქვეფილი მშობლიურ-უცხოური და, ცხადია, თვალი დავუხუჭე, წავუყრუე მათ სამხედრო ზრახვებს. არაფრად ჩავაგდე მთავარ ძალებს მოწყვეტილი ასეულის ლტოლვის მიმართულება, მიზანი, ისიც — საქართველოსათვის ნანატრი თავისუფლება ეწადათ თუ ევროპული ოქროს ხუნდებით დაბეჩავება. მოკლედ, როგორც გლახაკს მიაწოდებენ ხოლმე წყალსა და ხმიადს, იმგვარად შევეხმიანე ლელქაშიდან ამომტკავლებულებს. თავთავიანთ ენაზე გავესაუბრე თითოეულს. ბური და კერიის სითბო ვუწილადე სათითაოდ. დახმარება აღმოვუჩინე დაჭრილებს... შებინდდა თუ არა, დაწალიკებული მხედრობა ჭორომებში ავიდევნე. თავს შარში ვიხვევდი, მაგრამ ძეხორციელს გასაჭირში ვერ ვტოვებდი.

მოსახლეობას ხომ არაფერი დაუშავდება-მეთქი, შევჭ-

კადრე უფროსობას, როცა მოტაცებული ბორანი ნაპირს მოვაყენე.

გეკადრებათ! ჩვენ ბოლშევიკებს ვებრძვით, თორემ ხალხთან რა ხელი გვაქვსოო, დამამშვიდეს მათ, მაგრამ მალე კუნძულზე ჩოჩოქოლი შეიქმნა.

ჟინი ანთარმა მოიტაცა ბორანი, ჟინი ანთარმაო, მთელი ხმით გაჰკიოდა მუჭისსისხო ჯიხურის გარშემო მოკვანჭალე ჭოფია და მშველელს უხმობდა. ბურანიდან გამორკვეული სოფელი დაფრთხა, მხოლოდ ძმები ანთარიები არ დაბნეულან.

მოვკვდეთ და ძვლის გამტეხველის წამოყვანილ მტერს დედა ვუტიროთო, ამ სიტყვებით იბაგუნეს და იბაგუნეს მუშტები მკერდში, ოდაბადელებმა კი მხარში ამოდგომის ნაცვლად, თავიანთი სასახელო ძმის წახდენილი საქმე თვითონ გამოასწორონო, ბრძანეს; ურდულები გაუყარეს მძიმე კარებს და ლაჩრული ბუნების დასაფარავად ზურგი შეაქციეს იარაღასხმულებს.

ენგურის გამეხებული დინება ნაფოტივით მიათამაშებდა ცხენებითა და ჯარისკაცებით გავსებულ ბორანს. ხოფს ჩაფრენილს ავის*ძო*მასწავლებლად მეჩვენებოდა ჩაწკვარამებული კუნძულის სამარისებული სიჩუმე. ორცეცხლშუა ჩავარდნილს სული მიკანკალებდა და როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მალე ხაბოებიდან ატყდა თოფების ბათქაბუთქი.

ქრისტიანები არ ხართ, რას გვერჩით, სამტროდ კი არ მოვსულვართო, მიაკივლეს ჩასაფრებულებს ბორნიდან, მაგრამ, სავალალოდ, როცა ტყვიების ზუზუნი მოხშირდა, გამცემსა და მოღალატე მეგზურს მომაზილეს წიხლები, მიცხუნეს მათრახები და ცოტა ხანში იქაურობა მელიის ცეცხლშენთებულ სოროს დაემსგავსა.

ვქვითინებდი მკლავგადამსხვრეული. ამოიგმინებდა ლაფშას ამოფარებული თუ ბორნის ნავებში ჩამძვრალი მხედარი. კვნესა, ჭიხვინი, ტყვიების წუილი და ომახიანი ცჰ-ჰ-ჰ, ესეც შენ ძაღლის გაგდებულო, ერთმანეთში აირია. გაღმა ნაპირიდან კიოდნენ ქალები. აქეთ დაჭრილები და საღსალამათნი ცხენებიანად ცვივოდნენ მდინარეში. ჩქარა მომხდურის კუდაპრეხილი მერნები ფრუტუნ-ჭიხვინით კუნძულს აშკარად

მიეძალნენ. მთვარემ კუპრისფერი ღრუბლები ჩამოიშორა, ცისკიდურზე გადაგორდა და ბორნის მომტაცებელმაც ცხადლივ შეენიშნე ზედ ჭყონდიდის ძირას გამართული ორომტრიალი. ენგურში გადახტომისა და გაქცევით თავის შველის მაგივრად, დიახ! ჩვენ, ანთარიები გესროდით, ძაღლისგაგდებულებოო, უყიოდნენ იერიშზე გადასულებს, თან ტყვიაგამოლეული თოფის კონდახებს დაუზოგავად უხათქუნებდნენ.

ანთარიები ვართ ჩვენო, მომწვდა როდის-როდის გულშემოყრილს და წარწყმედილმა ძმამ თვალნათლივ დავინახე გვერდი-გვერდ მობარბაცე კვეკვე, ჯღვამა, ქვაფუ, ბათაყვა, ბაბუში და ჩოქოლი, გვემულები, მაგრამ თავაწეულები.

ანთარიები ვართ ჩვენოო, გაიძახოდნენ ისინი, აქვე დამტყვევებლებს მკვდართა სულებს უხსენებდნენ წარამარა და ბრძანებას დამორჩილებულმა ზათქმა წამით ენგურის არსებობა შემახსენა ჩონჩორიკითა და შარდით გაბინძურებულ ბორნის იატაკზე მოსროლილს. მერე მდინარის გამოღმიდან მოზღვავებულმა ურააამ და შაშხანებიდან გამომტყვრალმა ტყვიებმა თავისუფალი საქართველოს გულდამწვარ ჭირისუფლებს ტაიჭისთვის დეზი აკვრევინა.

უბედურების მერომელე დღეს ლერწმოვანებიდან ვუთვალთვალე ძმების დამარხვას. გასუდრულ ვაჟიშვილებს სისხლ-ხორცისაგან გაწირულ არამხუტუებს* უწოდებდა თმაგაშლილი გიმი მესხია. ძმებზე უსაყვარლეს ქორ-შავარდნებს არქმევდა ოქროსფერი დალალების მწეწავი მაფა. ზარით ეთხოვებოდნენ თავდადებულებს. სასაფლაოსაგან მოშორებით, გმირთა საკადრისად მარხავდა გულფოლადებს გაღლეტილთა ხელისუფლება, სოფელი. ამ გადაწყვეტილებით ძირძირამდე ჩავხვდი, ბუტუტი, ხალხის საწადელს. აკი, მოსახლეობამ მოგვიანებით მარმარილოს მომცრო სვეტი აღუმართა თითოეულს, რომლებზედაც ჯეგეს სახელიც ექვსჯერ ამოიტვიფრა, ოღონდ — როგორც ძმათა მკვლელისა.

ცას შევსთხოვდი შველას, რადგანაც არა თუ სოფელმა, თვით მშობელმა დედამაც კი სამუდამოდ უარმყო. ცხადში ყვავ-ყორნები დამყრანტალებდნენ თავზე. ძილში ძმების სისხლიანი ხელები მპოტნიდა. ენითუთქმელი ქარტეხილები და

ბორანივით დაძრული აკლდამები სულს მიხუთავდა. მერე მკვდრების ზედახორიდან ხან ყელგამოღადრულ ბაბუშს გამოვათრევდი, ხან — თვალებდათხრილ ჯღვიმას. ჭრილობების შეხვევას ვერ ავუდიოდი. რანაირი სისქის სახვევსაც დავაფენდი იარას, სისხლი მაინც გამორუვდებოდა. აქეთ ბუჩქი შექანავდებოდა და სამარხებიდან ძილგამკრთალი კეთროვნები აიმართებოდნენ, რომლებიც გაწყდომამდე მილეულ, გადაფატრულ მაჯებს მიწვდიდნენ და მეორდებოდა, თავიდან იწყებოდა ბნელ ძალებთან ძიძგილი. გულყრებით გაწამებულს იმ დღეებში სატანჯოს შემოკედლებული ხახანტი მაკრონია მომასულიერებდა. სიკვდილის მოლოდინში ქვის მერხზე დამხობილი სნეულების დრტვინვა ისევ შემახურვებდა. ვგრძნობდი სამშობლოს ვერასდროს მოვუბრუნდებოდი. ისედაც ავადმყოფობით გათანგული კეთროვნებმა სამისდემშიოდ მიმისაკუთრეს. ერთხანს ამრეზით მივაჩერდებოდი ცდისპირთა ღრიანცელს, მაგრამ როდესაც მოთმინების ფიალა ამევსებოდა, ღრიალით გამოვეკიდებოდი მათ და საკმარისი იყო რომელიმეს წავტანებოდი, რომ ძონძებთან ერთად ხრწნამორეული ხორცი შემრჩენოდა ხელთ.

სენს ვერ გაექცევით, ვერა! ბედისწერას ვერსად წაუხვალთ, ვერსად-მეთქი, ვღმუოდი ნადირივით. მერე გადიოდა ხენეში ღამე. არემარეს იაიების ცრემლი თრთვილავდა. სახრჩობელიდან ჩამოხსნილივით ვესვენე ნეშოზე. ხეთა ფოთლებში ალიონი კისკისებდა, მოლს სიო ვარცხნიდა და კოშმარული ზმანებებიც ნელინელ ქრებოდნენ.

ჩვენი ჭერი დაგიფარავს დევნილსო, შთამაგონებდნენ ხეიბრები; ოდაბადელებს მოუფრთხილდი, დაგნაცრავენ, მოგსპობენ ისინი. სიმხადლისათვის მოგვიძულეს ჩვენ! ღალატისათვის დაგვწყევლეს ჩვენ! გადასხვაფერების გზებიც მოშლილია. რომ გარბოდი, ნეტავი საითო. იქნებ ძმებთან, მაგრამ მიწადქცეულებს ხელმეორედ შთაებერება სული განაო. მაინცდამაინც თუ შენსას არ იშლი, ჯამებით საწამლავი ჩამოგვირიგე და მიწყდება მაჯისცემა ბარემო, მემუდარებოდნენ. მათი მოჭმული ტუჩები საუბრისას ბგერებს ყლაპავდა და თუკი კვლავინდებურად მავედრებელი მზერით, შეგვიყვარეო, შეგვიბრალეო, გვიხსენიო, შემეხვეწებოდნენ, დავიგმინებდი ერთს და ისეთნაირად წამოვენთებოდი, თით-

ქოს ხმელ ფიჩხზე ცეცხლის ალი ავარდაო.

არასოდეს-მეთქი, მივაკივლებდი მეურვეებს, ოდაბადეში ჯვარცმა მირჩევნია სატანჯოს სამარხებში უმაქნისოდ გდებას-მეთქი, მივაკივლებდი და ელდანაცემნიც იმწამსვე მოიმშვილდებოდნენ. ხვლეპუსა თავებზე მუშტებს წაიშენდნენ. ზოგი ამასაც არ კმარობდა და ვიწრო შუბლს ქვითკირის ლორწოიან კედელს გაუქანებდა. გულაღმა გაშოტილი შენი მოძღვრის თვალწინ კი, ბუტუტი, მდორედ მიცურავდნენ მარადიულ ველს ზემორე ხელიხელგადახვეული ძმების აჩრდილები. იმ ჩვენებას შევჰქვითინებდი ცოდვილი. რამდენჯერ მინატრია სამარის ვიწრო ჭრილში მათთან ერთად ჩახაფრვა, საფლავით გარანდულების გვერდით საუკუნო განსვენება, მაგრამ მარტოობით დამზრალ გონებას ვერაფერს ვუხერხებდი. მხოლოდ მთვარე მენუგეშებოდა. ყვითელ ფესვებს მიალერსებდა, უსასრულობასთან მაკავშირებდა და როცა საღამოვდებოდა, უცნაური ცახცახი შემიპყრობდა ხოლმე, რადგანაც თვალნათლივ ვამჩნევდი, თუ როგორი თანამიმდევრობით მაქარწყლებდა საწუთრო.

რა არის დროისათვის, სამყაროსათვის, გნებავთ წუთისოფლისათვის, ეს წრიალი? ვკითხულობდი ჩემთვის და არაფერი-მეთქი, ვპასუხობდი თვითონვე. ახლა დანამდვილებით ვხედავდი, ბუტუტი, თუ რა ტყუილუბრალოდ შემოვიმწყრალე სოფელი, რა ბობოქარი წყევლა-კრულვა დავიდევნე უმიზეზოდ.

მაინც ვერასდროს მივწვდებოდი ფერზე უმჩატეს ქაოსს-მეთქი, ვასკვნიდი ბოროტ გარსებთან შერკინებული, თუმცა სატანჯოს კანონებს დაქვემდებარებულს, შიგდაშიგ ჯადოქრული კარიც მეხსნებოდა. ან როცა ღამე ყორნისფერდებოდა, და მთვარის სპირალები ათას მოჩვენებას თხაზავდნენ, მშფოთვარე სიზმრები უკვდავების წყაროებს აღმომიცენდნენ ხოლმე დასიცხულ ბაგეთათვის. მართალია, ქურდულად, მაგრამ მაინც მშობლიური ოდაბადისკენ ვიმზირებოდი. ერთხელ ისე გავთამამდი, რომ უკაცრიელ შუკებში კიდეც შევბედე. ბომბორა ავაწკმუტუნე. აივნის იატაკი ავაჭრიალე. ხელუხლებელი ბარგი და ხელსაწყოები მოვიპარე. თვალცრემლიანი მოვსცილდი სამზადის კერიასთან მხრებში ჩამძვრალ დე-

დას, ძირში მოსხეპილ ალვის ხეს, რომელიც ჩემი დაბადების დღეს დარგო მამამ, მაგრამ ყველასაგან მივიწყებული რა ხანია უმოწყალოდ ლპებოდა ჟანგისფერ ღელეში.

ვერ ამომძირკვავთ, ვერა-მეთქი, ვფიქრობდი ცერათითს კბილებით ჩაფრენილი. იქიდან მოყოლებული გაქარულ ტყეებს ციებაშეყრილივით შევკანკალებდი. ზოგჯერ მუხლებზე დაცემული, სულში სოლივით შემოსობილ სამარ ველს ვებრძოდი, რომელიც უჩინარ ხელებს შემომიჭერდა და მოჩხრიალე ჩონჩხებს წამომირწევდა ცხვირწინ. ვშიშნეულობდი აქაიქ, როცა ლიწინ-ლიწინს დაიწყებდა უღრანი; როცა უჟმური მიკიოტის ხმას აყოლილი ქარი შვავს წამომართავდა, რაღაც მკაცრი ხეთქებით, გაცრეცილ სახეთა ფორიაქით აკლდამებს მიმამწყვდევდა. ცარგვალს გამოებმეოდა ჩემს მზერაში ძმათა შებურუსებული სასაფლაონი. ირეალური და ცხადი, სატანჯოს პარტახი სამარხები, მყისვე სიყრმისეულ სანახებად ლღვებოდნენ. წყალში ნავს შევაცურებდი ქოჩორა თხლმეების მოღრეცილ კოჭებთან. ალიონს ვიმეგზურებდი. ამ დროს ზღვაც ვნებული ადამიანის მსგავსად ნაპირებს ამაოდ ედავებოდა. მალე ალმასა მთების წიბოს განთიადის შუქი გადაეღვრებოდა. გრილი ქვიშნარებიდან ამოზრდილ ჰალიძონიახეს ხატს შორიდან ვეფერებოდი, ბოლოს ქვითინით ჩავეხუტებოდი სილას. ასე და ამგვარად, ერთი კენწეროსთვის მოფუსფუსე ფესვებივით კვლავ ხალხთა კეთილდღეობას ვეპოტინებოდი, მაგრამ ანთარიების ტუჩებმოკუმული აჩრდილები წამოიმართებოდნენ და ბურუსთა კედელიც მაფას თვალების ამარა დაშთებოდა ისევ.

დიდებულია ერთი კენწეროსთვის მოფუსფუსე ფესვები. მგონი აკაციის ტევრისკენ მიემართება, დედის და ჯიმაგეს საფლავებისაკენ. ჭირისუფალს ნუ იკითხავ!

საკუთარ მეობასთან დამწყვდეული თანდათან თვითგვემას მივეჩვიე, მოვეშვი, იღბალს მივნებდი.

ადამიანთა მთელი მოდგმა, ოდბადელებიც, მეც, ხომ მტვერი ვიყავით უკლებლივ ოდესღაც და არაფერია, ადრე თუ გვიან, კვლავ მტვრადვე თუ გადავიქცევით-მეთქი, ვინუგეშებდი თავს. განახლება, აღდგომა და მისთანანი, კაცობრიობის აუხდენელ სურვილად, წარმოსახვის უნიათო ნაყოფად

გამოვაცხადე. ადრინდელივით დავრდომილთა მკურნალობას მივყავი ხელი. თითქოს ალისფერი მათრახები ზუზუნებენო, გაუცნობიერებელ ხმაურს მოვიხვეჭდი ხანდახან, მაგრამ იმ ორომტრიალში შევაბიჯებდი თუ არა, ძმების აჩრდილებიც მაშინვე ტაატით წაასვენებდნენ ძლეულ სხეულებს. იშვიათად სინიბებით გადათქერილი ბილიკებიც მეძახდნენ. უმეტესად კი აკლდამის ყურეს მიყრდნობილს უსასრულო გალაქტიკიდან ეკლის მოხასხასე გვირგვინები მეციმცინებოდნენ.

იმყოფინე გლოვაო, მეტყოდნენ კეთროვნები, მოიშორე ერთხელ და სამუდამოდ წყეული სამქვეყნო ტვირთია თუ საზრუნავიო; რაკი შენი თავი ზეცისთვის მიგიძღვნია, რაკი ჟინი ანთარად ეკურთხე, აწი მაინც რა გაყოყმანებს, კურდღელივით რატომ თრთიო. სადაც არის დასრულდება შენი ხორცის წამება და უზომო მწუხარებას დაეხსნები, ბედშავოო, მეუბნეოდნენ და ძმათამკვლელიც თითქოს ეს-ეს არის სხეულიდან ამოვფათქუნდებიო, ასაფრენად ვემზადებოდი ფრთოსან ჭიანჭველასავით. სისხლიან ტანთსაბურავს გადავუგდებდი ქარებს და უმალვე შორეული სანახებიდან ბურუსიც აიკრიფებოდა — ლესავდნენ თოხებს, ბარებს, ცულებს და ბირდაბირებს. პირავდნენ სახნისს. შექუჩებულ სიმინდის ღეროებს წვავდნენ ნაყარში. მერე გამართავდნენ გუთნეულს და ფოლადის ფრთა ყვავილნარებში ისე გახროტინდებოდა, ისეთნაირად გაკამკამდებოდა, იფიქრებდით, მინდორს ნაკადული შეპარვია სულშიო. მოკლედ, ბუტუტი, შვილო, როგორც კი უკვდავებას წაპოტინებული ჩემი წარმოსახვა ყოველივეს დათმობა, შეელეოდა, როგორც კი ტრფობის უმწიკვლო წამებსაც გავწირავდი, ქარიშხალი მარსის მეწამულ მოსასხამებს მომახვევდა მაშინვე. ვიცოდი ეს წვა თუ რარიგ ფასობდა ჩემთვის, ან დაყურსული ჭაობის მორჩილება რას მიქადდა.

შენ, ეი, ხეტიალის მოყვარულო, გაჩენის დღესთან სიკვდილით მიჯაჭვულო, ვისაც ჩაძაღლების შიში ნაფოტივით გათამაშებს, თქვი, რა გაძრწუნებს, მუქთად ბოძებული სიცოცხლე რად არ გეთმობაო, გაიღებდა ხმას რომელიმე ქანცგაწყვეტილთაგანი.

იგია ხელ-ფეხს რომ გიბორკავს ღვთაებრივს, შენი გაორების სათავეც მასთანაა. უკვდავებისთვის ამაო ხვანცალმა ლამის არის მონად გაქციოს, უბედურო, გამხნევდი და ნათელს დაეწაფებიო, ჩამოართმევდნენ სიტყვას მიხრწნილი ხველებით სხვანი და დაოსებულნიც მერე ფუჭად მებღაუჭებოდნენ. ვერც პრეისტორიულ ობობასავით გალურსული ჭაობი მაოკებდა და მით უფრო — ჩირგვებთან გულსაკლავად მკუთავი შაშვი. ახალ შუქდიადს ველტვოდი. ვარსკვლავებით დატენილ ცარგვალს დამბაჩის ლულასავით შუბლზე მოვიყრდნობდი და სნეულებიც კვლავინდებურად მიწიერი ვნებით გათანგული ხორცის დაურვებას თუ მომსთხოვდნენ, ამსოფლურ სიამეებს ხელად გავეცლებოდი და მერე ვიხვეჭდი უნეტარეს სიმსუბუქეს, ცისარტყელებს და მათმიერ ათინათებს.

ვერბალური* კლოდ მანე*.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ — რაღაც სხვა, მესამე-მეთქი, ვეძებდი უკვდავების თავისებურ გარანტიას, მაგრამ მცდელობა ერთია და პოვნა — მეორე. ისევ ხმელეთის ფერს ვეთაყვანებოდი და თუ აქამდე უსახელო განზომილებებს შევსთხოვდი შველას, უკვე საკუთარ თავში მივაკვლიე საყრდენს.

მართალია, განსაცდელისას ვილაჩრე, ვერც სოფლის მომავალს გამოვადექი და ძმებსაც უნებლიეთ სიცოცხლე მოვუსწრაფე, მაგრამ ის უბედურება რომ არა, მშობლიურ სულში ასე ღრმად, ალბათ, ვერასდროს შემოვიხედავდი-მეთქი, ვფიქრობდი.

ეს წლები ცდისპირთა სახეების რღვევას იქნებ განგების ძალით ვუთვალთვალებდი, რაღაც დიადის აღსრულების მიზნით; იქნებ ყველაფერი წინდაწინვეა ნავარაუდევი-მეთქი, ვასკვნიდი. ერთი სიტყვით, ბუტუტი, დღემდე ყოველივე ცვალებადი და წარმავალი რომ მძულდა, ახლა განვითარების იგივე კანონს ვლოცულობდი. გაღვივებულ თესლსა და გასაშლელ კვირტებს სევდნარევი ღიმილით ვმფარველობდი აქედან გამომდინარე გადაშენების პირას მისულ მგლებსაც და მათგან თავგამოხრულ იობოსაც. სოველ მზერაში მოვიწვევდი კაცობრიობას — ფსკერმონგრეული ხომალდის ფერფლისფერ მგზავრებს. ასე რომ, ნელ-ნელა ძმიების აჩრდილებსაც

ვეტოლებოდი. თითქოს მოშხამული გულ-გვამი გამომცვლოდა, ჯან-ღონით ავივსე. საკუთარ ბუნებაში ჩაკვირვებამ ბევრი რამ შემამეცნა, განსაკუთრებით ის, თუ ძალა რისი წყალობით ხნავს აღმართს, რატომ გაურბის სულმოკლე კაცი მამულის საკვნესელს, ან რა მიზნით შეეკვრება მოძალადეს ქვეყნის ორგული. ყოველი უზნეო და მანკიერი ღალატის უმდაბლეს გრძნობას დავუკავშირე. მოღალატედ განვსაზღვრე ქურდი და მესუფრია, ნაცარქექია და მლიქვნელი, მოჭრილად რომ ვთქვათ, ისინიც — შაშხანებს რომ ბღუჯავდნენ, მაგრამ სამშობლოსთვის ყოყმანებდნენ, შერცხვენის შიშითღა ომობდნენ.

აწ გმირი და გლახა საყოველთაოს მიუსაკუთრებია, უკვდავებაში ცურავენ და რასაკვირველია, ძნელია განსაზღვრო, მოახლოვებული სიკვდილის დაწოლას როგორ გაუმკლავდებოდნენ, ეხალისებოდათ თუ ენანებოდათ მამულისთვის მდუღარე სულთან განშორება-მეთქი. ამას წინათ ბორანთან დატრიალებული უბედურება მათ ნაწილობრივ აღიქვეს მხოლოდ და არავითარ შემთხვევაში — როგორც საზარელი მთლიანობა. იმ ღამით სიკვდილის შიში საგრძნობლად გაუფერულდა მათთვის, ვინაიდან ერთი განსაცდელი ექვს კაცში დანაწილდა მეტნაკლებად და ერთი მეექვსედი სიკვდილი რაღა ბედენაა-მეთქი. მე კი იქ, სადაც სატანჯოს შამბმორეული აკლდამების დაღრღნილი ხერხემლებია, ალბათ, საუკუნეა, რაც განუყოფელ სიკვდილს ვეომები-მეთქი, მოვსჭრიდი, მაგრამ გულფოლადი ძმების აჩრდილებს ყოველთვის მუხლებმოყრილი შევსთხოვდი პატიებას. მეათასედ ვუხსნიდი, დამყაყებულ არეებს რისთვისაც შევეკედლე, რისთვის ვჭამდი ქვიშას, ან ხელუკუღმა მორთმეული ფიალა მკლავებს რანაირად მიგრეხდა. ვუმხელდი, ჩემს სიჭაბუკეს მოსახელთებლად როგორ დასდევდნენ სიკვდილის საბელიანი აკლდამები. ყვავ-ყორნების ყრანტალს და ბალახებში გაელვებული ასპიტის ცელისმაგვარ სივილს როგორ მაჩვევდნენ. ქედუხრელი ძმების ზუგრშექცეული აჩრდილები კი ომახიანი სიმღერით გადაგრუხუნდებოდნენ ცაზე.

ორგულია? ძმაც რომ იყოს, ქორწილის დღეს მიუსწარი,

მიუსწარიაო, ერთსა და იმავე შეგონებას იმდენჯერ იმეორებდნენ ის ხმები, იფიქრებდით, გაფუჭებულ ფირფიტას დაქოქილი გრამაფონის მემბრანა ეცოდვილებაო. ასე რომ, დამნაცრავი საგალობლები სამუდამოდ ჩამეწრიტა სულში და ცრემლის ბუყბუყში თანდათან მოიშთო კიდეც... მოლანდებანი ძველებურად უარმყოფდნენ აკლდამებზე მითითხნილ ნაბოლარას. ჩემს ვედრებას ისეთნაირი გულგრილობით ჩაუვლიდნენ, როგორც ოდესღაც ოდაბადელების მოსალმებას თავად მე, მაშინაც კი, როცა სამარხებში წამებულს სიბნელე მღრღნიდა, კეთროვნები მეტმასნებოდნენ და ოცნებაში ხელებს მიფათურებდნენ. მაშინაც კი, როდესაც კუპრისმაგვარი ფერიდან უხილავი თუ რამე იქითური, მშობლიური ტკბილი ენით გამომესაუბრებოდა, საფლავის ქვას მიყრდნობილს თმას ამიჯაგრავდა. გამოვასწრებდი უჩინმაჩინს, ეკალ-ბარდში გავიხლართებოდი, ნიავქარით ამჩატებულ მუხის ტოტებს ცრემლიანი თვალებით იქიდან მივაჩერდებოდი იმედნეული. ხორციელი თუ რამ მზაკვრობით შემორჩენილი იდგა წკვარამში გარდატეხებული და ჩვენს შორის უსიტყვო თანხმობა ობობას ქსელივით ილამბებოდა. დღითი დღე ვრწმუნდებოდი, ბუტუტი, შვილო, რომ გულზვიად ძმებს ვერასდროს შემოვირიგებდი, მერე ერთგან გავწყერი კიდეც.

ჩემი დაცემის წყალობით გაუკვდავებულებმა როგორ დამიბრიყვონ-მეთქი. განა მათი ამაღლება ჩემი საბედისწერო დამხობიდან არ გამომდინარეობს? ერთის შერცხვენით ექვსი სული პირთამდე მრისხანებით გავსებულა-მეთქი, ვფიქრობდი ძარღვებაშლილი. აგონია მიტოვებული კოცონივით ჩაცხრა. მოლოქასა და ჭინჭრის ყვავილების ნაყენით გაჯანსაღებული უშიშრად დავაბიჯებდი სათბიბებში უკვე. უკვე ყოველი ასო-სახსარი გამრთელდა ჩემში. ბუნების მაჯისცემას ვაყურადებდი. ჩამწარებულ სიყრმის დღეებსაც დაურიდლად ვესალმებოდი.

თქვენი გამიზნული სიძულვილი რომ არა, ვერც მე ავმაღლდებოდი აქამდე-მეთქი, მივძახოდი ძმების ზურგშექცეულ აჩრდილებს; ერთსა და იმავე მწვერვალზე განსხვავებუ-

ლი გზებით ავსულვართ, თქვენ — თავგანწირვით, მამულიშ-ვილობით, მე — მოლიპულ ციცაბოებით, სიდუხჭირით, თვით-გვემით, მაგრამ ახლა ყველანი თანაბარ სივრცეებში ვბინად-რობთ-მეთქი.

მახლობელ იღბალს და განცდებს ჩაღრმავებული კავკა-სიონის მარადთოვლიან მწვერვალებს ვუღიმოდი მაინც. გა-ლაქტიკის ბრძნულ კეფას ვუმოყვრდებოდი, მერე შრიალა ლელიანებს სიზმრეულ ჩვენებასავით გამოვედევნებოდი გა-დაფერდილი ქოხმახისაკენ. იქ, ძელურის ხორკლიან კედელს ორკაპივით აყუდებული, შაშვის ჭახჭახს მივაყურადებდი, თუმ-ცა სულ მალე არა თუ სატანჯოს, თვით დედამიწის საზღვ-რებიც ვივიწროვე. სიფრთხილე რომ მმართებოდა, მშვენივ-რად მქონდა შეგნებული, ბუტუტი, შვილო, ვინაიდან თუ ოდა-ბადისკენ წავაბიჯებდი, ვიცოდი, არ დამინდობდნენ. წყალს არავინ მომაწოდებდა მწყურვალს. ქალები აქსუტუნდებოდ-ნენ, ჯეელები კბილებს გაახრჭიალებდნენ, შემომერკალე-ბოდნენ როგორც შამბნარიდან თემშარაზე შემოხეტებულ უხ-სენებელს და ადრე მლოცველ ბაგეთაგან ფურთხი ცვარივით წამოვიდოდა. მიგინებდნენ ჯიშს, ჯილაგს. ცაში მბრწყინავ სახელებს წამიბილწავდნენ. ზურგს უკან დამალულ ქვებს სეტყვასავით მომაყრიდნენ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყო-ველივე ასეთნაირად ასრულდებოდა და მაინც ატეხილი ჭა-ლებისაკენ თუ ბავშვობის უმომავლო წლებისაკენ ჯიუტად მივიწეოდი. დაკარგულის აღდგენა მეწადა, თუმცა აქედანვე ვგრძნობდი, რომ ღალატს არაფრით მაპატიებდნენ.

რა ვქნა, რა გზას დავადგე-მეთქი, ვეძებდი გამოსავალს. იქნება სჯობდეს ბედისწერას ბოლომდე მივყვე, ავს ავი და-ვურთო, ღალატს — ღალატი, უკიდურესობამდე გავაშიშვლო ბოროტის სახე, შხამი და სამსალა მხოლოდ მე, მე, ჟინი ანთარმა, ამოვხაპო მავნებლობის ჭიდან, თანამემამულეთა წარმოდგენებიდან სამუდამოდ ამოვშანთო იგი, რათა შემდ-გომში მაინც არავინ გადაცდეს ჭეშმარიტების გზიდან-მეთქი. იქნებ სჯობდეს სიკეთე ვთესო ხალხი ს მალულად, ყანებს ჭიანჭველები დავუმკვიდრო, ჭორომებიდან მოსახლეობის აბორჯებულიმ საქონელი გამოვიხსნა, დავიურვო სულში ჩა-

სახლებული დემონი და მხსნელად მოვევლინო უნუგეშოუსახსროებს-მეთქი.

მერე მაღლდებოდა მზე. მიმოსწევდა აკლდამებს, ასცილდებოდა ქოხმახებს, ხეთა კენწეროებს, ოქროსფრად შეაფერადებდა ირგვლივს. რიყესავით გაიფეხქვეშებოდა ოდაბადეს, სატანჯოს. ბაგეგაპობილ წარწყმედილს ფიქრებს მიღორძინებდა. ომახიან სიმღერებს ჩამისახავდა და ჭირთათმენა დაძლეულიც მანათობელის განზომილებებს ვექვემდებარებოდი ამიერიდან.

დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, გველის პერანგივით მოვიცილებ აშმორებულ ნაპირებს-მეთქი, ვიმედოვნებდი გულში. საკუთარი მეობის გაწირვით სხვა ადამიანებს მაინც ვუმეგზურებ სათნოების ტრამალებისკენ-მეთქი, წარმოვისახავდი მერმისის და ოდაბადე-სატანჯოს შუა რბოდა ბინდისფერი ენგური. ღმერთის ბადალი სუფრაზე მივატოვე და ლოთის ბანცალს ვმწყემსავ. სანამ გაჩერება არ გთხოვო, გვერდები ნუ გეტკინება.

მაფა: ბორნის მოშორებით გათხრილ მაზლთა საფლავებს ყირამალა შეტრიალებულ წუთისოფელს ვაბრალებდი, ნანაგე. ჯეგე ანთარიასაც, საკუთარ თავსაც ამ ულმობელი გენია-ცეცხლის მსხვერპლს ვუწოდებდი, მაგრამ ხალხი თავისებურად ჭრიდა და კერავდა.

წამხდარი დროების ბრალია ყოველივე; სწორედ იმან გააწირვინა ძმას ღვიძლი ძმები-მეთქი, გავივილებდი გულში, თუმცა ხმამაღლა თქმას როგორ გავბედავდი. ძმათამკვლელის დაუსჯელობა დიდ-პატარას აღაშფოთებდა.

გასანთლული თოკი გამოვაბათო ყელზე, ყაყანებდნენ; აკლდამებიდან გამოვათრიოთ და სპეტაკ საფლავებს შევწიროთო ზვარაკად, აგულიანებდნენ თავქარიან ჯეელებს დროული ოდაბადელები.

ნეტავ, რა დედის მუცელმა შობაო ერთი უხსენებელი და ექვსი ანგელოზი, ასეც ამბობდნენ. მე კი შენი მასწავლებლის საქციელს ადრინდელივით გულით ვზომავდი, ნანაგე.

კარგები თუ იყვნენ, გაჭირვებულთა ხელგამართვა რაღა მაინცდამაინც სატანჯოში ჯეგეს გადახვეწის შემდეგ იწ-

ყეს-მეთქი, ვცხარობდი. გასაქცევის გზის მთხოვნელ მტერს მოსახლეობისათვის რა უნდა დაეშავებინა, მაგრამ მათთან შერკინებითა და შეკვდომით, ჩვენი უიღბლო სიყვარულის სამუდამო დაღუპვას ლამობდნენ, აკი, საწადელი აისრულეს-მეთქი, ვწიწმატობდი ფიქრებში ჩემთვის და ვივიწყებდი, თუ როგორ მივყიოდი დუშმანს ძმებთან ერთად.

ჩვენი ნაპირები უფრო და უფრო შორდებოდნენ, ნანაგე. სიკვდილს ვეძებდი, მაგრამ ისიც იგვიანებდა. ლოგინზე მიგდებული ტირილსაც ვერიდებოდი. გაუნელებელი ტკივილი ამაღლებულთა ხვედრია. მემთვრალეები ვერასდროს ეზიარებიან ამ ღვთაებრივ მდგომარეობას. ლოთი კაცის ცრემლებს რახის სუნი უდის".

რინა მეორე

მაფა ჰალიძონია
285714

ამასობაში სოფელმა ძველი და ახალი ჭრილობები მეტნაკლებად მოიშუშა, და ახლა, როცა სისხლისღვრიდან რამდენიმე წელიწადი მაინც მიიწურა, როცა გახეხვის ჟამი დაუდგა ქვევრებს და საწნახლებს, როცა მერცხლებმა და წეროებმა თბილი ქვეყნებისკენ აიკრეს გუდა-ნაბადი, ოდაბადელები ნარძლევის გასაბედნიერებადაც დატრიალდნენ. თავი ყველაზე მეტად ცურუ ჰალიძონიამ გამოიდო. სამურზაყანოში* გათხოვილი მულის ახლომახლო ბევრი შეღერილი საქმრო დაუძებნა. ისიც და სხვებიც ჟინი ანთარის გასამწარებლად იღწვოდნენ, თორემ ,,გახას შინაბერა ასულის იღბალი" ვის ენაღვლებოდა. ამაზე დაიას ძმებიც გაესაუბრნენ. რა ვქნა? უარის თქმა სატრფოს აშკარა შეწყნარებას ნიშნავდა, ამიტომაც რჩევა-დარიგებას ყურს თვინიერად უგდებდა.

— უნდა გიხაროდეს, ძვლისგამტეხველის დანიშნული ვინმემ თუ გითხოვა, — ამცირებდნენ უსულგულოდ.

თავს ღუნავდა მაფა, როცა დამწუნებელ სასიძოებს ჩამოუთვლიდნენ. ახელებდა შეყვარებულის დამაკნინებელი მეტსახელები, რომლებიც ისედაც გათელილის ცხოვრებას სამუდამოდ დაემგზავ-

რა. ასე და ამგვარად, შეურაცხყოფილ პატარძალს გზები ყოველმხრივ შეეკრა. ძმებისაგან მოძულებულს, დედისგან ასჯერ ბედდაწყევლილს, ყოფნა ჩირადაც არ უღირდა. გონებაში ათასნაირი ფიქრი უქირქიტებდა. წამებული სიცოცხლის დასასრულებლად ათასნაირ გეგმას აწყობდა. მეხვაშიადე ცურუ მამიდის განდგომამ ხომ მთლად მოინელა.

,,ვითომ ჩემთვის ძველებურად ამოვა მზე, ან ბაიასფერი მთვარე მესასთუმლება ადრინდელივით განა?!'' — უკვნესოდა გული და იქვე, — ,,არასდროს, არაფრის დიდებითო, — იტყოდა ხმამაღლა, ,,უბედურებაში გახლართული წუხილს ვერანაირად დავეხსნებიო'', ღონდებოდა, ამიტომაც ერთხელ გაჩაღებული ცეცხლი უფრო და უფრო უმძვინვარდებოდა.

შეჭირვებულ ასულს უბე-უბე ტარების გაცრეცილმა წერილებმა უშველეს ისევ. მათი მიმსგავსების ფიცის, აღსარების ბარათი შეთხზა.

,,ჩემო ფრთოსანო ჭიანჭველავ, ხუთი თვის წინ სატრფიალო ტირიფებთან განცდილ წუთებს გავედრებ, იქ ჩასახულ პირმშოს და ჭოფიას ბორანთან ჩახოცილ სამაზლოების სულებს გავედრებ, რომ გაუტანელ ოდაბადეს ზურგი შეაქციე, ჩემთან წამოდი, გამწარებული რინა მაკმარე!''

სწერდა მაფა თავისთავს ჯეგეს სახელით. ბარათი შუაღამით ჩაიტანა ბორანზე და ქარს რომ არ წაეფრიალებინა, ზედ მუშტისსისხო ქვა დაადო. შინაც ასეთი უჩუმრობით შემოიპარა და გათენებას მოუთმენლობით დაუცადა.

ჭოფია ანთარიამ სისხამ დილით ნაპოვნი ფარატინა ქაღალდი ერთხანს წაღმა-უკუღმა ატრიალა, ხან მდინარისაკენ წასწია, ხანაც — უბისკენ გააქანა, ბოლოს შიშმა სძლია — ჭყონდიდის ძირას მომხდარი უბედურების შემდეგ ოდაბადელები წარამარა გესლავდნენ ,,უძლური ბიძის დაბრიყვებულს''.

— რა ვქნა, როგორ მოვიქცე?! — ჩაეკითხა პირველსავე მგზავრებს მებორნე.

— ჟინი ანთარის მეტი რომელი იზამდა ამ სისაძაგლეს?! — ამტკიცებდნენ ერთხმად. ბარათს სულწარწყმედილის ხელს აბრალებდნენ და საბაზროდ გაბაწრულ გოჭ-ინდაურებს ივიწყებდნენ. ბადუ ჰალიძონიას უცდიდნენ. ისიც აგერ იყო. ფერმკრთალს და ერთიანად აცახცახებულს წერილი ზედ ცხვირთან მიეტანა. სთხოვდნენ და მუხლებზე დავარდნილი ნაძირალას ვედრება'' ხალხისთვის როგორ და-

ემალა?! მთავარი, ქალ-ვაჟის შეხვედრები იყო ეს, მაფას ფეხმძიმედ ყოფნა თუ სხვა, თავზე ლაფის დამსხმელი ამბავი, მოხერხებულად გამოტოვა. ბადუს დის უზნეობა ვერაფრით დაეჯერებინა და ჭიაყელასავით თვალები წინასწარ რისთვის დაეთხარა?! ოდაბადელებისთვის გამხელილიც კმაროდა. სწორედ ამის გამო დაიშალნენ მოღალატის წყევლა-კრულვით, კითხვიანი მზერით, რომლითაც მთავრობის კაცისაგან სინდისგარეცხილის ჩამოშორებას მოითხოვდნენ.

მაფა ჰალიძონიას მოლოდინის გამართლება უხაროდა. ამ საბედისწერო გადაწყვეტილებით მან უკუღმართ წუთისოფელს სასტიკი განაჩენი გამოუტანა. იქნებ აქეთკენ უფრო სანატრელი ადამიანის გაწეულმა სიკეთემაც უბიძგა.

ანთარიების დაღუპვამდე და მის მერეც, ოდაბადელები წინკართანვე წააწყდებოდნენ ხოლმე ქინაქინითა და მისთანანით სავსე მდელოსფერ შუშებს, მაგრამ „ჟინი ანთარი საწამლავს გვაჩეჩებსო“, გაიძახოდნენ და მდინარეში მოისროდნენ ხოლმე.

გოგირდს აკმევდნენ, სამგზის იფურთხებოდნენ და მის სახსენებელს აქვესკნელებდნენ.ხედავდა მაფა, თუ როგორ, რანაირი სიშორიდან მოიჩქაროდა მისკენ შერისხული. უფრო მეტ წყდიადებს მოარღვევდა, ვინემ ქრისტიანულ ჯოჯოხეთშია. ჭაობნარში გადაკარგული კაცი კარგზე კარგს აწვეთებდა მისი ერთგულებისათვის. ოდაბადელები კი სიმინდის ყანებში მოსავლიანობის გასაზრდელად დაბინავებულ ჭიანჭველებს მდუღრავდნენ.

— მოვისვენებთ ძმათამკვლელისაგან როდესმე?! — ეკითხებოდნენ ერთმანეთს და ზიზღით გახედავდნენ სატანჯოს.

ატყობდა ქალიშვილი, რომ წაბორძიკებული ნაბოლარა საუკუნოო მარტობისთვის გაეწირა საზოგადოებას.

ჟინი ანთარის ფიქრი სოფლის გასაჭირს დიდხანს, დიდხანს ევლებოდა თავზე, მაგრამ ყველაფერი განსაზღვრულია და როდესაც მოკვეთილს უკვდავების წყარო გამოელია, გაბოროტდა.

მაფა ჰალიძონიას შიში გამართლდა — სანაქებოდ მოვლილ ყანებს ღობე შემოერღვა. აქა-იქ დამბა-ჯებირი მოიშალა და თავაწყვეტილმა ენგურმა კუნძულს თამამად შემოუტია.

ხახანტი მაკრონიას ცხვირ-პირი რომ მოერღვა, იმ სამშაბათს კუდმოჭრილი და ცურდაფატრული ნახირი მობღავლდა საძოვრებიდან.

სასოწარკვეთილი ქალები მარჩენალი ფურების საბრალო თავებს მკერდში იხუტებდნენ და ბასრი დანით გამოსულ კაცებს დასაკლავად არ ანებებდნენ: პირუტყვების ჯიქანიდან ერთდროულად მოთქრიალებდა სისხლი და რძე.

მალე ლაფაროები ბუდემოშლილი მერცხლების წიაქითა და ტიტლიკანა, კისერწვრილი ბარტყებით გაივსო. მკვდარი კატებითა და ძაღლებით წაიბილწა ჭები.

შიშობდნენ ოდაბადელები, ბჭობდნენ. ბავშვებს ეზოდან გასვლას უკრძალავდნენ. მთავრობისაგან „მავნებელი და ხალხის მტერი ჟინი ანთარის“ დასჯას მოითხოვდნენ.

ვინ იცის, მაფა ჰალიძონია ყოველივე ამას გაურბოდა თუ შეყვარებულის ხსნა ეწადა. მოკლედ, მსუსხავ წუთებს იმზადებდა, იცოდა, ცეცხლს რომ ეთამაშებოდა, შერცხვენას რომ არ აპატიებდნენ, მაგრამ ჟინის ბარათებიდან ხომ ესწავლა, აიეტის ასულმაც თუ რა მოიმოქმედა სიყვარულისათვის — ქერათმიან გადამთიელს როგორ ანაცვალა სამშობლოს ძლიერება.

ეს ანუგეშებდა, ეს ამხნევებდა. მართალია, მიჯნურისთვის ასე თავგანწირულ ამბოხს არც მეისტორიე უმღერებდა და მით უფრო — ლადი ჭანიას ჩონგური, მაგრამ ერთხელ ამორჩეული გზა, ხვედრი, მიწიერ გრძნობებზე ამაღლება ფრთოსანი ჭიანჭველასავით. ამქვეყნიურ სიამეთა ბორკილებისა და მკრთომარე სულის დათრგუნვას უნერგავდა მთელი საქალეთის სახელით.

— შენი გულქვა ძმების ხმას ნუ აჰყვები, ნოჩო. შვილებს გაფიცებ, პირჯვარი გადაიწერე და მოსალოდნელი ცოდვა-ბრალისაგან გვიხსენ! — სლუკუნგარეული ეჩიჩინებოდა ქმარს ცარო მუშუქია, — სადაც არის გავიყრებით და ვიცხოვრებთ ჩვენთვის. ბადუს და ყიფას კი, პირი ქვისკენ მიქნია, შავ სამარეში წოლა! მთავრობის ხალხია ეგენი. დაიხსომე, თუ დასჭირდათ, დიდება-სახელისთვის მაფასაც გასწირავენ და ამ ანგელოზებსაც, — თქვა ქალმა, ძუძუსწოვაში მიძინებულ ბავშვიანად ლოგინიდან გადაიწია და ატირებულ მეორე პირმშოს აკვანი დაურწია.

— სისულელეებს თავი დაანებე! — შეუბღვირა ზურგშექცეულმა მეუღლემ.

— სისულელე უძახე შენ და ამდენი ხნით ომებში თრევას გასაკვირია განა ნათესაური სიყვარულის გრძნობა დაეჩლუნგებინა მათთ-

ვის? შენი თვალებით ხედავდი, თუ როგორ აკრაჭუნებდნენ ვახშმობისას კბილებს. სანამ ის უხანო დალალების ღიღინ-ღიღინით ვარცხნას არ მორჩა, საჭმლისთვის პირი არ დაუკარებიათ. დედა, დედა, დედა, სულ წამოწეულ მუცელზე უმზერდნენ.

— ხმა, კრინტი! — იფეთქა ნოჩომ და გაძვალტყავებულ ფერდში იდაყვი მიაზილა ,,რას გამოაპარებ, კუდიანია ეს შობელძაღლი!''

— ამოწყდეს თქვენი ჯიში და ჯილაგი! — მიაწყევლა ცარომ.

ნოჩო ჰალიძონია მთელი არსებით უბედურ დაიას ემხრობოდა, მაგრამ როცა მაფას ოთახში საწოლი აჭრიალდა, როდესაც ძველისძველი იატაკი აჭრაჭუნდა და ქალიშვილის გაპარვა აშკარაზე აშკარა შეიქნა, ძმებმა წერილში მოთხრობილი საბოლოოდ ირწმუნეს. თვალებში სისხლჩახისტულებმა ნოჩო უბოდიშოდ წამოაგდეს ლოგინიდან. გაცხარებით ბჭობდნენ. შერცხვენის ასაცილებლად გამოსავალს ეძებდნენ და ენამოპარპალე ლამპებით განათებულ ზალაში ბოლთას სცემდნენ.

— თუ ახლავე ვივარგეთ, ოჯახს თავლაფდასხმა აშორდება, — მოსჭრა შეთქმულების მეთაურმა ბადუმ. **„გათხოვებას მოვკვდე მირჩევნია.** მოკვდი, მოკვდი!''

— შენს ბღარტებს მიხედე! —დაუცააცხანა ყიფამ ღრიჭოდ დარჩენილ კარში თავშემორგულ რძალს. ,,წითური ძაღლი! ცხვირი უნდა შეჰყოს ყველაფერში!''

— როგორ ფიქრობ, შენზე ნაკლებად გვეყვარება ჩვენი და?! უნდა შეუშვა მაგ ფუტურო თავში, რომ ასე აჯობებს მისთვისაც და ჩვენთვისაც, — კბილებში გამოსცრა ბადუმ**. „რატომ, თქვენ შვილებს გავზრდი“.**

— კაცი არა ხარ?! ცოლის კაბა ჩაიცვი ბარემ! — ფინიასავით დაიწკაფანა ყიფამ. ,,დედალი! დედალი! რომ შემოუძახო, ააქოთებს აქაურობას''.

ნოჩომ იცოდა, რომ ერთხელ აკვიატებულს ძმები არაფრით დათმობდნენ, ამიტომაც ,,თავიდან მომწყდიო'', დაუყვირა ცარო მუშუქიას. ხელიც უბიძგა გაჯიუტებულს, თან ,,ახლა ჩემი აქ დარჩენა იქნებაო'', მიადევნა ჩურჩულით.

— ნურაფრის გეშინია, მაფას ცურუ მამიდასთან გავაპარებო, — ამ სიტყვებით დააშოშმინა თანამეცხედრე და კარი ღირწკინ-ღირწკინით* მიხურა.

ძმები ჰალიძონიები ბოსელს ამოეფარნენ. ბადუ მხართან წაკვე-

თილ მკლავს ნაჭდობს უხახუნებდა.

— რანაირად დაგვასხა თავზე ლაფი?! — სულ ამას იმეორებდა.

— აბა, აბა! —კვერს უკრავდა ყიფა.

ბადუმ ხუთჯერ მაინც გააწყო ჩიბუხი, ვიდრე ფიჩხი გატყდა და კუტიკარი აჭრიალდა; ვინემ ალაგეზე* გადმობიჯებისას ელვასავით გადაზნექილი ქალიშვილის მოსირმული თმა მთვარიანში გაიშალა; ვიდრე სამზადის კედელზე ჩამოკიდებული ვედრო-ქვაბები აჩხარუნდა და სატრფიალო ტირიფებიდან ორიოდე საათში მობრუნებული მაფას ნეტარებაგარეული ღიღინი მოახლოვდა.

,,სად მიდიხარ, უბედურო!'' — უნდოდა წამოეყვირა ნოჩოს, ,,გაიქეცი, გაიქეცი, თავს უშველე!'' უნდოდა ებღავლა, მაგრამ ეშინოდა ხელისშემწყობად არ მოენათლათ და როდესაც ენაგადაყლაპული ნოჩო ჰალიძონია გონს მოეგო, მაფა ჩასაფრებულთა ხელებში იკლაკნებოდა უკვე.

— საიდან მობრძანდება ქალბატონი?! — ხმაპარვით იკითხა ბადუმ.

— ჟინი ანთარისგან მოსუნსულებ, კახპავ?! — ეს ყიფამ ჰკადრა მუჯლუგუნის კვრით, მაგრამ განგებმოცახცახე ასული სამარის ლოდივით დუმდა. ნაძალადევიო, მხოლოდ ბუნებრივად წამოთქრიალებულ ცრემლდებს არ ეთქმოდა. მერე ხმაგაკმენდილს თმაში წვდნენ, წაუჭირეს და წაუჭირეს. წიხლავდნენ, ემუქრებოდნენ. ყველაფრის დაწვრილებით ამოშაქვრას უბრძანებდნენ.

ამასობაში ყრუდ მგმინავ ქალიშვილს ნოჩოც წაებღაუჭა უფროსი ძმების მოსაჩვენებლად.

ჩამარწუხებულმა ხელებმა მალე დაიურვეს ჰალიძონხე.

— რატომ გაჩნდი სასირცხვილო, რატომ?! — საფეთქელზე მუშტი მიალესა ბადუმ. **„ვიცოდი ცოცხალი დამიბრუნდებოდი, შენთვის მოვქსოვე“.**

— ჯეგეს ფეხის ნაბან წყალზე არ გაიცვლებით , თქვე საცოდავებო! — თქვა თავაწეულმა მაფამ. ,,გამაყოლეთ ახლა გითოლენდიას''.

— ძუკნა! ძუკნა! — ახიხინდა ყიფა.

— ზეცით შეკავშირებულ ქმარს როცა მომეპრიანება, მაშინ მივუწვები, —მოსჭრა მაფამ და ისედაც გადარეულებს ცეცხლზე ნავ-

თი გადაასხა.

— შემოგვფიცე, რომ მეტჯერ არ გაეკარები, — სცადა დაძაბულობის განმუხტვა ნოჩომ. ,,თავი მაინც დახარე, უბედურო!".

— ქვეყნიერების სისხლიც რომ ემართოს, მაინც მისი ვიქნები, მი-სი.

— შე უჯიგრო, იქნებ ბოდიშიც მოგეხადა! — უმცროს ძმას ამრეზით შეხედა ბადუმ. **„არ მივეშველოთ ანთარიებს? ტყუილად გაცვიათ შარვლები?!"**

— არა, უმჯობესია ბარემ დაუჩოქოს თავის სასახელო დაიას! — სველი თაგვისფერი თვალები მოწკურა ყიფამ. ,,მაგრად გამომივიდა!"

— ლაჩრებს და კაციჭამიებს შვილები გადაგიხდიან სამაგიეროს, თუ ეღირსეთ, მაგრამ თქვენ ვინ მოგცათ სიყვარულის ნიჭი, ბერბიჭებს, წყვეტილ-წყვეტილად ფხუკუნებდა ავქარდაცემული.

— როდემდე ველოლიავოთ ამ ყლისგამომჭრელს?! — აენთო ბადუ, მუშტი აჰკრა ნიკაპზე და კბილებმა ტკაცანი გაიღეს. ,,შიში და სიყვარული?!"

— მცემეთ, მცემეთ, ამას მაინც ვერაფერს დააკლებთ! — წაიღრინა მაფამ და ხუთიოდე თვის ორსულის შესაფერისად გუდაში გამოკრული წერილებითა და ფოტოებით დამსხვილებულ მუცელზე ხელი მიითათუნა.

— რასო, რასო, ძვლისგამტეხელო?! — ლურსმნის ნახვრეტისხელა გაუხდა თვალები ყიფას ისევ. ,,თუ ერთმანეთს ხვდებოდით, წაგეყვანა, წყეულო!"

— მაშ, თქვენი შერცხვენის შიშით მონაზვნად აღვიკვეცებოდი სწორედ! შემოვევლე, ჯერ ერთი ღამითაც...,,არ გიღალატებ, ჯეგე, არა!"

— კიდევ კარგი, წერა-კითხვა არავინ იცოდა, თორემ ხომ მოგვეჭრებოდა თავი? — ბადუმ მობევრებული ნერწყვი ზედ წვივებზე მიაშხეფა დას.

— ლაფში ამოგვსრიდა, საფურთხებლად გვაქცევდა თითეულს, — დაემოწმა ყიფა. ,,ხომ იტყოდნენ, რას თავკაცობენ, რა ეთავკაცებათ, როცა დისთვის ვერ მოუვლიათო?"

— იქნებ ძალად რომ ვათხოვებდით, იმიტომ გვამწარებს? — ჩაილაპარაკა ნოჩომ გაუბედავად. ,, დასადაღია ის შობელძაღლი".

— შენი ხმა არ გამაგონო, ქალაჩუნავ! — უყვირა ცალხელამ.

— აცალე და გაღვანღვალებულ ლოგინსაც მიართმევს ტირი-

ფების ძირას! — წაიქირქილა ყიფამ. ,,ვთქვათ და მე მომაჩეჩეს ის მაუ-ზერი, მერე?!''

ხუთი დაძარღვული მკლავით ენგურისკენ გაქანებული მაფას ალ-მოდებული კეფა ძმების გაბოროტებულ თვალებს გრძნობდა, მაგ-რამ არაფერს ნანობდა. არც პატიებს ითხოვდა. ან უკანდახევა რა სიკეთეს მოუტანდა?! არც მოძალადეებს ემდუროდა, რომლებიც ოჯახის ღირსებისთვის ცოდვილობდნენ ახლა.

ბადუ ჰალიძონია სოფლის გაღვიძებას ერიდებოდა, რადგანაც ეს ამბავი ლისა შკვითინიას ყურს თუ ჩაეწვეთებოდა, ქვეყანას შეყრი-და, შვილის გადასარჩენად არაფერს დაერიდებოდა და თავის მოჭრა გაცხადდებოდა, ამიტომაც სისინებდა მზერაგაფაციცებული, და-კუნთული მარცხენათი ამისთვის მიათრევდა სამივეს. ნოჩოს კი დის-მკვლელის შერქმევის შიში თანგავდა. შესაძლოა შურისძიება არა-ვის შეემჩნია, თავის დახრჩობა მაფასვე დაბრალდებოდა, მაგრამ ,,მე-რე როგორ ვიცხოვრო ცოლთან, შვილებთან, მეზობლებთანო'', აი, ეს ფიქრი უწამლავდა სინდისს.

ყოველივე ამან და წვრილად დაკლაკნილი ბილიკით ენგურისკენ ბადუს გადახვევამ ,,უმჯობესია მამიდასთან წავიყვანოთ, იქ უკეთე-სად მოაგვარებენ ამ საქმესო'', ამოათქმევინა ნოჩოს სასოწარკვეთით. წინადადება რიგიანად არც კი ჩაემთავრებინა, რომ ჯარისკაცური ჩექმები კოჭებში მოუხათქუნეს.ნაპერწკლებით თვალებავსებული ნო-ჩო დის ამტანობამ განაცვიფრა.

,,ნეტავი ისეთი რა ძალა ბუდობს მაფას სხეულში, რომ ამდენი ძიძგილის, წიხლისა და მუჯლუგუნის შემდეგ ყრუდღა გმინავს. ალ-ბათ ხალხის გამოღვიძებას ერიდება. ოჯახის სახელის გატეხვას უფრ-თხის, ჟინი ანთარის ღალატმა თავდადებულ ანთარიებს რომ არგუ-ნა, იმის მსგავსს'', გაუკრთა გონებაში.

მაინც მთელი გზა სულ ძმების ბილიკიდან გადატყუებას ცდი-ლობდა. ენგურისკენ მიმავლებს უძალიანდებოდა. ბრეთელა თვალებს ამიტომაც უბრიალებდნენ მთვარიანში.

ზოგადს და ცალკეულს ბადუ ჰალიძონია აქამდისაც გარკვევით განარჩევდა.

— ჯერ სახალხო საქმე, მერე — დანარჩენი! — იტყოდა ხოლმე, მაგ-რამ ეს უკანასკნელი რას მოიცავდა, გაუგებარი იყო, როგორც ნო-ჩოსთვის, ისე — უმეტესი ოდაბადელისათვის.

— თავისუფლება შეგნებული აუცილებლობაა, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანთათვის სასარგებლო საქმეების კეთება! — გან-

მარტავდა ცალხელა ნასალდათარი.

ნოჩოს არც ეს ესმოდა ძირისძირამდე.

,,სად ჩვენი დაია და სად კომუნიზმსი მტერი, მომავლის ტვირთი თუ შემგინებელი?! გადაება მისი აზრი ბადუს გზადაგზა ნაბრძნობს, ,,მართალია, მაფამ დააშავა, მაგრამ ასე თუ ისე, კანონიერ მეუღლესთან. გაღლეტილების არამხუტუ კი, უყურე შენ, ერთბაშად წყალში როგორ უყრის ამაგს, წლების მანძილზე ხალხში ტრიალს?! ამას თუ გრძნობს ნეტავი?! ნუთუ ოთხმოცდაცხრამეტმა სიკეთემ ერთი წაფორხილება ვერ უნდა გადაწონოს?!“ ანაზდეულად ეს კითხვები წამოუტივტივდა გონებაში ნოჩოს.

ჭოფია ანთარიას ბორანი ქვემოთკენ რჩებოდა.

ჯაგებში მიშლიგინებდნენ. ეკალ-ბარდი ებღაუჭებოდათ. თითქოს მათი სამარცხვინო საქციელი ბუნების უმრუდეს ნაშიერსაც კი ეგრძნო. ფიქრებში გაჩენის დღის მწყევლელი ნოჩო ჰალიძონია ანგარიშმიუცემლად მიაბიჯებდა.

,,რა იქნებოდა, ფეხი მომტყდომოლდა, ან ციება შემყროდა?! — ივლებდა გულში, თუმცა ამისი გააზრებაც მყისვე აკრთობდა, — მაშინ ხომ ჩემი ბავშვების აკვნისდამრწევს უფრო ადვილად დასჯიან?!“ — ძრწოდა.

იქ, სადაც უმცროსების ფეხდაფეხ მიმავალი ბადუ მაფას მჯიღს სცემდა, ნოჩო მალულად ეფერებოდა. არაქათგამოცლილი ასულიც, ალბათ, ამ მიზეზით მიესვენებოდა ქომაგის მხრებს წამიერი შეყოვნებისას.

წინ სამასიოდე მეტრის სიგანის და სიგრძით ათჯერ მეტი მინდორი ედოთ, რომლის იქით მთელი ძალმოსილებით მიღელავდა მდინარე.

ნოჩო ჰალიძონიას გალიფე შარვალი ბაძგარიითა და ბირკავათი დაეძენძა. ძმებისაგან განსხვავებით დაუდევრობა მის ჩაცმულობასღა ეტყობოდა მხოლოდ. კაცები სწორედ იქ შეყოვნდნენ, სწორედ იქ, სადაც ჯაგნარი გაილია და ენგურისაკენ სამასიოდე მეტრის სიგანის, მაბჟალიათი* გაჩაღებული მინდორი აშორებდათ.

იმ ველის შუაგულში, ოციოდე ნაბდის გაშლა ტლაპოში, ადრე ხუმუ პაპის, ახლა ჭოფია ანთარიას კამეჩები ქშინავდნენ. წინათგრძნობა იყო თუ რა?! პირუტყვი რატომღაც დაფრთხა, ონტყოლაშედან* ტალახის ამაზრზენი სუნი ამოიყოლიეს და რქენა-რქენით ჯაგებისაკენ წაყროყინდნენ.

ბადუ ჰალიძონიას მუშტი ჯერ მაფას ეძგერა წელზევით, მერე — ნოჩოს და ყიფას. თითქოს უმცროსები აეჩქარაო და ბიჭებმა უკმაყოფილოდ გამოხედეს თუ არა, მაუზერის ბუდეზე ხელი გაასრიალა.

ქალიშვილის ფარულად მოქომაგეს სისხლ-ხორცით სავსე დის აშკარა განსაცდელმა ახლა მთლად მუხლებიც მოჰკვეთა.

— ფეხი გამოადგი! — დაიკნავლა ყიფამ და მსხვერპლს წაეჯაჯგურა. ნოჩო ისე იძგვლიმებოდა, თითქოს სასაკლაოზე მაფას ნაცვლად ის მიჰყავდათ. მაინც რაღაცას იმედოვნებდა. მშველელს ეძებდა, რომელიც სავალალოდ იგვიანებდა. ცარგვალს სავსე მთვარე აჩახჩახებდა. საწიერზე თხმლების ფაფარი ჩანდა და პირქუში ენგურის ულმობელი ჩქაფანი იგრძნობოდა.

ჰალიძონიებმა მალე მოიტოვეს მომცრო კორომი, მინდორიცა და ტლაპოც. ფაფალაზე* იდგნენ. მდინარე ყასბის დანასავით ალაპლაპებდა ტალღებს. საკუთარი ძვლების რაკარუკს ძლივს უმკლავდებოდა ნოჩო და მაინც ზურგს უკან გაკავებულ ხელებზე ეფერებოდა დაიას. მაფაც გასამხნევებლად ოფლში მცურავ თითებზე მალულად ეალერსებოდა ძმას.

ბაწრისთვის წინასწარ ეზრუნა ბადუს.

— გამომართვი ეს! — თქვა და ყიფას მიაჩეჩა დაგორგოლილი.

— მოზრდილი ქვა მოიტანე, შე უჯიგრო! — შეუბღვირა ნოჩოს.

უმცროსმა ძმამ შიშით შეათვალიერა აბობოქრებული ენგური, რომელსაც ჭადრებისათვის ფესვები მოეშიშვლებინა და ხაბოს ბეჩოებს მობჯენილი დროდადრო ბუყბუყებდა, დაყუნცულ ლოდებს ელამუნებოდა.

ნოჩო ჰალიძონიამ ათამდე ქვა მაინც მოსინჯა, მაგრამ ყველა ემძიმა. თითქოს მათი შემსუბუქებით მაღალი ღმერთის წინაშე სინდისს გაიმრთელებდა.

როგორც იქნა ერთი ამოიჩემა, ასე, ორი თვის საზამთროსხელა, გაპრიალებული, მრგვალი.

,,ყოველგვარ ნასკვს ჰაერშივე დაუსხლტება‘‘, მოეცა გული, მაგრამ ამ აღმოჩენამ კვლავ დააშინა, ,,იქნებ ჯალათმა დაიწუნოს, თვითონ წამოვიდეს და სხვა, უფრო დიდი და მოხერხებული აარჩიოს?! ‘‘დაასკვნა, ამიტომაც ამოიღლიავა სამი თვის ნესვივით წაგრძელებული, ხაოიანი ქვა.

ამასობაში დაშლილ თოკს ათასნაირად ხლართავდა ყიფა. ძნელია ახლა ამტკიცო, იღბლიან მარყუჟს ნასკვავდაო, რომელი ყულფიც მაფას წყალში გადაგდებისთანავე თავისით გაიხსნებოდა, ვინაიდან მის გაკვანძულს დანის წვერი ძლივს მიუდგებოდა.

გამოწოდებული ქვის მოყვანილობა ბადუს აშკარად არ ეჭაშნიკა. შეატრიალ-შემოატრიალა თავის ქიცინით.

— არა, უშავს, — თქვა მერე მამლების გახშირებული ყივილით დამფრთხალმა, — ამ უჯიშოს ისეთი ქვა უდევს მკერდში გულის ნაცვლად, რომელი ფსკერი დაუდგება წინ?! — მოსჭრა და ნოჩოს ათრთოლებულ ხელებს მზერა ლურსმანივით დაასო.

დის თვინიერ კისერზე ჩამოსაცმელად გაბაწრული ქვა ბალახებში ეგდო. ძმების ვაგლახს აგდებული ღიმილით ანადგურებდა მაფა ჰალიძონია და ნოჩომაც სავსებით ირწმუნა მაშინ მისი წმინდანობა.

,,აბა, კაციჭამიების მეტი მსგავს სისაძაგლეს ვინ მოიმოქმედებს?!" როგორღაც გაჭაჭანდა მის გონებაში. ამას ყიფა ვერს დაასკვნიდა, რადგანაც, ჯერ ერთი, ხელქვეითი იყოდა უფროსის ბრძანებას ასრულებდა, მერე ბოლოს და ბოლოს ყოველივე რომც გამჟღავნებულიყო, წამსვე ბადუს გადააბრალებდა, ბადუს და გახეხილ ბუდეში გატრუნულ მაუზერს.

მხოლოდ უფროს ძმას წასკდა ცრემლი, რომელიც საკუთარი საფიქრალით გართულებს არც შეუნიშნავთ. ბადუ უწინარესად ამ გადიაცებულ კაცებს გადაყროდა წყალში, ერთი დღის სიცოცხლისთვის მთელს ქვეყნიერებას რომ გასწირავდნენ თვალის დაუხამხამებლად. არც მათი აშენებული სოფლის სწამდა კანონიერების დარაჯს, ვინაიდან, ,,ვინც ღვიძლ დაიას ვერ დაიცავს, სხვისთვის როგორ გაირჯებაო?!" ასკვნიდა, აქვე კაცობრიობის, რწმენის, სინდისის წინაშე წმიდათა წმიდა მოვალეობას იხდიდა. ერთადერთ მართებულ, ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მაფას მოკვდინება მიაჩნდა.

ბადუ წარსულშიც იხედებოდა, საიდანაც ლაფანისაგან გამოჩორკნილ, სიმინდის ხაშარის ნაწნავებიდან დედოფალას ეთამაშებოდა ოქროს კულულებიანი გოგონა. აი, იმ სიწმინდისკენ უბიძგებდა ჯერჯერობით მხოლოდ მათთვის შერცხვენილ ქალიშვილს. ეს აუცილებელი დასჯა რომ არა, ,,უმალ ლაფის მორევში ჩაიძირება, საითკენაც ოჯახთან ერთად შთამომავლობასაც გადაითრევს. განა ეს ბიძგი, ეს ხელისკვრა რამეთი აღემატება ხევისბერის შემართულ მახვილს, ან მატეო ფალკონეს გასროლას?!" უხურდა გონება. ჰაჯი უსუბის სა-

დამბაჩო ხელი ისედაც წარკვეთოდა და საჩოთირო საქციელისათვის უტყუარი საბუთების მპოვნელმაც იგულადა — ჰკრა ქედდადრეკილს, არარსებული მარჯვენა კი, თითქოს დისკენ წაიწვდინაო, ქარმა შეუფრიალა, მაგრამ არარსებულით რას უშველიდა, როცა ნამდვილით სწირავდა?!

ამჩნევდა ბადუ, თუ როგორ შეთრთოლდნენ ნოჩოს თითები ბაწართან, ცერმა და სალოლკმა რანაირად დაითრიეს ნასკვი, ოდეს მაფა კოჭებთან გადასხეპილ თხმელასავით წაფრინდა მდინარისაკენ თავქვე.

— ახია ჩემზე, დარიშხანი რომ არ შეგაპარეთ ვახშმობისას! — მიაკვნესა ძმების შიგნით გაჩენილ სიცარიელეს მაფამ. ,,ვაი, თქვენს დას, უბედურს! ამის აქეთ თქვენი რინა რაღა იქნება?!"

გაგონილი სიტყვების სიმწრის მიუხედავად ლამის გული შეუღონდა სამივეს. წამხდარი ძმების ზლუქუნს ბადუ ჰალიძონიას ერჩივნა გავეშებული ტალღებისათვის ისიც მიეყოლებინათ, ,,მაგრამ, ამას ვაჟკაცობა სჭირდებაო", საზღვრავდა.

არა, ჰალიძონიებს დანუგეშებისათვის ნამდვილად არ ეცალათ. განსაკუთრებით მთვარიან შუკიდან ფეხშიშველა გამოვარდნილი ლისა შკვითინიას შემოფეთების მერე, რომელსაც კაცების დაგვიანებით შეწუხებულმა რძალმა წვრილად გაუმხილა მაფას გაპარვა თუ ძმების თათბირი.

— ხომ შეიძლება მართლაც დადასტურდეს ყველაფერი, მაფა მართლაც ხვდებოდეს ჟინი ანთარს?! ჰოდა, მაშინ გადარეულნი, ღმერთმა უწყის, რას მოიმოქმედებენ! — შეჰბედა ბოლოს როგორღაც მუშუქიამ დედამთილს.

— მერედა, ახლა მეუბნები კარზე მომდგარ უბედურებას, შავსისხლიანების შთამომავალო?! — იწივლა ჭანიებთან სათათბიროდ წასულმა შკვითინხემაც და ბავშვებატატებულს მიყოლებით გადაუჭირა ცოცხის ტარი.

მოკლედ, გულამოვარდნილი ლისა ხან ერთ შვილს წაებღაუჭებოდა, ხანაც — მეორეს და მესამეს. მათ იდუმალ მოძრაობას სასოწარკვეთით უთვალთვალებდა.

— ჩემი მაფა რა იქნა, — სულ ამას გმინავდა, — ჩემს მაფას რა უყავით?! — ხმას უწევდა იმის იმედით, რომ სოფლის შეყრის შეეშინდებათ და უიღბლო დედისთვის რაიმე სანუგეშოს გამოიმეტებენო.

— თქვენს საფიცარ ჟინი ანთარს მოკითხეთ! — დაასწრო ყიფამ

სხვებს და მოფიქრებულდმა პასუხმა თუ შვება მოჰგვარა ბადუს, სამაგიეროდ ნოჩოს აუთრთოლა ნიკაპი. დაწყნარდნენ. თითქოს ძმათამკვლელს მაფა სატანჯოში გაეტაცა და წეღან არ გაეწირათ ხაბოსთავზე წმინდანივით ამართული.

ყიფას თვალთმაქცურმა ენამოსწრებულობამ უწინარესად ლისა შკვითინია დაამშვიდა. ცხადია, სახელგატეხილ კაცთან ასულის გაპარვა შვილის ცოცხლად დამარხვას ნიშნავდა მისთვის, მაგრამ მაინც მოეფონა გულზე. მაფას უვნებლობა ირწმუნა. სასიამოვნო ცნობამ ლისა შკვითინიას პირველად აგრძნობინა წვრილი კენჭების სიბასრე. გაჩუმება ამჯობინა. გაივლიდა რამდენიმე კვირა, ვაჟები დაცხრებოდნენ და დროთა მსვლელობაში ყველაფერი მოგვარდებოდა.

გალახულ რძალსაც აკვანი აივანზე გამოეტანა. ცალი ხელით უმცროს კოჩიას არწევდა ტახტაზე მოკალათებული, მეორეთი — ბუთხუზა არდაშელი მიეკრა მკერდზე, რომელიც მთელი არსებით ჩაფრენოდა ძუძუს და ნეტარებისაგან კრუტუნებდა დროდადრო.

ლისა შკვითინიამ ბიჭებს კიბეებზე აასწრო. სარწეველას სწვდა. ამ მოძრაობით აფორიაქებული და გვარიანად ცრემლნაფრქვევი რძალიც დაანუგეშა. ქმართან და მაზლებთან შეხვედრას მოერიდა მეძუძური და საძინებელში უსიტყვოდ მიჰყვა დედამთილს.

მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ ძმები ჰალიძონიები. ერთმანეთის ხელებს მისჩერებოდნენ. წითური ბალანით დაფარული კოტიტა თითები ჰქონდა სამივეს და ნოჩოს ეს მსგავსება ავისმომასწავებლად ენიშნა.

ლამპის შუქს ნელ-ნელა ამკრთალებდა განთიადის მოახლოება.

— წავედით! — ისე ამოათქმევინა ფანჯარაში გახედვამ ბადუს, თითქოს ცოცხალ დაიას სამეფო ტახტრევანით დაუბრუნებდათ ენგური.

არავის უკითხავს, „სადო“.

შინ არ ედგომებოდათ ჰალიძონიებს. შეთანხმებულებივით შემზარავ დინებას ესწრაფოდნენ. პირველად გასცდა მასპინძელი უხემსოდ ჩაურაზავ ჭიშკარს. დაირღვა წითურწვერა გახას ნაბრძნობი:

— დილით ლუკმა, ყვავსაც რომ მიჰქონდეს, წაართვით და ისაუზმეთ. ნაშუადღევს საჭირო ხალხთან ნოყიერ სადილს არაფერი სჯობია, რაც შეეხება ვახშამს, აიღეთ და ყვავსვე მიაშავეთო!

— ახლა ამ ჭეშმარიტებისათვის არც რძალ-დედამთილს სცხელოდა და მით უფრო — კბილებ აკაწკაწებულ ძმებს. გასაკვირი არ

არის, დისმკვლელებს საუზმე რომ დავიწყებოდათ. ბუნებრივია, ასე იოლად არც ცარო მუშუქიას გადაუვლიდა ცოცხის ტარის ნაკვალევი. ლისა შკვითინიას კი სკივრიდან წმინდა გიორგის ხელისგულისოდენა ხატი ამოესვენებინა და გულმხურვალედ ლოცულობდა.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ გასაბჭოების შემდეგ ოდაბადეში მხოლოდ ის ერთადერთი ხატი გადარჩენილიყო. დედას ვერ წაართვა, თორემ დანარჩენი სოფლის ცენტრში დალეწეს და დაწვეს ბადუს ბრძანებით. ჰოდა, ამწუთას მორწმუნე ქალი მაფას სამშვიდობოზე ყოფნას თუ ვაქების დისმკვლელის სამარცხვინო სახელისაგან გადარჩენას სწორედ რომ ყოვლისშემძლე ხატს მიაწერდა.

ძმები ჰალიძონიები ენგურისაკენ იმავე ბილიკებით მიიჩქაროდნენ.

ჭოფია ანთარიას კოლექტივის უღელში ჯერაც შეუბმელი კამეჩები ტლაპოში ძველებურად ნებივრობდნენ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ვინაიდან აქამდე შიშისმგრველი მგზავრების გამოჩენამ, ამჯერად ვერაფერი დააკლო მათ დარდიმანდულ იერს, მხოლოდ ეს იყო, რომ თითქოს აბეზარ ბუზებს იგერიებსო, ზურგზე კუდი აიტყლაშუნა ზოგიერთმა, გააკანტურა ოთხკუთხა თავი, თან უდარდელი ცოხნა წამითაც არ შეუწყვეტია.

ნოჩო ჰალიძონია ხაბოსთავზე ნეპოვნ ბაწარს აწვალებდა. ,,წუხანდელი გმირობის თაგვისკუდისოდენა ნაშთი, სულ ერთი ბეწო, მაგრამ ცხადზე უცხადესი, რეალური'', უკვე ჩინური კედელივით აცალკევებდა ,,ჯალათი ძმებისაგან''. რამდენიმე საათის წინ ბოლთას სცემით გათელილი ბალახი წელში გამართულიყო. ბინდისფრად მოღელავდა ენგური. იმდენად მკვრივი და ნოტიო ნისლი მოეგდო ზურგზე, ხელისგაწვდენამდე ამოკლებდა თვალსაწიერს.

თავქვე დაეშვნენ. ერთხანს ანთარების საფლავებთან შეყოვნდნენ. მარმარილოს ქვებმა სამივეს მაფა გაახსენა. მოაგონდათ, ვაჟკაცისათვის შესაშური მხნეობით რომ მოითხოვდა სამაზლოებისადმი მიხმარებას, განსაკუთრებით, როცა არამხუტუების შაშხანები დადუმდნენ.

ბორნისკენ ჩაუხვიეს. ნისლში შეცურებული ჭოფია ანთარია თუთუნს ქაჩავდა. მხარდამხარ მომავალ ძმებს კოჭლობით მიეგება, რამაც ნოჩო ჰალიძონიას გული აუფანცქალა.

,,იქნებ შენიშნა მაფა და დახრჩობას გადაარჩინა?!'' რაღაც იმედი ჩაესახა სულში. თუკი აქამდე მებორნის უშნო კვანჭალს თვალს

ზიზღით აყოლებდა, ახლა რაღაცნაირად მოსათმენი ეჩვენა. ის კი არა, ,,რა ლამაზად კოჭლობს შეჩვენებული!'' გაიფიქრა ანაზდეულად.

ასეთნაირად აფორიაქების საფუძველი დიახაც ჰქონდა ნოჩოს, ვინაიდან ჭოფიას მგზავრების შემოგებება არა სჩვეოდა. როგორც წესი, ხალხის მოგროვებას გადაყავრულ ფანჩატურში უცდიდა ხოლმე მერხზემჯდომელა. მერე, როცა ლოდინით თავმობეზრებულნი აჯაჯღანდებოდნენ, ხვნეშით წამოიმართებოდა, ხოლმე ორთაყვირამდე მიფარკალდებოდა8 და ბორანს ადგილიდან დაძრავდა.

ასე იყო გუშინწინ, გუშინ, მაგრამ აგერ, ამწუთს, ,,უძლური ბიძის დაბრიყვებულის'' დათვის ტორმა ჰალიძონიების ისედაც ოფლშიმცურავ თითებს ბრდღვინი ადინა სათითაოდ.

ისევ ყიფამ დაასწრო ორივეს.

— წუხელ სასახელო ბიძის ნავისთვის თვალი ხომ არ მოგიკრავს შემთხვევით? — ჰკითხა და უმანკო მზერით შეათვალიერა ბადუ, თითქოს ამოწმებდა, თადარიგიანი სიტყვა უფროს ძმას ესიამოვნა თუ არა. — იქნებ მაფა გადაიყვანე ამ დილაარდიან და ხმაც ამისთვის გაგიკმენდია?! — თქვა რიხიანად და თვალი თვალში გაუყარა დამხვდურს.

შინაგანი ჭიდილი რამდენიმე წამს გაგრძელდა. სულის უკიდურეს კუნჭულამდე გამსჭვალავმა ჭოფიას მზერამ ყიფა აშკარად დააბნია. სიმხნევის მოსაკრებად ბადუს ტალახით გათხვრილ, დაჩუტულ სახელოს დააცხრა, თითქოს კანონთა მჭედლის ფორმას პაწაწკინტელა ლაქა არაფრით ეკადრებოდა.

ცალხელამ მხარი უხეშად უბიძგა ლიქნიას, მაუზერგამობმული ქამარი შეისწორა, უხმოდ მიტრიალდა. მას მიჰყვა ნოჩო, ვინაიდან მებორნე თასმაგამონასკვულ გასაღებს ატრიალებდა ხელში, მუშაობას ეს-ეს არის შევუდექიო, აგრძნობინებდა ძმებს.

— შორეულ ნათესავად გვერგები და იმიტომ გიმხელ, —ქვეშქვეშურად იმოყვრებდა უცხოს ყიფა, — ვინცობაა წასვლა მოინდომოს, არ გადაატარო, ამას უკვე ხელისუფლების სახელით გიბრძანებ! საქმისათვის აჯობებს ეგრე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოღალატე ბიძის მფარველობას დაგიმტკიცებ და მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალე! — ეუბნებოდა დაწინაურებული ძმების გასაგონად და მტკივანი ფეხის მიმართულებით ისე ღონივრად დააწვა მხარზე, რომ მთელი მტკაველით დაზნიქა.

,,იმდენი ძაღლი მიგაკვდათ სულში!'' გაცხარდა გუნებაში ჭოფია ანთარია, მაგრამ ხმამაღლა თქმას მოერიდა, თავი ჩაღუნა და ნის-

ლში გარინდული ბორნისკენ წაკვანჭალდა.

ნოჩო ჰალიძონიამ ერთი მიხედა კოჭლს, ახლა მისი ხვანხვალი ათმაგად შეზიზღდა. გეგონებოდათ, მაფას უბედურება ჭოფიას ფეხებს გამოკერვოდა. მიბორძიკობდა „უძლური ბიძის დაბრიყვებული“ და აქვე ბორანზე ამოთრეულ მაფას წარმოიდგენდა. იხსენებდა დაბუწუწოებულ თოკს ყელიდან რანაირი კანკალით ხსნიდა, როგორ ასულიერებდა გონწართმეულს, ან აძაგძაგებულს რაგად აყლუპებდა არაყს ჯღვიმას ნაჩუქარი მათარიდან.

— მოძულებულმა რინამ მაქნევინა! — ეცრუებოდა მოღონიერებული ქალიშვილი, — ვინ გთხოვდა შველას?! — ცეცხლს აკვესებდა ჯერაც სველი წამწამებიდან.

კი, ჯიმადის* სულისდგმა იყო მაფა, ჭოფიაზე გვარიანად ასაკოვანიც, მაგრამ სიყვარული გაზომილა ოდესმე წლებით?! ეგეც რომ არა, კვეკვე ანთარიას ბიჭს ხუთი ბიძის კამეჩების ჯოგი დაუდიოდა ოდაბადეში.

იცრემლებოდა მებორნე. ცოლობას სთხოვდა. ის კი მაჯაზე შემოჭერილ ბაწარს კბილებით იცილებდა. ამის თქმას ჰალიძონიხეს მდგომარეობა აბედვინებდა ჭოფიას, დასაღუპავად არ ეთმობოდა. მხნეობამოკრებილიც ამიტომ წაეპოტინა მკლავზე, მაგრამ საყრდენ ფეხზე ქუსლი აძგერა ქალიშვილმა და გულაღმა გაშოტა. უმზერდა ჭოფია მდინარისკენ შერკალულ სხეულს, რომელიც ფსკერისკენ კი არა, გალმა ნაპირისკენ, სატანჯოსკენ, შერისხული ბიძისკენ მიილტვოდა. მიხვდა, ვისაც უნდა გაებაწრა მაფასთვის ხელები და ბორნის იატაკზე გაწოლილმა ქვითინით მიუალერსა თავგასრესილი გველივით დაკლაკნილ თოკს.

კოჩია ჰალიძონია დასავლეთისაკენ გადახრილ მზეში შემყუდროებული აკაციის ტევრისკენ მიბანცალებდა, მაგრამ ცალი თვალი და ფეხი უკან რომ რჩებოდა, ძნელი მისახვედრი არ იყო.

„გამომედევნება თუ არა, გამომედევნება თუ არა?! ყველა მე მებრძვის, ყველა ჩემს წინააღმდეგაა ამხედრებული. ამდენი ხანი თევზივით პირში წყალი დამაგუბებინა. კარგი ბიჭი ხარ და გაჩუმდი აწი! მაინც რა უსულგულოდ მიხსენა, ფრთები ამოსდიოდა იღლიიდანო. ძმათამკვლელისაგან უკეთესს რას უნდა ელოდე?! მადლობა უფალს, მაგისი არაფერი მაცხია! მერე რა, თუ ხეიბარი გავჩნდი?! სამაგიეროდ

გული მაქვს სუფთა. ბოროტება არ ჭაჭანებს ჩემში! გასკდეს შურით, არ ჭაჭანებს, მორჩა და გათავდა!“

მოჩუხჩუხე ნაკადულს გადაახტა კოჩია. თავზე ხელებშემოჭდობილი მწიფე ნესვისფერ ბალახში კოტრიალებდა ერთხანს, მერე გაფოფხდა ჩქერისკენ.

„უსათუოდ გამომედევნება, უსათუოდ! რომ ვძულდე, წაქცეულს ხელს შემაშველებდა წამოდგომისას?!“

წყალს დაეწაფა კოჩია. როგორც ადრე ვახსენეთ, სატანჯოელებს წყარო ქვევით ჰქონდათ, ნამეხარ წაბლთან, ამას სასმელად როდი ხმარობდნენ, მაგრამ იმწუთას მის გონებას ამდაგვარი წვრილმანებისთვის ნამდვილად არ სცხელოდა.

„მამა გენაცვალოს, მამა გენაცვალოს! მე გამომედევნა, მე! ჩქიმი წყვირთალი ბოში!* აქ დამხობილს რომ მხედავს, ვინ იცის, გული როგორ ეკუმშება?! — კოჩიამ თავი აიღირა. ნუ გეშინია, ცოცხალი ვარო, ანიშნა ამის შვილს, — ეჭვების ბუდე! სად სიძულვილი და სად — ბონდო?!

ხელები გადაიბანა კოჩიამ, შემდეგ პეშვით ანკარა წყალი წამოიღო და სახეზე ისხურა. მელოტ თავზე ხელისგული გადაისვა. კისრის ძარღვები მოისრისა.

— მე გამომედევნე ხომ, მე?! — თქვა, როგორც კი მემკვიდრე ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა.

— მიწამ არ დაგცადოს! — დაუყვავა ნაძალადევი მზრუნველობით ბონდომ, და მამამისმაც მყისვე წამოკრიფა ტან-ფეხი. მაფას მოქსოვილი სვიტრისა და შარვლის განიერი ტოტების ჩამოფერთხვას მიეძალა.

— მერე რა, თუ ხეიბარი გავჩნდი?! — საცოდავი გამომეტყველებით შემოხედავდა დროდადრო ვაჟიშვილს, — სამაგიეროდ გული მაქვს საკმეველივით სუფთა, სხვას როდი ვგავარ, ბოღმით და შურით გატენილს! ბოროტება არ ჭაჭანებს ჩემში, არ ჭაჭანებს, მორჩა და გათავდა!

— ამას რა სჯობია, მაგრამ მოხუცებმა რა დააშავეს, მოხუცებს რას ემართლები?! ორ-სამ ჭიქა ღვინოს ყოველდღიურად სვამს ჟინი ანთარი, საუზმეზეც, სადილსა და ვახშამზეც, მაგრამ გინახავს ერთხელ ხმა აეწიოს?! რანაირი ღრიალით გავარდი, გული გადაგვიქანე. არაყში უნდა ჩაიხრჩო მაინცდამაინც?! ან თავი შეიცოდე, ან — მე, ან კიდევ — მოხუცები! მოიტა ხელი, მოიტა! — მოსჭრა ყმაწვილმა და გადმოაფრინა ნაკადულს.

ზურგს უკან დარჩნენ დედისა და ტყუპისცალი ჯიმაგეს საფ-

ლავები. გაუსწრო მამის მოტვლეპილ თხემს. აკაციის ტანღრეცილი ხეებიდან ჩამოცვენილ ხმელ ტოტებს ფეხქვეშ ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა.

,,რატომ უნდა გაჩუმდეს ჟინი ანთარი?! რატომ ან ყველაფერი, ან არაფერი?!" უხურდა გონება ბონდოს.

— ანას აჩრდილი თუ გახსოვს?! — გამოარკვია ფიქრებიდან დაწინაურებული მემკვიდრე აქოშინებულმა მამის ძახილმა.

— შვილი რომ წაართვეს თურქებმა?! — გაეპასუხა უკანმოუხედავად ბონდო.

— ჰო, მოსვენებას რომ გვართმევდა და თოფის ბათქაბუთქით ვაშინებდი ხშირად. **„მიდი, მისცხე მაგ კახპას!"**

— მახსოვს, მერე რა?!

— რა და მთლად აჩრდილი არ ითქმოდა მასზე.

— მაგრამ ხომ გაჰკიოდა გამუდმებით?!

— საქმეც ეგ არის. ცოტათი შეანელე, მამა გენაცვალოს! მაგდენი მე სად შემიძლია?! შენ ისე ჩქარა მიდიხარ, ჩემისთანა ხეიბარი კი არა, თვით ბაბუაჩემის დარახტული ქერქენჯიც ვერ აგიწყობდა ფეხს. მგონი, კარის წირთხლს მივარტყი თავი წელან. მისკდება პირდაპირ. ათიოდე წუთი გინდ აქეთ იყოს და გინდ — იქით. მოხარშულს ვიცნობ. ჟინი ანთარი განა შემთხვევით წამოიწყებდა ამისთანა საუბარს?! გველი გარედან ჭრელდება, ადამიანი — შიგნიდანო, უყვარდა თქმა ცხონებულ ლადი ჭანიას.

— რას ბოდავ, რას?! — იფეთქა ბონდომ, — ბოთლში ჩაძვრებ და მერე აურ-დაურევ შენებურად. მოგიმრავლდება ოფოფები და პეპლები! აკი, ბოროტება არ ჭაჭანებს ჩემშიო?! ერთხელ იქნება და თეთრი ცხელება, Dilerium tremens*-ი, ისე მოგიღებს ბოლოს, რომ მართლაც გიძნელდებოდეს ბნელისაგან ნათელის გამორჩევა.

— ცოდვა ვარ, შვილო, გადავიკარგოთ აქედან, გადავიკარგოთ.

— სად-მეთქი, სად, ცრუ წუთისოფელში ხომ არა?!

— თუნდაც ჯოჯოხეთში, შვილო, ოღონდ აქაურობას მოვშორდეთ!

— Pro et contra.*

— აჰ?! — დაყვლიპა თვალები კოჩიამ, — ღმერთო ჩემო, ყველას წმინდანობა სწადია, ყველას! მე კი, გამოუსწორებელ ლოთს, ისღა დარჩენია, არაყში ჩავიხრჩო თავი.

,,ამხელა უბედურება გაგონილა?! დილიდანვე რომ იღრინება, რა

პირკატა ეცა?!

ადიდებული ჩხოუშია ხიდის მოაჯირის გისოსებიდან.

ჟინი: შეხედეთ, მეჩეჩს შეხედეთ, რაღაც მოძრაობს ბალახებში.

კოჩია: ვირთხაა ალბათ.

ჟინი: ვირთხას მაგდენი ღონე ვინ მიაშავა.

კოჩია: მაშინ, ძაღლი.

ჟინი: ძაღლი რომ იყოს, ადვლად შევნიშნავდით.

ბონდო: Felis domenticus* იქნება, რაბი.

ჟინი: გულთმისანი შვილი გეზრდება. ვის დაემსგავსა ნეტავი, ნოჩოს ხომ არა?!

ჟვერიდან გამოღწეულ კატას კბილებით კნუტი უჭირავს. ერთიანად გაწუწული ფრთხილად მოაბიჯებს რიყეზე. დედასავით ხატულა ცინდალი თათებს სასაცილოდ ამოძრავებს.

ჟინი: ეტყობა, ვიღაც უსულგულომ გადაუყარა კნუტები. ერთის გადარჩენაღა შეძლო. გულთმისანია-მეთქი, გულთმისანი! საცოდაობა არ არის ახლა, მაგ კატას ცხოველი ერქვას და ზოგიერთ დედას — ადამიანი?!

შარშანდელი ზაფხული. ზღვის სანაპირო. კონსერვის ქილები. ტალღების გამორიყული ფიჩხი. ნიჟარები და ჯუჯა კაქტუსები. ყინულზე ფეხშედგმულთა სიფრთხილით გარშემოუვლიან ერთმანეთს ბონდო და ჟინი ანთარი. ხელ-ფეხის სხარტი შემოქნევა. კოჩია შიგდაშიგ იბადრება. შეხურდებიან. შეწყობილი ყიჟინი. კვერცხივით შეასკდნენ ერთურთს.

კოჩია: ნურას ერჩი ჩემს თვალისჩინს!

ფინიას წკავწკავი.

ჟინი: Tertius gaudens*

არამკითხე გამშველებელს ტყუპი წიხლი მიეზილება. ხეიბარი ამობრუნებული ნავის სიახლოვეს მოშწრიალე ლელიანებში ჩაიჩურთება.

ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება. ჰამლეტის ჭოჭმანი. გაზაფხულის საღამოა მშვიდი. გილგამეში. ენლილი. როგორ ესადაგება ერთი მეორეს, როგორ განსაზღვრავს მაფა ჟინი ანთარს, ჟინი ანთარი — მე. ის ხომ ჩემგან მოელოდა შვებას, ნუგეშს, გნებავთ ცოდვათა შემსუბუქებას. კოჩიას ვუწყრები და სინამდვილეში უარესი დანაშაული

ჩავიდინე... **Ajo* ან კეისარი, ან არაფერი. ეჰ, დასრულდა კი, დასრულდა ვითომ?** ღია ჭრილობაზე მარილი მოვაყარე. მესამე დღეა გული გადაუხსნიათ, მიყოლებით შიშვლდებიან ჩემს წინაშე. ავალდებულებთ ვინმე? ვისი, რისი ეშინიათ? სდიე ახლა კუდში გატრეტილს, ელოლიავე! მეტი საქმე არა მაქვს, ხმის გამცემი არა ვარ!"

სუფრასთან დარჩენილებს ძრავა-გენერატორი ჩაერთოთ. ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა, ყრუ კედლის გაყოლებით ჩამწკრივებულ წიგნების კარადებზე გაუშლელი ვარდები კეკლუცობდნენ ბროლის ლარნაკებიდან თუ კერამიკის ვაზებიდან. ბუხრის თაროზე ჯადოსნური კელაპტარივით ენთო აფუჩეჩებული ჩიჩილაკი. ლივლივებდა იატაკამდე ჩამოხუჭუჭებული ფარდები. ვეფხვისა და მოყმის ბალადა იმზირებოდა მდელოსფერი ხალიჩებიდან. გვირგვინივით ანათებდა მაგიდას შემომწკრივებული სკამების ცამეტივე საზურგე.

— მიმამწყვდიეთ კუთხეში, რამენაირად მიმამწყვდიეთ! — შემობუზღუნდა დარბაზში კოჩია ჰალიძონია. ორი მესამედით გამოცლილი გრაფინის მიზიდულობის ძალას აკანკალებული ხელი ვერსად დაემალა.

— ჩემი ბრალი იყო განა, ბიძების გადასახლების დღეები, დის ცოდვა მსდევნისოო და შუბლზე რომ იტკიცა ხელი ნაარყალმა ნოჩომ?!

— დინასტია გრძელდება?! — თქვა ირონიულად ბონდომ.

— და მერე როგორ?! — აჰყვა შეგირდებს ჟინი ანთარი.

— აჰ?! — დაბნევით მიმოიხედა აქეთ-იქით კოჩიამ, — სხვებიც საუბრობდნენ აქ, მგონი, მაგრამ ყელში არავის ჩავჩრივარ! არ ვმალავ, არა! ვიცრუე ვაჟიშვილთან, შენს მაცდურ რჩევას ავყვი, წყეულო და ჩამომახრჩვეთ, ჩამქოლეთ ახლა! მაგრამ რომ გაიძახი, ტყუილისა და მეგრულის მეტი ყველაფერი უსწავლია ჩემგანო, რატომ მიწა არ გაგისკდება!

ცოდვაა ბავშვი, ჯერჯერობით სიმართლეს ნუ გავუმხელთ, სიცოცხლე მოეწამლება. კახპა დედის ყოლა რა ხეირიაო, ვინ მეჩიჩინებოდა გამუდმებით, ვინ?! წეღან რომ გკითხე, ბონდო, შვილო, ანას აჩრდილი თუ გახსოვს-მეთქი, გულის გადახსნას ვაპირებდი, მაგრამ შე**ნ მოხუცები** არ გეთმობოდა და სიტყვა პირში შემატოვე. გიხაროდეს, წყეულო, ხომ მიაღწიე საწადელს! ხომ შეაჯავრე შვილს მშობელი მამა?! ვინ წამოიწყო, ვინ თქვა პირველად, დაე, აკაციის ტევრში ემარხოს ცირიბია დროებითო?! იქნებ შვილწარ-

თმეულ ანას აჩრდილიც ჩემი მოგონილია? ვხედავ, უზომო ტკივილს გაყენებ, ჩემო სულისდგმავ, მაგრამ მერწმუნე, მე მხოლოდ ბრმა იარაღი ვიყავი ამ ძმათამკვლელის ხელში.

— ასე, შე კაცო! ძლივს არ ამოიდგი ენა?! — ფხუკუნ-ფხუკუნით ხოტბას ასხამდა ჟინი ანთარი ხეიბარს. შემდეგ ნეკისისხო ეკლის ღერო მორკალა და თავისუფალი წვერო მახათივით გაატარა რგოლში ერთხელ, მეორედ, მესამედ.

ბონდოს ტანმა უკივლა უფრო საშინელი განსაცდელი, ვინემ კოჩიას მოთხრობილმა მოჰგვარა.

„მაშ, შვილის წართმევა არ აკმარე ცოცხლად ადამიანს და სამარეც გაუთხარე, ჯალათო?!“ რამდენჯერაც სცადა ამოეკვნესა, იმდენჯერ ჩაუწყდა ხმა, იმდენჯერ აეშალა ბალანი ოსტატის ხელების მოძრაობას მიჩერებულს.

მოულოდნელმა სიმართლემ ჰაეროვანი კოშკები ხუხულასავით ჩამოუნგრია ბონდოს. ლოდების ზვავში მოჰყვნენ არამარტო გამოგონილი სახეები, არამედ — კოჩიაც, გადია მაფაცა და თვით სათაყვანებელი მასწავლებელიც კი. ბინდისფერმა სძლია ანკარასა და ლურჯს. აკაციის ტევრში მოჩვენებითად გათხრილ საფლავებს წარმოსახვასა თუ ცხადშიც მწარე ღიმილით მიაჩერდა. თითებში ჩანგალს ატრიალებდა ნერვიულად, თავში კი მახლობელი ადამიანების ნაამბობი უგუგუნებდა.

„ეჰ! დასრულდა კი, დასრულდა ვითომ?!“ ამოუტივტივდა უეცრად გონებაში და ამანაც რაღაცნაირად დააშინა. ულმობელი სინამდვილის მორევში ჩაქანებულს დროდადრო ალმაცერად გამოხედავდნენ ერთიანად წამხდარი კოჩია და მაფა. ოსტატის ამეტყველების მოლოდინში გარინდული შეგირდი ახლა ცხადლივ ამჩნევდა სატანჯოელების ურთიერთობაში აქამდე ამოუხსნელ დაძაბულობას.

„აი, თურმე რისთვის ხოხიალებდა მუცელზე რაბის წინაშე კოჩია. აი, თურმე რისთვის გადმოუყრიდა კბილებს ნაძალადევად?!“

— მართლაც, რამდენი სიბრძნეა ლათინებთან?! — ეკლის გვირგვინს ესაუბრებოდა ჟინი ანთარი, — Nosce te ipsum*, ბუტუტი?! Nosce! Nosce! ჭეშმარიტება ყველაფერია, ჩემო თვალისჩინო, ყველაფერი! ის გამუდმებით ჩვენს გვერდითაა, უმეცრება გვართმევს თორემ. სამყაროს თითოეული ატრიბუტი ხომ ადამიანშია ზედმიწევნით დასინთეზებული?! ერთი შეხედვით შემოსაზღვრულ ტვინში

უსასრულობა თავსდება და ამდენად თავიანთი ენტროპიით* იდენტურია რეალური და გონითი სივრცე.

ბუტუტი, ცოცხალი ორგანიზმის არომორფიზმი* დღესავით ნათელია შენთვის. ამის ქვაკუთხედად, თუ გახსოვს, ბუნებრივი შერჩევა და არსებობისათვის ბრძოლა დაასახელა ჩარლზ დარვინმა. მოგვიანებით მარქსისტებმა საზოგადოებრივ მომენტებზე გაამახვილეს მეტი ყურადღება და ადამიანის ფორმირებაში შრომის როლი აღიარეს უმთავრეს დამსახურებად, მაგრამ დავრწმუნდი, რომ მხოლოდ გარემო პირობები ძალზე ცოტაა სრულყოფილი ინდივიდუუმების მისაღწევად. სწორედ აქაა ლამარკიზმის Talus Achillis*. ეს ხომ შებრუნებული ვარიანტია ზარატუსტრას მონოლოგებით ნაციონალური გონმიხდილობისა, სადაც კაცთმოძულეობა წმინდა რასის პრივილეგიური უფლებებით მართლდებოდა, მაშინაც კი, როცა ადამიანის არსებობას ღვთიური სამოსელი ჩამოშორდა, და პითეკის ნაანდერძევ სხეულს დასჯერდა, მაშინაც კი, როცა ბიოლოგია პოპულაციებს შორის ანტაგონიზმს დაექვემდებარა და თუ აქამდე კაცს ღმერთის მიერ ტალახიდან გამოცხობილ ფენომენს ეძახდნენ, მოსიყვარულე ცხოველს, საზოგადოებრივ ცხოველს თუ მოაზროვნე ცხოველს უწოდებდნენ, ხაზგასმით გამოცალკევდა მისი ნამდვილი უპირატესობა, როგორიცაა: იარაღის კეთების უნარი, დანაწევრებული მეტყველება და მაინც დავძენდი, რომ ყველაფერთან ერთად, სრულყოფილი გენების იღბლიანი შეხვედრის შედეგია ჰომეროსი, არისტოტელე, ქრისტე... შენ!

ყოველი ჩემი მიგნება, ბუტუტი, რამდენიმე წლით მაინც უსწრებდა დღეს უკვე საზოგადოდ აღიარებულს. სოკოებივით მომრავლდნენ ბიოლოგიაშიც ნობელის პრემიის ლაურეატები, ჩემი უნიკალური აღმოჩენები კი სამარეში ჩადის, რომ არა **შენ.** მე ჯილდოებს და აღიარებას რომ გამოვდევნებოდი, გერმანიაშიც შემეძლო დარჩენა და საფრანგეთშიც, მაგრამ ორაგული მშობლიური მდინარის სათავისაკენ უნდა მოიჩქაროდეს სამარადისო საფლავისათვის... მე ოდნავ მაინც თუ ვინმე მემსგავსება, ბუტუტი, შვილო, ეს, ალბათ, ბალზაკის ანტიკვარია*. ოდნავ მაინც-მეთქი, იმისთვის ვამბობ, რომ საკუთარი თავის პოვნის პროცესში გაცილებით შორს წავედი. აქამდე ხრიოკ სატანჯოს ახალი სული შთავბერე, ოაზისები ავახასხასე, სამართლიანობის რესპუბლიკად გამოვაცხადე. მოვსპე ძალადობის ინსტიტუტი.

აქ შემომსვლელნო, უიმედობა დასტოვეთ ყველა-მეთქი, მივაწერე კუნძულის წარმოსახვით პორტალს. გამოვრიცხე ძლიერის უპირატესობა სუსტთან, რადგანაც ადამიანს ძალა დასაჩაგრავად კი არა, მისაშველებლად ებოძა. მართალია, აბსტრაჰირებისას უცხო განედებს როდი გამოვედევნე, აგერ, ჩემს სატანჯოში დავრჩი, ოღონდ ესეც არის, ენგურს ძველებური ძლევამოსილება დავუბრუნე, გარემოს —ადრინდელი მიმზიდველობა. მოვშალე ღობეები, საზღვრები. ჩემი და სხვისი საერთო მიზანს დავუქვემდებარე. მე ვარ ის წარმმართველი ძალა, რომელიც აღმართს ხნავს, რომელიც ცვილივით იურვებს ბუნების მოვლენებს, მათგან უფრო მდგრადსა და უსიკვდილოს ძერწავს, წარმავალ სინამდვილეს უკვდავების პირობას უქმნის, ყოფიერს მარადიულ ფორმებში ჩამოადნობს, მაგრამ **მე** მხოლოდ ჩემს შიგნით, ჩემს სახელმწიფოში ვარ **მე,** გარეთ კი, მალექრობად რეალურში —ის, რასაც **შენ** გაამზეურებ, სიცოცხლევ ჩემო! ამაოდ ვეჯიბრებოდი მსოფლიოს, ვინაიდან იმავე შედეგებამდე ისიც მივიდა დაუმოკიდებლად. საზოგადოების წინაშე ამაოდ ვამტკიცებდი პიროვნების უპირატესობას. ჩემი მე ამიტომაც არის ფსკერში ჩაშვებულივით. ჩემი სხეულის ყოველი იმპულსი, ვნება, შენი სრულქმნის პროცესში, ბუტუტი, იმ საწვავს ჰგავდა, რომელიც კოსმოსურ ხომალდს დედამიწის მიზიდულობის დასაძლევად სჭირდებოდა. ეს — შიგნით, ჩემს იმპერიაში, მაგრამ გულსგაღმა სხვათა ცხოვრებით ვიდუხჭირე და ვივაგლახე. ხანაც არისტოტელეს ტოგაში* შევძვერი, ხალხთა მხსნელი უფლისწულის წრთობას გამოდევნებული, ხან იუდას კუპრისფერი მოსასხამით დავქვესკნელდი სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი* მესიის მოსავლენად. ერთი სიტყვით, რაც დღეკრული გავლიე, სულ — სხვის ხარჯზე, სხვათა სიცოცხლით.

მე მხოლოდ ჩემს შიგნით ვარ **მე,** ჩემი ჰალიძონხესთვის და შენთვის, შენთვის, ბუტუტი... შვილო.

ეს ყველაფერი ცხრაასორმოცდათოთხმეტში მოხდა. აქამდე გარდაცვლილად რომ მიგაჩნდა, იმ ცირიბიამ, ამაოდ გავირჯე, ამაოდ დავშვრი, კოჩიასთან შვილი არასდროს მეყოლებაო, გაგვიმხილა მე და შენს გადიას, თან დამამტკიცებელ საბუთად თბილისელი ანდროლოგის* სამედიცინო დასკვნა დააძვრინა ჯიბიდან. ქალი ქმრის გასაგონად სიბერწეს თვითონ იბრალებდა, მაგრამ დაგვიმარტოხელებდა თუ არა, ცალკე მაფას ასაწყლებდა თავს, ცალკე — მე.

თქვენთვის ხომ არაფერია ერთი შვილი მაჩუქოთო, გვეჩიჩინებოდა გამუდმებით. **„იმის გარეშე“**, უკაცოდ მინდა იგი გავაჩინოო,

ისეთნაირად გვევედრებოდა, რომ ბუტუტი, ორივეს ერუანტელი გვივილიდა ტანში. ბავშვი შენს გატანჯულ გადიასაც ენატრებოდა, თუმცა, საწამებლად ის ორი ბედკრულიც მეყოფა-მეთქი, ვეტყოდი და მუცელს მოვუშლიდი ხოლმე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ჭკუით არ მაჯობა. ყმაწვილქალობისას ჭინჭებით რომ იმსხვილებდა მუცელს ძმების გასაგიჟებლად, ახლა პირიქით — თავშალით ივიწროვებდა თურმე წელს და როცა სინამდვილე გამიმხილა, აბორტი ყოვლად დაუშვებელი იყო.

ვინ იცის, იქნებ ჯანმრთელი მემკვიდრე შეგვეძინოს-მეთქი, წამძლია სულმა. მერედა, არც პროფესიული ცნობისმოყვარეობაა ხელწამოსაკრავი დემონი!

იმ ორის უნუგეშო მდგომარეობა თანდაყოლილი ათაშანგის წყალობაა, მაგრამ ნუთუ ამდენი ხნის წამლობა წყალში ჩამეყარა, ნუთუ ამისთანა მომენტს ხელიდან გავუშვებ-მეთქი, ავუხირდი ჩემს თავს. მოკლედ, Odine, Odinia-მ* მშვენივრად ჩაიარა. აგერ, მკერდში ვიხუტებდი ჭიპგაუნასკვავ Agnus dei-ს,* ვიხუტებდი როგორც საკუთარი სულისა და ხორცის ნაწილს. წყვეტილ-წყვეტილად ჩამესმოდა მაფას ხვეწნა-მუდარა, მაგრამ ჯეგე ანთარია ისევ ჟინი ანთარმა დათრგუნა და უსახელო ძე ჩვენთვის კარგად ცნობილი ონწყვეშიასკენ გავაქანე. არ იძირებოდა ის ჩემი ცოდვით სავსე, არა. ცირიბიას საწადელმა როდინდელი წარსული გამომიცოცხლა და კინაღამ თავი ბაწარში გამაყოფინა, მაგრამ მალე წუხილს სიხარული მოჰყვა — ცდისპირთან თანამშრომლობას ერთგვარი ექსტაზითაც შევუდექი. ჩემს რეჟიმში ჩადგა. საგანგებოდ შემუშავებული მენიუთი იკვებებოდა. აქვე ჩემს გენეტიკურ მასალასაც დავუტრიალდი და ზუსტად შვიდ აპრილს დაჰიპნოზებული კიდეც გავანაყოფიერე.

შენს არსებაში აქამდე იმიტომ ვიჩხრიკინებოდი, ბუტუტი, იმიტომაც ჩავკირკიტებდი შენს ქცევებს და ხასიათს, რომ ძმათამკვლელი კაცის ღვიძლი შვილი ხარ. პატარაობიდანვე გაფაციცებით გითვალთვალებდი, მაგრამ საბედნიეროდ უზადო გამჩენიხარ. მხსნელად მოევლინები დედამიწას ჩემი ფესვი. ერთხელ გამონათებულივით ივლი ასე, სულ წინ, ჭეშმარიტებისაკენ და თუ მწარე სიმართლისთვის დაჩაჩანაკებულს მომიძულებ, დაე, ჩემი თავი და ბოლო მეწყერს წაუღია ბეხრეკ ძვლებიანად! დარწმუნებული ვარ, სრულიად ახალი პიროვნება მივანიჭე მსოფლიოს, ფენოტიპურადაც და გენოტიპურადაც * სრულყოფილი პიროვნება. სხვა რა მენდომება სამარის

კართან მისულს?! მართალია, ბევრი შევცოდე, გავაწამე ახლობლები, საკუთარი ხორციცა და სულიც მრავლად ვტანჯე, მაგრამ მომავლის წინაშე თავაწეული შენით ვდგავარ. არ მეშინია ამის ხმამაღლა გაცხადების. დიახ! საზოგადო საქმეების უკეთ გამგრძელებელი შეგქმენ, ხო, შეგქმენ, როგორც დედალოსმა — იკაროსი*. მამას რომ ჩაუტყდა, იმ კიბის საფეხურებს, მჯერა აერიდება მემკვიდრე; მჯერა საყოველთაო სიკეთისათვის ალმოდებული სანთელივით დაიწვება იგი; მჯერა ხანდახან უბედურ ნახევარძმებსაც შეუმსუბუქებს გაძაღლებულ საწუთროს, რადგანაც წინამძღოლისათვის კი არა, თვით ძე შეცდომილისთვისაც არაფერია უფრო ფასეული, ვინემ იცხოვრო ადამიანებისთვის, იბრძოლო ადამიანებისთვის, მოკლედ ადამიანებისთვის!

სამარისებურ სიჩუმეში ზღვის გრუხუნი მისწვდა ბონდოს სმენას.

— რას მიედ-მოედები, ბებერო მორიელო! რაებს ჩმახავ?! — გაიბრძოლა უკანასკნელად კოჩიამ, — მოგნდომებია ანგელოზი ბავშვის მისაკუთრება! ძმათამკვლელო! სულწაწყმედილო! თქვი, რომ იხუმრე, თორემ გაგათავე და ეგაა! — გამოწრუპულ გრაფინს წვდა „შვილწართმეული მამა“.

ჟინი ანთარმა ცოლის ძმისწულს სამოწყალო პასუხიც არ აღირსა. მაფას ქვითინიც არაფრად იპიტნავა. იყუჩა ერთხანს, ვიდრე ყმაწვილს მორიგე ალმური გადაუვლიდა, მაგრამ როდესაც შეატყო, უფრო დამნაცრავ ელდას ბონდო თავს ასე იოლად ვერ გაართმევდა, ალბომი დაითრია.

ინერწყავდა სალოკ თითს და ალბომს ფურცლავდა. ჯერ ერთი ფოტოსურათი ამოაცოცა და მოზეიმე იერით მიაწოდა თვალისდახამხამებაში გამოფხიზლებულ კოჩიას, მერე —მეორე, მესამე...

ფრჩხილებამდე გაფითრებული ხეიბარი ინსტინქტურად ართმევდა სურათებს, ზოგს სახესთან მიიახლოვებდა, ზოგს წინ წამოსწევდა კისერწაგრძელებული.

ცირა: „სად მიგყავს ჩემი თვალისჩინი?! თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ. შენ ვინ მოგცა, გადამწვარს, მაგისი შნო და მარიფათი?!

შვილის წართმევით შეძრული ძუკნა იქნებ ნამდვილს მომყმუოდა მაშინ, მე კი ჩემს გასამწარებლად ირჯება-მეთქი, ტყუილად ვინუგეშებდი თავს?!“

კოჩია ჰალიძონია გაჩახჩახებული ჭაღის ქვეშ ფოტოებს წაღმა-უკუღმა ატრიალებდა სათითაოდ. ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა წარწერებს.

— ჩემს ფრთოსან ჭიანჭველას... ჟინი ანთარისგან. ათას ცხრაას თექვსმეტი წელი. პარიზი... მაფას — ჟინისაგან. ათას ცხრაას თხუთმეტი წელი. ლონი. სახსოვრად მაფა ჰალიძონხეს ჯეგე ანთარიასგან. ათას ცხრაას ცამეტი წელი. ჰალე... ჩემს სიცოცხლეს და სიკვდილს, ჩემს მაფას, ჯეგესაგან. ათას ცხრაას თორმეტი წელი. იენა. — ვაჟიშვილსაც ჰკიდებდა თვალს შიგადაშიგ, მერე ისევ გამოსახულებებს მიაცივდებოდა, კვლავ ბონდოს მისჩერებოდა სასოებით და უცებ, ,,ვავა, ბაბაიაო‘‘,* არაადამიანურად შებღავლა ერთი და გულიც წაუვიდა.

რამდენიმე ნაბიჯიც და ბონდო ჰალიძონია ნაცნობ მათხოვარს გაუთანასწორდებოდა, რომელიც მიწისქვეშა გადასასვლელთან, პირდაპირ ლეღმანაკრავ თოვლზე, ისე არხეინად მოკალათებულიყო, რომ კიბის ქვედა საფეხურებზე ჩამომწკრივებული, სახეშეშუპებული კოლეგები შურით ამოხედავდნენ ხოლმე.

ყარიბს კოჭებთან წაკვეთილ მარჯვენა ფეხზე შარვლის ტოტები ჩველებისამებრ შემოეკეცა და ყურებიანი ქუდის სიახლოვეს ქურიდან გამოღებულ რკინასავით უვარვარებდა.

გათავისუფლების მეშვიდე დღეს, ტკიცინა, ხვლიკისფერი ხუთთუმნიანი რომ აჩუქა ბონდომ, გამოლენჩდა საწყალი, გულუხვობა იმდენად იბევრა, მოეჩვენა ყმაწვილს, თითქოს შეშინდა კიდეცო. ხურდით ფსკერმოთეთრებული ქუდი შინლის ჩამოჩანჩურებული ჯიბისკენ გააქანა, მხოლოდ მერე წამოიღო ხელი გამოშვერილი ფულის გამოსართმევად.

— ოღონდ იმ პირობით, — ყელგამოწევით შეეხვეწა ახალგაზრდა, — რომ ცოტათი თავის სიბრალულს იქონიებ და ფეხს ამისთანა ყიამეთ ამინდში მაინც არ გამოაჩენ!

— არ მინდა მაშინ, მომაშორე რაცხა ქაღალდია! — წაიდუდღუნა მათხოვარმა და ყურებიანი ქუდი თოვლჭყაპიან ტროტუარს დაუბრუნა.

— გამომართვი, კაცო, შენს სასარგებლოდ ვამბობდი, თორემ მე რა ?! — უთხრა შემკრთალმა ბონდომ. **„ბრმანი აღიხილვნენ, მკელობელნი ვლენენ, კეთროვანნი განწმდებიან, და ყურთა ესმის, და მკუდარნი აღდგეიან და გლახაკთა ეხარების.*** ვაი, თუ

გამაწბილოს?!“ შეეკუმშა გული, მაგრამ გაზინთულმა ხელმა ფიფქ-თაცვენაში ნახევარწრე მოხაზა და ახალგაზრდამაც შვებით ამოსუნ-თქა.

— საკმარისია სამ დღეს დავმალო ეგ ფეხი და ჩხოუშიას ხიდის ქვეშ მომაკითხე ძვლებისთვის, მარიას რომ ვეჯახირები ხანდახან, იქ, — თქვა აურაცხელი განძის მფლობელის კმაყოფილებით მათხოვარ-მა, — როგორც ჭიაყელაა ანკესზე თევზის მიმტყუებელი, ვენაცვალე და ისეა ჩემი მუგუზალი ფეხიც, მით უმეტეს — ამისთანა ამინდში! მილიონერი მამა გეყოლება და სანამ დროა, ფანტე, ჭირიმე, ფანტე!

იქიდან მოყოლებული, როცა პატარა მეგობრებთან ერთად ბაზ-რის წინ ჩამოივლიდა ბონდო, მათხოვარს მხრები აუთამაშდებოდა. ჟინი ანთარივით ხელების ფშვნეტას მოჰყვებოდა, ხან გროშებს მოუ-რევდა აცუნდრუკებული, ხანაც ყავარჯენს გადააბრუნ-გადმოაბ-რუნებდა გასამრჯელოს მოლოდინში.

,,განა სხვანაირია დამშეული კამეჩისა და მაძღარი პატრონის და-მოკიდებულება?!“ — ფიქრობდა ტროტუარზე მიმავალი ჯეელი, ,,ჰმ! მონა და მფლობელი, ბატონი და ყმა, დომინანტური* და რეცესიუ-ლი,* სრული და შეფარდებითი ექსპლუტაცია. Hic hereat aqua* საინტერესოა, ვინ ვის უსწრებს, იმონებენ თუ ემონებიან?! მერედა, სამართლიანია ან ერთი, ან — მეორე?! მკერდში მუშტის საბრაგუნე-ბელი რა აქვთ, თავისუფლება რომ წაართვეს დაბალ ფორმებს, ხშირ შემთხვევაში თანასწორებსაც კონსტიტუციურად და წკნელივით დაიურვეს მათი ნებლობა, ის თუ, სხვისი ძალაუფლებისადმი მორჩი-ლება გადაიქცეს ცხოვრების წესად?! ვინ ვის განსაზღვრავს ჩვენ ორ-ში, მე — ჟინი ანთარს თუ ჟინი ანთარი —მე? კი, ბატონო, შემაერთე-ბელი ხიდია ჩემსა და მარადიულ სიცოცხლეს შუა. კი, ბატონო, მის-გან მომდინარეობს ჩემი აზროვნების სისტემა, მაგრამ მე ხომ რაოდე-ნობრივადაც და თვისებრივადაც meta* ვარ უკვე?! **არა არს მო-წაფე უფროჲს მოძღურისა თჳსისა, არცა მონაჲ უფროჲს უფ-ლისა თჳსისა.*** მაგრამ უარყოფის უარყოფის კანონი?!“

მოგვიანებით, მართალია საჩუქარმა იკლო, თუმცა დღეგამოშ-ვებით თითო ოცდახუთმანეთიანი თუ თუმნიანი რამხელა ნუგეში ყო-ფილა ხელგაშვერილი კაცისთვის, მხოლოდ ახლა, ამ უსახსრობის ჟამს შეიქმნა ბონდოსთვის ნათელი. სინდისისი ქეჯნით გაწამებული ახალ-გაზრდა თავს იმგვარად ღუნავდა, თითქოს რაღაც მიუტევებელი და-ნაშაული მიუძღოდა ატროვებული მათხოვრის გაღადღადებული

ფეხის წინაშე და საერთოდ, ძლივს იკავებდა ყელში მობჯენილ ქვითინს, ვინაიდან, როცა უანგაროდ გასცემდა, ეგონა სიკეთეს თესდა, კუზიანს ასწორებდა, სნეულს კურნავდა, სინამდვიმლეში კი ათასთა სინდის-ნამუსს, მათ უმწეობას ყიდულობდა იმ ფულზე თურმე. მიუხედავად ასეთნაირი განწყობილებისა, გაქუცულ თუმნიანში მარჯვენას დათმობდა ახლა ბონდო ჰალიძონია. მიწისფერ ქუდში ჩაუკუჭავდა გლახაკს და სულიდან უქონლობის, უთვისტომობის დამამცირებელი ტვირთიც მოეხსნებოდა, მაგრამ რასტინიაკის* მოქნილობა შორს იყო მისგან. ან ჯიბეების თვალთმაქცურ მოქექვას რა აზრი ჰქონდა, როცა მათში მეოთხე დღეა გახვრეტილი კაპიკიანიც არ გაჭაჭანებულა?

„თუთარჩელას“ წინ, გაუქმებულ შადრევნამდე, მიჰყვა ერთიანად წამხდარი ინვალიდის გასახტებული მზერა.

შიმშილისგან თავბრუ ეხვეოდა ბონდოს და იმავდროულად ერთგვარ ნეტარებასაც გრძნობდა.

„წუთისოფლის ხდომილება თანაბარია თურმე. ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის ინფორმაცია ერთი ბიტის*ბადალია. ჟინი ანთარის მესმე არ არსებობს, აბსურდია, გამორიცხული. ვერავის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუაჲ იგი შეიყუაროს, ანუ ერთსაჲ მის თავს-იდვას და ერთი იგი შეურაცხ-ყოს. ვერ ხელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაჲსა.* რომელია უფრო ნაღდი, კოჩია თუ რაბი?! ჩემი მსჯელობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი, რადგანაც ჯერ კიდევ რაბით მივმართავ. მაინც რომელია უფრო წრფელი?! როგორ უცებ შემელია, როგორ დამთმო დღე-ღამეში. ისეთნაირად მომმართავდა, თითქოს ქვეყნად არც კი ვარსებულიყავ. რა შედარებაა?! რა მალე გატყდა, რა მალე დაყარა ფარ-ხმალი?!

აუზის თოვლგადახვეტილი ფილაქნის კიდეზე ჩამომჯდარი ბონდო, მისი კედლების ყვითელ-წითელ მოზაიკას მიაშტერდა. ანაზდეულად სპორტული ჩანთის ელვასაკრავი გაასხრიალა. შემნახველი სალაროს წიგნაკებში, ფოტოსურათებსა და თაბახის ფურცლებში მერამდენედ უფათურებდა ხელს, მაგრამ ფუნთუშების მადისაღმძვრელი სურნელებით პირზე მომდგარი ნერწყვი როდი განსაზღვრავდა ამ ჩხირკედელაობას. მან ხომ მშვენივრად იცოდა, რა განძის პატრონიც იყო. აჰა, ეკლის გვირგვინმა ცერი გაუპო ყმაწვილს, თუმცა ტკივილის ნაცვლად გული აუჩქროლდა. ანაზდად ტუჩებზე სევდა-

მოფრქვეული ღიმილი გამოესახა. რატომღაც მოუნდა არაფრის მაქნისი საბუთები დაეფლითა, ნაკუწ-ნაკუწ ექცია და სახეში მიეხალა გადარეული ქალაქისათვის, მაგრამ კვლავ საზრიანობამ გადასძლია, უკეთ, ეს განცდა პოეტის აღიარებულ განწყობილებას ედრებოდა რამდენადმე, სადაც ერთხელ ჩაქნეული მკლავი ზევით ვეღარაფრით აწეულა. გვირგვინი ამოიღო და ერთმანეთში ჩამჯდარ ეკლებს იუველირის ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა.

თავისუფლების მესამე კვირა იყო: მიაბიჯებდა ტროტუარზე და გული ბაგაბუგით უცემდა. ამნაირად ემართებოდა, როცა ნათელი აზრი ესტუმრებოდა ხოლმე.

„ფულს გადავუგზავნი ოდაბადებში ძმებსო“, დაასკვნა და ლამის სიხარულისაგან გადარეულიყო.

შემნახველი სალაროს ხალხმრავალი დარბაზი ყურისწამღები ღრიანცელით დაუხვდა. დიდი და პატარა კედელზე მიწებებულ ცხრილებს უკირკიტებდა. ყელშიშველა ქათმებს მიუგავდათ წაგრძელებული კისრები. მარმარილოს ნაფხვენის იატაკზე კოჭებამდე ეყარა ლატარიის გადახეული ბილეთები.

— დირექტორი არ არის? — ჰკითხა ბონდომ ლურჯხალათიან ქალიშვილს, რომელიც ეს-ეს არის ტიხარიდან გამოვიდა ელექტროჩაიდანით ხელში.

— არა! — უგულოდ უპასუხა მან.

— მოადგილე?! — ჩააცივდა ყმაწვილი და მკლავზეც წაეტანა საპირფარეშოს ზამბარებიანი კარისკენ მიმავალს.

— არც ის! — თქვა და მონუსხულივით გაირინდა კითხვადქცეული ცისფერი თვალების წინაშე.

— ფულის გატანა მინდოდა, — სიწითლემ გადაურბინა სახეზე ახალგაზრდას.

— მერედა, გამგე რა შუაშია, ან მოადგილე?! აჰა, შეავსე, — უთხრა და მარდად მიაწოდა წაგრძელებული ყუთიდან ამოცოცებული ბარათი.

— გმადლობთ, მაგრამ...

— მიგიხვდი. საგიჟეთია პირდაპირ. ჩვენთან შემოდი!

— სულ სხვას ვგულისხმობდი.

— მაინც?!

— ვთქვათ და აი, ოცდაათი ათასი მანეთის ერთბაშად გატანის უფლება თუ მაქვს?!

— გრცხვენოდეს! — წარბი შეიკრა ქალიშვილმა.

— აგერ წიგნაკი! „ვამასხარავებ ჰგონია“.

— პასპორტიც თან გაქვთ?! — ჰკითხა ოდნავი პაუზის შემდეგ ასულმა გაოცებით.

— პასპორტს ამ დღეებში მომცემენ. დაბადების მოწმობა ხომ ივარგებს?!

— რამდენი წლისა ხართ?!

— ჩვიდმეტის, — უპასუხა ბონდომ გვარიანი ყოყმანის მერე.

— ვერ არის კარგად საქმე! —თავი გადააქნია ლურჯხალათიანმა.

— რატომ, რატომ-მეთქი?! —გაბრაზება სცადა მეანარემ, მაგრამ არ გამოუვიდა. „აქაც ერთი წელიწადი!“

— რატომ და ჯერ სრულწლოვანი არ ყოფილხართ.

— ეს რა ბარბაროსობაა?! თექვსმეტი წლის ალექსანდრე ქვეყნებს განაგებდა, მე კი ჩვიდმეტი წლის „უფალს“ მუტრუკს საკუთარი ფული ვერ გამომიტანია.

— განახოთ ინსტრუქცია?! არა? დედ-მამამ თუ იცის?!

— თქვენ... თქვენ... — გაცეცხლებულ ბონდოს ენა დაება. „ქურდი ვგონივარ“.

— საწყენად როდი ვთქვი, წესია ასეთი. გიკავებს იმ ფულს ვინმე?! ხვალ ორივე მშობელი მომიყვანე და მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა!

— ლილა, სამართებელი, ლამპის შუშა, ლამპის შუშა! — გაჰყვიროდა ჩოქორთული რუსულით ზონზროხა ბოშა ქალი ქუჩის გადაღმიდან.

— საწოვარა, საღეჭი რეზინა, ბორია მარჩიელობს, ბორია მარჩიელობს! —ეხმიანებოდა ბოლოქანქარასავით მოუსვენარი შავტუხა ტანმორჩილი. მარცხენა ხელში წვრილად დახვეული ქაღალდებით სავსე ცილინდრული კოლოფი ეკავა. ყვითელ-მწვანე კანარის ჩიტი ნისკარტს ჩაჰკრავდა იმ კოლოფს და მოდერნისტი მჩხიბავიც მაგიურ გრაგნილს დიდის ამბით მოგაწოდებდა დაღვრაჭნილი თითებით.

„თქვენ გელით შორეული მოგზაურობა საყვარელ ადამიანთან ერთად. ერიდეთ პიკის ქალს, მაგრამ ბოლო კარგია. ქოსა გატყუებთ, წვერიანი კაცი ხელს გიმართავთ“.

როგორც დღეების წინ, ახლაც ხან ამვლელ ქორვაჭარს წაებღაუჭებოდა სახელოზე ბოშა ქალი, ხანაც — ჩამვლელ ტეტია მყიდველს.

ტაქსების გაჩერებასთან ხომ ნამდვილი ვაი-უშველებელი გაჩაღებულიყო. დაამუხრუჭებდა მანქანა და წამსვე ჯგროდ მიაწყდებოდ-

ნენ მგზავრები. გამარჯვებული ყველთვის ის გამოდიოდა, ვისაც ღონიერი მკვლავები ჰქონდა და სინდისიც ნაკლებად აწუხებდა.

კამათობდნენ, დავობდნენ, კისრის ძარღვები ებერებოდათ. მართლმსაჯულების კრძალვა და შიში რომ არა, მზად იყვნენ ყელში ბრდღვოდნენ ერთმანეთს, თვალები ამოეკორტნათ.

ჩხოუშიის ხიდის იქით, ბრეზენტის უშველებელი კარვიდან მოტოციკლი ღმუოდა. ნიკაპათრთოლებული უმზერდა ბონდო გულისამრევ ორომტრიალს.

სულსწრაფობაში ერთ მანდილოსანს პარკი გაუცურდა ხელიდან და მოტკეპნილ თოვლზე გაიფანტა წითელ-წითელი ვაშლები.

„დავუშვათ და რომელიმე მოგორდა ჩემთან, დავუბრუნებდი ვითომ პატრონს, თუ შევიწმენდდი სახელოზე და სულის მოუთქმელად შევსანსლავდი როგორც ბიბლიურ ნაყოფს ცლომილების გზაზე დამდგარი?!“ — იაზრა, მაგრამ იქვე, — არაფერიცო, — უსაყვედურა თავისთავს, — „კუჭის წრიალი ვერასოდეს დაგიმონებს შენ, ბონდო ჰალიძონიასა და ბუტუტი ანთარიას შორის გახირულო გიორგი ხანთარიძევ! **არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.** *

თვალწინ ჩაუქროლა ცხრა იანვრის ღამემ. ხარირმის რქებით ჯახუნით უკან რჩებოდნენ უღრანები. ხელისგაწვდენაზე გამეხებული ზღვა მძვინვარებდა გალიაში დამწყვდეული ნადირივით. ყოველი ტალღა ბონდოსკენ მოიჩქაროდა, ბონდოს ეპოტინებოდა, უფსკრულში ჩათრევას, მოუსავლეთში დანთქმას უქადდა.

ბნელში ჩაკარგული სანახები, აკაციების კორომი და გაყინული ნაკადული სისხლს უმღვრევდა ყმაწვილს. არავითარი სევდა, არანაირი სინანული, მის სულში გაჯავრებული ზღვის ბადალი სტიქიონი ბობოქრობდა სწორედ.

ბონდოს ცნობიერებაში რაღაც შექანდა და ოცნების გაშლილი ნიჟარიდან აქამდე ფარულმა მარგალიტმა გამოაშუქა, მიმზიდველმა, თვალისმიმტაცებელმა მარგალიტმა, მაგრამ მომაკვდინებელი შხამის მფრქვეველმა ამავდროულად. ამიერიდან იშვიათი ღირსების ტკბილ-მწარე განძს პატრონობდა, რომელი საუნჯეც მარტოობისაგან ათავისუფლებდა, ხალხისკენ უბიძგებდა, საკუთარ ბედისწერას კოსმოსური სიმაღლიდან უჩვენებდა, თუმცა უსამართლოდ დაკოდილ გულს ეშველებოდა რამე? — გარეგნულად თითქოს ინარჩუნებდა კიდეც სიმშვიდეს. **„გედი დაჭრილი ოცნების ბაღით.** ვნახოთ, ვინ ვისო!“ გაიფიქრებდა წარბებშეყრილი, მაგრამ ძვალ-

რბილში გამჯდარ თრთოლვასაც ვერაფერს უხერხებდა. ეს სისუსტე გარკვეულწილად გათელილი თავმოყვარეობის გამოც იყო, ვინაიდან საბოლოოდ აეხადა ფარდა წლების მანძილზე კულისებში გამართულ შეთქმულებას.

„სიჭაბუკეში აუხდენელ ოცნებას ახლა მაინც აისრულებს ჩემი მეშვეობით რააააბი! Cantus cycneus*, ბოლო ყვავილი, ფრთოსანი ჭიანჭველა!“

ასე იყო ერთხანს, ვიდრე ზღვაზე მიმავალი გემის ბარიტონი ჰაერს შეარხევდა და თითქოს ნიშანს უცდიდაო, გამოერკვა ბონდო, ნავის ყელმოღერებულ კიჩოს წიხლი მიარტყა. ნიჩაბმა ტყაპანი მოადინა წყალში და მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლებულივით ამოისუნთქა ლტოლვილმაც.

— არსად დაგეკარგოთ! — მიაძახა წყდიადს.

მხოლოდ ერთხელ, ერთხელ მიხედა ბონდომ სატანჯოს ჩაწკვარამებულ არეებს, ზეზეურად ჩამომხმარ, გადაბრეცილ მუხას, ჯერ კიდევ გუშინწინ სულზე უსაფარლეს ლელქაშებს, შემდეგ ფეხს აუჩქარა და ასისინებულმა ლერწმოვანებმა ნელინელ შეიწოვეს ჭურიის ტალღების ანაბარა მიტოვებული ოჩხომელი.

საკუთარი ნაბიჯების ხრაშახრუში ძლივს ჩაესმოდა ბონდს. ზღვა ურჩხულივით წამოეკლაკნებოდა ზემორე, აქაოდა მგზავრის ჭიანჭველასავით გასრესა მოუწადინებიაო. ერთიანად გავეშებული, ზათქით, გრუხუნით იმსხვრეოდა მერე და ჯეელის ფეხებთან აღესრულებოდა დუქმორეული.

ზუზუნებდნენ ტელეგრაფის მავთულები. უკაცრავად, მავთულები კი არა, ეს ბონდოს ძარღვები გაბნეულიყვნენ ქარში და მისი სულის ისტორია ოთხამოღებით მიჰქროდა უნაპირო ცისკენ. ლოყები ესუსხებოდა ყმაწვილს, მაგრამ ბეწვის ქუდი თავიდან მოეშვლიპა და გაოფლილ, მაღალ შუბლზე მარილით გაჯერებული ქარიშხალი აწვებოდა. მუხლებზე სცემდა ქურქის კალთები. მხარზე სპორტული ჩანთა მოეგდო, რომელშიაც უწესრიგოდ ეყარა მასწავლებლის სტუდენტობისდროინდელი ფოტოები, შემნახველი სალაროს წიგნაკები, ხუთთუმნიანების დასტები, ეკლის გვირგვინი, სხვანი და სხვანი.

მამლებმა მესამედ იყივლეს, როცა ბონდო ჰალიძონიამ გაქცევა საბოლოოდ გადაწყვიტა, ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა, ყველაფერს ხაზი გადაუსვა — მის აღზრდა-განათლებაში გახარჯულ ოფლსაც, ენერგიასაც, ჟინი ანთარის სავარძლის მოუსვენრობასაც, კოჩიას ბოდ-

ვებსაც, გადია მაფას ოთახიდან ოთახში თითისწვერებზე სიარულსაც. მეტის დახანება აღარ შეეძლო. აღარ შეეძლო თვალებში ეცქირა ადამიანებისათვის, რომლებიც მთელი ცხოვრება თურმე საცდელ ჭიანჭველასავით უკირკიტებდნენ.

დროდადრო კბილებსაც გაუხრჭიალებდა ხოლმე ლეჭენჭყოებს და მის გულქვა ბინადრებს. გააფთრებული ზღვის გრიგალი გაუტანელი ბედისწერის მოახლოვებას აუწყებდა ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიასავით. ახსენდებოდა სატანჯოელის „დუდუდუ-დუმ, დუდუ-დუ-დუმ“; აგონდებოდა რანაირად გადატყდა თამამი ეკლის ღერო მკლავისგაშლაზე, ან კორძიან ხელებში როგორი რუდუნებით შეიკრა იგი მერე გვირგვინად. ახსენდებოდა სიჩუმის სიმბოლო — ვარდების სიხასხასე და სიმრავლე, მაგიდას საგანგებოდ შემომწკრივებული ცამეტი სკამი და ვეფხვისა და მოყმის ორთაბრძოლა მაფას მოქსოვილი ხალიჩიდან.

ზურგს უკან რჩებოდა ასისინებული ლელიანები. მიაბიჯებდა „ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული“* და იანვარს მოძმედ არ ვეძნელებიო, ესესხებოდა წარამარა პოეტს.

სამხედრო ნაწილს გვერდი აუქცია ბონდომ და მთელი ზღვისპირეთი უმტკინვეულოდ განვლო.

დარჩელის მისადგომებთან თოვლი წამოეწია ლტოლვილს, წამოეწია როგორც შვება, როგორც ნუგეში, მაგრამ დადაბლებული ცისკენ ერთხელაც არ აუხედავს; ანდა რა სიკეთეს მოიხვეჭდა მიღმეთიდან, როცა აგერ, მახლობელი მიწა, ხელისკვრითა და საწამლავით გაუმასპინძლდა? გადაწყვეტილი ჰქონდა და კიდევაც ისრულებდა განზრახულს — რაც შეიძლება შორს დაეჭირა თავი სატანჯოელებისგან. ამიტომაც არ ეპიტნავებოდა საკინძეგაღეღილი ეს ცარგვალი, ფეხქვეშ მოჭრაჭუნე ყინულ-ჭირხლი, ბუხრების ყელიდან უნიათოდ ამომავალი კვამლი, შუკებში შექუჩებული მობღუნკული ნახირი, ძაღლების ღავღავი, მოკლედ, ყოველივე ის, რითაც სულდგმულებს სოფელი და რაც ადრე აგრერიგად ხიბლავდა.

„როგორ მიმუხთლა ყველამ? იმანაც კი, ვის მზე და მთვარეს ვფიცულობდი, რაბის ვეძახდი, გამუდმებით თვალებში შევციცინებდი. ბედის ირონია თუ გინდა! თორმეტი წელიწადი ველური ფავილები დამქონდა დედისა და ჯიმგეს საფლავებთან. Aut Caesar, aut nihil! vivere, militare est!* ჰმ! გრანდიოზულ, ყოვლისმომცველ მისიას მაკისრებს სინჯარაში გამოჩეკილ ძეს. მაინც რა ოსტატურად ამაკრეს თვალებზე ლიბრი? სატანჯოში ჩოქჩოქითა და გოდება-ცრემლით ჩა-

მოსულ დედაზე, ანას აჩრდილია, ბონდო, შვილო; ანა რკიანსიაო, ნანაგე; ანა კივის, ბუტუტიო, მეცურუვნენ. თვით უსათნოესმა გადიამაც კი შეგნებულად წამიყრუა შვილივით გაზრდილს და შხამსამსალზე უმძიმესი სინამდვილე **ძვირფას** საჩუქრად მომართვეს ერთობლივად დაბადების დღეს.

მაფა: ოდაბადელებს, ნანაგე, უფრო და უფრო აღიზიანებდათ, როგორც ცირა-არდაშელის, ისე — ნოჩოსა და ცარო მუშუქიას თავის მართლებანი.

განა ბეცი იყოო კოჩია, რომ ცუდისგან კარგი ვერ განესხვავებინა, ღალატისაგან ერთგულება ვერ გაერჩიაო, ბჭობდნენ ისინი შუკა-შუკა, დალუქული მაღაზიის წინ თუ ქორწილ-ქელეხში.

განა უსაფუძვლოდ გამობღავლდებოდაო ჭოფია ანთარიას ბორანთან ჭინჭებიდან ხელებათათავებული ბონდოიათი და შემოფეთებულებს უსაფუძვლოდ მოგვაკივლებდაო, არავინ მომეკაროს, თორემ ახლავე გავაფრთხობინებო სულს! ზეასწევდაო პატარას და ჩვენც ღობეებს ვაწყდებოდითო, მეათასედ იმეორებდნენ ერთსა და იმავეს.

განა ტყუილ-უბრალოდ ააჩქარებდაო ჭოფია ანთარიას გაღმა ნაპირისაკენ, თან ქვესკნელს დანთქმულიო თქვენი ოჯახები, ამომწყდარიო თქვენი ფესვი და ბოლო, მოგვაწყევლიდაო განურჩევლად ყველას, ვარაუდის გასაძლიერებლად კოჩიას სიტყვებსაც მოიშველიებდნენ, ნანაგე. ესე იგი მწირავადა იქაც და აქაც“.

რისა მესამე

კოჩია ჰალიძონია
428571

არ ეზარებოდა ცარო მუშუქიას მაზლების ტანსაცმლის რეცხვა, გაუთოება, მათი აურაცხელი სტუმრისათვის მეფური სადილის მომზადება, მაგრამ სულ გაყრაზე ოცნებობდა, სულ საკუთარ ჭერფუძეს ნატრობდა. არსთა გამრიგეს ხელებდაგრძელებული მამამთილის მსუნაგი მზერისგან შორს ყოფნას, გაკაპასებული დედამთილის უსაფუძვლო საყვედურებისაგან განთავისუფლებას ევედრებოდა გა-

მუდმებით. სატანჯოელების ხსენებასაც ამის გამო უხშირა. ბავშვებს უნახავი მამიდისა და ბიძის სიყვარულს უნერგავდა მახლობლების თუ უცხოთა გასაგონად.

— მაფას წილი ლუკმაა კოჩიას რომ მიჩაგრავს! აი, როგორც კი აბრეშუმის პარკს ჩავაბარებ, ზუგდიდში მივდგებ-მოვდგები და ვნახოთ, მულის გამზითვა თუ ვერ შევძლო, — დაიქადნა, რითაც წარმოუდგენლად აუჩუყა გული დედამთილს.

„რატომ მაშინ არ მომტყდა ეს ხელი, როცა ანგელოზი რძლის დასარტყმელად აღვმართე?!“ გაიფიქრა ლისა შკვითიანიამ, მერე აგვისტოს კამკამა დღეები მოახლოვდა თუ არა, ცარომ მართლაც დაიჭირა თადარიგი. საჭირო ავეჯსა და ნივთებს თავი ნელ-ნელა მოუყარა. ბოლოს ურემში ხარკამეჩები შეაბმევინა ნოჩოს. დააწყო ზედ მონიკელებული საწოლები, დაგრაგნილი ხალიჩები, ნოხები და ფარდაგები, ხელის საკერავი მანქანა, საბან-ლეიბი, ფუმფულა ბალიშები, ჭურჭლეულობა, კარადა, მაგიდა სკამებითურთ, ჩასაცმელ-დასახურითა და პურ-მარილით გამოტენილი ხურჯინები, დაჯდა მერე კოფოზე ქმარ-შვილის გვერდით და ჭურიის გზას დაადგა.

იქიდან მოყოლებული წელიწადში ორ-სამჯერ უსათუოდ მიაკითხავდა სატანჯოელებს. მითქმა-მოთქმას წაუყრუებდა ცარო მუშუქია. შერისხულ ადამიანებთან ურთიერთობას აგრძელებდა.

ოდაბადელები ახლა ბადუს მზეს ფიცულობდნენ მართლაც, რადგანაც აშკარად ამჩნევდნენ, „საერთო კეთილდღეობისათვის თუ როგორ ჩამოდნა მათი თავმჯდომარე, როგორ ბერდებოდა უძიროდ“, რანაირად კმარობდა ძმისშვილების სიყვარულს და რარიგ ანებივრებდა არდაშელს — „ოდაბადებელის მომავალ თავკაცს“.

გზისპირებზე აკაციის გაქერქილ ბოძებს ამწკრივებდნენ. დენი შემოჰყავდათ. აშენებდნენ ბაგა-ბაღს, კლუბს. ასფალტს აგებდნენ თემშარაზე. ბევრგან ოდა-სახლი აიწვართა. გედე ჭანიას მარჯვენას მლოცველი მოუმრავლდა. ტრიფოლიატის ცოცხალ ღობეს ნელინელ მესერი შეენაცვლა. უკვე სოფელში შემოსრიალებული მანქანა არავის უკვირდა. ადრე ხოთო ქობალიას ეტლიც კი ასობით ონავარს რომ აიდევნებდა გზადაგზა, დღეს, აგერ, მუხლმაგარ ოდაბადელს ჩეროში ეყენა ავტომობილი და კაბინაში შელაგებული მალხაზები გულის გამაწვრილებლად აპიპინებდნენ, ატრიალებდნენ საჭეს, მაგრამ სად თქმულა დღე — ღამის გარეშე, ან ბედნიერება — უსიმწროდ?!

ყველასათვის მოულოდნელად ბადუ ჰალიძონიას ხალხის მტრობა და მოღალატე სიძის მფარველობა დასწამეს. უყაირათობა, მავნებლობა და კიდევ, ვინ მოსთვლის, რა დააბრალეს. დაიწყო ჩხრეკვა, დაკითხვებ, ენის მიტან-მოტანა. მართალი და ტყუილი ერთმანეთში აირია.

ჟინი ანთარსაც გუდა-ნაბადი აუკრეს.

— სამართალმა უწია! — ჩუმათობდნენ ოდაბადელები.

აქამდე მოწმენდილ ცაზე რაღაც ავისმომასწავლებელი ღრუბლები გროვდებოდა.

სასამართლოს განაჩენით უკმაყოფილო ყიფამ, ,,მეც ნახირ ნახიროო'' და კუსავით ფეხი გამოყო, ცოტნეობა მოიწადინა — პარტიის მანდატი შუაზე გადაფხრიწა და პროტესტის ნიშნად მსაჯულებს ცხვირ-პირში მიაყარა. ,,უტვინო თავი სულელურად წააგო''.

იმ წელიწადს არდაშელ ჰალიძონიამაც სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მაგრამ აქეთ სულისშემხუთავი შეტევები მოუხშირდა კოჩიას და მაშინ დის ცოდვა გვსდევნისოო, შუბლზე იტკიცა ხელი ნაარყალმა ნოჩომ.

,,მაფას სასიკვდილო გაწირვისათვის საკადრისად სჯით ზეციერი. მას რომ სული უდგას დღემდე, ალბათ, იმ ორიოდე მტკაველი ბაწრის წყალობითაა, ხელში რომ შეატოვა ხაბოდან გაფრენილმა. იმ სამიოდე თვის ნესვისტოლა ქვის წყალობითაა ხალვათად რომ შეაბა ყველზე. ზურა.*

ახია ჩემზე, დარიშხანი რომ არ შეგაპარეთ ვახშმობისას. იმიტომ თქვა ასე, ძმებს ჩადენილი უმსგავსოების გასამართლებლად მეტი საფუძველი ჰქონდათ სინდისის ქეჯნას ნაკლებად შეეწუხებინათ. კვდებოდა და კიდევ იმ თხლეებზე ფიქრობდა, მაგრამ მე? ჩემთან რაღა ღმერთი გაუწყრა!''

შვილების ბედ-იღბალი განსაკუთრებით ცარო მუშუქიას აჟრუანტელებდა.

ფილტვების დაჩრდილვა პატარაობიდანვე ღრღნიდა კოჩიას და მშობელიც ნებისმიერ განსაცდელს წინასწარ იყო შეგუებული, მაგრამ ღვეტერია* არდაშელის ბურუსით მოცული მომავალი დღითი დღე სულს უწამლავდა, მოსვენებას ართმევდა ჭირნახულ დედას. რასაკვირველია, კოჩიას მოსარჩენად ცარო მუშუქია არაფერს იშურებდა, ღამეებს უთევდა სისხლის ღებინებით მოთავებულს, ფულსაც უზომოდ ანიავებდა, ჯანმრთელობასაც და დედამთილის ნერვებსაც, მაგრამ სნეული პირმშოს ჩაყვითლებულ სახეს არაფერი შველოდა.

დაწყევლილ ადგილებში გავლა, ნესტოგამოხრული კაცის ნავ-

ში ჯდომა თუ დანაყილი მოლესკულების ხსნარის ყლურწვა კოჩია ჰალიძონიას პირველად უხაროდა, ეგონა, არდაშელივით გაჯანსაღდებოდა, მაგრამ თავს უბედურება დაატყდათ და განდეგილებთან მიმოსვლაც შეწყდა.

„კოჩია: მისმენ?! ოჯახის დამაქცევარი ცარო მუშუქია და ყორანივით მოყრანტალე ლისა შკვითიანია ახლა ყველაფერზე ქიშპობდნენ და რაც მეტი დრო-ხანი გადიოდა, მათ უთავბოლო ძიძგილაობანას ჩაკვირვებული ვრწმუნდებოდი, რომ განკურნება არ მეწერა. გამოვიდოდი თუ არა შუკაში, თითქოს წამახული შუბი კეფაში მაძგერესო, მუხლები მომეკვეთებოდა. ყასიდად კენჭებს დავწვდებოდი, შარვლის ტოტებს ვიფერთხავდი, ფეხსაცმლის ზონარს ვიკრავდი, თხრილის კიდეზე ვჯდებოდი, ოღონდ სიარულისათვის გოგონებს თვალი არ შეესწროთ.

ადამიანში, შვილო, კოჩია, მთავარი აზროვნების სიმაღლეა, დანარჩენი — წარმავალი და უმნიშვნელოო, ხშირად მეტყოდა დადარდიანებულს წარწყმედილი, მაგრამ ეს შეგონება ვერაფრით დამეჯერებინა, ვინაიდან აშკარად ვხედავდი, რომ მანკიერება დღითი დღე მაბეჩავებდა. ხანდახან გულში ვწყევლიდი კიდეც გაჩენისთვის მშობლებს. ეს გრძნობა წლების მომატებასთან ერთად მიმძაფრდებოდა და საკმარისი იყო, სადმე ბებია და დედა წაკინკლავებულიყვნენ, რომ მაშინვე მოხუცს გამოვესარჩლებოდი, თუნდაც აშკარად მტყუანს. მხოლოდ წიგნები მანუგეშებდა, ბონდო, შვ... პირზე სასაცილოდ აიფარა ხელი. **გასაცოდავებულ კიდურებს კვაზიმოდოს კუზს ვუდარებდი, ესმერალდას მოლოდინში სული მერთმეოდა, თუმცა რა მოლოდინი, რის მოლოდინი?! ის, აგერ დაიარებოდა, ოდაბადეს შუკებში, ლადი ჭანიას ეზოსა და ფიცრულში, ოქროსფერთმიანი, თამამი. სიმახინჯეს ვერაფრით მოვერიე, ვერც ღირსებათა დაცვას ვახერხებდი.**

სხვების მოსაჩვენებლად მევლებიან თავზე, თორმე, ეტყობა, აკვნიდანვე მოძულებული ვყავართ-მეთქი, გავიფიქრებდი ზოგჯერ. ყოველ შემთხვევისათვის, ჭკუაში ჩავარდნის მერე ექჭვებმა მოსვენება წამართვა. თითქოს ჩემი ბრალი ყოფილიყო სხეულში მარილების სინაკლულე, მუხლებს ქვემოთ წვივების მოღუნვა და აცაბაცა სიარული. ან იქნებ ვინმე ჭკუათმ-

ყოფელს ჩემი უხეირობისთვის დაებრალებინა ფილტვებში წაბღაუჭებული ასთმა?! ის, რაც ჩემს მთლიანობას აკლდა, ერთიანად არდაშელს მიეთვისებინა.

ცოტა გვყოფნიდა, შემოგევლე ავადმყოფს და ტკივილების დასაამებლად ჩემს ვირუკელას ძუძუს ძალად ვაწოვებდიო, იტყოდა დედაჩემი აქა-იქ და მიხაროდა, გულით მიხაროდა, რომ ძმის მშვენიერებაში ჩემს კუთვნილ ლუკმასაც ედო წილი. აქ უკვე გულახდილია, სიყალბეს ვერ დასწამებ".

ლისა შკვითინია დღისით თეთრებს გადაიცვამდა ძაძებზე, ცრემლსაც მალავდა. ვინძლო ხალხის მტრებად გამოცხადებული ბადუსა და ყიფას გლოვით ოჯახისთვის უარესი უბედურება გამოეჩხრიკა. ხოლო მზე, როგორც კი კრუხივით ჩაეშვებოდა დასალიერში, საძინებელ ოთახში ჩაიკეტებოდა. საზეიმო მორთულობას კუთხეში მოისროდა, სკივრიდან წმინდა გიორგის ხელისგულისტოლა ხატს ამოასვენებდა და მუხლებზე დაცემული ცრემლად იღვრებოდა.

აივნის ტახტზე მოკალათებულ გახა ჰალიძონიას ოდესღაც ჭიაფერაში ამოვლებული წვერი გაუთეთრდა. დაძარღვული ხელებში კრიალოსანს აწვეთებდა. ცბიერი, მოღრეცილი ტუჩებით გასცინოდა ეზოს იქით მოფუსფუსე სოფელს, მის აწყმოს და მომავალს.

ზუგდიდიდან გამოგზავნილმა ახალმა თავმჯდომარემ მათი საგვარეულო რაღაცნაირად ამოიჩემა. „ ძირგამომთხრელებისა და მავნებლების ძმას", ნოჩოს, ტექნიკის უცოდინარობის საბაბით ტრაქტორი ჩამოართვა და დასაჟანგავად საწყობში დააყენებინა. გრძნობდა ნოჩო ჰალიძონია, რა ნელ-ნელა იღუპებოდა.

„მე ჯანდაბას, — გამოტყდომია საკუთარ თავს არდაშელის ხვალინდელ დღეზე ფიქრით გასენილი, — ხელს ვინ გამიწვდის გადასახლებული ბიძების და ჟინი ანთარს მითხოვებული მამიდის პატრონს? ნუთუ მართლაც ორშაბათს დაწყევლილები ვართ?" — ძრწოლვით გაუვლია გულში.

ჰალიძონიების ჭიშკარს როცა მეჩაიე გოგონები მიუახლოვდებოდნენ, სიცილ-კისკისს უმატებდნენ. მათ ლადი ჭანიას დის შვილიშვილი, ცისფერთვალება, ზღვასავით დაუდგრომელი ცირა შკვითინია მეთაურობდა. ტკარცალი ხშირდებოდა ჭიშკართან, რომელიც თანამოკონელ* დურგალს სამ თვეს ეჩორკნა ბზისაგან. ცარო ბიცოლას „ჭა ხომ არ ამომშრალაო", შეეხმიანებოდნენ ყასიდად.

ეს საათნახევრიანი სტუმრობა მასპინძლებს დიდად ახარებდათ,

ხილს მიართმევდნენ, ფიჭას ასინჯებდნენ. მოხარშულ სიმინდს და გოგრას გამოუტანდნენ. ოდაბადელები მაფშალიები* კი ყელს არდაშელის სამეცადინო ოთახისაკენ იღერებდნენ, მაგრამ კოჩიასაგან განსხვავებით არდაშელს მათი შემოკარკაცება არაფრად ეპიტნავებოდა. მყუდრო საძინებელში ბადუს წიგნებს და კონსპექტებს ჩაჰკირკიტებდა.

— ოდაში როგორ ეცხელება ახლა?! — ფხუკუნებდა ცირა შკვითინია.

საქანელაზეც, როგორც წესი, „ცურუ ჰალიძონიას რინტუ მოთა“* კონწიალებდა, თან აივნის მოაჯირზე გახუნებული ფარდაგივით გადმოკიდებულ გახა პაპას, „შეიბრალე შენი გვარის გამგრძელებელი, წიგნებს არ შეაკვდესო“, ექილიკებოდა. ეხუმრებოდა წვერცანცარა მოხუცს, რომელსაც ფარღალალა კაბის შარიშური რატომღაც კრიალოსნის მარცვლას ავიწყებდა.

ის სინათლე თანდათან ორსართულიანი სახლის ფანჯრებსაც მიატანდა, არდაშელის სამყოფელოშიაც შეშუქდებოდა. ელამუნებოდა, ეკეკლუცებოდა ბიძის გიმნასტურაში გალაღებულ ბეჭებზე, ვიდრე მათი ეზო თანატოლების შესვენების საათისგან გადმოპირქვავებული დოქივით დაიცლებოდა.

იმ დღეს ცირა შკვითინიას კარკაცს არდაშელმა ველარ გაუძლო. აივანზე გამოსულმა ნებიერად გაიზმორა და გრილნიავიან თელას შეხიზნებულებიც მყისვე გაირინდნენ.

დასამალი რაა, არდაშელი და ცირა პატარაობიდანვე განუყრელად იზრდებოდნენ. საზიარო ვარცლში აბანავებდნენ. ერთ ლოგინში თავფეხშექცევით აძინებდნენ, მაგრამ ერთხელ საეჭვოდ ჩახუტებულებს რომ მიუსწრეს, დააშორიშორეს.

ირწეოდა საქანელა. ვაჟს კაბის კალთა და ალმური სახეზე ეშხეფებოდა.

მეჩაიე გოგონებს თვალები ებინდებოდათ.

ცარო მუშუქია კალთაში ჩაყრილ ლობიოს არჩევდა. მოუსვენარი ხელები საქმისკენ გზას თავისკენ იგნებდნენ, ალერსით დნებოდა თავაღერილი.

ლისა შკვითინია მატყლს ჩეჩდა და ახალგაზრდების ღლაბუცს ეშმაკურად უღიმოდა.

არდაშელის გამოჩენამ მონგრეული ფეხები დაავიწყა კოჩიას, ზე-

წამოიჭრა კიბის საფეხურებზე მოკალათებული.

ნოჩო ჰალიძონიას კი თელის ნაპობიდან ჩოგანის გამოთლაში გაწაფებული მარჯვენა გაუშეშდა.

ირწეოდა საქანელა. ნახტომისთვის გამზადებულმა არდაშელმა ერთი ხელი აივნის წახნაგებიან სვეტს შემოჰხვია, მეორეთი სარწეველას ეპოტინებოდა.

ახლა კი შიშობდა ცირა შკვითინია. შეჩერება უნდოდა, უნებურად შეიცხადებდა. ჯერ კიდევ სუსტად, ოკვანწაიას* იალკიალში ძლივსგასაგონად, მაგრამ, როცა ჯეელი ლაფნის კანისგან დაწკრანილ, მაჯისისხო თოკებს შეაფრინდა და ასწლოვანი თელა ძირფესვიანად შეირყა, ჩრდილში მყოფები ფეხზე აიშალნენ. გაფითრებულნი ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. შემკრთალი თვალებით მიმოაცილებდნენ ქალ-ვაჟს.

გულშექანებული ცირას შეცხადებას ცასაბჯენილ წვეროკინას უწვდენდა კაბის ქაფში შებიჯებული არდაშელი, სანაცვლოდ ქალიშვილიც წვივებზე ჩაფრენოდა, თითქოს „ცურუს გაზრდილის“ ფარღალალა სიცოცხლე ახლა საქანელას გამძლეობაზე კი არა, ბოგიშბოგი* ყმაწვილის კოჭებზე ეკიდა.

ორთაბრძოლამ დიდხანს გასტანა. მერე ოკვანწაია თანდათან დაცხრა. ჯერ აივნის ტახტაზე მოკალათებული გახას ტუჩმოღრეცილ ღიმილს გაუთანასწორდა, შემდეგ — კიბის სახელურს ჩაფრენილი კოჩიას სიფითრეს. ცოტაც და მოჩვენებითი წყრომით მოლზე ჩამოეშვა საროსტანა არდაშელი. მეჩაიე გოგონებს დაერია. ცხენის გასაჭენებელ ეზოში ჟრიამულით მიმორბოდნენ და უკვე არც ცარო მუშუქიას წამოკივლებული, „ხომ არაფერი იტკინე, ნანა“, ესმოდა ვინმეს და აღარც მცქმუტავი ნოჩოს წამოძახებული — „მიდი, მიდი, მამა გენაცვალოს!“

ალიაქოთს მხოლოდ გახა ჰალიძონია და მისი ცოლი გამოთიშოდნენ. ძველებურად ტუჩმოღრეცილი კაცი კრიალოსანს მარცვლავდა. ფიქრიანი ქალი ჯარას ატრიალებდა, მატყლს ართავდა.

— გათავდა თქვენი საქმე! — განგებ ბრაზობდა არდაშელი. ხანვის ჩაკოცნიდა და ხანაც — ვის. არაქათგამოცლილებს მყისვე დაანებებდა თავს. უფრო ფეხმარდებს შეუჩნდებოდა. ღონეგამოლეულები ბალახებში ეყარნენ. სახეზე ხელებს იფარებდნენ, მაგრამ არდაშელის მცხუნვარე ტუჩებს ხელების აფარება ისეთნაირად აოკებდა, როგორც ენგურის დინებას ჭოფია ანთარიას ბორანი.

ქურციკის სიმარდე საქანელის ფათერაკებს თავდაღწეული ცი-

რას მუხლებსღა შერჩათ. თავ-პირის მტვრევით დარბოდნენ ოდის გარშემო ის და არდაშელი. ბოლოს ერთიანად წამოყირმიზებული ქალიშვილი სიცილგარეული კვნესა-ხვნეშით აედევნა მბრძანებელს ფეხდაფეხ, თან აქა-იქ სხვათა მოსაჩვენებლად ზურგზე მუშტს უბაგუნებდა დამტყვევებელს.

— ესეც თქვენ! — ეუბნებოდა არდაშელი სულმობრუნებულ მეჩაიე გოგონებს, — კარგი ყოფილა მეცადინეობისაგან მოცდენა?! უარესიც მოგიხდებათ! — ეტყოდა, მაგრამ თითოეული მშვენივრად ჩახვდა მრავლობითში ნათქვამის უადგილობას. იმ სიტყვების მთელი ავლა-დიდება ცირას მიესაკუთრებინა სავსებით. აბა, რა ძნელი ამოსაცნობი ეგ იყო, თუ აქამდე ქარივით ფეხმარდნი ორმოციოდე ნაბიჯის მოფარებულის გარბენას ამდენ ხანს რისთვის მოუნდნენ?!

,,რაღა მაინცდამაინც იმ ლაფაროში გამოელიათ ღონე?! '' ბრაზობდნენ გულში, გარეგნულად კი არაფერს იმჩნევდნენ, თავს ისულელებდნენ, ისეთნაირად იქცეოდნენ, თითქოს ცირა შკვითინიას საკინძის პირველი ორი ღილი ყრუ ადგილას გადახდილ ომს კი არა, ეკალ-ბარდში ძრომიალს ემსხვერპლა.

საერთო მხიარულებისაგან ერთადერთი, მილანდარ მუშუქია განაპირებულიყო.

მაშინაც კი, როცა მეჩაიე გოგონები ეზოში წიაქით დარბოდნენ, ზომაზე მეტად ჩასუქებული სხეულები უთახთახებდათ და მოლში ჩაცვენილებს კოცნისაგან დასიებული ტუჩები უხურდათ, მშვიდად მხოლოდ მილანდარი იჯდა. მის თვინიერ ბუნებას ხაფხაფი ეუცხოებოდა და როცა წყურვილის საბაბით ჰალიძონიებისას მოგროვილმა ქალიშვილებმა ვაი-ვიშით წელი აითრიეს, ის მწყაზარი, ცარო მუშუქიას კოჭებთან დაბნეულ ლობიოს მარცვლებს კალთაში იკრეფდა და მერე, როცა ყველა თელის ჩრდილში მოგროვდა, ,,ლობიო დაგპნევიათ, ცარო მამიდაო'', თქვა ალანძულმა, აქვე კაბის ბოლო წამოიწია, არა იმიტომ, მეგობრებისათვის თუ მასპინძლეისათვის თავისი ლამაზი წვივების არსებობა შეეხსენებინა. ეს მოძრაობა ისე ხალასად, ისე ბუნებრივად გამოუვიდა, როგორც ცისკენ ახედვა ან უმიზეზოდ ამოხვრაა ხოლმე.

მილანდარის წამოფაკალვა ცარო მუშუქიას დიდად ეამა და მიჟღვემილ-მოჟღვემილთა ამჩატების გასაქარწყლებლად მოგვარეს ეამბორა და ეამბორა ჭკვიან შუბლზე.

არდაშელის გულის მოსანადირებლად ყველა თავისებურად იბ-

რძოდა, ვინ — მაღალი მკერდითა და თეძოების დამსხვილებით, ვინ კიდევ გავლენიანი ნათესავებითა და თვალისმიმტაცებელი მზითვით, ოღონდ ეს იყო, როცა მეჩაიე გოგონები თელის ჩრდილში შეიკრიბებოდნენ, დიასახლისი მხოლოდ ერთადერთს, მილანდარს, ეტყოდა, ,,ჩემო მერცხალო, წაიღე ეს ორკოლი* და ახალი წყალი ამომიცქრიალე ჭიდანო''.

იმ წუთს ცარო მუშუქიას ნამდვილად არ სწყუროდა, მაგრამ შეხმატკბილებით, ,,გეყოფათ კუნტრუში, ჭკუას მოუხმეთ, ტყუილუბრალოდ სიცოცხლე არავინ გაიმწაროთ, მილანდარის მეტი ჩემსას ვერავინ შემოვაო'', აფრთხილებდა ქარაგმულად ბედისმაძიებლებს.

ამ ნაფიქრალის ხმამაღლა გაცხადებას როგორმე მოახერხებდა შვილებს გადაყოლილი დედა, მაგნრამ ქალური ალღოიანობით ცხებულმა შეჩეჩებული ოქროს ფასი იცოდა. ამიტომ შუადღის პაპანაქებას გამოხჯიზნული ასულებით გარემოცული, ,,შენს გაზრდას, ოდაში ადი, ერთი და წმინდაკბილა სავარცხელი ჩამომიტანეო'', დაუყვავებდა. არდაშელისას ააგზავნიდა. მერე ოცნებაში სარძლოდ ამორჩეულს ჭაღარაგარეულ თმას მიუშვერდა და ყელგადაგდებული თვალებს მილულავდა.

ლისა შკვითინია კი ასეთ დროს, მულის გაზრდილის ზეაწეულ, ჩამოქნილ მკლავებზე დახვეულ ძაფს გორგლავდა, გორგლავდა, ,,ხვეხვერია* ჯემპრი მოვუქსოვოთ არდაშელსო'', უცინოდა ცირას ქალწულისთვის შესაშური კბილებით. ,,კაცი თბილად თუ გეყოლება, მთებს დასძრავს ადგილიდანო'', ეჩიჩინებოდა, ბოლოს თანდათან მოახლოვებულ მის ვარდისფერ მაჯებს გამხმარ მკერდში იხუტებდა და თავმოკატუნებული რძლის გასაგიჟებლად თავდავიწყებით კოცნიდა.

ცირას სურნელებით გაბრუებულ არდაშელს მილანდარი შესაძლოა ვერასდროს შეენიშნა, მაგრამ ერთხელ, როცა ბიბლიოთეკიდან გამოსულმა, ,,ჩვენს საჩრდილობელ თელას რისთვის შემოწყერითო'', ჰკითხა ჩაის პლანტაციიდან უსიხარულოდ დაბრუნებულ გოგონებს, ,,მილანდარის მეტს თვალის დასანახავად ინდომებს ცარო?! სად გლეხის და სად აზნაურის სისხლიო'', უპასუხა ყველას მაგივრად ცირა შკვითინიამ და დობილების გუნდს აზნაურიშვილიც თავაწეული გამოეყო. არავინ გამოდევნებია, არავის უთქვამს ,,შეჩერდი, მოიცადეო'', დუმილით მიაცილებდნენ.

ჩამოვარდნილმა უხერხულმა სიჩუმემ არდაშელს ქალიშვილებ-

ში ამტყდარი შუღლი და მისი მთავარი მიზეზი — მილანდარის იშვიათი სილამაზე, აშკარად აგრძნობინა.

„რა შეეშლება დედაჩემს?!“ გაიფიქრა ჯეირანის მოხდენილი სიარულით მოხიბლულმა არდაშელმა, თუმცა ვაჟს ჯერჯერობით მილანდარისათვის ნამდვილად არ ეცალა, ვინაიდან ლაფაროსთან თუ გვიმროვანში უბე-კალთა მოსინჯულ ცირას, როგორც კი, „სიკვდილამდე შენი ერთგული ვიქნებიო“, შეჰფიცა, ამღვრეული ასული მიჯნურს მთელი არსებით მინებდა.

იმის შემდეგ კი გრძელდებოდა მათი ჩუმჩუმელა შეხვედრები, მაგრამ არდაშელი ქორწილზე კრინტსაც არ ძრავდა. ის კი არა, თუ სადმე საჯაროდ შეხვდებოდნენ, ალერსიან შემოხედვასაც არ აღირსებდა.

სამეცადინო ოთახში ჩარაზულის ძილს განგებ ანთებულად დატოვებული ნათურა დაჰკაშკაშებდა, რათა ოჯახის წევრებსაც და მეზობლებსაც გულის ფანცქალით ეთქვათ: „ამდენი მეცადინეობისაგან ეგ ბიჭი ჟინი ანთარივით არ გადაიწვასო“.

არდაშელ ჰალიძონიამ ცერცეტი და სულწასული თანატოლებისაგან განსხვავებით უკანასკნელმა მოაწესრიგა მისაღები გამოცდებისათვის საჭირო საბუთები.

— დაუსწრებელზე ჩავირიცხები და ორ-სამ თვეშიც შენც თან წაგიყვანო, — გაანდო დედაქალაქში გამგზავრების წინადღეს არდაშელმა ცირას, — აბა, რა ვქნა, ძალად მორიგებენ მილანდარს და იძულებული ვარ, აქაურობას მოვშორდე. კიდეც ვიმუშავებთ, კიდეც ვისწავლით და თავს როგორმე გავიტანთო,— ეუბნებოდა სატრფიალო ტირიფიების ძირას დამარტოხელებულს და მოუსვენარი ხელები ისევ და ისევ ჩვეული რბილი ადგილებისაკენ მიიკვლევდნენ გზას,— ფეხმძიმედ თუ ხარ, არ დამიმალო, მითხარი და მთლად ჩემებთან დაგტოვებ, — შეაპარა, თუმცა იქვე, — რეპრესირებულების ოჯახში ყოფნა რა ბედენაა, — მიაყოლა სულმოუთქმელად.

კარგად მოეხსენებოდა ცირა შკვითინიას, უარდაშელოდ ჰალიძონიებთან გაჩერება რა სამოთხეც იყო. ცარო მუშუქიას კლანჭებში ჩავარდნას ჯოჯოხეთში ჩასვლა ერჩივნა. ესეც რომ არა, ტყუილი რისთვის ეთქვა სულზე უსაყვარლესი ადამიანისთვის, რომელიც ორ-სამ თვეში მყუდრო თავშესაფარს ჰპირდებოდა დედაქალაქში, და გამ-

ხელილით გახარებულმა არდაშელმაც უცებ დაასკვნა, რომ ოდაბადეს დაუყოვნებლივ უნდა გასცლოდა. ამით ცურუ ჰალიძონიას რისხვასაც გადაურჩებოდა, ჭანიების მტრობასაც აიშორებდა თავიდან და, რაც მთავარია, მოამაგე დედის გულს არ დაჰკარგავდა სამუდამოდ.

გაივლის კიდევ რამდენიმე წელიწადი, სხვას გაიჩენს, დავავიწყებიო, ფიქრობდა გზადაგზა. შინმობრუნებულმა კი, ,,დილის მატარებელს ცოდნის ეროვნული ტაძარში მივყვები მწვერვალების დასაპყრობადო, განუცხადა მშობლებს, თან დასძინა — ხაბაკები არ იყოს, მაგრამ აი, ცოტამატა ფულს თუ მომცემთ, მადლიერი გეყოლებითო'', და გახა ჰალიძნიას გარდა რომელი მოხუჭავდა იმ ღამეს თვალს?!

ვინ ყველით გათვითვინებულ ხაჭაპურს აცხობდა, ვინ კიდევ წკირზეწამოგებულ წიწილებს ატრიალებდა აგუგუნებულ ბუხართან. გაივსო ხურჯინი თაფლიანი ქილებით, შებოლილი სულგუნებით, დაგრაგნილი ტკბილისკვერითა და ჯანჯუხა* ჩირით. ბადუს ნაქონ ჩემოდანში ჩალაგდა ახალთახალი ტანსაცმელი და უხმარი თეთრეული. ნალიის კუთხეში ჩამარხული დერგიდან ამოშრიალდა თუთის ფოთლისხელა თუმნიანები.

კოჩია: „ბონდო...გადასახლებული ბიძების ოთახში განმარტოებულები კი მოსვენების მაგივრად საუბარს შევყევით. მრავალი წვრილმან-მსხვილმანი გავიხსენეთ შორეული თუ ახლო წარსულიდან. მერე არდაშელმა სასთუმალი ამოიმაღლა, გახას მოღრეცილი ღიმილი მოირგო ტუჩებზე და, ჩვენს შორის დარჩესოო, მითხრა ხმადაწევით. ფული რომ ამოაცალე ჯიბიდან მთვრალ მამას, ვის მოხვდა მაშინ, დედას თუ შენ, მაგრამ ამოვიღე ხმა, გაგოქვი-მეთქი, მონური ერთგულებით მივაჩერდი სახეში საფიცარ ძმას.

ააა, იცოდი და მაინც დამინდეო, შეცბა არდაშელი.

შემთხვევით შეგასწარი თვალი კარის ღრიჭოდან. მერჩივნა მოვმკვდარიყავი, მაგრამ რას გავაწყობდი, თვალებს ხომ დავითხრიდი-მეთქი. გატრეტილი კაცი რას მიხვდებამეთქი. ვინუგეშებდი თავს, მაგრამ შენ ბოლომდე წაგეღო და როცა ქამარი მისცხო უდანაშაულო დედას, მე მოგპარე, მე მცემე-მეთქი, ვიყვირე. ჟინი ანთარს მივეცი ის ფული წამლის საფასურად-მეთქი, ვზლუქუნებდი. შემიბრალა და მშვი-

დობიანად გადავრჩით ყველა-მეთქი.

მაგრად გიყოჩაღიაო, არდაშელმა. თაროზე წიგნებს შორის მიმალული ბადუს ჩიბუხი გამოაძვრინა, წეკოთი დატენა, გაჭკრა ასანთს და ხარბად გააბოლა. ბოლქვებად წამოსულმა თამბაქოს კვამლმა ხველება დამაწყებინა.

გული რომ მოგიკალი, ხომ მაპატიებ, არადა, ხომ მაპატიებ-მეთქი.

ჩემი უმთავრესი მიზანი, კოჩია, სწავლის გაგრძელება კი არა, სულ სხვა რამ არისო, მომაბოლა პასუხის ნაცვლად არდაშელმა. აბა, ჟინი ანთართან გაპარული მაფას პატრონს დახმარებას ვინ აღმომიჩენსო. ხომ ხედავ, როგორ აგვითვალწუნა ზუგდიდიდან ჩამოთესლილმა თავმჯდომარემ. ნოჩოს ძირგამომთხრელების ძმას ეძახის, ჩვენ — მავნებლების ძმისშვილებს. მეტი გზა არ არის, ჩემივე ფეხით უნდა ვეახლო იმ სათვალეებიანსო.

სათვალეებიანს-მეთქი და მივაწყდი კედელს.

ჰო, იმ სათვალეებიანს, მაგრამ ჯერ საჭირო სიტყვებს მწყობრად დავალაგებ, აუღელვებლად გავენდობიო. არაფერს დავმალავ, პირიქით წავუმატებ კიდეცო. გახას ბნელსისხლიანობით დავიწყებ. კუნტა ქობალიას ძაღლის ხორცით გამართულ პურმარილსაც კი მას გადავაბრალებო. მივყვები და მივყვებიო. არც ჩვენი საგვარეულოს ზნედაცემულობა გამომრჩებაო. თქმა არ უნდა, იმას ჩემი საწადლის განსაზღვრა გაუჭირდება, მაგრამ გახას ღიმილით გავუქიცრინებ თავს, ისე მოვიქცევი, თითქოს მე კი არა, აივნის ტახტაზე მოკალათებული მუსაიფობდესო. ჯერ ოჯახურ მანკიერებებს ამოვწურავ სავსებით. მერე ცურუსაც, მაფასაც, ლისასაც და ცაროსაც მანდილს შევურცხვენ სათითაოდო. მოგვიანებით ბადუს, ყიფასდა ნოჩოს, სამივეს, სისხლში გავუსვრი ხელებსო. თუ დამჭირდება, რახიტიან ფეხებს გამოგიჩენ შენცო. სულ ბოლოს ცირიბიასთან ერთად რამდენიმე ქალიშვილის სახელსაც ვახსენებ, რომელთაგან ზოგი ახლო ნათესავად მერგება და ზოგიც —შორეულად, მაგრამ წარმოიდგინეთ, წელიწადზე მეტია, რაც ასე და ისე-მეთქი, რომ გავუმხილო, დავიჯერო, ხელმწიფოს ტოლ კაცს შუბლი ოფლით არ დაეცვარებაო. პასუხის მოლოდინში გამომცდელად მომაჩერდა

არდაშელი.

აბა, რა ჯანდაბა მოუვა-მეთქი, ძლივს ამოვღერღე პირგამშრალმა.

ჰოდა, მთლად უკეთესიო. უფრო და უფრო მივუჩოჩდები. ნემსისოდენა ჭუჭრუტანაში ერთი ურემი სიცივე შემოვა-მეთქი, ამოვიჩემებ გახას ღიმილითო. ბიძების ცოდვისაგან გამანთავისუფლე-მეთქი, შევასაწყლებ თავს აცრემლებიულიო, სამაგიეროდ, მონა-მორჩილებას აღუთქვამ და მეტი ზემოქმედებისათვის მუხლებზედაც დავეცემიო. თუ ამანაც არ გაჭრა, თქვენ გახდებით პირველი-მეთქი და შეშლილ მზერას მივაპყრობ თავაწეულიო.

მერე და გამოგიშვებენ ცოცხალს, ჩვენი გულისთვის თავს იღუპავ-მეთქი, დავიკნავლე ერთიანად ათრთოლებულმა, თან, ღმერთმა ნურც მომასწროს იმ დღეს, ბაწარში გავყოფ თავს-მეთქი, გამიელვა გუნებაში.

რას მიზამენ, დიდი-დიდი, გარეთ გამომაპანღურონო, მაგრამ საკმარისია საკმარისია იმან შარვლის ჯიბეში ცხვირსახოცი მოიქექოს და სათვალის შუშებს შეუორთქლოს, ჩემი ბედ-იღბალი სასიკეთოდ გადაწყვეტილად ჩათვალეო. აი, მაშინ, ბიძები-მეთქი, შევაპარებ, აქვე მარჯვენა ხელისგულს ნელ-ნელა ავწევ, რითაც ბიძების რეაბილიტაცია* მწადია-მეთქი, ვანიშნებ მუნჯურადო. ამნაირ გულახდილობას, ჩემი ღრმა რწმენით, ლმობიერი ღიმილი მოჰყვება უსათუოდ და თუ მართლაც ყველაფერი ასეთნაირად მოხდა, ბიძების დამბეზღებელ-დამსჯელები-მეთქი, მოვსჭრიო. დასავლეთს თითით შევემუქრები, ცერით ოთხჯერ გადავითვლი, მერე იმ ცერსაც ზედ წავუმატებ და მუშტს მაგიდის კიდიდან ჩავაცურებ, ხომ იცი საითკენო.

საითკენ-მეთქი, დავჭყიტე თვალები.

საითკენ და სადაც ჟიჟას უმზადებენ ბაბუაშენ გახასო. სანაგვე ყუთისკენ, ტუტუცოო. ვინცობაა, ამაზედაც დამყაბულდეს, მიმსახურეთ-მეთქი, დავასრულებ საუბარს და ხელით წინმავალ ბილიკებს მივკლაკნ-მოვკლაკნიო.

არ ქნა, არ ქნა-მეთქი, ვემუდარებოდი ყელგამოწევით, ის კი იცინოდა და იცინოდა. ბადუს ნაქონ ჩიბუხს აფუტებდა და მერე, ღმერთმა უწყის, ხალხის მტრების წყება გზამართალს გაუყენა თუ, როცა მისი ჯერიც დადგა, მოხერხებულად გამოძვრა კანიდან.

დასხდნენ და ატყუონ აწი ერთმანეთი. იღაბაჩანი ფართოფართო!*

კვირას თვე ენაცვლებოდა, თვეს — წელიწადი და რაც მეტი დრო გადიოდა, ნოჩო ჰალიძონიას სიკვდილის მოუცილებელი შიში უფრო და უფრო მოაწვა ხარკამეჩის ღონიერი რქებით. ეგ მოურჩენელი საფრთხე რომ არა, წყეული ორმოცდაერთის ოცდაორ ივნისს ფეხს როგორ გადაიმსხვრევდა სამგლე ჟიკანით?! „დამჩაგრა ბედმაო", მაინც განგებას ემუდარებოდა ძალადდაკოჭლებული ნოჩო, მაგრამ მყისვე მაფას დასჯის კოშმარული ჩვენება აესვეტებოდა თვალწინ და მაშინ, „ბედს რას ვერჩი, დის ცოდვა მდევნისო", დაასკვნიდა, თან კრთომით ისე მიმოიხედავდა, თითქოს ვინმე ნაფიქრის წართმევას უპირებდა.

უარესი დღეების მომსწრე ხალხი ახალ გრიგალებს სწირავდა სიცოცხლეს. წლობით ნაყვლეფარი და ნაწუწურაქალი ფულისგან ხავსიანი ლოდი გადაგორდა.

ძორგო მესხიასნაირმა ლონდრეებმა სიმინდის ყანის გათოხვნას მთვარიან ღამეებშიც მიჰყვეს ხელი.

სამშობლოს კალთაში გროვდებოდა მამათა მკლავისმომკრუნჩხავი სიზმრები თუ დედათა ცრემლის კრიალოსნები.

— ოდაბადელები ვართ ჩვენ, ძაღლისგაგდებულებო! —უყიჟინებდნენ მომხდურს ომში წარგზავნილი ლომგულები, თავს სწევდნენ მაღლა და ხან ტანკს უვარდებოდნენ ყუმბარით ხელში და ხანაც ამბრაზურას* აეფარებოდნენ ამაყი მკერდით.

კოჩია: „ცჰ-ცჰ! ფრონტზე წასვლა ავიტეხე, მაგრამ ფეხის სისხო დამიწუნეს. ესეც არაფერი, ჭოფია ანთარიას კოჭლობის საპირისპირო მხარეს ნოჩოს სამარცხვინო ხვანხვალი ჩემს სინდისს დააწვა. სწავლის გაგრძელებაზე ფიქრისთვისაც კი ვის ეცალა. ბედს შევურიგდი. ხეიბრებითა და ხრონცებით გარემოცული ვთოხნიდი. ვმკიდი. სოფლის ორღობეში ველოსიპედს დავაქროლებდი. ვის კიბეს შევუკეთებდი, ვის — ჩამოწოლილ სახურავს. ყველას საკუთარი გასაჭირი ამწარებდა, მათ შორის მეც, ბონდო... მაგრამ ჭანიებისთვის სამიოდე საათით უსათუოდ მოვიცლდი. სვრელს გავიტანდი და მერე კოლმეურნეობის ფართობებს მივაშურებდი მოღვენთილი. იქ, სადილობის ჟამს, მსხლის ჩეროს შეფარებულ ნადს, კალათით მოგვაკითხავდა ცურუ ჰალიძონია. ღარიბულ ბურ-

მარილს ბალახებში გავშლიდით. წყალწყალა ღვინოსაც მოვიძიებდით. რანაირადაც შევმჭიდროებულიბყავით, ცირა შკვითინია უსათუოდ ჩემს გვერდით აღმოჩნდებოდა. გაჭირვების ტალკვესს ყოველთვის ზედმეტად მელოლიავებოდა და ფეხმონგრეულის წრიალით დამსწრე საზოგადოებას უზომოდ ატკარცალებდა. მუხლს მუხლზე მიმადებინებდა ეს მხიარულება. შვიდიოდე წლის წინანდელ ამბებს მახსენებდა, როცა ზღვისპირეთისკენ წახორხოცებულ ახალგაზრდებს კუდში მივჩანჩალებდი, როცა გატიტვლების მრცხვენოდა და თავის დასაზღვევად მაშინვე ჟინი ანთარის წამალს დავაძვრენდი ჯიბიდან. კუნძზე ჩამოვჯდებოდი. ტალღების გამორიყულ ფიჩხში ვიქექებოდი, ალისკბილს ვეძებდი. ვიპოვიდი მერე მრთელს, დიდღელვისას დამსხვრევას გადარჩენილს, ქვიშით ამოვსებულს. დავიბერტყავდი ხელისგულზე, გულმოდგინებით ამოვასუფთავებდი, ბოლოს ყურს მივადებდი და საამური ხმებით ვტკბებოდი. ქვას ადნობდა აგვისტოს თაკარა მზე, მე კი ისევ ჩესუჩის შარვალ-ხალათით დავფართხუნებდი.

ბიჭო, მაგ ტანსაცმელს ინსტრუქცია არ მოჰყვებოდაო, მეხუმრებოდნენ ერთნი, ვიდრე არდაშელი და ცირა ზვირთებში ნებივრობდნენ.

არა, მარილზე აქვს ნაყიდი, მარილზეო, ხითხითებდნენ სხვები. ზოგს ვებრალებოდი ავადმყოფი, მკლავზე წამეტანებოდნენ და თხემლის ტოტებისაგან გამართულ საჩრდილობელში შემიხიზნავდნენ. ამასობაში ტალღებში ნებივრობით მოშიებული გოგო-ბიჭები ნაპირზე გამოცვივდებოდნენ. აჯიკაწასმულ კიტრსა და პურს ილუკმებოდნენ. მერე წრეს შეკრავდნენ და ხან ფანტის თამაშით ერთობოდნენ, ხანაც ბურთს დასდევდნენ ჟივილ-ხივილით. ფარღალალა ფანჩატურში მარტოდმარტო დარჩენილს გული მიქვითინებდა. ინგლისური სნეულებით* შეპყრობილ კიდურებს წამოვკრეფდი, ალიაქოთს ზურგს შევაქცევდი, იქაურობას მოვშორდებოდი, მაგრამ მზერას არავინ გამომაყოლებდა. ისლიანებში მივბორძიკობდი. ბასრი დანით ჭილს დავჭრიდი და შეყვარებულს ფართოფარფლიან ქუდს ვუწნავდი. როდის-როდის დავბრუნდებოდი საჩუქრით ხელდამშვენებული, მაგრამ ხალათმოსხმული ცირა და არდაშელი უკვე სილატ-

კეპნილზე მიირწეოდნენ სატანჯოს მიმართულებით. ძმის საკუთრებად მივიჩნევდი ცირას, არათუ სოფელში არდაშელის ყოფნის პერიოდში, არამედ — მის მერეც, როცა დედაქალაქს გაემგზავრა იგი და სატრფოსაგან ყელგამოჭრილი ასულიც განურჩევლად ამვლელს აღმა აედევნა და ჩამვლელს — დაღმა. საოცნებო ადამიანის შველა, გარყვნილების ჭაობიდან გამოხსნა მეწადა, მაგრამ ცალკე არდაშელის რიდი მბოჭავდა, ცალკე — საზოგადოებისა, ამიტომაც საკუთარი უნიათობის გამო ხშირად თავსაც ვისამართლებდი. ერთ შუადღეს თოხნაში გართულს ცირა ღობე-ღობე წამომპარვოდა. შკვითინხე მანამდე არ მოსცილდა სამალავს, ვიდრე თოხი არ აულაპლაპა თვალწინ.

წყალი! ამოვღერღე, როცა მოულოდნელად შერხეული ანწლებიდან ცირა წამოიმართა. თხუთმეტიოდე წუთში მორბენინებული დოქი ზედ მიწით გასვრილ ჩემს ფეხებთან გადმოაპირქვავა და მხოლოდ მაშინ მომაწოდა ჭურჭელი, როცა გამომწვარი თიხის წავიწროვებულ ტუჩს ერთადერთი წვეთი შერჩა.

ამისთანა ხართ ჩემთვისო, მომახალა აგდებულად, თან დოქის წართმევა მომინდომა ყასიდად და მეც დავუთმე ორკოლი. ახლა სიარულში რომ არ ჩამოვრჩენოდი დალალმშვენიერს, ჭინჭრითა და ანწლით გადაბრუებულ ღობეს წავეპოტინებოდი ხანდახან, აქვე აკაციების ბოჯოჯღი ტოტებიდან შემოღწეულ მზის სხივებს ავხედავდი დროდადრო, თითქოს ახლომახლო უკეთესი თვალშესავლები არაფერი იყო.

თავს მოვიკლავო, თქვა უეცრად ღობეზე გადმოწეულმა ცირამ. ცურუ გამდელს რომც გადავურჩე, სულ ერთია, კოლი ჭანია მაინც არ მაცოცხლებსო. მოსაუბრემ თვალები ნელინელ იმდენად დახარა, ჩემი ფერისცვალებისთვისაც მოხერხებით ეცქირა.

მუშენი ძღაბი*-მეთქი, გადამიქანდა გული.

ორსულად ვარ და იმიტომო, უფრო ჩაუწია ხმას ცირამ.

კი, მაგრამ მამა ვინ არის-მეთქი, ვიკითხე ერთიანად მორღვეულმა. აქვე ღირსი ვიქნები, კატასავით მიმახრჩოს არდაშელმა-მეთქი, გამიკრთა გუნებაში.

ეგ რომ მაცოდინა, რაღა მიჭირდა უბედურსო, თქვა ცირამ და უკლებლივ ჩამომითვალა ხუთი-ექვსი თვის წინ ფრონ-

ტზე წარგზავნილი წვევამდელები, რომელთაგან ზოგი უკვე გამოგლოვილიც გვყავდა, ზოგიც — ჯერ კიდევ კანტი-კუნტად იწერებოდა.

არდაშელს რა პასუხს აძლევ-მეთქი, ამიკანკალდა ხმა.

რომ ვდომებოდით შენს ძმას და დედაშენს, აქ არ ვყავდითო, ხელი ამიქნია ცირამ, არდაშელს, გენაცვალე, ჩემისთანებისთვის სად სცალია, ცოდნის მწვერვალები აქვს დასაპყრობიო. მე კი ქალი ვარ, დღევანდელი დღით ვცხოვრობ.

დედამთილის მოგვარეს შინ როგორ შემოვუშვებო, გველივით ატარტარა ენა ვახანებულმა* ცარომ, ვითომ ოჯახის სიწმინდეს იცავდა, საკუთარ ნათესავს კი სარძლოდ ეპოტინებოდა რატომღაც, მაგრამ რა დროს ეგეთებზე ფიქრია, თუ გინდივარ, თქვი, არადა, ახლოსაა ენგურიო.

თავის მოკვლა რომ შეგძლებოდა, არც არდაშელს უღალატებდი და აღარც ჩემთან მოხვიდოდი-მეთქი, გავბედე და ღობეს ზურგით მივეყრდენ.

ხელი არ მკრა, მიშველე, კოჩიაო, აქვითინდა ცირა.

კარგი, მე ჯანდაბას, მაგრამ აი, მაგას ვინ ჭამს-მეთქი, წამოწეულ მუცელზე მივაშვირე თითი მოუბრუნებლად.

ოღონდ შენ დამთანხმდი და დანარჩენი ნუ გადარდებსო, ოფლშიმცურავი ხელი დამიჭირა ცირამ, ტყუილად მიწნავდი გვირგვინებს?! ჩემი გაუბედურეისათვის ერთად ვიძიოთ შური, კოჩიაო.

მინდოდა მეკითხა, ვისზე უნდა გვეძია შური, მაგრამ ისეთ გუნებაზე დავდექი, სრულიად აშკარა იყო, რომ ცირას გულისთვის არდაშელის წყენინებას კი არა, თავზე თვით დუყლა ანთარიას წისქვილის დოლაბის ქვის დატრიალებასაც არ დავერიდებოდი.

უკვე შემჩნეული ექნებათ ჩემი გაპარვა.“

გათამამებულმა კოჩია ჰალიძონიამ შექმნილი ვითარება დაურიდლად ამიტომაც გაუმხილა მშობლებს.

— მოვკლავ გათახსირებულს! — იბღავლა ნოჩომ და ჭიქა მიამსხვრია კედელზე. „უკეთესს რა მოელოდი? დის ცოდვა გდევნის!“

— უყურე შენ, ამ შობელძაღლს! — ტუჩები მოეღრიცა გახას.

— თავისუფლებას რატომ ართმევთ ადამიანს?! —გაამხნევა ლისა შკვითინიამ შვილი შვილი წარბების აზიდვით.

— ამოწყდა თქვენი ჯიში და ჯილაგი! — მიაწყევლა ცარო მუშუქიამ დედამთილს. „აისრულა საწადელი! როგორ გაუბრწყინდა გვე-

ლის თვალები?!“

ჰალიძონიებს გლოვის კარავი მოუდიდდათ. ადრე სხვა იყო, სხვა ხიბლი და სიანკარე.

ხან „ვაშინერსიააო“, და ნათესაურ კავშირს წაებღაუჭნენ, ხანაც ქალიშვილის გატეხილი სახელი და წრეგადასული აღვირახსნილობა მოიშველიეს. დააშინეს წმინდა გიორგის ხატით, არდაშელით, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

ასამარებდნენ ჭანიების საჭაჭანებელს, მათ ყანას, რომლის სიღრმეში ცირას ჭიპსქვევით მეჭეჭზე კოჩიას გარდა ყველა ოდაბადელ ყმაწვილს ჰქონდა თურმე ხელი შენავლები. „მანქანას გიყიდითო“, ჰპირდებოდნენ „ამაზე და იმაზე დაგაქორწინებთო“, აღუთქვამდნენ, მაგრამ კედელზე ხორბლის მარცვლის შეყრას მოჰყოლია ჯეჯილი ოდესმე?!

მოკლედ, მახლობელი ადამიანებისაგან განკიცხული, არდაშელის მხარდაჭერი-პატიებაში შეეჭვებული კოჩია ველოსიპედს მოახტა და მერე ჭანიების სამოსახლოს არ მოსცილებია.

— შვილიშვილი შეარიგებთო! — ქირქილებდნენ სოფლად, მაგრამ მოუსვენარ დურუს, აჰა, ორი წელიწადი უსრულდებოდა და ნოჩო ჰალიძონია კვლავინდებურად, „ჩემს დატირებას არ ეღირსებიანო“, იქადნებოდა.

ხელისკვრითა და ამდენი გულცივობით შეურაცხყოფილ კოჩიას ბოლოს და ბოლოს მობეზრდა მშობლებთან დარბაისელი ხალხის რიგრიგობით მიგზავნა.

— არ ვუნდივართ და ჯანდაბამდის გზა ჰქონიათო! — მოწყვეტით ჩაიქნია ხელი და იქიდან მოყოლებული, დედ-მამის ჭიშკარს უცხოსავით ჩაუქროლებდა. წყენა თანდათან მტრობაში გადაიზარდა და ნოჩომაც ისე დაასაფლავა მოხუცები, რომ ისინი არც ჭანიებს დაატირებინა, აღარც ცურცს და მით უფრო — უღირს შვილსა და რძალს.

კოჩია ჰალიძონია ჭირვეულ დურუს შეძლებისდაგვარად ანებივრებდა. ათასნაირ სათამაშოებს უმზადებდა — წყლის წისქვილები იყო ეს, ჯიბის სატარებელი რადიო თუ სიგნალებით მოძრავი ციდა ნავები.

კისერზე შეისვამდა პატარას და ეზოში დაარბენინებდა გადარეულივით.

— ხომ ზედგამოჭრილი მამაა?! — თავს იწონებდა ნათესავებსა და მეგობრებში, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც საკუთარ პირმშოს

ნატრობდა. სატანჯოელებსაც აკითხავდა. გულთმისან ბიძას შველას სთხოვდა. ორი მეწველი კამეჩი ტყუილად გაყიდეს. ცოლი ვერც ქალაქელმა ექიმებმა მოურჩინეს.

— ამდენი ულაყის ნათრევი დედობას როგორ შევიძლებ? — წუხდა ცირა.

ჩამოდნა, სანთლებს ანათებდა. სასთუმალქვეშ სურნელოვან ყვავილებს ამოიდებდა. კვირაში ერთხელ უსათუოდ ესტუმრებოდნენ განდეგილებს.

ჟინი ანთარი ბავშვიან ცოლ-ქმარს ნავით დაასრიალებდა ჭურის წყლებზე, უდაბურ კუნძულებზე ახეტიალებდა.

ახლა ხვდებოდა კოჩია, თუ სულწაწყმედილი სატანჯოელი ტონობით თაფლს საიდან აგროვებდა. უკვე ქვრივ-ობლებისთვის და დავრდომილთათვის მოტანილი ხორაგიც ნაკლებად ანცვიფრებდა. ესეც არის, თავიდან ჭოფია ანთარიას ბორანზე გადმოტვირთულ იმ სურსათ-სანოვაგეს არვინ ეკარებოდა. თვალს ზიზღით შეავლებდნენ, სამგზის მიაფურთხებდნენ, მაგრამ როცა ცხოვრება გაჭირდა, ჯერ ჭიჭე კვეკვემ და კემე ანთარიამ, მერე — მეორემ და მესამემ, მოგვიანებით მთელმა სოფელმა გემო გაუსინჯა ძღვენს და ოდაბადელებმაც თანდათან გადაივიწყეს ჟინი ანთარის ქორწილიდან სამარცხვინო გაქცევა, ბორნის მოტაცება და ძმათათვის საკუთარი ხელებით სამარის გათხრა; წაუყრუეს კუდმოკვეცილ და ცურდაფატრულ საქონელს, მერცხლების ტიტლიკანა ბარტყებით გავსებულ ლაფაროებს, მკვდარი კატებითა და ძაღლებით წაბილწულ ჭებს. მიუტევეს აუია აბშილახესა და ხახანტი მაკრონიას გაუბედურება, კუნტა ქობალიას ქვაბში ჩაყრილი ქოფაკის ხორცი, მართალ-მოგონილი თუ სხვანი. საერთო გაჭირვებამ და სიდუხჭირემ მოაქრისტიანა ხალხი. იქიდან მოყოლებული, ყოფილა შემთხვევა, როცა ჟინი ანთარის ოჩხომელს ბორანზე შეკრებილი ოდაბადელები ისეთი მოუთმენლობით დალოდებიან, როგორც მზის ამოსვლას ყიამეთი სიცივით დაშაშრული მგზავრები.

ბარბაროსული ომით გაუბედურებული ოდაბადე იარებს იშუშებდა.

— ასეა, რამდენადაც უნდა გაიწელოს ღამე, მოსასვლელ დილას მაინც ვერ აეფარება, — ისევ ცოცხლობდა სოფელში ლადი ჭანიას კურთხეული სიტყვა.

თალხს კვლავ თეთრი შეენაცვლა.

არდაშელ ჰალიძონია დაბრუნებას აგვიანებდა, თუმცა ოდაბადელები ხშირად ახსენებდნენ ქორწილებსა თუ ქელეხებში. მისი უნუგეშო სიყვარულით ღამენათევმა ქალიშვილებმა, რა ხანია კერიები გაიღვივეს. მხოლოდ დაობლებული მილანდარი დარჩა კენტად.

კოჩიას ძმის თოთხმეტი წლით გაუჩინარებას ვინ ატომური ენერგიის კვლევით ხსნიდა, ვინ კიდევ — კოსმოსური სივრცის ათვისებით. რატომღაც ყველას სჯეროდა არდაშელის განსწავლულობის. ბიძების რეაბილიტაციასაც და ჟაკანით კოჭგადამსხვრეული ნოჩოს ცოცხლად დარჩენასაც, ,,სიბრძნის მწვერვალებს გამოდევნებულს“ მიაწერდნენ.

ქმრის მაღაზიიდან აწაპნილი საჩუქრებით გალაღებული ცირა სატანჯოში გამგზავრებას უკვე მარტოც ახერხებდა. იქიდან მობრუნებული კოჩიას დასანახად ათასნაირი ბალახბულახის ნაყენს სვამდა. მოკეთდა, ხორცით გაივსო, გაჰაეროვნდა.

გასაჭირს ძველებურად უმალავდა მეუღლეს შკვითინხე და უშვილობას წარსულის ცოდვებს, ახალგაზრდობაში უზომო გახარჯვას მიაწერდა. ჭურიის ისლიანებში სატანჯოელის ნავითაც იმისათვის დასრიალებდა, რომ მორიგი ხუშტური თავიდან აეშორებინა.

შვილის გამჩენელი კაცის შოვნა ცირასთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ ქალს კოჩიას ერთგულება ეწადა. თავგანწირული სიყვარულისათვის თანამეცხედრეს ამიტომაც უმზადებდა ძვირფას საჩუქარს, ამიტომაც შეუჩნდა ჟინი ანთარს. ესეც რომ არა, შკვითინხე ამ საქციელით რაღაცნაირად შურს იძიებდა უარმყოფელი არდაშელის მიმართ.

მართალია, დაბადების მოწმობით დურუს მშობელ მამად კოჩია მიაჩნდათ, მაგრამ კუნძულელები თავისთავში ჩხრეკდნენ და კიდეც პოულობდნენ ონავრის ნაკვთებს და ხასიათს.

სადღეისოდ ვითარება სულ სხვანაირი გახლდათ. ცირას ყმაწვილქალობის ცდომილებანი ისტორიას ჩაბარდა. ახლა უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდა. აწი გნებავთ ასული გასჩენოდა, გნებავთ —ძე, უკვე კოჩიას უპირატესობაში ეჭვს ვერავნ შეიტანდა. ამდენად, გასაგები იყო, თუ სატანჯოელის წინაშე შკვითინხე თავს რისთვის ისაწყლებდა, ან ზოგჯერ რა მიზნით მოიშველიებდა ცრემლს.

ცირას სიჯიუტე ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. მისი შემოტევა განსაკუთრებით მძაფრი დედაქალაქიდან მობრუნების შემდეგ შეიქმნა, როცა ანდროლოგს უშვილობა კოჩიასთვის დაებრალებინა.

— სისხლის და ჯილაგის გამგრძელებელი მაჩუქებინე ქმრისთვისო, — ეჩიჩინებოდა წარამარა ჟინი ანთარს. ის კი ცივ უარზე იდგა. მანკიერი გენების განახლებას ერიდებოდა. არ უნდოდა ქვეყანას კიდევ ერთი ცოდვილი მოვლენოდა, რომელსაც ჭიჭე კვეკვესავით დაცქვეტილი ყურები და მოტვლეპილი თხემი დაჰყვებოდა, კემესნაირი გადმოკარკლული თვალები და კოჭებამდე დათრეული ხელები გამოესხმებოდა, ან კიდევ — მენცარ მამასავით მოჭმული ტუჩები და აფორიაქებული სული.

— მკურნალობის საბაბით რა ხანია კოჩიას ახლოსაც არ ვიკარებ. შენთვის ხომ არაფერია ერთი მალხაზი მაჩუქო?! იმის გარეშე, უკაცოდ მინდა იგი გავაჩინოო! — ისეთნაირად ევედრებოდა, თითქოს ჟინი ანთარი სადაც არის უმანკო ჩასახვის სცენას გაითამაშებდა, ცაბაოთივითθ სულს შეუბერავდა და სუცელს უძრავდა.

ამის გამგონე ჟინის გააჟრჟოლებდა. მაფას ფერწასული სახე აგონგდებოდა, როცა თორმეტ-ცამეტი კვირის ნაყოფს უყოყმანოდ მოაშორებდა ხოლმე. საბრალო ჰალიძონხეს დედობა სწყუროდა და ათასნაირად წელშეკრულს ერთხელ ჟინი ანთარმა ორსულობა გვიან შეატყო. უკვე ჩარევას აზრი არ ჰქონდა. მისი წამლები დაუძლურდნენ, ვინაიდან დოზის გაძლიერებას შესაძლოა მაფაც ემსხვერპლა. ბედს მინებდა.

,, ვინ იცის, იქნებ სასწაული მოხდეს და ჯანმრთელი შვილი გვეყოლოსო‘‘, ფიქრობდა ჟინი ანთარი, მაგრამ თავისიც იწვნია.

ფუმფულა, ვარდისფერი კუტი, მამლების გახშირებულ ყივილში გაჩნდა იქიფანდურθ მათ ჭერქვეშ. მოლოგინებული მაფა ხელს იწვდიდა ჩვილისკენ. აქეთ ელეთმელეთი მოსდიოდა სატანჯოელსაც, მაგრამ მაინც გაფაციცებით ათვალიერებდა ახალშობილის თავს, კიდურებს, პროპორციას. წარმოიდგენდა ზრდადასრულებულს, ისეთივეებს, როგორი ბიჭებიც ოდაბადეში დაუდიოდა. ცოლის ხვეწნა-მუდარას ყურს უხშობდა, რადგანაც თუკი შვილისათვის ხელს შეავლებიებდა, მერე ვერაფრით წაართმევდა. დიდხანს წონიდა, დიდხანს ზომავდა, ბოლოს ,,სოფლის საქილიკებლად მოვლენილი‘‘ გააქანა, დუმფარებით მოფენილი ონწყვეშიის ჭაობისაკენ ქვასავით მოისროლა და თითქოს გული ამოგლიჯესო,დაბარბაცდა სიმწრისოფლნაპკურები მამა.

გაბებღილ წვერ-ულვაშს ცრემლი უსველებდა ჟინი ანთარს. სუ-

ლამორთმეული მიაცილებდა მუშტისსისხო ნათელს, შემდეგ ძველებურმა სიშმაგემ წამოუარა, ძმების აჩრდილები აირივნენ, ზოგი გულში წვდა მკერდიდან ამოსართმევად.

ცირას ვედრებანი იმ შემზარავ წუთებს ახსენებდა ჟინის. შემოჩენილ დედაკაცს უდიერად ხელს ჰკრავდა, მაგრამ მერე და მერე შკვითინხეს საწადელი ჭკუაში დაუჯდა.

,,რას ვკარგავ ამით, — ფიქრობდა სატანჯოელი, — სამაგიეროდ ბებრული გენების სიავკარგესაც გამოვცდი და პრეპარატების ქმედების უნარსაც. ვინცობაა ცირა სიტყვას გადათქვამს და გასაცოდავებულ შვილს დაინარჩუნებს, მისი სიბეჩავე ხალხის თვალში ისევ კოჩიას მიწიერება და არა — მე, ქვეყანას ერთი სულელით მეტი ეყოლებაო''. ასე რომ, უცნაურად აღტკინებულმა კვლავ იწყო ადრინდელი ძირხვენების შეგროვება, ნაყვა, ხარშვა, მათი ნაყენის წრუპვა, მიკროსკოპთან სინჯარითა და კოლბით ტრიალი. მერე დღეს კვირა მიჰყვა, კვირას — თვე და იმ მიმოსვლებიდან ნახევარი წელიწადიც არ გასულა, რომ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო, ტანსრული და დავაჟკაცებული არდაშელი დაუბრუნდა ოდაბადეს.

ჰალიძონიებს ვაჟიშვილის ჩამოსვლას ულოცავდნენ, პურმარილობდნენ, ილხენდნენ. კი, კოჩიას ძმის იერი მეცნიერების მწვერვალების დამლაშქრავს ნაკლებად ესადაგებოდა — თანასოფლელების ბევრი შეკითხვა უპასუხოდ დარჩა, მაგრამ მისი სიდინჯე, საზრიანობა აგრძნობინებდათ, რომ ეს ხანი მთლად ბუზების დევნაში არ უნდა მომცდარიყო. ამიტომაც არდაშელის ბედი საიდუმლო სადაზვერვო სამსახურს და მისთანებს დაუკავშირეს, განსაკუთრებით მას მერე, რაც პაპიდა ცურუს სიკვდილი დამდურებული ნათესავების შესარიგებლად გამოიყენა, ხოლო იქ შემოსული ფული — რაიონის ხელმძღვანელობის მოსაქრთამად.

მალე არდაშელმა გაუთლელი ოდაბადელები წესრიგს მიაჩვია. მუშაობა ღილაკებზე ააწყო.

იმ დილით კოჩია ჰალიძონიამ არც აცია და აღარც აცხელა, მდივანს სიტყვა პირში შეატოვა. კაბინეტში ქარივით შეიჭრა. სავარძელს შემოურბინა. ეამბორა და ეამბორა არდაშელს. სიხარულისაგან შემონთებული ცეცხლი ენას უბორკავდა. ნეტარებით მთვრალმა ძლივს ამოილუღლუღა აღმაფრენის მიზეზი — ცირას ორსულობა.

თავმჯდომარემ დაუპატიჟებელ სტუმარს ცივად ამოხედა. თითები ავისმომასწავლებლად აარაკუნა მაგიდაზე.

— დაგვღუპავს ეგ ქალი, — ხმის აუწევლად უთხრა ძმამ, —შენ

გგონია ცირამ ძველი ცოდვები დაივიწყა?! შეიგნე, ერთხელ დაცემულის აღდგომა არ იქნება. მაგ საკენკით ლამის ოცი საუკუნეა „სახარება“ გვაბრმავებს. ცოლი ნამუსის შემნახველი უნდა იყოლიო, მილანდარისმაგვარი თუ ვერა, მაფასნაირი მაინც. ისეთი, როგორიც უმეტესი ოდაბადელი დედაა. აბა, ძველი საყვარლები აახლე ერთი, თავი მოიმთვრალე და შენითვე დარწმუნდები რქების რანაირი კორიანტელი წამოვიდეს! — არდაშელმა შეკრებილებს ქედმაღლურად გადახედა, თითქოს აგრძნობინა თითოეულს, ხომ დაინახეთ ჩემსას რა დღე დავათენე და თქვენ ვინ მიგდეიხართო, —თათბირის დროს უნდა გამოუზომონ მაინცდამაინც! პირის დაღებას არ დაგაცლიან კაცს! საქმეში ხელის შემშლელს რომ ვერ ვიტან, აქამდე რითი ვერ შეიგნეს ნეტავი!

კოჩიას ჩამოყრილ მხრებს დამფრთხალი თვალებით მიაცილებდნენ ბრიგადირები. ხეიბარს ახლა რაქიტიანი ფეხებიც დავიწყებოდა და ცირას შეტორტმანებული მუცელიც.

ქმრის მაღაზიის დანაკლისს განა ვერ ამჩნევდა დამლაგებლად გაფორმებული შკვითინხე, მაგრამ მის განსაცდელს რატომღაც წაუყრუებდა ხოლმე. ჰალიძონიები რევიზორებს მოყვარულად გაისტუმრებდნენ და ამგვარად, მათი ვალები წლითი წლობით იზრდებოდა.

დათვრებოდა თუ არა კოჩია, ეგრევე მაგიდაზე მიუძინებდა. ძმაკაცების მიტოვებულს ოფიციანტები ეჯაჯგურებოდნენ, ჯიბეებს ამოუცარიელებდნენ, მაგრამ სახსარამორთმეულს, როცა ძვრასაც ვერ უზამდნენ, რომელიმე ოდაბადელის პირით, „შენი გალეშილი ქმარი მოგვაშორეო“, შეუთვლიდნენ ცირას.

ეს უკანასკნელიც მაშინვე დურუს წამოაგდებდა ლოგინიდან. ბიჭი იბუზღუნებდა, მაგრამ სიბნელეს მაინც აჯობებდა. მამის მომჩვარულ სხეულს წამოიკიდებდა და ოღროჩოღრო გზებზე წამობორძიკდებოდნენ.

კაცს უყვარდა და კიდეც ეიმედებოდა „სხვისი შვილი“, თუმცა ტკბილი ძილის გამუდმებული დაფრთხობისათვის დურუს ბევრჯერ უნატრია კოჩიას ღვინოში ჩახჩრობა. უფრო მაშინ გაიფიქრებდა ამას, როცა გატრეტილი მამა უდანაშაულო ცირას შინიდან აგდებდა. კახპას და ცხენის თავის მაჭიხვინებელს ეძახდა უსინდისოდ.

„წადი და შენს ჯიმაია არდაშელს ეჟღურტულეო“ — უღრენდა სულ. სამურზაყანოელ ნათესავებს უგინებდა და ჯამ-ჭურჭელს უმსხვრევდა, თუმცა დილით ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში დგე-

ბოდა. დილით, ნამტირალევ დურუს მშობლებს საზიარო ბალიშზე ეძინათ და ბიჭს სიხარულისაგან სული ეგუბებოდა.

კოჩია ჰალიძონიას გაჭირვებული ადამიანის გაწბილება არ შეეძლო. უარაფროებს მილიონერივით მფარველობდა. უქმადდებულ ნივთს, რომელსაც მაღაზიის ნესტი და მტვერი აფუჭებდა, ხალხისთვის დაკარგულად მიიჩნევდა, ამიტომაც ქვრივ-ობოლს საერთო რვეულში ანგარიშს გაუხსნიდა, რათა ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდა შეძლებოდა.

ასეც მომხდარა — რაიკოოპერატივიდან მეურვეებს გაფრთხილება ვეღარ მოუსწრიათ და რევიზორები მოულოდნელად დასხმიან თავს. ამისთანა საგანგებო შემთხვევის დროს ინგირის ან კახათის უკვე აღწერილი მაღაზიებიდან საქონელს ინათხოვრებდა, სახურავს შიფერს ააძრობდნენ და დალუქულ შენობაში ჩაიტანდნენ.

იცოდნენ ოდაბადელებმა, რომ მათი კეთილდღეობისათვის კოჩია ბედისწერას ეთამაშებოდა და ცხადია, წრფელადაც უყვარდათ. ხანდახან, როცა უკიდურესი წუთი დაუდგებოდა, ჭოფია ანთარიას გვიტისგან ფულს ისესხებდა და მერე სავახშო ვალებს ვაჟკაცურად უმკლავდებოდა. რა თქმა უნდა, მადლიერი თანასოფლელები ხშირად ზედმეტსაც უტოვებდნენ, ასე რომ, კოჩია ჰალიძონია და ოდაბადელები რაღაცნაირად ინახავდნენ ერთმანეთს.

ამის თაობაზე არდაშელს მრავალგზის სმენოდა. თავმჯდომარემ ისიც მშვენივრად იცოდა, რომ მისი დაბრუნების დღიდან ცოლს უმოწბალოდ აწამებდა კოჩია. უმცროსი ძმის ეჭვიანობას მილანდართან ჯვრისწერამაც ვერ უშველა.

შეზარხოშდებოდა თუ არა ხეიბარი, „წადი შენს ჯიმაიასთანო“, გადაუკრავდა ცირას სიყმაწვილის წლებზე. ვალში არც შკვითინხე რჩებოდა.

— ჭკვიანად იყავი, კოჩია, თორემ ინანებო! — ემუქრებოდა მრავალისმეტყველად.

იმის ნაცვლად, ქმრისთვის ქარიხვეტია მეგობრებში ტრიალი დაეშალა, ყელს მოიღერებდა ცირა და გაშლილ სუფრას მიუჯდებოდა ბროლის კბილების ელვარებით. შეცხადება, ქვეყნიერების შეყრა მართებდა, მას კი დროსტარების მეტი არაფერი ახსოვდა. ხალხმრავალ წვეულებასა და ქელეხს თვალებს უბრმავებდა ბეწვეულტყავეულით.

იმ საღამოს კოჩია ჰალიძონიამ ცოლისათვის მერამდენედ მიცემული სიტყვა გატეხა, გამოიბრუჟა, გამოტყრა და იქიდან მოყოლე-

ბული, ამხანაგებს წამოუძღვებოდა. ატყდებოდა სკამების ხრიგინი, ჭიქების ჭახაჭუხი, ძმობასა და სამშობლოს სიყვარულში თავგამოდება. წირვას გამოუყვანდნენ სულუგუნობას ვერ მოსწრებულ ჭყინტ ყველს, წინადღით დამწნილებულ კანამხალს.

ცირას უზნეო საქციელში გამოჭერას ცდილობდა სულ, მაგრამ ფიზიკურად სუსტს არაყი მალე კისერს წააწყვეტდა. ტახტზე გაუხდელად მიგდებულს ეღვიძებოდა. ჭიშკარს ჯიჯღინით მოიხურავდა ნაბახუსევი. ველოსიპედით მაღაზიისაკენ წალახლახდებოდა ვითომ, შუაგზაზე გადაუხვევდა, სიმინდის ყანდან შემოიპარებოდა და საათობით უთვალთვალებდა მიმსვლელ-მომსვლელს.

რევიზორების იმ ჯგუფს კოჩია ჰალიძონიამ ვერაფერი მოუხერხა. ანდა, არდაშელის დაგეშლი-მოქრთამულებთან გააწყობდა რამეს? შეშინებული ნოქარი არეულ დავთრებს გულღიად ამხელდა, მაგრამ დანაკლისმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და აშკარა განსაცდელის წინაშე აღმოჩენილმა დახლიდარმაც ხელი გამოიღო. ისევ ივალა გვიტ ზანთარიასაგან. საჭიროზე მეტი ფული შეაძლია თითოეულს, თუმცა თითქოს წმინდანები ყოფილიყვნენ, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. მაღაზია დაულუქეს.

,,კგრ-კგრ-კგრ.

კოჩია: უკიდურესად შეჭირვებული ბოღმას არაყში ვახრჩობდი. ყოველ წამს დაპატიმრებას ველოდი და თვალთვალს მაინც ვაგრძელებდი. მალე ნანატრი წუთიც დამიდგა.

კოჩია, გამომხედე, კოჩიაო, მეძახდა არდაშელი ჭიშკრიდან.

რომელი ხარ მანდ, პირი რომ დაგიღია. ბავშვს ვაძინებ, აქეთ მოიწიეო, გაეპასუხა ოდიდან ცირა.

არდაშელი ვარ, არდაშელიო, დაიროხროხა ჩემმა ძმამ.

არდაშელიო, სუსტად შეჰკივლა შკვითინხემ და ჩამოფრინდა მორყეულ კიბეებზე.

კოჩია სადღააო, ჰკითხა მაზლმა რძალს, თან გასაღებების ასხმულა მონოტორულად ააჩხარუნა.

ალბათ, სასადილოში ცეცხლავს არაყსო, ცირამ.

დღეს არ გამოჩენილაო, იქ, თქვა არდაშელმა.

ვინმესთან შეეთრეოდა მაშინ. დურუ, დურუუუ! შე, არგასაზრდელო! კოჩიას იმედით მთლად ხელიდან წამივიდა ბავშვიო. დედა, თავი მომიკვდეს, აქ რას უდგეხარ უცხოსავით?

შინ შემოდი. ღომი მაქვს დადგმული. ამასობაში ისიც მოვა, ერთად ვისადილოთო.

სხვა დროს იყოს, ცირა, სხვა დროს. ისე, ჩემს სულელ ძმას გადაეცი, რომ გარე-გარე სიარულს მოეშვას. კანტორაში მომაკითხოს. ნურაფრის გეშინიათ, საქმე მოგვარებულია. დავფარავთ დანაკლისს და ხელს ვერვინ ახლებსო.

რაც გამდელი დავასაფლავეთ, მერე სათოფეზედაც არ გვეკარები. ჩვენ, ცოდვილები, ჯანდაბას, მაგრამ ძმისშვილმა მაინც რა დაგიშავა, ადამიანოო, თქვა ცირამ. ორივე ხელით მკლავში ჩააფრინდა არდაშელს და ძალად შემოიყვანა მოლით გადახასხასებულ ეზოში. გულაჩუყებულმა კინაღამ სამალავი მივატოვე.

ძმის ღალატი გულში რამ გამავლებინა-მეთქი, ვიკვნეტში ფრჩხილებს აკოკრილ სიმინდებში ჩასაფრებული. ცემენტის ქათქათა სვეტებზე აწეული ოდის მოფამფალებულ კიბეებზე წინ სტუმარი მიდიოდა, უკან — მასპინძელი.

ეჭვების ბუდე ვარ, ეჭვების ბუდე-მეთქი, ვიტუქსავდი თავს მასიურ საყრდენებს შორის მობრიალე. ადრე კიდევ ჰო, მაგრამ ახლა, მილანდარის პატრონს, შენი ჭუჭყიანი დედაკაცი რაში უნდა აინტერესებდეს-მეთქი, შუბლზე ვირაკუნებდი მუშტს და მაინც კუნძზე დარჭობილი რუსული ნაჯახისაკენ გამირბოდა თვალი.

გაგიჭირდა უჩემოდო, მოსწვდა ჩემს დაძაბულ სმენას ხავერდოვანი ხმა.

უშენოდ სიცოცხლე ვინა სთქვა, გოლვაფიროო, მიაკვნესა ცირამ.

და მაინც მიღალატე, არაო, წყენა გაერია კაცის ნათქვამს.

სამაგიეროდ შენ ხომ მიერთგულე, გოლვაფიროო, ამან.

ერთგულება ქალის საქმეა. ვისაც ვუყვარდი — შეძლო თავის შენახვაო, არდაშელმა.

სად აზნაურის და სად გლეხის სისხლიო, შკვითინხემ.

მოკვდებოდი, ჭირიანს რომ არ გაჰყოლოდი? კაცი გაგიწყდაო, მაზლმა.

არაფერიც, მაგრამ სხვამ ვერ გამიცოცხლა შენი თავი,

სხვამ ვერ მომანიჭა შენი ალერსი და იმიტომ. თუ მკლავ — სიყვარულით ბარემო, ჩაიქვითინა რძალმა და მაშინ ქათქათა სვეტის დაკბილულ კუთხეს შუბლი გავუქანე. გამოსაშვებმა სისხლმა იფეთქა. შვება ვიგრძენი, მაგრამ როგორი შვება! თითქოს ხელახლა გავეჩინე დედაჩემს, თითქოს ხელახლა ამედგა ენა, თითქოს ხელახლა ამხელოდა თვალები!

ჩხარუნობდა ჭურჭელი. დროდადრო აჩხავლებულს აკვანს წამოურწევდნენ. წკარუნებდა და წკარუნებდა ამას წინათ ზუგდიდან ჩამოტანილი ეჟვნები. მერე იატაკმა მძიმედ გაიჭრიალა... ზეაპყრობილი მზერა მტვერმა გადამიბინდა... ბრაგვანი მოადგინა სკამმა. ყრუდ ხათქუნებდა რაღაც. ბოლოს ყველაფერი კვნესად და ჩურჩულად იქცა... აქამდე რომ ვფიქრობდი, კიბეებს ფეხის ერთი დაკარებით ავირბენ-მეთქი, მოჭრაჭუნე საფეხურები დაუსრულებელ სატანჯველად წამომეკლაკნა ხეიბარს. სული კბილებით მეჭირა. ვეღარაფრით ამეტანა, ჩემს ანგელოზს სინდისგარეცხილი ქალი რომ არწევდა. პერანგის გულისპირზე ერთდროულად ჩამომსდიოდა სისხლი და ცრემლი. კედელ-კედელ მივათრევდი უღონოქმნილ სხეულს. კარის სახელურს ჩაფრენილი ლერწამივით ვქანაობდი ერთხანს... ჩემმა გამოჩენამ ფანჯარასთან გულხელდაკრეფით გაჯგიმულ არდაშელს წარბები მაღლა აეზიდვინა. გახა ბებუას ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე, თითქოს შემოსწრებულს მიმანიშნებდა, ესეც შენი ცირა შკვითინია! აი, ასე გადგამდა ყველასთან რქებსო. მიკვირდა, დედაკაცს რისთვის ვერ მოეხერხებინა სტუმარივით მოკოხტავება, საწმენდი ჩვარივით რისთვის დატყლაპებულიყო იატაკზე, რისთვის არ ითვალთმაქცა! ხომ ჰქონდა საამისო დრო?! მერე, წლების მერე ჩავწვდი, რომ ჯიმაიასგან მონიჭებულ ნეტარებას დაია ვერაფრით ელეოდა. ქალი ხვდებოდა თუ აკვნისკენ რა მიზნით წავაბიჯე შეშლილმა კაცმა, შვილის წართმევას რომ ვუპირებდი და წამოთრეული ტანით პირმშოს გადაეფოფრა, მაგრამ გამეტებით ვკარი მუხლისთავი გავაზე და კუთხეში პირაღმა მივაგდე. მერე არტახებიდან ელვისებურად ამოვგლიჯე ასხავლებული ჩვილი და შკვითინხეც მაშინვე კედელს მიაწყდა.

სად მიგყავს ჩემი თვალისჩინიო, იწივლა შეთქმული ძმე-

ბისაგან განწირულმა დედაკაცმა, თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ. შენ ვინ მოგცა, გადამწვარს, მაგისი შნო და მარიფათიო, წიოდა ვარსკვლავების ჩამოსაწყვეტად და კიბეებზე ჩამოფრენილმა მამამ შვილს კინაღამ ცემენტის სვეტზე თავი შევუტაკე, მაგრამ უმანკომ დაიჟღურტულა, შეფრთხიალდა, ატმის რტოსავით აყვავებული ხელები აათამაშა. მზეს შეჰხაროდა ბონდო ბიჭი, ბონდოია და მეც გულსაკლავად ავქვითინდი. საინტერესოა, რას ფიქრობდა პაუზების დროს?!"

ესეც არაფერი. იქნებ ამასაც შველებოდა რამე, მაგრამ ბონდო ვერაფრით შერიგებოდა დამამცირებელზე დამამცირებელ შეგნებას, რომ ნებისმიერი ადამიანისაგან განსხვავებით, სიყვარულის შედეგი კი არა, ცდის, სინჯარის, ლაბორატორიის პროდუქტი იყო. დროდადრო მუხანათური სიტყვების გასანელებლად ცერათის კბილებით ჩააფრინდებოდა ხოლმე.

უკვე დანამდვილებით იცოდა ბონდომ, თუ ეს ორი წელიწადი საზოგადოებას რისთვის არიდებდნენ, რისთვის დაატარებდნენ მეფუტკრის პირბადეთი, რატომ ამოიკვეთეს ქალაქში ფეხი, თუმცა ყმაწვილს აქამდე საიდან შეეძლო მისხალ-მისხალ მოფიქრებული სიმდაბლე-აბსურდის თვალნათლივ წარმოდგენა?! ელექტრომიკროსკოპს მიუჩოჩდებოდა, მატერიის სიღრმეში შეცურდებოდა, ნამცეცის რაობაზე თავს იმტვრევდა, როცა საკუთარი პიროვნება ასკეცი ბურუსით ყოფილა წლების მანძილზე დაფარული.

,,მაინც რა ეთქმის ამ გაქცევას? თვითგანსაზღვრის ცდა?! რას მივაღწევ უთვისტომო და უმეგობრო, ვინც ჯერ კიდევ ხეირიანად ვერ გავრკვეულვარ საკუთარ წარმომავლობაში, რიგიანად ისიც არ ვიცი, ცირიბია-კოჩიას ღლაბუცის ნაყოფი გახლავარ თუ ჟინი ანთარის გენეტიკური მასალის მეიოზის* წყალობა?!"

მოჭრილად რომ ვთქვათ, ბონდოს ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეცნობიერებინა ამ უმისამართო ლტოლვის ჭეშმარიტი არსი, ვერ გაეცნობიერებინა, ვინაიდან წარსული უუმწვავესად უშანთავდა სულს.

თავქუდმოგლეჯით გაურბოდა სატანჯოელებს, ისეთი გაფიცხებით, როგორც ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამორბიან ხოლმე, მაგრამ ეს სივრცობრივი გადაადგილება უფრო მექანიკური იყო, რადგანაც გონებამოწამლულ ახალგაზრდას შემზარავი ამბის ეპიცენტრისთვის თავი ველარაფრით დაეღწია. არა, სულ სხვა მიზანი ესაძირ-

კვლებოდა ამ ლტოლვას, სიტყვებით გამოუთქმელი, მაგრამ გულის-გულში ღრმად ჩაჩნეული მიზანი.

ჟინი: მხსნელივით მოევლინები დედამიწას ჩემი ფესვი. ერთხელ გამონათებულივით ივლი. ასე, სულ წინ, ჭეშმარიტეისკენ და ჭეშმარიტებისკენ და თუ მწარე სიმართლისთვის დაჩაჩანაკებულს მომიძულებ, დაე, ჩემი თავი და ბოლო მეწყერს წაუღია ბეხრეკ ძვლებიანად. დარწმუნებული ვარ სრულიად ახალი პიროვნება მივანიჭე მსოფლიოს ფენოტიპიურადაც და გენოტიპიურადაც სრულყოფილი პიროვნება. ჰმ! Homunculus! კაცუნა! კაცუნა!"

ბონდო ჰალიძონია შესაძლოა იმწუთას უფრო ინტუიციას, გულისხმას, შეურაცხყოფილი მეობის დუღილს მიჰყვებოდა საკუთარი თავის აღმოსაჩენად, ვიდრე — დაუნჯებულ საზრიანობას. მის თვალწინ ისე უჩუმრად ღაფავდა სულს თითოეული ფიფქი, თითოეულის ფანტელი, შემოგებებული ყოველი სახე, სახლი, ხე, რომ თითქოს ეს გარემომცველი სამყარო საპნის ფერად-ფერადი ბუშტების გროვას წარმოადგენდა.

ესაუბრებოდა კიდეც ადამიანებს, მაგრამ მარჯვენამ აღარ უწყოდა, რასაც მარცხენა მოიმოქმედებდა. ტაქსების რიგში იყო ეს, ფოსტასთან თუ სასტუმროს ვესტიბიულში, სიცოცხლე ხელმეორედ რომ გეჩუქებინათ, იმჟამინდელ ფრაზებს, დიალოგებს ვეღარაფრით აღადგენდა. უჩვეულო სიზმრების მორევში ჩაქანებულს გამოეღვიძებოდა თუ არა, ტორშერის შუქი ეცოტავებოდა, სამნათურიან ჭაღსაც აანთებდა და ბალიშზე თავს მისდებდა ისევ, მაგრამ მყისვე წამოახტუნებდა გულ-მკერდში მკვიდრად დაბინადრებული ეჭვი. ტანსაცმლის კარადასთან მიიჭრებოდა, დალაქავებულ სარკეში გაფაციცებით დაუწყებდა საკუთარ თავს თვალთვალს. თითეით ქუთუთოებს იფართოებდა, ისინჯავდა კბილებს, ათრთოლებულ ცხვირის ნესტოებს, ევროპოიდულ შუბლზე დამსხდარ ორტოტა ცისფერ ძარღვს, შეგინგლულ დაკუთხულ ნიკაპს; ამოწმებდა ნეკნებს, მკერდს; აყურადებდა გულის ძგერას. სარკის წინ დედაშობილა ატუზული გაფაციცებით იკვლევდა ყოველ ასო-სახსარს, თითქოს უნდოდა გაერკვია, ჟინი ანთარს ხომ არაფერი შეშლოდა იმ ცხრაას ორმოცდათოთხმეტის შვიდ აპრილს, ხომ არაფერი დაეკლო ან წაემატებინა მისი სხეულისათვის.

თავზეც შემოიჭდობდა ხელებს, მერე ბნედიანივით წამოვარდებოდა, გასაღებს გადაატრიალებდა, ბნელ დერეფანში შეშფოთებული გახედავდა. ეჩვენებოდა, თითქოს საგანგებოდ უთვალთვალებ-

დნენ. გულმოდგინებით იკვლევდა კედლებს, იატაკს, ჭერს. ჩხირი-სოდენა ბზარი თუ ნაჩვრეტი გულს გადაუქანებდა. შემდეგ ერთიანად მოქანცული ლოგინზე მიეგდებოდა და უსიცოცხლო თვალებით მიაჩერდებოდა ჭუჭყიანი ფარდებიდან შემოცურებული, ქალაქის ბარდნაში გახვეულ სანახებს. კვლავ სიზმარში გადაეშვებოდა ბონდო. გამუდმებით მუხლებამდე ტალახს მიტოპავდა ონწყვეშიის მიმართულებით. მაცდუნებელი გუბეები ალაგ-ალაგ სარკეებივით ანათებდნენ და შიგ ჩარჩენილი ჯარისკაცები, ნირგა ქობალია, ჩვილი ნახევარძმა თუ ღლავები სულს საცოდავად ღაფავდნენ.

ერთხელაც კამეჩების ჯოგი ამოყროყინდა იქიდან. შმორის ამაზრზენი სუნი ამოიყოლეს. ერთად შეყრილიყვნენ Bubalus arnee, Bubalus minforensis, Anoa, sincerus cafrer.*

ცვა, ბონდოოო! ცვა, ბუტუტიიი! — მობღაოდნენ სინჯარაში გამოჩეკილი თეთრი კამეჩები. რქანაყარი მეწინავე კი ჟანგიან წალდს უღერებდა მთლად. ისეთნაირად გადმოდუღღნენ გუბეებიდან, როგორც რძე — ცეცხლზე შემოდგმული ქვაბიდან. მათ შემზარავ ქშენას თავდაუზოგავად გამოურბოდა ყმაწვილი.

,, არ უნდა შემეერთებინა ადენენისთვის გუანინი, ციტოზინისთვის — თიმინი. უაა-სთან და უაგ-თან თუ არა, უგა*-სთან მაინც უნდა შემეწყვიტა ცილის სინთეზი. სადღა არიან ეს წყეული საოფლე ჯირკვლები? Glandulae. **კამეჩი პარტნიორს ოცი კილომეტრიდან გრძნობს.** მით უმეტეს. არ უნდა ამომეგდო დნმ-ს* ჯაჭვიდან მესამე ტრიპლეტის* მეორე ნუკლეოტიდი!'' ფიქრობდა ბონდო და გარბოდა, გარბოდა. რაღაც მანქანებით წყლების ქვეყანას და თეთრი კამეჩების რქენას კი დაეხსნა, მაგრამ ახლა მოყანყალე ბონდით ნიკაპწვრილ დედაბერს მისდევდა. ნაცნობი იყო ეს მხრებიც, ეს მონგრეული წვივებიც.

,,კოჩიას ფეხები, კოჩიას ფეხები!''

ცარო მუშუქია ვიდრე ჰალიძონიების ახოვან თელას არ მიადგება, ჩუმათობს. საკვირველია, წლების წინ ძირში მოჭრილი ხე, რომლის ფესვები არდაშელის სასახლის საძირკველში გახლავთ მოყოლილი, საღათის ძილიდან გამორკვეულივით იზმორება, იზლაზნება, ტოტები ჭახაჭუხით ლეწავენ კედლებს. არის ზათქი, გრუხუნი, ცემენტისა და შარდის სუნი. საჩრდილობელი თელის დედატოტზე საქანელას დაწყვეტილი თოკები ირხევა, ზევით კი პილპილით დახუნძლულა ალაწოდა ხე.

ქალები ისე იქცევიან, თითქოს ბონდოს ვერც კი ამჩნევენ. მართა-

ლია, თელას ამოფარებოდა ახალგაზრდა, მაგრამ არც ისე მოხერხებით, მახვილ მზერას ვერ შენიშნოს.

— ამ ნაყოფს ჩვიდმეტი წელიწადია არავის ვაკარებ, — ამბობს ცარო მუშუქია.

— ჩემთვის შეინახე, არა?! — ლობიოთი სავსე კალთაში ჩაუდებს თავს ცირა დედამთილს, — მისახსოვრე ერთი ასხმა! —ყლგამოწეული ეხვეწება ოქროსფერი პარკებისთვის.

რძალს ცოდვათა მიმტევებელი ღიმილით უთვალთვალებს ცარო მუშუქია. ჭუჭყიანი ხალათის ჯიბიდან წმინდაკბილა სავარცხელი ამოაქვს. სიხარულისაგან ლამის გული გაუსკდეს ბონდოს. მილანდარის ნაცვლად მის დედას ვარცხნის ბებია. „აბა, როგორ?! განა არ იცის, რომ, აგერ, მისი შვილიშვილი ამოვფარებულვარ თელას?! აბა, როგორ? ცოტა ანგარიში ხომ უნდა გაეწიოს ჩემს აქ ყოფნას?!“

დალალები ნელ-ნელა მატულობს, იწეწება, იბურდება, ფერიც უკაშკაშდება. ცირას სახე ეღრიცება ვარცხნისას, მაგრამ ეს იმდენად არ ადარდებს ყმაწვილს.

„კეთილი ინებოს და გაუძლოს, მთავარია, რომ დანაშაული ნაპატიებია“.

აჰა, უკვე კოჭებამდე ჩამოშლია კულულები.

„ნეტავ ერთხელ მაინც შემავლებინა მათთვის ხელი!“

დედის დალალების ხასხასით ტკბობა ბონდოსთვის ხანმოკლე აღმოჩნდება. უნდა მაჯაში სწვდეს ბებიას და ცირას კისერთან მიტანილი სამართებელი წაეგლიჯოს, მაგრამ უკნიდან ტრიფოლიატის ტოტი წაებღაუჭება, ნაბიჯს არ მოაცვლევინებს.

„Tyifolium. სამფოთოლა, სამფოთოლა. სამებითაა ყველაფერი, ღმერთიც, დიალექტიკაც, მეც. ხმაც რომ წამერთვა?!“

ხვავრიელი თმა თანამიმდევრულად ისხიპება, ოქროსფერი ჩანჩქერივით ეშვება დედის კოჭებთან. გამელოტდა, გაქაჩლდება ცირა.

თელას ამოფარებულ შვილს მშობელი შიგდაშიგ სევდიან თვალებს მიაპყრობს. ნიკაპწვრილი დედაბერი კი თავის საქმეს ბეჯითად განაგრძობს. აჰა, ჯვარედინად გადაუსერა მბზინავი კანი და ყვითლად აფითქინდება ქონი. თითქოს ბოსტანში მუშაკობსო, ისე აწყობს ჭრილობაში წიწაკის თესლს. ამჩნევს ბონდო — დედის თავზე თ მის ნაცვლად პილპილის სამტკავლიანი პარკები ლაგდება.

თოვლის მოფუთფუთე ფანტელებს უხალისოდ გახედავდა ბონდო ჰალიძონია. რატომღაც სჯეროდა, რომ ყოველივე

გარდახდილი სიზმრების აცხადება უფრო იყო, ვინემ ობიექტური სინამდვილე. რაღაც არსებითს უგრძნობდა გული. ისეთ გუნებაგანწყობაზე დგებოდა, როგორც დჟღეების წინათ, როცა ხან კაცისტოლა ჭიანჭველები ეზმანებოდა, რომლებიც ქაჩალ გორისკენ* მიათრევდნენ, ხან კიდევ უკიდურესად შეკუმშული, ჭიანჭველადქცეული ადამიანები მის გამოხრულ თავისქალაში მიმოდიოდნენ, Homo-ს და Formica-ს გაწონასწორებას ლამობდნენ, ოფლში მცურავს რომ ეღვიძებოდა, ტორშერის შუქი ეცოტავებოდა და სამნათურიან ჭაღსაც შემოიშველიებდა ხოლმე.

კარზე მობრახუნებაც არანაკლებ აკრთობდა ბონდოს. ლოგინიდან წამოფუცხუნდებოდა, გასაღებს გადაატრიალებდა და როცა ხელთ დამლაგებელი შერჩებოდა, შვებით ამოისუნთქავდა. ამას წინათ ორივე ონკანი ღიად დაეტოვებინა და როცა ბრაგაბრუგმა გამაღვიძა, მისი ფეხსაცმელები და ჩანთა იხვებივვით დაცურავდნენ მუხლებამდე წყალში. კინაღამ ქუჩაში ისროლეს, მაგრამ სართულის მორიგემ ცალკე ადმინისტრატორი მოქრთამა, ცალკე — დირექტორი და მიყენებული ზარალისათვის ხუთასი მანეთითი დააჯარიმეს.

ელაპარაკებოდნენ, რაღაცას უხსნიდნენ, რაღაცას უსაბუთებდნენ. ბონდოც თავაზიანად უპასუხებდა სათითაოდ, როდის-როდის გაიკრიფებოდნენ და ყმაწვილიც ისევ განმარტოვდებოდა. ცივი შხაპით გაგრილდებოდა. ახლახან გამოცვლილი პირსახოცით ტანს იმშრალებდა, თან მერამდენედ ამოწმებდა ონკანს. ბოლოს ლოგინზე მიეგდებოდა და კვლავ აბობოქრებულ სიზმრებში გადაეშვებოდა.

აგერ, ცალბორბლიანი ეტლით სოფლის შარაზე მირახრახებს ბონდო. ვერაფრით გაუხსენებია, თვლები თეთრი კამეჩების ჯოგის დევნისას მოსძრომია თუ სხვაგან. ეს ერთადერთი ბორბალიც ყანყალებს, ფამფალებს და, სადაც არის მოსხლტება. მოკლედ, ახალგაზრდის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

„მარწყვის მდელო“*. ბერგმანი. არა, რასკოლნიკოვის* სიზმარი. რა აწრიალებს კლუბთან შექუჩებულ ხალხს?! ხელებს ისე სწევენ მაღლა, თითქოს ცა ექცეოდათ თავზე. პომპეის ტრაგედია. ვეზუვი“.

დანგრეულან ცათამბჯენი კოშკები. საყოველთაო ზარი ბონდოსაც გადმოედება თანდათან. პირუტყვის უცდომელი გუმანით გრძნობს, რომ მიწა იძვრის.

— პოსეიდონი, მიწისმრყეველი პოსეიდონი! — ჩურჩულებს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს ახლა?! ყველაფერი ნანგრევებად ქცეულა. ისეთი პანიკაა, ტუჩებზე ხელის მიფარებაც ვერ მოუსაზრები-

ათ. სულ უცნობი სახეები, სულ ახალ-ახალი ფორმები. „ოთხხელიანები“*. მაინც მათკენ მოიჩქარის, მაინც მათი საწუხრის გაზიარება სწადია.

— რა ხდება, რა ამბავია?! — ჩაეკითხება უახლოეს საფრთხობელას ბონდო.

— მმმეიროხახანია, ბობობონდო ჰალიძონძონიავ!— იხრჩობა ერთი.

— მმმეიროხხხანია, ببببუტუტი ანთთთარიავ! — ჩლოფინობს მეორე.

— მე-ი —რო-ხან-ი-ა, გი-ორ-გი ხან-თა-რი-ძევ! — წელავს მესამე.

თავპირისმტვრევით გაურბიან ყმაწვილს, თითქოს კეთროვანი იყოს, თითქოს მასთან შეხებას უფრო მეტი საფრთხე მოსდევდეს, ვინემ მიწისძვრით დანთქმაა.

— მეიროხანი რაღაა?! **სად გარბიხართ, სად?! ოდაბადელები დაგნაცრავენ, დაგნაცრავენ?!“**

არ იცის რომელ ერთს გამოეკიდოს ბონდო. ზოგი საით მიშლიგინებს, ზოგი — საით. უცებ წინ ღორების კოლტი ჩამოუქროლებს. საცოდავად ჭყვიტინებენ რუხზოლიანი გოჭები, ტახებს კი ქაფი გამოსდით მტკავლიან ეშვებზე. ქუბებს, კერატებს, განურჩევლად ყველას, ყურები ეზრდებათ წამიწამ. ხან აქეთა ღოებს მოაწყდებიან, ხანაც — იქითას. მერე ხეებზე არბიან ვერხვის ფოთოლივით მოცახცახენი, მაგრამ ძირს ცვივიან და ბონდოც ასკვნის, რომ მეიროხანი მეტამორფოზისმაგვარი მდგომარეობაა, რაღაც ცხადისა და ირეალურის შუალედური მდგომარეობა.

„აი, სასწაული, თუ გინდა! **გამოდვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ და მიიმართა ყოველმან მან კოლტმან ღორთა მან კბოდესა და ზღვასასა და მოსწყდნეს იგინი წყალთა მათ შინა“.*** მწვანე ფერი!“ დაარტყამს უცებ თავში ბონდოს. მიეროხანი ფენოტიპიურია, დაფარულის გამოაშკარავებაა! ჩაესმის საიდანღაც ჟინი ანთარის ხმა და ეს მთლად დააფეთებს.

შარვლის ტოტები აიკეცა. წვივები გამწვანებია უკვე. ახლა პერანგს შემოიფლეთს. გულ-მკერდზეც იგივე ფერი მისძალებია. „დავიღუპე, დავიღუპეო“, ძრწის ბონდო და დედისკენ გარბის, აგერ, ვიღაცა გზას გადაუჭრის რომელიც დინოზავრის კუდივით მოათრევს ხვლიკისფერ ენას. კიდევ რომელიღაცა გადაუსწრებს — მწვა-

ნე აქვს კვახის ფოთლისხელა ყურები.

„ღმერთო ჩემო, ამათ ქე მაინც სხეულის ესა თუ ის ნაწილი გამწვანებიათ, მე კი, მე კი, მწვანეში ვარ ამოვლებული ჩურჩხელასავით. **ელოი, ელოი, ლამა საბაკთანი“***.

თხრილის კიდეზე ჯდება, უფრო სწორად, შიგ ჩამალვა განუზრახავს, ჩაიმალება კიდეც და ახლა იმ წუმპიდან ზვერავს დაფორიაქებულ მგზავრებს. ხედავს ბონდო მუხლებამდე ჩამოცურებულ ძუძუებს, კოჭებამდე ჩამოზიდულ ვასაკასფერ დუნდულებს და ასოებს. ხვდება, რომ მწვანე ფერი მხილებაა, მწვანე ფერი მანკიერების დამადასტურებელი საბუთია და უფრო და უფრო მიძვრება თხრილში, მაგრამ, აი, სიბნელიდან მაგნოლიის ყვავილებივით ქათქათა მტევნები გამოქანდებიან მისკენ. სახე არა ჩანს, აღარც მხრები და ტანი, მხოლოდ მტევნები კამკამებენ.

— დახედე ამათ! ნეკა თითზე კინაღამ მეც გამომეკვრტა მწვანე! მოდი, ჩემთან, მე გიშველი, მე გიხსნი წარწყმედისაგან! — ეჩურჩულება უჩინარი ქალი და ბონდოც მიენდობა უხილავს. გრძნობს, როგორ დაუვლის სხეულში ჟრუანტელისმაგვარი სითეთრე, გრძნობს, როგორ გადმოეღვრება ფარული უმანკოება. „გადავრჩი, გადავრჩი“, უხურს გონება. მტრედები ირევიან, ირევიან.

ვთქვათ და, რომ გეკითხათ ლტოლვილისთვის, ამ სასტუმროში რანაირად, ვისი დახმარებით მოხვდიო, ვეღარაფერს გიპასუხებდათ. ბუნდად აღადგენდა ადმინისტრატორის ცხენივით წაგრძელებულ სახეს. აღადგენდა მასაც, თუ როგორ ედავებოდნენ, ცხვირწინ ქაღალდებს როგორ უფრიალებდნენ, მაგრამ ამ დიდებულ ლუქსში ვისი წყალობით აღმოჩნდა, ამოცანა იყო ყმაწვილისათვის. ისევ თავიდან იწყებდა ფიქრს.

აგერ, მოტორიან ნავში ზის მასწავლებლის პირისპირ. აგერ, კამეჩების ჯოგი, ოსტატი — მკერდზე მიხუტებული პრიალადრუნჩიანი ზაქით. აგერ, ონწყვეშიის დუმფარებით დაფარულ წყლებთან გამართული საუბარი. Nolli me tangere და ნეკის სისხო ეკლის მოწყვეტა. საზეიმოდ მორთული სუფრა. სიჩუმის სიმბოლო ვარდები.

„ნუთუ ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მისხალ-მისხა განჭვრეტილი?! მაგრამ კოჩიას რომ არ შეესწრო არდაშელ-ცირას ეუპარე-

უნიისთვის, მაშინ, მაშინ ხომ არ მოვხვდებოდი სატანჯოზე და არც ჟინი ანთარის სამეურვეო შევიქნებოდი?! აბა, სად არის აქ ლოგიკა?! იქნებ განგებამ თვითონ იზრუნა რააბის უტოპიური მიზნებისათვის?!

მაფა: შენი მასწავლებლის სახელს კვლავინდებურად არავინ ახსენებდა, ნანაგე, ბონდო. შესაძლოა უფრო იმიტომ, რომ აუია აბშილახესა და მერე ხახანტი მაკრონხეს სატანჯოში განკურნებამ ძმათამკვლელად მონათლული ჯეგე უძლურის ბრალდებისაგან სამუდამოდ გაათავისუფლა. წლებსაც თავისი მიჰქონდა, ეგეც რომ არა, ოდაბადე-სატანჯოს შუა ხიდივით გაიდო ჩვენი თავგანწირული სიყვარული. ამიტომაც, ბუნებრივია, ქალი თუ კაცი ენას კბილებს აჭერდა, თავს იკავებდა ჯეგე ანთარიას საჯარო გაკილვისაგან, თორემ შინ, კერიასთან, აქეთ მოდიო, შე უღმერთო, ჟინი ანთარი და ეს უთურიმ ბავშვები მოგვაშორეო, გასძახებდნენ სიბნელეს ყასიდად და რა ცელქებიც უნდა ყოფილიყვნენ აურზაურის მოთავენი, მაშინვე გაისუსებოდნენ.

ამისთანა ერთგულს წიგნებში თუ შეხვდები! ჰმ! განკურნება!

კოჩია: მკერდზე პირმშომიხუტებულმა დაწყევლილი კუნძული უკან მოვიტოვე თუ არა, თემშარა გადავჭერი, წყლით გაზიზინებული ღელე გავტოპე, ღობეზე წვალებ-წვალებით გადავითრიე სხეული და მზის მიმართულებით მივჰყევ და მივჰყევ სიმინდის გამორიდებულ ყანებს. უკურნელი სიბეჩავის კვალობაზე, ქურდულად, უკაცრიელი გზით აქამდეც ბევრჯერ მივლია და რადგანაც საკუთარ სიდუხჭირეში ისე ვიყავი თავმონასკვული, როგორც აბრეშუმის ჭია ჭუჭკ პარკში, ადამიანებთან შეხვედრას გავურბოდი.

ასეთი ხელოვნურობა, ასეთი სიყალბე, ბაბაია, ეკადრება შენისთანა საკმეველივით სუფთა გულის კაცს?

კვლავ განმარტოებით სიარულს ვამჯობინებდი. ხომ გავაღწევდი ტრასაზე ადრე თუ გვიან?! ჰოდა, იქ საბოლოოდ გადავწყვეტდი, საითკენ გავსწევდი, რას ვიღონებდი. მინდოდა თავიდან ამომეგდო წეღანდელი ნანახი და მოსმენილი, მინდოდა ეს მტანჯველი სინამდვილე შვილის მერმისზე ფიქრით გამექარწყლებინა, თუმცა საკმარისი იყო ორი-სამი წარ-

მოსახული სცენა გადაბმოდა ერთმანეთს, რომ ისევ ამოხეთქავდა საზარელი ცხადი — იატაკზე საწმენდი ჩვარივით დატყლაპებული ცოლისა და არდაშელის ნიშნისმოგებით მოღრეცილი ტუჩების მოლანდებიანი.

ყოველგვარ კაცობრიულ ფასეულობაში შეეჭვებული ამიერიდან ერთადერთი საზრუნავით ვაპირებდი არსებობას, ერთადერთი სატკივრით ვაპირებდი ჩინდრიკს ამ კუზიან დუნიაზე, მიწას შევჭამდი, დუყლა ანთარიას წისქვილის დოლაბის ქვას თავზე დავიტრიალებდი და შვილს რამენაირად ღირსეულ მოქალაქედ აღვზრდიდი. იმწუთას მე გზაჯვარედინზე გახევებულ ყარიბს ვედრებოდი რამდენადმე. პოეტობს. ოდაბადეში ცხოვრება აქამდეც არ ყოფილა სახარბიელო ჩემთვის. აგერ, გავიდოდი ტრასაზე და იქ გადაწყდებოდა, ზუგდიდს შევეფარებოდი, სატანჯოს თუ ცხრა მთას იქით გადავიკარგებოდი. ოქროს ხელების კაცს ლუკმა-პურის შოვნა არსად გამიჭირდებოდა, მაგრამ უკვე მერამდენედ შემომიცურდა ცნობიერებაში ცოლის სახე, მისი გულსმკვლელი სიტყვები და რატომღაც შევკრთი, ვინაიდან მომეჩვენა, რომ შკვითინხე არაფრისდიდებით მომეშვებოდა. გნებავთ, მოუსავლეთში გავხიზნულიყავ, ბონდოს არაფრით დამითმობდა, თუ დასჭირდებოდა. თავის ბუღას შემოიშველიებდა საამისოდ. კანონის ამამღვრევლებს მოისყიდიდნენ, როგორც ეს აქტის გაფორმებისას დამმართეს. ვთქვათ და რამდენიმე წელიწადს დამალვა კიდეც მომეხერხებინა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ხომ ჩამავლებდნენ ხელს სამხრეეებიანი კაცები? ცხაურებიან მანქანაში მუჯლუგუნებით მიკრავდნენ თავს და უბოდიშოდ მიმაბრძანებდნენ სადაც ჯერ არს! აბა, ნოჩოს ბიჭს შემარჩენდნენ სწორედ სახელმწიფო ქონებს გაფლანგვას! მოკლედ, ჩემს ბონდოს ქუჩის მაწანწალას ბედი ელოდა, ან, უკეთეს შემთხვევაში, ავხორცი დედა დაიბრუნებდა და დარჩენილ სიცოცხლეს ჯოჯოხეთად გადამიქცევდა. არა, მართლმსაჯულებას როდი გავურბოდი, მაგრამ ჯერ ბავშვს დავაბინავებდი სამშვიდობოს, მერე გნებავთ კედელთან მივეყენებინეთ! და როცა გონებაში ჯეროვნად შევაფასე შექმნილი ვითარება, დავრწმუნდი, რომ ამისთანა უსაფრთო ადგილი სატანჯოდა აღმომაჩნდა. თუ საშველი გაწყდებოდა და ციხეში ჩამსვამდნენ, ხუთ-ექვს წელიწადში სასჯელს მოვიხდიდი.

ამასობაში სანდო ხალხთან მიბარებული ბიჭიც სასკოლო ასაკისა შეიქმნებოდა და შემდგომში თვითონ ცხოვრება გაარკვევდა ყოველივეს. მივდიოდი აკოკრილი სიმინდის ყანის გასწვრივ. ისევ მოფამფალებული კიბეები ამესვეტა თვალწინ, ისევ თავიდან დამიტრიალდა განცდილი სინამდვილე — ფანჯარასთან გაჯგიმული, გულხელდაკრეფილი არდაშელის იერი, იატაკზე საწმენდი ჩვარივით დატყლაპებული ცოლი, ფითქინა ლაჯებზე კაბის ჩამოფარება რომ ვერ მოესწრო და ის წამი, როცა გავაზე ვაძგერე მუხლი და კუთხეში გულაღმა მივაგდე.

საზიზღარი! თვითონ ხომ დამკარგა და რა ენაღვლება, მაძულებს დედას!

ახლა დანამდვილებით მჯეროდა, რომ ცირას არასდროს ვყვარებივარ მე. თორემტი წელიწადი ისე ვივაგლახეთ ერთად, შკვითინხეს არასდროს უღირსებია ჩემთვის შვებისმომგვრელი სიტყვა — მიყვარხარ. იქ, ლოგინშიც, როდესაც ჩემს უდღეურ ნეკნებს ჭახაჭუხი გაუდიოდა ხოლმე, ცირა მთელ არსებით არდაშელს ეკუთვნოდა, არდაშელს და არავის — სხვას.

მზე უკვე გვარიანად მოღონიერებულიყო წელში.ყანის ბოლოში მავთულხლართში გავძვერი და ისევ დავისველე ისედაც ქვაყინულად ქცეული ფეხები. ალიტერაცია*. აქედან ჩაის პლანტაციები იწყებოდა, რომლის ქარსაცავი ზოლის სიახლოვეს „საქართველო“ ჟანგისფერ ხომალდივით აღმა მიუყვებოდა რუდუნებით გასხლულ მწკრივებს. აკეკლუცებს სიტყვას. დრანაჟის გასწვრივ კოლბოხებიან ბილიკს ბორძიკით ავედევნე. **ბონდოს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა. მამამ უფრო მოხერხებულად მივიხუტე მკერზე საყვარელი შვილი, თან ნიკაპი ამითრთოლდა რატომღაც. საკუთარ თავში შეეჭვებამ დამრია ხელი. რომც არ დამაპატიმრონ, გალოთებული კაცი შევძლებ კი ძუძუთა ბავშვის შენახვას? დამიბეჩავდება უბედურ დღეს გაჩენილი-მეთქი, გავიფიქრე შემკრთალმა და კვლავ ტკურტკურით გადმომიცვივდა თვალებიდან ცრემლი. სადაც არის, პატარა გაიღვიძებდა, შოშიას მართვესავით დააღებდა პირს და საკვებს მომთხოვდა. საამისოდ კი სავალალოდ არაფერი მიზრუნია, თუმცა სიმართლე რომ ითქვას, იმ ზნედაცემულობის შემსწრეს,**

შემეძლო მსგავს რამეებზე მეფიქრა?!

თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ, შენ ვინ მოგცა, გადამწვარს, მაგისი შნო და მარიფათიო, მათრახივით აზუზუნდა ჰაერში ცირას სიტყვები.

მამწარებდა, სხვა არაფერი-მეთქი, ჩავილაპარაკე ნირწამხდარმა და საკუთარ ვარაუდისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიმენიჭებინა, დაჟინებით დავაშტერდი მდინარეს. ტაატით მოთენთილი ცეროდენა ნეტარებით აცმაცუნებდა ტუჩებს.

პირწავარდნილი მამამა-მეთქი, გავიმხნევე თავი. დროდადრო გარდასულ დღეებსაც ვიხსენებდი. თითქოს ერთგვარად ვაჯამებდი განვლილ ცხოვრებას, თითქოს ვარკვევდი, ვიყავი თუ არა არდაშელის წინაშე დამნაშავე.

თორმეტი წლის წინათ ენგურის სიახლოვის რომ არ დავეშინებინე ცირას, ვიკისრებდი ვითომ ამ საქმეს-მეთქი, ვფიქრობდი ხმამაღლა. იქნებ უღირსად მოვიქეცი, როცა დახმარების ხელი გავუწოდე არდაშელისგან წუმპეში მოსროლილს?! ღმერთმანი, კარგად დამიფასდა ამაგი, ენით ვერ იტყვი, ისე, შესანიშნავად, დიდებულად-მეთქი, ვკიცხავდი საკუთარ თავს მწარე ღიმილით. ხელისგულზე სანეტარო სითბო ვიგრძენი. ბონდო ბიჭი დაურიდებლად იკმაყოფილებდა ბალღურ მოთხოვნილებებს და ისევ ამითრთოლდა ნიკაპი ლტოლვილს. სადაც არის გავაღწევდი ტრასამდე და იქ კოკი გერგედა ყველაფერს მომიხერხებდა. შვილსაც დამაპურებინებდა, ორიოდე გროშსაც გამოიმეტებდა შეჭირვებული ამხანაგისათვის, ოღონდ ამ უკაცრიელ ალაგას არ გამოღვიძებოდა პაწიას. ამისთანა ფიქრებით გარემოსილს თავზე თვითფრინავი გადამიგრუხუნდა და ძილით გათანგული ბონდოც დაიკლაკნა, ცისფერი თვალები დაჭყიტა, მიასხავლა იქაურობა. გამანადგურებლის ფუმფულა კუდს რისხვით მივადევნე მზერა.

ფსიიია�ა, ფსიიიააა-მეთქი, ჩავძახოდი მემკვიდრეს ცოლის მიბაძვით, ხან მარჯვენა მკლავზე გადავაწვენდი, ხანაც — მარცხენაზე, მაგრამ პატარა საცოდავად იჭინთებოდა, სახეზე სისხლმოწოლილი სხარსხალებდა და გულგადაქანებულ მამას ისღა დამრჩენოდა, დედის ძუძუს მაგივრად ნეკა თითი შემეტყუებინა ჭირვეულისათვის, თუმცა როცა იქიდან სახეირო ვერაფერი ნახა ჩვილმა, კვლავ აჭყლოპინდა. შეშ-

ფოთებულმა ფეხს ავუჩქარე. მერე ძუნძულზე გადავედი. სადღაც გაქრა წეღანდელი დაღლილობა. სამალავიდან მოსმენილი დაილოგებიცა და ოდის შიგნით ხილული ჯოჯოხეთიც ერთბაშად ამომიფრიალდა გონებიდან. სველი ტუფლები ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ყუტყუტებდნენ. მუხლებზე მეგლასუნებოდა შარვლის ტალახიანი ტოტები.

რეალურია ეს ყველაფერი? უკიდურესად აგზნებულის, სულიერად აშლილის ცნობიერება აღბეჭდავდა ვითომ ასეთ წვრილმანებს?!

მივრბოდი თავქუდმოგლეჯილი. არაფერს ვჩიოდი, ოღონდ შვილი დროულად გამეყვანა სამშვიდობოს. აჰა, გალიჟვინებული ცალი ფეხსაცმელი წამძვრა კიდეც, მაგრამ ეს დანაკლისი აინნუშიაც არ ჩავაგდე. დარჩენილი მეორე უკვე აშკარად მაფერხებდა გამეტებულ სწრაფვაში და მხოლოდ წამიერად,. წამიერად შევყოვნდი, რათა ხელის შემშლელი ზედმეტი ბარგი თავიდან დროულად მომეშორებინა. ახლა წინდებისამარა ისე უმტკივნეულოდ გადავირბენდი ღიჭით, როკითა და ნარ-ეკლით მოფენილ არეებს, თითქოს ფეხქვეშ თურქული ხალიჩები მქონოდა გაფენილი. ასეთნაირი სრბოლის მიზეზი ნაწილობრივ ინგირის ჩაის ფაბრიკის აბოლებული მილების გამოჩენაც იყო.

ცოტაც მოითმინე, მამა გენაცვალოს! ჩემი თვალებბრიალა ბოში-მეთქი, ვაშოშმინებდი ტირილით მისავათებულს. ჩაბეტონებულ გისოსებს მივსდევდი. ჯერ კიდევ შორიდან შევნიშნე მაღაზიის ღია კარები და ანაზდეულად ენით აღუწერელი შვება დამეუფლა. ორსართულიანი ქვითკირის შენობის წინ ძარადახურული საბარგო მანქანიდან ღვინიან ყუთებს ცლიდნენ. თვითონ ქონმოძალებული კოკი გერგედა ზურგით იდგა კაცებში და დავთრებს აფრიალებდა. კბილით მივიტანე სული მაღაზიის სამსაფეხურიან კიბემდე და ბეტონზე მოწყვეტით დავეშვი.

ეს რა დაგმართნია, უბედუროო, შესძახა კოკი გერგედამ. ჯერ გახეთქილ შუბლზე მომაჩერდა, მერე ასხავლებული ბავშვი და ქუსლებამდე ჩამოჩაჩული წინდები რომ დამინახა, მთლად აირია.

ბიჭო, დაიღუპე თავიო, გამომცდელად ჩამხედა თვალებ-

ში.

თუ ძმა ხარ, ვინმე მეძუძური ქალი მაპოვნინე, თორემ ხელებში შემომადნა შვილი-მეთქი.

ბავშვი წყლად არის ქცეულიო, თქვა კოკი გერგედამ, როცა არაქათგამოცლილ მამას ჩვილი ჩამოართვა.

მანტი, შენს ძეკერეს ძუძუს წოვა ხომ არ მიუტოვებიაო, ჩაეკითხა თავის მიუბრუნებლად ძარზე მყოფ კაფანდარა მტვირთავს.

დედის მკერდი კი არა, ორი ჩოგანი ღომი არ ჰყოფნის მამაძაღლსო, იმან.

ვალოდიას ცოლმა იმშობიარა ამას წინათო, უპასუხა სპეცტანსაცმლიანმა ახმახმა.

აგაშენა ღმერთმა, მანქანით გავარდით, მანტი! ღვინოების გადმოტვირთვას ყოველთვის მოვასწრებთ. მისვლა და მოსვლა ერთი იყოსო, კოკი გერგედამ.

მაღაზიის ნახევრად ბნელ შენობაში შევლაგდით. ფაროლეულისა და ნესტის ნაცნობი სუნი მეცა.

გეყოფათ ლუდის წრუპვაო, დაუცაცხანა მექანიზატორებს კოკი გერგედამ. სევე, საწყობში შედი და არაყი გამოიტანე, შენ კი, ღუდა, კანფეტი მომაწოდე იმ ყუთიდანო. გაინძერ-გამოინძერით, თორემ ჩემს დღეში ჩაცვივიდებით ყველანი. იპოვეო, გასძახა საწყობში გაუჩინარებულ ახმახს.

კი, კი. ჭიქებიც მოვაყოლოო, იმან.

გადამრევს პირდაპირ! სულ დალევისაკენ უნდა გეჭიროთ თვალი?! აი, იმ თაროდან ხელსახოცი აიღეო, კოკი გერგედამ.

რომელი, ესო, იმან.

ჰო, მაგიო. დაასველე ახლა არაყში და რაიმე ვუსაშველოთო. რა მოუხერხებელი ვინმე ხარ. ბიჭო, ქადალდიანად ხომ არ ჩავუდებ პირში? გაფცქვენი ქე მაინც. იქნებ მარიას მოსვლამდე ცოტათი დაწყნარდესო, გოგი გერგედამ.

არიქა, სასულეში არ გადაცდეს-მეთქი, შევიცხადე ყუთზე დაგდებულმა.

შენ იყავი მანდ. აბა, აღუ-აღუს ძახილი უშველის შიმშილისაგან გაწამებულსო. დროზე რომ შეგეტყობინებინა, ქვეყანას შევყრიდი და აქტს არაფრით გავაფორმებინებდით. საოცარია პირდაპირ, იმ სიშორიდან რაღა მაინცდამაინც შენს გასაუბედურებლად ჩამოეთრნენ?! სამარეს გითხრის ვიღაც თქვენებურიო.

ეჰ, მითხრის კი არა, გამითხარეს და ეგ არის-მეთქი. შენ ფიქრობ, მომხმარებლები მიჩივიან ან სამსახურში მეცილება ვინმე?! მას რომ იყოს, ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე იარსებებდა? მაგრამ როცა ღვიძლი ძმა და ცოლი ყელს გამოგჭრიან, მიდი და ჭკუიდან ნუ შეიშლები-მეთქი.

მომკალი და მაგას ვერ დავიჯერებო.

თითქოს მე მიხარია, თავზე ლაფს რომ ვისხამ ჩემივე ხელით-მეთქი. გამთელეს, კოკი, გამთელეს! სხვანაირად ვერ მიუჩოჩდებოდნენ ერთმანეთს და ყველაფერს მივაფურთხე, ყველაფერს-მეთქი.

ნელი ცეცხლი უნდა შეუნთო ერთსაც და მეორესაცო, თქვა წელში სასაცილოდ მოღუნულმა სევემ და დაჭმუჭნილ ხელსახოცში ისე ჩაარაკრაკა არაყი თვალიც არ დაუხამხამებია.

მაღაზიასთან მომუხრუჭებული მანქანის კაბინიდან ახალგაზრდა ქალი ჩამოხტა. მოლაღურისფერი ხალათი ეცვა. შიშველი ფეხები ჩუსტებში ჩაედგა.

სად არის ბაგანაო, უხერხულობის დასაფარავად ამბობდა იგი, თორემ მშვენივრად ხედავდა, თუ ვის ხელებშიც ღვარკალებდა დოღრიალა ანგელოზი.

დედაკაცს ტაბურეტი მიურბენინეს, მერე შეთანხმებულებივით განზე მიდგნენ. „ყაზბეგი“ გააბოლეს. გვესმოდა, ზორბა-ზორბა ყლუპებით როგორ ნთქავდა მაუკვდავებელ ნექტარს ჩვილი და კმაყოფილების შუქი გვეფინებოდა სახეზე. დროდადრო ქალი ეშმაკური ღიმილით მოგვხედავდა გისოსებიან ფანჯარასთან შექუჩებულებს, თან, საცოდავი ბაგანა კინაგამ შიმშილიტ მოგიკლავტო, განურჩევლად გვადანაშაულებდა ბრალიანს და უბრალულს.

მეორე ძუძუს ჩაფრენილ პატარას უკვე თავდაპირველი სიშმაგე წართმეოდა, თვინიერად კრუტუნებდა, აქა-იქ თვალებიც ელულებოდა, მაგრამ მკერდის არსებობა გაახსენდებოდა თუ არა, მაშინვე პირს გამალებით აამუშავებდა.

დაიდზინა ჩვენმა დევგმირმაო, ხმაპარვით ჩაილაპარაკა სახეჭორფლიანმა მანდილოსანმა და თავისუფალი ხელით საკინძე შეიკრა.

კოკი, ბაგანასტვის ტანსაცმელია ახლა გამოსაცვლელიო, თქვა გადაჭრით.

ბავშვის საცვლებს ჩვენთან რა უნდა, მარიაო, შეწუხდა კოკი გერგედა.

არკის და გვინის მეტი არაპერი გახსოვტ ტკვენ! ბამბაზია მაინც არა გაკვსო, იმან.

ბამბაზია? ახლავე, მარია, ახლავეო, დაფაცურდა კოკი, დახლს ხვნეშით გადააწვა, ბამბაზიის თოფი დაითრია. გადაგორა რამდენჯერმე, მერე მაკრატელი გააწკლაპუნა, გადახია ქსოვილი და მოწიწებით მიართვა მოსაყვედურე დედაკაცს.

გაგიხარებია კსენიას გულიო, ამბობდა გაცისკროვნებული ქალი და ჩვილს ოსტატურად ახვევდა ბუსუსიან ნაჭერში. ბაგანა აკამდეც გკავდათ ასაკვანი, მაგრამ დჟობს გვიან, ვიდრე — არასდროსო. მოსჭრა და დახლიდარს ნეტარებით მთვრალმა დაუბრუნა ბიჭი. ერთხანს დარეტიანებული ვუმზერდი შორეთს, თითქოს რაღაც სულისშემძვრელი სცენა თამაშდებოდა იქ, სინამდვლეში ბლანტ ბურუსში მივბიჯებდი. უცებ ელდა მეცა, ვაიმე, ბონდო, შვილო-მეთქი, ვიბღავლე ბუნაგში მომწყვდეული ნადირივით, ზეწამოვიჭერ. დაფეთებულ კოკი გერგედას ელვისებურად გამოვსტაცე მემკვიდრე.

ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით, მადლობელი ვარ ყველაფრისთვის-მეთქი, ვყვიროდი და ახლა მთლად ფეხშიშველი ძველებური სიფიცხით მივიგრიხებოდი მოასფალტებულ ტროტუარზე.

მეფე შიშველია. გათამაშებული გულწრფელობა. მხილებულის აღსარება. მამა! შვილი! ხაზგასმები პრიმიტიული ხაზგასმები!"

ბონდოს უნდოდა თვალნათლივ წარმოედგინა შვიდი აპრილის უმანკო ჩასახვის სცენა. აგერ, დაჰიპნოზებულ დედამისს თავზე დასტრიალებენ ჟინი ანთარი და მაფა ჰალიძონახე...

— არა! არა! — დაიკვნესებდა ყმაწვილი მწარედ.

,,როგორ გინდა იცხოვრო რობოტმა, ჰომუნკულუსმა?! გამდის, რომ მართლაც გამადიდებელი შუშები ამაფარეს თვალებზე აკვნიდანვე. გამადიდებელი და თანაც ფერად-ფერადი. რომელი ქრისტე მე ვარ, ხალხთა უკვდავებას გამოვენთო?! მაქვს კი საამისო უფლება?! ორფერი! ორფერი! ვთქვათ და მართლაც მივყევ მის საწადელს, მი-

ლიონებს ვუმეგზურე. ამით რა სულიერ სიმშვიდეს მოვიპოვებ, ან ინდომებენ ისინი ჩემს მესვეურობას? კინწისკვრით ლაფში მისვრიან. ვის რაში აინტერესებს სინჯარაში გამოჩეკილის მოწამეობა?"

ისევ სარკეს მიაშურებდა. ბუნაგში გამომწყდეული ტყიურებივით ბოლთას სცემდა. თითებს იკბენდა. საუკუნოვან ფოტოებსაც ათვალიერებდა. მერე ერთგან, „თორმეტი იანვარი არ დაგავიწყდეს, თორმეტი იანვარიო", ამოუტივტივდა ცნობიერებიდან და უცებ ციებიანივით დაფაცურდა.

სწრაფად შეიმოსა. სპორტული ჩანთა მხარზე მოიგდო, მოხურა კარი და გრძელ დერეფანს უჩუმრად მიჰყვა.

სართულის მორიგე არსად ჩანდა. მაგიდაზე დაყრილმა ნომრიანმა გასაღებებმა გაახსენა, კარის ჩაკეტვა რომ დაავიწყდა, მაგრამ თავჩაქინდრული დაეშვა მარმარილოს კიბეზე.

„ოდიშში" ბონდოს სულ ცოტა ათჯერ მაინც უცხოვრია მოძღვართან ერთად, ხან —ერთი ღამით, ხანაც — ორით, შარშანწინ კი მთლად სამ კვირას დარჩნენ: როგორც განთესილმა ექსტერნად ჩაბარა რვაწლედის გამოცდები მაშინ პირველ საშუალო სკოლაში.

ადრიანი დილა იყო. საახალწლო ჩიჩილაკებს ჰგავდნენ ქვექვერია* ნაძვები. ბროლის უშველებელი ლარნაკები დაეპირქვევებინათ უჩინმაჩინ ხელებს და მოიპნეოდა, მობრკიალებდა მირიადი ქრიზანთემა და გვირილა, მოიპნეოდა ცის მძაფრი სურნელებით, პატიოსანი თვლების ჯადოსნური ბრჭყვიალებით. უსიცოცხლო მზე ექსოვებოდა ამ ღვთაებრივ შრიალს და დაზნექილი ტოტების სატკივარი უკვე გაცილებით მახლობელი შეიქმნა ბონდოსთვის. ფანტელებისკენ მისდაუნებურად გაექცა მარჯვენა.

„ნეტავი ვინ ასათნოებს ამ უნიკალურ ფორმებს?! პირწავარდნილი ჯადოქარია ეს უბადლო შემოქმედი მატერია. დაჯდე და მთელი სიცოცხლე წიგნივით უნდა იკითხო!"

ყრუ ხეივნიდან მიაჩერდა ბაგა-ბაღს. მზრუნველ დედებს მოჰყავდათ დათბუნებული შვილები, მოჰყავდათ თითო-თითოდ, ორ-ორად, ხელიხელჩაჭიდებით თუ ატატებულად, ვის როგორ და რანაირად უხერხდებოდა ისე. ან დაამუხრუჭებდა მანქანა ჟანგიან მესერთან. ჭრუა-ჭრუაო, დაიჭიმებოდა ჭიშკრის ზამბარა, მერე —დგაფ! ხაფად გაიღებდა ხმას რკინა და დაყურსული თოვლი ალაგ-ალაგ ჩამოწყდებოდა მოაჯირს.

„სულელები! ვერ დაამაგრებენ?!" გაუელვა გონებაში ბონდოს.

თოვლი იისფერი ხავსივით მისძალებოდა საჭყუმპალაო აუზს, გა-

ხევებულ საქანელას, მუშტის სისხო ჯიხურებს. ცისკენ აეღერათ თავი ფანერისაგან გამოჭრილ ჟირაფებს. თოვლის პაპას ყურებიანი ქუდი ეხურა, ყელზე წითელი შარფი შემოეხვია და ხელის მაგივრად გალეული ცოცხი ისე აეწია, იფიქრებდით, ფიფქთაცვენას ესალმებაო.

,,ერთი დღით თოვლის ძეგლი დამიდგით. monumentum. ხელთუქმნელი. ჰორაციუს-პუშკინი. სესხება, მიმოქცევა, თანამშრომლობა. ერთი მეორეში გადადის, მეორე მესამეში ითქვიფება. საინტერესოა ამ სანტა კლაუსს* რანაირად, როგორ აღმოაჩნდა ჩემი ბეწვის ქუდი და გადია მაფას მოქსოვილი შარფი?!

მაფა: დავუშვათ და სიმართლე ყოფილიყო ყოველივე, რა, არ მქონდა კანონიერ მეუღლესთან ცხოვრების უფლება?! აუია აბშილახესაც სწორედ იმ დროს შეეყარა სახადი, ნანაგე. სოფლელებმა ავადმყოფი დროულად მოიშორეს თავიდან. რამდენიმე ოდაბადელმა ბორნამდე მიაცილა. ბოხჩით ხმიადი მიართვეს.

სატანჯოში წადი, იქნებ ჟინი ანთარმა გიშველოს რამეო, დაარიგეს ფხუკუნ-ფხუკუნით.

ბედის ანაბარა მიტოვებული აუია ივლისის დამდეგს ფერსავსე მობრუნდა, მაგრამ მალე მუცელიც დაუმრგვალდა და ჭყონდიდამდე ენგურის ნაპირების მკვიდრად გამაგრების დღეებში ყურებდაცქვეტილი ბიჭი გააჩინა. საცოდავ ქალს კურთხეული დედობა არ დასცალდა, ვინაიდან გაფუფქული წიწილის მსგავსმა კვეკვემ, როგორც კი ფეხი აიდგა, აუიას ჯერ ღრძილები დაუჩირქდა, შემდეგ ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხე მოსცილდა, სულ ბოლოს ცხვირი ხრტილიანად წააჭამა სენმა და დასასრულ, მდინარემ უშველა სასოწარკვეთილს!“

ზოგი პატარა ალაყაფის კარებამდის მიცილებას უკადრისობდა, ფეხებს მიაბაკუნებდა საგულდაგულოდ დახვეტილ ფილაქანზე. ზოგიც ჭირვეულობდა, ჯერ კიდევ ძილნაკლულ თვალებს პაწია მუშტით ისრესდა. კაბის კალთაზე ან შარვლის ტოტზე ებღაუჭებოდა მშობელს.

,,რატომ მაინცდამაინც შვიდ იანვარს და არა ერთი დღით ადრე ან გვიან?! რატომ მაინცდამაინც სუფრაზე და არა ნავში?! იქ ხომ უკეთ გადამიხსნიდა გულს?**! დუდუდუ-დუმ, დუდუდუ-დუმ“.**

სამი გუნდა მოხვდა ზედიზედ. სხვებმა აქეთ-იქით ჩაუქროლეს. ერთიც რაფიელ ერისთავის ბიუსტს მიესნატა. მიტრიალდა აჩახჩა-

ხებული ბონდო და უფროსკლასელი გოგო-ბიჭების აქაფებული გუნდი შერჩა ხელთ. თოვლში ამოგანგლულებს ლოყები დასწითლებოდათ, თმა ჩამოშლოდათ, ტკარცალებდნენ, იზნიქებოდნენ. მერხებზე ეყარა ჩანთები და პალტოები.

მიაბიჯებდა ტანმაღალი ჭადრების ხეივანში ბონდო და უკან რჩებოდა გახევებული ბაფთებიანების გაოცება, ყმაწვილების ირონიული გამოხედვა.

— ბორია მარჩიელობს, ბორია მარჩიელობს! — გამოარკვია ფიქრებიდან ბონდო ბოშა ქალის ქოთქოთმა. ქუჩის საათი კვლავინდებურად ორის ნახევარზე გაშეშებულიყო.

თავისუფლების მეცხრე დღეს ბონდო ჰალიძონია კანახდილივით გამოვიდა საპარიკმახეროდან. ცეცხლი ეკიდებოდა ნიკაპსა და ყბებზე. თავბრუს ახვევდა სამმაგი ოდეკოლონის სუნი. ჭადრების ხეივანში ისევ გუნდაობდნენ მოსწავლეები. ჩანთებს უბაგუნებდნენ ერთმანეთს. ყველაფერს ფარავდა მათი ჟივილ-ხივილი.

— ასე არ სჯობია? — უთხრა წვერგაბურძგნულმა ფოტოგრაფმა, — ახლა წახდა ქვეყანა, თორემ პირველ მოპარსვაზე ფულს ვინ გადაგახდევინებდა ჩვენს დროს.

ძველისძველ, ჭილის სავარძელში მოხერხებულად მოათავსა კლიენტი. დასუსხულ სახეზე ნათურების სითბო ეამა ბონდოს. თვალს სჭრიდა კაშკაშა სინათლე, მაგრამ ქუთუთოებს მაინც არ ახამხამებდა. შტატივზე დამაგრებული ფოტოაპარატისკენ წაკელენავდა მესურათე. ოდნავ მარჯვნივ გადახარე თავიო, ანიშნა ხელით.

— პასპორტისათვის და სამხედრო ბილეთისათვის, არა?! — ჰკითხა ფოტოგრაფმა, როცა ობიექტივიდან ,,ჩიტი გამოფრინდა''. დალაქავებულ მაგიდასთან სკამიანად მიხრიგინდა და ხუთთუმნიანის დახურდავებას ამაოდ დაუწყო ჯახირი.

— ჰოდა, კიდევ აი, ამ ფორმატის. **„ოღონდ დღეს გაჩუმდი, ჩემი ხათრით გაჩუმდი! საბრალო გადია. არ გამოუვიდა ზვავის შეჩერება“**. ხურდა საჭირო არ არის.

ჩანთიდან ჟინი ანთარის სტუდენტობისდროინდელი ფოტოები მიყოლებით ამოალაგა ბონდომ.

— ჩინებული ნამუშევარია. როგორ შენახულა?! სად ისინი და სად — ჩვენ! ხვალ ამ დროს გამომიარე და მთლად ამგვარი თუ ვერა, იქნებ მიმსგავსებული მაინც დაგახვედრო, — თქვა და თვალმოჭუტულმა გააცილა ყმაწვილი კარის ჭრილში ალანძული თოვლეთისკენ.

,,ტანმა ყველაფერი უგრძნო.

ჟინი. სად მეცნიერული თვალსაზრისი და სად — ჩვენიმეთქი. ხოხ, კაციჭამიებში მაგზავნინებ მერე კოჩიას ანგელოზ ბაღანას-მეთქი.

ნუთუ მართლაც ღმერთად მთვლის?! მსოფლიო სული! აბსოლიტური გონი!

ჭიჭია ქობალია. აფშუშ, რა დღეშ მოვეშჭარით?! შენშს მაღაჟიაში იშ დაგოგმანებშ ახლა.

კოჩია. როგორ, ცირიბია დანიშნეს ჩემი მაღაზიის გამგედ?

კოლი ჭანია. ჰმ, ჩემი! გიკვირს, მოხსნა რომ გაკმარეს?! ვინ იფიქრებდა, ასეთი ყოჩაღი თუ გამოდგებოდა! შენი ვალი სულ მისხალ-მისხალ ამოიღო. კაპიკი არავის შეარჩინა!

ჭაჭია ქობალია. აბა, კაჩო! ახლა უფულოდ აშანთიშ ღერო ვერ ჭამოგვიღია იქიდან.

კოლი ჭანია. არც გაემტყუნება! გულკეთილობა მესმის, მაგრამ მთლად ასეთი?!

ჭაჭია ქობალია. მაჩალოშ, მაჩალოშ, ჩოტა ფულშ მოვაქუჩებ და მერე ვნახოთ ვინ— ვიშო.

კოჩია. ჩჩჩ. კიდევ აქეთ მემუქრება?! მოვკლავ გათახსირებულს.

ჟინი. ძინავს, ნურაფრის გეშინია. მაინც რაო შკვითინხემ?!

კოლი ჭანია. დამიბრუნდება შვილთან ერთად და ხომ კარგი, არადა, ყველაფერი თავის თავს დააბრალოსო. ისე, კაცმა რომ თქვას, სატანჯოში დასაბეჩავებლად კი არ გაჩენილა ის ბავშვი. სად ვეძებო ახლა სამგლეები?

ჟინი. ესე იგი, თუ არ შეიგდებიან, დაავლებთ ხელს და წაიყვანთ, მაგრამ წალდი რომ არ გაქვთ?!

კოლი ჭანია. რომელი წალდი?

ჟინი. რომელი, ჩემო კოლი და ამას წინათ ქუსლი რომ გადამისერა ონწყვეშიაში თევზაობის დროს. ხომ ჰყავს დურუ, მარტოხელა ქალს გასაზრდელად ეგეც ეყოფა... კი დაივიწყოს! გაიგეთ?! ამეებზე ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩით საუბარს. ალბათ, თვალით ანიშნა ჩემკენ**“.**

დრო გადიოდა, მაგრამ ბონდო ჰალიძონიას გულში სატანჯოელების სიბრალული ერთხელაც არ გაფაჩუნებულა.

„ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება. ნახონ, როგორი ყოფილა ათ-

ვალისწუნება და აგდებაო“, ისეთნაირად ასკვნიდა, რომ სინდისის ქენჯნის ნატამალსაც კი არ განიცდიდა. ახლა, ამ დამოუკიდებლობის ჟამს საბოლოოდ გადაწყვეტდა იგი, ვის აირჩევდა, რომელს — ბონდო ჰალიძონიას თუ ბუტუტი ანთარიას.

— გვარის გამოცვლაც თქვენთან ხდება ხოლმე?! — ჰკითხა ყმაწვილმა თავისუფლების მეთერთმეტე დღეს სანდომიანი სახის მანდილოსანს. გადია მაფასავით თხელს თვალის უპეებთან ნაოჭები მომრავლებოდა და თმაც ერთობ გასთეთრებოდა. შავადშეღებილი ნაქსოვი კაბა ეცვა, იდაყვებთან სინათლე რომ ატანდა, ისეთი.

მინაჩამსხვრეული კარადების თავზე, თაროებზე, გამობერილი საქაღალდეების ტევა არ იყო. საყვავილე ლარნაკთან, მტვრიანი გრაფინისა და გაბზარული ფინჯნის გვერდით, თალხი პურის ნახევარი და ჯემით სავსე ქილა იდო პოლიეთილენის პარკში.

— მაშ?! — უპასუხა ქალმა თავაუღებლივ და სქელტანიანი ჟურნალის ფურცვლა განაგრძო.

— ბევრი საბუთია ამისათვის საჭირო?! — არ მოეშვა ბონდო.

— საკმაოდ, მაგრამ გამაგებინე, ვინ იცვლის გვარს, შენ ხომ არა?!

— სიტყვაზე მოგახსენებთ. ,,ხომ ვაგრძნობინე ყველაფერი?!“

— ვიპოვე როგორც იქნა. ვითომ რათაო, შკვითინია სჯობია ჰალიძონიას?! ,,მთვარიდან ჩამოფრენილს ჰგავს“.

— მარტო ჯობნაზეა საქმე?! რა ატირებდა პატარა გოგოს? შვილიშვილია?!

— ბებია ენაცვალოს, დამეჩაგრა ბავშვი, მაგრამ თქვენ საიდან?!

— გუშინწინ დილით გადასასვლელთან მოგკარით თვალი. წითელი პალტო ეცვა და თათმანიანი ხელით ფუნთუშას ილუკმებოდა აცრემლებული.

— როგორი მიზეზიანი გამიხდა, ღმერთო! არ ვიცი რომელ წყალში გადავვარდე! ჩემი სიძე ქირურგია და მესამე წელიწადი სრულდება, რაც ნაირობში* მსახურობს. დალის სიკვდილმა ცხოვრება მოგვიწამლა ყველას.

რა გულით უნდა შევიყვარო ეს გაუხარებლი, რომელმაც ძვირფასი ადამიანი გამომაცალა ხელიდანო, წამოსცდა ერთხელ ნასვამს აკვანში მწოლ ანგელოზზე. მანეთიანი ცხვირსახოცი რაღა იქნება და ისიც არ ემეტება ღვიძლი შვილსათვის. სამედიცინო კომისიაზე როდის გადიხარ?! ,,ოჯახაშენებული. მარწყვს ვუყიდი ამ ფულით ჩემს კუდრაჭას“.

— დღეის სწორს მოდიო, კაპიტანმა. ჩამაწერინა, რა და რა ცნობა

მჭირდებოდა. ,,კენია* . თეთრი მთა. დიდი ამბავი, მოვლენებს თუ ვუსწრებ!''

— მაგვიანდება სამსახურში და ვჩქარობ. ის გაბუტული კი ბაღის ეზოში აღმართული თოვლის ბაბუისკენ მიიწევს. ჩაკბეჩილ ფუნთუშას დიდის ამბით უწვდის.

გამომართვი, მამიკო, ეხვეწება. ძლივს მოვაშორე იქაურობას. გამგემ მითხრა მერე, მოსულა წუხელ ვიღაც შერეკილი, დარაჯი გაუღვიძებია, ნიჩაბი და ცოცხი გამოურთმევია, ბილიკები დაუხვეტია და ეს საფრთხობელა დაუყუდებიაო. ვერ უნდა იყოს დალაგებულიო, თქვა და საფეთქელზე თითი დაიტრიალა. წარმოგიდგენია, საკუთარი კაშნე შემოუხვევია თოვლის ბაბუასთვის ყელზე, საკუთარი, ძვირფასი ბეწვის ქუდი დაუხურავს თავზე, წელან რომ მისახსოვრე ისეთი ხუთთუმნიანი უჩუქნია დარაჯისათვის, თან არავინ ააწაპნოს ესენი, თორემ მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო, დამუქრებიაო თვალების ბრიალით. დამღუპაო ქალი. ფანჯრებისკენ მიმახედა. შეჯგუფებულიყვნენ იქ ჩემსავით მოუცლელების პატარები და თოვლის ბაბუასთან მინდაო, ღრიალებდნენ გაბმულად.

ცამეტი დღეა, რაც ჩვიდმეტის გახდარხარ, ასე რომ, გვარის გამოცვლამდე გვარიანი ლოდინი მოგიწევს, — გაიცინა თმასპეტაკმა, — ამ უფლებას თვრამეტი წლის მოქალაქეს ანიჭებს კანონი. თუ გაინტერესებს, აგერაა სია და გადაათვალიერე ყოველ შემთხვევისათვის.

თაბახის ფურცლებს და ფანქარს უბოდიშოდ დასწვდა ბონდო. ხმამაღლა კითხულობდა და იწერდა.

— განცხადება. ორი ცალი ფოტოსურათი ექვსი ცხრაზე. **„ვაგა, ბაბაია“** ავტობიოგრაფია. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. ატესტატის ასლი. პასპორტის ასლი. სამხედრო ბილეთი. ცნობა გადასახადის შესახებ სასოფლო საბჭოდან. ეს რაღაა?! — დარდიმანდულად ჩაეძია ჯეელი.

— მაგ საბუთს გვარის გამოცვლის ერთ-ერთ მოტივში შეაქვს სიცხადე. იქნებ დავალებულია მოქალაქე სახელმწიფო ხაზინისგან და ცუღლუტობს თავის ჭკუით, ათასების მითვისება სწადია.

— ჰოოო?! რაიმილიციის დასკვნა. დაბადების აქტის ასლი. დაბადების მოწმობის ასლი. რესპუბლიკური მმაჩის არქივიდან მიღებული დაბადების აქტის ასლი. ეს რა ხათაბალა ყოფილა. ასლებსაც თქვენ გასცემთ ხოლმე?!

— არა, ასლებს ნოტარიუსი ამტკიცებს დედნების საფუძველზე. მომიწერე აქ ხელი. ესეც შენი დაბადების მოწმობა.

კვლავ მოთენთილობისმაგვარ ბურუსში მიაბიჯებდა ბონდო, თუმცა ცნობიერებაში ნათელმა სხივმაც იმდენად შემოუჟონა, რომ ნუგეშის, პერსპექტივის განწყობილება გასჩენოდა. სულ ამოჩემებულ საბავშვო ბაღს უტრიალებდა, ან ჭადრების ხეივანში თოვლმოკიდებულ ბილიკს ჭრაჭაჭრუჭით მიუყვებოდა. ასწლოვან ხეებს თვალს აადევნებდა კენწეროებისკენ, სადაც დაქუცმაცებულ ცას ვეღარაფრით აკავებდნენ ვედრებადქცეული ტოტები. მთელი დღე ასე ბოდიალობდა. მან ახლა დანამდვილებით იცოდა, რომ ვიდრე სრულუფლებიანი მოქალაქე გახდებოდა, კიდევ თერთმეტი თვე და დღეები უნდა ეცადა. ის მხოლოდ პოტენციაში იყო პიროვნება და ამისი გაფიქრებაც სასტიკად სტანჯავდა. მოედანს გადასერავდა და პირველი საშუალო სკოლის ღობის რიკინის გისოსებს მიეყრდნობოდა ჭიშკრის სიახლოვეს. დაელოდებოდა, სანამ უკანასკნელი ზარი ჩამორეკავდა, თანატოლები ქუჩაში გამოეფინებოდნენ, მაგრამ საუბედუროდ ვერავინ ცნობდა მასში ბონდო ჰალიძონიას. თვით ის პედაგოგებიც კი, შარშანწინ ნიჭსა და უნარს რომ უქებდნენ.

„ნუთუ მართლაც ამდენად გამოვიცვალეო“ ფიქრობდა ყმაწვილი და იმავდროულად უნდდა საქვეყნოდ ეყვირა

„შეჩერდით! შემომხედეთ! ეს მე ვარ, განთესილი ბონდო ჰალიძონია, სწორედ ის ბონდო ჰალიძონია, რომელიც მთელი სამი კვირა საოცრებებს ახდენდა თქვენსაო“. მაგრამ ბოლო წამს რატომღაც გამბედაობა არ ჰყოფნიდა. საერთო მხიარულებაში ვეღარაფრით შეეღწია. მერე ტროტუარს გაუყვებოდა ჩაის ფაბრიკის გასწვრივ. გუმანს მისდევდა. ჩაუვლიდა ზანთარიების სამოსახლოს, სადაც არაერთი ღამე უთენებიათ კამეჩების ჩაბარებისას.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, მისი ხეტიალი ყოველთვის სასაკლაოსთან მთავრდებოდა. ტანმძიმე ხალხის საქმიან საუბარს ყურს მიუგდებდა, თუმცა ის ფრაზები უმალვე წარეხოცებოდა მეხსიერებიდან. ანდა, ბონდოს რაში ანაღვლებდა, თუ ვისი გაპატიოსნება ვერ მოხერხდა და ნიშანითმ როგორ დაიტირეს?!

ფუნაში გასვრილი საქონლის აწონვას აკვირდებოდა. ხანდახან ბაკშიც შეიხედავდა ხოლმე და შვებით ამოსუნთქავდა. როცა იქ ღორების კოლტი და ხარ-ძროხა დაუხვდებოდა. სასოწარკვეთილი უმზერდა დარეტიანებულ კურატებს, რომელთაც ფეშტამლიანი ბრგე ყასბები ელვისებურად დაკრავდნენ ქედებზე მოკლეპირიან დანებს და სულს გააფრთხობინებდნენ. უთვალთვალებდა, როგორ გამოაბამდნენ ჯაჭვებს, რანაირად ხრჭიალებდა ხრახნები, რარიგად განეშორე-

ბოდა ტყავი ხორცს, რაფერ ლაგდებოდა თავთავის ადგილას სუკი, ბეჭი, ჯიგარი თუ შუშისთვალებიანი თავები. რაღაც შემაზრზენი ხმა ჩასძახოდა ამ დროს ბონდოს. „შეჩერდით! რას სჩადიხართ, ჯალათებო!“ უდუღდა გონება და ისე გაეცლებოდა იქაურობას, რომ მისი ვინაობა არც ყასბებს ახსენდებოდათ და აღარც — სასაკლაოს ბატონ-პატრონ შალიკოს.

„ჟინი. ჩვენ უნდა გვატყუებდეს, ბუტუტი, ეს გაბერილი?! ტონანახევარი ხორცი მაინც აგვწაპნა თვალსა და ხელს შუა, მაგრამ რას ერჩი, ამათია ქვეყანა! არ დავთანხმებულიყავით, კვირაზე მეტ ხანს აქ გვაყურყუტებდა და უარესად ვიზარალებდით.

რა პრიმიტიულია ადამიანს ყოფა! ვიდრე ფული ან ძალაუფლება აქვს, სასურველია ყველასათვის. გონიერებას არაფრად აგდებენ. მათი ნებისმიერი ქმედება ანგარებითაა ნაკარნახევი. აგერ, ეს მობღუკნული ძროხა, განა ძროხაა მხოლოდ?! არაფერიც! ფულით სავსე ყულაბაა იგი საბოლოო ჯამში. ჭაობისფერი წუთისოფლის გალამაზებას ამაოდ ცდილობს ცარგვალი. ფულის სურნელი მცემს ყოველი მოსახვევიდან, ფულის კულტი გამეფებულა ყველა ჭიშკართან და სადარბაზოსთან. გობსეკომანია.*

ჟინი. არა, არა, რაღაც უნდა შეიცვალოს ქვეყნის მასშტაბით. დროა გაიგივდეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგია, დროა უარი ეთქვას მონეტარულ სისტემას და მასზე აგებულ მცდარ დაგეგმვებს, დროა წინ წამოვწიოთ ნატურალური მაჩვენებლები და ქვეყნის ეკონომიკა წარვმართოთ ადამიანთათვის სასარგებლო პროდუქციის წარმოებისკენო.

ადამიანებს ხელს არ აძლევთ ზიარი ჭურჭლის პრინციპი. გათანაბრება. განსაკუთრებულობა უღიტინებთ სულში.

რად გამაჩინეო, იკითხა გრანელმა და პასუხიც ზუსტი მოუძებნა, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვიაო. ცაბაოთიც მოწყენის გამო ურევდა თიხაში თითებს“.

იმავე გზით ბრუნდებოდა სასტუმროში, ოღონდ ამჯერად ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადადიოდა. ზოგჯერ სასაფლაოზეც შეიტყუებდა ცნობისწადილი. **„მე რომ გაფრენა არ შემიძლია, ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას“**. გულხელდაკრეფილი დადგებოდა ჭირისუფლებში და მის მზერაში აილინთებოდა თოვლი, მარმარილოებიდან მოღიმარი სახეები. იაფფასიანი ეპიტაფები. აქაც სუ-

ლი ეხუთებოდა. კვლავ თავჩაღუნული მისდევდა მოლიპულ ტროტუარს და ბაგა-ბაღის დაბმულ ჭიშკართან ისეთ დროს აღმოჩნდებოდა, როცა პატარები შინ მიჰყავდათ მშობლებს. ფხუკუნით, პრანჭვა-კოპწიობით უთვალთვალებდნენ ბონდოს შინაბერა აღმზრდელმასწავლებელბი, ლაბასავით მოთიმთიმე გამგე, მას მერეც, რაც ხუთტონიანი ავზი საწვავით გაუპიპინდათ, დარაჯის ჯიხურში არაერთი მოსაკითხი დაუხვდჟათ უცნაური ყმაწვილისაგან; მას მერეც, რაც სამკვირიანი თოვა მიწყნარდა, მასულდგმულებულმა მზემ ისევ გამოიხედა, ნაბარდნმა ინტენსიური დნობა იწყო ბარშიც, მთაზეც; როცა მოხშირდა ზვავ-მეწყერი და ყველას მოსალოდნელი წყალდიდობა ეკერა პირზე.

საღამოვდებოდა სწრაფად და ისევ თავიდან იწყებოდა ბონდოს მარათონული ტანჯვა-წამება.

ადმინისტრატორს უხამს ანეგდოტს უყვებოდა სასტუმროს სახემოთხუპნული მარგარიტა გოტიე. ლტოლვილი მესამე სართულზე აითრევდა ტანს. მორიგე გასაღებს მიაწოდებდა.

— ნომრის ასე დაუდევრად მიტოვება შეიძლება?! — საყვედურობდა წარბშეყრილი და ყმაწვილსაც სიტყვა ეჩხირებოდა ყელში. მაშინვე სპორტული ჩანთისაკენ გააქანებდა ხელს. ახალი დასტიდან ხუთთუმნიანს ამოაძრობდა და ყველაფერი თავის კალაპოტს უბრუნდებოდა.

ისე, სიმართლე რომ ითქვას, მომსახურე პერსონალისგან ყურადღება არ აკლდა ბონდოს. იმ დღეებში ახალთახალი ტელევიზორი დაუდგეს. მაცივარი გამოტენილი იყო ხილით, შებოლილი ძეხვით, წვენებითა და ღვინოებით. კვირაში ორჯერ უცვლიდნენ თეთრეულს. საყვავილეში ცინცხალი მიხაკები ელაგა სულ.

მოგვიანებით, როცა ქალაქში მოძრაობა მიწყნარდებოდა, მის ნომერში შემოლაგდებოდნენ მორიგეები. ბონდო დიდის ამბის მასპინძლობდა სტუმრებს. ინსტინქტურად აკეთებდა ამას, მაგრამ როდესაც კამელიებიანი ის კურტიზანი ფეხს აითრევდა, ყურებამდე წამოჭარხალებული ყმაწვილი ლოგინზე წამოწვებოდა, კედლისაკენ გადაბრუნდებოდა და ქვიშაში თავჩარგულ სირაქლემასავით მანამდე იყო გატრუნული, სანამ კარი ჭრიალით არ მიიხურებოდა.

— როგორი ფიგურა მაქვს?! — ჰკითხა ერთხელ აბაზანაში შესვლის საბაბით ურცხვად გაშიშვლებულმა დედაკაცმა.

— ფიგურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აი, კორსეტი ლა ლიფი დი-

დებულოად გეკეთათ! — მიუგო განწირულის სითამამით ბონდომ და ყველაფერი ამით დამთავრდა.

საკუთარ მეობასთან მარტოდმარტო დარჩენილი ყმაწვილი თავს ხან ექიმად წარმოისახავდა, ხანაც — კორესპონდენტად; ზოგჯერ მოლბერტს დასწვდებოდა, ზოგჯერ — ვიოლინოს ბუდეს, აქეთ ნათელმხილველის მანტიაში შეძვრებოდა, იქით მაწანწალას ძონძებში, მაგრამ თითო ნაკლს ამორჩეულ ყოველ პროფესიას აღმოუჩენდა, ასე რომ, მისი ფიქრები ველარაფრით დაემგზავრნენ ზღვაურით დაძრულ ღრუბლებს ოდაბადესკენ.

ახსენდებოდა ბონდოს სასტუმროს ვესტიბიულში შეკრებილი ქერათმიანები. მეოცნებე ახალგაზრდა მეხსიერებაში აღბეჭდილი ჯგუფიდან სასურველ ქალს და კაცს გამოაცალკევებდა. კბილებში ჩიბუხგაჩრილ წვეროსანს ოდნავ ცხვირაპრეხილ, ჩალისფერთმიან მანედილოსანს შეუამხანაგდებოდა. გუთებისა და არიელების ქორონიკონებსაც გადასწვდებოდა. შვაბეთსა და ბავარიაში გაქროლდებოდა. ჰერ აქსელად და ფრაუ უტედ მონათლულების გენეალოგიასაც ჩაუღრმავდებოდა. ცნობიერების ბილიკზე ჩამწკრივდებოდნენ მანები, გერშები, ჰოფმაისტერები, რენეკურები, ჰეკენები, ჰეკელები, ჰეგელები, ბენცები და ლანგენბეკები. რატომღაც გრისბახზე შეჩერდებოდა. შეწყვილებულ პიროვნებათა განსაზღვრა საარსებო დროს და სივრცეს მოსთხოვდა. წაკითხული თანამიმდევრულად წაეწყობოდა, წაეფინებოდა წარმსახულს. ბერლინს ბონი წაეკინძებოდა, დრეზდენს — ვაიმარი, ლაიფციგს — მაგდენბურგი, მიუნხენს — ფრანკფურტი, დიუსელდროფს — საარბრიუკენი, ჰამბურგს — ჰალე. იენას დასჯერდებოდა.

აჰა, ლოგინზე მისვენებული ბონდო სხეულს გამოეყო.ჭაობისფერი ჩანთიდან თხელძირიანი ტყავის ფეხსაცმელი ამოაქვს. ყელზე აბრეშუმის კოპლებიან ქსოვილს შემოიხვევს. გაჩახჩახებული რესტორანისაკენ მიემართება, სადაც ჭადრების დათოვლილი ხეივნის მხარეს გასაცნობად შემზადებული გრისბახები მოკალათებულან.

ბონდო ჰალიძონია იენელი ცოლ-ქრისკენ მიეშურება. დაჯდომის ნებართვას ითხოვს გამართული გერმანულით. ისინიც ყაბულდებიან და საუბარიც აეწყობა. გრისბახებმა უკვე მოასწრეს გერმანიის სოციალისტურ ერთიან პარტიაში გაწევრიანება. ომიანობის წლებში არალეგალურად ებრძოლეს ფაშისტებს. ცნობილი მეცნიერები დღეს კოლხეთში ჩამობრძანდნენ და რადგანაც

„რკინის ფარდას“* პირველად გამომცდარან, ბონდოზე უკუეთეს მეგზურს სად იშოვიან?! ჰერ აქსელი ორგანული სამყაროს ევოლუციის პრობლემებზე მუშაობს თურმე, ფრაუ ეტე — სიფრიფანა-ფრთიანების მემკვიდრობითობაზე. მათ შეხვედრაში არაფერია შემთხვევითი, პირიქით, ყოველ დეტალს აუცილებლობა ასაზრდოებს. ყმაწვილი იენური აქცენტით თავმომწონეობს სტუმრების წინაშე. დოქტორ მამას აასტრონომებს; დოცენტ დედას აგინეკოლოგებს. ღირსებას არც თავისთავს აკლებს, ოღონდ სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსელის მოსასხამს სჯერდება. აჰა, უცხოელი ცოლ-ქმარი გამზადებულია სახეზე შირმასავით ჩამოსაფარებლად. აწი თამამად შეაბიჯებს ოდაბადეში, თამამად მოიკითხავს ცირა შკვითინიას, ნახევარძმებს — კემე და კვეკვე ანთარიებს, ცრუბიძა არდაშელს, ისე რომ, ბონდოს პიროვნება ვერავის დააეჭვებს. იენელები იხიბლებიან ჭაობნარში მცხოვრები მეტყევის, ხალხური მედიცინის ქურუმის, ჟინი ანთარის სიტყვიერი პორტრეტით, ვინც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში სწორედ მათ სამშობლოში ეწაფებოდა ძმა გრეგორის მოძღვრებას.

საიდან იცნობს სატანჯოელს?! ესეც შეკითხვა! ამ რესტორანს ხიზილალით, შებოლილი ყველითა და მისთანებით ამარაგებს.

თავს გადააქნევდა ბონდო. ახსენდებოდა, დაჭმუჭნილ ხუთმანეთიანებს როგორ ესროდა დამკვრელებს, რარიგად ელაქუცებოდა დიდი და პატარა, რაფერ მოედინებოდა შამპანურების ახალ-ახალი ნაკადი, ან რანაირად მისავათდა მესამე ბოთლზე. მერე თორმეტმა წყვილმა ხელმა სკამები ერთმანეთთან მიახრიგინა და რადგანაც სუფრის დასაწყისიდანვე „განმადიდეთ, განმადიდეთო“, ამოეჩემებინა ჰქონდა ლტოლვილს, იწყეს ლიწინ-ლიწინი თეფშებმა, ფუჭერებმა.

თანამეინახეებმა სახეჩატეტკვილ ჩია პოეტს მაგიდის კუთხე მოუსუფთავეს და ნეკროლოგის შეთხზვის ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს. მეორე დილით, აი, რა ამოიკითხა ბონდომ გვარიანად შელახული ხელსახოციდან:

„გარდაიცვალა ლოთმანიჟებისა და ლოთფოთების სწორუპოვარი უფალი გიორგი გიორგის ძე ხანთარიძე. პახუსელ-დიონისელების უბადლო თავადს ბედმა გაუღიმა, ჯვარცმამ გოლგოთაზე აუსვლელად — გაქანებულ ყანწთაცლაში უწია. ყმაწვილი მაცხოვრის ცხედარს განსპეტაკებისას თავს ევლებოდ-

ნენ მევალე ოფიციანტები — მარია და მაგდა. საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ რესტორანების მძიმე წონის დირექტორ-ვეშაპები, სასადილოების საშუალო წონის გამგეღლავები და სამწვადე-სახაშეებისა თუ კიოსკ-ჯიხურების ქვემსუბუქი წონის წვრილფეხობა.

ეკლის გვრგვინის ნაცვლად ახალგაზრდა ცაბაოთის მაღალი შუბლის შესამკობად მოფხეკილ იქნა ბოსტნეულის ნამუსრევი სხვადასხვა მაგიდიდან.

ღვინოცურვილი მაცხოვრის ცხედარი 05 საათზე გამოსვენებულ იქნა „ოდიშის“ სვეტებიან დარბაზიდან. დაოთხილი მრევლის კორტეჟს ხელმძღვანელობდა სპირტის ოსტატი ლესტა სესქურია, ხოლო ბალდახინს წინ მიუძღოდა დაზმირ ქაძანია ტერეს ბოხოხით ხელში, რომელშიც სევდიანად ჟღარუნებდა სხვადასხვა ეპოქის ჯინჯილები და ორდენ-მედლები. ყრმა უფლის ცხედარი 05 საათსა და 34 წუთზე მისვენებულ იქნა „ობლების“ ეზოსთან, სადაც დიდხეთქვებით ენუთუთქმელ განცხრომა გვაგემა უნეტარესმა ათორმეტ მოწაფეს და აღდგომის საბედისწერო მირაჟი საბოლოოდ რომ გაფანტულიყო, მოხდა გვამის სახელდახელო კრემაცია, რომლის შემდეგ, სულ რაღაც, შამპანური ბოთლი ფერფლი, გადაშვებულ იქნა ულტრატოქსიკურ ჩხოუშიაში.

ლოთმანიჟებისა და ლოთფოთების უფალთუფლის, გიორგი გიორგის ძე ხანთარიძის უკვდავსაყოფად გადაწყდა: ამიერიდან „კუჩხობონუს“ უბნის მიმდებარე უსახელო ქუჩა და №8 ღვინო შერაცხულ იქნან წმინდანებად.

ებრძანოთ რესტორან-სასადილოების ადმინისტრაციებს ნებისმიერი მარკის სარეალიზაციო ღვინოს 40 დღის განმავლობაში ჩააცვან შავი ძაძები, ხოლო რაც შეეხება საკურთხს, ყოველი თვის 22-ში დიეტური მაგიდა დაეთმოს სულის მოსახსენიებლად.

ზუგდიდის ლოთთა პრეზიდიუმი, სპირტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსანი და მეორეთანრიგოსანი ლოთები.

სამედიცინო დასკვნა: ლოთმანიჟებისა და ლოთფოთების განუმეორებელი მოძღვრის, გიორგი გიორგის ძე ხანთარიძის სიკვდილი გამოიწვია არა ოთხმა ლუოსმანმა, როგორც ამას ზოგიერთები იუწყებიან, არამედ ტვინში ერთი ყანწი ღვინის ჩაქცევამ —

ღვინინგიტმა. კუჭის განკვეთისას კი აღმოაჩნდა დიდხეთქვის დღეებში შეჭმული „ფუჟერების“ მოუნელებელი ნამსხვრევები. ზუგდიდის ლოთების პრეზიდიუმის სახელით დაჩი კეზუა. ამინ!“

დრო გადიოდა და ბონდო თავმისაყრდნობელეს ვერავის პოულობდა.

ხეთქავდნენ და ცეცხლავდნენ ლოთები საღამოთი, რათა დილით ნაბახუსევზე წყალწყალა ლუდით გამოსულიყვნენ.

მათხოვარსც კუჭის წრიალი იმდენს აკოწიწებინებდა გაშვერილი ხელით, რომ სადილისათვის და ჭიქა არყისთვის ჰყოფნოდა რამდენადმე.

ხარაზი ფეხსაცმლის მორღვეულ ლანჩებს უბაგუნებდა ჩაქუჩს.

მასწავლებლები ოდესღაც დაზუთხულს ქაქანებდნენ. უფროსკლასელი ყმაწვილები იხელთებდნენ თუ არა დროს, მოფარებულისკენ გარბოდნენ, აბოლებდნენ, ყომარბაზობდნენ...

სავარძლის ხალხი აშანშალებდა ბიუროს მასალებს, კინძავდა წყალწყალა საქმეთა ტომეულებს, სველ წერტილებში კეს ხელიდან გავარდნილი ვირთხებიც უფრთხოდნენ შესვლას.

კანონიერი ქურდის ნაოხრალი უარვინო ბაცაცას ბრალდებოდა.

გარდაიცვლებოდა და ოქროდ გადაიქცეოდა სიცოცხლეში ქრისტეს ძვლის მკვნეტელი ისკარიოტელი* .

„სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ, * ახსენდებოდა დავიწყებული სიბრძნე ბონდოს და დიდღელვისას გამორიყულ ნიჟარასავით ღაფავდა სულს გულგრილობის თვალუწვდენელ ქვიშრობში.

თორმეტის ნაცვლად ოცდაერთ იანვარს მიაკითხა სამხედრო კომისარიატს, მაგრამ იქ მხრები აიჩეჩეს და ვეღარაფრით გაერკვია ყმაწვილს, ვის დასჭირდა სამედიცინო კომისიაზე გასვლის მოჩმახვა, ბაგის თუ ჟინი ანთარს?!

ისევ საკუთარ პიროვნებას უკირკიტებდა, პიროვნებას ზოგადსაკაცობრიოს, რომელსაც წესით ამაღლებული საქმეები უნდა ეთესა ყოველწამ, მაგრამ როგორც ახალგაზრდა რწმუნდებოდა, ადამიანები გარედან ჩარევას უკადრისობდნენ, თუმცა გზადაგზა არც ისე ცოტა ცრემლი შემოფეთებია ბონდოს.

მერედა, რამხელა იყო ცრემლი იგი?! რატომ ასი და კიდევ ათასჯერ ზვიადი დედამიწა არ ატივტივდებოდა მასში თავის ზღვებიან-მწვერვალებიანად?! მხოლოდ პატარათა კამკამა სახეები ესალ-

ბუნებოდა მის სულს, მის გაურკვეველ მდგომარეობას, შეგნებას იმისას, რომ ერთადერთი იყო.

„ძიძე ქვეყის ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს, როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება“. კანში ვერ ეტეოდა. გაქცევა უნდოდა, მაგრამ სად, ვისთან?! ახლა, ამ თავისუფლების ჟამს, რაც მეტად ცდილობდა საკუთარი მეობის დამტკიცებას, მით უფრო ჰკარგავდა, მით უფრო გაურბოდა თითებს შორის წყალივით, ასე რომ, დამნაცრავ დეპრესიას, სტრესს,* ვერავითარ ძალას უპირისპირდებოდა.

ქადაგად დამდგარს სეანსის დაწყებამდე აძევებდნენ კინოდარბაზიდან.

ბოლოს და ბოლოს იმდენი მოახერხა ბონდომ, რომ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ერთსულოვნად გადმოიბირა. ხელიხელჩაჭიდებულ პატარებს დადიანების სახლ-მუზეუმისკენ თუ ბოტანიკური ბაღისკენ გაასეირნებდა. გუნდაობდა მათთან, ენას იჩლექდა, ნაყინით უმასპინძლდებოდა, ატრაქციონით ართობდა, საუკუნოვანი ცაცხვის გარშემო ფერხულს უვლიდნენ, ან საკოლმეურნეო ბაზრისაკენ ჩაატარებდა ნორჩებს და სანტა კლაუსივით ყველას უსრულებდა საწადელს.

მერე მოდიოდა პირქუში ღამე. ისევ ცარიელდებოდა ქუჩა, მოედანი. აინთებოდა ლამპიონები. ფანჯრის მინას შუბლით მიეყრდნობოდა ბონდო. საკუთარ შესაძლებლობებს მერამდენედ ამოწმებდა: მართლაც მოსდგამდა რაიმე ღვთიური ნიჭი, თუ ესეც ჟინი ანთარის მორიგი თავლთმაქცობა გახლდათ.

„ეს ქალი ჩანთას შეიცვლის ხელშიო“, გაიფიქრებდა და ათამდე თვლას იწყებდა. გულისცემა უხშირდებოდა, როცა შვიდს გადასცილდებოდა და აპა, საოცრებაც — მანდილოსანი ტვირთს მეორე მხარეს გადაიტანდა.

„ეს წრიპა სიგარეტს გადააგდებსო“, გაუელვებდა გონებაში და ბალანი აეშლებოდა, როცა ამწუთას მოკიდებულს თოვლზე მოისროდა ჯიბის საათის მალიმალ შემმოწმებელი ახალგაზრდა.

„იმ ტოტიდან სადაც არის თოვლი გადმოცვივაო“, მოსჭრიდა და უკვირდა, ავტობუსის ჩაქროლება ხეს დაბარებულივით რომ შეაფრთხიალებდა.

ხანდახან კრიტიკულად უღრმავდებოდა ცხრა იანვრის ღამით

უნებლიეთ წამოღებულ სატანჯოელის მონოგრაფიას, რომლის მიხედვით სამყარო და ადამიანი განიხილებოდა როგორც რაოდენობრივი მატერიის თვისებრივში გადასვლა.

„გამაგებინა, ნეტავ, რის საფუძველზე აიგივებს ადამიანთან სამყარო? ერთი შეხედვით დასრულებულ ტვინში რის საფუძველზე ათავსებს უსასრულობას, ან გამართლებულია ვითომ რეალური და გონითი სივრცის იდენტურობის ჰიპოთეზა?! „ოდაბადე, როგორც ასეთი“ სამყაროს ხუთგანზომილებიანს წარმოგვიდგენს, რომლის სამი სტადია — მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური ფაზა, წარსულია, მეოთხე — ბიოლოგიური, დღევანდელობა, ხოლო მეხუთე მომავლის პოზიციებიდან განიჭვრიტება, როგორც მსოფლიო გონის უდასასრულო სინთეზი. გამოდის, რომ საცდელ ობიექტში,. ესე იგი, ოდაბადეში, სასინჯ სუბიექტს, ანუ მ ე — ინკუბირებულ შვილს, იმისთვის მგზავნის, რომ მერმისში ჩვენი შერწყმით რაღაც ახალ, მესამე თვისობრიობას ჩაუყაროს საფუძველი.

ჟინი: O, santa simplicitas!* გენიოსთა კვლავწარმოების საწინდარი გენური ინჟინერიაა, ბუტუტი. მომავალში სწორედ გენეტიკურ მასალაში გონივრული ჩარევის წყალობით გახდება შესაძლებელი სრულფასოვანი პიროვნებებით სახოგადოების მაქსიმალური დაკომპლექტება. მოვა დრო და მნიშვნელობას დაჰკარგავენ ისეთი სულიერი ფასეულობანი, როგორიცაა: სამშობლო და ერი, სამკაული და ქონება, უპირატესობა და დამარცხებული. აი, აქედან მოყოლებული, კაცობრიობის ძირითადი ენერგია გონითი სივრცის ათვისებას მოხმარდება, არსებითად, რომელიც მთლიანობაში ოდაბადეს მეხუთე განზომილებას — სიცოცხლემისჯილის ფაზას შეეფარდება.

ტალახში გდება მიესაჯა ამ თოვლასაც ჩემსავით. ჩამომართვი, ჯიმაგე, ხელი!

მაფა: მერე იყო და მოულოდნელმა დიდთოვლობამ ჭერი ჩამოუქცია უმეტეს ოდაბადელს, სოხანემდემ ჩამოიზარდნენ ლოლუები. ერთსულოვნად დაირაზმნენ პირტიტველი ყრმები და ჭარმაგები, ანთარიები და ჭანიები, აბშილები და მუშუქიები, მესხიები, ჩვენებიც. დასახვეტი შუადღემდე ჩამოთოვლეს, გადასახურავი შებინდებამდე გადაყავრეს. ხელგამოღებულთა გამასპინძლება ცალთვალა კუნტა ქობალიამ იკისრა, ნანაგე.

ალბათ, გაჭირვებამ თუ მოაჯულაო, იკვირვებდნენ წუწურაქის გულუხვობას, სვამდნენ შემოთააზებულ ორნახად არაყს და ილხენდნენ ასე. მერე ერთგან კოლი ჭანიამ ზურგს უკან ჩაცუცქულ მგლისფერ ძაღლებს გამოხრული ძვალი გადაუგდო, თან დასტკბიო წუპარკუნტას ნამარხულევი ქოფაკების ღრიანცელით, გადაუჩურჩულა გვერდით მჯდომ ქვაფუ ანთარიას, მაგრამ ნურას უკაცრავად; ნაგაზებმა ატალახებულ თოვლს თვალი აარიდეს, ჩამოსხდნენ, თავი აიღირეს უკლებლივ და ბალნის ამშლელად აყმუვლდნენ. შემდეგ ბავშვების ჟრიამული ატყდა, ნანაგე, და ჯანდუ ქობალიამ კბილებდაკრეჭილი ძაღლების თავებით სავსე კალათი გადმოაპირქვავა ლაფაროში.

ჯოჯოხეთიც მაშინ დატრიალდა. მოაჯირზე გადმოყრდნობილ ოდაბადელებს პირისღებინება აუვარდათ. მოლიპულ კიბეებზე ცურდებოდნენ. არად აგდებდნენ გაუჩინარებულ ძმაზე კნუტა ქობალიას ფიცილს. ყურს უხშობდნენ მის ქვითინგარეულ მუდარას, რათა უცოდველი კაცის სინდის-ნამუსი შეენახათ.

გონს მოდით, ოდაბადელებოო, ზლუქუნებდა ძმადაკარგული მასპინძელი; ნუთუ ვერა ცნობთო ჟინი ანთრის შემოჩეჩებულ სისაძაგლეს? ხელად ჯეგეს მიახტა მეძაღლე, და როგორც მოსალოდნელი იყო, ანთარიებმა მეტს ვეღარ გაუძლეს, იმდენი უბათქუნეს ცილისმწამებელს, რომ კინაღამ საღი თვალიც დაუვსეს.

ჯაღლებს თუ ვამრავლებთო, შახორჩედ კი არა, ტყავიშთვიშ, გამოექომაგა დაზარალებულ ჟმას ჭაჭია.

ესეც მე ვარო, გული მიეცა კუნტა ქობალიას, ერთი ძუკნას ნაშიერივით სულ ნაცრისფერ-ნაცრისფერი რომ შევყარე, ტყუილადო განა. საკმარისია თავი წააცალო და ხაარზი ვინ მიგდია, თვით გამოცდილი მონადირეც ვერ გაარჩევსო მგლისაგან.

ჩემი გადია, ჩემი სპეტაკი გადია!“

ხვავრიელი თოვლივით დაზნექილი ნაძვების მიღმა ალანძულ სივრცეს კრთომით უმზერდა ბონდო. მოედნიდან ბჟუტავდნენ ციური ფარვანების კორიანტელში შეცურებული ლამპიონები. მონოგრაფია ბედისწერასავით ექცა, ვინაიდან დარწმუნდა, რომ ეს ყველაფერი მისი სულისა და ხორცის ბიოგრაფიას ასახავდა. ამას მა-

შინაც გრძნობდა გაუცნობიერებლად, როცა ჟინი ანთარი კუჭის წვენის, სისხლის, შარდის თუ გენეტიკური მასალის ქიმიურ შემადგენლობას ლაბორატორიულად უზუსტებდა.

„თურმე სიცოცხლემისჯილი, იგივე ატომებისა და მოლეკულების გროვა, ბიოლოგიური მასა, ჟინი ანთარი კი არა, მე, მე თვითონ ვყოფილვარ, რომელსაც დედალოსის მიერ ფრთამომართულ იკაროსივით მერამდენე წელიწადია მაკოწიწებენ, მხვეწენ, უსიყვარულოდ შექმნილს დღენიადაგ წაღმა-უკუღმა მატრიალებენ, ხან დადებითი, ხანაც უარყოფითი ემოციით მმუხტავენ, სასურველ ფორმას მანიჭებენ, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა, სულაც უსხეულო ენერგიად გარდამქმნიან!“.

მონოგრაფიის გაანალიზებამ ბონდოს საშინლად მოანდომა საკუთარი პიროვნების განსაზღვრა, დადგენა, გნებავთ — დამკვიდრება, რასაც ოდაბადელებთან ურთიერთობა ისეთნაირად სჭირდებოდა, როგორც თესლის გაღივებას — ხელსაყრელი ჰუმუსი*.

ვეღარაფრით მოეფიქრებინა ლტოლვილს, თუ როგორ, რანაირად მოხვედრილიყო დედულეთში, ისე რომ ვინაობაც დაეფარა, სასოფლო საბჭოში საჭირო ცნობებიც აეღო საბუთებისთვის და რაც მთავარია, საკუთარი წარმოშობის, წარმომავლობის ნიუანსებშიც ძირძირამდე გარკვეულიყო. ამ გაწამაწიაში მყოფს უცებ ყურისწამღები ზრიალი მოესმა ზურგს უკან.

„ცირკიდანააო“, გაუკრთა თავში და ზღვიდან ქარით ამობერტილ ღრუბლებს მიყინული მზერა რატომღაც მაინც გასტრონომს მიაპყრო.

ბონდომ ანაზდეულად თვალი შეასწრო ჩამოწოლილ ვიტრინაში პომპეის პერსონაჟივით მოღრეკილ შავოსანს. მინის დიდრონ-დიდრონი ნატეხები ბრჭყვილ-ბრჭყვიალით მოსრიალებდნენ ალმაცერი სხივების ფონზე, გილიოტინისავით ეშვებოდნენ მუხლებზე დავარდნილის თავს ზემოთ და თოვლმოტეხილ ფილაქანს შეეხებოდნენ თუ არა, წვრილ-წვრილი ნამსხვრევები შხეფებივით იფანტებოდნენ ირგვლივ.

შემთხვევის ადგილას სამიოდე წუთში ზღვა ხალხი მოაწყდა.

— სასწრაფოში დარეკეთ! — უყვიროდნენ გასტრონომის თეთრხალათიან გოგონებს.

— ურეკავენ, ურეკავენ! — უპასუხებდნენ ერთიანად მოცახცახენი.

გულშემოყრილი ქალი მორბენინებულ სკამზე ჩამოსვეს. თმა-

ჩამოშლილ დედაკაცს გამობრძმედილი დასტაქარივით საფეთქლებს უსრესდა ბონდო. თავის ქალას და კისრის ძარღვებს თითებით უსინჯავდა. სისხლში გასვრილ მის ხელებამდე მოქროდა წყლით სავსე ჭიქა, მიტკლის ნაჭერი, კატაბალახას წვეთები. დედაბრის მოქცეული ფეხსაცმლის ჭვინტებიდან ჭიაყელასავით წაიკლაკნა სისხლი და ლტოლვილს შვიდ იანვრამდელ სიზმარში ტრიფოლიატს გადმოვლებული ფერადი სფერო გაახსენდა მაშინვე.

— ქამარია საჭირო, ქამარი-მეთქი! — გაიძახოდა ბონდო ბრბოს მისამართით.

— ვაიმე, შვილებო! — ამოიკვნესა გონმოსულმა შავოსანმა. შიშნეულად აცეცებდა თვალებს და მიუხედავად ამისა, ძაძებს მუხლებს ქვემოთ ეწეოდა ჯიუტად. ,,აგიხდა წყევლა, პელაგია, აგიხდა. სად დასაქცევში მძვრება სული!''

— ნუ მიძალიანდები, დედილო! ,,Hoemorrhagia arterialis''* მაცალე-მეთქი! ხუთი თითივით ვიცი ჩემი საქმე, სამედიცინო ინსტიტუტში ტყუილად ხომ არ დავიარები! შემომაჭერინე ქამარი, თორემ სისხლისაგან დაიცლები! — ეუბნებოდა დაშავებულს და ურჩობაჭიდილში სისხლისდენა როგორც იქნა შეუჩერა.

— დრო, დრო მითხარით, ხალხნო! — ჰკითხა სეირისმოყვარულებს ბონდომ.

— თერთმეტის ოცდაშვილი წუთია! ,,მეგონა რამეს ყიდდნენ''.

— არაფერიც! ოცდაექვსი! შეხედე, სეიკოსია ჩემი! ,,თათმანში ჰქონია ფული შენახული. ისე უფათურებს, ააწაპნის ნამდვილად!''

— ბედნიერი დედის შვილი! **„თუ რჩენა არ შეგეძლო, რას მაჩენდი!“**

— აბა, სულ ფულით როდი ირიცხებიან იქ! ,,გავლენიანი ბიძა ეყოლება!''

— კანადური დუბლიონკა კი გაიფუჭა და...

ეს სიტყვები რომ არა, ბონდო სასწრაფო დახმარების მოსვლისთანავე იქაურობას უსათუოდ გაეცლებოდა, მაგრამ ღვარძლით ნათქვამმა დაბოღმა, მორიგი სიკეთისკენ უბიძგა.

— საავადმყოფოში დროზე თუ არ მივალთ, ფეხები მოსათევი გაგიხდება! — მოსჭრა და მხსნელს დედაბერი ისეთნაირად ჩააფრინდა მკლავში, როგორც დაღუპული ხომალდის მგზავრი — მაშველ რგოლს.

— ის ,,ფიატი'' შვილიშვილისაა, — წითელ ,,ჟიგულზე'' მიუთი-

თა აქვითინებულმა ქალმა, — ბაზარშია ჩემი სახუ. დავუცადოთ, შემოგვევლე, ამწუთში მოვა!

— დედილო, ენდეთ ჩემს გამოცდილებას. დაყოვნება ყოვლად გამორიცხულია! აგერ, ეს გოგონები გადასცემენ ყველაფერს. ნურაფრის გეშინია, მოგვძებნის!

— არა, ნანაგე, ვიცი მე მისი ხასიათი. — ზედგამოჭრილი ბაბუაა, ვაითუ აჩქარდეს და ისედაც გაძაღლებული სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადამექცეს მთლად! „შენი გასასუდრი! რა მოხდებოდა ახალი პერანგი ჩაგეცვა?!“

— გეშინიათ, ავარიას მოახდენს?! შეხედეთ, ცარიელია ქუჩები! „გადია მაფას მაინც რას ვერჩოდი?! როგორ მოვუკალი გული!

მაფა: თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვსო, გვეტყოდა ხოლმე კოჩია, ნანაგე. ვინცობაა ოდაბადელებმა ბონდოს წართმევა მომინდომონ, ზურგი არ შემაქციოთო, გვემუდარებოდა და მაშინ შენმა მასწავლებელმა ონწყვეშიიდან ამოღებულ შაშხანებს ხელახლა უწყო გულმოდგინე გაპოხვა-გაკრიალება.

არ გინდა, თუ გიყვარდე! ოღონდ დღეს გაჩუმდი, ჩემი ხათრით გაჩუმდი და ხვალ-ზეგ მე თვითონ გამოვსწორებ ყველაფერს!

რას გულისხმობდა, რა ჰქონდა მხედველობაში?!“

— გამონახა თავპატიჟის დრო! დაუჯერეთ ახალგაზრდას! ეს ღვთისნიერი რომ არა, შვილიშვილისა და სასწრაფოს იმედით, ახლა გაღმა იქნებოდით გასული, მარილზე! — აყაყანდა შეთხელებული ბრბო.

ტაქსების რიგში არავინ შესცილებიათ. პირიქით, მანქანაში ჩასხდომისას მიეშველნენ კიდეც. გასტრონომის თეთრხალათიანმა ქალიშვილებმა შავოსნის გაძეკილი პარკები „ჟიგულის“ კაპოტზე შემოდეს და ქალის დასამშვიდებლად ერთმანეთში საუბარი გაბეს.

მიხედა ბონდომ აუზს, მაგრამ მისი სპორტული ჩანთა აორთქლებულიყო. მხოლოდ ეკლის გვირგვინი ეგდო წარყვნილ თოვლზე.

„ნუთუ ყველაფერი წინასწარო მიგრძნო ტანმა?“ გაიფიქრა ყმაწვილმა და შეციებულივით გააჟრჟოლა.

დაზიანებული მუხლებქვედა არტერიოლები ბონდოს თანდასწრები თ ამოუწმინდეს დასახიჩრებულს საოპერაციოში. ვიდრე ჭრილობებს გაუკერავდნენ და შეუხვევდნენ, ქალი ჩირივით დამჭკ-

ნარ, გაყინულ თითებს მხურვალე მაჯაზე უჭერდა მხსნელს. აქა-იქ პინცეტით ამოაცალეს მინის ლიფსიტა ნამსხვრევებიც. სპირტიანი ბამბით მოუსუფთავეს შემხმარი სისხლი სახეზე, ხელებზე, გაატარეს ჟურნალში და რადგანაც ძუბა ჭანიას ხუჭუჭთმიანი სახუ ანთარიას შემომატებით მთლად გული მოეცა, საავადმყოფოში დარჩენა აღარაფრით ისურვა.

— რას ბრძანებთ, როგორ შეიძლება, დანაშაულისაკენ მიბიძგებთ?! — განგებ ბრაზობდა ქირურგი. მოხელთებული ლუკმა ასე იოლად არ ეთმობოდა, მაგრამ როცა ხალათის ჯიბეში ხუთთუმნიანი ჩაუსრიალეს, — არ გესწავლება, რამდენიმე დღე მაინც ნუ იმოძრავებს! — თქვა „დოხტური შვილიშვილის“ მისამართით და დერეფანში დაყუდებულ ჯანიან სანიტრებს აბა, საკაცეო, გასძახა.

ბონდო ჰალიძონია ნაცნობი ქუჩით აპირებდა წახეტიალებას. ვერც „ახალგამოჩეკილ ბებიას“ ელეოდა, თუმცა, როცა წითელ „ჟიგულს“ მიუახლოვდნენ და იქიდან ერთიანად დაბნეული ქალიშვილი გადმოვიდა, წავედი ახლა შინო, განაცხადა დარდიმანდული ღიმილით, რომელი ღიმილის თავიდათავი, სწორედ რომ უნებლიეთ, მისდაუნებურად წამოცდენილი სიტყვა „შინ“ გახლადთ.

ძუბა ჭანიამ საკაციდან წამოწევა სცადა, მაგრამ ტკივილმა სახე დაუმანჭა და ხმამაღლა აკვნესდა.

— ამხელა სიკეთე რომ დამდე, ნანაგე, ბარემ მადლს მარილიც მოაყარე. იქნებ მაწყინოს მგზავრობამ, იქნებ სისხლის დენა ამივარდეს ისევ და სახლამდე ვერც ჩავაღწიო. ხომ წყალში ჩაგეყარა ამდენი შრომა? ან ჩემი ძილი ძილი იქნება ამაღამ?! ასე, სისხლში ამოსვრილი, სად გაგიშვა, სად?! მივალთ ჩვენსას. ტანსაცმელსაც გაგიწკრიალებთ, ვივახშმებთ კიდეც, ჩემს დაწურულ „ადესასაც“ გავუსინჯავთ გემოს და უკანვე ჩამოგიყვანს სახუ. რას გაჩუმებულხარ, ბებია?!

— ნამდვილად! — დაემოწმა შვილიშვილი.

თუთურია: „საით მიგყავარ, სახუ?!“

სანიტრებმა ძუბა ჭანია მოხერხებულად მოათავსეს მანქანის წინა სალონში. გამოჯამრთელდითო, დალოცეს და ფეხათრეულად მიტრიალდნენ საავადმყოფოსაკენ, მაგრამ სახუ დროზე წამოეწია მათ. თუმან-თუმანი უწყალობა ორივეს. ხელის ჩამორთმევითა და თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა სათითაოდ, მერე გასაღების ტრიალით ფიცხლად მობრუნდა „ჟიგულთან“.

— მივდივართ თუ არა?! — მოსჭრა და საბურავს რამდენჯერმე ფეხი მიარტყა.

— დარდი ნუ გაქვს, ბებია გენაცვალოს! მივდივართ, მივდივართ! აქ ხომ არ დავაღამებთ, აბა?! — შეეპასუხა შვილიშვილს „მხსნელი ანგელოზის“ მაგივრად ძუბა ჭანია, — ბეღურასავით რომ მობუზულხარ, ავად ხომ არა ხარ, თუთურია?! „ტყუილად გაცვია დედის შუბა?!“ ელეკინი ძღაბი, ჭიჭე, გემთაშქვი სუმარი, ვარა ამსერი ორწკინალო გენგგართუთ დო სხაპით უკული!* ჩემს გულში, ნანაგე, დღესაც წვიმს და თოვს, —განაგრძო საუბარი თავსაფრიანმა, როგორც კი სახუმ მანქანა დაქოქა და ქუჩას დაუყვნენ, — მიალერსება რომ არ დამცალდა ისე, ოთხი ვაშკაცი წამგლიჯეს ხელიდან. იმათაც დოხტურობა უნდოდათ, ვინ გადროვა თორემ?! ვაი, თქვენს დედას, რომელი მიწა გჭამთ?! — დამნაშავესავით მიაჩერდა ბონდს და მალულად თვალთაგან გადმოცვენილ კუნცხალს ლეჩაქის წვერი მიაშველა. — ეს ქვეყანა თქვენია, ნანაგე, — განაგრძო გვარიანი დუმილის შემდეგ, — ჩვენი გაჭირვება ღმერთმა გაშოროთ, მაგრამ მთლად ასეც არ ივარგებს, მეტი მონდომებაა საჭირო! იქნებ გამაგებინოთ, ნანაგე, სად მიდის ეს ქვეყანა! გოგონებმა ისე დაიმოკლეს კაბები, ლამის ყველაფერი გამოიჩინონ!

ყურადღებით შეათვალიერა გარინდული შავთმიანი ასული, — ბიჭებმა ქალურად მოუშვით თმა. მოწამლულია ჰაერი, მოწამლული! თქვენი სახელი, ნანაგე?!

— „ბონდო“, გიორგი, გიორგი ხანთარიძე.

— გიორგი, ნანაგე, იცით, ქინძიც რომ ქინძია, ისიც არ ხარობს ძველებურად. ჩვენს უფროსობას დაეხსენ! მათგან ხეირს ნუ ელი! „ძმის მოღალატე! დაუნდობელი! დარიხიანობდა, მაგრამ დაემართა შესაფერისი, არის საკადრის დღეში!“ რას შვრება მამაშენი, თუთურია?! ადგა თუ წევს ისევ?!

— წევს, ბებია, წევს! „რა იქნებოდა, ის მინა ფეხის ნაცვლად ენაზე დასცემოდა?! დუყლას წისქვილივით არ გამორთავს აწი.

თუთურია: ჰგონია, არდაშელის გამო დარდობს. მოვესწრებით, არ გინდა, სახუ! სხვა დროს, სახუ!

— ათი კაციც რომ გახლდეს, მე მესტუმრე, ნანაგე, მე! „აბა, როგორ, შერჩებოდა ვითომ საცოდავი ბაღანას ამოჩემება?! ურჯუკია დურუ. გამოვა შინიდან და უნახავი ძმის სულს ვფიცავ, ღორივით დავკლავო, დაიბღვირება თურმე“. წმინდა გიორგი, შენს ნათელს შემოვევლე! შენ დაიფარე ჩემი შტერი შვილიშვილები! ჩემს ბაგის თუ დაუჯერეს ოდაბადელებმა, არ წააგებენ, ღმერთმანი! მართალია, ახლები ჯერ კიდევ აღმა-დაღმა დაბოდიალებენ,

ბურთს დასდევენ, ნარდს თამაშობენ ჭყონდიდის ჩრდილში მოკალათებულნი, ან ცეცხლავენ არაყს და უხათქუნებენ მერე ერთმანეთს ხან მუშტს, ხანაც — კეტსა და მარგილს, მაგრამ დღევანდელი ფათერაკივით მწამს, ხვალ იქნება თუ ზეგ, ყველა ერთად, დიდი, პატარა, აჰყვება. ზოგს აქა-იქ გამოცოცხლება დაეტყო. აბა, რისთვის დაღვარეს სისხლი ჩემმა ბიჭებმა?! „არდაშელ ჰალიძონიასნაირებს რომ დარჩენოდათ ეს ქვეყანა, იმიტომ“. ვერ მიართვეს! — ძუბა ჭანიამ ცერა თითის ფრჩხილი კბილებთან მიიტანა და გააწკაპუნა, — ტოლები მეიმედებიანო, ამბობს ბაგი და ურწმუნობა იქნება?! ვის როგორც უნდა, ისე თქვას, რამდენიც უნდა, იმდენი იჭორაოს ზურგს უკან, თვითმარქვია თავმჯდომარე არისო. მე მაინც ჩემსას ვაკეთებ. აწევა რომ ჭირს, ისეთ მამალ ინდაურებს თავს წავაცლი. ნიგოზს დავნაყავ, ჩავასაცივებ. ფუმფულა პურებს დავაცხობ. დამწნილებულ კანამხალთან და მთვარისოდენა სულგუნებთან ერთად შევკრავ და ახლებს საგზლად გავატან ჭურიაში. შვილი — შვილია. ოთხი თმაქოჩორა დავკარგე, მაგრამ მეტი მყავს ახლა მე წყლისა და მიწის წასაღებს! ძუბა დედას მეძახიან, ოხუნჯობენ და სულიც არ ამომდის. ბაგის შემოვევლე! ნასტავლი შვილიშვილები სხვებიც მყვანან, მაგრამ ის ღვთის დანაბადია. დიდგვიმარონის ტყეები გაკაფეს, მიწა მოასწორეს, მოხნეს, აწი სიმინდს დათესენ, ყანეს გათოხნიან და ვისაც თავში ჭკუა აქვს, ნალია ჭირნახულით აევსება. ჭიჭე კვეკვესნაირი გველენა ხალხი კი მაინც უკმაყოფილოა.

ახლაა ჩვენთვის თავგამოდებული, თორემ როცა „არდაშელის“ სავარძელში გადაბრძანდება, ისიც გაისვრება, ქარვასლებს დახარბდებაო, იგესლებიან.

არული კუდიანებსა! ვერავინ გაიგებს, დედის რძით გაზრდილან თუ შხამით?! ნეტავი, საიდან იტევენ სულში ამდენ ობობას და მორიელს?! თუმცა წყევლასაც მოვეშვათ, ისინიც ცოდვანი არიან, არგასაზრდელები და ხეზე თავმისახლელები! ჩემს ფუნჩულა შვილობილებს ვენაცვალე! ჩემი ჭოფიას ბორანთან ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს და ალიონიდან შებინდებამდე ჭაობს ერკინებიან, — ძუბა ჭანიამ ლეჩაქის ყური თვალისკენ გააპარა ისევ, — წმინდა გიორგი, შენს ნათელს შემოვევლე! ენად რომ გავიკრიფე, რა მჭირს?! ის, რაც სხვებისთვის მისაყვედურებია, აქეთ არ დამემართა?!

— როგორ, დღესაც ბორნით ცოდვილობთ?! — ჰკითხა თვა-

ლებში გაფაციცებით მოჩერებულ ქალს ბონდომ.

— ღმერთმა დაგვიფაროს! — შეიცხადა შავოსანმა, ტილოს შალითაჩამოცმულ საზურგიდან გადმოიწია და შეგინგლულ სახეზე თითები მოუცაცუნა ახალგაზრდას, — ისეთი გარიწკინებული ხიდი გვაქვს ახლა, ოდაბადეს კი არა, ქართს* შეშვენდება, მაგრამ ხალხი ბორანს მაინც ვერ ელევა.

წკირზე გაჩენილს სული წკირზე უნდა ამოხდესო, ტყუილად იტყოდა განა ცხონებული ნათლია?! რაც შეეხება ჭოფიას, დილიდან საღამომდე იქ ეყუდა და აყუდია ახლაც ენგურის ადიდების მოლოდინში.

— ნუთუ მართლა ასე დაკნინდა ენგური?! „ცხადია თუ სიზმარი?! რას არ ვეპოტინებოდი, რეებს არ ვჩმახავდი, ოღონდ ოდაბადეში მოხვედრილიყავი! ბედი.

ჟინი: ხომ ნახირი ვართ, შენი თქმით, ბალახის ცოხნას გადაჩვეული ნახირი, ჰოდა, კეთილი, დამალეთ, კარგად დამალეთ ის ველური, არაფერი მოაცვდეს! სამედიცინო კომისიაზე გავწერეთ სხვა წვევამდელებთან ერთად. თორმეტში კომისარიატში მიიყვანეთ დილაარდიან, თორემ მოვლენ მილიციიდან და უფრო საიმედო ადგილას გადამალავენო.

სვე. მაგათ ვუჩვენებ მიე გატყიურებულს. დიახ! საზოგადო საქმეების უკეთ გამაგრძელებელი შეგქმენ, როგორც დედალოსმა — იკაროსი.

კოჩია: სად მიგყავს ჩემი თვალისჩინიო, იკივლა გათახსირებულმა. თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ, შენ ვინ მოგცა... მაგისი შნო და მარიფათიო“.

— დღეს რომ ენგურია, მაგდენს სახელდახელო სუფრის შემდეგ მოიიმასქნებენ ხოლმე. ჩემი კი არა, ჭიჭე კვეკვეს სიტყვებია.

თუთურია: „ნაბიჭვარი. აი, თურმე რისთვის გამომიტყუე შინიდან?! არ გყვარებივარ მე შენ, სახუ, არა! თავს მოვიკლავ, იცოდე!“

— აბა, სხვა დაადარდიანებს ჩემს ჭოფიას?! ფუთიან ხოფს ეჯაჯხგურებოდა, რაც ბავშვობაში ჭყონდიდიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა, მერე. ამიტომაც ვერ მოუნელებია მისი გაუქმება. ჩამოჯდება „ფანჩატურში“ ძელსკამზე. აფუტებს თუთუნს, აფსუს, ენგურს ღლაპებიც კი მოუშინაურდნენო, ამბობს სიმწრით და წარამარა ხიდის მიმართულებით იპურჭყება. შარშანწინაც, შარშა-

ნაც, როცა ხიდისმშენებელი ბიჭების სადილობის დრო მოახლოვდებოდა, იქაურობას უხმოდ გაეცლებოდა ჯავრიანი. მერე ვისაც უნდა მიეპატიჟა, რამდენიც შეხვეწნოდნენ, წელან დავნაყრდიო, იცრუებდა, თუნდაც დილიდან არ ჩასვლოდა ლუკმა პირში. ვერაფრით შერიგებია სიყრმიდანვე თანშეზრდილი ბორნის გაუქმებას.

— არც გაემტყუნება! ,,სულ რაღაც ათიოდე წუთით ადრე რომ გავცლოდი მოედანს, ხომ ვეღარასოდეს გადავეყრებოდი ამ ღვთისნიერ ხალხს?! ამდენი შემთხვევითობა გაგონილა?! ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაც გარედან მართავდეს ჩემს ყოფიერებას. იქნებ სამყაროსავით მე თვითონ ვარ ჩემივე თავის მიზეზი?! ეგონა, აშენდებოდა! მშვიდობით, გვირგვინის სუსხო! Finis*. **ეჰ დასრულდა კი, დასრულდა ვითომ?!“**

— მაგ ბორანმა მოწამლა სწორედ ჩემი ცხოვრება! მივთხოვდებოდი ვინმე ჩემნაირს და არც ამდენს გავიტანჯებოდი. ნათლია რომ არა, ჭოფიას ვინ, რომელი გაიკარებდა ახლოს, მაგრამ ხომ გსმენია, ნანაგე, სადაც არის ბედი შენიო?! ჰოდა, ასე მოხდა ამჯერადაც. საცდელ შეღერილ ბედოვლათს სიმინდი დაეფქვა. ოჯინჯალედან შებოლილი ყველი და კუპატები ჩამოეხსნა. ტაბაკი, საცერი, ქვაბი, ჩოგანი, დახერხილი შეშა და მისთანები ბორანზე გადაეტანა. წარმოგვიდგენია, ორი დღე და სამი ღამე სიტყვა არ აღირსა გაღმა-გამოღმა დარჩენილ მგზავრებს. ვერც ხვეწნა-მუდარამ გასჭრა, ვეღარც — მუქარა-დაშინებამ. დაიწყო შეპირებანი. წამოვიდა საჩუქრები მარჯვნიდან და მარცხნიდან, მაგრამ ჭოფია ძველებურად ქვაბში ღერღილს ჩაუშვებდა, მორევში ამოავლებდა, სამფეხზე შედგამდა, ცეცხლს შეუჩიჩხინებდა. ირგვლივ კუპატების მადისაღმძვრელი სურნელი ტრიალებდა. წამოწვებოდა მერე ,,ფანჩატურში'' სკამლოგინზე, თოფს მოიჩოჩებდა და იყო ასე უცნაურად გატრუნული, ვიდრე მორიგი სადილის თუ ვახშმის დრო მოახლოვდებოდა. ბოლოს გულში ვეღარ მომითმინა, მორდიას* შთაგონებამ მაცდუნა, შეკრებილებს გადარეულ-დასაბმელის საწადელი ვაუწყე.

თქვე დაბრმავებულებო, გეუბნებიან, ისეთი ცოლი შემრთეთ, ჭირნახულს წყალში რომ არ გადამიყრისო, გაიგეთ-მეთქი?! ჭოფია, იკმარე გამოცანები, ის ფქვილი კიდევ დაგჭირდება-მეთქი და მომსწრეების გასაკვირად კვეკვეს ბოშიც მაშინვე დაფაცურდა.

— ნათლიაც ასეთი, უნდა! — უკბინა ბებიას სახუმ და მინასაწმენდი ჩართო, — ლადი ჭანია რომ არა, ხომ დარჩებოდი გაუთხოვა-

რი?! მერე და ჩვენს ყურთასმენას რა ეშველებოდა?! ,,ხუმრობის ხასიათზე ვარ კიდევ! კი უყვარს ენის წაგდება, მაგრამ გული კეთილი აქვს. ბარემ ახლავე გავუმხელ ყველაფერს. ჰო, ნაღდად ასე სჯობია.

თუთურია: რომ მძულდე, გამოგყვებოდი ამსიშორეზე, სულელო! გაუშვი ხელი მოაჯირს, გაუშვი-მეთქი! ყველაფერში სულსწრაფი ხარ შენ, სახუ! ჩემი ერთგული! იქნებ განცხადება შეგვეტანა?! შემომხედე, თორემ მე თვითონ გადავვარდები აქედან!“

— აბა?! — წაუყრუა ქარმაგას ძუბა ჭანიამ, — მდუღარეში არ ჩამაყოფინა ფეხი?! ანთარიების უღელში შებმამ ცხრაპირი ტყავი გამაძრო, ნანაგე! მენაფოტე კაცის მოიმედეს კი ისღა დამრჩენოდა, ხელები დამეკაპიწებინა, თხილნარის ნასხლავი წკნელებით ბოსტანი შემომერაგვა, საადრეო ყანაც მეთოხნა, კოლმეურნეობის ფართობებშიც მეტრიალა, დილაუთენია კამეჩიც მომეწველა, ფრინველისათვის საკენკი დამეყარა, ჩაიც მომეკრიფა, საღამოობით სახვალიო პური დამეცხო, ჯორკოზე მქინდრავს ჯალაბის ტანსაცმელი მეკემსა და მელამბა, ვიდრე ჭოფია საძინებელი ოთახიდან, გეყოფა აწი, ცოდვა ხარ, დაიღალე შენცო, არ შემომეხმიანებოდა. სწორედ რომ ჩემს ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა ბედჭვილი ბოში!* თქვენ არ გეხებათ, ნანაგე, მაგრამ, აი, დანარჩენს, ცეცხლი უნდა შეუნთო ყველას! იქნებ მერე მაინც დაგვიფასდეს ამაგი. რაც უფრო გვიან გათხოვდები, ჩემო თუთურია, მით უფრო მოგებული დარჩები! ,,რა დღეშია ეს გოგო?! ვგონებ არდაშელის ავადმყოფობა აქ არაფერ შუაშია“ აჩხავლებულ პირმშოს ბოსტნიდან ვურწევდი აკვანს სახელურზე გამობმული ბაწრით. ის ბედოვლათი კი ბორნის ,,ფანჩატურში“ სკამმერხზე არხეინად ხვრინავდა. მხარს მხოლოდ ბარჩხალა მზის შემოჩენა შეაცვლევინებდა. აი, მერე, კანგამოცვლილი ყაჭივით იზოზინებდა, იხვნეშებდა, ზმორებ-ზმორებით თავს ასწევდა. შვილების მიტანილ სადილს ისე მადიანად შეირგებდა, იფიქრებდით, ცხრა ფუთი ოფლი დაუღვრიაო. არა, მთლად უსაქმურობას ვერ დასწამებდით ჭოფიას. სახლს გარეთ ბორნის ხოფს ეჯაჯგურებოდა, შინ ჭების თხრაში ილეოდა მისი ჯანი და როცა ჩვენს ერთადშემყრელ იღბალს მივაწყვლიდი ხოლმე, შენს ნათლიას, თუ კარგიაო, გაცხარდებოდა. მუხლებზე ხელებს დაირტყამდა, ჟანგისფერწყლიან ჭაში ჩააფურთხებდა. კვლებიდან ამოკრეფილი ქვებით ამოავსებდა, სხვა ალაგს მოინიშნავდა. მიმწუხრზე თეფშებით დაფარავდა. დილით კვერცხს გადააგორებდა. დაჰკრავდა ბარს, მაგრამ ახალი ჭა უარესი სისაძაგლით გაპიპინ-

დებოდა.

დუყლა ანთარიას უშვილობამ ხომ სიცოცხლე გამიმწარა მთლად. ნანაგე, მოახლოვდებოდა ჩემი უკაცრავად ვარ და, მოლოგინების დრო თუ არა, დაბარებულივით, არც ახლა გამეყრები, ბერწო დედაკაცოო და დასცხებოდა ცოლს. იმ წელს ტყუპი გამიჩნდა სავალალოდ. პელაგიას იმედი მისცემოდა და ჭოფია მომიკვანჭალა მაშინვე.

გონს მოდი ქალოო, ჭოფიამ.

მოსული ვარ-მეთქი.

ბიძაშვილები ვის გაუყია, გვარი გამოეცვლებათ თუ სახელიო.

ზნე, ზნე-მეთქი.

ცოდვანი არიან, ესენიც გაიხარებენო.

გულის ამორთმევას რომ მიპირებთ, მე არ ვარ ცოდვა-მეთქი? კარგ დროს გაგახსენდით დედა და შვილები. ან ტყუპის დაშორიშორება სად გაგონილა-მეთქი.

აბა, დაინგრა ოჯახიო.

დაინგრეს-მეთქი. კუჭის მეტი რომ არაფერი ახსოვს და ბზიკების დაკბენილს დაემსგავსა, უკეთესია ცოტა გაინძრ-გამოინძრეს. სად მყავს გასაფუჭებელი შვილი, მაგან რა დედობა უნდა გაუწიოს, ჩაცმას საათნახევარს რომ უნდება, ისეთმა-მეთქი.

სიტყვას თუ გამატეხინებ, იცოდე, ლეკვებიანად გაგაგდებ შინიდანო.

ჩემი აშენებული სახლიდან შენ მიბრძანდი, ბატონო, სადაც გენებოს, ხომ გაქვს ეგერ ბორანი და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, მშვიდობაში-მეთქი.

არა ვარ ამდენი პატივისცემის ღირსი, ნანაგე. დიდი ცოდვა-ბრალი აწევს ჩემს სინდისს, დიდი ცოდვა-ბრალი. დამჩაგრა უსულგულო რძალმა. როგორც კი გვარიანად გამოვთათხე და შვილის მიცემის იმედიც გადავუწურე, ჩვენი ორსართულიანი სახლის აივნიდან თავით გადაეშვა, — ძუბა ჭანია განაჩენის მოლოდინში გაილურსა.

— Cholericus.

— აჰა?! — ქუთუთოები აუხამხამდა შავოსანს.

— ქოლერიკი ყოფილა. ფიცხ ადამიანზე ითქმის ასე ჩვენებურად. „მაგრად გავუტიე. არ ვიცი საამისოდ რა მრჯის. ვთქვათ და მაშინ მდგომარეობის გამო, გასამხნევებლად ვიცრუე, მაგრამ ახლა, ახლა

რა ღმერთი მიწყრება?!

კოჩია. ღმერთო ჩემო, ყველას წმინდანობა სწადია, ყველას.

ჟინი: მხსნელად მოევლინები დედამიწას ჩემი ფესვი".

მომიტევეთ დედილო, რომ „მოგატყუეთ" მერე რაო ჭოფიამ?! ცხადია, კარგი დღე არ გაგითენდებოდათ.

— ნუ გამახსენებ, ნანაგე! ვიდრე ანთარიები ძაღლივით გამაგდებნენ ქუჩაში, მე თვითონ ვუშველე თავს, თვითონ წავედი პელეტი* ოჯახიდან, ჩვილებატატებული, ფეხშიშველა, საღამურისამარა.

ხელი არ შემოგევლოს არც ერთისთვისო, ხროტინით მომძახოდა წყეული და გაჭირვებით გამოზრდილი ოთხი შვილიც მართლაც უგზოუკვლოდ დამეკარგა. წმინდა გიოგი, შენს ნათელს შემოვევლე! შენ დაიფარე შენი შტერი შვილიშვილები!

— სულ ტყუილად იჩაგრავ თავს, — გაამხნევა ძუბა ჭანია ბონდომ, როგორც კი ორთქმავლის მანევრების გამო ჩაკეტილ შლაგბაუმს მიადგნენ, — ერთკვერცხიანი ტყუპის დაცილება ყოვლად დაუშვებელია. სპეციალურ ლიტერატურაში საკუთარი ორეულის დაკარგვა ჰქვია ამ მომენტს „მივქარავ" ისინი ფონოტიპირუდაც და გენოტიპიურადაც, ესე იგი, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, იდენტურები, ტოლფარდები არიან, ამიტომაც მომაკვდინებლად განიცდიან ურეთმანეთობას.

„ბიჭოს!

კოჩია: ტყუპს ელოდა თურმე დედაშენი. ძმა არ წაერთვას ძმასო". შვილის ყოლა თუ უნდოდა უბედურს, ემკურნალა, ან უდედმამოთა თავშესაფარში ანგელოზების მეტი რა ვიყავით?!

ეს წყალწყალა საუბრები ყველაზე ნაკლებად თუთურიას ცნობიერებამდე აღწევდა. არდაშელ ჰალიძონიას უმცროსი ასული შეუმჩნევლად დაქალებულიყო. მამის იერიანს ხასიათი — დედისა გამოჰყოლოდა. უთქმელი, ჩუმი, ყველაფრის გულისგულში დამტევი.

წვიმის წვეთებით დაღარულ მინას საფეთქლით მიყრდნობილ თუთურიას, ისედაც დაპატარავებული სასკოლო ფორმის შავ წინდებზე ჩამოწევა ავიწყდებოდა. მისი მოკლეყელიანი ფეხსაცმლის უნუგეშო მდგომარეობას ნუტრიის ჯუბაჩა აქარწყლებდა რამდენადმე.

მუხლებზე ზურგით მოყრდნობილ დედას ვარცხნიდა თუთურია, როცა მათ ჭიშკარს მანქანამ მოასიგნალა. იანვრის მზე ჯერ კიდევ კავ-

კასიონის მწვერვალებს ეფარებოდა.

უბედურების მოახლოვების ჩვეული გუმანი კბილებს უკაწკაწებდა მილანდარ მუშუქიას. ვარცხნიდა თუთურია მშობელს და თანაც ოცნებაში სახუ ანთარიასთან ხელიხელჩაკიდებული მისდევდა დაშრეტილი ენგურის ნაპირს. იქ წყლის სიკამკამეში აკოცა გუშინწინ რჩეულმა და ყმაწვილის მუდარას — სამუდამოდ წაჰყოლოდა შინ, დედას რა ვუყოო, ესღა შეჰქვითინა. სკოლის მერხიდან შეზრდილი წამით გაუყუჩდა, მაგრამ ისევ შეუჩნდა.

— ვერ ხედავ, როგორ ჩამოვდნი?! თავგზა ამრევია, მოსვენება დავკარგე. გამოვჩნდები თუ არა ბორანთან, ოდაბადელები მაშინვე აფხუკიანდებიან. წარამარა მაწითლებენ. ამხანაგებს ვერიდები. ვერ ვუძლებ კითხვებით სავსე მათ თვალებს, რომლებშიც ცასავით ნათლად იკითხება ჩემი გაუბედაობით გამოწვეული უმოქმედობა. დიახ, სიტყვით არა, მაგრამ ქარაგმულად მეუბნებიან, შეგირცხვეს ნამუსი სახუ ანთარია, ბერბიჭამ უნდა წაგართვას შეყვარებულიო? დღითი დღე შიში მიორკეცდება. ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, როგორ ფიქრობ, ხანტურის კეთილდღეოისათვის გაუჭირდება ვითომ არდაშელს შენი გაწირვა?! შენ სულ ყოყმანობ. ხან რას იმიზეზებ, ხანაც — რას. არ ვიცი, რა გაბრკოლებს, რისი გეშინია? დედაშენს მოვუხერხებთ რამეს. დედა ვის გაუწირავს, ჩვენ რომ გავწიროთ?! ან თან წავიყვანთ ჩვენსას, ან კიდევ თქვენსას გადმოვბარგდები. ყველაფერს ეშველება, ოღონდაც ტანჯვა მაკმარე! ჭიჭე კვეკვემ ხმა გაავრცელა სოფელში, თითქოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არდაშელი შენს თავს ბერბიჭა მინისტრს უთმობდეს! — ბევრი უარა სახუმ თუთურიას გარშემო, მაგრამ საიმედო ვერაფერი დააცდენინა. ბოლოს ვაჟმა სატრფოს ყოყმანის საფუძვლიანი, ხელჩასაჭიდებელი საბუთი მოსთხოვა. „თავი ხომ არ გეეჭვებაო“ ვერ აკადრა მთლად, თუმცა აშკარად აგრძნობინა, რომ ორ-სამ დღეში ცოლად თუ არ წაჰყვებოდა, სიცოცხლეს მოისწრაფებდა.

„როგორ მივატოვო ბედკრული?!“ ფიქრობდა მომძლავრებულ წვიმას უაზროდ მიშტერებული თუთურია. „რატომ დავუჯერე, რატომ ავმჩატდი?! ან იქ განცხადება რამ მიგვატანინა!

ჯერ პასპორტები აიღეთ, ხელის მოწერას ყოველთვის მოასწრებთ. ტყუილად მეხვეწები, გენაცვალე! კანონს ხომ ვერ დავარღვევ?! გოგო, ბონდო ჰალიძონია რაა შენი?! ხო, კოჩიას ძე. კალმით ნახატი ბიძაშვილი გყოლია. სად დაიკარგა ნეტავი?! ჩემი მარიკა სულ მის ხსენებაშია. მოტორიანი

ნავით გაგასეირნებო, შეჰპირებია და შემჭამა პირდაპირ. ეს რა ჩავიდინე?! გინდა გავპარულვარ და გინდა დედა ჩემივე ხელებით მომიკლავს. გათხოვებისათვის ეცალაო, არ იტყვის ხალხი?! მერედა სახუ?! კინაღამ ცოფორეულ ჩხოუშიაში გადახტა. გიჟი!

სახუ: ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, როგორ ფიქრობ, ხანტურის კეთილდღეობისათვის გაუჭირდება ვითომ არდაშელს შენი გაწირვა?! რანაირად უარვყო, სულს რომ მირჩევნია, ისეთი?! აშკარა წასვლა იქნება ეს თუ გაპარვა, სულ ერთია, სნეულის აღსასრულს დააჩქარებს. თავზე ლაფს დამასხამენ ოდაბადელები. ათი წლის ამაგი ერთი აჩქარებული ნაბიჯით წყალში ჩამეყრება!"

თუთურიას სავარცხლიანი ხელი ეწამლა მილანდარ მუშუქიას. მეთერთმეტე წელიწადია, რაც მომკრუნჩხავი ხილვებისაგან იფარავდა იგი ქალს.

მანქანის საყვირის ხმაზე თუთურიას შეკრთომამ მილანდარიც დააფეთა. მშობელს შვილის უეცარი შეცვლა აცახცახებდა. მუდამ დაუზარელს, მხიარულსა და ხელმარჯვე თუთურიას დედის გასაჭირი დავიწყებოდა. ვიღაც უხილავს მიესაკუთრებინა.

დაუდევარი ვარცხნა ქუთუთოებს უდიდროვნებდა ავადმყოფს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. დედის ზურგი ცხადლივ გრძნობდა ასულის მუხლების თრთოლვას, ყელს სლოკინისმაგვარი ბგერები მომსკდარ ყრუ ქვითინს. ერთმანეთში ჩახლართული თითები გამხმარ ლაჯებში ჩაედო მხრებაწურულ მილანდარს.

„ნუთუ თუთურიას ჩემი ყოველდღიური პატრონობა მობეზრდაო", ასკვნიდა.

სარკეში ჩახედვა სიკვდილივით ზარავდა მილანდარს, მაგრამ თუთურიას თვალებში ჩახატული სახე ენითუთქმელ ნეტარებას ჰგვრიდა. მხოლოდ იგი უმჩატებდა მუხანათურ წუისოფელს. თუთურიამ გადაავიწყა ყველა, ახლობელიცა და შორეულიც, მოღალატე ქმარი არდაშელიც, ობლობაში ხელგამმართველი დედამთილ-მამამთილიცა და თვით — თვალჟუჟუნა ხანტურიც კი.

ფხიზლად დარაჯობდა თუთურია მილანდარს. სიბნელიდან წამოდინებულ ავსულებს არ აკარებდა, მაგრამ საკმარისი იყო, წამით მარტო დაეტოვებინა, რომ მაშინვე გარს შემოეხვეოდნენ და სნეულიც უმწეო მსხვერპლივით ნელინელ აუწევდა ხმას. იმ ჩვენებებს, უმოწყალო ხარხარს, „ფოთლების წრიულ რიალს" თუ „გადაბას-

რული მაჯებიდან სისხლის ჩქაფანს“ თუთურია მიუსწრებდა. გაცოცხავდა, კუდით ქვას ასროლინებდა აჩრდილებს. დაუყვავებდა კედელსაკრულ მშობელს, რომელიც სახეზე აფარებული საბნიდან საწყალობლად იჭვრიტებოდა. ტერფიდან ხერხემლის აყოლებით კეფამდე ნელსაცხებლით დაზელდა. ფეხისგულებზე ლუფას უხახუნებდა. წოლისგან დაბეგვილ სხეულს, მოდუნებულ სახსრებს, მოშვებულ ძარღვებს ახალი სიცოცხლით აუვსებდა. იცრიცებოდა, იქსაქსებოდა „ხელების აბლაბუდა, საწოლზე ფრჩხილების საზარელი მოფხაჭუნება“ და გამონათება-აციაგებაში წყნარდებოდნენ, უკუიქცეოდნენ მოფუთფუთე საგნებიც.

მილანდარს სხვა სამყაროდან როდი შემოეჭრნენ ისინი. დროთა ვითარებაში ცნობიერებას შემორჩენილი სახეები გადასხვაფერდნენ, ხორცი შემოეძარცვათ, აჩონჩხდნენ, ყურები მოუდიდროვნდათ, თმა აებურძგლათ, ტუჩები დაუსისხლიანდათ და თანდათან, იმდენად გაუცხოვნდნენ, რომ ავადმყოფი უკვე ვერავის ცნობდა. შესაზარნი კი მოძვრებოდნენ, მოცოცავდნენ, ეტმასნებოდნენ. „რისთვის დაგვიწყო, რატომ მოგვიძულეო, ასეთი კითხვებით აბეჩავებდნენ. გასუდრული კედლის გაყოლებით ჩამწკრივდებოდნენ დანის მლესავები, ხერხის მოშარიშურენი, ნაჯახის მოჩახაჩუხენი, მაგრამ თუთურია მოვიდოდა, თიხის ქოთნებს სახუს ნასათუთარი მიხაკებით ააქათქათებდა. ლადი ჭანიასეულ ჩონგურს მოიმარჯვებდა და მოჩვენებანიც ოთახიდან გაიძურწებოდნენ; როგორ ტკბებოდა სიხარულისა და სინათლის მომგვრელი ის ჰანგი?!

არ იცოდა თუთურიამ, რომელი ცეცხლი წაეკიდებინა, სადაურ წყალში ჩავარდნილიყო, ვისთვის დაწინდა თავი, სახუსთვის თუ მილანდარისათვის?! ვერ გადაეწყვიტა, რომელს მიჰყოლოდა, აღმაფრენას თუ შვილის ტვირთს?! შუაზე როგორ გახლეჩილიყო, ან სანახევრო მსხვერპლს იკმარებდნენ ისინი?! ჯერ მის მშვენიერებაში თეთრი მიხაკების საელდო ტალღა ბობოქრობდა, რომელსაც მორევივით თავბრუდამხვევად ატრიალებდა სახუ ანთარიას დაელექტროებული ხელების ამასწინანდელი ორგიები.

ასულმა მშობელს დავარცხნილი და დაბეჭდილი თმა მკერდზე გადმოუგდო. ლოგინში ჩააწვინა, საბანი შემოუკეცა, ფეხები დაუთბუნა. ყოველი კუთხისკენ დადევნებული დედის მზერა ფარგლავდა თუთურიას მიმოსვლას, მის ლტოლვას ჭიშკართან მომლოდინე შეყვარებულისაკენ.

,,არა, რომც გადამიყვაროს, უნდა მივბრუნდე შინ. მერე რაღაცას მოვიფიქრებ", ასკვნიდა თუთარია, თუმცა ამ ,,მერეს" გულის მოსაოხებლად უფრო ებღაუჭებოდა, თორემ მომავალში ისეთს რას იღონებდა, ახლა რომ ვერ გადაწყვეტდა?! ასეთნაირად ორჭოფობდა დილითაც. ავადმყოფს ბალიში აუმაღლა, ხელსახოცი ამოუფინა, დაუპურა.

დიახ! გაუბედურებული დედის საკვნესელი და საცახცახო, მხოლოდ მხრეგანიერმა თუთარიამ ამოხსნა. საშინელ ,,ხვიარებს და წეწვად ღვედებს" მისი მოცქრიალებაღა თუ გაფანტავდა.

მოწყენილი მიხაკებით სავსე თიხის ქოთნები სასთუმალთან მიუჩოჩა. დედისეულ შალს დასწვდა, მაგრამ მილანდარის გამიტკლისფერებულმა სახემ და იმ სითეთრეში ორმა უსიცოცხლო ტბამ, მალე მობრუნების ნიშნად იქვე გადააკიდებინა. თუთურია მავთულბადის ღობეს მარეკებით დამფრთხალი შველივით მიაწბდა.

მანქანიდან გადმოსულმა სახუმ მიჯნური საყვედურებით აავსო.

— რატომ არ მოხვედი სკოლაში გუშინ?! ნუთუ ჩემი სიკვდილი გწადია?! დურუს მუქარას ეხუმრები, მაგრამ ხომ ხედავ, მაინც მოვბედე! იოტისოდენას თუ გატყუებდე, ხვალინდელი დღე არ გამითენდებოდეს!

პროფესორებით მოვდივარ, მხნედ იყავიო, დაურეკავს მამაშენისათვის იმ ბერბიჭას. ჩემი არ გეგონოს, ხანტურიას სიტყვებია. არ ვიცი, რას უცდი?! გული შიშისაგან მიკანკალებს, ვიდრე აქ მეგულები! შენს მოცემულ პირობაში ბეწვისოდენა სიმართლე თუ ურევია, ყველაფერს უყოყმანოდ მიატოვებ, ამწუთასვე, არადა, ახლოა ენგური!

ხორხოშელა თოვლში გარბოდა თუთურია.

აჰა, განემზადა სივრცეები საფრენად.

აჰა, გასრულდა მისი ორწლიანი ორჭოფლობა და ჭოჭმანი. ახლა ქალიშვილის განწყობილებაში გაძნელდებოდა ფონის პოვნა. აბობოქრებულ ენგურს ედრებოდა, მილანდარ მუშუქია რომ ებრძოდა ხოლმე, ისეთს.

ემშვიდობებოდა თუთურია ტოტებდალეწილ ხეებს, ტალავერზე აცოცებულ ვენახებს, (რომლებიც არდაშელმა ხუთიოდე წლის წინ თხემლებიდან ჩამოაზლევინა, მურყნები ძირში მოასხვეპინა და სკოლის მშენებლობიდან წამოღებული არმატურით თვალის დახამხამებაში აამართვინაი გედე ჭანიას, კემე ანთარიას და კიდევ რამდენიმე ხელმარჯვე ოდაბადელს);

ეთხოვებოდა მიწაზე გართხმულ და მარქენალი ყოჩივით გაჯგიმულ დაფნის ბუჩქებს.

სტოვებდა ქარით მოტაცებულ ევკალიპტების ხეივანს, გაურბოდა პუტას და ძიკვას საცხოვრისს, (სადაც ახალი თოვლის ჩაკოხტავებამდე ყორანა კამეჩები იცოხნებოდნენ). დიახ! კარგად დაამახსოვრდა ყველაფერი თუთურიას — მოახლე ქალი ფურკამეჩს ჯერ ზაქს მოაგერისინებდა, მერე ცურს მოჰბანდა და როცა მუხლებში მოქცეულ ვედროში რძეს ჩხაპაჩხუპით ჩამოწველიდა, ცუგრუმელასაც უწილადებდა სავსე ტოლჩას.

გაურბოდა თუთურია ქარში მოღუღუნე ოდის კედლებს, ქონგურებს — ბეღურებისა და მოლაღურების კონტურებით; ადრეულ გაზაფხულამდე მერცხლების თვალმოუხუჭველად მომლოდინე ბუდეებს.

გაურბოდა თოვლით დაზურგულ შიფერის სახურავს, (რომელსაც აქა-იქ თქეში ატანდა რა ხანია, მაგრამ აღარავინ ცვლიდა);

გაურბოდა ხბოსტოლა ნაგაზებს, გაურკვეველი მიზეზით დამდურებულ ბებია-ბაბუას, ზურგშექცეულ დაიასა და მამას, კუბოსავით დაყუდებულ სასახლეს (სადაც ძილმკრთალ თუთურიას ერთი ღამეც არ გაუთევია), მათ გაკრიალებულ ბინებს დედაქალაქსა თუ რაიონულ ცენტრში, ჩასაცმელ-დასახურავით გამოტენილ გარდერობებს, (როცა შარშანდელი სასკოლო ფორმის შემონაკეცის ბოლომდე ჩამოშვებამაც საქმეს ვერ უშველა და მუხლისთავები თანასოფლელების საჩუმჩუმალოდ უბზინავდა).

რატომღაც ერთბაშად მოაგონდა თითოეული გულსატკენი თუ სასიხარულო წვრილმან-მსხვილმანი. წლების წინ, განა თუთურიას თანდასწრებით არ მოჰხვია ხელი არდაშელმა ხჯანტურს, რასაც აქ ხედავ, სულ შენია, ჩემო მტრედოო, დაუყვავა და უძრავ-მოძრავი ქონება უფროს ქალიშვილს არ მიაკუთვნა უსირცხვილოდ?!

მაშინაც დედის შეჭირვებულმა მკერდმა, მისმა ჩამქრალმა თვალებმა უშველეს თუთურიას, რათა დის ბედნიერებას არ დახარბებოდა.

გაურბოდა მილანდარს, რომლის თმიდან ათი ზამთარი ანათებდა უკეთილშობილესი ფერით.

გაურბოდა მოფილაქანებული ბილიკებით დაწყებულ და სემირამიდის ბაღით დამთავრებულ ეზო-კარს, თან აფორიაქებული ესალმებოდა კავკასიონის მწვერვალებიდან ამოგვირგვინებულ მანათობელს, ხელისგაწვდენაზე მობუხუნე შავ ზღვას თუ გაურკვეველ მო-

მავალში მომლოდინე წუთებს და ნაპირებს.

თავსხმას მიყურადღებული თუთურიას ხსოვნიდან აღსდგა ბკეგადაკრული, ჩრია და პეშვითსახაპელა დღეები — თითქოს განთიადი ლივლივებსო ენგურში, ისე შვენოდა საქორწილო კაბის შუქი მილანდარს. ის ხატი ვერაფერმა ამონისკარტა. უბედურების წელიწადს იყო: ბავშვები დედის ოხრიალაია* დალალებს ტყუპი სავარცხლით მისხდომოდნენ. მერე ქალი დაბზრიალდა. ჯვრისწერას ვერღირსებული საქორწილო კაბის ჩაგვირისტებული კალთები ქოლგასავით გაიშალა. სპილოსძვლის გამორანდული ფეხები სამუდამოდ ჩაებეჭდა მეხსიერებაში თუთურიას. თეთრი სამოსელი მალე ხანტურმაც მოიწადინა. მილანდარი ჩახუტებულ შვილს ანანავებდა.

მოვესწრებითო, უყვავებდა, ის კი ტირილს უმატებდა და უმატებდა. ასლოკინებული გოგონა გახდილი კაბის მოხელთებამღა დააწყნარა. მილანდარის ჩამომსხვრეული მკლავები აღმაფრენის დასასრულს ეძებდნენ, ქალწულებრივი აღტკინება გამოცლოდა. ცხადში მობრუნებული ქალი პატარებს ეხვეოდა და აკანკალებული ხმით მღეროდა:,, ვაგიცორქო მა, ვამორწონქო მა, იშენი ქიგორლუაფუდა სქანი ჭირი მა!“*

,,მორჩა.

სახუ: იოტისოდენას თუ გატყუებდე, ხვალინდელი დღე არ გამითენდებოდეს! პროფესორებით მოვდივარ, მხნედ იყავიო, დაურეკავს მამაშენისათვის იმ ბერბიჭაპს. ჩემი არ გეგონოს, ხანტურის სიტყვებია.

ნუთუ მართლაც ხრონცი მინისტრისთვის ვუნდივარ?!“

მილანდარის კივილს ქურციკისებური ორი ნახტომით მოუსწრო თუთურიამ. კედელს მიკრუნჩხული დედის სიბრალულმაც ვერ გადააფიქრებინა გადაწყვეტილება ქალიშვილს.

— სულ ეს არის, შემოგევლე! — ამბობდა და თიხის ქოთნებს ყვავილებს უცვლიდა, — ვერ ხედავ, გადარეულა შენი გოგო! რატომ ტირი, თოლიგე?! ორიოდე კვირას რამენაირად გაუძელი უჩემოდ! სად არის შენი მათბობელა ხელები?! — ეუბნებოდა თავჩაქინდრულ დედას ასული და ლამის მუხლები მოკეცვოდა.

მილანდარი აჰყვა შვილის ვედრებას. პირისპირ იდგნენ. გაუბედურებულ მშობელს ორი მტკაველით სჭარბობდა თუთურია.

— შენს სახუსთან, არა?! პატარა მეგონე და რამხელა მყოლიხარ! ვამჩნევ, გეჩქარება, მაგრამ გასაშვებადაც რომ არ მეთმობი?! წელი-

წადში ერთხელ მაინც მომინახულე, აქ იქნება თუ იქ. ხომ მომინახულებ, ხომ?! —მიხვდა თუთურია მილანდარმა საითკენაც გადიგდო ყელი.

ხვევნა-ალერსით ვერგამძღარი დედა მოულოდნელად ხელიდან დაუსხლტა ასულს. თვალანთებული ტანსაცმლის კარადას ეცა. სიჩქარეში იატაკზე ყრიდა ქალიშვილობისდროინდელ კრეპჟორჟეტის, კრებდეშინისა და შიფონის კაბებს, მერე, როგორც იქნა, იპოვა სასურველი. უხმარი ჯუბაჩა მოურბენინა და განიერ მხრებზე მოახურა.

— მშვიდობაში გაცვითე, შვილო! მიხვალ?! — მიაკვნესა მილანდარმა მიმავალს. წაებღაუჭა კიდეც, მაგრამ თუთურიამ მთელი ძალით გაიწია — ცოტა დაყოვნებაც და დედაშვილობის მაგნიტურ არეს თავს ველარაფრით დააღწევდა.

— სახუ! სახუ! — სასოწარკვეთითი აღმოხდა თუთურიას.

სატრფოს ფერიცვალებას სარკიდან გაფაციციებით მიჩერებულმა ვაჟმა მკვეთრად დაამუხრუჭა და მგზავრებიც ზოგი რას შეასკდა და ზოგიც — რას.

— გვხოცავ, ბებია?! — თქვა ძუბა ჭანიამ და დაწითლებული შუბლი ხელით მოისრისა.

— რატომ არაფერს იტყვი, სახუ?! ,,ჯანდაბას! მოხდეს რაც მოსახდენია!"

— მაცალეს კი მაგრამ?! წყეული ბორნის ამბავს დაადგა საშველი?

,,ჩემი თუთა!

თუთურია: თავზე დამადგა გაშლილი მაკრატლით ხელში. რაღაცნაირად უელვარებდა თვალები. წამოვიკივლე, შეკრთა და აქვითინდა."

— ბორანმა რა დაგიშავათ, შვილებო?!

— არაფერი, ბებია, მაგრამ საუბარს რომ დაიწყებ, დამთავრება გიჭირს ხოლმე. იცი, სად ვიბავით დღეს მე და თუთურია?! მმაჩის ბიურო თუ გაგიგონია?! ჰოდა, იქ. ყველაფერი გადაწყვეტილია უკვე, ასე რომ, შეგიძლია მოგვილოცო!

— რა უნდა მოგილოცო, სახუ?! ,,ხომ ვამბობდი, რაღაც ამბავია ამ გოგოს თავს-მეთქი?!"

— რა და ჩვენ უკვე... ,,თვითონ წამოიწყო, მე კი არა. ჩემი თუთურია".

— რა-მეთქი, რა? ,,როგორც ჩანს, აცდუნა საწყალი ბავშვი!"

— რა ბებია და შენ და ჭოფიამ რომ მოახერხეთ თავის დროზე, ის.

— გააჩერე მანქანა! გააჩერე-მეთქი! ,,არ ჯობდა ორივე ფეხი მოეკვეთათ ამ ბომბადაცემულ სავადმყოფოში?! გაუძლებს აწი რამე წისას?! როგორ გინდა დაარწმუნოთ, რომ არაფერ შუაში ვარ?! სამაგიერო გადამიხადაო, აიშვებს და ზეზეურად შემჭამს''.

— აგერ, გავაჩერე! კიდევ რას იტყვი გულის გამახარებელს?!

— სამასხროდ სრულებით არ მცალია, სახუ! აქამდე უმწიკვლოდ მიტარებია მანდილი. ექვსი შვილი გამიზრდია ცხვარბარით* , ერთი ტკბილი სიტყვა რომ არ მღირსებია შენი ღმერთგამწყრალი ბაბუიგან, ისე. მაკმარეთ, რაც მჭირს! გადაიტანს ამ ამბავს გვიტი?! ან მამაშენი არ გებრალება, გოგო? თვეზე მეტია, რაც ცალი ფეხი სამარეში უდგას. არა, მე მაინც ჩემსას ვადგავარ. მიმიყვანეთ შინ, დამაგდეთ ლოგინზე და თქვენი კვაწაწი არ ვნახო მერე! კახათში წადით, ჩემს დასთან. ჰმ! მდადეს და მაყარს ნუ იკითხავთ! თექვსმეტის არ ხარ ჯერ, თექვსმეტის!

— ცამეტის იყო ჯულიეტა, როცა რომეოს მისთხოვდა! —თქვა ბონდომ.

— გიორგი, ნანაგე, ბებიაჩემიცა და დედაჩემიც თოთხმეტ-თხუთმეტი წლისანი ყოფილან, როცა მოიტაცეს, მაგრამ მაშინ სხვა დროს იყო. ქალი ქალს ჰგავდა და კაცი —კაცს. ახლა მობიჭებულია ქვეყანა. ოჯახის ტვირთს ეხუმრები შენ?! ჭკვიანი მეგონე, სახუ და ნამდვილი შტერი ყოფილხარ! საქორწილოდ გვცალია, ძაძებიდან ცხვირი ძლივს გვიჩანს და?! ამ გომბიოს ინფარქტდარტყმული მამა უწევს სახლში, ნანაგე. ესეც არაფერი, უწამლებენ არდაშელ ჰალიძონიას და იქნება არ გასწიროს მამაზეციერმა, მაგრამ მილანდარს რას უშვრებიან, მილანდარს?! ათი წელიწადია თუთურიას გარეშე საჭირო ოთახში ვერ გასულა საცოდავი! დღედაღამ თავზე რომ ევლებოდა, იმიტომაც მოაღწია აქამდე. წარმომიდგენია, რა დღეშიც იქნება უბედური! დგას, ალბათ აივანზე საღამურისამარა და კივის ვარსკვლავების ციდან ჩამოსაწყვეტად. მე შენ გეტყვი და, მერე ცარო მუშუქია მოიცლის მისთვის თუ ის ქალბიჭა ხანტური?! ,,გიჟის ქალიშვილი მაკლდა რძლად'' რამე რომ მოუვიდეს მილანდარს, ვინ გაილანძღება პირველ რიგში, თუ არა ჩვენი პელეტი ოჯახი?! ოდაბადელების ყბაში მტერი ჩავარდნილა, ნანაგე, მტერი! ამისთვის ვიკლავდით თავს?! მიყურე, ხო, მაგრად მიყურე! თუთურიას ნახევარიც არ გეკუთვნის შენ, მარა სქვამ-სქვამი სიტყვეფით დუც მურსიოლუნდი ბაღანას. ქერმარჩინუდით აბა დო მუ გოხვარუდეს?!*

მანქანაში რომ ვნახე „ჟღირტალ მოჭყუდუნი“* რაღა დასამალია და გული კინაღამ გადამიქანდა. დურუ ჰალიძონიას მუქარას ეხუმრებით თქვენ?!

ვინც არდაშელთან მიბედავს, უნახავი ძმის სულს ვფიცავ, ისე გავუხდი საქმეს, საკუთარ ხორცს საკუთარი კბილებით იგლეჯდესო, დაიქანდა და ამის შემდეგ ჩემი უტვინო შვილიშვილის მეტი რომელი ჭკუათმყოფელი მიბედავდა მათსას?! დურუ გადარეულის მოსამდურებელი არაფერი სჭირს ჩემს ოჯახს, არაფერი!

— შენ სხვის ომში ხარ ბრძენი, თორემ შენიანებში ასეთი გულქვა იყავი ყოველთვის და გულქვადვე დარჩი!

— სტუმრის მაინც შერცხვეს! მე ვიყავი, ბიჭო, გულქვა?! შენ მეუბნები ამას, ჩემი ხელებით გამოზრდილი! თავი არ დამაწყვლინო! მაინტერესებს ერთი, ვინ იზარალა ჩემი გულქვაობით, ვინ?!

— დაგავიწყდა ხუთ წელიწადს რომელი დადიოდა ნათესავებში გარე-გარე?!

— გვიტი და წისა?!

— რა, არ უნდა მეთქვა?! ქვა ააგდეთ და თავი შეუშვირეთ, ნირგა ქობალიას შვილს რძლად როგორ შემოვუშვებ ჩემს პელეტ ოჯახშიო. კიდევ კარგი, ბოლოს ჭკუაზე მოხვედით, თორემ ჩვენც ქუჩაში დავიბადებოდით, ალბათ, კახასავით.

ევკალიპტებისა და გორილასმკლავებიანი ნაძვების ქარსაცავ ზოლში მიქროდნენ.

ბონდო ჰალიძონია დროდადრო შეათვალიერებდა ხმააწევით მოკამათე ბებია-შვილიშვილს. ყმაწვილის უცნაურობათა სკივრს კიდევ ერთი სიახლე მიემატა. ჯერ იყო და ოდაბადელ დედაკაცთან შეხვედრა. მერე და ვისთან?! ჟინი ანთარის ძმისშვილის თანამეცხადრესთან! ახლა ამას ზედ სახუ და არდაშელის უმცროსი ასულიც დაერთო. თითქოს წრედი უნდა შეკრულიყო, თითქოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა გაცხადებულიყო ოღროჩოღრო გზაზე ცინცხალი მანქანის ჭანჭყარში. სწორედ ისეთ გუნება-განწყობილებაზე იდგა, როგორც შვიდი იანვრის საშობაო სუფრასთან. ლტოლვილი განუზომელ თრთოლვას შეეპყრო, მაგრამ თავს ძალა დაატანა, ალერსიანდა შეეხო მხარზე სახუს ენაწაგდებით გაკერპებულ დედაბერს. ძუბა ჭანიამ ლმობიერად, სევდანარევი ღიმილით მოხედა გადამრჩენელს, თუმცა ეს არ ნიშნავდა დათმობას.

— განა მე არ მესმის, ნანაგე, თუ რა ჯოჯოხეთია სიყვარული?! განა მე არ მითენებია ღამეები თეთრად?! განა ამ სამიწე თვალებს

ჰკლებია ცრემლი, მაგრამ სახელისთვის ვსულდგმულობთ ყველანი, წმინდა სახელისთვის და ჩემი პელეტი ოჯახის ღირსების შელახვას არავის ვაპატიებ, არავის! გინასხაპური მუ რდუ?!* გართმევდა ვინმე შენს ბანტიანს?!

— იცი, რას გეტყვი?! — თვალები დააბრიალა სახუმ და მანქანა კინაღამ თხრილისკენ გაექცა, — არავისზე ნაკლებად ვუფრთხილდები მე სახელსა და ღირსებას, მაგრამ აგერ, ხვალ-ზეგ ის ბერბიჭა მინისტრი რომ ჩამოვა და თოჯინასავით მიართმევს არდაშელი ჩემს თუთურიას, მაშინ ნახე, როგორ ოხრად დაგრჩეთ ეგ თქვენი პელეტი ოჯახი!

— ენამყრალი ჭიჭე კვეკვეს ნაყრანტალებს გულთან მიიტანს კაცი?! გეუბნება ვინმე, ადექი და ზურგი შეაქციე შენს ბანტიანოსო?! ხომ გითხარი, დამსვით მე სახლში, თქვენ კი ჯვარი გწერიათ, ჩემს დასთან წადით, კახათში-მეთქი?!

— კარდაკარ საწანწალო არაფერი მჭირს მე!

— გაჭირვება მალაპარაკებს, ბებია, გაჭირვება! ბაბუაშენის მწუხარება ჯანდაბას, მაგრამ ამათაც მკვდრებით რომ აევსოთ ოჯახი?! ორმოცამდე ცხრამეტი დღეღა დარჩენილა და ამდენ ხანს წყალში ჩადგებოდა ადამიანი.

— საფლავში ხომ არ ჩავყვები?! მერედა, რომ ამოგიჩემებია, ორმოცი, ორმოციო, ამაღამ ხომ არ ვიხდით ქორწილს?!

საზურგეს მისვენებულ თუთურიას მოულოდნელად ქვითინი წასკდა. მუხლებს ბრჭყალებით ჩაფრენილი თავს მწარედ აქნევდა, თითქოს წინასწარ ეგრძნო, თუ საანთარიაოში როგორ გაიშოტებოდა მდინარესავით სეფა, ძელებზე რაფერ აბრჭყიალდებოდა ფოლგა, ფერადი ბუშტები, დაფნის შიმალები, ბზა და ნეკერჩხალი. გვიტი და წისა რანაირად დაიყოლიებდნენ სათამადოდ ჯურუმია ქობალიას, ანდა შემდგომში დიდი ხნის უნახავ შვილს მიგებებულ მამის ხელებივით რაფერ გაიწელებოდა ლერი მუშუქიას აკორდეონი, რარიგად გამოუბერავდა კლარნეტი ლოყებს კოტე ჭანიას, რანაირად გაიტკაცუნებდა ხელისგული ვარადი მესხიას მოსლიპულ თავზე და მედოლის საგანგებოდ გაქონილი კეფა თუმნიანს როგორ შეირჩენდა.

წარმოსახული ქორწილის მხიარულებიდან და შუქმრავლობიდან გარბოდა აქვითინებული თუთურია. გვირილების გადაპენტილი კუნტა ქობალიას ნასახლარი გვადიას ღელეს გადაებმებოდა თვალსაწიერზე. იხსნებოდა სანთლისფერი კარები. დაუსრულებლად ენაც-

ვლებოდა დარბაზი დარბაზს. იატაკი ფარდაგდებოდა, კედლები ხალიჩდებოდა და ამ ლივლივში საფიცარ ასულს ღალატის ბრალდებით განირიდებდა მილანდარ მუშუქია.

აქედანვე გრძნობდა თუთურია, რომ მის თავისუფლებას რანაირი უმოწყალობით გათელავდა ანთარიების საზრუნავი, ხანტურის ნაჩუქარი ნივთები, მეუღლის ლოგინი. მეტ მოქნილობას შეიძენდა მისი ნეკნები, სხეული. თავდაჭერილობა და ანგარიშიანობა გადასძლევდა. ადრინდელივით ვერ იკუნტრუშებდა თავსხმა წვიმაში, როცა ახალდაკრეფილ გვირილებს ცისკენ ასიროდნენ ის და სახუ და მოთქრიალებდა გვირილების თქეში.

წვიმდა გადაუღებლად. ჭირვეული ამინდი ნერვებს უწიწკნიდა ისედაც აღრენილ სახუს, ძარღვებს უშლიდა ნაფათერაკალ ძუბა ჭანიას; ვინ იცის, ბარის თუ მთის კიდევ რამდენ მობინადრეს აწიწმატებდა, ახელებდა იგი, მხოლოდ ერთადერთს, ჭოფია ანთარიას აზეიმებდა პირმორღვეული ცის თქაშათქუში.

მუხლებმა ნაადრევად უმტყუნეს ჭოფიას, ბორანი იყო მისი მუხლი, მაგრამ ერთიცა და მეორეც ენგურის სიმძლავრეს უკავშირდებოდა, ამიტომაც დაკუტებულიყვნენ უმისოდ. სადერივაციო გვირაბით სხვაგან მიედინებოდა ახლა ენგურის ძირითადი ენერგია და თავდაპირველად კალაპოტში, აჰა, მერამდენე წელიწადია საცოდავად მოიწრიტებოდა ფაბრიკა-ქარხნების დორბლით მოწამლული.

— ეჰეჰეი, ჭოფია, ეჰეჰეი! — არ ეხმიანებოდნენ ძველებურად ნაგვიანები მგზავრები. იჯდა ხოლმე ბორნის მოფამფალებულ ფანჩატურში და სულ ოდინდელი მგლისფერი ენგურის გამოჩენას ნატრობდა. როცა ბინდი წამოეპარებოდა ფიქრებში გართულს, ძუბა ჭანია მოაკითხავდა. ხელკავს გამოსდება, ჯიკავ-ჯიკავითა და მუჯლუგუნებით შინისკენ წააკვანჭალებდა. დილით ჭოფია ისევ ბორანს მიაშურებდა, გაზეთის ნაგლეჯში თუთუნს გაახვევდა. „ბაგის მეცადინეობით ახორხილი რკინა-ბეტონი“ მისი ორმოცწლიანი ამაგის სამარედ ქცეულიყო.

„გავა წლები, ათი, ოცი, ოცდაათი. ჯერ ჭოფია ანთარიას ნაბორნალს იტყვიან, ისევე, როგორც კვეკვე ანთარიას ბორანს ეძახდნენ თავიდან. მერე ჩემს სახელს და სიცოცხლეს დრო-ჟამი თანდათან წაშლის. აბა, რომელ ერთს წამოცდება, ბაგი ანთარიას ხიდით ვიმგზავრეთო?! არავის! ოდაბადეს ხიდით გადავედითო, შეეხმიანება კაცი კაცს“.

ჭოფია ანთარიას ეს საწუხარი აჭუტვინებდა თვალებს დილი-

დანვე.

გაუქმებულ ბორანზე სოფლის ახალგაზრდობა იყრიდა ხოლმე თავს. ყრუ-მუნჯი დებისგან, ელსა და მინაკასაგან არაყს იყიდდნენ, ცხელ ლავაშსა და ყველს გაზეთზე გაშლიდნენ და სასადილოს უქონლები ღრეობას მიეცემოდნენ.

— ბიჭოს, წყალი გამოუშვეს! — ეხუმრებოდნენ ჭიქა არყით აჩუჩუნებულ მებორნეს. ანგლობას უცებ ვერ მიუხვდებოდა ბერიკაცი, წამოიმართებოდა, მოაჯირამდე მიკვანჭალტებოდა, მაგრამ ენგური ძველებურად საბრალოდ მოიღვენთებოდა. გუშინწინდელს აქეთ კი მდინარეს რაღაცნაირი გამოცოცხლება დაეტყო. ჯერ ღრუბლები ამოივსო მღვრიე ნაკადით, მერე მეჩეჩები დაიფარა აქა-იქ. მოგვიანებით ნაპირებამდეც მოდიდდა ზოგან, ახლა ხომ მთლად მხრებში გაშლილიყო.

წვიმა საარყე ქვაბებიდან გადმოშვებულივით თქიშინებდა ბრეზენტის საწვიმარმოსხმულ ჭოფიას ბეჭებზე. ყანყალებდა, ფამფალებდა ბორანი. თუმცა შლამში ღრმად ჩამჯდარს სხეული ვეღარაფრით აეგლიჯა. მოხუცი შეჟანგულ ბოქლომს ამაოდ ეჯაჯგურებოდა. გამწარებულმა ბორნის დამკავებელ ჯაჭვს და ბაგირს ზედიზედ მიაფურთხა.

— ეჰეჰეი, ჭოფია, ეჰეჰეი! — შეწყობილად ახვიხვინდნენ საპარიკმახეროდან ჯეელები და მათ გამოჯავრებას საერთო ხორხოცი მოჰყვა.

ბუქსირზე აიყვანე, ბუქსირზე! — ამასხარავებდნენ ისედაც ძარღვებაშლილს.

,,ბედის დაცინვა თუ გინდა!" გაიფიქრა ბრაზისაგან ბაგეჩაკვნეტილმა მებორნემ. სიმწრის ოფლი ასხამდა ხოფს მიწოლილს. აქეთ კოპებშეკრული თენგიზი და ზურაბი მკლავებზე ებღაუჭებოდნენ, იქით ხიდიდან უპიპინებდა გაცეცხლებული სახუ, უკიჟინებდა გაალმასებული ჭანხე. ჭოფია ანთარიამ საპარიკმახეროდან გამოშლილ ახალუხებს, რა თქმა უნდა, წაუყრუა, მაგრამ შვილიშვილების მოღუშულმა სახეებმა მობოჭა.

,,ხედავ, ესირცხვილებათ ჩემი ამჩატება!" გაუკრთა გონებაში და თავი ჩაჰკიდა ,,ძლივს ვეღირსე ენგურის ადიდებას, ესენი კი ნაპირზე გაყვანას მიპირებენ. გარეშეთა დაცინვას რამენაირად გაუძლებს კაცი, მაგრამ ჩემიანებიც რომ ამიჯანყდნენ?!"

— ახლა, ამ სიბერეში, ხელი რომ დამტყუოთ საჯაროდ, მერე როგორი იქნება თქვენი ბიჭობა?! ჰოდა, დამეხსენით, შემოგევლეთ! — თქვა ჭოფიამ, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფის საშიშროება შვილიშ-

ვილებმა აინუნშიაც არ ჩააგდეს.

— არიქა, ტორი არ მოგიქნიოს ბორანმა, ტორი! — ხორხოცებდნენ ახალგაზრდები ძველებურად.

— ჩემი ჭკუის დარიგებას აჯობებს ოჯახს მოეკიდოთ, ცინგლიანებო, ოჯახს — შემოიშველია გვიტის სიტყვები, —სამარის კართან მისულს, ბოლოს და ბოლოს ჯილაგის გამგრძელებელს მაღირსებთ თუ არა?! — მოსჭრა, როცა შეგონებით ვეღარაფერი გააწყო. მაინც არ მოეშვნენ. მაშინ გაკერპებულმა ბაბუამ ენას სადავეები მიუშვა, — იქნებ გვარის მასახელებელი გჭირთ რამე, ჰო, გვარის მასახელებელი! —კენწლავდა ბიჭებს და საკუთარ უმწეობას აქვესკნელებდა, ვინაიდან მარწუხებივით წაჭერილი თითებისაგან ძვალტყავა მკლავები ვეღარაფრით გაეთავისუფლებინა.

ბურჯების მორყევის მოწადინე ჭოფიამ ალმაცერი მზერა ესროლა ხიდს. შინმოუსვლელთა პარკსაც გახედა, საიდანაც მუშტივით შეკრულმა ანთარიებმა ხელები დაუქნიეს. თავისკენ ეპატიჟებოდნენ ცისფრები და მჩატენი.

ფესვებიანად მოთხრილ ხეებს ნაფოტებივით მოათამაშებდა ენგური. მერეხს წვრილი ღელეები აეფოფრა. გამდნარი თოვლის ნიაღვრები კალაპოტს მოაწყდნენ. კიდევ ათიოდე წუთიც და ზვირთები უკვე ზემოდან გადასდიოდა ბორანს.

,,თქვენ ნურაფერს ნაღვლობთ'', ეჩურჩულებოდა მამისა და ბიძების აჩრდილებს ფერწაული ჭოფია, ,,ეს სულწაწყმედილი ჟინი ანთარი ჩანაცრულა სატანჯოში ზეზეურად, თორემ თქვენთვის ზეცა თაფლით სავსე ბარქაშივითაა მორთმეული''.

შემოგარენი გარგარებდა. სტიქია ქვეყნის დანთქმით იმუქრებოდა. ჟამი წამიწამ წარღვნის დღეს ემსგავსებოდა. მერე ახალგაზრდებმა საპარიკმახეროდან ერთხმად იხუვლეს, როცა მორიგმა ტალღამ ბორნის ისედაც მოფამფალებული ფანჩატური გადაამსხვრია და ნაფოტივით გაიგდო წინ. გაცოფებული ენგური ტოლის გახუნებულ სახურავიან იმ საჩრდილობელს ხანაც ერთ ადგილას აბზრიალებდა, ხან უკიდურესად გადაფერდავდა, ჩაითრევდა მორევში, ისევ ამოსტყორცნიდა საცობივით და თუ აქამდე ჭოფია ანთარიას ცალი ფეხი მაინც ედგა მიწაზე საღად, ახლა ფანჩატურის მოტაცებამ ისიც მოჰკვეთა.

მებორნემ ჰაერს ხელი წაუპოტინა, მაგრამ მის ფიქრებს ზემოდან

ზესკნელი აწვებოდა, ქვემოდან ენგური ებღაუჭებოდა და სანამ მოუსავლეთის ჯურღმულებში დაინთქმებოდა ორიოდე ნაბდისგაშლა ფანჩატური, მის მზერაში ხიდის ჩონჩხი მტკაველ-მტკაველ ამაღლდა, წამწვერვალდა, სადღაც ჭოფიას უარმყოფელი ცისკენ. მაინც იმ შედედებულ სიმრუმეში მოტივტივე საგანს უთვალთვალებდა კისერმოქცეული. თითქოს ყელში დანას უყრიანო, ხავლისმაგვარი ხმა აშკარად ჩაესმოდა მებორნეს. ბოლოს თითქმის გონწართმეულს აქეთიქით იღლიაში ამოუდგნენ შვილიშვილები, სახუს ტალახში ამოსვრილი მანქანისაკენ გააქანეს და ამ სურათის შემხედვარე ჯეელები ისევ ცხენებივით აჭიხვინდნენ.

წვიმდა გადაუღებლად. ჩამოქუფრულმა ცამ მალე გააზიზინა მდინარის კალაპოტი. ანთარიების შუკაში ცხვირშეყოფილ „ჟიგულს“ ენგურის ტოტიდან გადმოვარდნილი ნიაღვარი შემოეფეთა. გზადაგზა მოტაცებული ფიცრებითა და ქვა-ღორღით მათი სამოსახლოსკენ გამოგნებულ ღვარცოფს უკვე მოესწრო მიჯაჭვული ძაღლის თუ საბატეში შეყუჟული ინდაურების დახრჩობა. წელამდე წყალში დატოპავდნენ კახაბერი და მურმანი. მეორე სართულის აივნისაკენ მიარბენინებდნენ აჭყვიტინებულ გოჭებსა და დედაღორებს. კიბის საფეხურებზე აჰყავდათ აზმუვლებული ხბოები და ძროხები. ყროყინებდნენ ზაქები და კამეჩები.

ჭიშკრამდე გაჭირვებით მიგორებული მანქანიდან ბონდომ ხელებში ატატებული გამოიყვანა ძუბა ჭანია. სახუსთვის მკლავები შემოეჭდო კისერზე თუთურიას. თენგიზი და ზურაბი ღრანჭმოქცეულ ჭოფიას მოაპროწიალებდნენ.

— საქმისას დაიკარგები ხოლმე! — უსაყვედურეს ახალმოსულ ნაბოლარას ჭოროფაში გასარხებულმა ძმებმა.

— დითა, დითა! — აქვესკნელებდა „უკანმოუბრუნებელ ენგურს“ წისა ქობალია. უწესრიგოდ დაყრილ ქვეშაგებს, ფარდაგებს, ნოხებს და თეთრეულს თავთავიანთ ადგილს მიუჩენდა.

— ჭურჭელს შეეშვი, ძღაბი! — უწყრებოდა ტანმორჩილ ძმისწულს.

დედამთილისა და თუთურიას შემომატება დიასახლისმა გვიან შენიშნა. ვეღარაფრით მიხვდა წისა, თუ არდაშელის ასული საიდან, რისთვის გაჩნდა მათ ჭერქვეშ, ან ანთარიების ტვირთს რა მოსაზრების შეეჭიდა.

მთელი სამეზობლო მათსას შეყრილიყო. დაცაცხანება ვერაფერს

შველოდა ბავშვების ჟრიამულს. აქ, საიმედო ჭერქვეშ, შეკრებილიყვნენ წყალდიდობით შეშინებული ელა და მინაკა, მათი დისწული ჭიჭე კვეკვე, ნოკო ანთარია ჯალაბითურთ, ჯურუმია ქობალია თავისი გასათხოვარი ასულებით, მარტოხელა დუყლა, სოფლის დალაქი პახვალა ჭანია ბერწ ცოლთან ერთად, თუ სხვანი და სხვანი.

თავაწყვეტილი წყალდიდობით, მერედა დედის მშვიდობიანად გადახდილი საფრთხით აფორიაქებულ გვიტს მესერთან მიტივტივებული ღვინის ცარიელი ბოთლების სიმრავლემ თავი მწარედ გადააქნევინა — ბოლოდროინდელი გასვლების განუხრელ ზრდას უტყუარი საბუთი დაეძებნა.

გვიტ ანთარიამ ერთხანს უყურა ბიჭებს, მათი მონდომება ესიამოვნა. შვილებს მხნეობა მოუწონა, შემდეგ ყელში მოაწვა რაღაც მშრალი, სიტყვის წამრთმევი წყრომა, მაგრამ ამ მეწყერში ვაჟების დატუქსვა არ ივარგებდა.

„ვამბობდი თუ არა, მოუარეთ მაგ ჯებირს, თორემ დაგვაქცევს ენგური?!“ ამ წინადადებას დარბაისლურად ამუხრუჭებდა ცხოვრებისეული მორალით.

— ანთარიები ხართ თქვენ! ჰოდა, ჩვენს ჯილაგს განსაკუთრებით გაჭირვების დროს მოსდგამს სიმამაცე! — დააიმედა გაჯავრების ნაცვლად მემკვიდრეები და სველ თმაზე მიესიყვარულა სახუს.

ძმების ამაგის მისაკუთრება მამაილა შვილს წამითაც არ უფიქრია, არც უფროსებს სწყენიათ ნაბოლარისათვის მიკერძოებული დაუმსახურებელი ალერსი.

ისე ვერ წაისადილებდნენ ძმები ანთარიები, რომ მამას უცოლობა არ წამოეყვედრებინა მათთვის.

— ბარემ გულგახსნილად თქვით, გვარის მასახელებელი რამე თუ გჭირთ, კაცობის უღელი თუ დაგიმჩატდათ?! — მეტადრე მთვრალი მწარობდა ხოლმე. არწივის ნისკარტივით მოკაუჭებულ ცხვირთან შავად მობიბინე წარბებს შეყრიდა. თხელი იყო და საუბრისას მსმენელის ამოჩემება უყვარდა. რანაირი მშიერიც ყოფილიყო, ათიოდე ლუკმას იმყოფინებდა. შემდეგ მოციცქნულ კერძს იდაყვით მისწევდა. უშაქრო, მუქჩაის შეუმზადებდა წისა ქობალია, რომელსაც ზურგი და მკერდი ზამთარ-ზაფხულ სქელი თავშლით ჯვარედინად ჰქონდა შეფუთნილი.

ამასობაში ცოლის ძმისწული, დადუ, მოთითბრული ტაშტით თბილ წყალს შემოიტანდა. სამფეხა ჯორკოთი მიუჯდებოდა ბიძის დაძარღვულ წვივებს, დაბანდა, შეუმშრალებდა, თბილ წინდებს ჩააცმევდა. ხანმოკლე გარინდებაში სახვალიო გეგმებს ააკოკოლავებდა

გვიტ ანთარია. ჭირივით ეჯავრებოდა წუკარატა და ჯანჯალი.

— რინაშ დროს — რინა, ნტინაშ დროს — ნტინა!* — ამ სიბრძნეს ხშირად ესესხებოდა ლადი ჭანიას.

წარაბაკანათა ღობეძრომიალი ახელებდა უმეტესად. ადრე მევახშე, დღეს — ხილის დამამზადებელი პუნქტის გამგე, გაქველმოქმედდა. ქორწილში იყო თუ ქელეხშ, ჯერ შემწეთა სიას წაიკითხავდა. ფულს იმდენს ჩაწერდა, ათეულში მაინც მოხვედრილიყო. როცა რომელიმე ოდაბადელი ყმაწვილი უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებოდა, ან საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვევდნენ, ცხადია, პურობასაც დაესწრებოდა, შემდეგ „ერთი თვის საუზმე-სადილის გროშებს“ სტუდენტსაც აჩუქებდა მალულად და წვევამდელსაც.

— ახალგაზრდული თავქარიანობით არ მოსცდეთ, ასახელეთ მშობლიური სოფელი! — დაარიგებდა. მისი ნათლულების სიმრავლეს იქნებ ესეც განაპირობებდა ნაწილობრივ.

მოკლედ, შვილებს, მათ მეგობრებს, საერთოდ მოზარდ თაობას, დღენიადაგ სიდინჯეს, დროის წუწურაქულ მომჭირნეობას, ხალხის სასარგებლო საქმეების კეთებას ჩააგონებდა სულ.

გვიტ ანთარიას ხელგაშლილობა, თანადგომა და გატანა პირზე ეკერა ყველას.

მართალია, მისმა ბიჭებმა „ცოდნის მწვერვალებს“ უღალატეს, მაგრამ ორ უფროს ვაჟიშვილს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუსწრებლად დაამთავრებინა. ორივეს სამსახურიც სარფიანი გამოუძებნა — კახა ენგურჰესზე ინჟინრად მუშაობდა ბეტონის ქარხანაში. მურმანი ავტოპარკს განაგებდა ოდაბადეში. ზურაბი მამის საქმეს აგრძელებდა — ხილის დამზადებაში ხელის მოთბობის ურთულეს მეთოდებს ეუფლებოდა. თენგიზი სოფელ-სოფელ დაჩხირკედელაობდა. მოსახლეობას ელექტრომრიცხველის უკუღმა დატრიალოებაში წაფავდა. აქვე გაფუჭებულ ტელევიზორებს არემონტებდა. საკუთარი კონსტრუქციის ანტენებს ამონტაჟებდა, რომლითაც ცენტრალურ პროგრამებთან ერთად სომხეთ-აზერბაიჯანისა და თურქეთის გადაცემასაც იხილავდა დაინტერესებული პირი.

სახუ სადაც არის საშუალო სკოლას დაამთავრებდა, მაგრამ აქამდისაც ოჯახის ბურჯად მიაჩნდათ. მამულს უვლიდა. თესავდა, ფარცხავდა, მარგლავდა და ამოროდებდა. ჟინი ანთარის გამოყვანილი ლიმონებისთვის, საადრეო კიტრ-პომიდვრისათვის თუ მიხაკებისთვის სათბური მოაწყო. დაგროვილი ფულით „ჟიგული“ შეიძინა, რომლის სახურავიღა მოჩანდა ახლა ჭიშკარიდან.

— წავედი დასაძინებლად, იქნებ მძახლები დამესიზმროს! — წაიქირქილებდა გვიტი ბაგისა და ბიჭების გასამწარებლად. ხუჭუჭა თავზე მიუფერებდა სახუს. — ხუთივე ამის ფრჩხილადაც არ ღირხართ, — მოსჭრიდა უცებ, — რა გეშველებათ, ეგ რომ არ გყავდეთ?! თქვე ლონდრეებო, თავზე ჭერი დაგექცეოდათ, ჭერი! ცოლს ვინ ოხერტიალი მოგაშავებთ უშრომლებს და იყრით მახათს ერთ ადგილას! — ასე ენამწარობდა, ასე აბიაბრუებდა „უჯიგროებს“ გამუდმებით. დღენიადაგ ქონების ათ ტოლ ნაწილად გაყოფას იქადნებოდა, მაგრამ ფუძეს, როგორც წესი, სახუს უმტკიცებდა.

— აბა, უდარდელების იმედით გვერდებს ხომ არ დავიობებ სიბერეში?! — იმუქრებოდა აქა-იქ, ამიტომაც ტელევიზორს მიჩერებული ძმები ანთარიები გულიანად გადაიხარხარებდნენ, რაც გვიტს მრავლისმეტყველად გააქნევინებდა თავს.

— იცინეთ, იცინეთ და ნახავთ ყველაფერს! ელამ და მინაკამ წყალი რომ შეგიყენათ, რას ფიქრობთ ნეტავი?! — წამოიწყებდა მეათასედ, — თქვენი გაკეთებული საქმე მანახა და მერე მომკლა, სამარეში ჯავრი მაინც არ ჩამოყვებოდა. სახუსთვის რომ მეთხოვა. უკვე დიდი ხნის წინ დაკოპწიავებული იქნებოდა აქაურობა, მაგრამ გაცლით უფროს მუტრუკებს, რისი მაქნისებიცა ხართ. შეხედთ, კაცო, რას შვრებიან მუშუქიები, ჭანიები, მესხიები! მართლები არიან ჭიჭე კვეკვეს დეიდები. ხომ თქვეს, ჯერ არხი გათხარეთ ენგურისკენ და მერე მოვაშორებთ ნაგავს ხიდისთავსო?! ექსკავატორის მოყვანასაც უკადრისობენ თავადიშვილები! თქვენი წყალობითაა სწორედ, კარგი დღე რომ ადგას ჩვენს სახლ-კარს, ვართ საუცხოო პირობებში. თხილნარს ვინ ჩივის, ფეხის დაუსველებლად საპირფარეშომდე ვერ მივსულვართ, რიგიანად ვერ მოგვიიმასქნებია! — დააგვირგვინებდა და გოროზად გადახედავდა „შვილების გაბლაგვების სათავეს“ — ცოლს.

აქ კი ძმები ანთარიები აბუზღუნდებოდნენ, სახუს მომაბეზრებელ განდიდებას კაცი რამენაირად გაუძლებდა, მაგრამ სხვისი შვილების მოჭარბებული შეფასება რომ იცოდა, ეს უწიწკნიდათ სულს.

— ვის ჰყავს უკეთესი შვილები, რომ მოგვდგები და გვთათხავ? — ერთდროულად შეუტევდნენ მამას.

შინაგანად კმაყოფილი გვიტ ანთარია ხელს ჩაიქნევდა და ზედა სართულზე ფლოსტების ტყაპუნით ადიოდა.

ახლაც მამის რჩეული სახუ ოჯახის უფროსის გვერდით იდგა და შთაგონებულები აივნიდან უთვალთვალებდნენ უჩვეულო წყალდიდობით გატრუნულ სოფელს.

— ესეც ჩემი რემონტი! — ჩაილაპარაკა ნივთების უწესრიგობით, დაფაცურებული სახლეულების, ხიზნების სიმრავლით თუ საქონლით სავსე აივნის მოყურადე ჭოფიას ძემ და ბეწვზე გადარჩენილი დედის მოსანახულებლად გაეშურა. მამას ფეხდაფეხ მიჰყვა სახუ. კედელმიკრულმა თუთურიამ რატომღაც დააბნია გვიტი.

„ენგურის მოტაცებულს არ ჰგავს არდაშელის ასული. ფული ზღვასავით შესდის მამამისს, მხოლოდ შესდის, ოდაბადელებსაც ამიტომ შესძულდათ. აქაურს ბევრი უნდა წაართვა და ცოტაც მიუგდო. ეს ცოტა მთასავით დაეყუდება ოდესმე. აქაურს ორჯერ რომ წაუთაქებ, მესამედ მიეფერო უნდა. სხვანაირად ვერ დაწინაურდები. თუ ჭიშკარს სტუმრის ხელი მოაკლდა, თუ თითო-ოროლა თეფშის ზედმეტობით სუფრა არ გაშალე, ვინ გერწმუნება, რომელი?! ამ საქმეში თანამდებობა უძლურია. ცუდად აალაპარაკა ხალხი არდაშელმა. ასეა თუ ისე, კოჩიას და ბონდოს ცოდვა მაინც მის კისერზეა. მერე დურუს ამოჩემებაც წამწარდა, აგერ! კი, დისგან განსხვავებით სულ სხვა თარგზეა გამოჭრილი თუთურია, ჩვენი კერიის კვამლს არ იუცხოვებს, მაგრამ მაინც ჰალიძონიაა, აჩქარება არ ივარგებს!“

— ჭინჭებს გადაჰყევით და სტუმრებიც შემიწუხეთ, არა?! — გაწყრა ცოლისა და დადუ ქობალიას მისამართით, — დამიხოცეთ ხომ შიმშილით სახლში შემთხვევით შემოფრენილი მერცხლები?! რას იფიქრებენ, რა სასახელო ამბავს წაიღებენ ჩვენგან?! — ამ გამოცალკავებით გვიტ ანთარიამ სახუს არჩევანის სანდოობა ერთხელაც გადაამოწმა, თუმცა ნაბოლარა შვილის შეპასუხებამ, მჭახედ დაძახებულმა „მამამ“ და პირველსავე მარცვალზე მოჭარბებულმა მახვილმა მშობელს მემკვიდრის სულიერი მდგომარეობა აშკარად დაუსურათხატა. ჩარევის შემთხვევაში შინიდან გადახვეწას და ცხოვრების ჭაპანის დამოუკიდებელ ზიდვას გულისხმობდა ქარაგმული პასუხი. კაცს ბიჭის წარბშეუხრელობა ეამა. ცალი ხელით „მამასულძაღლი“ ჩაიხუტა, მეორეთი — „ჰალიძონიების მერცხალი“. მეუღლეს საგვარეულო ყანწის მოტანა დაავალა, მის ძმისწულს — „უსაქმურების“ მოხმობა და თადარიგის დაჭერა.

— ჩვენი ახალგაზრდობა გაიხსენე! ახლა ვნახავ შენს ქალობას! — წარბებქვემოდან მიადევნა დაბნეულ ცოლს.

სახუს და თუთურიას საზიარო გვირილების ამბავი რა ხანია ყურში ჩაეწვეთა წისას. სულ რაღაცას მოელოდა, მაგრამ ამწუთას რატომღაც გული შეუღონდა. იქნებ წვეთი აკლდა ამ სავსებას, იქნებ — მეტიც, თუმცა სხეულში გამჯდარი თრთოლვა ვერაფრით დაეჯაბნა.

რამდენადაც გარჯილიყო წისა ქობალია, „ცხვირმოუხოცავ სარძ-ლოს“ ვერც ტან-ფეხს დაუწუნებდა, ველარც — მდგომარეობას თუ ქალწულობის უმანკოებას. ერთადერთი საჩოთირო მძახლები გახლ-დნენ: მილანდარ მუშუქიას სიბეჩავე, არდაშელის უზნეობა, მათ ოჯა-ხებს შორის დღემდე მფეთქავი ფარული შუღლი, (ბადუმ რომ გადა-უსახლა ბიძია კუნტა კონტრრევოლუციონერების მფარველობის სა-ბაბით). მოკლედ, ვინ იცის, თუთურიას ჩასახუტებლად რამდენი რამ ბოჭავდა. არც დახანება ივარგებდა, მით უფრო, როცა გვიტი ბედს სწრაფად შეურიგდა. ან რომც დაეშალა, ყურს ვინ ათხოვებდა დე-დაკაცს, რომელსაც მათ ოჯახში ყველაზე ნაკლები მოეკითხებოდა. შვილსაც მოიმდურებდა და რძალსაც. ანჩხლობითა და ჭირვეულო-ბით დედამთილ-მამამთილის გულებს გაახარებდა მხოლოდ.

წისა ქობალიას დარახტული სინიბებით ჩაუქროლეს თვალწინ ქალ-ვაჟის ბავშვობის წლებმა. თურმე იმ განუყრელობაში თანდათან ცხვებოდა ერთარსად ქცევის სურვილი და ლიტრიანი ყანწით მობ-რუნებული ხმაპარვით აქვითინდა სახუს მკერდში.

ამასობაში მეწყერში ხელგამოღებული ძმები ანთარიებიც შე-მოლაგდნენ. აყირმიზებულ ახალგაზრდებს გაბედნიერებას ულოცავ-და გამხიარულებული მეზობელ-ნათესავი. რომელიღაცა ორლულიან თოფს აქუხებდა აივნიდან. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელებლად ღვინით გალიპლიპებულ ყანწს უწვდიდნენ ჯურუმია ქობალიას, მაგ-რამ ეს უკანასკნელი გაჯგიმული ირიდება შემოჩენილებს.

სახელგანთქმული თამადის ჭირვეულობის მიზეზებში ბონდო ჰა-ლიძონიაც დიდებულად ერკვეოდა, თუმცა მის გამოფიტულ მზე-რას ამწუთას სატანჯოელების გაწამებული სახეები იპყრობდა. ზოგ-ჯერ ანთარიების ფათიფუთსაც მიაყურადებდა, ხან კიდევ ნარდის ოთხკუთხა ჩარჩოში ჩაიკეტებოდა, რომლის შუაგულში ვეფხვისა და მოყმის ორთაბრძოლა ჩაეთითხნა ვიღაც უნიჭო მხატვარს.

მაგიდები მაგიდაზე მიადგეს. ყოველმხრიდან შევიწროვებული მონარდეები კუთხეში მიიჭუჭკნენ.

ჭიჭე კვეკვე თვალებს კუსავდა. მუქწაბლისფერ, დაფანჩულ წარ-ბებს ათამაშებდა. დიდრონ წამწამებს განგებ აფახულებდა მალიმალ. ჩაჟანგულ, გამოხრულ კბილებს ხშირ-ხშირად გამოაჩენდა. ეს ფა-ციფუცი და სურნელი უკვე ნესტოებში უღიტინებდა ჟინი ანთარის უფროს ვაჟს.

როცა ოდაბადელებს კვეკვე ანთარიას ფიზიკური დამცირება სწადდათ, ჭიჭე კვეკვეს ეძახდნენ „ბიძის ყურებით აღჭურვილს“. თუ

ერთსაც და მეორესაც ემასხრებოდა, წიწიკვაკვათი მიმართავდნენ, მაგრამ საკმარისი იყო უკანონოდ გაჩენილის შუბლს ღრუბლების ფთიალა გაჰკარებოდა, რომ მაშინვე ტრონჯიათი მიელაქუცებოდნენ.

დაგვიანებული სადილის სამზადისი ნერწყს აყლაპვინებდა ჭიჭე კვეკვეს, თუმცა იცოდა, მის კუჭს კიდევ საკმაო ხანს უნდა ეწრიალა. სავარძელში მოკალათებული დროდადრო ხელებს რუპორივით მოიშველიებდა და ვახშამს დაუჩქარეთო, გასძახოდა ქალებს.

— რას აპირებენ თქვენები, შიმშილით გვხოცავენ? — ჩააცივდა თამბაქოს კვამლში გახვეულ, ტახტაზე მობღუნკულ ჭოფიას. მერე „ოხერი და სუნსულა“ თენგიზი ამოიჩემა, —კისრულობ, ქვათი წაგებულ ოც ბოთლ შამპანურს?! ჰე, ცხენო, ამოღერღე! მე არ მოგანათვლინე ის ჭორფლიანი?! ხომ არ გექავება ხანდახან?!

ჭიჭე კვეკვეს მიკიბულ-მოკიბული ჭირივით სძულდა.

ჩემს გარდა ყველა შეფარვით საუბრობს, ბაგიც კიო, ტყუილად როდი ტრაბახობდა გამუდმებით.

— გიორგის პროფესია ორმაგად დანაშაულებრივია, ჩემო რძალო! — თქვა მოულოდნელად ძუბა ჭანიას მისამართით,— პირველი იმიტომ, რომ თახსირი ბუნების გამომზიურება არავის გვწადია და ამდენად, უაზროა; მეორე და მთავარი ის გახლავთ, რომ ამისთანა ბიჭის მედიცინით მოცდენა ბარბაროსობად მიმაჩნია. კინორეჟისორი ვიყო, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, ეგრევე წმინდა გიორგის როლში შევაცურებდი. ბედაურს ვერ ვუშოვიდით თუ გრძელტარიან შუბს?! მერედა, ძუბას უნდა ეკუთვნოდეს მხოლოდ ქართული სისხლით მოზელილი ეგ სილამაზე?!

მიმოიხედა. მჭევრმეტყველების შედეგს არკვევდა. ზომაზე გრძელი, ყვითელ ფრჩხილებიანი თითებით ქვებს გადაადგილებდა. როცა სე იაქეთი ფანჯის კარს ჩაკეტავდა, ცერს დააბჯენდა ნარდის შუაგულს და სანამ მოწინააღმდეგე კამათელს კარგად არ აურევდა, „თავლაში აბამდა“. ანდა მეტოქეს მარცხენა ფლანგზე ქვა თუ უკენტდებოდა, მიუალერსებდა, მოვარცხნიდა, ახლა სად წამიხვალ, ტუტულიო*, ეუბნებოდა. ან კიდევ რაჟამს კენჭი ამგვარადვე უშიშვლდებოდა თავად, ნეკა თითებს გადააჭდობდა, ატოკებდა, მოპაექრეს თარსავდა და მართლაც, წარმოქმნილ ხიფათს ისე ოსტატურად დაუძვრებოდა, რომ აღტაცებას ვეღარ მალავდნენ. სანახაობის

კულმინაცია თამაშის დასასრული გახლდათ; როცა ქვების გამოყრაზე მიდგებოდა ჯერი, ოთხ კენჭს წინ წასწევდა, აბა, ჩემო, კამათელო, ახლა უნდა გამათენოო, დაახანგრძლივებდა შელოცვას და საოცრებას საოცრება ემატებოდა.

მოწინააღმდეგენი სიმწრის ოფლში ცურავდნენ, მაგრამ რას გააწყობდნენ, მით უფრო, როცა ბურძგლა, ხეშეში ჭაღარით დაფარულ თავზე იღბლის უჩინარი ხელი ესვენა; როდესაც „ქშშშშშ“ დააყოლებდა და ქვებს თვალის დახამხამებაში გამოყრიდა.

გამარჯვებული ჭიჭე კვეკვე ყასიდად გამოთაყვანებული სახით მიმოიხედავდა, ყოველივეს გვიტის თავმსხვილ ზურაბს დააბრალებდა და ისედაც წამხდარ მოწინააღმდეგეს ფეხქვეშ იატაკს გამოაცლიდა.

— ჩვენ რომ გვმოძღვრავ, მაგის მეათედით დეიდებისთვის გაისარჯე და საქმეც უკეთ წაგივა, — გამოსძახა საძინებელი ოთახიდან ბალიშებზე მისვენებულმა ძუბა ჭანიამ, — თუ მეზობლების სიკეთე გწადია, უჯიათოებს რაიმე შეასმენინე, ხიდისთავისთვის ნაგავი მოაშორებინე, არადა, შეპირებული მაჭანკლობისაგან ხელები დამიბანია!

— ასეა, როცა სათქმელი გამოგელევათ, მაშინვე დეიდებს მიახტებით ხოლმე. გირჩევნია წყნარად იყო მანდ, თორემ ერთს ჩემებურად შევუჩიჩხინებ და მერე ყველაფერი შენს თავს დააბრალე! დამისხი, დადუნა, არაყი, სამსახურისთვის შევემზადო! საწყლები, სწორედ მაგ მილორაციას აბრალებენ მამულის გაოხრებას. ხიდის წყალგამტარი მილიც მიტომ გადაკეტეს. განგრენის შემყრელი ნაგავი თუ ამ წყალდიდობამ არ გაიყოლა, რითი გინდა იქიდან მოაშორებინო! ჩემზე უკეთ იცი, არც კანონი ჭრის მათზე და აღარც — კოდექსი. სიბრძნის კბილზე უგემრიელესო, რძალო, მაგრად გადარჩენილხარ, მაგრამდ! კიდევ კარგი, ის მინა ფეხზე დაგეცა და არა — ენისწვერზე.

ძუბა ჭანიას ელა და მანიკა აქეთ-იქიდან ამოსხდომოდნენ. ხან დისწულს მიაჩერდებოდნენ გაფაციცებით, ხანაც — ავადმყოფს. გაცხარებით უმტკიცებდნენ რაღაცას ერთსაც და მეორესაც. ამასობაში აოხშივარებული ყველიანი კვერები ბარქაშით შემოარბენინა დადუ ქობალიამ. სხვებმა დაჯაჭვული არაყი და თხილი გამოაყოლეს ხელს.

რინა მეოთხე

კვეკვე ანთარია
571428

„ალბათ თავისთანაა დედა. სანამ არ შევხვდები, საჭმელს პირსაც არ დავაკარებ.

კოჩია: ხმა, ჩემო თვალისჩინო?! როგორი და აი, სატანჯოს სამრეკლოს ზარუკელა რომ გამოსცემს ფოლადის დაკარებისას, იმისთანა. სად მიგყავს ჩემი თვალისჩინიო, იკივლა, თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ, შენ ვინ მოგცა, გადამწვარს, მაგისი შნო და მარიფათიო, წიოდა ვარსკვლავების ჩამოსაწყვეტად და კიბეებზე ჩამოფრენილმა კინაღამ ცემენტის სვეტზე. თითქოს სცენარის მიხედვით თამაშობდეს ყოველივე.

ჟინი: ყრუ-მუნჯები არიან, ბუტუტი, ელა და მინაკა. ჩითის ჭყეტელა კაბები აცვიათ დღემისწრება. უამინდობისას იდაყვგამორღვეულ პალტოებს მოისხამენ მხრებზე. ქუსლებდაჭეჭყილ კალოშებში წადგამენ ფეხს. ელა უფრსია, ფაშფაშა, მინაკა — ძვლკანა და ფსორია. ცისფერი თვალები აქვთ და სიყვითლეშეპარული თმა. წვივებზე ჭორფლიანი კანი შემოჭკნობიათ. ისინი ცალ-ცალკე ჯერ არავის უნახავს. ყველგან ერთად დადიან, ჩემი ბიძაშვილის, დუყლა ანთარიას, წისქვილში თუ დედაშენი ცირა შკვითინიას, მაღაზიაში. წავლენ ფეხაწყობით, წაახრჭიალებენ მოყანყალე ურიკას, რომლითაც ხან ფქვილი მოაქვთ, ხანაც — ნავთი. საგანგებოდ გახეხილი სპილენძის ქვაბივით უკრიალებთ ეზო-კარი. ხშირად ძვირფასი დისწული, ჭიჭე კვეკვე, მოენატრებათ და შუკის თავში ამოვლენ ხოლმე. სოფლის ცენტრში მოფუსფუსე ადამიანებს გახედავენ, თან ბუტბუტებენ მათთვის ჩვეული კრუსუნით. ტყუილად არიან აუიას დები?! ტრიფოლიატის გამეჩხერებულ მათ ღობეს მეზობლის ღორი, კამეჩი ან ძროხა თუ გაეხახუნა, ბუჭუჭა-ბუჭუჭას ძახილით გზისპირზე მიხერგილ ქვებს დასწვდებიან და ცოცხალ ღობეს მიგლასუნებულ პირუტყვს დაედევნებიან. როგორც იქნება მათი ნასროლი ყუ-

რისძირში ან ჩანგალა რქაზე არ მიეხათქუნოს ბედდამწვარ საქონელს?! გამოედევნებიან კუნტა ქობალიას ნამოსახლარისკენ თუ შენი შუათანა ჯიმაყონერის, კემეს, ღობემორღვეული მამულისკენ, თან გამვლელებს ხელების ქნევით უხსნიან თავიანთ გასაჭირს, რომ გაატიალეს ამათ, გაუვერანეს ცოცხალი ღობე და თუ არ თანაუგრძნობ, თუ ღიმილი შეგეპარა, ვერავითარი სიკეთე გაგამართლებს მერე მათ თვალში. სადაც უნდა გნახონ, სადაც შეგხვდნენ, ჯიქურ შემოგაშტერდებიან, უნებლიე დამნაშავეს თავს დაგახრევინებენ, ხოლო როცა სულმობრუნებული მგზავრი მუხლების ცახცახით გვერდით ჩაუვლი, მომუშტულ ხელებს ცერებთან შეყრიან, შეატუპებენ და ისე დაატრიალებენ, თითქოს თეთრეულს წურავდნენ ან ნავთის კასრს თავს უცობდნენ. ეს მოძრაობა კარგად არის ცნობილი ოდაბადელებისათვის და დების ენაზე კისრის წაწყვეტის ტოლფასია. ზმუილისმაგვარი ბგერები ამკობენ ამ რიტუალს, მერე მიწაზე დაანარცხებენ წაგლეჯილ, არარსებულ თავს და ზედ შედგებიან, ფეხით გასრესენ. მტვრიან შარაზე აჩქარებულს უკან მოხედვის გეშინია, თითქოს სადაც არის ქვა უნდა მოგხვდეს ზურგში. ასე რომ, ვინც ელას და მინაკს ხელმარდიანობის ამბავში გათვითცნობიერებული, ყოველთვის გამოძებნის დროს მათთვან სასაუბროდ, გნებავთ ცეცხლი ეკიდოს, მაინც შეუყოვნდება, აჭყვება ხელების უცნაურ ნახაზებს ვასაკასავით მონუსხული. მეორე შესანსლა. სანამ დედას არ ვნახავ, პირში ლუკმის ჩამდები არ ვარ. **წეღან ცოცხალი ღობე ვახსენე, ბუტუტი. არ გაინტერესებს, როგორია?! ადამისჟამინდელი ტრიფოლიატა აქა-იქ ამომხმარა. ჭუჭრუტანა-ღრიჭოებში ურითი თავდაჩეჩქვილი აკაციის სარებია ჩასობილი! ზოგან თუთის წკნელით ამოუწნავთ ის ცოცხალი ღობე, ზოგან ალუმინის ტაშტი აუფარებიათ და სხვაგან კიდევ — რკინის საწოლის ჟანგიანი ბადე. ყოველი ხვრელი წკირებით დაუგმანიათ და ფერად-ფერადი ჭინჭებით აუკრავთ ეკლიან ძირებზე, რაც ავი თვალისგან იცავს შემოგარენს. ავი თვალისაგან იცავს იქაურობას აგრეთვე ჯვარზე მოფარფატე ძონძებიც, ყოველ ათ ნაბიჯზე რომ აღმართულა ელასა და მინაკას სამოსახლოში. სექტემბრობით ტრიფოლიატის ყვითელი ნაყოფით ჯიბეებს გამოიტენიან გაკვეთილებიდან დათხოვილი მოსწავლეები და**

მიაბურთავებენ გზადაგზა. ის კი არა, უფრო თამამები ბაღშიაც შეიპარებიან და ხილსაც წაატანენ ხელს. ცოცხალ ღობეს, რომლის კენწეროებს ჯერ კიდევ მაკრატელი არ შეხებია, ხოლო ქვედა ნაწილს პირობითად ეთქმის ცოცხალი, ზამთარ-ზაფხულ წყლით გაზიზინებული ღელე ჩაუდის. იქვე არის შუკის სიღრმეში მოსახლე ანთარიების სამანქანო ხიდიც, რომლის კაცის სიმაღლის წყალგამტარი მილი გადაუკეტიათ ყრუ-მუნჯებს, მოუყრიათ თუ კი რამე ნაგავი მოჰყოლიათ ხელში, აქაოდა, გვტბორავს ზემოდან მოზღვავებული წყალიო და თავსხმების მერე კვირაობით დურდოში ყურყმელაობს ხიდსიქითა მიწები. ოდაბადელებმა გაბედეს ერთხელ ჯებირის მოშლა, მაგრამ დებმა მუგუზლების ტრიალით კინაღამ გადაბუგეს სამეზობლო და ამის შემდეგ რომელი ითავებდა იქიდან კენჭის აღებასაც კი?! ჯერ კიდევ მხნედ ჭრიალებს მათსას გახა ჰალიძონიასელი ჭიშკარი. ტალახში ნათრევი კამეჩის ფერი დაჰკრავს ქონგურებიანს და ტრიფოლიატის კბენია ტოტებით აბურდულს. ის ეკლები ღამღამობით ქურდბაცაცებისაგან იცავს იქაურობას. თითოეული მომტვრეული რტო თუ ნაქარი ხილი სულ მეზობელს ბრალდებათ. ამიტომაც ხელმრუდებს სათითაოდ წააწყვეტენ თავებს მათთვის ჩვეული ღიჯინით და გულმოდგინეთ ჩაფლავენ მიწაში. ისე, სიტყვამ მოიტანა და იშვიათად იპოვით ოდაბადეში ადამიანს, ვინც ერთხელ მაინც არ ჩამარხულიყოს იმ ჭიშკართან, ძუბა ჭანიაა ეს, წისა და ჯურუმია ქობალიები, არდაშელ ჰალიძონია, გვიტ ანთარია თუ ცირა შკვითინია. ბოლოსწინა ორს გაუმაძღრობა ბრალდება.

მტრედი: არ მოეკარო!

ყორანი: ქიმმეხვარით, ქიმმეხვარით!

როდესაც მათზე საუბრობენ, ფართოდ შლიან ხელებს, მთელს ქვეყნიერებას პირში იყრიან, ფუმფულა საგნებს ხატავენ, ლოყებს გამობუშტავენ, თითქოს მომხვეჭელთა სულიერ მდგომარეობას ნაწილ-ნაწილ თხზავენო. მერე პლუპლუს ძახილით მაჯებს ზურგს უკან მარდად ისვრიან. დედაშენს კი ორ მოკაკვულ თითზე შეყენებული ქმრის გაძევებაში ადანაშაულებენ, შესაძლოა მომხიბვლელობაც შურთ მისი. სიარულში გამოაჯავრებენ, როგორც ერთს, ისე — მეორეს. ცირას ელა განასახიერებს, კოჩიას — მინაკა. ცერებზე წი-

ნარნარდებიან, თეძოებს მიათამაშენებნ, თანაც ჰაერში მოწ-
ყვეტილ უცხო სხეულებს ყოველ მოხერხებულ ალაგას დი-
დის ამბით იტენიან, რითაც ცხადლივ მიანიშნებენ შკვითინ-
ხეს საეჭვო მიდრეკილებებს. თავზევით გაჩაჩხულ თითებს
შეაპარპაშებენ, ჰუუუუო, ქშინავენ, თითქოს ცირას აბრეშუ-
მის თმის დატყვევებას ლამობენ; ბოლოს თითებს დაძაგრა-
ვენ, რაც მათებურად ბევრს ნიშნავს, მომუშტავენ მარცხე-
ნას, ზედ გაშლილ მარჯვენა ხელისგულს დაარტამენ და
ბეჯითად დაატრიალებენ. მივიდეს და დაეტოლოს რენესანსის
ფერწერა. ვისი წაწყვეტილი თავი არ დამარხულა დების ჭიშ-
კართან — მილანდარ მუშუქიასი, ჭოფია, კემე და ბაგი ანთა-
რიების, გადია მაფასი, ჩემი თუ სხვათა და სხვათა. ვის ფიზი-
კური ნაკლი შეიწირავს, ვის — მომეტებული სილამაზე. ზოგს
სიმდიდრე უმუხთლებს, ზოგს — ხელმოკლეობა, ბევრს შინა-
ბერობა და შინაყუდობა დაღუპავს, მავანს — მრავალშვილი-
ანობა, ათასს უზნეობა ნაცრავს, ორ იმდენს — პატიოსნება,
მოჭრილად რომ ვთქვათ, მთელი აბსტრაქტული აკლდამაა
ელასა და მინაკას მოყანყალე ჭიშკართან. შებინდდება თუ
არა, ეკლიან მავთულით ახლართავენ შემოსასვლელს. ფიც-
რულში ჩაირაზებიან. შეშად შენი შუათანა ჯიმაყონერის ფიჩხს
იმყოფინებენ. ორი საწოლი ეტევა მათ ფიცრულში. ციდა
სარკმლებს მიკოსებია ისინი. შუაგულში, სოხანეზე, ოთხ-
კუთხა მაგიდა დგას, ხოლო ერთკარედთან კიბე აყუდია. იქ,
მაღლა, ჯადოსნურ სხვენზე, ინახება ტკბილისკვერი და ჩა-
მიჩი, ჩირი და ჩურჩხლა, თხილი და კაკალი, თაფლი და ორ-
ნახადი არაყი. ფეთხუმ დიასახლისს, როცა დაქცევაზე მისუ-
ლი ოჯახი დაუპატიჟებელი სტუმრებით აევსება, შუაღამეც
რომ იყოს, ჭიჭე კვეკვეს მოსძებნიან უსათუოდ და დეიდების-
კენ წაიძღოლიებენ. წვალებით შეაღწევენ მათსს. საალერსო
სიტყვებით უხმობენ. სარკმელში ანთებულ ასანთს ატრია-
ლებენ, თითის წვერებზე დგებიან. როდის-როდის რომელიმე
შენიშნავს. მუხლზე წაუჯიტკავებს მეორეს. წამოიმართები-
ან და ათასი კაუჭითა და რაზა-კოჭაკით ჩარაზულ კარს გა-
მოაღებენ. სხვენზე, როგორც წესი, მინაკა აცოცდება. ელა
ჭრაქს მოუშუქებს კიბიდან. დიდხანს ფოთიალებს იქ უმცრო-
სი და. წანწკარებს არაყი. ჩხრიალებს კაკალი და თხილი.
მანდარინს ან ტყლაპს უეჭველად ჩამოუტანენ ჭიჭე კვეკვეს.

მხიარულობენ. რამდენჯერმე რბილში შემოჰკრავენ შენს უფროს ჯიმაყონერს დამგზავრებულ დედაკაცს. ასე ესიყვარულებიან გათხოვილ ქალებს, გეგონებათ, განთქმული ნათესავის ამაღამ მოსალოდნელი სიამოვნების წყაროს ამოწმებენო; მერე ნივრისსუნიან ხელისგულებს თვალებზე ააფარებენ, რომლის ღარებში სიმინდის მარცვალი თუ ვერა, ქინძის კაკალი მაინც ჩაეტევა. ჰაი, ჰაი, განწყდა თქვენი სინსილა, რას თხოვლდებოდით, არ გერჩივნათ ჩვენსავით ყოფილიყავით?! შვილების გაჩენას რომ გადაჰყოლიხართ, გიჯობთ ცოტათი გაისარჯეთ და ბნელში წანწალიც აგშორდებათო, ეუბნებიან ამით. ვერმიხვედრილი ქალი მყისვე ჭიჭე კვეკვეს მიაჩერდება და ოდაბადელი ბრინციცმ ტუჩების ცმაცუნს მოჰყვება. თავს აკანტურებს. მანდილოსანს ათას ცოდვას ამოუქექავს. დეიდები მოჭარბებული ხალისით სხმარტალებენ. მუხლებზე ხელებს ირტყამენ, ხორხოცებენ, იგრიხებიან, გადაფიჩინდებიან. როგორ უნდათ კიდევ რამდენიმე წუთით შეაყოვნონ მათსას ანგელოზებივით შემოფრენილები. დედაკაცს თითებს უტრიალებენ ცხვირწინ, მაგრამ ქალი იბნევა, ფრთხილობს, ეშინია რაიმე უადგილო არ წამოსცდეს, თანაც ვერ გაურკვევია, რითი დააკმაყოფილოს მათი ცნობისწადილი.

რა უნდათ ჩემი ცოდვით სავსეებსო, ჩაეკითხებიან მეგზურს და ჭიჭე კვეკვეც ჩაერთვება. სოფლის ცხელ-ცხელ ამბებს ხელისგულზე გადაუშლის. მაჯებს მიმოისვრის, თვალებს ბრიცავს, ყირაზე გადადის, არაადამიანურად ატკარცალებს დეიდებს. ამასაც არ სჯერდება. ათასნაირი გმირობის სურათს ხლართავს. მოუთხრობს, მგზავრობისას ღობის ძირას მიწვენილ ქალს კაბა რამდენზე აუწია, რამდენი გროში და უზალთუნი აღმოუჩინა. მან გაამდიდრა ელას და მინაკას ენა. ყოველ ნივთს, მოძრაობას თუ მოვლენას, შესატყვისი ჟესტი დაუძებნა. თითოეულ გრძნობას მისეული მადლი წაუცხო: ულვაშზე ხელის მოსმა კაცს გულისხმობს, თმაზე გადაევლება — ქალს, საჩვენებელი თითების შეერთება — ცოლ-ქმრობას, დაშორება და ძირს დაგდება — სიკვდილს. ნეკზე კბენა კაკალია, ყანყრატოზე შეხება — არაყი. საფეთქელზე თითის დატრიალება — ოფოფების სიმრავლე, წელის შექანება — ქალური სისუსტე. მემკვიდრეობით გადმოცემულს თვითონაც წაუმატა რაცხარუცხა და ახლა დეიდების უმე-

ტოქო თარჯიმნად ითვლება. ყრუ-მუნჯებს შებინდებულზე მიაკითხავს ჭიჭე კვეკვე. ფიცრულში მოურიდებლად შეალაჯებს, ბუხარს მიეფიცხება, დეიდები კი თითქოს ზღვის მეწამულ ტალღებს ეთამაშებიანო, ზეზეურად იგრიხებიან. უსაშველოვდება ღამე. გადის დრო და მიქრის ზემორე მამლების ყივილით შეფუცხუნებული ზეცა. დიახ, ერთადერთი, ჭიჭე კვეკვეა ყრუ-მუნჯების მეგობარიცა და ნუგეშისმცემელიც, ღობე-ყორე მძრომელი ჭიჭე კვეკვე. ვის მწუხარებას სახედამანჭვით ამძაფრებს, ვის ბედნიერებას ათიმთიმებს ზეაწეული. მჟავე პრასს აწკლაპუნებს, თან დაუძინებელ მტრებსაც აცნობს სათითაოდ, მაგრამ არავისთან უნდა დასცდეთ ეგ. მთავარია მოფრთხილება, თუ გაამხელენ, ზეციერი შერისხავთ უეჭველად. ღმერთის კი, იცოცხლეთ, შენს ჯიმაყონერზე ნაკლებად როდი ეშინიათ ელას და მინაკას; ამიტომაც, როცა საქონელი ეკარგებათ ხოლმე, სკამებისა და მაგიდების მუხლებზე მაშინვე ფერად-ფერადი ჭინჭები გაინასკვება და იღბალზეც, მეორე თუ მესამე დღეს, როცა იმ პერიოდში გამასპინძლებულ ოჯახს დამწყვდეულ პირუტყვს კარგად გამოაწველინებს, უცილობლად მესოფლია ჭიჭე კვეკვე იპოვის ზღვისპირა ჭალაში თუ სატანჯოს აკლდამების შუაგულში. უცილობლად მგლების ხროვას, დათვის ტორს ან სისხლიან ჩემს კლანჭებს გამოსტაცებს მათ. მოუთხრობს კბილებდაკრეჭილი კეთროვნებით ცოლისდებზე თავდასასხმელად როგორ ვემზადები ცხვირპირმოჭმული სიძე და თუ სადმე ქაღალდის ფული გადანახავთ, აჯობებს მას მიაბარონ. შემნახველ სალაროს მუშაობას უიოლებს. ხანდახან პურის ფქვილის თუ კალოშების საყიდლად უბრუნებს კიდეც ათიოდე თუმანს და ცხადია, დეიდებიც არაფერს იშურებენ ობოლი დისწულისათვის. ვალში არც ის უბედური რჩება. ამას წინათ, აი, იქიდან, იქიდან, საგანგებოდ მათთვის ელექტრონი ჩამოიყვანა, ბუნებრივია, იმ დაზოგილი ფულით, რომელიც შესაძლოა ხვალ-ზეგ მე წავღლიტო და აღგზნებით ხატავს სხვადასხვა დროს ჩემს მიერ სატანჯოში ყელგამოღადრულ ადამიანებს, წამოთქრიალებული სისხლის პეშვით შეხვრეპის სურათს. უთოც უყიდა, სარეცხი მანქანაც. ქალაქელი დასტაქარიც აახლა ერთხელ ლოგინად ჩავარდნილ მინაკას. სასთუმალთან მოჩოჩებული ტაბურეტი წამლებით გაუვსო.

ოდაბადეში კი ბაყაყების ყურისწამღებ ყიყინში ატივტივდება თუ არა დეიდების ზეაღმტაცი ხმიანობა, იქაური დედაკაცები ეშმაკური ღიმილით გადახედავენ ერთმანეთს — აშკარად იგრძნობა, რომ ელასა და მინაკას წარმოდგენაში ვიღაცის სინდის-ნამუსის საძირკველს კიდევ ერთი აგური გამოეცალა. თვალებს იმნაირად წკრუპავს, დატბორილი თხილნარის ბედი აწუხებს სწორედ. თუმცა რას ვერჩი, მორიელის გესლს ხრიოკი უდაბნო არ ქმნის განა?! სხვანაირად გამორიცხულია. ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებასო, დავუშვაით ერთხელ და აწი ნებისმიერი შედეგისთვის უნდა ვიყოთ მზად. **სანაძლეოს ვდებ, რომ მაგასაც დაჰკარგავთ მალე, თუ ნებას მომცემთ, რომ ჩემი გზით გავიყოლიო და გამუდმებით კუდში ვსდიო შინა და გარეთ.** მოესწრება ფრჩხილების გახსნას ყრმა ფაუსტი?! საინტერესოა, როგორია დედაჩემი, რამდენად შეესაბამება წარმოსახული რეალურს?!"

ჭეჭე კვეკვეს ყოვლად გაუმართლებელი სვლა, ნარდის თამაშისთვის თითქმის მიუღებელი სითამამე, ბონდო ჰალიძონიას გამოკლებით თითოეულ მოპაექრეს აღიზიანებდა, მაგრამ რას ემართლებოდი ქუდბედსა და „იღბლის თაიგულს"?! მაშინაც კი, როცა მოქიშპეებს უმცირესი სჭირდებოდათ, როცა დუ იაქე ან იაგანი შველოდათ, უგორდებოდათ და უგორდებოდათ დუ შაში, დუ ბეში. შემდეგ რაღაცნაირად თავდაჯერებული, რაღაცნაირად გამომწვევი და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გამარჯვების რწმენით გაჟღენთილი, ფრინავდა ქაოსურ ალბათობაში. იყო წამი, როცა თამაში კულმინაციურ წერტილს მიაღწევდა, როდესაც ჭიჭე კვეკვეს ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდათ, მაგრამ მათდა საოცრად, ბანკს გაასამმაგებდა, თან ხშიარ წარბებს შეყრიდა წამოწეული ცხვირის ზევით. იმ ერთადერთ სუსტ წერტილს თვალს გაუშტერებდა, ნუსხავდა და ათასი მეხი, ქარტეხილი და წარღვნა სწორედ რომ იმ მოჯადოებულ ბზარს დაატყდებოდა თავზე.

დანავსული ნოკო ანთარია, ჯურუმია ქობალია, პახვალი ჭანია თუ სხვანი, ხელებს გაასავსავებდნენ, ხვნეშოდნენ და ნუგეშდებოდნენ, როგორც მაყურებლებისაგან, ისე — ჭიჭე კვეკვესგანაც. ნარდზე დაგდებულ ხუთმანეთიანს თუ თუმნიანს ისეთნაირად შეეხებოდა, თითქოს ჩვილის გამონაცვალი ჭინჭი ყოფილიყო. კბილებს გააწკიპინებდა, „გზასაცდენილ ფულს" ქსუტუნით ადგილს მიუჩენდა ჯიბეში და საწყის მდგომარეობას სწრაფად აღადგენდა.

— ოდაბადელების ლხინში მოუნათლავი კაცის შემოშვება იქნება, ძუბას შემოვევლე?! — ამბობდა ყველანი კვერით პირგამოტენილი

ჭიჭე კვეკვე, — ისე, სიმართლე რომ ითქვას, რაც ჩვენ სენი და ჯანდაბა-მამაძაღლობა გვჭირს, იმას აუვა შენი დოხტური ვითომ?! იქნებ სულაც ჩავისიძოთ, ააა?! თუმცა არა, ჯერ მოდით, შეერთებული ძალით გავარკვიოთ, ადამიანების ხოცვა-ჟლეტის გარდა კიდევ რა ემარჯვება, კიდევ რითი გამოადგება ცოლოურებს?! აბა, ჯანჯალი და ზურაბისნაირი თავმსხვილები საკუთარიც ყელამდე გვატიალია! — ენადგაკრეფილი მონარდე ხან სტუმრისკენ გააპარებდა თვალს, ხანაც — ძუბა ჭანიასკენ, — რძალო, რძალო, ტვირთის აწევა მეხერხებაო, ტვირთის აწევა, მაგრამ რანაირია ეს ტვირთი, რა სისხო-სიმძიმის, როგორი დანიშნულებისა, რატომღაც არ მიმჟღავნებს. აი, მაგალითად, ბარვა მე არ მეხერხება და თოხნა, წარმოგიდგენიათ, ვერც ხელეჩოს ვხმარობ გედე ჭანიასავით და ვეღარც ზურგს ცოცხისტარის წინააღმდეგ ჭოფია ჯიმადიშვილივით. ნაჯახს თუ ვიქნევ, იმასაც გარკვეული მოსაზრებით. ასე რომ, ძუბას ვენაცვალე, არავინ გიცდუნოს წმინდა გიორგი, ჭეჭე კვეკვეს ოთხი ფიცრის შეკავშირებისათვის ემადლიერებიანო. გულგახსნილად უთხარით ბარემ, ასეთი უქნარა ესოდენად რა ღირსების გამო ვფასობ. მაშ, მაშ, მკვდრების გაპატიოსნებისათვის მომართმევდით სწორედ ყველით გათვითვინებულ კვერებს!

— ენა რომ არ ჰქონდეს, ყვავი წაიღებდა ამ შობელძაღლს! — ჩაილაპარაკა ჭოფია ანთარიამ. „ სადღაც მინახავს ეს ყმაწვილი, მაგრამ სად, სად?!“

— რაც დეიდებს დააკლო, ჭიჭე კვეკვეს ენისთვის მიუკერებია გამჩენს და რატომაც არა?! — გამოექომაგა ცოლი.

— ენით ზურგს იფხანს! — მიაშველა პახვალა ჭანიამ.

— ისეთი ენა აქვს, ათ წყვილ აზიურს ეყოფა ლანჩად! —ახითხითდა ნოკო ანთარია.

— ჭიჭე კვეკვეს ენა ენგურში რომ ჩააგდო, შავ ზღვამდე თევზის ნასახიც არ დარჩება! — დაიჯღანა ჯურუმია ქობალია, რომელიც მესამე ხელს აგებდა ზედიზედ.

— ცამდე მართლები ხართ, ძვირფასებო! მწარე ენის გამოა რომ მელაქუცებით. სატირლად გაქვთ საქმე თუ საცინლად, სულერთია, მუცელზე გახოხიალებთ უკლებლივ ყველას. ქვეყნიერების ავანჩავანი ზღვისპირეთის მავთულებივით ზუზუნებენ ამ ხაპისმაგვარ თავში! აი, რანაირ ღირსებაზე ვეკითხები შენს წმინდა გიოგის, ძუბა! გადავირევი პირდაპირ! რძალო, რძალო, მთელი დღე წყალში დგომა შემიძლიაო, მიმტკიცებს თქვენს მალულად. მთელი დღე და ღამე ზურაბის კუდზე დავარდნილ კამეჩებსაც მოუწევთ წყალში ნებივრობა,

მაგრამ რაში გვარგია, უცებ მაწონი არ მოგვირბენინოს წუწურაქიშვილმა! ისე, კაცმა რომ თქვას, წყალში ყურუყუტიც საჭიროა ხანდახან, განსაკუთრებით, როცა გენია-ცეცხლი გიკიდია, მაგრამ ეგ ჩემი ცოდვით სავსე გადმოსახტომ ადგილს რომ მთხოვს, მაცოდნინა, ნეტავი რა განუზრახავს?! არ ჯობია ქერეჭიან ურჩხულს ებრძოლოს?! რომელი ტრამპლინის უსტაბაში მე ვარ, რომ თავის ჩამოსაგდები აივნები გავუჩალიჩო?!

ბონდოს დაბნეულობით ფრთაშესხმული მონარდე შიგადაშიგ მკაცრს ტონს თმობდა, სიცილისაგან ისედაც მისავათებულ, იატაკზე დაყრილ ბავშვებს, ელასა და მინაკას, გასათხოვარ, ცნობისმოყვარე ასულებს თუ მათ ფაშფაშა დედებს, ქუთუთოების გამალებული ხამხამით, წარბების ანაზდეული აზიდვით, შუბლზე თითის მიბჯენითა და თვალების ამაზრზენი გადმოქაჩვით, გულის შემოყრამდე ატკარცალებდა. იცოდა მოლაყბემ, ვარდნის ნებისმიერი მორფოლოგიური ფორმით ხსენება უწინარესად ვისაც შეაწრიალებდა. ძუბა ჭანიასაკენ აღარც იცქირებოდა, მაგრამ ჭოფიას ცოლის ელეთმელეთს აქედანაც მშვენივრად გრძნობდა.

— კმარა, შე კისერწაწყვეტილო! იმ სტუმარს პირი დაცემისაგან გაუსკდა გგონია?! ან ათამაშეთ, ან ლუკმაპურზე მიიპატიჟეთ. სანამ ოსერშე* გახაზირდებოდეს, გულს შეიმაგრებს! —ყრუდ შეეხმიანება საძინებელი ოთახის ღია კარიდან ქმრის ბიძაშვილს აივნიდან გადმოვარდნის აკვიატებით განაწყენებული ძუბა ჭანია.

— ჩემი ამბავი მე ვიცი! — უკმეხად გასძახა თამაშის აზარტში შესულმა ჭიჭე კვეკვემ. „უყურე შენ, რამდენს ჩემულობს ჭუჭყიანი დედაკაცი?! განა სხვებივით დავივიწყე, ჟღვინტიანი ბაშვის გულისათვის თავი რომ მოაკვლევინე საცოდავ პელაგიას?! დამაცადე, დამაცადე!“

— რა ხდება, რა დღეში ხართ?! — იკითხა სამუშაო კაბინეტიდან გამოსულმა ბაგი ანთარიამ.

— იშოვა საკბილო, მონათვლას უპირებს ბებიაშენის მხსნელს. შიმშილობა მიუსაჯა, სამაგიეროდ ჩასიძებასაც ჰპირდება, — აუხსნა შვილიშვილს ჭოფიამ.

— თუ ისეთი მაგრები ხართ, მოდით აქ შენ და შენი წმინდა გიორგი და ნახეთ, წამში როგორ გაგიხადოთ საქმე! სტეპენტია-პენსია მარას გინმოტენსია!* — თქვა ჭიჭე კვეკვემ, როცა ჯურუმია ქობალიასაც გამოუცარიელა ჯიბე, — ნარდი მინიატურული ომია, ძუბა. დედამიწის ზურგზე რაც კი აზარტული თამაშობანია, სულ მას შემოვ-

ლებოდეს. მხოლოდ ნარდი ემორჩილება ინტუს, ინტუიციას. ოინით თუ მოგიგეთ, იცოდეთ, ელას მომირჩენთ; მარსით დაგამარცხებთ და მინაკას დააწყებინებთ ლაპარაკს, მაგრამ კოქსით თუ დაგაფარჩაკეთ, ვასიამოვნოთ რძალს და მილანდარ მუშუქიას მოაშლევინებთ წივილ-კივილს. გამორიცხულია, თუმცა იქნებ მოხდეს სასწაული და დამაფინთიხოთ კიდეც უძლეველი, ამდენი ხალხის წინაშე პატიოსან სიტყვას ვდებ, რომ რაც კი ყვავი ყრანტალებს ოდაბადეში, უკლებლივ თეთრად შევღებო. თქვენით განსაჯეთ, სად ყრუ-მუნჯის ენის ამოდგმევინებაა ეს თუ ჭკუიდან გადაცდენილის მოთვინიერება და სად კიდევ ყვავების ლეგიონის გადაღებვა?! უსიყვარულობა, ძუბას შემოვევლე, შეიძლება ჭიჭე კვეკვესთანას მიეტევოს, მაგრამ გიორგის და ისიც ამდაგვარს?! არაფრისდიდებით, არაფრისდიდებით! ჩვენი ამბავი სულ სხვაა, აი, მაგალითად, პრინცების ფიზიონომიის კვალობაზე არც მე მყავს სატრფო, აღარც ზურაბს და მით უფრო — ბაგის, მაგრამ ქვეყანას როდი ვემძიმებით. იქნებ შენს წმინდა გიორგის სიყვარულის პრობლემა სახუსავით აქვს გადაჭრილი და ამდენს ტყუილ-უბრალოდ მაქაქანებს?! აი, რატომ გჭირდებით, ძუბას შემოვევლე, ჟინი ანთარის ნაბუშარი ჭიჭე კვეკვე!

— ნეტავ თამაში მაინც აცოდინა! საინტერესოა, როდემდე გაუმართლებს?! მიდი, ნანაგე, ნურაფრის გეშინია. თუ გაგიჭირდება, აქედან გიკარნახებ, ოღონდ ჭიქით გააგორებინე, არ ჩაახედო ისე და კიდევ, ჰო, იაქე იცის მაგ კამათელმა, იაქე!

„ჩემებო!“ უნდოდა ამოეგმინა ბონდოს, მაგრამ მღელვარებამ მოთოკა. „თურმე თაფლი და ხიზილალა მზრდიდა დედის ძუძუების ნაცვლად“, უნდოდა მთელი ხმით ეყვირა, თუმცა ფორიაქი აოკებდა. „სატანჯოს აკლდამებში ჩაკეტილი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდი და ქალაქის ცოფმორეულ ყოფიერებაში გავითქვიფე, თუმცა შინაგანად სულ თქვენსკენ მოვიჩქაროდი, გამუდმებით თქვენკენ მეჭირა თვალი. აჰა, მოვსულვარ. დაიები ხართ ყველანი, ვინაიდან ბუნებამ იძუნწა და არ გამოიმეტა ჩემთვის. ძმები ხართ ყველანი, ვინაიდან ის ერთადერთი ტყუპისცალი ჯიმაგე ჟინი ანთარის მართალსიტყვაობამ წამართვა, რათა სამაგიეროდ ერთბაშად სამი ნახევარძმა შესძენოდა.

„ჟინი. ბუტუტი, შვილო, სამართლიანობის დესპანი ხარ შენ. სინათლის ხარისხის წელიწადია მოხმაურობ, მოისწრაფვი, მოითხოვ საარსებო დროს და სივრცეს. მერე მიტო-

ზი.Თ ისევ თხუთმეტი წლით გამყინვარება. ბოლოს მეოზი და აჭა, სრულფასოვან ასაკში ხარ უკვე.

დედები ხართ ყველანი, ვინც დედად შემეფერებით, რადგანაც პატარაობიდანვე მშობლის მკერდს მომწყვიტეს. სისხლხორცები ხართ სათითაოდ, აკვნის ჩვილიცა და სამარის კარამდე მისულიც. გავჯერებულვარ თქვენით, თქვენით!“

ამის ამოთქმას ლამობდა, მაგრამ მის წინაშე სატანჯოელის მოქუფრული სახე დაეყუდებოდა და ბონდო ჰალიძონიასაც ანგარიშმიუცემლად გაექცა ხელი კამათლისაკენ.

ჯურუმია ქობალიამ სტუმარს ადგილი დაუთმო.

— მოდი, ჯურუ, აქ, შენი საქმე თამადობაა, — ღიმილით მიეხმატკბილა ცოლისძმას ცარიელი თეფშებით გაწყობილი მაგიდის თავში მოკალათებული გვიტ ანთარია, რომელსაც ძარღვიანი წვივები ტაშტში ჩაეყარა და დადუს გაღეღილი გულისპირისაკენ დროდადრო თვალს მოხერხებულად გააპარებდა ხოლმე.

მრავალი დაჯგუფების მიუხედავად ხიზნების ძირითადი მასა მაინც გვიტის სიახლოვეს შეკრებილიყო.

ბავშვების ჟრიამულს ვერაფერს უხერხებდნენ. სახუ თავზე ადგა მამას. მოხუცები ერთმანეთში მასლაათობედნენ. გოგონები თუთურიას აკოხტავებდნენ. საღამოვდებოდა და გვიტი ერთგვარ კმაყოფილებასაც კი გრძნობდა. ბოლო დროს ამოჩემებული გულის ფრიალის ჯინაზე მოზრდილი ფინჯნით მორთმეულ მუქჩაის ხვრეპდა. სწორედ რომ ბიბლიურ ნოეს ჰგავდა, პირუტყვებითა და ჯალაბით გარემოცულს. მათი სრა-სახლი წარღვნაში შეცურებულ ერთგვარ კიდობანად წარმოედგინა ჭოფიას ძეს, რომელსაც უწინარესად ჯილაგის გადარჩენა ევალებოდა.

წისა ქობალია სამზარეულოში ტრიალებდა. მეზობლის ქალებმა სანთიობოში* კრიალი დააწყებინეს ყველაფერს.

გვიტმა უცნაური ბიძგი იგრძნო შიგნიდან და რაღაც უჩვეულო საქციელის ჩადენა მოუნდა სასტიკად.

— შენ გადამირიე შვილები, — გამჭოლი მზერა მიაპყრო ბაგის, — აუხდენელი ოცნებით უტენი თავებს. უფროს-უმცროსობა ადამიანებს კი არა, ხელის თითებსაც ეტყოდა. ,,ჟინის ნაბიჭვრებთან მათანაბრებს ბედოვლათი! ჰაი, ჰაი, არ ააშენოს ერთბაშად სოფელი!“

გვიტ ანთარია ზოგ რამეში ემხრობოდა კიდეც ბაგის. კერძოდ,

გაზარმაცებულ კოლმეურნეს რომ მტრობდა. ასეთები, მისი მტკიცებით, სამჯერ ნაკლებ მოსავალს მოიწევდნენ თურმე, ვინემ მოიხმარდნენ.

სულ მალე, როცა ოდაბადეში სავარგულები ამოიწურება და გლეხი ჰექტრის მეოთხედ ნაკვეთში ჩაიკეტება, ქვეყანას ზედმეტ ტვირთად დააწვებაო, ხშირად უთქვამს იოსების ძეს. ამიტომაც მოსწონდა ძმისშვილის თაოსნობა ჭაობიანი ზღვისპირეთის ათვისებაში.

ბაგი ანთარიას ვერც ხიდის მშენებლობაში თავდადებას დაუწუნებდა კაცი.

დაბა ჯვართან სადერივაციო გვირაბით ენგურის კალაპოტის შეცვლამ, სოფლელების სჯა-ბაასისა არ იყოს, ბუნებაც გადაასხვაფერა. მდინარის დაშრობამ მარტოკა ჭოფიას ბორანს როდი ავნო.

ჩვენს ცარიელ-ტარიელზე დაგვსვიო, მსჯელობდა მოსახლეობა. კლიმატის ადრინდელი წონასწორობის დარღვევას ენგურის დაკნინებას მიაწერდნენ, მაგრამ ხსენებულ საქმეს გვიტსა თუ ოდაბადელებზე ,,ჩახედული ხალხი'' წამართავდა, ასე რომ, ჭოფიას ავდარზე ავდრის გადაბმას რომ წაიწუწუნებდა ზოგჯერ, სამაგიეროდ ჰესისი მშენებლობა ახარებდა, რომლის ცემენტი და რკინა საკმაოდ წაადგა მათ ოჯახს.

— ბავშვს შრომის სიყვარული აკვნიდანვე უნდა ჩავუნერგოთ. ამას ეძახი გადარევას?! — თქვა ბაგი ანთარიამ, სკამი გამოსწია და დადუს ზურგს უკან დაჯდა.

უბირი ოდაბადელებისაგან განსხვავებით საგანგაშოდ გვიტს არც ეს დიდაქტიკა მიაჩნდა.

ქალებში ზომაზე მეტად თავდაჭერილი ეთქმოდა ბაგის, ვინაიდან ცირა შკვითინიას შემოკისკისებასაც და ბედისმაძიებელი ასულების წამოყირმიზებასაც ერთგაირად გაურბოდა. ასე იყო თუ ისე, აჩახმახებულ და სულ სხვათა საქმეებში მოჩხირკედელავე ძმისწულს თანაუგრძნობდა და გმობდა კიდეც.

გვიტ ანთარია არდაშელთან დამოყვრებასაც ორნაირად აღიქვამდა. ჯერ ერთი, ძმასთან თავის მოჭრამ შეაზიზღა, მაგრამ როცა საკმაოდ მივიწყებულ მევახშეობას, ცირა შკვითინიას ოდასთან დაკავშირებულ განცდებს თუ ათას თვალშეუდგამ ცოდვას ზედმიწევნით აანალიზებდა, ასკვნიდა, რომ ზნეობრივ ასპექტში ბევრი რამ აერთებდა მძახალთან.

,,ვინ უნდა იყოს, აწი მაინც ჩვენიანია. აწეწილი ვითარების წამი-

თაც წაყრუება დამღუპველია. ნაპატიმრალი დურუ ამჯერად მთავრობის კაცს კი არა, თუთურიას მამას მტრობს და ვინცობაა, შურისმაძიებელმა ბიძის ოჯახი მართლაც ააწიოკა, სოფლის თვალში ვინ შერცხვება უწინარესად, თუ არა ჩვენ? მერე და ეს თავქარიანები რითი გინდა დააოკო?!“

მოკლედ, კარზე გვარიანი გასაჭირი მოსდგომოდა, მაგრამ ბუნებისაგან გამოჯეკილს უარესი სიდუხჭირეც ახსოვდა, რომელთან ჭიდილში ყუჰუ არასდროს დასცდენია.

— ღობერი კაკლარით, მარგალ — მარგალით!* — თქვა და გასამშრალებლად კალათაში ჩაუწყო ფეხები დადუ ქობალიას.

,,წყლის მოტანილი წყალმა თუ არ წაგვართვა, დილიდანვე მივაკითხავ არდაშელს. დურუსაც მოვძებნი ზუგდიდში. სად წამივლენ, ორივეს თავიანთი ზომის უღელს დავადგამ!“

დაასკვნა ოჯახის უფროსმა წვიმის თქრიალში, თან შორიდან მიესიყვარულა ფართო აივანზე მოყროყინე ზაქებს და აპეტელებულ ბოჩოლებს.

,,ყოველგვარ მოშვებულობას აქედანვე აღმოვფხვრი. ვაჟიშვილებსაც დავუმოკლებ სადავეს. შემოვიკრებ გედე ჭანიას, ჯანდუ ქობალიას თუ ნაბიჭვარ კემეს. შემოვიშველიებ კახას ბიჭებს და იქაურ ბეტონს. როგორც კი ამ ორმოცს გავისტუმრებ, ავკაფავ ისედაც გამხმარი თხილნარის ორ მწკრივს, გადაბერებულებსაც გავაახლებ და ხალხსაც ავალაპარაკებ: გვიტმა რძლის პატივსაცემად პაპისეული თხილნარიც კი გაიმეტაო. სასეფო ადგილზე შურიან მეზობლებს ნახერხს შევატანინებ. თითო ხარს ვაჟების ნათლიები მომგვრიან. გაჩუმებისთვის მოსაკითხს გავუგზავნი უბნის ინსპექტორს. შევიპირებ მედოლგარმონეებს, ვარდი მესხიას, ლერი მუშუქიას და კოტე ჭანიას. თავს დავდებ და ჯურუმიას რამენაირად ვათამადებ. არ გავუყვან სიჯიუტეს, არა!“

ფიქრობდა და თუ აქამდე თუთურიას რძლობას რაღაცნაირად ყოყმანობდა, ახლა პირიქით, უხაროდა, ვინაიდან ირწმუნა, რომ ანთარიებისა და ჰალიძონიების ხელახალი დამოყვრება მრავალ სიხარულს ჩააგვირისტებდა. ამჩატებული კაცი ელ-ჭექით დაშინებულ, მალიმალ მშარდავ საქონელს ქვეშ-ქვეშ უღიმოდა, თან პატრონს უგინებდა ალერსით.

ბაგისთან სადავო დიახაც ჰქნოდა გვიტ ანთარიას. ძმისწულის ,,საყოველთაო სამართალისაგან“ არც ,,ქვეყნისმყვლეფელ“ ბიძას ადგა კარგი დღე.

გვიტს ვერ შეჰკადრა, მაგრამ ზურაბს ჯერ ხილის დამზადების პრეისკურანტი გამოაკვრევინა; მერე კაბინეტში გამოიძახა, თვალწინ ანონიმური საჩივრები აუფრიალა; ამას წინათ კი, იმუშავებთ სინდისიერად? კეთილი და პატიოსანი! არადა, ყველაფერი თქვენს თავს დაა-ბრალეთო! დაემუქრა მთლად მაგიდაზე თითის რაკუნით.

— რომ ხტუნაობ, რას ხტუნაობ ნეტავი?! — თქვა გვიტ ანთარიამ ხმადაბლა, ისე რომ, ჭოფიას ყურთასმენას არ მისწვდომოდა, — მტერი და მოყვარე ვერ უნდა გაარჩიოთ, ბიჭო?!

არიქა, ობლობა არავინ წამოაყვედროს-მეთქი, ვშიშობდი და შვილებს ვჩაგრავდი. სულ შენ გაქებდი, სულ შენ გათამამებდი. ანთარიების თავკაცად გსახავდი. კახას და მურმანს ას-ას მანეთს თუ ვუტოვებდი ჯიბის ფულად, შენ —ორჯერ მეტს გაძლევდი. იმდროინდელი ვალები, ჯანდაბას, მაწვეს კისერზე, ოღონდ შენ ამ სეზონში ფეხს ნუ დამაჭერ, სატანჯოში გახარჯული ათასები მაინც ამანაზღაურებინე!

— აჰ, მაშ იმისათვის გულუხვობდი, რომ მომავალში ხალხს ათმაგად გაგაყვლეფინებდი, არა?! შემცდარხარ ბიძაჩემო, ძლიერ შემცდარხარ! სულ ხურთჯერ ჩამოხვედი თბილისში და რა გახდა ეს ათასი მანეთი, თან რომ გადამაყოლე! ამასაც არ მაკმარებ ხოლმე, შეთვრები და ჩარიცხვისას შევაშველე ხელიო, გაიძახი ურცხვად. ვითომ რა, შენი ფულებით გავიმარჯვე კონკურსში, გმირის შვილობით თუ მუშაობის ცხრა წლის სტაჟის გამო?! რაც შეეხება სატანჯოს, მგონი, შენ ამოიჩემე, გადახურვას როგორ ვაკადრებ ოჯახსო. მაგხელა ღრეობა-ქელეხს რომ მართავდი, გაიძულებდა ვინმე? აი, სად მარხია ძაღლის თავი თურმე!

— უარესის ღირსი ვარ! მადლობა ღმერთს, შენი სამათხოვრო არაფერი მჭირს! ნუ გეშინია, დამზადების პუნქტის გარეშეც იოლად გავალ ფონს. ფული ჯოჯოხეთს ანათებს, ჭირიმე. არ დაგავიწყდეს, თვალებს რომ გადმოგიქაჩავდა ხოლმე, ის ფულიც ხალხის ნაყველეფარი იყო. შენ რა გეშველება, ასე უშვილძიროდ ამოგდებულს, თორემ მე რაღაცას მოვახერხებ. ან სასაკლაოს უფროსად დავჯდები ზუგდიდში, ან სენაკში წავალ ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორად. დაბერდი კაცი და ნატამალი ჭკუა არ შეგემატა! ახლანდელ ხარჯებსა, არდაშელის ჩათვლით, მე ვკისრულობ შენს ჯინაზე! გავიჭირვებთ ცოტას, მაგრამ ხალხს სასაცილოდ არ ავაგდებინებთ თავს ზოგიერთივით! —ხმააწევით დაამთავრა გვიტმა.

— შენს პირს შაქარი, შვილო! — გამოსძახა დედამ, — შენით გვიდგას სული!

— მურმან, ბუხრის თავზე რომ დევს, ის საერთო რვეული მომი-

ტანე! გოგო, მომაშორე ტაშტი! აღარც შეხვევა მინდა! ჩამაცვი წინდები და მორჩა. ხომ ხედავ, არაფერი შველის წყეულ ეგზემას?!

— ეგზემას?! — იკითხა ბონდო ჰალიძონიამ.

— ჰო. შემჭამა პირდაპირ.

— თევზი თავიდან ლპება, ადამიანი — პირიქით; იტყოდა ხოლმე ცხონებული ლადი ჭანია, — ახიხინდა ჭიჭე კვეკვე.

ყმაწვილი სკამიდან გადმოიწია და შორიდან შეათვალიერა წვივებამდე დაფორაჯებული ფეხები.

— eczema iatrogenis*. ამაღამ ქათმები თუ დაკლეს, უჩემოდ ნუ შეწვავენ. ისეთ წამალს გაგიმზადებთ, ათ დღეში რომ მოგარჩინოთ.

— ზამთრობით კიდევ არა უშავს რა, მაგრამ როგორც კი გამოზაფხულდება, დიდი და პატარა ჩემს ფეხებს დაესევა. მოკლედ, ვიტანჯები.

— ჩათვალეთ, რომ ათ დღეში მორჩენილი ხართ. ისეთი უებარი საშუალებაა, თმაც კი ამოჰყავს მელოტ თავზე.

— შენ ყოფილხარ ჩემი მხსნელი და ეგ არის. მურმან, ბარემ წისასაც დამიძახე! რას ჩირთიფირთობს იქ ამდენს? მოფრატუნდეს ჩქარა!

— რა იყო, გვიტი?! — შემოიხედა ზალში გულშექანებულმა ქალმა.

— ერთი ამ ახალგაზრდას დაუგდე ყური!

— ქათმები ხომ არ დაგიკლავთ შემთხვევით?

— როგორ არა, შვილო, დავკალით, გამოვშიგნეთ, და ბუბუხართან იბრაწება კიდეც. ცოტაც მომითმინეთ, ჭირიმე!

— მაშინ, აი, მომავალში, კარგად ჩასუქებულ დედალს როცა დაკლავთ, საკვერცხეებთან ქონი რომ აქვს, ააცალეთ, უმარილოდ შეინახეთ და დანარჩენი მე ვიცი.

— სად მიდიხარ, ქალო, დაეტიე აქ! ვახშამს ძმისშვილებმა მიგიხედონ! მაგათი გამზითვების ჯერიც დადგება. ხომ იცი, რასაც ვგულისხმობ და მომიტანე ერთიანად!

— ახლავე, გვიტი!

— გადავწყვიტე, რომ ორმოცი ცხრამეტში გადავიხადო. წესით ოცში უწევს, მაგრამ ოცი ორშაბათს ემთხვევა, ამიტომაც ერთი დღით აქეთ გადმოწევა სჯობია. ხომ სწორი ვარ, მამაჩემო?!

— კი, შვილო, კი! — დაასწრო ჭოფიას ძუბა ჭანიამ.

— მაშინ თადარიგის დაჭერაც დროულად გვმართებს. საწესჩვეულებო მომსახურების კანტორიდან ჭურჭელს, ბრეზენტს, ტაბა-

კებსა და მერხებს, აგრეთვე შავ ხიზილალას, ზეთისხილს, ზუთხს, სალათას, მწვანილს, კომბოსტოს დასამწნილებლად, თონის პურს, სამარკო ლიმონათთან, ,,ბორჯომთან'', მანგოს წვენთან და ჩეხურ ლუდთან ერთად, ზურაბ, შენ მოაბამ თავს. აქ ყოველი წვრილმანი გათვალისწინებულია. წისა, მიეცი ბიჭს სამი ათას ექვსასი მანეთი. ფულს ნუ დაიშურებ, ოღონდ ვინმემ უხარისხო არ შემოგასაღაოს, — უთხრა ვაჟიშვილს თავის აუღებლად, სიას სისტემის ნიშანი დაუსვა, დავალების შემსრულებლის სახელი წააწერა, სამაგრით შეწყვილებული ქაღალდები განაცალკევა. პირველი პირი სახუს მიაწოდა, მეორე — დასაქმებულისაკენ მიაჩოჩა.

— აქ რომ პროდუქტია ჩამოწერილი, ორმოცს კი არა, ხუთ ქელეხს გადაიხდის ზედიზედ. იქნებ რაღაც-რაღაცეები შეგვემცირებინა! აი, მაგალითად...

გვიტ ანთარიამ ბაგის გვერდით გაჯგიმულ თენგიზს ელვისებური მზერით ხმა გააკმენდინა, შემდეგ იგივე ინტონაციით განაგრძო:

— მურმან, შენ მომჭირნე ძმას წაიხმარ, ორ ,,იკარუსს'' დაიქირავებ და ხალხს მოემსახურებით. ყოველ შემთხვევისათვის ცხრამეტ-ოცი თებერვლისათვის დაჯავშნეთ საუკეთესო ნომრები ,,ოდიშში'', აგრეთვე ზუგდიდ-თბილისის მატარებლის კუპირებული ვაგონის ბილეთები. ეს ყველაფერი ისე ოსტატურად უნდა მოახერხოთ, რომ არც სტუმარი შეწუხდეს და მით უფრო — მისი ჯიბე. სამგლოვიარო მუსიკა წინასწარ ჩაწერილი სჯობია, თუნდაც ფალიაშვილის ,,დაისიდან''. როდესაც ამ საქმესაც განაღდებულად ჩათვლით, მეგობრებთან ერთად სეფის გამართვასა და ეზო-კარის მოწესრიგებაში მიეხმარებით კახას. გამომართვი ეს ფურცელი. ესეც შენ, ჩემო დამტირებელო შვილო! წისა, შენს გაზლუქებულებს ორი ათასი მანეთი ჩაუთვალე. აქეთ წვრილმანებისათვის და გიორგის სამაღარიჩოდ, ბარემ ახლავე გადადევი ათასი მანეთი. ბუჟღუ იქნება ეს, დადუნა თუ დანარჩენი, სულ ერთია, ჩემი გასამზითვია ყველა, ამიტომაც კეთილი ინებონ და ამ დღეებში ცოტას თუ გაირჯებიან, ქვეყანა არ დაიქცევა. აქედანვე გაფრთხილებთ უფროსს და უმცროსს, რომ საცივს ნიგოზს ნუ დამიკლებთ; დედაჩემს შეეკითხეთ, წყალწყალა არ მანახოთ, მესხიებმა რომ იციან, ისეთი. არც ხაჭაპურს აწყენს ზედმეტი ყველი, და აღარც ბაკლა ლობიოს —კარაქში მოშუშული ხახვი. შენ კი, ჩემო თვალისჩინო, — ალერსიანად ახედა მამამ სახუს, — ეს სეიფის გასაღები ჩაიბარე! ვინ იცის, ხვალ-ზეგ რა მელის, გული არხეინად მექნება.

გვიტ ანთარიამ საკმაოდ სოლიდური თანხა გააზრებულად გაანაწილა. ჩანდა, რომ ბაგის გასაღიზიანებლად არც ახლა გაანძრევინებდა ვინმეს თითს. ამით კრიჭაშეკრულ ძმისწულს ნიშანს უგებდა, რძალსაც საკადრისად მამამთილობდა და რაც მთავარია, ახალშეძენილი მძახალი გამოჰყავდა სავალალო მდგომარეობიდან. სინამდვლეში კი სუყველასაგან ფარულად საქმეებს იკვარახჭინებდა — კარზე მომდგარი ქორწილისათვის საზოგადოების აზრსაც შეამზადებდა და მის ჯიბესაც.

— ასეთები რომ ვართ, იმიტომ გადაგვდის ერბო თავზე, — თქვა ვითარების მოულოდნელი შეტრიალებით გაცეცხლებულმა ბაგი ანთარიამ, — მაგრამ ჩემი მიზანი სულ სხვაა. ტყუილად როდი ვაკვდები ჭურიის ჭაობნარ მიწებს! ცოტაც გვაცალეთ და ყველას დაგიმტკიცებთ, მათ შორის შენც, ბიძაჩემო, რომ გამდიდრება პატიოსანი შრომითაც შეიძლება.

კაპიტალიზმის მამოძრავებელი ფორმულაა: ფული — საქონელი — ფული, სოციალიზმისა: ადამიანი —შრომა— ადამიანი. ვითომ შენიშნე თვისებრივი სხვაობა?! პირველს მოგების გარდა აბსოლიტურად არაფერი აინტერესებს, მეორისთვის კი, ბიძაჩემო, მთავარია ადამიანი, დიახ, ადამიანი, რომელიც არდაშელისა და შენისთანა საქმოსნების ხელში ლამის წელში გაწყდეს. ის უბედურება რომ არა, ცხადია, მეტის გაკეთებას მოვასწრებდით, მაგრამ რაც შევძელით, ისიც არ არის მცირე: ჭიშკრიდან მოყოლებული გზა ამოვამაღლეთ, მოვხრეშეთ; ჭურიის წყლებისკენ კილომეტრნახევრიანი არხი გავთხარეთ. მალე იქ ნამდვილ ნავსადგურს გავმართავთ და მერე ჭორომებიდან პონტონებით გამოვზიდავთ თივას; მოვამრავლებთ კვარაცხელიას ჯიშის ძროხებს, კამეჩებს, ღორებს; მომავალში უფრო დიდი საქმეების დაძვრას ვაპირებთ ადგილიდან.

— მაინც რას მოელი ჭურიისაგან, იხვის ტოლმას თუ ბუს კვერცხებს?!

— უწინარესად იმას, ბიძაჩემო, რომ ხალხს შრომას შევაჩვევ. მერე საკუთარი ოფლით მოწეულის უპირატესობას შევაგნებინებ სათითაოდ. თუ დამცალდა, გადაწყვეტილი მაქვს, იქაური მონაგარით ორი საბავშვო ბაღი ავაშენოთ მაფატუსა და ბუკონას უბნებში. პატარებს უფასო კვებას დავუწესებთ. პირველადი მოხმარების საგნებს, როგორიცაა: ნავთი, ასანთი, საპონი, მარილი, შაქარი, ელექტრონი,

უსასყიდლოდ მივცემთ მოსახლეობას. საშუალო სკოლას გახანგრძლივებულ სწავლებაზე გადავიყვანთ. დაწყებითი კლასებიდანვე ვიზრუნებთ მათი პროფესიული დაოსტატებისათვის. შრომა თითოეულისათვის სასჯელად კი არა, მოთხოვნილებად უნდა გადავაქციოთ. ახალშეუღლებულებს ცხოვრების ნომალურ პირობებს შევუქმნით. ოჯახის შექმნა საზოგადოებისთვის უდიდესი მოვლენაა, დავსძენდი — პოლიტიკური მომენტიც კი. მე მივდივარ ჟინი ანთარის ბიოლოგიური კანონების წინააღმდეგ და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ უსიყვარულოდ შექმნილი შთამომავლობა შეუძლებელია სრულყოფილი იყოს, როგორც ფიზიკურად, ისე — მორალურ-ზნეობრივად. სიყვარულისა და სიძულვილის დროს გამორიცხულია ერთნაირი ჰორმონები8 გამოიყოს. არც სიხარულის ცრემლია, ალბათ, მწუხარების ცრემლის იდენტური. აი, ჩემი ოდაბადელების ამაღლებულად ყოფნის, სამართლიანად ყოფნის, თავისუფლად ყოფნის ერთადერთი გარანტია დროსა და სივრცეში. ეს იდეაში, მაგრამ როგორ გინდა ახლა ყოველივე პრაქტიკულად განახორციელო არდაშელ ჰალიძონიასა და შენს ოდაბადეში, ახლების თანადგომის იმედი რომ არა?!

— ბიჭო, რითი ვერ შეიგნე ამდენ ხანს, რომ დღემდე არსებული ნებისმიერი მოძღვრება მშრომელი კაცის მოსატყუებლად იყო მოგონილი, როგორც ეგერ, ნოკოს კაჯილიას პირში გაჩრილი საწოვარაა. იმ შენმა მარქსმა თქვა, თუ არ ვცდები, გონიერებას ყოფიერება განსაზღვრავსო. სოციალიზმი რომ დაამყარო, ჯერ ეკონომიკური პირობებია საჭიროო, თანაც ისიც დასძინა ხაზგასმით, რომ ეს ყველაფერი ერთ ქვეყანაში, თუნდაც მაღალგანვითარებულში, ყოვლად შეუძლებელიაო. მოხვედით მერე თქვენ, დედაგაღლეტილი პროლეტარები, და რევოლუციური იდეებით სცადეთ მკვახე ვაშლის ხელოვნური დამწიფება. ახლაც ჟეჟავთ და ჟეჟავთ ამ თურაშაულებს, მაგრამ ხომ ხედავთ, არაფერი გამოგდით?! შეიგნეთ ბოლოს და ბოლოს, რომ ადამიანი საკუთარით იწყება. მას არაფერში არგია შენი უფასო ნავთი და საპონი. მან თვითონ, თვითონ უნდა მოიპოვოს ეს სიკეთე. ვის უხვევთ თვალს, უფასო სწავლა-განათლება და ჯანმრთელობის მომსახურება გვაქვსო?! აქეთ ჯამაგირიდანაც გვექვითება და იქით მაინც უნდა აძლიო საჭიროების შემთხვევაში. თქვენ უმჯობესია სრული ხელფასი მოგვცეთ და მერე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ, როდის

ვიმკურნალებთ ან როდის ავიმაღლებთ ცოდნის დონეს. საინტერესოა, რას იტყოდა ყოველივე ამის თაობაზე ჟინი ანთარი?! მას მგონი, ცოტა უკეთ ესმოდა ეს საკითხები!

— შვიდ იანვარს შევხვდი უკანასკნელად. რაღაცნაირად აღელვებული ჩანდა. სულ ბონდო ჰალიძონია ეკერა ენის წვერზე.

საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ადამიანის ყოფნა ფუჭიაო, მიმტკიცებდა. იმ ბიჭს რვაწლედის პროგრამა ჯერ კიდევ შარშანწინ ჰქონდა ჩაბარებული, როგორც რაიკომშიც მითხრეს, ჩინებულად და ამ მაის-ივნისში მეათე კლასის გამოცდაზე უპირებდა გაფვანას.

ორი წლის სტაჟის გამიკეთეო, მთხოვა. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად უმზადებდა ნიადაგს, მაგრამ, ეჰ, უბედურმა შემთხვევამ ხაზი გადაუსვა საცოდავის ჩანაფიქრს. როგორ გგონია, ჟინი ანთარი არ თანაუგრძნობდა ვითომ სოციალიზმს?!

— ვინ ამბობს მაგას?!

— მართალია, მას ცხოვრებამ მეტად რთული გამოცდა მოუწყო, მაგრამ გამუდმებით საზოგადოების კეთილდღეობისათვის ზრუნავდა. გაიხსენე ლიმონისა და მანდარინის ყინვაგამძლე ნერგები; გაიხსენე სანაშენე ზაქები, არაფერს ვამბობ იმ მატერიალურ და მორალურ დახმარებაზე, რომელსაც სულმუდამ გვიწევდა ხოლმე. ერთი იყო მისი შეცდომა, დიდზე დიდი, მიუტევებელი: ჭეშმარიტად, შეუძლებელია ხალხისაგან განდგომილი ცხოვრობდეს ადამიანი და რაიმე ფასეულს ეზიაროს. ცალკე, პრაქტიკისაგან მოწყვეტილი თეორიაც ფუჭია და აღარც პრაქტიკას მოშორებული თეორიაა ტატალი. ორივეს სინთეზია საჭირო, ორივეს შედუღაბება, შერწყმა.

— აკი, ჭაჭიამ, ამასხრავებდაო ჩვენს წამოწყებულ საქმეებს?!

— გეკადრება!

დიდი მისია გაკისრია, ჩემო ბაგი, დიდი მისია და რახან ერთხელ წამოიწყე, არ გატყდე აწი, უკან არ დაიხიო, ქვეყნიერებაც რომ აგიჯანყდეს, შენს გულისძახილს მიჰყვი! მთავარია სინდისის წინაშე იყო მართალიო, მეუბნებოდა და მხარზე მითათუნებდა ხელს.

— დღისით, მზისით, იმ ხვავრიელ თოვაში რას უნდა გაეჩინა ცეცხლი ნეტავი?!

— როგორც ჩანს, ოდაში ბენზინს ინახავდნენ, ვინაიდან, როცა ხანძარი შევნიშნეთ და მისაშველებლად გამოვეშურეთ, ას მეტრიც არ გაგვერბინა, რომ იქაურობა აფეთქების ხმამ გააყრუა. ნაცარტუტად ქცეული დაგვიხვდა სატანჯო.

— წერილი ვინ აღმოუჩინა კოჩიას?!

— მე, მე! — შესძახა ჭიჭე კვეკვემ, — გულისჯიბეში ვუპოვნე ოთხად გაკეცილი.

— მეგონა, ყველაფერი დაწვრილებით იცოდი. ვიდრე სატანჯომდე მივაღწევდით, არაქათი გამოგვეცალა. ფიცარნაგთან მოტორიანი და ნიჩბის ნავები ირწეოდნენ.

შინ ყოფილანო, თქვა კოლი ჭანიამ.

ასე მოქნეულად რომ მოვცვივდეთ, ვაითუ ბონდოს წართმევაში ჩამოგვართვან და მარილით დატენილი თოფები სანატრელი გაგვიხდესო, შეყოყმანდა ჭაჭია ქობალია.

რეებს როშავთ, მომყვითო-მეთქი.

არ ვიცი, მითქვამს თუ არა. საშინელი სურათი დაგვიხვდა. დანაცრულიყო ოდა. აქა-იქ ბჟუტავდა ბოლომდე ჩაუმწვარი დირე და თავხე. ზღვაური ზორბა-ზორბა ნაკვერჩხლებს აღვივებდა. მეგონა მიწა ერთბაშად იძრებოდა და შიგ ჩამიტანდა. ცხოვრებაში პირველად არ დამემორჩილა ხმა. თავზარდაცემულები აქეთ ვეცით, იქით, მაგრამ სულიერი არსად ჭაჭანებდა. დავასკვენით, რომ ერთიანად ცეღცხლში ამოიბუგნენ და მაშინ, ბჟოლას მიხედეთ, ბჟოლასო, დაიყვირა ჭიჭე კვეკვემ. სამზადის უკან გამაბრჯღულ თუთაზე დათოვლილი კაცის შიშველი ფეხები ქანაობდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, კოჩია კონწიალებდა იქ. ჩამოვხსენით საწყალი, ვანჯღრიეთ, ვუსრისეთ საფეთქლები, მაგრამ ხელფეხგაფშეკილს რას ვუშველიდით?!

— ზეზეურად დავბერდი და იმისთანა საინტერესო მიცვალებული პირველად ვნახე, — დაიჭყანა ჭიჭე კვიკვე, — დუ იაქეს თამაში არ გამომაპარო, გიორგი! ჩამოხრჩობილი რამდენიც გნებავთ იმდენი გამიპატიოსნებია, ჩვენებურიცა და უცხოც, გაღმელიცა და გამოღმელიც, ყოველნაირი ასაკის, ქალიშვილობაში ფეხშედგმული თუ საწუთრომოლეული, მაგრამ ნოჩოს ბიჭი განუმეორებელი იყო. ჩამოხრჩობილს, როგორც წესი, ყელზე წითლად აჩნდება თოკის ნაკვალევი. კოჩია იყო გამონაკლისი, სიკვდილის შემდეგ დაკიდებულს ჰგავდა.

— მაინც შენსას გაიძახი, — შეუბღვირა ბაგი ანთარიამ,— სიკვდილის შემდეგ დაკიდებული შინ მოიკითხე! იმ ანდერძის მერე ამისთანა მკრეხელობის ყრანტალი იქნება?! გადავწყვიტეთ, კოჩიას დანაბარების შესაფერისად მოვქცეულიყავით და რადგანაც სატანჯოში დამარხვა ითხოვა, მისი სურვილის წინააღმდეგ ხომ არ წავიდოდით?! დაე, ბუმბულად ქცეოდეს იქაური მიწა! ხოლო რაც შეეხება წერილს,

ცხოვრებისაგან დაბოღმილი კაცის ხელიდან გამოსულს უფრო ჰგავდა, ვინემ საღად ნააზრევს. იმ უბედურს სულ ეჩვენებოდა, რომ შვილს ართმევდა ბიძა. დიდი ეჭვიანი ვინმე იყო. ხომ გახსოვს, ცირას ადევნებულებს რა დღე დაგვაყარა? არავის ანდობდა ბონდოს. მეც აქა-იქ დამილანდავს, ისიც ორი წლის წინ. ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ადამიანების ეშინოდა იმ ბიჭს. როგორც ჩანს, იმთავითვე ჩააგონებდნენ გაუტანლობას, წუთისოფლის სიძულვილს. ჟინისთვის ყური რომ გეგდო, საპირისპიროს დაასკვნიდი: თითქოს წმინდანს აცხობდა ბონდო ჰალიძონიას სახით, მაგრამ ვისთვის, რისთვის, აქამდე ვერ ამომიცვნია. მოკლედ, ცირას წამოყვედრებულიდან თუ ბიძისა და შვილის ურთიერთობიდან გამომდინარე, კოჩიას ეჭვიანობის საფუძველი ეტყობოდა მართლაც ჰქონდა, თუმცა იმისი განცხადება, რომ მეცნიერ კაცს, ვისთვისაც მაღალი იდეალები ყველაფერს ნიშნავდა, სხვებზე გამოცდით საკუთარი უკვდავების წამალს ეძებდაო, დასწამო, აშკარა უსინდისობაა, უსინდისობა. წარმოუდგენელია ჟინი ანთარს მსგავსი რამ აზრადაც მოსვლოდა. ამიტომაც ვალდებული ვიყავი, კოჩიას ვარაუდზე დამყარებული არაკებისთვის ყური დამეხშო. შექმნილი სიტუაცია უბედურ შემთხვევად გამომეცხადებინა. ეტყობა შუადღის ძილქუშით შეპყრობილმა ხალხმა მოულოდნელად გაჩენილ ხანძარს თავი ველარაფრით დააღწია, ხოლო ჭყონკაკუტიდან მობრუნებულმა კოჩიამ, როგორც კი სულზე უსაფრთხილესი მემკვიდრე დაღუპულად ჩათვალა, ცილისწამებით გაჭედილი ბარათი დაწერა ჟინი ანთარის მისამართით და სიცოცხლეც მოისწრაფა. დაახლოებით ასეთი გახლდათ სატანჯოზე შექმნილი ვითარების საღი გონებით შეფასებული სურათი და ახლაც, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ამგვარად მოხდა, ამგვარად და მხოლოდ ამგვარად.

— თავმჯდომარე დიდებული გვყვეხარ, ბაგი, მაგრამ ფსიქოლოგიაში ბაბუაშენივით მოიკოჭლებ ცოტას. იმისთანა მღელვარების წუთებში იმსიგრძე უსტარი არაფრისდიდებით გარიწკინდება. ეს ხომ თავდაყირა აყენებს ყოველგვარ თეორიას. ახლა მინათდება გონება. იმხელა წერილის შეთხზვის განწყობილება რომც ჰქონოდა კოჩიას, საიდან მოახერხებდა ყოველივეს, თუ სახლი დანახშირებული დაუხვდა, ჯიბეში კი ფურცელი და კალმისტარი არ ედო?! აგერ, ძუბას დოხტურიც დამემოწმება, თუ იოტისოდენად ვცდებოდე. მერედა, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ფაქტიც მაქვს ხელთ. მაშინაც ვახსენე და ახლაც ვიმეორებ, რომ დღისით, მზისით, რისთვის დასჭირდათ სატანჯოელებს კარ-ფანჯრების საგულდაგულოდ ჩარაზვა? რას

შვრები, გიორგი, ხომ ხედავ, გზა ჩაკეტილი აქვს იმ ქვას. პეგასია?! გაცურება გინდოდა?! ვერ მოგართვეს!

— კი, მაგრამ რის საფუძველზე დაასკვენით, რომ ანდერძი კოჩიას ხელითაა დაწერილი?! — თქვა ბონდომ და ჭიქაში ჩაყრილი კამათლები ააჩხრიალა.

— ეგეც თუ საეჭვოა და...

— კრიმინალისტიკამ არ იცის საეჭვო და სანდო. კრიმინალისტიკა ფაქტებით აზროვნებს. ფაქტი კი ჯიუტია. რატომ არ მოიძიეთ არქივში მისი ხელმოწერილი საბუთები. ნებისმიერი ადამიანი აფექტში სხვანაირად წერს და მშვიდ გუნებაზეც — სხვანაირად. სტილი ქმნის ადამიანს, ასე რომ, იმ ანდერძით ბევრის გარკვევა მოხერხდებოდა.

— შესაძლოა, მაგრამ ჩვენ მაშინ სამაგისო არც თავი გვქრონდა, აღარც — დრო და საშუალება. კინაღამ კატარღებით მოვარდნილი მესაზღვრეების ავტომატების წერა გავხდით.

კამათლები, თითქოს სანარდო წუთისოფელს დასცინიანო, კისკისებდნენ და კისკისებდნენ გასათხოვარი ქალიშვილებივით.

,,არ მაპატია! რაა აწი ჩემი სიცოცხლე?! ჩიტივით გაგვიფრინდება''

შეძრწუნებულ ბონდოს ოცნება ფეხდაფეხ მიედევნა ზენა ქარს, კაცის სიმაღლის ლელქაშებს. მერე გაკურცხლა. შიშველ სხეულს ჟალტამი უბასრავდა. ჩაშამბულ აკლდამებს და აკაციების კორომს თავდაღწეული გადიის დანაცრული ხელებისკენ მიიჩქაროდა. მიფრინავდა მარტოსული კოჩიასაკენ, რომელმაც დიდხანს ანებივრა მამობრივი მზრუნველობით. ილტვოდა ფრთოსან ჭიანჭველად მომნათლავი სატანჯოელისაკენ. კიდევ რამდენიმე ბოგირს გადაირბენს, წაქცეულ მუხას გადაახტება, კიბის საფეხურებს ტერფების დაუკარებლად გადაუქროლებს და როგორც ფიჭა ივსება თაფლით, ისე ააღლიპლიპებს სანატრელების მზერას სიხარულით.

ხმა იდუმალის მიერ მოხელთებული ბონდო ანგარიშმიუცემლად ეთამაშებოდა ნახევარძმას. ორთაბრძოლა გარდატეხის ფაზას უახლოვდებოდა, თანაც სადაც არის ქეიფის საათიც დარეკავდა და ცხადია, აქამდე დაუმარცხებელი ჭიჭე კვეკვე მოწინააღმდეგეს თანდათან ავიწროვებდა, კუთხეში იმწყდევდა. მოთახთახე განწყობილებას შესაფერის ჟესტიკულაციას დაურთავდა, თითქოს დეიდებს რაღაც ღირსშესანიშნავ ამბავს მოუთხრობდა გატაცებით, თუმცა მუნჯური ენა დამსწრე საზოგადოებისათვისაც და ბონდოსთვისაც მეტნაკლებად გაუგებარი იყო, ხოლო რაც შეეხება ელას და მინაკას, ისი-

ნი ძუბა ჭანიას ამოსხდომოდნენ აქეთ-იქით. ასე რომ, ჭიჭე კვეკვეს განსაცვიფრებელი გარდასახვა უქმად იკარგებოდა. მოწინააღმდეგის ეფემერულ გარინდულობას მზერას უხერხულად არიდებდა. თითქოს მეტოქის ფიქრებთან შეხების ეშინოდა, მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, ცნობიერების აბობოქრებული ნაკადი ბონდოს ფესვებიანად მოგლეჯილ ხეებთან ერთად მიაგრიალებდა ოდაბადეს ხიდქვეშ, მაშინ, მისი ნახევარძმა ამ ორთაჭიდილს საღსალამათი დაჰყურებდა ხაბოდან. რაოდენ გულგრილობითაც თამაშობდა ნარდს ბონდო, იმდენი გაათმაგებული დაძაბვით მიაყურადებდა უკვე განვლილი ცხოვრების სურათებს, სიზმრებს, განცდებს თუ აწმოსალოდნელ ორომტრიალს და სრულიად უწყინარი წყვილი კუბიკი, როგორიც კამათლებია, ცირკის არლეკინოს ასოციაციით მეფე ლირამდე ააღწევდა, წარმოსახული ხატი ნათესაურ გრძნობებს აღუძრავდა მეოტს და მაყურებლისაგან მაშინვე გამოცალკევდებოდა ჭიჭე კვეკვეს მოხრილი მხრები, ფერფლისფერი კოსტუმი, რომლის უღვთოდ დამოკლებული სახელოები დაურიდლად ამჟღავნებდნენ ჭუჭყიანი პერანგის გაცრეცილ სამაჯეებს.

— კალიგრაფია ბერძნულია. ჩვენებურად ლამაზად წერას ნიშნავს. „ენამწარობს, მაგრამ იმ სარჩულის ქვეშ უბოროტო, ალალმართალი გული უძგერს“. ხშირად კალიგრაფიის წყალობით ადამიანის განწყობილებასაც განსაზღვრავენ და პიროვნულ ღირსებებსაც. აქ არ არის რაიმე მისტიკური მომენტი, ვთქვათ, როგორც ამას ქირომანტიაᲘ ან ჰოროსკოპი მიმართავს. რიგითმა იურისტმაც ჩინებულად უწყის, რომ ფიცხი ხასიათის ადამიანს თანხმოვნებით აზროვნება ემარჯვება. მისთვის ხმოვნები ჩვეულებრივ ბრმებშია ნაგულისხმევი. სანგვინიკებსაც ქოლერიკივით გაკრული ხელით წერა სჩვევიათ, მაგრამ სამაგიეროდ მელანქოლიკებს და ფლეგმატიკებს წნული ასოები გამოჰყავთ. ისინი ქარგავენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან მოხდენილია მათი ფემინიზაცია*. აი, ანდერძი რომ შეგენახათ ბევრ რამეს მოეფინებოდა ნათელი.

— მერედა, ვინ ამბობს დავუწეთ, გადავყარეთო?! — გაოცება გამოეხატა სახეზე ბაგი ანთარიას, — აგერ არა მაქვს, მაგრამ თქვენი თეორიის სასწორის ცოტა მეეჭვება. სად კალიგრაფია და სად ადამიანის ფსიქიკა. რა ურთიერთკავშირი უნდა ჰქონდეთ?! რთული განსაზღვრულა მარტივით როდესმე?! არიან შარლანტები, რომლებიც ტელეპატიის არსებობასაც ამტკიცებენ, ბერმუდის სამ-

კუთხედის კატასტროფებს მეტაფიზიკურად ხსნიან, მფრინავ თეფშებს ებღაუჭებიან, ჰუმანოიდებთან ეძებენ კონტაქტებს და წარმოიდგინეთ, პოულობენ კიდეც ეგვიპტის პირამიდების თუ სხვათა სახით. აუხირებია ვინმეს, გინდა თუ არა მთელს ოდაბადეში ერთადერთი, დედამიწაზეა სიცოცხლეო?! გალაქტიკათა უსასრულო სისტემებში, სხვადასხვა დონის მრავალზე მრავალი ბიოსამყაროა დასაშვები, მაგრამ მოსაზრება, თითქოს ჩვენი ცივილიზაცია უფრო მაღალგანვითარებულის საცდელი ლაბორატორიაა, ანტიმეცნიერულია და მეტი არაფერი. ნახეთ, აბა, ერთი! იქნებ რაიმე გითხრათ კოჩიას ანდერძმა!

,,ხომ არ მცდიან?! არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. ესეც ჟინი ანთარის მორიგი ოინი ხომ არ არის? ხელზე ხელი მომიჭირა მაშინ. თვალებში ჩამხედა. შემაძრწუნებელი სიცარიელე ვიგრძენი იმ ჩაჟინებაში. ყველაფერი მე მომიძღვნა, მე შემომწირა თურმე!“ ფიქრობდა ბონდო, როცა ორივე მხარეს აჭრელებულ წერილს ართმევდა ბაგი ანთარიას.

მელნის ავტოკალმით იისფრად დათხაპნილში სატანჯოელის ხელწერა პირველივე სტრიქონვიდანვე ამოიცნო ყმაწვილმა.

„გაძაღლებულიყოს თქვენი ყოფნა, ცარო მუშუქიავ და ნოჩო ჰალიძონიავ! ამომწყდარი თქვენი ფესვი და ძირი! უსიყვარულოდ გაჩენილი განა შეიძლება ბედმა გაახაროს?!

მიყვარდა, ვუთოხნიდი, მისი გულისათვის დუყლა ანთარიას წისქვილის დოლაბი თავზე დავიტრიალე. ორსული შევირთე, ჩასაცმელ-დასახური არ მოვაკელი, მაინც მიღალატა, მაინც გამწირა! ჯერ ვისთან და ვისთან, მერე ცხვირპირმოჭმულ ჟინისგან თურმე თავი დაიფეხმძიმა. ვინემ წავართმევდი შვილს, შენიაო, მატყუა, ესეც არ მაკმარა, ძმასთან დავსლაფი დამასხა, წავართვი მემკვიდრე და „სად მიგყავს ჩემი თვალისჩინიო, — მომაკივლა, — თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ, შენ ვინ მოგცა, გადამწვარს, მაგის შნო და მარიფათიო“, მომწამლა. დაუნდობლებო, უსისხლოებო, წარწყმდით! გიხაროდეს, ძმათამკვლელო! რანაირი ტკბილიც იყავი, სიკვდილიც იმნაირი შარბათი გერგო! განა შენმა კინტურმანტურმაზ არ იმსხვერპლა ათეულობით ადამიანის სიცოცხლე?! მაშინაც კი, როცა უნარი არ შეგწევდა და ხელოვნურად აორსულებდი ქალებს?! მერე მათ ნაყოფს

ხან ლანცეტით უკირკიტებდი და ხანაც – ელექტრომიკროსკოპით. იმისთანა ბნელეთის მოციქული იყავი, რომ ახალგაზრდობაში ექვსი არამხუტუ ძმა შეიწირე, სიჭარმაგეში ასობით უცოდველი ადამიანი გაუყენე საიქიოს, სისხლის ხვრეპის მადა ვერც სიბერემ დაგიცხრო. სხვები ჯანდაბას, თავი რომ შემოგწირა იმისთანა მეუღლეც კი არ დაინდე. არ დასჯერდ ზვარაკს, ღვიძლი შვილიც დახანძრე, სწორედ იმნაირად, როგორც ცეცხლის რკალში მომწყვდეული მორიელით ერთობოდი ხოლმე. ხო, დაე, ყველამ იცოდეს, ღვიძლი შვილიც გაიმეტე, სატანავ! ტყუილად იძახდა განა ბრძენკაცი ლადი ჭანია, ჭინჭარისაგან ჭინჭარი აღმოცენდებაო?! კიდევ კარგი, წელიწადზე მეტია სენმა ლოგინს მიაჯაჭვა და შენი ავაზაკური საქმეების გაგრძელება არ დასცალდა! მაინც რას მიაღწიე სულწაწყმედილო, მონავ?! სად არის შენი უკვდავების წამალი, რომელსაც სხვებზე გამოცდით ეძიებდი?! რა სიმაღლე დაიპყარი, რა ნათელს ეზიარე?! ჯოჯოხეთს! ჯოჯოხეთს! ნაშუადღევს თავიდან მომიცილე, კამეჩების დასაპურებლად ჭყონკაკუტში გამგზავნე, რათა ვერაგობაში ხელი არ შეგშლოდა, შენი ავკაცური ნამოქმედარი მე დამაბრალებოდა;

ვიცი, შებინდდებოდა თუ არა, თრიაქით გამოლენჩდებოდი, ბუხრის პირას სავარძელში განებივრებული ლოგინებში მუგუზალს შეაპარებდი მაფას და ბონდოს, რათა სხვისი ტანჯვა-წამების ცქერით უზომოდ დამტკბარიყავი. მწვალებელი ბილწი პატიოსნად წარხოცილიყავი გნებავდა?! შენი ბნელი საქმეები კოჩიასთვის დაგებრალებინა გწადდა?! ვერ მოგართვეს!

ვინც ამ წერილს იპოვის, თვითონვე მიხვდება, როგორიც ვყოფილვარ, თავი რა მოსაზრებით ჩამომიხრჩვია.

ჩემებო, იმედია, არ დამზარდებით და აქვე, სატანჯოში დამასაფლავებთ და თუ ზოგჯერ მომიგონებთ, ბარემ სახელით მომიხსენიეთ! მე ამ სახელს გაჩენის დღიდან ერთგულად ვემსახურე, გვარი ჰალიძონია კი, დაე, უღირსებმა ატარონ, სატანჯველად ესეც ეყოფათ!“

— აღელვებული კაცის ნაწერს გარეგნულად ჰგავს მხოლოდ. დიახ! ამ ანდერძის უკან დიდად განათლებული პიროვნება დგას უსათუოდ, — თქვა ბონდომ და საკუთარმა სიმშვიდემ განაცვიფრა, — ბუნებრივია, საიდან ასკვნითო, დაგებადებათ კითხვა. სრულიად ელემენტარული ჭეშმარიტების გათვალისწინებით. დავითვალოთ, წერილის ავტორის ჩვიდმეტ ადგილს გადაუტანია წინადადება და ყველგან — უშეცდომოდ. ერთგან წყჰარმონიული ჯგუფი არ გაუკვეთია. არსად გამორჩენია სასვენი ნიშანი, ტირეა ეს, წინწკლები თუ წერტილი და მძიმე. მერე მთავარზე მთავარი: წერილში საუბარია ნაშუადღევზე, ბინდისპირზე და არა ათი იანვრის დილაზე.

— გამოდის, რომ ანდერძი ხანძრის გაჩენამდეა დაწერილი. —ბაგი ანთარია უაზროდ მიაშტერდა დაბრუნებულ წერილს.

— ყოველ შემთხვევისათვის, გამორიცხული არ არის. ,,თურმე ყველაფერი წინასწარ ჰქონდა განჭვრეტილი. კი, უსათუოდ. რაბი! **ეჰ, დასრულდა კი, დასრულდა ვითომ?!** დარწმუნებული იყო, რომ აღსარების მერე უეჭველად გავიპარებოდი. საუბარი ისე წარმართა, ჩემი გაქცევისათვის რეალური ნიადაგი შეემზადებინა. ალბათ აინტერესებდა, მაინც რა გზას დავადგებოდი, გონების კარნახს გავყვებოდი თუ გულის ძახილს. ვთქვათ და სატანჯოში დავრჩებოდი, შევეგუებოდი ბედისწერას; ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემში მოვალეობის გრძნობა ნაკლებია, სიცოცხლემისჯილის ეკლიანი გვირგვინისგან ბევრი მაშორებს, ფრთოსანი ჭიანჭველის სტადიაში ვიმყოფები და კიდეც დავიხრუკებოდი ცეცხლში. როგორც ჩანს, ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სწადდა. ძმათამკვლელი!

ჭიჭე კვეკვე: ჩამოხრჩობილს, როგორც წესი,. ყველაზე წითლად აჩნდება თოკის ნაკვალევი. კოჩია იყო გამონაკლისი. სიკვდილის შემდეგ დაკიდებულს ჰგავდა.

ყისმათმა უმუხთლა საწყალს, ან რააბიმ უხიმანდრა რაღაც. მოგვიანებით საკუთარი ვერაგობის მამხილებელი, წინასწარ შეთხზული წერილი გულისჯიბეში ჩაუდო მიცვალებულს, თუთის ხეზე ჩამოჰკიდა, მერე ჩარაზა კარ-ფანჯრები და... რას მეუბნება ყოველივე ამით Self-made man-ი?! რას მიმტკიცებს, რა მიზანი დაუსახავს?! აქ ორი ვარიანტი არსებობს. ან მაფასთან ერთად დაიხანძრებოდა და ამდენად, თავისი მისიის ჭეშმარიტებაში დამარწმუნებდა, სადაც ვიქნებოდი, ოდაბადეში, ზუგდიდსა თუ ცხრა მთის იქით, ყალბი გვარით თუ ნამდვილით, ან კიდევ თვალდაუხამხამებლად დანაცრავდა ოდას და გადიის ცხედარს, თვითონ კი ჩემს ნაბიჯებს დაუკვირდებო-

და, როგორც ეს ისტორიული გამოცდილებით დედუქციის ვირებს სჩვევიათ. შესამოწმებელია ლაბორატორია. მოიცა, მოიცა, მივაგენი მგონია: მან ეს ყველაფერი ჩემი წარსულის წასაშლელად, ბონდო ჰალიძონიას გასანადგურებლად გაითამაშა. დახეთ, რას მეუბნება უსიტყვოდ?! საიდუმლოს მოუფრთხილდი, ჩემო თაფლითა და ხიზილალათი გამოზრდილო, ნუგეშო, თორემ იცოდე, იმისთანა ხათაბალაში გაეხვევი, რომ ნაზარეველის ჯვარცმა სათქმელადაც არ ეღირებაო. უმტკიცე მერე ხალხს, მართლმსაჯულებას, რომ ყოველივე შენ, საღსალამათს არ ჩაგიდენია და ჩამომხრჩვალმა კოჩიამ მოიმოქმედაო. დიდებულია! ვნახოთ ვინ — ვის!“

შექმნილი ვითარების ანალიზმა ბონდო ჰალიძონიას კბილები გაახრჭიალებინა, მაგრამ ჟინი ანთარის წინააღმდეგ შემართულ მუშტს მიმართულება შეუცვალა, გახსნა, კამათლებიანი ჭიქისკენ გააცურა.

ბონდოს ორი კენჭი დიდი ხანია ჭიჭე კვევეს თავლაში დაემწყვდია და ახლა პატრონს თივა-ქერისთვის აგულიანებდა, თან ნიშანდობლივი ცანცარით გამოყრიდა ქვებს.

ყმაწვილი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, მაგრამ ასეთი წუთი რატომღაც იგვიანებდა. ის კი ქირქილებდა და ქირქილებდა. ფონენდოსკოპის მომარჯვებას ურჩევდა. დეიდების განსაკურნავად ეპატიჟებოდა. აჰა, ბეშ დორთით ორი ქვა გაუშიშვლდა მონარდეს, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

თამაში დაიძაბა. მაყურებლები თითის წვერებზე დგებოდნენ. ძუბაც კი წამოჯდა ლოგინში, თუმცა ბონდოს ისევ იაგანი გაუგორდა და იაქეს კარში გახირულ კენჭებს ადგილიდან ძვრაც ვერ უყო.

— დადუნასთან გაშპით რომელიმე, — ეუბნებოდა ჭიჭე კვეკვე იატაკზე დაყრილ ონავრებს ყასიდად. ხატორა თავებზე მარცხენა ხელისგულს უთათუნებდა, ხოლო მარჯვენათი ოსტატურად აცეკვებდა ჭიქის ფსკერზე კამათლებს, გაგორების შესაფერის დროს დარაჯობდა, — ძუბას და მის წმინდა გიორგის ყელზე რომ არ დაადგეთ ამ წუთას მოსასვლელი დუ შაში, რაიმე მისაყოლებელი მოურბეინეთ. — დაიხიხინა და მზაკვრულად ახედა ფაქიზად მოხატულ ჭერს. მერე შაშის, ფანჯისა და დუს კარებზე შერჩენილი ოთხი ქვა ჭიქიანი მუჭის ცერითა და ნეკათითით წინ მისწია. მაჯით მიუალერსა სათითაოდ. მოწინააღმდეგეს ზედ ცხვირთან მიუტანა მორჯულებული კამათლები, გეგონებოდათ, მოსასვლელ დუშაშს აყნოსვინებსო. ბოლოს წამოდგა, ნაბიჯით უკუდგა და ვიღაც უნიჭო მხატვრის შეთითხნილ,

ვეფხვისა და მოყმის ორთაბრძოლის გამოსახულებაზე სიკვდილივით შესრიალდა ორი ექვსიანი.

ენგურის ამნაირი ადიდება ობადადელებს ლადი ჭანიას მონათხრობიდანღა თუ ახსოვდათ. წლების წინ მდინარეს დამბებითა და ჯებირებით რომ უკუაქცევდნენ, დროთა მსვლელობაში ტალღების დაცხრომა-დაშრეტამ, ჭოფია ანთარიას ბორნის დარიყვისა არ იყოს, კუნძულელების სულიც მოადუნა. დევის საწნახელისმაგვარ კალაპოტს მაშინღა მიაკითხავდნენ, როცა რომელიმე ახალმოსახლეს საბალავრე ლოდები და ქვა-ხრეში დასჭირდებოდა. მიუჩოჩდნენ ენგურს.

ჭანიებმა რიყეზე ჭალანგარის სამტეხელო გამართეს, ქობალიებმა — ბეტონის მიკროქარხანა, მესხიებმა — ბლოკის საამქრო. სხვებმა ჩქონიდან ქვა-ღორღი გაკრიფეს და ზოგმა სიმინდის ყანა ააღაღანა და ზოგმაც ლუფისა თუ ნესვ-საზამთროს მოყვანას მიჰყო ხელი, მაგრამ აგერ, ღვარღვალა სტიქია თამამად შემობრდღვინდა სოფელში, შემობრდღვინდა, როგორც მომხდური ბჭეებდახსნილ გოდოლში.

მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ პრესაც იუწყებოდა, რადიოცა და ტელევიზიაც. ადგილობრივმა ხელისუფლებამაც იმთავითვე დაიჭირა თადარიგი. ქვითკირის მკვიდრად ნაშენები თითოეული ორსართულიანი სახლი თავშესაფარ პუნქტად გამოცხადდა და წყალმეტობის შემთხვევაში განისაზღვრა, ვინ ვის შეკედლებოდა, ვის ვისთან ეძებნა უსაფრთხო ნავთსაყუდელი. შეიქმნა წყალდიდობასთან მებრძოლი შტაბი ბაგი ანთარიას საერთო ხელმძღვანელობით. წინასწარ მოიმარაგეს მაშველი რგოლები, მეშახტის ფარნები, მოტორიანი და ნიჩბის ნავები.

ფრთხილებმა და წინდახედულებმა დროულად უშველეს თავს, თუმცა ასეთები ცოტანი იყვნენ. მართლაც, თხუთმეტი-ოცი ოჯახი რა დიდი ბედენაა სამასკომლიანი სოფლისათვის?! მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ენგურმა ჯერ ოდინდელი ორდინარი აღადგინა, მერე მდინარის ტანწყალმა ჭოფიას ბორანი დაფარა და მორყეული ფანჩატური გაიტაცა. მოგვიანებით ქვის სამტეხლომ და ბლოკის საამქრომ მოგჭამათ ჭირი. აქეთ ტოტის კლაკნი აიფოფრა. ბევრს კერია გაუცივა. საკუჭნაო-სამზარეულოში ხელი მოუფათურა. პირუტყვი აუბღავლა, ბაშვები აუტირა. განსაკუთრებით კუნძულის ჩრდილოეთით მცხოვრებ, ქვიშონისა და მაფატუს უბნელებს, რომელთა ეზო-კარი სამხრეთით დასახლებული ბუკონელებისაგან განსხვავე-

ბით ბუნებრივი საცავის უქონელი გახლდათ და ჟამთასვლაში, ვინაიდან ხელოვნური სიმაგრეებიც მოიშალა, თორმეტი კილომეტრის სიგრძისა და ორი კილომეტრის სიგანის ოდაბადე სტიქიონის მძვინვარებას უბრძოლველად მინებდა.

თავშესაფარი თხუთმეტივე პუნქტისკენ ხალხი დედაწულიანად დაიძრა დილიდანვე. დათმეს ჭერი, მუთაქა, ჭინჭი. ნაშუადღევს ჩრდილოეთით ნამდვილი წარღვნა ტრიალებდა, მაგრამ სამხრობისთვის უკვე არც სამხრეთელებს ადგათ კარგი დღე.

ოდა-სახლების იატაკიდან მობუყბუყებდა გალექილი ღვარლაფი. ნიაღვარი ზოგან ღურღურით გადასდიოდა ჭიშკრებს. წვიმამ ისევ იმძლავრა და ენგური ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით აფანთქალდა — როგორც ლადი ჭანიას მონაყოლში მდინარის შტო და მთავარი ნაკადი შეერთდა, შემთლიანდა, თანაც ყველაფერ ამას საღამოს მოახლოება, ელექტრონის გამორთვა, ქარიშხლის ჯირითი თუ წვიმის თქლაშა-თქლუშიც რომ დაერთო, გამაგრებული თხუთმეტივე პუნქტი პანიკამ მოიცვა.

— ხომ არაფერი გიჭირთ?! ნურაფრის გეშინიათ! გამხნევდით! — ეხმიანებოდნენ ერთმანეთს კაცები. სხვებს ანუგეშებდნენ, როცა შეცხადების პირას მისული ქალებისა და ასხავლებული ბავშვების შემყურეთ, სული თავად უკანკალებდათ, მაგრამ როგორც კი ხმა დაირხა: „ეს-ესაა რადიოთი გადმოუციათ, მორჩა, წყალდიდობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწიაო, დაწყნარდნენ. სიგარეტი გააბოლეს. უკვე სარჩო-საბადებლის განიავებას თუ უძრავ-მოძრავი ქონების გაპარტახებას არავინ ჩიოდა, რადგანაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ჩამოშორდა, ვინაიდან მოხუციცა და ჩვილიც სამშვიდობოს იყო.

მალე, როცა საყოველთაო შიშმა საგრძნობლად იკლო, როდესაც ხალხის მუსაიფი უფრო დარდიმანდული შეიქმნა, კემე ანთარიაც მოიკითხეს ცოლითურთ, მაგრამ ვერსად მიაგნეს, ვერც —კოლმეურნეობის კანტორაში, ვერც —ცირა შკვითინიასთან, ვერც — ჯანდუ ქობალიასთან და ტატაჩი მესხიასთან, ვეღარც — სხვებთან; გვიტ ანთარიასთან ხომ ისედაც არ იყვნენ და იზაბელათი შეზარხოშებული დამხმარე რაზმის წევრებიც ატყდნენ. წისა ქობალიას წიაქს ყური არ ათხოვეს. ჩაიცვეს რეზინის გრძელყელიანი ჩექმები, ბრეზენტის კაპიუშონიანი საწვიმრები. ბალონებით მოიმარაგეს საჭირო რაოდენობის ბენზინი. ააბრიალეს მეშახტის ფარნები და მოტორიანი ნავების თუხთუხით იწყეს გასვლა ჭიშკრის წვეროკანებს მიტანებული ნარწყულიდან.

დიდი და პატარა, ძუბა ჭანიასგამოკლებით, აივანზე გამოეფინა.

მეწინავე ნავს ბაგი ანთარია მართავდა, რომელსაც კვალში მისდევდნენ კახა, მურმანი და სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ბონდო. ალვის ხეების ჯერ კიდევ კვირტგამოუყრელ ხეივანს მიუყვებოდნენ მაფატუს მიმართულებით. რამდენიმე წუთიც და ოდაბადეში სრული სიბნელე დაისადგურებდა.

რინა მეხუთე

კემე ანთარია
714285

— აჰა, ხუთი თვე იწურება მას შემდეგ, რაც ოდაბადელებს ყველა ეჭვი გავუქარწყლე, — ეხიხინებოდა ბონდოს ჭიჭე კვეკვე, —დამიჯერა გათვალულა ჯიმეაყონერმა და როცა ჯარგვალაში შეტყუებულ კვატალას ნასწავლისამებრ კაბა შემოაფლითა, გაოცებამ მოკლედშეკრეჭილი თმა აუჯაგრა.

,,თავისუფლება მომანიჭა სამი ადამიანის სიცოცხლის ფასად. რატომ სამი? განა ბონდო ჰალიძონიაც მათ შორის არ არის?!

ჟინი. ბუტუტი, შვილო, კუნტა ქობალიას ნამოსახლარი და გავერანებული თხილნარი მიჯნავს ოდაბადელებისაგან კემეს ეზო-კარს. მის ალთა-ბალთას გაქცეული თვალების ბლაგვი კუთხე ერთბაშად ხედავს მსმენელებსაც, ელას და მინაკას ტრიფოლიატის გაძვალტყავებულ ღობესაც და სამხრეთით წახერხემლებულ ჭიჭე კვეკვეს სასაფლაოსაც. თვეში ერთხელ სამადლოდ გაპარსავენ ხოლმე სოფლის დალაქები, პახვალა ჭანია და დომე ქობალია. ჩამოჯდება კემე გადაპრიალებული მერხის კიდეზე, ზურგით მიეყრდნობა გაზეთით შეწებილ კედელს. როდის-როდის მისი რიგიც მოაწევს, მაგრამ ენაგატლეკილი პარიკმახერები განგებ აყოვნებენ და დილაუთენია მოსულს შებინდებამდე აყოლებენ ტყაშმაფასთან * დამარტოხელების ამბავს. თვალები უფართოვდება საუბრისას კემეს. ლამის ბუდეებიდან გადმოუცვივდეს, ისეთი სიხარბით მიაჩერდება იმ სურათებს, იმ ხილვებს, მისდაუნებურად აქირქილდებიან, თანაც ეთანხმებიან, გამამხნე-

ვებელ სიტყვებსაც შეაშველებენ, თუნდაც ასეთს: უყურე, შენ, იმ ცხენის თავის მაჭიხვინებელს, იმას?! ხო-ხო, ის დედისმკვლელი, ისა! ამას რას ისმენს ჩემი ყურებიო. წარბების აზიდვა და ზურგისკენ გადაზნექვა ახლავს ამ შეხმიანება-შეთანხმებას ხოლმე. ამგვარი საქციელი შეკრებილებისაგან განსაკუთროებით მაშინ არის აუცილებელი, როცა მეხსიერებიდან ამოკრეფილი, გაცრეცილი სახეები და მათ ფონზე შემოცურებული ტყაშმაფა გარინდავს. ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც მას უნდოდა. **მთვარიანში სტუმრობს ტყაშმაფა კემეს, როცა მუშტისისხო ჭინკა ფაფარს უწნავს ნახშირისფერ რაშებს და შამბნარს ჯეგავს ჟინმოძალებული ოჩოკოჩი. მგლების ყმუილი და ჭოტების შეცხადება მოჟონავს ის საუბრებიდან. ტყაშმაფას სახე ყოველთვის განსხვავებული გამოსდის კემეს. ხან ალისფერი თმა აქვს იმ გრძნეულს. მაჯაზე გველი ახვევია, რომელიც ორკაპა ენას ალავლავებს თურმე.** უნდა დავრჩენილიყავი. ღმერთი კი არა, მკვლელი ვარ, მკვლელი. **ფეხშიშველა მოაკითხავს გაყვითლებული ფოთლებისაგან შეკერილი კაბით და სიარულისას დამაბრმავებლად გამოშუქდება ქვედაწელი. სხვა რაღა დამრჩენია, ამათ მაინც ვუპატრონებ.**

ზოგჯერ მგლის ფაფარს ჩაფრენილი დააცხრება, ლეღვის ნაფცქვენივით გაფატრული მკერდითა და პილპილმოყრილი ტუჩებით. ხან კიდევ აბრეშუმის შრიალით მიუცურდება. ვეება სავარცხელს უმარჯვებს ოქროსფერ დალალებს და გვირილები ეპნევა მხრებზე“.

— კი, მაგრამ შენ ხომ კვატალა არა ხარო, — შეჰბედა მოგვიანებით კემემ.

ჰო, კვატალაც და ტყაშმაფაცო, უთხრა ჩემგან დარიგებულმა ქალმა. კემემ უაზროდ მოიქექა კეფა, საჭირო სიტყვებს ეძებდა, დაბნეულობა ამუნჯებდა. ბოლოს, ის ტყაშმაფა სხვანაირი რომ იყოო, ამოღერღა ჯიმაყონერმა გაჭირვებით.

მაინც როგორიაო, კვატალამ.

როგორი და უფრო მსხვილიც და ცეცხლისფერთმიანიცო, ამბობდა კემე. როცა პირველს ხატავდა, ლოყებს გამობუშტავდა. მეორეს ჯერი რომ მოაწევდა, სასაცილოდ იმჭლევებდა.

ეგ გადარდებსო, ნელინელ თამამდებოდა ხოთო ქობალიას და,

შენთან სიარულმა გამახდუნაო.

კი, მაგრამ ის რომ კოჭლი არ იყოო, კემემ.

შენთან სიარულისას ვიღრე ფეხიო, კვატალამ. დაუმალა ბავშვობისას ძმამ ეტლით რომ გადაუარა.

ჟინი. ბუტუტი, როცა დალაქები მასხრობით გულს იჯერებენ, როცა კლიენტი შეთხელდება და საპარიკმახეროს დაკეტვის დროც მოახლოვდება, აქეთ-იქით ამოუდგებიან.

მამაშენს გაუსაპნავად უყვარდა გაპარსვაო, ეტყვის პახვალა.

მაგარზე მაგარი რომ იყო, იმიტომაო, კვერს უკრავს დომე. გადმოკარკლული თვალებიდან ცრემლებს აღვარღვალებს კემე, აქვე მალიმალ ტყაშმაფას შეახსენებენ.

ტყაშმაფას გაგონება თმას აუჯაგრავსო, ამტკიცებენ ის ოხრები. პახვალა ჭანია და დომე ქობალია ხანდახან ნიძლავდებიან კიდეც, აბა, რომელი რომელს დაასწრებს კუთვნილი ნახევარი სახის გაპარსვას. ასეთ დროს კემეს გახოკტავების ფული დამარცხებულმა უნდა გადაიხადოს. ლმობიერი კლიენტების ყბებსა და ნიკაპებს. ფსიქასთენიამ. მყისვე ჯოჯოხეთური ცეცხლი შემოენთება, მაგრამ კემე ვაჟკაცურად უმკლავდება წყვილ სამართებელს, ფანქარსაც რომ ვერ წათლიან რიგიანად და მთელ თვე სადალაქოს მოპირდაპირე მხარეს დაიარება მერე. ლაბორატორიაში ჩხირკედელაობს, ალბათ, ახლა. ეს წყალდიდობა ნეტავ იქითკენ თუ იქონიებს ზეგავლენას?! **ნოკო ანთარიას ჯიხურს ეკედლება, რომელიც თავის წილ ხან კრემწასმული ჯაგრისით უპრიალებს რეზინის ჩექმებს, ხანაც მთვარისხელა ჟანგიან ნალებს დააკრავს.**

მოდი, კემე, მოგვიყევი ტყაშმაფას ამბავი, გაკითხავს თუ არა ძველებურადო, ხითხითებდნენ დალაქები.

არა, არ გამოჩენილაო, იცრუებს ოდაბადელების სამასხრო. ჯერაც არ გამონელებია კვირის წინანდელი წამება. ჭკუას ხმარობს. რომ დათანხმდეს, შეიპატიჟებენ, გაპარსვაზე დაიყოლიებენ და ისევ განუახლდება ჯვარცმა. მერე გამოხდება ხანი. კამეს ადრინდელი ტკივილები უშუშდება, თანაც ნოკო ანთარიას ლურსმნებით ფეხდასისხლული სადალაქოში შეივლის, თუმცა გაპარსვაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ტყაშმაფას იმიზეზებს.

ასეთი ვურჩევნივარო, ირწმუნება. ჩექმებს ნალებისაგან

უმსუბუქებენ მარწუხით.

ეს რა გიქნია, არაკაცო, მოხვალ ჩვენთანო, ემუქრებიან ხარაზს ყასიდად. მოკლედ, გულაჩუყებულს აცდუნებენ. საპნის ქაფს წაუსვამენ. ერთი ბლაგვი და მეორე აფხიანებული სამართებლით აქეთ-იქით ამოუდგება და წვერსაპარსი დანის პირზე აიკლაკნება კემეს ტკბილ-მწარე სიცოცხლე. თვითონ ქმნის წყლულსაც და მალამოსაც. **ბამბაზიის პერანგი აცვია, მუდამ ამოჩაჩული. ყამირ მისაწავით დამსკდარი ხელები აქვს მზემოკიდებულს და ჩაჯიკვინებულს.**

წავედი ტყაშ მაფასთანო, იტყვის და წაჩლახუნდება. მუხლებამდე წვდება ყელგადაკეცილი რეზინის ჩექმები. ავრეხილი წარბებისაგან მოკლებ შეკრეჭილ, შევერცხილ თმას თითის დადება შუბლი აშორებს. სახელოები უფართხალებს სიარულისას. კი არ მიდის, მიბუყბუყებს ჩექმებში ფეხშიშველად ჩამძვრალი, ცხადია, ვიდრე ნიკო ანთარიას ნალები აწკარუნდებოდეს, და საიდანაც შეხედავ, ზამბარებზე დგასო, იფიქრებ.

ხელად იგუმანეს, ალბათ, ჩემი გაპარვა. იქნებ ხელჩართულ ბრძოლაში შემოაკვდა კოჩია და მაფა. გავუმხილო ყველაფერი ჭიჭე კვეკვეს თუ ვიყო ცოტა ხანს ასე. სიმართლის თქმას ყოველთვის მოვასწრებ, ამ მდგომარეობას კი ვერასოდეს დავიბრუნებ. რა უმტკივნეულოდ გადავიტანე ძვირფასი ადამიანების ტრაგედია. თითქოს ფოთოლი ჩამოცურებულიყოს ხიდან. უეჭველად არის ჩემში ღვთაებრივი სიცივე.

საქმეში ფრიად დაუზარელია კემე. ხუთი კაცის ღონე ბუდობს მის ჩია სხეულში. თავის შენახვას საიდან მოისაზრებს გამორთული ტელევიზორის ეკრანზე მოციმციმე წერტილისხელა მისი ტვინი, ამიტომაც თახსირი ოდაბადელები ხშირ-ხშირად შემოიშველიებენ თოხნასა თუ შეშის დაპობაში. სოფელ-სოფელ წანაყრდება. ნასუფრალს არავინ იშურებს მისთვის.

ზოგჯერ სასმელსაც დააძალებენ, თუ მაინცდამაინც გაჯიუტდება, მამიკო ჟინი მაინც ადღეგრძელეო, შეუჩნდებიან და ჭიქა არყით მამალი ინდაურივით გაფხორილი გზადმიმავალი ტყაშმაფებისკენ გავარდება. დაფეთებულ ქალებს კაბის კალთებს უწევს, უბეში უძვრება. ისინიც დაუზოგავად ბრჭყალავენ და საერთო სიცილ-ხორხოცში ილევა კემეს გამ-

წარებული რინა. ათასში ერთხელ ძველმანებსაც უსახსოვრებენ.

რა ამბავია ამდენი ნოშნერიო, ლუღლუღებს პატივისცემით ცრემლმორეული. ნოშრენი მის ენაზე ასნაირს ნიშნავს. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელდო, ბუტუტი, ოდაბადელებისათვის გასაგებია შავ დღეს გაჩენილის მოჩლექილი მეტყველება. კემეს სამოსახლოს შუაგულში ჯარგვალი დაფუყულა, ერთადერთი ჯარგვალი მთელს ოდაბადეში, რომლის ისლის სახურავის მტკაველი კვამლი აბურია ზამთარზაფხულ. ცეცხლი დიახაც უყვარს დაგვაჯულს, ამდენად, რაღა გასაკვირია თუ კემეს მამულში ფიჩხის გროვები ჩიხში მდგომი მატარებლის ვაგონებივით თვლემდნენ დღემოსწრება.

მატარებელი წევს როგორც ლავა. პოეზიას ანაცვალა სიყვარული. ნუთუ ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს ჩემს აღზევებას?! განა ერთხელ და ორჯერ ეცადე ადამიანებზე ზემოქმედება?! განა ერთხელ და ორჯერ გავუხსენი გული მათ საზრუნავ-სატკივარს?! შევეწყობოდით თითქოს, რაღაც საერთო ინტერესებიც გაგვიჩნდებოდა, მერე, აბა, მომყვით-მეთქი, დავაპირებდი ხმის გაღებას და მაშინვე შეთქმულებივით შემომეცლებოდნენ. იქნებ მე თვითონ ვიყავი დამნაშავე, იქნებ თავს მაღლა ვწევდი უნებლიეთ, უპირატესობას ვაგრძნობინებდი და იმიტომ. მაინც რითი ვჯობდი რომელიმეს, ყველაზე უკანასკნელსაც თუნდაც; მშვენიერებით, რომელიც წარმავალია?! ცოდნით, რომელიც უსუსური მოახლოებაა ჭეშმარიტებასთან, თუ გულწრფელობით, შეუთავსებადი რომ აღმოჩნდა ჩემი ფენომენისთვის. მერე რა, თუ შემეცნებიდან მგლური კანონების ამოფესვა ვცადე, განა ბოლომდე ვუერთგულე სიწმინდეს სულისას?! ან სათნოება განა მართლაც მორევივით დატბორდა ჩემში?! კიდევ კარგი, თუნდაც შემთხვევით, არვის წაცდენია, აი, კაციო! არა, ბუნებას მე არ ვჯობდი, ვაგრძელებდი მას, იმის ფესვებს და კენწეროებს. არა, მე ვგრძნობდი ზერელობას და გულგრილობას ნათელ მცნებისაგან, ბნელთათვის რომ დაფარულია, შეღწევა მსურდა მასში და კვლავ შევეჯიუტე ჩემს ნებისყოფას, წარმოსახვის წრიულ არეებს. რისგანაც ვშობილვარ, იმ ნაერთთა მოსინჯვა ვცადე: რა მასალაა ჩემში ასე შემკვრივებელი-მეთქი, მენდელევის პერიოდული სისტემის საბოლოო იერ-სახე უფაქიზეს პროპორციულ მიმართებაში ჟანგბადთან და წყალბადთან, თუ სხვა მრავალი, უხრწნადი და უფორმო, მზის ისრებივით საარაკოდ

დაძრულნი ჩემკენ?! არა, ბუნებას მე არ ვჯობდი, ვაგრძელებდი მას, იმის ფესვებს და კენწეროებს. ვერ მოვიგონე სამყაროს ადეკვატური ფორმა, ვერც საზომი და საწყაო, სიმბოლური თუნდაც; ის მცირდებოდა, მცირდებოდა დაუსრულებლად, ქუცმაცდებოდა კვერცხის ფორმით იმ დაყოფაში, მეორე ბოლოც იზრდებოდა და იზრდებოა, მეორე ბოლოც კვერცხის ფორმით ინასკვებოდა, ასე დაშლილი და მთლიანი, მზარდი, კლებადი, ტრიალებდა და ტრიალებდა გონების მიღმა. თანაბარია ახლა ჩემთვის დრო და მანძილი, თანაბარია ჩემთვის მე და მსოფლიოს სული. არა, ბუნებას მე არ ვჯობივარ, ვაგრძელებ იმას, იმის ფესვებს და კენწეროებს".

— აჰა, მეხუთე თვე იწყება, რაც ღობე შემოესალტა კემეს მამულს, რაც აქეთურების საქონელს მხარი აექცა და ჩემი დეიდების ტრიფოლიატას ეხახუნებიან. მეხუთე თვე იწურება, რაც კემეს პეშვისხელა ყურის ნიჟარებში ბალანი შეთხელდა. ბამბაზიის გახუნებული პერანგიც დათმო და ალთა-ბალთას გასხლტომილი თვლებიც ბუდეებს დაუბრუნდა. მეხუთე თვე იწურება, რაც უღრანებს გაურბის. მსხლის ხეების ძირას დანათებულმა ცეცხლმა ჯარგვალში გადაინაცვლა, გადატრუსულ, ნაბდისგაშლა მიწას მოლი მოეკიდა, ხოლო უხვმზიან ალაგას ბოსტანი გაჩნდა.

ჟინი. გამარტებიდანვე ანწლი, ჭინჭარი და ეკალი შეესევა იმ ჩინჩხვარს, უნასები და ვირთხები დაუმკვიდრდება. მოკვდება, მაგრამ მარაგს ხიჭვს არ მოაკლებს. იქიდან ელა და მინაკა იპარავენ ხოლმე, ან წვიმები და თოვლ-ჭყაპი ალპობს. ის ბედოვლათი კი უმატებს და უმატებს. გამოკრეფს უღრანის ფსკერს. მხოლოდ ზამთარი შეიმწყვდევს ჯარგვალში. სხვა დროს იმ ორადორი მსხლის ძირას აჩაღებს კოცონს. დანარჩენი ხეხილი რა ხანია პირუტყვმა მოინელა. მერე თვითონ მოჭრა ყველა და ცეცხლს შეუნთო. მსხლებსაც იგივე ბედია ეწეოდათ, ჭიჭე კვეკვე რომ არა.

დედაშენი ხახანტი მარხია იქო, ეხუმრა ერთხელ და აკვანშიდაობლებულსაც მეტი რაღა უნდოდა?! იმ დღიდან მოყოლებული ცეცხლით დარაჯობს მაკრონხეს საფლავს. ავსულებისგან იცავს, საქონელს არ აკარებს. ვთქვათ და, თუ მაინცდამაინც რომელიმე პირუტყვი გაჯიუტდა, რქებზე მორიდებით წაეტანება.

ნუ მიწუხებ, დედაჩიასო, ეხვეწება. ზურგს უფხანს. თივაც ყოველთვის შემოუნახავს ასეთი შეუსმენარისათვის. და-

უყრის და ნაღვლიანად ესაუბრება.

თუ ხეებს არ გაეკარები, არც შემდეგში გაზარალებ, ხომ უნდა გავუგოთ ბოლოს და ბოლოს ერთმანეთსო, მიჰყვება ფერებ-ფერებით. ხან ბაჩაჩია ბუკასმ უწოდებს, ზოგჯერ — ჩერჩელა ჩელასმ. ლადი ჭანიას სიმღერიდან ახსოვს ეს სიტ-ყვები, თანაც ოთხფეხს გარდასულ დღეებს მოაგონებს სიყვა-რულით.

განა მაშინ სხვა ხეების მიხახუნებას გიშლიდი, მაგრამ დედის სამსახსოვრო მწარე ყოფილაო, დაუყვავებს. არაფერ ურჩევნია იმ ხეჭეჭურების წვნიანი ნაყოფის ჭამას. ყველდა-ფერი მისით აქვს სავსე. თანასოფლელებს, განსაკუთრებით, კუნტა ქობალიას ნამოსახლარზე ფეხბურთის სათამაშოდ მო-სულ ბავშვებს უმასპინძლდება იმ მსხლებით, მაგრამ ჯერ გაარკვევს, წახემსებული არიან თუ არა. ვთქვათ და ახალ-გაზრდას წასაუზმება ვერ მოუსწრია, მსხალს კი მისცემს, თუმცა ჭკუის დარიგებასაც მოჰყვება.

უწინარეს ყოვლისა, საჭმლით მუცელი გაიმაძღრიანეთ, მსხალი მერე დააყოლეთო, ეტყვის. უმწიფრის ჩამოგდებას კი არავინ აპატიებს. ჩამოჯდება თხრილის კიდეზე და ონავ-რების თვალთვალით დნება. უძილობაა კემეს მთავარზე მთა-ვარი მტერი. თეთრად ათევს ღამეებს იმ მსხლების ძირას დანთებულ კოცონთან. ძელსკამზე წამოწოლილს ნახევარი საათით თვალის მილულვაც ჰყოფნის. ალიონზე, გადასწევს თუ არა ბინდის ფარდას ცისკარი, ხუჭუჭა ტყეებისკენ წა-ყურყუტდება.

რა ეშველება ამ ჩალაიასო, ებრალებათ ოდაბადელებს. საკუთარ თავთან დარჩენილს კი ვერაფრით გაუგია, თუ მის ვიწრო მხრებს რისთვის მიადევნებენ დედაქართულში მოსუ-ლელოს ბადალ სიტყვას. რითი ვარ დაზღვეული, რომ ერთ მშვე-ნიერ დღეს მეც ამათსავით არ გამწირავს?! ჯერ მანებივრებს,. ნებაზე მიმიშვებს, მერე მოვა და თავს მომჭრის სახალხოდ. ეზრდება დი-ლას ფრთები. კემეს ჯარგვალიის გარდა ყველგან შეაღ-წევს იგი, უღრანების ფსკერშიც და გვადიის კუპრისმაგვარ ღელეშიც. გაქუცული ქამრით შეკონავს ფიჩხს. აბა, წალდს ან ნაჯახს როგორ დაჭკრავს სულიერს?! მწყრალად გახე-დავს ხეებით დასახლებულ სოფელს კემე. ჟანგისფერი ნა-

ფოტებით ამოივსებს უბეს. კვირის სამყოფს ზიდავს კორძიანი ქედით. მსხლების სიახლოვეს დაყრის ფიჩხს და კვლავ უსიერს მიუბრუნდება. ოცნების სასახლედ გადაიქცევა. მერე გაუოცდება ნაკადულთან შეტოკებულ ოქროღილას. შაშვის წაკვნესებასაც წაეშველება მის პეშვისხელა, ბალნით ამოტენილ ყურის ნიჟარებს. საინტერესოა, რომელი რომელს ესესხება, ჭიჭე კვეკვე ჟინი ანთარს თუ პირიქით?! გაირინდება თვალებდახუჭული, მუხლებამდე ხელებდათრეული, და როდესაც გამოერკვევა, მზე ტყის თავზე ბრდღვიალებს. კვლავ შეკონავს ფიჩხს, წამოხუნტურდება და შებინდებამდე რამდენიმე საათით ადრე გაათამამებს კოცონს. ზომაზე გრძელ ტოტებს წვეტიან მუხლებზე გადაიმსხვრევს. შესცინებს ნაკვერჩხლებზე აცეკვებულ ცეცხლის ენებს. დროდადრო სამხრეთსაც შეავლებს შიშნეულ მზერას. მერე იქიდან წამოკისკისდება ალისფერთმიანი ტყაშმაფა. ვნების მორევში ჩაითრევს გონებაარეულს და როდესაც გამოერკვევა, მინავლულ კოცონთან ყრია ფოთლები და შემჭკნარი გვირილები. ზაფხულს შემოდგომა ცვლის, შემოდგომას — ზამთარი. მალე ყინვები მეფდება ოდაბადეში. იმ დღიდან მოყოლებული, კემეს კოცონი პატრონობს ყველას, ფსიქოპათი სირმა და ხოთო ქობალია იქნებიან ესენი თავიანთი მაწანწალა ძაღლებითურთ, თუ გარეულ იხვებზე მონადირენი. შემოუსხდებიან სოფლის ბიჭები ცეცხლს, დასველებულ წინდებს გაიშრობენ, წანაყრდებიან, არაყს მიაყოლებენ. თითო ჭიქას მასპინძლებსაც უწილადებენ და მის სტუმრებსაც. სასმელი უცნაურად ააბარბანჯებს კემეს. მერე იწყება ნამდვილი სეირი. დაბდური ტყაშფამფას ხან ვედრებით, ხანაც ძაღლური ყმუილით ტყიდან გამოსვლას ეხვეწება. სოფელ სიდაში პატიმრების მიერ კოლექტიურად გაუპატიურებული სირმა, ქაღალდებით სავსე ტომარას მსხვერპლად სწირავს ზებუნებრივ ძალებს, ოღონდაც მათი მფარველი კაცი შეიწყნაროს ალმა. ყმაწვილობისას ორი უმცროსი და-ძმის გაქცეული ეტლით გამტან ხითოს სიგიჟე წამოუვლის, მისავათებულ ძაღლებს დაერევა, ყურებით იჭერს, ჰაერში აისვრის შიშით სულგამძვრალთ. არის ერთი ღრენა, წკავწკავი და გნიასი. მონადირეებს ფეხებშუა უძვრებიან ყურებჩამოყრილი სეტერები და პოინტერები. მოგვიანებით კემეს მკლავს გამოსდებს რომელიმე, ცეც-

ხლთან მოაბრუნებს და ჩამოჯდება თუ არა ძელსკამზე, მისი მეგობრებიც მაშინვე წყნარდებიან. გაფაციცებით უგდებენ ყურს, თავს აკანტურებენ, თვალები უფართოვდებათ, წარბებს აზიდავენ, უნებლიეთ ბაძავენ მოსაუბრის მიმიკას.

ყოჩაღ, კემე, მაგრად დაუდექი, მაგრადო, აქეზებენ ახალგაზრდები, ზურგზე მუშტებს უბრაგუნებენ, ხარხარებენ.

ღმერთმა უწყის, იმ ხელიდან გავარდნილი ცირას თავი და ბოლო, მოაჯადოებს ამისთანა კუროს, აბა არაო, იტყვიან მონადირეები და მაშინვე:

ეს რა ესმის, ჩემს ყურებს, ეს რა ესმისო, დაიბღავლებს დაგვალული. მსხლის ხეს შუბლს გაუქანებს, თითქოს დედაშენის ზნეობას მსგავსი რამ არ ეკადრებოდეს. როგორი ცინიზმის დამიყენა თვალწინ საწყალი?!“

— დასხდებიან ხოლმე კვატალა და კემე სკამლოგინზე. გამობერილ მუცელზე დაკორძებულ ხელებს მიადებინებს ქალი.

შენი შვილია აქო, ეტყვის და კემე ანთარიაც ნეტარებით იღიმის. ალმაცერად გაიხედავს მაინც ცირა შკვითინიას ქვითკირის სახლის მიმართულებით, თითქოს იმ ტყაშმფას ელის, რომელიც მართლაც რომ გასაოცრად განსხვავდება ამ ტყაშმფასაგან. მერე ყრუდ აჯუჯღუნდება თავჩაღუნული.

რატომ არ აჩენ ამდენ ხანსო, საყვედურობს ცოლს. ქმრის სულწასულობა კვატალას გადააკისკისებს, თავზე წაუთაქებს, გადაითვლის თითებზე, აკლებს, ამატებს. დასასრულ, თვენახევარში გეყოლებაო, ანუგეშებს, თანაც კვნესა— ხვნეშით წამოიმართება. ყრუმუნჯების წამორევილ საქონელს სამგლეობს ძახილით ქვებს დაუშენს, და საბრალო პირუტყვიც ჩაგრაგნილ ღობეებს, საცოდავად შებღავის აჰა, მეხუთე თვეა. მაინც რაღაც აწუხებს კემეს. ცირასაც ასეთი ამღვრეულობის ჟამს შეუვლის ხოლმე. ხან შეშას უჩეხს, ხან სიმინდს უფშვნის, ზოგჯერ დუყელა ანთარიას წისქვილშიც გაეგზავნება. თვითონაც ვერ გაურკვევია, თუ რისთვის აკითხავს შკვითინხეს, ან კვატალზე მოჭორილ სისაძაგლეებს რისთვის წაუყრუებს თავდახრილი. აბა, შენ ხელწამოსაკრავი ხომ არ გეგონა ჩემი ჯიმაყონერი?! — როგორც იქნა დაამთავრა ყბედობა ჭიჭე კვეკვემ.

ჯარგვალში შემოჭრილი წყლით დაშინებული და ისლის სახურავზე ამძვრალი ცოლ-ქმარი ანთარიები ანთებული ფარნების გამოჩენამ სასოწარკვეთით ააღმუვლა. წყალშიგაჭირვებულებმა, როდე-

საც დარწმუნდნენ, შუქი აშკარად მათი სამოსახლოსკენ მოციმციმებდა, ყვირილს და ხელების ქნევას უმატეს.

ნაკადი აქეთკენ უფრო და უფრო ღრმავდებოდა, მძლავრდებოდა. უკვე შეგეძლო ტელეფონის მავთულებს ხელით თამამად შეხებოდი. ბუჩქები ლიაღვში ყურყუმელაობდნენ უკლებივ. ჭოროფა ვარჯებამდე შემოპიპინებოდა ხეებს. ოქროსფერი ბილიკით გასცურეს ამჩატებულ-ატივტივებული და მერე მსხლებში გაკვეხებული ძელურის მიმართულებით. აძაგძაგებულ ანთარიებს დაუყვავეს, დაიმედეს, მიეშველნენ ნავში გადმოსხდომისას. გულშეყრამდე მისული კემე და კვატალა უკვე სამშვიდობოს გრძნობდნენ თავს, ამიტომაც მარჯვნივ და მარცხნივ იკოცნებოდნენ სიხარულისაგან აზლუქუნებულები.

— მაღარიჩი შენზეა, ჯიმა! — ხიხინებდა ჭიჭე კვეკვე, —ხომ ხედავ, სულზე მოგისწარი, თორემ ვინ იცის, ამაღამ თავი იქნებ სტამბოლში ამოგეყო?! მთლად ცარიელ-ტარიელი მოგვიხველ?! მსხლები მაინც წამოგეღო, ცხენო! — თქვა და მუჯლუგუნი ჰკრა ნახევარძმას.

— ახლავე! — დაფაცუროდა კემე, რასაც ნავებში მსხდომთა სიცილ-ხარხარი მოჰყვა.

— იყოს, კემე, შეგენახება! ჯემად ან კომპოტად დაგიბრუნებენ თურქები! — ახითხითდა კახა ანთარია.

მოკლედ, ის-ის იყო, ხეებში გახირულ ჯარგვალს წრე შემოავლეს და სამანქანო გზაზე გავიდნენ, რომ, ჩემი ფიჩხიო, მიაკვნესა საწვავის განიავებულ მარაგს კაცმა.

ჩემი ბოსტანიო, მიაქვითინა ნაჯაფარ ბალახბულახს ქალმა.

— ერთსაც ეშველება და მეორესაც, — დააიმედა ცოლ-ქმარი ბაგი ანთარიამ, — ტყეში ფიჩხის მეტი რაა?! ბოსტანსაც ხელახლა გამართავთ, ოღონდ ახლა დამშვიდდით! — ჩააგონებდა ორივეს და რამდენადაც ძლიერდებოდა თქორი, რამდენადაც უახლოვდებოდნენ სოფლის ცენტრს, იმდენი სიმხნევე ემატებოდა გადარჩენილთა ხმებსაც.

ცოლ-ქმარმა ანთარიებმა ღამის თევა, (როგორც ამას სტიქიასთან ბრძოლის გეგმაც ითვალისწინებდა), ცირა შკვითინიას ჭერქვეშ ისურვეს, რის გამოც ეშმაკურად ახითხითდნენ ახალგაზრდები. ჟრიამულით უხმეს მასპინძელს, თუმცა რა ხმობა, რის ხმობა — წვიმის მოხშირებით აფორიაქებული ორმოცდაათამდე კაცი აივანზე და-

უხვდათ. ზედ კიბეებამდე მიაცილეს ღმერთის განგებით თუ ჭიჭე კვეკვეს ოინებით შეწყვილებულები.

— სხვებსაც მივხედავ! — განაცხადა ბაგი ანთარიამ და კოლმეურნეობის კანტორისაკენ მიატრიალა მოტორიანი ნავი. მას მიჰყვა კახა.მურმანი და ბონდო ჩამორჩნენ, ვინაიდან დიასახლისმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— ერთ ნავს მაინც თუ არ დაგვიტოვებთ, უნახავი შვილის სულს ვფიცავ, ორივეს დაბლა ჩამოვყრი! — მოსჭრა და თვალსაჩინოებისათვის რამდენჯერმე უბიძგა რკინის მოაჯირს ჩაფრენილ კემეს. ჭიჭე კვეკვე კი წაეტანა შესაყოვნებლად ბონდოს, მაგრამ დედისკენ წაწეული ყმაწვილის შეჩერება უკვე არავის შეეძლო.

ტალახიანი საწვიმრებისა და ჩექმებისაგან თავდაღწეული მაშველი რაზმის წევრები, ვეება ბუხრით გათარანებულ ოთახში შეჭყაპუნდნენ, სადაც დასაფშვნელი სიმინდის ტაროებით სავსე ტომრები მოემარაგებინა ცირა შკვითინიას.

ატყდა ჯორკოებისა და კველების8 ხრიგინი, ტაბურეტებისა და ვენური სკამების ჭრაჭუნ-ჭრიალი, ჩოჩქოლი და ღანჩალი, მიწევ-მოწევა, მასხრობა და ანგლობა.

ქვითკირის სახლის ზედა სართულის ექვსივე ოთახი სახელდახელოდ შეკრულ ფუთებსა და ჩემოდან-ჩანთებს გაევსო. ტახტებსა და ზამბარებიან საწოლებზე თევზებივით ეყარნენ ბავშვები. მთლად თოთონი მკერდზე მიეკრათ დედებს. ყოველ სათავსოში თითო სანთელი მაინც ბჟუტავდა, ხოლო ის წაგრძელებული სასადილო ბუხრის თაროზე ჩამწკრივებულ ოთხ ლამპას გვარიანად გაეჩირაღდნებინა. დიასახლისი თავახდილ კიდობანში იქექებოდა ერთხანს. სტუმრებს ახალთახალი პირსახოცები ჩამოურიგა. ზოგმა სველი ტანსაცმელი გაიხადა, გაწურა. გაბუღული ცეცხლის პირას გალაღდნენ.

ჯარასავით ტრიალებდნენ ქალები. ტილოთი წმენდნენ მოთხვრილ პარკეტს. აბოლებულ ჯეელებს იდაყვებით მიმოსწევდნენ, მალიმალ გამოუჩნდებოდათ ხოლმე ამორღვეული იღლიები.

კაცები დასაფშვნელი სიმინდის გარშემო შემჭიდროვებულიყვნენ, აბოლებდნენ, მასალათობდნენ თავისთვის.

დაფნის ფოთოლს არჩევდნენ და ჩირითიფირთობქდნენ დედაბრები.

— შე, ელას და მინაკას ხელებით კისერმოსაწყვეტო, მართალია, რასაც ჭიჭე კვეკვე ამბობს?! გვირილების ნაცვლად სულ ნაირ-ნაირ

რქებს პოულობს ახლა ფიჩხებშიო? — ჩახლეჩილი ხმის ეუბნებოდა კემეს ცირა შკვითინია, — ტყე-ღრეში ხეტიალი, გეყოფა, ჭირიმე, თორემ გიცდუნებს ვინმეს მაგ შენს კვატალას და უყარე მერე კაკალი!

კემე ანთარიამ გაღუღუნებულ ბუხარს ცალყბად შესცინა, თავი ააქიცინა, კისერი მოიქექა, ტაბურეტს ჭრიჭინობელები შეუსია. მღელვარების დაფარვა სცადა, მაგრამ შკვითინხე რისი შკვითინხე იყო, დაბებღილის ნერვის შეტოკება გამოპარვოდა?!

კემემ მოწყალე თვალით გადახედა ცოლს. გამოცდილება აჩუმებდა. საკმარისი იყო რამე წამოსცდენოდა, რომ იმ ნათქვამს დიასახლისი მაშინვე ჩაეჭიდებოდა. დაშლიდა, დაარღვევდა, მუშტისისხო თავიდან ფიქრს ამოაცლიდა.

„კვატალას პატიოსნების ამბავი ისედაც ნათელია. მაშ, ჭორებს რისთვის გამოვეკიდო?!“ დაასკვნა კემემ და ხელები სიმინდის ტაროების სავსე კალათაში ჩამალა.

ჯუჯის ფერისცვალებამ ცირა შკვითინია ერთობ გაამხიარულა. დალალები უკუიყარა, ოსტატურად დაიგრაგნა, კეფაზე დაიმაგრა ქარვის სარჭით. მერე ტანის რხევით მიუახლოვდა ხმაგაკმენდილს.

— აზნაურიშვილივით რომ მიფიცხებულხარ ჩემს ბუხარს, რას მიყურებ გაოცებით, შენ გეუბნები, შენ, გაჩოჩდი, გადაბრძანდი იქით! — თქვა და როცა მუქარას ბლიკვიც მოაყოლა, სიმინდის მფშვნელმაც იკმარა ღუმელთან ნებივრობა.

შავი მანდილით შუბლწაკრულმა მასპინძელმა სამზარეულოდან სამარკო კონიაკები შემოიტანა. მეორე გზობაზე ფილა შოკოლადები, მარმელადით, რაჰათლუჰუმით სავსე კოლოფები და შებოლილი ძეხვი წამოიმძღვარა. არ შეინანა სხვა რამერუმეც, თევზის კონსერვები იყო ეს, თუ ხილფაფა. მეზობლის ზოგ ქალს ჭყინტი ყველით თავმოდგმული ჯამი დაუდგა წინ, ზოგს — პურის ფქვილით სილაგადასმული გობი მიართვა და ზოგს კიდევ — ქვაბი და ქაფქირი მიაჩეჩა ხელში.

მაშველი რაზმის წევრები ღიმილით უმზერდნენ თავსაფრიანების ფუსფუსს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ფაციფუცი სტიქიასთან ჭიდილში გამოღვიძებულ შიმშილის გრძნობას გაუქარწყლებდათ; ბუხრის მოშორებით გაშლილ სუფრაზე ამდენი სურსათის დახვავებამ კემე ანთარიას ისედაც აჯაგრული წარბები მთლად ნემსებს დაუმგვანა. პირზე მომდგარი ნერწყვი ნიკაპზე ჩამოსდიოდა და, ბუნებრივია, ცირას რონინს არაფრად დაგიდევდათ. ანაზდეულად კემე კალათზე გადმოწვა, ძეხვს წაეტანა, მოაგლიჯა მესამედი, ყბის ხუთი-

ოდე მოქნევით მუცელში გადაუძახა კანიანად და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, სიმინდის ტაროებს ბდღვირი გაადინა მიყოლებით.

ზღვიდან მონაბერი ქარი ფანჯრის ღრიჭოებში უსტვენდა, მინებს აყანყალებდა, ლამპებს აპარპალებდა.

ბუხართან მიმყუდროებულ ვაჟებს ცირა შკვითინია დროდადრო თავზე ხელისგულებს გადაუსვამდა ხოლმე.

— ნუ დამძრახავთ ღარიბი სუფრის გამო, — ებოდიშებოდა დიასახლისი ახალგაზრდებს, — მაგრამ ამხედა უბედურების შემდეგ შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში და ამ უმწეობას მაპატიებთ, ალბათ, რამფერად.

— რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ?! — შეწუხდნენ სასმელის გამოჩენით თვალებგაბრწყინებული კაცები.

— ამ ოჯახს სტუმრის პატივისცემა არ ესწავლება! — მიელაქუცნენ დასაქმებული ქალები.

— მთელი ოდაბადეა დამნაშავე ჩემს დასთან, მთელი ოდაბადე, — თქვა კოლი ჭანიამ და კონიაკს დასწვდა, — ვერ ვივარგეთ, ვერა! ერთად რომ დავრაზმულიყავით, ერთსულოვნება გამოგაეჩინა და კოჩიასთვის იმთავითვე წაგვერთმია ბონდო, ვერცხლისწყალივით ბიჭი დღეს ცოცხალი ეყოლებოდა.

— თვითონაც გაიტანჯა და ფარშავანგი ქალიჩ გაამჭარა! — აჩლოფინდა ჭკვეპერია ტუჩებში ჭაჭია ქობალია.

— სურათი მაინც მომცა მისი და მოვკვდე, თუ რამე დავიჩივლო. რამდენჯერ ვცადე თავის მოწამვლა, მაგრამ ეს ოხერი სულიც რომ აღარ მეთმობა?! სამართლიანად ვისჯები მამაზეციერისაგან! სულ მეგონა, ჩემი დაუდგრომლობის სათავე მოჭარბებული ქალურობა იყო. წარმოგიდგენიათ, ვამაყობდი კიდეც ამ ნიჭით. გამომწვევად დავიარებოდი.

ხომ სჯობია შენიღბულს, ჩაის პლანტაციაში, ქმრის ცხვირწინ თუ სოფლის ზურგს უკან მოკოხტავებულს-მეთქი, ვინუგეშებდი თავს. ეჰ! ყური რომ ათხოვო ჭიჭე კვეკვეს, ქვეყნის გადაგვარების მთავარი მიზეზი ურწმუნობაა, თითქოს პირჯვარის გადაწერას ადამიანის გაკეთილშობილება მართლაც შეეძლოს. აბა, ვნახოთ, რას გვთავაზობს ბაგი ანთარია?

თვით სიყვარულიც რომ სიყვარულია, ისიც კი კლასობრივი მომენტიაო, აუჩემებია. ამოვიდა ყელში საკუთარი უმწეობის გასამართლებლად მოშველიებული ლოზუნგები. რა თავში ვიხლი ისეთი

კაცების გამოჭედილ კანონებს, რომლებიც ზეზეურად ჩამობერდნენ და ჯერაც არ იციან, ქალის ალერსი რაა. მითქვამს და ვიმეორებ, რომ ჩვენი გადაგვარების მიზეზი თუ სადმეა საძებნი, ისევ და ისევ საკუთარი თავის გაქურდვაში, მალულად მოპოვებულ სიამოვნებაში.

როგორც ვირტუოზი პიანისტი ინაცრება ხოლმე როიალის კლავიატურაზე, იმგვარად დააქროლებდა ცირა შკვითინია თითებს ყმაწვილების სველ-სველ თავებზე და ბოლო აკორდი წესისამებრ, ყოველთვის ბონდოს მხრებზეჩამოყრილ კულულებთან მთავრდებოდა. ამ ზვავის ქვეშ კი წრიალებდა ერთხანს ყმაწვილი, მაგრამ როცა დედის ვნებიან იერიშებს საშველი არ დაადგა, შუბლზე ისეთნაირად მიაცივდა მშობელს, იფიქრებდით, ეს-ეს არის თავის ქალას გადაუხსნისო. დაუმსახურებელი ზიზღი და ირონია დროულად შენიშნა დედაკაცმა, რამაც საკმაოდ ალაგმა მისი სითამამე — აღადგინა მათ სხეულებს შორის საჭირო დისტანცია, თუმცა შეცბუნებული ქალი საუბარს მაინც აგრძელებდა.

— ეს აბრეშუმისქოჩრიანი ბიჭი, თქვენთან საიდან, მურმან?!

— ჰო, მართლა, ძუბა ბებიამ შუბლით ვიტრინა ჩამოიღო ზუგდიდში თურმე, და გიორგი რომ არა, მოუწევდა ხელების წაკაპიწება ჭეჭე კვეკვეს, — თქვა, სახუს და თუთურიას ამბავი კი რატომღაც დამალა.

— ამხელა იქნებოდა ჩემი ბონდოც... მაინც რისი იმედი მქონდა?! ხომ უნდა მევარაუდა, რომ დედის ქარაფშუტობით ოდესმე მოწამლავდნენ?! რატომ ქვეყანა არ შევძარი, ბოლომდე რისთვის არ ვიბრძოლე შვილისათვის, მე სამიწემ?!

— კარგი, ახლა, დამშვიდდი! — ზურგზე ხელები გადაუსვეს მეზობლის ქალებმა ცირას.

— იტიროს, გულს მოიოხებს, — თქვა კოლი ჭანიამ, — მაგისთანა ლამაზი ბავშვის მნახველი არ ვარ. პირდაპირ ციდან ჩამოფრენილ ანგელოზს ჰგავდა. დედაც ხომ ფარშავანგი ჰყავდა, მაგრამ რაც კი სიკეთე და მადლია ქვეყნად, მის თავზე დაებერტყა გამჩენს. ახლაც თვალწინ მიდგას ჩიჩილაკივით დახუჭუჭებული მისი თმა. მერედა, ხასიათს არ იკითხავ?! გახსოვს, ჭიჭია, ლეღვით სავსე ვედრო რომ დაგვიდგა ჟინი ანთარის მომლოდინეებს?! არაყიც მოგვირბენინა. რაღაცრაღაცებიც გამოაყოლა ხელს, მაგრამ როგორც კი ის წარწყმედილი და კოჩია გამოჩდნენ, მაშინვე ოდაში გაუჩინარდა. მიწაზე ფეხით მოსიარულე ანგელოზი იყო სწორედ, ანგელოზი.

— საინტერესოა, დედის არსებობის შესახებ თუ იცოდა რამე და თუ იცოდა, რას აპირებდა მომავალში?! — ამბობდა წვერგაბურძგნილი გედე ჭანია, — ჩვიდმეტი წლის ბიჭს, ასე თუ ისე, მხრებზე საკუთარი თავი უნდა ებას!

— დამონებული ჰყავდათ, — სიტყვა ჩამოართვა მურმან ანთარიამ, — ბაგიც სულ ამას ამტკიცებს. ვისაც წინააღმდეგობის უნარი არ გააჩნია, განა მართლაც რამეთი განსხვავდება ცხოველისაგან?! არაფრით. ადამიანის სიძლიერე სწორედ ეს წინააღმდეგობის უნარია, რაც, როგორც ჩანს, იმთავითვე ჩაუკლეს ბონდოს.

— მშობლები თუ გყავთ, შვილო?! — ეკითხებოდა ცირა შკვითინია ყმაწვილს და თანაც დაჟინებით ათვალიერებდა მის პროფილს.

— მშობლები?! ,,რამდენიც გინდა! რამდენიც გენებოს!

ჭიჭე კვეკვე. არც მერმინდელი ამბავი მავიწყდება. როდესაც ცირამ ქმარ-შვილის საკუთარ ჭერქვეშ დატირება განიზრახა, სული ყელში მომებჯინა.

ერთხელ და სამუდამოდ მითქვამს, მათი ხელის ხლება არ იქნება-მეთქი, მივახალე. თქვე დალოცვილებო, ცოცხლები არ ინდომეთ, სიყვარულით სავსე გული და სული დაუწურეთ, ზურგი შეაქციეთ, წაუჯიკავეთ ჩასახუტებლებს დედამაც, მამამაც, დამაც, ძმამაც, ცოლმაც და შვილმაც, ნათესავ-მოკეთემაც და ახლაა, უმათებოდ რომ ვერ რჩებით-მეთქი. ამის გამგონე შკვითინხემ დაკაწრული ღაწვები ხელახლა დაისისხლიანა, უნახავი ანგელოზის ფერფლს დაემხო და როცა იქიდან მისი აღლეტვა ვცადეთ, ნაცარი მოფხოჭნა, თითებში მოიმწყვდია, თავზე გადაიყარა“.

არა, დედ-მამა ავტოკატასტროფაში დამეღუპა. მე წყნეთის უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე, მაგრამ სახელმწიფო ზრუნავს, უფასოდ მაცმევს. ამას წინათ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტიც გავხდი.

— ჰმ! უპატრონოთა ქვეყანა! — ჩაიხიხინა ჭიჭე კვეკვემ.

— სად სწავლობ, შვილო? ალბათ, თბილისში.

— კი, თბილისში. სტუდქალაქში ვცხოვრობ. **„სად ხარ, ბონდო, შვილო?! ეჰ! დასრულდა კი, დასრულდა ვითომ?!“** ძმის ქორწილში ჩამოვყევი თანაკურსელს ზუგდიდში. ამაღამ უკან ვუბრუნდებოდით, დედილო ძუბას ფათერაკი რომ არა. მეგობრები ერთ გაწამაწიაში იქნებიან, მაგრამ მიჩვეულები არიან, იციან, არ დაიკარგები. ცოტა ხანში მილანდარსაც მოვინახულებ. წაგებულს შესრუ-

ლება უნდა. ვუწამლებ რამეს თუთურიას დედას და კიდეც ავიბარგები ოდაბადედან.

— ჰო, მართლაც, მომილოცავთ, გაგვაბედნიერეს სახუმ და თუთურიამ! — ამოღერღა მურმან ანთარიამ.

— გადამრევს ეს ხალხი! არც ბიძა იციან ამათ და აღარც — ბიძაშვილი! კარგი, ვთქვათ ისინი სულელები არიან, მაგრამ თქვენ რას შვრებით, თქვენ ხომ მაინც უნდა დაატანოთ საქმეს ჭკუა?! მთლად გამიგიჟოთ გინდათ ისედაც გადარეული დურუ?! — მასპინძელმა კუთხეში მიმწყდეული კემესკენ გაიშვირა მარჯვენა, — შეხედეთ ამ სამიწეს, ამას! გაღვანღალებულ ბუხართან ჯდომას არაფერი ურჩევნია, მაგრამ შიში და მორჩილება ისე გასჯდომია ძვალ-რბილში, რომ სულიად დამსახურებლად ესახურება ახლა ზურგით კედელს. გრძელხელება მაზლი მყავს და უფრო გრძელთმიანი მაზლიშვილი, რომლითაც ჭიჭე კვეკვეს სიტყვებს თუ მოვიშველიებ, არდაშელი ზემოურ უფროსობას კიდეც უმასპინძლდება და საქმეებსმაც იკვარახჭინებს თურმე.

— ასეთი ცილისწამება გაგონილა?! — გაცეცხლდა ჭიჭე კვეკვე.

— ხმა, კრინტი! მადლობა ღმერთს, ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი.

არდაშელს რა უჭირს, სანამ ხანტური ეყოლება, ვერც აღმა-დაღმა მობოდიალე ბაგი მოერევა და ვეღარც — ეჭვიანობის ტყვე დურუო, ვინ მიმტკიცებდა თვენახევრის წინ აქ, მე თუ შენ?!

არდაშელი: „მე როგორ?! თითქოს მიწა იძრა და უფსკრულში ჩავქანდი“.

— მკრეხელობაა-მეთქი, მკრე-ხე-ლო-ბა!

— გაქცეულ სიტყვას ქამანდას ვერ გამოსდებ! სხვის ცუდს ჩემთან დაარბენინებდი აქამდისაც, ჩემსას —პირიქით, სადღაც წაიღებდი. ხეირი იყო შენთვის კარდაკარ პროწიალი. ასეთი დაიბადე და ასეთი მოკვდები! — ბონდოსკენ მიტრიალდა ცირა შკვითინია, — ყველაფერი იცის ჭიჭე კვეკვემ. იცის, ვისი მანქანა მოიპარეს გუშინ, ვის საქათმეს გაქურდავენ ამაღამ, ან მიქელ-გაბრიელი რომელ საღსალამათს შეამზადებს გასაპატიოსნებლად ხვალ-ზეგ. დამარხავ მიწაში ფულს და მაინც შიშისგან გიკანკალებს გული.

ჭიჭე კვეკვეს ავთვალისაგან დამიფარე უფალო, ეხვეწები მამაზეციერს. ღმერთის აღარ გეშინია, მაგრამ ჭიჭე კვეკვესი?! იქონიერ დაჯერება, ისეთნაირად დააკვესებს და დააკვარკვალებს თვალებს, რომ ჩვენ ვინ ვაგდივართ, თვით გაქსუებულ, დასაჭერ ხარ-კამეჩებსაც კი ეკეცებათ მუხლები ხოლმე.

ცირა შკვითინია შეყოვნებისას მორის მთლელ ჭიჭე კვეკვეს ალმაცერად გახედავდა დროდადრო, თითქოს არკვევდა, შეძლებდა თუ არა მის საბოლოო დაურვებას.

ოდაბადეში იშვიათად იპოვიდით ოჯახს, სადაც ტახტქვეშ ჭიჭე კვეკვეს გამოჩორკნილი კუნძი არ კოტრიალდებოდა. მათგან გამოსაღწევად ზოგ ნივთს თაგვისკუდისოდენა აკლდა, სხვები სულსწრაფ დიასახლისებს რა ხანია უმოკლესი გზით ბუხრისკენ გაექანებინათ, ასე რომ, საჭრეთელმომარჯვებული დურგლის უსაფრთხოობაში დარწმუნებული დიასახლისი საუბარს ჩვეული სითამამით აგრძელებდა.

— შებინდდება თუ არა, ჭიჭე კვეკვე ხან ერთ შეძლებულ ოდაბადელს შემოგვივლის ხოლმე, ხანაც — მეორეს და მესამეს. არაყს მოგვთხოვს. როგორც კი შეზარხოშდება, ვითომ კეთილისმყოფელია, სამალავი გამოცვალეო, გვირჩევს და ასე, ოსტატურად გვცინცლავს სიჩუმის ქირას. სულ ზეპირად იცის, იმ ძველ კერიასა თუ ამ ახალ დვარეცში ვის, რომელს გაუთევია ღამე. იცის, მამლის მერამდენე ყივილამდე დარჩენილან, რანაირი კოცნით დავუჯილდოვებივართ, რითი დამასაჩუქრეს. რამედ თუ ღირდა ვინმე, ერთიანად დამიფრთხო იატაკზე მარგლის მოჯახუნებითა და ფანჯრის მინაზე სიმინდის მარცვლების მოჩხრიალებით. უარესს იზამდა, გატრეტილი რომ არ დამემარტოხელებინა თვენახევრის წინ. აქეთ ვუტრიალე უბედურს, იქით ვეხახუნე და ვეალერსე ფარშავანგი ქალი, მაგრამ მკვდრის გაცოცხლება მე რომ შემძლებოდა, ოდაბადეში გამაჩერებდნენ?! შუა გზაზე შემომადნა საწყალი. არაფერს ვჩიოდი, ცრემლიც რომ არ ამოეშვა წამხდარს.

სიგიჟემდე მიყვარხარო, ქვეყნიერებას მირჩევნიხარო, ოღონდ ახლანდელი ცირიბია კი არა, ის ცქრიალა, უმანკო, წკონდაზ ცირა შკვითინიაო.

იცით, ჩამაფიქრა ოხერმა.

შენი სინორჩე შენ თვითონ ვერ შეინარჩუნე, წაგერთვა, თითებს შორის წყალივით გაგექცა, მხოლოდ მე, ერთადერთმა, ჭიჭე კვეკვემ შევძელი მისი მოხელთებაო. ამ სულში ბუდობს იგი, მარადმშვენიერი, უსიკვდილო და აქამდე თუ ვარსებობ, მარტოოდენ შენი ყმაწვილქალობის უხრწნელი ხატის შეხებითო. მერე საიდუმლოს შენახვა მთხოვა და როგორც ატყობთ, აღთქმას მეც პირნათლად ვუსრულებ.

— პირშენახული ყოფილხართ. ,,ჭიჭე კვეკვესი არ იყოს, ამის სიტყვის ნავალზე ქვაც კი მოისპობა. რამდენ სიკეთეს დათესდა, თავიდანვე სწორი კალაპოტით რომ წარმართულიყო?! **არიან საჭურისნი,**

რომელნი მუცელთაგან დედისა თჳსისაით საჭურისნი იშვ-ნეს? არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოსაჭურის-ნეს? და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავ-ნი თჳსნი სასუფევლისათჳს ცათაჲს“ *.

ტანწერწერტა ცირებმა ღვედივით დამყოლი ცომები გობიდან ფანერზე გადმოიღეს. ჩვილის მუშტის ტოლად დააგუნდავეს. დაფშ-ვნილ ჭყინტ ყველს გულმოდგინედ ახვევდნენ ბოთლებით გაბრტყ-ლებულ ცომში.

— ქმარ-შვილის გაძევებას მაბრალებენ ოდაბადელები, — განაგ-რძო ცირა შკვითინიამ, — ბუნების მოვლენები თავისუფლებისაკენ სწრაფვაა არსებითად. რომელი მიწადასაყრელი გოგო დაგიწუნებთ თქვენ, ამისთანა აშოლტილებს?! რაც თავი მახსოვს, სულ უანგარო სიყვარულს ვქადაგებ, მაგრამ შედეგი, შედეგი, სადღაა?! შინაბრები-თა და ბერბიჭებით აგვევსო სოფელი! ცოცხალი მყოლოდა ბონდო, მე ვიცი და ჩემმა ქალობამ. წავავლებდი ხელს ვინმე გომბიოს და რძლად დავისვამდი. აბა, მაგას ვკითხავდი სწორედ! შვილიშვილები, აი სად არის ჩვენი ხსნა. თქვენ კი, თუ სადმე ფარშავანგი ქალი შემოგე-ყარათ, მაშინვე მოფარებულისაკენ მოუსვამთ ჭიჭე კვეკვესავით. შე-იგნეთ, შავარდნებო, რომ თქვენი დაუძინებელი მტერი, მოფარებულ-ში სირბილია დიახაც, მოფარებულში სირბილი. ადამიანი საკუთარ სიმახინჯეს იმთავითვე თუ არ დაუპირისპირდა, იმთავითვე წინ თუ არ აღუდგა, ერთხელაც იქნება და ზვავივით ქვეშ მოიყოლიებს. აი, მაგალითად, ჭიჭე კვეკვემ, იმდენჯერ აქილიკა საკუთარი ნაბიჭვრობა, იმდენჯერ ათახსირა საკუთარი მეობა, რომ მიგვიჩვია ყროლმა. გან-თავისუფლდა სიმახინჯის ტვირთისაგან და რადგანაც გაშიშვლება ერთხელ შეძლო, ახლა დიდ-პატარას დაურიდებლად გვბილწავს. და-სამალი რა გაქვთ?! გინდათ?! კეთილი და პატიოსანი. დალეთ, ჭამეთ, იკოტრიალეთ, ოღონდ მოფარებულისკენ სირბილს ერთხელ და სა-მუდამოდ შეეშვით. სიყვარული ნაქურდალი ცხენი როდია, რომ მი-აფუჩეჩო. ქალებს ბედნიერებას ღირსეული მამაკაცები გვანიჭებენ მხოლოდ, თან ამას ცოტა ფარჩა და ფერ-უმარილიც თუ დაემატა, მთლად უკვდავებაში შეცურებულს ვემსგავსებით.

ცირა შკვითინიას თვალები გადაენისლა წამით, ბონდოს კი წე-ლი მოსწყდა ამ „ვემსგავსებითზე“.

სტუმრები აქა-იქ ილუკმებოდნენ.

აბოლებდნენ და სიმინდს ფშვნიდნენ კაცები.

აჩუჩუნებული დედაბრები დაფნის ფოთოლს არჩევდნენ ძველებურად.

ჭიჭე კვეკვე თავის აუღებლად საჩონგურე მორს უკირკიტებდა.

,,ადრე ჭკონობადთა ჯიშის'' თითოეული წარმომადგენელი შკვითინხეს საუბარს დაემორჩილებინა ბონდოს გამოკლებით. ის ადრინდელი სიყვარული, რომლითაც ყმაწვილი გამოგონილ დედას ეხაფაციცებოდა, თანდათან უნელდებოდა. თვალსა და ხელს შუა ელეოდა მოკრძალება, პატივისცემა, ყოველივე კეთილშობილური გრძნობა, რითაც პატარაობიდანვე უკავშირდებოდა სანუკვარ ადამიანს.

,,ტყუილად მომიკლავს თავი შიმშილით. ბარემ უცნობობივით ვისარგებლებ და ბოლომდე ჩავუკვირდები მისი სიცოცხლის არსს'', ასკვნიდა ბონდო.

— საფლავში წამება და არმობრუნება ხისკაცი კოჩიას ღვთისნიერი სახელით მომნათლავს. სულ ღალატში უნდოდა გამოვეჭირე, მაგრამ უხეიროს არც არყის სმის ნიჭი მოსდგამდა. ყველაზე წინ გამოიბრუჟებოდა, დღვარკალიასავითმ დაეგდებოდა ტახტაზე და ასე, სხვათა საჯიჯგნად მიმატოვებდა. არა, არა, ტყუილია. ყმაწვილქალობაში წაბორძიკებულის შველა ძლიერი მამაკაცის მეტს არავის შეუძლია. ქალაჩუნას ამარა დარჩენილს კი, რა დღეც დამათენდა, ხოთო ქობალიას ძაღლების გარდა ყველამ იცით. განა ღირსი იყო, პირში სული დგომოდა კაცს, რომელსაც ცოლი საკუთარი ძმისთვისაც ვერ მიუნდვია?!

დედის ხელების მოძრაობას ქვეშ-ქვეშ უთვალთვალებდა ბონდო და აქამდე საბრალო ადამიანი წამიწამ სძაგდებოდა.

— დალიეთ თითო კონიაკი — წააქეზა დიასახლისმა ბიჭები, —ამოჩემებაა, სიცოცხლის დღეებს რომ გვიმოკლებს ბარის სისწრაფით, თორემ ორი-სამი ჭიქა მარგებელია კიდეც... სულ მინდა ვირწმუნო კოჩიას სიყვარული, მაგრამ ამაოდ. ეგრე რომ ყოფილიყო, ცოტას ივაჟკაცებდა, დამიცავდა. ვალებს ვეღარაფერი მოუხერხა და მტრების გულის გასახარად თავდადებული მეუღლე გამწირა. ისედაც სახელგამტყდარს ცილი დამწამა, საშინელი ცილი. ბონდოს სულს ვფიცავ, რას მერჩოდა, ახლაც ვერ გამიგია, განა ფარშევანგმა ქალმა თვითონ არ დავიბრალე სიბერწე?! რა არ ვიღონე უხეირო კაცისთვის, რა?!

— უმანკო ჩასახვა.

ცირა: იმის გარეშე, უკაცოდ მინდა იგი გავაჩინოო.

მაფა: მე კი არა, ციხეს და ვალებს გაექცაო ჭირიანი,

მწარობდა, ნანაგე, ბონდო, ცირა შკვითინია. ჩალის ფასად დაყიდა ოქრო-ვერცხლი, ბეწვი და აბრეშუმი, ნოხი და ფარდაგი. მოქუჩებულ ფულს ზედ ოდაბადელების შეგროვებულიც დაურთო და მაღაზიის სალაროს წონასწორობა, როგორც იქნა, აღადგინა. გალოკილი თითივით დარჩნენ. გვიტ ანთარიას სავახშო ვალები კი ძველებურად უფსკრულივით ამთქნარებდნენ.“

ჭოფიას ძე მიმწუხრზე შეუვლიდა ცირას. ხმას ჩაივიწროვებდა. არდაშელის შერქმეული მეტსახელით, ცირიბიათი, მოუხმობდა. შალმოხურული მასპინძელი ჭიშკართან გამოვიდოდა. მევახშე საუბრისას დროდადრო მკლავზე წაეტანებოდა, თითქოს ანუგეშებდა, პროცენტებს უმცირებდა, თუმნიანს ჩუქნიდა დურუს.

ქალს თავზარი ეცემოდა, განა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელის შეხებას უბედავდნენ — ამ სცენას არდაშელის გაჩახჩახებული ფანჯრები დანათოდა; განსაკუთრებით მას მერე, რაც კემე ანთარიას გზისპირზე ჩამომწკრივებული ხშირტოტება წყავები ააკაფვინა, აქაოდა, სულ ერთია, მაინც ამვლელ-ჩამვლელი მიოხრებსო, მაგრამ ჯიმაია შველას აგვიანებდა.

სოფელში გვიტ ანთარიას მომდურავს ძნელად იპოვიდით. მართალია, მევახშეობით გაიმართა წელში, მაგრამ ზოგჯერ გაჭირვებულს წაუყვედრებლად აპატიებდა პროცენტებს, სათავნოს დასჯერდებოდა, დაანამუსებდა, მაჯაზე ღვედივით დაიხვევდა და უნებურად ითაყვანებდა. მისგან სახელგატეხილი მანდილოსანი ჯერ არ ავის ენახა, თუმცა ნებით თუ უნებლიეთ, ბევრი შეეცდინა. ადრე სხვა იყო, მაგრამ ახლა, არდაშელის დაბურნების შემდეგ, ჭიშკართან ბუსწარბება მევალის გამოჩენა ცირას აშკარად აშინებდა.

„არდაშელს ადრინდელი ურთიერთობის აღდგენა თუ სწადია და შვილის წართმევის დღეს მომხდარი კვლავინდებურად შემთხვევითი არაა, განსაცდელში ჩავარდნილს რისთვის გამირბის?!“ ფიქრობდა ჩიხში მომწყვდეული. გამოსავლის ამაოდ ეძებდა.

გვიტ ანთარიას განაწყენება როგორ იქნებოდა, მით უფრო — მის მდგომარეობაში ჩავარდნილისგან?! არადა, ერთ შებინდებულზე მევახშემ იღლიაში ხელის შეცურებაც გაუბედა. მერე შეწუხებისათვის მოუბოდიშა ჩვეულებისამებრ, ცირა კი მთელი ღამე ხან ვედროს ეჯახებოდა, ხანაც — ჯორკოს. გაცეცხლებულმა ქალმა მაშინ წამოაგდო ლოგინიდან დურუ. ძაღლების მოსაგერიელებლად მუგუზალს

დასწვდა და წისა ქობალიას თანდასწრებით ნამძინარევ კაცს მუხლებში ჩაუვარდა.

— ხუთი ვაჟიშვილის პატრონი ხარ, შენი ჭირიმე. ყველას ცალ-ცალკე დაასახლებ ალბათ. წაიღე ჩემი ოდა და მიხსენი ვალისაგან! — იცრემლებოდა იგი, — შემარცხვენენ გაუბედურებულს სინდისგარეცხილები, შემარცხვენენ, —ისეთნაირად ამბობდა, თითქოს აქამდე წმიენდანივით ეცხოვროს, — დღემდეც მხარში ედექი ჩემს ოჯახს, ნურც ახლა გაგვწირავ, თორემ ახლოასაა ენგური, — ქვითინებდა და ძველებურად ოდის წაღებას, ვალებისაგან გათავისუფლებას სთხოვდა. გამუდმებით სახელის გატეხვას ახსენებდა. შეწუხებულ ცოლქმარს მდინარის სიახლოვით აშინებდა. დაბოლოს, როგორც კი დაითანხმა მასპინძლები, მკლავები უღონოდ ჩამოუცვივდა.

გვიტ ანთარიას გულუხვობა, მისი საწადელი, არდაშელისათვის ცასავით ნათელი იყო. ამიტომაც აცლიდა მევახშეს.

ოდა რამდენიმე მეზობლის თანდასწრებით შეაფასეს. თხმელაში წაბლის ხის საფასური გადაუხადა, თელაში — მუხისა, ერთი სიტყვით, იმდენი, ვალიც გაესტუმრებინა და საყველპუროც მორჩენოდა.

ამ ნაბიჯს ცირა შკვითინიას ყელა უშლიდა.

— კიდევ შეგიგროვებთ ფულს, — ჰპირდებოდნენ, — ამას რას გვიშვრები ოდაბადელებს, ცოცხლად გვამარხვინებ პატარას? — კიცხავდნენ, მაგრამ ჭკუის დამრიგებლებს თავაწეული გაეცლებოდა.

„ჩემი სიყვარული რამედ რომ უღირდეს არდაშელს, მომეშველებოდა“, ფიქრობდა დღენიადაგ, მაგრამ ჯიმაიას ზურგი შეექცია და უკიდურესობამდე გაღიზიანებულ დედაკაცს საკუთარი ხორცი ლამის საკუთარი კბილებითვე დაეგლიჯა.

ცირამ რახანია სახლი დაცალა. ბარგი- ბარხანა გაჭვარტლულ სამზადში შეზიდა, შვილითურთ იქ შემყუდროვდა, თუმცა გვიტ ანთარია ოდის წაღებას რატომღაც აგვიანებდა.

— მომაშორებდეს მაინც ამ დასაწვავს! — დაიკვნესებდა ქალი თანასოფლელების გასაგონად და წამოთქრიალებულ მდუღარე ცრემლს მანდილის ყურს უმარჯვებდა.

მოულოდნელ უბედურებას, ბონდოიას წართმევას გაემწარებინა იგი. ამასთან ერთად, შურისძიებაც ეწადა, თითქოს ნიშნას უგებდა არდაშელს.

„აჰა, დასტკბი! დიახ! შენ, შენი გამაოხრე! ვერავითარი სიბრალუ-

ლი გამმართავს წელში აწი, დასტკბი და ილხინეო!“

თავჯდომარე კი შორსმჭვრეტელურად არკვევდა, ქღურტულა ბედნიერებას მისტიროდა ცირა თუ მასთან ზიარებული წუთების სიცოტავეს. მოვლენების განვითარებასაც ამისთვის უთვალთვალებდა გაფაციცებით. „ცურც ჰალიძონიას გაჩეჩეტებულის“ ამბავი არდაშელმა უკვე ზედმიწევნით იცოდა; იცოდა შკვითინხე ავეჯს, ფართლეულს, საშვენისს და მისთანებს როგორ დახარბდა. ჩაის საკრეფი კალათი ჩეროში როგორ მიაგდო და დედოფლობა რარიგად შეიფერა.

— კოჩია ჭირიანის ერთგულება რომ ნდომებოდა, განა მის ლოთფოთობას წაუყრუებდა?! — ეკითხებოდა თავისთავს არდაშელი, — ან რატომ შეარქმევდა ზეზეურად დაბეხრეკებულს, სიამტკბილობას რატომ გამოიცლიდა ფეხქვეშ და მოლიპულზე ზვავის სისრაფით რისთვის გაქანდებოდა?! — ჩაილაპარაკებდა დასაშლელ ოდას კაბინეტიდან მიჩერებული, რომლის უფარდებო ფანჯრებში სიკვდილივით იდუმალ სიჩუმეს დაესადგურებინა.

გვიტ ანთარიამ ცირას „სულისმოთქმა ადროვა“, მერე გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა, შემდეგ — ჭირვეული დეკემბერი, მარტი. ოდის დაშლას ყოველნაირად აყოვნებდა. ძარღვებაწეწილი შკვითინხე მუგუზალს დასწვდებოდა, საფლოში ჩააფრინდებოდა ვაჟიშვილს და მასპინძლებს გაცხარებით უხმობდა.

— მაინც არ იშლი შენსას, ცირიბია?! — ხველებ-ხველებით ეტყოდა გვიტი, — ისეთი რა შევცოდე, მამაგაქცეული ბავშვის ცოდვას რომ მკიდებ ზურგზე სიბერეში?! — თავსაც იმოხუცებდა ყასიდად, — დურუსა და ბონდოს გაფიცებ, წამომიყვედრებია ოდსმე ვალი? იქნებ მოგიჭორეს რამე?! თავს მჭრი, ქალო, ოდაბადელებში, ნამუსს და კაცობას მირცხვენ?! რომ მჭირდებოდეს, კიდევ, ჰო, მაგრამ რა დროს ჩემი ბიჭების დასახლებაზე ფიქრია, იხვებივით ჭყუმპალაობენ ენგურში და... არ მიჩუქნია ის ფული. როცა იქნება, ნაწილ-ნაწილ დამიბრუნებ. მალე დურუც წამოგისწრებს, მერე ბონდოც ამოგიდგება მხარში. ხომ ასეა, ჯიჯი*?! — ხუჭუჭ თმაზე მიუალერსებდა ბავშვს. მეუღლეს თვალით შინ შეაუჩინარებდა. სანამ ცოლი გაზეთში შეხვეული მოსაკითხით გამოფრატუნდებოდა, ისეთი ვნებიანი მზერით დაიგემოვნებდა გვიტ ანთარია სტუმარს, რომ ფეხის ფრჩხილებამდე დაანაკვერჩხლებდა. ქარაგმული სურვილი ცირას უფრო დათუთქავდა. მკერდზე დურუს თავმიკრული დედა სლუკუნ-სლუკუნით ამხელდა:

— უნდა გამიგოთ, სანამ ის სახლი დგას, ცნობაზე ვერ მოვსულ-

ვარ. ხელ-ფეხი შემიკრა. ჩემი სიყმაწვილის წლები და ბონდოიას ჟღურტული მარხია შიგ. მიმძიმს, მაგრამ თავიდან უნდა მოვიშორო. მერედა, თქვენი სიკეფთე იქნებ სოფელმა სხვანაირად შეაფასოს?! — საცოდავად იცრემლებოდა სახელის გატეხვას მოფრთხილებული დედაკაცი.

წისა ქობალიამ ირონიულად შეჰღიმა მეზობლის ჩივილს, მაგრამ მაინც გამოესარჩლა, ქმარს ფარ-ხმალი დააყრევინა.

შეთანხმდნენ, რომ შობათ დილით გვიტ ანთარია ხუროებს მოიყვანდა და ვალის გადაუხდელობას რადგანაც ასე განიცდიდა ცირა, მევახშე კუთვნილ ოდას დაშლიდა.

იმ საღამოს მიტოვებულ დედა-შვილს თბილი ზღვაური შეუძღვა მთვარეს მიყრდნობილ ოდაში.

ცირა შკვითინიამ იატაკზე ლოგინი დააგდო და ძუ ავაზასავით მიუწვა მემკვიდრეს. დურუს მალე ჩაეძინა. ჭრიჭინების კაე შნიანი ქორალით ირწეოდა ოდა, გვედისყელიან ხომალდივით მიქანაობდა, სიყვარულის საგალობელს მღეროდა. თითქოს ყველა კუნჭულს სული გამობმოდა, თაგვის გაფხაჭუნება იყო ეს თუ სარტყელს შეკედლებული მერცხლების შეჟღურტულება.

თაფლის სანთელივით ჩამოქნილი სვეტების ჩრდილი კატის თათებით მიიწეოდა დაცვარულ მოლზე.

ყავარს და სამტრედეს თუთის ხის ტოტი გაეხახუნებოდა. ამოიკვნესებდა სახურავი. ნივნივებს და ბატიყელას გადაეცღემოდა ნეტარებაგარეული ჭრიალი.

მაღლა საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ დირეები, დგარი და თავხე. მტკივნეულ მომავალზე ბჭობდნენ. გაიტკაცუნებდა შეყვარებულთა თითებივით ჩახლართული ნაჭდობი.

ძილგამტყდარი ქალის აწყლიანებული მზერა კი აივნის რიკულების ჭრილში მოქოთქოთე ჩიტებს და მთვარიანში დარწეულ საწუთროს აცოცხლებდა. შვებაგარეული ცრემლით ეთხოვებოდა ცირა მზისფერი დღეებითა და მთვარისფერი ღამეებით დატვირთულ ოდას, ეთხოვებოდა ბედნიერების აცერებულ წუთებს. ერთი მტკაველისხელა ღამეც და საუკუნოდ ჩამოშორდებოდა მარტოქალობის ხელ-ფეხის ამხსნელი ტვირთიც. სანამ ახალს ააგებდნენ, დედა-შვილს გამურული, მიმქრალი ცეცხლით მოვარაყებული სამზადიც მშვენივრად დაიტევდა. ის დაიფარავდათ გაჭირვებისაგან. მის ბიჭუკელას, აგერ, სახეზე გადასდიოდა ახლაც დედის ნათელი, ესოდენ ბურუსიანი, ჯიუტად მოკუმული ტუჩებითა და ეკალშესეული ძილით.

გვიტ ანთარიამ ჯანდუ ქობალიას საბარგო მანქანა დილაუთენია მიაყენა ჰალიძონიების ჭიშკარს.

ბჟოლის ძირას მრგვალი მაიდა დადგა მასპინძელმა. ქათქათა სუფრა გადააფარა, სკამები შემოულაგა. ყოველივეს საზეიმო ელფერს ანიჭებდა, დაფრინავდა თითქოს, მაგრამ იისფერ ფარდებს აკრული არდაშელისათვისაც და თავჩაღუნული გვიტისთვისაც დიასახლისის მიმოსვლა ძვირად ფასობდა.

კიბეები ერთმანეთზე მიაჭედეს. აღმართეს ხარაჩოები.

ჯერ კიდევ მკერდზე დაეკრიფა ხელები ცირა შკვითინიას, მაგრამ როცა გაზი ეწვია ლურსმანს, როცა იქაურობა ახვაწკაწდა, მუხლები მოიკვეთა; მკლავები იმნაირად ჩამოუცვივდა, თითქოს აბრეშუმის ჭიისათვის თუთის ხის ტოტი ჩამოსხიპესო.

მეზობლის თეთრპერანგიანი, უნიფხო გოგონა ღნავილით კალთაზე შეაბობღდებოდა სისხლგამშრალ დედაკაცს, თუმცა ცირას მობარებული ბავშვისათვის არ ეცალა.

წახრიალდებოდა სატვირთო მანქანა. ცრემლიან მზერას გააყოლებდა ქალი. არდაშელის კაბინეტის ფარდაჩამოშვებულ ფანჯრებს მიაცივდებოდა, თან ალმაცერად შეათვალიერებდა სკამის საზურგეს მისვენებულ გვიტ ანთარიას.

პირმოთხუპნულმა ღლაპმაც ბაზარში წასული დედა მაინცდამაინც ამწუთას გაიხსენა. წვრილ ხმაზე გაბმულად უხმობდა მშობლებს. შკვითინხემ მეტს ვეღარ გაუძლო, წაუთაქა რბილში ერთი, მეორე, გაშტერებულ დურუიას მიაჩეჩა და მიცვალებულის წინ გახევებულ ჭირისუფალივით მიაპყრო ოდას მზერა. თითქოს ოქროსფერი კედლების ელვარებას, ზმორებისნაირ ჭრიალს თუ ალმაცერი მზის შუქზე იასამნისფერი მტვრის ბრკიაპლს სამუდამო გზაზე მიაცილებსო.

ეთხოვებოდა სიცოცხლის ნახევარს ცირა შკვითინია და ახალ, უფრო წახრილ, უფრო მოეკლიანებულ ნაპირს ართმევდა ხელს.

ცისკენ წაწეულ ოდას ჯადოქრული სისწრაფით აქრობდა გედე ჭანიას ნაცადი მარჯვენა. დიასახლისის ოცნება ნელინელ დაბლდებოდა. თანდათან ჩონჩხდებოდა ბუხრის მრუდე ალიბჭე.

ყავარზე წვიმის გაკრიახებამ და მერცხლების ფორიაქმა დამდუღრა ცურუს გაზრდილი. წიაქებდნენ კუდმაკრატელა ჩიტები. სახეზე ეხლებოდნენ ხუროებს. ღნაოდა კაბის კალთას ჩაბღაუჭებული ჭაკურია და ამ სურათის შემსწრე ოდის მყიდველმა უწინაფრო ქუდი

მოიშვლიპა, მიწაზე დაათხლიშა, თითქოს საჯაროდ წიხლი ამოარტეს ან ხანჯალი დაუტრიალეს გულშიო.

— ჰალიძონიების მერცხლებს ვერ წავიყვან მე — ჩაიდუდღუნა გვიტ ანთარიამ და უნებურად არყიან გრაფინს წაეტანა.

ხუროებმა სარტყელი ისეთი სიფრთხილით ჩამოუშვეს ძირს, ისეთი სიფრთხილით შეაყენეს ორკაპა სარებზე, თითქოს ბუდეების ნაცვლად უკვდავების წყლით სავსე თასებით ყოფილიყო დახუნძლული. გულმოდგინებით გადაყავრეს მერე. უხმოდ, მუყაითად საქმიანობდნენ, რათა მომძლავრებულ წვიმას სასოწარკვეთილი ფრინველების პეშვისტოლა ბედნიერება არ წაელეკა და ცისქვეშეთი მორიგი უბედურებისაგან ეხსნა.

სამზადის ისლის სახურავზე ამავალი კვამლი თავსხმამ ფეხქვეშ გაიდო. ჯანდუ ქობალიას სატვირთო მანქანა უკანასკნელად ახრიალდა. ყველამ დაცალა თითო სასმისი. არაყს ზოგმა ჭყინტი ყველი მიაყოლა, ზოგმა — თხილი.

ფიცრულის ნაჭდობს სახით მიკრულ, მოქვითინე დურუს, გვიტ ანთარიამ აჭრელებული მუშტები უპეებიდან გამოაცალა, თითები ძალად გაახსნევინა და თუთისფოთლისხელა თუმნიანი მოამუჭვინა.

— ნურაფრისა გეშინია! — ჩასჩურჩულა ყურში, თავზე აკოცა, ცირა შკვითინიას კი დაუმშვიდობებლად გაეცალა.

კოკისპირული წვიმა დიასახლისს კვლავინდებურად უჟაპუნებდა. მალე ეზო-კარს ნათურქალი სოფლის გრძნობა დაეუფლა. ლაფაროში მივიწყებული ვედრო თქეშს სანახევროდ გაევსო და ყოველი ახალი ნაკადი სანთლისფერ ხაპს ახრიგინებდა. სამზადის აკაციის დაგვარჯღულ სვეტებს შორის დაჭიმულ თოკზე თეთრეული კონწიალებდა. ნაფოტები, შპალერის ნაფლეთები ეყარა ირგვლივ. გადახრილი ბუხრის გარშემო ცხენოსანი კაცის სიმაღლის თორმეტი მასიური სვეტი ქათქათებდა და დარჩნენ გაქურდულ ეზოში შკვითინხე, დურუ, მეზობლის ბავშვები, ბჟოლა, სახლწართმეული საყრდენები, მერცხლები, რომელთა ჭერიც საგრძნობლად დადაბლებულიყო, მაგრამ მოთქარუნე წვიმის ჯიბრზე მაინც ჭიკჭიკებდნენ და ქალს მოულოდნელად უჩინარი ყავარჯნები შემოეშველა. არდაშელ ჰალიძონიას ფარდააწეული ფანჯრების მიმართულებით თავი ამაყად აიღირა. სახეზე მერეხიანი ცა ეფეთქა ვალმოხდილს. ცრემლის შემმუსვრელმა გრძნობამ შვების ნერწყვი მოუბევრა.

,,მერე რა, თუ ქარვის კალთებიანი ოდა დაარღვიეს?! — ფიქრობდა იგი — სამაგიეროდ თავისუფალი ვარ, თავისუფალი! ესეც რომ

არა, ჩემი ოდის სვეტებზე თავგამოდებული წვიმა ბროლის სასახლეს დგამს ახლა, სწორედ ისეთს, როგორსაც ზეასწევენ ეს მოვლილი ხელები მომავალში, — ინუგეშებდა თავს და თითქოს აღმოჩენამ გააოცაო, ცირა შკვითინიამ პირველად დახედა მათ. ჩვილს რომ სჩვევია, ისე ნელ-ნელა მიიახლოვა სახესთან, რამდენჯერმე შეაბრუნ-შემოაბრუნა. სოხანეზე თუმნიანის გარშემო ბავშვების სიმრავლემ გაბადრა, ააჩქარა, ოციოდე ნაბიჯი ეუსასრულა...

მაფა. შეაფრინდა ღვიძლს თუ გარეშეებს, შილიფი მკლავები ზუსტად იმნაირად შემოჰხვია, როგორც ოქროსფუჩეჩიან სიმინდის ღეროებს ჩაიხუტებენ შესაკონავად ხოლმე და ჩქიმი თოლი გვირალეფისმ ჩურჩულით გაკვამლულ სამზადისში შეაუჩინარა, ნანაგე.

— ჯვარს ვეცვი. წყალში ჩამიყარა ამაგი. შვილიც კი წამართვა გონწასულს. მერედა, როგორი შვილი?! მუცელში მოფაჩუნეს რომ ვუმღეროდი, კოჩიას გადამწვარი გენების ნაყოფად ვასაღებდი. მკერდი გამიპო და გული ამომაცალა. არც ეს მაკმარა. თოფის ბათქუნით დამიხვდა ანგელოზის ნახვას დანატრებულ დედას. არა, არა, კაცებს სიყვარული სად შეგიძლიათ. სიყვარულს პატრონი სჭირდება. არც მამაა ახლა ჩემთვის, არც — ქმარ-შვილი, დანარჩენს კი როგორც ამას ჩემი აწეწილი ცხოვრება ადასტურებს, წელგამართულის გათელვას არაფერი ურჩევნია. მშურს კოჩიასი. ხისკაცი უძახე შენ! შვილის სიყვარული მაინც ჩაჰყვა სამარეში, ყველასაგან დავიწყებულმა ვიკითხო თორემ. ბონდოს რას ვერჩი! ვიცი აკვნიდანვე მოწამლავდნენ ავხორცი დედის სიძულვილით, მაგრამ დურუმაც რომ შემიჯავრა?! რა ხანია გარე-გარე დაიარება. კოჩია ჯანდაბას, მაგრამ ალალ ძმას ცრემლი როგორ არ დააწვეთა?! თავს მარიდებს ათი წლის უნახავ მშობელს. უდანაშაულო ბიძას კი შეურაცხყოფა არ აკმარა და სიკვდილთაც ემუქრება. ამისთანას მკვდარი მეშობა არ სჯობდა? ქე მაინც მეცოდინებოდა, მთლად უპატრონო რომ ვარ და სადარდებელიც არაფერი მექნებოდა. კი, ბოლომდე ამოვწურე კუთვნილი ნექტარი, თუმცა რა გამოვიდა ამით?! რა ხეირი ვნახე, რა სარგებელი?! არანაირი! ოდაწართმეულმა ქალმა ცხრა მკლავი გამოვისხი, ქვითკირის სასახლე წამოვჭიმე.

მოვლენ ჩემი ბიჭები, დაოჯახდებიან, შვილიშვილები წიწილებივით შემომეხვევიან-მეთქი, ვოცნებობდი. ეჰ! სულ სხვა კანონი ჰქონია ცხოვრებას: ერთხელაც იქნება და იოლი გზით მოარულს, ფეხს

წაგვამტვრევინებს სადმე, — აქსუტუნებული ცირა შკითინიას ცრემლი უმთავრესად ბონდოს ეძღვნებოდა, რათა ბედით გახარულ დედას უარვინო ყმაწვილის თანაგრძნობა მოემკო, მაგრამ ახალგაზრდა ირონიულ ღიმილს არ იცილებდა ტუჩებიდან, — სად კაცები და სად — სიყვარული?! იოტისოდენადაც არ სტირიან ერთმანეთს, ზღვა და მთაა.

— თავის დროზე მატრიარქატმა დედაკაცი გამოფიტა, — ვეღარ შეიკავა თავი ბონდომ, — ახლა პატრიარქატი აძაბუნებს მამაკაცს, ვინაიდან ვითომ ენერგიაშენახული ქმარი კანონით გაფორმებულ სამეძაოებში დოღს მართავს ცოლის ზურგს უკან და შინ გამოწურულად მობრუნებული ხან რქების დასადგმელად უბიძგებს მეუღლეს, ხან კიდევ — საფიზმისკენ.* თუმცა მალე თვითონ ხდება ცოლის ვნებათათვის გამოჭედილი ხუნდების მსხვერპლი: დროთა ვითარებაში თმახუჭუჭა ყმაწვილებს უძმობილდება გამოფიტული, რასაც საბერძნეთსა და რომში სოკოებივით მომრავლებული აბანოებიც ადასტურებენ. „ფილოსოფიურ ჭვრეტაში გადავარდა ბიჭი!“ რამდენი საუკუნე გამოხა მას შემდეგ?! ადამიანის გონება რას არ ჩასწვდა?! აჰა, კოსმოსსაც მიაშურა, ფეხი დაადგა პოეტების საგალოებელ მთვარეს. ზნეობრივად კი მაინც იგივე დარჩა, შესაძლოა უარესიც. უფრო და უფრო იწირება ონწყვეშიაში „ნირგა ქობალიას“ ჩაძირულის მსგავსად, — მარმარილოს ქანდაკებასავით გაყინვოდა ბონდოს სახე. სიცოცხლის ნიშანწყალი მუხლებზე დადებულ, ძარღვებადქცეულ ხელის მტევნებსღა შერჩენოდათ, — გეწყინოთ თუნდაც, ქურდს და ავაზაკს რამეს მოუხერხებ კაცი; წაართმევ მითვისებულს, კანონის ძალით აანაზღაურებინებ გაფლანგულს, ფიზიკურად გადაგვარებულსაც დაადგება საშველი: უმკურნალებ, მოარჯულებ დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, მაგრამ სულით მეძავის გამოსწორება?! აბსურდია, აბსურდი! **„არცა მე განგიკითხავ შენ.“** პროსტიტუცია, ფარულია ეს თუ აშკარა, ორივე დამღუპველია. აქ მთავარი აქტის ფორმა კი არა, სიძვაა. სიყვარული აღგვამაღლებსო, გვიჩვენეს მიმართულება ერთხელ და სამუდამოდ. გზა ნაპოვნია. ახლა წუმპიდან სინათლისაკენ გადანაცვლება არსებითი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნაწილი და მთელი განუყოფელია; რომ ერთში იკრიბება, ერთში იყრის თავს ათასი ღირსება-სიდიადე, ვეჭვობ, თქვენს სადარდებელს საფუძველი ჰქონდეს, ქალბატონო... ცირა, თითქოს თქვენისთანა ფარშევანგები რომ არა, მოფარებულში სირბილით, ესე იგი, ხელთცდუ-

ნებივთ წავხდებით... ვინც ავხორცულ გრძნობათა მორევში ყელამდეა ჩაფლული და ამართლებს კიდეც ამ სისაძაგლეს, სექსუალური მანიაკია. იქიდან, ვნებათა იმ ბინძური ჭაობიდან, იღებენ სათავეს ათასგვარი გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირები, როგორიცაა: პერვერსია და პარაფილია, პედერასტია და ჰომოსექსუალიზმი, პედოფილია, გენოკოფილია და გაოფილია, სადიზმი და მაზოხიზმი, პიგმალიონიზმი და ნარცისიზმი, ზოოფილია და ნეკროფილია* და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი libido sexualis!* ერთში ტრანსვეტიციზმი* იწვევს ერექციას, მეორეში — სკოპოფილიაᲪ და ექსპიბიციონიზმი,* ზოგს აქტიური პარტნიორი თრგუნავს, ზოგს — კინდე,* ბევრი ტრიბადიით* აღწევს defluvium*-ს ბევრში ორგაზმის სანქრონულობა დარღვეულია კოიტუსის* დროს და სქესობრივ სიცივეშია გადავარდნილი, მოკლედ, თავაშვებული განცდა ამიტომაც არის ძნელად სამართავი; ამისთვის გახლავთ აწეწილი და მოუწესრიგებელი რინა, ცხოვრება, წუთისოფელი, თორემ კუჭისმიერ პრობლემებს მოევლება ადრე თუ გვიან. დაბოლოს, თუ იდეალთან მიახლოვება განგვიზრახავს, თუკი საზოგადოების თითოეული წევრის ბედნიერება მიგვიჩნევია უმაღლეს ჯილდოდ და ფასეულობად, საჭიროა, როგორც ფიზიკურად და ფსიქიკურად, ისე ზნეობრივად არასრულფასოვან ინდივიდებს ჩამოერთვათ შვილის ყოლის უფლება. დაე, მათი მოწამლული წარსული და პათოლოგიური გენები ნუ იხეტიალებენ შხამიანი ეკლებივით შთამომავლობიდან შთამომავლობაში. უმჯობესია, მათი ცხოვრება სხვისი ჯანსაღი შვილების ზრუნვა-სიყვარულში დაიფერფლოს. „მაგრად გავუტიე!“ პირწავარდნილი ბეცია ის, ვინც ბედნიერებას სუბიექტურ მომენტად მიიჩნევს, სხვათა ხელის მომართვაა კაცობრიობის საფუძველთა საფუძველი, მიზანი, თორემ საკუთარი ყოფიერების მოწესრიგება ჭიანჭველებსაც დიდებულად ეხერხებათ. ამისთვის ერთი დღის შინაარსიანი სიცოცხლეც კმარა.

„ჟინი: შვილო, ბუტუტი წინამძღოლისთვის კი არა, თვით ძე შეცდომილისთვისაც არაფერია უფრო ფასეული, ვინემ იცხოვრო ადამიანებისთვის, იბრძოლო ადამიანებისთვის, მოკვდე ადამიანებისთვის. რაც მალე გადაადგამ ამ ნაბიჯს, უკეთესია, მაგრამ არასდროსაა გვიან, თუნდაც სიკვდილის წინა დღეს“.

— სასიქადულო მასწავლებლები გყოლია იმ თავშესაფარში, — კბილებში გამოსცრა ცირა შკვითინიამ, — როგორ ფიქრობ, დამცველი თუ არ გამოუჩნდება უმწეო ხანტურს, არ დანებდება ვითომ

მოძალადეს ?! მერედა, რა ძალა, რა სიყვარული აღადგენს ერთხელ გასრესილ ყვავილს?! იქნებ ვინმემ სცადოს კიდეც მისი განახლება, ზედ გადაჰყვეს, თავიც შესწიროს, გამოუვა ვითომ რამე?! ან კოჩიას რომ დაემართა იმნაირ უმსგავსოებას ეშველება თუნდაც ბეწვისოდენად ?! გათელილმა ფარშავანგმა იქნებ შვილებიც კი გააჩინოს რომელიღაცა ნერვის გაუქმების ხარჯზე, მაგრამ განახევრების ფასად შეძენილი ბედნიერება გამოდგება რამეში?! „როგორი თმა აქვს, ღმერთო!“ წუნკალი ცხოვრების ბრალია ყველაფერი, თორემ აკვანში მეც ანგელოზი ვწოლილვარ. ჭირიანი! რასაც იშოვიდა, ძმაკაცებს შეასვა. მოვინათლე. ძაღლი მიაკვდა სულში! ციხეს და ვალებს გაექცა!

— აქსიომაა, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას.

„ცირა: წუნკალი ცხოვრების ბრალია ყველაფერი, თორემ აკვანში მეც ანგელოზი ვწოლილვარ. კოჩიას სიტყვები. აკვანში ვწოლილვარ მაშინ. მე თვითონ! სად მიგყავს ჩემი თვალისჩინიო! იკივლა, თუ შენგან მეყოლა ბგონია, ძლიერ შემცდარხარ, შენ ვინ მოგცა გადამწვარს, მაგისი შნო და მარიფათიო. რომელი ამბობს სიმართლეს, კოჩია თუ ცირა. რატომ იცავს თავგამოდებით დედაჩემი არდაშელს ?!“

— თუკი დურუმაც უარმყო და ცოდვები არ შემიმსუმბუქა, თუკი მაინც ზურგი შემაქცია, დამნაშავე ვიქნები განა, აქაურობას და საერთოდ მთელ სამყაროს, დაე, მტვრად ქცეულხარ-მეთქი, მივაწყევლო?! არ, არა, გული მიგრძნობს, სადაც არის ჩამოვა. მკერდში ჩამიკრავს ათი წლის უნახავ დედას და გაუტანელი წუთისოფლისგან დამიცავს.

— არხეინად იყავი! — ახიხინდა ჭიჭე კვეკვე.

ჩამოწოლილ სიჩუმეში დიდხანს ისმოდა ბუხრის გუგუნი, მორიდან გათავისუფლებული ჩონგურის ყელზე გახრჭიალებული საჭრეთლის ხმა, სიმინდის მარცვლების ჩხრიალი, დაფნის ფოთლების წკაპაწკუპი, ალაგ-ალაგ შექუჩებული ქალების ჩუმათობა, ზღვაურის ქშენა თუ ფანჯრის მინაზე წვიმის მოშხეფა.

აკვარჩხალებულ წყალს მუჭით მარილი დაუმატა ცირა შკვითინიამ. ჯირკები ოსტატურად შეყარა.

გრძნობდა ბონდო მშობელი დედის სულის დუღილს; ხედავდა დახოკილ, გაფითრებულ სახეს, ცხვირის სიფრიფანა ნესტოებს. სუსტი სინათლის მიუხედავად ყმაწვილმა მაინც დალანდა დიასახლისისი ქუთუთოებს მომწყდარი კურცხლი, რომელიც მიყოლებით ჩაი-

კარგა სიმინდის ნაქურჩალით, ბურბუშელათი და დაფნის ფოთლებით მოფენილ იატაკზე.

ქარის სტვენასა და გაჯავრებული ბუხრის გუგუნში ერთი მტკაველით მაინც დაიხია ღამემ და სამი იმდენით მოახლოვდა დღე. იმ შუალედში ბონდოს თვალწინ მრავალი ფარდა შეირხა, ზოგი მათგანი ზეაიწია კიდეც და მიმქრალ ნათებაში ხელისგულზე გადაეშალა ცირა შკვითინიას რეალური ბუნება. აქამდე გაურკვეველი გრძნობა რომ არა, საუბარში აჰყვებოდა დედას. გაუცოცხლებდა ნაკადულის ჩქერალებში ადევნებული მშობლისა და ტყუპისცალი ჯიმაგეს სახეებს. ზღაპრულ სამოსელში გაახვევდა კოჩია ჰალიძონიას ათასგზის მონაყოლს. თვალნათლივ დაანახებდა გამოგონილი და ჭეშმარიტი გამჩენის არსში მოცემულ სხვადასხვაობას, მაგრამ როგორც ასკვნიდა, ამ ბედნიერებას, ყოველ შემთხვევისათვის ამაღამ მაინც, არაფრისდიდებით აღირსებდა ახურვებულ ქალს. შემოთავაზებულ სასმელს მიტანებული ამიტომაც საუბრობდა ქარაგმებით.

— სისა, ტურა მურსია, ბონდო ბოშის ლურსია, ბონდო ბოში მუშ ნანას,ქახუტოლუ გურსია!* ამ სიმღერის გაგონებაზე მბურძგლავს ხოლმე.

— ქახუტულო კი არა, ოხუტოლუ* — შეუსწორა ჭიჭე კვეკვემ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს ,,ჭრელი კატის თავგანწირვა. სად მოვიჩქაროდი, სად?! ორმაგად მაინც არ გარდამეცვლებოდა. რა ხანჯალი დამიტრიალა მკერდში?! აი, ახლა, აი, ახლა გადავყლაპავ ცრემლს და სრული არარაობა გაიზმორება უნუგეშო თვალებში. აი, ახლა, აი, ახლა გავიწლები მხრებში, გადავძლევ ცახცახს და როგორც მახვილი ქარქაშში, ისე ჩავიკარგები მის მზერაში. აი, ახლა, აი, ახლა საჯაროდ გავამხელ ვინაობას. მუხლებზე დავვარდები, შენი უბედური ბონდო მოვსულვარ-მეთქი, ავქვითინდები ხელებგაწვდილი, მაგრამ მერე?! მერე ჩემი ყოფნა რაღა იქნება?! უმჯობესია, სიცოცხლე მოვისწრაფო, ანდა უკეთეს შემთხვევაში, ცხრა მთის იქით გადავიკარგო შერცხვენილი, თავლაფდასხმული.

რა თავშესაფარი, რისი თავშესაფარი, თურმე ჩემი ღვიძლი შვილი ყოფილა, ჩემი ბონდო ყოფილაო, დაფეთდება უეცარი სიხარულისაგან, შეიძლება ჭკუიდანაც შეირყეს. წინდაზედულება მმართებს. რაც მთავარია, მე ხომ ვიცი მისი არსებობის შესახებ?! ჯერჯერობით ესეც კმარ**ა. მაშინ ჰრუქა ვინმე მას: აჰა დედა შენი და ძმანი შენნი დგანან გარეშე და უნებს რაიმე სიტყუად შენდა. ხოლო იესუ მიუგო მეტყუელსა მას და ჰბქუა: ვინ არს დედა**

ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანნი ჩემნი? და მიჰყო ხელი მისი მოწაფეთა მიმართ თჳსთა და თქუა: აჰა დედა ჩემი და ძმანნი ჩემნი!“* ასეთნაირი ფიქრებით ბოჭავდა ბონდო ცირა შკვითინიას ჩასახუტებლად ამჩატებულ მკლავებს. ცრემლს გულისწყრომად გარდაქმნიდა. კონიაკს ეწაფებოდა და რამდენიმე კვირის წინ საფიცარ ადამიანს აუტანელი ტკივილის ფასად უკუაგდებდა. დიახ! ასი მორევი უდუღდა სულში. ასამარებდა განურჩევლად ყველას, მეძავი იყო ეს, წურბელა თუ ქვეყნის დამამხობელი მოღალატე. აქვე დაწურული სხეულიდან მოსხლეტილი ოქროსთმიან დედას კისერზე ხელებს შემოჰხვევდა, თავს მკერდში ახუტებდა, დახოკილ ღაწვებს უკოცნიდა, მაგრამ სავალალოდ, ყველაფერი ბორგნეულ ოცნებაში ხორციელდებოდა და თრთოდნენ ბონდოს ნერვები, როგორც ფესვები ერთი კენწეროსათვის.

გაჩაღებული ბუხრის მრევლს ისეთნაირად ათვალიერებდა ჭიჭე კვეკვე, გეგონებოდათ, მათი საუბრისა არაფერი ესმისო. თვით მშვენიერ ყმაწვილსაც კი წამიერად დახარბდა მისი ვითომ გამოფიტული მზერა; მერე ჭირთათმენით მიჰყვა ბურუსების ასაბიათა ჰაეროვან წიაღებს.

ცეცხლის ალით მოზეიმე საგნები პირვანდელ ფორმას აღიდგენდნენ. მერქნის ოქროცურვილ ზედაპირზე სრიალებდა ხვეწი. განრისხებული ქარიშხალი ლაგამივით ხრავდა ქვითკირის სასახლეს, მაგრამ გრიგალის მძვინვარება ვერც საჭრეთელს აკლებდა რამეს და ვეღარც — მის ბინადრებს.

სიმინდის ნაქურჩალი და აფუჩუჩებული ბურბუშელა კოჭებამდე წვდებოდა ჭიჭე კვეკვეს. ჩონგურის ჯერ კიდევ შეფიქრიანებულ ყელს ნელ-ნელა აადევნებდა ხელისგულს. ლაჯებში მომწყდეული, გამოფფღრული მუცელი თითქოს აწყვეტას ლამობდა. ფოთლები თრთიან ამგვარად ნიავის მოახლოვებიასას. ალაგ-ალაგ ამოჭმულ, კვირის მოუპარსავ, ჭაღარა წვერზე კურცხალი ჩამოეღვინთა ჭიჭე კვეკვეს, თუმცა იმ წვეთს შუბლიდან დაგორებული და მერე ყვრიმალებთან შეერთებული ოფლიც ამკვრივებდა. მარჯვენათი ბურბუშელა ჩაბღუჯა, ჯირკებში შეეტენა, ერთხელ, მეორედ, სული შეუბერა უწყვეტად და როცა დაღვრემილი კედელი ცეცხლის ენებმა მოიარეს, სახეგაბადრულმა ჩონგური მაღლა ასწია, აათვალიერ-ჩაათვალიერა. ჭიჭე კვეკვეს მზერამ გადაუქროლა საკრავის დასახ-

ვეწ ტანს, გაიფანტა, გაიტოტა, გასივრციანდა მისი აღნაგი და შუქივით გასხლტა სიბნელეში.

იქ, იმ თავთხელებში, ჩვეული სიდინჯით მოიძია გარდასული დროის სურათები. რაღაც მოტკბო, მსუყე გრძნობა დაეუფლა.

„რა ეთქმის ჩემს ცხოვრებას, დაცემა თუ თანდათანი მოთენთვა?! უცქირე ქარით აქაოსებულ ფერებს, რომელსაც უცაბედი ხილვა წაებღაუჭება ხოლმე და ჩანჩალ-ჩანჩალით გალიე საწუთრო. ხანდახან ამომშრალი ჭის გოდებით შემოიხედე ხრიოკ სულში. იქ დაგიხვდება მხოლოდ ხავსი, მხოლოდ ჩალისფერი და უამური; იქ იბოგინებს მხოლდ წყურვილი და უსასუოობა. ცირიბიას მოყენებული ჭრილობა ვერასოდეს შეკრავს პირს. უძილო ღამეები ითქრიალებენ იქიდან. რა ითქმის ამაზე, მიწის მადლი, ცისიერი სიკეთე თუ სულაც გამოღვიძება?!

ჭიჭე ვეკვე. ასეა, წინამძღოლისათვის კი არა, თვით ძე შეცდომილისათვისაც არაფერია უფრო ფასეული, ვინემ იცხოვრო ადამიანებისთვის, იბრძოლო ადამიანებისთვის, მოკვდე ადამიანებისთვის. რაც უფრო მალე გადადგამ ამ ნაბიჯს, მით უკეთესია, მაგრამ დაგვიანებული არასდროსაა, თუნდაც სიკვდილის წინა დღეს.

ვინ ასწავლა მამაჩემის სიტყვები ღვთისნიერს?! განა ლამპარი ჩაქრობის წინ არ ნათდება მომეტებით, ან სიკვდილით შეპყრობილი ხეები ნაყოფით შემთხვევით იხუნძლებიან განა?! ჭიანჭველას ხომ დაღუპვის წინ გამოუვა ფრთები და გედიც თეთრონ ყელს ასეთ დროს წაიგდებს ხოლმე სასიმღეროდ?!“

აქამდე რაღაცნაირად ფარულის, უცნობის თუ მიუწვდომელის აღმოჩენამ ჭიჭე კვეკვე ერთიანად შეძრა. მხრები ისეთნაირად შეაქანა, იფიქრებდით, შემოფრენილი ყორანი აიქშიაო. მისი აზრის დინება ჩონჩხზე შემოლეულ ხორცის ჩივილს თრგუნავდა. იმედოვნებდა, რომ ბოლოს და ბოლოს სიბერის ქარებს აჯობებდა, მკერდში დაგუბებულ ხმას მთელს ქვეყნიერებას მიუწვდენდა. ასე ოცნებობდა და ჩხირისთავების შესაყრელად კაეშნით მოღერებულ ყელს ჩონგურისას აკოცა და აკოცა.

ჭიჭე კვეკვეს ახლა უფრო მოსწყურდა სიცოცხლე. ყელიან კვერს სწვდა, ჩაკბიჩა, თვალი ჩაუპაჭუნა ცხელი ლუკმით პირდაფუფქულ ბიჭებს. შესცინა ნახევარძმა კემეს და ბეღურასავით მობუზულ კვატალას, დასაქმებულ თუ მომასაალათე მეზობლებს.

ქვაბს ქაფქირს უმარჯვებდა ცირა შკვითინია. მოკვარჩხალე წყლიდან თევზივით მოლაპლაპე ყველიან კვერს ამოაბზრიალებდა, გობზე გადმოიტანდა, სევდიანად შეათვალიერებდა თითოეულს, ისინიც გაიბადრებოდნენ და ეს ბაგეპობა ნიკაპს აუთრთოლებდა ისედაც გაფითრებულ ქალს.

გვიტ ანთარიასთან ულუკმაპუროდ დალეულ ლიტრამდე იზაბელას ჭიქა კონიაკიც რომ დაემატა, ბონდო ჰალიძონიას სახსარი ამოერვა. აბოყინებდა ახლახან დენდი. სატანურად იცინოდა.

,,მე აპრიორი* ვარო, გაჰყვიროდა დამსწრეთათვის გაუგებრობას და უჩინარ მტერს წახელებით უსწორდებოდა. ვერც წამოაჯინეს, ვერც წამოაყენეს. მერე ძმაკაცები იღლიებში შეუძვრნენ სუფთა ჰაერზე, აივანზე გაიყვანეს ,,ყუნწმომტვრეულ გოგრას დამსგავსებული'' და ,,ქვეყნის დამლაგებელი ძუბას დოხტური''. ძლივძლივობით შეათრიეს საძინებელ ოთახში. ცირას ლოგინში ჩააწვინეს, თავი აუმაღლეს, ღილი შეუხსნეს ყელთან; ჯერ ქამარი მოუხალვათეს, მაგრამ მერე შარვალი და წინდებიც გააძვრეს შკვითინხეს მითითებით.

ბონდს სიტყვებმა გული განსაკუთრებით ჭიჭე კვეკვეს ატკინა, თუმცა რას იზამდა?! ბუხართან მიმყუდროებული მორს ჩორკნიდა და სატრფოსთან გაიგიავებულ, ,,ტყვექმნილ ჩონგურს'' მონობისაგან ათავისუფლებდა. საკრავის მინაზებულ ნაკვთებს ისე ესაუბრებოდა, თითქოს უგრძნობელი კუნძი კი არა, ზესულიერი არსება ყოფილიყო.

,,როგორ, რანაირად გავწირო ეს ხმა?! რა ძალით, რა ნებისყოფა უკუვაგდო ჩემი სულისა და ხორცის მამოძრავებელი უმთავრესი ენერგია?!

ბონდო: ვის, რომელს დაკარგვია თქვენი მეგრული. არსად გაგექცენთ, მაგრად მოუჭირეთ ხელი! მოკვდა შუმერული, მოკვდა ხეთური, კიდევ რამდენი სემიტური და ინდოევროპული. ასიმილაცია განიცადეს წვრილ-წვრილმა ენებმა, გამსხვილდნენ, განვითარდნენ. ბაგის კომუნიზმიც ხომ ენათა შერწყმას, ენათა სინთეზს გულისხმობს საიმჟამისოდ?! ინგლისურად მეტყველებს დღეს ნახევარი მსოფლიო, ესენი კი ძველებურად საყველპურო მეგრულს ებღაუჭებიან. ბაჭამ ქორთუ!* გარეგნულად თუ არა, შინაგანად მაინც ხომ ყრუ რტო — სამეგრელოს განასახიერებდი წლების მანძილზე?! იქამდე გაიჟღინთე, იქამდე გაჯერდი მისით, რომ ყოფითი საგნები და მოვლენები რა სახსენებელია, თვით ობლობაში გაზრდილი ფარშეავანგიც კი გა-

დაგავიწყდა დედულეთის ერთადერთ ჭირისუფალს; ხოლო როცა გონს მოეგე, ცხოვრებას იგი ეტლის ბორბალში მოყოლილი ბაწარივით დაეთრია. ჩანასახშივე მკვდარი ხმა ვის გინდა ახლა მიუწვდინო?! თუ დაიღიღინებდი, იმასაც საკუთარი სიამოვნებისათვის, ან კიდევ მაშინ, როცა დაგროვილ ბოღმას ვეღარაფრით იქარვებდი. ვინაა დედამიწს ზურგზე შენი მჯობნი, რომელი, მაგრამ რად გინდა: შენს კილოზე ვეღარ დაგიმღერია! შენს არსებაში ორი ძალა იბრძვის ახლაც — პოეტის მე და საქართველო. პირველი სამშობლოს დაქუცმაცებით, დანაწევრებით თვალშეუდგამ სივრცეებს გპირდება; მეორე პირიქთ ხელოვნის მეობას განუყოფელ ერთობას სწირავს ზვარკად. ზეზეურად კვდება შენი ზეგარდმო ნიჭი, ძვალ-რბილში იხარშება, სულის გასაოცარ გამობრწყინებას საქვეყნო საქმეებს სწირავ, კრებითს ემსხვერპლები, როგორც შემოქმედი, როგორც გენია. არც დიდება გიძებნია, შენ და აღარც — პატივი და თაყვანისცემა. ხალხს უკეთ რომ შეეტკბო, საკუთარ ლექსებს ლადი ჭანიას გამოთქმულად ასაღებდი. თუ ყველა მცირე ერს ბევრისგან ჩაყლაპვა უწერია მართლაც ბედად, რაღა მაინცდამაინც შენ, ჭიჭე კვეკვემ, უნდა დააჩქარო ეს აღსასრული?" დაობდა თავისთვის და ჩონგურის მოღერებულ ყელზე საჭრეთელს აფხაჭუნებდა. ხელები უშეშდებოდა დროდადრო, თვალებიც უშტერდებოდა, მაგრამ გამოერკვეოდა თუ არა, მაშინვე მუშაობას აგრძელებდა. საჩონგურე მორიდან სანახევროდ გამოთლილ საკრავს ტანწყობილებას უთვალიერებდა. განსახორციელებელი ინსტრუმენტი თანდათან უახლოვდებოდა იდეაში არსებულს. „მარტოობის ამ ერგას წელიწადში საკუთარი ხმისა და ჟღერადობის ათეულობით ჩონგური გამომითლია. სხვებივით ნაჭერ-ნაჭერ როდი ვაკოწიწებ. მე სკულპტორი ვარ და არა მეწვრილმანე. კეთლგონიერმა ტყემ მასწავლა ეს. იქ ხომ ყოველი ჩირგვი მისეულ საგალოებელს მღერის, ყოველი ხე საკთარი ბედით ცხოვრობს, იღბალსაც განსაკუთრებულს უმზადებს საწუთრო: ზოგს შეშად შეუკეთებენ ღუმელს, სხვებიმეხით დაილეწება, მრავლისგან საკუბოვე ფიცარს გამორანდავენ და ბევრისგან — აკვანს", ასკვნიდა ჩონგურის მჩორკნელი კაცი და თვალები სიამით ელულებოდა. ასე ემართებოდა, როცა ჩხირისთავებს აწრიპინებდა, ცერს აცეკვებდა, დაუდგრომელი სულის ტრაგედიას ჰანგებს მიანდობდა, რომელთა ფეთქვაში ინთქმებოდნენ დედულეთის ჯუჯა გორაკები. ტანმორჩილი წყავებისა და ნაგალა ვაშლის ხეებს ზევით მდორედ მოცურავდნენ ის სურათები, სადაც მძლავრობდა და ჩრდილებს ამოკლებდა ნარბენალი ცხენივით გახვითქული მზე. აჭკნობდა

აკაციის სარებიდან ყურდაცქვეტილ ჭინჭრებს, ღობეზე გადმოწვენილ ჭიაფერას აკიდოებს, უკვდავძირიანი ანწლის თეთრ ჯამებს თუ ნიავით დარწეულ მაბჟალიებს. შაშვების გაჭახჭახებასა და ჩხიკვების აჩხაბაჩხაში სუსხიანი დღეების მხარდამხარ ჭიჭე კვეკვე, მიაბიჯებდა და ჭინჭყლი ტაროსის ჯინაზე კისკიასებდა, სათნოვდებოდა სივრცეში სამუდამოდ დაბინადრებული მელოდია.

ჭიჭე კვეკვეს ლირიკის მასაზდოებელი მუზა ცირა შკვითინია გახლდათ, რომელიც ყველგან კუდში დასდევს პოეტის მე-ს, მაგრამ სიანკარის წლებშივე ბეატრიჩესავით ცად ამაღლებული მიჯნურის სულის შეხება ირეალურს ასიმბოლოებდა მასში და წინდებულ ხატს „სიასამურის ბეწვის მელანქოლიითო თრთვილავდა. როცა მარადიული სევდა თანგავდა ჭიჭე კვეკვეს, ერთადერთ ნუგეშისმცემელ მესაიდუმლეს, ცირა შკვითინიას, შეაფარებდა ხოლმე თავს. მალე „კაცის თვალით უხილავი ჩეროები“ ცოცხლდებოდნენ, იღვიძებდნენ „კაცის ყურთათვის მიუწვდომელი ხმები“ და სამყარო ბედნიერ შეყვარებულთა ჩურჩულს ემსგავსებოდა.

ცირა შკვითინიამ რაც კი ზეძრები და შალითები ჰქონდა, ერთიანად ამოქექა ღვედეშემოჭერილი ჩემოდნებიდან. ვინ სად მოათავსა, ვინ —სად. წყალში გაჭირვებული სტუმრები სამ-სამად, ოთხ-ოთხად იწვნენ ტახტებზე, ზამბარებიან ლოგინებსა თუ პირდაპირ იატაკზე. ნემსს ვერ ჩააგდებდით ზალა — სასტუმროში, მისაღებში, დერეფანში. თვითონ დიასახლისს საძინებელში მოსვენება განეზრახა, რათა სასმელისაგან შეჭანჭყარებული ბიჭისათვის მოევლო, საჭიროების შემთხვევაში თავი აემაღლებინა, ტაშტი მიეგებებინა და სველი პირსახოცით მოესულიერებინა გულშეწუხებული.

— გეყოფა, მოისვენე აწი! — უთხრა ჭიჭე კვეკვეს მასპინძელმა, თან მხარებზე ალერსიანად დააყრდნო ხელები, — უძილობა მავნეა ჩვენს ასაკში. „ეჭვიანობს ყიამყრალი. მრუშობა. სიძვა. **ბონდო ბოში მუშ ნანას ქახუტოლუ გურსია. ცარიელი აკვნის დარწევა ვაშინერს, მით უმეტეს იგი წართმეული შვილის თუა. უფრო და უფრო იწირება ონწყვშიაში ჩაძირულის მსგავსად. უმანკო ჩასახვა“.**

— ცოტაც მადროვე! — მოსჭრა თავაუღებლად საჩონგურე მორს ჩაკირკიტებულმა. „თავიდან მიცილებს, რათა მერე მეტი მოხერხებით მიუჩოჩდეს ოქროსბუმბულიან მამლაყინწას. მოგიწევს, ქალაბტონო ამაღამ მარხვა!“

ცირა გშკვითინიამ რამდენიმე ნოწკერიაზ ღრმად შეაცურა მაგიდის ქვეშ ფეხით.

ბონდო ჰალიძონია ბორგავდა, შფოთავდა; გაცხარებით ედავებოდა, ეკამათებოდა ვიღაცას. მერე წყნარდებოდა და აქა-იქ ღიმილიც კი გადაუქროლებდა ბაგეზე. თავზე ჩხრიალა წყაროები გადასდიოდა მწყურვალს და ჩალასავით გამომშრალ ტუჩებს აცმაცუნებდა. ამით საბაბმიცემული ქალი სასთუმალთან მიუჯდა პირისღებინებით მისავათებულს. თავი აუმაღლა, მარწყვის კომპოტი მოაყლუპვინა. შემდეგ ჩამოუარა ოთახებს და შუქის წყარო უკლებლივ ჩააქრო. ჩონგურისმთლელის ბუხრის თაროზე მბჟუტავი ლამპა კი უბოდიშოდ გაიძღოლია მკერდზე ალბომმიკრულმა.

ჭიჭე კვეკვეს ამ დანაკლისისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. სალეს ქვაზე ძველებური გულმოდგინებით აციბრუტებდა საჭრეთელს. ერთიცა და მეორეც როცა ალერსით დადნებოდნენ, აფხიანებულ დანას საკრავისაკენ დაძრავდა ნეტარებით მთვრალი. სატრფოს მოლანდებას გადევნებული ანთარია დაგორებული ლოდის სიმსუბუქით ედავებოდა ბედისწერას. აქა-იქ წაუღიღინებდა კიდეც.

,,ამიერიდან სულ ამ აღმაფრენით ვივლი. რაც უფრო მალე გადადგამ ამ ნაბიჯს, მის უკეთესია, მაგრამ დაგვიანებული არასდროსაა, თუნდაც სიკვდილის წინა დღესო. ღლაპმა საიდნა მოასწრო ამდენი ნეტავი?! მამაზეციერი ზოგს თავზე დააბერტყავს ყველა სიკეთეს, ზოგისთვის ფრჩხილისოდენასაც არ გამოიმეტებს. ბევრი იწრიალა ტახტაზე, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა''.

მიმქრალ ბუხარს შეშის ახალი ნაჭერი შეუკუეთა ჭიჭე კვეკვემ, ბურბუშელა, ნაფოტები და ხელის გაწვდენაზე მოჩხრეკილი სიმინდის ნაქურჩალიც მიაშველა. სიბნელე უკუიქცა. ქარიც ნელინელ დაცხრა. მხოლოდ წვიმა არ აპირებდა წუთისოფელთან დაზავებას.

უკანასკნელი მუგუზალი იფერფლებოდა. ბურბუშელას მიაყრიდა. ალი წამოვარდებოდა, ისევ მიინავლებოდა ბუხარი. სამაგიეროდ წელში გამოყვანილი ჩონგურის სინათლეც წამიწამ მატულობდა, ვინაიდან ფანჯრებს მოყრდნობილი ცისკარიც თავისთავს ადასტურებდა.

ასეთ გაწამაწიაში ჩავარდნილი ჭიჭე კვეკვე ტკბილმა მოთენთილობამ გააზმორა, დაიძაბა, დაიჭიმა მთელი სხეულით, მერე მოეშვა ერთბაშად, დაიჩუტა, კატას რომ სჩვევია, იმგვარად. ფანჯარას მიხედა, საიდანაც ყოველი ოდაბადელისათვის საამური იმედების აღმძვრელი ალიონი მოსრიალებდა.

ჭიჭე კვეკვე წამოდგა. საძინებლის ღია კარში თავი შერგო. ფშვინავდა ტახტაზე გაუხდელად მიწოლილი ცირა. ბონდომ საბანი შემოუკეცა. ქალს შალი მიახურა. შუშაგაჭვარტლული ლამპა ჩააქრო და ბუხრის თავზე შემოდგა, სადაც ახალშობილივით ჭიპმოჭრილი, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოვრების გზაზე გასაყვანი, საწუთროს კვამლს და ჭირისოფლში გამოსატარებელი ჩონგური კი ანათებდა. ნათელმა განწყობილებამ წარსულის მარილმოყრილ ჭრილობებს აჯობა. ზღურბლს გადააბიჯე ჭიჭე კვეკვემ, ტყვიისფერი ტყორტყოშითმ გაზიზინებულ ეზო-კარს მიაყურადა აივნიდან.

,,აგვაფორიაქა, მაგრამ მშვენიერია ოხერი! ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა. როგორ ერკვევა ლიტერატურულ პროცესებში?! რამდენი რამე იცის?!''

ბუხრების საკვამური ალაგ-ალაგ ხრჩოლავდა. წვრილად წვიმდა. ხშირტოტება წყავიდან მამალმა იყივლა. წყალს დაეფარა საქათმე, საღორე, ღობეები, ჭის გვიმი. ჭოროფაში ყანჩასავით ყურყმელაობდა იწონარი. ქვითკირის სახლის კედელს მიხედა, მაგრამ აქვანთებულ ნაკადს დაკლებისა არაფერი ეტყობოდა. შალითაგადაფარებული მოტორიანი ნავები მინაჩამსხვრეული ფანჯრის ზედა ჩარჩოს ეხახუნებოდნენ. გადახრილი ბებერი ვაშლის ხის მიმართულებით სივრცეს მიაცივდა ჭიჭე კვეკვე, საიდანაც ქარის სისწრაფით თხელდებოდა დაფიონი. აღმოსავლეთისაკენ მიცურავდნენ დაჯირჯვებული ღრუბლები. სუროს ფოთლებში გაჭახჭახებული შაშვის ბინდისფერ სხეულს თვალი გააყოლა. მღელვარე, სიცოცხლემოწყურებული მკერდი ძალუმად მოისრისა.

— ოჰოჰოი! — გასძახა სულგანაბულ სოფელს.

— ქორეთო, შური ქოიდგუნანო?!* გამოეპასუხა გვიტ ანთარია.

ტანმაღალ თელას შეხიზნული ძერა შეფრთხიალდა, მშვიდი იერით წრე მოხაზა ერთხელ, მეორედ, მესამედ და იმავე წვეროსკენ დაბრუნდა უვნებელი.

ჰალიძონიების სრასახლი ზღვით გარემოცულ ციხე-კოშკს მიამსგავსა შორიდან ბონდომ. სამანქანო გზა ტანშხვართი ევკალიპტების ხევინით უკავშირდებოდა იგი. წვიმის წვეთების რიალი ქარგავდა შუკის ორივე მხარეს მიჯრით ჩამწკრივებულ სოკოსმაგვარ ლამპიონებს, რომელთა თეთრი ქუდები ლოტოსის ყვავილებივით ტივტივებდნენ წყალში. მოდიდებული ნიაღვარი მოქშუოდა და ფარშა-

ვანგა — ჭიშკრის წამახვილებული წვეტები ნაკადს ბრჭყალავდა, ალიანდაგებდა.

ბონდომ დაფნის ნარგავების გასწვრივ მისდია მოტორიანი ნავით შესასვლელიდან გარაჟამდე აღმართულ ტალავერს.

„ჭეჭე კვეკვე: არდაშელ ჰალიძონიასთან მისვლას ნუ ეხუმრები, ჯიჯი. შენ ეს ცირიბიას ხვეხვერია ლოგინში ნებივრობა ნუ გგონია. მზეთუნახავი ქალიშვილი კი ჰყავს ნოჩოევიჩს, მაგრამ მის სამოსახლოსთან პოტენციური მკვლელი დაძრწის, იცოდე. ვინც დამპალთან მიბედავს, უნახავი ძმის სულს ვფიცავ, არ დავინდობო, დაიქადნა ამას წინათ პატიმრობიდან გამოქცეულმა დურუმ; ასე რომ, ტყუილად როდი გკითხე, გულადი ხარ თუ ლაჩარი-მეთქი.

ძუბა ჭანია: ათი კაციც რომ გახლდეს, მე მესტუმრე, ნანაგე, მე. კურდღელივით თრთიან დურუს შიშით. კი, მაგრამ ნადირთა მეფე ლომი რითიმე აღემატება წრუწუნას?! ადამიანების თანასწორუფლებიანობას ქადაგებს ჟინი ანთარი თავისი გენური ინჟინერიით და სინამდვილეში ძალმომრეობის ჩარჩოებს ვეღარაფრით სცილდება. ვთქვათ, მოხდა გათანაბრება ეკონომიკურ და იურიდიულ დონეზე. ინტელექტს რას უშვრება, ერუდიციას?! სხვებზე უკეთესად ნუ მოგაქვს თავი. სიცრუითა და ორპირობით მოზელილი! მიგიხვდი ვითომ ქარმაგს დედა?! რას მეუბნებოდნენ მისი შეძრწუნებული თვალები, რისთვის შემიცურა თმაში თითები, როცა კომპოტს მასმევდა, ან რატომ მეცვა ყველაფერი უკუღმა?!“

მოტორიანმა ნავმა თუხთუხით ჩაუარა დატბორილ ოდა-სახლს, გარაჟს. გისოსებიან ციხე-კოშკს უტრიალა ერთხანს, მაგრამ როცა იქიდან ჩქამიც არ გაისმა, კიჩოზე მოკალათებულმა ჭიჭე კვეკვემ ხმა გაიღო:

— ხანტურ, ხან-ტურ! არ უნდა ამოგყოლოდი ცირიბიასთან. გვიტის თხოვნის შეუსრულებლობა იქნებოდა?! აფსუს, რამდენი კობრი გაიქცეოდა აუზიდან! ან რა დღეში იქნება ტაოტიანი „ოცდაოთხი?!“

მეორე სართულის გისოსებიან ფანჯარაზე ფარდა შეირხა, გაიწია. თითქოს აქამდე მოფარებულიდან იკვლევდნენ მენავეთა ხასიათს, კენჭის თუ მარგალიტის სიმაღლეს ანიჭებდნენო; თითქოს დააზუსტესო მათი ავ-კარგი, ამიტომაც უხმობდნენ ახლა ბანჯგვლიანი ხელის ქნევით სათანადოდ ამოცნობილს. თუმცა ჰალიძონიების სასახლეში

შეღწევა ერთობ გაჭირდებოდა ამჯერად, ვინაიდან მას გარე სამყაროსთან არც კიბე აკავშირებდა და აღარც — აივანი, ხოლო ის ერთადერთი რკინის კარები ღვართქაფს ამოეხერგა.

არდაშელი დუმდა, თითქოს ეგრძნო სტუმრების საწადელი, თითქოს ეყნოსა, რომ ყოველივეს დურუს გასაღიზიანებლად მოიმოქმედებდნენ.

ძმისწულის განთავისუფლების დღეს სიკვდილივით შეჰკანკალებდა არდაშელ ჰალიძონია, ამიტომაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადამტერებულისათვის სასჯელის გასახანგრძლივებლად არაფერს ზოგავდა — ფულს სავარძლიანი ხალხის მხარდაჭერას თუ კანონიერი ქურდების ძალმოსილებას. საათივით ჰქონდა აწყობილი საქმე, მაგრამ ეგერ: „ფრთხილად იყავი, დურუ კოლონიიდან გაიქცაო", შეეხმიანნენ რაიონული მილიციიდან თვენახევრის წინ და არდაშელმაც მოსვენება დაკარგა.

— გვიტ ანთარიას დავალებით მოვდივარ. თუთურიამ და სახუმ...

— შუაკაცებს დამიხედეთ! ხალხი გაწყდა ოდაბადეში? წუხელ ბაგიმ დაგვდო პატივი, ახლა თქვენ შეენაცვლეთ! რა ხდება სოფელში?! ალბათ თავზესაყრელად მოგიგროვდა საქმე!

— სამწუხაროდ, ნოჩევით, სამწუხაროდ! ადამიანის მსხვერპლი არ არის. ენგური ღორებს და ძროხებს მოატივტივებს მხოლოდ.

— სად არის ბაგის ძმადნაფიცი სამხედროები?! როდის გიპირებენ ევაკუაციას, როცა ერთიანად ამოწყდებით?!

— ჯერჯერობით ხალხი მტკიცედ დგას. შენი თავმჯდომარეობის დროს უფრო გარბოდნენ სოფლიდან, ვინემ ახლა. მილანდარი გიხარებთ, ალბათ, გულს?!

— აბა! სულ იმ ჭკუათხელს ეძახის წივილით. რას არ ვეცადეთ, ცალკე ძიკვა და პუტა, ცალკე — დედ-მამა, ცალკე — ხანტური და მე, მაგრამ ყოველგვარი მეცადინეობა წყლის ნაყვა გამოდგა. ბოლოს იძულებული შევიქენით გაგვეთოკა და ახლაც ხელფეხშეკრული ზმუკუნებს ლოგინში.

— როგორ, ავადმყოფი გათოკეთ? ასეთი უსულგულობა გაგონილა?!

— სტუდენტია, მაგრამ ზოგიერთი პროფესორი მიმიქარავს. ამან გადაარჩინა აშკარა სიკვდილს ძუბა ჭანია. მერე, წუხელ გაიგო თუ არა თუთურიას გასაჭირი, ხელის ერთი შევლებით განვკურნავ დედამისსო, დაიტრაბახა და ვნახოთ, რა ბიჭიცაა.

— არიქა, ეგ ყოფილა ჩვენი მხსნელი! თუმცა რად გინდა, გამახსენდა, შემოსასვლელი ჩაკეტილია.

— უსაშველო არაფერია, ნოჩოევიჩ. იმსიგრძე თოკი მოგვაქვს, მთელს ოდაბადეს ეყოფა თავის ჩამოსახრჩობად.

— ოღონდაც მილანდარი დაწყნარდეს და ჩემს ჯანმრთელობას ვჩივი?! საკმარისია ოდნავ ამიწიოს წნევამ და მეორე ინფარქტი გარანტირებული მაქვს.

— გეკადრებათ, ნოჩევიჩ! ეგერ, ხანტურიც გამოჩნდა. სანამდის სასაფლაოდან მოვბრუნდებოდე, გიორგის თქვენს განკარგულებაში ვტოვებ!

ქალიშვილმა ხელი შეაგება ქამანდივით წამოზუზუნებულ თოკს და რკინის მოაჯირს საიმედოდ შეანასკვა.

უმზერდა ბონდო ციტრუსების შეფუთნილ მწკრივებს, ტელევიზორის ბოჯოჯღო ანტენებს, სამტრედეებს; ატყვევებდა ლამპიონებისა და „გემბანზე გადმომდგარი“ ხანტურის თვალების კრიალი.

„მიდი და ნუ ერწმუნები სიზმარს. ჯერ იყო და ძუბა ჭანიას ფეხებიდან ჭიაყელასავით წაკლაკნილი სისხლი. ამას წყალდიდობა დაერთო ზედ, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მიწისძვრას. შემდეგ სატანჯოელების თავზარდამცემი ამბავი. მიუმატე ყოველივეს ხანტურის დაშრეტილი მკერდი და წრედიც შეიკვრება.

ჟინი: შვილო, ბუტუტი, შენ უნდა განაახლო, უფრო მეტიც — უკვდავებას აზიარო ჩემი და მაფას სიყვარული, მაგრამ საამისოდ ჯერ სულიერად უნდა გადაარჩინო ხანტურ ჰალიძონია და მერე — ხორციელადაც. მაპროგრამებდა“.

ლიმონარიუმების დედოფალს მარჯვენა მკერდი მართლაც ფიცარივით გაბრტყელებოდა, მარცხენა — გათქვირებოდა, გავსებოდა და ამ შეუსაბამობამ ბონდო ცოტათი დააბნია, მაგრამ თვალის დახამხამებაში გამოცოცხლდა, განქარდა მისი უბადრუკი ორჭოფობა.

რკინის საფეხურებით დაეშვნენ უხმაუროდ. განვლეს საძინებელი ოთახები, ხალიჩები და ფარდაგები. ილუმინატორის მსგავს ფანჯრებიან კაბინეტში (მესამე სართულის მეხუთედი მაინც რომ ეკავა), მოჩუქურთმებული თაროებიდან სქელტანიანი წიგნების ლაშქარმა შემოანათა ბონდოს, მაგრამ ასულმა კისერწაგრძელებულ ვაჟს მათი დათვალიერება არ დააცალა. ბიბლიოთეკას მსუბუქი ხელკავით გამოარიდა.

ყველგან უფლისწული მონტეგისა* და ფერია კაპულეტის* სურათები იყო გამოფენილი. მას შემდეგ, რაც ეს ტრაგედია დედაქალაქში იხილა ხანტურმა, მოსვენება დაკარგა. არდაშელმა მამაილა

ქალიშვილს საწადელი დროულად აუსრულა და უიღბლო შეყვარებულების სინაზემ, მათმა ერთგულება-თავგანწირვამ აქაურობა მალე დაიპყრო. ახლაც გოგო-ბიჭს გზადაგზა მიაცილებდა მათი ზოგჯერ აცამზევებული, ზოგჯერ კაეშნიანი მზერა.

,,აი ცხოვრება!

ჭიჭე კვეკვე: როცა ჰალიძონიებისას ყველა წერტილი ჩაერთვება ელექტროქსელში, ჩვენს ტელევიზორებში მოჩვენებები იწყებენ სიარულს. ბედმა თუ გაგიღიმა, მოდერნიზებული პირამიდის წიაღში ჩაქანდები, ცხენო! წარსულს ჩაბარდება შენი უდედმამობაც და უსახლკარობაც. უხსოვარი დროის მერიდიანები გაგეკვანძება თვალწინ. ყარაყუმისა და საჰარის უდაბნოთა ქვიშნარები აგიშარიშურდება ფეხქვეშ. მერე ჟამთასვლა ბაბილონის გოდოლის ჩამოქცევიდან მოყოლებული დღემდე, მალემსრბოლი კადრებით გაირბენს ეკრანზე. რა ცირიბია, რისი ცირიბია, ქალის უნახავს გაგხდის! ორჯოყონი!''*

არდაშელი არაფერს იშურებდა ხანტურისათვის, არც სპილოს ძვლით გაწყობილ როიალს, აღარც კინოფიკაციას და ფილატელიას.

სისვი, ასუანის ჩამომავალი, წმინდა სისხლის არაბული კვიცისთვის ექვსასი ათასი მანეთი გადაურიცხა სტავროპოლელ მეცხენეებს კოლმეურნეობის ბიუჯეტიდან და ,,სოფლის კეთილდღეობას გადაყოლილმა'' ქალიშვილს უსახსოვრა დაბადების დღეზე.

დერეფანში ჩამწკრივდა სხვადასხვა კალიბრის შაშხანები.

რბილბეწვიანი ავაზები, წვრილთვალება მელიის თუ კაცივით შემართული ჩრდილოეთის დათვის ფიტულებთან სპორტული მშვილ-ისრები ელაგა კერამიკის დიდრონ ქოთნებში.

სამარყანდში დამზადებული ხალიჩა — ჭადრაკის ვერცხლის თითოეული ფიგურა კილოგრამამდე იწონიდა.

ხანტურის სურვილები გავლენიან მამას საკუთარ შესაძლებლობათა წარმოჩენის არენად გადაექცია.

არდაშელისათვის ასულის გათამამების მთავარი მიზეზი მომეტებულ სიყვარულთან ერთად, შვილის აკვნისდროინდელი ტრავმაც გახლდათ, რომელი ნაკლიც ,, მამიკოს მტრედსა და ფარშავანგის ფრთას'' მოწიფულობაში საბედისწერო შეექმნა.

ამორძალი

იმ დასაწვავ ღამეს არდაშელი გალეშილი მოვიდა. ცარო მუშუქიას დასვენების დრო და ხანი გამოეძებნა. ნიკრისის ქარების მომჩივან ნოჩოსთან ერთად მერამდენე დღე იყო, რაც მენჯში იმყოფებოდა და სავსე ოჯახი ორსული რძლისათვის დაეტოვებინა. ამიტომაც თავმჯდომარემ რაიკომიდან წვეულ სტუმრებს სუფრა სასადილოში გაუშალა. შინ გვიან მობრუნებული არდაშელი აქეთ ცოლს წაეღლაბუცა, იქით მძინარე ბავშვს მიესიყვარულა.

მილანდარმა ხელებდაგრძელებულ მეუღლეს ახლადდაძინებული ხანტური შეაბრალა. ჯიკავ-ჯიკავით ლოგინამდე მიაბანცალა. წამოაწვინა, მაგრამ ადრინდელივით არც ფეხსაცმელი გაუხდია და არც წელზე შემოჭერილი ქამარი მოუხალვათებია. ცოტაც და ფეხმძიმე ქალი აყროყინებული კამეჩების მოსაწველად გავიდა თითისწვერებზე.

სასთუმალმა ნაღვინევ არდაშელს თავბრუ დაასხვა, იდაყვზე წამოიწია, ჩალოშნა თვალებდაწირპლული „ჭაკურია“. შემდეგ სარწეველას და საწოლს შუა სკამი შეაჩოჩა, ზედ ბუხრის თაროდან ჩამოღებული, შუშამოყანყალე ლამპა დადგა.

თვითგაცნობიერების დრო-ჟამის მპოვნელმა არდაშელმა ფარსმან სპარსის შეგონებანი ვინ იცის, მერამდენედ აიფარა სახეზე. მწუხრისპირული სიბრძნის ჩათავება არც ამჯერად დასცალდა ხუროთმოძღვარს, ვინაიდან მკითხველმა უღონოდ ჩაჰკიტდა თავი. წიგნი კი ლოგინზე გაშოტილს ღონეწართმეული თითებიდან გაუცურდა, ლეიბიდან სკამზე გადასრიალდა, შუქის სუსტ წყაროს უბიძგა. გამოღვიძებული ხანტურის მკერდზე წააწვინა. ჩვილის აკვანი ბაბმის საბანმა იხსნა აალებისაგან, მაგრამ ერთხელ გაღვივებული ნაპერწკალი თანდათან ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა, აქამდე მოჟღურტულე ბავშვს აწრიალებდა, თავ-კისერს ატრიალებინებდა, ასხავლებდა.

არდაშელი თვინიერად ხვრინავდა. სიზმარი ფერად ღრუბლებში დაანარნარებდა. ცირა შკვითინიას ატმის რტოსავით აყვავებული დალალები გულში ჩაეხუტებინა. ამ დროს კი მშობლიური ალღო მიწაზე ფეხდაუკარებლად მოარბენინებდა მილანდარს.

აწივლებული შვილი არტახებიდან ამოგლიჯა გამეხებულმა დედამ. ახრჩოლებული ლამპა ფეხით ბუხარში შეაგდო. ქეჩოში ჩააფრინდა არდაშელს. წიხლი მიაზილა ზედიზედ. აფორიაქებულმა ჭო-

ფია ანთარიას ბორანი ააშვებინეს. მოკლედ, ხანტური სიკვდილს გადაურჩა, მეორე ხარისხის სიდამწვრისაგანაც განიკურნა, მაგრამ გოგონა ბებიის და, საერთოდ, ოდაბადელების თვალში, მილანდარის მსხვერპლად დარჩა მაინც.

— შური იძია, შური! — ატანტალებდა ენას ცარო მუშუქია გამუდმებით.

წლების მომატებასთან ერთად ხანტურ ჰალიძონიას მკერდის სიდამწვრე ნელინელ ახალ თვისებრიობასაც იძენდა. განსაკუთრებით ეს უფრო ცხადი მას მერე შეიქმნა, რაც „დედის დაინვალიდებულის“ არსება აქამდე უჩვეულო ბიძგებმა შეარყიეს: მარცხენა, უწყინარი კერტის ქვეშ ცერისისხო ჯირკვალი ჩაუჯდა, რომელიც თანდათან დამაფიქრებლად იზრდებოდა, იბურცებოდა. „სიმსივნე“ უღვთოდ მატულობდა.

დაფეთებული ხანტური ამ საქმეში ფრიად განსწავლულმა ბებიამ დააწყნარა, მაგრამ თითქოს ბნელს ნათელი გამოეყოო, მაცირიამ* მალე აშკარად იგრძნო გაორება. სხეულის უძრავი ნაწილი — ჩამქრალი ძუძუ, განვითარების ზოგად კანონს — დროის ულმობელ დინებას გამოთიშვოდა და იგი უნუგეშობისას მისაყრდნობელ კედელს დაემსგავსა ასულისათვის.

ფორმამ, ცხადია, შესაბამისი შინაარსი განავითარა. ხანტურის არსებაში თანდათან ფრთხილი, თავაწეული, ამასთანავე ყოველ სიტყვას დადარაჯებული პიროვნება ჩამოაყალიბა, რომლისთვისაც წინადადებაში არათუ „ძუძუსა“ და „მკერდის“, არამედ, საერთოდ „მარჯვენის“ ნებისმიერი მორფოლოგიური აღნაგობით გამოჩენა ძარღვების ამშლელი შეიქმნა. მსგავს საკითხებზე საუბარი, როგორც ტოლებთან, ისე უფროსებთან ყურის ბიბილოებს აუპილპილებდა ხოლმე. თითქოს მკერდის უფლისეულ მხარეს ბამბით კი არა, ნაკვერჩხლებით სავსე ლიფი მიკვროდა კაბის ქვეშ.

ალბათ, თდიდხანს გასტანდა ამგვარად, ერთხელ სკოლის კიბის საფეხურზე ამომავალს, კისრისტეხით გამოქანებული უმცროსკლასელი კინტირია რომ არ დასჯახებოდა. ბუნებრივია, ნესვისთავა ქობალიას უკვე წელზე მაცქერალმა ხანტურმა ანგლობა არ შეარჩინა. ნირწამხდარ ბავშვს მთელი თხუთმეტი წუთი სდია სკოლის ეზოში, ვიდრე ბებერ ტრიფოლიატებთან არ მიიმწყდია და თავხედის ისედაც ბარაქიან „ლაყუჩებს“ წეღანდელი ზომები სანატრელი არ გაუხადა.

კინტორიამ, როგორც კი თავი სამშვიდობოს დაიგულა, დაგროვილი ბოღმა აფრქვია და აფრქვია ცრემლთან ერთად.

— მმმ, მმმ, მმმ, სი ჯუა, ჯუა!* ო, ო, დიდი რამეა შენი ბამბით გატენილი მკერდი! მაგას გერჩივნა, იმ ერთ ადგილს მოფრთხილებოდი! (კინტირია ამ შემთხვევაში გაცილებით კონკრეტული იყო), — მოსჭრა თავი სახალხოდ, რომელი სიტყვების გამო ქობალიებს ოდაბადიდან გადასახლებამ მოუწიათ ლამის: ადრეულ ასაკში უბნელ ბიჭებთან ჩირგვებში ნაძრომიალ-ნათრევმა ხანტურმა შუშა იოდი გამოსცალა ვეტამბულატორიაში. მოჭრილად რომ ვთქვათ, ჰალიძონხეს ყოფნაც სრულიად ახალი კალაპოტით წარიმართა. აქამდე სულზე უტკბეს დაქალებსაც ჩამოსცილდა და თითზე დახვეულ ძმაკაცებსაც. დაკენტდა, გაკერპდა; მეცადინეობას და ფიზიკურ ვარჯიშს უმატა. აუტანელი შეიქმნა, როგორც უვიცი ტოლ-მეგობრების, ისე — უნიჭო მასწავლებლების მიმართ. გაკვეთილებს თვითნებურად ტოვებდა, მაგრამ, აბა, კარგი დედისშვილები იყვნენ და ჟურნალში „არები“ ჩაეწერათ! არც კომკავშირის კრებას დაგიდევდათ რამედ, აღარც — საგანგებო ღონისძიებებს. სპორტდარბაზსა თუ მოედანზე კენტად თამაშობდა ჩოგბურთს, კალათბურთს. ეუფლებოდა „ძიუდოს“ და „კარატეს“ ილეთებს. ზურგს უკან ამორძალი შეარქვეს. ასეთი იყო, ჯინსის შარვალ-ხალათით საშუალო სკოლას ისე ამთავრებდა, რომ საარშიყო წერილი არავისგან მოსვლია და, რაც მთავარია, ღამღამობით წაკითხულ რომანებს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, ყოვლისმომცველ სიყვარულსაც არ აუთრთოლებია მისი სული.

არდაშელის სახელმწიფო მანქანას ეს წლები ჯანდუქობალია მართავდა. ხნოვანებითაც, გამოცდილებითაც და მორჩილებითაც თავმჯდომარის მდგომარეობას ფრიად ესადაგებოდა კინტირიას მამა. კვირაში სამჯერ რეპეტიტორებს წამოასხამდა ზუგდიდიდან და მერე ცნობილი სპეციალისტები რიგრიგობით ამეცადინებდნენ ხანტურს სხვადასხვა დისციპლინაში.

მგლით დაშინებულ მეცხვარისავით უფრთხილდებოდა არდაშელი ასულს. უზომოდ ტვირთავდა, რათა შვილში ქალის გამოღვიძების პროცესი ყოველნაირად შეენელებინა! მაგრამ, აგერ, უეჭველი განსაცდელი მოსდგომოდა კარზე!

წყალდიდობამ ერთიანად გაავლო მუსრი ბალტისპირეთიდან ჩამოყვანილ ჯიშიან ძროხებს და ღორებს. მათი კამეჩები, ღმერთმა უწყის, სად დატივდივებდნენ ახლა. კიდევ კარგი, ქერქენჯის გადარჩენა მაინც მოახერხეს. ხბოსტოლა ნაგაზებმა თვითონვე უშველეს თავს — მეორე სართულის დერეფნებში სეირნობდნენ ჯინჯილების ჩხარუნით. ეგეც რომ არა, დურუ ჰალიძონიას მუქარაც დაირღვა; იქით სახუმ

წაართვა ბერბიჭა მინისტრს შეპირებული თუთურია, აქეთ ცოცხის ტარივით შეკრული მილანდარი!

ძნელი სათქმელია, ამწუთიერ თავისუფლებას შექმნილი ვითარების გამო ანიჭებდა არდაშელი ხანტურს; თუ ფარ-ხმალს თავად ყმაწვილის უანგარიშო სიწრფელე და სახიერება აყრევინებდა?! როგორც ნოჩოევიჩი ვარაუდობდა, დღევანდელი ზეიმის ხერხემლად მოსხლეტილ სტუდენტს გადააქცევდა სწორედ. თანაც ჭიჭე კვეკვეს მონათხრობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ნიჭიც თუ აღმოაჩნდებოდა, შვილივით უპატრონებდა. დაბოლოს, მტრადმოკიდებული დურუ ქადილისამებრ, ხვალ-ზეგ სასწავლებლად წარსაგზავნ ხანტურს ამხანაგებს თუ მიუქსევდა წარსაწყმედად, რაღა იმ ველურის ხალხმა გათელოს ჩემი შროშანიო, გაიფიქრა და გულიც ყურძნის მტევანივით მოეწურა; თუმცა თითზე კბენა უკვე გვიან იყო — ამორძალის სამფლობელოში უცხო მამრმა შედგა ფეხი.

— ავადმყოფი სად არის?! — ჰკითხა ნაძალადევი სითამამით ბონდომ ქალიშვილს.

— დაბლაა, მეორე სართულზე. „ცირასავით აბრეშუმის თმა აქვს“.

— ხელის გადაბანა შეიძლება?! „უბრალომცა ვარ მე...

ჭიჭე კვეკვე: რაც უფრო მეტად ითავხედებ, მით უკეთესია, სითამამეში ჩამოგერთმევა. მორცხვი დაღუპულია, ჯიჯი. დღემოსწრება მოფარებულისაკენ ირბენს ჩემსავით. მოფარებულში სირბილი კი, მერწმუნე, ცირიბიას ხვეხვერია ლოგინში ნებივრობა ნუ გგონია, მიწასთან გაგასწორებს. პერანგი და მისი ამხანაგი რისთვის გეცვა უკუღმა მხარაქცეულივით?! ჰა-მეთქი, ამოღერღე, ხომ არ გექავება?!“

— აქეთ, აქეთ მობრძანდი! შუქი გამორთულია. არაფერს დაეჯახოთ. აგერ, სანთელიც ავანთე. წყალს გაზის კალონკით გაგიცხელებთ. „რატომ მიკანკალებს ხელები, მუხლები, ხმა? რა მჭირს, რა ამბავია ჩემს თავს?! ლამაზი თითები ჰქონია“.

— ჯანმრთელობისათვის ცივი წყალი უფრო მარგებელია. „ბილწი!“ ხედავ, რას მაბრალებს?! დღესვე ენას ყელში ჩავჩრი ნაძირალას!“

— ბედნიერი ხართ, ბედნიერი! რა სჯობია სტუდენტობას, თავისუფლებას, როცა შენი თავი მხოლოდ შენ გეკუთვნის. ოდაბადე ციხეა. თავისუფლება მხოლოდ დიდ ქალაქებშია შესაძლებელი, სადაც არჩევნია მეტი საშუალება და გასაქანია, სადაც ათას სისულელეს მოიმოქმედებ, გინდა ყირაზე დადგები, გინდა მეცხრე სართულიდან გად-

მოეშვები, მაგრამ არავინ გაგკილავს, ვინაიდან არავის სცალია შენთვის. ,,სუნთქვა მეკვრის, გულისცემა მიხშირდება. მეტი თავდაჭერილობა მმართებს!''

— თავისუფლება შეგნებული აუცილებლობაა, ჭირიმე, და არა — ყირაზე დგომა. თქვენ რასაც გუნდრუკს უკმევთ, იმას თავისუფლება კი არა, გაუცხოება, საკუთარი თავის, საკუთარი მეობის დაკარგვა ჰქვია. იცით, ეს ქალი, — კედელზე სიგრძივ გაატარა სალოკი თითი და მზერა ბონდომ, — სანამ ჯულიეტას როლში შეძვრებოდა, ჯერ რეჟისორის ხელები გამოიარა. **„არა ცილი სწამო“** სულ შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფია ეგრეთ წოდებული ამაღლებული სიყვარულები, ოჰოჰო და უჰუჰუ: ტარიელი და ნესტანი, ტრისტანი და იზოლდა, ფაუსტი და გრეთჰენი, ჰამლეტი და ოფელია; მათ შესაქმნელად ცხოვრება ძალზე ძუნწი მენატურეა. მითხარით, ერთი, ვინ იყო ელენე, მთელი ტროა რომ შეიწირა?!

— ელენე... ელენე... რომელი ელენე?!

— ყოველ შემთხვევისათვის ჭიჭე კვეკვეს დეიდები არა. ჰომეროსთან რა ხელი აქვს ქართულ სკოლას! იყო ასეთი დედოფალი საბერძნეთში, ელენე მშვენიერად წოდებული, მაგრამ მე რომ მკითხოთ, ჩვეულებრივი კახპა, მჯობნის მჯობნის მდომელი. ან, მაგალითად, ესენი შექსპირის თუნდაც ათ წელიწადს ეცოცხლებინა, დაიხოცებოდნენ მერე ვითომ ერთმანეთისათვის?! იცოდა ჭკვიანმა ინგლისელმა სიყვარულის შესაძლებლობანი. სადაც წუთისოფელი, ყოველდღიურობა, შური და ტალახი იწყებოდა, წერტილიც იქ დაუსვა რომანობიას. სიყვარული სიბერის კარამდე უნდა მიჰყვეს ადამიანს, ,,ჯობდა სიბერით სიკვდილამდე მეთქვა. მარაზმი'', რაც მისჯილი სიცოცხლის პოზიციიდან აბსურდია. ,,კრთის''.

ცირა: გრძელხელება მაზლი მყავს და უფრო გრძელთმიანი მაზლიშვილი, რომელთაც, ჭიჭე კვეკვეს სიტყვებს თუ მოვიშველიებ, არდაშელი ზემოურ უფროსობასაც უმასპინძლდება და საქმეებსაც იკვარახჭინებს თურმე. დავიჯერო ასე გაიმეტებდა ღვიძლ შვილს?! ალფონსინა.* ხანტურინა.

ჭიჭე კვეკვე: არაფერი შეგეშალოს, ჯიჯი! მასე რომ იყოს, ცოლის ღალატს ქმარი შეიტყობდა პირველ რიგში და ქალიშვილის შერცხვენას — დედ-მამა, მაგრამ საუბედუროდ პირიქით ხდება, პირიქით.“

— ...ვარ, ინვალიდი, არასრულფასოვანი?!

— თუნდაც კლეოპატრა გავიხსენოთ. იყო დრო: ერთგულებას ეფიცებოდა კეისარს, უფრო სწორედ ცეზარს, კეისარი თქვენი ნეტარი მამების წყალობაა, ,,ცანსა'' და ,,კანს'' ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან. გასწირა სენატმა ტირანი თუ არა, ანტონიუსს გაუმიჯნურდა მსწრაფლ. არ დასცალდა სხვებთან გაჯირითება, რადგანაც ყველგან ერთი და იგივე დაუხვდა. დაიღალა, ჰო, დაიღალა! ესეც თქვენი განუსაზღვრელი თავისუფლების შედეგი! ქალ-ვაჟის სიყვარული იმ ყავილს ჰგავს, რომელიც მოწყვეტილია და ჯერ კიდევ ლარნაკიდან კეკლუცობს. მარადიულს მხოლოდ დედაშვილური სიყვარული შეიძლება მიუახლოვდეს. **„დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, მიტომაც წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა.** დე-და.

ცირა: სურათი მაინც მომცა მისი და მოვკვდე თუ რამე დავიჩივლო. საახალწლო ჩიჩილაკივით დახუჭუჭებული თმა ჰქონდაო, კოლი ჭანიამ, წუხელ. მოგვიანებით გამიხდა სრიალა, თორემ ბავშვობაში მეც ისეთნაირად ამებურდებოდა, წამება იყო ვარცხნა. განახო სურათები?! კარგი, კარგი, სხვა დროს იყოს. ვისაც ჭიპთან ხალი აქვს, ბედნიერი იქნებაო, იტყვიან ჩვენში. ზუთხის ტანი გქონია. გეშინია ღიტინის?! ბედნიერების საწინდარია ესეც. ამნაირი ბოდვა მაინც საიდან ისწავლე?! რასკოლნიკოვი ვინღაა, ან ჟინი ანთარს რაღას ერჩოდი?! ''იქნებ რაიმე ნათელი ფერის კაბა ჩაგეცვათ, ხალხს რატომ უნდა ათქმევინოთ, შარვლითაა დაბადებულიო. გლოვა შიგნიდან უნდა მომდინარებდეს, საკუთარი სულის ასამაღლებლად და არა — მოსაჩვენებლად. ეგეც რომ არა, შარვალი უწინარესად ქალს თრგუნავს ქალში!

— ხანტურიი! სად დაიკარგეთ?! არ გესმის, დედაშენმა ისევ ჩართო!

— მოვდივართ, მამა! ხელებს იბანს სტუმარი. ,,თითქოს ჩემს გულში იჯდეს. ლოყებზე ცეცხლი მიკიდია. ალბათ, ყველაფერს ჩაუკაკლავდნენ იქ. ჰმ, მიფრთხილდება მამა! არიქა, რამე ისეთი არ მოაცვდეს შენს ქალწულს!''

— ჰო, შვილო, ცოტა დაუჩქარეთ!

მარმარილოს კიბეზე დაშვებულებს არდაშელ ჰალიძონიამ შეჰღიმა. უნუგეშო მდგომარეობით აფორიაქებული წამით გაირინდა, თითქოს შორს ჩასილულ ყმაწვილკაცობის დღეებს აყურადებსო.

— ,,ზედგამოჭრილი მილანდარია. მილანდარის მაღალი ყელი,

მილანდარის ნუშის თვალები, მილანდარის სრიალა თმა. მხოლოდ ხასიათით მგავს მე“.

ასულს კულულებს უსწორებდა მამა, თან ხსოვნიდან ცოლის ციმციმს იხვეჭდა.

ციბრუტივით ტრიალებდნენ კისერმოღრეცილი ძიკვა და ჯადუნია8 პუტა. გადაიხოთხოთებდა ქალი, გადაიტკარცალებდა კაცი და თითისწვერებზე გაუჩინარდებოდნენ.

საძინებელ ოთახში შემდეგი სურათი დაუხვდა ბონდოს:

ოფლით დაწინწკლული ცხვირი და შუბლი საბნიდან ძლივს მოუჩანდა მილანდარ მუშუქიას. შეძრწუნებული, ლურსმნის ნახვრეტისხელა თვალები, შველას რომ ითხოვდნენ, რწმენით მიაჩერდნენ ახალშემოსულს. სნეულს შავოსანი დედაბერი და ხელჯოხიანი ბერიკაცი ეჯდა თავსასთუმალთან აქეთ-იქით.

— ეს რა გიქნიათ, ჯალათებო! — შეუტია დამხვდურებს ყმაწვილმა.

— ისეთი რა შევცოდეთ, ნანაგე?! —დაიბნა ნიკაპწვრილი ცარო მუშუქია.

— გამოგეღოთ ფანჯარა და ბარემ ენგურში გადაგეგდოთ! მოაშორეთ საბნები ჩქარა! — ბონდომ იმედმოცემული ავადმყოფი წამოაჯინა, —ტაშტი, პირსახოცი და წყალი მომიტანე, შენ! გეყურება?! მაკრატელიც გამოაყოლე ხელს, მაკრატელიც! — დაასაქმა გულხელდაკრეფილი ქალიშვილი ბონდომ.

— ახლავე! — გამოცოცხლდა ხანტურ ჰალიძონია.

— მაკრატელი საკერავი მანქანის კოლოფშია, ბებია გენაცვალოს! — მიადევნა შვილიშვილს ცარო მუშუქიამ, რომელიც დაკეცილ საბნებს მეზობელი ოთახისაკენ მიატუსტუსებდა.

— ჩამოსხედით ყველანი! — ბრძანა ახალგაზრდამ, როცა ხანტურმა „გოროზი მკურნალის“ დავალება პირნათლად შეასრულა, — თქვენს დაუხმარებლად გამიძნელდება დროის უმოკლეს მონაკვეთში სასურველი შედეგის მიღწევა, ამიტომაც გთხოვთ, ყურადღებით იყოთ. მიპასუხეთ კონკრეტულად. მიკიბულ-მოკიბული მძულს.

„ჟინი: ბუტუტი, Psyche სულია ბერძნულად, iatreo — მკურნალობა. ეტოლოგია ის მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს დაავადებათა წარმოქმნის მიზეზებს, პათოგენეზი კი არკვევს დაავადებათა განვითარების მექანიზმებს. მეტად ძნელია ენდოგენურმ და ეგზოგენურმ მიზეზებს შორის ზღვარის დადება. ავადმყოფობა არ ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ

მიზეზობრივი პარამეტრებით, სულ ერთია, როგორი ხასიათისაა იგი, შინაგანი თუ გარეგანი. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე პაციენტის სომატურმ-ფსიქიკურ თავისებურებებს. ყოველი სნეულება, მით უმეტეს ფსიქოზიმ, დამოკიდებულია არა მარტო ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ ფაქტორებზეც. ოჯახური მდგომარეობაც ერთგვარი ფასეულობისაა ადამიანის ფსიქიკური წონასწორობისათვის. გადაჭარბებული სქესობრივი ცხოვრება ასუსტებს და ქანცავს პიროვნებას ემოციურად, ასევე ითქმის მომეტებულ შეკავებაზეც. ფსიქოზი მრავალი ფაქტორის ზეგავლენის შედეგია, მაგრამ გამუდმებით უნდა გვახსოვდეს, რომ ერთადერთი ფაქტორი ყოველთვის წამყვანი მნიშვნელობისაა. როგორც გილიაროვსკი ამტკიცებს, ფსიქოზი არ არის რეაქცია გარედან მომავალ გაღიზიანებაზე. დასადგენია ჰქონდა თუ არა მილანდარს მძლავრი ფსიქიკური განცდა; მერე შეეძლო თუ არა ამ განცდას მისი წონასწორობიდან გამოყვანა. დაბოლოს, ზედმიწევნით გასარკვევია ისიც, თუ რამდენად არის დაკავშირებქული ფსიქიკური განცდა ფსიქოზთან და მის კლინიკურ სურათთან. ვაკვირდები ახლა მილანადრის თვალებს და ვამჩნევ, თანაზომიერად უვიწროვდება და უფართოვდება გუგა.

ჟინი: ბუტუტი, თვალის გუგა ადამიანის განცდათა სარკეა. ეს ფენომენი ავადმყოფობის ღრმა დეპრესიაზე მიუთითებს**“.** ათი წელიწადი ძალზე დიდი დროა. ამ ხნის მანძილზე ექიმი თუ გყავდათ?!

— როგორ არა, ნანაგე! — თქვა ცარო მუშუქიამ, რომელსაც მარჯვენა სალოკი თითი ტუჩებთან მიეტანა.

— წამლებს თუ ღებულობდი?! — ჰკითხა ახლა უშუალოდ მილანდარს ბონდომ.

თვალსა და ხელს შუა საკვირველად გამოცვლილმა ქალმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— როგორ არა, ნანაგე, როგორ არა! იმ არდასაცილებელმა თუთურიამ უკეთ იცის ყველაფერი, მაგრამ რად გინდა, დაჰკრა ფეხი და ასეთი მძიმე ავადმყოფი ხელში შეგვატოვა!

— ვითომ რათაო, მისჯილი ჰქონდა მილანდარს მოვლა-პატრონობა?! არ კმარა, რაც ჯვარს ეცვა ათ წელიწადს?! ახლა თქვენც შეწუხდით ცოტათი. ეგეც რომ არა, სიყვარული ყველაზე დიდი ფსიქოზური მოვლენაა და ვაპატიოთ ახალგაზრდას. არაფერი დაშავდე-

ბა, თუ ბერბიჭა მინისტრი გაწბილდება. თან საქმე! ცნობილია, რომ ცხოველის ქცევა, ზოგ-ზოგისა არ იყოს, ეყრდნობა ჰედონიზმს ანუ სიამოვნებას და შიშს, ადამიანის პიროვნული მოქმედება კი — მოვალეობის, სოციალური ჰეროიკისა და შინაგანი სინდისის ნორმებს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შიშის დაძლევა პიროვნული რეგისტრებით, — ბონდო წინ გაუჩერდა მილანდარს და ფეხისგულები თითებით მოუჟღვლიმა, — გაგყინვია ხელები. ფანჯრებს რას უკეტავთ, ხომ ხედავთ, როგორი მზიანი ამინდია გარეთ?!

ავადმყოფმა მზერა ხელებიდან შეორთქლილ, წვიმის წვეთებით დაღარულ მინაზე გააიტანა და გააჟრჟოლა.

— როდის წავიდა თუთურია, გუშინწინ ხომკი?!

— გუშინ დილით გაჰყვა სახუს. მიხაკები მომიტანა და ორიოდე კვირას რამენაირად გაუძელი უჩემოდო, მთხოვა.

,,ფსიქოსენსორული აშლილობანი არა აქვს. ავადმყოფი ასე თუ ისე აღიქვამს საკუთარ სხეულს, დროსაც, სივრცესაც, მაგრამ შიზოფრენიის ნიშნებს ვერსად გავექცევით. მაშ, შევუდგეთ ანამნეზს''. — იქნებ გახსოვთ, როგორ მოილოგინა დედამისმა ნადემ. მაშები ხომ არ უხმარიათ?!

— ცხონებულმა ბაბი მურღულხემ მოარჩინა, ნანაგე, როგორც ყველა ჩვენგანი.

— მშობლებს ეკონომიურად ხომ არ უჭირდათ?! კბილები როდის ამოუვიდა?!

— კბილების ამოსვლა არ მახსოვს, ნანაგე, გაჭირვებით კი, ვის არ გვიჭირდა, განსაკუთრებით გასაბჭოებისა და ომიანობის წლებში.

— იქნებ მაღლიდან ჩამოვარდა, ან რაიმე მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია?! დამჯერე იყო თუ ჯიუტი ხასიათისა?!

— მერცხალივით ბავშვი იყო, ნანაგე. სათაკილო რძალს შემოვუშვებდი შინ?! რაც შეეხება ხასიათს, მაგისთანა მორიდებულს, მაგისთანა მუყაითსა და გამგონეს, ისევ მასთან თუ მიხვიდოდი, თორემ მეორეს ვერ იპოვიდი მთელს ოდაბადეში.

— ჯორზე შეჯდომაც უყვარდა, — შეაშველა ნოჩო ჰალიძონიამ.

— რის გამო უფრო ჰკიოდი, მილანდარ, ფანჯრებთან ავსულები რომ რიალებდნენ თუ ხელფეხშეკრული გაქცევას ვერ ახერხებდი?! გასაგებია, გასაგები! აიღე ახლა მაკრატელი და მტერი მოვსპოთ, გავანადგურეთ!

— რანაირად?! — ჰკითხა ქალმა.

— რანაირდა და აი, ასე. — ბონდომ იატაკზე დაგდებული თოკი ჩამოკრიჭა, —გამომართვი. რაც უფრო წვრილ-წვრილად დაჭრი, მით უკეთ გააცამტვერებ მტერს. აბა, მარდად, მარდად!

ბონდო ჰალიძონიას ცქერით დამდნარ ძიკვას და პუტას არდაშელმა თვალები დაუბრიალა. შებღვერამ და-ძმა ერთმანეთში აბლანდა.

ჯერ კიდევ როდის „ძუკნა ქვეყნისაგან ქედდადრეკილებს“ უწოდებდა მათ ლადი ჭანიას ჩონგური. ისეთი ზიზღნარევი წყრომით უმზერდა ნოჩოევიჩი მოსამსახურეებს, რომ იფიქრებდით, სადაც არის შეაფურთხებსო.

პუტას და ძიკვას გაწყრომაღა დააფაცურებდა ხოლმე. თავაზიან მოპყრობას გაიოცებდნენ, გამოლენჩდებოდნენ, ამიტომაც მათი შრომისუნარიანობა გამუდმებულ ბრძანებას საჭიროებდა, როგორც ვაზი — ჭიგოს.

არდაშელის გაჯავრებას კისერმოქცეულმა კაცმა უადგილოდ გარღვეული პირი მიაგება და როცა ოჯახის უფროსმა მზერა ქალვაჟზე გადაიტანა, გააჟრჟოლა. მოსალოდნელმა საფრთხემ შეაკრთო, მაგრამ მალე გაურკვეველ მომავალს თვალი მოარიდა და ოდნავი პაუზის შემდეგ, გვიმსახურეთ, ოღონდ ეს უბედური მომჯობინდეს და ჩვენ ყველაფრისათვის მზად ვართო, მსჭრა.

— მარტო ანთარიებისა და თუთურიას პატივისცემის გამო როდი მოვსულვარ. მეორე კურსზე კი ვსწავლობ, „ყოჩაღ ბუტუტი, აქამდე პირველკურსელი იყავი, დაგეტყო ჭიჭე კვეკვეს ხელი! ასე თუ გააგრძელებ, ერთ კვირაში ასპირანტურასაც დაამთავრებ“, მაგრამ რად გინდა, სიღარიბეს დაეხუჭა თვალები! დედ-მამა არც მახსოვს, ავტოკატასტროფაში მოჰყვნენ, სამი წლის რომ ვყოფილვარ, ისე, ამიტომაც დეკანატს ათი-თხუთმეტი დღით დავეთხოვები ხოლმე და შეძლებულ კლიენტებს ვეძებ, ხან— სად და ხანაც — სად.

— ფულის დარდი ნუ გექნება.

— იცოდეთ, ცოტა მეძვირე ვარ. ჩემი ყოველი ასტრონომიული საათი, არც მეტი, არც ნაკლები, ასი მანეთის ღირებულებისაა.

— ხომ გითხარი, ფულის დარდი ნუ გექნგება-მეთქი?!

— ხდება ისეც, რომ ზოგიერთი პაციენტის პატრონი, დახმარების მაგივრად ხელს მიშლის საქმის ბოლომდე მიყვანაში; ხელს მიშლის იმიტომ, რომ სიმართლეს მალავს და აქედან გამომდინარე მიჭირს მერე ავადმყოფის რეალური სურათის დადგენა. მე ყველაფერი დაწვ-

რილებით გამოვკითხე თუთურიას, სხვებსაც, ზოგი რამ თქვენგანაც შევიტყვე, მაგრამ, აი, მიზეზები ჯერ კიდევ ჭორის დონეზეა. მართლაც ცირიბიას აბდაუბდას ხომ არ ვათხოვებდი ყურს?! არდაშელი ხანტურით უმასპინძლდება უფროსობას და ასე იკვარახჭინებს საქმეებსო, წაისისინა წუხელ და ამით ერთგვარი კომპრომეტირება სცადა თქვენი, მაგრამ არა ცილი სწამო-მეთქი, მივახალე და იქვე მოვაკეტინე.

— როგორ, ცირამ! „სხვა გზა არ ექნებოდა ალაბთ. გაგტანჯე, ჩემო!“

— რატომ გიკვირთ?! ლერწამივით მერყევი ქალია. აკი, ამბობს ხუცესი,* დედათა ბუნება იწრო არსო, ხოლო შექსპირს თუ ვერწმუნებით, მთლად არარაობა უნდა ერქვას მას. მოკლედ, მე საჭიროზე მეტი შემიტყვია თქვენს შესახებ; ვიცი, რა მიზეზით ჩაუსაფრდა ენგურში მობანავე მილანდარს დურუ. არც იმის დასკვნა გამიჭირდება ახლა, თუ რა მოტივით არ დაიტირეთ მამიდა და ბიძა, ძმისშვილი, ძმა. ნაინფარქტალს არაფერი მიგიგავთ, ნოჩევიჩ, გამოტყდით, რომ შეშინდით, შინ ჩაიკეტეთ და ამით დურუს რისხვას დაემალეთ. წვრილა მომიყვნენ ლამპისა და ხანტურის მკერდის ამბავიც, სხვაც... თუ გინდათ თქვენი მტრედი ამორძალობისაგან ვიხსნა, აბაზანასა და სადილს მიმიხედოს! მაშ, ასე, პირველად რომელმა დაინახეთ მილანდარი?!

— მე, ნანაგე, მე! — თქვა ხმის კანკალით ცარო მუშუქიამ.

— კონკრეტულად სად და რანაირ ვითარებაში?!

— მაშინ ეს სახლი ჯერ კიდევ აშენებული არ გვქონდა, ნანაგე, იმ ძველში ვცხოვრობდით. მომეჩვენა, თითქოს ჩემს ფანჯარაში ვიღაც იჭვრიტებოდა. დამბურძგლა. ნოჩოს მივუჯიკავე, მაგრამ ეს უარესი მშიშარაა.

შენ მიხედეო, მიჩურჩულა, გავწიე ფარდა და რას ხედავენ ჩემი სამიწე თვალები?! აივანზე არ დასეირნობს დედაშობილა მილანდარი?! ხელად არდაშელისაკენ გავქანდი. მე და ჩემმა შვილმა შევიყვანეთ შინ. ამქვეყნიურის არაფერი ეტყობოდა. მუხლებამდე ტალახში ამოსვრილს გვირილები დაეკრიფა გზადაგზა. გამოვგლიჯე ყვავილები და ვისროლე ლაფაროში. დივანზე წამოვაწვინეთ.

— ტალახიანი წამოაწვინეთ დივანზე?!

— არა, ჯერ წამოვაჯინეთ, მერე მე საღამურისათვის გავვარდი მეორე ოთახში და როცა მოვბრუნდი, დავინახე, როგორ ანჯღრევდა არდაშელი აძაგძაგებულს. ჩავაცვი ბამბაზიის საღამური. ღუმელს შევუჩიჩხინე, ნაჭაზე ჩამოკიდებული ვედრო აშიშინდა. მინდოდა ფე-

ხები დამეთბუნებინა მისთვის, მაგრამ არ მახსოვს, მოვახერხე თუ არა ეგ.

— შეგიძლიან მაჩვენოთ რანაირად იწვა მილანდარი?— ბონდო ცალი თვალით ავადმყოფის დასაქმებულ ხელებს უმზერდა.

— აი, ასე იყო, ნანაგე! — თქვა ცარო მუშუქიამ და ავადმყოფის გვერდით ლოგინზე გაიშოტა.

— თქვენ რას აკეთებდით, ნოჩევიჩ?!

— მეე? — დაბნევით ამოხედა არდაშელმა.

— ახლა ყოველი წვრილმანი მნიშვნელოვანია. გაივლის დრო და დამიმადლით, მაგრამ ჩემი თუ არ გჯერათ, თავს ზემოთ ძალა აღარაა. ესე იგი, ყელში უჭერთ ხელს. ალბათ, იმისი გაგება გინდოდათ, თქვენმა ცოლმა ვისთან გაათენა ღამე. ხომ არაფერი მეშლება?!

— არაფერი!

— თქვენ რა თანამდებობა გეკავათ? — ჰკითხა ბონდომ სკამზე ბოლოქანქარასავით მოქანავე ნოჩოს.

— მე... არ ვიცი... ეს ჯოხი მეკავა. ,,ელექტრონი ხომ არა აქვს თვალებში?!''

— მერე და რას უშვრებოდით მაგ ჯოხით ავადმყოფს?! — ბონდომ ისევ გააპარა თვალი მილანდარისაკენ. ქალი გულმოდგინედ ჭრიდა თოკს.

,,სულის სიღრმეში გათამაშებულ სცენებს უთვალთვალებს. გონითი სივრცე.

ჟინი: ბუტუტი, შიზოფრენიის ეტიოლოგიურ ფაქტორთა განხილვისას ოსიპოვი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ორგანიზმის აუტოინტოქსიკაციას,* რაც, თავის მხრივ, შიდა სეკრეციის ჯირკვალთა პათოლოგიის შედეგია. როგორ გამიბედა ყიამყრალმა. დიაგნოსტიკაში მთავარია არა ცალკეული ნიშანი (სიმპტომი) ან ნიშანთა ჯამი (სინდრომი), არამედ კლინიკური სურათის მთლიანობა, რაშიც ვგულისხმობთ ავადმყოფური პიროვნების მთლიან შეფასებას და ყოველი ცალკეულოი სიმპტომი დინამიკურ ჭრილში განიხილება. ამ ამბავს უკვე მთელს სოფელს მოსდებდა. **შიზოფრენიის დასაწყის სტადიაში აუტიზმიმ იმის შედეგია რომ ავადმყოფები ხდებიან განსაკუთრებით ფრთხილები და მგრძნობიარენი (სენსიტიურნი), ამიტომაც გაურბიან გარემოს, ეძლევიან პირად განცდებს, უკონტაქტონი ხდებიან. შიზოფრენიის გვიან სტადი-**

აში აუტიზმს საფუძვლად უდევს ავადმყოფთა ემოციური სიჩლუნგე, ცხოველი ინტერესების თანდათანობით წაშლა და პიროვნული ინიციატივის დაკარგვა. როგორ ხიხინებდა სატნურად?! კი, მაგრამ ხანდახან რომ ბობოქრობს. რისი შედეგია ეს ემოციური ძვრები, დიაგნოზი ხომ არ მეშლება?! **შიზოფრენიკი ვერ იყენებს ახალ მასალას ან უკვე წარსულში მიღებულ ფაქტებს, რის მიზეზიცაა არა მეხსიერების უშუალო პათოლოგია, არამედ პიროვნული ინიციატივის მოსპობა და ცოდნისადმი ინტერესისი დაკარგვა.** იქნებ მართლაც ჩამიწვა ლოგინში წუხელ?! **შიზოფრენიის დროს აღინიშნება პარამიმია, პარათიმია და აფექტური ამბივალენტობა* — პარამიმია გულისხმობს ატაქსიას, შეუთანხმებლობას ემოციურ რეაქციასა და სახის გამომეტყველებას შორის, ხოლო პარათიმია — საპირისპირო რეაქციას: სიცილს, მხიარულობას სამწუხარო ამბის გამო და პირიქით.** ოიდიპოსის კომპლექსი*. ღირსი ვიქნები ჯვარზე მაცვან. რას ვამბობ, რას. უმჯობესია სიცოცხლე მოვისწრაფო. **განცდა ალტერნატიული ბუნებისაა: სასიამოვნო ან უსიამოვნო (სთენიური და ასთენიური), მოტორული დაჭიმულობა ძილში სუსტდება ან სრულიად ქრება. შიზოფრენიის დროს უფრო ხშირია ინტელექტუალური ან მოტორული სფეროების (ფუნქციები) აგზნება. ასეთ შემთხვევაში გონებრივი აგზნება ძირითადად მეტყველებითი აგზნების სახისაა, ხოლო თვით პროდუქციები შიზოფრენიულია და ასოციაცურად გაფხვიერებული.** მივქარავ, ყურისძირას, ბუხართან კაცი ჩონგურს თლის, კარი ღიაა და ამისთანა სიტუაციაში ახლოსაც ვერ გამეკარებოდა. ჭიჭე კვეკვეს სიტყვებმა მომწამლეს და ეგაა. ის კი არა, დედაჩემი, მგონი, მიმხვდაა ყველაფერს. აბა, რატომ დამხედა ჭიპზე, ან რატომ გაიოცა ჟინი ანთარი რომ წამოვაბოდე, ან კიდევ რატომ ეძებს ჩემს თმასთან მსგავსებას?! **ეპილეპსიის* დროს შესაძლებელია განვითარდეს დევნისა და ზეგავლენის ბოდვითი აზრები, რომლებიც კლინიკურად ძალიან ჰგავს შიზოფრენიულ პარანოიდს* . ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ შიზოფრენიის კატატონიურიმ ფორმების შემთხვევაში არსებული ეპილეპსიური გულყრები მხოლოდ ეპიზოდურია, ხოლო ეპილეპსიური ბოდვები არ არის მოკლებული ემოციურ სითბოს. გარდა ამისა, პიროვნების შიზოფრენიული დეგრადაციამ მკვეთრად**

განსხვავდება ეპილეპსიური დეგრადაციისაგან. პირველს საფუძვლად უდევს სტრუქტურული ჭკუასუსტობა, მეორეს — ეპილეპსიური, ე.ი. აპერცეფციული* ჭკუასუსტობა. რა მოხდებოდა ვინაობა რომ გამემხილა? უმტკიცე ახლა ოდაბადელებს უცოდველი ვარ ცირასთანო. **შიზოფრენიის კლინიკური სურათის მიმდინარეობაში არც თუ იშვიათად აღინიშნება აკვიატებული მოქმედებანი და იპოქონდრიული* შეგრძნებები. ამ ბოლო ხანებში ჰიპოხონდრიის მსგავსი რამ მოუსვენრობა და დაძაბულობა შეეპარა.** დოსტოევსკის ფრჩხილად არ ღირს მთელი ფსიქიატრია. რასთან გვაქვს საქმე, ფუნქციურ ნევროზთან, თუ ავთვისებიანი პროგნოზის მქონე დაავადებასთან?! ცხადია, ამ საკითხის გადაჭრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ დაზუსტებული დიაგნოზის შედეგადაა შესაძლებელი სწორი თერაპიული ღონისძიების შერჩევა. **შიზოფრენიის კლინიკური ფორმის შემთხვევაში აგზნების საწინააღმდეგოდ წარმატებით იყენებენ ამინაზინთერაპიას, ხოლო ონეროიდულ-კატატონური სინდრომის შემთხვევაში ნაჩვენებია მკურნალობა ინსულინით, ტიზერცინით, მაჟეპტილით. ხშირად კატატონური სინდრომის დროს ეფექტურია ფრენოილინი, აგრეთვე კრუნჩხვითი თერაპია (ელექტროშოკი,* კარდიაზოლი, ქაფური),** მაგრამ მე მაინც რაბის მეთოდს მივმართავ და ქალს ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადავიყვან**“.**

რინა მეექვსე

მილანდარ მუშუქია
857142

დღეს კვირა მისდევდა, კვირას — თვე, მაგრამ არდაშელისა და მილანდარის ცოლქმრული სარეცელი ძველებურად გათიშულიყო. ყოველ შემთხვევისათვის უცხოს თუ არა, შინაურებს მაინც უხილავთ მრგვალი მაგიდის გარშემო მორბენალი ქალი და კაცი.

— მომეკარები და თავს არ ვიცოცხლებ! — იმუქრებოდა მუშუქიების ასული. როდის-როდის ულაყივით კუთხეში მიუმწყდევია მეუღლეს არდაშელი, დასარტყმელად ხელს ამართავდა, მაგრამ მილანდარი უმწიკვლო თვალებით დაუხვდებოდა და განიარაღებული მოძალადე საძინებლისაკენ წალასლასდებოდა.

— რატომ საუკუნოდ არ დამეხუჭება უღირსი რძლის გამომძებნელი თვალები?! — ეფერებოდა ცარტო ტახტზე გაუხდელად გაშხლართულ ვაჟიშვილს. მიტევებას, პატიებას ითხოვდა მემკვიდრისაგან. მერე მილანდარსაც უტკბებოდა. ოჯახის მოამაგე, ცილისწამებით მოწამლული მეუღლის თანადგომას ეჩიჩინებოდა.

— ნურც შენ გაიმწარებ სიცოცხლეს, — არიგებდა რძალს, — ნუთუ ვერ ამჩნევ, ძმისთვის გაწეული სიკეთე ხალხმა როგორ ჩამოართვა?! ჩემი იოტისოდენა ხათრი რომ გქონდეს, ვაჟიშვილს არ დამიღუპავდი. აბა, კარგად გაიხსენე, იმთავითვე რანაირად ამოგირჩიე, გულზე მოგიხუტე. წყალში მიყრი შენზე დამყარებულ იმედებს?! დათმე სიამაყე, შეურიგდი შენს ღვეტერია ქმარს! — ემუდარებოდა ყელგამოწევით. მილანდარი კი ქვითინებდა, ქვითინებდა.

უსაზღვრო ერთგულების ცრემლი ცარო მუშუქიას შეძრავდა, თუმცა შვილის განსაცდელი გააჯიქებდა.

— თუკი რამე დაემართა არდაშელს, იცოდე, ჩემივე ხელებით მოგიღებ ბოლოს! ამდენ ხანს იმისთვის უცდიდი, რომ მერე ერთბაშად დაგეღუპა?! უპოვარი შეგითვისე, უარაფრო შეგივრდომე, გასვი, გაჭამე, ჩაგაცვი და დაგახურე, თვალი დავუხუჭე საზოგადოების აზრს და ჩემი მოგვარე ანგელოზ შვილს შეგრთე, კარგად მიხდი სამაგიეროს, ღმერთმანი, კარგად! — ანამუსებდა, მაგრამ მილანდარი ყოველგვარ დამცირებას მორჩილად ითმენდა. ბოლოს დედამთილი ცირა შკვითინიასაც გადასწვდებოდა. სწყევლიდა ჭანიებსა და ჰალიძონიებს შორის კედელივით აღმართულ „ცურუ გაუხარელს“.

— ხალხი რას იტყვის, ნათესავებად ერგებიან, ერთმანეთსო, ამოიჩემა საფლავში არდასაყენებელმა და ფურირემზე შეყვარებული ბიჭისთვის ხელი ამიკრა, დასაკარგავში გადამიხვეწა. კოჩიასათვის ნასუფრალი თუ ივარგებდა, ნუთუ არდაშელისათვის თავანკარა ვერა?! — იღვარძლებოდა.

ცირას ხსენებაზე მილანდარი ამაყად წამოიმართებოდა. უმცროს ქალიშვილს, თუთურიას, დაწვდებოდა.

— წადით, წადით, უკეთეს ადგილას მიბრძანდებოდეთ იქნება, — მიადევნებდა ცარო.

მიმართვის ზრდილობით ფორმას რძლის აზნაურული წარმომავლობის დასამცირებლად მოიშველიებდა.

— სიბერეში მაინც ვისწავლე ჭკუა. არდაშელის შესაფერისს აწი მაინც გამოვძებნი რამენაირად! — ცოფებს ყრიდა ცარო მუშუქია, მაგრამ გაძევებული რძალი სანამ კიბის საფეხურებს ჩაათავებდა,

„სახლს გადამიბუგავს ჟიუტიგინი შვილიო“, გაიფიქრედა შიშისაგან გულშეკუმშული და ფერებ-ფერებით მოაბრუნებდა მილანდარს.

დურუ ჰალიძონია ტანს იყრიდა. ხმა უბოხდებოდა, მაჯა უმსხვილდებოდა. გაბანჯგვლიანდა, დაიკუნთა, მორგვივით გაუხდა კისერი. სკოლა მიატოვა. საეჭვო პროფესიის მეგობრები გაიჩინა მეზობელ სოფელსა თუ ზუგდიდში. სატანჯოელებსაც ჩააკითხა ერთხელ. ნაქურდალი ფულით ნაყიდი ტანსაცმელი ჩაუტანა ხუთი წლის უნახავ ძმას, მაგრამ ერთი-ორად ამღვრეული მობრუნდა იქიდან და მას მერე სმასაც მოუხშირა და ჩხუბსაც. გაილეშებოდა და მოღალატე ბიძას სახალხოდ აგინებდა სოფლის ცენტრში.

— გამოდი გარეთ, შენი! —ბრდღვინავდა და სართულიან გინებას მიაყოლებდა.

— ცურუა* და რა ვუყოთ?! — თავს იმართლებდა თანამშრომლებში არდაშელი.

ბოლოს დურუ იქამდე გათამამდა, რომ კაბინეტშიც შეუვარდა. წაძიძგილავდნენ. თავმჯდომარემ მამლაყინწას შესაშინებლად იარაღი დაუძრო. გააშველეს, მაგრამ შვილის უმსგავსო საქციელს დედამისს არასდროს საყვედურობდა. ერთგულებას უთქმელად უმტკიცებდა. ცირაც მთელი მონდომებით ამიტომ უჩალიჩებდა იმპორტულ ავეჯს, ჭაღებს, ქათქათა პერანგებსა და მოხდენილ ყელსახვევებს. და, ახლაც, როცა მილანდარისა და არდაშელის საზიარო ლოგინი რამდენიმე წლის განცალკევებული გახლდათ, — ამაღლებული ბუნების ქალმა თავლაფდასხმა არ აპატია მეუღლეს და შერცხვენილ სიცოცხლეს ენგურის ტალღებთან ჭიდილში იცხრობდა, — კაცობაში შესული დურუ რა ხანია ლანდივით დასდევდა უკან. მით უფრო მას შემდეგ, რაც ნაარყალმა კოჩიამ ყველაფერი ჩაუკაკლა, — ისიც კი, თუ რანაირი ქალი დაისვა ცოლად. ესეც რომ არა, ვინ იცის, ჭიჭე კვეკვეს რამდენჯერ წაუქეზებია ენგურში მობანავე ფერია-ბიცოლას გასახდენად?! მოკლედ, ქალღმერთის დამაბრმავებელ გაშიშვლებას თანდათან მიუჩოჩდა შურისძიებით ანთებული დურუ.

მაისის იმ გრილ ღამით ტანსაცმლის დამალვაც გაბედა და ნაპირზე გამოღწეულ მილანდარს, როცა ყურში შეჟონილი წყლის გამოსადენად ცალ ფეხზე ხტუნავდა, ეტაკა, თუმცა გულშექანებული ქალი მკლავებიდან დაუსხლტა და კალმახივით მდინარეში შეასწრო.

გონებაარეული, ენაწართმეული და ერთიანად გასაცოდავებული მილანდარი მხოლოდ გამთენიისას მიუბრუნდა ოჯახს.

თუთურია ყვირილის ხმას აჰყვა. უფროს დას, ხანტურს, გადა-

აბობღდა. საწოლს ხელი მოუფათურა, მაგრამ როცა იქ დედა ვერ იპოვა, მამის საძინებელში საღამურისამარა შეტყაპუნდა წამოტირებული. უდროოდ გამოღვიძებული ბავშვი მუშტით თვალს ისრესდა, მიზეზიანობდა.

მისი მზერა არდაშელის გაბოროტებულ მზერას შეეფეთა პირველად. დაძარღვული ხელები კი ლოგინზე გაშოტილ მილანდარს ყელში უჭერდნენ, ახროტინებდნენ, ენის ამორთმევას ცდილობდნენ.

— ჯობია შენითვე თქვა, ღამე ვისთან გაათენე! — ღრიალებდა გადარეული კაცი.

— თავს იკატუნებს, თვალთმაქცობს! — სისინებდა ცარო მუშუქია და მოსულიერების ნაცვლად თმას უწეწავდა გულშეღონებულ რძალს.

— შემირცხვინე ხომ ხელმწიფის ტოლი შვილი?! ესეც შენ! — კბილებში გამოცრიდა ნოჩო ჰალიძონია და ხელჯოხს აძგერებდა შიგდაშიგ,

თუთურია განსაცდელში მყოფი დედისკენ წივილით გაექანა, მაგრამ ბებიამ გზაშივე დაიჭირა.

— ჩემო ანგელოზო, უჯიშოს ხორცი როგორ უნდა მოგეკაროს შენ?! — ეუბნებოდა, გოგონა კი იკლაკნებოდა, ბრჭყალავდა, გაძვალტყავებული ხელებიდან თავის დაღწევას ცდილობდა.

— ჩემი დედა მინდა! ჩემი დედა მინდა! — სხარსხალებდა გაალმასებული ბავშვი, სანამ მოთმინებიდან გამოსულმა დედაბერმა მართლაც არ მიუგდო მშობელს.

არდაშელი გაფაციცებით ათვალიერებდა მკერდზე შვილმიწებებული ქალის სხეულს. ზურგისკენ გადააბრუნებდა, ნაჩქმეტს ან სხვა, უფრო მამხილებელ საბუთს ეძებდა, მაგრამ მილანდარი ისეთივე უმწიკვლო იყო, როგორც — გაუკვალავი თოვლი.

ჰალიძონიები ავადმყოფის მომვლელს რამენაირად იშოვნიდნენ, თუმცა თუთურიამ დედის მიმართ იმდენი სითბო გამოამჟღავნა, უცხო ადამიანის შინ შემოშვება იზედმეტეს.

ცუგრუმელამ სნეული დედა ჭურჭლის მსხვრევას და კივილს მალე გადააჩვია. მისი დამამშვიდებელი თეთრი ფერიც შემთხვევით აღმოაჩინა.

როცა მომდევნო დღეს თუთურია ლაფაროში დაყრილი, ყელგადამსხვრეული გვირილების შექუჩებას მიეძალა, გაკაპასებულმა ცარომ ხელიდან გამოგლიჯა თაიგული.

— ეს ქამენია ხანტურის აკვანში ჩამნაცრავი დედაშენის ერთი

ღამის საფასური ჯილდოა! — უთხრა და მიწაზე დაათხლიშა ჭკნობაშეპარული ყვავილები. თითქოს უხსენებელიაო, ფეხით გასრისა ისინი და პატარა მართლაც მოერიდა იმ გვირილებს, სანამ კუნტა ქობალიას ნასახლარზე დაკრეფილი არ შემოიძღოლა ხალხმრავალი ოთახისაკენ.

უცებ ყველასათვის მოულოდნელად საღამურისამარა მილანდარი ლოგინზე წამოჯდა, თუთურიას წინ მუხლებზე დაეშვა. ყლაწვართულ გვირილას ღერ-ღერად ართმევდა. მერე მკლავებზე დასვენებული ყვავილებით ცერებზე წანარნარდა, დაბზრიალდა.

ცნობისმოყვარენი კი მოცბიერობდნენ, მოქვეშქვეშობდნენ. თითქოს სასუსნავს უფასოდ არიგებდნენ.

ნოჩო ჰალიძონია ყალიონს გამართავდა. რძალს მიმინოსებური ელდით გაზომავდა. უთვალთვალებდა ქალს, რომელსაც ცხოველი შარავანდედი გამოცლოდა, მკერდზე ციდა ბავშვი მიეკრა და ჭერს მიშტერებოდა. ნოჩო არარსებულის ამოკითხვას ცდილობდა, არკვევდა, მილანდარსაც ცირასავით ხომ არ შეერცხვინა მანდილი, ძირი ხომ არ გამოეთხარა არდაშელის კაცობისათვის თუ ყველაფერი შემთხვევის ბრალი იყო.

ოდაბადელი დედაკაცები კუთხეში ყვავებივით მისხდებოდნენ, თუთურიას სმენისათვის მიუწვდომელს ჩურჩულებდნენ, ჩურჩულობდნენ. გოგონა ატყობდა, რომ დღეები და მოყურადენი დედის სილამაზეს შეუბრალებლად ძარცავდნენ.

ცარო მუშუქიას გარშემო იკრიბებოდნენ ისინი: პირმოკუმულები, თვალჩაცვენილები და ცხვირდაჭეჭყილები. ასე ტურების ხროვა შემოერკალება ხოლმე დაჭრილ ქორბუდას. ფეხაკრეფით, სამძიმრებით მოფუსფუსებდა და მოიღუნებოდა ნათესავ-მეზობელი. მოჩვენებითი თანაგრძნობით თავს გააქნევდნენ, ბალიშქვეშ ხელს შეაცურებდნენ, ან იქით, სასტუმრო ოთახში გაშლილ მაგიდაზე ძღვენს ახვავებდნენ. იმ სასთუმალს ცარო მოაკითხავდა მოგვიანებით, მომუჭულ ფულს ხალათის ჯიბეში გააქანებდა და მერე ქსოვაგაჩაღებულ შავოსან ქალებს საჩუქარს ერთიათად მოაჩვენებდა.

მას შემდეგაც, რაც მილანდარის სისპეტაკეში ყველა დარწმუნდა, როცა უბედურების კვირისთავზე, ჩემერცხი, დურუ, ჩემერცხიო*, წამოაბოდა სნეულს, როცა სასამართლო ექსპერტის მუყაითობისა და დურუს ცილისწამებაში მხილების მერე მილანდარის შებღალულ პატიოსნებას სამარცხვინო ბრალდება ჩამოშორდა, ცარო

მუშუქია წვეტიანი ნიკაპითა და სისხლიანი თვალებით იმავკუთხიდან იმზირებოდა კვლავინდებურად.

— რძლის არჩევაეში შევცდი, — სულ ერთსა და იმავეს ეჩიჩინებოდა ღამისმთევლებს, — ქორწილის პირველივე თვიდან გაურბოდა მეუღლის ლოგინს, — ურცხვად აშიშვლებდა ცოლ-ქმრის საიდუმლოს. ათას მაგალითს იხსენებდა, რაც, მისი მტკიცებით, არდაშელს დღითი დღე აგიჟებდა.

— ჩემი ბიჭის თავდაჭერილობის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი, თორემ ცხვირსისხლიანი მილანდარის პატრონს, ძუკნა-გავარდნილი ცირიბიასაკენ ხელი წასცდენოდა, გასაკვირია?! — ასარსალებდა ენას გამუდმებით.

დურუს მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენა არც კი უცდია. პირიქით, იმ ღამეს განზრახული სინამდვილედ გაასაღა და ავხორცი ბიძის მოსაშხამად წმინდა ქალს ჩირქი მოსცხო.

ცოფისმყრელმა არდაშელმა სწორედ მაშინ მოითხოვა ბრალდებულის ჩვენების გულდასმით შემოწმება და როცა სასამართლოს ექსპერტმა ცნობამიხდილის სხეულზე ძალადობის ვერანაირ კვალს მიაგნო, ცილისწამება ბათილად სცნეს.

— ეტყობა, შიშისაგან არ მიძალიანდებოდა, — ურცხვად ირწმუნებოდა დურუ.

— არდაშელმა ცოლის ახდილი ნამუსი ფულით გამოისყიდა! — ხიხინებდა ჭიჭე კვეკვე.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სასამართლომ დურუ ჰალიძონია ყველანაირად გაამტყუნა და მილანდარის გაუპატიურების მცდელობისათვის, თუ უმწიკვლო ქალის გაუბედურებისათვის, ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

არდაშელიც ამ წუთს უცდიდა. ახლა გაირკვეოდა, ცირას რანაირადაც უძგერდა მისთვის გული.

— სიცოცხლე გაგიმწარე რეგვენი შვილით! —ეცრემლებოდა მუხლებზე დაცემული ქალი სულის თანაზიარს.

— შექმნილმა ვითარებამ მაიძულა, თორემ შენს სისხლსა და ხორცს საციხედ გავიმეტებდი?! — ეჩურჩულებოდა ყურისძირას ზეზეწამოყენებულ მიჯნურს არდაშელი, ცრემლით სველ უპეებს უკოცნიდა, თან ხელები ჩვეული რბილი ადგილებისკენ გზას თავისით იგნებდნენ. — შენ სასჯელად ჩვენი უიღბლო სიყვარულიც გეყოფა! — ეუბნებოდა და ფერებ-ფერებით მიაცილებდა ანგრეული ლოგინისაკენ.

— სანამდე ვიყო, ნანაგე ასე? ,,ჩემი მრუდე ფეხები სად დავფლა?“

— ჯერ მაინტერესებს, რას უშვრებოდა თქვენი მეუღლე ამ ხელჯოხს.

— რა ვიცი, ბაბუა, მგონი შევუჩიჩხინე ერთი-ორჯერ.

— კმარა, კმარა! მთლად ფერდი შევუნგრიე-მეთქი, კი არ მითქვამს. გადით ყველანი! მარტო დამტოვეთ ავადმყოფთან! სურათი ისედაც ნათელია. გამოდის, რომ თქვენ გაერთიანებული ძალით სჯიდით შოკში ჩავარდნილს, და ამით ხელს უწყობდეს მასში ტაქტილური, შეხებითი სინდრომის ჩამოყალიბებას. მორჩა, არა?! — თვალი თალში გაუსწორა ბონდომ მილანდარს. ქალმაც ლმობიერად შეჰღიმა, — კიდევ ერთიც, ეს უკვე ვთქვენ გეხებათ, ნოჩოევიჩ! უბედურ შემთხვევამდე რამდენი ხნით ადრე გქონდათ შეწყვეტილი სქესობრივი კავშირი ცოლთან?

— ვერ ვიხსენებ. ,,ყველაფერი იცის''.

— გაიხსენეთ, ეგ აუცილებელია!

— სიმართლე თუ გინდა, ზუსტად იმ დღიდან,. რაც კოჩია გადაიხვეწა სოფლიდან. ხანტურა რვა თვისა იყო მგონი, თუთურია კი მოგვიანებით გაჩნდა.

— გამოდის, რომ მთელი ექვსი წელიწადი... თქვენ, ცხადია, გეყოლებოდათ ვინმე პარტნიორი, მაგრამ — მილანდარი, მილანდარს?!

— ეგ გამორიცხულია!

— პენელოპეს ერთგულება! ყველა აქ არის? — მიუბრუნდა ბონდო ავადმყოფს.

— კი, ყველა, — უპასუხა მილანდარმა.

— მაშინ მოვფხიკოთ და გადავუძახოთ ენგურში.

— მერე და არ გაცოცხლდებიან?!

— გეკადრება?! — ხელები გაშალა ბონდომ, — გადაყარე, ნამცეცით არ დატოვო! მაკრატელი იყოს. ესე იგი, ყელს ჭრიდი თუთურიას, სახუს რომ არ წაერთმია იმისთვის, მაგრამ გაგასწრო ეშმაკის ფეხმა. დარჩა შენი მტერი სადმე?

— ნწუ!

— ჰოდა, მით უკეთესი. ნახე, რამხელა გისოსები აქვს ფანჯრებს. რომც არ დაგეხოცა ისინი, რომელი ერთი შემოაღწევდა?! აწი წამოწოლაც შეიძლება. ქუთუთოები გიმძიმდება, გიმძიმდება... თუთურიას ფეხის ხმა ისმის კიბეებიდან... წყალი ჩხრიალებს... კიდურები აღარ გემორჩილება... ტკბილზე ტკბილ მოთენთილობას

გრძნობ... გემთქნარება, გეთვლიმება... ესეც შენი სავარცხლები და გვირილები. აჰა, გამომართვი, გამომართვი და ჩაიხუტე მკერდში, — თვალებდახუჭულმა მილანდარმა ბონდოსკენ გამოიწოდა ხელები. ახალგაზრდამ თითებზე თითები შეახო და ისევ განაგრძო, —ყველაფერი ზღაპარია... ყველაფერი ციოაა ნაქარგი...

— ეშველება ვითომ?! — დაიჩურჩულა ოთახში თავშემორგულმა არდაშელმა.

— ჩუუ! ჰიპნოზურ ძილშია.

„სწორიყოფილა ჭიჭე კვეკვე. ასეთები საუკუნეში ერთხელ იბადებიან. რა მალე დააწყნარა! მოგვაყრდნობდეს თავს, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, ათ წელიწადში აკადემიკოსად ვაქცევ!“

დარბაზის უშველებელ სივრცეში ბროლის ჭაღი თვლემდა, რომლის იქით მოჩანდა ბილიარდის მაგიდა, ღრმა, ფუმფულა სავარძლები. ნაირნაირი სპირტიანი სასმელით გამოტენილი მომცრო ბარი, რომელსაც ლიფტი აკავშირებდა სემირამიდის ბაღთან.

ამ მოვლილი, შეფიცრულ-გალაქული კედლების, მუხის პარკეტისა და მარმარილოს კიბეების, თვალისმომჭრელი ავეჯის ზიმზიმსა და ციაგში ბონდომ რატომღაც მოიწყინა, თუმცა, სულ მალე, სატანჯოს ბუნებრივ სილამაზესთან შედარებით, აქაური დამაბრმავებელი ბრწყინვალება.

არარაობად მოეჩვენა.

ამისთანა ფიქრებში გართულს, მოკრძალებით მიუახლოვდა წითელი კანტით გაწყობილი შავი კაბით მორთული ხანტური. დალალმშვენიერი კოპლებიანი ბაფთით შეეკრა და მაჯისისხო ნაწნავის ბოლო მარჯვენა მხარზე გამოეგდო. წყვილი დიდრონი ფირუზი რაღაცნაირი იდუმალების უელვარებდა. მოსხლეტილი სხეულის თვალშისაცემ ნაკვთებს საგანგებოდ ასაიდუმლოებდა ნატიფი შალის სამოსელი. იდაყვიდან მოყოლებული მაჯებამდე ფუჩეჩდებოდა მაქმანებიანი სახელოები. ნაოჭმრავალი კალთები ჯავარს იცვლიდა მზეზე გამოსულ ავაზასავით, ათინათდებოდა, თრთოდა, ამხელდა მუხლების სისუსტეს.

— სუფრას მიმიხედე, ჩემო მტრედო, — ალერსიანად უბიძგა მამამ ასულს ზურგში, — ვაჟიშვილი არ გამოიმეტა ჩემთვის განგებამ, — განაგრძო არდაშელმა, როგორც კი ხანტურის ტანისრხევით გავიდა სასტუმროდან, — ქარიხვეტია ერთი ძმიშვილი, მკერდზე თა-

ვის მიყრდნობის ნაცვლად, ტყვიით მემუქრება, მეორე — ეჭვების ტყვე კოჩიამ სოფლიდან გაიტაცა, უკეთურებს შეეკედლნენ და გამიგებდი, ალბათ, სატანჯოში რანაირად ამოიბუგნენ. ბილიარდი ხომ არ გვეთამაშა? იქნებ ნარდი გირჩევნია, ან — ჭადრაკი?!

— სეანსი მქანცავს, გამოწურული ლიმონივით ვარ.

— კიდევ რა გითხრეს ანთარიებთან და ჰალიძონიებისას? მაინც რაო, ჭიჭე კვეკვემ?!

ბონდომ პირდაპირი პასუხის ნაცვლად წყვეტილ-წყვეტილი სიცილი აკმარა არდაშელს და ლადი ჭანიასაგან ათასჯერ გაგონილი: ნეხვს ნუ გაანძრევ, თორემ ასუნდება, ნოჩოევიჩს ახლა უფრო ენიშნა. ყმაწვილს მკლავი გამოსდო, უსიამო თემას გამოარიდა. აბაზანისკენ მიმავალიტ ბონდოს სინედლიდან მონდომებით ძერწავდა იგი მახლობელ ადამიანს.

ქათქათებდა მარმარილოს კვადრატული აუზი. აქვე იყო საორთქე, საშხაპე, საკუთრივ აბაზანა, შიშინებდა გაზის ანთებული საქვაბე.

ვეება ვარცლში ჩაწოლილ ბონდოს თავზე სურნელოვანი წყალი აუბუმბულდა. აქამდე უჩვეული ხილვებითა და განწყობილებაფათერაკებით დაქანცული. ნებივრად იზმორებოდა. ჭადრაკულ კაფელს ხელისგული მიუტყაპუნა.

,,არა, შეურეველი ცხადია. როგორ განსხვავდება კოჩიასაგან არდაშელი?! გვარს და საზიარო დედ-მამას თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, რა აქვთ საერთო?! არაფერი!''

თვალები დახუჭა ბონდომ და მაშინვე გედივით შემართული ხანტურ ჰალიძონია შემოცურდა. ზეასწია ქაფი, ჩაიხუტა სურნელოვანი, დამყოლი.

,,გადია მაფას ალიკვალია'', დაასკვნა ყმაწვილმა. რატომღაც ჩვეული სიმორცხვისათვის შეუფერებელი სითამამე იგრძნო და წამოჭარხალდა. მაინც აგრძელებდა ფიქრს: აჰა, გააშიშვლა კიდეც წარმოდგენაში ფერია. ახლა გახევებული შეჰყურებდა ყარყარა ყელს, სიფრიფანა, მთრთოლვარე ცხვირის ნესტოებს, ბრეთელა თვალებს, რომლებშიც ოდაბადეს სამყოფი ნისლი ტორტმანებდა.

გასახდელში მობრუნებულ ბონდოს გორგოლაჭებიანი მაგიდა დაუხვდა, რომლის ზედა თაროზე, დიდრონ ლანგარზე ფაქიზად ეწყო ,,კენტის'' გაუხსნელი კოლოფი და სანთებელა. მთელი ამორძალეთი ამბოხებულიყო იმ ხონჩის არშიაზე, მაგრამ მშვილდოსან მდედრთა მუქარას, არც ოქროს დანაგარჭობილი აგურის ფორმის შავი პურის ნახევარი აგდებდა აინუში, არც ოქროსავე ჩანგლით განგმირუ-

ლი დნობაშეპარული კარაქის კუბიკი და აღარც იმავე ლითონის კოვზით მორთმეული ზუთხის ხიზილალა. მომდევნო თაროზე ელაგა პოლიეთილენის პარკებში მოთავსებული ჯინსის შარვალ-ხალათი, შალის თეთრი წინდები, საცვლები, ვარდისფერი ხაოიანი პირსახოცი, კბილის პასტა, ირისისფერტარიანი ჯაგრისი, ცისფერი სვიტრი, სულ ბოლოს მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმელები.

შემოთავაზებულ გარდერობს ბონდომ ალღო მალე აუღო. ღიღინ-ღიღინით შემოსილმა სარკეს თვალი ჩაუპაჭუნა.

— სძინავს, წყალივით სძინავს! — უთხრა აბაზანიდან გამოსულს არდაშელმა.

— კიმდევ რამდენიმე სეანსი და ყოველგვარი კოშმარი მოეხსნება.

— ჩვიდმეტის შესრულდა დღეს ჩემი მტრედი! — საუბრის თემა შეცვალა ოჯახის უფროსმა.

— რას ბრძანებთ! chameleon.

„ჭიჭე კვეკვე: ჯიჯი, როცა სასურველი სტუმარი ჰყავს არდაშელს, ხანტურის დაბადების დღეს გამოიგონებს ხოლმე. ასე რომ, მამიკოს მტრედი იანვარშიც დაბადებულა ბევრჯერ, ივნის-ივლისშიც, აგვისტოშიც და შექმნილი ვითარების შესაბამისად — დეკემბერში შედიზედ სამჯერ“.

— ჩვიდმეტის შესრულდა ჩემი მტრედი დღეს! — ორთვენახევრით აახალგაზრდავებდა იუბილარს.

მაგიდასთან მოფუსფუსე ასულს ლოყაზე ეამბორა, მერე დედმამისა და ქალიშვილის თანდასწრებით ჯინისის კურტაკის გულისჯიბეში თუმნიანების გაუხსნელი დასტა ჩაუცურა ბონდოს. ამ ცერემონიას ირონიული ღიმილი შეაგება ყმაწვილმა.

წამოფაკლული ხანტური პირისპირ მოკალათებული ვაჟისკენ თვალს მალულად აპარებდა დროდადრო.

,,გიორგის აუტანელ ცინიზმს ოდაბადელების მომწამვლელი ჭორები კვებავენ, ეჭვგარეშეა, ჩვენი ოჯახის ამბებით მოშხამულს ახლავე თუ არ ვუწამლე რამე, დახვეწილი მანერის ბიჭმა, ვინ იცის, ხანტურს იქნებ დამცინავი ღიმილი არც აკმაროს. მერე, მერე რას შვრები?! ვთქვათ, გამოსავალი არ ჰქონდა; ვთქვათ, სხვანაირად არ შეეძლო, მაგრამ ქალიშვილი რისთვის გამილანძღა?!

ცირა: ცარო მუშუქიას კლანჭებში ჩავარდნას ჯოჯოხეთში ჩასვლა მირჩევნია, არდა. მეშინია, არდა, მიმატოვებ შენ. ფეხმძიმედ რომ ვყოფილიყავი, აქამდე არ გეტყოდი, ჩე-

მო?! აწი სიკვდილიც არაფერია, არდა. საუკუნოდ შენი ვიქ-ნები, შენი. ორ-სამ თვეს როგორმე გავძლებ უშენოდ. რამე უნდა ვიღონო. ქარაგმებით დამცირებულმა ვაითუ ადრინდე-ლი უბედურება არ მაკმაროს?!"

— გიორგი, ხომ დიდი უსამართლობაა ერთი დაბადების დღე წელიწადში?! განა ყოველ წამს რაღაც არ გვემატება, რაღაცით არ ვმდიდრდებით?! აი, ეს ვერ მოუნელებიათ ოდაბადელებს. შური ჰკლავთ, შური! საზეიმო სადილს თუ ვახშამს ხანტურის დაბადების დღეს იმიტომ ვარქმევ, რომ მეტი ლაზათი ჰქონდეს სუფრას. როგორ, შევინანო ორიოდე ლხინი ანგელოზი ბავშვისათვის?! გეტყოდნენ, ალ-ბათ, ხანტურის დღეობის საბაბით შარშანდელი იანვრის თვეში გა-ნათლების განყოფილებას გაუმასპინძლდნენ, თებერვალში — რაი-ალმასკომს და მარტში — რაიკომსო. უარი ვთქვათ, აბა, ოქროს მე-დალზე?! არ ჩავირიცხოთ სამედიცინოზე?! სუფრას თუ ვშლი, ნა-ბიჭვარი ჭიჭე კვეკვეს და ბაგი ანთარხეს ფულით ხომ არა?! დიდი ქვეს-ქვეშაა ერთიცა და მეორეც.

სუფრას ჩვენისთანებისაგან წაღლეტილი ფულით შლიო, ისე-თი დამაჯერებლობით დაახეთქებენ, თითქოს წყალი არ გაუდიოდეს. იდეის მონაა ორივე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველს „სახარე-ბა" ამოუიღლიავებია და მეორეს — „კაპიტალი".

შვილს ზედმეტად ელოლიავებიო, წარამარა წამომაყვედრიან ხალხში. იქნებ შენ მაინც მითხრა, გიორგი, როგორ მოვიქცე?! ბავ-შვი რომელ მშობელს გაუწირავს, მე რომ გავწირო?! შვილებო, ერი-დეთ ასეთებს! უფროსი მათ არ იციან და უმცროსი. ქორწილებს ისი-ნი გმობენ და ქელეხებს. მათით სნეულდება დედაენა და სამშობლო. თუ ყველაფერი აქვს ჩემს მტრედს, რიყეზე ნაპოვნით და ციდან ჩა-მოცვენილით კი არა. პაპის პაპიდან მოყოლებული, ბაბუა, მამა, მეც, წვეთწვეთობით ვაკოწიწებდით. აბა, მიდი და გაგზავნე უფულოდ ძიკვაია წისქვილში, ან დააჩეხვინე შეშა პუტაიას. განგებას მათთ-ვის მოხმარების შნო და მარიფათი არ მიუცია, თორემ ფულად ფუ-ლი ჩემზე მეტი ექნებათ. რატომ გაგეცინა?!

— თქვენმა სიტყვებმა ერთი ადგილი გამახსენა ბულვარული რომანიდან. მეხსიერება თუ არ მღალატობს, ასეა: სად მიგყავს ჩემი თვალისჩინი, თუ შენგან მეყოლა გგონია, ძლიერ შემცდარხარ, შენ ვინ მოგცა, გადამწვარს, მაგისი შნო და მარიფათი?! „რა იყო უფალო, არდაშელ, რისთვის ფითრდებით?! ხომ გისწავლიათ ჭირი თავსა არ დამალავსო?! ჰოდა, მოვიდა ნიღბების ჩამოგლეჯის დრო!"

— ფილოლოგიური განათლება მედიკოსსაც და თავმჯდომარეს-აც თანაბრად გვჭირდება. ,,სიტყვა-სიტყვით ჩაუკაკლავს. როდის მოასწრო?! ნუთუ ამ ღლაპში მცვლის?! კი, მიმზიდველიცაა, ჭკვიანიც, მაგრამ საიმისოდ ჯერ კიდევ ნედლია. ბარემ ახლავე ჩამოვიცილებ კოჩიას ცოდვას და ცილისწამებისაგან საბოლოოდ განვიწმინდები". ჩვენი საგვარეულოს მაღალი ზნეობა საქვეყნოდ არის ცნობილი, მაგრამ ხომ გაგიგონია, გიორგი, ციხე შიგნიდან გატყდაო?! ჰოდა, ასე მოხდა ამჯერადაც. მართლაც, რა მენდომებოდა ცირიბიასგან მილანდარისთანა მეუღლის პატრონს?! რითი უნდა მოვეხიბლე ქუჩის ქალს?! დასამალი რაა, მესირცხვილებოდა სახელგამტყდარი რძალი. აგერ, დედამამაც დამემოწმება. ხეიბარი ძმა მომიჯადოვა, მოჯამაგირედ გაიხადა. იხელთებდა თუ არა დროს, რომელიმე ოდაბადელ ბუღას გვიმროვანში მიუწვებოდა გათახსირებული. რა არ იღონეს, თურმე, მშობლებმა: კიდეც შევედრებოდნენ, კიდეც დამუქრებოდნენ, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო გამომდგარიყო. თავიდან შეეწყვნენ თითქოს, თუმცა ეჭვიან კაცს მეძავი კი არა, პატიოსანი წაუვა ხელიდან. სმას და აყალმაყალს მოუხშირა უბედურმა. ამხანაგებს განგებ შემოიპატიჟებდა შინ. ჰმ! ცირიბიას ღალატში გამოჭერას ცდილობდა. იქნება მამის ქონება კეთილსინდისიერად არ გავუყავი, იმ უჯიგროს, იმას! შვილებიც დაღუპეს. ერთ ნაციხარს მორიგი გმირობისთვის წაუკაპიწებია მკლავი. მეორისგან, არ დასცალდათ, თორემ ახალ ქრისტეს აცხობდნენ კოჩია და ჟინი ანთარი. ხომ ვიცოდი, რაინაირი ეჭვიანის პატრონიც ვიყავი?! დანაკლისის დასაფარავად ფული მაღაზიის ნაცვლად შინ რამ მიმატანინა, ან დასაწვავ ოდაში რისთვის ავყევი სათაყვანებელ რძალს?! როგორც კი გაშლილ სუფრასთან პირისპირ მსხდომი გვიხილა კოჩიამ, თავში სისხლი აუვარდა. მოღალატე და ბნელსისხლიანი მიწოდა ერთგულს. აკვნიდან ამოგლიჯა ბონდო და დიაცური წყევლით ჭოფიას ბორნისკენ გაღრიალდა.

გონს მოდი, უბედურო, მე რომ მწირავ, კარგი, მაგრამ ღვიძლი ძმა მაინც შეიბრალე. დანაკლისის დასაფარავად ორომოცდაათი ათასი მოგიტანა, შენ კი რანაირად უხდი სამაგიეროსო, წიოდა ცირა, ან ჩემი ბონდოია სად მიგყავს?! ხომ არ გგონია შენგან მეყოლა?! შენ ვინ მოგცა მაგისი თავიო, უკიჟინებდა სახალხოდ აივანზე გადმომდგარი დედაკაცი. მოკლედ, რძალთან საქმის დაჭერაც დამბრალდა და ღვიძლების გადაკარგვაც. ღმერთი თუ გწამს, მითხარი, სად შემირცხვა თავი, ალალი ძმისთვის სად მიღალატია?!

— დაწყნარდი, შვილო, ნუ ნერვიულობ, მთლად გაუბედურებულს ნუ გამიშვებთ სამარეში! — აქსუტუნდა ცარო მუშუქია.

— ჭიჭე კვეკვემ მოწამლა ჰაერი! — თქვა ნოჩო ჰალიძონიამ. „დის ცოდვა გვდევნის!“

— აბა, სხვა ვინ გადამამტერებდა დურუს! რახან თვითონ ბილწია, ყველა წარწყმედილი ჰგონია.

აცდუნა არდაშელმა დედაშენი და რა ქნას აწი საბრალომ, საყვარლობსო, ეჩიჩინებოდა გამუდმებით. საბუთად ჩემს გულკეთილობას მოიშველიებდა.

ეგრე რომ არ იყოს, რატომ აძლევს გრძელვადიან სესხებსო, გესლავდა. ჯენ კანტორის ფანჯრის მინები ჩამილეწა, მერე კამეჩებსა და ძროხებს კუდები დააჭრა, პაპისეული ვენახი ამიჩეხა. ესეც არ მაკმარა, ჭიშკარი მომპარა. რამდენი მოვუთმინე. — მხრებში ჩამძვრალი არდაშელი სუფრას ხელისგულებით დაეყრდნო, —მილანდარის გაუბედურებას შევარჩენდი განა! არ გვედგომებოდა ერთ სოფელში, ასეა დღესაც! ან —მე, ან — ის! ეჰ, ჩვენს ზეიმს ეკადრება წუწუნი?!

— ჩემი წმინდანი მამა! —დაიჩურჩულა ხანტურმა და ნოჩოევიჩის ქუთუთოებსაც მოსწყდა საგულდაგულოდ შეგროვილი ცრემლი.

ამასობაში პატრონის მარჯვენა ყურის წრიალით, გრეხით მიუშიშიანდა კისერმოღრეცილი ძიკვა. ამღვრეულ ღელეში მოცოდვილე ღორჯოსავით აპლაკუნებდა პირს, უფროსს „არდა პატენით“ მიმართავდა და მეტს ვეღარაფერს ამატებდა.

როცა სახელს შეუმოკლავდნენ, არდაშელის რისხვა ცას სწვდებოდა, რის გამოც გულმავიწყი მსახურისათვის ბევრჯერ მოუკვნეტინებია ენა. ამჯერადაც მტკაველზე ლაშებგახეული ძიკვა გაღუნულ კისერს იქით ცერს იშვერდა. არდაშელმა ცდუნებას ვეღარ გაუძლო, მხარზე იობივით შემოფრენილ ნიკაპს აჰკრა და ბონდოს საკვირველად დაგრეხილი მოჯამაგირეც მაშინვე გამოცოცხლდა.

— გიორგის ეძახის ჭიჭე კვეკვე. საქმეს თუ მორჩა, წამოვიდესო, შემოუთვალა, — თქვა ეს, როგორც მის მდგომარეობაში მყოფს მოუხერხდებოდა.

— გაქრი, შე მრუდო, შენა! — ფერთხა და ფერთხა წელშიმოხრილს გამეხებულმა არდაშელმა და ძიკვამაც უკუსვლის იშვიათი ოსტატობით მოცოცხა მარმარილოს ბუხრისკენ.

საუბრის ეშხში შესული არდაშელი არაფერს დაიშურებდა, ოღონდ ბონდო ახლა დარჩენილიყო; გარიყულს მხარში ამოსდგომოდა სოფლის ჯინაზე; ხალხის გასაჭირი და საზრუნავი ფეხებზე დაეკიდებინა, მაგრამ მაგიდის კიდეს მაჯებით დაყრდნობილი ყმაწვი-

ლის განზრახვას ჰალიძონიები კი არა, გალახული ძიკვაც მშვენივრად ჩასწვდა. ესეც არაფერი, „ნაინფარქტალი“ კაცი ერთბაშად დატყვევებული ხანტურის იერმა მოინელა.

„ სად არის მისი სიამაყე!“ გაუელვა გონებაში არდაშელს და წასასვლელად აჩახმახებულის გასაგონად ამისთვის შემოლიშველია ავადმყოფი ცოლი.

შენც რამე ურჩიეო, თვალებით გაესაუბრა ხანტურს, მაგრამ ბონდო წამოიმართა და ნოჩოევიჩს რატომღაც ძიკვას დაბეჟვა მოუნდა ისევ. რისხვით სავსე მზერა ესროლა მოსამსახურეს და ყრუმუნჯების ხელებით დაწურული ძიკვას კისერიც, თითქოს კუს თავი ბაკანში გაუჩინარდაო, ბუხრის კუთხეს ღვედკეცივით აეკრა, მერე ქედდადრეკილმაც მასპინძლის გამოხედვის შესაბამისად ნელინელ გამოიჭყიტა.

— მაშ, წაუსვლელობა არ იქნება?!

— მელიან. სხვა ავადმყოფებიც მოსანახულებელი მყავს.

— თავადიშვილი ბრძანდები, არვინ გიჭერს. ეს გასაღები ჩემი ბინისაა. რუსთაველის პროსპექტი ხომ იცი, ლენინის ქუჩის გადაკვეთასთან, ხუთსართულიანი კორპუსი რომ დგას, პირველ სადარბაზოშია, მეცამეტე ბინა. მუშუქია აწერია კარს. წყალდიდობა დაცხრება და გამოგივლით. — მოსჭრა და გასაღების ასხმა მიაწოდა.

ბონდომ გამოართვა.

— რამდენიმე დღეს წყნარად იქნება ავადმყოფი. ეცადეთ წარსულზე არაფერი ელაპარაკოთ. სანამ თვითონ არ მოითხოვს საჭმელს ნულარ მიაძალებთ. ორ-სამ დღეში ან მე შემოგივლით, ან წამლებს გამოგიგზავნით ვინმე ოდაბადელის ხელით, — თქვა და ხანტურიც ქუსლების აჩქარებული ბაკა-ბუკით გაეშურა კიბეებისაკენ.

არდაშელმა თავი ჩაქინდრა. ცარიელ ჭიქას აწვალებდა. ისედაც უზარმაზარ დარბაზს მალიმალ შემოჭრილი ელვა უსაშველოდ აგანივრებდა. ფანჯრის მინებს, ბროლის ვეება ჭაღს აზანზარებდა გრგვინვა-ქუხილი.

მილანდარს ისევ ეძინა. ბონდომ შეახო ხელი. ქალი შეიშმუშნა, თვალები გაახილა, გაიღიმა და ამჯერად უკვე ბუნებრივ ძალას მინებდა. ყმაწვილი მასპინძლებს დაემშვიდობა და მარმარილოს კიბეებს აუყვა სემირამიდას ბაღის მიმართულებით.

იისფერი ხავერდით გაწყობილ ბარს „იესო ქრისტე ზევარსკვლავის“ ჰიპ-ოპერა „ოსანას“* ხმებით ავსებდა. სავარძელში მოკალათე-

ბულ, გაბუსხულ ქალიშვილს ბონდომ დარდიმანდულად აუწია მარჯვენა და ზევ-ზევით მისდია საფეხურებს.

,,აი, ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი ძალა მოქმედებს თურმე ყველგან, როგორც ოდაბადეში, ისე ბიოლოგიურ დონზეც. რა უნდა პირველს?! რა და მამიკოს მტრედის რძეში ნანავი, ფაფუკი სავარძლები Nates-clunes*-ისთვის. ხელის შევლებისა რომ გეშინია, იმდაგვარი ჭურჭელი. სპილოს ძვლით გაწყობილი როიალი, გარდერობი აბრეშუმის შრიალით. ძიკვას მოღუნული კისრის დამონება. წიგნები განსწავლულობის მოსაჩვენებლად, მარმარილო, Aure*, argentum*.

და კიდევ ჩემთვის დაფარული რამდენი უაზრო ჯანდაბა და დოზანა. კი, მაგრამ საიდან ყოველივე?! ვითომ გახა და ნოჩო ჰალიძონიების შეკოწიწებული ფულით?! აი, თურმე რას ებრძვიან ბაგი ანთარია და ,,ოდაბადე, როგორც ასეთი?!''

,, უყურე შენ, ერთიანად არ აყრილან ეს დედაგაღლეტილები?!'' გაიფიქრა ბონდოს წასვლით ნაწყენმა და მოტორიანი ნავების სიმრავლით გაოცებულმა არდაშელმა. დაუცადა, ვიდრე მათი ატბევებული ეზო-კარიდან გადათუხთუხდებოდა ,,ბაგის ფლოტილია'' და წვიმიანი ოდაბადე შეიმყუდროვებდათ.

ხანტურის მოფერება მოუნდა უცებ. ადრინდელივით დააწყნარებდა, დაუყვავებდა, გაამხნევებდა სულზე უსაყვარლეს ქალიშვილს და თავკერძა ყმაწვილის დაუსწრებლადაც მშვენივრად მოულხენდნენ.

ოდაბადე ენუგრის სამდღიანი მძვინვარების ჭრილობებს იშუშებდა.

ნაბორნალთან, რომელსაც სოფლის ცენტრი სამტოტა გზით უერთდებოდა, სატვირთო მანქანას მოაყენებდა ჯანდუ ქობალია. კაბინაში წამოპლაკული ამაყად გადახედავდა მაშველი რაზმის ბიჭებს, თითქოს ამბობდა. ჩემი საქმე წაღებაა, თქვენი — დატვირთვაო.

შინმოუსვლელთა პარკის მხრიდან, სადაც მომძლავრებული ქარი მტვერს ატრიალებდა, მდინარის მორიყული ხერგისა და შოლარებისგან ასუფთავებდნენ ძმადნაფიცები იქაურობას. ღობეებიდან გამოჰქონდათ დამხრჩვალი ძროხები, ხბოები და ზაქები, ღორები და ძაღლები, ათობით დეკეული და ათი ამდენი ქათამ-ინდაური.

სიგარეტს ნერვიულად ქაჩავდა ჯანდუ ქობალია. ხალტურაზე აგვიანდებოდა და გზის წვრილ კენჭებს აჩხრიალებდა. ბაგი ანთარიას ახირებას გაეღიზიანებინა.

— სანამ ყოველ კუთხე-კუნჭულს წესრიგში არ მივიყვანთ, კაბინეტში შემსვლელი არ ვარ! —თქვა, თვითონაც მკლავი წაიკაპიწა და აბა, სხვას რა ხეირს დააყრიდა?!

წახრიალდებოდა ბიძის სამოსახლარისაკენ ჯანდუ, სადაც ბულდოზერს უშველებელი ორმოები ამოეთხარა და იქ ცლიდნენ მუცელგამობერილ საქონელს.

საშუალო სკოლაში ჯერაც არ განახლებულიყო მეცადინეობა. სწავლების ვადის გადაწევა სკოლის დირექტორისაგან განსხვავებით ბაგი ანთარიას ნაკლებად ანაღვლებდა.

— პროგრამა არ ვიცი მე, ბავშვებს ნორმალური მეცადინეობის პირობებს შეუქმნი?! კეთილი და პატიოსანი! არადა, იოლი გაძრომის იმედი ნურავის გექნებათ! — მოსჭრა და ბუნებრივია, საქმეების მიფუჩეჩება გაძნელდა.

დაწყებითი კლასის მოწაფეების ჩათვლით, უფროსკლასელებიც, მათი მშობლები თუ წოწნარით* ასაყენებელი ბებია-ბაბუები, ერთსულოვნად დაირაზმნენ.

ვინ სად ფუსფუსებდა და ვინ — სად.

ქალიშვილები გაზონებს აკოხტავებდნენ. ელას და მინაკას მოყანყალე ურიკათი ქვა-ღორღი გაჰქონდათ შუკის ბოლოს. გედე ჭანია და ხელმარჯვე ბიჭები სოფლის ცენტრის ლიბომორღვეულ მესერს ამაგრებდნენ, აახლებდნენ, რომელსაც მერე ფუნჯებით ცისფრად ღებავდნენ მეჩაიე გოგონები. დაბობღავდნენ ხარაჩოებზე აბშილავები და ანთარიები, მესხიები და მუშუქიები, ქობალიები და ჭანიები. ცირა შკვითინიას მაღაზიიდან ეზიდებოდნენ გაფუჭებულ საქონელს. რაიონული ცენტრიდან ჩამოვიდნენ პასუხისმგებელი მუშაკები. შეიქმნა კომისია, რომელმაც მისხალ-მისხალ აღნუსხა, შეაფასა ზარალი.

ერთი სიტყვით, დიდი და აპტარა ჭიანჭველებივით ფაციფუცობდა. საერთო საზრუნავს ბონდო ჰალიძონიაც ჭანჭიკივით მორგებოდა. ამ წამის შეჩერებას უსათუოდ ინატრებდა, ,,ფილისტერიზ ფაუსტი'' რომ ყოფილიყო, მაგრამ სულ სხვა ჭია უღრღნიდა შიგნეულს. უღელი თანდათან უმძიმდებოდა. აწრიალებდა უარესი ხვალინდელი დღის მოლოდინი. უკაცრიელ, წარმოსახვით კუნძულზე ნიჟარასავით გარიყულს ბუნებრივი წონასწორობა დაეკარგა. საჭემოშლილ ხომალს დაემსგავსა, ოკეანეში ბედის ანაბარა მიტოვებულს. ჰაიდაგერისეული შიში ძიძგნიდა და წესით, ხსნა სიცრუის დაგმობით რომ უნდა მოეპოვებინა, უფრო და უფრო ეფლობოდა უკუღმართობის

ონწყვეშიისმაგვარ ლაქაშებში. აყურადებდა სასოწარკვეთით აწივლებულ მე-ს, რომელიც ქეჩოში ჩაფრენოდა და ახალი გადასახადებისკენ მიაჩაჭჩარებდა. სიყვარულის მომაჯადორებელი ტრამალი ბიბინებდა იქ, მაგრამ აღთქმული ნაპირი რატომღაც იგვიანებდა.

ეს დღეები ჭიჭე კვეკვე ცხონდა. რას არ ლაზღანდარობდა, რას არ ქილიკობდა. ენგურის შეფუცხუნებას ბრალდებოდა ყოველივე: თუთურიას მოტაღცება იყო ეს, ძუბა ჭანიას მოღუნული ფეხების ფათერაკი, თუ კემე ანთარიას ფიჩხის ლეგიონების განიავება. აცოცხლებდა დეიდების ტრიფოლიატის ღობის მიხრწნილ ძირებს, რომლისთვისაც გადარეულ მდინარეს მიეხერგა ენგურჰესის მშენებლობიდან კახა ანთარიას მოპარული ფიცრები, თუ სხვა მრავალი. აქვე ჩვეული ენაწყლიანობით გადმოსცემდა ძმადნაფიცების დარაზმულობას, მათ სამაგალითო გადაწყვეტილებას: ნებისმიერ უპატრონო ნივთს კემეს უსახსოვრებდნენ.

ილრიჯებოდა გაბერილი საქონლის გატყავებისას თუ ხარახურათა მფლობელების დადგენა-განსაზღვრაში. ყბედობდა, ჭიჭე კვეკვე თუ როგორი სამართლიანობით მიანაწილ-მოანაწილა ყველაფერი: თხილის ტკეჩით დაწნული კალთები, გიდლები ტარსრიალა თოხებთან და ბარებთან ერთად, შრომის გმირობისათვის მკლავებდაკარწახებულ კოლი ჭანიას არგუნა; სასროლი ბადე და რეზინის ჩექმები — ჭაჭია ქობალიას; თითბრის კასრი —გვიტ ანთარიას. მოკლედ, როცა წყლის მოტანილი წყალწყალა ხალხს მიაშავა და მიაშავა, ცირიბიასთვისაც მოიტოვა საკმაოდ მიფხრეწილ-მოფხრეწილი საწმერთული.

— იქნებ ოდაბადელები სასწაულს მოვესწროთ, — ხიხინებდა ჭიჭე კვეკვე, — ჯიმაიამ დაია-რძალი დაინდოს, მოყვარემ — მოყვარე და მეზობელმა — მეზობელი!

ისევ შკვითინხეს სამოსახლოს უბრუნდებოდა, რომელსაც მაშველი რაზმის წევრები ვიდრე ღობესა და ჭიშკარს ურემონტებდნენ, ,,ძუბას წმინდა გიორგი ჭიპს თვინიერად ჩაუბრუნებდა''.

არა, რაღაც ხდებოდა ოდაბადეში, აქამდე უცხო, ჯერ არნახული, გაუგონარი. ენამრუდობდა ჭიჭე კვეკვე დუყლა ანთარიას ნაწისქვილართან თუ ჭოფიას ნაბორნალთან, სატანჯოელების ორმოცის სამზადისსა თუ კერიას ლაჯებმიშვერილ ქალებში. ისე კი, შინმოუსვლელთა პარკში ბონდომ მართლაც მოუხშირა სიარულს. უკვე წყალდიდობის დაცხრომის მეოთხე დღე იყო, მაგრამ მაინც ოდაბადეში ტრიალებდა. ინსტიტუტში გაცდენილ ლექციებს აინუშიაც არ აგდებდა.

,,ტყუილად ვშიშობ. იმ ფულს კიდევ ერთ წელიწადს ხელს ვერა-

ვინ ახლებს. ამათი კანონმდებლობით ის წიგნაკები ჯერჯერობით ფარატინა ქაღალდებია, სხვა არაფერი. არადა, ვალდებული ვარ ჟინი ანთარის სახელით სოლიდური საჩუქრები გავუმზადო ნახევარძმებს. თუ ცოცხალი აღმოჩნდა, მამაჩვენი, ამ საქციელით ქარაგმულად მივახვედრებ, რომ მისი ანგარებიანი სიყვარული ზედმიწევნით ამომიცვნია; ძირის-ძირამდე ჩავმწვდარვარ, უსახური, მაგრამ კანონიერი მემკვიდრეები რისთვისაც მოიძულა და და სანაცვლოდ ფრთოსან ჭიანჭველად სახელდებული ბუტუტი, იგივე სიცოცხლემისჯილი ბონდო ჰალიძონია, რა მოსაზრებით გავუღმერთებივარ. შენი შეფასების კრიტერიუმი იქაც და აქაც სხეულებრივი უპირატესობებით შემოიფარგლება, რაბი. რომ არა ეს პრივილეგიები, მეც მათსავით გამწირავდი გონჯსა და ხეიბარს. ნუთუ ეს არის შენი სამართლიანი მოძღვრება სულის აბსოლუტიზმსა თუ ყოვლისმომცველობაზე?!"

ოდაბადეს გაზაფხული ძალას იკრებდა. ხეში წყალი ჩადგა. ჩიტმა ჩიორამ საძირკველი გადგა. მოფრინდნენ პირველი მერცხლები. მზე აქტივობის ზენიტისკენ მიიწევდა. სხეულს ახალვათებდა, ტანს ამსუბუქებდა და აქამდე ბიჭურად შემოსილი ხანტური, ხან წიგნის თაროებს წაეპოტინა, ხანაც ფორტეპიანოს ოქტავებს შეებრძოლა; ზოგჯერ ჭადრაკის დაფას ფეხმორთხმით მიუჯდა, აქა-იქ ციტრუსთა ნარგავებში მტრედები ააფარფატა; სად ქერქენჯს შაქარი მიართვა პეშვით, სად ბომბორა ძაღლები ააწკმუტუნა და ახტუნავა დაპურების მოლოდინში; როდის პუტას და ძიკვას მიეშველა წყალდიდობით წარყვნილი ეზო-კარის მოწესრიგებაში; მოგვიანებით შლანგით მორეცხილ კორტზეც გაქროლდა შორტებში გამოწყობილი, ერთგან კიმონოთი გამოეცხადა სარკეს, საჭიდაო ლეიბებს, კიდეებიდან გადმომდინარე, ჩაცისფერებულ აუზს კი ყოველთვის თრთოლვით ჩაუარა. შადრევის ჩქერილებს განერიდა. ვერც მოხასხასე წყალს მიაჩვია ხელები. მოკლედ, ხანტურის მარჯვენა მკერდის ყინული ვერ იქნა და ვერ გალხვა.

გაორებული ჰალიძონხე ხვდებოდა, რომ ბონდოს დასაკავებლად არც ფოჩიანი კაბები და ბრჭყვიალა საგნები კმაროდა, შველოდა რამეს, აღარც „აკაის"8 ფირმის მაგნიტაფონი და იშვიათი სლაიდები და ვებერისეული „იესო ქრისტე — ზევარსკვლავის" ჰიპ-ოპერა. თანამიმდევრულად უფასურდებოდა ქალიშვილის გარშემო უფლისწულის მისატყუებლად ფაცერივით დაგებული ფეტიშები. დაღუპული ხომალდის მგზავრს დაემსგავსა, რომელიც მაშველი რგოლის ანაბარა დატივტივებს ოკეანეში და ხელისგულისოდენა საყრდენი მი-

წა თავს ურჩევნია. ასეთი ციცაბო ნაპირი ხანტურისათვის ბონდოღა მოჩანდა თვალსაწიერზე. ამიტომაც ყმაწვილის საქმიანი ვიზიტები და მარმარილოს ქანდაკების სახის სიცივე წამებად ექცა. ვერც დადგა, ვეღარც წამოჯდა და წამოწვა. სკოლა, მეცადინეობა, წიგნები სულ ამოიყარა გულიდან. წარამარა ნივთებში იბლანდებოდა. ფეხს წაჰკრავდა უდიერად, რამდენიმე მეტრით მოიშორებდა, მაგრამ მაინც მათი მაგნიტური არედან ვეღარაფრით გაეღწია. ბონდოს გამოჩენამ ადრინდელი მიმზიდველობა წარსტაცა ყოველივეს. აქამდე ჭინჭებისა და სამშვენიერების ტყვე ქალიშვილის თვალები ჭიშკარფარშავანგს მიეყინა ნელინელ, თუმცა სტუმარი თავისი ხუშტურით დადიოდა, ხან დილით შემოივლიდა, ხანაც — ვახშმის მერე. რამდენიმე წუთით დახედავდა ავადმყოფს და იქაურობას უხმოდ გაეცლებოდა. აღიზიანებდა ხანტურს თუთურიას გაპარვის გამო შინამოსამსახურე და-ძმის პუტუნი, მილანდარის მომჯობინებისა და სატანჯოელების უბედურების თაობაზე ბებია-ბაბუის მასალათი; სულს უწეწავდა დედის გამოთაყვანებული იერი. ძარღვებს უშლიდა მამის გაუთავებელი ბოლთის ცემა. მოვიდა ბონდო და ცხოვრების ხალისი წაერთვა. ისევ ბიბლიოთეკის თაროებს შეაბობღდა, წიგნების ციდისსისქე მტვერი შეიყნოსა. როგორც იქნა გაიგო, ვინ იყვნენ ელენე მშვენიერი და ჰამლეტი. ზოგჯერ სემირამიდის ბაღშიც იბორიალა, ჰამაკში წამოწოლილმა ოცნება სცადა, მაგრამ გული ვეღარაფერს დაუდო. მერე აბაზანა მოეპრიანა, მესამე სართულზე მოთავსებულს, ამრეზით შეავლო მზერა. ბონდოს ნაწოლ ვარცლში ინებივრა. ჩეხურ კაფელს ლოყა მიახუტა. აბუმბულებულ წყალს ეალერსა. გარდერობის დანაფტალინებული ტანსაცმელი დიდხანს ახარისხა და ბონდოს დაწუნებული აგუგუნებულ ბუხარში შეყარა. ბონდოს ნაცვამი ძველმანები სასთუმალთან მიიახლოვა. მისი ხელების სითბოშერჩენილი ნივთები შემოიკრიბა.

მიფატუს უბანში, ენგურის ტოტის გაყოლებაზე, ოდაბადელებმა ჯებირის მშენებლობას მიჰყვეს ხელი. მდინარემ ისევ დაიკლო და ახლა კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ მოხუცი ჯვარზენიდან კახა ანთარიას მიერ წყება-წყებად გამოგზავნილ ბეტონს დასტრიალებდა. თვითმცველები ტვირთისგან გათავისუფლდებოდნენ თუ არა, ღამითაც, ელექტრონის შუქზეც, ტუჩმოჭყლეტილი ვედროებით, ურიკებითა და ჯალამბრებით ჯებირის ტანში დუღაბს ასხამდნენ. მერე სატრფიალო ტირიფების ძირას, დაშრეტილი ნაკადულის პირას დანთებულ კოცონს შემოუსხდებოდნენ, კემეს მოზიდულ ფიჩხს ბლომად დაყრიდნენ და სიცილ-კისკისში იცრიცებოდა წკვარამი.

აქა-იქ ზღვისპირეთისაკენაც აიყრებოდნენ. განრისხებული სტიქია მთისხელა ტალღებს მოაგორებდა. ბონდოს მეტი ვერავინ ბედავდა შიგ შესვლას. ნაპირზე დარჩენილი ქალ-ვაჟები ზვირთებს შეთამამებულ ყმაწვილს ზღვის ღორების გამოჩენით აშინებდნენ, ის კი არხეინად ეთამაშებოდა დელფინებს. ზღვის ფსკერიდან ოდაბადელებისათვის უცნობი ლამინარიები* , აქტინიები* და ნიჟარები ამოჰქონდა. ნადავლს სილაზე დაყრიდა. ნელთბილ ქვიშას ჩაეხუტებოდა. თვალებს დახუჭავდა და ხანტური და ცირა შკვითინია იმწუთასვე გამოქანდებოდნენ მისკენ. ხელგაშლილები გამორბოდნენ, გამორბოდნენ. ქარს მიჰქონდა მათი ლბილი, კონტრასტული დალალები. როდენის საჭრეთლით გამოცოცხლებული და ძაძებით დაძონძილი სხეულები ზეფირებში შეცურდებოდნენ. კვლავ ქვიშას ჩაეხუტებოდა ბონდო და გარინდებული ამხანაგებიდან ერთიც ვერ ბედავდა შეხმიანებას.

ჯანდუ ქობალიას სატვირთო მანქანით ბრუნდებოდნენ სოფელში. ლაზღანდარობდნენ. ათას საოხუნჯოს ჰყვებოდნენ, თუმცა ახალგაზრდას სევდა დღითი დღე უძლიერდებოდა. უცნაურ ჩიხში მოემწყვდა. ასე Buthus Eusorpius-ს* ცეცხლის რკალში შეაგდებდა ჟანი ანთარი ხოლმე, რათა უეჭველი განსაცდელის წინაშე დარჩენილი მცოცავის ინსტინქტი ზედმიწევნით აღეწერა; გაერკვია, სიცოცხლეს თვითონ ისწრაფებდა ნამდვილად, როგორც ამას მწერალი გვიხატავს, თუ ყველაფერი ფანტაზიის ნაყოფი, შეთითხნული ჭორი გახლდათ. ბევრჯერ უხილავს ბონდოს ბოლოაპრეხილი მორიელის ცოდვილობა. იქნებ შხამიანი კუდით საკვლევი ობიენქტის მიერ საკუთარი თავის დაგესვლა-განადგურება ეჩვენებოდა მხოლოდ და რეალურ სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამებოდა, მაგრამ სად ასპიტი და სად — ბონდო?! მას ხომ სიყვარულით ეთაფლებოდა ბაგე?!

განჭვრეტილ ბედისწერას, რაც უფრო მეტად უღრმავდებოდა ჭაბუკი, მით უფრო ისტუმრებდა თავდავიწყების მორევისკენ ხაბოსპირი ფრთოსან ჭიანჭველას. თითქოს სატანჯოელის შეცღდომის გამოსასწორებლად მოვლენილი უსხეულო არსება ყოფილიყო. ნახევარი საუკუნის წინათ ჟინი ანთარის გაუთხრელი საფლავი ნელინელ ჭანგებში იმწყვდევდა და თუმცა სემირამიდის ბაღიდან ხანტური ეციმციმებოდა, ჭყონდიდის ძირას ოდაბადელები ესათნოებოდნენ, შინაგანად მაინც ობლად გრძნობდა თავს. წუხილს ვერც ცირასთან

შეხვედრები უქარვებდა. პირიქით, დედის სამოწყალო იერი ჭრილობებს უღრმავებდა. სუნთქვა შეეკვრებოდა შავოსანი ქალის მნახველს. გვერდის აქცევის, გარინდებს ძალა წაერთმეოდა და მაინც. მშობლის თვალებიდან ღაპაღუპით წამოსულ ცრემლს წამით შეუყოვნდებოდა. შკვითინხეც ყასიდად გულს შეიღონებდა, რათა მახლობელ ოჯახამდე ევლო შვილის მკლავზე ჩამოკიდებულს. იქ, ჭიშკართან, გამორბენინებულ ვენურ სკამზე ჩამოისვენებდა. ცივ წყალს აპკურებდნენ. კატაბალახას წვეთებით მოასულიერებდნენ. არ იცოდა ბონდომ, რა წყალში ჩავარდნილიყო. გაემხილა ვინაობა ხალხისთვის, ზნეობადაცემულის სამარცხვინო ბოძზე გაკრულიყო, მართლმსაჯულების სკამზე დამჯდარიყო, თუ კიდევ რაღაცას დალოდებოდა, რაღაც უეცარი ცის გახსნის იმედით ესულდგმულა.

ყმაწვილის საკვნესელს ვერც ძუბა დედილოს დაყვავება შველოდა რამეს და, ვეღარც ჭოფია ანთარიას დაჟინებული თვალთვალი, აბსოლუტურად უძლური იყო აქ ოდაბადელი ცირების ბროლის კბილების შემოშუქება, ფონენდოსკოპსა და წნევის საზომ აპარატს ამოფარება, თუ ხანტურის სიყვარულით დამდნარი გამოხედვა და კერძის გადაღებისას ხელის ნაუცბათევი შეხება.

ხეტიალი დასჩემდა. ძმები ანთარიების საფლავებთან წრიალებდა. ჭიჭე კვეკვეს უამხანაგდებოდა.

— პარკის მოვლა არავის დაუვალებია ჩემთვის, — უთხრა თავისუფლების ოცდამერვე დღეს ბონდოს ჯიმაყონერმა, — ეს ყოველივე თითქმის ბუნებრივად მოხდა, სასაფლაოზე სისტემატური სიარულის შედეგად. აბა, უშვილძიროს მეტი რა ღამრჩენოდა?! თავიდან ავადმყოფ ხეებს ვპატრონობდი. ჩამომტვრეულ ტოტებს მოვაშორებდი. შემდეგ საღსალამათ ნერგებსაც მოვეფერე. მერე და მერე ამ მიწისფერ ხელებს ბარიც მოუშინაურდა და თოხიც. ღიღინ-ღიღინით გარშემო ვუვლი ხეივანს. თითოეულ ხეს თავისი სახელი ჰქვია. ეს ორი, მაგალითად, ხვიჩა და გოჩა ანთარიები არიან, ძუბას ტყუპისცალი ბიჭები. ცელს, კირს და კუშტადშეკრულ ცოცხს დავუძმობილდი. მოკლედ, ისე შეუმჩნევლად შევეჩვიე კაკლოვანს, რომ ახლა უჩემოდ აქაურობის წარმოდგენა ოდაბადელებს ნამდვილად გაუჭირდებათ.

ეგ რა ტომარა ამიკიდია?! არ დამკვირვებიხარ, თორემ ტომარაკიდებული აქამდეც ბევრჯერ გინახივარ. ამისთანა ჯვალო ათეულობით გაცვეთილა მტრედების საკვების შეგროვებაში. დავუყვები შუკებს, დავკაპანდები. ზოგ წუწურაქს კეციდან ავტაცებ მჭადს, ზოგიც

თავისით დაფაცურდება. შინმოუსვლელთა პარკში დროულად შემ-ვეხეტები. ოდაბადე ერთადერთი სოფელია მთელს სამეგრელოში, რომლის ოდა-სახლის სახურავებს მხოლოდ სილამაზისთვის როდი დასტანებია სამტრედეები. გაგიძნელდებათ აქ ძირძველი ოჯახის პოვ-ნა, რომლს აივანი ან მტრედს შემოსწყრეს, ან კიდევ — მერცხალს, მაგრამ ხსენებულ სიკეთეს ვინმეს ჭერი თუ ნაკლულობს, ყოველი უბე-დურება — მოსავლის ზარალია ეს, საქონლის სიბერწე თუ ნიკრისის ქარების მოხშირება, სულ უმერცხლობას და უმტრედობას ბრალდე-ბა. უფრო დიდი ცოდვა დაატყდება თავზე იმას, ვისი პეწენიკა რძალი დასკინტლული მოაჯირის ან ბუმბულცვენის გამო, ბუდეებს მოუშ-ლის, როგორც ერთს, ისე — მეორეს. მერე სარტყელზე უკურნელ ჭრი-ლობებივით რჩებიან ვერცხლისფერი რკალები. ამისთანა ბოროტ ადამიანებს მტრედების მოდგმაც წლობის ამოირეცხავს გულიდან და როცა წაკინკლავდებიან სადმე, უმთავრესი წამოსაყვედრებელი, სწორედ რომ ეს უმერცხლობა და უმტრედობაა. ამიტომაც ზღვაუ-რისაგან მიმყუდროვებულ კედელზე ფანერის კოლოფებს მიაჭედე-ბენ. ღელისპირას დაპუტულ სარდიკიას* და უნასივით მიწა-მიწა მცურავ მაფატიას* ბუდეში ჩაუფენენ.

ჭიჭე კვეკვე, დედალ-მამალი მტრედი გვისახსოვრეო, შემევედრე-ბიან და ოჯახს სითბო ემატება. მაგრამ ჩემოდენა მშვიდობის მაუწყებე-ლი ფრინველი არავის ჰყავს. ღამით ოდაბადელებისას ღუღუნებენ, დღისით კი უკლებლივ მომაკითხავს ყველა. რანაირი ფერისას არ ნახავ აქ?! ოქროს ფრთებიანს, აი, შენი და ცირიბიას კულულები რომაა, იმ-დაგვარს. ნახავ წამობურცულ მკერდთან მწიფე ხართუთისფერი სხი-ვები რომ ექსოვებათ, იმისთანებს, თუ ალაგ-ალაგ დაწინწკლულებს. ცისფერებსაც შენიშნავ, რომლებიც აღმაფრენისას სხვებზე ადრე ერ-წყმიან ცარგვალს. იხილავ იასამნისფერებს, თალხებს, კუპრისფერებ-საც. დამერწმუნე, მათ სიკეთის კალთა იფარავს სათითაოდ. ამდენად, დაშავდება რამე თუ განვაცხადებ, რომ მთელს ოდაბადეში, აი, ამ მი-წისფერი პეშვით გამოზრდილი მტრედები ბუდობენ-მეთქი?!

— კი, მაგრამ ფრჩხილები რას მიგიგავს?! ქვეყანაზე მაკრატე-ლი გაწყდა?!

— ეჰ, ფრჩხილები, ფრჩხილები... მთავარია შუბლი იყოს სუფ-თა. დანარჩენს ეშველება. ჩემს არსებაში, გიორგი, გაერთმნიშვნელი-ანებულია ხეივანი და სასაფლაო, მტრედი და ყვავი. ასე რომ, ძნელი

ამოსაცნობია, რომელი გახლავთ ჩემი სულის გამობრწყინების ალჩუ და თოხანი, შენთან ნარდის თამაშისას გამოვლენილი ენამჭევრობა, მტრედების შეჯვარება თუ ყვარიებისθ წვრთნა. **„უკუთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არ შენდა, რა თა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა. და უკუეთუ მარჯუენე ხელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რა თა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენიასა“.** მათესთვის რომ მეგდო ყური, ჩემგან ნახევარიც არ დარჩებოდა და ნახევარი კაცი გინდ სამოთხეში ყოფილხარ და გინდ ჯოჯოხეთში. გველებს ვუნახავ და დასაჭედ ხარ-კამეჩებს თვალის ერთი დაკვესებით წავაყირავებ ხოლმე. ჭინკების გაჩენილი სასაფლაოდან გვარიან შეთენებულამდე ვერ გამოვტეულვარ. საკმარისია სისხამზე შუკაში გამოვჩნდე, რომ გადაუდებელი საქმისთვის შინიდან გამოსული მგზავრი მაშინვე ფეხს აითრევს. მიტრიალდება, თითქოს რაღაც დავიწყებოდეს. ვიცი ეს ყველაფერი და გზა რომ არ გაუმრუდდეთ, სულ უკაცრიელი ბილიკებით მიწევს სუნსული. მებრალვის ხალხი! — ჭიჭე კვეკვეს თვალები უცნაურად უელვარებდა. წყავნაჭამის მსგავს კბილებს მალიმალ გამოყრიდა, — აბა, ჩემს გამოჩენას ტყუილად აბათილებენ დეიდები საჯდომზე პწკენით?! ჩემი ნამდვილი ფასი დროულმა ოდაბადელებმა უფრო იციან. მიცვალებულთა მაფუფუნებელს მეძახიან. კოჩიას ცხედარიც მე არ ჩამოვხსენი ბჟოლიდან?! არადა, იმისთანა საინტერესო მკვდარი ჯერ არ შემხვედრია. თავის მოკვლის ათასგვარი საშუალება არსებობს, გიორგი. ეგვიპტელები შხამს ანიჭებდნენ უპირატესობას. ბერძნები და რომაელები თბილ აბაზანში მაჯის გადაიფატრავდნენ ხოლმე. თავის ჩამოხრჩობა კი, ჩემის აზრით, წმინდა კოლხური მოვლენაა. წელზე ქამრის შემორტყმაც ყოველივეს გვიდასტურებს, ვინაიდან ადრე მისი ადგილი, წესით, თოკს უნდა სჭეროდა. უსაფუძვლოდ როდი გვცინებს ისტორიკოსი: მეგრელს თოკი იმისთვის შემოუხვევია წელზე, რომ ან ცხენი მოიპაროს, ან კიდევ ვინმე გაბაწროს და თურქებს მიჰყიდოსო. თოკი პირველად, ალბათ, იქ დაიგრიხა, სადაც უხვად მოიპოვებოდა ჯაშქვიდუθ , ლაფანი, კანაფი და სელი.

— განწირული ვყოლივარ. Ex arena funiculium nectis*.

— გამოცდილება მალაპარაკებს, თავის მოკვლა ან უეცარი ხასი-

ათისაა. ან ხანდაზმული, ნაყოყმანებ-ნაჭოჭმანები. საბოლოო ჯამში, ერთიცა და მეორეც უიღბლო, მარცხიანი ბუნების ადამიანის ლოგიკური გადაწყვეტილებაა. ასეთი ხალხი სულიერი დეპრესიის კულმინაციურ ფაზაში კვებასაც შეწყვეტს ხოლმე. ჰმ! სხეულის სისპეტაკისათვის ზრუნავს! სიკვდილის აქტი, როგორც წესი, ახლობლებისგან მოშორებით, სამზადსა ან თავლაში ხორციელდება, სადაც მრავლადაა ოჯინჯალე და დირეები. ეს კომფორტი ჩანს, დრომ მოიტანა, თორემ იგი ადრე იგი ბუნების წიაღში უნდა მომხდარიყო. გავიხსენოთ დასაფლავების ძველ-კოლხური ჩვეულება. ჩვენი წინაპრები მიცვალებულს ხარის ტყავში გაახვევდნენ, ახალგაზრდა ხეს მოდრეკდნენ, თოკით მიაბამდნენ ზედ და ხორციოთაც კი ცისკენ ასწევდნენ. თავის ჩამოხრჩობაც სწორედ ცადამაღლების ქვეშეცნეული მცდელობაა. აჰა, ჩვენი საუბრის გმირი გულდინჯად განასკვავს მარყუჟს, ყულს იმდენად შემოლიჭერს კისერზე, რომ თვალებში სისხლი მოაწვეს. ამით გადარჩენის შანსსაც გამორიცხავს და რაც მთავარია, ტანჯვის მომენტსაც უკიდურესობამდე ამცირებს. მერე წაფრინდება და წაფრინდება. ხელ-ფეხის რამდენიმე გასავსავება და ჭიჭე კვეკვეს საქმეთათვისაც გახაზირდება. ადრეც გეუბნებოდი, ჩამოხრჩობილის ყელს წითელ ზოლად აჩნდება თოკის ნაკვალევი, მხოლოდ კოჩია იყო გამონაკლისი.

სიკვდილის შემდეგ დაკიდებულს ჰგავდა-მეთქი, ასე გავიძახოდი აქამდეც და ახლაც იგივეს ვამტკიცებ. დაცდილი მაქვს, გამეცლები თუ არა, მაშინვე უცნაურობებს გადავეყრები. აი, მაგალითად, გუშინ, როგორც კი მილანდარისკენ გაემართე, მოვფხიკე ბარგი-ბარხანა და სოფლის ცენტრს გავუპირდაპირე. სიგარეტი შემომაკლდა და ცირიბიას მაღაზია ღია თუ იქნებოდა, რამდენიმე კოლოფს ვიყიდდი. დუქანთან ოციოდე ოდაბადელი შეკრებილიყო. ისინიც შკვითინხეს მოსვლას უცდიდნენ. კინტირია გაეგზავნათ შენი მიჯნურის მოსაყვანად. ებრალებათ, მაგრამ მაღაზიის გარეშეც უჭირს ხალხს.

ჩვენი ფარეხიშ შარკმელთან უკვე მეშამედ შევნიშნე ოჩოკოჩიშ ნაფეხურებიო. ჩიფჩიფებდა ცხენის ტორით დაკუჭუჭებულ ტუჩებში ჭაჭია ქობალია.

შაკვირველი იშიჩ არიშ, რომ აშვებულმა ჯაღლებმა ვერაფერი იგუმანეშო. დაღამდება თუ არა, შადგომში შეიჯურჭებიან. რა ჭკმუტუნი, რიშ ჭკავჭკავი, ყეფაჟე ხომ შაუბარიჩ ჟედმეტია. კუდამოჯუებულთა ჩამიჩუმშაჩ ვერ გაიგებ კაჩი. შანამ ტელევიქორი მუშაობდა შხვა ამბავი იყო, მაგრამ ახლა, როჩა კერიაშთან მაშლაათშ მოვრჩე-

ბით, ტახტებზე მივეგდებით და კოლი ჭანია განიშ ხერხშ დაქოქავშ, ნურაშ უკაჩრავად. ფიჩხიშ გატყდომა ან თაგვიშ გაფხაჭუნება რა მოშატანია, როდეშაჩ შაკუთარი ბალანიშ აშლიშ ხმაც მეშმიშო.

დაწვრილების იმიტომ მოგითხრობ ამას, რომ ფინალია მეტად საინტერესო.

კოლია ჭანიაშ ქირქილიშთვიშ მჩალიაო შჭორედ! ურჭმუნომ ხეშ და ქვაშ უხათქუნოშო თავი. ჟორბა-ჟორბა ნატერფალებშ მივშდიეო დღიშით. ონჭყვეშიაშ გაუვალ ჭორომებთან მიმიყვანაო შამივეჯერ. ჭყეული შატანჯოშკენ უმოკლეში გჟაჩ ხომ იქითკენ არიშო. მკვდრებიშ შულებშ გაფიჩებთ, თქვით, იმ ჭაობშ ღამით კი არა დღიშით გაივლიშ ჟინი ანთარიშ მეტიო. ჩემჟე უკეთ იჩით, რამდენი კამეჩი და ჯროხა ეყოლება გადაყლაპული. ბაგიშ მოშვლაშ ველოდები. როგორ, იმ დაშაჭვავში ყურყუტი მომეშაჯა განა?! შემინაჩვლებშ ვინმეშ და მიში ჭირი შემყროდეშ, არადა, დავკრავ ფეხშ, და ტურა-მლებიშ შაჯიჯგნად დავაგდებ კოლი ჭანიაშაჩ და თქვენშ მობარებულ შაქონელსაჩო.

მოკლედ, ის ნაფეხურები, ჟინი ანთარის იყოო, ამტკიცებს ქვეშაფსია. ვფიქრობ, ჭაჭიას მოთხრობილს რაღაც საერთო მართლაც აქვს კოჩია ჰალიძონიას კისერთან. უცნაურობები ვახსენე. ვიყიდე მაღაზიაში ერთი ბლოკი „კოლხეთი“ და დავადევი თავი ჭყონდიდისკენ. ვზივარ დანებით აჭრელებულ მერხზე. ვეწევი, თან ცხონებულ ლადი ჭანიას ვიხსენებ. უცებ ხოჭოსავით „ოცდაოთხმა“ არ მომამუხრუჭა ზედ?!

ოდაბადელი ხარო, მეკითხება მანქანიდან გადმოუსვლელად გრუზათმიანი მძღოლი.

კი, თქვენი ჭირიმე, ოდაბადელი-მეთქი.

ბონდო ჰალიძონიას სახლს ხომ ვერ მიმასწავლითო, ახლა ხმელ-ხმელმა.

ბონდო ჰალიძონიასთან ჩემი მტერი მისულა-მეთქი.

რატომო, ჩამაჯინდება სქელკისრიანი და გაკვირვებით გადახედავს გვერით მჯდომ წრიპას.

რატომ, გენაცვალე, და ცეცხლში დაიბუგა ის საცოდავი. ამ დღეებში ორმოცია-მეთქი.

დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა უბედურება მომხდარაო, სქელუამ. ცოტა ხანს ხმას არ იღებენ, მერე ისევ მე დავარღვევ სიჩუმეს.

თქვენ რა გაინტერესებთ. იქნებ მე დაგეხმაროთ-მეთქი.

როგორ მოვიქცეთ, ჩიტაო, ჩაეკითხება გამორილს ძვალკანა.

რამეს ვიღონებთო, თონთლომ და მანქანას დაქოქავს.

მშობლები თუ დარჩა ცოცხალიო, ჩამომხმარმა.

დედა ჰყავს-მეთქი და კიდევ ძმა. დურუ ჰალიძონია ხომ გაგიგონიათ, ხონის კოლონიაში რომ იხდიდა სასჯელს, ჰოდა, მაგი-მეთქი.

მაშ, დურუს ძმა იყოო, ჩიტამ.

გახლდათ-მეთქი. როცა ნებით არ გამოუშვეს სატირალში, დაჰკრა ფეხი და პატიმრობიდან გაიქცა, თუმცა ძმის დატირება მაინც ვერ მოახერხა, ვინაიდან მთელი ოდაბადე ძაღლებით იყო სავსე-მეთქი. დედამისს ხომ არ ინახულებდით? ახლახან გააღო მაღაზია-მეთქი, მივაყრი სხაპასხუპით, როცა შეკრთომას შევატყობ ერთსაც და მეორესაც.

ამისთანა უბედურების შემდეგ უხერხულიაო, ჩიტამ.

ორმოცი როდისთვისაა დანიშნულიო, ხმელ-ხმელმა.

ცხრამეტში, ცხრამეტ თებერვალს-მეთქი. მინდოდა კიდევ რაღაც-რაღაცეები მეკითხა, მაგრამ მიატრიალეს მანქანა და ისე გაშპნენ, ნომრის დამახსოვრებაც კი ვერ მოვასწარი.

— რისთვის მოატყუე?! — თვალი თვალში გაუყარა ბონდომ.

— გგონია ავხსნი? მაგისთანა ლაყბობით არ შევყარე ინფაქტი არ-დაშელს?! არ გასდის, არ ეპარება ვითომ ქვედა დერეფნებიდან?! მიყურადება, დასმენა და დაპანიკება სათაკილო რომ ყოფილიყო, არც ჟინი ანთარი გაიხდიდა ხელობად და მით უფრო — მამაღმერთი ჩვენი, მაგრამ მოდი, ისევ დაწყებულ საბუარს დავუბრუნდეთ.

გიორგი, როგორც კი აქაური კაცი გარდაიცვლება, გინდა კუზიანი იყოს, გინდა ბრუციანი და კოჭლი, ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ისეთნაირად გავრანდავ და მოვალაზათინებ, რომ გედე ჭანიას შალაშინს შეშურდეს. მკვდარს მარტოდმარტო ვაპატიოსნებ ხოლმე. როცა ჭირისუფალს დავითხოვ, გავლაღდები, მხრები და ხელები ამითამაშდება. ნამდვლ სასამართლო პროცესს ვმართავ, ოღონდ ეს არის, ჭიჭე კვეკვე ბრალმდებელია, ტორონჯია — ვექილი და წიწიკვაკვა — მოსამართლე. მერე ჯამდება, თუ რამდენი მოუნანიებელი ცოდვა მიაქვს გაღმა, რამდენი ქვაზე დადებული სიკეთე რჩება გამოღმა. როცა ავკაცურ საქმეებს ადამიანური ნამოქმედარი ძვრასაც ვერ უზამს, ჩემს ადგილზე კარგთა სულების ხსენებას მოჰყვებოდი შენც. ვისაც მუხლი მოვუყარე და ფართო შუბლზე ვეამბორე, ცხონებული ლადი ჭანია იყო. დანარჩენს?! ამ მახათივით თითს ხომ

ხედავ?! ჰოდა, მუცელში დავატაკებ ეგრევე. ფორმალინს, იგივე ჭიანჭველამჟავას ალდეჰიდს, ზოგ განსპეტაკებულს ენის ძირიდან შევუყვან ნეკისისხო ნემსით, ზოგს ჭიპლარიდან შევუშხაპუნებ იმ სისაძაგლეს და ზოგს კიდევ, ვინ იცის — საიდან?! ეს ყველაფერი გაგებული აქვთ ოდაბადელებს და მუხლებში ძალ-ღონე რამდენადაც აკლდებათ, იმდენად მიშარბათდებიან მემკვდრეს. ასე და ამგვარად, საერთო სასაფლაოზე ვმარხავ ყველას, სადაც შურიანები და სათნონი, კეთილნი და უზნეონი უჩხუბრად, უშფოთველად, გვერდი-გვერდ განისვენებენ. მათი პატრონები კი ჰომეროსის გმირების შესაშური აკლდამებს აწყობენ. ბევრი იქამდე გონდახშულია, რომ რადიოტელევიზორიც შეიტანა შიგნით და რაიმე ისეთი ანტენისთვის თენგიზ ანთარიას დასდევს კუდში. აბა, სად წაიღონ ოდაბადელებმა ფული, თავი ხომ უნდა გამოიჩინონ როგორმე და ყარს მათი სულები კარმიდამოდან მოყოლებული, საფლავის ქვით დამთავრებული. სულელები! ცხვირს იქით ვერ იხედებიან! არც კი ვარაუდობენ, ეს ჭრილობები ოდესმე ათასწლეულის მტვრით დაიფარება თუ არა; რაც ახლა კრიალებს, იმას ჟანგი რომ შესჭამს.

ჭიჭე კვეკვემ ჭაჭია ქობალიას გაჯაბას, (რომელიც წყალდიდობას რაღაც მანქანებით გადარჩენოდა), ლიმონათის გამოცლილი ბოთლი ესროლა. ჭურჭელი რკინის მესერს მიეფხვნა და ტალახისთვის გაჩენილიც ღრუტუნ-კუნტრუშით გავარდა. ეტყობა, სადღაც დინგის შემოსაყოფი ეპოვა, შემოტეულიყო და საკბილოს შოვნის იმედით დასუნსულებდა. პატრონი შეუკურთხა ჭიჭე კვეკვემ. ქვა ესროლა. კიდევ გააღრუტუნა. ერთი-ორი უყვირა. სასაფლაოდან ამას წინათ გაკრეფილი ხოთო ქობალიას ძაღლებით, არამითა და შარამით, არიქათი და შარიქათი დააშინა. სოროში ლაფსაჯიჯგნი ჩააყუნცვინა და მავთულ-ბადეს იქით გააშვლიპინა.

— ამის ჩასაბეტონებლად ორი-სამი ტონა ცემენტი მეყოფოდა, მაგრამ კახა ანთარიას გამორჩება კაცი რამეს?! ის კი არა, ბევრს ღობის მოშლა სწადია.

არ უნდა შემოგვეკავებინა, სწორი იყო არდაშელიო, გაიძახიან ისეთი უქნარები, რომელთაც დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ სახლ-კარი თავზე დაექცევათ. ადრე სხვა იყო, სასაფლაოზე მიშვებული პირუტყვი სარეველას არ აჭაჭანებდა. რაც შემოვაკავეთ, მერე ანწლი და ჭინჭარ-ეკალი არსად ეტევა. გჯეროდეს, უკეთესია! თვალნათლივ გა-

მოჩნდა, ვინ აფასებს მშობელს, ალალ ცრემლსაც რომელი ღვრის. წვეულებაზე ვესტუმრები თუ ზურგს შევაქცევ მასპინძელს, სულ ერთია, საუკეთესო ღვინის და ულუფას ყოველთვის მიფეშქაშებენ. ძღვენი თავიდან მოცილებას გულისხმობს. მათი შეხედულებით ჭიჭე კვეკვეს ლხინთან რა ესაქმება. თითქოს მხოლოდ მკვდრების დამმარხავად ვყავდე გაჩენილი სულწარწყმედილ ჟინი ანთარს. ოღონდ მიწა ვჩიჩქონო, რაც შეიძლება ღრმად, რათა მიცვალებულს კბილი არ გაჰკრან ხოთოს ძაღლებმა და დინგი არ მიუწვდინოს ჭაჭია ქობალიას გაჯაბამ. თითქოს სულ ერთია ვის დავასაფლავებ, კეთილს თუ ბოროტს, მარტოხელას თუ ჯონჯოლივით დაწვრილშვილებულს. უკეთ რომ ვთქვათ, ერთადერთი ოდაბადელი ვარ, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლეს ვათანაბრებ და განუყრელ და-ძმას ვეძახი მათ.

ჭიჭე კვეკვემ თვალები მოწკურა და ცურუ ჰალიძონიას საფლავს ორაზროვანი ღიმილით მიაჩერდა. თითქოს სამარხების ჭრილის პირას კი არა, ყურძნით სავსე საწნახელთან მდგარიყო შარვლის ტოტებაკაპიწებული, ლაპლაპა ფეხებით და მისი მხედველობის არეში მოთანდათანებდა ჭყონდიდის ძირას, ლადი ჭანიას მუხლებთან გატრუნული ოდაბადე.

თუნუქის მართკუთხა კოლოფების ირგვლივ მტრედები ირეოდნენ. ჭიჭე კვეკვეს ფრინველები ასხდნენ თავზე, მხრებზე, ხელებზე. ტალახიანი მარჯვენით პრეზიდენტის მოსასხამის ბარაქიან ჯიბეში დაღერღილ სიმინდს მომუჭავდა, მეორეს მიაშველებდა და მათ მოკაპკაპე ნისკარტებს უნაწილებდა.

ბონდოს რეცეპტით დამზადებული მალამო გადაპარსულ კეფაზეც წაეცხო მემკვიდრეს, პირისახეზეც და წარბებზეც. ასე რომ, თავზე გადმომხობილი კაპიუშონიდან იშვიათი ლითონივით ბზინავდა.

თუნუქის კოლოფს მოშორებულ მტრედს თითით მოუხმობდა. ისიც მიუხვდებოდა და მაჯაზე დააფრინდებოდა.

— ღერღილს ჯიმადიშვილი დუყლას კლიენტებს ავწაპნი ხოლმე, — განაგრძო ჭიჭე კვეკვემ და საკვები ბილიკზე მიმოაბნია, — ვის ერთი მუჭით დავბეგრავ, ვის — ხუთით, (სიტყვამ მოიტანა და ჭიჭე კვეკვეს სამი მტკაველი რამდენიმე სანტიმეტრით სჭარბობდა ერთ მეტრს), გამომართვი, გამომართვი, დააპურე მტრედები!

შთაგონებულმა ბონდომ ანგარიშმიუცემლად გაუწოდა მარჯვენა და მათ კონტრასტულ ხელებში გადანაცვლდა სიმინდის ღერღილი.

ყმაწვილმა გუნდისკენ მიმართა პეშვი. „რაბის ხელები, რაბის ხელები“.

სამი მტრედი წამოგოგმანდა. ერთი ხატულია კი ღუღნითა და ხურთქინით მთლად მაჯაზე დააჯდა.

— ეს ჭრელი ხანტურისაა. საოცარი თვინიერებით გამოირჩევა, — მესაფლავეს გალღობილი ლითონი ჩაეღვარა ხმაში.

ბონდოს უკვე აღარაფერი ესმოდა. თითებში მომწყდეული, მოფართხალე მტრედი ტუჩებთან მიიახლოვა და უჟმურად დაუკოცნა ფაფუკი მკერდი. „შიგნიდან იკითხე შენ, თორემ გარედან ასეთივე თვალისმომჭრელი ვარ მეც!“

ახალგაზრდის საცოდავობამ ჭიჭე კვეკვე წელში გაღუნა. მუშტი მუშტს მიახალა და თითქოს უჩინარ მტერს უწყრებაო, მრისხანე მზერა ესროლა კაკლის ხეების ხშირი ტოტებით დახლართულ ცარგვალს.

— საოცარია პირდაპირ! ტორონჯიას მაშინღა მეძახიან, როცა გავცხარდები, სხვა დროს ან ჭიჭე კვეკვე ვარ, ან კიდევ — წიწკვავა, ესე იგი ორივე შემთხვევაში ნაბიჭვარი. ზოგს ერთი სახელი ძლივსღა ატიალია, ისიც წამხდარი! — მესაფლავემ გონებაგაფანტულ ყმაწვილს წაუჯიკავა, თვალი თვალში გაასწორებინა. მაგრამ მისმა სამოწყალო გამოხედვამ შეაკრთო და წამლების კეთილქმედებაზე წამოიწყო ლაპარაკი.

— ისიც წამხდარი. „ესეც შენი პატრიარქალური მსოფლიო! მაინც რა არის გვარი და სახელი?! მაშ, უკვე მეძებენ, არა?! საინტერესოა, რას წარმოადგენს ჩიტა. ალბათ, მეტსახელია. ქურდები იქნებიან, ფულის გამოტანას ვერ ახერხებენ უჩემოდ. **რა გინდ თავმან ჭირი მალოს, ჭირი თავსა არ მალავს.** სულმნათი. ჩემს ინდივიდს საწყისად ორი სუბსტანცია შეესაბამება, ამ ორს — ოთხი, ოთხს — რვა, რვას — თექვსმეტი და ასე შემდეგ. გამოდის, რომ ჩემში სინთეზირდება მთელი კაცობრიობა. ახლა განვსაჯოთ, რომლისგან რა მაქვს რეცესიული და რა — დომინანტური: მამისგან დოლიქოკეფალია* და პირველი ჯგუფის სისხლი დადებითი რეზუსით.* სად არის თმის ძლიერი მესამეული ფენა?! დედისგან — პიგმენტაცია* და ულოტრიხია*. აი, ეს ნიშან-თვისებანი, ასპროცენტიან საწყისად, P-დ* ჩავთვალოთ, რაც F_1 ფაზაში წესით უნდა განახევრდეს, F_2-ში — გამეოთხედდეს, F_3-ში — გამეთექვსმეტდეს და სადღაც F_n წერტილში თითქმის გაქრეს. მათემატიკური ანალიზით გამოდის, რომ სახეობა თავის სპეციფიკას ვერ ინარჩუნებს. ჯენკინსის* პარადოქსმა ხომ თვით დიდი დარვინიც კი ლამის ჭკუიდან შეშალა?! ყველაფერ ამას მი-

წასთან ასწორებს მემკვიდრეობითი ფაქტორი. ერთი კი ცხადია, ჩემში კაცობრიობის ნებისმიერი დადებითი და უარყოფითი რაღაც ნაწილითაა წარმოდგენილი. ზოგისგან შეფერილობა და აღნაგობა მომენიჭა, ზოგისგანაც ემოცია და პოტენცია. ამდენად, ორი საწყისით შექმნილი ჩემი ერთიანობა სინამდვილეში ისტორიულია და გეომეტრიული პროგრესიით კლებულობს წარსულისაკენ, ვიდრე ამებაში არ დასრულდებოდეს. რა შედეგს მოგვიტანს მისი შეუფერხებელი განვითარება?! ზეკაცს, ღმერთს. მოკლედ, იურიდიულად ანთარია, სიცოცხლის განხორციელების მილიონწლოვან სტადიებს რაღაც ცხრა თვეში გავდივარ. განა ცოცხალი არსება არ ვიყავი მეიოზგამოვლილი ზიგოტაȣ?! მერე რა, თუ ჯერ კიდევ დედის საშვილსნოში ვარსებობდი?! რატომ უნდა დამეკარგოს ცხრა თვე?! უცნაურია, მაგრამ ჭეშმარიტი, ვისაც კი ამ ქვეყანაზე უცხოვრია, თავისთავზე ცხრა თვით უფროსია. შვიდ იანვარს ჩვიდმეტის რომ გავხდი, სინამდვილეში შვიდ აპრილს შევსრულდები თვრამეტის და თუ ამისი დასაბუთება მოვახერხე, რაღაც ორიოდე თვეში სრულუფლებიან მოქალაქედ გადავიქცევი. მაშასადამე, გვარის შიგნით საქმე გვაქვს ხელოვნურ დ აჯგუფებებთან, სადაც ნათესავები ხშირ შემთხვევაში გენოტიპიურადაც და ფენოტიპიურადაც უფრო შორს დგანან ერთმანეთისაგან, ვინემ განსხვავებული გვარის წარმომადგენლები და პირიქით. ამიტომ არც ამნაირი ინდივიდების დაწყვილება მოგვცემდა იდეალურ შთამომავლობას, როგორც ამას სადღეისო წარმოდგენები გვიხატავენ. რა მოხდება, პასპორტში პიროვნების გენეტიკური სურათიც დაფიქსირდეს?!“

— გუშინ სადალაქოში, რაც კი ოდაბადელი მელოტია, ჩემს გოგრას უტატუნებდა, — გამოარკვია ბონდო ჭიჭე კვეკვეს სიტყვებმა, —შეხედეთ, შეხედეთ, რა თავია, რა თავიო, ესიტყვებოდნენ ერთურთს და საწევრო შეჰქონდათ.

დიიი?! ცოლოხ! წიე, წიე, რა თმა ამობიბინდება, რა თმაო, მამასხარავებდნენ თავიანთი მოკლე ჭკუით. უფრო ლმობიერები კი, როგორც სანიმუშო მოსწავლეს, რიგრიგობით გადამისვამდნენ ხელს, მაგრამ შენი წამლები რომ დავაძვრინე, ყველამ ენა ჩაიგდო. ეტყობა გაახსენდათ, ამას წინათ წვერი რომ მოაპარსვინე პახვალა ჭანიას კემესთვის განკუთვნილი სამართებლით, თან თუმან-თუმანი რომ უსახსოვრე სინდისგარეცხილებს. შენი წასვლის მერე კაცად არ ვარგოდნენ. ერთმა გვიტ ანთარიას კინაღამ ნიკაპი აათალა, მეორემ ბირჯია ჭანიას ულვაში წაუხდინა და ენგური რომ ვერ გარეცხდათ, ისე გაი-

თათხნენ. წინამდებარე ჯირკვლის მასაჟზე და ნოვოკაინ-ანტიბიოტიკური ბლოკადით8 მკურნალობის შესახებ კრინტი არ დამ-ცდენია. სულ ცოტა ხანში მის შედეგს როცა ცირიბია გამოცდის, მითქმა-მოთქმა მერე ნახე.

„ესე იგი, გვარი მატრიარქალურია ეს თუ პატრიარქალური, სა-ზოგადოებას მომავალში არ გამოადგება, ხოლო როცა ადამიანი დარ-წმუნდება, რომ საკუთარი და სხვისი შვილი ერთი და იგივეა, სამყა-როსთან მიმართების თვალსაზრისით, ეჭვგარეშეა, მათი სრულყო-ფისათვის ჯერ კიდევ ნაყოფის ჩასახვამდე დაიწყებს ზრუნვას, კვების რეჟიმი იქნება ეს თუ ალკოჰოლისა და ნიკოტინის უგულებელყოფა. მოჭრილად რომ ვთქვათ, მომავალი გვარის მოხსნის! ან აკვანში და-ნათლული სახელი შეესაბამება ვითომ პატრონის შინაარსს?! დაარქ-მევენ ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს და საუბედუროდ გულდედ-ლები შეგრჩება ხელთ, მაგალითად, როგორც შენ ხარ, ისეთი. უწო-დებენ ნესტანს, დარეჯანს, თინათინს, გაიზრდებიან და კატის კნუტებს ჟდაემსგავსებიან. კაცს ნამდვილი სახელი სიჭარმაგეში უნდა დაერქ-ვას, რასაც წარმოადგენს, იმის მიხედვით. გაგონილა ამდენი ქედის-მოხრა უცხოურის წინაშე?! ალექსანდრე — ხალხის მცველი, ანდრეი — მამაცი, კონსტანტინე — გმირი. ქართველებს ყველაფრის ბრმად მიღება სჩვევიათ. აბა, რომელ ერთს ეწოდა სიცოცხლემისჯილი?! რა მდგომარეობაა ჩემთან?! ჩემს სიტუაციას რომელი უფრო შეესაბამე-ბა?! ბონდო, გიორგი თუ ბუტუტი?! ბონდო ისედაც არაფრისმთქმე-ლია, სრული ბუტაფორიაა, აზრისგან დაცლილი. გიორგ ჩემს შესაძ-ლებლობებს აღემატება. სად წმინდანობა და სად — მე?! ცხრათავიან ურჩხულის მომშთობი ვარ სწორედ, რომელსაც საკუთარი დედის-თვის დედა ვერ დამიძახნია; საკუთარი ძმებისთვის — მომეყრდენით, თქვენი ძმა ვარ-მეთქი. ლაჩარი! ისევ და ისევ ბუტუტი! ჯერ ერთი, ჟინი ანთარმა ამ სახელის შერქმევით, სამყაროს წინაშე ჭიანჭველასავით ციცქნა, ბეწო ვინმე ხარო, მიმანიშნა. მას ბუტუტი ბევრჯერ გაუიგა-ვებია Buthus-სთან და Brute-სთან, რითაც ასოციაციურად მეუბნე-ბოდა: ახლაა სულს რომ გირჩევნივარ, თორემ დრო მოვა და შენც მიღალატებ, ზურგს შემაქცევ, მორიელივით დამკბენო“.

— ნუთუ შეეძლო ასეც ეფიქრა?! — ამოილაპარაკა ბონდომ და დაბნეულმა ჭიე კვეკვემ ირგვლივ მიმოიხედა.

— მე ან პარკსა და სასაფლაოზე უნდა დავბორიელებდე კუბო-ებსა და აკვნებს ვჭედდე, ან კიდევ მტრედებსა და ყვავებს ვაპურებ-დე. ორმოცდაათ წელიწადს მივუკაკუნე და რაც თავი მახსოვს, სულ სასაფლაოზე ვაყუდივარ. ამდენი ხნის მანძილზე, რაც კი სა-

მარე გათხრილა ოდაბადეში, ჩემი ხელითაა, გიორგი, მაგრამ ბევრგან ამ მარჯვენით გამოთლილი აკვანი არ ირწევა განა?! კაცს აკვნისა და სამარის სუნი უდის, ამითაა ძლიერი.

დაპურებული მტრედები ოდაბადის ცისკენ გუნდ-გუნდად აიშალნენ.

ჩამუხლებული ჭიჭე კვეკვე თუნუქის კოლოფებს პურის ახალი ნატეხებით ავსებდა. კაკლოვანის თავზე ყვავების ყრანტალი მოხშირდა.

— ესენი ხიფათების მაცნენი არიან, — თქვა და ცერი შემართა, — სადაც იაროს კრავენ, იქ მძორია უსათუოდ. ათი მტრედისხელა ჭკუა აქვს თითოეულს. ვერც ტიფი გაიჭაჭანებს მათ სიახლოვეს და ვეღარც — ქოლერა. აბა, ვინ გეგონა შენ ბუნების შავხალათიანი სანიტრები?! ეგ არის მხოლოდ, რომ ადვილად ვერ შემოიჩვევ. დიდ მოთმინებას საჭიროებს მათი მოშინაურება. ამდენი ხანია თავზე ვევლები და ძლივს მოვიპოვე მათ სადილზე დასწრების უფლება. კიდევ რა?! ჩაპუტკუნებულ ქათმებს ჩინჩლავენ ოხრები. რა გჭირს, კაცო, იმ გოგომ ასე როგორ აგიბნია თავგზა?! სიყვარულისთვის ტანჯვაც არაა უცხო, მაგრამ უფრო ფუფუნება შვენის. შენს ადგილას რომ ვიყო, მაგ ხატულასგან დიდებულ საფოსტო მტრედს გამოვიყვანდი. მომეცი აქ ფრინველი. სანამ წერილს დაწერდე, დაგიკავებ. მტრედთან ერთად მოფარფატე შენს წერილს თვალს გააყოლებენ ოდაბადელები.

მიწისფერი მარჯვენა მხარზე დაასვენა, მარცხენათი დაშინებულ მტრედს სიმინდის ღერღილი მიართვა.

ოციოდე წუთში თავისუფლებამოპოვებული ფრინველი ფრთების იმისთანა ტკაცუნით აიჭრა ჰაერში, რომ იფიქრებდით, უცაბედმა ქარმა მარტოხელა აფრა გააფხიზლაო.

ჩავლილი დღეები სავსებით კმაროდა იმისათვის, რომ ბონდო საკუთარ ბედისწერაში ძირძირამდე გარკვეულიყო და არსებული მდგომარეობა საზრიანად შეეეფასებინა.

,,მერე რა, თუ ოდაბადელების საფიცრად ვქცეულვარ?! ეს ყველაფერი ხომ სიცრუესა და ორპირობაზე აგებულ რწმენას უტოლდება?! საზოგადო სიყვარული, რომელიც თითოეული კუთხე-კუნჭულიდან მეგებება, უწინარესად სატანჯოელების საფლავების კვარცხლბეკზე ამაღლებითაა, ძვირფასი ადამიანების გაწირვის წყალობით, მათ სიცოცხლის ფასად. დიდი ამბავი, თუ ჩემი სოკრატეს შუბლის

სიანკარით იალკიალებს ნებისმიერი ჭიშკარი, ეზო! განა სხვა ფერმეტყველებამ გაბასრა კემეს ნიკაპთან პახვალა ჭანიასა და დომე ქობალიას სამართებელი?! გამიძნელდა განა ჭიჭე კვეკვესა და ჯურუმიას ამოქმედება, ხალხში გამოყვანა?! ან ხიდის წყალგამტარი მილისათვის იქნებ ტორონჯიას რჩევა-დარიგებამ მოაცილებინა ნაგავი ელას და მინაკას? ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს გავუღვივებ სიკეთის თესლს?! რამდენ სნეულს და დავრდომილს წამოვაყენებ ფეხზე?! რამდენს დავაძლევინებ ავხორცობას?! ბოროტების ეკალს რამდენს ავაკაფვინებ სულიდან?! ეკლის გვირგვინი! შუა გზაზე გიპოვე, შე საცოდავო! საბურავების ქვეშ ამოგხდომოდა სული. მთელმა ქვეყანამ გულგრილად ჩაგიარა, რამდენმა ფეხიც კი წაგკრა და ტალახში მოგისროლა. არავინ აღმოგაჩნდა ქომაგი. ღირსეულად ვერავინ გემსხურა. ჩემი ბრჭყალებდალეწილი ლომი! როგორი თვინიერი ხარ ახლა, რანაირად გათელილი?! მორღვეულა შენი კიდეები. ეკალს კი არა, ძონძისგან შეკრულ ძივავასß უფრო ჰგავხარ. იქნებ ერთი კაცისთვის ბევრი იყავი და იმიტომ მოგივიდა ასე, იმიტომაც გაეგე ფეხქვეშ გადარეულ წუთისოფელს?! მეც გიღალატე, მეც. რა ფასეულობა აქვს აწი ჩემს ნამოქმედარ მადლს? არავითარი, არანაირი! სამი თუ არა, ორი ადამიანი მაინც ხომ შეიწირა ჩემმა განსპეტაკებამ?! დედა ძაძებში დამიდის; შეფარებული უცეცხლოდ იწვის, ზეზეურად დნება, და რაც მთავარია, დაბრკოლებათა მამას ვემონები თვითონ. ბნელმპყრობელის კლანჭებიდან ვეღარაფრით გავთავისუფლებულვარ. თაროდან ჩამოცურებული ბროლის ლარნაკივით სადაც არის დავიმსხვრევი, დავქუცმსაცდები და ვინ იქნება ამაში დამნაშავე, ჟინი ანთარი მხოლოდ?!“

სასწორზე იდო ბონდო ჰალიძონიას გრძნობა და გონება: ერთ პინაზე — ხანტური, არნახული კდემამოსილებით, უბიწო სიყვარულით, თავგანწირვით, რაც მთლიანობაში, ნებით თუ უნებლიეთ, ვინაობას ამალვინებდა; მეორეზე — ცირა შკვითინია, ოდაბადეს უტყუარი იერ-სახე, იგივე საწუთრო — თავისი ოღრო-ჩოღრო გზებით, ცოტა გაუტანლობით, ცოტა წამხედურობით, წუმპით და იმ შმორიდან ამოზიდული ყვავილით; დღედაღამ სამარგლავი ყანით, სასხლავი ვენახით, გასადები ხიდით; ზოგი ჭირით, ზოგიც ლხინით — სიმართლის თქმას, ხვაშიადის გააშკარავებას, თვითმხილებას რომ სთხოვდა.

ერთმანეთის გამომრიცხავი ეს შეურველი სიდიდეები თანდათან შრეტდა ბონდოს, აფიცხებდა, ამწარებდა. სისხამზე წამოყრიდა ამხანაგებს ხოლმე. ამას წინათ გადახნულ და ბალახდათესილ მოედან-

ზე ძმადნაფიცებს ვარჯიშების ნაცვლად, ნამდვილ ომს უმართავდა. აკრძალულ ილეთებსაც შემოიშველიებდა, რათა ხან ერთს დაეკვნესა და ხანაც — მეორეს; რათა ზოგს სახსარი ეღრძო და ზოგსაც —კისერი. მერე მდინარეში გადაეშვებოდა, ლოდს ან ჭყონდიდის მოშიშვლებულ ფესვებს ჩაეჭიდებოდა, მაგრამ სიკვდილის შიშზე მეტად, გაორებული სულის ვერდაჯაბნა ამოსტყორცნიდა ზევით.

ხმაგაკმენდილი მეგობრები ხელებს გაუწვდიდნენ, მხრებზე მკლავებს გადახვევდნენ; უხმოდ მიაბიჯებდნენ, თითქოს ეს კოჭლაობა, ეს ტკივილი სხვისგან სჭირდათ და მოწურწურე წყლის წვეთებს ბონდოს ალალმართალი ცრემლიც შეუერთდებოდა.

ჭიჭე კვეკვემ საბოლოოდ გადააფიქრებინა ცირას ქმრის ნეშტისა და პირრმშოს ფერფლის ოდაბადებში ჩამოსვენება.

— უმჯობესია ვინმე ყმაწვილს, ან სულაც გიორგის, შვილის მაგივრობა სთხოვო, ბონდოს სანაცვლო თმა შეაჭრევინო, შვებას იგრძნობ! — ურჩია და სატანჯოელების ორმოცამდე ცხრა დღით ადრე ქალმაც ახალგაზრდას მემკვიდრის სამაგიერო კულული შეასხეპვინა.

ბონდოს გაშმაგების ამბავი ცირას აქამდეც მისდიოდა, რასაც სოფელი ხანტურის ამპარტავნობით, გრძნობის უქონლობით, ამორძალობით ხსნიდა.

— დედა ნახე, მამა ნახე! — ჩაილაპარაკებდნენ და შკვითინხეც მაშინვე მოთქმას მოჰყვებოდა, რის გამოც მხარზე მხარს წაჰკრავდნენ ერთმანეთს; თვალებს ჩაუპაჭუნებდნენ, აქილიკებდნენ ,,უიღბლო მიჯნურს'', რომელსაც წყეული ძუძუების ქავილი, ქუთუთოების ხამხამი და ვნებიანი კავშირები დასჩემდა სიზმარში ყმაწვილთან.

უდროოდ გარდაცვლილ ვაჟს ცურუ ჰალიძონიას საფლავიდან შეჰქვითინებდა ცირა. ბონდოს ციდამტკაველა პერანგებს იქვე გაშლიდა და გულსაკლავად ითუთქებოდა.

,,შვილის მაგიერის'' გარშემო მგლოვიარე დედის წრიალი ოდაბადელებს რას გამოაპარებდით?! ცირას ბორგნეული სულისთვის ძაძებზე უმრუმესი სამოსელი განსაკუთრებით ჭიჭე კვეკვეს გაემზადებინა, მაგრამ შვილმკვდარ ქალს გარეგნულად მოულმობიერდა. აქამდე ცირა ამას ანგარიშს არ უწევდა. საკირეში ჩავარდნილ მის განცდებს ჭიჭე კვეკვესთვის არ სცხელოდათ. ეგეც რომ არა, შკვითინხეს თვალსაწიერიდან რამდენიმე დღით სადღაც გადაიკარგა მესაფლავე.

სატანჯოელების ორმოცამდე კვირის ადრე მობრუნებული მემკვდრე ტოლით გადახურული ყაზარმის სისუფთავემ ერთობ დააბნია.

— ცირიბიას ნახელავს ჰგავს, — ჩაილაპარაკა ჯურღმუოლში შესულმა ჭიჭე კვეკვემ და დაჭორფლილი ნათურა ბუდეში ხრჭიალ-ხრჭიალით დაატრიალა.

„რაღაცას უდავოდ ეჭვიანობს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა სატანჯველი განუმზადა ბედმა. ალბათ, იმის გარკვევას ცდილობდა, თუ დროის რა მონაკვეთია დაბადების მოწმობის აღებასა და ჭურიაში ცეცხლის გაჩენას შორის. როგორც ჩანს, ანკესზე წამოეგო. ახლა მისთვის ერთადერთი თავმისაყრდნობელი მეღა დავრჩი. ოღონდ რამე დამსტყუოს და მჯერა, ჩემს დაძონძილ ქვეშაგებს წყალობა ამიერიდან მაინც არ მოაკლდებათ. ქალის ბუნება ასეთია. ფიზიკურად სუსტში მეტი ცბიერებაა“.

რამდენიმე ათეული წლის წინათ შემოლამფული ნაგებობის გამოღებული კარიდან შემოღწეულ სანახებს აზრგაფანტული უთვალთვალებდა ჭიჭე კვეკვე.

— სად ხარ ბონდო, შვილო?! — გულსაკლავად ტიროდა ცირა შკვითინია.

ყაზარმიდან, რომელიც ერთდროულად სახლისა და სახელოსნოს მაგივრობას უწევდა პატარაობიდანვე, მესაფლავემ დიდხანს უსმინა შკვითინხეს გლოვას. ბოლოს გულმა ვეღარ მოუთმინა, იქით მიეხალა ბინდისპირზე. მხარზე მსუმბუქად დააყრდნო ხელი.

— დაბადების მოწმობა ცეცხლის გაჩენამდე ოთხი დღით ადრეა გაცემული, „მოვა დრო და თუ საჭირო იქნება, ყველაფერი გაირკვევა“, მაგრამ როგორ, რა ვითარებაში და რა მიზნით, ვერაფრით დავადგინე. მმაჩის ბიუროს თანამშრომელი, ეს საქმე ვისი ხელიდანაცაა გამოსული, მანქანას გაუტანია და ზეგ ასაფლავებენ, — ეუბნებოდა ერთიანად გაფითრებულ ქალს ჭიჭე კვეკვე. დედაკაცი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მოსაუბრეს. — შვილიშვილს გადაფოფრებია საწყალი. აბა, რა ექნა, როცა ის კუდრაჭა ვიღაც ნაცნობს გამოსდევნებია მანქანების რიარიაში?!

ცირამ უყოყმანოდ შეაბიჯა ყაზარმაში და მამრს სიცოცხლეში პირველად დანებდა უსურვილოდ.

„მხოლოდ სხეულით, მხოლოდ ვნებით თუ გავაჩერებ ჭიჭე კვეკვეს. დღეიდან ცეცხლის გაჩენასთან თუ დაბადების მოწმობასთან დაკავშირებული ამბების მიფუჩუჩება მმართებს!“ ფიქრობდა შკვითინ-

ხე, რადგანაც ვითარების გულისგულში ჩახედვამ უბედურ მშობელს უკიდურესი მწუხარების მეტი არაფერი არგუნა; ვინაიდან დედის თვალში გიორგი ხანთარიძეს ნიღაბი ბოლომდე ჩამოსცილდა და საერთოდ, ბიჭის უცნაურ ქცევებსაც მყისვე დაეძებნა საფუძველი.

მორალურად განადგურებული ცირა ერთ ხანს თავის მოკვლასაც ლამობდა, მაგრამ ბოლო წუთს სისუსტე ერეოდა. ტუჩებთან მიტანილ საწამლავს, მარცხენა ძუძუსთან მიბჯენილ დანას, შუქის წყაროში ჩასართავად გამზადებულ ელსადენს თუ „წმინდა კოლხურ მოვლენას — თოკს“ ხელიდან გააგებინებდა.

„არც შვილი უძებნია ვინმეს ჩემში, არც — დედა, არც — და და რძალი. ყველა მეძავს პოულობდა. თითქოს ძუბა ჭანიაზე ნაკლებად დავარწევდი აკვანს; თითქოს ქმარ-შვილს ვერ ვუპატრონებდი და მტერ-მოყვარეს ღირსეულად ვერ დავუხვდებოდი. განგებ თქვა მაშინ ოხუტოლუს ნაცვლად ქახუტოლუ. მაკვირდებოდა, გამომცადა. ადამიანის ბიწიერებას თავისი თეთრითა და შავით შეუცდომლად ავირეკლავ უტყუარი სარკესავით. ძაძები კი არა, ჭინჭარია ტანზე დაფენილი. მაინც რა უნდა ერქვას ქალის ცხოვრებას, რომელსაც უკანონო სამართლმა ერთი შვილი ჯერ კიდევ ძუძუთა ასაკში წაართვა, წყეულ სატანჯოში გადაუმალა. მემკვიდრის ნახვას მოწყურებული, თოფის ბათქაბუთქით უკუაქცია; მეორე ზრდასრულს კი სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ესეც არ აკმარა. წესით, თეთრებისთვის შობილი, დაამგლოვიარა. რა უნდა იყოს იმ დედის რინა, რომელსაც შვილებისკენ მიუხარია, ცარიელ აკვანს ურწევს უმცროსს, მის ცეროდენა პერანგებს ჯერ უმღერის, შემდეგ დასტირის, მაშინ, როცა ჯანმრთელი, მშობლის თვალწინ თავმომწონედ დაბრძანდება და ცოდვებს არ უმსუბუქებს უფროსივით?! უსულგულოდ უარყოფს დაცემულს, ვინაიდან მერე ხანტურს ვერ შეიყვარებს, ბნელსისხლიანობას დასწამებენ, თავის მოკვლის გარდა სხვა გამოსავალი აღარ დარჩება“.

ამისთანა გაუნელებელი ცეცხლის ალში იბუგებოდა ცირას სული, გული. საქმის ნამდვილ არსს მაინც მალავდა. შვილის მაგიერის სიახლოვეს დაიარებოდა და სანახევრო სიყვარულს კმარობდა.

ცხადია, ბონდოც თავისებურად იტანჯებოდა. შექმნილ ვითარებას მეათასედ აანალიზებდა; ანალოგიურ კონფლიქტებს ეძებდა გონებაში, თუმცა — უშედეგოდ.

საკუთარი გასაჭირი არ ეყო და არდაშელის ბინისკენ მიმავალს მარიკას წითელი პალტო გაუკრთა თვალწინ. გულშეღონებული იყო ბავშვი, მაგრამ ბებიამისმა საავადმყოფომდე ვერ მიიტანა სული.

ახლა მთლად უკიდურესად შეიბოჭა ბონდოს ისედაც შეზღუდული დრო და სივრცე. ვერც პატარას სტოვებდა და ვეღარც მილანდართან მისვლას ახერხებდა. მსგავს წინააღმდეგობას ვერსად პოულობდა. უსასტიკესად დაძაბული მდგომარეობა მხოლოდ მისეულ პასუხს საჭიროებდა, იმ განტოლების დარად, ორი განსხვავებულნიშნიანი, მაგრამ ამოცანის პირობისთვის სრულიად დამაკმაყოფილებელი ამონახსნი რომ აქვს.

„საიდუმლოს თუ დავფარავ და ხანტურს ამოვირჩევ, მაშინ ხომ გაიწირა ცირა და საერთოდ, ჭეშმარიტება ზოგადად?! ძაძებს კი უერთგულებს დედაჩემი, სამაგიეროდ, თუნდაც სიცრუით მონიჭებული მომავლის მიმართ, ხალხს რწმენა განუმტკიცდება. ამჯერად ტყუილი იმ შაქარსა ჰგავს, რომლითაც ციებაშეყრილ ბავშვს ქინაქინას შეაყოლებენ ხოლმე. ამ შემთხვევაში ოდაბადელები სიკეთეს ბრმად, გაუაზრებლად, გარეგანი ძალის დაწოლით მოიმოქმედებენ და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ხსენებული მუხტი ასულდგმულებთ. რას მოასწავებს ხანტურის გაწირვა და ცირას დედად აღიარება?! უწინარესად იმას, რომ ხელის ერთი მოსმით დამამსხვრევს კერპს, გაფანტავს ჩემი კეთილშობილების ილუზიას. მოკლედ, გამარიგითებს. ამასთანავე, იმავდროულად თვალს აუხელს თითოეულს: პახვალა ჭანიას თუ დომე ქობალიას ერთხელ და სამუდამოდ შეაგნებინებს, რისთვის უნდა გაპარსონ ფხიანი სამართებლით კემე; ან ჭიჭე კვეკვემ რატომ არ უნდა მოწამლოს ჭორებით დეიდების ცნობიერება. უკეთესად რომ ვთქვათ, საკითხის ამგვარად დასმაც ქინაქინაა, ოღონდ უსატკბარუნებლოდ. სტილისტი! სატკბარუნებლის გარეშე“.

ადუღებული სულისათვის მიმართულება ვერაფრით დაეძებნა ბონდოს. ეს ორი განზომილება ერთმანეთთან ვერაფრით შეერიგებინა. ზოგჯერ ხანტურის ნაწნავები მიიმხრობდა, ხან — ცირას ძაძები. მარტო გრძნობიერი, ვნებასაყოლილი რომ ყოფილიყო, ყველაფერს ეშველებოდა. მარის, მარიკელას საბავშვო ბაღის აღმზრდელებს დაუტოვებდა. შეყვარებულს ციტრუსების ნარგავებში ააკითხავდა, ან ტელეფონით აქეთ მოიხმობდა და უკვდავების წყაროს დაეწაფებოდა, მაგრამ განსჯა სულის სხვანაირ საზრდოს, არსობის სხვა პურს სთხოვდა.

ბონდოს ფიქრის მდინარება ჭეშმარიტების დადგენას უკირკიტებდა. მისი ხატოვანი წარმოსახვა ამიტომაც იახლებდა ხმაიდუმალს. ზოგადს, იგივე ოდაბადელებს, ისეთნაირად მიმართავდა, ბუტუტი, როგორც ფასეულ კატეგორიას. დედობრივ-მამობრივი, და-ძმური

სიყვარულისათვის, უანგარო მეგობრობისთვის, ამ ფილოსოფიურ სიდიდეს წრფელად ემადლიერებოდა.

„არა არს წინასწარმეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელსა თჳსს და სახლსა შინა თჳსს“*, გაუკრთებოდა გონებაში. აქვე თავისთავს ამრეზით უმხელდა თუ ცირას ძუძუების სანაცვლოდ რანაირად ზრდიდა ჟინი ანთარის თაფლი და ხიზილალა. უმჟღავნებდა, ენგურში ჭყუმპალაობის ნაცვლად, კაქტუსებით მოფენილი ზღვის პირას ტოლ-ამხანაგებში ფეხშიშველა სირბილის მაგივრად, საშობაო კურატივით სატანჯოში როგორ ჩაამწყდიეს. საამსოფლო იდეებს რანაირად შთააგონებდნენ ბავშვობაწართმეულს და რა მოსაზრებით უპირებდნენ თავზე ეკლიანი გვირგვინის დადგმას; ასგზის აწონილ-აზომილს, ფრთოსან ჭიანჭველასავით კოლბში გამოჩეკილს, ცხოვრებისკენ, ცრუ წუთისოფლისკენ რისთვის უბიძგებდნენ; რატომ ღაფავდა სულს დიდღელვისას ქვებზე დაჩეჩქვილ ნიჟარასავით. ანდა მშობელი დედის ნახვას დანატრებულმა ოდაბადეს რანაირად მიაშურა და მათი ოჯახის გამაუბედურებლის ქალიშვილი რაფერ შეიყვარა. გული ვერ ამოიგლიჯა. ბნედიანივით იარა. ბეტონს შეაკვდა. ქვა-ღორღი ათრია. შიზოფრენიით დაავადებულებს, ეგზემიანებს და პროსტატიანებს უმკურნალა. ხატულია საფოსტო მტრედს სატრფიალო ბარათები გაატანა. საიდუმლოს გამჟღავნება მაინც ვერ გაბედა. სხვათა მაზიარებელი მოუნანიებლად კვდებოდა. ვერც ქედმაღლობას თრგუნავდა და ვისაც აქამდე — შვილად, მეგობრად, სატრფოდ მიიჩნევდნენ, უძირო უფსკრულის წინაშე ტორტმანებდა. იყო წამი, როცა წარმოსახული სოფლელების თვალწინ გაშიშვლდებოდა; ხანტურის დაკარგვის შიშსაც მოერეოდა, ყველაფერს გულგახსნილად აღიარებდა და ჭყონდიდის მრევლში თავს გაისმართლებდა.

„ყველაფერი კარგი, მაგრამ სატანჯოელების წინასწარგანზრახული მკვლელობის ბრალდება როგორ გინდა გააბათილო?! ათიდან თექვსმეტ იანვრამდე სასტუმროს ნომრიდან არ გამოსულხარ. მაგრამ რომც შეენიშნე ვინმეს, რომელი ერთი გამოგექომაგება?! ჭკუათმყოფელის მეტი ვინ იტყვის, კი, ბატონო, ჩვენ შევიფარეთ უსაბუთოდ, ხუთთუმნიანებს რომ ფანტავდა, იმიტომო?! მოკლედ, ალიბი არ გაგაჩნია. დაფარულის გააშკარავება თავდაყირა აყენებს მოვლენებს. სტიქიური უბედურება და მის ნიადაგზე აღმოცენებული კოჩიას ტრაგედია, საიდუმლოს გამხელის შემთხვევაში, უმალვე ახალი შინაარსით დაიტვირთება უმრავლესობის თვალში. ხალხი არაფრისდიდებით ერწმუნება ჩემს ვერსიას, რადგანაც ჟინი ანთარის მიერ შვილის

გაღმერთების მოტივით დატრიალებული ცოდვის ჩადენა, გაცილებით ხელოვნურია, გნებავთ — ლოგიკურიც, ვიდრე ბაგის გადანახული ანდერძი. ჩანთა, ღმერთმა უწყის, ხელში ვის ჩავარდნია, გამოკითხავენ ყველას, ვისთანაც კი იოტისოდენა შეხების წერტილი მქონია. გამოიძიებენ ყოველივეს, თუ როგორ ვაპნევდი ხუთთუმნიანებს. გაბედე, გაბედე, თვითმხილება მაშინვე გამოათავისუფლებს სატანჯოელთა მკვლელის ადგილს თვითმარქვია სტუდენტის სასარგებლოდ. სხვას რას იტყვის, როცა ზარდამცემ სინამდვილეს თვითონაც ორჭოფულად მოვეკიდე?! დაბეჯითებით აქამდეც ვერ გამირკვევია, ცოცხალია რაბი თუ ოდასთან ერთად დანახშირდა".

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საშინელზე საშინელი დღეების გახსენებისას, საკუთარი გამომეტყველება ბონდომ ყოველთვის იმ ბოროტმოქმედის თავდაჭერილობის ნიმუშად აღიარა, რომელიც როდიასავით 8 ცხელი კვალი წაშლის თუ ბნელი წარსულის მოსპობის დიდოსტატია. ფეხით თელავდა თავისუფლებამოწყურებულ, ხიზილალა-თაფლით გამოზრდილ მამიტკოს ფრთოსან ჭიანჭველას. ასე რომ, ჟინი ანთარის უსაზღვრო ცოდნა ბონდოს ვერაფერში შველოდა. მის ქანცგაწყვეტილ მხრებზე დაწოლილ ტვირთს ვერც „სახარების" სამყაროში ხეტიალი და ჰომეროსის მარადჭაბუკ გმირებთან გასაუბრება უმსუბუქებდა, ვეღარც — სოფოკლე-შექსპირის თხუზულებათა განსჯა, თუ — ალიგიერ-დოსტოევსკის კოშმარებში ვალალი. ამ ლაბირინთებიდან არისტოტელესა და ჰეგელის ფილოსოფიურმა სისტემებმაც ვეღარ გამოაღწევინეს. რუსთველის აფორიზმში გაიჭედა. უძნელდებოდა გადაეწყვიტა, რომელი იხსნიდა დაღუპვისაგან: უთქმელობის მჯობნი გამხელა, თუ — დაშავების ბადალი გამჟღავნება. მისი დანაშაული იქნებ ის იყო, რომ ხანტურის წმინდა სიყვარულის შებღალვის, დაკარგვის შიშით ვინაობას მალავდა. ბონდოს მართლის მთქმელისთვის საკადრისი ცხენიც შეეკაზმა და ცრუპენტელასათვის სამყოფი მეხსიერებაც მოემარჯვებინა, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გაერკვია, საკუთარი სინდისის წინაშე ჭიჭე კვეკვეს მოსასხამით ევლო ვალმოხდილს, თუ პირიქით, ნამუსზე ხელაღებული, სიცოცხლემისჯილის მოჩვენებითი შარავანდედით შემოსილიყო. ხანდახან უძილო ღამეები ჭაბუკის წინაშე სატანჯოელის სახეს ამოაშიშვლებდა, დიდ სიმაღლეებს შეაჭიდებდა ის მოლანდება, თუმცა ჟინი ანთარის მოძღვრების ჭეშმარიტებაში ბონდო რამდენადმე შეეჭვდა.

„ოდაბადე, როგორც ასეთს“, სულ ცოტა სამი მიუტევებელი შეცდომა მაინც აღმოუჩინა. პირველი ის გახლდათ, რომ განდეგილი მეცნიერი ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებს ჭიანჭველების ცხოვრების კანონებით ხსნიდა, რთულს მარტივით განმარტავდა.

ხსენებული შრომის მეორე ნაკლად ბონდომ ციცილიზაციის პროგრესში ხალხის როლის უგულებელყოფა მიიჩნია. პიროვნება და საზოგადოება ჟინი ანთართან რაღაც გათიშულად, პოლარულ დამოკიდებულებაში გაიაზრებოდა, რაც საფრთხეს უქმნიდა მთელისა და ნაწილის ჰარმონიას.

დასასრულ, მესამე, არსებითი: მონოგრაფიაში სიცოცხლემისჯილი აღიქმებოდა, როგორც უმაღლესი ფასეული კატეგორია, როგორც „აბსოლიტური გონი“, როცა სიცოცხლე და მისჯა ყმაწვილმა შეუთავსებელ ცნებებად განსაზღვრა. სიცოცხლე მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერს, ამაღლებულს, გნებავთ ტრაგიკულს დაუკავშირა ყოველგვარი სტრესული მომენტის გამორიცხვით. სხვათათვის ტანჯვა, სხვისთვის თავდადება-სიკვდილი სიცოცხლემისჯილში გამორიცხავდა შეგნებული აუცილებლობის მუხტს და ამდენად, მოწყალების გამღებ, განზე გამდგარ სუბიექტს, მისტიკურ ღმერთს უხდიდა ხარკს. მოუხელთებელი მეორე მე კი თავისას ჩასძახოდა ბონდოს:

„არ ანთარია ხარ შენ, აღარც — შკვითინია და მით უფრო — ჰალიძონია. უბიწოდ შობილხარ. ხანთარიძედ მოვლენილხარ ქვეყანას, ოღონდ დათმე, ოღონდ არ ჩაწყვიტო გრძნობათა უფსკრულებში გაბმული ბეწვის ხიდი! იკმარე ორჭოფობა. ამოხაპე ოცნებიდან მარტოობის მსუსხავი წვეთები და ყინულიც მაშინვე დაიძრება. სიყვარული აგამჩატებს. მერედა, რომელი ჟამი მოერევა იმ ჩქერალებს?! დაფარე საიდუმლო! უფრო ზოგადს, მასშტაბურს ჩაეჭიდე, თითოეულ განცდას და ნააზრევს რომ აყოველთავებს. აბა, ცირიბიას შვილებით ფურთხისა და ტალახის მეტს რას მოიხვეჭ, ხალხის რჩეული?! იცოდე, არც ჟინი ანთარის მემკვიდრეობის გამო გადაგესმება თავზე ხელი! განაგდე მაცდური და სიყვარულის მერიდიანი შენც აგაფერადებს, მართალია, დედაშენი მარტოხედ ივაგლახებს, სამაგიეროდ თვალხატულა შთამომავლობას სიცოცხლეს დაუნარჩუნებ, არ მოშლი ფუძეს და მომავალ თაობებს დაღუპვისაგან იხსნი!“

აციმციმებული ქალაქის იქით შებურუსებულ სივრცეს გახედავდა ბონდო. იქ შრიალებდა, იქ განისვენებდა მისი მურყნების

სამშობლო: მისი მწეველი სატანჯო, ჭყონკაკუტის სამოძვრებზე უპატრონოდ მიტოვებული კამეჩების ჯოგი; ყრმობის უზრუნველი ზმანება და დაუვიწყარი დღეები. „ნუთუ ბედნიერებას არ მაღირსებს ჟამიო“, გაკენწლავდა ფიქრი.

ჭურიის სნეული მაჯისცემა რა ხანია საშველად მოუხმობდა ბონდოს, მაგრამ ნაკლებად არც მარიკელას უმწიკვლო შემოხედვა ინელებდა. იმღვრეოდა თვალსაწიერი. იმ აფუთფუთებული მორევიდან კვლავ ამოტივტივდებოდა ჟინი ანთარისა და მაფა ჰალიძონიას სახეები, კოჩიას უნუგეშო იერი, მილანდარის სიცოცხლემოწყურებული გამოხედვა; როდის-როდის ძაძებიანად შემოცურდებოდა ცირა შკვითინია. ბოლოს ყველაფერს ხანტურის ქარით მიტაცებული დალალები გადაეფარებოდა.

„ნუთუ გაჩენამდე, ათასწლეულს იქით, უიღბლობა დამებედა? რომელი ქორონიკონი დაიტევს ჩემი ზეზეური წამების პალიმეფისტებს?! რა შემართება დაატყვევებს უთანასწორო ბრძოლიდან მარადიულობისაკენ დაძრულ თვითგვემას ჩემსას?! მაინც რომ მიფეთქავს მაჯა?! მაინც რომ ჯიუტად მივიწევი მომავლისაკენ?! მაინც რომ კაცობრიობის დასალაშქრავ სიმაღლეებს ვერწყმი და ხორციელი თვალისჩინი ჩირად არ მიღირს, რადგანაც დედამიწის სიზმარივით უსასრულობაში მივიკვლევ გზას“.

ველარაფრით გადაეწყვიტა ბონდოს, რომელი სჯობდა, ტყუილი, კერპს რომ უნარჩუნებდა ხალხს და ხანტურის სიყვარულს გობით რომ მოართმევდა, თუ ოდაბადელების თვალში გაღმერთებული ყმაწვილის მიწაზე, ტალახში ჩამომშვები სიმართლე. თან რა საოცარი სიმართლეებიც ჰპოვა, ზოგი მეგობრებით, ზოგიც — ხანტურის სიყვარულით მონიჭებული, ბუტუტიასავით საცდელ კოლბში ჟინი ანთარის მომწყვდეული. გადაულახავ კედლებს აწყდებოდა. იმ ბებერ თუ ახალგაზრდა მორიელს ეტოლებოდა, რომელსაც ცნობიერების ქონა-არქონის გასარკვევად ცეცხლის რკალში შეაგდებდა მეცნიერი ხოლმე.

„ჩემი გაწირვით საუკუნის წინათ გასათხრელ საფლავსაც ავსებს და იმავდროულად საკუთარ პიროვნებასმაც აღადგენსო“, ასკვნიდა ბონდო. უბედურებამ ათას ბინადარში გამოარჩია. მძინარეს წამოეპარა. სხეულში შეკუმშულად ჩაუსახლდა და ფესვები თანდათან გაიჯანსაღა. დადგებოდა წამიც და საწუხარი ყველასათვის გაცხადდებოდა.

„ბუნების გარემოცვაში ფუჭად მიხეტიალია აქამდე. ამაოდ მიცურავს ზმანებებში. მირაჟებს წავპოტინებულვარ. დედის სახეს ლიტერატურულ გმირებს ვესესხებოდი, როცა ხორცშესხმული და ბნელწარსულიანი, აი, აგერ, ხელისგაწვდენაზე მყოლია“, მოსჭრიდა ირონიით.

ბონდოს გონებას შიში და მწუხარება ერთდროულად ეუფლებოდა, როდესაც ცირას რეალურ გამონაგონ ხატს ერთმანეთს შეადარებდა. ყოველივე ამისდა მიუხედავად, შინ თუ სასაფლაოზე უსათუოდ მიაკითხავდა მგლოვიარე დედას. დასანუგეშებლად ზურგზე ხელისგულს გადაუსვამიდა, რაც ქალს ორმაგად დათუთქავდა. ახლა კი შკვითინხეს ეს ერთადერთი ბედნიერებაც მოეშალა: ქარებით გაჟღენთილ ჭადრების ხეივანში ახალ-ახალ ზღაპრებს უყვებოდა ბონდო უარვინო მარიკელას. ბებიამისს მიწას ისე მიაბარებდნენ ხვალ, რომ ამის თაობაზე ცუგრუმელა ბავშვი ვერაფერს შეიტყობდა, ყოველ შემთხვევისათვის, კენიიდან გერმანე ფიფიას ჩამოსვლამდე მაინც.

ბონდო ჰალიძონია ფიქრებში კვლავინდებურად ცხოვრების შუაგულისაკენ მიიჩქაროდა. დასცინოდა სიკვდილს. სწყუროდა მშვენიერი და მშენებარე. სწორედ ეს განცდა მიშრეტილი ლამპის უკანასკნელი ელვარებით აწირვინებდა თავს ხანტურისათვის. კვლავ ყოყმანობდა. უჭირდა გაერკვია, რისთვის ეცოცხლა, ვისთვის ესულდგმულა. ვერაფრით დაედგინა რა, ვინ წამართავდა კოსმოსურ ჭმუნვას მიჯაჭვულის ბედის ბორბალს. ხელთ რას, ვის ეპყრა მისი სულის ძაფის სათავე. ვერ განესაზღვრა, საით გარბოდა, რისკენ, ვისკენ; ან თუ გარბოდა, რისთვის და ვისთვის?! წინ ბურუსიანი მერმისი ეღობებოდა. თუ დაყოვნდებოდა, შერცხვენა და თავლაფდასხმა გაანადგურებდა. მაინც დარჩენას ამჯობინებდა. მარიკელას ტიტინით გაბრუებული, ასეთი გაორებული ფიქრებით მიაშურებდა ოდაბადეს შინმოუსვლელთა პარკს.

ჭიჭე კვეკვე: „გემი ხომ არ დაგძირვია?! ჩამოიცილე სახიდან სევდა. აი, იმ ჭყონდიდს, ვინ იცის, რამდენმა წყალმა ჩაუარა?! რამდენ ქარიშხალს შეერკინა, რამდენ მეხს შეუდრეკელად მიაგება ტოტები, მაგრამ არც პირველი და აღარც მეორე თუ მესამე თვითონ არ უძებნია. გამუდმებით აქეთ აკითხავდნენ. მაღალია და იმიტომ. როგორც ჩინარი, ისე პოეტი. იმის კენწეროდან ოდაბადე კი არა, მამაჩემის კუნძულებიც, ალბათ, ხელისგულივით მოჩანს. დაბადების მოწ-

მობა თუ ანახეს, ფოტოებს რისთვის დაუმალავდნენ?! **რიყეზე ამოსულ ბალახს... გიორგი...** რისთვის შეყოვნდა სახელის წარმოთქმის წინ, ბონდო რომ არ წამოცდენოდა?! **ცელით ვერ მოთიბავ, ნამგლით –კი. როცა ქალიშვილი გაჩნდება, ღობე აჭრიალდება ხოლმე.**

არიქა, მოვიდა ჩემი დამრღვევი და ღუმელში შემკეთებელიო, ფიქრობს საწყალი სარი და წკნელი, მაგრამ ღობე ბიჭის დაბადების დროსაც იწყებს ჭრიალს, ნაბიჭვრები სათვალავში ჩასაგდები არ არიან, კემეს და საკუთარ თავს ვგულისხმობ, ვინაიდან სჯერა, ძირგამომშალ მარგილს გამოცვლის; ქარ-წვიმის მოძალებით აფოლხვებულს გაანახლებს. რისთვის დააკონკრეტა, კემეს და საკუთარ თავს ვგულისხმობო?! კიდე ვინ არის ოდაბადეში ნაბიჭვარი?! ჰო, დურუ. **ოდაბადებში დიდი ხანია ბრძენკაცი არ გამოჩენილა. ლადი იყო ასეთი, ჭანია. სკოლის მოწაფე ვიდრე გაკვეთილებს რიგიანად არ დაისწავლიდა, აბა, კარგი დედის შვილი იქნებოდა და ჭყონდიდს გაჰკარებოდა.**

ვისაც ხვალინდელი დღე თავში აქვს, ჩემს სინდისს შეეხოს და გამისპეტაკოსო, იტყოდა და უცოდინარი ბავშვი როგორ გაბედავდა მისი ქათქათა წვერისკენ ხელის გაწვდენას?! მაშინვე შინისკენ მოცოცხავდა, რათა საინტერესო საუბრის კუდისთვის მაინც მოესწრო. ნეტავი ასეთ დაბერებას და სიკვდილს! რატომ მიხსენებდა სულ სის პეტაკეს, უბიწოებას?! ამითი რისი თქმა სურდა?! მანკიერი რომ ვარ?! **ბაგისაც არა უშავს, ოღონდ ჯერ ახალგაზრდაა, ჯერ სიბრძნის კბილი არ ამოსძრომია. შენი გონებამახვილობაც შესაშურია, ჯიმა თუ...** რისთვის მომმართა ძმობილოთი, ან წინადადება ბოლომდე რატომ არ ჩაამთავრა, ჰაერში გამოკიდებული დატოვა აზრი. ტუტუცი ხომ არ ვგონივარ?! არა, პირიქით, პირიქით, ტუტუცი რომ არ ვგონივარ, იმისთვის მივლიდა გარშემო, იმისთვის მესაუბრებოდა ქარაგმებით. **ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ.** მოდი, ჩავუკვირდეთ ჭიჭე კვეკვეს ფრაზას. ბერძნულ ფილოსოფიას იშველიებს და ერთგვარად მაფრთხილებს: ორი ცხოვრებით ნუ ცხოვრობო. **საოცარი რამ არის თხილი. დალოცვილ ბუნებას ზედმიწვენით ჩაუქსოვებია მასში ადამიანის ზნე-ხასიათი. ერთი ფშუტეა, ცარიელი. შეხედვით არა, მაგრამ ხელის შევლებით, გაუმტვრევლადაც ისინჯება. ასეთ კაცს ალღოს მალე აუღებ. ბო-**

ლო ორია სახიფათო. ორივე გულითაა სავსე. სანამ არ იგე-მებ, ვერაფერს შეატყობ, აქ არც გრძნობა კმარა და აღარც გონიერება, მესამე საჭირო, რომელსაც ჩვენებურად რინა ჰქვია. სხვისთვის რომ მეთქვა, კედელზე ცერცვის შეყრა იქნებოდა. თუ სიყვარულია, დაე, იყოს ბოლომდე! აკმაროე ხანტურს გლოვა. აწი ვერც კოჩიას გააცოცხლებს რამე, ვერც — ბონდოს, ვერც — მამაჩემსა და მაფას. ქალი წისქვილის ბორბალივი-თაა. ტრიალებს, ტრიალებს, მარადიულ მოძრაობაშია. საწ-ყისს და სასრულს ვერ უპოვი, კაცი რაა?! ხელჯოხი, ხოთოს ძაღლების მოსაგერიებლადღა რომ გამოდგება. როგორც უნ-და დაამოკლო-დააგრძელო, ორი ბოლო აქვს. სინედლეში შეიძლება ცოტათი დაიყოლიო, მერე მორჩენილია საქმე. დამ-თავრდება როდესმე ეს კოშმარი?! ამოქმედდა გაჩალიჩებული და-ბადების მოწმობა! შემთხვევით არაფერი ხდება. შენს ბრწყინვალე-ბას შეეფარდება ვითომ იგი იოტისოდენადაც?! შენ ხომ ჟინი ანთა-რისა და შკვითინხეს გარიგების შედეგი უფრო ხარ, ვინემ კოჩია ჰალიძონიასა და ცირიბიას ტკბობის ნაყოფი?! აქედან გამომდინა-რე, შეუძლებელია ბატონი ხანთარიძე იყო, ან გოსპოდინ შკვიტინს-კი. საბუთების შეთითხნისთვის ნეტავი, რამდენს ითვალისწინებს ამათი კანონმდებლობა?! თუმცა ახლა ჩემს მართლმსაჯულებას გაკ-მარებ. ცრუ დაბადების მოწმობა ერთი წლით შევაფასოთ. წავე-დით წინ. ამ ერთწლიანი ცოდვით ხომ აპირებდი საპასპორტო მა-გიდის შეცდომაში შეყვანას?! აპირებდი, აპირებდი! აქეთ ეცემოდი, იქით ეტაკებოდი; ამას ჩაუჯიბავდი, იმას ჩაუსრიალებდი; ამათ დაან-მავებდი, იმათ გააცუცურაკებდი; გასრულდებოდა, განაღდდებო-და შენი საწადელი. საზღვარს მუხანათურად გადმოლახავდი სატან-ჯოელი ბიოჯაშუში. მსოფლიოს ერთი მეექვსედი ყბადაღებული ქვეყნის მოქალაქე გახდებოდი. ძირგამომთხრელ მოღვაწეობას შე-უდგებოდი. ლოგიკის ჯაჭვი შეიკრა. ავი ზრახვებით პასპორტის ხელში ჩაგდების მცდელობისათვის რვა წელიწადი შეირგე, ხოლო მისი ნაწილობრივი რეალიზაციისათვის — ათი. ამას აქეთ სიმწი-ფის ატესტატი წამოჰყოფდა თავს, რომელიც ურცხვად იღაღადებ-და თვრამეტი წლის გიორგიკო ხანთარიძის განსწავლულობას. ქარ-თულში — ფრიადი, რუსულში — ფრიადი, გერმანულში — ფრია-დი; ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, საზოგადოებათმცოდნეობა —ფრიადი, ფრიადი, ფრიადი. ღმერთო, რამდენი ფრრ! სანიმუშო ყოფაქცევაო. ეს კი მართლაც გადამლაშებულია. ყოფაქცევაში —

ნული. ნულზე გამრავლებული რიცხვების შედეგი მოგეხსენება. მოჭრილად რომ ვთქვათ, ნულოვანი პიროვნება ხარ. ხუთი წელიწადი შეირგე, ცხენო!

ჭიჭე კვეკვე: ჰა-მეთქი, ამოღერღე! ექავება, ექავება! დახეთ, ამ ენთუზიასტ კომკავშირელს?! კი, მაგრამ სამკერდე ნიშანი რომ არ გიკეთია, თუ ბიუროზე შესვლის წინ მათსავით მიიბნევ?! მერე იქნებ კომუნისტური პარტიის რიგებში შეძრომაც მოგეხერხებინა და ვინ იცის, შემდგომში საით გაუტევდი, რომელი სავარძლისაკენ?! შესაძლოა მთლად ზევითაც გაგეკაფა გზა. ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზორის ცისფერ ეკრანზე გამოჭიმულიყავი, გაზეთები აგექაქანებინა, უცხოელი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენციები გაგემართა. ესეც შენი საერთაშორისო დანაშაულის შესაძლებლობა! ოცი წელიწადი შეირგე, უბიწოებიდან გამოსროლილო! დიო სორექ!*

ჭიჭე კვეკვე: წადი შენს მტრედთან, ტორონჯია. კაცმა სიმართლე თუ არ ინდომა, სარკეში თუ არ ჩაიხედა, შუბლჭუჭყიანი ხარო, არავინ გეტყვის, უმეტესად — უცხო.

ესე იგი შენი ვარო, მახლობელი ვარო, მითხრა ამით. *ვლაპარაკობთ,* **ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ, ასე არის, ისე არის, ამგვარად. რატომ კაცო?! რისთვის, რანაირად და რარიგად? წყლის ნაყვაა სუფთა! როცა ბავშვი აკვანში წამოიკვნესებს, ამოყვანა უნდა. თუ ეს დედამ მოითმინა, ტირილს დაიწყებს. ამასაც თუ გაუძლო, აჩხავლდება. რამდენიც გინდა, აშოშმინე, უჟღარუნე ეჟვნები და საჩხაკუნებლები, უმღერე და უცეკვე, სხავილს უმატებს და უმატებს, რადგანაც ჩასვრილი აქვს, რომ არ გამობანო, გზა...** აქ გამიწყდა ფიქრი მაშინ მე. ალბათ, უნდოდა ეთქვა, გზა არ არისო. მეტი რაღა გითხრას იმ კაცმა?! ადექი და ამხილე შენი ავკაცობაო! სულ იმას ცდილობს, როგორმე მართალ გზაზე დაგაყენოს, როგორმე ჭეშმარიტებისაკენ მოგაბრუნოს. დახეთ, მართლმსაჯულებაც სიმპათია-ანტიპათიაზე ყოფილა დამყარებული. ახლა მთავარი: მამის მკვლელობისათვის — თხუთმეტი წელი, კოჩიას გაწირვისთვისაც ამდენივე, მაფა ჰალიძონიას დაღუპვისთვის — ოცი, ხოლო საკუთარი თავის გავერანებისათვის — ოცდახუთი. რამდენი ოდაბადელი გაიცანი ამ დღეებში?! ათასამდე კაცი ხომ მაინც?! შეიძლება სამჯერ მეტიც. შენმა მზემ, სათითაოდ გააკეთილშობილე, არა?! ვთქვათ ორი ათასი განწმინდე. Katharsis*.

ჟინი: ესთეტიკის მცნება, რომელიც გამოხატავს ადამიანზე ხელოვნების ესთეტიკურ ზემოქმედებას.

გარეგანი დაწოლით თუ შინაგანი მოთხოვნილებით?! სიკეთე სავალდებულოა. სამყაროსეული მიზანია. ის უფრო იაფად ფასობს, ვინაიდან საყოველთაო, ადამიანის მოქმედების ანი და ბანია. თითოეული ოდაბადელის მოქცევა — ერთი წლით ამნისტია, სამაგიეროდ გაწარმართება — ორი წლით პატიმრობა. დაბოლოს, ხანტური. მოგენდო, გესიყვარულა, შეგითვისა, ფეხქვეშ გაეგო. მამის ნაქურდალი ფულები ნაყიდი ხიზილალათი და ზეთისხილით გაგიმასპინძლდა. რა გამოვიდა ყოველივე ამით?! არაფერი!

ჭიჭე კვეკვე: ახლადანთებულ ცეცხლს ურემი შეშა რომ წააყარო, ან სულის შებერვთის მაგივრად გრიგალები დაატეხო თავზე, ჩაქრება. ნელ-ნელა გაღვივება სჯობია. ასეთი სიყვარული სამომავლოდ გაცილებით გამოსადეგარია. სიყვარული მეორენაირიცაა, ყველაფრის ერთბაშად შემსრუტავი. ვერ გავამართლებ ამისთანა გრძნობას, ვინაიდან, თუ ერთ ღამეს დაიფერფლე, მერმინდელი სიცოცხლე ხომ უაზრო შეიქმნება, თუმცა ძნელი სათქმელია, იქნებ იმ სიმხურვალეში ჩემისთანებისათვის მიუწვდომელი, სულ სხვა ხასიათის ჭეშმარიტი რამ ლღვება, იწრთობა. ტორონჯია, ან შენ ესტუმრე მტრედის ბუდეს, ან... რა არის ეს ან?! აქეთ წამოიყვანეო, არა?! სერიოზულად ამბობდა ამას თუ მცდიდა?! მის თვალში ჩვენ ხომ ალალი ბიძაშვილები ვართ, იგივე — და-ძმა. დამცინის აშკარად. ის კი არა, თავიდან დედასთან თავსლაფი დამასხა კინაღამ.

ხომ უქენი იმ ღამეს, ხომ უქენიო, მეხიხინებოდა იმდენი ბილწსიტყვაობის შემდეგ, მაგრამ ყანყრატოში რომ ვწვდი, გაფითრდა.

ჭიჭე კვეკვე: გეეხხუმრე.

რატომ მივლის შორ-შორიდან, თუმცა შენ ხომ ერთი გულგახსნილი ვინმე გვყავხარ?! ფუთიანი ბოქლომებით მოგიმუწავს პირი! ხანტური, ხანტური! ოლივიე ჰასი* ძეფირელის* ხასად უქციე. მოჰკალი მისი უაიტინგი,* მისი რომეო. ამას გასწავლიდა რაბი?! აკვნიდანვე სიცრუით მოზელილო, სამაგიეროს გადახდას ნუ იკითხავ! ჯერ ხორცს ავვნებს და მერმე სულსო. აგერ, შედეგიც. ახლა დავიანგარიშოთ... ერთი და რვა ხომ არის ცხრა? არის! ცხრა და ათი, ცხრამეტიო, არითმეტიკამ. როგორ მოახლოვდა სასაკლაო?! ცხრამეტი და ასი, გაასცხრამეტდა. საუკუნეს გადავუკაკუნეთ. აქვე ორი ათას ამნისტირებულ წელს, ოთხი ათასი წლით პატიმრობას თუ მივუმატებთ, უტყუარი ორი ათასი დაგვრჩება და საბოლოო ჯამში, ქაჯური ანგარიშის წყალობით, სამ ათასწეულზე მეტი მოგიგროვ-

და, ცოტათი ნაკლები, ვიდრე ჭყონდიდის წლოვანებაა. შეხედე, ქრისტეც უკან მოიტოვე, ფრთოსანი ჭიანჭველა უცებ გაღმერთძაღლდა, მაგრამ რა უნდა ვქნა მე, მოკვდავმა, რომელსაც მამაჩვენის თეორია არ მიმეორებს? იწკავწკავე!

ჭიჭე კვეკვე: დურუ ჰალიძონია ხომ გაგიგონიათ, ხონის კოლონიაში რომ იხდის სასჯელს?!

ჰოდა, მაგი-მეთქი.

თუ მიშველის ვინმე, ისევ და ისევ დურუ. ხვალვე მანქანას გამოვართმევ არდაშელს და როგორმე მოვძებნი. ცდომილება: საბუთები არ მაქვს, გზაზე ჭრელჯოხიანები გამაჩერებენ. უმჯობესია, სახუ ანთარიას ვთხოვო, თუმცა ისიც რად მინდა. ბიჭები ერთ გაწამაწიაში იქნებიან. სულაც ტაქსს დავიქირავებ, ანდა — რომელიმე ხალტურისტს. როგორ არის ხალტურისტი ქართულად? ბალახტარა. საბალახტაროდ წავიდა. ღარიბდება ამათი ენაც. მე ვიკითხო, თორემ შენ საქმე ყოველმხრივ იდეალურად გაქვს. შენს ღვთაებრივ მდგომარეობას ადამიანური მასალა რას გამოადგება, მალე შემოაცვდება ჩონჩხზე. ამიტომაც ვერ ხერხდება შენი კუჭ-ნაწლავის, თირკმლების, გულის მატერიალიზაცია. იუდაღა გაკლია, თორემ სამების ცერზე შემდგარი მეორე ოპოსტასი* ხან, ჟინი ანთარის ლერწმით ქალწულ ციერიბიას საშოში ჩაბერილი. რამ დაგამუნჯა? ენა რამ ჩაგიწყვიტა?! ნურაფრის გეშინია, ტორონჯია. ამ ტვირთს ჩვენ საუკუნოდ ვიმყოფინებთ. ნემეის ლომისა* და ცხრათავიანი ურჩხულის მოკვდინება გაცილებით ადვილია, ვიდრე ავგიას თავლებისθ სიბინძურის მკერდით გატანა. ჯულიეტამ ძმის მკვლელი შეივრდომა; მედეამ — სამშობლოს დამამხობელი; იზოლდა ქმრის დისწულს ჩაბარდა; ნესტანმა ძმადსაკადრისი შეიყვარა; ფედრამ* — გერი; იოკასტე* შვილს ეცოლა და ვინ იცის, კიდევ, მაგრამ ეს ლიტერატურაში, შემოქმედის გონებაში, ჭიჭე კვეკვეს საასპარეზო სივრცეში. თუმცა მე ხომ ცხოვრების ელემენტი ვარ?! შენ როცა ანაბიოზში თვლემ, მე ვიწვი, ვილევი, ვნადგურდები. სოფოკლეს ჩემისთანები აპურებდნენ: უსახლკარონი, უდედმამონი, უეროვნონი, მოკლედ, ვიღაც დიდზე დიდი უუუები. შენ კი ჩემი სახით იდეალური სამოსელი გწყურია, ვისაც ყველაფერს მიუტევებენ.

იქმენ ფრთოსან ჭიანჭველადაო, ეტყვიან, თუ იქმენ სიცოცხლემისჯილადო, სულ ერთია, წამითაც არ შეეჭვდებიან, რომ მის უკან უკეთეს შემთხვევაში ბუტუტი ანთარია დგას, კემესა და ტორონჯიასავით ნაბიჭვარი, საზოგადოდ კი ბიძაშვილის მოტრფიალე ბონდო

ჰალიძონია, ვინც უკვე საბრალო დედის მეტს არავის ახსოვს. ცირიბია შკვითინხე. ცირა შკვითინია. ხომ ტკბილია სათქმელად შკვითინია, შკვითი, შვიდი. Семь-siben-sept. რაღაც საკრალური სუნი ტრიალებს. დიახ. საკრალური სუნი მცემს. ნეტავ შკვითინებისგან ხომ არ მომდინარეობენ სკვითები?!

ჟინი: ბუტუტი, სკვითები ირანულ ენაზე მოლაპარაკე მომთაბარე ტომებია, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილოეთის სანაპირო ველებზე ცხოვრობდნენ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მეშვიდე საუკუნიდან ჩვენი წელთა აღრიცხვით მესამე საუკუნემდე და ალბათ, ასიმილირება განიცადეს სლავებისაგან. მე ვარ ის წარმმართველი ძალა, რომელიც აღმართს ხნავს.

საინტერესოა, ჟინი ანთარმა ჯეგე ანთარია რისთვის უარყო?! ჟინი გასაგებია, ზენა, ზემოური, მაგრამ ანთარი?! ჯავახიშვილი ანთარს ხევსურთა ანატორს და აფხაზთა აითარს უკავშირებს. მას ირანულშიც მოეძებნება შესატყვისი და ათარი ოჯახის მფარველ, ცეცხლის ღვთაებად წარმოგვიდგება. ცხადია, ამ ღვთაებას უფრო ღრმა ფესვებიც შეიძლება ჰქონდეს, თუნდაცა შუმერულში AN-TUR-ZI. ხეთებთან ჭექა-ქუხილის ღმერთს თარუ ჰქვია. გამოვიყენოთ ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. ანთარ ორმარცვლიანია და ორად გავთიშოთ: ან და თარ. შუმერულში ან ცის ღმერთთია — Ꞡან დეცეშ. ესე იგი, ან ძირითად ჩანს, თარ-ი კი დამოკიდებული, მსაზღვრელი. ღმერთი ცისა თარი. თარ ხომ სვანუროში ხშირად მთავარს უიგივდება. ესეც რომ არა, ტარა ურარტულში ძლევამოსილს, ძლიერს, ბევრს აღნიშნავდა?! მსჯელობიდან ამნაირად გამოდის, ღმერთი ცისა მთავარი, ანუ ან-მთავარი, და ბოლოს მივიღეთ ანთარი, უკვე დასინთეზებული, ახალი შინაარსით დატვირთული. იცოდა ეს ყველაფერი სატანჯოელმა. ცის ღვთაებად შერაცხა თავი. მაშასადამე, მეორე იპოსტასიც საჭირო იყო და გამოჩეკეს კიდეც. თუმცა განა ანთარია უფრო შეკუმშულად არ მოიცავს ჟინი ანთარს?!"

ბონდოს სულიერ მდგომარეობას ნეონის შუქში შეცურებულ ქალაქის გადარეული ქუჩებიღა თუ შეესაბამებოდნენ, რომელი ჩირაღდნები მუშტისსისხოდ ანაკვერჩხლებდა კემეს ფიჩხს, მეფეთა დარბაზების სამყოფ ნათელს აისხლეტდა, სამარადისოდ ბინავდებოდა უსასრულობაში და ამასთანავე კეთილ-ბოროტის საზრისს განასჯევინებდა ბაწარ-აღებით.

„ნუთუ უარყოფითი დადებითს მოიცავს?! სინათლე მომენტია და სიბნელე აბსოლიტური?! იქნებ ყველაფერი პირიქითაა?! ჭეშმარი-

ტად! სამყარო ადამიანისთვის იგივეა, რაც ნაჭუჭი, ცილა და ყვითრი წიწილის გამოსაჩეკად. ასევე ადამიანიც შუალედურია არსებულისა და გონით სამყაროს შორის. აქვს კი ამ პროცესს ზღვარი, დასასრული?! დაიძინა პატარამ. რა დრო გასულა?! არ გამიცივდეს!"

ირგვლივეთის იდუმალ მოვლენებზე რამდენიც უნდა ეაზროვნა ბონდო ჰალიძონიას, მისი პიროვნების გარშემო უკვე შეხედულებათა სისტემები არსებობდა: ამ საქმეში ქრონოლოგიის შესაბამისად პირველობა „ოდაბადე, როგორც ასეთს" ეკუთვნოდა, რომლის მიხედვით № 123 გენეტიკური მასალა სასიცოცხლო ძალების თუ ინტელექტის სინთეზის წყალობით, ნიცშეს ზეკაცს უტოლდებოდა, ვისთვისაც მიზანი მიზანი საშუალებას ამართლებს, და როგორც ზე, ღვთაებრივი, განუსაზღვრელ უფლებამოსილებას იძენდა. სატანჯოელის მონოგრაფია ყმაწვილს აბსოლუტიზმისკენ, შინაგანი გაბრწყინებისკენ მოუწოდებდა. ცდისპირის ბუნებაში გამორიცხავდა ერთდროულად ორი საწყისს არსებობას, ან ფრთოსანი ჭიანჭველის გზას უნდა მისდევნებოდა, ან კიდევ — სიცოცხლემისჯილისას, თუმცა ჟინი ანთარისგან განსხვავებით, ბონდოს თავისთავში ორივე აღმოეჩინა და ახლა მათი თანამშრომლობისათვის თუ ანტაგონიზმისთვის ნიადაგს ამზადებდა. ამ ორი სუბსტანციის წინააღმდეგობით თუ შერწყმით გახსნილი ხასიათი იგივე სამყაროს უზოგადესი არსის დაზუსტებასაც გაუტოლდა მისთვის. განსასჯელ ობიექტსა და სუბიექტს შორის მერყეობა, ბოლოს და ბოლოს კულმინაციას, ფინალს მოითხოვდა, და ამრიგად, Tertium non datiur-ის კვალობაზე, სატანჯოელის „მესამის" შესაძლებლობის ჰიპოთეზას დღის წესრიგიდან ხსნიდა, რადგანაც „მესამე ანაბიოზის პირობებსაც კი არ ემორჩილება, ის ზღვარდაუდგენელი, ერთის დასასრული და მეორის დასაწყისი, გარდამავალი ფაზაა და ამდენად, მოუხელთებელი მომენტიაო," ასკვნიდა. აქედან გამომდინარე ბონდო ადამიანს საზოგადოებრივ პროდუქტად მიიჩნევდა და პირვონების ხალხთან მიმართების რამდენიმე შესაძლებელ ვარიანტს აღიარებდა: ჩაკეტილი, იზოლირებული, პერსონიფიცირებული ინდივიდისას, რომელიც დაბადებისთანავე სიკვდილისთვის საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ — სამყაროში გადაგდებული, არარაობის წინაშე მკრთომარე, განსაზოგადოებრიობას ვერ ახერხებს და პიროვნებას გახსნილს, ბრბოში ათქვეფილს, აზროვნების საერთო ქსელში ჩართულს, მთელისა და ნაწილის სინთეზს.

„მომავლის თვალსაზრისით რომელი გზაა უფრო ოპტიმალური?! პიროვნებამ საითკენ აიღოს ორიენტაცია?! ინდივიდი ესწრაფვის რაღაცას, გარემოც მოითხოვს ემოციათა ხარკს. როდის, რა მომენტში ემთხვევა ერთმანეთს მათი მიზნები?! სად არის ოქროს შუალედი, როცა ორიგინალურობაც შენარჩუნებულია და ზოგადიც არ ზარალდება?!**რამეთუ რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკუთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თჳსი იზღვიოს? ანუ რაი მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თჳსისა**? ნემენტროპია თუ ენტროპია, ქაოსი თუ წესრიგი?! რამდენად ბოჭავს ჩემს ნებას ჩემი შესაძლებლობა?!“ მსჯელობდა ბონდო, ასე რომ, მისთვის თვითგამორკვევა სამყაროს უზენაეს მოწესრიგებას გაუტოლდა, იმისდა მიუხედავად, რომელს მიემხრობოდა, ერთეულს — ხანტურს, თუ ზოგადს — ოდაბადეს.

შვილისგან უარყოფის მთავარ მი ზეზწად ცირა შკვითინიას სამარცხვინო წარსულთან ერთად, წყალდიდობის ღამით სულის საბედისწერო გაშიშვლებაც მიაჩნდა, რომლის შემწეობით არსთაგამრიგემ მოუდუნა, დაუჩლუნგა დედაშვილური ინსტინქტი, გუმანი, ალღო და სატანჯოში დატრიალებულ უბედურებას, რაც მეტად უღრმავდებოდა, მემკვიდრისადმი წაყენებული ბრალდება თანდათან ირწმუნა. დედამ სატანჯოელების მკვლელად კი ცნო შვილი, მაგრამ დანაშაულს დამაჯერებელი მოტივი ვერაფრით დაუძებნა. ეს კი ისედაც გაჩანაგებულ ქალს ას თვალს და ყურს გამოაბამდა, რათა უადგილო ნათქვამით თუ საქციელით მკვდრეთით აღმდგარი პირმშოსთვის სამარე ხელახლა არ გაეთხარა; არსებულ მდგომარეობას დასჯერდებოდა და მერმისის იმედით ესულდგმულა.

სატანჯოელების მიყოლებით მოკვდინებას უკვე ჭიჭე კვეკვეც ბონდოს მიაწერდა, თუმცა ცირასაგან განსხვავებით, ბოროტმოქმედებისთვის ფრიად სარწმუნო საბუთი გამოენახა: ნახევარძმის ნაავაზაკარს ბედისწერის წინაშე გაბრძოლების, წუმპიდან ამოსვლის, არასრულფასოვნების ჩარჩოთა დამსხვრევის ცდით ხსნიდა. დღემდე მომხდარ და აწმოსალოდნელ სიავეთ ბონდოს მოჭარბებულ პატივმოყვარეობას მიაწერდა, ხოლო აქამდე ნამოქმედარი ყოველი სიკეთე, შირმად, განხორციელებელი საშინელების დაფარვის ხერხ-ფანდად მიიჩნია. ასე რომ, დღეების წინათ ბონდოს სრულყოფილებით აღფრთოვანებული, ამიერიდან შურისძიების ჭაობად ქცეულიყო.

ჭიჭე კვეკვე ხანდახან იმასაც იხსენებდა, თუ ანდერძის კითხვი-

სას სიმწრის ოფლში რანაირად იწურებოდა ყმაწვილი; რაფერ გამორიცხავდა კოჩიას ავტორობას; წერილს რარიგად აღმოუჩინა შეთხზვის რეალური დრო.

„სამართალმა პური ჭამა. საკუთარი თავი უნებლიეთ გასცა“, თრთოდა სიხარულით, თუმცა მიხვედრილობას მკვიდრად ინახავდა გონების სიღრმეში. მომხდარი ამბის დამალვას, მიფუჩეჩების საბაბ-მიზეზი, ცირა შკვითინიასი არ იყოს, ჭიჭე კვეკვესაც უამრავი ჰქონდა. ჯერ ერთი, გაურკვევლობა ვნებიან სატრფოს უნარჩუნებდა. საიდუმლოების გამოაშკარავება მათ კავშირებს მყისვე დაამხობდა. მართალია, ნახევარძმის, მაგრამ მაინც ძმის დედას, გულისნადების გამომჟღავნების მერე ვერაფრით დაისაკუთრებდა. ესეც რომ არა, დღისით მგლოვიარე ცირას ღამით ახურვებამ, სუსტ სქესზე ისედაც გაფუჭებული წარმოდგენა მთლად წაუხდინა. წარამარა ისაწყლებდა დედაკაცთან გაიგიავებულ სიტყვა „არარაობას“, თუმცა ვნების მორევში ჩაძირულს დანიის პრინცის ცნობილი ფრაზაც ავიწყდებოდა, დაბადების მოწმობაც და მასთან დაკავშირებული საშიშროება-ხათაბალანი.

წყალდიდობის დღეებში ბაბუა-ბებიას შორის გამართული დიალოგი, ბონდოს ამოცანაში დიდად წაადგა ბაგი ანთარიასაც.

— ხვალინდელი დილა ნუ გამითენდება, გაჭრილი ყელივით თუ არ ჰგავდეს ჟინი ანთარს! — უმტკიცებდა ნაღვინევი ჭოფია ბალიშზე მისვენებულ ძუბა ჭანიას.

— ეტყობა, ენგურმა ბორანთან ერთად ჭკაც წაგართვა, უბედურო, — ცხარობდა დედაბერი, — სად ჩემი მხსნელი ანგელოზი და სად — შენი ცხვირპირმოჭმული ჯიმადი?! ისედაც როგორ მიატოლე სულწაწყმედილს?!

— რა ამბავია ჩემს თავს, კაცის კაცთან მიმსგავსებასაც მიშლით?! — წამოთარანდა ჭოფია და შინდის ხელ-ჯოხი აძგერა და აძგერა მუგუზალს.

ამას ზედ ჭაჭია ქობალიას ჩვენთვის ცნობილი მონათხრობიც დაემატა.

ბაგი ანთარიამ დამფრთხალ მწყემსს დაუყვავა, დაანუგეშა, ყოველნაირი დახმარება აღუთქვა, თან ლამის გული სიხარულისაგან გასკდომოდა.

„კიდევ კარგი, არაფერი დავროშე! რა ჭირის ოფლს გადავრჩი?!

ჭიჭე კვეკვე: დიახ! ამ ანდერძის უკან დიდადგანათლებუ-

ლი პიროვნება დგას უსათუოდ. მერე მთავარზე მთავარი, წერილში საუბარია ნაშუადღევზე, ბინდისპირზე და არა ათი იანვრის დილაზე. ეტყობა, ყოველივე ჟინის ანთარის შორსგამიზნული ხრიკებია მართლაც. რა პირით შევხედავდი ქვეყანას, თუკი ბონდოს ცოდვას კისერზე დავიდებდი?! ადრე თუ გვიან ამისთანა გონებაგახსნილი ყმაწვილი თვითონვე გააკეთებს არჩევანს: გამოგონილი გვარით იცხოვრებს თუ ნამდვილით. ეს პროცესი სამკვდროსასიცოცხლო ხასიათისა ჩანს და კრიტიკულ მომენტამდე საქმეში ჩარევა ყოვლად დაუშვებელია!"

ძნელი სათქმელია, ვინ უფრო ადრე ამოიცნო ბონდოს პიროვნება: ჭოფია ანთარიამ, ცირა შკვითინიამ, ბაგიმ თუ ჭიჭე კვეკვემ, მაგრამ ოთხივესგან განსხვავებით აღმოჩენილი სინამდვილე ხანტურ ჰალიძონიასათვის დაშრეტილი ძუძუს მეხსიერებიდან ამომშლელი სატკივარი შეიქმნა.

,,სამაგიეროს უხდის არდაშელს და ამიტომაც მექცევა ასე. ახია მაგაზე, უარესის ღირსია. ცოლ-შვილის დამღუპველი! ნაარმევი ლუკმაც საშვილიშვილოდ გვინელებს, მაგრამ მე, მე რა შუაში ვიყავი?! რას მემართლებოდა?! რატომ თავიდანვე არ გამიმხილა ყოველივე?! აქამდე ბაჯაღლო ოქრო სპილენძად რამ გადამაქცია?! მაშ, ტყუილად მევლებოდა თავზე?! ტყუილად მეფიცებოდა სიყვარულს?! ტყუილად მეძახდა ფრთოსან ჭიანჭველას?! თავბრუ დამასხა, სული ამომართვა, გული ამომაცალა და ახლაა რომ მტოვებს?! ჯალათი! ჯალათი! რატომ მიმტკიცებს, თითქოს ჰალიძონია საბუთითაა მხოლოდ, სინამდვლეში კი ზანთარიაა, ჟინი ანთარის შვილი?! რომ არ ვყვარებოდი, რისთვის მომენდებოდა, რისთვის გამიმჟღავნებდა ან ერთს, ან —მეორეს?!"

ეს ყველაფერი ხანტურისთვის გონმიხდილობის ღამის მერე გახდა ცნობილი. ქალიშვილს ჯეროვნად ახსოვდა შინმობრუნებამდე გადადგმული თითოეული ნაბიჯი: ძვირფასი სტუმრების აჩქარებით გამოწვეული ანთარიების აფორიაქება იყო ეს, თუ სამარის ლოდივით გაჩუმებული ბონდოს წინაშე, აქამდე რაღაცნაირად მობოჭილი გრძნობების გამხელა-გაშიშვლება.

კონიაკის წრუპვისგან ღიღინის ხასიათზე დამდგარმა ხანტურმა შინმოუსვლელთა პარკში გასეირნება ინდომა. ბედად, ჭიჭე კვეკვეს სამფლობელოს ჭიშკარი დაკეტილი დაუხვდათ. შინისკენ მობრუნდნენ. ევკალიპტების ქათქათა ხეივანმა, მოციმციმე ლამპიონებმა, ასული ერთობ მოაჯადოვა. მარცხენა მხარეზე ლოყა მიახუტა მიჯნურს. თითები თითებში ჩაუხლართა.

— თუთა ახალი, სი გამახარი!* —დაიჩურჩულა სატრფოს გასაგონად და ტრადიციის საწინააღმდეგოდ მთვარეს შესცინა. არც მიჯრით მიწყობილი კბილების დაჭიანებას შეუშინდა და აღარც — მოსალოდნელ დეფლორაციას.* იგონებდა, კიბეებზე ასვლისას რანაირად ამჩატებდა წელზე შემოხვეული ბონდოს მკლავი. ეს იყო და ეს. საშინელი სიზმრებიდან გამოღწეულს, ციტრუსთა დანამული ფოთლებიდან მზის სხივები ეკეკლუცებოდნენ. საბანში შეფუთნული ჰამაკის რწევას მინებდა. ერთხანს მეხსიერებიდან ამოშლილი ღამის სურათების აღდგენა სცადა, მერე შემკრთალმა ხელი მოიფათურა სხეულზე. გამოცვლილი ტანსაცმლით დამფრთხალი ისე გაქანდა საძინებელ ოთახისაკენ, გეგონებოდათ, სარკეღა იხსნიდა მოსალოდნელი უბედურებისაგან. სუნთქვაშეკრული ხანტური ისეთნაირად აკანტუნებდა თავს, იფიქრებდით, იმ ლურსმნის ამოძროობას ცდილობს, თეთრ სკამზე მიკრულს გულმოდგინედ რომ დააჭედეს წუხელ ძილში კეფაზეო. ქალიშვილმა სწრაფად მოიშლიფა საღამური და გაუქმებულ მკერდზე ნათითარები მოელანდა. ერთიანად გაფითრებულმა ხანტურმა დილის შუქი იცოტავა, ჭაღი შემოიშველია და აკვნისდროინდელმა სიდამწვრემ მოულოდნელად შეყვარებულის ხელის მტევნის ფომა მიიღო.

წერილიც მაგიდაზე დაუხვდა. ,,ცოცხალია ბონდო ჰალიძონიაო'', აუწყებდა გამოუსწორებელ ლოთს ნაცნობი ხელწერა. მართალია, ეს ძვრები უდაბნოსავით ჩახრიოკებულ მკერდს ვეღარ უღორძინებდა, ვერც ტანის მიძინებულ ნახევარს უღვიძებდა, ვერ უმრთელებდა ნაკლულს, მაგრამ წყარო, რომელიც საფიცარი ადამიანის საიდუმლოს გამხელამ აღმოაცენა, სიკვდილზე უარეს შერცხვენას უქადდა —ბიძაშვილთან ლოგინის გაზიარებას ჩააგონებდა. კიდევ კარგი, ორი დღის შემდეგ ტელეფონით შემოეხმიანა ბონდო და: ის მემკვიდრე ჟინი ანთარისგან ჰყოლია ცირიბიასო, გაუმხილა. გულზე მოუფონა ჰალიძონხეს რამდენიმე, თუმცა ხავსივით წასაბღაუჭებელი ცნობის მიუხედავად, ხანტურის ცხოვრებაც უკიდურესობამდე დაიძაბა.

,,ხელი ცამდე მიუწვდება ჩემს მკვლელს. ღმერთების საკადრის ზეფირებში ცურავს, მაგრამ ჩემი სიყვარულის გულისთვის ყველაფერს სწირავს: გვარსაც, ნათესაობასაც, დედასაც, მეობასაც კიო'', გაიაზრებდა; ამიტომაც სანატრელ ადამიანს გაურბოდა და კიდეც ნებდებოდა ოცნებაში. მეასედ,, მეათასედ კითხულობდა ხელისგუ-

ლისოდენა წერილებს. უსულო ქაღალდებს კოცნიდა, მათ სარეცელზე მიწვებოდა. ბონდოს ოქროსფერი კულულებით აფერადებულ ფარდაგზე მიიბნიდებოდა. იხსენებდა, მილიდან წამოჩქაფუნებული წყლით როგორ რეცხავდნენ მანქანას; საქარე მინას რაფერ აპრიალებდა კისკისით, სიხარულით რანაირად კუნტრუშებდა.

საჭირო ნივთებისთვის ჯერ თავად ბონდო მოდიოდა ჰალიძონიებისას, მაგრამ გამოხდა ხანი და ყმაწვილმა, ხან თითო-თითოდ მიუგზავნა მეგობარი ხანტურს, ხანაც —ჯგუფ-ჯგუფად.

— შენმა დოხტურმა, თუ ჩემი თვალის სინათლე არის, მეთესლე დაფნის ძირას დაჟანგული არმატურა და მილები რომ აწყვია, გამომიგზავნოსო! —გადასცემდნენ დანაბარებს ერთნი.

— გოგო, შენმა გიორგიმ, ჩემს ცხოვრება ხანტურთან მიდით და სამზადის უკან, დოლაბის ქვის სიახლოვეს დაყრილ რკინის ფურძლებს გამოგატანენო! — ეტყოდნენ მეორენი.

— სულ გაწუხებთ, მაგრამ რა ვქნათ? შენმა ფრთოსანმა ჭიანჭველამ ბრძანა, ბოსელის ხელმარჯვნივ, სიმინდის ნაყანარში შეგორებული გუდრონის მორგვები ურიკაზე დადევით, ზედ ნალიაში მიყრილი ტოლის თფები დააწყვეთ და აქ მომიტანეთო! — თამამად მოსჭრიდნენ მესამენი.

მოდიოდნენ. მოხორხოცებდნენ. ვინ მიხაკს უსახსოვრებდა, ვინ მიჯნურის მოკითხვას გადასცემდა. გამოიკვლევდნენ მილანდარის ჯანმრთელობას, მერე — ,,ხანთარიძემ გამოგვაგზავნაო'', ,,ხანთარიძეს ესაჭიროებაო'', ,,ხანთარიძეს ნებავსო'', ეტყოდნენ და მიჰქონდათ ელექტრო და ავტოგენური შემდუღებელი აპარატები, ელსადენის მავთულები, კაბელები, სხვანი და სხვანი.

დღითი დღე მიუღებელი განცდები და სურვილი იმონებდნენ ხანტურს, თუმცა შეყვარებულისაგან გამყოფი კედელი ნელ-ნელა თხელდებოდა. სწამდა, რომ საშვილიშვილო ცოდვას სჩადიოდა, მაგრამ პაპიდა მაფას თავგანწირვის გარეშე, იცოდა, ბონდოს საწადელს ვერაფრით ამოიცნობდა.

,,თუ მართლაც ვუყვარვარ, თუ მართლაც ჟინი ანთარის მემკვიდრეა და კოჩიას მხოლოდ დაბადების მოწმობით მიეთვლება, მაშინ ჩემს გრძნობას უსათუოდ უპასუხებს; არადა, როგორც აქამდე ახერხებდა, თავს მომარიდებსო'', მოსჭრა. ერთი სიტყვით, ედემის ბაღში ევას ჩადენილ გმირობას იმეორებდა, რომელ თავდადებამაც სამყაროს მამაკაცი აღმოუჩინა და გადაურჩინა კიდეც.

უკვე ნებისყოფაც ღალატობდა ხანტურს და საზრიანობაც. ცო-

ტა ხანში მამაპაპური ადათიც დასძლია. მოსალოდნელ შერცხვენასაც თვალი ამაყად გაუსწორა და ყოველი პიროვნული განძი, ღირსება, მის წინაშე სვეტიცხოველივით აღმართულ გულისსწორს მსხვერპლად შესწირა. ზოგჯერ ვერც ავისმომასწავებელი ფიქრების შემოტევას უმკლავდებოდა. განსაკუთრებით, აი, მაშინ უმძიმდა ბონდოს წერილების ადრინდელი გულბრიყვილობით ჩახუტება; მისი ნაქონი ნივთებით, საგნებით დამშვიდება, მაგრამ მათი უარყოფაც ქალიშვილის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ფრთოსანი ჭიანჭველისთვის თუ სიცოცხლემისჯილისათვის წარბშეუხრელად ეგებებოდა თავლაფდასხმას, გაძაღლებულ ყოფნას, გნებავთ — ზეზეურად სიკვდილს. თუნდაც შურისძიების საბაბით დაძრულ მდინარეს საუკუნოდ შემოიერთებდა ზღვასავით მოხასხასე მისი სული. ხანტურს ესოდენი ფერიცვალება არასდროს განეცადა. ქედმაღლობის, ამპარტავნობის ნაჭუჭში აბრეშუმის ჭიასავით გამოკეტილი, ბონდოს შეხებამ ამქვეყნიური შებოჭილობებისაგან გაათავისუფლა; ამიტომაც თავისთავს ხან დედამიწის ზურგზე უბედნიერესს უწოდებდა, ხანაც — საბრალოზე საბრალოს. ზოგჯერ ნეტარებით ფრინავდა ოცნებაში, ზოგჯერაც მწუხარების ცრემლი აოსებდა. ვერც გამოკვეთილად პასუხობდა სატრფოს, ვინაიდან არ იცოდა, ამით ცხოვრებას შეუმსუმბუქებდა, თუ დატანჯავდა, უფრო შემოიმტკიცებდა თუ მთლად დაკარგავდა და ყოფნას ჯოჯოხეთად გადაიქცევდა. აქამდე სათაყვანებელი მამის გასაღიზიანებლად თეთრებით იმოსებოდა ხანტური, ღიღინებდა, როცა შავების ჩაცმა და გლოვა მართებდა. აქა-იქ შემგინებელ ბიცოლასაც ეწვეოდა ფიქრებში — ბონდოს ნამდვილი მამის ვინაობის გარკვევას წადინობდა, თუმცა „ვაი, თუ გაუფრთხილებლობით გავცეო“ კანკალებდა და ამ ნაბიჯის რეალურად გადადგმას სიკვდილივით ეკრძალვოდა. მაინც ბუტუტის ელოცებოდა წარმოსახვაში, ცხადში. რაღაც ხელშესახებ წინააღმდეგობას ეძებდა, რომელ წინააღმდეგობასთან ჭიდილში ყელში მობჯენილ ბოღმას დაიურვებდა, გაუხარჯავი ემოციებისაგან განიტვირთებოდა, რაც იქ, იმ მეხუთე სართულზე აუსვლელად, ყოვლად შეუძლებელი იყო. ამ ნააზრევს წაებღაუჭა. უკეთესი ხსნა და საშველი მაინც არსაიდან ჩანდა. გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ბინდის წამოსწრების სურვილს აჯობა, ოღონდ გზაც საგრძნობლად გაიხანგრძლივა. ფეხდაფეხ მისდევდა უბელო ქერქენჯი.

აგერ, ჯოროკზე ცირა შკვითინიას ზურგი გარინდა ნაზი ხელების თროთოლვამ. აგერ, ტკურტკურით წამოსული ხანტურის კურ-

ცხლები ზოგი საყელოში ჩაეწვეთა ძაძებში მბორგავ დედას, ზოგიც — მკერდსა და მუხლებზე.

დაყურსული სასაფლაო ბინდბუნდის მოქსოვილ ბადეში ირწეოდა. ვერაფრით ახსნიდა ხანტური, ესოდენი სითამამე საიდან ენიჭებოდა ამწუთას. ვინ განაგებდა მის სულს, ან სადაური გამბედაობა ამოადგმევინებდა ენას?!

— მე ცარო ბებიასაგან ვიცი ყოველივე. დედისგანაც, ჰო, დედისგანაც. შენ და მამაჩემს ბავშვობიდანვე გიყვარდათ ერთმანეთი. შეუღლდებოდით კიდეც, ცურუმ ჩაშალა თურმე ეს საქმე, ჰალიძონხემ, თორემ...

— ცურუმ?! „ცრუობს. ცარო კიდევ მესმის, მაგრამ მილანდარი ამას არაფრისდიდებით გაუმჟღავნებდა. სხვა რაღაცისთვისაა მოსული“.

— დედაჩემის ტირილს ბევრჯერ გამოვუღვიძებივართ თუთარიაცა და მეც. განსაკუთრებით მაშინ, როცა მამა ლოგინს საბნიანად მიატოვებდა და ავინის ტახტრევანს შეეკედლებოდა ლანძღვაგინებით.

— სიცხე აწუხებდა, ალბათ. „ნუთუ მართალს ამბობს ძუძუდაშრეტილი?! იქნებ მილანდარი კი არ გაურბოდა არდაშელს, როგორც ამას ცარო მუშუქია ქოთქოთებდა დღემოსწრება, არამედ — პირიქით, არდაშელი — მილანდარს?!“

— არ უნდა ვამბობდე ამას შვილი, მაგრამ მე არასდროს მყვარებია მილანდარი. ჩემი უზრუნველი ქალიშვილობა, ჩემი მომავალი, ჩემი ბედნიერება იმან გააპო შუაზე. ჯობდა მაშინ მოვმკვდარიყავი, თუმცა ბედისწერას ხელს ვერ ააფარებ. ცივსისხლიანი იყო იგი, ცივსისხლიანი და ამპარტავანი. ალბათ, ასეთია აზნაურული ჯიში და მოდგმა: ანათოს და არავინ გაათბოს. ეწია ჩემი ცოდვა! მამის ტანსაცმელზე ერთი ღერი თმაც რომ შეენიშნა, მაშინვე ფანჯარასთან მიარბენინებდა. მუქი ფერისა თუ მოჰყვებოდა ხელში, თავჩაღუნული მოშორდებოდა სარკმელს, მაგრამ საკმარისი იყო რამე ნათელი დაელანდა, რომ ხელად გულსაკლავი ქვითინი ამოეშვა. აბა, რა ექნა საწყალს, უყვარდა მოღალატე ქმარი, თუმცა მისდა სავალალოდ, არდაშელის გული შენ გეკუთვნოდა ერთადერთს. მილანდარი ბრმა კი არ იყო, ყველაფერს ამჩნევდა, ამიტომაც ჯავრს ჩვენზე იყრიდა ხოლმე. დაგვერეოდა პატარებს და მიგვტყეპ-მოგვტყეპავდა სრულიად უმიზეზოდ. „არც აწი ამოიღებ ხმას?! ვნახოთ, როდემდე იქნები ბუსავით!“

ჩვენც სამაგიეროს შეძლებისდაგვარად ვუხდიდით. მამის კოსტუმზე აღმოჩენილ თმის ღერს ხელს დავავლებდით და, სულ ჩვენი წიწილების ფერიას ძახილით ანთებულ ბუხარში შევუძახებდით.

ცირა შკვითინიას მხრები შეუქანდა. ქალიშვილს მორღვეული სახით ამოხედა. ახლახან შავად შეღებილი თავი ხანტურის მკვრივ ბარძაყებს მიაყრდჟნო და დარჩა ასე, რადგანაც ასულმა სიახლოვით ისარგებლა. ცრემლით სველ ნიკაპქვეშ ხელისგულები ამოუდო, ხოლო ცერათითებით დანამული უპეების ამომშრალებას მიეძალა.

— მიდი, ცირასთან მიდიო, მამამ. ჩემს მაგივრადაც მიუსამძიმრეო. ყველაფერთან ერთად, ამისთვისაც გეახლე. გული სტკივა, უბედურს. აბა, მართლაც დურუს შიშს კი არ ემალება!

ციხეში არ უნდა გამეგზავნაო, თავს იდანაშაულებს დღედაღამ. შენ უკეთ მოგეხსენება, ჩემი ძმა გადამწვარი იყო. ამისთანებს კი შვილი არ უჩნდებათო. პირველი ბიჭი კოჩიას ცოლის შერთვიდან მეხუთე თვეს შეეძინა, ხოლო რაც შეეხება ბონდოს, ბონდოსო და ხმა აუთრთოლდა. იქნებ უგუნურობას ჩავდივარ, შენსავით ძაძებით რომ არ ვიმოსები?! იქნებ ენის ჭარტალის მაგივრად დის საკადრისი გლოვა მმართებს?

მიდი, ცირასთან მიდიო, მამამ. ბიცოლაშენს გაულანძღიხარ გიორგის წინაშე და ახლა შენი მშველელი მაგის მეტი არავინ არისო, შემაგულიანა.

ხანტურმა მარჯვენა ხელი ცირას ნიკაპს გამოაცალა, მერე თვალწინ დაუყენა მივიწყებული ალბომიდან ამოქექილი, გაყვითლებული ფოტოსურათი, საიდანაც საქანელაზე მსხდომი, ხელიხელგადახვეული ქალ-ვაჟი იღიმებოდა, და შკვითინხეც მოთავდა. აქვითინებული ერთი სხეული მეორეს ეხლებოდა, უკუიქცეოდა, პირველს უბრუნდებოდა, ისევ თავიდან და ისევ თავიდან.

— ვისაც დიდი სიყვარული გამოუცდია, სხვის გაუბედურებას არ შეეცდება! ქვეყნის გამჩენ ძალას გაფიცებ, ბონდოს უმანკო სულს გავედრებ, დაუფარავად მითხარი, გიორგის დუმილი შენი მიზეზით თუა? მეოთხე დღეა სათოფეზე არ მეკარება, —ხანტური ჩაიხარა და დედაკაცის კეფას ხეჭეჭურისმაგვარი მარცხენა ძუძუ დააყრდნო, —იქნებ იმისთვის გამირბის მთლად, ბონდოს მაგივრობა რომ სთხოვე და კულული შეაჭრევინე მაკრატლით. ალბათ, ვაშინერსიაო, ფიქრობს. მასწავლე, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?! შენთვის იოლია. შვილის დამკარგავი, ნუთუ შვილის მაგიერს ვერ შეელევი?! ოდაბადებში ბიჭების მეტი რაა. გაგიწყრებოდა ღმერთი მაინცდამაინც ჩემი სულისდგმა რომ არ ამოგერჩია?!

ბეღურასავით მობუზული ცირა თრთოდა. სადღაც მეოცე თუ ოცდამეათე საფლავიდან ჭიჭე კვეკვეს ფეხქვეშ ხრეშს ხრაშახრუში გაჰქონდა. ამ ხმაზე ნემსებივით ამოწვერილ ბალახს მიძალებული ქერქენჯი კოხტა თავს წამოსწევდა, დაიფრუტუნებდა პატრონის გასაგონად და ისევ განაგრძობდა მდელოს წიწკნას.

„ვძულვარ-მეთქი, ვფიქრობდი და პირიქით არ ყოფილა?! შემოვლით, ჯერ ჭიჭე კვეკვეს, მერე აგერ, ხანტურის მეშვეობით, მაინც ხომ დამიდასტურა ყოველივე, როცა ამ გომბიოსთვის არაფერი გაუმხელია?! აბა, როგორ! დედის ხელის კვრა გაგონილა?! ხედავ, ეჭვიანობს არდაშელის ფაშატი. რომ დავუშალო, სულ ერთია, საბრალო ისეთნაირად ახურვებულა, მოკვდება და ჩემს თვალებბრიალას ხვალ იქნება თუ ზეგ, უსათუოდ შეეყრება. ალმურის გადასვლებს მოსდევს გულღია საუბრები. ეჭვსგარეშეა, ხელად გაირკვევა, ქალს ბონდოს ნახვა რომ დავუშალე. ამით ხომ მათ აშკარა ბიძაშვილობას ვამტკიცებ ბიჭის თვალში, სხვას არაფერს! ესეც რომ არა, უფრო დიდი ბრალდება მომეწერება — თითქოს არდაშელს ვერ ვთმობდე, თითოს მკვდრეთითი აღმსდგარი შვილის ბედნიერებას საკუკთარ ვნებებს ვწირავდე. ცდები, დედა შემოგევლოს, ცდები! სჯობია ისევ ხანტური წავაქეზო და დამტირებელ შვილს ბორკილები შევხსნა. რა სიკეთეც ჩვენ დაგვაკლდა, დაე, ამათ შემატებოდეთ! ბონდოია, ჩემი ბონდოია! მაშ, შვილობილის სახელით უნდა გელოლიავო, ბიჭო?! ახლა ვხვდები, გონებაამღვრეულ რის გამოც დნებოდა თურმე. ჯერ კიდევ დარწმუნებული არ არის, რომ ჟინისგან მეყოლა. ამიტომაც ამწარებს ხანტურს. იქნებ სულაც პირი შეუკრავთ?! არა, არა, დაე, მათი კავშირი ჩემი ხელშეწყობით მოხდეს. პირველ რიგში ღმერთისა და სინდისის წინაშე მოვიხდი ვალს, მერე ბონდოს თვალშიც რამდენადმე ავმაღლდები. არდაშელი ხომ ისედაც გამიგებს“.

— სიყვარულს ვერანაირი დაბრკოლება შეაფერხებს, სულელო! ჩავყინთავდით ზღვაში და ტუჩების დასიებამდე იქ ვკოცნიდით ერთმანეთს. ვერანაირი დრო და მანძილი მოერევა, სი ტვენგერე, სი*. თავფეხშექცევით გვაძინებდნენ ბინდისპირზე და დილით ერთ ბალიშზე გვპოულობდნენ მაინც. ვერანაირი წესდება და კანონი შებოჭავს მთელი სიმკაცრით, სი მართალო ჩალაია.* დღისით პირმშო რომ მიცემა, იმ მკლავზე მესვენა თავი. საღამოთი. ვერანაირი ადათი და მორალი დაათითოვებს ვაშინერსიავას ჩიჩინით, სი ტვინგალი დო ფოჩოია,* რადგანაც თვითონ იგია აკრძალვაც და ნებართვაც. კარგად რომ დაუკვირდე, ყოველი შეყვარებული წყვილი ერთმანეთს ჰგავს.

ჩაიხედეთ სარკეში და თქვენითვე დარწმუნდებით. ასე რომ, წადი შენს გიორგისთან. არსად დაგეკარგოს! ღვიძლი შვილი იკითხე შენ, თორემ მაგიერს მეტს რას ვიშოვი! წადი, შენს გიორგისთან, რადგანაც გული მიგრძნობს, რომ სასოებით გიხმობს თვითონაც, როგორც სავსება, მხნეობა შენი და გჯეროდეს, ქვეყნად სამართალი ყოფილიყო, ჩემი ორივე ბიჭი, წესით, არდაშელს უნდა დამსგავსებოდა, ვინაიდან კაცებთან უფრო იმიტომ ვიჭერდი საქმეს, თუნდაც წარმოდგენაში, ერთხელაც შევყროდი ჩემს მკვლელს. ზოგი კემესნაირი ულაყი ნეტარების ამ წუთს საუკუნედ გადამიქცევდა ხოლმე, სხვა ჭიჭე კვეკვესნაირი ყვავი, ახლაც უღვთოდ მიმოკლებს!

ცირა შკვითინიამ მხრებზე ჩამოყრდნობილ ასულს თავ-კისრის მიწოლით, გაიმართეო, აგრძნობინა, მარცხენა ხელი მუხლისთავებამდე აუსრიალა მოუბრუნებლად.

— დაქალებულხარ, შვილო! კარგია, კაბა რომ ჩაგიცვამს! — უთხრა, მერე უბიძგა მჩატედ და მისდაუნებურად ბაგეც ჩაიკვნიტა.

ხონის რაიონიდან ბრუნდებოდნენ ბონდო და ხანტურ ჰალიძონია.

ცხრამეტი თებერვლის საღამოსპირი ეუფლებოდა გარემოს. დასავლეთით მიდრეკილი მზის სხივები ოქროსფრად აციგლიგებდა გზისპირზე ჩამორიგებულ ალვებს და სიმწვანეში შეცურებულ გორაკებს. მტრედისფერი „ვოლგით“ მიქროდნენ ალაგ-ალაგ დაკერებულ ასფალტზე.

საჭესთან ყმაწვილი იჯდა ამჯერად. საკუთარ ორმოცზე აგვიანდებოდა და ჩქარობდა. ქალიშვილი მოდათა ჟურნალს ათვალიერებდა, მაგრამ ბონდოს მდგომარეობით ერთიანად დაძაგრულს, დროდადრო ციებაშეყრილივით შეაძაგძაგებდა ხოლმე.

ქრისტიანული კვირა წვეთია, ამოსუნთქვა-ჩასუნთქვაა ადამიანისათვის, თუმცა ბონდოსთვის ეს შვიდი დღე-ღამე თითქმის შვიდ საუკუნეს გაუტოლდა, ვინაიდან მდინარეების მსგავსად, სათავიდან მოყოლებული, გაჯერდა, აზავთდა წუთისოფლის დადრდითა და დარდუბალათი. ახლა წინ შესართავი, წყალდასავალი და მარადიულობის ხმებით აჟღერებული იდუმალების უკიდეგანო ოკეანეღა დარჩენილიყო.

ჯერ კიდევ გუშინწინ შეეხმიანა ტელეფონით ჩიტა ბეზუხის. ნომრის დადგენა არ გასჭირვებია. კანონიერი ქურდები დიდ პატივში ჰყავდათ აქ. ესეც რომ არა, პროვინციის პოეტი კეზუა რას გაუ-

ჭირვებდა ლოთების ბელადს?! პაემანი დადიანების ბაღში დაუნიშნეს განაბებმა, ზუსტად ოც საათზე, თუმცა ის საუბრები უკვე განვლილი ეტაპი გახლდათ სიცოცხლემისჯილისათვის. ბონდომ ,,კანონმომჭედლებს“ მიუკიბავ-მოუკიბავად აუწყა, რომ მხოლოდ შემნახველი სალაროს წიგნაკები როდი იყო ამ შეხვედრის მიზანი.

უკიდურესობამდე გამახვილებული ეჭვი ყველაფერში საჭოჭმანოს აძებნინებდა ახალგაზრდას. საკუთარ მერმისს ათასნაირ დასასრულს უწინასწარმეტყველებდა. არ გამორიცხავდა იმასაც, რომ ამ მოლაპარაკების შემდეგ, შესაძლოა მისი დასახიჩრებული გვამი ჩაის პლანტაციაში აღმოეჩინათ, ან კიდევ — მიყრუებულ არხში, მაგრამ, რადგანაც ბედისწერას ხელს ვერ ააფარებ და მოსახდენი მაინც აღსრულდება, იქით მიეგება იღბალს.

ცხრამეტი საათისათვის როგორღაც დაუკავშირდა ელსმენით ხანტურს და გულდინჯად აუხსნა, მარიკელას ვისაც უტოვებდა. აუხსნა, სად, რა საბაბით ხვდებოდა ბნელი სამყაროს ხალხს, თან სთხოვა: დროზე მოსულიყო ბინაში, კარი არავისთვის გაეღო: დაბოლოს, თუ მაინცდამაინც განგებისაგან გაიწირებოდნენ, კენიიდან გერმანე ფიფიას ჩამოსვლამდე ბავშვს თვალისჩინივით მოფრთხილებოდა.

— მაშ, თქვენ ბრძანდებით, ის ცეცხლგამძლე ყმაწვილი?! — ჰკითხა ჩიტა ბეზუხამ, როცა ბონდო მანქანის წინა სალონში მოკალათდა ჭაობისფერი ჩანთის გვერდით.

— გახლავართ! — რიხიანად უპასუხა ახალგაზრდამ. სამი ახმახი მის ზურგს უკან რიგრიგობით, ქშუტუნ-ქშუტუნით ეწეოდა პაპიროსს.

— კეთილი, კეთილი! იმ ცვირსახნისას რისთვის აინტერესებდა შენი საბუთები? დიდადმნიშვნელოვან ინფორმაციას მოგაწოდებთო, გვეჩიჩინა და შეხვედრაზე დაგვითანხმა. აქვე დავუნიშნეთ სტრელკა. ვაჩვენეთ დაბადების მოწმობა.

ასეც ვიცოდიო, თქვა. ცეცხლი ათ იანვარს გაჩნდა სატანჯოში, ეს კი ოცშია აღებულიო. არ გიკვირთ, ხანძარში დაბუგულმა როგორ მოახერხა ეგო. ვიცი, სადაც იქნება, მოვძებნი და ამ დღეებში შეგახვედრებთო. თვითონ სადღაა?

— შეუძლოდ გახდა! — საქმის მოულოდნელმა შეტრიალებამ ბონდოს გული აუჩქროლა. მიხვდა, რომ ჭიჭე კვეკვეს ჩხირკედელაობა სადღაც წაადგა. შებოჭილობის ბორკილები აეხსნა, გათამამდა. — ძმაა ჩემი, ნახევარძმა! — დასძინა წამიერი ყოყმანის შემდეგ.

— ჯიმაყონერი?! — გაიკვირვა ჩიტა ბეზუხამ.

— ყველაფერს გეტყვი, ოღონდ მოწმეების დაუსწრებლად! — უთხრა კანონიერ ქურდს ბონდომ.

— არის ვითომ სანდო ის შენი ჯიმაყონერი? — გამომცდელად მიაჩერდა თვალებში ყმაწვილს ჭაღარა, თან მანქანიდან გადმოსულ დოსტებს იმნაირად აუწია მარჯვენა, ერთდროულად მისალმებასაც რომ გულისხმობდა და აბა, შეაყოლეთოსაც.

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ მეეჭვება დაგვასმინოს, თუნდაც იმიტომ, რომ ჭიჭე კვეკვეს მიზანი ჩემი პიროვნების ამოცნობა იყო. მან დაიკმაყოფილა ცნობისწადილი და განზე გადგა, თამაშს გამოეთიშა. „რაღაც შრიალებს. ალბათ, მაგნიტაფონია ჩართული. მით უკეთესი". გეცოდინება, რომ დურუ ჰალიძონიას ძმა ვარ, უფროსწორად, ისიც ჩემი ჯიმაყიონერია, ოღონდ — დედით. გაიქცაო, გითხრეს, არა? მოუტყუებიხართ.

— ისედაც ვიცით, — ხმა ჩაიბოხა ჩიტა ბეზუხამ.

— მე არ მივმართავ Apicus juris-ს, ანუ იურიდიულ ფანდებს. ეგრე რომ ყოფილიყო, სუფთა ჰაერზე ვისაუბრებდით, უმაგნიტაფონოდ. ვიყოთ გულახდილები. თქვენთვის ამჟამად მთავარია Nervus rerum, იგივე საგანთა ნერვი — ფული. მართალია, იმ თანხას უჩემოდ ხელს ვერავინ ახლებს, მაგრამ სიძუნწეში რომ არ ჩამომერთვას, დღევანდელი შეხვედრისთვის საკმაოდ სოლიდურ ჰონორარს მიიღებთ ოთხივე.

— საინტერესოა, რამდენს?!

— გააჩნია, რა განწყობილებაზე დავდგები საუბრის დასასრულს. ჯერ ერთი, მე უპასპორტო ვარ, მაგრამ რომც მქონდეს, შეუძლებელია იმ ფულის გამოტანა, ვიდრე თვრამეტი წლის არ შევიქმნები; ესე იგი, სანამ სრულუფლებიანი მოქალაქე არ გავხდები.

— მერედა, ვინ ამბობს სრულუფლებიანი მოქალაქე არ ხართო?!

— თქვენი კანონი, თქვენი საზოგადოებრივი ფორმაცია და ჩემი დაბადების აქტი.

— ამისთვის გაგვსარჯე?!

— ცხადია, არა. ფული საბაბი იყო თქვენს გასაცნობად.

— ვისი იქნება ნეტავ, ეს პასპორტი?!

— შესაძლოა, ჩემი. ვიცოდი, საბუთების ფალსიფიკაცია არ გაგიჭირდებოდათ. ვივარაუდე კიდეც ყოველივე, ამიტომაც ვიდრე თქვენ პასპორტს აჩალიჩებდით, მე განცხადებით მივმართე შემნახვე-

ლი სალაროს გამგეს. აკი, გითხარით, იმ თანხას უჩემოდ ხელს ვერავინ ახლებს-მეთქი. აჰ, ჩემი სურათითი გისარგებლიათ. დაბადების მოწ-მობაში თარიღს შეცვლიდით, ალბათ. ბეჭედდასმულ ქაღალდსაც იშოვიდით სადმე და პასპორტიც მოკვარახჭინდა. მადლობის მეტი რა მეთქმის! გაგონილი გექნებათ ჭურიაში დატრიალებული უბედუ-რება, თუ ცეცხლმა როგორ შთანთქა ოთხი, უფრო სწორად სამი ადა-მიანის სიცოცხლე, რადგან ერთმა თავი ჩამოიხრჩო. ყოველ შემთხვე-ვისათვის ხალხში ასეთნაირადაა მიღებული. ნუ გამორთავ, იყოს. მე-გობრებში თავი ხომ უნდა გაიმართლო? რატომ არ მეკითხები, ხან-ძარს რა მანქანებით გადაურჩიო?! მოკლედ, სიტყვა რომ არ გამიგრ-ძელდეს, და კასეტაშიც ჩავეტიო, უბედური შემთხვევის კი არა, ჩემი შურისძიების მსხვერპლია ყველა. ჩვიდმეტ წელიწადს მზრდიდნენ სა-ტანჯოში, ლაბორატორიაში, სიცრუის ნიღბით, სიყალბით. ცოცხალ დედას გარდაცვლილად მაჩვენებდნენ. ადამიანებთან ურთიერთობას მიკრძალავდნენ. ფილოსოფიით მიტენიდნენ თავს, მაგრამ ერთ მშვე-ნიერ დღეს მოხდა სასწაული და თანამიმდევრულად შევიტყვე სი-მართლე; გავიგე, რომ დედა საღსალამათი მყოლია, მშობელი მამად კი კოჩია ჰალიძონიას ნაცვლად, სათაყვანებელი მასწავლებელი, ჟინი ან-თარი, იგივე ჯეგე ანთარია ესეც არ მეკმარა. გავიგე, რომ სქესობრივი კავშირით კი არა, ხელოვნურად გავჩენილვარ და ჩამექცა ტვინში სის-ხლი. საწამლავით სუფრასთან მივასიკვდილე სამივე. მოხუცები ოდა-ში დავტოვე. თოკით თუთის ტოტზე ჩამოვკიდე კოჩია, თან წერილი ისეთნაირად შევადგინე, რომ ძიების შემთხვევაში ყველაფერი ჟინი ანთარს დაბრალებოდა. მოვფხიკე ფული, შემნახველი სალაროს წიგ-ნაკები, ჩავრაზე კარ-ფანჯრები და იქაურობა ცეცხლს მივეცი. ერთ-ხანს ბნედიანივით ვიხეტიალე ზუგდიდში. მეგონა, ჩემი პიროვნების გასაიდუმლოებას შევძლებდი; იქნებ მომეხერხებინა კიდეც, ეს წყეუ-ლი კანონები, ქაღალდომანია და ჩანთის დაკარგვა რომ არა. მოჭრი-ლად რომ ვთქვათ, იმ თანხას სინდისიერად გაგიყოფთ, სამაგიეროდ გიორგი ხანთარიძის სახელზე ახალ პასპორტს მაშოვნინებთ! ჭეჭე კვეკ-ვეს სამუდამოდ გაჩუმებას მე ვკისრულობ. ჯანი გავარდეს, და სადაც სამი, მეოთხეც — იქ.

— ეს რა ჭირი გამოგივლია?!

— ჩემს სისხლში ბუნებით ზის Homo delinquens, ანუ ცოდვილი ადამიანი. ძნელია ხონის კოლონიაში მოხვედრა?!

— არც ისე. მე ვიჯექი იქ სამ წელიწადს. დურუ ამჟამად მეოთხე ზონაშია, ყველაზე მურდალ ზონაში. შენს ჯიმაყონერს მაიორი უთეთქვია და აბა, რა იქნებოდა. დურუ მუჟიკია. პირი ამოუკერია, როცა შენს დაკრძალვაზე არ გამოუშვეს. ზონაში თავისი ფეხით ჩამოსულა მინისტრი. გაუთავისუფლებიათ კოლონიის უფროსი. გამოუცვლიათ დაცვა. ასეთი აწეწილი ვითარება რომ არა, მე გამოგყვებოდი. მთელი ზონა ჩვენი ხალხის გამოკლებით, ჩაიში დაჰყავთ დილით და ნაშუადღევს, მწკრივებს სხლავენ. საჭიროა ბრიგადას გვერდით ჩაუარო მანქანით, მოხერხებულ დროს პაკეტი გადაუგდო რომელიმე პატიმარს და თან გასძახო, დურუ ჰალიძონიასო. თუ ამ ამბავს დილით მოახერხებ, უკვე ნასადილევს შეხვედრაც მოხერხდება.

— მართალია, უკვალო დანაშაულებათა დიდოსტატი ვარ, მაგრამ ტყიდან გამოვარდნილ ნადირს უფრო ვგავარ ახლა, ვინემ საღად მოაზროვნე ადამიანს. აი, რისთვის შეგაწუხეთ, აი, რისთვის გიხდით მოკრძალებულ ჰონორარს!

ჩიტი ბუზუხამ ზედ სადარბაზომდე მიიყვანა ბონდო. ჩანთაც მიაწოდა და მაგნიტაფონიდან ამოცლილი კასეტაც. ყმაწვილმა ორივე გამოართვა.

ნდობისათვის, გმადლობთო, დასძინა. მტრედისფერმა „ვოლგამ“ და ფანჯრებიდან გამოღწეულმა შუქმა სისხლი აუფართქალა. მარიკელას ეძინა. ისხდნენ პირისპირ ის და ფორიაქგამოვლილი ხანტური. გასწორებული ლოგინი მაცდურად ანათებდა.

მომდევნო დღეს ბონდომ შემნახველ სალაროში მართლაც დატოვა თერთმეტი თებერვლით დათარიღებული განცხადება. არ უნდოდათ სიცრუეში გამოეჭირათ. მერე სახელმწიფო უშიშროების კაბინეტის უფროსს ეახლა და გერმანე ფიფიასთან დეპეშა გააგზავნინა კენიაში. საქმის არსში არკვევდნენ შვილის მოძულე მამას.

ერთი სული ჰქონდა ბონდოს, ვინემ დურუს ნახავდა. ახლა კი, აგერ, ტყავშემოკერებულ საჭეს ჩაფრენილი საკუთარი ორმოცისკენ მიიჩქაროდა.

„რა ხანია მინავლდა, განქარდა შენს არსებაში Lux veritatis* არ შევანელებ გადასახვევთან. რამდენიც უნდათ, იმდენი მსდიონ. ამორძალის ფიქბრები საით ქრის ნეტავ ახლა. თავსაც მახუტებს. თითქოს შენია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხელიდან გაგირბის. ალბათ

Jus priame noctis* დამასწრეს უკვე და რას გააწყობს, ხელსაყრელ მომენტს უცდის. არა მგონია, შემთხვევით იყოს ის Fama“.*

— კიდევ რაო, დურუმ? — ჰკითხა ხანტურმა.

— წელიწადნახევარი დარჩენია. გამხდარა. თმა გასცვენია. ტუჩებქი დასახიჩრებია. ხომ გითხარი, პროტესტის ნიშნად პირი ნემსითა და ძაფით ამოუკერია-მეთქი?! „აბა, სხვა რა მიზეზით გამირბის, ვუყვარვარ. დარწმუნებულია, ბიძაშვილი რომ არ ვარ. კიდევ?!

ცირა. ჭიჭე კვეკვეს სიტყვებს თუ მოვიშველიებ, არდაშელი ზემოურ უფროსობას კიდეც უმასპინძლდება და საქმეებსაც იკვარახჭინებს თურმე.

ჭიჭე კვეკვე: გამიგონია, შაბით ივიწროვებენ შეცდენილებიო.

ნუთუ ასეთი ძნელია საკუთარი მანკიერების აღიარება?! მე ხომ შევძელი?! ის, რაც დედასაც დავუმალე, ძმასაც, საზოგადოებასაც, მას, ერთადერთს მივართვი ძღვენად. გავშიშვლდი მის წინაშე და აუტანელი ტკივილიც მომეხსნა. იქნებ იმისათვის გამირბის, რომ მთლად... თუმცა ნოესაც ხომ შეეშალა სიმთვრალეში?! მერე და სიყვარულისათვის ადგილი სად რჩება?! სად დაკარგე, ძვირფასო, ბეჭედი?! თუ დამალული გაქვს, მანახე რანაირია, დახშული, ორფანჯრიანი, იქნებ ნახევარმთვარისებური?! გაბედე!

დურუ: მეტად გაგჭირვებია, ძმაო. ჩვენ ბედისწერა გვწიხლავს ორივეს. ვკითხავ ამხანაგებს და მომავლისათვის ზუსტ პასუხს მოგაწვდი. თუ რამეს გააკეთებ, ისე მაინც ჰქენი, რომ ყველა ჭა ჩაფურთხებული არ აღმოგაჩნდეს. ხანტურის შეყვარება თავლაფია შენთვის, ვინაიდან ეს ნაბიჯი ნაძირალად, ნულად გაქცევს ხალხის თვალში. ბოთლზე დასმა არ აგცდება, ოდესმე ზონაში თუ მოხვდები. შენ გგონია, ტყუილუბრალოდ ვზივარ აქ? ნურას უკაცრავად, ძმაო. ღირსი ვიყავი და იმიტომ. არდაშელი ბნელსისხლიანი თუ იყო, მილანდარმა რა დააშავა, მილანდარს რას ვემართლებოდი?! დავადგინე ვითომ სამართალი?! არაფერი! აი, ორივე რომ მომეკლა, ცირიბიას და არდაშელს ვგულისხმობ, სხვა ამბავია. მე კი, გაბოროტებულმა, უმწიკვლო ქალს ცილიც დავწამე: კი-მეთქი, ნამუსი ავხადე-მეთქი. შურისძიებაცაა და შურის-

ძიებაც. არც ჩემი მამაა კოჩია, მაგრამ მაინც მის შვილად მივაჩნივარ უმეტესს, ასე შემითვისა სოფელმა. ნეტავ, შეიძლებოდეს დროის უკან დაბრუნება, ყველაფრის თავიდან დაწყება! ვიცი, რასაც ვიზამდი. საწყალ მილანდარს კი არ ჩავუსაფრდებოდი, არამედ შევკრავდი ორივეს, ხეზე ჩამოვკიდებდი თოკით და ცეცხლს შევუნთებდი. აი, როდის ვიქნებოდი დურუ. თუმცა სულ ერთია, გავაღწევ წელიწადნახევარში აქედან და შხამად შევარგებ ყოველივეს ერთსაც და მეორესაც. ორესტე. ნუ ფიქრობ, თითქოს აქაურობამ გამაკეთილშობილა. სრულებითაც არა. მე ისევ ჩემს ღმერთს ვემსახურები, მაგრამ სამართლიანობის პრინციპი ყველგან არსებობს, ჩვენთანაც კი. შენი საუბრიდან გამომდინარე, პირიქით, უნდა გამხარებოდა იმ არაკაცის ქალიშვილს თუ წაახდენდი, თუმცა არა, ბონდო, მამის ცოდვა შვილმა არ უნდა ზღვას! ხანტურს ჩამოეხსენი! სისულელეებზე ფიქრი თავიდან ამოიგდე, ამოიგდე, გესმის, თორემ დურუს ძმა ვარო, არსად ახსენო! ფულისთვის მადლობელი ვარ. მაგათთან ხუმრობა არ გამოვა. შეპირებული მიეცი. კასეტა მოსპე. ისე მიდი მილიციაში. მოუყევი შენი გასაჭირი გამომძიებელს, მაგრამ ქურდებზე რამე არსად წამოგცდეს. ნუ დაყიალობ, საქმეს მოკიდე ხელი, საქმეს!“

რინა მეშვიდე

დურუ ჰალიძონია

დურუ ჰალიძონიას არდაშელთან გასაყოფი რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჭორები თანდათან გონებას უწამლავდა. უკვე დედის სიტყვებს ნაკლებად ერწმუნებოდა. მამის შინიდან გადახვეწას და საფიცარი ძმის გატაცებას ბიძასთან ერთად ცირასაც აბრალებდა.

,,ამისთანა საშინელებას უმიზეზოდ არაფრით ჩაიდენდაო‘‘, ფიქრობდა გამუდმებით.

რამდენჯერ უნატრია, მდუღარე გადასხმოდა დედამისს, კიბიდან ჩამოვარდნილიყო და კისერი მოეტეხა, ან ერთბაშად დაბერებუ-

ლიყო, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე, ოღონდ ოდაბადელი ვაყების ვნებიან თვალთვალს მისი ქალურობა რამენაირად შეურცხვენელი დასხლტომოდა.

შვილს საყელოში ჩააფრინდებოდა შკვითინხე და შუკა-შუკა ასე ვლიდნენ. ღამღამობით კი დურუს ათასნაირად ესიზმრებოდა ცირას გაბედითება. დუყლა ანთარიას წისქვილში ტომრებზე მოტარტმანე მათ სხეულებს წაასწრებდა. ხელ-ფეხი შეეკვრებოდა. დოლაბების ხრიალში ესმოდა ტკივილგარეული კვნესა და აჩქარებული სუნთქვა. ეს ხმა ჩაბაწრულებთან ფიცხლად მიასწრაფებდა. გადამტვერილ ქეჩოში ჩააფრინდებოდა არდაშელს, დაზნექდა, მაგრამ დიაცის ძუძუების მბღუჯავი ტორი ნიჩაბივით მოეხეთქუნებოდა და თვალებანაპერწკლებულს კიბეს მიანარცხებდა.

აღვიძებდნენ ნამტირალევს, ასლოკინებულ-აძაგძაგებულს. მემკვიდრის მდგომარეობით შეშინებული ცირა ერთიანად ცახცახებდა. მოგვიანებით დურუ წყნარდებოდა, თუმცა მერე შემოეყრებოდათ თუ არა არდაშელი სადმე, წამოყირმიზებულ დედას აკანკალებული ვაჟი მაშინვე სახელოზე ჩამოქაჩავდა.

შკვითინხეს კი პელეტი ოჯახის რჩენა სუსტი ხელებით უხდებოდა. დილიდან შებინდებამდე დახლში ტრიალებდა. შვილის თანაბრად ეჯაჯგურებოდა სამფუთიან შაქრის ტომრებს და მაკარონით სავსე ყუთებს.

— ნისიებმა გამაუბედურა! — იტყოდა ხელმოკლე მომხმარებლის გამოჩენისთანავე და სათხოვრით მოსულიც კრინტის დაუძვრელად გაიძურწებოდა.

საქონლის არც ზედმეტ ფასად გაყიდვას თაკილობდა ცირა შკვითინია.

— მეც მეხარჯება აქ! — მოსჭრიდა და მათი ვალიდან ამოუსვლელი ოდაბადელებიც მამასისხლად იძენდნენ ჩითს და მიტკალს, სხვათა და სხვათა.

უქმე დღეებში ყანასაც უვლიდა ცირა და ბაღ-ბოსტანსაც.

„როგორ დახატავს არდაშელის კაბინეტს?“ , ფიქრობდა ხმამაღლა და ქოთნის ყვავილებს თავზე ევლებოდა მზერაგაშტერებული, რაც, ბუნებრივია, ძარღვებს უწიწკნიდა ყურებდაცქვეტილ ყმაწვილს. ახსენდებოდა, მთვრალი კოჩიას აყალმაყალი, მისი უშვერი სიტყვები, ამიტომაც, ნუ ესალმები არდაშელსო, ეხვეწებოდა დედას გამუდმებით, მაგრამ ცირას დაპირებანი ყოველთვის ავიწყდებოდა და თანდათან დურუს კილოც უფრო კატეგორიული გახდა. ის კი არა, ერთხელ მამის „სამკა-

ულებიც“ ამოუქექა, რის გამოც გამზრდელმა სილა გააწნა ძეს. მერე ქალი შვილის ხუჭუჭ თავს ქვითინით იკრავდა მკერდში, ნესტოებიდან წამოკლაკნილ სისხლს სველი ტილოთი წმენდდა. ცირას ხელებს მინებდა დურუ, თუმცა მათ ოდინდელი მიმზიდველობის ნასახიც არ შერჩათ.

მამაგაქცეულის სიამაყე დღითი დღე ითელებოდა. არდაშელის შეხვედრისას ცირას უკვე თვალები უცისკროვნდებოდა, კეკლუცობდა. დურუ თავს შეურაცხყოფილა გრძნობდა, რადგანაც ზუსტად ბიძის კაბინეტის ფარდისფერი კაბით დაიარებოდა დედა, მაგრამ საეჭვო ურთიერთობაში ერთხელაც ვერ შეისწრო.

დუყლა ანთარიას წისქვილში ურიკათი საფქვავს წააყანყალებდა დურუ. მშობელი გვერდით მიჰყვებოდა, თუმცა ძველებურად საყელოში არ ეჭიდებოდა.

შებინდებისთანავე გაჭვარტლულ სამზადისში წვებოდნენ. დურუ თავს იმძინარებდა. კანტორის წინ ანთებული ლამპიონის შუქი შკვითინხეს შამფურივით ატრიალებდა ლოგინში. სწორედ ამ შინაგანი ღალატისათვის ასამართლებდა დედას. როდის-როდის მშვიდდებოდა ქალი. ნეტარებით ტუჩებს აცმაცუნებდა, კვნესოდა, გმინავდა. არდაშელთან შორიდან ლოლიავი, ცანცარი თუ კანონიერი მეუღლისა და სატანჯოში გატაცებული ბონდოს გადავიწყება, ეჭვს გარეშეა, ამწარებდა დურუს, ხოლო საწოლში წრიალით ხომ მთლად აცოფებდა და აცოფებდა.

„სიზმარში მრუშობსო“, ფიქრობდა. უნდოდა დედის ხორციელთან ერთად სულიერი უმწიკვლობაც ერწმუნა, მაგრამ სინამდვილე სხვას მეტყველებდა.

— ზეზეურად რისთვის ჩამომადნე, შვილო? ყველაფერში კოჩიას რისთვის უნდა დაემსგავსო?! ნუთუ ჩემი სისხლის წვეთიც არ გირევია?! — ამაოდ ევედრებოდა ცირა „უსაფუძვლო ეჭვებით გატანჯულს“.

მალე შკვითინხემ კაბინეტში ააკითხა არდაშელს და ამან დურუ, როგორც დედის, ისე — ბიძის მიმართ, ათმაგი შურისძიებით აღავსო.

ჯერ იყო და შურდულით კაბინეტის ფანჯრის მინები ჩაულეწა. მერე დანით ვერცხლისფერი ფარდები აუკუწა, რაფიდან მოვლილი ყვავილნარები გადმოუყარა. თავმჯდომარემ ერთიც და მეორეც ქარს გადააბრალა მომდევნო დღეს ხალხის გასაგონად, ქარს დასწამა, თორემ მიხვდა, რა სახიფათოდ დაუპირისპირდა ძმისწული.

რამდენიმე კვირაში ბორიყმა ხელმეორედ ჩაამსხვრია ფანჯრები, თან

გალაქულ მაგიდაზეც „დაუწვიმა“ და დავთრებზეც მოგვიანებით ნოჩო ჰალიძონიას სანაქებო კამეჩებმა და ძროხებმა ერთბაშად დაკარგეს კუდები. ამ ზარალში არდაშელმა უკვე ვირთხები დაადანაშაულა. შემდეგ გახასდროინდელ ვენახს წალდი მოუნაცვლა ვიღაც გულქვამ. დაზარალებული უჩინარ მტერს ეძებდა. ვისზე არ შეეჭვიანდნენ, მაგრამ დურუს სახელი არავის უხსენებია. ჯერ ეს მითქმა-მოთქმა არ მინელებულიყო რიგიანად, რომ ალილოობის ღამეს თვალსა და ხელს შუა გაქრა თამაკონელი დურგლის ნაჩორკნი, ჰალიძონიების ბზის ჭიშკარი, რომლის მოპარვაში თავქარიანი ძმა-ბიჭები მოიშველია დურუმ და ჭიჭე კვეკვეს შთაგონებულმა, ყრუ-მუნჯ დებს, ელას და მინაკას უსახსოვრა.

არდაშელმა მუხლებამდე თოვლში საგანგებოდ გაკვალულ ბილიკს ბოლომდე მისდია. გზადაგზა მეზობლები აიყოლია და ჭიჭე კვეკვეს დეიდებს გვარიანი ამალით ეახლა. დისწულის შუამავლობამ ქალები რატომღაც გააცოფა. ჭიჭე კვეკვე გაწიწმატებულს მოხერხებულად უხსნიდა: რაც ამას წაართვა მამაზეციერმა და თქვენ გიბოძათ, იმის წასართმევად მოვუყვანივარ. რომ არ იეჭვიანოს, ერთი მეც გადმომკარით, სხვებს კი ნუ დაზოგავთ, მისცხეთ და მისცხეთო. როცა ელას და მინაკას ასეთნაირად მოძღვრავდა, მიდი, მიდი, ნუ გეშინიაო, წააქეზა სოფლისთავი და არდაშელი საკუთარ ჭიშკარს შეეხო თუ არა, ყრუ-მუნჯები საზარლად ახმიანდნენ. ტრიფოლიატის ტოტებს ეცნენ და დიდ-პატარა სულ „ავავაის“ ძახილით დაიფრინეს.

— რაღაც ამბვია შენს თავს. სულ ფიქრობ, ფიქრობ. ხომ არ დაგემუქრნენ ისინი?! „ვაითუ მართლაც შურს ეძიებს! ჯანდაბას, არაფერს ვნაღვლობ, არაფერს! პირველიც ეგ იქნება და უკანასკნელიც. რას დაგვაკლებენ, „ვინჩესტერიც“ აგერ მაქვს და „ბრაუნინგიც“, მაგრამ თუ სიკვდილი მიწერია, დაე, შენთან ერთად, ჩემო! მე მაინც ბედნიერი ვიქნები. შენ აღმადგინე მკვდრეთით. ამორძალი დედოფლად მაქციე!“

— შენთან ურთიერთობა ამიკრძალა დურუმ. მაინცდამაინც თუ არ დაიშლით და მაგ საქმეს იზამთ, გიჯობთ, ცხრა მთის იქით გადაიკარგოთო. „მაღალ იდეალებზე ვდებდი თავს, არაფერი დამიმალავს, არაფერი. გავუმხილე, თუ როგორ შეარჩია ჟანი ანთარმა სიცოცხლისუნარიანი სპერმა, მერე — მეოზი coitus-ის გარეშე. რანაირად უძრა ნაყოფი მუცელში Mater dolorosa*-ს ოღონდ არა sancta-ს. ყოველივე დავფქვი, წვრილმანიც, მსხვილმანიც, დედისა და ტყუპისცალი ჯიმაგეს მოჩვენებითი საფლავები აკაციის ტევრში. რანაირად მაზუთხებდნენ ლათინურს და გერმანულს, „სახარებას“ და ფილოსოფიას.

ჟინი: მერე? თანამიმდევრულად ვაზიარე სამყაროს იმადგვარი გააზრება, როგორიც აპეირონია, მაგალითად, ანაქსიმანდრესთან, ჰაერი — ანაქსიმენე მილეთელდთან, ნივთთა თესლი — ჰომომერიები — პირონთან.

პირონთან ჰომომერიები?! ეს რა მიქარვაა?! პირონის კვლევის ობიექტი ეთიკაა, როგორც ეს ტიმონის* შრომებიდან ვიცით. ის ხომ ბედნიერებას და მისი მიღწევის საკითხებს იკვლევდა. ჰმ! ატაქსია, აპათია. არა, რაბი, სკეპტიციზმით ჭეშმარიტების მიღწევა? შეეშალა თუ განგებ აურია?! მცდიდა, კი, უსათუოდ. აინტერესებდა, რანაირად მქონდა საკითხი შეთვისებული" — დავიღალე! მეტი არ შემიძლია!

— რა, იყო, ბონდო?! გააჩერე მანქანა! მე დამსვი საჭესთან. „რატომ მიხსენა, დურუმ სიყვარული აგვიკრძალაო. ალბათ ნიადაგს ამზადებს თავიდან ჩემს მოსაცილებლად. მე ყველაფრისათვის მზად ვარ, ჩემო, ოღონდ შენ მყავდე ბედნიერი, შენ!" — ხანტურ ჰალიძონიას ნიკაპი აუთრთოლდა.

„განიცდის, მაგრამ ვერ ბედავს გამჟღავნებას. იქნებ სჯობდეს თვითონ გავუმხილო ეჭვები და ტვირთი შევუმსუბუქო?! არა, არა, უკეთესია დავუცადო! განა მე არ მიჭირდა?! განა მე არ მიმძიმდა, როცა მისხალ-მისხალ ჩავუკაკლე ჩემი სულის დეპრესია, დეგენერაცია და ახლა In statu fivendi* ფაზაში როგორ ვიმყოფები თვრამეტი წლის ბერიკაცი. Marasmus senilis* მართალი იყო ჟინი ანთარი. Libido-ს გამოცდებს თუ გაუძლოო. Is cadet ante senem qui sapit ante diem* მიუხედავად ამისა, ხომ აღმოვაჩინე ჩემში ძალა, ხომ გამოვუტყდი, თუ რანაირად მეძაგრებოდა სული სასტუმროს ნომერში ჩაკეტილს, რანაირად ვუთვალთვალებდი სარკეში ჩემს აღნაგობას, სხეულს, ასოებს. არაფერი დამიმალავს, არც ის, თუ რა მიზნით მომაჩეჩეს ხელში ეკლის გვირგვინი. კიდევ კარგი, ბრბომ ხელმეორედ არ იბღავლა Ecce homo*.

განა ვერ დავძლიე შიში და სირცხვილის გრძნობა?! სიყვარულმა ამამაღლა?! თავზე ხელიც მანვე ამაღებინა. დავფარე განა დედასთან სწშეგთ—ის ბრალდება, რანაირად მაძაგძაგებდა. იოტისოდენა, მისხალი არ გამომიტოვებია, ბეწვის ჩრდილის ნაათასალი არ გამომრჩენია და ნუთუ ამაოა Omnia vincit amor?!* არა, უსათუოდ მეტყვის, ოღონდ ჯერ ბორძიკობს. ჩემი საბრალო გოგო. ბედნიერებაა, ადამიანის ფიქრის წაკითხვა რომ არ შეიძლება. კაცობრიობა ამ დაბრკოლებას გადალახავს თუ არა, ცხოვრებაც აზრს დაჰკარგავს მაშინვე. იქნებ ნაწვალები აქვს ბავშვობაში. რატომ გამირბის, რატომ?!

ჭიჭე კვეკვე: ბალიში უფრო ერთგულია, ვინემ ცოლი. სანამ მარტოხელა ხარ. ყლურწე ჯიჯი. ყლურწე, მაგრამ როცა დაოჯახდები, ცოტათი გაფრთხილდი. წყალდიდობის ღამეს ისეთნაირად რომ არ გალეშილიყავი, ხომ არ გეცმეოდა პერანგი და მისი ამხანაგი უკუღმა?!

რას არ გავუძელი, რას?! დედის არსებობა რომ შევიტყვე, იმასაც. მთელი სიცოცხლე სიცრუით რომ ვცხოვრობდი, იმასაც. ცდის შედეგი რომ ვყოფილვარ, იმასაც. საკუთარი თავისა და ძვირფასი ადამიანების სიკვდილის მიზეზი რომ შევიქმენი, იმასაც და კიდევ ვინ მოთვლის, მაგრამ ამ დუმილს ვერ ავიტან. ვერა!" — ოდაბადელები, ალბათ, ჩემს ორმოცზე ღრეობენ.

— შეანელე, ბონდო. რაიმე ხიფათს არ გადავეყაროთ! „რა სტანჯავს კიდევ?! რახან ყოველივე გამანდო, ასე მწვავედ არ უნდა განიცდიდეს წარსულს. იქნებ იმის გამო ეწამება, დურუმ ჩემთან ურთიერთობა რომ აუკრძალა? მაგრამ პასპოროტის გამოცვლას რა უნდა?! დღეს იქნება თუ ხვალ-ზეგ, ანთარია გახდება, ნამდვილ გვარს მიიღებს ჟინი ანთარის ანდერძის შესაბამისად დაგვეშველება. იქნებ იმის გამო ბრაზობს უფრო, რომ დედასთან ჭორები დაუყარა ჭიჭე კვეკვე ჯალათმა. აბა, საღსალამათი უძლურებას რატომ დაიბრალებდა საჯაროდ?! იქნებ იმისთვის წიწმატობს, აქამდე რომ არ ვნებდები?! გაოგნებული უმზერდა ლოგინს. გავუღიმე, შევეხმიანე, ზედაც არ შემომხედა. ნამდვილად იმას ეჭვიანობს. რა მეშველება? გამიგებს კი, გამიგებს კი?! ღმერთო!

ბონდო: ქალ-ვაჟის სიყვარული იმ ყვავილს ჰგავს, რომელიც მოწყვეტილია და ჯერ კიდევ ლარნაკიდან კეკლუცობს". — არ შეანელებ? ხომ იცი, მოსახვევთან გველოდებიან. მიეცი ფული, ნუ გავაღიზიანებთ, ბონდო!

— მოგცლია, ერთი. ვნახოთ ვინ — ვის! „ჯელაფერი სულელურადაც რომ დამთავრდეს, მე მაინც ბედნიერი ვარ! ხომ შეიძლება ვერასდროს მეგრძნო თავი ადამიანად?! მაშ, რას ვერჩი ჟინი ანთარს?! სინჯარაში იყო ეს თუ კოლბში, რას დაეძებ, ხომ შეგქმნა, ხომ მოგანიჭა სიცოცხლე?! სული შთაგბერა, არარაობა ადამიანად მოგავლინა. ცოტაა განა?! მილიარდი წელიწადიც რომ იხვანცალოს ბუტუტი, ამ სიკეთეს ვერანაირად ეღირსება. **რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადა.** ეს უკვე ცრუ წუთისოფლის ცქერით დაქანცული კაცის ჩივილია. შენ არ დაიღალე ვითომ?! კი, კი, დაიღალე, მაგრამ ბედნიერებაც ეს არის. რა სხვაობაა მაზოხიზმსა და ალტრუიზმს* შორის?! ერთი საკუ-

თარ ტკივილთა გამძაფრებით სულდგმულობს, მეორე — სხვათა კეთილისმყოფელობით. ასე თუ ვიმსჯელებთ, სადისტიც მწვალებლობით ეძლევა ექსტაზს. ქრისტესაც არ ემსუბუქა გოლგოთა, მაგრამ მაინც ავიდა, საჭირო იყო და იმიტომ. სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი ძმა! გიღალატე ვითომ, ზურგი შეგაქციე?! არაფერიც! ის ჯიღა გარეგნულია, ასხივებს, მე კი სულში, სულში ჩამრჩენია, რაც იმ გვირგვინს ეკლები დასცვივდა. ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი. მხოლოდ ერთხელ ამოთქვამდეს, კი, იყოო, ვიღაც, ან თუნდაც ათასი, და მერე არაფერს ვჩივი. ახლა წავუმუხრუჭებ. არა, ავტობუსი ბავშვობითაა სავსე, „კამაზის“ მძღოლიც გადარჩება ხათაბალას. უმჯობესია ტანმაღალ ხეს შევასკდეთ, ან სულაც ხიდიდან გადავფრინდეთ ჭიანჭველებივით.

ხანტური: ჯერ ხელი მოვაწეროთ და მერე კი. რატომ ვარდება წინააღმდეგობაში. ხომ იცის, გვარის გამოცვლა გაისამდე არ შემიძლია. ერთ წელიწადს ასე უნდა მათამაშოს?! გამისწორდი, მემუქრე რამდენიც გინდა! მე იქითკენ, სადაც ჩემი ცისფერი ხალხია, მაგრამ ხანტური? რას ერჩი ამ ღვთის კრავს? განა მისი ბრალია, თუ სადმე ნაბიჯი წასცდენია?! განა მან ჩემთან მოსვლით ჯოჯოხეთს არ მისცა თავი?! კი, ჯოჯოხეთს, ჯოჯოხეთს! ეეჭვება, ბიძაშვილები რომ ვართ და იმიტომაც გამირბის. მარადიული ცეცხლი განგანათლებს, განგწმენდს, ალიფერ მოსასხამში გაგახვევს და შეგრთავს უსასრულო ოდაბადეს, სადაც ნაწილი და მთელი ჰარმონიულდება, თუმცა იქიდან არ მოხველ თვრამეტი წლის წინ?! რა აზრი აქვს უკან დაბრუნებას?! ეს ხომ ბაგის ოთხი ხუთწლედის უაზროდ გაფლანგვაა. Linea descendes* არაფერიც! ახლა იწყება სიცოცხლე! ერთიანად გაფლანგული, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ამოწურული უნდა მიუხვიდე სიკვდილის, დაცლილ-დაშრეტილი უნდა მიუხვიდე, რათა ვერ დანაყრდეს შენით, მჭლე-მჭლე ულუფას მხოლოდ ერთხელ მოგაკაროს პირი და მყისვე მოგშორდეს. აი, მაშინ გახელდება სიკვდილი, ნოყიერი სადილი ჩაეფუშება. გაალმასებული თავზე შემოიკრავს ხელებს, ახალი ლუკმის ძიებას შეუდგება და ისიც ძვალტყავად ქცეული რომ შერჩება, უარესად გაცხარდება, მგლისფერს დაიდებს. მერე მესამეც ჩამობეხრეკებული რომ მიულასლასდება, დუჟმორეული ცოფების ყრას მოჰყვება, რვაფეხასავით საკუთარ საცეცებს დააცხრება, საკუთარ სისხლსა და ხორცს მიაძღება და საბოლოოდ უარყოფს თავისთავს“.

— რას შვრები, ბონდო, ბოოოდო! — შეჰყვირა ხანტურმა და ყმაწვილს საჭეზე ხელი უტაცა.

ხეჭეჭურების ძირას კოცონი ხრჩოლავდა. წკვარამ ღელეს გალავანივით გასდევდა ახორხილი ფიჩხი, მაგრამ მინავლულ ცეცხლს ტოტის შემკეთებელი არავინ ჰყავდა. ანთარიების საფლავების სიახლოვეს ფრუტუნებდა უბელო ქერქენჯი.

,,ოღონდ გადარჩეს და კიდევ ათჯერ გადავისხამ სისხლს!" ჭიჭე კვეკვე გვიტ ანთარიას ოდა-სახლის სამარისებურ სიჩუმეს შეუყოვნდა ერთხანს, შემდეგ ორმოცგადახდილი ეზოსკენ მისაფურთხებლად გამზადებული ნერწყვი მობოჭა, განზე მიუშვა. ,,ბალახებმა თავი ჩაჰკიდეს. ჩემი სისხლი ხომ არაფერს ავნებდა? ორივეს პირველი ჯგუფის გვქონია. საქორწილოდ ემზადებიან. აბა, გვიტი ხელიდან გაუშვებს ამისთანა შემთხვევას? ფულის გულისთვის ბონდოს კი არა, მთელ ჯალაბს გასწირავს! ვერ ვამჩნევდი განა, ყელზე მობჯენილ ქვითინს ვეღარაფრით იკავებდა თუთურია. ცხოვრების გარდაუვალი კანონები უმძაფრესად ჩაბაწვროდა იმ უჩინარ ცრემლთა ფქვევას, რადგანაც ანთარიების თესლჯილაგი მუცლად იღო უკვე და მიუხედავად ყოველივე ამისა, ხეირიან დღეგრძელობას ვერღირსებული, ღვინის სმაში შეპაექრებულილების ღანჩალს* ითმენდა, ცუჰუს უთქმელად უძლებდა წყალწყალა საუბრებს; თვინიერად უცქეროდა, ბირჯია ჭანიას შეგულიანებულმა ოდაბედელმა ცირებმა თუ როგორი მაძიებლობით შეაკოწიწეს სასმურები, სახელგანთქმული თამადის გაბახებას რანაირად შეეცადნენ ნოკო ანთარია და ტატაჩი მესხია. რანაირად ჩამწკრივდნენ სუფრაზე ლამპის გაკრიალებული შუშები, ხაპები, ან დასასრულ, სათადარიგოებმა რაფერ მოითხოვეს საცერი სურების ჩასაპირქვავებლად; ვეება პეშვები როგორ შეუშვირეს რიგრიგობით, ან კიდევ რამდენი იბაქიბუქეს, რამდენი იტორტმანეს, რამდენი იჩირთიფირთეს, ვიდრე საცივიან თეფშებში ჩაპირქვავდებოდნენ. აბა, უნდა გაეძლო და გაუძლო კიდეც თუთურიამ მასპინძელთა ალიაქოთს. ქორწილსაც მოესწრება, ალალია მისთვის. ხო-ხო, მუს იხირთონუდ*?!

გვიტი: რომელმა, ვინ წაგართვა, ბუჟღუ, ჩემი ათასები? სიაც თან გაატაგე, შე ბებრუცუნავ? უკნიდან მოგეპარნენ? არაფერი გახსოვს? ცი'შ, საყვარელი, საყვარელი! გვიტუნიას აღმოეჩინა ქვეშაგებელში შეკვეხებული. თვითონ ამოეცალა პირიდან ჩაჩურთული ხელსახოცი, მაგრამ გინოფორილი* ფულის გატაცებით დადორბლილი მეტს ვეღარაფერს ახერხებდა. იქნებ ერთგვარად ტკბებოდა კიდეც ცოლისდის საცოდაობით?! ბოლოს და ბოლოს ცოცხის ტარივით შეკრული შინაბერაც ავხსენით. შიშჩამდგარს ხელ-ფეხის გა-

ტოკების ძალა წართმეოდა, ვერც ღიად დარჩენეილი პირი მოემუწა, გალახული ბავშვივით ზმუკუნებდა და აღვარღვარებდა მუჭისისხო კურცხლებს, ენამ ხომ არ მიყივლა? დურუ ხომ არ გამოქცეულა პატიმრობიდან! ასეა თუ ისე, ქარმა წაიღო ქარისვე მოტანილი. გაიხარა ბაგიმ, გვიტსაც გამოცდილება შეემატა სამერმისოდ. კარგი ვქენი ის ბიჭი ცოცხალი რომ დავალოცინე ჯურუმიას. გატყდა. არცა მშვილიდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობას".

თამადა

ოცდაათი წელიწადი იწურებოდა მას აქეთ, რაც ჯურუმია ქობალიას სათამადო ჭიქისთვის არ ეკოცნა, თუმცა ოდაბადეში ახლაც იშვიათად იპოვიდით ოჯახს, სადაც მისი ნაამბორალი სასმისი არ წკარუნებდა, რომელთაგან ზოგი ჟამთა სრბოლას გაეცვითა, ზოგიც დიასახლისის ფიქრიანი ხელებიდან გასლიპინებულიყო. მხოლოდ სადღეგრძელოები, ხსოვნაში ჩახისტული სადღეგრძელოები, ალმურდებოდნენ დღესაც ქვევრში დაძველებულ ღვინოსათვით და არაფერი იყო გასაკვირი, თუ აქა იქ, ბერბიჭა ტატაჩი მესხია, უკვე მეცხრე ცოლგამონაცვალი ბირჯია ჭანია, თუ კემეს რეზინის ჩექმების ნალით მჭედელი ნოკო ანთარიას დათაფლული ხმები მათ მაგიურ ძალას ვერაფრით დახსნოდნენ, სწორედ იმგვარად, როგორც დუყლას წისქვილის დოლაბებს შუა ჩავარდნილი სიმინდის მარცვალი გაუთანგავს ორმაგ დაწოლას, ავბედითი ტრიალისაგან ამაოდ ცდილობს დასხლტომას და საკმარისია წონასწორობის ოდნავი დაკარგვაც კი, რომ მაშინვე გაისრისოს. ამიტომაც ყოველი ლხინის შემდეგ შინმიბრუნებულ ოდაბადელებში ხშირად გაიგონებდით მასგავს საუბაოს

— კი, მაგრამ დალია ბირჯია ჭანიამ, მაგრამ ჯურუმია მაინც სხვა იყო. ასეთ ყოყლოჩინობას იკადრებდა განა? ვითომ რა იყო?! ის ორლიტრიანი ყანწი არ კმაროდა, ეზოში სუფრა რომ არ გამოეტანინებინა და საცერი არ მოეთხოვა?! ქვეყანაზე მასზე ძლიერი თამადა თუ დაიარება, არა ჰგონია. ალბათ მეათე გომბიოს აწონებდა თავს. პეშვი შეუშვირა საცერში მორაკრაკე დოქს და ტუცა და ტუცა. სულ სხვა იყო ჯურუმია! — ისინანულებდნენ. მერე თვალსაწიერზე გარდასული დღეები აიკლაკნებოდნენ. იმ ფერიდან კვლავინდებურად წამოიმართებოდა ნაკადულში ფეხმოკიდებულ მთვარეზე მოქნილი ხმა ჯურუმიასი. მოკვდებოდა, მაგრამ სუფრაზე განსხვავებულ სასმისს არანაი-

რად გააჭაჭანებდა. ეს მერე, უნიჭო მიმბაძველებმა, სათადარიგოებსაც რომ ეძახდენენ, აურდაურიეს ყოველივე.

— ტყუილად ფაფხურობს ტატაქჩი მესხია, არაფერი სცხია ჯურუმიასიო, — ამტკიცებდნენ სხვები, — ჯერ ერთი, ექვსას კაციან ქორწილში ითამადებდა ჯურუ?! მერე შეხედეთ, რა დემოკრატიული ვარ, ზოგიერთივით დესპოტი არ გეგონოთო, ამოიჩემა. ახლებს ტაშფანდურა გაამართვინა, მაგრამ როცა მოგვიანებით ვერაფრისდიდებით დააწყნარა, იყვირა და იბღვირა, შეზარხოშებული ჯეელობა სეფიდან გააძევა. ქნა ვითომ კარგი საქმე?! ეგერ, დუყლა ანთარიას წისქვილთან ქვეშ ამოუდვიათ და კინაღამ ძვალ-რბილი გაუერთიანეიბათო! — ლაზღანდარაობდნენ და მართლებიც გახლდნენ.

სულ სხვა იყო ჯურუმია. მის ბარაქიან ძარღვებში ნაბობოქრები ღვინო ერთად რომ მიგეშვათ დუყლა ანთარიას წისქვილის ღარში, თქმა უნდა ამას, სამ დღე-ღამეს მაინც დაატრიალებდა დოლაბს, მაგრამ ორას კაცს გადაცილებულ პურობას ვეღარაფრით გააკარებდით. შემთხვევით როდი ეძახდნენ ფეხბედნიერს. განგება იყო თუ რა? მისი დამოძღვრილი წყვილი ლადი ჭანიას ჩონგურივით ააწყობდა ცხოვრებას და როგორც წესი, წლისთავზე აკვანს დაურწევდა სოფელს. ასობით ქორწილს გაძღოლოდა ჯურუმია და ერთხელ ნათქვამ სიტყვას არასდროს დასესხებოდა.

პატარძალი თუ მეზობელი სოფლიდან გახლდათ, ცხენზე ამხედრდებოდა. ჭოფია ანთარიას ბორნით გადავიდოდა გაღმელებში. სადედოფლოს ჭიშკარს ღიღინ-ღიღინით ჩაუვლიდა, მოფუსფუსე ადამიანებს ქორული მზერით გაზომავდა. თიხის გვიმიანი ჭიდან კიბეებამდე გაბმულ ბილიკს მაჯას მოუსინჯავდა. აქეთობისას წყალს სთხოვდა მასპინძელს. არ გაკადნიერდებოდა, როცა შეიპატიჟებდნენ. სიმინდის შეტაროებულ ყანას თუ დასაკრეფ ვენახს მიმოათვალიერებდა. არაყს და თხილს თუ გამოუტანდნენ, ოჯახს კი დალოცავდა, მაგრამ ახლახან კუჭის ოპერაცია გადავიტანეო, იცრუებდა და ჭიქას ტუჩმიუკარებლად დადგამდა. როდესაც ღვინოს გამოურბენინებდნენ, დაშაქრულს ერთ ჭიქას იმყოფინებდა, თავანკარას კი სამს, ზოგჯერ ხუთსაც გეახლებოდათ სიტყვაძუნწობით. ათიოდე წუთში მასპინძლის ოჯახის კანონებს მთელი არსებით ჩაწვდებოდა ჯურუმია. მისი წარმოსახვა იმთავითვე დაალაგებდა ცისფერს, ოღროჩოღროს და თალხს. თამადობისას კი თავდავიწყებით შეცურდებოდა სიძე-პატარძლის ალისფერში და ასე, საწუთროს პირისპირ დარჩენილებს, ავგაროზივით მფარველობა მერე ის საღამო.

— ქორწილი ჯიმადის წისქვილი ჰგონია ნოკო ანთარიას, —

ასკვნიდნენ ერთნი, — სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე საფქვავივით მიაყოლებს: სამი, ექვსი, ცხრა და საათნახევარში ყველა შემოეფანტება! აბა, გინდა ნოკო ანთარიასთვის მოგისმენია და გინდა დუყლას წისქვილის ხიხინიასათვის! მეცხრე ჭიქის შემდეგ და-და-დაო, რომ გასწელავს და შემოითენებს, კი შერცხვები სტუმრებში, — ასეთ რამეებს ყოველ შაბათ-კვირა მოკრავდით ყურს ოდაბადეში. ქორწილს ოდინდელი ლაზათი წაერთვა. წვეულებაში დახლივით შემოეხეტა სტუმრის ჯიბე. დროული ოდაბადელი წუხდა, თანაც იმედიანობდა, რომ დღეს იქნებოდა თუ ხვალ-ზეგ, ფეხბედნიერი თამადა ლხინს მოუბრუნდებოდა, მაგრამ გაგონილა! გვიტ ანთარიას ჯვრისწერის მერე, როგორც კი უგზო-უკვლოდ დაკარგული მამის სული დაიფიცა, მორჩა იქ საქმე.

ჯურუმიას შესაძლოა ანთარიების ქორწილში თამადობისთვის თავი აერიდებინა, მაგრამ იცოდა,განდგომას ცუდად ჩამოართმევდნენ, შურიანობას დასწამებდნენ. წისას და გვიტის მეგობრობაზე ისედაც გადაუკრავდნენ სიტყვას, თან მრავლისმეტყველად გადახედავდნენ ერთმანეგთს. ბიჭი ებრალებოდა. სწამდა, რომ ნაძალადევი ქორწილი მიხვეულ-მოხვეული ცხოვრებით დასრულდებოდა.

დღესაც კი, თორემ მაშინ, იმ ოცდაათი წლის წინათ, როგორც საქართველოს უმეტეს კუთხეში, ისე მთელს სამეგრელოსა და განსაკუთრებით ოდაბედეში, ვაჟისათვის ასაკით უფროსი ქალის შერთვა სირცხვილად მიიჩნიეს, მის კაცურ ღირსებას საეჭვოს ხდიდა. გვიტი კი წისას იმდენით ეუმცროსებოდა, რომ ,,კუტუ შოლირი მაფუს''* ღნავილით ოჯახის ამკლებისათვის, ვინ იცის, რამდენჯერ ურწევია აკვანი და გამოუცვლია გასვრილი ჭინჭები. ერთი წლით უფროსობის გამო წისა ტყუპისცალმა ხვიჩა ანთარიამაც კი დაიწუნა საცოლედ და ეს დაუდგრომელი ჭორები რომ არა, გვიტუნიას ვინ ჩააგდებდა სათვალავში?!

ის კვირს ჯურუმიას საუკუნოდ ექცა. საქმე ხელიდან გაურბოდა. თუთუნი უქრებოდა. სამზადში ჭურჭელს აქოთქოთებდა მეუღლე. გოგონებს დაუცააცხანებდა. ძმის შარვალ-ხალათისთვის და ჩექმებისთვის ზრუნავადა წისას ქობალია. მერე მოღიავებული კარი ქარმა მიაჯახუნა და დალაქავებულმა სარკემ ჯურუმიას სახე აუკანკალა.

— არ დაგაგვიანდეს, რამეფრად მიუსწარი! — ვერც კი მიხვდა საიდან შემოესმა, ცოლის ხმა იყო ეს, ბუჟღუსი, წისასი თუ დანჯღრეული ფიქრის ექო.

საფათქელში ქვანაკრავივით ირწეოდა ზღურბლზე. ისევ წისამ უშველა. გულისჯიბეში ქათქათა ცხვირსახოცი ჩაუდო და მხარზე თავმიხუ-

ტებულმა ჩააცილა კიბეებზე. დის სათნოებამ ჯურუმიას ჟანგიანი ლურსმანი ამოაცალა სულიადნ და როდესაც თვალწინ კახათელი პატარძლის ლექაჩმა გაუელვა, ფეხქვეშ მიწა გაუმყარდა. წარმოიდგინა, ვითომ ობლობაში გაზრდილი დაია უბედნიერდებოდა და რაჟამს ღვინომ თავისი ქნა, ჩვენული მომხიბვლელობით კოცნიდა ჭიქას. სიფარულის მარადიულობას ამტკიცებდა. გვიტს ქარაგმიულად წისასთან მეგობრობის წუთებს შეახსენებდა.

ლხინის მესამე დღეს, ჭოფიას ბიჭი ჟინი ანთარს დამსგავსებია, მოჭყუდუს მამის ჯიმადივით გამოქცევიაო, მეხივით გავარდა სოფელში. აი, მაშინ დაიფიცა ჯურმიამ არსადროს ითამადებდა.

— გვიტუნიას ლოდინი მობეზრდება შედანხეს! — მთელი სამი თვე ხიხინებდა ჭიჭე კვეკვე და, როგორც მოსალოდნელი იყო, ძუბა ჭანიას გაწიწმატებულმა მარებელმა დამ და პატარძლის შეურაცხყოფილმა მშობლებმა ანთარიების გინება-თათხვაში წაიღეს მზითევი და წაიყვანეს ,,ხელდაუკარებელი'' ასული. მერე ნაგვიანევ ფოთოლცვენაში ცოლს გაქცეული გვიტის გამოჩენამ მაჭარივით ააფუცხუნა ოდაბადე. დიდი და პატარა ჭოფიას და ძუბას დორბლებს თავდაღწეულ ქალ-ვაჟს მისდევდნენ სასოფლო საბჭოსკენ...

შუკაში გატეულმა ჭიჭე კვეკვემ ჯიმაყონერის ჭიშკარი ჩარაზა. მის ფეხის ხმაზე ძაღლები აღავლავდნენ. ზოგიერთი ღობესადევნებული, გააფთრებული ქოფაკი, კბილებს აბზენდა, მაგრამ რაღაცნაირად მორჯულებული მემკვდრე ადრინდელივით არ აკვესებდა თვალებს გულმაგარი ნაგაზების კუდის ამოსაძუებლად.

ყაზარმაში მობრუნებულმა ჭიჭე კვეკვემ თუჯის ღუმელი გააღვივა, რომლის გაჩაღებაში დაძენძილი საქაღალდედან ბღეჯა-ბღუჯა ამოღებული დათხაპნილი ფურცლები შემოიშველია.

— ბონდოს ჭირი წაუღია! — ჩაილაპარაკა, მერე აფორიაქებულმა ამას წინათ გამოთლილ ჩონგურს უკირკიტა ერთხანს. ცირა შკვითიანის გაცოცხლება სცადა, თუმცა — ამაოდ. შეაჟრჟოლა. საკრავი ფეთქებად ნივთიერებასავით გამოარიდა ცეცხლს. ვერც დაჯდა, ვეღარც წამოწვა. ხელსაბანთან დაღარული შუბლი და ჩამომჭკნარი კისერი განიგრილა, თითქოს მომჯობინდაო. კიდობანს მიესწრაფა. ლადი ჭანიას ნასხსოვრები, ნაფტალინის სუნით მხრჩოლავი ჩოხა-ახალუხი ამოაცოცა.

,,წყალდიდობამ ვეღარაფერი დააკლო. მხოლოდ დღესასწაულზე იცვამდა ამას.

აქ ხომ ვიყავი და როცა ავიბარგები, სიკვდილსაც მზისფერი მიუვალო, იტყოდა ხშირად.

ლადი ჭანია: დედაკაცო, გეყურება, შენ?! მიმინოსფერ ღართს ჩამოხსნი თუ არა? ჰო, მაგრე! ახლა ქამარ-ხანჯალი და ყაბალახიც ზედ დაიდევი!

ცურუ ჰალიძონია: არ გადაგვაყოლა ნაბიჭვარს?!

ლადი ჭანია: ეს ჰალიძონიები, ყველა ერთნაირად დამწვარი რამ გაგაჩინათ?! რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულიაო, მე ვთქვი თუ რუსთაველმა?! ნურც ჭრაჭუნა ჩექმებს დაივიწყებ, ქალო! გაზეთი სხვა საქმისთვის გამოგადგებათ, კვეკვე ანთარიას კი თავშალში შეუხვიე, თავშალში!

სულცხონებული! როგორი გატანჯული სახე ჰქონდა და მაინც გამიცინა. ბონდოია, ჩემი ბონდოია.

ბონდო. რუსთაველი თქვენი მოგონილია, ჭიჭე კვეკვე, მან კი თავისთავს რუსთველი უწოდა, შოთა რუსთველი. დააკვირდი, ო, ა, უ, ე, ი, ხუთივე ხმაოვანია შიგ. ყველაფერს მოვიცავო, თქვა ამით ქარაგმულად. რუსთაველში კი „ანი“ ზედმეტია, და მოგეხსენება, გენიასთან ზედმეტი ვერ ჰგუობს, ჩემო!“

ჭიჭე კვეკვემ ლოგინს გადასაფარებელი გადააძრო. ქათქათა შალითა ლეიბიანათ დაგრაგნა, საფერხულისკენ მიაჩოჩა. წმინდაკბილა სავარცხელი, ფოჩიან რეზინებს შემოჩაჩული წინდები, სარჭები, ცხვირსახოცის ყურში გამონასკვული, ილორში შესაწირავი ფული და თივით გამოტენილი მუთაქა ტაბურეტზე გადაიტანა.

,,წაეღო მაინც. აღთქმულის შეუსრულებლობა იქნება? აგერ, შედეგიც!

ბონდო: ეგ ჩანთა შენთან იყოს, ჭიჭე კვეკვე, გამოგვადგება! ძლიერია. იმდენი სისხლი დაჰკარგა და მაინც ყოჩაღადაა“.

ჭიჭე კვეკვემ დაკეცილი შალითა ტახტაზე გაასწორა. ზედ ჩოხა დააფინა. გათარანებული უთო ჰაერში რამდენჯერმე გააქან-გამოაქანა. ნაკვერჩხლები ჭუჭრუტანებიდან ნათურის მკრთალ შუქზე ღუოდა, ელვარებდა, რაღაც სპეციფიკურ, დაბალზამებული მკვდრის სუნს გამოსცემდა. ფერფლი ისეთნაირად იფანტებოდა, იფიქრებდით, ელა და მინაკა დაფშვნილ სიმინდს ბერტყავენ ბარქაშითო.

გრაფინიდან წყალი მოყლუპა ჭიჭე კვეკვემ. ტანსაცმელს მიაშხეფა. სატინის სარჩული გახურებული თუჯის ქვეშ აშიშინდა.

,,დალოცვილები! კარგი ქნეს ცალკე პალატაში რომ დააწვინეს. ვინ იფიქრებდა ხანტური ასეთი ფხიანი თუ იქნებოდა?! ფეხზე არ დააყენა სთელი ქვეყანა?!

ხანტური. მოდი, მოდი, აქ მომადე ყური, ამ გულთან. გესმის, არაამქვეყნიურ საგალობელს მღერის იგი, ხო, არაამქვეყნიურს. თითქოს იმ სურათებიდან გადმოვედით ჩვენ, იმ შორეული წლებიდან... ხომ ასეა, ჩემო?!

ბონდო. განა ეს საკითხავია, სიცოცხლევ ჩემო, თვალისჩინო ჩემო, ჩემო ფრთოსანო ჭიანჭველავ! თქვი, ხარ თუ არა ჩემი, მხოლოდ ჩემი, ჩემი. ხომ არ გაქრები, ხომ არ წამერთმევი რაიმე ჯადოქრობით?!

ხანტური: რას ამბობ, მე ხომ შენი აქამდისაც ვიყავი, აქამდისაც, პირველი შეხვედრისთანავე. შენ ხომ ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით ახალი სული ჩამიდგი, ახალი ხორცით შემმოსე და გასაკვირი იქნება განა, სატრფოც იყო ჩემი, ძმაც, მამაც, სრული სამყარო იყო ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის. რომელი სურათებიდან გადმოსვლაზეა საუბარი?! პეტეფი.

ცირა. ზოგი კემესნაირი ულაყი ნეტარების ამ წუთს საუკუნედა გადამიქცევდა ხოლმე, სხვა — ჭიჭე კვეკვესნაირი ყვავი, ახლაც უღვივოდ მიმოკლებს! ხრონცი ახლებს რას ატორღიალებიხარ?! ყური რომ ათხოვო ჭიჭე კვეკვეს, ქვეყნის გადაგვარების მთავარი მიზეზი ურწმუნობაა, თითქოს პირჯვარის გამოსახვას ადამიანის გაკეთილშობილება მართლაც შეეძლოს.

ცირა: შუაგზაზე შემომადნა საწყალი.

უმადური! არაფერიც, წამალია შენთვის".

ჭიჭე კვეკვემ გაუთოვებული ჩოხა-ახალუხი და ყაბალახი ჟანგიან ლურსმანზე ჩამოკიდა. ჭრაჭუნა ჩექმები ზეთში ამოვლებული შალის ნაჭრით გააპრიალა. კველაზე* მოკალათებულმა ჭინჭი თაროზე შემოდო. ავადმყოფურად გძელი თითები გალიჟვინებულ წიგნებს მარჯვედ შეახოცა. მხოლოდ „ოთხთავს" ვერ აკადრა დამამცირებელი სამსახური. გადმოიღო და გადახაზულ სიტყვებს, წინადადებებს თვალი სიყვარულით მიადევნა. სადაც ველზე გატანილი NB* შეხვდებოდა, აქაოდა, ვიღაცას აფრთხილებსო, ხმააწევით კითხულობდა.

— ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფელი ცათაი.* იმდენიც!

ბონდო: „კემეს, კემეს მიმიხედე, ჭიჭე კვეკვე, ძმაა ჩვენი". ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაი* „ჰო, არ გვაკმაროთ, რაც მუხლებზე ვიხოხიალეთ.

ბონდო: ერთადერთი ღმერთი არსებობს, ჭიჭე კვეკვე, სი-

მართლე ჰქვია იმ ღმერთს და ისიც ჩვენთანაა“. — ხოლო მე გეტყუ3 თქუენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად, თანა-მდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუა ძმასა თვისსა რაკა, თანა-მდებ არს იგი კრებულისაგან განსვლად; და რომელმან ჰრქუა ძმასა თვისსა ცოფ, თანა-მდებ არს გეჰენიასა მას ცეცხლისასა. ,,ერთბაშად ვიმსახურებ სამი-ვე სასჯელს.

ბონდო. ყოველი პიროვნება გეომეტრიული პროგრესიით ვი-თარდება, ჭიჭე კვეკვე, როცა საზოგადოებისთვის არითვმეტი-კულიც ბევრია. ინდივიდმა შეიძლება მასას იდეალთან მიახ-ლოებული ყოფიერება — რინა მართლაც შეაქმნევინოს, მაგრამ მხოლოდ დროებით. საზოგადოება შინაგანად, თვითონ, ძალდაუტანებლად უნდა მივიდეს ამ მდგომარეობამდე. მაშ, ამბობ, რომ „ჟინი ანთარის“ პირველი უჯრედი კოლხური მითო-ლოგიის წიაღიდან წარმოსდგა? გულმოდგინე ძიების შემდეგ სამეგრელოს მრავალ, ჯერ კიდევ ადათშეურყეველი სოფლის ზეპირსიტყვიერებაში თითქოს ხელუხლებელი სალაროსათვის მიგიკვლევია. გადამდები სენით დაავადებულთა სოფლიდან ნე-ბაყოფლობით გასვლა და შთამომავლობის სასიცოცხლო ინტე-რესებიდან გამომდინა, უკაცრიელ ალაგას, ანატორის თუ სა-ტანჯოს აკლდამებში მოზღუდვა-განმარტოება, აშკარა სიკვ-დილს მინებება თუ შებრძოლება, სხვა მრავალ რაინდულ თვი-სებასთან ერთად, წესად ჰქონდა ქართველს, მაგრამ შენ ლადი ჭანიასგანაც და მენაბიჭვრესაგანაც ბევრი გსმენია თურმე ბრძენ-თაბრძენ ჟინი ანთარზეც, ვისი პიროვნება ძირისძირშივე უპი-რისპირდებოდა ხსენებულ ხასიათს — ავადმყოფებზე გამოც-დით საკუთარი უკვდავების წამალს ეძიებდა. შენ დიდხანს გიცდიდა ნაცარში ღადარივით გახვეული ამბავი, ჭიჭე კვეკვე, ამიტომაც მოღალატის მანტიამოსხმული შენი პოემის ტიპი, როგორც კი წარმართულ ღმერთში გარდასახე, შვება იგრძენი — ლოდი დაცურდა. კლხური სიმღერები, ლექსები, მითები და საკუთრივ სატანჯოს აკლდამები შენს წარმოსახვაში შეირწ-ყა, შედუღაბდა და ქვეყნისაგან მოძულებულთა ჯოჯოხეთის-მაგვარი ინსტიტუტი ალიგიერისა, მთიდან ბარში, ენგური დელ-ტაში ჩამოიტანე... ჩვენს უკან სუფევს ტანჯვისა და ცრემლის ქალაქი... აღსდეგ, მოთენთვას მოერევა ძლიერი სული, ყოველ-გვარ ბრძოლას ის მოიგებს გამარჯვებული, ვის მხნეობასაც ვერ დათრგუნავს ტვირთი ხორცისა. გაბერილი მეთერთმეტე

სიმღერაა კომედია. ცხადია, „ღვთაებრივ კომედიას“ გულისხმობს. დანტეს პლაგიატად შემრაცხავი მე დამინდობდა?! **დიახ, ჰომეროსი, ჰომეროსი ეწინამძღვრება ყველას, ვისაც კი ეპიკური ტილოებისთვის მოუცლია. რუსთველი ვრცლად თქმისა და სხარტად გადმოცემის კონცეფციაც, ალბათ მისი შემოქმედების გონივრული გააზრებიდან მომდინარელბს. ლირიკის ცხოველქმედებას არვინ უარყოფს. ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვენ ნათელად, მაგრამ დამაჯამებელი ნაწარმოები ეპოსის განზომილებებს საჭიროებს, ჭიჭე კვეკვე! ასე რომ, ლირიკულ წიაღსვლებს თავდაღწეული, გარკვეულწილად მომართულიც აღმოჩნდებოდი და დამიზნულიც. გექნებოდა რამ საგზალი, გამოცდილება, არისტოტელე-ჰორაციუსის გაკვეთილებია ეს, ბრმა აედის წრიული პრიციპი, ვაჟას პოემებისთიგს დამახასიათებელი დინამიკური მიზეზ-შედეგობრიობა, ხალხური პოეზიის მწვერვალის, „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ ფინალის ჰუმანურობა, ჰაჯი უსუბის ამაღლებული გასროლა თუ „მერანის“ პათოსი, შინაგანი ენერგიის რეალიზაცია. აი, ამ საუნჯეებზე დაყრდნობით და კიდევ სხვა ცოტამატათი შენს თავს რამე ისეთის შექმნას დაუსახავდი უსათუოდ, მაგრამ ძვირფასო, ეს ყოველივე საგნის არსს რომ ვერ ამოწურავს?! მის შესაცნობად საჭირო გზებსა და წახნაგებს ინიშნავს მხოლოდ?! გადმოსაცემი აპარატური ფუნქციითღა იფარგლება?! კარგია, რომ გმირი გყოლია, გარკვეული ცოდნაც რომ გქონია ეპოსის რაობაზე, მაგრამ ცალკე ვერც მოქმედების მამოძრავებელი სიუჟეტის მიდევნება მოიყვანს დამში საქმეს და ვეღარც პერსონაჟის სულიერი დუღილის ასახვა, რადგანაც ჭეშმარიტება ორივე სასწყისის სინთეზშია. „ილიადას“ ჩაუღრმავდი! დაულაშქრავი მწვერვალებისაკენ ის გაგიკაფავს გზას. იქ ხომ ყოველი სიტუაცია აქილევსის რისხვის პირმშოა?!**

ჭიჭე კვეკვე: თეორიის უცოდინარობამ გამფლანგა.

ბონდო: ათ წელიწადზე მეტს ამიტომაც მოუნდი პოემის ჩონჩხის აშენებას. თვითნაბად შაირს მინდობილმა ათსტრიქონიანი ხანა კიბური რითმითაც გააწყვე, მარამ ჟინი ანთარის ბუნებაში არსებული გაორება, წინააღმდეგობრიობა, ვერ მოთოკე, მოღალატის რეაბილიტაციას ამაოდ ცდილობდი, ამაოდ იღწვოდი დაცემულის აღსაღზევებლად. რამდენიმე ვარიანტი შეგითხზავს და ყველა უარგიყვია, ვიდრე სათაყვანებელმა მა-

მამ შენს გმირს ღალატისთვის ღალატი მიამატებინეო, არ გირჩია და მოულოდნელ ცის გახსნასავით მოფრენილმა სიბძნემ შენი უხეირო ქმნილებაც წელში გამართა! ის უმზადებს მზიურ დილებს სამშობლოსგან მოკვეთილებს. ხვალ წაასხას ლაღი რემა, მტრების ხმალთა სიბასრემა. ჟინი გვარად —ანთარია, ჟინის გულში ზამთარია. ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მასხრად მიგდებს. ათიათასტრიქონიანი პოემა ხელაღებით დაგირღვევია, ვინაიდან ეპიკური მასალა მეტ დამაჯერებლობას გთხოვდა, რაც პოეტურ სიტყვას გაუჭირდაო, იმართლებ თავს. პოეტურ სიტყვას?! გაგონილა ამისთანა სისულელე?!

ჭიჭე კვეკვე: დიახ! დღევანდელი მკითხველის გემოვნება, მისი სულიერი მოთხოვნილება და ფსიქიკური წყობა მაეჭვებდა რითმიანი ლექსით გადმოცემული სათქმელის გამარჯვებაში.

ბონდო: გაჩუმდი მაინც! უკმარისობის გრძნობამ წლების ღამენამუსრევი დაგარღვევინა. პოემას თეორი ლექსისკენ უბიძგა. უკვე წელიწადზე მეტს ახლებურად აყალიბებდი და ერთხანობას სრულყოფილიც გეგონა. როს აკაციის ხეივნებში ვათევდი ღამეს, გაკენკილ რტოზე ვით დაეშვა უცხო ქმნილება. ელვარე საფლავს მივეყრდენი ზურგით როდესაც, მოვითქვი სული, გადარჩენის იმედმაც მსძლია. გავბედე გვიან, წავაბიჯე განვაღე ბჭენი და ცუდი მასპინძლის კვალობაზე მოვუბოდიშე. ყიჰ! ლექსის ამჯერად დუნე რიტმმა, ისედაც ძნელადაღსაქმელი სათქმელი ჩიხში მოგიქცია. კვლავ მანიპულაციები. კვლავ სიზიფეს ორწლიანი შრომა. ვერც ვერლიბრმა გიშველა პოეზიას შეწირულს! ჩემს გასაჩენად მილიარ და მილიონ წლობით მამრი ელტვოდა აზევებულ დიაცის სხეულს. მაგრამ სამი თვე იწურება, სიბერე დამსდევს, სიბერე დამსდევს ხელში ქამანდმომარჯვებული. ბასრი ხანჯლების გაფხიზლება ამშვენებს არესს, მე სისხლს ვხედნიო განშორების კიდესთან მდგომი. აბა, რა, მსხვერპლს მოითხოვს ცხრავე ქალღმრთი! ბოლოს და ბოლოს დარწმუნდი, ჯიმაგე, რომ მთელი ეს წლები წყალს ნაყავდი და შენც პროზაზე გადახვედი! აკი, ჟინი ანთარის კოშმარული ხილვების ხატვისას, სამშობლოს თუ საკაცობრიო ტკივილების ჩვენებისას მთავარი — დამაჯერებლობა ხელიდან გაგისხლტა და ლოგიკურად დაასკვენი, რომ ამ გზაზე სალექსო ფორმა, რითმიანი იქნებოდა ეს, თეორი თუ თავისუფალი, არ გამოგადგებოდა, ვინაიდან ერთიც, მეორეც და მესამეც ხიდჩანგრეული

მდინარისა და მგზავრის მიმართებას გულისხმობდა. ბევრ შემთხვევაში ხომ სწორე რითმამ და რიტმმა აგაცდინა სამიზნესა საგრძნობლად. ევრიკა! **A**-ს ნაცვლად **B** პუნქტში გაგრიყა. ასე რომ, მხოლოდ პროზა გიხსნიდა, მხოლოდ სამეტყველო საშუალებათა ბუნება გადაგარჩენდა, რადგანაც დარწმუნდი: თხრობისათვის თეატრალიზება, პომპეზურობა, რაიმე პედანტური ჩარჩო უცხოა, დრომოჭმული. თითქოს ის არ ემორჩილება არტახებს. შესაძლოა ვერლიბრისტების ფრაქცია, როგორც სხვაგან, ისე — ჩვენში, ამ მომენტმაც წარმოშვათ, ჩაიბეჭდე გონებაში. სიტყვა, რამდენადაც თავისუფალია შებოჭილობისაგან, რითმაა ეს წინაღობა, რიტმი თუ ხატოვნად თქმის სურვილი, იმდენად მიახლოებულია ბუნებრიობას, ესე იგი ოქროს კვეთსო, იჭყლეტდი ტვინს.

ჭიჭე კვეკვე: ნამდვილად. ენას ვერ ვძრავდი მონუსხული.

ბონდო: ამიტომაც კალისტიკის ყველაზე სარწმუნო თეორის, ჰეგელის „ესთეტიკის“ უცოდინარმა ბევრი ივგლახე, ინტუიციას მიენდე და ფილოსოფოსის მიერ ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ ხელოვნების გენეზისს უნებლიეთ დაუპირისპირდი. უკეთ რომ ვქვათ, ამ დებულების შენეშული ინტერპრეტაცია ტრაგედიისა და ეპიკი შეჯვარება, დრამატული თხრობაა. საფლავში არ შეატრიალა დიალექტიკის მამა?! მშვიდს მძვინვარეს უეროდებდა, გველს — ნიბლია ჩიტს, ვეფხვს — ბატკანს და კიდევ გენიოსივით იკრიჭება. უმწიფარი, კობუ! მთათხავდა და მაინც თვინიერად ვუგდებდი ყურს. კვირას თვე მისდევდა, თვეს — წელიწადი. მრავალი ხნის ფიქრნამწარევი — პოემა რითმიანი ლექსით, პოემა თეთრი ლექსით თუ ვერლიბრით, ხორცს ისხამდა, ახალ ფორმა-შინაარსში ტრანსფორმირდებოდა. უკვე ყველა პერსონაჟი განსახიერდა თითო-ოროლა ლიფსიტას გამოკლებით და მაინც შენს ნაწერს რაღაც არ ჰყოფნიდა, ჯიმაგე, თუმცა ვერ დაგედგინა, სინედლე იყო ეს თუ შენთვის დაფარული რამ. ამიტომაც საქმის თავიდან დაწყება და ნახევარი წლის წინათ თითქმის გამზადებულად მიჩნეულის კირკიტი მოთხოვნილებად გექცა. მოგვიანებით ჩაწვდი — ფრაზის პოეტური ფერწერა გაფერხებდა. შენს რომანს პოემის რიტმი, ინერცია დიდხანს ამუხრუჭებდა, აჩრდილივით დასდევდა და რაც მთავარია, ხელიდან გაგირბოდა ის მაცოცხლებელი ძარღვი, რომელიც ნაწარმოების მთელს ორგანიზმს

ერთ ქსელში ჩართავდა, ერთი სულისკვეთებით დამუხტავდა. „ჟინი ანთარის“ სახით უძღები რამ აიხირე, ჭიჭე კვეკვე, რომელიც გაგონილს, წაკითხულს, ნაფიქრალს თუ განცდილს მოლოქივით შთანთქავდა, გულის ახალ-ახალ მსხვერპლს გთხოვდა, სურამის ციხესავით მაინც გენგრეოდა. ააკოკოლავებდი, ისევ ჩამოგექცეოდა, ვიდრე საკუთარი თავი საძირკველშივე არ ჩაატანე, ბედნიერო, და აი, როცა მეთხუთმეტე, ოცდამეშვიდე, ოცდამეთორმეტე ვარიანტისთვის საწერ მაგიდას მიუბრუნდი, როცა რომანისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია-ცნობა აღნუსხულ-დაზუსტებული გქონდა, მუშაობის წადილიც გაგიცხოველდა, ენერგიაც გაგიორკეცდა თითქოს, თითქოს განქარდა ოდინდელი სულსსწრაფობა — „ჟინი ანთარი“ სიმწიფის ასაკში შედიოდა.

ჭიჭე კვეკვე: მაგრამ მოხვედი და უცნაური თეორიებით თავგზა ამიბნიე! უმადური! ბეცი! ბრმა! შურმა მოგინელა. რას ვსაყვედურობდი ხვთისნიერს?!

ბონდო: სწორ გზაზე დაყენებას თავგზის აბნევას ეძახი?! აბა, შენ თუ გერწმუნა კაცი, ჰომეროსის ღვთაებრივი ენა თანამედროვე რომანში მოკვდა და დაიბადა კიდეც, როგორც კალმახი ორაგულისაგან. ჰეგზამეტრს სამეტყველო საზომი შეენაცვლა, რაც მართებულიაო, გულთმისნობ. სწორედ რომანი არის ეპოსის უმეტოქო მემკვიდრე-შთამომავალიო, აცხადებ, რუსთველის შაირია ამად კარგს კი უგულებელყოფ, ივიწყებ. ოქროსთან სპილენძის დატოლება იქნება? სად პოეზია და სად — პროზა?! უნივერსალურობა მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის ენით მიიღწევა ჩ ე მ ო, რადგანაც ფერის, ბგერის, სხეულის მოძრაობათა თავისებურებებს ის ერთადერთი ასინთეზებს. ნებისმიერი სახის ნაწარმოების საარსებო წყარო მოქმედებაა, მაგრამ როგორც ეს „ათას ერთი ღამის“ ნოველათა ხელოვნური ბმები, რომანის მაგივრობას ვერ გასწევს — მასალის ორგანიზაცია აკლია, — ნოველისტი ხომ ნედლეულს აგროვებს მარტოოდენ, რაც დიდი მწერლობის დასაწყისი ეტაპია მხოლო. ფიცარი, თუნდაც ასეული კუბური მეტრის მოცულობისა, ჯერ კიდევ როდის ნიშნავს სახლს. ასევე ეპიკოსი ცალკეული ლექსების, ფრაგმენტების, ნაწილებისა და ნაწყვეტების ქაოსურ მასალას რაღაც გლობალური სათქმელის გარშემო კანონზომიერად დარაზმავს ხოლმე. ამასთან გამუდმებით უნდა გვახსოვ-

დეს მეუდაბნოეთა ცხოვრების მაგალითიც — ბედუინის სადლი დიახაც იმ საქონლის ხორცისგან იკმაზება, რომელსაც ჭურჭლის მაგივრობას ახლახან შემოძარცვული ტყავი უწევს, ხოლო ცეცხლი საკუთარი ძვლებისაგან შემოგზნებია. ვერაფერი ნუგეშია მამით ერთნი რომ ვართ. რამდენი რამ გვაშორებს, რამდენია სხვაობა?! ის ჯიშიანმა ქალმა შობა, მე — ჭლექიანმა ყრუ-მუნჯმა. მას გულთმისათნი კაცი წვრთნიდა აკვნიდანვე, მე — თაღლითი, რას ბრძანებ, თ ა ხ ს ი რ ი ოდაბადე. გამოტყდი რომ გშურს, გშურს მისი აზროვნების სიმაღლის, გშურს, მაგრამ კეთილი შურით. განა ამ განცდას არ მიჰყავს კაცობრიობა წინ, პროგრესისაკენ?! მოკლედ, ხელოვანისთვის, ჭიჭე კვეკვე, ნაწარმოების საშენი მასალის იმპორტი მომაკვდინებელია. გარეშეთათვის მეგრული თხმელა — **Alnus kolchicus** — თავისი უნიათობით, ტანღრეცილობით, წყალში გამუდმებული ყურყუტითაა საინტერესო, თორემ ჩრთილოეთი კარტოფილის სანთლისმაგვარი არყის ხეებით გამოჭედილა და სამხრეთით — გიგანტური ევკალიპტებითა და ბაობაბებით. შენი შემოქმედებითი მარცხი, ჭიჭე კვეკვე, პოეზიის ხელის კვრას მოჰყვა. კარგად დაწყებული საქმე ჩააფლავე. სიტყვა რომ ვერ დაიურვე, ფორმაზე იყარე ჯავრი, უნაგირს დაუწყე მტვრევა. აჯობებდა კი ძუძუენაზე გეწერა, მართალია, პ რ ო ვ ი ნ ც ი უ ლ მეგრულზე, მაგრამ შენთვის სისხლხორცეულზე მაინც. შენი მიზანი ჟინი ანთარის რეაბილიტაცია იყო — რინამისჯლი კაცის მკვდრეთით აღდგენა და კიდეც შეუდექი მის ძერწვას, მაგარმ ამასობაში ძირითადი — ხალხი ხელიდან გაგეპარა, რომელიც თავისთავად უფრო სრულყოფილი ინდივიდია, ვიდრე ესა თუ ის კონკრეტული მოკვდავთაგანი. მერწმუნე, ჯიმაგე, ყოველი მოვლენის ერთ გმირზე თავსმოხვევა გამაღიზიანებელიცაა უმეცრებასთან ერთად.

მიჰყევ და მიჰყევ გატკეპნილს. მთავარი პერსონაჟი უღელში შეაბი და შეუსვენებლივ ახვნევინე და აფარცხვინე, როცა არსებითი, ახლებური უნდა გეძია, როგორც ამას ბრმა აედი ახერხებს თქვენგან განსხვავებით. ეს კი ლოგიკური ხაზი გახლდა შენი იდეის მიმართულებით და არა გმირის ფათერაკების ძერწვისკენ, მაგრამ კიბის ჩამტვრეულ საფეხურში არავინ ჩავარდეს?! ეჰ, ჭიჭე კვეკვე, ჰომეროსის უცოდინარობა იქნება?! ტროას ომში კოლხების მონაწილეობაზე რას მეტყვი?!

ჭიჭე კვეკვე: კოლხებისა?! კოლხებისა ვერაფერს.

ბონდო: ოდესმე მოეღება ბოლო თქვენს ზერელობას?! უშუალოდ კოლხებად როდი მოიხსენებიან ისინი.

ჭიჭე კვეკვე: აბა?

ბონდო: ხომალდების კატალოგი გეხსომება. ისემც ჩვენმა მტერმა იხაროს! სიტყვასიტყვით თარგმნაში ამგვარადაა: ხოლო ჰალიოძონებს ოდიოისი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ, შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არის. მეხუთე ქებაში კი აგამემნონი ჰოროლით განგმირავს ჰალიძონების ოტებულ, გოლიათ მეთაურს, ოდიოსს. ნუთთუ არაფერს გეუბნება?

ჭიჭე კვეკვე: ჰალიოძინები — კოლხები?!

ბონდო: ეჭვს გარეშეა. ხალიბუმ ხომ რკინას ნიშნავს ბერძნულად. გიჟს უგავდა თვალები. ხალიბები კი ვინ იყვნენ თუ არა კოლხები? ჭიჭე კვეკვე, ახლა მითხარი, სად მითხარი, სად დაირწა ამირანის მითი, ან სად ბრდღვინავდნენ აიეტის რკინისჩლიქება ხარები? ეჰ, ეჰ, ძალიან შორს მიგვდის საუბარი.

ჭიჭე კვეკვე: დუდი მარსიოლუაფუ, თოლშა ეწმასერუ.*

ბონდო: „ოდოია“ ხომ მაინც გსმენია? ჰოო... გსმენია, დიახაც გსმენია. ო დ ო დ ო ი, ო დ ო დ ო ი ა დ ო ო დ ო ი ა. ეჰ, ისეთი თვალშეუდგამი შორეთიდან მომდინარებს, რომ ასკეცი ბურუსითაა მოცული, მაგრამ არა საღი გონებისთვის, რომელიც ყველაფერში პოულობს ჭეშმარიტების მდოგვისხელა მარცვალს. როგორც ყველა დროის ცენზურას სჩვევია ხოლმე, ქრისტიანობამაც წარმართული საგალობლის სიტყვები პირწმინდად გადაშალა და რადგანაც უკეთესი ვერაფერი შეუნაცვლა, თოხს მოუქნიე გიგოიათი შეავსო. შრომის სიმღერად იქცა ბრძოლის ჰიმნი. კასტრირებულმა მამალმა წიწილების ჩეკვას მიჰყო ხელი.

ჭიჭე კვეკვე: ოდიოსი ოდოიაა?

ბონდო: საქმეც ეს გახლავთ. როგორ იქნება ქუთაისი თქვენებურად?!

ჭიჭე კვეკვე: ქუთეში.

ბონდო: კი, ქუთეშიცაა, კვიტაიაც და ქუთაიაც. ქუთაისი და ქუთაია იდენტური ფორმებია. ასეთივე იდენტურ ფორმებადაა სავარაუდებელი ოდოია-ოდიოსი. ზოგჯერ პატარა დეტალი გაცილებით მეტისმთქმელია, ჭიჭე კვეკვე, ვიდრე მთელი გვერდები, განსაკუთრებით ისეთ ხელოვანთან, როგორიც ჰომერო-

სია. გაიხსენე, რანაირად აღმოაჩინა შლიმანმა მისი პოემებით ტროა. იმდროინდელი პოეტები უტყუარ სარკესავით აირეკლავდნენ მომხდარ ფაქტს თუ ტრადიციით გადმოცემულ ამბებს. ესეც ჯანსაღი რეალიზმის ძალა. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ლიტერატურულ მეთოდს, სადაც სათქმელი სინამდვილეს გაურბის, ეპირფერება. ყოველი იზმი იმდენად მოდურია და წარმავალი, რამდენადაც რეალურს, ცხადს, გაექცევა. სინამდვილის ასახვაა ის მაგისტრალური მდინარება, რომლისგან ასლებს იღებდნენ, ან საგრძნობლად სცილდებოდნენ ისეთი ლიტერატურული სკოლები, როგორიცაა: კლასიციზმი და ნატურალიზმი, სანტიმენტალიზმი, რომანტიზმი და სიმბოლიზმი, მისტიციზმის ნაირსახეობანი — ფუტურიზმი, აკმეიზმი და დადაიზმი, სხვანი და სხვანი; მისგან განტოტვას ლამობს ექსისტენციალიზმი დღესაც და თავისი ფსევდოჭეშმარიტებით ახერხებს კიდეც, მაგრამ ვიღაც ხომ უნდა გადაიჩეხოს, შენ რომ გადარჩე?! მთავარია, სათქმელი იყოს, თორემ სავალს ყოველთვის გაიკვლევს, წინ გნებავს სალი კლდეების ლაშქარი ეღობებოდეს — გაარღვევს, დაშლის და საწადელს მაინც ეწევა. გამოცდილია — წვეთი ხვრეტს ქვას, მაგრამ ჩვენ არსებითს მოვუბრუნდეთ, მოვუბრუნდეთ ზემოთხსენებულ სტროფს: ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მოუძღოდნენ, შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არისო. რატომ მაინცდამაინც ვერცხლის საბადოები ახსენა ჰომეროსმა და არა — აია -ქვეყანა, საიდანაც ოქროს საწმისი გაიტაცეს არგონავტებმა? ჩვენ არაფერი ვიცით, თუ რას აკეთებდნენ ჰალიძონები ცხრა წელიწადს. ამაზე „ილიადა“ დუმს. გასაღები ისევ და ისევ აღნიშნულ სტროფშია. ბერძნების გაერ*თიანე*ბულმა ლაშქარმა ცხრა წელიწადს ვერ დაამხო ათჯერ ნაკლები ტროელები. ათას სამოცდაშვიდი ხომალდით მოადგნენ ისინი ილიონს. თითოეულში ასოცი მეომარი ეტეოდა იმ შვიდის გამოკლებით. ესე იგი ას ოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდაცხრა კაცისთვის მოუყრია თავი აგამენონს. ბერძენი ყოყლოჩინობის სპილენძის იარაღით, როცა ნახსენებია ხალიბები, რკინის, ფოლადის მესაიდუმლე ხალხი. ამ უზარმაზარ გაერთიანებაში ვითომ მხოლოდ მეომრების ფუნქცია ეკისრებოდათ მუჭა ჰალიძონებს?! მეეჭვება, მეეჭვება. მარტივად თუ ვიტყვი, ისინი პროფესიული მჭედლები უნდა ყოფილიყვნენ, ჭიჭე

კვეკვე. ჩანს, ჰალიძონები მხოლოდ ომის მიწურულს ჩაბმულან ორთაბრძოლაში ფიზიკურად. ჯადოსნური ათი ყოველ ნაბიჯზე.ცალკე კვლევის საგანია რიცხვები ჰომეროსთან. აბა, დააკვირდი, როგორ მოკურცხლავს აგამემნონს შემოფეთებული გოლიათი ოდოია. მისთვის ომი, ხმლების ტრიალი უცხოა. ეს იგულისხმება სტრიქონებს შორის. მაშ, სად მივყავართ მსჯელობას? კოლხები ტროელების მხარეზე არიან ოდოიას მეთაურობით. არგონავტებმა, მართალია, სამიოდე ათეული წლის წინ კოლხებს მოსტაცეს საწმისი, რომელზეც ოქროს მოპოვების წესები იყო წარწერილი, მაგრამ რკინის გამოდნობის საიდუმლო ჯერ კიდევ ერის წიაღშია შენახული.

ჭიჭე კვეკვე: საიცარია, საოცარი!

ბონდო: შევთანხმდით, რომ ოდოია ჰალიძონების მეფეა. ჰალიძონები მჭედლებად ჩასულან ტროაში, ამიტომაც ვერ ამარცხებენ ბერძნები ათჯერ მრავალრიცხოვანი პროტოიბერიელებს, ამიტომაც ვერ ლაშქრავდნენ ილიონს, ვინაიდან კოლხური იარაღი იბრძვის მათ წინააღმდეგ. მოგვიანებით, როცა ზღვის ხალხს გაუჭირდა, თვით ის მჭედლებიც იძულებით ებმებიან ორომტრიალში და ამდენად, ოდოია ისე კვდება, რომ ტროას იავარქმნას ვეღარ მოესწრო. მე მთავარი რამ მწადია, მთავარი და არსებითი. მაშასადამე, ყოველგვარი ნააზრევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კოლხეთი იმ დროისათვის მაღალგანვითარებული იარაღით მოვაჭრე ქვეყანა ყოფილა, როგორც შტატებია დღეს, ან სულაც თქვენი საბჭოეთი. კოლხებმა მიაგნეს ფოლადის გამოდნობის საიდუმლოს და განუდგნენ ხვნა-თესვას, მესაქონლეობას; ხელი აიღეს მამაპაპური ღვინის მოყვანაზე. იარაღი იყო პურიც, ღვინოც, უზრუნველი ცხოვრებაც, არქილოქესი არ იყოს, და გადაგვარდა კოლხი. ადამიანმა საკუთარი სახე დაკარგა, ადრე მიწათმოქმედებს, გეორგიებს, შავ ჭირად მოევლინა ეს სიბრძნე, შავ ჭირად და დაღუპვად. ეჰ, განა მართლაც ოქროს საწმისის დაკარგვამ? არა, ჭიჭე კვეკვე, მხოლოდ და მხოლად იარაღით ვაჭრობამ მოსრა კოლხეთი! ისე რომ, საკუთარი ადარაფერი დარჩა, აღიგავა მიწის პირისაგან, მოკლედ, გაბღენძილ ოდოიას, როგორც კი საკუთარი ხელით გამოწრთობილ ჰოროლ ბეჭებშუა გაუტარებენ, მხოლოდ მაშინ მიხვდება, თუ რა ყოფილა სხვათა წაკიდება-წასისინება, რა ყოფილა ომი, რომლითაც მისი მოდგმა სულდგმულობდა აქამდის; მიხვდება, მაგრამ თითზე

კბენა უკვე გვიანია. ეგერ, სულთმობრძავი გდია ბრძოლის ველზე და მის ბურუსმოძალებულ თვალწინ გარბის თვით ტროაში დატრიალებული საცოდაობა, ათასების ტრაგედია, ათასების ვაება-უბედურება. არავის უხეირია ამ ომით, არც ხალხთა მეფე აგამემნოს, არც ფეხმარდ აქილევსს, და არც — ზუჩმოელვარე ჰექტორს, თუ ჭკუაულევ ოდისევსს, მით უფრო გაფხორილ ოდოიას. აჰა, მომაკვდავს მრავალხოფებიანი ხომალდით მიაქროლებენ შორეული კოლხეთისაკენ და გაწბილებულ-ხელმოცარული ჰალიძონები სასოწარკვეთით უმღერიან: ო დო დ ო ი ო დ ო ი ა დ ო ო დ ო ი ა, სადაც არის, აიას ჭაღარა მწვერვალები გამოჩნდება. წყეულ ტროაში რა გინდოდა, ვისთვის ჭედავდი მახვილსა და მუზარადს?! არ ჯობდა, ტკბილი ღვინო გეწურა, სამშობლოსათვის მიგეხედა. ოდოია. ეჰ, ვერგილიუსისხელა კალმოსანი სჭირდება ამ საქმეს. აი, ჭეშმარიტი თემა, ჭიჭე კვეკვე. აი, ნამდვილი ასპარეზი, ჯიმაგე, შენ კი მოღალატე კაცის რეაბილიტაციას შეალია ხალასი შემოქმედებითი ენერგია. ჟინი ანთარს დაეხსენი! ოდოიაზე იფიქრე. დაე, ერთხელაც აზავოდნენ აბშილები და შკვიოინები, მაკრონები და მოსხები, ჭანები და ჰალიძონები, ჩვენი ნაღდზე უნაღდესი წინაპრები, ოდესღაც ცას რომ ეპოტინებოდნენ. რაცა ვართ, ჰალიძონები ვართო, გაიძახოდნენ; რაცა ვართ, აბშილები ვართო, იბღინძებოდნენ, რაცა ვართ, მაკრონები ვართო, ზეობდნენ; რაცა ვართ, ჭანები ვართო, ბაქიბუქობდნენ; რაცა ვართ, მოსხები ვართო, ყოყლოჩინობდნენ, მაგრამ აჰა, სამი ათასწლელული გამოხდა და გვარის დათითოებული წარმომადგენელიღა დავრჩენილვართ. მოჰიკანები.“

ჭიჭე კვეკვე ახლა უკუღმა ფურცლავდა „ოთხთავს“, თითქოს რომელიღაც გამორჩენილ, დიდმნიშვნელოვან ფრაზას ეძებდა.

„უკმარისობაზე თქმულია, მგონი. ნეტავ სად გამომისხლტა მხედველობიდან?! ამდენ რამეს საიდან იტევს მისი გონება?! ელოი, ელოი ლამა საბაქთანი. ესეც მაგარია, მაგრამ ბონდოს უფრო სხვა მიესადაგება. მივაგენი: მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.“

ჭიჭე კვეკვე მამლების მოხშირებულმა ყივილმა გამოაფხიზლა. „ჰრქუა მხევალმან მან მეკარემან პეტრეს: ნუუკვე შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათაი? ხოლო პეტრე თქუა: არა ვარ. მეც გაგყიდე შენ, როცა ქურდებთან გამხილე. ურჩხულის კლანჭებში ჩაგაგდე, ჩემო!“

ჭიჭე კვეკვე დაფაცურდა. დალაქავებული სარკის ხელისგულისოდენა ნატეხის წინ ჩაიცვა. გაიარ-გამოიარა და მორგებული ჩექმები ააჭ-

რაჭუნა. ღუმლის მოღიავებულ კართან გადმოვარდნაზე მისულ, ახრ-ჩოლებულ მუგუზალს ფეხსაცმლის წვერი წაჰკრა.

„ერთბაშად პარკეტი არ გაგიფუჭოს.

ბონდო: ჩვენი საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო, ჭიჭე კვეკ-ვე!“

ისე სწრაფად განვლო სოხანე*, რომ ნათურა ბუდეში არც დაუტ-რიალებია.

„ბაგის სოციალიზმი ამ ზარალსაც რამენაირად გაუძლებს. ბიუ-როზე ამტკიცებენ დღეს. ხალხს იმედი მოეცა. ჩემი ყრმობის დროსაც ასე იყო. მოსახლეობას ახალი დროების სწამდა. ყოველი წვრილმანი წა-მოწყება საჯარო მსჯელობის საგანი ხდებოდა ხოლმე. ხალხი ამაყობდა ცენტრით, სადაც ორი ძირგამომპალი ფარდული, მორებიგან შეკრუ-ლი სასიმინდეები და სასოფლო საბჭოდ გადაკეთებული ლევა მუშუქია-სეული ოდა-სახლი იდგა. წაბლის ხისგან აწვართული ის ორსართული-ანი სასახლე რამდენადაც მახსოვს, მზითევში ერგო ანჩაბაძეების მერ-ვედ გათხოვილ ასულს. რძლის შორეული ნათესავები მთლად ღია ცის ქვეშ ვეღარ დაჰყარა ბადუ ჰალიძონიამ და იმ შენობის სამზარეულოში კარგა ხანს ცხოვრობდნენ ხმელ-ხმელი ნადე და კიკინებიანი მილანდარი. თვითონ გაოფიცრებული ლევა მეჯინიბე, როგორც ჩემი მასწავლებელი ამტკიცებს, საფრანგეთში წაჰყვა მენშევიკურ მთავრობას ცხრაას ოც-დაერთში. კოლექტიური შრომა წლითი წლობით ყოვლისმომცველი შე-იქმნა. თქმა უნდა, ძალა აღმართს რომ ხნავს? ადრე შეძლებულ გლახს მარჩენალი კამეჩის საერთო უღელში შებმა რომ უმძიმდა და ჭირნა-ხულს საზიარო ტაფაზე მოსახრაკავად ვეღარ იმეტებდა, ნელ-ნელა, ხან ცოლების შეგონებით, ხანაც შვილების ხათრით, ზოგჯერ მეზობლის ჯიბ-რით, ბედს ურიგდებოდა, ჩემი იღბალი ასე ყოფილაო, ასკვნიდა. გახა ჰალიძონიასთვის კოლექტივში შესვლა არავის უკითხავს. ბადუმ ჩამოაჭ-რა ფრთები. სანაქებო თხილნარი და კაკლის ხეების ხეივანი ხსოვნასღა შემორჩა. მინახავს გასკდომამდე გატიკნული, ახურვებული ბურვაკები მიწას რომ ამოდინგავდნენ და გრილ ღრმულებში გაიტრუნებოდნენ. რამდენჯერ მომიპარავს იქიდან წურფა* თხილი კოტობანას სათამაშოდ. დიახ, სად იყო თხილნარი, ან ის ღორები?! საერთო კოლტში ღრუტუ-ნებდნენ და ცალთვალა კუნტა ქობალია მწყემსავდა კაფანდარა ძმას-თან, ჭაჭიასთან ერთად. შიში შეიქმს სიყვარულსაო, რუსთაველმა თქვა, მე კი არა. ვერაფრით გადავეჩვიე ამ რუსთაველს. მათ ეზოში ვთამაშობ-დით იმ ნაშუადღევს, როცა სულზე უსაყვარლესი ქერქენჯი დუყლა ან-თარიას წისქვილში წასაღები საფქვავით წელდაზნექილი იხილა გახამ. ამას

ზედ ისიც დაერთო, რომ პატივაყრილმა მერანმა ჯეელების უკადრისი საქციელი ქანცგაწყვეტილის ჭიხვინით აუწყა აიავანზე შემთხვევით გამოსულ პატრონს და წითურწვერა გახამაც, ეს რა დრო ამოყროლდაო, თქვა და მოგვაფურთხა დაბლა მყოფთ. რას არ იზამს შიში და ორანი, ფუთიანი ბოქლომით გეისქაჩუნს... აგიკრავს პირს. არა, მეგრულის თარგმნა ტყუილია. ის შეურყნელად უნდა შევიდეს დედაქართულში, სვანურთან და თუშურთან ერთად. საოცარია უცხო სხეულივით რატომ ვერ ჰგუობს მეგრულს ქართული? ბასკურთან და შუმერულთან ეძებს საერთოს, ყიზილბაშურ ყმუილებს უძლებს და ღვიძლი მაფშალიის გალობას კეთროვანსავით ირიდებს. მაინც რა ბნელები ვიყავით! ვითომ გამოუვა ბაგის ჩვენი გაადამიანება? რკინის მოზვერს ვეძახდით ტრაქტორს. გვიკვირდა ჭყონდიდზე ღილივით მიკერებული მოლაპარაკე ყუთი. როგორ გვიხაროდა გზისპირებზე ჩამწკრივებული მაღაზიის კოკროჭინა ფარდულები და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშტისისხო ჯიხურები, სადაც ყოველთვის იყიდდა კაცი ფართლეულს, ნავთს და ასანთს, კალოშს და ჩექმას, მარილს და შაქარს. ამაზე მეტი სიკეთე ვერ წარმოგვედგინა. ჭრელი მანდილით თავწაკრული ქალები და ყაბალახიანი კაცები კოლექტიურად წავიდოდნენ ყანაში, ბაზრობაზე, ქორწილსა თუ ქელეხში. ვმღეროდით მამაპაპურ ,,ოდოიას'' თუ სახელდახელოდ შეთხზულებს. პრიმიტიულად ვცხოვრობდით და მაინც ბედნიერად მიგვაჩნდა თავი, რადგანაც მომავლის რწმენა გვქონდა. შვილებს ქრისტიანული სახელებით ვნათლავდით, თუმცა რკინის დროების დოსტები ნეოლოგიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, საუკუნოვან ტრადიციებს ვივიწყებდით და ფეხს იდგამდა ათობით რევდენი, დაზმირი და ლესტამბერი. წიგნსა და გაზეთს სინათლე შემოჰქონდა ჩვენს წყდიად გონებაშ! ღობეებს თხმელის წკნელებით ვწნავდით კვლავინდებურად. ხარ-კამეჩებით ვხნავდით და ვფარცხავდით ისევ. მთარიან ღამეში, ფართო აივანზე ადრინდელივით ვარჩევდით თხილსა და სიმინდს. ძველებურად ვუფრთხილდებოდით ნავთს, საპონს და მარილს და მაინც ცა და მიწა ჩვენი გვეგონა. იყნენ მოლაზღანდარენიც:

წინათ გვიჭირდა, ხის კავებით ვამუშავებდით მიწას, რომელიც ნახევარს მაინც ყრიდა ჩვენსკენ. ახლა წინ წავიწიეთ, რკინის გუთანს ვეჯაჯგურებით, რომელიც ყველაფერს თავისკენ ახვავებსო, ქილიკობდნენ ისინი აშკარად თუ მალულად. იმ ოხუნჯებს, კუდი ,,კონტრევოლუციურ ძალებთან'' იჩქითად რომ გადაუნასკვეს, სათითაოდ კუნტა ქობალიას ბედი ხვდა წილად.

რანაირი თვალებით უყურებთ მიმდინარე გარდაქმნებსო, გვკითხა ერთხელ საზოგადო კრების დროს ტყავისპალტოიანმა სტუმარმა და რომ არავის დაესწრო, ცალი თვალით, პატენიო,8 მიაგება კუნტა ქობალიამ ხელად. ვითომ საკუთარი ფიზიონომია მოიშველია, ჩვენი გამხიარულება სცადა. გამართლდა თაგვის გათხრილზე გამოთქმული ანდაზა. იმ დღიადან მეღორის პიროვნებით დაინტერესდნენ. ფარეხში იარაღის საწყობი ,,აღმოუჩინეს'' და რამდენიმე ოდაბედელთან ერთად შორეული ციმბირის გზას გაუყენეს. საღამოობით ჭყონდიდის ძირას ვიკრიბებოდით ხოლმე ლადი ჭანიას ჩონგურის გარშემო. როცა ის სულცხონებული მღეროდა, სამოცდაათს მიტანებულებიც კი ლოდებივით ამობურცულ ფესვებზე ისხდნენ ჩვენს გვერდით. ის ჰანგები გვაბედნიერებდა. იქიდან წარმართული ღვთაებები მოციაგებდნენ; მოქროდნენ ცხენის ფაფარს ჩაფრენილი ჭინკები სადაფისხელა ყურებითა და მზაკვრული თვალებით. იქ ცის მეუფენი: მესეფი, ელია და ანიც შეიყრებოდნენ. ხშირად გარდასული საუკუნის სევდა მოჰქონდათ მოზოზინე ჩელას და ბუსკას უღლისაგან გახეხი ქედებს. მისტიროდა თორმეტი წლის ბიჭუნას სიყვარულს, რომლის მტრედი მოშინაურებულ ძერას მოეტაცა — მდიდარს მიჰყვებოდა ღარიბ-ღატაკი ყმაწვილის სულისდგმა ცირა. კვნესოდა ჭუჭყით გაზინთულ, ასჯერ ხელ-ფეხგათოკილ ძოკოზე და მის მანუგეშებელ ხარ-კავზე. ზოგჯერ აკვანში გაკოკრილ ბონდოიას სარწეველას დაუნანავებდა, ვისაც კამარიდან დედის მკერდის უსიკვდილო შუქი დანათოდა. ჩაუკვირდებოდა ჟამთასვლას, დრომდინარს,ბორჯალს, შეუცდომლად რომ დასწრებოდა სამყაროს წარმოქმნას, მზისგან მიწის მოწყვეტას. ათასში ერთხელ უზენაესს შეჰქვითინებდა იმ ვრცელი ქვეყნის გამო, ცხოვრების ნება ყოფილიყო, ყველას რომ ეყოფოდა სამკვიდრობლად, საბედნიეროდ, მაგრამ რადგანაც, მის სასუფეველს კიბე არ მიედგმოდა, რადგანაც ადამიანისთვის დაყრუებულიყო და დაბრმავებულიყო, ისევ ჯარგვალების მაიმედებელ და ბატონების კინწისმკვრელ სახალხო გმირებზე დაიბუხუნედა. დროდადრო ჩვენს თვალწინ სესიას მონური ბუნებასც გაიელვებდა — სხვისთვის მთოხნელს და დამაშვრალს უხსნიდა, ბატონ-ყმობის გადავარდნით როგორ ატყუებდნენ; აკვნიდანვე ქედზე დადგმული შავი უღელი წითლად როგორ შეუფერადეს და მოჩვენებითი თავისუფლებით რა მოხერხებულად დააბრმავეს. იმ ჰანგებს მეც მევრჯერ მოვუჯადოვებივარ. მივსხდებოდით ჭყონდიდის ძირას და ფეხმარდი სინიბებით კვირას თვე ცვლიდა, თვეს — წელიწადი. დაამტკიცებენ თავმჯდომარედ და ვნახოთ. ჭეშმარიტი მესვეური მიკერძოებას ვერ დაუშვებს. წინამ-

ძღოლისათვის გამორიცხული უნდა იყოს ნათესავი და უცხო. ბაგი შეუდარებელია ამ მხრივ. მარტო გვიტ ანთარიას მაგალითი რად ღირს?! არდაშელ ჰალიძონიას ხომ ზეზეურად გაუშრო სისხლი.

ჩემი მითქვამს და რახან ამოგიჩემებიათ, რაღა გაეწყობაო, ფართოდ გაშლიდა ხოლმე ხელებს ნოჩოევიჩი, როცა ბაგისთან კამათით ვეღარაფერს გააწყობდა. იმ საღამოს კი აშკარად წაუასპიტა, მაგრამ გამოუვიდა რამე?

როცა ბაბუაშენიც ამ ქვეყნიდან წახვანხვალდება, მასაც კაკლის ხე დავურგოთო, წამოცდა უნებლიეთ, მაგრამ თითზე კბენა უკვე გვიან იყო.

რისთვის, არდაშელ, ბატონო, ნოჩოსავით ღობის ქვეშ გაძრომისას თოფი რომ არ გავარდნია და ზოგიერთივით ათასებს არ იჯიბავს, იმიტომო, მიაგება ხელად. ნოჩო ჰალიძონიას ძალად დაკოჭლების მიზეზი თაგვივით დააბზრიალა კატოთათებში. მოკლედ, ღობის ქვეშ ფორთხვისას ორლულიანის დაქუხებამ და იმ ჭახანით წამხდარი ფეხის ხსენებამ უფრო მეტი მოიმოქმედა, ვინემ საათნახევრის ძიძგილმა და ბჭობამ. არდაშელი გაისუსა, ვინაიდან დიდი სამამულო ომის გმირის შვილს შესაძლოა უარესიც წამოეყვედრებინა. მართლაც, შინმოუსვლელთა პარკის გაშენებაში საჩოთირო რა იყო, მაგრამ რადგანაც არდაშელს არ მოაფიქრდა, რადგანაც ბაგიმ აქაც აჯობა, ჩათრევას ჩაყოლა არჩია; ხეივნის მოწყობას მემორიალური დაფის გახსნა და ობელისკის აღმართვა დაუპირისპია, თუმცა ბაგიმ მისი წინადადება მყისვე სასაცილოდ აიგდო.

ქვა-ღორღის მიმატება გვაკლია ოდაბედელებს სწორედ! ორ-ორი თოხით დავიარებით ყანაში და ეს ოჯახქორი კიდევ ქვას ეპოტინებაო. ნაჯახივით სდრუზა შუბლში.

სწორია, სწორი, მართალს ამბობსო! წამოვიძახეთ აქა-იქ.

ჩვენ სულის მოსაბრუნებელი საჩრდილობელი გვჭირდება, რომელიც ზენა ქარებისგანაც დაგვიცავს, თორემ ქვა, თავში საკმარისზე მეტად გვილაგიაო, თქვა და, როცა ერთხმად ავჰყვით, როცა არდაშელს უკანდასახევი გზა მოეჭრა, რაღაც მისეულის მიტმასნება განიზრახა, ჩვენს საწადელს მოეხმატკბილა.

კარგი მაშინ, ომში დაღუპულების უკვდავსაყოფად თითო ჭადარი დავრგოთ. ჯერ ერთი, მალე იზრდება, მერე — დიდხანს ძლებს, ადგილობრივი ჯიშია, დასასრულ, რაც მთავარია, თანხებსაც დავზოგავთ, სხვა საქმეებისთვის შემოგვენახებაო, იგულთმისნა, მაგრამ კოვზი ნაცაში ჩაუვარდა.

ხედავთ, ოდაბედელებო, როგორი მომჭირნე გახდა უცებ ჩვენი ნოჩოევიჩი? გადავყარეთ თუ არა ფული გზის რემონტზეო, მოგვმართა კითხვით, და წელზე დოინჯი შემოირტყა.

გადავყარეთ, გადავყარეთო, ავხმაურდით ჩვენ.

ვის ჩავურიცხეთ აბანოს ასაშენებელი თანხებიო, კვლავ გამომცდელად მოგვაჩერდა ბაგი, მაგრამ როცა აქედან არავინ შევეპასუხეთ, თვითონვე დაასკვნა: ცხადია, არდაშელის ჯიბესო. რკინა-ბეტონს ბოძები დავუკვეთეთ ელექტრონის შემოსაყვანად და გაფისულს ძლივს ვეღირსეთ, იმასაც სანახევროდო. იქნებ გმირებზე საუბრისას მაინც მოვეშვათ ვაჭრობას. რას მიქვია ჭადარი და თხმელა. მიმატება კი არა, რაც გვაბადია, ისიც ძირფესვიანად არის ამოსათვხრელი! მხოლოდ და მხოლოდ კაკლის ხე, ხალხოო! სჭექა და ჩვენც ერთიანად ავჩოჩქოლდით.

შორს წავა ეს მამაძაღლი-მეთქი, ჩავიხითხით მაშინ და ვითომ არ მიმართლებს სიტყვა? არდაშელმა ბაგი ვერც ადგილის გამოყოფაში დაიყოლია.

ამხანაგებო, მეტი წინდაუხედაობა თუ გსმენიათ, თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებდა ჭოფიას მოთა. შინმოუსვლელთა პარკს თუ სოფლის ჩრდილოეთით, მაფატუს ნოყიერ მიწებზე გავაშენებთ, მერე ყანებს რიყეზე ხომ არ მოვთოხნითო, მოსჭრა და სასაფლაოს გაგრძელებაზე, ანთარიების მარმარილოთა გაყოლებით მდებარე ხრიოკს ჩააცივდა.

გმირთა სახელები სოფელში შემოსულ კაცს ჭიშკრიდანვე უნდა შეეგებოს წესისამებრ, ეგეც რომ არა, ჭიჭე კვეკვეს თვალებისც რომ ვერ ატანს, იმ ჯაგნარსაც ეშველება რამეო, დაასრულა და არდაშელის ჯინაზე ერთხმად ავიტაცეთ ბაგის სიტყვა.

შინმოუსვლელთა პარკი ენგურის პირას მოვაწყოთო, გავიძახოდით;

კაკლის ხეებით გავაშენოთო, ვხორხოცებდით. ვისი დამსახურებაა ახლა, სასაფლაოსაგან განსხვავებით უჩვეულო სიო რომ ირწევა მდინარისპირიდან?! მერე ყველაფერს რომ მოვეშვათ, მარტო შარშან თხუთმეტი ტონა კაკალი დავბერტყეთ სოფლის სასარგებლოდ. ახლა რამდენმა მოიპარა ჩემს არყოფნაში, რამდენმა გაჯაბასნაირმა შეჩვენებულმა გაჰკრა კბილი და რამდენი წაიღო წვიმა-ნიაღვარმა?! წინამძღოლად არის დაბადებული ნერვებმა თუ არ უმტყუნა და არდაშელივით არ დახარბდა ქარვასლებს. თუმცა, ისეთი სკოლა გამოიარა მამაჩემისაგან, აწი ვერაფერი წააბორძიკებს. როგორ უცებ შემაძულა წლების ნაცოდვილარი? ახლა ის ლეგენდა მთელი ცხოველქმედებით ხმაურობს ჩემში, როგორც ნიჟარაში გამეხებული ოკეანე, მაგრამ არც ,,ჟინი ანთარის'' ხელაღებით უარყოფა გამოვა. იქნებ რაღაცნაირად შეირწყას კიდეც ეს ორი ფენომენი. აი, ხომ სძულდათ ოდაბედელებს მამაჩემი, ჭრელი გველივით ეჯავრებოდათ და მაინც, როცა ავადმყოფის მორჩენის ყოველგვარი იმედი გადაეწურებოდათ, როდესაც ლოგინად ჩავარდნილს სისხლი ამოაღებინებდა ან კრუნჩხვებით მისავათდებოდა, თავებს ჩაღუნავ-

დნენ და შერისხული კაცისკენ, სატანჯოსკენ წაითრევდნენ წელს. მხრებში ისეთნაირად ძვრებოდნენ, თითქოს ებოდიშებიანო ამდენი ხნით ზურგშექცევის გამო. სამაგიეროდ ცოლ-ქმარი სიხარულით ცას ეწეოდა. მოიკითხავდნენ ახლობლებს, ტოლ-მეგობრებს, უმნიშვნელო წვრილმანსაც კი ძირისძირამდე ჩაეძიებოდნენ. ერთი სიტყვით, გაჭირვებისგან გათიშულებს ისევ და ისევ გაჭირვება გვაახლოვებდა. აი, ხომ ეზიზღებოდათ, აქილიკებდნენ პირში თუ ზურგს უკან და მიუხედავად ამისა, მაინც მის სამფლობელოს ჟინი ანთარის უკვდავების კუნძული ეწოდა. როგორც ახლომახლო სოფლებიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხე-კუნჭულიდან ხალხი დასტა-დასტა იქაურობას ამიტომაც მოაწყდა. თავისი სამყარო შეიქმნა — სულიერი გვემის ციტადელი. მოქმედების ადგილად შემთხვევით როდი ავარჩიე ჭაობნარში მიკარგული სატანჯო. ესაა ადამიანის გადაგვარების სიმბოლური მესოპოტამია, ესაა ყოფიერება პიროვნების ცნობიერებაში. რას ფილოსოფოსობ, მარტივად თქვი! დიახ! სატანჯო ბოროტებას განასახიერებს ჩემთან, ოღონდ — გაშიშვლებულს, ნიღაბახდილს. სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა უარყოს საკუთარი ზნედაცემულობა; სწორედ ეს უკანასკნელი უნდა მოევლინოს საზოგადოებას იმპულსად, ამოძრავებელ ძალად; სწორედ მან უნდა აზიაროს ხალხი ღვთაებრივ თხემს.

ბონდო: დასათაურების ორი გზა არსებობს, ჭიჭე კვეკვე, აქტიური და პასიური. ნაწარმოების შინაარსზე ცოტას გვეუბნება „ილიადა“, „დონ კიხოტი“, „ფაუსტი“, მაგრამ ერთგვარ პლატფორმას გვიქმნის „ვეფხისტყაოსანი“, „ღვთაებრივი კომედია“, „გველისმჭამელი“. თქმულა: კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო, რადგანაც თხზულების კითხვისას სათაური ლამპარივით მიგვიძღვის წინ. „ოდოიპ: თუ „რინამისჯილი?“

ჩვენში რინამისჯისლს იტყვიან კაცზე, რომელიც უსაშველო მარტოობისთვის გაწირულა. სიზიფეს ლოდს შესჭიდებია. მაინც ვინ იქნება რინამისჯილი, თუ არა კაცი, რომლისთვისაც ცხოვრების ღავღავი არარაობაა, ვინაიდან თვით წუთისოფელი ეარაფრება, თუმცა მოვალეობის გრძნობა ისე მაღალია მასში, რომ ყოველივე პიროვნულს უყოყმანოდ სწირავს სამშობლოს კეთილდღეობას. მოუხმობს გორაკებს იქით გზააბნეულ ალიონებს; მამულის წილ ჰაერს, წყალს, სითბოს, აკვანს, სართულს, რომელც საბოლოო ჯამში, მეზობელი ერების თუ ზოგადად კაცობრიობის ბედნიერების საწინდარიც გახდება. დიახ, ხესავით იქნება ეს წიგნი. მართალია, იგი დაღლილ მგზავრებს მისანებივრებელი გრილსიოთი ვერ მოეფონება; ვერც ნაცად ხუროს მოხიბლავს სილარეტანწყობილობით, მაგრამ მე ,,ოდოიას'' არც საჩრდილობლად ვუპირებ

გახარებას და მით უფრო — საფიცრედ. მე იგი ადამიანებს კლდის წვერზე მეხამრიდად, ტაროსისა და ავდრის გასარკვევად, კეთმლსა და ბოროტის შესამეცნებლად უნდა ავუშრიალო. ბონდოია. ოდოია. თავისთავს მიაჩეჩებს თურმა. ჟინი ანთარს კი ერთხელაც არ წამოსცდენია ჩემზე რაიმე დაწერეო. მესაზღვრეების მეთაურად ხიჟნიაკის დანიშვნამ მისი ყოფიერება მიზანსწრაფული გახადა. სამეგრელოს ტყეების მომაჯადოებელმა სილამაზემ, აქაური ჭაობიანი ადგილების ხელთუქნელმა მშვენებამ, ნისლებში გახვეული ლელიანებისა და ისლიანების მიმზიდველობამ დააძმობილა ის და ალექსეი. სატანურისა და ღვთიურის ნაჯვარს ეძახდა. არაფერს იშურებდა მისი ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად. უშოვა საჭირო წიგნები და ხელსაწყო-დანადგარები. სადისციპლინო სასჯელის მოსახდელად ტალიკ-ტალიკ ბიჭებს ჰაუპტვახტის ნაცვლად სატანჯოზე უკრავდა ხოლმე თავს, რათა ზოგს მუხისა და წაბლის ფიცრები ერანდა, სხვებს კალატოზის ხელობაში ეცადა ბედი, დანარჩენი შავ სამუშაოს დასჯერებოდა.

ჟინი: აქ დასამალი რაა, სწორედ ხიჟნიაკის წყალობით მიეცა სატანჯოს იერსახე. მერე და მთავარი, ცხრაასოცდაჩვიდმეტში მისი მეცადინეობა რომ არა, შემრჩებოდა თავის მხრებზე?

ცისფრად შეღებილი მესერი. ზედ ხის კოხტა ჭიშკარი. სამოსახლომდე მისასვლელი მოხრეშილი გზა. აქეთ-იქით დეკორატიული მცენარეები. კერამიკის გვიმიანი ჭა. ოწინარი. ტანმაღალი ცაცხვის ძირას წაგრძელებული მაგიდა. მერხები. ორი მესამედით ლელიანში შეცურებული და ანძებიანი ხომალდივით თვლემს ჭაობნარში. მუხის ძელებზე დგას იგი მშვიდად. დაბოგილ პონტონზე რკინის კიბე ეშვება.

მესამე გამორიცხულიაო, სამ-ოთხჯერ მაინც იტყოდა დღეში. ტერენტი პირიქით ამბობს: არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ — რაღაც სხვაო, ესე იგი მესამე სწყურია, ის მესამე, რომელიც არარსებულია. რუსთაველი, ფუი, ეშმაკს! რუსთველი უფრო კონკრეტულია. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო. აქედან ადვილი დასადგენია, რომ საერთოდ სიცოცხლეა ყოვლისმომცველი სუბსტანცია, მიზანი.

ბონდო: ბოსელში შედი, ჭიჭე კვეკვე, იქ სარდაფში ჩასასვლელს იპოვი. ცოცხალი თუ დაგხვდა, ბუტუტი გიხმობს —თქო, ასე გადაეცი.

ბაგი: ჭაჭია, კიდევ ხომ არ შეგინიშნავს ოჩოკოჩის ნაფეხურები?

ჭაჭია ქობალია: არჩ მაშეა შაქმე. ჩავალთ შატანჯოში და თქვენი თვალით დარჭმუნდებით.

ლელიანებს ხასხასი გაუდით. ქროლავს თბილი ზღვაური. წყალსაც, მიწასაც და ცასაც ხვლიკისფერი დაჰკრავს. აყვავებულა დუმფარა. ჭაობის მუხიანს ლაჟვარდისფერი მისძალებია. ჭური წყალდამპალას ჩაუხერგავს. ფითქინებს თეორი და ყვითელი ზამბახი. თიმთიმებს ლიამწოვი. ლერწმოვანებიდან ლელქაშის ქათამა ხმიანებს. ჭყონკაკუტის საძოვრებიდან კამეჩების ჯოგი ყროყინებს. ზედ ფიცარნაგთან მითუხთუხდებიან მოტორიანი ნავით, თოკით პალოზე მიაბამენ და უკაცრიელ ბილიკს მიუყვებიან. რაზმს ჭიჭე კვეკვე მიუძღვის და აქეთკენ, აქეთკენო, აქეზებს ჩამორჩენილებს.

ჭიჭე კვეკვე: ლობიო ხომ არ გიჭამია, ჭაჭია. ბუნაგში გამომწყვდეული ლომი გინახავს? არა?! მით უარესი შენთვის!

კოლი ჭანია: იატაკს რას ეჯაჯგურები. ვერ ხედავ დაჭედებულია ის ფიცარი?!

ძალაყანის რამდენიმე მძლავრი დარტყმა და ხარო შავად დააღებს პირს.

ჭიჭე კვეკვე: აჰ, კიბეც ყოფილა! საით მიიპარები, ჭაჭია? რისი გეშინია, საცვლების მეტი რა ჩამოგიტანეთ?!

ჭაჭია ქობალია: რაშ მერჩი, ადამიანო?! ვეჭევი.

ჭიჭე კვეკვე: ჰაერი არ გააჭუჭყიანო ერთბაშად. ჩამოდი, ჩამოდი-მეთქი! აქაურობა ისედაც ყარს. აქეთ მოანათე, ბაგი, ფანარი, აქეთ.

ძელებით ამოყვანილ კედელს შუქი გადაურბენს. მერე ის სინათლე ბოქლომაცლილ კარებს მიეყინება, რომელიც თუნუქის ფურცლებით შეუჭედავთ და ზედ კეგელი ოცდათექვსმეტით აწერია: „**LABORATORIUM**“

ბაგი ანთარია: შევანგრიოთ?!

ჭიჭე კვეკვე: ირეკდით და განგეღოს თქუენო, მათემ.

უსაშველოდ გრძელ თითებს მინის ფირფიტაზე გამოსახულ წარწერას ისე უცაცუნებს ჭიჭე კვეკვე, თითქოს დაელექტროებული იყოს. მერე ხელებს ნეტარებით მოისრესს და მიუკაკუნებს ზედიზედ. რამდენიმე წუთში ჯაჭვი აჩხარუნდება. გაიხრჭიალებს რაზა. ჯერ ჭიოტა შუქი გამოკრთება კარის ღრი-

ჭოდან. ისევ აუღარუნდება რკინა და სულ მალე ჟინი ანთარის ვერცლშინაფერი თმა-წვერი შერჩებათ ხელთ. ბაგის გარშემო მჭიდროვდებიან.

ჟინი ანთარი: რაკიღა მოსვლა იენებეთ, მობრძანდით.

ძრავა-გენერატორი ქოთქოთებს. ლაბორატორიის დანესტიანებული ბეტონის კედლები კირით შეთეთრებულა. ამ შმორსა და დამძიმებულ ჰაერში საკმეველის სურნელიც შეიგრძნობა. გასწორებულ ლოგინს შალითა აფარია. მაგიდები, კარადები სხვადასხვა ზომისა და ფორმის მენზურებით თუ სინჯარებით გამოტენილა. ბეტონის იატაკს წითელი საღებავი გადასცლია ხშირი ხეხვისაგან. ძველებურ სკამებსა და მდიდრულ სავარძელში ახალგარეცხილი თეთრეული აფენია. სამზარეულოს მაგიდაზე ხიზილალათი სავსე ჯამი დგას. კედელში დატანებული განჯინიდან მოჩანს მუქი სითხით გაპიპინებული ბოცები, შებოლილი ყველი და კონსერვის ქილები. ელექტრომიკროსკოპის გვერდი, დასვრეტილხუფიანი მინის ჭურჭელში ასპიტი სპირალივით დახვეულა. ფრაკიანი მასპინძელი ექსპერიმენტს უკირკიტებს და ოდაბედელების ვიზიტს არაფრად აგდებს, ოღონდ ეს არის, ხშირ წვერებსაც მალიმალ იბრჭყალავს.

ჟინი ანთარი: წყალდიდობას გაუმაკლავდებოდით, ალბათ.

ჭიჭე კვეკვე: ჭოროფა რას დაგვაკლებდა, მაგრამ ის ბიჭია საავადმყოფოში. ავარიაში მოჰყვა კოჩიას ძმისშვილთან ერთად.

ჟინი ანთარი: რეანიმაცია. მეტი სიფრთხილეა საჭირო. ხომ გარდავქმენი. ჰორმონები განსაზღვრავენ ყველაფერს. გამოდის, რომ ნებისმიერი სტრუქტურის გარდაქმნა პრაქტიკულადაც შესაძლებელია...აგერ, მუშა ჭიანჭველებს ფრთები გამოსდით. იქმნას ნათელი... შევქმნათ ადამიანი ხატად და სახედ ჩვენდა... ჩემგან რას მოითხოვთ?

ბაგი ანთარია: როგორ თუ რას?!

ჟინი ანთარი: არა, გკითხეთ, ჩემგან რაა საჭირო-მეთქი... თვალის დახამხამებაში გამოსდით... ფრთები გვინდა.

ჭიჭე კვეკვე: უწინარესად ის, რომ უნდა წამოგვყვე. ვიდრე მოვკვდებოდე, ერთხელ თვალებში მინდა ჩავხედოო.

ჟინი ანთარი: რას ჩუმჩუმელაობთ, რას მექარაგმებით?! პირდაპირ ვერ მეტყვით, დასაპატიმრებლად მოვედით-თქოო?! გიხაროდეთ! მე ვარ ყოველივეს თავი და თავი. დიახ! მე, მე მემორჩილება ბუნება, სამყარო, ოდაბედე. მუშა ჭიანჭველები მე, მე

ვაქციე ფრთოსნებად. გიურზას აგრესია მე, მე ვუანდერძე ვასაკას. ვარდის მშვენიერება მე, მე დავანათლე ჭინჭარს და — პირიქით... აქ, ამ ლაბორატორიაში ჩავუდგი სული ბუტუტის... სულსწრაფი. მორჩა, გარდამეცვალა უკვე და ვერავითარი დასტაქრის ხელი აღმიდგენს მკვდრეთით... აჰა, ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას*. ცხვირმოუხოცელი... უზენაესს განუდგა და ამიტომაც არის განწირული, როგორც ჩემგან, ისე — განგებისაგანაც... ცხრა იანვრის ღამით, როცა სატანჯოდან გადაიხვეწა, ზღვისპირამდე მივსდიე უჩუმრად. როდის-როდის შინმობრუნებულს საზარელი სურათი დამიხვდა... კოჩიას ბალიშით გაეგუდა მამიდამისი მაფა. თვითონაც გული გასკდომოდა, იქვე ეგდო იატაკზე და სწორედ მაშინ მოვისაზრე ბუტუტისათვის ალიბი შემექმნა.

კოლი ჭანია. ვინ ბუტუტი, რომელი ბუტუტი?!

ჟინი ანთარი: ყოველ შემთხვევისათვის ნირგა ქობალია არა. ვითომ, მართლაც არ გაუმჟღავნებია ვინაობა?

ბაგი ანთარია: ვხვდებოდით. ბაბუაჩემმა ჭოფიამ შენ მიგამსგავსა პირველი ნახვისთანავე, მაგრამ თვითონ ბიჭს არაფერი გაუმხელია. ეტყობა, სიმართლის თქმა უმძიმდა.

ჟინი ანთარი: წააკითხებდით, ალბათ, ჩემს წერილს?!

ბაგი ანთარია: როგორ არა. დიდად განათლებული პიროვნების ნაწერს ჰგავსო. უბედურ შემთხვევამდეა შეთხზულიო.

ჟინი ანთარი: სხვა არაფერი უთქვამს?!

ჭიჭე კვეკვე: არაფერი, თუმცა შუბლიადან ნეკისისხო ოფლი ჩამოსდიოდა წურწურით.

ჟინი ანთარი: დავიჯერო, არც დედისთვის?

ბაგი ანთარია: გიორგი სახელით ვიცნობდით აქამდე.

ჭაჭია ქობალია. ეშ რა ეშმის ჩემშ ყურებშ!

ჟინი ანთარი: თუ დამცალდა, ჭაჭია, უფრო მეტს გაიგებ. ნუ წრიალებ, კოლი, ნამუსიანი კაცია ჟინი ანთარი. მაშ, ჩემი ერთგული დარჩა?! იტანჯებოდა და მაინც ჩემს სამკალს მკიდა! რატომ იმ ცეცხლში არ ჩავიბუგე მეც? მომინახულოსო თან. სამარადისოდ უნდა გამაყოლოს ყვედრებით სავსე მზერა. ბუტუტის გაჩენის საიდუმლო წამითაც რომ გამჟღავნდეს, მაფა ჰალიძონხე არც თავს იცოცხლებს, არც მე დამაყენებს ქვეყნად

და მით უფრო — ჩემს ფესვს თუ კენწეროს-მეთქი, ვშიშობდი ფიქრში გამუდმებით, მაგრამ სული წამსძლევდა და ოდაბებეში შუაღამით ქურდულად შევიპარებოდი. ჰალიძონიების ოჩოფეხზე შემოსკუპულ ოდას მივაყურადებდი, სადაც აჟღურტულებულ ბუტუტის აკვანს ურწევდა და „იავნანას“ უმღეროდა ცირა შკვინთია. სარკმელს აკრული დაბეჯითებით ვრწმუნდებოდი, რომ ყოველგვარი თეორიისა თუ ლაბორატორიული ჩირთიფირთობის საწინააღმდეგოდ დედაკაცისთვის საღსალამათი მემკვიდრე მეჩუქებინა და ეს აღმოჩენა სიხარულთან ერთად გულს მიწურავდა მაფასთვის წართმეული პირმშოს გამო... ჩემი სიცოცხლემისჯილი ძე... როგორ ვირწმუნო იოტისოდენადაც არ წამოსცდენია?!

ჭიჭე კვეკვე: ონწყვეშია ახსენა ერთხელ. აი, ეს ჩანთა დაკარგვოდა ქალაქში. კანონიერ ქურდებს ჩავარდნოდათ ხელში მისი დაბადების მოწმობა, შემნახველი სალაროს წიგნაკები და ფოტო-სურათები.

ჟინი ანთარი: ტანსაცმელი იყოს. სურათები მანახე, სურათები.

ჭიჭე კვეკვე აწვდის. ჟინი ანთარი კარტივით შლის ფოტოებს. ორს ამოარჩევს, მაშუქის ქვეშ ათავსებს და ლუპით ათვალიერებს აცრემლებული.

ჟინი ანთარი: სულ ჩემი ალიკვალია... მამასულძაღლი!

ჭიჭე კვეკვე: ამ კასეტაში ბონდოს საუბარია ჩაწერილი.

ჟინი ანთარი: ჰქენი სიკეთე.

რეტდასხმული უსმენდა. მერე სპირტის გაზქურა ჩააქრო. პედანტური სიზუსტით ალაგებდა ნივთებს.

ჟინი ანთარი: უყურე, როგორ მჩაგრავს?! თვითონ იბრალებს ჩემს დანაშაულს! ვერა, ვერ გავუძლებ მის თვალებს მე! დაე, წარწყმედილი წარწყმედილადვე აღვესრულო, მაგრამ რა ეშველება ბუტუტის?! სახელგამტყდარსა და ძმათამკვლელის შვილს ვინ იმეგზურებს, რომელი?!

ჭიჭე კვეკვე: მაშინ წერილობით მაინც დაადასტურე მისი მამობა. ჩემთვის კი არ გოხოვ, ბონდოსთვის გვჭირდება. ჩვენ სოფელიც გვეყოფა პატრონად. სულგრძელია იგი, ღმერთის სადარი. შენგან განწირულებს ოდაბადემ გვიმკურნალა ისევ.

ჟინი ანთარი: ვიცოდი, ადრე თუ გვიან, მომაკითხავდა; ვიცოდი, ერთხელ მაინც მომაყრდნობდა თავს... დავისაჯე ვითომ?!

შევძელი საკუთარი სულის რედუქცია, რეაბილიტაცია, ა ღ დ გ ე ნ ა?! ერთხელ მაინც ჩავხედოო თვალებში... ვერ გამიგია, აქ რას უდგახართ, რისთვის არ მაჩქარებთ?! იქნებს სასიკვდილო სარეცელი გაუკუღმართდა უჩემოდ დე ვეღარასოდეს ვეღირსო მის სამართლიან ყვედრებას!

ზღვიდან მონაბერი ქარი ფრაკის კალთებს უფრიალებს ჟინი ანთარს. ბრჭყალებში ნანებივრები წვერი ეღრიცება. მერე წააბიჯებს ინსტიქტურად, მაგრამ ნავთსაყუდლისკენ კი არა, სულ სხვა , დუმფარებით დაფარული ონწყვეშიას მიმართულებით. მონუსხული კაცები მათდა უნებურად მიჰყვებიან მოხუცის მოცახცახე მხრებს.

ჟინი ანთარი: აქაურ ყვავილებს ჩავუტან, გაწამებულ რინას უებარი წამალივით დაუყუჩებს.

თამამად მიიწევს წინ. ბალო და უჟანგავი მავთულები განზე რჩება, რომლებითაც სასიარულო ბილიკები მოუნიშნავს სატანჯოელს. მაცდურად ხასხასებს საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული გარემო. ხელის გაწვდენაზე ზღვის გრუხუნი ნაცნობ მელოდიასავით გასდევს წარწყმედილი კაცის სწრაფვას ყვავილებისაკენ. კიდევ რამდენიმე ნაბიჯით შორდება უახლოეს მავთულს ჟინი ანთარი. აჰა, სადაც არის წაეტანება კიდეც გაშლილ გვირგვინს. მიწისფერი ხელით მოსწყვეტს ერთს, მეორეს, მესამეს და უცებ, თითქოს უჩინარი არსება წაებღაუჭაო, შეტორტმანდება. გაწკრიალებული ფეხსაცმელები ჭაობის უმშვენიერესად მოქსოვილ ხალიჩაში ეფლობა, გაირღვევა ნოხი, მთელი ტანით შექანავდება. ცალი ხელით ყვავილებს ბღუჯავს ჟინი ანთარი, მეორეთი სპეტაკი წვერი არ ეთმობა. ცოტაც და უფრო მძლავრად შეანჯღრევს ონწყვეშია. ჯერ მუხლებამდე ჩაითრევს, მერე ფრაკის ტოტები გაფხრეწილ ქოლგასავით შერჩება ლეჭენყოს. მიცურავს, მისრიალებს ლიამპალის ხახაში. წინ კავკასიონის ქედების ქათქათა ხერხემალი ალანძულა. თავქუდმოგლეჯით დარბიან ბაგი ანთარია და ჭაჭია ქობალია. ონწყვეში მუყაითად, თანამიმდევრულად საქმიანობს. აჰა, მობოჭა შეუპოვარი მხრებიც, ამაყი ქედიც მოხარა. ახლა ყვავილების მბღუჯავი ხელიღა ჩართულა უთანასწორო ორთაბრძოლაში. გამარჯვებული ონწყვეშია ბუყბუყებს, იბუშტება. ძველე-

ბურად ჭიოტებენ წინტალა, ლელქაშიანის ქათამა და კოკორინები. ძველებურად კეკლუცობენ ჭაობის ზამბახი, ლანცეტა ხაიები და ფიალებად მორთმეული დუმფარას ყვავილები. ონწყვეშია საღათას ძილით რულავს“.

ყბამონგრეულ ბოქლომს და ნახვრეტში მოთავსებულ გასაღებს ჭიჭე კვეკვე გულგრილად ჩაუვლის. ჭყონდიდისკენ მიალაჯუნს. უკან რჩება ტოლის სახურავგადახდილი ყაზარმა. მის მზერას ცისფერი უდიდროვნდება. გარდასული სიჭრელე თვალწინ ულივლივებს, მიაქანებს ფოთოლივით ამსუბუქებულს.

აგერ, ნაბორნალისკენ მიმავალს, ხოთო ქობალიას ძაღლების მეთაური შარიქა აეკიდება. მეგზურს არიქაც მიბაძავს. მათ არამი და შარამიც შეუერთდდება. ჭიჭე კვეკვეს საეჭვო ტვირთი — ბონდოს ჭაობისფერი ჩანთა, გიშერს და მიშერს მათი სქესისთვის უკადრის საქციელს დაათმენინებს. ჭაბუკური სილაღე მიეძალება ჭიჭე კვეკვეს. ყაბალახის ბოლოებს მჭიდროდ გაინასკვავს კეფასთან.

„ცუანა ყაზაყი.

ჭაჭია ქობალია: ამჯუვნებული ჯაღლები რომ აგიდევგებია ამ შიშხამ დილით, რაშია შაქმე, ფეხი ხომ არ დაგჩურებია ჩაჩუჩქვიშაშ?

აყურადებდა, ალბათ, ჭაჭიას და კოლი ჭანიას საუბარს. აინტერესებდა, რას მოიმოქმედებდა ბონდო. დავიჯერო, მაგას ადამიანი ებრალებოდა? კატის კნუტებივით დაგვყარა. რატომ უხსენა ნირგა ქობალია? საწრიალებელი რა აქვს კოლის? მის სინდისზე ხომ არ არის ნირგას გაუჩინარება?

შუადღის ბაბანაქება. ჭყონდიდის ორო-სიგრილეს შეფარებული ოდაბადელები. ბატარები ლოდებივით ამობურცულ ფესვებზე სხედან. ენგურის ლივლივიდან მოჩანს ჟინი ანთარის ნიჩბის ნავი. მეთაური ადგილი ლადი ჭანიას უკავია. მწიფე ჭერმისფერი თმა გიშრისფრად უბზინავს ცირა შკვინთიას. ჭიჭე კვეკვეს ტანში ჟრუანტელი უვლის, ვინაიდან ეჩვენება, რომ მთელი სოფელი — სამივე დროის ოდაბადე, რაღაც დაკარგულს მოელის, რაღაც სანატრელს უცდის, ბონდოს მაჯისცემას აყურადებს.“

მამლების ყივილი ფიქრებიდან გამოარკვევს ტორონჯიას, „ხოლო სიმონ-პეტრე დგა და ტფებოდა. რქუა მას მუნ მდგომარეთა მათ: ნუუკვე შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა

ვარ. მეც გაგწირე შენ, როცა დაბადების მოწმობის ხსენებით გული გადავუქანე ცირას და ვაიძულე ყაზარმაში შემომყოლოდა. **შუაგზაზე შემომადნე საწყალი**".

ჭიჭე კვეკვეს მაღლიდან ვარსკვალავები ეციმციმებიან, დაბლიდან — ტალახში ნათრევი ღამე. ოდაბადე ძილ-ბურანში გახვეულა. ხვდება მგზავრი, რომ ოცნებაში ბილიკიდან გადაცდენილა. ეს ფაქტი ფრიად ესიამოვნება ტორონჯიას და გამტვერილ ჩექმებს მიჰყვება და მიჰყება.

„ბარემ მთელს ოდაბადეს შემოვივლი, როგორც აქამდე, დავლოცავ თითოეულ ოჯახს და სამსჯავროს წინაშე ვალმოხდილი წარვსდგები.

ბონდო: რინა-ოდაბადეს არსი ძალთა დაუსრულებელ ჭიდილშია, ჭიჭე კვეკვე. ჩვენი შინაგანი დავაც ამ გლობალური პროცესის პრიმიტიული გამოხატულება იყო, ალბათ, სადაც მართალი და მტყუანი განუსაზღვრელია. ბოროტება იქნება, ეს თუ ის სიკეთე, ერთ-ერთის განადგურება მეორის გაცამტვერებასაც ნიშნავს, ამდენად, მიზნის ამოწურვას გულისხმობს და სამყაროს აბსურდული შინაარსით ტვირთავს. გადარჩება, უსათუოდ გადარჩება. ჩემს სულს ბაგირივით ქაჩავენ აქეთ-იქით ცოცხლები და მკვდრები. შუაზე მხლეჩენ. ასე მგონია, ვიღაც მესამე იბადება ჩემგან. არა, არ გაისვრება ლაფში მათი უბიწო სიყვარული. აგერ არა ვარ? ამის უფლებას არავის მივცემ. აქ მოდი, ჩემთან, ჟრუანტელო სიტყვის გაჩენის! მოდით ისლებო, ზღვისპირისა ოქროცუვილის, გარდასული დროის ჰანგებით რომ მესასთუმლენით! თქვენც კაქტუსებო, კაქტუსებო, თავისუფლება, ვინც ეკლიანი გვირგვინებით მოიხელთავეთ! ქედგახეხილო სახიკაცნო, ანდა დედებო — ჰარამხანებში დაწურულო ფარშავანგებო, ამოიწიეთ მარადიულ სასთუმლებიდან. მე აგერ ვდგავარ, გრიგალები სულს მიწიოკებს, ქვიშის ყვითელი ქარავნები იგრაგნებიან, სიმხურვალეა და თაკარა ხელისგულებით მოგეზიდებით ასე გმირი, შეუპოვარი. მე აგერ ვდგავარ, წინამძღოლი მე ვარ უდრეკი, ვინც საუკუნის ქარტეხილი აიყოლია, ვის ნაფეხურებს ვერ გადარეცხს აგვისტოს თქეში და ვერც იანვრის ყინვა-თოვლი მოაპირკეთებს. გესმით სიმღერა, როგორ, როგორ მოარღვევს ბნელობს; ვით შეგიერთათ აფეთქებამ ჩემი სულისა; როგორ მიიწევს ცისკენ მთელად თქვენი სხეული, ვით მონუმენტი შუადღისა, მზისგან ნაძერწი?! როგორ მიიწევს გაქანება თქვენი გენისა, რა ამბოხებულ ვულკანების ისმის ზრიალი?! აქ მოდით, ჩემთან, წარსულიდან თუ მომავლიდან, ყველა უკლებლივ, ვისაც ფეხი გადაგცდენიათ, ან გაგიწვდიათ ხელი ველურ ჯურღმულებისათვის! აქ მოდით ყველა, წუთისოფლით ვინც გაეწამეთ, ვინც ვერ შესძელით შეჩერება მოლიპულ

გრძნობის! აქ მოდით ყველა, ამაოა თავის მართლება — ვეღარ მოგხედეთ, ვეღარ გეძმეთ, ვეღარ გიხსენით, აქ მოდით, ჩემთან, ჩამომრეცხეთ დანაშაული! წარსულიდან თუ მომავლიდან, უდროობიდან; კვირტებიდან თუ კოსმოსიდან, უსივრცობიდან; ქორწილიდან თუ სამარხიდან, უკვდავებიდან, შემომეხვიეთ, შემომეწყვეთ, შემომეგარსეთ, შემომეგარსეთ — რინამისჯილ ყრმას უგალობებს არსება ჩემი!"

შინაგანად მტკავლით გაზრდილი ჭიჭე კვეკვე აშკარად გრძნობს, თუ ბონდოს წაბღაუჭებული ანკესები რანაირად მოქაჩავს მის სულს. მის მეობას ჯიმაყონიერი დაპატრონებია სავსებით და მხოლოდ ახლა ჩაწვდა იგი საკუთარ გენიას — თურმე იმისთანა წკვარამეთიდან მოედინება, რომ ძლივ სიბნელის ზღვარამდე მოღწეულა, სადაც ბინდისფერი უმშვენიერესად ხავსავს შებურუსებულ ასაბიათა მარამარილოებს.

მამლის ყივილი ელექტრონივით დაურბენს ძარღვებში ჭიჭე კვეკვეს ისევ.

„ჰრქუა მას ერთმან მონათაგანმან მღდელთ-მოძღუარისამან — ნათესავი იყო მისი, რომელსა — იგი პეტრე წარკუეთა ყური — არა მე გიხილეა მტილსა შინა მის თანა? და კუალად უარყო პეტრე და მეყსეულად ქათამმან იყივლა*.

იქნებ ქვენა გრძნობა კი არა, აუცილებლობა მკარნახობდა ყოველივეს? იქნებ იუდას ამბორიც ქრისტესგან უფრო მომდინარეობს, ვინემ ისკარიოტელისაგან?!

მე ვინც გამყიდის, იმის ჯამში ჩავაწყობ ლუკმასო, დიდი საქმისათვის ამზადებდა სულ. ერთის დაუმხობლად ვერაფრით ამაღლდებოდა მეორე. დაეცემა გიორგი ხანთარიძე, სამაგიეროდ ბანდო ანთარია აღზევდება. მოკვდება ღმერთი და დაიბადება ადამიანი! არც წუთისოფელია გოლ- გოთაზე ნაკლები!"

წვრილი კენჭების ჩხრიალში, ძაღლების უგულო ღაღავში, ზურგს უკან რჩება ცირა შკვითინიას გამობნელებულ ეზო-კართან ყოყმანი. ახლა ჭიჭე კვეკვე იქითკენ იმზირება, იქითკენ, რომელ მხარეს ლაჟვარდების ყირმიზი ასული — მზე, კავკასიონის ამოქარქაშებულ მწვერვალებს სადაც არის ვარდისფერი თითებით მიუალერსებს. ეჩვენება, თითქოს აღმოსავლეთიდან ამობრდღვიალებული მანათობლის დალალების აბლაბუდაში გაიხლართება სადაც არს და საკუთარი თავს რამდენიც უმტკიცოს უსასრულო-მარადიული გასამყაროება, რწმუნდება, რომ ცირა შკვინთიას თმისფერი გარიჟრაჟი სულ მალე შეიწოვს, შეისრუტავს, შემოიმტკიცებს.

,,სანავიაციით პროფესორები ჩამოაყვანინა თბილისიდან. გიჟს ჰგავდა.

ცირა: მომწყდი თავიდან, თვალითაც არ დამენახო! მენძორე ყვარია!

აბა, როგორ გინდოდა გონმიხდილი ცივილიზაციის ნაშიერს, რომელი ცივილიზაციაც ეგრეთ წოდებულ პროგრესს სუსტზე ძლიერის უპირატესობით ინაღდებს?! ვინაა ეს სიცოცხლემისჯილი სამყარო, ზღვარდებული რიგის ელემენტებს შეუპოვრად რომ ურევს ერთმანეთში?! ნუთუ ჩემს მოძრაობას მიზანსწრაფულობა აკლია? იქნებ ჩემი წასვლა კანონზომიერია არსებითად? სამართებლისმაგვარი ყამით მუცელს გამოვიფატრავდი, მაგრამ რა ეშველებათ ბონდოს და ხანტურს უჩემოდ?! მათი ბედნიერებისათვის არდაშელ-ცირიბიას ფული საკმარისია განა?! არ წაუჯიკავებთ ვითომ ზეზეური სიკვდილისკენ საწუთრო?! მე უნდა შეუძლებელი შევძლო! მე ღმერთი ადამიანად უნდა გადავაქციო. ყველა პირობა არსებობს საამისოდ: ჟინი ანთარის ანდერძია ეს, ფოტომასალა, თუ „ოდაბადე, როგორც ასეთი". დავუმატოთ ამას ლაბორატორიაში ჩაწერილი საუბარი და ნათელი შეიქმნება, რამხელა კოზირები გვიპყრია ხელთ. გამოვკითხავ უკლებლივ ყველას, ვისაც კი შეხვედრია. ვივალებ, ცხრაპირ ტყავს გავიძრობ და მათზე აუგს არავის ვათქმევინებ! სხვა მხრივ ჩემი ცხოვრების მიზანი ამოწურულია. „ოდოიას" შექმნილი ვარ აწი, ჩაჩანაკი, სამარის კარამდე მისული?! რანაირად მომახუტა ხელზე ლოყა. ცოდვილი თუა ვინმე, მე ვარ მხოლოდ, მე!"

ჭიჭე კვეკვე გრძნობს, ჰაერის ლურჯ ოკეანეში როგორი სიმსუბუქით მისრიალებს მზე, ვინაიდან მის ამბოხებულ სულში ცირა შკვინთიას დალალებიც ამნაირადვე მოიწეწებიან და ეს წარმოსახული გენია მის არსებობას შეეხება თუ არა, მაშინვე გაუფასურდება ჭყონდიდის ძირას წარმოსახვით შეკოწიწებული ხელოვნური დრამატიზმი თუ ოდაბადეში ყოფნით გამოწვეული პესიმიზმი. მიხვდება, რომ ერთადერთი ცათაფრენა ცირა შკვინთიაა, რომლის დალალების ლამუნი ქვის საფეხურზე ამავალი ბალახების ხავერდოვან სუნთქვასაც იერთებენ, ვარსკვლავებით მოხატულ ცარგვალსაც მიიმხრობენ და ცალკე პალატაში განმარტოებული ქალ-ვაჟის ბოდვა-ჩურჩულსაც. უკვე არაფერს ჩივის ჭიჭე კვეკვე, ვინაიდან ცისფერი ჯიმაყონერის გენია ერთხელგამონათუბულივით დაუსრულებლად იტრიალებს საადამიანოში.

— ვერავითარი სიკვდილი ჩააქრობს სიცოცხლის თესლში სინათლის მოძრაობას, რადგანაც დროშასავით ხელიდან ხელში გადადის იგი. — მოსჭრა ანაზდეულად.

„შეუცდომელი ვინ არ ყოფილა ამ ქვეყანაზე, რომელი?! შეეშალა მოსეს, უფლის ძლიერებაში რომ შეეჭვდა და კლდეს ორჯერ დაჰკრა კვერთხი;

შეეშალა გოლიათის დამამხობელ დავითს, როცა ურია ქეტელს ჯერ

სიცოცხლე წაართვა, მერე — ცოლი; შეეშალა სოლომონ ბრძენს, როცა წარმართი მაწაკების ზეაგვლენით კერპებს გუნდრუკი უკმია; შეეშალა მამალმერთსაც, რაჟამს ეშმაკს კისერი არ მოუგრიხა, ასე რომ, შენი ცდომილებანი, ჯიჯი, ამათთან შედარებით ზღვაში წვეთია".

ლითონივით გაღვივებულ მკერდში აჯანყებული ჭიჭე კვეკვე ჰაერს წაუპოტინება. სამყაროსეული ხმებისთვის სმენას ძაბავს. მკრთომარე სულში ჩამჩერე გალაქტიკა ხან ფემძიმე ქალივით ბორგავდა, ხანაც ჩვილის კეფასავით ფეთქავდა, მაგრამ, რაც მთავარია, არსებობდა და კიდით-კიდემდე ივრცობოდა მისი კანკალი. მაინც ბუნების წიაღში ბინადარი ადამიანის უკვდავებას ამტკიცებდა, მიუხედავად იმისა, რომ დაბეჯითებით იცოდა, ყოველი კვირტი მანათობლისკენ იბურცება. არასდროს მოუბრუნდება სათავეს ჩამოცვენილი ფოთოლი თუ შეკუნტრუშებული ნაკადული. მარმარილოთა ბურუსიან მხარეს სამუდამოდ ემშვიდობებოდა ჭიჭე კვეკვე. მზიანი აზრის მობრძანებას მისი ორჭოფა სული მიმოსწია. ორღობეებს და ჯუჯა გორაკებს გადასცილდა. მტკაველ-მტკაველ მიიწევდა სილაჟვარდეში, ჭყონდიდის კენწეროსკენ. ქვემოდან ჟინი ანთარის დათრგუნული სახება მოჰკიოდა. თითქოს სიკვდილის ორანი და ფეხისხმა ჭიჭე კვეკვეს ყურთასმენას პირველად მოსწეოდა. ზესწრაფვაში უმალესად მარადიულ ფორმებში აყალიბებდა წარსულის სურათებს, რეალურ დროს, მომავლის ხილვებს თუ ფერისცვალების უნეტარეს არეებს. ცას წაპოტინებული ამიტომაც უხმობდა კოლხური ნისლებით დაბურულ ველებს და სამისდღემშიო მირაჟებში დანთქმულ მწვერვალებს. ბონდოსა და ხანტურის ფერხთით დამხობილიყო ენგიდუნია.8 ჭიჭე კვეკვეს ოცნება ერთიანად შემოიკავშირებდა მილიონჯერ გადიდებული ლობიოს მარცვლის მსგავს ოდაბადეს; შემოიერთებდა ვეფხვებთან მეომარი პირტიტველი მოყმის დედას, თუ ნოეს კიდობანს შემოხიზნულ სიცოცხლესავით კავკასიონის უჩინმაჩინი მწვერვალებისკენ დაძრულ მანათობელს. ჭყონდიდის კენწეროს წარმოსახვით მოქცეული ჭიჭე კვეკვეს თვალსაწიერზე ზღვაურით მოცელილი სათიბი ამოცურდა:

მიწაში ტარით ჩარჭობილი ცელების ფონზე ხელიხელჩაჭიდებული ქალ-ვაჟი მინავადობს. დაცვარულ მოლზე ხან ბონდოს უცურდება ფეხი, ხანაც — ხანტურს, მაგრამ ერთმანეთს წაეშველებიან, წამოაყენებენ, ნატკენ მუხლისთავებს კოცნით დაუამებენ და დასალიერში მოტივტივე ქოხმახის მიმართულებით ტაატით გაუყვებიან ხასხასა ტრამალებს. მზე ოქროს თასში აგროვებს ძვირფას ანახებს. ჭალადიდის დასასრულს, სადაც შიშისმომგვრელი ცოცხალი ღობით შემორაგვული ჯარგვალი ტორტმანებს, ღია კარიბჭეს თავაწეულები გადააბიჯებენ და სადღაც ხსოვნის იწროებში ცირა შკვინთიას დალალებიც აიბურდება. იცის ჭი-

ჭე კვეკვემ მაცდუნებელ ჭიშკარში შესვლა რასაც მოასწავებს, ან იქაური წალკოტი რანაირი აკრძალული ხილით დაუხვდება, ან კიდევ როგორ აუკვარჩხალებს თავისქალას წუთისოფელზე ფიქრი თითოეულს, მაგრამ მისი მოზეიმე სული მწუხარების ბორკილებს განიშორებს, შეყვარებულთათვის უშურველ ღიმილს იმწიფებს ტუჩებზე. ამღერებული შაშვის ყლისმაგვარ მემბრანას ჩამოსწევს სიცოცხლის ფირფიტაზე ჭიჭე კვეკვე და ჯადოსნური მუსიკით თვრება. თვალის დახამხამებაში აღმოცენდება ხნულში ჩაწვეთებული სიმინდის მარცვალი. ზღვასავით ირწევა ყანა, და რადგანაც საწუთროში, ერთადერთი გონნათელი ადამიანიღა დაშთენილა, ღამის ფილტვებს არღვევს მიჯნურთა გადასარჩენად. ჭიჭე კვეკვეს ირგვლივ აყრანტალებული ყვავები დაპარპაშებენ, მაგრამ უბოროტო ღიმილით შეიწყნარებს კაცთა მოდგმისაგან წყეულებსაც. ნაკვთი ნაკვთში გადადის, ხაზი ხაზს ეხლართება, ასო ასოს ეკემსება და აქამდე ქვითინისპირას მისული გრძნობა ასაფრენად ამზადებს, უკვე გრიგალების ბინადარს.

„ბონდო: ჯიმაგე, მიხვდი თუ არა, მამაჩვენს რისთვის დაუნომრავს ფრთოსანი ჭიანჭველა ოცდაერთით, სტრესირებული — სამოცდაექვსით და სიცოცხლემისჯილი — ასოცდასამით?! პირველი მე შემესატყვისება, მეორე — კემეს და მესამე — შენ ფრთოსანი ჭიანჭველა უსასრულოდ კლებადს განასახიერებს მასთან, სიცოცხლემისჯილი — უსასრულოდ ზრდას, ხოლო კეე ამ სიდიდეებს შორის შუალედური, უმტკივნეულო განზომილებაა, ხალხის პროტოტიპი. ხედავ, პირუტყვით რანაირად დაგვდაღეს სამივე? პითაგორელები. ციფრების გაღმერთება. რატომ გაიაზრება ჰომეროსთან ყველაფერი ათობით სისტემაში?! ცხრის შემდეგ რიცხვების უსასრულობა რომ იწყება. მაშასადამე, ჰომეროსის პოემები არაბების გენიალური აპლმოჩენის მერმინდელია. რას მიქვია, გვარს არ გამოიცვლის!

ბონდო: ჭიჭე კვეკვე, ნამდვილი ადამიანი, ერთადერთი კოჩია ჰალიძონია შემხვდა მთელი ცხოვრების მანძილზე და კიდევ — მარიკელა.კოჩია: ბუტუტის შემომატებამ, ჭიჭე კვეკვე, განსაკუთრებით მაფა ჰალიძონხე ააფორიაქა, თითქოს წართმეული ჩვილი ამოფრენილიყო დუმფარებით დაფარული ონწყვეშიიდან.

ჟინი: თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვსო, გვეტყოდა ხოლმე კოჩია; ვინცობაა გათახსირებულმა დედაკაცმა ოდაბადელები წამოიყვანოს და ბონდოს წართმევა მომინდომონ, ზურგი არ შემაქციოთო, გვმუდარებოდა და მაშინ მის გასამხნევებლად ონწყვეშიის ჭორომებიდან ჯერ კიდევ როდის გამოთრეულ შაშ-

ხანებს ხელახლა ვუწყე გულმოდგინე გაპოხვა-გაკრიალება“.

ჭყონდიდის სიმაღლიდან გახელისგულებული სანახების ცქერით გალაღებული ჭიჭე კვეკვე ჰაერს წაეპოტინება. წარმოსახული გმირი დოლაბში ჩავარდნილი სიმინდის მარცვლივით ჩამობზრიალდება ტოტიდან. ხან შტამბს მიეხათქუნება, ხანაც რტოებს ჩამორეჯგვავს. შესაბამისად ციბრუტივით დატრიალდება ბერმუხას ძირიც, რომელიც ახლა თვითონ ზრუნავს, თავად ფაცურობს უსაფთხოებისათვის. გაქცევას, განაპირებას ლამობს. ადამიანები პომპეელებივით აღაპყრობენ ხელებს, მაგრამ ზედახორა ერთმანეთში იბლანდება, ჩონგურები ნაფოტდება და გადამსხვრეული ტანის შემაერთებელი სიმები უმისამართოდ იწეწება. ეს მასა მკვდრებიც და ცოცხლებიც ქვეშ მოიყოლებს განურჩევლად .

ამჩნევს ჭიჭე კვეკვე წრიპა ფეხების შენელებული კადრისმაგვარ მოძრაობას. ხედავს, პირდაფჩენილი კალმახები სულს ღაფავენ. ესმის კემეს და ხოთო ქობალიას ზმუილი, სირმას და მილანდარის კივილ-წირ- წინი. ჯვალოიან გიჟს ბარაქიანი ჯიბეებიდან მაწანწალა ძაღლები ნადავლს ასწაპნინ. არის წკავწკავი, ღრენა, ყმუილი, კბილების გააფთრებული დაბზინება და იმ გამონათების კვალდაკვალ სართულიანი გინებები. ზოგჯერ ჭიჭე კვეკვეს თავს ზევით ფოთლები ტკარცალებენ და უტაშუნებენ.

,,გორდია კვანძი‘‘* გახსნილია. დღესვე წარვადგენ პროკურატურაში მასალებს. დაე, სამართალმა პური ჭამოს!“ დაასკვნის ჭიჭე კვეკვე და მის ბრეთელა-ბრეთელა თვალებში დედამიწის სამყოფი ჩქერალები ალიპლიპდება, რომელი მაუკვდავებელი ნექტარიც არაფრისდიდებით გასწირავს ბონდოს ერგასი წლის წინათ გასათხრელი მეშვიდე საფლავისათვის. ესეც რომ არა, არწევს, ხლართავს, ისრუტავს აღმოსავლეთის მზისფერი დალალები და ჯანგატეხილ წყდიადში მტრედები ირევიან.

სიცოცხლემისჯილები

I

ამ წერილის შეთხზვას ერთი გარემოება მკარნახობს — დაახლოებით ათასამდე წიგნი მაინც გამისაჩუქრებია პირველი რომანის პუბლიკაციით აკუნტრუშებულს.

ცხადია, წიგნს სულის თანაზიარს, ახლობელს, კოლეგას უსახსოვრებენ ხოლმე, რადგანაც განსაკუთრებით მისგან მოელიან პირუთვნელ სიტყვას, აზრს გულწრფელობით ნასაზრდოებს, მაგრამ ჩემდა საზიანოდ განმიცხადებია: იმ ათასეულიდან ათიოდემ თუ შეძლო რომანტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ ბოლომდე ჩადევნება, თანაც ისეთნაირად, თითოეული ზედაპირზე ჭყუმპალაობდა, ვინაიდან არ ისურვა სიღრმეების ძებნა, რამეთუ არ ეყო ფოლკნერის აწ საქვეყნოდ ცნობილი სამგზის წამკითხველის ინტერესი, ჟინი: რომ ვერაფრით გაეთავისებინა ქმნილება ესე, და მწერალთან რჩევა-დარიგებისთვის მიახლებული, კიდევ ერთხელ ჩაუჯექითო, გულდინჯად დანუგეშდება დიდი ხელოვანისაგან.

თითქმის ასეთნაირადაა ჩემი საქმეც, და რადგანაც გაჩნდება მოთხოვნილება „სიცოცხლემისჯილების“ თავისებურებათა ნათელფენისა, რადგანაც ჩვენი ტრადიციული, საყველპურო მწერლობა და მისი ინტონაციით გაბრუებული ქართველი მკითხველი დღესაც მეცხრამეტე საუკუნის გემოვნებათა ორღობეში ყიალებს და ახლო ხანებში იქიდან მისი გამოღწევა მეეჭვება, საჭიროდ მიმაჩნია, ძირისძირამდე გავხსნა, თუნდაც დაღეჭვის დონემდე გავაანალიზო გაუგებარი, შებურუსებული; მაგრამ ვიდრე უშუალოდ „სიცოხცხლემისჯილების“ ლაბირინთებში წარგიძღვებოდეთ, ურიგო არ იქნება მასზე დაწერილი ემპირიული რეცენზიების ავანჩავანიც გვენახა და შემდეგომ, როგორც აუცილებლობა მოითხოვს, თანამიმდევრულად გვემსჯელა, უკეთ გვეტვირთა მესვეურის, გზისმკვლევის ფრიად საჩოთირო და უმადური შრომა.

პირველად, ვინც ჩემს რომანს გამოეხმაურება, კრიტიკოსი, ბატონი გიორგი გაჩეჩილაძეა. 1984 წლის „ცისკრის“ მიმოხილვისას, იგი გარკვეულ ყურადღებას მიაგებს ამ ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი „სიცოცხლემისჯილების“ ფრაგმენტებს. კალმის სხარტი მოსმით, ლაკონურად აი, რას წერს ესთეტი:

„აშკარა საინტერესო დებიუტად უნდა მივიჩნიოთ გ. ფეტელავას. (ფსევდონიმი გური ოტობაია მოგვიანებით დაიბადება გ.ო). „ხასიათები რომანიდან“. როგორც პროზაიკოსი გ. ფეტელავა ხასიათდება ენობრივი ცნობიერების ღრმა კავშირით ხალხურ მეტყველებასთან, ხოლო ყოფითი გარემოს გრძნობით კოლხურ სამყაროსთან“.

ასე დააჭაშნიკებს კრიტიკოსი დიდ ლიტერატურაში ჩემს შემოსვლას. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, თუმცა ჩემი რომანი მერე და მერე მრავალ მეტამორფოზას განიცდის, როგორც ენობრივად, ისე — სტრუქტურის, არქიტექტონიკის თვალსაზრისით, და ბუნებრივია, არარსებულ სტილსა და მეთოდზე რანაირად მოვსთხოვ მსაჯულს სათანადო სიტყვას?!

იგივე სიტუაციაშია ბატონი გურამ ბენაშვილიც, რომელსაც სული წასძლევს და 1987 წლის „ცისკრის“ სამი ნომრის ანალიზისას, რომანის ისედაც საჟურნალო ვარიანტს, თანაც ბოლომდე გამოუქვეყნებელს, საკმაოდ მკვახედ დამოძღვრავს:

„მე არაფერს ვიტყვი გური ფეტელავას (ფსევდონიმი გური ოტობაია ამჯერადაც უცნობია ჩემთვის, გ.ო.) რომანზე, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა და საოცრად ქაოტური სიუჟეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძნელია მისი დასასრულის წინასწარმეტყველება. ათაშანგით დასნეულებული რომანის გმირი — მეცნიერი და ალქიმიკოსი ერთსა და იმავე დროს, სამეგრელოს ერთ უდაბურ კუნძულზე განმარტოებულა და შორიდან სჭვრეტს თავის ყოფილ საცხოვრისს. მის მისტიკურ ყოფას სოფლელთა თვალში რაღაც მაცდუნებელი ძალა შეუძენია და აი, დაძრულან კიდევაც მისკენ, ამ შემზარავი ანახორეტისკენ, სოფლის მოძულე თუ სოფლისგან მოძულებული ადამიანები. მათ შორის არიან ქალებიც, რომელთა გაუნელებელ ოცნებად ქცეულა იდუმალი განდეგილისგან დაორსულება. ასე და ამგვარად წარმოუდგება მკითხველს რომანის სიუჟეტური აქცენტები. სად და როდის ჰპოვებს გამოტანჯული თხრობა საბოლოო წერტილის დასმით გამოწვეულ შვებას, ძნელი სათქმელია“.

უხერხულია გამოედავო კრიტიკოსს, როცა აღნიშნული ჟურნალის პროკრუსტესეულ ქირურგიას ნებაყოფლობით დათანხმდები (ოცდაექვსი თაბახის მოცულობის წიგნი შვიდ ფორმამდე დაიჩეხება) , თუმცა ტრიადა ჯერ კიდევ დუღილის პროცესია, ჯერ კიდევ ბატონი რევაზ თვარაძის მადლიანი სიტყვის ძალმოსილებით სულდგმულობს, ეძიებს ადეკვატურ ფორმას. უკვე ორი ათეული ვარიაცია რომანისა და მასთან დაკავშირებული ოფლისდენანი კბილიდან, უშედეგო ცდას, წყლის ნაყვას უფრო მოგვაგონებს, თუმცა გულისხმიერი შე-

მოქმედის ზემოთხსენებული დამანუგეშებელი რეცენზია, ფარ-ხმალს არ მაყრევინებს:

„როგორც ჩანს, ერთობ დიდი იყო სურვილი — თავისი ნაფიქრი, ნაგრძნობი და გამოტანჯული დაუხანებლად გაეცნო სხვათათვის, აუდიტორიისათვის, დაუხანებლად მოემკო მოსამკელი, დაუხანებლად მოეხვეჭა ის სახელი, რომელსაც უეჭველად მოუტანს ავტორს ეს ნაწარმოები. უეჭველად მოუტანს, ღრმად ვარ დარწმუნებული, ოღონდ საბოლოო დახვეწისა და ჩამოქნის შემდეგ. თუკი ავტორი შესძლებს დასძლიოს იაფფასიანი ცდუნება და ერთხელ კიდევ ჩაუჯდება თავის ქმნილებას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქართველი მკითხველი დიდად მნიშვნელოვან, პირველხარისხოვან რომანს მიიღებს“.

არავის ეგონოს ტკბილად მოუბარმა ენამ პასუხისმგებლობის უნარი დააკარგვინოს მწერალს, დააბრმაოს იგი, თვალთახედვის არე შეულიბროს, და ნურც იმას დაიჩემებს ვინმე, თითქოს ავსიტყვაობას რაიმე ფასეული მოეხელთებინებინოს ხელოვანისთვის, თუმცა კაცია და გუნება; ვინ უწყის, იქნებ ერთიცა და მეორეც თანაბარი ზურგის ქარია, ჩემთვის კი დამაიმედებელი ფრაზა, მაშველი რგოლი აღმოჩნდება შემოქმედებითი წვა-გარდასახვის ამ უკიდეგანო ოკეანეში. და აი, 1989 წელს გულადი ფეტელავამ გური ოტობაიას მონომახის ქუდი დაიხურავს, რკინის ქალამნებს ამოისხამს და ქართული მწერლობისთვის ესოდენ უცხო გარემოში დურთავს თავს.

მართალია, საკუთარი ხარჯით გამოცემული რომანის წინასიტყვაობაში რედაქტორი, პოეტი ვახტანგ ხარჩილავა ზედაპირულად მაინც განუმარტავს მკითხველს თუ რა „ჯოჯოხეთსაც უქადის“ ამ წიგნთან მისვლა — აკი, ზოგიერთი ირონიულად შენიშნავს აქა-იქ, კითხვამისჯილად რისთვის გვაქციეო, მაგრამ ბარემ მასაც მოვუხმობ:

„მაინც რას ასახავს „სიცოცხლემისჯილები“?! ეს არის რომანი-ეპოპეა თანამედროვე წმინდანზე, რომელიც მოამწიფა არა სოციალურმა გარემომ, არამედ უზნეო მამის კერძო ინტერესებმა, რათა საკუთარი სიყრმისდროინდელი ცოდვები შვილის მარტვილობით შეიმსუბუქოს და ჩადენილი დანაშაული პირმშოს მოწამეობით მოინანიოს.

შესძლებს თუ ვერა ბონდო ჰალიძონიას მეშვეობით ჟინი ანთარი გათელილი სახელის აღდგენას, გავერანებული მეობის გადარჩენას?! — აი, კითხვები, რომელსაც აღძრავს თხზულების პირველი წიგნი.

ყოველ ნაწარმოებს ეპოქა ქმნის, ეპოქის სურნელი დაჰკრავს მის ენას და კილოს, ასეა „სიცოცხლემისჯილებიც“.

„არავინ შთაასხის ღვინოი ახალი თხიერსა ძუელსაო“ გვასწავლის „სახარება“, ამიტომაც ბუნებრივია, ტრადიციული თხრობის გვერ-

დით მკითხველი ხშირად შეხვდება მოდერნისტულ, ე.წ. „ცნობიერების ნაკადს“, რაც ყურადღების ერთგვარ გამახვილებას მოითხოვს მისგან.

დასასრულ, ისღა დაგვრჩენია „სიცოცხლემისჯილებს“ ქუდბედი სიცოცხლე ვუსურვოთ ლიტერატურულ სარბიელზე“.

დამეთანხმებით, ერთობ საპასუხისმგებლოა ახალბედა მწერლისათვის ავანსად ბოძებული მსგავსი წყალობა, მაგრამ როგორც ხუთი ათასი ტირაჟით გამოსული პირველი გამოცემა, ისე — უმნიშვნელო სტილისტური და ორთოგრაფიული შესწორებებით დასტამბული მეორე, ჯერაც ვერ ჩამოქანდაკდება ერთიანობის პრინციპებით. ყოველივე ამას ცოტა მოგვიანებით შევძლებ, „ნაკადულის“ „მორიგ გამოცემაში“, რომელიც ქაღალდის უქონლობის გამო ვეღარ დაიბეჭდება და ვინაიდან სათანადო სახსრები არაფრით გამომიჩნდება, მატრიცები დღესაც ჩემთანაა, ჩემს ლიტერატურულ წიაღში, მაგრამ რაც მთავარია, ძირითადი უკვე მიღწეულია, ერთგვაროვან სტილს დაქვემდებარებია ნაწარმოების მთელი სხეული, თუმცა ჯერ იქნებ დასახელებულ გამოცემათა გამოხმაურებებს გავეცნოთ სასხვათაშორისოდ, წამოჭრილ საკითხს კი შემდგომ მივუბრუნდეთ, მით უმეტეს რომ საამისოდ მოვმართულვართ თავიდანვე.

ფრიად საყურადღებოა ჩემთვის „სვობოდნაია გრუზიაში“ გამოქვეყნული ალექსი ლაფაურის მომცრო რეცენზია სათაურით:

ОБРЕЧЕННЫЕ НА БЕССМЕРТИЕ

В 1984 году на страницах журнала “Цискари“ появилис фрагменты романа Гури Отобаиа (Фетелава) “Обреченный жить”. Через несколько лет, в 1987 году, в этом же издании был опубликован журнальный вариант романа, уже привлекший пристальное внимание как читателей, так и литературной критики, отметившей появление интересного, самобытного дарования. И вот, наконец, первая часть романа-триады “Обраченный жить” вышел недавно в издательстве “Мерани” полностью.

Особенностью этого издании является тот факт, что книга издана за счет автора, а ему в свою очередь благотворительную помощь окозал целый ряд спонсоров - предприятий и организаций Западной Грузии. Такое сотрудничесвто можно только приветствовать, ибо речь идет о конкретной помощи писателю. По нашему,

увы, печальному опыту известно, как трудно пробивают себе дорогу истинные таланты, как приходится им в борьбе отстаивать свои права - на собственный взглад, на художественное видение. Порой, принимая у молодых авторов оригинальность за оригинальничание, сложный, насыженный образами язык за слепое увлечение модой, мы невольно ставим преграды развитию таланта, обрекаем его на бесплодные муки. Как же помощ молодому творцу как поддержать его, дать ему возможность проявить себя? Данная книга может стать наглядныщ примером партенерского сотрудничества начинающего писателя и тех, кто заинтересован в рождении и утверждении его таланта.

“Обреченный жить” - первое крупное произведение Гури Отобаиа. Судя по уже имепощимся откликам критиков, по впечатлению, оставленному романом, можно говорить о появлении писателя сугубо оригинального, смело идущего на литературный и язиковой ээксперимент. Но это - лишь внешняя, видимая часть айсберга. Не менее интересна и его „подводная“ структура. Облекая в замысловатую форму сюжет романа, придавая ету заведомо вамедленный ритм, автор словно подталкивает нас к внимательному, неторопливому чтению-изучению. Этому способствует и несколько утяжеленный язык произведения, пересыппанный колхидской топонимикой и этимологией, латинскими высказываниями и т. д.

С реда романа, в том числе и егог сюжетная линия, становится благодарным-материалом для осмысления мгоних вечных истин, главный из которых автор считает невозможность и преступность искупления греховых деяний отцов за счет мученичества детей. Это проблема, стоившая нам многих нравственных потерь, увеличившая бездну пропасти между отцами и детьми, стала глубочайшей трагедией нашей истории. В последние годы литературой эта проблема поднимается довольно часто. Но следует сказать, что при всем величии замысла художественные достижения можно пересчитать по пальцам. Чаще всего, следуя камертону социальных потребностей общества, большая литература уступает перед натиском публицистики. Гури Отобаиа решил пойти своим путем, отбросив и публицистическое осмысление проблемы, как поверхностное и неглубокое, и отказавшись от традиционной вульгарно-реалистической манеры воссоздания конфликта.

Гури Отобаиа первыми строками романа образно выделяет в

тексте слова-камертон, настраивая все послетуыщее действие книги на них: „Муравей погибает, распуская крылая, но бессмертие“ - Человек и Бог, муравей и человек, каждому - своя ипостась и место в Вечности, но неужели „обреченному жить“ суждены только муки?“

მიუხედავად ნაწარმოების ტევრში შეღწევის მცდელობისა, მიუხედავად ლამაზსიტყვაობისა, რეცენზენტი წიგნის ლაფაროს ვეღარაფრით გაცდება, მომხიბვლელი ფრაზების ტყვეობაში დარჩება და მექმნება შთაბეჭდილება, რომ მას ,,სიცოცხლემისჯილები'' არც კი წაუკითხავს, გალაკტიონისა არ იყოს, გადაუკითხავს, ჩაუჭვრიტია შიგადაშიგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი არსებითზე იმსჯელებდა და არა — ემპირიულზე. წვრილმანებს გამოკიდება განა როდისმე გვაზიარებს მთავარს, ძირისძირს ჩანაფიქრისას, ურომლისოდაც ჭეშმარიტების დადგენის ყოველი მეცადინეობა ამაო გარჯაა?!

წიგნს კი გამოვაქვეყნებ, მაგრამ მთელი არსებით ვგრძნობ, რომ ინტელექტის პირუთვნელ სარკეში არეკვლის საჭიროების ზღურბლზე ვდგავართ მეცა და ჩემი რომან-ტრიადაც, ვინაიდან მისი გამოცემა სულაც არ ნიშნავს ჩემთვის რჩეულ თემასთან განშორებას;

პირიქით, ,,სიცოცხლემისჯილების'' მერამდენე პუბლიკაცია სასურველი დისტანციიდან მიაშკარავებს მანამდე უჩინარ ხარვეზებს და ბარემ აქვე დავსძენ — ვერაფრით შევეწყობი შემოქმედის პოზიციას, რომელიც გულისნადებს ქაღალდზე გადმობერტყავს თუ არა, მყისვე კანონიკურ ტექსტად შერაცხავს; მე კი ნაწარმოების სააშკარაოზე გამოტანას ლაბორატორიულ პროცესად მივიჩნევ მარტოოდენ, რამეთუ მჯერა, ქმნილების საბოლოო ვარიანტს მხოლოდ ერადერთი, მძლეთამძლე სიკვდილი თუ დააზუსტებს. ასე რომ, კრიტიკოს სოსო სიგუას გულგახსნილობა წყლით სავსე სათლად წარმომესახება მეუდაბნოეს.

რინამისჯილი

,,ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა, მაგრამ უკვდავება უფრთებოდ არ არსებობს'' — ასე იწყება გური ოტობაიას (ფეტელავას) რომანი ,,სიცოცხლემისჯილები''. (წერილის ავტორი გაზეთ ,,ლიტერატურა და სხვა''-ში ,,რინამისჯილის'' სათაურით გამოაქვეყნებს წინდებულ რეცენზიას, გამოაქვეყნებს იმავე დასახელებით, როგორითაც დაიბადება ეს წიგნი და რომელსაც ვერაფრით გავიტან გამომცემლებთან, თავისი კოლხური, უკეთ მეგრული წარმოშობის გამო, გ. ო.).

ჩვენ არა ვართ განებივრებული რომანებით, მაგრამ ამჯერად სხვა ფაქტი იქცევს ყურადღებას. ეს არის წიგნი, რომელიც მიეკუთვნება ავანგარდისტულ მწერლობას, ე.წ. „ძნელ“ ლიტერატურას, რომლის აღქმას სჭირდება სპეციალური მომზადება. აქ ორიენტირი მიმართულია არა რთულის გამარტივებისკენ, არამედ — მარტივიდან რთულისკენ, უფრო სწორედ — სტიქიურად რთულ ცხოვრებას შეესატყვისება ადეკვატური ფორმა. ამიტომაც ცდილობს ახალგაზრდა პროზაიკოსი ექსპერიმენტული ხერხებით სულის მოძრაობის ფიქსირებას.

როგორც ვიცით, საბჭოთა სისტემა ექსპერიმენტული იყო, მაგრამ ხელოვნებაში რევოლუციას უარყოფდა. იგი ამკვიდრებდა ფსევდორეალიზმს, მარტივ, გამჭვირვალე ფორმებს, რომელთა შეფასება ოფიციოზს არ უნდა გაძნელებოდა. ეს ხდებოდა ხალხის სახელით და თითქოს მასა მართლაც ელტვის სინათლესა და სიმარტივეს, მაგრამ ხელოვანი თუ ცდილობს ახალი გზის გაკაფვას, იგი იოლი აღსაქმელი ვერ იქნება.

გური ოტობაიას რომანი მრავალმხრივ სპეციფიკური ნაწარმოებია. ამ ნიშან-თვისებათა გათვალისწინების გარეშე წიგნს მკითხველი ვერ ეყოლება. თანაც არ კმარა ერთი წაკითხვა.ავტორი ჯიუტად მოითხოვს, რომ წიგნს სჭირდება შესწავლა, გააზრება და არა მხოლოდ წაკითხვა. ეს უკვე პრინციპული პოზიციაა, ესოდენ ჩვეული ავანგარდისტებისთვის, რომლებიც ქმნიან თავიანთ სამყაროს, გამოთიშულს მკითხველისგან. ისინი თითქოს არ წერენ მკითხველისთვის, რადგან ქადაგებენ მასზე ამაღლებას, ახალი ჰეშმარიტების წვდომას. ხოლო ჰეშმარიტება, ჩვეულებრივ მარტივია, მაგრამ მისი პოვნისა და მიგნების, გამოვლენის პროცესი გვიჩვენებს შეცნობას, პიროვნების სულიერ ოდისეას, დრეიფს აწმყოდან წარსულისკენ, მშობლიური სამყაროს იდუმალებას.

რომანის სამოქმედო არეა კოლხეთი, გეოგრაფიულ გარემოს ამ წიგნისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა კონკრეტულს, — არამედ ზოგადად აღებულს, ზოგადად გააზრებულ სულს კოლხეთისას. მწერლისთვის ეს არის მთავარი. სატანჯო და ოდაბადე კონკრეტული ადგილებია, რომელთაც მიწასთან უნდა დააკავშირონ ის არქაული, უძველესი, ლეგენდური მოტივები, რომლებიც გადმოეცა დღევანდელობას. ამ თვალსაზრისით ავტორი ცდილობს ტოპონიმების შენარჩუნებას (ჭურია, ჩხოუშია) ეს საყრდენი წერტილებია, რომლებიდანაც დაძრული ასოციაციები ადგენენ გარდასულ მეხსიერებაში შემორჩენილ ჟამს. ამდაგვარი პლაცდარმის გარეშე თხრობა კოლორიტს დაჰკარგავდა და ამორფულ სიტყვათა გროვად იქცეოდა. მაგრამ მწე-

რალს კოლორიტი თავისებურად ესმის. მას არ აინტერესებს კოლორიტის ეთნოგრაფიული გაგება ან თანადროული ელფერი. მისთვის ფელაფრის განმსაზღვრელია კოლხეთი და ეს პირველ რიგში ვლინდება პერსონაჟთა სახელებსა და გვარებში (ჰალიძონია, ჟინი ანთარი, მაფა, ჭიჭე კვეკვე, მაკრონია). ჰალიძონია და მაკრონია გვახსენებენ უძველეს ქართველურ ტომებს. ასეთი გვარები არ არსებობენ. მწერლის ფანტაზიამ ისინი შეთხზა გარდასული დროის აღსადგენად, ისტორიული სულის შესანარჩუნებლად.

მაფა და ჟინი ანთარი მითოლოგიური პერსონაჟებია. არც ისინი არსებობენ რეალურად. მაგრამ ავტორის მიზანია ისტორიისა და მითოსის გაერთება თანამედროვე კოლხის შემეცნებაში, მისი დაკავშირება უძველეს დროსათან. ამიტომ ეძებს ჟინი ანთარისაგან ანთარიას წარმომავლობას, ოდოიასთან — ჰალიძონთა მეფე ოდიოსის კავშირს და ა.შ. ამგვარ ხერხს ხელოვნურობაც ახლავს. მაგრამ ეს წინასწარ არის დაშვებული და მოფიქრებული.

მწერალს არც რეალისტურ-ყოფითი და არც ისტორიულ-ფილოსოფიური წიგნი დაუწერია. იგი ქმნის შინაგანი მონოლოგის თანამედროვე ვარიაციას, რომელიც გარეგნულად დროისგან თავისუფალია. შინაგანად კი ჩართულია იმ საბედისწერო მოვლენათა კარნავალში, რომელშიც მოექცა კოლხეთი, საქართველო . გმირები თანამედროვე მოქალაქენი არიან, მაგრამ მათი ბიოგრაფიები, თავგადასავლები წარსულს უკავშირდება და მოიცავს მწუხარებით აღსავსე მთელს საბჭოთა პერიოდს. ეს უკვე მათი რეალური ცხოვრებაა, რომელშიც გამოკრთის წინაპართა სული. ამიტომ მსჯელობს ასე გატაცებით გენეტიკაზე ბონდო ჰალიძონია. ჩანს, მას ხშირად უფიქრია შორეულ წარსულზე, საწყისებზე, არა მარტო ახლობლებსა და თავის წარმომავლობაზე, თავის ბუნდოვან ისტორიაზე. ზოგჯერ გარემო მხოლოდ სააზროვნო მასალაა. ამჯერად კი მას თავისთავადი მნიშვნელობა აქვს და იგი თავად არის კვლევის, განცდისა და შეცნობის საგანი.

მწერალი ცდილობს ტოპონიმების სიუხვით შექმნას ინტიმი და კოლორიტი (ოხოჯე, მუხურჯინჯი, ოხოხულე, ქვიშილი, ონწყვეშია, უჩაღალი, წკვერემია, მუნჩია), მაგრამ უკიდურესობას ახლავს ცალმხრივობაც და ხელოვნურობაც. ეს სახელები ქართველი მკითხველისთვის უცნობია. ისინი მხოლოდ ახლა შემოდიან ლიტერატურაში და შემოაქვთ ეთნოგრაფიული ელფერი. ალბათ, საკმაო დრო უნდა გავიდეს, ვიდრე ისინი დამკვიდრდებიან ჩვენს ცნობიერებაში, ანდა ისეთი სიძლიერით უნდა აჟღერდნენ, რომ ჩვენი სულის ნაწილად იქცნენ. მაგრამ ესეც ექსპერიმენტის ნაწილია.

გური ოტობაია თვლის, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაქსიმალურად უნდა შემოვიდეს კოლხური ტოპონიმები, სახელები, გვარები, სიტყვები. ამ ტენდენციას ჰყავდა სახელოვანი მოთავენი, მაგრამ ისინი არჩევდნენ ზომიერებას, რათა ქართულს შერწყმოდა ის, რაც არ გააჩნდა და გაამდიდრებდა მას. გური ოტობაიასთვის ასეთი გაცხრილვა, ევფონიის დაცვა ზედმეტია. საჭიროა კოლხური გარემოს მასირებული შემოსვლა ქართულ ცნობიერებაში. კოლხური სიტყვებით მისი აღვსება (ორკოლი, ძღაბი, რინა, ჭიჭე, ლეჭენჭყო, ჯიმა ონერი, ჯიმადი, ყვარია) საამისოდ არის შეთხზული ჰალიძონიების საგა და ოდაბადეს მითი, ერთობ ბუნდოვანი და რთული, როგორც თავად ცხოვრება და თავად ფსევდონიმიც — ოტობაია მეგრულ-ჭანური სამყაროდან არის აღებული — ტობა — ტბაა, სიღრმისეულს, ტბეთს, ღრმაზროვანს ნიშნავს (გავიხსენოთ „დიდოსტატის მარჯვენას“ ლაზი პერსონაჟი) არც გვარი ჭანია არის შემთხვევით მოხმობილი. უშორეს წრეში ავტორის ფანტაზია უბრუნდება ელინურ სამყაროს და მცირე აზიას, რომლიდანაც ჯერ კიდევ ქრისტემდე უკუაქციეს კოლხური ტომები, მაგრამ გვარ-სახელებსა, ტოპონიმებსა და მითებში დარჩა უძველესი ჟამის მოგონება. ავტორის ოცნებაა მოგონებაში მაინც გამოვლინდეს კოლხეთის ჰერალდიკა. შესაბამისად — დროები აღრეულია, აწმყოს დროს ერთვის პრეისტორია, „ხალხის მტრის“ ამბავი, სხვადასხვა პერსონაჟის თავგადასავალი, სიუჟეტური ხაზი არ არის ნათელი და გამჭვირვალე. კომპოზიციაც შეგნებულად დარღვეულია. ავტორი (ანუ პერსონაჟი) ფიქრის ენით გვესაუბრება. მონოლოგში ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა სახე, დეტალი. წარსული ხელახლა აღდგება და განიცდება. შრიფტის მონაცვლეობით, წინადადებების მოშველიებით ავტორის თხრობას გამოეყოფა პერსონაჟის შინაგანი მონოლოგი. მაგრამ ეს იმდენად ძნელდება, რომ გვიჭირს გარჩევა, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე.

ვფიქრობ, ავტორი უნდა მორიდებოდა ჭარბ სიუჟეტურ განტოტვას, რადგან პერსონაჟთა სახეები უფერულდება და მეხსიერებიდან გვეკარგება. შეიძლება ასედაც იყოს ჩანაფიქრი, რათა მონოლოგს მისცემოდა გარეგნულად ქაოსური სახე. მაგრამ ასეთი პრინციპიც წამგებიანია. მაგალითად, გავიხსენოთ ცოლ-ქმარი კოჩია და ცირა შკვითინხე. კოჩია ჰალიძონიას ძმაა არდაშელი, ვისზეც ეჭვიანობს იგი. კოჩიას ჰყავს ვაჟი ბონდო (როგორც შემდეგ ირკვევა მისი შვილი არ ყოფილა) კოჩიას დედაა ცარო მუშუქია. ბონდოს მამა აღმოჩნდა ჯეგე ანთარია, იგივე ჟინი ანთარი. კოჩია ჯეგეს ცოლის ძმისწულია. იწყება ბონდოს დრამატული ცხოვრება. იგი მსოფლგანცდით ჰგავს ჯეგეს, რომელსაც

ახალგაზრდობის ჟამს გერმანიაში უსწავლია. ასევეა განტოტვილ სხვა სიუჟეტური ხაზები (მაგ: მაფასი, არდაშელისა, ჯეგესი და სხვა) შეიძლება სიუჟეტური მასალის სიუხვე უნებლიე რეაქცია იყო ამორფული პროზისადმი, მაგრამ აქ ზომიერება ირღვევა და ფაქტიურად მკითხველს ამბის გამოტანა უჭირს, თუმცა, როგორც ითქვა, ესეც ავტორის პრინციპია: წიგნი უნდა შევისწალოთ და არა მხოლოდ წავიკითხოთ.

ამგვარი ძალდატანება იშვიათად არის გამართლებული. არის ცდა ამ ნაკლის შევსებისა ინტელექტუალური ტირადებით. მაგ. ჯეგე ანთარია აყალიბებს თავის ფილოსოფიას — ჭიანჭველების მაგალითით ადამიანური ცხოვრების არარაობას ასაბუთებს. იშველიებს ლათინურ სიბრძნეს. ბონდო თავის არასრულფასოვნების კომპლექსს იკვლევს, თავის ფსიქიკურ პროცესებს უკვირდება, მსჯელობს სექსსა და ფსიქოზზე, იგონებს კლეოპატრას ისტორიას, საამისოდ მოხმობილია სპეციფიკური მასალა, რაც მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაცია როდია. იგი გახსნილია პერსონაჟის ცხოვრებაში და წარმართავს მის ცხოვრებას, როგორც ბედისწერა. ბონდოს „ცნობიერების ნაკადი“ ამხელს მის სულიერ დეპრესიას და აშლილობას:

„მარწყვის მდელო“, ბერგმანი, არა რასკოლნიკოვის სიზმარი. რა აწრიალებს კლუბთან შექუჩებულ ხალხს?! ხელებს ისე სწევენ მაღლა, თითქოს ცა ექცეოდეთ თავზე. პომპეის ტრაგედია. ვეზუვი“.

ბონდო ძმათამკვლელი კაცის — დემონური სულის მქონე ჯეგე ანთარიას უკანონო შვილია და ეს მისი ტრაგიზმის სათავეა. საერთოდ გური ოტობაია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პერსონაჟის ფსიქიკას, ტემპერამენტს, მიმართებას წინაპრებთან. იგი ცდილობს გმირის ხასიათი შინაგანი ხილვით დაადგინოს. ამიტომ ნაკლებად მიმართავს პორტრეტს, ხასიათის ტრადიციულ ნიშან-თვისებას, რომელსაც გარეგნულ ატრიბუტად მიიჩნევს. მას კი ადამიანის შინაგანი ცხოვრება აინტერესებს, მისი არაცნობიერის გადმოსვლა ცნობიერში. ამ ასპექტში იგი ფსიქოანალიზსაც იშველიებს, ხოლო მხატვრულ ხერხად არჩევს შინაგან მონოლოგსა და „ცნობიერების ნაკადს“. პერსონაჟის მიერ სულის სიღრმეში მოგზაურობა მთავრდება კოლხეთის ისტორიასთან მიახლოებით:

„ჟინი ანთარის“ პირველი უჯრედი კოლხური მითოლოგიის წიაღიდან წარმოსდგა“. ჟინი ანთარი მეტსახელია ჯეგე ანთარიასი. ხოლო ანთარიას ვაჟია ბონდო ჰალიძონია. ასეა გადახლართული ხალხის ბედი პერსონაჟის ისტორიასთან. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა შინაგანი დიალოგი ბონდოსა და ჭიჭე კვეკვეს შორის (შეიძლება ითქვას ეს სახელი არ არის მარჯვედ შერჩეული— მისი მსჯელობა ჰეროიკულია, ხო-

ლო თავად იგი ღიმილს იწვევს. სახელის ფონეტიკურ ჟღერადობასაც დიდი ძალა აქვს). ოდოიასა და ჰალიძონიების პირველდასაწყისი ელინურ სამყაროშია, ასოციაციურ ძიებას მივყავართ ტროასთან და ჰომეროსის „ილიადასთან", რომლის მიღმა არაფერი მოჩანს. მაგრამ კოლხების წინაპარნი იქ ელინელთა ტოლფას ძალად წარმოგვიდგებიან.

ჰეროიკული წარსულის გახსენება და ცოდნა იმიტომ არის საჭირო, რომ „ერთხელაც აზავთდნენ აბშილები და შკვითინები, მაკრონები და მოსხები, ჭანები და ჰალიძონები, ჩვენი ნაღდზე უნაღდესი წინაპრები, ოდესღაც ცას რომ ეპოტინებოდნენ". მათი დღევანდელი შთამომავალი კი სიცოცხლემისჯილია, მას მრავალი სევდა უღადრავს გულს. იგი ლესტაბერის დროებამ მელანქოლიკად და ქოლერიკად აქცია, ამიტომ ფიქრობენ პენსონაჟები ესოდენ ბევრს და მოქმედებენ ესოდენ მცირედ. ჭვრეტა, სულის სიღრმეში ჩაღრმავება, წირნაპრების ძიება საინტერესოა, მაგრამ ეს არაპრაქტიკული კაცის პროგრამაა, თუმცა ჭკვიანისა და განათლებულისა, მაგრამ — ამავ დროს — ნერვებდასუსტებულისა, ვინც ბრძოლას მოგონება არჩია.

წიგნის ენაც შესაბამისად არის რთული, მიახლოებული ტერმინოლოგიურ სტილთან, ლექსიკურად იგი მოიცავს ერთის მხრივ, — სამეცნიერო ცნებებს, მეორეს მხრივ — მეგრულ სიტყვებს, რომელთაც აერთებს ფიქრის ენა, დახვეწისა და გალამაზების გარეშე. მაგრამ ამ ექსპერიმენტულ წიგნში შენარჩუნებულია სავსებით ტრადიციული სინტაქსი. ალბათ იმიტომ რომ, სიმძიმე არ გადადის ენის ექსპრესიაზე. ხოლო უჩვეულო ფაქტორთა სიმრავლე რომანს საერთოდ დაუკარგავდა მკითხველს. ამდენად, ავტორს აინტერესებს კონკრეტული სირთულე. ამიტომაც წიგნის მთლიანობაში აღქმა თუ ძნელდება, იოლად იკითხება ცალკეული ეპიზოდები, მათ არც ენობრივი ექსპრესია და არც აზრობრივი დინამიკა არ აკლიათ:

„ჭალალადიდის დასასრულს, სადაც შიშისმომგვრელი ცოცხალი ღობით შემორაგვული ჯარგვალი ტორტმანებს, ღია კარიბჭეს თავაწეულნი გადააბიჯებენ და სადღაც ხსოვნის იწროებში ცირა შკვითინიას დალალებიც აიბურდება. იცის ჭიჭე კვეკვემ მაცდუნებელ ჭიშკარში შესვლა რასაც მოასწავებს, ან იქაური წალკოტი რანაირი აკრძალული ხილით დაუხვდება, ან წუთისოფელზე ფიქრი თითოეულს თავისქალას როგორ აუკვარჩხალებს, მაგრამ მისი მოზეიმე სული მწუხარების ბორკილებს განიშორებს, შეყვარებულთათვის უშურველ ღიმილს იმწიფებს ტუჩებზე. ამღერებული შაშვის ყელისმაგვარ მემბრანას ჩამოსწევს სიცოცხლის ფირფიტაზე და ჯადოსნური მუსი-

კით თვრება, თვალის დახამხამებაში აღმოცენდება ხნულში ჩაწვეთებული სიმინდის მარცვალი. ზღვასავით ირწევა ყანა, და რადგან საწუთროს, ერთადერთი გონნათელი, ადამიანიღა დარჩენილა, ღამის ფილტვებს არღვევს მიჯნურთა გადასარჩენად".

ავტორს დაუძლეველი დარჩა ერთი პრობლემა. იგი წერს კონცეფციურ, ინტელექტუალურ რომანს. მაგრამ ჭარბად შემოაქვს სტილიზებული, ეთნოგრაფიული ელფერის მქონე მასალა. უფრო სწორედ — იგი ქმნის ამ მასალას და ამაგრებს რეალურ მიწაზე. მაგრამ აკლია დამაჯერებლობა და ის ჰეროიკული პათოსი, რაც მთელს წიგნს გასდევს. გარდა ამისა, სუსტია და უფერული დიალოგები, რაც აძლიერებს ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. ალბათ, ამ თვალსაზრისითაც რომანს სჭირდება საგრძნობი კორექტირება.

„სიცოცხლემისჯილები" (მეგრ. რინამისჯილი, რინა — ყოფნა) გური ოტობაიას (ფეტელავას) რომანი-ტრიადის პირველი წიგნია. დაველოდოთ შემდეგ წიგნებს"

ასე ასრულებს რეცენზიას ბატონი სოსო სიგუა, და მიუხედავად მრავალი სიკეთისა, მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამრჩება, რომ ჩემს წიგნს ვერ კითხულობენ იმ ენაზე, რომელზეც შექმნილა; რომ მეტწილად მე ალთას ვარ და ისინი — ბალთას; რომ „ცნობიერების ნაკადის" თხზულების ჯეროვანი აღქმა თურმე თავად პროფესიონალსაც უჭირს, მაგრამ განა ჯოისს უადვილდებოდა საუკუნის დამდეგს მკითხველის მოზიდვა? ან იქნებ პრუსტს თავზე ეხვია ამღიარებლების ბრბო? არაფერს ვამბობთ ფოლკნერის ნარეკლიან შემოქმედებით გზასა და ლიტერატურის დიდ ოჯახში დამკვიდრებაზე.

მეოცე საუკუნის პროზის ენის სპეციფიკა თავად ეპოქის თავისებურებაშია საძებნელი, რომ ამ ტექნოკრატიის ერაში ინფორმაციის მეწყრით გასრესილი პერსონაჟი ვერაფრით მიეფიცხება გაღუღუნებულ ბუხარს დიკენსის რომანით ხელში, სიუჟეტური ხლართების თუ სტერეოტიპული სამკუთხედების მონა-მორჩილი; რომ სადღეისო სიტყვაკაზმული მწერლობის ენობრივი პოზიცია ქაოსურია, დანაწევრებული და ამავდროულად ამ დანაწევრებულობაში ერთიანი, მონოლითური.

ვგრძნობდი რა ჩემს რომანსა და მკითხველს შორის გაჩენილ ბარიერებს, „სიცოცხლემისჯილების" „ნაკადულისეული" გამოცემისთვის ერთგვარი კატალიზატორის მსგავსი წინათქმა მოვაცოდვილებ, რომელიც შესაძლოა საწყისი სტადიაღაა წინდებული წერილისთვის, მაგრამ როგორ ნაუცბადევადაც მოგვეჩვენოს იგი, უეჭველად შეიცავს

ჭეშმარიტების მარცვლებს და გარკვეული თვალსაზრისით პრელუდიაცაა უფრო გლობალური სათქმელის წარმოსაჩენად:

„რომანი- ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ სამოქმედო დრო 1972 წელია, დიდი თვლემის, დიდი მთქნარების წელიწადი და ამდენად, რეალური ვითარების ჩვენებით შემოიფარგლება, რომელიც ცხადია, უთუოდ გადაიზრდება ჯერ პიროვნულ ამბოხში და მერე — საყოველთაო, ზოგადეროვნულ დაუმორჩილებლობაში.

რომანის ცენტრალური ფიგურაა თქვენი თანატოლი ბონდო ჰალიძონია (წინასიტყვაობა საყმაწვილო გამოცემისთვისაა გათვალისწინებული ცხოვრების ფონზე თვალნათელი გახდება ამ დამყაყებული წუთისოფლის უსაგნურობა, თვალნათელი გახდება, რომ უზნეო და უპირო ქვეყანაში ძნელია საარსებო დროისა და სივრცის პოვნა, მაგრამ გვიჯობს მოვლენებს ნუ გადავასწრებთ და შედარებით განყენებულ საკითხებს დავსჯერდეთ, ვთქვათ, როგორიცაა: ნაწარმოების სტრუქტურა, კომპოზიცია, სტილი, ენობრივი პოზიცია.

„სიცოცხლემისჯილებისათვის“ შემთხვევით არ მიწოდებია რომანი-ტრიადა. ჩვენ მრავალი წიგნი გვიხილავს დილოგიის, ტრილოგიის, ტეტრალოგიის ქვესათაურით, მაგრამ რომანი-ტრიადა — არასდროს, ამიტომაც თავს ნებას მივცემ უფრო ვრცლად გესაუბროთ.

ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები შესაბამისად ორი, სამი, ოთხი წიგნის ერთობლიობას გულისხმობს, ტრიადაც სამეულს ნიშნავს, მაგრამ უკვე თვისებრივად ახალ განზომილებასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, დიდი ბერძენი ფილოსოფოსის — პლატონის მოძღვრებაში, მოგვიანებით გენიალური გერმანელი დიალექტიკოსის — ჰეგელის სისტემაში ტრიადა გაიაზრება, როგორც ნებისმიერი არსის, მოვლენის განვითარება-ჩამოყალიბების სამეტაპიანი პროცესი, სადაც პირველი საფეხური — თეზა, უეჭველად მოითხოვს უფრო მაღალ, საპირისპირო ფაზას — ანტითეზას, ეს უკანასკნელი კი გარდუვალი ახალი თვისებრიობის — სინთეზის მომასწავებელია, რომელიც ერთგვარად აჯამებს პირველი-ორი ვითარების დადებით მომენტებს. წინდებულ რომანში მოთავსებულია თეზა. ანტითეზა და სინთეზი, დროთა მსვლელობაში გამოქვეყნდება.

„სიცოცხლემისჯილებში“ ხშირად შეხვდებით შავი შრიფტით აწყობილ ტექსტებს, წინადადებებს, ფრაზებს, სიტყვებს. მათ განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნიათ.

ყურადღებით თუ დავაკვირდებით ჩვენი აზროვნების მიმდინარეობას, აღმოჩნდება, რომ ნებისმიერი პიროვნების ცნობიერება

ორი ძირითადი შრისგან შედგება. პირველი ეს გახლავთ უშუალოდ პერსონაჟის შინაგანი მონოლოგი, ოცნება, ფიქრი, მედიტაცია, როცა ინდივიდი ნაბიჯ-ნაბიჯ აკონკრეტებს, აკონტროლებს თავის ნააზრევს, აანალიზებს ამა თუ იმ მოვლენას, საქციელს და სათანადოდ აფასებს ცხოვრების აწგავლილ ეტაპებს თუ მომავლის პერსპექტივებს.

კარდინალურად განსხვავებულია მეორე მდგომარეობა, რადგანაც ამჯერად გმირის გონება უმოქმედოა, პასიური. უკვე ის კი არ განსჯის საკუთარ ინტელექტუალრ ძვრებს, არამედ ნებსით თუ უნებლიეთ, ქვეშეცნეულად, მისდაუნებურად, მეხსიერებიდან თავისთავად ამოტივტივებული სცენის, სახეების, ურთიერთობათა ამსახველია, ამრეკლავი. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი წარსული ჩვენგან დამოუკიდებლად ხშირ-ხშირად მოგვეძალება ხოლმე, ისე რომ, ჩვენ უძლურნი ვართ იმ წამს რამენაირად შევაფასოთ ცნობიერების ეკრანზე აღდგენილი, აწგარდახდილი სინამდვილე. იგი მოცურავს ჩვენში ხან უწყვეტ ნაკადად, ხანაც—დანაწევრებით და რამდენადაც მძაფრია, იმდენად წარუშლელია მისი ნაკვალევი.

ვთქვათ, ამხანაგთან ერთად ბრუნდებით შინ გაკვეთილების შემდეგ. გზა შორი გაქვთ გასავლელი, ამიტომაც ბუნებრივია, შიგადაშიგ შეეხმიანებით კიდეც ერთმანეთს, ზოგჯერ — ფეხბურთზე, ზოგჯერ — მასწავლებლებსა და მეგობრებზე, მაგრამ თუ თანამგზავრი უნუგეშოდ შეყვარებულია და თავად თქვენ მძიმე ავადმყოფი დედა გელით ოჯახში, დამერწმუნეთ, ეს საუბარი ზერელე, დროის მოსაკლავად, მოვალეობის მოხდის მიზნით გამართული უფრო იქნება, ვინემ ხალასი, ვინაიდან პირველს სატრფოს სახე, სატრფოს მიმოხვრა და დამნაცრავი სიტყვები აწამებს ზეზეურად, ხოლო თქვენს მეობაში დედის გატანჯული იერის, უსახსრობის, წამლების უქონლობის, მამის ლოთობის ამსახველი სურათები ენაცვლება ერთმანეთს მიწყივ.

გამოდის, რომ მთელი ეს მანძილი გულს გარეთ საუბრობდით, ვინაიდან ერთიცა და მეორეც საკუთარი სატკივრით შეძრულხართ. მოკლედ, როცა მონაცვლეობით თუ ერთდროულად ფიქრს მიეცემით ხოლმე და ამ განმარტოების ჟამს ერთს სატრფოს უარი გწამლავთ, ხოლო მეორეს — დედის სავალალო მდგომარეობა, აი, მსგავსი სიტუაციები წიგნში შავი შრიფტით გამიყვია, რათა გაიმიჯნოს ავტორის, გმირის და მის სამყაროში აღბეჭდილი ადამიანების მეტყველება-საქციელი, მოვლენები, სტიქიონები, სხვანი და სხვანი.

ცოდვა გამხელილი სჯობია — ერთგვარად ხარკს მოვუხდი დღევანდელი საყველპურო პროზის ნიმუშებზე აღზრდილი ქართველი მკითხველის გემოვნებას და თავს ავარიდებ ხელოვნურ ბარიერებს (რასაც და-

სავლეთელი მწერლები ანგარიშს არ უწევენ ჩვენგან განსხვავებით), არ შევუშინდები სათქმელის გამარტივებას, რადგანაც ვიცი „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი (ეს ტერმინი დაასაბამა XX საუკუნის დიდი ირლანდიელი მწერლის, ჯეიმს ჯოისის „ულისემ“), მრავალ გაუგებრობას წარმოგიქმნით.

წიგნში აქა-იქ ნახავთ უცხო სიტყვებსაც, როგორიცაა: რინა, აპრიორი, meta და სხვა, მაგრამ სქოლიოში მათი ახსნა ვერ მოხერხდება, ვინაიდან ზოგჯერ ათი-თორმეტი შენიშვნა გროვდება გვერდში, რაც რომანს მეცნიერულ ნაშრომს დაამსგავსებს. ასე რომ, ნებისმიერ გაუგებარ ტერმინს, განმარტებას უეჭველად მოუძებნით, მხოლოდ საამისოდ საჭირო ნაწარმოების ბოლოს დართულ შენიშვნებში გვერდის შესატყვისი ნომრის პოვნა და ჩვეული გულისყური“.

ამომწურავი ვერც ეს წინასიტყვაობა გამოდგება, რაღაცნაირად გაძნელდება სათქმელში ნათლის შემოტანა, მაგრამ აწ თუ ოდნავ ხელშესახებნი ვართ, ყოველივე — მიუკერძოებელი და ბრძენთაბრძენი დროის წყალობით.

ჩვენ გაკვრით ვისაუბრეთ „ცნობიერების ნაკადის“ ზოგ თავისებურებაზე, რასაც წერილის დასკვნით ნაწილში უფრო გამოწვლილვით გავაანალიზებთ, მანამდე კი ერთხელაც შევახსენებ მკითხველს: დასტამბულ წიგნში ვრცელი მხატვრული ტილოს მხოლოდ მესამედია წარმოდგენილი, დანარჩენსაც გარდაეხდება ოდესმე ბურუს- გაურკვევლობის ფარდა, მანამდე კი ვიტყოდი — შემოთავაზებულ მასალაში ნებისმიერი შტრიხი, აქსესუარი ბონდო ჰალიძონიას აბუჩად აგდებული მეობის შინაგან წრიალს და გუგუნს ექვემდებარება, ჰომეროსის ფეხმარდ აქილევსს რომ სჭირს, იმის მაგვარს, ან კიდევ კვენტინ ქომპსონს რომ აბარბანჯებს სანუკვარი დაის უბედურობით — პელენწუკი ცხოვრებისგან თრევით, იმნაირს.

მოკლედ, ნაწარმოების გმირის სულშია პროექცირებული გარემომცველი სინამდვილისა თუ ადამიანების რაობა, მათი ტანჯვა და საწუხარი, როცა უკვე ყოველი გარდასულია, დამონტაჟებულია დროის მიერ ქრონოლოგიურად, მაგრამ ბონდო ჰალიძონიას გონება ამ პროდუქციას მწყობრი თანამიმდევრობით კი არ მოგვაწვდის, საფეხურ-საფეხურ, ანიდან ჰოემდე, არამედ — ფრაგმენტულად, ნაწილ-ნაწილ, სიტუაციიდან გამომდინარე, საჭიროებისდა მიხედვით; ასე რომ, აღნიშნული მეთოდის შესაბამისად ვენერა მილოსელისა და აპოლონ ბელვედერელის სკულპტურები ერთბაშად კი არ შემოცურდებიან, არამედ — დაქუცმაცებულად, ხან მათი ყელი და წვივი გაიელვებს არენაზე, ხანაც — ვნებიანი თეძო და მაჯა, ჩვენ კი აბსტრაქციის მეოხებით შეეეც-

დებით ასო-ასო, ნაკვეთ-ნაკვეთ შევკრათ, შევამრთლიანოთ ოდესღაც სრულყოფილი ქმნილებანი. მაგრამ ჩვენი ცნობიერება ხომ მიჩვეულია მზამზარეულ ფორმებს, ტრადიციულ წესრიგს: ორშაბათის შემდეგ — სამშაბათი, გათენების კვალად — მზე შუბის ტარზე, იუდას ამბორის მერმე — ეკლის გვირგვინი, და კიდევ ათას ხელშესახებს, პრაქტიკულს, მოსანელებლად მომგებიანს, როგორც წალამის ნაკვერჩხლებზე მოშიშხინე ძმარშიდახანებულ სუკს, ისეთივე ყოველდღიურს, სიეტის შემდეგ მოთენთილი ძილი რომ არის და არავითარ შემთხვევაში პირუკუ ან აღრეულად.

ეს ხომ ჩვენი ინტელექტის სიბერწისა და უნიათობის დასტურია და უფრო მწარე რეალობა, ვიდრე ქრისტეს ფერდიდან ამოღებული ჰოროლის ბუნიკზე მოციგლიგე ნაღველი. მოკლედ, ის, რაც ტრადიციულ პროზაში არითმეტიკული სიზუსტით მიედევნება ექსპოზიციას, კომპოზიციას, კვანძს, კულმინაციას და კვანძის გახსნას, ,,ცნობიერების ნაკადის'' თხზულებაში ძნელადმოსახელთებელია სიუჟეტური სწორხაზოვნების უგულებელყოფის გამო, ძნელადაღსაქმელია ნაწარმოების გადამკითხველისთვის, თუმცა როგორ გინდა მოუცლელს, საკუთარი სტომაქისა და აბეზარი ჯირკვლების პრეტენზიებს გადაყოლილს მოგიხერხდეს ყოველივე?!

მეტამორფოზანი

რომანი-ტრიადა ,,სიცოცხლემისჯილები'' თავიდან პოემის სახით დაიბადება. ნაცად შაირს ვენდობი. ცნობისთვის რამდენიმე სტროფს გავიხსენებ:

ძოწისფრებს და ზოგჯერ სოსნებს,
ცა — ოცნებებს დააფრთოსნებს,
ცა — ფოთლების ყვითელ ნავებს
ქარიშხლებით გაათავნებს
და თიმთიმა სულის კეთრებს
სავსე მთვარით გაამკვეთრებს,
ის უმზადებს მზიურ დილებს,
სამშობლოსგან მოკვეთილებს,
ჟინი გვარად — ანთარია,
ჟინის გულში ზამთარია.

ან

ხვალ წაასხას ლაღი რემა,
მტრების ხმალთა სიბასრემა,
ხვალ კოლხეთის ასულები
დაშთნენ გრძნობაწასულები,
ხვალ ჩაქრება სულში მნათის
სვეტი — ცხოველ ანდამატის,
ვერ იხილოს მეტი დილა,
ვინც დღესვე არ დაჩოქილა,
ჟინი გვარად — ანთარია,
ჟინის გულში ზამთარია.

ან კიდევ

პოემაო, ჩემი სიყრმის,
პოემაო, გულის სიღრმის,
ვარსკვლავების თანამგზავრო,
ქვეყანა რომ მუხლს მოგიყრის,
შენ უშველე ანთარიას,
რომლის გულში ზამთარია,
რომლის გული აკლდამების
ხავსიან ქვებს აბარია,
პოემაო, ჩემი სიყრმის,
შენ უშველე ანათარიას.

ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ათიათასსტრიქონიანი პოემას დავშლი, ვინაიდან ეპიკური მასალა მეტ დამაჯერებლობას მთხოვს, რაც ჩემთანპოეტურ სიტყვას გაუჭირდება. დღევანდელი მკითხველის გემოვნება, მისი სულიერი მოთხოვნილება და ფსიქიკური წყობა დამაეჭვებს რითმიანი ლექსით გადმოცემული სათქმელის გამარჯვებაში. უკმარისობის გრძნობა წლების ღამენამუსრევს დამარღვევინებს. პოემას თეთრი ლექსისკენ უბიძგებს. უკვე წელიწადზე მეტხანს ახლებურად ვაყალიბებ და გარკვეული პერიოდი სრულყოფილიც მგონია.

თეთრი ლექსით ამეტყველებული „სიცოცხლემისჯილების“ ადგილებიც დღემდე დამამახსოვრდება:

თქვენ იქნებ გსურდეთ ადრინდელი ამბების სმენა,
როს აკაციის ხეივნებში ვათევდი ღამეს,
გაკენკილ რტოზე ვით დაეშვა უცხო ქმნილება,
ადამის ენით მოსაუბრე, თუმც უხილავი,
მოუტაცნია დაშვებისას გრიგალს რომელიც.
როგორც აისზე იშმუშნება მთვლემარე ველი,
წამომეშალა კეფაზე თმა და გამაქცია,
ვერ გამოვასწარ უჩინმაჩინს შეშინებულმა,
ელვარე საფლავს მივეყრდენი ზურგით როდესაც,
მოვითქვი სული, გადარჩენის იმედმაც მძლია.

იდგა ბნელეთში განძარცული, ხმაგაკმენდილი,
არ გვიძინია მთელი ღამე, ვუსმენდით ქვითინს,
გრიგალის ქვითინს, სავარმეს და მისატევებელს.
გავბედე გვიან, წავაბიჯე, განვაღე ბჭენი
და ცუდ მასპინძლის კვალობაზე მოვუბოდიშე.

როგორც შენიშნეთ, ლექსის ამჯერად დუნე რიტმი, ისედაც ძნელადაღსაქმელ სათქმელს ჩიხში აქცევს. კვლავ მანიპულაციები, კვლავ სიზიფეს ორწლიანი შრომა. ველარც ვერლიბრმა მიშველის:

ვინ მეტყვის რომელ, ან რანაირ ქვეყნიდან მოველ,
რა ხიფათების, რა წკვარამთა ვიყავ მჭვრეტელი?!
ჩემს გასაჩენად მირიად და მილიონ წლობით
მამრი ელტვოდა აზევებულ დიაცის სხეულს.
გაჰყევ ხეივანს ამწვანებულს,
სასაფლაოსთან ის მიგიყვანს დანამდვილებით,
ღამეს ვათევდი სად გაჩენიდან,
არა იმისთვის — შესეოდა საფლავს ბალახი —
განუგეშებდით, აჩრდილებო, დამწუხრებულებს,
მაგრამ სამი თვე იწურება სიბერე დამსდევს,
სიბერე დამსდევს ხელში ქამანდმომარჯვებული,
რას მემართლება, როცა იმავ კარჩაკეტილში
მაფრთხობს სიკვდილის ორანი და ფეხისხმა
ქველი?!
მიმერეკება საიმდროო ნაპირებისკენ,

ბასრი ხანჯლების გაფხიზლება ამშვენებს არესს —
იმ მარსს, რომელსაც გათანგული დიდბატონებით
ამოუჩრია იღლიაში მიწა და თანაც
ჭინჭველასავით მომრავლებულ ადამის მოდგმას
წაჰკიდებს ერთურთს,
ამას მეტყვის მწარე ხარხარით:
„მე სისხლს ვხედნიო განშორების კიდესთან მდგომი“
და გრძელი, გრძელი საჩუმათო ქამანდის ქნევით,
ფაფარაწეწილს ნაპრალ-ნაპრალ დამედევნება...

ბოლოს და ბოლოს დავრწმუნდები, რომ მთელი ეს წლები წყალს ვნაყავ. აკი, ჟინი ანთარის კოშმარული ხილვების ხატვისას, სამშობლოს თუ საკაცობრიო ტკივილების ჩვენებისას, მთავარი — დამაჯერებლობა ხელიდან დამისხლტება და ლოგიკურად დავასკვენი: ამ გზაზე სალექსო ფორმა, რითმიანი იქნება ეს, თეთრი თუ თავისუფალი, არ გამომადგებოდა, მხოლოდ სამეტყველო საშუალებათა ბუნება — პროზა მიხსნის.

კვირას თვე მისდევს, თვეს — წელიწადი, და წვეთწვევობით, ნელინელ „სიცოცხლემისჯილები“ სიმწიფის ასაკში შევა... მე ჩემი შემოქმედებითი შესაძლებლობის გარკვეულ ენერგიას ვუანდერძებ ბელეტრისტულ პირველ პირმშოს და დანარჩენს მომავალი იტყვის.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ალბათ, საკმარისზე მეტადაც დასურათხატდება თუ ვის მიერ, როგორ და დროის რა მონაკვეთში იწერება ტრიადა „სიცოცხლემისჯილები“ — „ცნობიერების ნაკადის“ პირველი ქართული რომანი“. ეპითეტი ჩემეულია. სწორედ მსგავსი რეკლამით გაიყიდება ხსენებული წიგნის მთელი ტირაჟი, მაგრამ მე შორს ვარ აზრისგან, თითქოს თავისთავად „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას, ჩემსას თუ სხვთა, რაიმე პრივილეგია გააჩნდეს, როგორც მსოფლიო, ისე — ეროვნული სიტყვაკაზმული მწერლობის წინაშე. მე უბრალოდ მინდა ვუჩვენო ის ნიშანდობილივი თავისებურებანი, რაც მეოცე საუკუნის პროზას ახასიათებს საერთოდ.

ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას ტრადიციულისგან განარჩევს მასალის მოწოდების სპეციფიკა (ამასთან მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ბატონ ნიკო ყიასაშვილის დიდებულ წინასიტყვაობა-ესსეს „ულისეს“ პირველ წიგნში და ბატონ ზაურ კილაძის ნობელიანტების სერიალით გამოსული უ. ფოლკნერის „ხმაური და მძვინვარების“ ჩინებულ წინათქმა-ბოლოთქმას) ის, რაც ტრადიციულში თანამიმდევრულია, ლოგიკური, მიზეზ-შედეგობრივი, თანამედროვეში ძირფესვიანადაა უარყოფილი;

იქ პედანტური კანონზომიერებაა, აქ — ერთი შეხედვით სრული თავგზააბნეულობა, ქაოსურობა. აღრეულია თითქოსდა მოქმედების განვითარების ლოგიკა, მაგრამ ამისი მიზეზი შემოქმედის ახირება როდი გახლავთ — აქაოდა, შემომხედეთ, ახლებურს, განსხვავებულს ვქმნი და გნებავთ თუ არა, დამიმახსოვრეთ, მაღიარეთო. არაფერიც!

საქმე ის არის, რომ ტრადიციულს უწინარესად ავტორის სული შთაებერება, გმირები შემოქმედის თვალთახედვით მოქმედებენ, მესამე პირითაა იგი გაწყობილი თუ პირველით. ხელოვანს გათვლილი აქვს რომელ პასაჟს რომელი დაამთხვიოს, რომელ სიუჟეტურ ხაზს რომელი მიჰყვეს: სად დაარტყას ნაჯახი ორგზის მევახშე ბებრუცუნას როდიონ რასკოლნიკოვმა; როდის ჩაუვარდეს მატარებლის ბორბლებს ანა კარენინა; რა შემთხვევიდან დაიწყოს შეკუმშვა ტყავმან შაგრენისამან და რომელი ცოდვის მერმე გაუჩნდეს პირველი ნაოჭი დორიან გრეის პორტრეტს; როდესაც თანამედროვე უგულებელყოფს დაგეგმარებას — მშფოთვარე, მძვინვარე სულის რეპროდუქციაა იგი, ამდენად, მოკლებული მოჩვენებით წესრიგს, კანონიკურობას, გეომეტრიულ თუ მათემატიკურ გაანგარიშებებს. ის ინტუიციურია, მოულოდნელი, ფეთქებადი, იმპულსებით ნასაზრდოები, აწჩანაცრული წარსულის რეანიმაცია, ოდესღაც განცდილის ნაწილ-ნაწილ ხელახალი აღდგენა.

მაყურებლის თვალი, ვთქვათ და ხელადას, მხოლოდ მთლიანი სახით წარმოიდგენს სრულფასოვნად, დაქუცმაცებულის რესტავრაცია არქეოლოგის პრეროგატივაა. პირველის ფანტაზიას არ ძალუძს ნამსხვრევების შეკოწიწება ერთ მთელად. მისთვის ნამარხი დოქი თუ ლარნაკი წყალს გასაყოლებელი მასაა მარტოოდენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორია არქეოლოგის ექსტაზი და აღმაფრენა აღმოჩენილი ყოველი დეტალის წილ. ის იწვის, რუდუნებით აკოწიწებს პრეისტორიული ჭურჭლის იშვიათი ოსტატობით აღერებულ ყელს. ნაკლულ ადგილებს პრიმიტიული თაბაშირით შეავსებს. არაფრად დაგიდევს უმნიშვნელო დანაკარგებს. მისთვის არსებითია ექსპონატის საერთო მოხაზულობის, კონტურების დადგენა და აკი დაუწესებს კიდეც პირვანდელ ფორმას სამაროვანიდან ამოკრეფილს.

დაახლოებით ამდაგვარ, მაჯაშიდა შემტყვებარ დასტაქარს საჭიროებს „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაც, ვინაიდან ზერელე მკითხველი ზედაპირზე მოცურავე მარგალიტების ხელმოცარული მაძიებელია. მისი მოჩვენებითი გულგრილობა, უწინარესად უმეცრებით რომაა დაპურებული, სწორედ იქ მთავრდება (უფრო ხშირად რამდენიმე გვერდის შემდეგ), სადაც ავტორი წერტილს დაუსვამს ნაწარმოებს სიმბოლურად, რომელი წერტილიც ტრამპლინია დანაღმულ სა-

ხეთა ასაფეთქებლად. მხოლოდ ჯიუტს, მხოლოდ ცნობისმოყვარეს, მხოლოდ ინტელექტს ხელეწიფება ბოლომდე მისდიოს შემოქმედის სუნთქვას (და არა კაპრიზებს, როგორც ამას ბევრი უმართებულოდ აბრალებს დიდებულ ჯოისს) და ბედნიერებაა, რომ თავად შექმნის, თავად აღმოაჩენს თხზულებისეულ რეალობას.

ახლა მე აქ შემოგთავაზებთ „სიცოცხლემისჯილების“ სინოფსისს, რომელიც იგივეა კინემატოგრაფიაში, რაც ლიტერატურათმცოდნეობაში — სიუჟეტი, ფაბულა, და როდესაც ბოლომდე ჩაამთავრებთ ეკრანიზაციისთვის საგანგებოდ მომზადებულ მასალას, შესაძლოა ნიშნისმოგებით თქვათ ზოგმა:

„კი, მაგრამ ოჯახაშენებულო, რას გვაწამებდი, რა გრჯიდა, ხომ შეგეძლო რომანიც ასეთნაირი ხერხით დაგელაგებინა, ჩვენც მოვისვენებდით და აღარც თქვენ დაგეხარჯებოდათ დრო ამხელა კომენტარისათვისო“.

ჰომეროსის პირველი მოწაფე მანტუელი მგოსანია უეჭველად, რომელიც უკვე ქრისტიანული სამების მორალით ტერცინებად შეკონავს საკუთარ სულის წიაღში აბარბანჯებული სინამდვილეს;

გოეთეს დაუნჯებული გონიერება ახალ სიმაღლემდე აიტაცებს ეპიკურ ტილოთ ცხოველმყოფელობას;

ხოლო რაც შეეხება ჯოისს, სუბიექტურ პრიზმაში გარდატეხილი რეალობა „ცნობიერების ნაკადის“ მოშველიებით, განსაკუთრებით მასთან შეიძენს ილიონის მომღერალთან ჩაგდებული მარცვლის — ფრაგმენტებით, წვრილ-წვრილი ამბებით, მთელის, ერთიანის მოთოკვის იშვიათ უნარს.

ეს პროცესი, ბუნებრივია, ჯერაც არ შეწრედიანებულა, უსასრულოა მისი სრულყოფის ყისმათი, მაგრამ მთავარი გაცხადებულა და რადგანაც დასკვნებისთვის მასალაც თავზესაყრელია, უმჯობესია ისევ ზემოთხსენებულ მასალას დავბრუნდეთ:

„სიცოცხლემისჯილები“

(სინოფსისი)

სამეგრელოს კუნძულ უდაბადეს მკვიდრი, ჯეგე ანთარია, იგივე ჟინი ანთარი, გემით ბრუნდება შვიდი წლის უნახავ სამშობლოში. ნაპირზე გადმოსვლის წინ იგი ხელს აწერს კონტრაქტზე, რომლის მიზანია „ზეკაცის“ შექმნა. მშობლიურ სოფელში ზარ-ზეიმით ხვდებიან სასახელო შვილს. ყველა თავზე ევლება, მაგრამ ჟინი ანთარი რაღაც გა-

ურკვეველ ნაღველს შეუპყრია, ინდიფერენტული გამხდარა ყოველივე ამქვეყნიურის მიმართ. აბუჩად იგდებს თანასოფლელებს, გერმანიიდან ჩამოყვანილ ჭიანჭველებს აბინავებს ყანებში, ტყეში, მწერებს ელოლიავება და ადამიანები ჩირად არ უღირს.

— თაყვანი მეცით ჟინი ანთარსო, — გაიძახის წარამარა და ბრბოსაგან დაჩოქებას მოითხოვს მედიდური მბრძანებლობით. დანიშნულ მაფა ჰალიძონხესაც გაურბის შეძლებისდაგარად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საცოლეს ტონი კატეგორიული რომ შეიქნება, იძულებულია სიმართლე გაუმხილოს — მერამდენე წელიწადია უკურნელი ათაშანგით, ლუეესით დასნეულებულა და რაღაც სამიოდე თვის სიცოცხლე დარჩენია. მაინც დათანხმდება ჯვრისწერაზე, მაგრამ ბოლოწამს სამარცხვინოდ გამოიქცევა ქორწილიდან და კუნძულ სატანჯოს შეაფარებს თავს, რომელ კუნძულსაც კეთროვნები თუ ინფექციური ავადმყოფობით გაწამებული ხალხი ეკედლებოდა ხოლმე ოდითგანვე.

ჟინი ანთარი უკვე საბედისწერო ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედებს. მას სატანჯოზე დახვდება მზამზარეული საცდელი ობიექტი — ათასნაირი სნეულებით მოთავებული ხალხის სახით. ის თამამ ცდებს ატარებს გვემულ ადამიანებზე, ვინაიდან იცის, სიცოცხლის ფასი აქ კაპიკია. ამასობაში სატანჯოს ხელმეორედ მოადგება გერმანიის გემი, საიდანაც დიდძალ სამედიცინო საკვლევ აპარატურას გადმოტვირთავენ. მეზღვაურებისა და მეცნიერების დახმარებით. ჟინი ანთარი კუნძულზე მოაწყობს ბუნკერს, საგანგებო დანიშნულების ლაბორატორიას და ახლა მის ცდებს გაფაციცებით მიაჩერდება ზეკაცის თეორიით აღტკინებული ევროპა.

საქართველოს ხანმოკლე თავისუფლების წლებში ცივილიზებულ სამყაროსთან ჟინი ანთარის კონტაქტები მჭიდროა, მაგრამ მოდის რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ცხადია, არავის დაუთმობს ორსაუკუნოვან დომინიონს, რაც საბოლოო ჯამში, ჟინი ანთარის სამეცნიერო მოღვაწეობის იზოლაციის მაუწყებელიცაა.

გერმანელი ჯარისკაცები გარბიან. ჟინი ანთარი ბორანს მოიპარავს ოდაბადედან, რათა სამშვიდობოს გაიყვანოს მოკავშირენი, მაგრამ გაღმა ნაპირზე ჩასაფრებული ძმები ანთარიები გააფთრებულ ბრძოლას გაუმართავენ გასაქცევი გზის მთხოვნელ დევნილებს. ამით ისინი საკუთარი საგვარეულოს ღირსების გამრთელებას ლამობენ — ჟინი ანთარი ხომ თანასოფლელების თვალში იმპოტენტია, ჩუთუ კაცი, ცვედანი, რაც კოლხეთში უკიდურეს სამარცხვინო სენადაა მიჩნეული და კიდეც შეეწირებიან ორომტრიალს. აქედან მოყოლებული ჟინი ანთარი მოღალატეც ხდება. ის ახლა მშობელი დედისგა-

ნაც იწყევლება. ერთადერთი მოსარჩლე, ისიც ფიქრებში, შეყვარებულიღა დარჩენია, რომელსაც ჟინის გასამწარებლად მშობლები ძალად გათხოვებას უპირებენ.

ჟინი ანთარის ყოველგვარი მეცადინეობა — რამენაირად გამოისყიდოს უნებლიე დანაშაული — ამაოა, და რადგანაც კეთილი საქმეებით ოდაბადელების გულის მოლმობიერება ფუჭი ცდა გამოდგება, დაასკვნის, რომ მხოლოდ უკიდურესი ბოროტებით თუ მიაღწევს სასურველ მიზანს — ავკცობის წარმოჩენა-გაშიშვლებით მის საბოლოო ამოშანთვის ხალხის ცნობიერებიდან.

ჟინი ანთარი მავნებლურ საქმიანობას მიჰყოფს ხელს: დაარღვევს დამბებს და ჯებირებს; კეთროვნების გვამებით, ძაღლებისა და კატების მძორით წაბილწავს ჭებს; მოშლის მერცხლის ბუდეებს; ცურს დაუფატრავს სოფლის ნახირს.

ხალხი ბობოქრობს. მაფა ჰალიძონიასაც ერთადერთი გამოსავალი დარჩენია — ჟინის საყვარლად გამოაცხადოს თავი. ორსულობასაც დაიბრალებს, რათა ნათესავებმა პატივაყრილი ვეღარ გაათხოვონ. ძმები არ აპატიებენ დაიას თავლაფდასხმას, ყელზე თოკით ქვას გამოაბამენ და ენგურში გადააგდებენ.

მაფა გადარჩება. მებორნე იხსნის დახრჩობისგან. ის უკვე სატანჯოშია ზეციურ ქმართან.

ჟინი ანთარი გენურ ინჟინერიას უკირკიტებს: ასპიტსა და ვასაკას აჯვარებს ერთმანეთთან; ვარდისა და ჭინჭრის გაწონასწორებას ცდილობს; ხელოვნურად აორსულებს ქალებს.

უკვე ორი სახიჩარი შვილის მამაა, რომელთა დედები ბავშვების გაჩენისთანავე იხოცებიან. მაფასაც წაართმევს არასრულფასოვან მემკვიდრეს და ჭაობში ჩაძირავს. მორზეს აპარატით გადასცემს ლაბორატორიული ცდების შედეგებს. ახალ-ახალ ინსტრუქციებს ღებულობს გერმანიის სამხედრო გემიდან. კონფერენციები და სიმპოზიუმები ეძღვნება მისი კვლევა-ძიების მონაპოვრებს. დროთა მსვლელობაში კომუნისტური რეჟიმი მყარდება ოდაბადეშიც, ერთი შეხედვით, ჰუმანური წეს-წყობილება მშრომელი მასების პოზიციიდან, მაგრამ სინამდვილეში — ცდისმიერი, შეკოწიწებული, უკლასო საზოგადოების შექმნის მანიაკური იდეით გაბანგული. ის, რაც კონკრეტული ცდომილებაა ჟინი ანთარის ლაბორატორია-სატანჯოში, საყოველთაო ხასიათს იძენს ოდაბადეში. ადამიანები რობოტებს ემსგავსებიან. მომხიბვლელი იდეოლოგიით დაბნელებული ხალხი ბრმად მისდევს თავიანთ წითელ ბელადებს და აშკარა ხდება ორი ხელოვნური ძალის —ზეკაცის თეორიისა და კომუნიზმის იდეალების გარდუვალი შეჯახება.

ჟინი ანთარის კარჩაკეტილ და უპერსპექტივო ცხოვრებას ახალ იმპულსს მიანიჭებს მაფა ჰალიძონიას ძმისწული კოჩიას სტუმრობა ცოლითურთ.

კოჩია ჰალიძონია ხეიბარია, რაქიტიანი, მას არც შვილი უჩნდება და მკურნალობის თხოვნით მოსულებს ათასნაირ წამალს ასმევს მეცნიერი კაცი. საკუთარი სპერმით გაუანაყოფიერებს მეუღლეს, ცირა შკვითინიას, და მოვლენების განვითარებას მოთმინებით დაუწყებს ლოდინს. როგორც მოგვიანებით გაირკვევა, ჟინი ანთარისგან სრულიად ჯანსაღი პირმშო შეეძინება ქალს, მაგრამ საინტერესო უფრო ის არის, რომ კოჩია ჰალიძონია შვილს წართმევს მოღალატე ცოლს — ამურულ ორგიაში ჩაფლულს წაასწრებს ძმასთან. აკვნიდან ამოგლეჯს პატარას და ნათესავების, საერთოდ, ოდაბადის წყევლა-კრულვით მიაშურებს სატანჯოს — ხალხისგან შერისხულ მამიდას და ბიძას.

ჟინი ანთარსაც სხვა რა ენდომება. მას განგებამ უმტკივნეულოდ უბოძებს ქვეყნიერებას უსიყვარულოდ მოვლენილ საკუთარ მემკვიდრეს. ახლა მისი კვლევა-ძიება გაცილებით მიზანსწრაფულია. უკვე მთელი არსებით ბუტუტის სწავლა-აღზრდითაა დაკავებული. წონის, თავის ქალას და კიდურებს უზომავს, საგანგებო რაციონით კვებავს. სრულ იზოლაციაში წრთვნის მოზარდს. ყრმობიდანვე აზიარებს ბუნების ათას საიდუმლოს. ასწავლის ფილოსოფიას, ბიოლოგიას, ლიტერატურას, უცხო ენებს, იოგას, კარატეს, ასე რომ, გასაოცარი უნარიანობით გამორჩეული ყმაწვილი, ჩვიდმეტი წლისთავზე განსწავლული პიროვნებაა.

ბუტუტი შვიდ იანვარსაა ქრისტესავით გაჩენილი. სწორედ დღეობაზე გამართული სუფრის მსვლელობისას შეიტყობს იგი მთავარზე მთავარს — თურმე კოჩია ჰალიძონიას შვილი კი არა, ჟინი ანთარის ძე ყოფილა; თანაც სიყვარულით, სქესობრივი კავშირით როდი გაჩენილა — ლაბორატორიული წესით. მართალია, მანამდე ჟინი ანთარი და გადია მაფა თავიანთი მწარე წარსულს უკლებლივ გაუმხილენ ბუტუტის კოჩიასგან განსხვავებით (ეს უკანასკნელი ავადმყოფურად უმალავს ყმაწვილს დედის არსებობას), მაგრამ მოულოდნელი სიმართლე ერთნაირად შეძრავს, ლამის შოკში ჩააგდებს ახალგაზრდას. მოხერხებულ დროს ღირსებაშელახული ბუტუტი ჟინი ანთარის სეიფიდან მოიპარავს შემნახველი სალაროს წიგნაკებს, მსხვილ კუპიურებს და კუნძულიდან გაიქცევა.

პროვინციულ ქალაქში მისი ხანმოკლე მოღვაწეობა ბნელში ხელების ცეცებით სიარულის მაგვარია, ვინაიდან ნაკლებად ერკვევა ადამიანურ ურთიერთობებში. სამაგიეროდ ბუტუტი ფრიად პოპულარული

პიროვნებაა მათხოვრებისთვის, მეძავებისთვის, გაჭირვებულ-დავრდომილთათვის, ბავშვებისთვის. ყველგან მათი თანხლებით დადის, ყველგან სამართლიანობის დამცველი დონ კიხოტია, რის გამოც სულ კინწისკვრით გამოისვრიან რაიკომის ბიუროდან, აღმასკომის სხდომიდან, პროკურატურიდან, თუ ტრაფარეტული ზეიმებიდან.

სასაფლაოზეც შეივლის, სასაკლაოსაც უტრიალებს, ოდაბადეში წასვლაც სწყურია, დედის და ნახევარძმების მოსანახულებლად, მაგრამ ვერაფრით მოუფიქრებია, ინკოგნიტოდ როგორ შეაღწიოს იქ. უკვე ფულიც შემოელევა. ვერც შემნახველი სალაროდან გამოაქვს იგი, ვინაიდან ამისი უფლება თვრამეტიწლის მოქალაქეს ენიჭება მხოლოდ.

აქამდე ხელგაშლილს რესტორანის კარებს მიუხურავენ. სასტუმროდანაც გამოასახლებენ და ქუჩაშია უპატრონო ძაღლების ამარა. უკვე მათხოვრებს მის დასაპურებლად გაუშვერიათ ხელები. ბავშვები ლუკმას იკლებენ, რათა ბუტუტის უწილადონ მერმე.

მეძავები იმისთვის მრუშობენ, რათა ორიოდე გროში მიუბოძონ თავიანთ მეურვეს.

ბუტუტი დაღლილია გაუცხოებული გარემოთი, მაგრამ მის ბედისწერას განგება წარმართავს კვლავაც და ოდაბადელი დედაბრის ფათერაკი (გასტრონომის ვიტრინას შუბლით ჩამოიღებს ჟინი ანთარის ძმისშვილი ჭოფიას ცოლი, ძუბა ჭანია) ახალ ენერგიას შემატებს.

ქალს აშკარა სიკვდილისგან იხსნის ბუტუტი. დაზარალებული დაიმგზავრებს გადამრჩენელს, იმ მოტივით, რომ სისხლში მოთხვრილი ჭაბუკი რაღაცნაირად მოალაზათიანოს. იქ, ანთარიებთან, შეიტყობს ბუტუტი თავზარდამცემ ამბავს — ცეცხლში დაბუგულან თურმე ჟინი, მაფა ჰალიძონია, თვითონაც. ყოველ შემთხვევისათვის ასე სჯერა ხალხს. თავჩამოხრჩობილ კოჩიას წერილში ბუტუტი მყისვე ამოიცნობს ჟინი ანთარის კალიგრაფიას. მიხვდება, რომ ყოველივე სატანჯოელი მეცნიერის მორიგი ბოროტებაა შვილისთვის ალიბის შესაქმნელად — ზედმეტ მოწმეებს ჩამოაშორებს სიცოცხლემისჯილ, იგივე ზეკაც მემკვიდრეს, თავისუფალი მოქმედების პირობებს შეუქმნის, მაგრამ იმავდროულად საკთარი ვინაობის გამჟღავნების შესაძლებლობასაც გადაუწურავს — სიმართლის გაცხადებისთანავე ღმერთის ბადალი ბუტუტი სატანჯოელების მკვლელად გადაიქცევა და სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილს ვერსად წაუვა.

ოდაბადეში ყოფნისას ბუტუტი ზედმიწევნით გაეცნობა ბნელწარსულიანი დედის ცხოვრებას, გაეცნობა წუთისოფლისგან დაბეჩავებულ ნახევარძმებს, კოჩია ჰალიძონიას ძუძუდაშრეტილ ძმისშვილს, ხანტურს

(ბუტუტის მოტაცების ღამით აკვანშიმწოლ ჩვილს წაყირავებული ლამპით მკერდი დაეწვება), ახსენდება ჟინი ანათრის შეგონება:

შენ ჯერ ფიზიკურად უნდა განკურნო ხანტურ ჰალიძონია, მერე — სულიერადაც, რათა მაფას და ჩემი ბედკრული სიყვარული უკვდავებას აზიაროო; აგონდება, მაგრამ რამდენადაც ბუტუტია ზეკაცის თეორიით შეპყრობილი, იმდენად კომუნისტური იდეებით მოწამლულა ხანტური და დაიწყება მათი გაადამიანების რთულზე რთული პროცესი.

ბუტუტის პიროვნებას ნელ-ნელა ეხდება ფარდა:

ჯერ ჭოფია ანთარია მიამსგავსებს მას ჟინი ანთარს, ვინაიდან ყმაწვილი მართლაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს მშობელ მამას, თმის შეფერილობას თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში; შემდეგ ნახევარძმა ჭიჭე კვეკვეს ბუტუტის ფოტოებს ანახებენ რამკიანი ქურდები (ძუბა ჭანიას ფათერაკის დროს შემთხვევით ჩაუვარდებათ ხელში ბუტუტის სპორტული ზურგჩანთა. ბუტუტის გარეშე ვერც მათ გამოაქვთ შემნახველი სალაროდან დიდძალი თანხა).

ცირა შკვითინია ჭიჭე კვეკვესგან შეიტყობს აქამდე დახანძრულად მიჩნეული პირმშოს საღ-სალამათად ყოფნას. კულულს ჩამოაჭრევინებს ბუტუტის ტრადიციის შესაფერისად — შვილის მაგივრობას სთხოვს ღვიძლ მემკვიდრეს. ქერა დალალებს შავად გადაიღებავს, რათა ვინმემ მსგავსება არ აღმოაჩინოს დედა-შვილში. ცირას მტკიცედ სჯერა, რომ ბუტუტიმ განგებ ამოხოცა სატანჯოში ხალხი, რათა ამით საკუთარი უზნეო წარმომავლობა მოესპო და ჩაჩუმების მიზნით საყვარლად ექცევა სისხლ-ხორცი ვაჟის ნახევარძმა ჭიჭე კვეკვეს.

ხანტურ ჰალიძონია უკვე ბუტუტის სიყვარულითაა ავად, თუმცა მისთვისაც სატრფოს წერილებიდან ნელინელ გაცხადდება სასურველი ადამიანის ტრაგიკული ისტორია. ჯერ ჰგონია, შურს იძიებს დედის გაუბედურების წილო. მერე მყარად დაასკვნის, რომ მისი სიყვარულისთვის ყველაფერი გაუწირავს ბუტუტის (ვინაიდან გამხელის შემთხვევაში ისინი ბიძაშვილებად მოევლინებიან საზოგადოებას, ხოლო სისხლით ახლო ნათესავების შეუღლება კოლხეთში ზეზეური სიკვდილის ტოლფასია), ნათესაობა, მშობლები დედა, მეობაც კი, და ამგვარი ფიქრებით შეძრული სასაფლაოზე ეწვევა მგლოვიარე ბიცოლას. ხანტურს სწადია, როგორმე დასტყუოს ცირას ბუტუტის მამის ვინაობა, რასაც მიაღწევს კიდეც და მას აქეთ შეყვარებულები ქალაქში დაბორიალებენ. ისინი პლატონურ ტრფიალს სჯერდებიან, ვინაიდან ქალიშვილს ბავშვობის ცდომილებანი ზარავს, რამეთუ ეშინია, არ მიუტევებს ბუტუტი გახმაურებულ დეფლორაციას. ამასობაში ყოვლისშემძლე

ქურდებსაც შეხვდებიან, რომლებთანაც საუბარში სიცოცხლემისჯილი ახალგაზრდა სატანჯოში მომხდარ უბედურებას თავად დაიბრალებს, თანაც აღუთქვამს, რომ პირწმინდად გამოიტანს არსებულ თანხას და კეთილსინდისიერადაც გაუყოფს.

ახლოვდება სატანჯოელების ორმოცი. ბუტუტი პატიმრობაში მყოფ მესამე ნახევარძმასთან (დედით) მიემგზავრება რჩევისთვის. (იგი ავხორცი ბიძიას მიმართ შურისძიების მიზნით, ბიცოლას გაუპატიურების მცდელობისთვის იხდის სასჯელს). პატიმარი დურუ ჰალიძონია ხანტურის სიყვარულს აუკრძალავს მკვდრეთით აღმსდგარ ნახევარძმას, თუმცა მშვენივრად უწყის, რომ ისინი სისხლით ნათესავებად, ბიძაშვილებად ხალხს სრულიად უსაფუძვლოდ მიაჩნია. კოლონიიდან მობრუნებული შეყვარებულები ავარიაში მოჰყვებიან და ჟინი ანთარის სიცოცხლემისჯილი ძეც სასიკვდილო სარეცელს მიეჯაჭვება.

ბუტუტის დაკვალიანებული ოდაბადელები მოძებნიან სატანჯოში ლაბორატორიის შესასვლელს. ადამიანების სიმრავლით დამფრთხალ ჟინი ანთარს სულთმობრძავი შვილის სათხოვარს გადასცემენ — სიკვდილამდე ერთხელ მაინც გაუსწოროს თვალი მშობელმა მამამ. მოასმენინებენ ქურდებთან ბუტუტის საუბრის მაგნიტოფირზე ჩანაწერს სადაც, სადაც ახალგაზრდა თვითონ იბრალებს სატანჯოელის დანაშაულს. ჟინი ანთარი ხერხემალში გადამსხვრეულა, მაგრამ მაინც აუღელვებლად დაასრულებს ცდას. წერტილს დაუსვამს დღიურს. უკანასკნელად ააკაკუნებს მორზეს აპარატს. ისმის საგანგაშო სიგნალი „**SOS**“. მერე ჭაობნარისკენ მიემართება ვითომცდა განსაცდელში ჩავარდნილი მემკვიდრის მოსარჩენი სამკურნალო მცენარეების მოსაწყვეტად და ულმობელი ონწყვეშია, ათასობით ადამიანი რომ ეყოლება დანთქმული, ჟინი ანთარსაც ჩაითრევს ჩვეული გულგრილობით.

წყალდიდობაა. ენგური ბობოქრობს. გამეხებული ტალღები მოაგორებს ფესვებიანად მოთხრილ ხეებს, დამხრჩვალ პირუტყვს. წვიმა თქიშინებს. ბინდბუნდია. ბორანზე წყალდიდობით შეძრწუნებული ხალხი შეგროვილა. ფანჩატურში საკაცეზე წევს თაბაშირში ჩამჯადრი ბუტუტი. გარშემო ყველაფერი — ოდაბადეც, სატანჯოც ულმობელი სტიქიით მოშთობილა. ბუტუტის ახსენდება საკუთარი კამეჩების ჯოგი, რომელიც ქურდ-ბაცაცებს სასაკლაოსკენ წაურეკავთ და ბაკში შექუჩებულნი საწყალობლად ყროყინებენ და იცრემლებიან. ბორნის ხოფს ამაოდ ეჯაჯგურება მისი ნახევარძმა ჭიჭე კვეკვე. იდაყვზე წამოიწევა ბუტუტი, მეორე ხელს პირზე რუპორივით მიიდებს და „ლავა, ნოე, ლავა, ნოეო“, სულისშემძვრელად უხმობს კამეჩებს. ეს სასოწარკვეთილი ხმა გრგვინვასავით გადაუვლის მთელს ქვეყნიერებას. იქ, სასაკ-

ლაოს შემორაგვულში შეყრილ კამეჩებსაც შეუჩნდება. აბობოქრებული ჯოგი გამოანგრევს რკინის მესერს და თავგამეტებით გამოქანდება ბუტუტის ძახილისკენ. მორყეული ბორნიდან კამეჩების ზურგზე გადაბობღდებიან ხანტური და ბუტუტი. ირგვლივეთი კუპრისმაგვარ წყდიადში შთაინთქმება.

ზღვისპირეთი.

გადაბრეცილი, აქამდე გამხმარი მუხა შიგადაშიგ აყვავებულა. ლერწმოვანებში მშვიდად იცოხნება კამეჩების ჯოგი.

ბუტუტის ატროფირებული ფეხები მუხლებამდე ჩაუმარხავს მხურვალე სილაში. თაბაშირში თავ-კისერი გახევებია. ქვიშის ორმოს უჩხიკინებს. იქვეა ხანტურ ჰალიძონია, რომელსაც დაშრეტილი ძუძუ გავსებია. ჭიანჭველებს ჩაფერთხავს ორმოში ბუტუტი და აყურადებს — შეძლებენ თუ ვერა იქიდან ამოღწევას.

ქვიშა დაბლა ცვივა. ჭიანჭველები ამაო ცოცვით იტანჯებიან, მერე უკლებლივ თავს იკლავენ წუთისოფლით ძლეულნი. ბუტუტის ცნობიერებაში შემოცურდება ჟინი ანთარის ლაბორატორიული ცდები: ბებერი და ახალგაზრდა მორიელის ორთაბრძოლა ცეცხლის რკალში. გამარჯვებული ხრონცი, როცა გასაქცევს ვერსაით მოიგულვებს, თავს იგესლავს შხამიანი ბოლოთი;

კეთროვნების და ოდაბადელების უნუგეშო-მოზეიმე სახეები ფუთ-ფუთებენ;

აღმართზე უშველებელ ლოდს მიაგორებს სიზიფე — ჟინი ანთარი, რომელიც მწვერვალამდე აღწეულს ხელიდან დაუსხლტება და ზვავი გადაჯეგავს ნორჩ შიმალებს;

კლდეზე მიჯაჭვულ სატანჯოელს არწივი ღვიძლს უკორტნი;

ასპიტი აშთობს ლაოკოონ-ჟინი ანთარს და მის ძეთ;

მაცხოვრის გასისხლული ზურგი გოლგოთისკენ მიათრევს საკაცობრიო ჯვარს;

ჩალმიანი ქადაგის წინაშე დამხობილა მთელი სამაჰმადიანო;

ერთმანეთს ენაცვლება კამარაშეკრული ავაზა, აკანკალებული შვლის ნუკრი, დანომრილი ტყვეების რიგი ოსვენციმისა და ბუჰენვალდის კრემატორიუმებთან, სოკოსმაგვარი აფეთქება ჰიროსიმას თავზე, შიმშილით მისავათებული აფრიკა, ადამიანის განაყოფიერების — მეიოზის მიკროსკოპული სურათი, ემბრიონი დედის წიაღში;

ხასხასა დედამიწას შორდება კოსმოსური ხომალდი და ვარსკვლავებში მიიკვლევს გზას.

ბუტუტი ტირის. ქილაში დამწყდეულ ჭიანჭველებს ათავისუფლებს. მხოლოდ ერთადერთი არ ეპუება ქვიშის გადაულახავ კედლებს. ბოლოს, სტიქიასთან ჭიდილი უაზრო რომ შეიქნება, ფრთები გამოუვა და საბედისწერო ორმოდან ამოფრინდება. ერთი შეხედვით უმწეო მწერის მეტამორფოზა განუსაზღვრელ ძალას შთაბერავს ახალგაზრდას. აჰყვება ჭიანჭველის აღზევებას, და კამეჩების ჯოგის გასწვრივ, უშველებელი ფრთების ფონზე, ახლად ფეხადგმული ჩვილის ბანცალით მიიწევს წინ ჩამავალი მზის მეწამული ბილიკის მიმართულებით.

პაექრობა „ცნობიერების ნაკადთან“

„სიცოცხლემისჯილების ფაბულა“, როგორღაც გასრულებულა მხატვრული თვალსაზრისით, ზედმიწევნით დახვეწილა მისი დასკვნითი აკორდები, და ამდენად, მთლიანობაში წარმოდგენილი, დიახაც სინოფსისის დამიზნებითაა გასროლილი, მაგრამ ვახსენე და ვიმეორებ: რეალობის ამგვარი წარმოჩენა ხელს არ აძლევს სასიქადულო წინაპრების გამოცდილებას დაწაფებულ ჩემს სულს; ამიტომაც არა რაიმე ეპიგონის ბოდიალით, ან პლაგიატის ურცხვობით, არამედ სრულიად შეგნებულად უკუვარდება ტრადიციული, უფრო სწორად, დატკეპნილი თხრობითობა გუშინწინდელი, გუშინდელი, თუ გნებავთ სადღეისო სამწერლობო არსენალიდან; და როდესაც ავანსცენაზე ცენტრალური ფიგურა შემოაბიჯებს, და რაჟამს ყოველი ძაფი და ბალთა მის არსებას გამოეკვანძება შორი მატერიკების მოსახილველად ამჩატებულ დირიჟაბლსავით, მთელი სიმძაფრით მოგვეახლება „ცნობიერების ნაკადის“ — ამ მართლაცდა, სვეკურთხეული ლიტერატურული აღმოჩენამეთოდის აუცილებლობა.

ვისაც ტელესტუდიაში რამდენიმე თვე მაინც უთანამშრომლია, მისთვის ნიშანდობლივია ამგვარი ამბავი: ზიხარ სამართავ პულტთან, გადაცემის რეჟისორი ბრძანდები. ჩართულია სამი თუ ოთხი კამერა და თითოეული გამოსახულება თვალწინ გიციმციმებს. ჯერი შენზეა. ახლა შენს უნარებზეა დამოკიდებული, როგორი თანამიმდევრობითაც დაამონტაჟებ მოწოდებულ მასალას.

ვთქვათ, რომ პირველი კამერიდან გმირის წარსულის ამსახველი სურათები მოედინება; მეორიდან — თავად მისი ამწუთიერი ყოფიერება — სტუდიაში მიგვიწვევია იგი გულგახსნილი საუბრისათვის; მესამე კამერა ტიტრებს და მისთანა ატრიბუტებს მისჩერებია. ჩვენი მიზანია

შერჩეული პიროვნების წინააღმდეგობრივი ცხოვრების ზედმიწევნით განჩხრეკა სამივე დროში. ჰოდა, დაიძრება მაყურებლისკენ ერთბაშად გმირის აწმყო, წარსული და მომავალი. აგერ, წამყვანი ყმაწვილობის წლებს უხსენებს სტუმარს, და რეჟისორიც მონიტორში კადრს შეცვლის, სტუდიის პერსონაჟის პასუხის ნაცვლად ეკრანზე გასრიალდება ჩვენი გმირის სიჭაბუკის ხანა, ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ეს პროცესი იმდენად მახლობელია ტელე და კინორეჟისორებისათვის, რომ უხერხულადაც კი მიმაჩნია მასზე ესოდენ დაღეჭილი საუბარი, მაგრამ მკითხველი, როდესაც მსგავსი მეთოდით დალაგებული რომანის მაგნიტურ არეში მოექცევა და ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის სულიერ მდგომარეობას ნაწილ-ნაწილ წააწყდება ყოველგვარი სწორხაზოვნების უკუგდებით, მხრების აჩეჩვას მიეძალება, ვინაიდან მისი საზრიანობა ნამარხულევი სტომაქივით ერთობ მოუმზადებელია ცხელ-ცხელი ნაზუქების მოსანელებლად.

რაც შეეხება, მწერალს, იგი განზე გამდგარი მიაყურადებს თავისი გმირის ზნეობრივ გრადაციას, ხოლო წყეული წარსული, რაც ერთხელ და სამუდამოდ გამეღავნებული კინოფირივით განუწყვეტლივ უტრიალებს ცნობიერების საპროექციოში, ქრონოლოგიურად კი არ მოძრაობს, 1,2,3-ის რიგითობით როდი წაეწყობა კადრი კადრს, არამედ — აღრეულად, იმავე თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც უხერხდება პერსონაჟს ნამყო დროის რესტავრაცია.

ერთი სიტყვით, როცა ინდივიდი ძალუმად აფორიაქებულია, მეტიც, შეძრული რაღაც შემზარავი, ამაზრზენი შემთხვევით — ვთქვათ და აქილევსისთვის ბრისეიდის წარტაცება რომაა აგამემნონის მიერ, კვენტინ ქომპსონისთვის — სულზე უსაყვარლესი და კენდეისის გამეძავება, თუ ბუტუტისთვის დედასთან სქესობრივი კავშირის ჭიჭე კვეკვესეული ბრალდება, — გასაკვირი არაფერია, თუკი მისი განცდები ვულკანის კრატერში მოთუხთუხე ლავას მიმსგავსებია და სადაც არის ამოიფრქვევა კიდეც პომპეის თავზე.

მოკლედ, ბონდო ჰალიძონიას, რომელსაც ნაწარმოების პირველ ნაწილში საკუთარი პიროვნების დამსხვრევა (ლაბორატორიაში გამოჩეკვის საწინდრად) აღონებს და ამძვინვარებს ერთდროულად, მოგვიანებით დედასთან შერცხვენა მთლად მიწასთან გაასწორებს და დაგვეთანხმებით, რომ ამგვარი ადამიანი ვერაფრით გადმოგვცემს საკუთარ განცდებს, ფიქრებს პედანტის გულდინჯობით. პირიქით, ბუნებრიობა სწორედ წარუშლელი სცენების ამორფული მოწოლაა. მარტივად რომ მოვჭრათ, ბედისწერის წიხლებით ღირსებააყრილია ბუტუტის მეობა, როცა ფეხქვეშაა გათელილი, მისი დაძაგრული

ცნობიერება თანამიმდევრულად ვერაფრით დაალაგებს დამთრგუნველ წარსულს, და „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდიც აიწყვეტს, აიშვებს — ბუტუტის სულში გაჩაღებული ქაოსი უკვე სტილურ, სრულყოფილ წესრიგად ამოიზრდება ვითარებისდა კვალდაკვალ, და ამდენად, მისი ლიტერატურული გაფორმებაც, ჰეგელისა არ იყოს, სრულფასოვნად შეესაბამება შინაარსს.

სინოფსისში ასახული ამბავი, ცხოვრება, რინა, არსად გაქცეულა, არსად დაკარგულა, ოღონდ დაირღვევა მოქმედების განვითარების სამწყობრე და მიმოიფანტება, განიბნევა რომანის სივრცეში.

დავუშვათ, გავკადნიერდით და „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდით ვცადეთ ხელთუქმნელი „ვეფხისტყაოსნის“ პასაჟების ხელახალი დალაგება, მაშინ პოემის ექსპოზიცია თინათინის გამეფებით კი არ დაიწყება, არამედ — ანდერძით, სატრფოწაგვრილ ტარიელთან ავთანდილის გაპარვით. ამ მსვლელობის ჟამს კი ამირბარის სულის თვალსაწიერზე აფუთფუთდება ყოველგვარი გარდახდილი — თინათინის გამეფებაც, ნადირობაც, უცხო მოყმის ნახვაც და თავად ტარიელის თავგადასავალიც — ველად გაჭრილ მოყმისგანვე მოთხრობილი, ოღონდ ავთანდილის გონებისგან აღმოცენებული, ავთანდილის ცნობიერების ეკრანზე გაცოცხლებული. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოების თითოეული მყესი ავთანდილის მიერაა ჩაგვირისტებული; მისი ხსომიერება საჭიროებისდა მიხედვით გზადაგზა აღადგენს ფატმანებს და ჭაშნაგირებს, როსტევანებს და შერმადინებს, თინათინს მრავალგზის, უთვალავჯერ, აურაცხელად და მაინც მოვალეობის მკაცრი პასუხისმგებლობით მიემართება ქაჯეთის ციხის — ბოროტების ციტადელის დასალეწავად. მაგრამ, ბუნებრივია, ამისთანა მკრეხელობისგან შორსაა რუსთველის შემოქმედებითი თაკარა სულის ჩეროებს მიყურადებული ჩემი ბელეტრისტული ცოდვილობანი. ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ ვაჩვენოთ, თუ რისთვის მჭიდროვდება „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში მოქმედების დრო ზღვა მასალის კონცენტრირებისას.

„ილიადაში“ რამდენიმე დღეში ეცემა ცხრა წელიწადს უძლეველი ილიონის კარიბჭე;

სამდღიანია „ხმაური და მძვინვარების“ ბორჯი;

„სიცოცხლემისჯილებში“ ორმოცი დღე-ღამის მანძილზე საცნაურდება უსიყვარულოდ გაჩენილი ძეხორციელის ძირმწარე სვე-ბედი, მისი რინამოსწრაფებული ყოფიერება, მიუსაფარი წუთისოფელი თუ მაცხოვრისგან ზურგშექცევა, თუმცა, რადგანაც ყოველივეზე საკმარისზე მეტად გვილაპარაკია, იქნებ ჯობდეს, ზოგადი საუბრების ნაცვლად, კონკრეტული მასალის მოშველიებით მოვუნასკვოთ თავი განსასჯელ

საგანს:

„ — შენთან ურთიერთობა ამიკრძალა დურუმ. მაინცადამაინც თუ არ დაიშლით და მაგ საქმეს იზამთ, გიჯობთ, ცხრა მთას იქით გადაიკარგოთო. (ბუტუტის დიალოგი ხანტურთან). „მაღალ იდეალებზე ვდებდი თავს, არაფერი დამიმალავს, არაფერი. გავუმხილე, თუ როგორ შეარჩია ჟინი ანთარმა სიცოცხლისუნარიანი სპერმა, მეორე — მეიოზი Coitus-ის გარეშე. რანაირად უძრა ნაყოფი მუცელში Mater dolorosa-ს, ოღონდ არა sancta-ს. ყოველივე დავფქვი, წვრილმანიც, მსხვილმანიც, დედისა და ტყუპისცალი ჯიმაგეს მოჩვენებითი საფლავები აკაციის ტევრში; რანაირად მაზუთხებდნენ ლათინურს და გერმანულს, „სახარებას“ და ფილოსოფიას. მერე? (ბუტუტის ფიქრი) **თანამიმდევრულად ვაზიარე სამყაროს იმგვარი გააზრება, როგორიც აპეირონია, მაგალითად, ანაქსიმანდრესთან, ჰაერი — ანაქსიმენე მილეთელთან, ნივთთა თესლი — ჰომომერიები — პირონთან** (ფილოსოფიის სხენებით ბუტუტის ცნობიერებაში აღმოცენებული, ჟინი ანთარის სიტყვები, ანუ იგივე „ცნობიერების ნაკადი“) პირონთან ჰომომერიები?! ეს რა მიქარვაა?! პირონის კვლევის ობიექტი ეთიკაა, როგორც ეს ტიმონის შრომებიდან ვიცით. ის ხომ ბედნიერებას და მისი მიღწევის საკითხებს იკვლევდა. ჰმ! ატაქსია, აპათია. არა, რაბი, სკეპტიციზმით ჭეშმარიტების მიღწევა?! შეეშალა თუ განგებ აურია?! მცდიდა, კი, უსათუოდ. აინტერესებდა, რანაირად მქონდა საკითხი შეთვისებული“. (ბუტუტის ფიქრი) დავიღალე! მეტი არ შემიძლია!“ (ბუტუტის დიალოგი ხანტურთან).

დაუსტამბავი წიგნის წინასიტყვაობა, ნეტარი დიმიტრი გულისაშვილი და სხვ.

„რინამისჯილი... ცხოვრებამისჯილი... სიცოცხლემისჯილი... მაშ, სხვა რა დაერქმევა ყმაწვილკაცის არსებობას, ოდეს ზეცას ეპოტინება განსადიდებლად და უსუსური ჭიანჭველა აღმოჩნდება; როცა ღვთაებად წარმოსახული მშობელი დედის მაძებარს, კალთამადლიანი დიაცი შერჩება ხელთ; რაჟამს სულზე უსაყვარლეს სატრფოს ჭირთათმენით უკუაგდებს, საღ-სალამათი უძლურებასაც კი დაიბრალებს საქვეყნოდ, ოღონდ გამჩენელთან დაყრილ საშინელ ჭირებს უსაფუძვლო ნიადაგი გამოეცალოს...“

ასეთნაირი ფორმა-შინაარსით იხსნება გამომცემლობა „ნაკადულისთვის“ მომზადებული რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ კარიბჭე, მაგრამ მოდით, უფრო ახლოდან შევხედოთ მოვლენებს...

თხზულების პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ გვარიანი დრო გაივლის. მე უკვე მთლიანობაში დამისრულებია იგი და ამისთანა ვითარებაში, როცა დასასტამბად მატრიცები გახაზირებულია, გამომცემლობა „სამშობლოს“ კიბეებზე ხმელ-ხმელი კაცი გამომეცნაურება. მენახა სადღაც, მაგრამ ვერაფრით გავიხსენებ: სად, ვისთან, რა ვითარებაში.

— მე დიმიტრი მქვია, გულისაშვილიო, — მეტყვის.

გახუნებული პალტო აცვია; ამოღამებული თვალებითა და ცვილისფერი სახით სარკოფაგიდან წამომდგარ მუმიას ჰგავს.

— მე თქვენი წერილები მისწორებია სტილისტურად „ქართველ ერში“. მომხიბლა თხრობის თქვენეულმა მანერამ. პროზაშიც მუშაობთ?!

— კი, — დავუდასტურებ თავმდაბლობით, — რომანი მაქვს დაწერილი, მაგრამ მცირე ტირაჟით გამოიცა და ალბათ, ხელში ვერ მოგხვდათ-მეთქი.

— იქნებ წამაკითხოთო, — ბატონმა დიმიტირიმ.

— რა ბრძანებაა-მეთქი, და მომდევნო დღეს ფრიად მსუყე წარწერით ვუსახსოვრებ კიდეც.

გავა ორი კვირა და ისევ გამომცემლობა „სამშობლოს“ კიბეებზე შევხვდები ბატონ დიმიტრის, ოღონდ წინანდლისაგან განსხვავებით ამჯერად მე ამოვდივარ მაღლა. მკლავზე ხელს გამომსდებს.

—წამოდი ჩემთან, კაბინეტშიო, — მეპატიჟება.

უკვე საკმარისზე მეტად ვუწყი მის ავანჩავანზე. ვიცი მეტად დაუნდობელია მართლწერის თვალსაზრისით. მისი კალმისტარის ჭიპმოჭრილ ავტორებსაც ეშინათ. ისე დაჩეხავს, ააჭრელებს სტატიას თუ ნარკვევს, პატრონს თავდაპირველი ტექსტის ცნობა უჭირს. სტილისტობით ირჩენს თავს. „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელი სხვა რედაქციებსაც „სწყალობს“. წარმოშობით კახელს გოგლა ლეონიძესთან უმეგობრია, მისი „ნატვრის ხე“ დაუხვეწავს თურმე.

— წავიკითხეო, — წარმოსთქვამს გაურკვეველი ღიმილით განიერ მაგიდასთან მოკალათებული. უჯრას გამოაღებს და გაზეთშემოხვეულ ჩემს რომანს ამოაცოცებს, — ამ ეგზემპლარს დაგიბრუნებ, ოღონდ იმ პირობით, ახალს თუ მაჩუქებო.

— გეკადრებათ-მეთქი.

— მე იქ გარკვეული შენიშვნები შევიტანე, ყურადღებით წავიკითხე, ისე კი ყოჩაღო!

ამოვიჩრი იღლიაში და ვუტევ გზას.

საღამომდე ვერ მივბრუნდები შინ. გვარიანად ნაბახუსევს რომანის ოპონენტური აზრი არც გამხსენდება. მომდევნო დილით, ლუდის წრუპვაში გართულს მომაგონდება სახელმძღვანელოდ გამოტნეული წიგნის ეგზემპლარი და პირველივე გვერდიდან ტუშის დაუნდობელი კვალი გულს გადამიქანებს, ბოღმით ამავსებს „სადისტი, მწვალებელი გაზეთჩიკის“ მისამართით. მაგრამ მერე და მერე სიღრმისეულად რომ ჩავუღრმავდები ბატონ დიმტრი გულისაშვილისეულ ჩარევებს, გულისყურით წაკითხულ ფრაზებს, ველზე გატანილ შესატყვისებს, სინონიმებს, სახეზე სიმწარის ოფლი შემაშრება. მივხვდები, იშვიათი ღვთიური მადლით უნდა იყო ცხებული, რომ ორი კვირა გამადიდებელი შუშით უტრიალო ვიღაც ახალბედა მწერლის ჯერაც დაუმთავრებელ თხზულებას, თანაც — აუნაზღაურებლად, სუფთა პროფესიული პატიოსნებითა და სინდისის კარნახით.

ჩავუჯდები და ჩავუწიაღდები „სიცოცხლემისჯილების“ მეორე გამოცემას. დაახლოებით ორიათასამდე შეცდომა აღმოუჩენია ბატონ დიმიტრი გულისაშვილს, უმეტესად ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათისა. არის რამოდენიმე ასეული სერიოზული შენიშვნაც, წინადადების კონსტრუცქიის თვალსაზრისით: ოპონენტს თავსა თუ შუაწელში მოქცეული ჩემი წინადადების ზმნა ყოველთვის ბოლოში გადააქვს, და ამით ფრაზას უკეთ დასრულებულის იერს ანიჭებს.

მოგვიანებით მივხვდები, ჩემი წინადადების ერთი მესამედი მაინც მეგრული აზროვნების, მეგრული სინტაქსისა, სადაც ხშირ შემთხვევაში ზმნა უსწრებს წინადადების სხვა წევრებს. მკაცრი ტუშის ნაკვალევი უკიდურეს კუნჭულამდე მისდევს რომანს. არსად უჩქარია, არსად გადაურბენია უაბზაცო გვერდისთვის, კიდით კიდემდე მიჰყოლია სიტყვის ფენომენს. სადაც ხამუშებია, დაუნდობლად გადაუბალთავს და ამასაც არ დასჯერებია, უფრო მართებული შესატყვისი დაუძებნია.

გზადაგზა შეხვდებით შედარებით ძირმწარე პასკვილებს, ცინიზმს, შეძახილებს გმირის მეტყველებისას, როცა ამაღლებული აზრები სრულიად დაუმსახურებლად მიეწერება ტეტიას; შენიშვნების რიგს, როგორიცაა: „ორთავე“, „ფაქტიურად“, „თანმიმდევრულად“, „გატიკინებული“. „მაშინათვე“, „გადადენის“ და სხვა, ნაცვლად ორივე, ფაქტობრივად, თანამიმდევრულად, გატიკნული, გადარეკავს, მაშინვესი, რამდენიმე ათეული მითითება გულდასმით ჩაღრმავებას, ჩაწვდომას, და გარანდვას საჭიროებს კვლავაც.

რიგითი სიტილისტი სულ წყალში ჩამიყრის უნივერსიტეტის წლებს, ბატონ ნოდარ ტაბიძესთან მეცადინეობებს, საკუთარ თავთან ათ-

წლიანი ჭიდილს ფორმის და შინაარსის ერთიანობისთვის. არისტოტელე-ჰორაციუსების, ჰეგელბუალოთა შეგონებებს. ახლა ჩემს თვალში სიტყვა გაცილებით მეტ სიმკვრივეს შეიძენს, ვინმემ ამას რამდენიმე დღის, თვის თუ წლის წინ ვანიჭებ. ბატონი დიმიტრისეულ შენიშვნებს ორ ათასეულს მეც წავუმატებ და გული ჩქრიალით ამევსება. ამ გაგანიაში მყოფი მეტროპოლიტენ „რუსთაველის“ სადგურთან ერთხელაც შევხვდები ბატონ დიმიტრი გულისაშვილს. თვინიერად მივართმევ ორივე წიგნს, წარწერიანსაც გაორმაგებული შენიშვნებით და ხელუხლებელსაც. აქვე ამას ვეუბნები დაღვრემილი:

— ვაგლახ, მწერალი მეგონა ჩემი თავი და გაზეთჩიკად ძლივს ვვარგებულვარ-მეთქი.

მხარზე ხელს დამადებს.

— ამისთანა განცხადება ნაღდი შემოქმედის მეტს არ ძალუძსო, — მანუგეშებს და წავა. მას აქეთ ვერც ვნახავ, თუმცა უკვე ხუთ წელიწადზე მეტი გასულა. სულ მენატრება ეს ხმელხმელი, ცვილისფერის სახის მოხუცი, სარკოფაგიდან წამომდგარ მუმიას რომ ჩამოჰგავს. იგი ოიტატის მისიას ჩინებულად შეასრულებს, კეთილ ნერგს გაახარებს ჩემში, სულის შელიბრულ, დამტვერილ სარკეს გადამიცისკროვნებს, გადამიქათქათებს, მადლს დებს ქვაზე და გაივლის.

ამიტომაც, ვალდებულად მივიჩნევ ბატონ დიმიტრი გულისაშვილის გაღივებულ თესლს, ჩემს სულში აღმოცენებულს, ბოლომდე ვუპატრონო, ნაყოფიერი ხე ავაშრიალო მისგან, რათა სიტყვაკაზმული მწერლობის ზღურბლთან მოახლოებულ ახალგაზრდა შემოქმედს ძვირფასი წლები უქმად ბოდიალში არ დაეკარგოს, თვითნაბად პუშკინს ჟუკოვსკიმ რომ უწინამძღვრა პურგაში, იმიგვარად.

რამდენიმე წელიწადი კალამს გადავდებ. ესეებით შევიქცევ თავს, თანაც დიდი ცნიბიერებით ჩავუღრმავდები თეორიას, ნაწარმოების სტრუქტურას. აქამდისაც გაცნობიერებულს აწ ლამის წკნელივით დავიურვებ. არც ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობის ხელმეათედ გათავისებისას მოვარიდებ მზერას. ჰოდა, როცა ცარიელი ფიჭა გოლეულით გალიპლიპდება, ზურგს შევაქცევ გაზეთებს, ტელევიზიას, ათიოდე წიგნს დავილაგებ მაგიდაზე და თაროებიდან მოჩერებულ გრაფომანებს კარს ცხვირწინ მივუმუწავ.

ყოყლოჩინობა, თავმომწონება პატარა ერის თვისებაა.

ჩვენი ქართული თავმოყვარეობა ლამის კოსმოსში გაიჭრას ხბოს უცოდველი აღტკინებით, მაგრამ მოდით, შევხედოთ რეალობას, მართლაც საკუნტრუშოდ გვაქვს საქმე თუ საბუქნაოდ?!

ხვალინდელი შემოქმედის გამარჯვების საწინდრად მე მოურიდებელი ვიქნები დიმიტრი გულისაშვილის ტუშნასვამი კალამივით და როგორი ქოქოლაც დამაყაროს ქართული სიტყვიერების დღევანდელობამ, ჰაცე, ვირო-მეთქი, შემოვკრავ წკნელს ჩემს სახედარს. იარე წინ, შენს ტრაექტორიას ქოფაკების ღავღავისთვის არ სცალია-მეთქი. მაგრამ სანამ ქართული სიტყვიერების რეტროსპექტივას ჩავამწკრივებდე ზოგადსაკაცობრიო განზომილებათა ცხრილში გატარებული კრიტერიუმებით, ორიოდე სიტყვით თავად მხატვრული სიტყვის არსში გავრკვეულიყავით.

არისტოტელეს „პოეტიკა“ ესთეტიკის საუფლოში ამოსავალი წერტილია.

ცხადია, ბერძნულ კულტურას ზიარებულ ჰორაციუსი, გარკვეულწილად მოაციცქნის იმ დიდ ულუფას ლექსის ალქიმიის თვალსაზრისით. ხოლო დიდი ჰეგელი გუთნისდედის გულმოდგინებით ახოების კოჭებამდე გაავლებს ხნულს, გონიერების თესლს მოაბნევს შემოქმედების ტრამალზე, მოფარცხავს და მშვენიერ ჯეჯილ ააღაღანებს, და ვინც უფლისმიერ სვეკურთხეულია, როგორც ხნოვანებით, ისე პოეტური აღმაფრენით, უცოლობლად მოიმკის საკაცობრიო პურეულს უკვდავების მშიერი მადის დასაშოშმინებლად.

ეპიკური პოემისა და ტრაგედიის განხილვისას არიტოტელე პრიორიტეტს ამ უკანასკნელს მიანიჭებს, ვინაიდან მისი თქმით, ესა თუ ის ეპიკური ტილო ორი, სამი ტრაგედიის შემცველია და აქედან გამომდინარე— კომპოზიციურად მოშვებული. მაგალითისთვის შორს არ გავიქცევით, მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს იშვიათად გამოვეკიდებით, უფრორე ეროვნულს დავესესხებით, რათა, ჯერ ერთი, ნიადაგი შევამზადოთ საერთო დასკვნებისთვის, თუ რატომ არა გვაქვს საქმე საკუნტრუშოდ და მეორეც, ამ ანალიზის დროს ჩემი მომავალი შეგირდისთვის გაცილებით ნათლად დაიხატოს თავად ხელოვნების არსი.

ესთეტიკაში მიჩნეულია ერთი ჭეშმარიტება, რომ იდეალურს უახლოვდება ნაწარმოები, რომელსაც ახასიათებს ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობა. ეს განზომილება ზედმიწევნით ნიშანდობლივია ტრაგედიისთვის, ვინაიდან იგი, როგორც წესი, სცენაზე თამაშდებოდა თხის ტყავწამოსხმული მსახიობების მიერ და განსაზღვრული იყო ქრონომეტრაჟით მაყურებელთა ინტერესების გათვალიწინებით. „მედეა“, „ოიდიპოს მეფე“, „მიჯაჭვული პრომეთე“, და მათი კატეგორიის ტრაგედიები, (თხის სიმღერებად რომ ითარგმნება ჩვენებურად ზემოთხსენებული მოსასხამების გამო), მთელი სიგრძე-სიგანით ექვემდე-

ბარებიან მოცემულ პირობას. არსებობს სცენა — მოქმედების ადგილად ბოძებული; არსებობს მოქმედება მაყურებლის შთაგონებისთვის აბობოქრებული და არსებობს დრო — რეალობის ექსპრესიული აღქმისათვის წარმოდგენილი. მაგრამ ეპიკოს შემოქმედს ბევრად არ ეპიტნავება თეატრთან შემოჯარული მაყურებლის ინტერესები. ის მიერეკება სიტყვას და აქ თუ ზომიერების გრძნობა უღალატებს აედს, კრიტიკა დაუნდობელია, შეიძლება ღვთაებრივ ჰომეროსსაც შესძახონ: „ოდისეაში“ ამ გენიოსსაც კი ჩათვლემს აქა-იქო; ხოლო ჩაქინდვრა ხელოვანისათვის იგივეა, რაც კალმის გაქცევა, ზედმეტი ლაყბობა, რომელსაც უმეტესწილად ზურგის შექცევა მოსდევს მაღალი გემოვნების მკითხველისაგან.

ამიტომაც თუ კაცობრიობის ნომერ პირველ სიტყვაკაზმულ ძეგლს, „ილიადას“ გავიხდით ნიმუშისა და ეტალონის ქვაკუთხედად, აღმოვაჩენთ გასაოცარ თანამიმდევრობას და დინამიზმს, ურომლისო ნაწარმოებს კუთხეში უწევს წკმუტუნი ჰეგელების თუ მარქსების ყბაში ჩავარდნილთ. მაგრამ ოდეს შემოქმედების გვირგვინად მიჩნეულ ლიტერატურულ ფაქტს ძირისძირამდე გავითავისებთ, ერთგვარ შვებას ვიგრძნობთ ხოლმე. დიახ, აღტაცებანი, პოეტური აღმაფრენანი ზურგს უკანაა დარჩენილი. ჩვენ ახლა ნაწარმოების შენობას ვადგენთ, წარმოვისახავთ მის არქიტექტონიკას, როგორი კონსტრუქციისა ამა თუ იმ პოემის ქარგა, როგორია მისი სვეტები, კოჭმზიდები, თავხენი... პირამიდები, სიქსტის კაპელა, სვეტიცხოველი, ამისი ნათელი დადასტურებაა, მონუმენტური, მაგრამ მკაცრ გეომეტრიულ სიმეტრიებს დაქვემდებარებული ხაზები და მათი კვანძებით წარმოქმნილი შინაარსი.

ოცდაოთხი ქებისგან შესდგება „ილიადა“. ამბობენ, ნაწარმოებისას ამნაირ დაყოფას, ბერძნელი ანბანის რაოდენობა დაესაფუძვლაო. რა გზა გვაქვს მეტრებს არ ვენდოთ, მაგრამ გიგანტური ნაწარმოები, რომელიც ზეპირი ტრადიციებით გადმოიცემოდა მსმენელებისთვის, აედებისგან მოითხოვდა ფენომენალურ მეხსიერებას, და რაიმე კანონზომიერების უქონლად, მართლაც თვით გენიოსების ძალასაც კი აღემატებოდა, ალბათ, ესოდენი ინფორმაციის დამახსოვრება, მით უფრო — მათი ამოქმედება.

მეცნიერება მიაკვლევს ჰომეროსის გენიალურობის საიდუმლოს, გააცამტვერებს მოარულ ეჭვს, თითქოს იგი კოლექტიური აზროვნების შედეგია, ვინაიდან წრიული პრინციპის აღმოჩენა საფუძველს გამოაცლის ორღობის მითქმა-მოთქმას. გაირკვევა ერთხელ და სამუდამოდ, რომ „ილიადას“ პირველ ქებას შეესაბამება ოცდამეოთხე, მეორეს — ოცდამესამე, მესამეს — ოცდამეორე და ასე შემდეგ, მეთოთხმეტეს —

მეცამეტე... თემების, სიუჟეტების ამ პრინციპით დალაგება ავტორს შესაძლებლობას უქმნის სრულყოფილადი ცოდნის, ნაწარმოების რომელ მონაკვეთს რომელი შეესატყვისება. დარწმუნებული ვარ ჰომეროსისთვის ცასავით ნათელია რიცხვების სიმფონია, კერძოდ 13-ის საიდუმლოება, რომლის მიხედვით ყოველი ნატურალური რიცხვის გაყოფისას ვღებულობთ რაღაც მთელს და ექვსნიშნა პერიოდს. მაგალითისათვის 1:13 — 0,076 923; 2:13 — 153 846 და ასე 12:13 ვღებულობთ ერთის ცამეტთან განაყოფის შებრუნებულ სიდიდეს, ანუ 0,923 076. ამ ფენომენს ჩვენ გაკვრით შევეხეთ მაღლა და საკმარისზე მეტად ვიმსჯელებთ ქვემორე, სადაც შეძლებისდაგვარად ვეცდებით განვავითაროთ ბატონ ვლ. ჩუბინიძის გენიალური მიგნება 13-ის საიდუმლოების თაობაზე.

ბუნებრივია, ჰომეროსმა ზედმიწევნით იცის რიცხვების ჰარმონიულობის შესახებ. აკი, ვივარაუდეთ კიდეც, რომ რიცხვ ათს მასთან სიმბოლურად სრულყოფილების მნიშვნელობა ენიჭება. და რადგანაც ამეებზე სხვაგანაც მოგვიწევს სიტყვის დაძვრა, დავუბრუნდეთ ესთეტიკურ პრობლემას.

მაშასადამე, ჰომეროსთან ნაწარმოების აშენების მეთოდი დამყარებული ყოფილა მთვარის კალენდართან, წრიულ მეთოდთან, წრებრუნვასთან, და აქედან გამომდინარე, ნაწარმოების არსი ისედაც ღებულობს წრის, დისკის ფორმას, სადაც ყველა სხივი ცენტრისაკენ მიისწრაფვის. თავად ცენტრი კი ათვლის წერტილიდან მოქმედების ექსპოზიციას კი არ ირჩევს, ან გნებავთ კულმინაციას, არამედ იგი ტროას ომის ცხრაწლიან მონაკვეთს შემოინახავს მეათე წელიწადს დატრიალებული ინცინდენტის საზრდოდ. უფრო ხელშესახებად რომ ვთქვათ, ტროას ცხრაწლიანი ალყით გადაქანცული ბერძნების თუ თავად ზღვის ხალხში რის ვაივაგლახით დაცული წონასწორობის ბალანსი უსათუოდ უნდა დაირღვეს, მაგრამ ამისთვის ბრმა (სინამდვილეში კაცობრიობის ყველაზე თვალხილულმა კაცი), აედი კონფლიქტის მოტივებს პერიფერიაში მოისვრის, პერიფერიაში მიმოაბნევს თავად ცხრა წელიწადის სისხისმღვრელი ომის სცენებს, ეპიზოდებს, წვრილმან დეტალებს და მთავარზე მთავარით, ტრაგიკულზე ტრაგიკულით შეუდგება პოემის გაშლას, ანუ იმ რისხვით, იმ პიროვნული ამბოხებით, რომელიც ძალაუფლებით აღმატებულის მიერ უსამართლოდ დაჩაგვრას მოსდევს ხოლმე, ანუ ბერძენთა გაერთიანებული ლაშქრის მეთაურისგან აქილევსისთვის სატრფოს, ხარჭის წაგვრით.

უკეთესი კოლიზიის პოვნა შეუძლებელიც გახლავთ ხსენებულ ათწლიან ორომტრიალში. აქილევსი განრისხებულია. საშინელ ფიცს აღუვლენს ზეციერს, რომ სანამ ტროელები შავფერდიან ხომალდებამ-

დე არ მიჭყლეტენ ბერძნების გაერთიანებულ ლაშქარს, ბრძოლაში არ ჩაებმება. ავტორი ერთი წუთითაც მოსვენებას არ აძლევს მკითხველს ყურადღება მოადუნოს. სულ თვალში შესციცინებს მისმიერ დახატულ სცენებს, იმ გმირებთან ერთად მღელვარებს, გამალებით უძგერს გული, განიცდის, იწვის და ვერც კი ამჩნევს ამ ძირითადი ქარგის ფონზე რა ოსტატურად, რა წვეთ-წვეთობით შემოაპარებს შემოქმედი მთელი ცხრა წლის დაგროვილ ბალასტს. იოტისოდენაც არ გამორჩება, უმთავრესით დაწყებული უწვრილმანესით დამთავრებული: დიახ, თანდათან შემოატყუებს განხეთქილების ვაშლის გამოგორებას, ოლიმპოზე ღრეობისას ალექსანდროსი, ჰერას როგორ მიაკუთვნებს პირველობას და ეს უკანასკნელიც აღქთმისამებრ, რანაირად აუსრულებს საწადელს, რარიგად მოატაცებინებს ელენე მშვენიერს, რომლის დასახსნელადაც დარაზმულან კიდეც მცირეაზიაში ახალდამკვიდრებული ინდოევროპელი გრეკები; როგორ დაპირისპირებიან პოემაში ზღვა ხალხის სახელით მოხსენებულ აბორიგენი პელაზგური ტომების ერთობას, კოლხურ რეალობასაც რომ მოიცავენ. მაგრამ ამისთანა ქვეტექსტები ჰომეროსისათვის ღრმა შრეებშია დაფლული, იგი მიგვანიშნებს, მიგვახვედრებს, ზედაპირზე კი მხოლოდ ტროას ომის ათწლიანი დატაკებით გვისურათხატებს ადამიანურ ვნებათაღელვებს.

გულისხმიერ მკითხველს თუ ჩემს მომავალ შეგირდს, ცხადია, არ შევაწყენ „ილიადას“ ქრესტომათიული ანალიზით, მე მხოლოდ იმას ვჯერდები, რომ თანადროულად გზა გავუკვლიო მომავალ გენიას უნიკალური ძეგლის სრულყოფილებით აღქმისკენ.

და, აი, წრიული მეთოდით შექმნილი პოემის პერიპეტიებიდან თვალს თუ გადავავლებთ დღემდე შექმნილ ლიტერატურულ ძეგლთა ათასეულებს, აღმოჩნდება, რომ ეს უკანასკნელნი, მხოლოდ ვარჯიშობებად თუ გამოდგებიან უნივერსალური პირველადის წინაშე, რადგანაც სხვაგან შინაარსი მიმზიდველია დიახაც, მაგრამ ფორმა ვერ დაურვებულა სათანადოდ და მიუხედავად ამისა მაინც, მხატვრულობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თვალსაზრისით, შეგვიძლია დავასახელოთ რამოდენიმე ლიტერატურული ფაქტი, სადაც თვით „ენეიდაც“ კი „ილიადას“ ეპიგონური ლანდია.

მხოლოდ დანტესთან, დანტე ალიგიერთან ჰპოვებს ჰომეროსის ღვთაებრივი წონასწორობა ფორმა-შინაარსის თანხვდომას. ბეატრიჩეს სულს გამოდევნებული ფლორენციელის ინდივიდუალური ხედვა „ოდისეას“ დასესხებით, ოდეს ლაერტიდი კრონოსის და რადამანთოსის საუფლოში მოიხილავს წარსულს და მომავალს, მსგავსი მეთოდითვე შეიჭრება ქრისტიანული სამგანზომილებიანი სამყაროს სივრცეში პოე-

ტის მე და სიყმაწვილის წლებში გარდაცვლილ სატრფოს გამონთებული, ააღწევს კიდეც უზესთაეს განზომილებამდე — მაცხოვრამდე. მაგრამ მთელი ეს წიაღსვლები, კოშმარულ ფენილებში კირთება, დაზღვეული არ არის ჰომერული სრულყოფილებისგან. აქ მკაცრად განსაზღვრულია სივრცეების თანამიმდევრობა, ჯოჯოხეთიდან სალხინობლისკენ და ბოლოს განუხრელი სწრაფვა უზენაესი სამოთხისაკენ.

„ღვთაებრივი კომედიის“ უკვდავებას ისევ და ისევ შინაარსის მომნუსხველობა შველის, რომლითაც ალეგორიულად ჯვარზე გაკრულა აღორძინების ხანის დაცემული საზოგადოება, მათი ბიწიერება, სულმოკლეობა, მამონასმოყვარეობა და ოდეს ერთად შებაწრულა სრულიად დედამიწის ინტელექტუალური თუ მიწიერი ძალები, საკუთარი ხედვის პრიზმაში გადატეხილი სინამდვილეს მამხილებელ სილად სტკეცს იტალიიდან სრულიად მსოფლიოს.

ამასობაში ესპანეთის მისტიკური წიაღიდან წარმოფეთქავს ლიტერატურისთვის აქამდე სავსებით უცნობი პერსონაჟი, იუმორით შეზავებულ, იპოქონდრიით და ნევროზით შეპყრობილი იდალგოს ცხოვრება, რომელსაც დაშარბათებული რომანების კითხვა ლამის გონებიდან შეარყევს და თავისი მემძორე საჭურველმტვირთველით თუ დაჯაგლაგებული როსინანტის უბადრუკი ჭენებით მთელს ესპანეთს შემოხაზავს კეთილისა და ბოროტის სრულფასოვნებით წარმოსაჩენად. ვერც აქ დაისადგურებს ჰომერული ფორმა-შინაარსის აცამზევება, მაგრამ გონებადაუნჯებული ქვეყნიერება კვლავაც გულში ჩაიხუტებს მარჯვენის უკვდავსაყოფად მარცხენადაკარგული მოხელეს უბადლო ქმნილებას.

გაივლის რამდენიმე ერგასწელი და ახლა გერმანიაში, კვლავ ჰომეროსის ღვთაებრიობაში ჩაყურყუმელავებული გოეთე მიმხცოვანობის ჟამს წერტილს დაუსვამს ლუციფერულ ძალასთან, მეფისტოფელთან, ფაუსტის დაუდგრომელ თანამშრომლობას აბსოლუტიზმის სიმბოლო — წამის — შესაჩერებლად, და რადგანაც კოლოსალური ენერგიაა გაღებული ოდესღაც ხელმოცარული, აწ ბნელ განზომილებასთან შეკვანძული დოქტორის სულის გადასარჩენად, აქაც, სიკეთის მჩქეფარება გადასძალავს ბოროტების გრაგნილებს, იგივე ბნელხვეულებს გალაკტიონს დასესხებით.

ადამიანური სისუსტეები, პიროვნული განწყობილებანი თუ სულიერი ამაღლებულებანი ავტორისეულ რემარკებში როდია მოქცეული რუსთველისგან განსხვავებით, არამედ თავად გმირის მოქმედების მჭედელია, გმირის მოძრაობის და გარდასახვის წარმართველი. აქაც მოიკოჭლებს ფორმა ჰომეროსისგან გამორჩევით, მაგრამ რადგანაც გოეთეს, დანტესი არ იყოს, წარსულისა ბევრი არაფერი აქვს მოსათხ-

რობი, ყველაფერი თანამედროვეობის წარმოჩენის ნიშნით ცხებულა და ვინაიდან ადამიანური ვნებათაღელვანი მძლავრად შეწნვნია ერთმანეთს კეთილისა და ბოროტის ფესვებით, რაღა გასაკვირია, ქმნილებასთვის გონიერ მსოფლიოს საგანძურის უმაღლეს ნიშნულზე მიუჩინა ადგილი სამეულის გვერდით.

შემდგომად ისე გაიფრენენ ათწლეულები, საუკუნეები, თავად ტოლსტოები, გოლზუორთები, ბალზაკები და დოსტოევსკები, თეთრი ვეშაპის მდევნელი მელვილები ქვიქვიგებით თუ ასობით ნობელიანტი, ვერაფრით გადაილახება თვალნაკრავი კონცხი. თუმცა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნე შობს სამ გიგანტს „ომი და მშვიდობის", „ჯადოსნური მთისა" და „ულისეს" ავტორთა სახით, ამ კოჰორტაში გაცხადებული შინაგანი მუხტის რეალიზაცია საგნობრიობას მოკლებულია რამდენადმე ფორმის თვალსაწიერით და მათგან რომელიმეს თუ დავაწინაურებთ, ალბათ — „ულისეს" რამეთუ მისით იწყება სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში ახალი ერა.

დიახ, ოცდარვა საუკუნე დასჭირდება ჰომეროსის ეგრეთწოდებულ წრიულ პრინციპს ალტერნატივა მოსძებნოდა, თუმცა სიტივენ დედალოსის „ცნობიერების ნაკადი", მისი შინაგანი სამყაროს ძირეული წარმოჩენა კვლავინდებურად ფორმის მატარებლადღა მიგვენიშნება, ახალი გიგანტის მოვლინების პლატფორმად, გარდამავალ ეპოქად ტრადიციულ თხრობასა და ქვეშეცნეულის რეალიზაციის გზაზე, სადაც გმირის სულიერი მიმოდენა კონტროლიდან გამოსულია და ღვთაებრივ ინტუიციას, შინაგან ხმასაა დაქვემდებარებული, და რადგანაც თავად „ცნობიერების ნაკადის" მეთოდზე საგულისყუროდ გვიმსჯელია, შედარებით წვრილმანი თემებით შემოვიფარგლოთ, რამეთუ წინ ისედაც მომქანცველი გზა გვიდევს.

არისტოტელე ნათელყოფს ტრაგედიის უპირატესობას ეპიკურ პოემასთან შედარებით, თავისი შინაგანი დარაზმულობის გამო, სადაც ადგილის, მოქმედებისა და დროის მთლიანობა პრინციპული მოთხოვნილებაა უზადო მონოლითურობის მისაღწევად.

ჰორაციუსი გონებამახვილურად მიუთითებს სხვა რეალობას: რუდუნებით ნათხზავი ნაწარმოები ხარის ტყავში უნდა გაახვიო, უჯრაში გამოკეტო, ათ წელიწადს დაივიწყო, რათა დროის ფაქტორმა მოგწყვიტოს შინაურულ ატმოსფეროს და ცივი გონებით განგანსჯევინოს შემოქმედებით აპოგეისას შლამიანად მოხელთებული მარგალიტიანი ნიჟარა.

რუსთველი ორ გენიალურ ფრაზას დაუტოვებს შთამომავლობას: „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათლად, მოშაირე არა ჰქვი-

ან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“ და სადღაც მეზობლობაში — „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო“, ამით საგრძნობლადაა დახატული შედარებით მცირე ფორმის თხზულებათა სარგებლიანობა, მათი პოეტური სრულყოფილების შემთხვევაში, სადაც სათქმელის გადმოცემის უმოკლეს გზად, სალექსო ფორმად — შაირია დასახელებული და ისიც სხარტი, მიზნისკენ ისარივით მსწრაფველი.

ჰეგელი საბოლოოდ განსაზღვრავს ხელოვნების დარგების კუთრ წონას კალისტიკის იერარქიულ კიბეზე, სადაც სხეულის მოძრაობა ასაბამიერებს ხელოვანი კაცის პირველადობას; იგი შემდგომში განვითარებულია კოლორის მოძრაობით, როდესაც პერსპექტივის შეგრძნება გაუჩნდება ტილოს რენესანსის ეპოქიდან, მაგრამ მოგვიანებით მუსიკის აღნაგობა, მისი მისტიკურობა და ფერის შეგრძნება ადამიანურ ვნებათა ასახვისას განეფინება, აღმოსკდება უპირატეს საფეხურზე, დაბოლოს, პოეზიის, აზრის სრულყოფილი სინთეზის მეშვეობით დაგვირგვინდება კიდეც, ძე ხორციელის შემოქმედებით დიაპაზონად.

ასეთია ზერელე სურათი ხელოვნების დარგთა განლაგება თეორეტიკოსების თვალსაზრისით, რომელიც კვლავაც ვითარდება ათასი წვრილი თუ მნიშვნელოვანი შენაკადით, მაგრამ ესთეტიკის მაგისტრალური ორდინარი კვლავაც ჯიუტად მიემართება გაცხადებულის მიმართულებით და რადგანაც მეოცე საუკუნე ამოწურავს თავისთავს ტრადიციული თხრობითობის პარამეტრებით, — სიტყვა დაჰკარგავს მოყოლის ცოხნისმაგვარ სურვილს — მესამე ათასწლეული საგულდაგულოდ ემზადება შინაგანი სამყაროს პოეტური ენით გაფორმებისკენ. ჩვენ დიახაც ვალდებულნი ვართ ეროვნული საგანძურის ერთხელაც მოხილვის საფუძველზე ჩვენს ცუდად ნავალ ბილიკებზე გამოშურებულ ახალგაზრდობას, დავანახოთ თუ რა გვქონია ჭეშმარიტი და რითი შეგვიძლია ნამდვილი თავმომწონება, რომელიც მერმისში აუცილებლად მოუვლენს აქაურობას მეორე რუსთველს, ოღონდაც ახალ თხიერში ჩასხმული ღვინის სახით.

„ვეფხისტყაოსანიც“ წეღანჩამოთვლილი ექვსეულის მკვიდრია „ოდისეასთან“ ტოლფარდობით და არავითარ შემთხვევაში „ილიადასთან“ იდენტურობით, რამეთუ რუსთველის გაქანების პოეტს ცოდნოდა ტროადის ხოტბის არსებობა, საეჭვოა უფრო მდარეს დასესხებოდა, უფრო მოშვებულს ქარგობრივად, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავენ მეტრები, და შიგადაშიგ ზოგი მთვლემარესაც უწოდებს კონგენიალურ ბრმა აედს ზღვებზე ლაერტიდის გაუთავებელი ხეტიალის გამო.

წრიული პრინციპის ცოდნა კოლხური წიაღიდან რომ საზრდო

ობს, ამის დამადასტურებლად ჩვენი ცეცხლოვანი ქორეოგრაფიაც გამოდგება. დაუსრულებელი წრებრუნვებით, ხორუმის რკალებით, ფერხულის წრეწირებით, ხოლო რაც შეეხება ჰანგის უზუსტეს თანხვდომას დოდან დომდე, დიახაც დიდი ცივილიზაციის მადასტურებელია „ლილეოს“, „კვირიასა“ თუ „ოდოიას“ ფონზე, „აბესალომ და ეთერის“ ამწვერვალება; მაგრამ ვინაიდან ქართული სიტყვიერების ათვლის წერტილი „შუშანიკის წამებით“ იწყება მშობლიურ ლიტერატურათმცოდნეობაში, რუსთველამდე ისე ჩაირბენს მთელი ეპოქები, საბრდღვნელი ჩიტის სადარიღა თუ გაფაჩუნდება აქა-იქ მკერდში მუშტების საბაგუნებლად. ეს პერიოდი ენის დაურვების ხანად მიიჩნევა — ხანძთელი; „ვისრამიანი“ ნიადაგს აფხვიერებს მარტოოდენ „ვეფხისტყაოსნის“ მოსაოკეანებლად, გენიის მოსავლენ მოროდის ეპოქაა და ამიტომაც — აუცილებელი.

ეროვნული შემოქმედება, დიდი და მცირე ხელოვანი ამ მკვიდრად ნაგები გოდოლისა, სრულიად კანონზომიერია უღრანი ტყის სისტემასავით, სადაც გიგანტი ხეების გვერდით ხარობენ შედარებით ტანმორჩილები და მთლად ჯუჯანი თუ უფრო დაბლითანი: ბუჩქოვანები, ია-შროშანნი, მაგრამ ეს ერთობლიობა უმაღლესი განზომილების გატყორცნისათვის სულდგმულობაა, რათა, ის თითო-ოროლა საკუთარი ფესვებიდან მოუმწყდარად გადასწვდეს ზოგადსაკაცობრიო სიმაღლეებს.

ოცდამეერთე საუკუნის საქართველო შობს, ალბათ, ასეთ ბუმბერაზ ხელოვანს და ჩვენი მეცადინეობის მიზანიც ერთადერთია — ბილიკების გაწალდვა მის მოსავლენად.

თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა დიახაც ვალდებულია აღმოაცენოს საკუთარი წიაღიდან რუსთველის ტოლისდამდები მესიტყვე, როგორც იტალიამ, ვირგილიუს მარონის პირმშო — ალიგიერი დანტე. მაგრამ მხოლოდ ინტუიციას დაყრდნობილი, ფსევდოუნივერსიტეტების თუ ნუცას სკოლების უდღეურ კედლებში ნაბოდიალები, სულიერად განძარცული გენიოსი მოყმე ვერაფრით შედგება საოცნებო პედესტალზე, ოდეს ყურად არ იღებს ერთ შეურყეველ ჭეშმარიტებას:

რაც უფრო მალე გამოვა ყრმა იაფფასიანი გემოვნების ტყვეობიდან, რაც უფრო ჩქარა ეზიარება ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს და დაიურვებს სულში ეჭვიმუტანელ განზომილებებს, მით უფრო სწრაფად შეეხსნება ხელ-ფეხი სიტყვის ალქიმიის შესამეცნებლად, ფორმისა და შინაარსის დასასინთეზებლად. მაგრამ შემოქმედის ლაბორატორიული ძიებანი სასურველია არაფრით გადაცდეს ადამიანისთ-

ვის უფლის მიერ დაწესებულ შუახანს, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ცხოვრების შუქ-ჩრდილების მაქსიმალური შესრუტვა.

ამასობაში ისე გაირბენს თვალწინ ნიჭიერებით დატუმბული ყრმის უძვირფასესი წლები, რომ აღარაფერი უწყის ბიბლიის ენის ღვთაებრივ სურნელებაზე, ან თუ უწყის, მხოლოდ გოგებაშვილისეული ტექსტიდან, როცა თავად სახარება და ძველი აღთქმა ქართული სიტყვიერების იგავ-მიუწვდომელი სალაროა. არადა, რაოდენობას და მამონას გამოკიდებული ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა უსუსურია ამ პრობლემის გადაჭრაში, რამეთუ უსაშველოდ გაბერილი სასკოლო თუ საუმაღლესო პროგრამები ისე გამოგვწოვენ მეხსიერებისა და განსჯის თავანკარა ნიჭიერებას, მერმე ათასი საეჭვო ფასეულებით დაბინძურებული ფსიქიკა ძნელია სიჭაბუკის წლებში პუშკინისებურად აფეთქდეს.

ყმაწვილი გალაკტიონიც „ცისფერყანწელების“ მხრებზე დგას და ასე ეწაფება სილაჟვარდეებს — სილაში მობნეული ვარდების მელანქოლიას; თითქოს ყველაფერი მისი გენიის გამოსავლენად მლერტდება საქართველოში; რუსული პოეზიის მეშვეობით შემოსული ექსპერიმენტები: აკმეიზმი, ფუტურიზმი, ტიუტჩევის სისადავე, ბლოკის ამბოხებული სული, მერმე განუმეორებელი საფრანგეთი: ვიიონი და მალარმე, რემბო და ვერლენი. ეს ყველაფერი მზამზარეულად, ლამის თითის გაუტოკებლად ჭიქა ღვინოს კამკამში მოერთმევა გალაკტიონის ჰარმონიულობით შენასკვულ გონებას და ნიჭიერებაც არ დააყოვნებს, იხუვლებს დაგუბებულ მდინარესავით, მაგრამ ყოველივე მაინც უკმარია ჩვენთვის ოცდამეერთე საუკუნის შემოქმედის სიტყვასთან მიმართება, ვინაიდან, რუსთველისა არ იყოს, ჩვენ მათიცა გვეამების, რაც ოდენ თქვან ნათელად... ჰოდა, მოგვიტევებენ, ალბათ, გაბაშვილების „ტანო-ტატანონი“;

ჭავჭავაძეთა — „ვაჰ, დრონი, დრონი ნაგემნი მტკნარად“;

ორბელიანების „თერგი რბის თერგი ღრიალებს კლდენი ბანს ეუბნებიან“;

ბარათაშვილები მერნისეული ქროლვით;

ილიათა — „სამშობლო მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა“;

წერეთლების —„ცა-ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტო“;

ფშაველათა —„...რაც იმ ერთ ღამესს მომხდარა, შაუნახია ჰაერსა“;

იაშვილების — „გაგიჟება სჯობს თუ გათავდა სიტყვის მადანი“;

გრანელების— „ჩემი სისხლი და ხორცი ეს „Memento Mori-ა“;

ტიციანების — „დავბადებულვარ რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“;

ლეონიძეების— „ისევ აღვსდექი, მუხრანის ბოლოს, ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს“;

კალანდაძეთა — „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“;

ასათიანების— „ნეტავი ერთხელ დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და სილამაზე“;

გელოვანების — „მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები, მე შენი თმები დამაბრუნებენ“;

მაჭავარიანთა —„თოვლი არ არის საბას წვერი გაუთეთრა რამ“;

ლებანიძეების — „მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა“;

სამადაშვილების — „შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი“ და იქვე — „ავადმყოფობა ეგონათ ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი“;

ჭანტურიათა — „აგერა ცოტნეც მოვარდა ჩორთით, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო სწორდით“.

ჩარკვიანების— შორსგამხედველი რწმენის კედელი;

ჭილაძეების — იშვიათი ნანადირევივით სკამზე გადაკიდებული ლამაზი კაბა, თუ „სარკეებში ნასწავლი სიარული“;

ნიშნიანიძეთა— „აფხაზეთი ბევრი კარგი მოყმის გამდელი, რომელიც მკერდმოჭრილი ამორძალია უსაქართველოდ;

ჯგუბურიათა — „გავარდა ცხენი ლამაზი, გაიყოლია ქვიშა“;

ხარანაულების— ჯაგლაგი ცხენი არავის რომ ახსენდება მგლის მეტს;

ხარჩილავების „შუბზე ამაგეს და დროშასავით ამაფრიალეს უცხო ლაშქარში“;

იშვიათია ქართველი პოეტი რუსთველის თქმულისამებრ ყურთა საამებელი, საამიკო-სათრეველი თუ სალაღობო ლექსი არ მოეძევებოდეს, მავანს — თითო-ოროლა, ზოგს— ათეულობით და იშვიათს კიდევ მთლად დივიზიონი, მაგრამ ისინი უმეტესწილად ადგილობრივი დანიშნულებისანი არიან, ერის სულის მასაზრდოებელნი, ყრმათა მოყმეებად მიმდრეკნი და იმ გიგანტი ხეების ფესვებს კვებავენ იოანე ნათლისმცემლის ღაღადისით უდაბნოსა შინა, ოდეს ბილიკი წრფელდება ქვეყნიერების მხსენლად მოვლენილი მესიისათვის.

კვლავაც მივუბრუნდეთ სიტყვიერების ქართველი ოსტატების სულიერ პროდუქციას, რომელთა ლირიკული წიოკობანი თავიანთი ბუ-

ნებისდა გამოისობით, ვერაფრით შეგვიტანია იმ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ანთოლოგიაში, რამეთუ მხოლოდ ენის ფენომენს დაყრდნობილი განზომილება უკვდავების გზაზე გრიგალს დატოლებული ნიავია. გავიხსენოთ ჰომეროსის „ილიადა“ ხელმეორედ რომ ითარგმნება ძველბერძნულიდან ახალზე. მარტოოდენ გრძნობათა მოძრაობის ფიქსაცია ყოფილიყო ტროას ომის ჰერალდიკა, რითმათა ორიგინალობას, რიტმთა თავისებურებას, თუ სხვა პოეტურ ხერხებს გამოკიდებული მეტაფორების და ეპითეტების დოყლაპიაობით მხვეჭელს მწუთხე ძმარი შეგვრჩება ხელთ ძეგლი ღვინის ნაცვლად. ბუნებრივია, გაივლის ათასწლეულები და აქ ჩამოთვლილი ლექსებიც გაწყალდება როსმე დროთა სრბოლისაგან, რამეთუ ქართული ოდეს განსხვებულობის დონემდე დასცილდება დღევანდელ სალიტერატურო ენას, მათი სიკაშკაშის მზეც ჩაესვენება:

მაშ, საითკენ დაუმიზნოს ხელოვანმა? აკი, დიდი რუსთველი ბრძანებს: მოშაირე არას ჰქვიან ვერას იტყვის ვინცა გრძელადო. ანუ ვრცელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო, ანუ მოსაყირჭებელი ამბავი პოეზიის ენით, ამუსიკებული სტრიქონებით გამოიცემაო. მაგრამ კონკრეტულად რა, რა ფენომენი აესახა ამ ხერხებით შემოქმედს? ამაზე პირველი ქართველი სდუმს, მიგანიშნებს პოემის ხორცშესხმული რეალობით. ასეთი კუთხით თუ გავაანალიზებთ ზემორე ჩამოთვლილ პოეტებს, რუსთველის მერმე გურამიშვილისღა აღმოჩნდება ბუდიდან ამოვარდნილი კაცის მქინდრავი გალექსილი ბიოგრაფია. ბარათაშვილზე მოგახსენეთ; ილიას არ ეყოფა თეორიული მაჭრის ეპიკაში დადუღების უნარი; აკაკის „გამზრდელი“ ელვასავით გაკვესავს საქართველოს ბინდისფერ ცაზე, და განსაკუთრებით ვაჟა, ამ მთის არწივი, მიუხედავად ვართაგავების უმართებულო ჯიჯღინ-წუწუნისა, პოემების ეშელონს ჩამოაყენებს ფშავიდან. თუმცა ამ მართლაც ბუმბერაზ ხელოვანს ბორჯალი სწორედ შემოქმედებითი პიკის ჟამს უყელებს და კიდევ — მონუმენტურის კონცენტრირების უგულებელყოფა, თორემ გულთმისანს მინდიას გარშემო დაერაზმა აწმოხვეჭილი სალარო, რუსთველს მართლაც ბადალი თანამეინახე აღმოაჩნდებოდა რვა საუკუნის თავზე.

ასე რომ, ტაბიძისეული ფორმულა: „შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა და გალაკტიონი“ გასაზიარებელიცაა ეროვნული თვალთახედვით და ამავდროულად— არც, ზოგადკაცობრიულის გათვალისწინებით, რამდენადაც წინდებული სტრიქონი მართალია, მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ— ეტალონის ადგილობრივ პოზიციიდან შემდეგ განზომილებამდე დაიყვანება: „შოთა, ვაჟა...“ მესამე კი,

გულისხმიერო, შეგირდო, უდავოდ შენ ხარ, რომელიც დღესვე გადაადგებ „თხა და გიგოს“, ამთავითვე ბიბლიას დაეწაფები, მერმე ქრესტომათიულად კი არ დაიზუთხავ იაკობებს, ხანძთელებს და მისთანათა, არამედ „ვეფხისტყაოსანს“ მოიწურთნი, ვაჟას გაისიგრძეგანებ და ეგრევე მსოფლიო ლიტერატურის ოკიანისკენ გადაეშვები ჰომეროსების, დანტეთა, სერვანტესების, გოეთეთა თუ ჯოისების შესასწავლად.

გალაკტიონის მთრთოლავრე სულს აღიზიანებს პროზის სიტლანქე, ფართო ტილოების მონუმენტური სიზულუქე. აკი, განაცხადებს კიდეც: „ჩვენს სახელოვან პროზას, თუკი მოვაკლებთ ოზას და მივუმატებთ უწუნს, მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნსო“. დიახ, ლირიკოსის სულს აქავლებს ბელეტრისტის მოუქნელი მოუხეშაობა. ამის თაობაზე თავად ფოლკნერიც დაიჩივლებს ერთგან: მე რომ ნაღდი ხელოვანი ვყოფილიყავი, ლექსებით ვისულდგმულებდი, და ოდეს ხელი მომეცარებოდა აქ, ნოველებს შევთხზავდი, მაგრამ რადგანაც უფალმა ორივეგან ზურგი შემაქცია, ჯირკივით ხენში პროზით ვჯახირობო.

მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდება ამ თვალსაზრისით ქართულ ბელეტრისტიკაში.

ჭოლა ლომთათიძის პოეტურ პროზას უსწრებს „ვისრამიანის“ ხავერდოვანი ენა, რასაც მოგვიანებით მხარს აუბამენ რობაქიძეები და გამსახურდიები, მაგრამ თხრობის ბუნებრიობა, დამაჯერებლობის ვითარება, სიტყვაკეკლუცობას გარიყავს, როგორც ზღვა— მდინარის შემოტანილ ფიჩხ-ნაფოტთა.

ნაფოტი ვახსენეთ და მომცრო ფორმის ნაწარმოებთა შემთხზველებს შეიძლება ერთი მაგალითი დავუსახელოთ: გნებავთ ათასი ნაფოტით გარემოცული, ოკეანეში თავს ვეღარაფრით გადაირჩენ, როცა ერთი მორი სრულიად საკმარისია ნაპირამდე გასაღწევად. მომცრო ფორმების ბალადების და ნოველების ბედიც დაახლოებით ასეთნარიად წარმოგვესახება ხელოვნების მრავალნაცადი თეორიიდან.

რაც შეეხება ქართლოსიანთა სულიერების სიმბოლურ ანთოლოგიას, შემდეგნაირი იერსახით წარმოგვიდგენია:

„ხორუმი“ — ქორეოგრაფიიდან;

„ლილეო“ და „ოდოია“ — პოლიფონიიდან „აბესალომ და ეთერი-თურთ“;

„ჯვარი“, „სვეტიცხოველი“ — არქიტექტურიდან;

აკაკის ბიუსტი, გურამიშვილის და კონსტანტინეს ძეგლები — სკულპტურიდან;

„ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, „თამბი“, „ბორჯი“ — ზეპირსიტყვიერებიდან;

„ვეფხისტყაოსანი“, „მერანი“, „გამზრდელი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველისმჭამელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“ — სიტყვაკაზმული მწერლობიდან.

ეს ყველაფერი ხუთას თაბახს არაფრით გადასცილდება, სტოკ-ჰოლმისეული ბიბლიის ერთტომეულს, ჰოდა, გაითავისე იგი, შეგირდო ჩემო; „თხა ლა გიგო“ ათასებისთვის დაგვითმია, შენ ერთადერს, მესამე ათასწლეულის გიგანტს, გევალება ეს ბედკრეული ერის სახელით!

***

რომან-ტრიადის დაურვების პროცესში მეორე წიგნს, ძალმომრეობის აპარატისა და პიროვნების უთანაწორო ორთაბრძოლას მივუძღვნი არსებითად. ნაწარმოები კი გასრულდება, მაგრამ მან ფრიად გაურკვეველ ვითარებაში ჩამაგდებს. საქმე ის გახლავთ, რომ თხზულების პროტოტიპი ერთობ ცნობილი აღმოჩნდება თანამედროვეებისათვის, საკმაოდ ზიგზაგიანი, ნარეკლიანი ცხოვრებით (ერთის მოქამაგე ათს მომდურებულია), ვინმე ხელმოცარული კლერკი დაუფარავად მომახლის რომელიღაცა წვეულების პიკზე:

— იმ წიგნს ბავშვებთან არაფრით შევიტანო.

როგორ მემტკიცებინა მე ნაღვინევი აყაროსთვის, რომ ხელოვანისთვის აბსურდია დადებითი და უარყოფითი პერსონაჟი, რომ ტოლსტოის თანაბრად უყვარს ვაინახური ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღალატე ჰაჯი მურატი და მოსკოვივით ურყევი პიერ ბეზუხოვი;

ან როგორ გავამართლოთ დოსტოევსკის ლმობიერება ორი ადამიანის სიცოცხლის შემწირველი რასკოლნიკოვის მიმართ?! იმ პიროვნებისთვის რომ გამემხილა: ძმობილო, ტრილოგიის მესამე წიგნში მთავარი გმირების პროტოტიპად ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძისთვის დამიდგია თვალი-მეთქი, შესაძლოა მტკვარში გადავეჩეხე რომელიმეს მოძულეს, მაგრამ ღვთის განგებით ჯერაც სული შემრჩენია; ჰოდა, „სიცოცხლემისჯილების“ მეორე წიგნი „როკის“ წინათქმის მოშველიებამდე, იქნებ უპრიანი იყოს საკუთარ თავს ვექილად დავუდგე! ჩემი შემოქმედების მკვებავ თემატიკა-პერსონაჟთა ოპონენტებს დავანახო ქართულ თუ ზოგადად სიტყვაკაზმულ მწერლობაში რანაირი ხასიათის გმირებია წინწამოწეული, ბარბაცებენ თუ არა ისინი წუთისოფელთან შეჯახებისას.

ბრალდება ცალსახაა: თურმე საქართველოს სამიათასწლიანი მა-

ტიანეს მხატვრული ხორცშესხმის ჟამს, პროტოტიპად ამირჩევია „შავი სამყაროს“ წარმომადგენელი, რომელიც მრავალგზის ცოდავს საზოგადოებასთან ურთიერთობისას. ჩემთვის გასაგებია თუ ზუგდიდის ელიტარულ ფენას რისთვის გააღიზიანებს ნაწარმოების წამმართველ ძალად „ჩორნაია პანტერას“ არჩევანი, მაგრამ ვაცხადებ ხმამაღლა: დამისახელეთ სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების ოდიშის სინამდვილეში მეორე პიროვნება, რომელიც ქალაქის კოლორიტს ქმნის.

სკულპტორისთვის ეს ყველაფერი უბრალო მავთულია, რომლის გარშემო გულმოდგინებით შემოძერწავს ხოლმე სასურველ გმირს და ქანდაკების დასრულების შემდეგ თავდაპირველი ისე დაემგვანება საბოლოოს, როგორც ბუზი — აქლემს. მიპასუხეთ ღვთის მადლმა, ოცდამეერთე საუკუნეში ეხსომება ვინმეს „დათა თუთაშხიას“ პროტოტიპი შელიაა, ხეჩუა თუ ირუნტია?! ან რამდენად ემგვანება იგი ამ ზნეობრიობის იშვიათ მაგალითს? დამეთანხმებით, ალბათ, ნაკლებად, ვიდრე კატა — ლომს. თუმცა მოვრჩეთ დაღეჭვებს და ქართული ავანტურისტული რომანის ბედ-იღბალს მივხედოთ, იგივე გმირის მაძიებელ ბელეტრისტიკას.

ამგვარი ვრცელტანიანი ნაწარმოები მეცხარმეტე საუკუნიდან შემოდის ჩვენს ცნობიერებაში:

ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტია“;

მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“;

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“;

ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“;

ახლა ამ ნაწარმოებთა თუნდაც მიახლოებითი ანალიზის დრო არ არის, მაგრამ ვიტყოდი ერთს, რომ ქართველი მესიტყვენი დიდის რუდუნით ეძებენ ეპოქის სულისკვეთების გამომხატველ გმირს. მასალა, ყოველთვის ხალხის წიაღში მკვიდრობს, იქიდან ამოაქვს ხელოვანს.

ამ გზაზე არის სრული შემოქმედებითი გამარჯვებანი ან კრახი, როცა საუბარი შეეხება სპარტაკებს, ჰუდებს, გარიბალდებს, ადამიანების ფსიქიკა რომ ჩაილექავს სამისდღემშიოდ, მაგრამ განა თავად ხალხის ფანტაზია ყოველთვის მართებულად, უტყუარი სარკის მსგავსად აირეკლავდა ამ რეალობებს, თუ ხშირად წაუმატებს აქა-იქ, კარდინალურად ცვლის გარდახდილს, მითოსურ ელფერში ჰხვევს ამა თუ იმ პიროვნებას?!

ამ მიმართულებით თუ განვიხილავთ ეროვნულ გმირებს და გამოვხშირავთ მოგონილს წამატებულისაგან, მენდეთ, მეტწილად ფრიად ტრივიალური ამბები შეგვრჩება ხელთ, მაგრამ ხალხის შინაგანი მოთხოვნილებაა — ჰყავდეს წინამძღოლი, როდესაც ამისი ობიექტური წი-

ნამძღვრები მოსპობილა, თავად უმეგზურებს საკუთარ თავისუფლებამოყვარეობას და ახერხებს კიდეც ამის სიტყვაკაზმულობას, რეალური სინამდვილის საკმარისზე მეტი კორექციით.

ამგვარად იძერწება ხოგაის მინდია, ამირანი, დევების ლახტით დამბალთავი კოპალა თუ იახსარი. ჩვენ ეს გვაკაჟებს, გვამხნევებს სულიერად.

გავიხსენოთ ფრანგი მეამბოხე დედის თეთრი მანდილის მხილველი შვილი უდრტვინველად როგორ აღესრულება სახრჩობელის წინაშე. მშობელი ქათქათა თავსაბურავის ამოშიშვლებით კი გასწირავს მემკვიდრეს სასიკვდილოდ, სამაგიეროდ იდეალს შეჰმატებს ერის ცნობიერებას. ეს უბედურების, ტრაგედიისგან შორს მყოფი ადამიანების თვისებაა საერთოდ, რადგანაც გმირი მათ არსებობას ამკობს, ალამაზებს; ისე კი არავინ იცის მარადიული განსაცდელის წინაშე დარჩენილ პიროვნებას რანაირად უკანკალებს სული მაშინ. აბა, დავაკვირდეთ, რისთვის გაეჩქამება ბებერ მებორნეს კ. გამსახურდიას მისოუსტი?! ემუხვარმა განა ჩინებულად არ უწყის რომ ენგურზე გადასვლა ყოვლად შეუძლებელია, ბორნის გვარლი გადაწყვეტილია და მაინც შეეხმიანება. ეს შინაგანი მოთხოვნილებაა, რათა სტიქიასთან მისი შერკინება დაინახონ, აღიქვან, უგზოუკვლოდ არ გაქარწყლდეს მარადისობის წინაშე თავდადება ესე. „მე იმ გვარის ვარ, რომელმაც უკან დახევა არ იცისო“ პასუხობს ვინაობის დაზუსტებისათვის ჩაძიებულ მებორნეს თარაში და წარიტაცება კიდეც მდინარისგან. მაგრამ სხვაა აქ მთავარი: იგი ამ საქციელით გაკაწრავს თანამემამულეთა მეხსიერება უკვდავებისათვის ხვანცალში.

ო, ჯოჯოხეთია ადამიანის ფაქტურა. როცა შენი გმირობის ნატამალი საზოგადოების თვალთახედვის სიმაღლეზეა ატაცებული, იოლდება სიკვდილი. ამ პრობლემას მე ჯერ კიდევ ტრიადის პირველი წიგნიდან ვუკირკიტებ, და მომიტევონ კლერკთა.

ლაინერს უბილეთოდ დამგზავრებულ ზანგ გოგონას ორასი მოქალაქედან ერთადერთი, მაინცდამაინც ქართველი, პროფესორი იოსებ ჟორდანია დაუთმობს უსაფრთხოების შანსისმაგვარ ჟილეტს და ამით უკვდავებაში შეცურდება თავისვე ნებით, მაგრამ ცოტამ იცის, ამ პროფესორს რანაირი ცხოვრებით უსულდგმულია სიჭაბუკის ჟამს, სიჭარმაგეში.

ასევე ბერ თევდორეს მომენტი გააგმირებს, თუმცა კი მთელი საწუთრო შესაძლოა თავჩაქინდრულს ევლოს.

ხოლო გმირი ხარ მაშინ, როდესაც მთელი შეგნებული არსებობა წმინდა გიორგივით კეთილ საქმეთათვის მშვილდივით მოზიდულხარ. აქ

წამიერი ამაღლება საყოველთაობის პრინციპს ექვემდებარება და ამდენად, ლოგიკური დასკვნა ეძლევა ფორე მოსულიშვილის წინაალმდეგობას ფაშიზმთან, როდესაც იტალიელი თანამებრძოლის ნაცვლად წააბიჯებს მტრისკენ, როდესაც მოსალოდნელი კატასტროფა ისედაც ნავარაუდევია და მოვლენებს, წინდახედულობით ასწრებს.

გმირი ხალხის მობოშებული სულის დასაპურებლადაა მოხმობილი ინდივიდუმისა და მასის ქვეშეცნეული თანხმობით. გმირი მისი მოუხეშავი სხეულის ლოკომოტივია, და ამდენად — მიზანსწრაფული. ხოლო ხალხის ზურგს უკან ჩადენილი თავდადება ორმაგად და მეტწილად წარმოაჩენს პიროვნების სულიერ სიმაღლეს, თუნდაც ასეთი პიროვნება საზოგადოების თვალში მოღალატედ დარჩეს. ვინ უფრო მეტია მასისათვის, ეტალონად შერაცხული შემთხვევის რაინდი თუ უფლის სამკვიდრობლიდან გაბრწყინებული მეობა?!

ის მაინც ბრუნავსო, აიჩემებს ბრუნო და უკვდავების გვირგვინისათვის კოცონში შეაბიჯა, მაგრამ ქედი რომ მოეხარა, რა, ვითომ არ იტრიალებდა დედამიწა? ობიექტურ ჭეშმარიტებას ვერაფრით დაამუხრუჭებდა პაპის მწვალებლური გარემოცვა, მაგრამ წარბშეუხრელი სიტყვა რამდენიმე საუკუნით დააჩქარებს თეოლოგიური გონებაშეზღუდული „მეცნიერების“ ჭეშმარიტების რელსებზე გადაყვანას, თუმცა ამ სიბრძნეს ჩვენი წარმართი წინაპრები შორეულ ათასწლეულებიდან იცნობენ; მათ მეტი სიზუსტით მოეხსენებათ ბუნების მოვლენებზე, კოსმოსზე. ამას მოწმობს რიცხვი 13-ის საიდუმლოება, მთვარის და მზის კალენდრები, ტროანის კოდექსი, „ცოლკინი“ — რეზონანსული მოძრაობის მატრიცა.

სიტყვა შორს გაგვექცა და უმჯობესია ჩვენს სასაუბრო თემას დავუბრუნდეთ.

ფურცელაძისეული „მაცი ხვიტიას“ გმირი ხალხის პირმშოა, თუმცა შემოქმედის აღმაფრენის მოკოჭლების გამო მაღალ რეგისტრში აღუტაცებელი. ადრეულ წლებში ვეზიარები მას და უკვე სიყმაწვილის პერიოდში ამავე დასახელების გიორგი შენგელიასეულ ფილმს ვგონებ ოცჯერ მაინც ვიხილავ მშობლიური სოფლის კინოთეატრში, მერმეც — რამდენგზის ტელეეკრანიდან. ბედზე ამბოხებული კაცია მაცი ხვიტია, რომელიც პროვინციულ მოთხოვნებს ვერაფრით სცილდება.

იგივე ითქმის ჯავახიშვილისეულ „არსენა მარაბდელზე“, რომელ მონუმენტურ ტილოსაც მრავალი ლიტერატურული ძეგლი უსწრებს მესტვირულიდან მოყოლებული დრამატულით დამთავრებული. საკუთარ ქედუხრელობას ზვარაკად შეწირული ხელოვანი მართლაც ჩინებულად გვიჩვენებს ერის შვილის ტიპიურ სახეს, როგორც ამას საბ-

ჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში იტყვიან ხოლმე, მაგრამ „გორა მბორგალში“ ირკვევა, რომ გიორგი კუჭატნელს საერთოდ არ მოუკლავს არსენა; ისინი თურმე განუყრელი თანამეინახენი ყოფილან, და ოძელაშვილის მწერლისეული აღსასრული თითიდან გამოწოვილი რეალობაა. ვიღაცის ცხედრიდან წამომდგარა თურქეთში გახიზნული მარაბდელის საყოველთაო დიდება. რა? არ არის ამისთანა ვერსია დასაშვები? საპნის ბუშტივით გამსკდარა გმირობის შარავანდედით მოსილი მაცდურობა.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირები, რომლებმაც უკანდახევა არ იციან, სინამდვილეში ჩვეულებრივი ადამიანები გახლავან თავიანი „არათი“ და „ჰოთი“. „მთვარის მოტაცებას“ შტუდირების წლებში ორგზის წავიკითხავ და ბოლოს — მესამედ ტრიადის მეორე წიგნის დასრულების შემდეგ. სასიხარულოა, ჟამის გარდახდომის კვალად, როცა წიდაში დახანებულ ოქროს მსგავსად შენს კუმირ მწერალს არაფერი აკლდება, პირიქით, ემატება და ემატება ელვარება. ბატონი კონსტანტინეს შემოქმედების უმთავრეს ღირსებად მავანს პოეტური ენა მიუჩნევია, რაც, ცხადია, მხოლოდ საშუალებაა უფრო გრანდიოზული, უფრო გლობალური ვნებათაღელვის დასატყვევებლად. სიამაყით ამავსებს ამ უნიკალური პიროვნების ერუდიცია, რომლისთვის ადრეულ წლებში თვალი არ მიმიდევნებია უმწიფრობის გამო. არადა, რაოდენია მისოუსტის — თარაშ ემუხვარის სპლინის, იპოქონდრიის მკვებავი სიცარიელე?! რა მასშტაბურია პიროვნების გამსრესავი მარტოობის, მელანქოლიის სიმძიმე?! ცოდნოდა ბატონ კონსტანტინეს „ცნობიერების ნაკადის“ თაობაზე რამე, იგი უკეთ დააქანდაკებდა მედალიონის ორი მხარის — ალჩუ და თოხანი გმირის — თარაშ-არზაყანის კონფლიქტს, და თავად ფროიდის მოძღვრებას დასესხებული მოშურნეობის ლიტერატურაში გაცხადებას, რომელიც ბოლოჟამინდელ გამოცემაში პირველყოფილი სტილისტიკითაა მოწოდებული.

„დიდოსტატის“ ავტორის ჩინებულ მკვლევარს, ბატონ სოსო სიგუას, დიდებულად მოეხმენება საანალიზო სივრცის ავან-ჩავანი, მაგრამ სად უფრო იწრფელა ხელოვანმა, როდის დაუსვა წერტილი საბოლოოდ ნაწარმოებს, თავდაპირველ ვარიანტსა, თუ პარტიული ზეწოლით კორექტივების შემდეგ?! 1975 წლამდე ბატონ კონსტანტინეს არაერთი საშუალება გააჩნია თავად განსაზღვროს ტექსტის უმთავრესობა. მამის მოკვდინება არზაყანისგან უკუგდებული გახლავთ კინოფილმში, რომელიც მისი უშუალო მეთვალყურეობით დაეკრანდა.

არც ჩვენ გვიძევს თვალები და ყურები ჯიბეში, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ავტორი არ იკმარებს საკუთარი სულის მედროშე მისოუს-

ტს და მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად გაარეალურებს, გაანამდვილებს, როდესაც მესამე კარში თვითონ მოგვევლინება მოვლენათა ეპიცენტრში ქორა მახვშისკენ წითური ჯოკიას ხვანჯებით დაძრული.

რომელ არქივში ვეძებოთ ახლა არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემუხვარის რეალურობის დამადასტურებელი ჩანაწერები, მათი მეტრიკები, არადა, მწერალს სურს დოკუმენტურობა მიანიჭოს თავის გმირებს. ამის გამო მისთვის არავის უკიჟინია: როგორ, შენ ნაღდ ადამიანებზე წერ, თანამედროვე ადამიანებზე და სად არის აქ გამონაგონის, ტიპიურის აუცილებლობაო.

„დათა თუთაშხიას“ შემოქმედი კი შურიანი მითქმა-მოთქმის კვალდაკვალ თავგადაკლული იწვევს წარსულიდან გმირის დამაპურებელ პროტოტიპებს, შელიები არიან ესენი, ფინთურიები თუ სხვანი; ყველაფერს ღონობენ, რათა სატელევიზიო გადაცემაში ფართო საზოგადოებას წარმოუდგინონ თუთაშხიას თანამედროვე მხცოვანი ხალხი. ჩემთვის ნიშანდობლივი უფრო ის გახლავთ, რომ სამეგრელოს ზღვისპირა ზოლში ფოთიდან მოყოლებული კელასურამდე არათუ ფრიალო კლდეს, გორაკსაც ვერსად იხილავთ, საიდანაც კაცს ბობოქარ ზღვაში გადაშვება და საკუთარი სიცოცხლის ამ გზით ხელყოფა შეეძლოს. რა ხდება?! ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა ნაკლებად უწყის დასავლეთ საქართველოს რელიეფი თუ სამოქმედო სივრცის მონტაჟის ამბავია?! მაგრამ განა ამისთანა მეთოდებს სხვები არ მიმართავენ?! ვინ შეიქმნის იოკნაპატოფას, მაკონდოს, სატანჯოს?! ან დამარწმუნებს ვინმე, რომ თუთაშხიას პროტოტიპი თუნდაც თხუთმეტი-ოცი პროცენტით შეესაბამება ლიტერატურულ გმირს? ამისთანა ზრახვა ინფანტილურია. იგივე ხდება ჩემთანაც.

როკი ოდიშელიას მკვებავი ბატარეა ნახსენები შეფარდებითღა თუ შეესაბამდება მწერლისეულს, მაგრამ რადგანაც პროტაგონისტი ფეხით მოსიარულე რეალობაა, ყველასათვის თვალწინმდებარე, ხელმოცარულ კლერკებს იგი გმირის მასალად არ ემეტებათ.

შენ გააიდაალე ლამის აქა-იქ წანაფორთხილები პიროვნებაო. რა გადაგიხადა ისეთი, რითი მოისყიდა შენი სულიო.

ეჰ, ჩემო ბედშავნო, გულში ბოღმას არ ჩავიხვევ, ვინაიდან უფალმა გაანთავისეფლა იგი ქვენა ბიწიერებათაგან და გეტყვით ფორმულასათით, რომელიც თქვენი გამოღვიძების დილას უნდა ამოვუცისკროვნო მზის შეხედვამდე:

არა ცილი სწამოთ-მეთქი, ვინაიდან ამისთანა ხალხს უფალი ჯოჯოხეთის მდუღარეაში მოისვრის ხოლმე მეცხრე მცნების შესატყვისად, და არცა შური გიღადრავდეთ გულ-გვამს, რომელიც ბოროტებაი

არს მოყვასისა კეთილსა ზედა სულმნათი სულხან-საბას სწავლებისა-მებრ. ჰოდა, სანამ ტრიადის მეორე წიგნის კარიბჭეს შემოგთავაზებ-დეთ, ერთხელაც მიგითითებთ „სიცოცხლემისჯილებისკენ“: კანონიერი ქურდების კლანჭებში ჩავარდნილ მთავარ გმირს სწორედ რომ როკი ოდიშელიას სიტყვა სულზე მოუსწრებს წულუკიძის მეოთხე ზონიდან;

მაშინ ყურთბალიშზე იწვა ჩემი გამქირდავი, თუმცა რომანს დრო-ულად ვუსახსოვრებ. ან რატომ არ მისაყვედურა ბედნიერი ჟინი ანთა-რის პროტოტიპად სოფელ ოდიშის მკვიდრს, ჭურიაში ჩამკვიდრებუ-ლ მეტყვე-ტყაჩუ იროდი სართანიას რომ შევრაცხ; მხოლოდ და მხო-ლოდ არსენიევ-კუროსავას დარსუ უზალას ბადალი რომაა, გულთმი-სანი, მენცარკოჩი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ღვთიურობას წაპო-ტინებული, ევროპაში განსწავლული გენია, ევგენისტიკის მოშველიე-ბით სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი ვაჟიშვილის მომავლინებელი ქვეყნიერებისათვის?!

გაგონილა პროტოტიპების არჩევანის გამო ქოქოლა დააყარო მწერალს?! აბა, საიდან არიან „ბუდენბროკების“ გმირები თუ არა თომას მანის ოჯახური გარემოდან, რომელსაც ვერც ტომას ვულფი გასცდება. დავიჯერო ზნეობრიობას განასახიერებენ ერთნიცა და მეო-რენიც?!

მწერალი პასუხს აგებს ლიტერატურული გმირის მიხედვით და არა მისი შემავსებელი წყაროების წილ. მაგრამ ვიგრძნობ: სიტყვა სა-დავეს წამართმევს და ვინძლო თქვენი გულისყურიც დავკარგო, დაგვი-ანებით ვიმდუმარებ ბაგეს შეპირებული წინათქმის სასარგებლოდ.

II

„ჩორნაია პანტერადან“ როკი ოდიშელიამდე

სადადიანოს სასტუმრო „ოდიშში“ ვცხოვრობ ის პერიოდი. ოთხ-მოციანი წლების დამდეგია. ნეტარხსენებული საშა ეგუტიას „ერიკას“ ვარაკუნებ, ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველ წიგნს ვათვერებ. ამომაკითხავენ ნომერში ბიჭები. სხვადასხვა წრიდან გახლავენ: ერთნი — ლოთობის მიმდევრები პოეტ არჩილ ფირცხალავას თამადობით; მე-ორენი — პრეფერანსისტები, ჭკოლას — ნოდარ ტიბუას მეთაურო-ბით; მესამენი — ჩემი ლიტერატურული მკათათვით დაინტერესებულ-

ნი, პროზაიკოს ოთარ წურწუმიას მესვეურობით. თხუთმეტი განსხვავებული მისწრაფებისა და შეხედულების ადამიანთან ძნელია ერთდროულად გასაუბრება. ყველანი ბოტანიკური ბაღისაკენ მივეშურებით. ღვინო საერთოა თითოეულისთვის. სწორედ იქ, ატრაქციონის ღმუილში, პატარების გაქანებულ ჟივილ-ხივილსა და შამპანიურების ბათქაბუთში გავიცნობ „ჩორნაია პანტერას“ — შაქრო ჭითანავას.

ამ პიროვნების თაობაზე უამრავი მასალა მაქვს მოკვლეული, ლამის ლეგენდების დონეზე რომ დადის მთელს ოდიშსა თუ მის ფარგლებს გარეთ. ვიცი მიმწოლი ვინმეა. გაუგონარი ამტანობით მთელს კავშირში გაუთქვამს სახელი. უკეთეს პროტოტიპს ვერც კი ინატრებს ხელოვანი, მაგრამ განგება ისე მოაწყობს, მხოლოდ ათი-თორმეტი წლის შემდეგ შემაცურებს მის ურთულეს ბუნებაში.

შავი ფართოფარფლიანი ცილინდრი ახურავს. ჯინსის შარვალ-ხალათით შემოსილი ვესტენრული ფილმიდან გამოსულს ჰგავს.

ბევრს ვისაუბრებთ. ვიკითხავთ სტროფებს რუსთველიდან, ხალხური პოეზიიდან, ვიანეკდოტებთ, მაგრამ იმჟამად მე ფრიად გავუქაჩივარ ჟინი ანთარის საგას და ცხადია, „ჩორნაია პანტერას“ სულიერი ძვრებისათვის ვეღარ მოვიცლი.

გავა წლები. ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნი როგორღაც დღის ნათელი იხილავს. მაინც მას დავსტრიალებ, მას ველოლიავები.

ამასობაში ქვეყანას ცნობილი მოვლენები ააყირავებს და სამშობლოც სასაკლაოს დაემსგავსება.

მე და ჩემი ოჯახი ბოშებივით დავწანწალებთ ერთი რაიონიდან მეორეში. შემომთავაზებენ მოსკოვში წასვლას.

სანკტ-პეტერბურგიდან ამხანაგები მითვლიან, ყველაფერი მზად არის, ოღონდ ჩამოდიო.

კაუნასშიც შევეხმიანები ელსმენით მელნის საძმოს, იქითკენაც გზა ხსნილი მაქვს.

გერმანიაშიც მიმესვლება, როგორც ოტობაიაწართმეულს, ბევრად ვერ შემბოჭავს იქ ენობრივი ბარიერი, მე ხომ გარკვეული პერიოდი „ფაუსტი“, „დუინური ელეგიები“, „პროცესი“ — ასე თუ ისე ორიგინალში წამიკითხავს, მაგრამ სამშობლოდან გადახვეწა და გრიგოლ რობაქიძის გზაზე შედგომა ჩემთვის შემოქმედებით სიკვდილს ნიშნავს.

ქართველი ხომ ანთეოსივითაა — მოწყვეტ საკუთარ მიწა-წყალს და განწირულია ფიზიკური განადგურებისათვის. მსგავს შემთხვევაში კი ბელეტრისტი ორმაგად დაღუპულია: გაცამტვერებულია ხორციელადაც და სულიერადაც.

რას გააწყობ, უნდა მოითმინო დამამცირებელი ხელისგაწვდენანი — კიდეც ოჯახი არჩინო, მოხუც დედასაც მიაწოდო ლუკმა-პური, ნათესავს, სისხლ-ხორცს არ მოაკლდე, მეგობრებსაც უზიარო სულის ნაწილი, საკუთარი შემოქმედება დღენიადაგ საომარ ლელოსავით მომართო, არ ყოფილა მთლად იოლი საქმე, და აჰა, როცა „სიცოცხლე-მისჯილების“ პირველი წიგნი საბოლოოდ გასრულებულა, ცნობიერების შრეებიდან დაგუბებულ ზღვასავით ამოიზრდება „ჩორნაია პანტერას“ ბობოქარი ცხოვრება.

ვესტუმრები კაბინეტში.

ჰაეროვანი ფერიები მოგვართმევენ ყავას, ტკბილეულს. ვისაუბრებთ საქველმოქმედო საქმეებზე, მომავალ გეგმებზე, რას ვაპირებ, საითკენ მიმიწევს გული. არ დავუმალავ თანდაყოლილ სიდუხჭირეებს, თანაც უშურველად გავუმხელ:

— შესაძლოა შენი გარდახდილი უკულმართი საწუთროს ქაღალდზე გადმოტანა ვცადო-მეთქი. აქვე თხზულების ჩემეული ვარიანტსაც შევთავაზებ, თუ რანაირად წარმომისახავს რომანის არეალი.

— ნუ ვიჩქარებთო, — მეტყვის, — მასალა შენ ჩემგან არ მოგაკლდებაო, — გაიღიმებს, ზარით მდივანს უხმობს, ფურცლების გვარიან შეკვრას მოატანინებს, რომლის წაკითხვისთანავე მივხვდები — მართლაც იშვიათი ნიჭიერებით ცხებული კაცი გამოუგზავნია ზეციერს;

მეტი ბელეტრისტული გამოცდილება და მისი მონათხრობისაგან ჩინებული ნოველები აიკინძება. შაქრო ჭითანავა არაჩვეულებრივი მოსაუბრე გამოდგება. როგორც არისტოტელე იტყვის, მოქმედების შუაგულში შეგაგდებს უცებ ჰომეროსისებურად. უზუსტესი შტრიხებით, იუმორის იშვიათი გრძნობით, ხედვის ორიგინალური კუთხით გადმოსცემს გვემული მეობის ეპიზოდებს. ეს არის უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული კაცის აღსარება ამ სიტყვის პირადპირი მნიშვნელობით. მის მიერ მოწოდებულ ცინცხალ სიუჟეტებს უმნიშვნელო სტილისტური ცვლილებებით შევიტან წიგნში, ვინაიდან ზედმეტი ჩარევა დაარღვევს თხრობის ბუნებრიობას, კოლორიტს, შეცდომებიც მომრავლდება. მოჭრილად რომ ვთქვათ, ისე ამაფორიაქებს წაკითხული, არც კი შევყოყმანდები; რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, წელზე ქამარს შემოვიჭერ, არ შევუშინდები ზამთრის სუსხს, სამსახურში გადავბარგდები, იატაკზე დავიგებ ოთხადგაკეცილ შალითას, თავქვეშ წიგნებს ვისასთუმლებ და რომანს მთელი ენერგიით ვეკვეთები.

ჩემი თავდაპირველი მიზანი ნაწარმოების არქიტექტონიკურად შევკრაა. რათა წლების მანძილზე დაგროვილი დიდძალი მასალა „ჩორნაია პანტერაზე“, ორგანულად შევაჯერო ცოდვა-მადლს შორის მოქცეული ოდიშელიას წინააღმდეგობრივ ხასიათთან.

პანტერაში ბუნებრივად მოცემული სიკეთის საწყისებს ფაქტობრივად ვერ გამოიყენებს სამშობლო. ეს ხომ წყალში გადაყრილ ჯილდოს ჰგავს, ენერგიის უაზრო გაფლანგვას?!

უბედურებაა, როდესაც ქვეყანა გენიოს შვილებს უმიზნოდ ჰკარგავს, განუკითხავად იშრიტება წესით მისი აღზევებისთვის შობილი გენოფონდი, მაგრამ ტრაგედიაა მთლად, თუკი პოტენციალი „კარგი ყმის“ ძე ცდომილად გადაქცევის ჰუმუსი სიტყვიერებამაც ვერ დააფიქსირა და შთამომავლობისთვის ზარები არ დაარისხა მის ამოსაშანთად. აქვე ჩემი მწერლური შესაძლებლობანიც მინდა ვანახო თხზულების გმირის პროტოტიპის, რომელმაც ზედიზედ ოთხ კარცერს აჯობებს ფეხზემდგომელა ოცგრადუსიან ყიამეთში, ერთი დღე ოთხასი გრამი პურით დანაყრებული და მეორე — მშიერი, აყმუვლებული კუჭით ჰაერში აცურებული.

მე, როკი ოდიშელიას შემოქმედი, ჩვეული ასკეტიზმით ვუმტკიცებ სამყაროს, რომ ზეამტანობა ყველგან შეიძლება, საკანშია ეს თუ ბელეტრისტიკაში, სიტყვასთან ჭიდილში.

— ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია, — გამენდობა ერთხელ, — იმ საშვილიშვილო საქმესთან შედარებით, რასაც ჩემი ზუგდიდის, ჩემი სამეგრელოს, ზოგადად სათაყვანებელი საქართველოს დუხჭირ ცხოვრებაზე ვრცელი მხატვრული ტილოს შექმნა ჰქვიაო. ჩემი ტკბილ-მწარე საწუთროც ამ სივრცეში ტრიალებს, აქ დაფრთიანდა და იხრუკება, ასე რომ, არაფერს დავიშურებ მის განსახორციელებლადო. ჩემს განუმეორებელ ოდიშელებს, ჩემს მომავალ თაობას ამაზე უკეთეს საჩუქარს მე ვერ დავუტოვებ გზის გამკვალავად და შენი მონდომებაც თუ იქნება, ვფიქრობ, გაერთიანებლი ძალით ყოველგვარ დაბრკოლებას კუდით ქვას ვასროლინებთო.

გამეცინება და მერე როგორ?! კამეჩის დასჯა უნდოდათ და ლამში დაფლესო, ამაზე თქმულა. განა არსებობს მეტი ბედნიერება მწერლისთვის, ვიდრე მეცენატური თანადგომაა თვალნათელ დედულეთზე ნაწარმოების შექმნისას?!

ცხრათვიანი მუშაობის შემდეგ თხზულების პირველი ვარიანტი მთლიანად შეინასკვება, დაახლოებით ორმოცდაათი საგამომცემლო თაბახის მოცულობით, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარი სხვა რამეა — პროტაგონისტი ერთობ ცნობისმოყვარე გამოდგება. დღე ისე როგორ გავა, ხუთგზის არ შემეხმიანოს ელსმენით, არ გამომიაროს ორომტრიალში ჩაფლულს. მამუხრუჭებს ექსტაზში შესულს. ვკამათობთ დეტალებზე, გმირის სულიერ მდგომარეობაზე. არც მიმალავს:

— დიდებული ნამუშევარია, მაგრამ ალაგ-ალაგ ჩქარობ, ზერელედ გადაურბენ მოვლენებსო.

მას მხედველობაში აქვს გარეგნული აქსესუარები: პორტრეტი, პანორამა, პეიზაჟი, ფსიქოლოგიური წიაღსვლები, ჯერაც გაშლას და ჩამოქანდაკებას რომ მოითხოვს.

ამის თაობაზე მელიმება, ვინაიდან მე ხომ ჩინებულად ვუწყი — ჩემი პირველი მეცადინეობა ნაწარმოების შეთხზვის გზაზე დიახაც ზედაპირულია. იგი ბევრად არ აღემატება კინოსცენარს, სადაც შინაგანი ძვრები კვლავაც მრავალჯერ მოსახვეჭია, უთვალავჯერ შესამოსია ხორცით შიშველი ძვლები თუ განძარცული ტოტები ხასხასა ფოთლებისაგან.

ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნის მასალისგან მართლაც ერთიათად განსხვავდება ოდიშელიას ოდა.

საქმე ის არის, რომ იროდი სართანია, რომელიც ჟინი ანთარის პროტოტიპია, არ მბოჭავდა სახეთშენების თვალსაზრისით, ფანტაზიის სრული გასაქანი მქონდა; შეზღუდული ვიყავი თემების, სურათების არჩევისას. მისი ხატი ნებისმიერი მუხტის ამბავს აიტვირთავდა დამაჯერებლობის საზღვრებში არსებულს.

აქ კი ლამის ნატურალისტურ სინამდვილეს ვეჭიდები. რეალური პიროვნების ცხოვრება, მისი გარემომცველი სამყარო, მაფერხებს გამომგონებლის მანტიით სიარულისას. ბევრი შეხლა-შემოხლის შემდეგ თანდათან ჩამოვიშორებ „ნამდვილი ამბის“ ფრიად მომაკვდინებელი მეთოდის სახსენებელს და რომანი ნელ-ნელა გადავა ცხადისა და ირეალურის შეზავების ფაზაში. მას ნიადაგი მყარი აქვს. ყოველი გარდახდილი თავგადასავალი ეჭვმიუტანელი გახლავთ, ვინაიდან „ჩორნაია პანტერას“ ამხანაგებთან, მეგობრებთან საუბარში კიდევ მრავალზე მრავალი დეტალი ამოტივტივდება, რომელიც მთხრობელს ან გამოვიწყებია, ან კიდევ განგებ წაუყრუებია.

მოკლედ, სინთეზური თანამშრომლობის პირმშო — როკი ოდიშელია, ერთობ არაორდინალური პიროვნებაა: თოთხმეტი წელიწადი გამოუვლია ბურებსა და კარცერებში, ზურებსა და დაკეტილებში; თოთხმეტი წელიწადი ებრძვის ჩრდილოეთის ყინულეთს თუ სამხრეთის უდაბნოეთს, ზოგადად — ციხის ჯუნგლურ კანონებს, ისე რომ, მისი სული უცოდველია, ყოველ შემთხვევისათვის მას არ ჩაუდენია იმისთანა კრიმინალი, თავისუფლება თოთხმეტი წელიწადით წაჰგვარონ. სწორედ აქ იდუმალებს „ჩორნაია პანტერას“ და კომუნისტური რეჟიმის მამასისხლური შეუთავსებლობის დილემა.

ჩრდილოეთში მისჯილობის დროს მასთან ყოფილა „ტყის საძმოს“ ხალხი, რომელთაც შეფარდებული ჰქონიათ პატიმრობის უკიდურესი ზომა — „ოცდახუთი, ხუთი და ხუთი“, რაც შემდეგს ნიშნავს:

„კომუნისტური რეჟიმი ადამიანს პოლიტიკური მოტივიზაციით იშვიათად განამწესებს სატუსაღოში, აუცილებლად გამოუძებნის სხვა დანაშაულებრივ სარჩულს. როცა მსჯავრდებულის განთავისუფლების ჟამი მოაწევს, ეტყვიან:

— შენ კიდევ ხუთი წელიწადი მოგისაჯეთ!

— რისთვის? — გაიკვირვებს პატიმარი.

— ბანკი რომ გატეხე, იმიტომ, — განუმარტავდნენ.

— რომელი ბანკი, მე ხომ ათი წელიწადია კოლონიიდან არ გავსულვარ? — გაიოცებს ეს უკანასკნელი და მაშინვე გაიცინებენ.

— ვიცით, ვიცით, მაგრამ აი, თუ დაწერ, რომ ჩვენს ქვეყანას არაფერში ემართლები, რომ ჩინებულ სისტემაში ვცხოვრობთ, თუ მოინანიებ შენს წარსულს, ჩიტივით თავისუფალი ხარო, — და საწყალი ტუსაღიც კვლავ დაიმატებს ხუთ წელიწადს.

ახლა მოაწევს განთავისუფლების მორიგი ჟამი, მაგრამ კვლავინდებურად იგივე სცენა გათამაშდება და ისევ ხუთი წლით დაასაჩუქრებენ, ვიდრე ოცდახუთი არ შეუსრულდება. ამის იქით კუზიანი სამარეა ზონაში დაბერებული კაცისთვის, მაგრამ რადგანაც მეტის მისჯას საბჭოური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, ხუთ წელიწადს საპატიმროს სიახლოვეს აყურყუტებენ და კიდევ მომდევნო ხუთს ჭიტლაყს ამოჰკრავენ, მოისვრიან კავშირის უკიდეგანობაში, ოღონდ ეს პერიოდი სამშობლოს არ უნდა გაეკაროს. ოცდათხუთმეტი წლის დამანგრეველი სტრესის შემდეგ მართლაც სამარეში მისაბარებლადღა თუ ჩაიტანს მამულში გამოფიტულ ძვლებს“.

ასეთი და ამგვარია საბჭოური კოლონიების რეალობები, რომლებიც თვალის დაუხამხამებლად მოცოხნიან ათასებს. იმ ათასეულიდან ერთ-ერთი შეუდარებელი ტიპია „ჩორნაია პანტერა“, ყოველთვის იქით რომ ასწრებს მოვლენებს, ყოველთვის იქით რომ ესხმის თავზე საპატიმროთა ადმინისტრაციებს, ვინაიდან სულ ერთია, ოც წუთსა თუ საათნახევარში აქეთ დააქოთებენ. ფიზიკურ წამებათა კვალდაკვალ კი მის გარშემო სახელი იზრდება და იზრდება და მეც სწორედ ამ პროცესების, დანაშაულებათა გამომწვევი მიზეზებისა და ძირების გამოშიგნვას, მხილებას შევუდგები.

ძნელია ირწმუნო ინფორმატორის შეფასებანი, რომ „ესოდენი სიზუსტით, ესოდენი სისწორით საბჭოური ცხრაკლიტულების ცხოვ-

რება ლიტერატურაში ნაკლებად ასახულა, ვინაიდან, თავად სოლჟენიცინის „გულაგი“ თუ სხვანი, ყუმია ამ შემთხვევისათვის, რამეთუ იმ წიგნების უმეტესობა პოლიტიკური სულისკვეთებისაა და ახლოსაც ვერ მივლენ უფრო საშინელ სინამდვილესთან, რასაც არსებობისათვის ბრძოლა ჰქვია, მივლენ და ჩაიჭრებიან“.

ესეც ჩამაფიქრებს. მაშ, როგორ გინდა ასახო ყოფიერება, რომელიც თხუთმეტდღიან იზოლატოებს თუ არ ჩავაგდებთ სათვალავში, წვრილმანი ხულიგნობის გამო მოკერებულს, საერთოდ არ გამოგივლია-მეთქი, მაგრამ მყისვე ბრმა აედი ამოტივტივდება ჩემში შვიდი საუკუნის მიღმა მომხდარს რომ აცოცხლებს არსებულ მითებზე დაყრდნობით და ტროას ამბების გასაოცარი დალაგებით, დასწრების წარუშლელ ეფექტს ქმნის.

ჰოდა, ამ მომენტითაც იმედნეული ჩემთვის ერთობ უცნობ სამყაროს შევეჭიდები, მაგრამ ღვთის შეწევნით მე მართლაც იშვიათი მთხრობელი მომევლინება, რომელიც უზუსტესად მომაწოდებს საკნის პარამეტრებს, ზონებისა და ციხეების სუნთქვას, განათების სიხშირეებს, რეკვიზიტებს, რითაც სულდგმულობს საერთოდ მხატვრული ნაწარმოები და როდესაც დავამთავრებ რომანის ქარგას, როცა შევკრავ ძირითად ჩონჩხს, საკუთარ თავს გამოვუცხადებ:

უსინდისობა იქნება მიისაკუთრო ადამიანის ესოდენი ჯაფა და წვალება, რომელიც შენთან ერთად ათენებს ღამეებს, მოსვენება დაუკარგავს, ძილი გაკრთობია, ძარღვები აშლია წარსულის გახსენებისამეთქი.

ბედმა გამიღიმა - მეთქი, აქამდეც ვახსენებ.

საქმე ის არის, რომ „ჩორნაია პანტერას“ ცხოვრების ასახვისათვის თურმე რამდენიმე აღიარებული მწერალი წაიკაპიწებს მკლავს დედაქალაქში. მისი გავლილი გზა, წარსული ბევრისათვისაა ცნობილი, მაგრამ როცა გაესაუბრება მათ, თავად შეუქცევს ზურგს, რადგანაც ისინი მხოლოდ მშრალ სქემას სთხოვენ, ორ ფურცელზე ჩამოწიკწიკებულს და მერმე ფანტაზიის წყალობით აპირებენ განუმეორებელი წუთისოფლის გაწყალწყალავებას.

უნებლიეთ გამახსენდება დიდი ტოლსტოის პატივისცემა რეალური პერსონაჟებისადმი. „ჰაჯი მურატზე“ მუშაობისას რუსული მწერლობის მამა ფეხდაფეხ დადის დაღესტანსა თუ ჩეჩნეთში და თავისი გმირის უშუალო ნაცნობთაგან კრებს მასალებს. მოგვიანებით კავკასიელი მეგობრების: ნაკაშიძის, ესაძის, შულგინის მეშვეობით აზუსტებს ყოველ წვრილმანს: ჰაჯი მურატის რუსული ენის ცოდნას; მაჰმადიანური

სარწმუნოებისადმი დამოკიდებულებას; საითკენ კოჭლობს სიარულისას; რა ფერისაა ცხენი, რომლითაც ნუხიდან გაიქცევა. ეს მწერლის უწინარესი პატიოსნებაა. ათასგზის მადლობას ვწირავ ზეციერს, განუმეორებელ ადამიანებს რომ გამომგზავნის ხოლმე ფარატინა ფურცლების დამპურებლად.

აი, ზოგი რამ ჩვენი თხზულების გმირისა და პროტოტიპის შტრიხებისათვის, მაგრამ ნაწარმოები მხოლოდ „ჩორნაია პანტერას“ ნათელფენით როდი ამოიწურება. იგი სამი თაობის ფონზე ფართო სპექტრით წამროაჩენს: ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას მამარდაშვილებისა და ჩუბინიძეების გონებადაუნჯებით; ქრისტეს სჯულის დეგრადაციის, ეკუმენიზმის, მასონიზმის პრობლემებს — ეპისკოპოსი იოანე-იონას მეოხებით; ლაზარეს აღდგინების პერსპექტივებს „მსოფლიოს დასაბამისეულ აღმომჩენთა“ — იბერიონელებისა თუ ალაზნისპირელების ძალისხმევით; ცოტნე დადიანის სულისკვეთების დამამხობელ პარტოკრატიას და მისთვის თავდადებულ არაფორმალებს; აფხაზურ-ქართულ საუკუნოვან ძუძუმტეობას და ჟინი ანთარის ნაშიერის ამაო მეცადინეობას ორთავიანი არწივის — რუსეთის იმპერიის მიერ დაგებული ხაფანგების მოსაშლელად.

მოკლედ, სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების საქართველოს არსებითი ინტელექტუალური პოტენციალი მეტნაკლებად დავანდება მოხმობილ რომანში, თუმცა წინ უფრო მომქანცველი წავარნებია — საით წავა საქართველო? ვის გაჰყვება, ჟინი ანთარის ლაბორატორიულ ჩხირკედელაობებს, საკუთარი მეობის შენარჩუნებისათვის ნიადაგ მოჭიმულ როკი ოდიშელიას, თუ სხვას — პატროფილურ იდეალებს გამოდევნებული ეროვნული მოძრაობის ლიდერებს?! და რადგანაც ეს საკითხი ჯერ კიდევ მრავალი ასპექტითაა ასაწონ-დასაწონი, ჩვენც ზედ სამშობლოს აღზევებისა და დაცემის კარიბჭესთან შევჩერდებით, შევჩერდებით აფხაზურ-ქართული კონფლიქტის უვერტიურასთან, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დამხობის და მამულიშვილური ხელისუფლების დამკვიდრების სიგნალია.

ბუნებრივია, ქვეყნის ბედ-იღბალს შუა გზაზე ვერ მიატოვებ, იგი კვლავაც ივლის ნარ-ეკლიანი ბილიკებით, მაგრამ უკვე არა ისე, როგორც ჟინი ანთარს თუ როკი ოდიშელიას მოეპრიანებათ, ან თავად გური ოტობაიას მოესურვება, არამედ ზუსტად იმნაირად, რარიგადაც ამას ჩვენი ჭირნახული საქართველოს, გნებავთ — დედამიწის მო-

მავალი მოითხოვს; ჩვენი გაჩანაგებული თაობის გაფხიზლება, გამხნევება, მისი შინაგანი ძალების ფენიქსისებრ ფერფლით აღდგენა საჭიროებს.

გაფრენილ ისარს ჰაერში ვერ შეაჩერებ. შესაძლოა მას ქარიშხალის წინაღობამ გარკვეულწილად შეუცვალოს მიმართულება, მაგრამ მთლად იმდენად ვერა, ათიანისკენ მიმსწრაფველი შვიდიანს აცდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჟინი ანთარის თუ როკი ოდიშელიას ცხოვრებანი მიმზიდველი თავგადასავლების ჩარჩოთა ტყვეობაში დარჩება აწ და მარადის და ის, რაც ჩემი რომანების გმირებს მიეტევება სულგრძელი შთამომავლობისაგან, გური ოტობაიას — არაფრისდიდებით. სიმართლის თქმა, ბოროტების მხილება და მოზარდი თაობის სწორ გზაზე დაყენება იოლი საქმე როდია, არცრა — უხიფათო, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გაგვახსენდება აღმოსავლური სენტენცია, როცა ერთი ხელმწიფე ლექსის წერას აკრძალავს თავის ქვეყანაში და რანაირად შეუშფოთდებიან ვეზირები:

— მეუფევ, შენ ხომ პოეზია მოჰკალი ამ ბრძანებითო.

ჰოდა, აი, რას უპასუხებს ხელქვეითებს იმპერატორი:

— არა ძვირფასებო, მე ლექსის წერა მოვსპე შემთხვევითი ხალხისათვის, ცრუ პოეტებისთვის, მაგრამ ჭეშმარიტნი უეჭველად შეთხზავენო.

და რადგანაც დაახლოებით მსგავს სიტუაციაში გვიხდება მოღვაწეობა, ჩვენც მზადა ვართ ერთხელ არჩეულ გზას წარბშეუხრელად მივედევნოთ ბოლომდე.“

ამდაგვარია, ჩემი ლიტერატურული პოზიცია ტრიადის მეორე წიგნით, თუმცა ხელმოცარულ კლერკებს თუ დავუგდებთ ყურს, მე შავი სამყაროს აპოლოგეტი გამოვდივარ, ის კი არ უწყიან ბედოვლათებმა, რომ ქრისტე ცოდვილების, ვნებულთა და წაბორძიკებულთა საშველად მოვლენია კაცობრიობას. მაშ, რატომ მივბაძო მეცივლომეებს, როცა თავს ზემორე ჩაუქრობელი გენია დამნათის?!

ჩვენ მრავალგზის მოვუბრუნდებით აწგავლილ წავარნებს, მეტი თვალსაჩინოებისთვის კვლავაც ამოვატივტივებთ უთვალავჯერ გაცხადებულ პერსონაჟებს, ასე რომ, ჩემს გულდაუჯერებელ შეგირდს ერთსა ვთხოვ — თვინიერად მომაპყროს მზერა, რადგანაც აქ რამდენადმე მოგვიწევს „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდზე დამატებით ყურადღების გამახვილება.

ოთხმოცდაათიანი წლებისთვს გამოცემული ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნის გამოქვეყნების პერიოდში პოლიგრაფიუ-

ლი საშუალებანი ჯერ კიდევ მაღალი ბეჭვდით ამოიწურება ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში. ლინოტიპის შესაძლებლობიდან გამომდინარე მე ვერ ვახერხებ „ცნობიერების ნაკადის“ გამოსახატავად რაღაც განსაკუთრებული შრიფტის შემოტანას, და ამ მისიას ფრანგულ ბრჭყალებს, კუთხოვანსაც რომ ეძახიან, მივანდობ, მაგრამ ორიათასის მიწურულის საქართველოში უკვე მეხუთე თაობის კომპიუტერი ზეიმობს, პენტიუმების ცვენაა და პოლიგრაფიულ პრობლემას სწორედ ტექნოკრატიის წინსვლა გადამაჭრევინებს.

დახრილი შრიფტი ამჯერად იმ კუთხოვანი ბრჭყალების მომხსნელია, დიახ მისით გადმოცემული ტექსტები ყველგან შეესაბამება გმირის თავში დატრიალებულ, განცდილ ამბავს, მაგრამ როდესაც უშუალოდ „ცნობიერების ნაკადია“ არენაზე, აქ იგი შავად აბზინდება ავაზას ბეწვივით, ანუ გამოკვეთილია ერთი რეალობა: წარსულის ღრმად ჩაჩნევა სულში, ჩაკირვა მეხსიერების კუნჭულებში, და საკმარისია რაიმე მომენტმა (რომლის მსგავსზე ზემორე ვფიქრობთ, საფუძვლიანად გვიმსჯელია) , ოდნავ შეუჩიჩხინოს ნაცარში გახვეულ ნაღვერდალივით შენახულ სინამდვილეს, რომ ცეცხლიც მსწრაფელ აგიზგიზდება.

„როკი“
ანუ გზა სამშობლოსაკენ

გური ოტობაიას — ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ მთელი რვა წელიწადი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მწერალმა ლექსების მომცრო კრებულიღა გამოსცა — „გვიმარა“ და უფრო პუბლიცისტური წერილებით შეახსენებდა მკითხველს თავს. დღეს კი ავტორი წარმოგვიდგა გამომცემლობა „მერანის“ გრიფით დასტამბული მონუმენტური რომანით — „როკი“. თვალშისაცემია წიგნის მაღალი პოლიგრაფიული დონე. გაფორმება ეკუთვნის მხატვარ, ბატონ სპარტაკ ცინცაძეს, ხოლო რედაქტორი ცნობილი კრიტიკოსი, ბატონი გიორგი გაჩეჩილაძეა.

მწერალს ესაუბრება მისი პირველი რომანის რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა.

— გური, თქვენი ტრიადის მეორე წიგნის წაკითხვა პირველთან შედარებით არ გამძნელებია. აქ მეტი სისადავეა და „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდიც ზომიერადაა მოშველიებული. ამასთან, ეს რომანი

მოცულობით ერთიორად აღემატება პირველს. თანაც, ტრიადიის არსიდან გამომდინარე, მთავარ გმირად მოგვევლინა არა ჟინი ანთარის მეორე მემკვიდრე, არამედ სრულიად უცნობი პიროვნება — როკი ოდიშელია. რამ განაპირობა ასეთი მეტამორფოზა?

— ყველაფერს გმირის ხასიათი განსაზღვრავს. „სიცოცხლემსჯილების" პირველი წიგნის პერსონაჟები ყოველმხრივ ტრავმირებული ხალხია. შეამჩნევდი, როკი ნაწარმოების მიწურულს იწყებს ფიქრს, განსჯას, ხოლო ბონდო ჰალიძონია რომანში შემობიჯებისთანავე გონება შეძრულია. ალბათ, „სირთულე" და „სისადავე" აქედან მოდის. ეს მეთოდი ჩემი მოგონილი არ არის. ფოლკნერმა იმით დასაჯა „ხმაური და მძვინვარების" ერთ-ერთი პერსონაჟი ჯეისონი, რომ მას წარსულის აღდგენის უნარი წაართვა, რადგან ცხოვრების მანძილზე არასდროს სტკივებია სულიერად, ნიადაგ პრაქტიკოსი იყო, და აქედან გამომდინარე, ადამიანურობის ღვთიური მადლიც მისდღემში არ შეხებია.

როკი ოდიშელია, მართალია, ცხოვრების პირველ მონაკვეთში ქედუხრელია, ძელქვაა, ათასი უბედურების ღირსეულად ამტანი, მაგრამ ჯერ მისი სული არ ათროლებულა შინაგანი ძვრებით. ეს კი, ბოლოს და ბოლოს გაცამტვერებული სიფვარულის მეოხებით ხერხდება. ბოშა გოგონაა მისი მიძინებული ღვთიური ბუნების გამოღვიძების იმპულსი. როკი ოდიშელიაში სწორედ უიღბლო მიჯნურობის ნაყოფია განვლილი საწუთროს ანალიზის მოძალება. მისი უდრეკი სხეული თანდათან იძლევა სიფვარულით, იტვირთება ეროვნული თვითშეგნებით, სიფვარულის შემწეობით შეაქცევს იგი ზურგს კაკუსის ხალხს და მერაბ კოსტავას გვერდით დადგება ღალიძგასთან საჭიროების ჟამს.

როკი ოდიშელია უცნობი არ არის „სიცოცხლემისჯილების" პირველი წიგნისათვის, ოღონდ თქვენ ნაწარმოების მხოლოდ ნახევარი წაგიკითხავთ; დასრულებულ რომანში, რომელიც სადაც არის დღის ნათელს იხილავს, მას გარკვეული ფუნქცია ეკისრება. ამასთან, ტრიადის მეორე წიგნში როკი ოდიშელიას ამოტივტივებას სხვა ობიექტური რეალობაც განსაზღვრავს. მოგეხსენებათ, „სიცოცხლემისჯილების" პირველი წიგნის წარმმართველი ძალაა ჟინი ანთარის უმცროსი ვაჟიშვილი — ბონდო ჰალიძონია, ღმერთად გამოზრდილი ყმაწვილი, ჰომუნკულუსი, სინჯარაში გამოჩეკილი პირმშო და ამდენად, ცხოვრებისათვის უმწიფარი, უმწეო.

„როკის" მოქმედების დრო ქრონოლოგიურად ემთხვევა უძრაობის პერიოდს, „ბირჟავიკობას", „ლოთომანიას", „კანონიერი ქურდის" ფსიქოლოგიას, ვინაიდან ასეთი ატმოსფერო ნასაზრდოებია უპერსპექტივობიდან, იდეალის უქონლობისგან, დაახლოებით იგივე სიტუაციის-

გან, როგორც ჰემინგუეის ეპოქას მსჭვალავს „დაღუპული თაობის“ სახელდებით. მე მჭირდებოდა ნაწარმოების ისეთი მამოძრავებელი ძალა, რომელიც მთელ შემადგენლობას გაიყოლიებდა და ვფიქრობ, არჩევანში არ შემცდარვარ.

როკი ოდიშელია რთული ბიოგრაფიის პიროვნებაა, იშვიათი მთხრობელი ამავდროულად, და ამ მომენტებმაც გამიიოლა უძრაობის წლების ნიშანდობლივი ტენდენციები და მიდრეკილებანი ადგილიდან დამეძრა.

შემადგენლობის მგზავრები ჭრელია, ბაზრის გიჟებიდან — ხოთო, ჯოჯო, სპირდო, სირმადან დაწყებული, ფილოსოფოსი მამარდაშვილით დამთავრებული. ჩემთვის უმთავრესი იყო მეპოვნა თხზულების ხერხემალი და როკი ოდიშელიას არენაზე გამოჩენასაც ეს იმპულსი ასაზრდოებს.

— საინტერესოა, ნაწარმოებში მთავარ გმირ ქალს ილონა ჰქვია, ხოლო მისადმი მიძღვნილ თავს „ილიონა“, კორექტურაა?

— „ილიონა“ აქ კორექტურა ნამდვილად არ არის. ილონა ჩემთვის რიგითი სახელი როდია. მან უნდა გამოიწვიოს ილიონის, ტროას ასოციაცია. მართალია, ბოშა გოგონას არაფერი სცხია ჰექტორის მრევლისა, მაგრამ ილონა ილიონივით დანგრეულია სიყვარულისგან, თანაც ისე რომ, ამ გაცამტვერებაში მთავარ გმირს ბრალი არანაირი მიუძღვის.

— ნაწარმოების მანძილზე თქვენ უხვად იყენებთ ისტორიულ მასალას წმინდა გიორგიზე, ცოტნეზე, თავადი ჭილაძის გაყიდულ 12 მღვდელზე. ზონებისა და ციხეების ამბები პროტოტიპის მოწოდებული რომ ყოფილა, შესავალ წერილში გიწერიათ. აქვე თამამად შემოგყავთ რეალური პიროვნებები: მერაბ მამარდაშვილი, ვლადიმერ ჩუბინიძე, გივი ალაზნისპირელი, ეპისკოპოსი იოანე-იონა (მურთაზ ჩახავა), გიორგი მაზიაშვილი... თავიანთი ფილოსოფიით. რატომ, რა მიზნით, სად რჩება მწერლისთვის ადგილი?

— ისტორიულ მასალას დიახაც მივმართე „როკში“, მაგრამ ყოველთვის— ავტორისეული ინტერპრეტაციებით. სიცხადისათვის ლამბერტი ქრონიკის დონეზე გვაწვდის თავადი ჭილაძის მიერ ყურსალებისთვის 12 მღვდლის მიყიდვის ამბავს. მე კი ამ იშვიათი ფაქტის გასაშლელად მთელი საგა შევთხზე პაპანწყვილის სინდრომზე. ასეთი ადგილი მართლაც არსებობს ხობის რაიონში, რომელიც „ჩაძირული მღვდლის“ სახელით ითარგმნება. ჰოდა, სარკასტული იუმორითა და ტრაგედიით დავხატე გადაგვარებული ჩვენი წინაპრები — გამყიდველებიცა და გაყიდულებიც; მანკიერია ორივე.

ისტორიული თემები ჩემთვის საშუალებაა მხოლოდ დღევანდლობის გადმოსაცემად. ისტორიულ წიაღში თხრობის გადატანა მე არ მემარჯვება, უკეთ არ ეთანაწყობა ჩემს სულს, ხელოვნურობის დამღა აზის: მეოცე საუკუნიდან გაცოცხლებული დავით აღმაშენებელი სუბიექტური იქნება მაინც, რანაირი გულისყურითაც ჩავუღრმავდეთ იმდროინდელ ვითარებას; ამიტომაც მირჩევნია ჩემი ეპოქის მემატიანე ვიყო.

— მაინც ვინ არის თქვენთვის მე-20 საუკუნის მიწურულის საქართველოს სინამდვილიდან იდეალი, მერაბ კოსტავა? ზვიად გამსახურდია? ედუარდ შევარდნაძე? ეს სახეები რომანში ქვეტექსტებით იკითხება.

— რაც მიწერია, იმას ხელაღებით ვერ წავშლი, თუმცა რომანის თავფურცელს ასეთი წინადადებაც ხსნის: „ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს, მხოლოდ და მხოლოდ, მათი ავტორის სტიქსის ტალღებთან შეთამამებაღა თუ დააზუსტებს“ - მეთქი, ანუ უფრო მარტივად თუ ვიტყვი, სანამ პირში სული მიდგას, უფლებას ვიტოვებ, ჩემს ნაწარმოებებში ზოგი რამ შევცვალო-მეთქი. მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოს უფრო დიდი პიროვნებანი არ ჰყოლია, ვინემ ზვიად გამსახურდიაა და ედუარდ შევარდნაძე.

მწერალი მიუმხრობლად უნდა ასახავდეს სინამდვილეს, როგორც „რუსული რევოლუციის სარკეს“ — ტოლსტოის ემარჯვებოდა, მაგრამ არც ფილოსოფიის შეგონება უნდა დაგვავიწყდეს, როცა მოგვიწოდებს: **ჩვენ გმირი უნდა ვძერწოთ, არა როგორიც არის, არამედ როგორიც უნდა იყოსო.** და მეც, ცხადია, დასახელებული პრინციპიდან მივუდექი ამ ორ, ურთიერთგამომრიცხველ და ურთიერთგანმსაზღვრელ ბუმბერაზ პიროვნებას.

ლიტერატურულ გმირებთან მათ შედარებას თუ გარისკავ, ზვიად გამსახურდია პირწავრდნილი აქილევსია, ტროას ათწლიანი ომის გმირი, რომელსაც თანგავს ბრისეიდას წაგვრით მოყენებული ჭრილობა, შელახული თავმოყვარეობა; ფეხმარდია თეტიდას ძე, ომში შეუპოვარი, მეგობრისთვის თავდადებული და მაინც — სწორხაზოვანი. ხოლო ედუარდ შევარდაძე დიახაც ოდისევსის ანალოგია, გამჭრიახი, გველის გონების, დამთბობიც და შემტევიც, პოლიტიკოსისთვის აუცილებელი ცბიერებით აღჭურვილი, გიღიმის და ნიადაგს გაცლის, გტუქსავს და ჭაობიდან ამოგწევს, აფურთხებენ და ხერხემლად გასახელებს.

პოლიტიკოსადაც ისე იბადებიან თურმე, როგორც პოეტად, ფილოსოფოსად;

ტრიადის მეორე წიგნში „როკი“ მე ბატონ ედუარდს დიდი ვეზი-

რი ვუწოდე — მოსკოვს საქართველოს განსათავისუფლებლად წარმართული, ივო ანდრიჩის სოკოლის მსგავსად. მართლაც იშვიათი დამთხვევაა. დრინის ხიდის აღმშენებელი ვიშიაგრადელი ბიჭუნა სოკოლი, რომელსაც თურქები დაატყვევებენ, დიდი ვეზირის უფლებამოსილებით უბრუნდება სამშობლოს, რათა მუსულმანურ და ქრისტიანულ სამყაროს შორის გასდოს ადამიანური ურთიერთობის ხიდი. მრავალი პატრიოტი ეწინააღმდეგება ამ განზრახვას რადისევის თამადობით, მაგრამ ისტორიულ აუცილებლობას წინ ვეღარაფერი დაუდგება — ხიდი უნდა გაიდოს აღმსარებლობით განსხვავებულ ორ მრევლს შორის, ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის, რომლებიც აქამდე უმეცრებით ხოცავენ ერთმანეთს.

დიახ, ვიშეგრადელი სოკოლი, აწ თურქეთის ხალიფატის დიდი ვეზირი, ორ ურთიერთგამომრიცხავ სიდიდეს გადაანასკვავს ერთურთს დრინის ხიდის აგებით, შეუთავსებელს შეათავსებს და დამეთანხმებით, სასწაულებრივი დამთხვევაა თუნდაც გვარის თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ თანამდებობრივ ანალოგიაზე, იგულისხმება საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრობა, როდესაც ორად გათიშულ მსოფლიოს, კაპიტალისტურ და სოციალისტურ დედამიწას თანამშრომლობის უჩინარი ხიდით შეკრავს, რომელიც ფაქტობრივად ბერლინის კედლის აღებას მოჰყვება.

მომავლის მწერლები, ალბათ, მეტი სიცხადით წარმოაჩენენ ამ პიროვნებებს. ბოლოს და ბოლოს, იულიუს კეისარს რუბიკონის გადალახვის გამო წაუყრუებს მიუტევებელი რომაელი. ესეც რომ არა, ამ ორი ინდივიდუუმის განჭვრეტისას კოსმოგონიურ პრობლემატიკასთან გვიხდება დაჯახება, როგორიცაა: ეროვნული და კოსმოპოლიტური მსოფლგანცდა, მშობლიური და ზოგადასაკაცობირიო.

კი, დიდია პატროფილური სულისკვეთება. საკუთარი ჯიშჯილაგისთვის სულის მსხვერპლად გაღება, მაგრამ ვთქვათ, და რომელიღაცა კუნძულის გაუწირველად დედამიწის ბედ-იღბალი სასწორზე შეგდებულა, როგორ მოიქცეს იმპერატორი, მეუფე? შეინარჩუნოს კუნძული და დაღუპოს დედამიწა, რომელიც საბოლოო ჯამში ამ კუნძულის განადგურებასაც მოასწავებს, თუ ზოგადს უმსხვერპლოს კონკრეტული?!

ეს ურთულესზე ურთულესი საკითხია ზნეობრივ, ფილოსოფიურ ჭრილში, და თუ ამისთანა დილემის წინაშე დააყენებ პერსონაჟს, ვთქვათ და მან გარკვეული მოსაზრებით ნაწილს მთელის ინტერესები ამჯობინა, მყისვე მოღალატის იარლიყს მიაკერებენ, ან კიდევ მასონს უწოდე-

ბენ, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ისტორიული გამოცდილებით დიდი ადამიანები ალტერნატიული ვითარების პირობებში ორ ბოროტებას შორის უმცირესს ირჩევენ.

მწერალი ვალდებულია ვულგარულ-ზედაპირული ამაღლებულის კატეგორიამდე აიტაცოს, გნებავთ ობიექტური სინამდვილე მწირი იყოს საამისოდ. მოკლედ, ბატონო, ვახტანგ, ჩვენი საუკნის სასრულის საქართველოს ნამდვილად არ მოეპოვება უფრო დიდი პიროვნებანი, როგორიც ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძეა.

— ზემოთ ღალიძგა ახსენეთ. თქვენ რომანში მთელი სიგრძე-სიგანით არის წარმოჩენილი ქართულ-აფხაზური ტრადიციები, ძუძუმტეობის მადლი, ძმადნაფიცობა. დაუვიწყარი სახეა როკი ოდიშელიას მორდუ — ვერა მარშანია. რატომ შემოგაქვთ რომანში ასე უხვად აფხაზური თემატიკა?

— ჯერ ერთი, წარმოშობით აფხაზეთიდან ვარ, საბედიანოდან, ოტობაიადან. მერე და, რა ფასი ექნებოდა ქართველი კაცის, კოლხის საწუთროს აფხაზის ცხოვრების გაუთვალისწინებლად? ვერა მარშანიას სახე კრებსითია, ნამდვილი დედის სახე. მორდუ მარშანიას გვარით იმიტომაც წარმოვაჩინე, რომ დღეს იმ ბედკრულ აფხაზებსაც უკეთესი პიროვნება არა ჰყვათ, ვინემ ლორიკ მარშანიაა. ჩემი სიტყვების სისწორეს მომავალი დაადასტურებს. აფხაზი და კოლხი, აფხაზი და მეგრელი, აფხაზი და ქართველი, ერთი ხის ორი ტოტია, რომლებიც საერთო მიწით საზრდოობდნენ, საერთო მზით სულდგმულობდნენ და საკუთარი თავისაგან გაქცევა ჯერეთ ვერავის მოუხერხებია ცისქვეშეთში, ჩვენ რომ შევძლოთ.

სხვათა შორის, თუ შეგინიშნავთ, ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ აფხაზები გამუდმებით საქართველოსკენ ილტვიან. ყოველთვის აქეთ გადმოლახავენ ენგურს, სულმუდამ ოდიშში ტრიალებენ; მისოუსტი თარაშ ემუხვარი, ის კაცია, რომლის გვარმა და ჯიშ-ჯილაგმა უკან დახევა არ იცის საქართველოსკენ სწრაფვაში, მაგრამ იმპერია საუკუნის მანძილზე იმდენად შეცვლის აფხაზი ერის ფსიქიკას, რომ ასოთხმოცი გრადუსით შეაციბრუტებს მათ ორიენტაციას და საუკუნის დამდეგს აფხაზები თავგადაკლულნი რომ ებრძვიან ენგურის გავეშებულ ტალღებს ქართული ცნობიერებისაკენ გამოსაღწევად, ასწლეულის მიწურულს ღალიძგასთან ჩასაფრებულან ოდესღაც ძუძუმტეების შესამუსრად, იმავე ნათელ-მირონის შესაოკებლად, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.

ტრიადის მეორე წიგნი ამით დასრულდება, რათა უფრო დაძაგრული და შემზარავი სინამდვილე მესამისთვის შემოგვენახა“.

„დილის გაზეთი“,
6 მაისი, 1998 წ.

დაკარგული
გმირის ძიებაში

ცნობილი ქართველი პოეტი ვახტანგ ხარჩილავა გური ოტობაიას შემოქმედების ჩინებული მეჭაშნიკეა. ოთხმოცდაათიან წლებში სწორედ მან ურედაქტორა მწერლის რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველ წიგნს.

რამდენიმე თვის წინათ „დილის გაზეთმა“ გამოაქვეყნა მისი ვრცელი ინტერვიუ გური ოტობაიასთან ახალი რომანის გამოსვლასთან დაკავშირებით.

ამჯერად გთავაზობთ ვახტანგ ხარჩილავას მორიგ პუბლიკაციას რომანზე „როკი“, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი იქნება ფართო მკითხველისთვის გური ოტობაიას შემოქმედების თავისებურებათა გასააზრებლად.

— გმირი დავკარგე, გმირი დავკარგე, — ამ სიტყვებით შეშლილივით დარბის ქ. ზუგდიდის სასტუმრო „ოდიშის“ დერეფანში გური ოტობაიას ახალი რომანის („როკის“), ერთ-ერთი პერსონაჟი კვეკვე ანთარია და მისი თანამეცხედრე თუ სასტუმროს პერსონალი დაფეთებული ეძებენ დაფანტულ ფურცლებს მაგიდის, საწოლის ქვეშ, სანაგვე ყუთსა თუ სხვაგან; ყველას ჰგონია საუბარი ეხება ნაწარმოებს, როცა პასაჟი რეალურია — დაკარგულია რომანის გმირი. დიახ, გური ოტობაიას ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი-მეორე წიგნები საბჭოეთის სივრცეში დაკარგული გმირების ძიებას ეძღვნება არსებითად, მაგრამ მოდით, ჯერ თავად თხზულების არსში გავერკვეთ რამდენადმე.

როკი ოდიშელია, ერთი გულმართალი ყმაწვილკაცია, რომელიც თავს მოარიდებს საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურს და სამი წლის მიმალვის შემდეგ საკუთარ ოჯახში ატყვევებენ.როკი ოდიშელია ფენომენური მეხსიერების პიროვნებაა, რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ რამდენიმე ენაზე ზეპირად უსწავლია, მაგრამ უფრო მთავარი ძაკა ბაბუასაგან ბოძებული მისი ცხოვრებისეული კრედოა: ერთს ემხრობი? ათს იმდურებ, მაგრამ თუკი ის ერთი ღირსია თანადგომისა, არ უნდა მოერიდო გნებავს ათასის განაწყენებასო. ამ შეგონებას როკი ოდიშელია ბოლომდე ერთგულობს, თუმცა ცხოვრება მას ისეთ განსაცდელს განუმზადებს, ბოლოს და ბოლოს ვალდებულია სწორი პასუხი გასცეს კონკრეტულად წამოჭრილ დილემას — „ჰო“ თუ „არა“, ანუ მიჰყავს

წუთისოფლის დინებას, იყოს ჩვეულებრივი მოკვდავი, იარსებოს დანარჩენივით კუჭისათვის თუ წინ აღუდგეს ბოროტებას და სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, ქედი არ მოუხაროს კაცობრიობის დაუძინებელ მტერს — მაცილს, ბელზებელს, ურჩხულს ფართო გაგებით:

სონეტი როკის

,,კლდის წვერზე ვდგევარ, დამეხილი, ვეება როკი.
დაკორძებული, უფოთლებო, ბორჯალებს ვმწყემსავ.
ქარბორიაყებს იანვარში ტოტებით ვგმანავ.
დავტოვე ტყე და ელჭექისკენ წამოვხრიოკდი.

უკუნეთ ღამით გველეშაპის იწყება ზლაზნვა.
შემომეხვევა. გადამბრჭყალავს, ბოძალით ვმსჭვალავ.
როგორც ინათებს — ყავ-ყორნებით ნაბდებს მოვიქსოვ.
აწმეცრემლება — მტერს ყელა გზა გადავუმუსრე.

თაკარა დღეში თავის ოფლი ჩამსდის ტერფამდი.
ვნატრულობ წყაროს, აღარ მსტუმრობს ზღვაური მგზავრი.
მივლულავ თვალებს — წამოზვირთდეს იქნებ სიზმარი.

მაგრამ ძილის ცა ვარკვლავების ქაცვით ავსილა,
გამაჟრიალებს: ჯერ არვინ ჩანს თვალსაწიერზე.
შეღამებამდე მამულს ქედი რომ მოუგრიხოს''.

ბწკარედული თარგმანი სონეტისა ,,როკი'' სულიერი კომპასია ოდიშელიას გაორებული ბუნების გრადაციის გზაზე სიბნელიდან სინათლისკენ, კოსმოპოლიტობიდან პატროფილობისაკენ.

რომანი ,,როკის'' ქარგა არ ცნობს არქიტექტონიკის კლასიკურ გაგებას ფორმულით: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, აქ მოქმედება ტრადიციული მიზანდასახულობით როდი ვითარდება, არამედ გონივრულადაა გააზრებული ე.წ. ,,წრიული პრინციპი'' და თხრობაც თოთხმეტი წლით ნაპატიმრალის გამოთავისუფლებიდან იწყება.

გური ოტობაია ხატავს მართლმსაჯულების ჯურღმულებიდან გამოღწეულ პიროვნებას, რომელსაც ვერანაირი ზეწოლა გატეხავს, ყველგან, ყოველთვის ჭირთათმენით გაუძლებს ექსპერიმენტული ზონების თუ სამამულო ცხრაკლიტულების ჯუნგლურ კანონებს და როცა

„ჩიტივით თავისუფალს“ არჩევანი დაუდგება, თუ ვისთან ჩაუშვას ღუზა, ვის მიაყრდნოს თავი, აბსოლუტური გაურკვევლობის წინაშე აღმოჩნდება: ზონებში ყოფნისას როკი ოდიშელია გარკვეულწილად თანაუგრძნობს ქურდული გაგების კლანს, ვინაიდან სატუსაღოში ამ კასტას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ გარეთ გამოსული კვლავაც ეჯახება რეალური ცხოვრების უჩინარ კედლებს, რომელიც არაფრით განსხვავდება საპყრობილესგან და მერამდენედ დაეუფლება ყოყმანი მის სულს: რა არის მთავარი ფასეულობა, რისთვისაც სიცოცხლის დაუფიქრებლად გაწირვა ღირდეს?!

აქ გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება „დათა თუთაშხიას“ პასაჟებთან, როდესაც თბილისში ჩამოსულ არზნევ მუსკიას ზნეობრივ სასამართლოს მოუწყობს გრაფი სეგედი, მაგრამ თემატიკის ნათესაობა არახალია ლიტერატურაში, მთავარი — მიზანია და ვინაიდან როკი ოდიშელიას მოწოდება ჭეშმარიტების დადგენაა საერთოდ, იგი დახარბებით ეწაფება დედაქალაქის ინტელექტუალურ მონაპოვრებს.

ქურდებს სამშობლო არ გააჩნიათ. ასეთია ცხოვრების ლოგიკა. ციხის რეალობები არ ცნობს ეთნიკურ თუ რელიგიურ სხვაობებს. იმ ჯოჯოხეთში თითოეული „არესტანტი“ ერთ ტაფაზე იხრაკება, თუმცა, ამავდროულად როკი ოდიშელიასთვის მიუღებელია პოლიტპატიმართა აღიარებაც, მათთან კონტაქტები, ვინაიდან მათში იგი ხვალინდელი ხელისუფლების ლიდერს თუ რიგით წევრს აღიქვამს და რადგანაც სამოცდაათწლიანი პარტოკრატიის უსულგულობის მსხვერპლს ჩინებულად შეუგნია გარემომცველი ხელისუფლების დანაშაულებრივი მოღვაწეობა, მყარად ასკვნის: შეუძლებელია მთავრობაში მოვიდეს ხალხის ინტერესების გამომხატველი პარტია თუ ბელადი; ხალხი ცალკეა თავის მარადიულ ტკივილთან, საზოგადოების აღჭურვილი წინამძღოლი კი ფარისევლური დაპირებების წყალობით ამაღლდება თუ არა გვირგვინამდე, სკიპტრამდე, კვარცხლბეკამდე, მყისვე დაავიწყდება მოსახლეობის გასაჭირი და საკუთარ საცხოვრისს, საარსებო დროსა და სივრცეს გამოდევნებულ ხორცმეტად, ხალხის მტრად გადაქცევა; ამიტომაც ციებიანივით გაურბის პოლიტპატიმრებთან შეხვედრას, იმის შიშით, ქურდულმა მასტებმა ჩემს გამოჩენაზე ვაითუ მხარზე ხელი დაიდონ „პაგონიანის“ ნიშნადო.

როკი ოდიშელიამ არ იცის, სად ჩაუშვას ღუზა, ვის ნაპირს მიადგეს, ვის მიაყრდნოს თავი და იგი სრულიად შეგნებულად დაადგება საკუთარი ბილიკების გაწალდვის გზას, მარტოკაცის, ტრამალის მგლის გზას, ჭეშმარიტების დადგენის პროცესში და როცა ყველა კრიტერიუმი მოსინჯულია, როცა ყველა წიგნთსაცავი გადაფურცლულია, სამყა-

როს მიკროსკოპული თუ ასტრონომიული გაგებით, ჩიხში შესული, წუთისოფლის ლაბირინთში გახლართული პიროვნებისათვის კვლავაც გამოჩნდება ასპარეზი, საკუთარი მეობის დამკვიდრების რეალური შანსი. იგი თავაწეული შეუერთდება ღალიძგასთან აბობოქრებულ თანამემამულეთა სახალხო ლაშქარს, თავაწეული გაეშურება იმ თემშარით, რომელიც სამშობლოს გულისკენ მიემართება. როკი ერთგვარად გადახაზავს ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის სილოგიზმს, რომ თითქოს ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღალია; ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნებს — ჭეშმარიტების გასაღები სწორედაც რომ მამულიშვილური იდეალების განხორციელებაა, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა საფუძველთა საფუძველია, და აქ, ცხადია, ოდიშელია გადალახავს ქართულ ცნობიერებაში ჩიხში შეყვანილ დოქტრინას ადამიანის დანიშნულების თაობაზე. იგი ნათლად დაისახავს მომავლის პერსპექტივებს, თუმცა, ორ კედელს შორის მომწყდეული ინდივიდი, ,,ჰოსა'' და ,,არას'' შორის მოყოყმანე პიროვნება შეძლებს კი, მამულიშვილური საქმეების განხორციელებას, ერის ტკივილების მესვეურობას?!

სამშობლოს აღიარებით, პატროფილური იმპულსების წინ წამოწევით, როკი ოდიშელიამ ფაქტობრივად ზურგს შეაქცევს კაკუსის ხალხს, დანაშაულებრივ სამყაროს, მაგრამ საკითხი ბოლომდე გამოკვეთილი ვერ არის. ზურგშექცევა როდი ნიშნავს მის მეობაში წლობით დალექილი მსოფლმხედველობისგან განთავისუფლებას და რადგანაც ამ ბუნიობის პერიოდში დასმულია ნაწარმოებისთვის წერტილი, მისახვედრია, რომ დაკარგული გმირის ძიება ტრიადის მესამე წიგნში კვლავაც გაგრძელდება.

გეხსომებათ, ,,სიცოცხლემისჯილების'' პირველი წიგნის სამოქმედო დრო საუკუნის გარიჟრაჟიდან მოყოლებული, სამოცდაათიან წლებს მოიცავს, კონკრეტულად 1972 წელს (საიდანაც აითვლება ,,როკის'' ქრონომეტრაჟი), ანუ პერიოდს, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის აღზევებას ემთხვევა და აქედან გამომდინარე, ევროპაში განსწავლული ჟინი ანთარი (გიორგი ანთარია), გაემიჯნება ხალხს, რადგან მისთვის სამშობლო სივრცე — კუნძული შამგონა, ოდაბადეესაც რომ ეძახის, სიზიფეს მუშაკობად წარმოჩინდება გარდაქმნის თვალთახედვით.

ჟინი ანთარი და მისი უკანონო მემკვიდრე ბონდო ჰალიძონია ვერ წაადგებიან ორიენტაციადაკარგულ მამულს წინამძღოლებად,მიუხედავად იმისა, რომ მამა წარმართული ღვთაების ბადალი პიროვნებაა, ხოლო შვილი — ქრისტეს ტყუპისცალი, ადამიანთათვის სა-

სიკეთოდ მოვლენილი, თუმცა ორივე ღვარძლში გადაგდებული ჯანსაღი თესლია მაცხოვრისეული შეგონების პერიფრაზით, რომელსაც გახარება არ უწერია.

ტრიადის პირველი წიგნი მიკროსკოპულად ჩასჩერებია სამყაროსეულ პრობლემებს, საზოგადოებისა და ინდივიდუუმის ურთიერთთანაარსებობის საკითხებს, სადაც პიროვნების სახე, „მე“ წაშლილია, ათქვეფილია ზოგადში; მთელი ისაკუთრებს ნაწილს და გასაქანს არ აძლევს მის ინდივიდუალობას — რაღაცნაირად გამოეყოს მომაკვდინებელ კრებითობას. მოკლედ, ტრიადის პირველი წიგნით ვერ შედგება ერის და გმირის ერთი მიზანსწრაფულობით მსვლელობა, სწრაფვა.

იგივე ვითარებაა მეორესთანაც. მართალია, ოდიშელია ჟინი ანთარის შეგირდია, მაგრამ ყმაწვილობის შემდეგ მის სულს გარკვეული პერიოდი წლების მანძილზე სხვა ოსტატები აწრთობენ და აქაც გაითიშება ხალხი და ინდივიდი, აქაც ვერ შედგება საზოგადოებისა და პიროვნების ერთიანობა.

ყოველივეს გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ტრიადის მესამე წიგნში, უკვე ხალხს ჭეშმარიტი ქანაანისკენ ვერ წარუძღვებიან ორჯონიკიძეები, თუთაბერები, არავიძეები თუ ოცდაათ ვერცხლად მოსყიდული იუდანი, ვინაიდან დასახელებულ რომანებში პოტენციური გმირები — ბონდო ჰალიძონია, როკი ოდიშელია, — უსარგებლო ნიადაგში მოსროლილი თესლია, ჯანსაღი, თუმცა უპერსპექტივო.

მოკლედ, ტრიადის პირველი-მეორე წიგნებით ერგასწელი ვერ მოხერხდება ტაძრისაკენ მიმავალი გზიდან აცდენილი ერისა და პოტენციური გმირების გაერთსხეულება. მოსალოდნელია, რომ გური ოტობაია ბოლოს და ბოლოს იპოვის ასეთ ფენომენს ტრიადის დამაგვირგვინებელ ფაზაში, მაგრამ ჯერჯერობით ყოველივე აბსტრაქციის სფეროა, აისბერგის დაფარული მხარე, წარმოსახვითღა რომ აღიქმება.

ასეთია გური ოტობაიას მიზანდასახულობა თავისი მონუმენტური ტრიადის განხორციელების გზაზე. ეს ჩანაფიქრი „როკის“ მეშვეობით გაცილებით ხელმისაწვდომი ხდება.

ახლა თავად ნაწარმოების არქიტექტონიკისა და სხვა აქსესუარების შესახებ.

„როკი“ ვრცელტანიანი რომანია, 56 ნაბეჭდი თაბახი. თვალშისაცემია მწერლის ოსტატობა, ფრაზის სიმსუბუქე, ენის სისადავე, სხარტი და ტევადი სტილი;

ამასთან ერთად, შესამჩნევია თხზულების აშენების არატრადიციული ხერხი. აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკუგდებულია მოქმედების განვითარების აქამდე დამკვიდრებული მოდელი: ნაწარმოები აგე-

ბულია ასოციაციურ და „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდებზე, სადაც მსგავსი სიტუაცია აღადგენს გმირის მიერ უკვე გარდახდილ წარსულს, თანაც იმდენად ექსპრესიულად ენაცვლება ცხოვრებისა და საპატიმროების სურათები, იქმნება გაუბზარავი, მთლიანი ხატი, რომლის მიხედვით დანაშაული აბსოლუტურია, სიკეთე კი — უზნეობის არტახებით შეკრული.

ბუნებრივია, წერილის მიზანს არ შეადგენს რომანის ქრონოლოგიური მიმოხილვა, ამას მკითხველიც მშვენივრად გაართმევს თავს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ „როკი“ ახლებურად წარმოაჩენს მარადმშვენიერი სიყვარულის თემას, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელს თხზულებას და ბოშა გოგონა — ილონა, მიუღებელი რომ არის კოლხური ოჯახისათვის, სიწმინდისა და სინათლის მომნიჭებელ ძალად ქცეულა ჭეშმარიტების მაძიებელი ოდიშელიასთვის.

განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს აფხაზურ-ქართული ურთიერთობანი, ჩვენი ტრადიციული ძუძუმტეობის მადლი. სულისშემძვრელია აფხაზი დედის — ვერა მარშანიას სახე, რომელიც ვეფხისა და მოყმის ბალადის ტოლფასი ფენომენია რომანში და თავისი სამართლიანობით ათრთოლებს მკითხველთა გრძნობას. მოვიშველიებთ ფრაგმენტს მორდუს წერილიდან:

„...ამ მკერდით გამიზრდიხარ და იმიტომ მაქვს დიდი გული შენთან. იცი, შვილებისგან გამორჩეული არ მყავხარ და მადლობა უფალს, გარჯა შენთან მაინც არ დამკარგვია. კი, გული დამწყვიტე, პამპალვაქივით რომ მიმატოვე იქ, შუკის თავში, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, შენ ყველაფერში ცამდე მართალი ყოფილხარ. მე ტირილი მოვათავე, დავრწმუნდი, დედაშვილობა მარტო გაჩენით არ თქმულა. ნაკვერჩხლებივით მეყრებოდა ხელებზე შენი ცრემლები და გამიგებ, ალბათ, შინ რანაირი გუნება-განწყობილებით მივბრუნდებოდი. კიბეებამდე სული როგორღაც მივიტანე. საფეხურზე დავეშვი. ბავშვების ტირილი რომ მომესმა, ჩემი გასაჭირი დამავიწყდა. აივნისკენ მივიჩქარი. არის ერთი რიარია. გაუხარელი ალვერი (ოდიშელიას ნაბოლარა ძუძუმტე, ვ.ხ.) **თვალების ბრიალით დაშლიგინობს და შენს მოტანილ საჩუქრებს აგროვებს. რომ ბრაზობენ უფროსი რძლებია. ლაკობას ქალი გაწკვირინებული ზის** (ალვერის მეუღლე, ვ.ხ.) **ჩემს კაცს დიდრონი ყურები გადმოუყრია (გეუფიშქანს),** (ბარათი მეგრულადაა დაწერილი და ავტორი უთარგმნელ სიტყვებს აქა-იქ მოიშველიებს სტილისტური ხელწერის თუ ექსპრესიის გასაგრძელებლად, ვ.ხ.) **არაფერს იტყვის, არც გულამოცლილი დაური და ანატოლი** (ვერა მარშანიას უფროსი ვაჟიშ-

ვილები, როკის ძუძუმტენი და თანასაკნელები წლების მანძილზე პატიმრობაში ყოფნისას, ვ.ხ.) **აფუტებენ სიგარეტს და სხედან თავჩაქინდრულები.**

რა, დედაჩემო და ჭიაკოკონა უნდა გავმართოო, ალვერმა.

რა დროს ჭიაკოკონობაა, შვილო, ოც ივლისამდე ქვეყნის დროამეთქი.

ეს თქვენებურადო, ჩვენებურად კი ჭიაკოკონა მაშინ უნდა გაიმართოს, როცა ოჯახში შურდინაფილი (უხსენებელი, ვ.ხ.) **შემოგივაო. გოგირდს უნდა მოუკიდო და მისი სახსენებელი გადააშენოო. თავზე დაგვასვარა ყველას და კიდევ იმას ექომაგებაო...**

ვინ არის ბიჭო შურდინაფილი?! უყურე შენ, როგორ გავიდა თავს?! აქ მოიტანე ჩემი ტანსაცმელი, თორემ ხალხს შეგიყრი-მეთქი.

უცებ არ შემაშინოო, იმან. იღლია გამოტენილი აქვს საკაბეში მოქუჩებული ჭინჭებით. ბავშვებისთვის ნამცხვრები, თოჯინები და კანფეტებიც კი გამოუდღლეზია. სამბორბლიანი ველოსიპედიც აუღია...“

დედა-შვილს შორის ჭიდილი იმართება. მორდუ ცდილობს ვაჟს როკის ჩამოტანილი საჩუქრები წაართვას, მაგრამ ამაოდ, წაუჯიკავებს მემკვიდრე და კედელს მიანარცხებს.

„... ბეჩა, ეს რა მუცლის გვრემა გამიჩენია?! იცოდე, ჩემს დაჩაგვრას როკი არ გაპატიებს-მეთქი.

თვალები დამიბრიალა.

მაგის დაშინებული შენიანებში მოიკითხეო. შეხედეთ, შეხედეთ, შვილობილით არ გვემუქრება ღვიძლ შვილებსო? როკის გულისთვის სამივეს უფსკრულში გადაგვიძახებსო. თავისიანებით ააავსო სახლი. ქართული წიგნების კითხვას შეგვაკლა. დროზე რომ არ დაეპატიმრებინათ, ადას საქმროდ ჰყავდა გამზადებული. ჩაისიძებდა და ოდიშელიებსაც თავზე დაგვაჯენდაო...“

ბოლოს და ბოლოს ალვერი ჭიშკართან დაყრის როკის ჩამოტანილ საჩუქრებს, ბენზინს გადაასხამს და ააბრიალებს. ბოლოს, ოჯახის უფროსიც წავა შვილისკენ და როკის ნაჩუქარ ჩიბუხსაც რომშეუკეთებს იმ კოცონს, ვერა მარშანია სასოწარკვეთით აკივლდება. რძლები აუბანებენ და უკვე მორდუს შეჩერება არავის შეუძლია. ფეხშიშველა დასტოვებს ნაჯაფარ ოჯახს.

„... მეზობლები გარს გვეხვევიან (ეკმაგვარგვასუნა).

ვერა, დაწყნარდი, ცხელ გულზე მოუვიდა, აპატიე, შენს სავსე ოჯახს ვის უტოვებო.

ბომბა დაცემოდეს კაცის სიკეთითი-მეთქი. ზურგზე ხომ არ მკიდია, დედის წყევლა კარგი თუა, მაგასაც ვნახავ-მეთქი.

პირზე ხელს მაფარებენ.

მთელს ქვეყანაზე გამოვაჭენებ. სახლი მუსულმანების სასტუმროდ და იარაღის საწყობად რომ გადამიქცია...“

კონფლიქტის მთავარი ძარღვიც აქ იმალება. ცხრა აპრილით სულშეძრული როკი, როგორც კი შეიტყობს, რომ ძუძუმტეებს ქართველების ცილისწამებლური წერილისთვის მოუწერიათ ხელი, ალალმართლად მორთმეულ სუფრას ლუკმის გაუტეხავად გაეცლება, რადგანაც ყოველივე ფარისევლობად მიაჩნია. როგორია, დანას ყელში გისვამდნენ და თანაც მადიანად გაპურებდნენ?! აქ უმთავრესი დამნაშავე მუსულმანური ორიენტაციის ნაბოლარა ალვერია, იგი თვითნებურად მოაწერს ხელს მთელი ოჯახის მაგივრად, მაგრამ როკი მომთხოვნია, ბრალს სდებს მორდუს, რისთვის არ გამოასწორეთ შეცდომა, რატომ არ ამხილეთ ალვერი, რომ დანარჩენებს ხელი არ მოგიწერიათო და ვერა მარშანია მართლაც ასრულებს მორდილის, ადამიანურ, კაცთმოყვარეობით ნასაზრდოებ მითითებას.

„... „ლიხინის წერილი“, რომელიც ფაქტობრივად ორი მოძმე ერის დაპირისპირების სამარცხვინო დოკუმენტია, ყალბია ხელმოწერების რაოდენობის თვალსაზრისით. ოცდათორმეტი ათასი აფხაზი ნამდვილად ასე რომ არ ფიქრობდეს, ამას ჩემი ოჯახის მაგალითითაც დავადასტურებ. იმ წერილისთვის ჩემი უმცროსი ვაჟიშვილის, ალვერ ინალის ძე ავიძბას მეტს ხელი არავის მოუწერია. ხელი არ მომიწერია მე, ვერა მარშანია-ავიძბას; ხელი არ მოუწერია ჩემს ქმარს, ინალ ჰაკის ძე ავიძბას, თუმცა კი თანაუგრძნობს იმ წერილის პათოსს; ხელი არ მოუწერია უმცროს რძალს დალი ლაკობა-ავიძბას, მიუხედავად იმისა, რომ ლერწამივით ირყევა ომსა და მშვიდობას შორის; ხელი არ მოუწერია ჩემს უფროს ვაჟიშვილებს ანატოლ და დაურ ავიძბებს, არც მათ მეუღლეებს — ქეთი ანჩაბაძე-ავიძბას და ციურ აბაშია-ავიძბას. გამოდის რომ რვასულიანი ჩვენი ოჯახიდან მხოლოდ ერთი ხელმოწერაა ნამდვილი, დანარჩენი შვიდი — ყალბი“.

ვერა მარშანიას ბუნებრივი კილო იცვლება სამიტინგო ენით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ექსტრემისტი შვილი მხილებულია და როდესაც ქართულ-აფხაზური დაჯახების შემდეგ ეს უკანასკნელი დაჭრილია, უბედური დედა ყველაფერს გადაივიწყებს. მუხლებაკანკალებული მოეშურება საავადმყოფოსკენ. ნაბიჯს წადგამს პირმშოსაკენ და ამ დროს:

„ — ჩემი აღსასრულის სანახავად მოხვედი, ხომ?! შპიონი! შპიონი! აჰა, დასტკბი, არ მინდა შენი დაყვედურებული სისხლი, — აყვირდა უცებ და გაფითრებული მარჯვენით წვეთოვანი მოიგლიჯა. მკერდზე შემოჭერილ სახვევს ებრდღვნა, — დასტკბი, ხომ გამოვუშვი-

გაოგნებულ ვერა მარშანხეს ლოყაზე ტკაპანით ეცა სისხლის წვეთი, ტყვიასავით ცხელი და მწველი...

კართან შექუჩდნენ... ვერა მარშანიასთვის არავის ეცალა. წელში გაიმართა უცებ. შავი ლეჩაქი მოსძვრომოდა ინსტინქტურად. სპეტაკი თმა ჩამოშლოდა სახეზე. სისხლის წვეთს ლოყა ყბამდე გაეხაზა „კატაკალას“ უარყოფითი პერსონაჟის მსგავსად. მანდილი მისრიალებდა მტვრიან იატაკზე და უსუსურ კვალს სტოვებდა. დასავლეთის წითელი, გარუმბული მზე ალვის ხეთა კენწეროების შუბებზე წამოგებულიყო. ვერა მარშანხეს სხეულს ჯერაც შერჩენოდა უკანასკნელი ამბოხისთვის სამყოფი ძალა, მოხედა ერთი საკუთარი წიაღის მკვახე ნაყოფს და აუმღვრევლად გადაეშვა ფანჯრიდან.

— მშვიდობით, მორდუ! — ამის თქმაღა მოასწრო უბედურმა დედამ და ასფალტზე შურდულივით დაენარცხა“.

ყველაფერი ნაწარმოების ბოლო აკორდებისკენ ისწრაფვის: როკი ოდიშელიას სულიერი ფორმირება, აფხაზურ-ქართული კონფლიქტის პირველი შხეფები... ნაწარმოებიდანვე ვიგებთ, რომ ოდიშელიას, ,,ლიმონკებით'' ჯიბეგამოტენილს დაუტირია მორდუ, მაგრამ მთავარზე მთავარი ის გახლავთ, რომ დარღვეულია ქართული სულიერების ოდინდელი წონასწორობა, და აქედანვე ილანდება უფრო საშინელი სინამდვილე, რომელიც ტრიადის მესამე წიგნისთვის გადანახულა ჩვენი ვარაუდით.

,,როკი'', ადრე თქმულისამებრ, სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების საქართველოს ვრცელი სოციალური ტილოა, აქვე თხზულება ფართო სპექტრით წარმოაჩენს სამშობლოს, როგორც პრეისტორიულ, ისე — ახლო წარსულის რამდენადმე ცნობილ თუ მივიწყებულ სურათებს, და რაც მთავარია, ჯოისისა არ იყოს, ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკაველ-მტკაველ აცოცხლებს საუკუნოვანი ზუგდიდის სამ თაობას გარეგან-შინაგანი შტრიხებით.

გური ოტობაიას ახალი რომანი ,,როკი'', რომელიც ამ დღეებში მიიღეს მკითხველებმა, დიდი შენაძენია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისათვის; დავსძენთ იმასაც, რომ თვალშისაცემია წიგნის პოლიგრაფიული დონე.

იმედია, გური ოტობაიას რომანს კვლავაც გამოეხმაურება ქარ-

თული კრიტიკული აზროვნება. ჩვენ კი საუბარს ვასრულებთ ფრაგმენტით ავტორისეული წინასიტყვაობიდან:

„ჩემი თავდაპირველი მიზანი ნაწარმოების არქიტექტონიკურად შეკვრაა რათა. წლების მანძილზე დაგროვილი დიდძალი მასალა „ჩორნაია პანტერაზე“, ორგანულად შევაჯერო ცოდვა-მადლს შორის მოქცეული ოდიშელიას წინააღმდეგობრივ ხასიათთან.

პანტერაში ბუნებრივად მოცემული სიკეთის საწყისებს ფაქტობრივად ვერ გამოიყენებს სამშობლო, ეს ხომ წყალში გადაყრილ ჯილდოს ჰგავს, ენერგიის უაზრო გაფლანგვას?!

უბედურებაა, როდესაც ქვეყანა გენიოს შვილებს უმიზნოდ ჰკარგავს, განუკითხავად იშრიტება წესით მისი აღზევებისთვის შობილი გენოფონდი, მაგრამ ტრაგედიაა მთლად, თუკი პოტენციაში „კარგი ყმის“ ძე ცდომილად გადაქცევის ჰუმუსი სიტყვიერებამაც ვერ დააფიქსრია და შთამომავლობისათვის ზარები არ დაარისხა მის ამოსაშანთად...“

16.10.98 წ.

საგა როკი ოდიშელიაზე... უფრო მეტი საგის შემქმნელზე და სხვათა შესახებ

გური ოტობაიას ,,სიცოცხლემისჯილი‘‘* სერიოზულ განაცხადად წარმოგვიდგა თავის დროზე. რომანი ნამდვილად ყურადღების ღირსია, აქტუალურიც და მწერლური ენერგიაც იგრძნობა. თემატიკაც მიმზიდველია, მითიური საწყისების გათანამედროვეობაც წარმატებით განხორციელებული. თუმცა ამჯერად მწერლის მომდევნო რომანზე ვისაუბრებთ, რომელიც გაცილებით უფრო ვრცელია, ვრცელზე ვრცელიც კი. რომანს ,,როკი‘‘ ჰქვია, მთავარი გმირის სახელს ატარებს. მთავარი გმირი რეალური პიროვნებაა, გამორჩეული ბედისა და უნარ-თვისებების მქონე. როკი ოდიშელიაზე რომანი რომც არ დაწერილიყო, ზეპირი გადმოცემები მაინც უკვდავყოფდნენ მის უჩვეულო პიროვნებას.

რომანის მთავარი ღერძის დადგენა ძალიან გაჭირდება, მაგრამ ჩემეული თვალთახედვით ასე ჩამოვაყალიებებ: უბრალო ზუგდიდური

ოჯახის მკვირცხლი ბიჭუნა ბოშათა ბანაკის ხშირი სტუმარია, ლამის თავისიანი. ბოშების მწვანეთვალება პატარა დედოფალი როკის გულის დედოფალი ხდება... ეს გრძნობა თავიდანვე განწირულია. რუხის ციხესთან დააშორიშორეს შეყვარებულები და ამიერიდან სათავე დაედო ბიჭის წოწიალს ცხოვრების რთულ გზებზე. როკი ოდიშელია ყველაზე ავტორიტეტული პირი ხდება შავ სამყაროში. „ჩორნაია პანტერად" სახელდებული იმდენ საარაკო საქციელს ჩაიდენს, იმდენ დაბრკოლებათა რკალს გაივლის, რომ საყოველთაო აღტაცების, მოშურნეობის, მიბაძვის, განსჯის საგანი ხდება. რომანის ყველაზე შთამბეჭდავი ფურცლები ციხეებში გატარებულ წლებს ეხება, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს ამა თუ იმ ინდივიდის ნამდვილი სახე. საზარელი საბჭოური ჯოჯოხეთის აღწერა კარგად მოახერხა გური ოტობაიამ, თუმც ეს თავისი თვალით არასოდეს უხილავს.

„როკის" მთავარი პერსონაჟი მრავალი საყურადღებო ამბის გმირია, ან ბიძგის მიმცემი და განმრიგებელ-მომგვარებელი. უშიშარია, მოქნილი, აღნაგი, ქალების ნებიერი და ახალგარზდების კერპი. მრავალი უჩვეულო პიროვნებების მნახველი ზუგდიდის ერთ-ერთი კოლორიტული სახე.

როკი ოდიშელია ყოველთვის ინარჩუნებს გამტანობას და გამჭრიახობას, რომელიც ბაბუისა და მამისაგან შეუთვისებია. რომანში დამაჯერებელადაა მოთხრობილი გმირის თვალთახედვაში წლების შემდგომ მომხდარი ცვლილებები, ის მიზეზები, რამაც კორექტივები გამოიწვია. არის ასევე ეროვნულ პრობლემებზე მოულოდნელი გადართვა და ამ გადართვით გამოწვეული სიხარულიც და სიამაყეც. თანაც ეს პროცესი თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება და საერთო აღიარებით სრულდება. ღალიძგასთან როკი ხალხის რჩეული ხდება. მაშინ ის უკვე სცილდება „კერძოობით რკალს" და სახალხო მნიშვნელობას იძენს. ამ რთული პროცესის უფრო ღრმა გააზრება და მიზეზ-შედეგობრივი მხარე ჩვენი სოციალური ყოფის ყველაზე დიდი ამოცანაა, რომელსაც აუცილებლად მივყავართ ფასეულობათა გადაფასებისაკენ.

ასეთია ზოგადი სქემა, მაგრამ არის უთვალავი თანამდევი ეპიზოდიც, ჩართვაც, რიტორიკაც, აუცილებლად მისათითებელი გაჭიანურებანიც. პრეტენზიები ავტორის მიმართ მრავალია, თვითონ რომანია ძალიან ვრცელი და შეცდომა-გაზვიადებანიც მოსალოდნელი იყო.

უპირველესი, რაც ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ, მისივე ფუჭი თავგამოდებაა, რომელიც ასეა გადმოცემული: „აქვე ჩემი მწერლური შესაძლებლობანიც მინდოდა მენახვებინა თხზულების გმირის პროტოტიპისათვის, რომელმაც ზედიზედ ოთხ კარცერს აჯობა ფეხზემდგომე-

ლამ ოცგრადუსიან ყიამეთში, ერთი დღე ოთხასი გრამი პურით დანაყრებულმა და მეორე — მშიერმა, აყმუვლებული კუჭით ჰაერში აცურებულმა. მე, როკი ოდიშელიას შემოქმედი, ჩვეული ასკეტიზმით ვუმტკიცებდი, ,,ჩორნაია პანტერას", რომ ზეამტანობა ყველგან შეიძლება, საკანშია ეს თუ ბელეტრისტიკაში, სიტყვაში ჭიდილში". უნდა ითქვას, რომ გური ოტობაიამ ეს დანაქადი საქმედ აქცია და შედეგად მივიღეთ ორმოცდაათთაბახიანი რომანი. როკის პროტოტიპმა ალბათ უკვე ირწმუნა ავტორის ასკეტიზმიც და არაჩვეულებრივი ზეამტანობაც, მაგრა მკითხველზეც ხომ უნდა ეფიქრათ? მკითხველიც რომ განზე დავტოვოთ, რაოდენობას ხარისხი რატომ უნდა შესწირვოდა?

გური ოტობაია რომანში ხშირად ჩართავს ასოციაციურად ასე თუ ისე გამართლებულ, მაგრამ სტილისტურად აშკარად დამამძიმებელ ამბებს. არც თავისი პირველი რომანის ,,სიცოცხლემისჯილის" გმირებს ივიწყებს, მათზეც ვრცლად მსჯელობს. თითქმის ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდში თვითონვეა წამყვანი ფიგურა. საბოლოოდ კი რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ავიწროებს და ახრჩობს მთავარ გმირად დასახულ პერსონაჟს.

ერთ-ერთი მაგალითი ავტორის ამგვარი ჩარევისა მატარებლის ეპიზოდია. ციხიდან გამოსულ როკის, რომელსაც წლობით ქალი არ უნახავს, მეგობრები დაამგზავრებენ მშვენიერ ქალიშვილს. კუპეში კი გაშიშვლებული ქალი და როკი ოდიშელია, არც მეტი და არც ნაკლები, კობო აბეს რომანს არჩევენ. ბუნებრივია, ასეთი საუბრისთვის არცერთს არ ეცლებოდა და არც ქალი ჩაიხუტებდა მრავალგზის (როგორც ირკვევა) გადაკითხულ რომანს. არადა, ,,როკიში" სწორედ ასეა გადმოცემული და თანაც მშვენიერი, ლიტერატურულად და პროფესიულად მისაღები დასკვნაც არის გამოტანილი: ,,რომანი ჰქვია და მოთხრობას ჰგავს. — რატომ, განა მოცულობაშია საქმე?!" მოცულობაში მარტო რომ არ არის საქმე, ამას კობო აბეს ,,ქალი ქვიშაშიც" აცნაურებს და გური ოტობაიას ,,როკიც".

არის ასევე ვრცელი თხრობა გიორგი კაპადოკიელზე. მოყოლილია ქალაქ ლასიაზე, კერპთმსახურ სელინოსზე, გველეშაპზეც და მეფის ასულზე. თხრობა მოგვიანებით კვლავ გრძელდება, სანამ გური ოტობაია არ იტყვის ამას, რაც სინამდვილეში აწუხებს და, საერთოდაც, რისთვისაც გაისარჯა და მოგვაცდინა: ,,კაპადოკიელო, ძმობილო, უფალმა შენ იქ განგიმზადა პირველი გმირობის ასპარეზი. რამდენადაც მახსოვს დეოკლეტიანე მეფემ დაითხოვა ჯარი და შენც ლაზეთიდან (!) გადახვეწილი მშობლებისაკენ მიეშურებოდი".

როკი და კაპადოკიელი თანაბარ ტანჯულებად არის მიჩნეული. რო-

კი ოდიშელია რომ ინტელექტუალი იყოს, მაშინ ეს პომპეზური შედარება ცოტათი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ავტორის მთავარი შეცდომა ისაა, რომ საკუთარ აზრებს და განცდებს ახვევს თავს სრულიად სხვა წრის, სხვა განათლების, სხვა კასტის ინტერესების განმასახიერებელ ადამიანს. სწორედ ამიტომ არის დამაჯერებლობას მოკლებული ეს ხელოვნური განცდები, ეს წიგნიერი ფრაზები, ეს მოუზომავი სიტყვაუხვობანი, ეს ზღვარგადასული ნოველური ჩართვები და ა.შ.

კაპადოკიელის ეპიზოდზე უვრცესი და კურიოზულია სასტუმრო „საქართველოში“ შემდგარი სუფრა, ამ სუფრაზე გამართული საუბარი და იარაღის ტრიალი. სათავე და საწყისი ამ მოვლენას ათი წლის წინათ დაედო, როცა როკი ოდიშელია საკანში პირს ათი ნომერი ძაფით ამოიკერავს და ფეხებს იატაკზე დაილურსმავს. მისი თანასაკნელები მერაბ მამარდაშვილი, ვლადიმერ ჩუბინიძე, მამა იონა და ჯემალ გეგეჭკორი არიან. ისინი ვერ ამჩნევენ როკის ჯვარზე გაკვრის ტოლფას მცდელობას, ვერც მოახლოვებულ საშიშროებას და სალონურ საუბარს მართავენ. სრულიად ჩამოაბულბულებენ იოანე-ზოსიმეს „ქებაის“ მრავალტანჯულ ტექსტსაც და სხვადასხვა შეხედულებათა დასასაბუთებლად საუკუნის ყველაზე მოსაწყენ „ლექციებს“ ატარებენ.

გური ოტობაიას უნდოდა ჩვენი ინტელიგენციის დაქსაქსულობა ეჩვენებინა და ამათ ფონზე საქმის კაცად რიგითი ქართველი ტუსაღიც დაესახა, თუმც იქვე საკმაოდ უპრეცედენტო საქციელს აღწერდა. ეს დიალოგი აქ რომ დასრულებულიყო, მომავალში არცთუ სახარბიელო მსჯელობანიც არ დაგვჭირდებოდა... მაგრამ ათი წლის შემდეგ როკი ოდიშელიას გაახსენდა თავისი თანასაკნელები, მათი საუბარი და რადგანაც მაშინ მოსასმენად არ ეცალა, გადაწყვიტა ისევ შეეკრიბა ეს საზოგადოება, ისევ მოესმინა მათთვის და დარწმუნებულიყო, საკანში მოსასმენად ღირებული სამშვიდობოზეც შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა. გაიმართა ტრადიციული სუფრა. მამარდაშვილს მოწაფე წარმოადგენდა, დანარჩენებიც მოვიდნენ და ვლადიმირ ჩუბინიძეც ჭეშმარიტებაზე პრეტენზიებს კვლავ განაცხადებს. სხვებიც თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ და სასოწარკვეთილ მანდილოსნებს ატკბობენ ლაოძის, გივი ალაზნისპირელის, შალვა კაჭარავასა და თავიანთი იდეებით. კვეკვე ანთარიაც იქვეა (იგივე ავტორი) და ისიც ვრცლად და ურეგლამენტოდ იჭრება საუბარში.

თუ გსურთ აბსურდის, ცრუმეცნიერული შეხედულებების კოქტეილის ნამდვილი გემო შეიგრძნოთ — ინებეთ: „რა არის იესო?! იეს ინგლისურში, როგორც თანამედროვეში, ისე ძველში თანხმობის, დასტურის მაჩვენებელია. ასევეა რუსული იესტ, გერმანული ისტ, ესენი

ვარიაციებია ყველგან, დიახ, კი, ჰოს მნიშვნელობით. მაგრამ რა უნდა იყოს- ო ?! ჰოდა, ბატონებო, აქ არის სწორედ მოხსნილი ის დილემა, რომელიც ხელს უშლიდა ადამიანს აღექვა და გაეგო ის, თუ როგორ შეიძლება ერთი რომელიმე არსება, თუნდაც ყოველისშემძლე ღმერთიც კი ფლობდეს აბსოლუტურ, ან ყოვლისმომცველ ცოდნას, იგივე აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ვატყობ, ვერ ვლაპარაკობ მთლად გარკვევით, მაგრამ წიგნით გადმოსაცემი ამბის რამდენიმე წინადადებაში ჩატევა იოლია?!"

ვლადიმირ ჩუბინიძემ მართლაც წიგნად გამოსცა თავისი „ჭეშმარიტება", მაგრამ გური ოტობაიას შეეძლო საწიგნე ამბავი სასაბუროდ რომანში არც ჩაერთო, ან რეზიუმე მაინც შემოეთავაზებინა. ის კი 761-ე გვერდიდან 810-ე გვერდამდე მსგავსი აზრებით „გვხიბლავს". იქვე გათამაშდა საკმაოდ უხერხული სცენაც ბავშვის ჩართვითა და შესაძლო სამიზნედ ქცევით.

კვეკვე ანთარია თვითონ გური ოტობაიაა, რომელიც რომანის აქტიური მოქმედი პერსონაჟია. ზუგდიდის რაიკომის მდივნისათვის კარის აჭედვაში თითსაც დაიზიანებს და ამ ათვალწუნებულ ფუნქციონერს ნამდვილ ომს გამოუცხადებს. სამაგიეროდ, სხვა კომუნისტი ფუნქციონერი, სპილოდ სახელდებული, გაუნელებელი აღტაცების საგანია რატომღაც. თვისობრივად ერთიც და მეორეც მსგავსნი არიან, მაგრამ პირადი სიმპათიებიც მიეტევება... ამიტომაც არც იმ ეპიზოდს გავიხსენებთ, ძაღლების რეგიონალურ დათვალირებას რომ ეხება.

ერთადერთი, რაშიც გური ოტობაია ზღვარს არ გასცდენია და ზომიერად და მოსაწონი გამოუვიდა — ესაა როკი ოდიშელიასა და ბოშა გოგონას სასიყვარულო თავგადასავალი. ეს მართლაც მშვენიერი თავგადასავალია, ხანგრძლივ მიმდინარე, ჟამიდანჟამ ანაკვერცხლებული და რომანტიკული. ასეთი წმინდა და წარმტაცი გრძნობა ნებისმიერ გმირს გააკეთილშობილებს და სევდით ააავსებს გარდასულის ვერდაბრუნების გამო.

ერთობ მრავლადაა ეპიზოდები ქალაქის გიჟების მონაწილეობით. მათი ასე დაწვრილებით ჩვენება ბევრს არაფერს მატებს ნაწარმოებს. ქალაქის სულის, მისი მისწრაფებების, ცოდვა-ბრალიანი ყოფის უფრო სრულყოფილი ასახვაც შეიძლებოდა. თუმც თხრობა ერთობ გადატვირთულია ნაცნობი თუ უცნობი სახელებით, სახეების და ხასიათები არ გამოკვეთილა. ზუგდიდი მარტო მოქეიფე ჩიქვანების, მოქილიკე თოდუებისა და ჭლექიანი, გააფერისტებული პოეტის ქალაქი როდია; არც მარტო შავი სამყაროს ოაზისი. ზუგდიდს თავი მოსწონს თავისი სწავლულებით, განმანათლებლური ტრადიციებით, დიდი ისტორიით და ამ ის-

ტორიის დაბრუნების შესაძლებლობით. ნავთისა და ბენზინის ბიდონით შემკული გზაჯვარედინები, საღორედქცეული ფუნიკულიორი და უპატრონო საძმო საფლავები დღევანდელი ზუგდიდის ულმობელი სინამდვილეა. ოთოს, ჯოკოს და ჭოღოს ადგილობრივი პოლიტიკოსები შეენაცვლნენ. დღეს ზუგდიდელებს მათ გაუთავებელ ინტრიგებზე, დატაცებულ სესხებზე და ფშუტე თავმომწონეობაზე ეცინებათ.

ერთ-ერთი ასევე გაჭიანურებული თხრობის საგანია დაზი ჩიქოვანის ჭადრაკის კლუბი. ერთი ეპიზოდი „დიდვეზირის“ ხოტბითაა გაჯერებული. დაწვრილებით არის გადმოცემული საუბრები სხვადასხვა თემაზე. მათ არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭებათ მთავარი სათქმელის, არსის განსაზღვრაში და ამდენად ღირებულსაც არაფერს შეიცავენ. გური ოტობაია სიტყვაუხვია ასეთი მსჯელობების გადმოცემისას, ძალიან ცდილობს მკითხველიც ჩაითრიოს და დაინტერესოს. მკითხველი კი მხოლოდ იღლება, რადგან კვლავ და კვლავ უწევს ერთი ადამიანის აზრების, იდეების, ნაფიქრის ვითომც დიალოგური ფორმით წაკითხვა. ავტორი ყველგან და ყველაფერში მკვეთრად დომინირებს; განუწყვეტლით მოქმედებს, აფასებს, ართულებს...

რომანი ასევე შეიცავს ხალხისა და მისი წინამძღოლობის პრობლემას. თუ რისთვის გახდა შიდა სამყაროს დიდი თუ მცირე ავტორიტეტების გაპოლიტიკოსება საჭირო და აუცილებელი — აი, ამაზე არაფერია ნათქვამი. კრეზთან გატოლების სურვილი მავანს ხან გააპრეზიდენტებს, ხან გაადიდვეზირებს, ხან გააჟანდარმთუხუცესებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ შეუცვლელობას და აუცილებლად ქვეყნის წინამძღოლად დასახვას. დაზი ჩიქოვანის ჭადრაკის კლუბის ეპიზოდი შესაკვეცია, თუ საერთოდ ამოსაღები არა.

მრავლადაა საჩოთირო ფრაზები, წინადადებები, ეპიზოდები. საჩოთიროა ზოგის აზრი, ზოგის კატეგორიულობა, ზოგის აშკარა ფსევდომეცნიერული პომპეზურობა. სასურველია ავტორის ქართულის გასადავება, თორემ ზერთული წინადადებანი მთელ გვერდს მოიცავენ. ჩვენი ყურადღება ასეთმა ფრაზამაც მიიქცია, კვეკვე ანთარიას მეუღლეზე ნათქვამმა: „ღმერთივით შეერაცხა თანამეცხედრე და მისი შემოქმედებითი გარემოსთვის თავზე წისქვილის ბორბალს იტრიალებდა“. „თავმდაბალ“ კვეკვეს იქნება მართლაც ეკუთვნოდეს ღმერთად შერაცხვა, მაგრამ ერთობ საჩოთირო და ზედმეტი თქმაა. თანაც „ღმერთივით შეერაცხა“ კი არა „ღმერთად შეერაცხა“.

ვულგარული ფორმებიც გასასწორებელია: სჭერიყო, ჰქონიყო, მოსწოლიყო და მისთანანი.

„როკი“ ის რომანია, რომელიც ძალიან დიდ რედაქციულ ჩარევას

საჭიროებს. აუცილებლად უნდა განიტვირთოს, შემოკლდეს და არსებულის ნახევარი მაინც დარჩეს. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს რომანი როკი ოდიშელიას ეძღვნება და მთავარი ხერხემალიც უნდა აღდგეს. თუ გური ოტობაიას სურს საინტერესო სათავგადასავლო რომანი შექმნას, სწორედ ასე უნდა მოიქცეს. პირველი გამოცემის ნახევარფაბრიკატულობა და მიშლილ-მოშლილობა მაშინ არავის მოაგონდება. არც იმის გამოკიდებაა აუცილებელი, ვინ უფრო ძველი კულტურის მატარებელია და ვინ „გუშინდელი ღლაპი". მეცნიერულსა და ფსევდომეცნიერულ ჰიპოთეზებს, საეჭვო ეტიმოლოგიურ ძიებებს უფრო სხვა ხასიათის შრომები შეეფერება და იგი მხატვრული ლიტერატურისაგან მკვეთრად იმიჯნება.

„როკი" აშკარად ნიჭიერი კაცის დაწერილია, რომელსაც აკლია მისი უდიდებულესობა — ზომიერება.

ეკა ცადაძე
„ჩვენი მწერლობა", სალიტერატურო
ჩანართი №16(42) გაზეთისა „ახალი ეპოქა,"
20-27 აპრილი, 2001 წ.

ყუფუნხეს „საგა როკი ოდიშელიაზე" ო — მეგას (OMEGA — O-დიდი) სმოგში

წინათქმა

ამ ბოლო სამკვირეულის მანძილზე ერთიორად დავაფასე დედაქალაქის ფარღალალა აივნები; განსაკუთრებით „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის სოლოლაკური ნიავით გაჯერებული მოაჯირები ჩამეხისტა გულში, როგორც უბრალოებისა და სამშობლოს ტკბილ-მწარე ხვედრით მცხოვრები ბელეტრისტების საბუდარი.

ლუდს შეექცევიან ბიჭები.

წერილის კორექტურა ვერ მომისწრია, მაგრამ არაფერიაო, დამანუგეშებენ.

ზოგი ჭაჭის არაყსაც ჩამოირაკრაკებს წელგამოყვანილ ჭიქაში მესამედზე.

გაზეთის ნაგლეჯზე ყრია გარჩეული ტარანი, რუხი პურის ყუები და ნივრის კბილები.

ხორხოცებენ ჩემი ლაშა გახარია,ერეკლე საღლიანი, უჩა შერაზადაშვილი, სხვანი და სხვანი.

დიახაც მაშინ დავასკვნი, აღარაფერი მესაქმება მელიქიშვილზე მდებარე ორსართულიან წეკოსფერ ოფისთან, რომლის ვესტიბიულს ვეღარაფრით გავცდენილვარ სამი კვირის მანძილზე.

ნომენკლატურული სამსახურების საშვთა ბიურო ჭირივით მეჯავრებოდა აქამდისაც. რედაქტორთან გასაუბრება მეწადა, მაგრამ ნურას უკაცრავად, პარასკევს მოაკითხეო, დღის მეორე ნახევარს, მირჩევდნენ თვინიერი ღიმილით.

მარმარილოში ამოვლებული თუთუნისფერი კედლების ვრცელობისკენ გამირბის თვალი, თუმცა ვინაა იქ ჩემი მეოხი?

თავად გამოუხმეს ჯინს. სამი წლის მივიწყებულ რომანზე გამომეხმაურებიან და სახელდახელოდ გამზადებული წერილის პასუხს ვუცდი.

ამათ სხვანაირი წესი ჰქონიათ, დაცვის არტახებით მოჭიმული, მკაცრად განსაზღვრული ქრონომეტრაჟით შებოჭილი.

მომბეზრდება მერმე ეს რევერანსები, ეს ფუმფულა სავარძლები და ჩეროში გამხმარი თუთუნისფერი შენობა. ელსმენით შევეხმიანები ვინმე ლიტმუშაკს.

—ალბათ, კილოზე შემატყვეთ ჩემი დამოკიდებულება თქვენი წერილისადმიო, — მაჯახებს შეუმზადებლად.

— ბრაძნეთ-მეთქი, გავუყუჩდები მანდილოსანს.

— ამგვარი სტილის წერილებისაგან თავს ვიკავებთო, —გადამიწურავს იმედს.

— კი, მაგრამ ბატონმა როსტომმა თუ ნახა-მეთქი.

— რა საჭიროა, ვიცით მისი გემოვნებაო, — თან იქვე დასძენს, — წერილი თუ გჭირდებათ, დაცვის ბიჭებს დავუტოვებო.

არ გამძნელებია თანათაობელი რედაქტორის ფიჭური ტელეფონის ნომრის გაგება.

უშურველად მივულოცავ პოლიგრაფიის ბოლო სიტყვით გამორჩეული პერიოდიკათა მესვეურობა, ამასთან ჩემს საზრუნავსაც შევაპარებ თვინიერად, ჯერ კიდევ მეგობრის გასვენებიდან ,, ათი ზედირსეული ქართველის'' ინტერვიუზე რომ შევითანხმებ და ბოლოს — ჩემი წერილის გაუკრვეველ მერმისსაც.

—გური, არ გვინდა გამოხმაურებაო, — დამიამდება, — რა საჭიროა შეხლა-შემოხლა, მითუმეტეს, როცა ავტორი კეთილგანწყობილებითაა შენს მიმართო.

დამითანხმა თითქოს, მაგრამ გამახსენდება წლების წინ, სატელევიზიო პროგრამა ,,ალიონის'' ლიტერატურულ მიმომხილველს მოკრძა-

ლებით რომ ვაახლებ ჩემს თხზულებას, იგი კი თვეების მანძილზე შუკაორღობე კენჭსაც კი არ დატოვებს წარმოუჩენელს, ჩემი რომანის იგნორირების ხარჯზე და შვებით ამოვისუნთქავ.

რაც მთავარია, ეტიკეტი დაცულია. თავიდან შევხმიანებივარ იქ, სადაც წყალი ამღვრეულა. აღარ მიგვიღეს სტუმრებად?! კეთილი და პატიოსანი! სოლოლაკისას მოჭრაჭუნე, მკერდმოღელილ აივანს ვინ წამართმევს რომელი?!

იგივე სურათი ინაკვთება პოეტებთანაც: გალაკტიონის, ტიციანის, ლეონიძის, ასათიანისა და ტარიელ ჭანტურიას ფონზე უკუგდებულია ანა კალანდაძის თუ მურმან ლებანიძის თვალშეუდგამი პოეზია.

რა გარანტია მაქვს უარესი კურიოზი არ შემემთხვევა ათი ზეღირსეული ქართველის გარკვევისას? ახლა იმდაგვარად შეყირამალებულა ამერიკული „მშვიდობის ჩიბუხით“ დაბანგული ზოგის გონება, რომ გამორიცხული არ არის, ვთქვათ, სიტყვისთვის და, ილიას მაგივრად იმ სიაში ბერბიჭაშვილი აღმოჩნდეს.

და რადგანაც საგნებს და მოვლენებს თავთავიანთი სახელი დარქმევია უკვე, ჩემთვის, ჩემი რაობისათვის, ამ გამოუსწორებელი მედიატორისათვის შინ თუ გარეთ, ლეთარგიული ძილისგან გამოღწეულივით ვიშლები მხრებში, ცამდე მართალი ღმერთისა და საკუთარი თავის წინაშე — ჯინს ხომ სხვებმა გამოუხმეს?

მიტირე?
მადლი გიქნია...

ორშაბათია.

რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტის მისაღებში პრესას ვათვალიერებ.

ბატონი გურამ ბენაშვილი იგვიანებს.

გამოკრთებიან ჩვენი სიტყვიერების მკვლევართა ნაცნობი სახეები.

მოულოდნელად იშვიათი აღნაგობის ყირმიზი ქალბატონი მიახლოვდება, (ეს უკვე მეორედ წელიწადში), და მეტყვის:

— თქვენ გური ოტობაია ბრძანდებით?

დავუდასტურებ.

ირკვევა, რომ ჩემი თანაკურსელის მეუღლეა. სამი ბოკვერის დედა. ფოლკლორისტია, მეოცე საუკუნის ქართული პროზის დასტაქარად გამეცნობა. ჩემი ბოლო რომანით დაინტერესებულა. ვეღარსად მოუხელთებია. კვლავ საერთო მეგობრისაგან უთხოვია და თვინიერად შედგომია კალისტიკის აღმართებს.

აღვუთქვამ საჩუქრად, მაგრამ ტირაჟის ნაწილი სტამბაშია დატყვევებული დავალიანების გამო, არც შინ აღმომაჩნდება და სიტყვას ვერ ვუსრულებ.

მერე მიედევნება დღეები დღეებს და აი, ფაქტის წინაშე ვდგავარ: გაზეთ „ახალი ეპოქის“ სალიტერატურო ჩანართის, „ჩვენი მწერლობის“ (№ 16-42), 20-27აპრილი, 2001წ.), ფურცლებიდან ვრცელი სტატიით მეხმიანება.

მადლობთ, დაო, აღაზავ! მადლობთ ქალბატონო, ეკა ყუფუნიაცხადაძისა! მიტირე? მადლი გიქნია, ვინაიდან დღევანდელ საქართველოში მწერლის მანტიის ტარება ზვიადაურსავით ყელში დანაგაჩრილი ყოფნაა.

არაკი, ბეწვის მძებნელ, თვალში დირეგახირულთათვის

სტილისტურ ლაფსუსებს როცა მედავებიან 900 გვერდიან რომანში: „სჭერიყო,“ „ჰქონიყო,“ „მოსწოლიყო“ და მისთ. უმართებულობაა, განა ვინმეზე ნაკლებად ვუწყი ამ ფონემათა პარალელური ფორმებისა: „სჭეროდა“ „ჰქონოდა“, „მოსწოლოდა“ მაგრამ იქნებ ასე ესალბუნა გულს მაშინ? იქნებ ასე მოითხოვა სტილისტურმა აუცილებლობამ? ესეც რომ არა, „მისი უდიდებულესობა — ზომიერება“ წაგვრილი ავტორის თვალში ბეწვის მაძებარს, საგაზეთო წერილში არ უნდა გაგეპაროს:

„გაცილებით უფრო ვრცელია.“ აქ „უფრო“ სრულებით ზედმეტია. „გაცილებით“ მოიცავს მას.

„მრავალი უჩვეულო პიროვნებების.“ დამეთანხმებით შედარებით მართებულია „მრავალი უჩვეულო პიროვნების.“

„ფასეულობათა გადაფასება.“ წმინდა წყლის ტავტოლოგიაა.

„სიტყვაში ჭიდილში.“ რომანის ციტატის დამახინჯებაა. პატივი უნდა მიეგოს ავტორს, თუნდაც მოსაწყენი იყოს იგი. ჩვენთან „სიტყვასთან ჭიდილში“-ა;

„გაისარჯა.“ კოლხიზმია. სალიტერატურო ქართულითაა გაირჯა;

„შეცდომა ისაა.“ ცხადია, სჯობია რუსიციზმს — „შეცდომა იმაში მდგომარეობს,“ მაგრამ უფრო მართებულია „ შეცდომა ის არის;“

„როგორც თანამედროვეში, ისე ძველში.“ გამართულია „როგორც თანამედროვესა, ისე ძველში;“

„ღირებულება.“ რამდენიმეგზის მეორდება „ საგაში.“ სწორია „ფასეულობა.“ ღირებულება ეკონომიკური კატეგორიაა.

„თვისობრივად“, ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით ეს სიტყვა იკითხება „თვისებრივად,“ რადგანაც იგი მომდინარეობს თვისებიდან;

არ გამოვედევნები პუბლიკაციაში „ხოთოს“, „ჯოჯოს“ საკუთარი სახელების დამახინჯებებს „ოთოდ“, ჯოკოდ“ და ასე შემდეგ:

გამორიცხული არ არის ეს ყველაფერი დედანში სრულყოფილად იყოს, და საქმეში ნაკლებად ჩახედულ რედაქციას დაუსხლტა თითებიდან, მაგრამ თავად ავტორი ხომ უნდა მიდევნებოდა ბოლომდე თავის ნაშრომს კორექტურის თვალსაზრისით?!

მერე უმთავრესზე უმთავრესი.

ამ წერილის ყველაზე ინფანტილურ სენტენციად მატარებლის სცენისა და კობო აბეს ინტერპრეტაცია მიმაჩნია.

აქ რამდენადმე დავკონკრეტდები.

კობო აბეზე ქალ-ვაჟს შორის საუბარი კუპეში დაახლოებით 1-2 წუთს გრძელდება ქრონომეტრაჟით, მაგრამ საქმე ის არის, რომ გასათვალისწინებელია გარემო.

ქალი წამოყვანილია როკის „საჩუქრად“, ტალკანად.

სვეტლანას სამისოდ ნამდვილად გააჩნია საბაბი: ღვიძლი ძმა მოხვედრილა საპატიმროში და გარედან ძლიერი ხელის ჩაურევლად, დაღუპულია მისი საქმე, ე.ი. თავს სწირავს მის გამოსახსნელად, თუმცა აქამდე უმწიკვლოდ უტარებია ბეჭედი სიწმინდისა.

როკი დიდი ხანია პატიმრობაში იმყოფება, თუმცა ნამარხულევი მასზე სრულებით არ ითქმის, აქაც უხვად იძებნებიან პუტანკები და გრებენები.

საუბრის გაბმაა საჭირო. მითუმეტეს მოხალვათებულ, ტანსაცმელგამოცვლილ ქალს ჟურნალი „ნოვი მირი“ აუღია ხელში და ასეთნაირად შეიარაღებულია ძმისთვის მსხვერპლად მიტანილი ქალწულობის გასახანგრძლივებლად.

შამპანურს და წასახემსებელს ელიან.

როგორ მოიქცეს ახლა ჩემი გმირი, ველურივით ებრდღვნას ქალიშვილს, როცა წინ 3000-კილომეტრიანი გზა უდევთ და ეს ფერია უკანასკნელ ბაქნამდე მისი საკუთრებაა?! ყველა ინდივიდუალური გამოცდილებით აზროვნებს, მაგრამ მე მწერალი ვარ და ფსიქოლოგიურ უზუსტობებს ვეღარ ვეთანაწყობი.

რა ქნას? დაიმიციროს თავი, როცა ამის საჭიროება მოხსნილია? ჩვენ გვახსენდება ბოშა ასულთან როკის დამოკიდებულება: როგორც იქნა, გვერდიგვერდ წვანან ისინი, მაგრამ თითსაც არ დააკარგებს საოცნებო ადამიანს, რამეთუ სატრფოა. ასე იქცევა დათა თუთაშხია ნანოს მისამართით. სექსუალური აღვირახსნილობა პლებეურია, ცხოვე-

ლური, ნაკლებადდამაჯერებელიც, და ზომიერი თავშეკავება სულაც არ მიანიშნებს აწსაჩოთირო ფერისადმი მიდრეკილებას.

შემეძლო ზემოურ შენიშვნებზე თავი შემეკავებინა, მაგრამ ნიჭიერ ფოლკლორისტს რომ დალანდავ, დიახაც მას უნდა მიურბენინო სარკე, ანგარიშგასაწევ ესთეტიკოსად ჩამოყალიბების იმედით.

რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ სამზარეულოში

ახლა ზოგი რამ გური ოტობაიას შემოქმედების თავისებურებაზე.

ამ ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე, უკვე განმიხორციელებია ტრიადის ორი მესამედი, ანუ ორი წიგნი დამისრულებია და მოსახელთებლად ერთიღა დამრჩენია.

მე ამ ტრილოგიით ვწყვეტ პროზაში მუშაობას, რადგანაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაოდენობა ყოველთვის როდი გადადის ხარისხში.

ჩემი სამივე წიგნი ერთი მიმართულებით იმზირება — პატარა სოფლიდან, დაბა-ქალაქის გავლით სრულიად საქართველოსაკენ; წვეთიდან —ოკეანესაკენ. აქ ხედვის პრინციპი ჰეგელისებურია — ტრიადა: თეზა-ანტითეზა-სინთეზი, სადაც პირველი ვითარების აბსოლუტურად უარმყოფელია მეორე; მხოლოდ მესამე ახერხებს ორივესგან საუკეთესო ნიშან-თვისების შედუღაბებას.

თეზას შეესაბამება რომანი ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“, პირველი წიგნი „ფრთოსანი ჭიანჭველა“, ანტითეზას — „როკი“, სინთეზს — „ოდოია“, რომელზედაც გვარიანი ხანია ვმუშაობ და თუ არსთაგამრიგე ინებებს, იქნებ ორ-სამ წელიწადში გავასრულო კიდეც.

ამიტომაც არის პირველი რომანის გმირები უნებლიეთ გადმოდიან მეორეში;

ამიტომაც არის პირველ რომანში ჭიჭე კვეკვედ, წიწიკვაკვად წოდებული პერსონაჟი, მეკუბოეს ხელობიდან ბელეტრისტობამდე მაღლდება.

„როკის“ პირველსავე გვერდზე ავტორი თავისი უდიდებულესობის ფოტოს ამგვარ ფრაზას აახლებს ფაქსიმილეთი:

„ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ავტორის სტიქსის ტალღებთან შეთამამებაღა თუ დააზუსტებს“-მეთქი.

წინდებული წინადადების ანალიზი ამგვარია:

სანამ პირში სული მიდგას, სანამ ცოცხალი ვარ, ყოველთვის ვეცდები რაღაც შევცვალო ჩემს წიგნში-მეთქი.

სტიქსი ხომ იგივე მიწისქვეშეთის მდინარეა, ხოლო ამისთანა ტალღებს შეთამემება რისი მომასწავებელიცაა ძეხორციელისათვის, მკითხველისათვის მიმნიდვია.

ახლა, ამწუთასვე თუ აღვესრულები, ბუნებრივია, ჩემი ტრილოგია განუხორციელებელი დარჩება და მისი კონტურებით გაჭირდება ავტორის საბოლოო მიზნის დადგენა; მაგრამ თუკი უფალი გამოიმეტებს კიდევ ორიოდე ღერ მზენათელს, იქნებ სამივე წიგნი გადაებას ერთმანეთს თეზა-ანტითეზა-სინთეზის ურღვევი კავშირით და შეიქმნას მონუმენტური ტილო ჩვენს არსებობაზე, ჩვენს მიზანსწრაფულობაზე, ჩვენს საზრისზე ბოლოს და ბოლოს.

მე არ ველტვი რაოდენობრიობას, თუმცა მზვაობრობა მახასიათებს წყალდიდობისმაგვარი, მაგრამ განა ნებისმიერ აზავთებას არ მოსდევს სტიქიის დაწყნარება?!

მე ჯერ ჩემს სამშობლოში, ანუ შინაურულ ტაფაზე ვიხრაკები ჩემს ნაწერებთან ერთად, და სადღეისო სახით არასფრისდიდებით გავცდები მის საზღვრებს. ეს მხოლოდ მერე, ავტორისეული მისიის შესაძლო აღსრულების შემდეგ, თავად თუ ვერა, იქნება ჩემს გონიერ შეგირდს მაინც მოუხერხდეს მისი გატანა ქვეყნის სააშკარაოზე.

მანამდე კი მე ჩემს ორღობეში, ჩემს სამოხიოში, ჩემს დედულეთსა და სამშობლოში ვიბადები ნელ-ნელა და მაქვს პატივი, გზადაგზა დეკორაციები შეხედულებისამებრ ვცვალო.

მკვლევარი ნაბიჯით დაასწრებს ტრიადის მორიგ გამოცემას, სადაც „სიცოცხლემისჯილების“ „ფრთოსანი ჭიანჭველა“ და „როკი“ გვერდიგვერდ ლაგდება.

წავიკითხავ წერილს და სახეზე ნათელი მომეფინება: ჰორაციუსი გამახსენდება უნებლიეთ, რომელიც ხელოვანისაგან ნაწარმოების ათი წლით ხარის ტყავში გახვევას მოითხოვს. საბედნიეროდ, წარმოდგენილი შენიშვნების მეტი წილი თავადვე გამირანდავს:

საერთოდ ამომიგდია კაპადოკიელი ჯეგე მისარონის სცენა;

შევლევივარ ქვათია პაპასკირის ჩანართს;

დამიწურავს ჭადრაკის კლუბის განფენილობა;

ის კი არა პირველი წიგნიდან ამოვარდნილა წმინდა გიორგის, ჭადრაკის თუ სხვა სცენები და გადასულა მესამე რომანში, ანუ ტრიადის დამაგვირგვინებელ წიგნში, რათა ამ უკანასკნელმა სრულყოფილად შეძლოს პირველი-ორი ნაწარმოების მართლზომიერი გაწონას-

წორება. თუმცა თხზულების განახევრებას რომ მიჩიჩინებს ფოლკლორისტი, ბრეტისბრეტია.

„როკის“ ვრცეულობაზე მინიშნებას ყველას ბატონი ტარიელ ჭანტურია დაასწრებს. ის ჩინებული პოეტია უწინარესად, მაგრამ ამავე დროს იშვიათი გემოვნების ესთეტიც.

— მოითხოვს რედაქტორულ ჩარევებსო, — მეტყვის ჩვეული გაღიმილებით.

მყისვე დავეთანხმები. გაჯიქება, ცხვირის აბზუება და მისთანანი, მხოლოდ ხეპრეთა თვისებაა, რომელ სახელთან მიჭირს დაძმობილება.

ასევე დიდებული მურმან ლებანიძე უშურველად მკითხავს თავისი კაბინეტის ზღურბლთან:

— კი, მაგრამ სულ სამეგრელოზე რისთვის წერო; სულ კოლხეთი რისთვის გაკერია ენის წვერზეო, — თან დაამატებს იქვე, — რამდენ ხანს იჯექი ციხეშიო.

შეძლებისდაგვარად ავუხსნი:

— ჩემი ტრილოგია სამეგრელოს ერთი პატარა სოფლიდან ზუგდიდ-ქალაქის გავლით, მოეშურება სრულიად საქართველოსაკენ, მისი დედაქალაქისაკენ და აქაც არ ამთავრებს მსვლელობას. იგი შემდგომ და შემდგომ მთელი დედამიწისაკენ მიემართება შორეული კოსმოსისაკენ თავაღერილი-მეთქი. რაც შეეხება ნაჯდომობას, — ხელები გავასავსავებ, — ჯერჯერობით რატომღაც არც მტერს ვახსოვარ საამისოდ და აღარც — მოყვარეს-მეთქი.

პირველ რომანში მე აბსტრაქტულ გარემოს დავხატავ.

ოდაბადე, როგორც ასეთი რამ, ბუნებაში ნონსენსია მაკონდოსავით.

მე შექმნი ირეალურ ტიპაჟებს, რომელთაგან ზოგი 5-10 ხასიათს აერთიანებს. ასეც ხდება სინამდვილეში. ეს პროფესიონალებს არ ესწავლებათ. მაგრამ მეორე წიგნში, როგორც ამორჩეული კონცეფცია მთხოვდა ტრიადის ბუნების გათვალისწინებით, მე უნდა დავპირისპირებოდი წინარეს; მე უნდა უკუმეგდო გამოგონილი სახეები, იქსები, იგრეკები, მათი აბსტრაქტულობა და სრულიად რეალური სამოსელი შემეკერა თხზულებისათვის.

საამისოდ არ დავერიდები რეალური ტიპების თავმოყრას წიგნში თავიანთი ბიოგრაფიებით, თავიანთი შუქ-ჩრდილებით, თავიანთი კონცეფციებითა და მოძღვრებებით. მართლაც აურაცხელი, თავზესაყრელი მასალის დამუშავება მომიწევს.

ამ ლელოში მთლად ახალადმომჩენი როდი ვყოფილვარ. „როკის“

გამოქვეყნების შემდეგ გადავავლებ თვალს „არტისტულ გადატრიალებას“ და მემცხეთება, მაგრამ მესიამოვნება კიდეც წინამორბედ მცხოვან მწერალთან სულიერი ნათესაობა.

ბატონ ოთარ ჩხეიძე „გდიდელების“ რომანში რეალური ყოფიერებით ამკვიდრებს ესთეტიკურ ფასეულობას — კონკრეტული, ელიტარული პიროვნებებისათვის დამახასიათებელი შტრიხებით ქსოვს ზოგადეროვნული ვითარების პორტრეტს...

ჩემთანაც დაახლოებით იგივე სურათია: კაკა ჟვანია, გვანჯი ჩიქვანი, ნონა გაფრინდაშვილი, მერაბ მამარდაშვილი, ვლადიმერ ჩუბინიძე, ეპისკოპოსი იოანე-იონა, გივი ალაზნისპირელი და სხვანი, ლამის ნატურალისტურად იმკვიდრებენ თავს საკუთარი მსოფლმხედველობებით. ვაცოცხლებდი ან ავტომატურად გადმომქონდა ყოველივე არსებული, რაც დღევანდელობასთანაა დაკავშირებული 9 აპრილის ფონზე. ეს თარიღი კულმინაციაა ჩემი ტრილოგიის მეორე წიგნისათვის.

მესამე თხზულება კი უკვე ახალი ათასწლეულიდან განსჯის და გაანალიზებს აწგადახდილს თუ აწგანსაცდელს.

ზემორე მიხსენებია, ბატონ მურმან ლებანიძის ჩაძიებას რანაირად ვუპასუხებ: რამდენ ხანს დაჰყავი სატუსაღოშიო. იქ დაუმთავრებელ ფრაზას ახლა ვასრულებ:

მე პირველ რომანში ბიოლოგს, გენეტიკოსს ვხატავდი, მაგრამ აღარც ვავილოვის ლექცია მომისმენია და მით უფრო — აგლაძისა.

ამჟამად, როცა დამაგვირგვინებელ წიგნს ვწერ ასტრონავტებზე, დარწმუნებული ვარ კოსმოსში არავინ გამგზავნის გაგარინის სკაფანდრით; არც ბაიკონურში მოხვედრას ვიმედოვნებ მაინცდამაინც. ეს არის, რომ აბასთუმნის ობსერვატორია მომინახულებია რამდენიმეგზის კოხტაგორას სიახლოვეს, ევგენი ხარაძის შრომები დამილაგებია წინ გზისმკვლევად, სხვათა, და წიგნიერი სამყაროდან, დანტესავით ვაპირებ გალაქტიკათა ვრცელობაში გადაკარგვას.

„სიცოცხლემისჯილების“ პირველი თხზულება „ფრთოსანი ჭიანჭველა“ მიკროსკოპულად ჩაჰკირკიტებს ჩვენეულ სინამდვილეს;

მეორე — „როკი“ — შეუიარაღებული თვალით, შეულამაზებელი, მკაცრი და თანაც ამაზრზენი ყოფიერებით სესხულობს წუთისოფლის ჯვალოებს.

მესამე— „ოდოია“ კი ობსერვატორიის ტელესკოპიდან მისჩერებია ჩვენს საწუთროს და ვფიქრობ, წრედიც შეიკვრება, ვიმეორებ, უზენაესი თუ ინებებს-მეთქი.

„ცნობიერების ნაკადი“ ინდის ხურმაა კვლავაც მრავალთათვის

მრჩება ერთი სათქმელი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი მწერლობის, ზოგადად მსოფლიო ლიტერატურის პრობლემად მიმიჩნევია:

ჯოისის შემდეგ ლამის საუკუნე გასულა-მეთქი, ვმეორდები, მაგრამ „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდს მხოლოდ ფოლკნერი გაუგებს ჯეროვნად.

ჩინგიზ აითმათოვს, გაბრიელ მარკესს, და კიდევ სხვა ჩინებულ ხელოვანთ, ამ ხელწერისა აღარ ესმით.

საქართველოში ბოლო დროს შეინიშნება „ცნობიერების ნაკადის“ სივრცის ათვისების ტენდენციები.

ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“, ოთარ ჭილაძის „ველუმი“, თუ კიდევ ზოგიერთი ნაკალმარი ნაბიჯნაბიჯ მიწალდავს ამ უსიერს.

ეს ფრიად მისასალმებელია, მაგრამ თავად „ცნობიერების ნაკადის“ ბუნებაზე ნაკლებად იწერება თეორიაში; ჩვენ ამ თვალთახედვით ძალზე ცოტას გათავაზობს ლიტერატურის ინსტიტუტის „... ძიებანი“; (რაღაცას მიმოკიბავს შალვა ჩიჩუას „მეოცე საუკუნის ქართული რომანი “), აღარც „კრიტიკა“ გამოდის სავალალოდ და ვერც სხვაგან ვამჩნევ მისი დაზუსტების ნიშნებს.

არადა, სქემა მარტივია:

პერსონაჟი შეძრულა რაღაც გამსრესავი ამბით და სწორედ ამ კულმინაციური ეტაპიდან ჩაერთვება მის ცნობიერებაში აწგარდახდილი სინამდვილე, იგივე წარსული, რომელიც თავისთავად უდანაკარგოდ შენახულა გმირის სულიერ სამყაროში, ოღონდ ახლა წამოიჭრება საკითხი მისი ოპტიმალური წარმოჩენისა.

აი, გადმოცემის მიმართება განასხვავებს „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას ტრადიციული სიუჟეტიანისაგან.

ეს მასალა პერსონაჟის მეობიდან თანამიმდევრულად როდი ამოდის — სიყმაწვილე-სიჭაბუკე-სიჭარმაგე-ხანდაზმულობის სქემით, არამედ — აღრეულია, იმისდა მიხედვით, თუ რომელი შემხვედრი დეტალი, რომელს გამოუხმობს მისი სულიდან.

„ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურას ახასიათებს აგრეთვე ღვთაებრივი ჰომეროსის წრიული პრინციპის იმპულსური გააზრებაც: ბრმა აედის თხრობა ექსპოზიციით როდი იწყება, ანუ განხეთქილების ვაშლის სცენით, ელენე მშვენიერის მოტაცების მიზეზებით, არამედ —

აქილევსის რისხვით და ამ რისხვის მხარდამხარ გადაიშლება ათწლიანი ტრაგედიის ანი და ჰოე.

„ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაც დაახლოებით მსგავსი მიდგომებით ცდილობს სინამდვილის ასახვას. ამა თუ იმ სიტუაციაში ჩავარდნა იგივეობრივ განცდილს ამოატივტივებს ხოლმე სტივენ დედალოსში, კვენტინ ქომპსონსა თუ ბონდო ჰალიძონიაში. ეს ყოველივე იმ რეალობის იდუნტურია, რაც ნებისმიერი სასაფლაოს ხილვამ შესაძლოა ათი წლის უნახავი მამის ძვალთშესალაგი გაგახსენოს, ამოატივტივოს შენში, რომელიც მერმე თავისთავად დაიტვირთება მშობელთან ურთიერთობის ტკბილ-მწარე სურათებით.

ამიტომაც როკი, რომლის მამა ვალერიანს, ქარისტვენია მეზობლის მიერ მოშინაურებული გედის მოკვლის საცოდაობა გადმოხვეწს სოფლიდან და შემდგომ აქედან, ამ საწყისიდან დაედება სათავე ჩვენი უკომპრომისო გმირის არეულ ცხოვრებას, სულ ასოციაციურ, რემიმისცენციულ აზროვნებასთანაა წილნაყარი.

ამას ფოლკლორისტიც შენიშნავს წერილის მეორე სვეტში:

„გური ოტობაია რომანში ხშირად ჩართავს ასოციაციურად ასე თუ ისე გამართლებულ, მაგრამ სტილისტურად აშკარა დამამძიმებელ ამბებსო“.

დიახ, მას ინტუიტიურად უგუმანია „ცნობიერების ნაკადის“ ბუნება, მაგრამ მხოლოდ უგუმანია, ვინაიდან ყველაფერი, რაც ამ რომანში განსხვავებული შრიფტითაა მოწოდებული: მამარდაშვილების, ჩუბინიძეების, იოანე-იონათა და სხვათა ნააზრევია, უფრო სწორად — ნათქვამი, როკის ცნობიერებაში გეგმაზომიერად ამოტივტივებული; თანამგზავრივით ადევნებული ეს მასალა განუყრელი ბიძგია როკის არსებობისათვის; ეს სიმდიდრე-ჯილდო გამოაცალკევებს ოდიშელიას შავი სამყაროდან, ჭეშმარიტების გზისაკენ მიუძღვის, მიუხედავად იმისა, რომ ქურდს სამშობლო არ გააჩნია; ეს საგანძური გამუდმებული ანალიზის საგნად გადაქცევია ჯოჯოხეთიდან გამოღწეულ კაცს: ზომავს, წონის, აფასებს, ითვისებს ან უკუაგდებს საჭიროს თუ უვარგისს. ამიტომაც ვეღარაფრით გავიზიარებთ ჩვენი კეთილისმსურველი ფოლკლორისტის მითითებებს გმირის სწორხაზოვან ჩარჩოში დატოვების თაობაზე.

წიგნში სატუსაღო და საწუთრო მონაცვლეობითაა, დღე-ღამესავით, სიკვდილ-სიცოცხლის მსგავსად, სიკეთე-ბოროტების პერიოდულობით; მათი გახლეჩა დაანგრევდა ჩემეულ ჩანაფიქრს, თუმცა, ვიმეორებ, წამოძახებული ზომიერებისათვის თავად მიმიხედავს თურმე.

იძულებითი გაკვეთილები „მშვიდობის ჩიბუხელებისათვის“

კრიტიკის ვაკუუმი ჩვენში ესთეტიკურ დეზორიენტაციას შექმნის. ნათელში არიან ასათიანები და ბაქრაძეები.ლიტერატურული პროცესი ბედის ანაბარადაა მიტოვებული. ჩვენი საყველპურო ბელეტრისტული შეხლა-შემოხლანი ვეღარაფრით გამცდარა ა ნგარიშსწორების ორმხრივ დემაგოგიას და მშობლიური მწერლობის ბედ-იღბალი გუდიაშვილის იმ მზეთუნახავს ჰგავს, რომელსაც ლანცეტით უკირკიტებენ სიტყვიერების ზორბაყურიანი კარაულები.

,,განა პოლემიკა პინგ-პონგის თამაშიაო‘‘, რიტორიკულად მოგვაჩერდება ამ ესთეტიკური სიცარიელის შემავსებლად მომართული ძალადექიმი ჩვენი, უფალი ჩხეიძე, მაგრამ ააფრინე ალალიო, თქმულა.

თუმცა ყველაფერზე რიგისობის მიხედვით:

განა პოლემიკა პინგ-პონგის თამაშია?

,,ჩვენი მწერლობის‘‘ ფურცლებზე (2001, 20 აპრილი) ეკა ცხადაძის კრიტიკული სტატია (,,საგა როკი ოდიშელიაზე... უფრო მეტი საგას შემქმნელზე და სხვათა შესახებ...‘‘) რომ გამოქვეყნდა გური ოტობაიას წიგნზე ,,როკი‘‘, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალს ქართულ სალიტერატურო პროცესს, უთუოდ გაიფიქრებდა, ამ ლიტერატორს თავიდანვე რომ შევატყვეთ კრიტიკოსის ალღო, აგერ კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ვარაუდიო.

წერილი დაწერილი იყო იმ პროფესიონალიზმით, რაც ასე აკლდა ქართულ კრიტიკას საბჭოურ ხანაში და ასეთი ნიშანდობლივია კრიტიკოსთა ახალი ტალღისათვის, ჩვენს თვალწინ რომ მკვიდრდებიან და მონდომებითაც მონაწილეობენ ფასეულობათა გადაფასების რთულ პროცესში.

სტატიაში გამოთქმული იყო არაერთი მართებული და საფუძვლიანი შენიშვნა და რჩევა, და, რაც მთავარია, დაწერილი იყო კეთილგანწყობით. კრიტიკოსი ცდილობდა რომანად სახელდებულ ამ ვეება წიგნში გამოეძებნა ზოგიერთი ღირსება მაინც, რომელთა გაღრმავება და გამოკვეთა წიგნის გადამუშავება-შემცირების (გამესამედების) შემთხვევაში იქნებ სასიკეთოდ წადგომოდა ბ-ნ ოტობაიას.

ისე გულუბრყვილონი სულაც არა ვართ, გვეფიქრა, რომ წიგნის ავტორი მადლიერებით მიიღებდა და ჩაუკვირდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს, ოღონდ არც ასეთ მდარე საპასუხო წერილს ველოდით, როგორც ცოტა ხანში წარმოგვიდგინა.

„პასუხში“ გაბათილებული არ ყოფილა არცერთი არგუმენტი და აგებული იყო თვითგანდიდებისა და კრიტიკოსის პიროვნულ შეურაცხყოფაზე. ერთი სიტყვით, როგორც საერთოდ წერენ ამ მორალისა და ინტელექტუალური უნარის ადამიანები.

უკან გამოტანება ნიშნავდა, რომ ეს ჩვენი „რომანისტი“ იმ ვითომ პასუხს წარუმძღვარებდა უშვერ ლანძღვა-გინებას „ჩვენი მწერლობისა“ და მისი რედაქტორის მიმართ და მაშინვე მიაშურებდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციას, სადაც ჩვეული ხალისით დაუბეჭდავდნენ კიდევ უფრო გაუკუღმართებულ იმ მდარე „პასუხს“.

იქნებ ჯობდა ზოგიერთი შეურაცხყოფილი გამოთქმა თუ ფრაზა გამოგვეხშირა და ჩვენვე დაგვებეჭდა, რათა ლანძღვა-წამებათა ნაკადიდან, „ლიტერატურული საქართველოდან“ რომ გვეფიქრა თავს, ეს ერთი მაინც აგვერიდებინა?

არა, არ ჯობდა.

(ჩვენგანვე ხაზგასმული მონაკვეთი წერილისა საგანგებოდ ამოგლეჯილა ბ-ნ ჩხეიძის „პინგ-პონგიდან“ და „ასი მწერლის გაზეთში“ განთავსებულა.

ვეკითხები ახალი სამწერლობო სივრცის მაძიებელი გაზეთის ერთ-ერთ სულისჩამდგმელ ბ-ნ სიგუას:

ვისი მეცადინეობით-მეთქი, ყოველივე?

ელეთ-მელეთი მოსდის, მაგრამ შემოქმედს ვერ მისახელებს.

ბატონი იობაია საგაზეთო ჯიხურებში მიმოსვლით დამშვრალა მწერალთა ასეულის გაზეთის სარეალიზაციოდ და საამისოდ დრო საიდან აღმოაჩნდებოდა-მეთქი, ვეპაექრები ჩემს თავს. ასეც გამოდგება.

ასავსავებს ხელებს.

მე ვინ მეკითხება მაგეებსო. მომაყრიან მასალებს და ეგრევე კომპიუტერისკენ გავაქანებო.

ბატონ მიშველაძეს იმ დღეებში მოაბრუნებენ ნიტროგლიცერინით პარლამენტის სხდომათა დარბაზში. წივწივაძესთან „პოლემიკით“ მომსპარი კაცი მიკროფონთან წაქცეულა. აქამდე ლაქარდიანი ენა ძლივს ამოუზლეტიათ და საამისოდ როდის მოიცლიდა-მეთქი, ვჭოჭმანობ.

იქნებ ყოველივეს ბატონი რეზოს წინადადების იგნორირება კვებავს, მწერალთა რიგგარეშე ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით ფარატინა განცხადებას რომ მთხოვდა და დელიკატურად გავეცლები-მეთქი, მიხურს გონება.

მწერალთა რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას გური ოტობაიას ვინ

ჰკითხავს, რომელი, თორემ იგი თავის დროზე დააფიქსირებს პოზიციას ჩვენს გახლეჩილ მწერლობასთან დაკავშირებით და გვარიანადაც იჩინ-დრიკებს გაღმა-გამოღმა, რათა მაჩაბლის 13-ში, ქართული მწერლობის ტაძარში, უპრობლემოდ იარონ ერის უკვდავებისათვის სალოცავად ჩემ-თვის აქამდისაც სათაყვანებელმა შემოქმედებმა, ბატონებმა: მუხრან მა-ჭავარიანმა, ხუტა ბერულავამ, ელიზბარ ჯაველიძემ, მამუკა წიკლაურმა, ნოდარ წულეისკირმა... სხვათა, მაგრამ წმინდა წყლის ნაყვა გამომადგე-ბა მედიატორული მეცადინეობანი ესე.

მწერალთა ასეულის გაზეთი კი სრულიად უსაფუძვლოდ კენჭს გადმოაგდებს ჩემსკენ ზვავის დასაცურებლად. გ. ო).

ეს ერთი კი არა, ათი ამ მორალით გაჟღენთილი წერილიც რომ გა-მოექვეყნებინა ბ-ნ ოტობაიას, მაინც ასე მოვიქცეოდით, როგორც მო-ვიქეცით, რადგანაც თუკი რაიმე აბრკოლებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, მათ შორის ისიც, რომ რედაქციებში თავს არიდებენ სარე-დაქციო მუშაობასაც და ისე ბეჭდავენ ურთიერსაპირისპირო წერი-ლებს, ვერ გაარკვევ, რის დამკვიდრებას ესწრაფვიან.

ეს არ არის პოლემიკა.

და საერთოდ: საქმის გაიოლება იმ ყალბი ფრაზის მოშველებით: მკით-ხველი თვითონ გაარკვევსო, — ვერაფერი გამოსავალია.

თუ მკითხველმა უნდა არკვიოს, მაშ რედაქციებს რაღა დანიშნულე-ბა აქვთ? სავსებით საკმარისი ყოფილა კომპიუტერული ცენტრის არსე-ბობა, სადაც ყველა მიიტანს იმას, რაც მოესურვება და დაუბრკოლებ-რივ გამოქვეყნდება. კომპიუტერული ცენტრი პასუხს არ აგებს ურთი-ერთსაპირისპირო წერილების დონეზე და არც მტყუან-მართალის დად-გენა ევალება.

მახსოვს: ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას აკაკი ბაქრაძემ ჩვენებური პოლემიკები პინგ-პონგის თამაშს შეადარა, რასაც საგრძნობლად აკ-ლია რედაქციების წარმმართველი ხელი — შეფასება, დასკვნის გამოტა-ნა, მტყუან-მართლის გარკვევა, ფალსიფიკაციებში მხილებულ ავტორ-თათვის საკადრისი პასუხის გაცემა.

პინგ-პონგის ხსენებამ მაშინ ძალიან გვაცინა და იქნებ თქვენც გაგე-ცინოთ, მაგრამ განა მართლა სასაცილოდ გვაქვს საქმე? ეს ხომ ის სასა-ცილოა, სატირალიც რომ არის იმავდროულად!..

პოლემიკა პინგ-პონგს დაემგვანა, მაგრამ სინამდვილეში პინგ-პონგი სულაც არ არის.

ჩვენთვის ეს პრინციპულია, ისევე პრინციპული, როგორც განსხვავე-ბული აზრის პატივისცემა, ყურის დაგდება, არგუმენტებით კამათი.

თუ ბ-ნი ოტობაია თავს აჯობებს და რაიმე რიგიანს შემოგვთავაზებს

(ძნელი წარმოსადგენი კი არის), გამოქვეყნებაზე უარს როგორ ვეტყვით. საერთოდ კი ისეთი პროფესიონალების გვერდით ვიდგებით, როგორც ამ შემთხვევაში ეკა ცხადაძეა და პინგ-პონგს არავის გავამართვინებთ".

როსტომ ჩხეიძე,
„გამოსვლები უეკრანოდ",
„ჩვენი მწერლობა", 1-8 მარტი, 2002 წ.

***

ამგვარია ყუფუნხეს „საგასადმი" ჩვენეულ „მდარე პასუხს" წლისთავზე დადარაჯებული მოპინგპონგე რედაქტორის მკვახე შეძახილი. წელიწადში ორმოცდარვა კვირაა, მაგრამ ქართული ლიტერატურის მეტრი ვიღაც მერომანესათვის რას მოიცლიდა საჭირო შემთხვევამდე, საერთო სიტუაციის დაძაბვამდე?

„რომანისტს" ბრჭყალებში ამწყვდევს. ეტყობა „მდარე წერილს" უმუშავია, თანაც ჩვენეულ წიაღსვლებს მენტორი ოსტატურად ჩქმალავს და გური ოტობაიას შემოქმედების ნიველირებით ცდილობს ფონზე გაღწევას.

„მშვიდობის ჩიბუხელის" პროტეჟე-ყუფუნხეს სანახევროდ გამოხშირულ თხზულებას, რედაქტორი ახლა მთლად გაამესამედებს და ყუასღა შემატოვებს ხელში. აქედანვე ჩანს, რომ ბ-ნ ჩხეიძისათვის ყუფუნხე საზარბაზნე ხორცია, სასინჯი ქვა გური ოტობაიას რეაქციისათვის. ეს რომანი ხომ საკმაოდ სახიფათო პროფესიის ხალხს ეძღვნება და უპრობლემოდ თავს რისთვის აიტკივებდა? თანაც სტილურ ერთგვაროვნებასაც დააკვირდით: ორმაგი უარყოფები, უადგილო „რომ"-ებით პუტუნი, „ფასეულობათა გადაფასებაო..."

ძალისმიერი პოლიტიკით საუბარი, შიში, ორანი, ყოველგვარი შებოჭილება პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლით, აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის. ლიტერატურულ ფაქტს დრო გამოცდის ხოლმე და არა ნავარჯიშები კუნთები. აქედან გამომდინარე, მე კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ნებისმიერი ხასიათის პრემიას, ეროვნულია იგი თუ სულაც სტოკჰოლმისეული, ვინაიდან შეუძლებელია დროის მოკლე მონაკვეთში (ვგულისხმობთ მწერლის თუნდაც ხანსვიან სიცოცხლეს), გამოწვლილვით დადგინდეს ამა თუ იმ ნაწარმოების ესთეტიკური დონე.

ამიტომაც წარვუმძღვარებ ბ-ნ ჩხეიძისაგან ეჭვქვეშ დაყენებულ ჩემს

„ვეება წიგნს“ ამგვარ ფრაზას: „ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ავტორის სტიქსის ტალღებთან შეთამამებაღა თუ დააზუსტებს“-მეთქი. ანუ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე უფლებას ვიტოვებ რაღაც შევცვალო ჩემს „რომანებში“. აუცილებელი თუ გახდა, გავანახევრო ისინი, გავამესამედო ან მთლად ფორზაც-ყუამდე დავიყვანო. თუმცა სხვა გახლავთ ბ-ნ ჩხეიძის დაგვიანებული წყრომის მასაზრდოებელი ბინული. კონკრეტულად კი „ცნობიერების ნაკადის“ ხელწერა ინდის ხურმად რომ ელანდება.

ვინმეს სტილისტურ ცდომილებებში რომ შეედავო, თავად გმართებს უზადობა, თორემ გვსმენია ხალხური საუნჯედან: ქაჩალმა ქოჩორას ხვლეპუსობა დასწამაო.

„მშვიდობის ჩიბუხელის“ გაწიწმატებას დამატებით და უმეტესადრე „ჩვენი მწერლობის“ კრიტერიუმებში შეეჭვებაც აპურღვინოებს მეოცე საუკუნის რომანისტ-პოეტების ხუთეულების დადგენის გზაზე. მიკერძოებულად, გემოვნების დეზორიენტაციად მივიჩნიე და მიმაჩნია დღესაც ქართული ბელეტრისტიკის კლასიფიკაცია ხაზით:

ვასილ ბარნოვი — „მიმქრალი შარავანდედი“;

მიხეილ ჯავახიშვილი — „ჯაყოს ხიზნები“;

კონსტანტინე გამსახურდია — „მთვარის მოტაცება“;

ლევან გოთუა — „გმირთა ვარამი“;

და მათ გვერდით ოთარ ჩხეიძე „ბორიაყით“, რაჟამს სრულიად გაუგებარი მოტივაციით იგნორირებულია ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ და ოთარ ჭილაძის „აველუმი“; ესეც რომ არა, დარღვეულია შესაფასებელი სივრცის ერთგვაროვნება: ერთ სიბრტყეზეა დალაგებული ნათელშიმყოფები თუ სვეგრძელნი.

მიკერძოებული და ფასეულობათა წამყრუებელია ბ-ნ ჩხეიძე-უმცროსის ნუმეროლოგია მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთა ხუთეულის დადგენის მხრივაც: გალაკტიონი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ლადო ასათიანი და ტარიელ ჭანტურია (დროის ფაქტორი აქაც იგნორირებულია ანა კალანდაძისა და მურმან ლებანიძის შემოქმედების გამოხშირვით).

მეტრი რედაქტორის გაწიწმატებას, ბუნებრივია, ისიც ანაყროვნებს, ალბათ, რომ მის მოღვაწეობას „მშვიდობის ჩიბუხის“ დანამატად მოვიაზრებ, ვინაიდან იშვიათობაა მსოფლიო ბელეტრისტიკაში ტოქსიკური ნიკოტინის აღებმიცემობას ლობირებდეს სიტყვაკაზმული მწერლობა. ეს მოჩვენებითი პომპეზური დიზაინი, თაბახის შესაშური ბრჭყვიალება, ფაქტობრივად ქართველი ხალხის ფიზიკური გენოციდის შემწყნარებელია.

დააკვირდით საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ბოლოდროინდელ განცხადებებს: როგორც არსად დუნიაზე, საქართველოში ორასჯერ გაზრდილა თამბაქოს მწეველთა კიბოიანობა. ამისი უმთავრესი მიზეზი კი თუთუნის შემადგენლობაში რადიაციის კოლოსალური მომძლავრებაა. და ოდეს ამ მიმართებითაც სიტყვა გადავუკრავთ ბ-ნ ჩხეიძეს, რამდენადმე წამოგვიმცხეთდება, მაგრამ მხოლოდ თორმეტი თვის შემდეგ შემომეხმიანება თავისი მენტორული ,,პინგ-პონგის'' თეორიით, რათა საკითხის ჭეშმარიტი არსი რამდენადმე მიცხრეს, მინავდეს.

რაც შეეხება ჯანსაღ პოლემიკას, სულაც არ გახლავთ ,,პინგ-პონგის'' თემა.

ჯერ ერთი, ვაი, იმ რედაქციას, რომელიც მისთვის არახელსაყრელ ფრაზას გამოხშირვას დაუწყებს.

მერედა, ვაი, იმ რედაქციას, რომელიც განსხვავებულ აზრს გზას უხშობს, იმის შიშით, არიქა, ბაკქანალია არ გავმართოთო.

დაბოლოს, ვაი, იმ რედაქციას, რომელსაც სერიოზულად მიუჩნევია: თითქოს ჩვენი მკითხველი ხეპრეა; თითქოს თავად ვერ გაერკვევა საგანმოვლენათა სისწორესა და სიმცდარეში.

* * *

ტრიადის ორი მესამედი გასრულებულია.

მეორე წიგნი კორექტივებს შეიტანს პირველში. მყესი მყესს უკეთ რომ მოერგოს, დეტალი დეტალს უკეთ დაემთხვეს, სათანადოდ იცვლის ფერს, თუმცა მსგავსი მეტამორფოზანი ჩემი შემოქმედებითი ტონისთვის ჩვეულებრივია. მე ხომ სულის კვარცხლბეკზე ასეთ ფრაზას აღვმართავ შუქურად:

,,ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ავტორის სტიქსის ტალღებთან შეთამამებაღა თუ დააზუსტებს''- მეთქი.

არ არის გამორიცხული ტრიადის მესამე წიგნმა კვლავ მომთხოვოს პირველი-ორის რეკონსტრუქცია, მაგრამ ეს ყოველივე ხომ ლაბორატორიის საქმეა, მწერლის ქურახანის ამბავი?!

მთავარია სული არ შეიცვალოს, არ შეიცვალოს ის ძირითადი მიზანსწრაფულობა, რომლისკენ მიილტვის შემოქმედის ცნობიერება: ლაზარესავით ოთხიათასი წლით მიძინებული სამშობლოს დასურათხატება თუ მოგიწადინებია, თანაც ისტორიული მასალა მარტოოდენ კირია თანამედროვეობის ლოდების შესადუღაბებლად, დაგვეთანხმებით, ჯერაც მომქანცველი გზა მელის წინ, მაგრამ მესამე წიგნს უკვე მე

თვალნათლივ ვხედავ, დაახლოებით ისე, როგორც სივრცეს — მომქანცველი გვირაბიდან გაღწეული.

თუკი პირველ წიგნში სრულ უკუნეთში, წკვარამში მივაბიჯებ ხელების ცეცებით, ინტუიციით, ალღო-გუმანის მეოხებით; თუკი მეორე წიგნში საგრძნობლად შეთხელდება ეს ბერბეცი ღამე გვირაბის გასასვლელის წიაღიდან შემონაკადებული ნათლის ჩქერალებით, აწ ყველაფერი გარკვეულია. ამ რეალობის მოსახვეჭად პროზის მოუქნელი ენა გამოუსადეგარი აღმოჩნდება, რამეთუ თხრობის მომქანცველი სტილი ვერ კუმშავს ფრაზას პოეტური სიძლიერით. თუ პროზის ენას სიმბოლურად დენთს შევადარებთ, მაშინ პოეზია ატომური ენერგიისა ყოფილა, ვინაიდან ამ უკანასკნელში მოცულობა უკიდურესობამდეა შეკუმშული.

მაგალითისათვის თვალი მივაპყროთ ონორე დე ბალზაკის „ადამიანურ კომედიებს“ ოთხმოცი ტომის მოცულობით. სიკვდილის მომლოდინე ეს „სიანგვინიკური ტახი“ მზადაა საკუთარი ბრჭყალ-კბილებით ამოეგლიჯოს განუყოფელი შემოქმედებიდან წყალწყალა სტრიქონები, მაგრამ კალმით ნაწერს ვინაიდან ნაჯახითაც ვერ ამოშლი, დარჩა ჭეშმარიტების თვალში მაკულატურის ზვინზე წამოსკუპებულ ყავახვრეპიად.

ახლა შევხედოთ რა ვითარებაა დანტე ალიგიერთან! „ღვთაებრივი კომედია“, რომელიც კვებავს ბალზაკის მსოფლგანცდას, საკუთარი საზოგადოების მხილების უტყუარი სარკეა, მაგრამ იმდენად კონდიცირებული, ნემსის ყუნწში გამძვრალია ჯორიცა და აქლემიც პატრონითურთ, ერთ მონუმენტურ წიგნში მოქცეულა იტალია სრული, რომლის ფუქსავატი და გულქვა საზოგადოების ტიპიური სახე იმდროინდელ ევროპას თავისუფლად შეიძლება მოარგო თითლიბაზურ ნიღბად.

ესეც პოეზიის ჯადოსნური სიძლიერის დასტური: ოთხმოცი წიგნის მაგივრად ერთშიც ჩინებულად მოხერხდება კაცობრიული ვნებათაღელვანის ჩატუმბვა.

ამ სტრიქონების წამკითხველმა შესაძლოა გაოცებით მომიგო: კი, მაგრამ თუკი თეორია გაგიცნობიერებია, თვითონ რისთვის აჯახირებ პროზის ენით სტრიქონსო. ლოგიკურია ასეთი შეკითხვა, შეგირდო, ჩემო.

ჯერ ერთი, შენს ოსტატს ოთხმოცი ტომი სრულებით არ სჭირდება მამულის ჭირ-ვარამის გადმოსაცემად. ამისთვის მას ტრიადაც საკმარისად მიუჩნევია, სამი წიგნის ერთიანობა, რომლის პირველი-

ორი გასრულებულია და უფალი თუ ინებებს, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან მესამესაც მოითავებს უცილობლად.

მაშასადამე, მისახვედრია, რომ ერთი მეთოთხმეტედი ზადი უკეთესია სამ მეოთხმოცედ ხარვეზზე, და მერეც შენეულ ასაკში სად იყო გური ოტობაიასთანა ოსტატი პროვინციელი გულადი ფელეტავასთვის? მას ხომ თავად მოუწევს ამერიკის და ველოსიპედის აღმოჩენა. იგი ხომ გარეთ გამოსაღებ კარებს სამი ათეული წელიწადი ჯიუტად აწვება შიგნით.

აქვე ეს ანდერძი-წერილი ერთგვარი თავის დაღზვევაა, შეგირდო ჩემო, იმ შემთხვევისათვის, ოდენ თვითონ ვერ მომიხერხდეს გოეთეს სვესიმრავლით სიცოცხლე, და მთლად არარაობისთვის გაიწიროს ხილვა ესე.

თუკი ოსტატი განახორციელებს ყოველივეს, გულისხმიერი მოწაფე ხომ ორგზის აღმატებულს გამოსტაცებს იდუმალების ორწოხებს ადამიანების საბედნიეროდ?! ჰოდა, ამაზე მეტი ნეტარება იქნება?! შეგირდი ხომ მასწავლებლის სულის გაგრძელებაა, გურუს შეწყვეტილი სიმღერის თავმობოჭვა?! ამისთანა მაგალითი უამრავი ახსოვს ქვეყნიერებას: ჰომეროსს ბერძნული მითები კვებავდნენ; დანტეს — ბრმა აედი; პუშკინის გენია ჟუკოვსკის მხრებზე დგას; გალაკტიონს ,,ცისფერყანწელები'' ასტყორცნიან მთაწმინდაზე, და განა უკეთესი აღმაფრენა იარსებებს ბელიუმების ასწლეულიდან მომავალი ოსტატისთვის, ოდეს ჰუმანიზმის ოცდამეერთე საუკუნის ტრუბადურის ტერფებს შეუდგება ბურჯად?

ჰომეროსი, ეს გენიალური გონების ღმერთკაცი, ფრჩხილების მოშიშვლებას იუკადრისებს და ჰექტორის მოკვდინებით ტროის იავარქმნის ფინალს დასჯერდა. დანარჩენი ხომ ისედაც ნათელია, როცა ციხის გოდოლს კარიბჭეს შეხსნიან, იქ მომწყდეული მხედრობა დედაბუდიანად განწირულია, მაგრამ უმჯობესია ადრინდელ თავებში გაბნეულ დებულებას მოვუბრუნდეთ ერთხელაც.

საქართველოს პრეზიდენტზე ზემოური საუბრიდან თუ გვახსოვს, ხალხის უმრავლესობით არჩეულ მესვეურს განსაკუთრებული სისასტიკით ინტელიგენცია გადაემტერება, ხოლო თუ ვივარაუდებთ იმ ფაქტსაც, რომ კომუნისტური პარტია საქართველოში 400 ათასამდე ადამიანს აწევრიანებდა, ადვილმისახვედრია, ამ საკმაოდ ზორბა ციფრის ერთ მესამედს მაინც უცილობლად ინტელიგენციაა და გამსახურდიაც სწორედ ბებერაზე დააჭერს ფეხს ადრინდელი ხელისუფლების მიერ

პრივილეგირებულ ფენას, რომელსაც პარლამენტიდან დათხოვნის შემდეგ ყველაფერი წყალში ეყრება.

გამსახურდია, ესთეტიკური მამულიშვილური პოზიციიდან სამართლიანად მიუთითებს კალამგირობას ლამის გენიებად თვითშერაცხულ უნიჭოთ ერთიანად ტამრი აეშლებათ. ზოგი ტაშტს წამოავლებს ხელს, ზოგი ფიწალს მოიპარავს მართლისმთქმელი ლიდერის ჩასაქოლად. მე კი ვამტკიცებ: ბრდღვნად არ ღირს-მეთქი თქვენი გაფხორილი ჰაეროვანი მონუმენტები.

ჰომეროსის ღვთაებრივი ენა თანამედროვე რომანში მოკვდება და დაიბადება კიდეც, როგორც ორაგულისგან — კალმახი.

ჰეგზამეტრს სამეტყველო საზომი შეენაცვლება, რაც დიალექტიკურიაო, გულთმისნობს უამრავი მუცლითმეზღაპრე.

სწორედ რომანი არის ეპოქის უმეტოქო მემკვიდრე, შთამომავალიო ტებით თუ ბაობაბებით.

შენი გამარჯვების საწინდარი, შეგირდო, ჩემო, პოეტური სახეებით, პოეტური მეტრიკით აზროვნებაა, ეს კი აუცილებელია თხრობითობის მასის შესამცირებლად. აქსიომაა, რომ ნებისმიერი შემოქმედი ესწრაფვის საკუთარი თანამედროვეობის გადმოცემას ზოგადსაკაცობრიო ნიშნით, როგორც ამას მოახერხებენ ჰომეროს-დანტე-გოეთე. ესე იგი გარკვეულია ესთეტიკურ ფასეულობათა მიზანსწრაფულობა: იგი ასახავს გარემომცველ სამყაროს, ამაღლებული კატეგორიისაა, მშვენიერი, ტრაგიკული თუ კომიკური და ყველაფრის გათვალისწინებით იმთავითვე უნდა მოიმართო მონუმენტური ქმნილებისთვის, რადგანაც „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“.

დიახ, მონუმენტური ტილო უნდა შექმნაო, გვიკიჟინებენ თორმეტი საუკუნეა, და აქვე კატეგორიულად ჩაგვძახიან: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო“, ანუ უზარმაზარი მასალის ერთ წიგნში ჩატევა თუ გწადია, ლექსის ენით შეუდექი მის გადმოცემა-გაცოცხლებასო, მაგრამ ვინ არის ყურისმგებელი?!

რაც შეეხება თავად სინამდვილის, რეალობის გაცოცხლების ხერხებსა და მეთოდებს, ბრმა აედი ქვეტექსტით მიგვანიშნებს: დაიწყე მთავარით, დაიწყე სულისშემძვრელით და წვრილმანები მის გარშემო გეგმაზომიერად დარაზმეო.

უკვდავი ქმნილების მასაზრდოებელი სამივე რგოლი ვფიქრობ, რამდენადმე ხელშესახებად მომიწოდებია, თუმცა აქვე შეიძლება გარკვეული დაკონკრეტებაც, ვინაიდან ჰომეროსის ეპიგონური მიმდევრო-

ბა, მხოლოდ უბადრუკ ასლს მოგვიტანს, სასაცილო მინაბაძს, საჭიროა კი იშვიათი გარდასახვა, გარდაქმნა, გაფენიქსება.

დაგვრჩენია კიდევ მეოთხე გიგანტი ამ ურჩხულის მოსათოკავად — ამბავი, თუ მისი წარმმართველი გმირი და შეგირდო ჩემო, წამითაც არ ვნაღვლობ, საკუთარ სულს შენს სასარგებლოდ რომ ვქურდავ.

ამისთანა ასპარეზი ოთხი დღის მიძინებული, ჩვენი ლაზარე სამშობლოა, სადაც დღე აღიქმება, ვითარცა წელი ათასი;

აქ კოსმოსში გაჭრის პერსპექტივებია მისტიკისა და ცხადის შენასკვის გათვალისწინებით.

აქ არ გაძნელდება მრევლის პოვნა, ვინაიდან კოლხურ თუ ზოგადეროვნულ პრეისტორიულ პანთეონს შენთვის მკვიდრად შემოუნახავს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე-ამირანი, რომელსაც გეგმაზომიერად უკორტნის ღვიძლს ზევსის არწივი;

აქ თავზესაყრელადაა თემები: არგონავტების მიერ ოქროს საწმისის მოტაცება აიეტის სამკვიდროდან, თუ თავად გულთმისანი მედეა, ტომით ნათესავს, ფეხმარდ აქილევსს რომ შეეწყვილება საიქიოში;

აქ თავად ტროას ათწლიანი კოშმარებია კარზე მომდგარი ჰალიძონების მეთაურის, ოდოია-ოდიოსის აღსაზევებლად, იარაღის მწრთობელი ასეულით რომ ჩაღწეულა მცირე აზიაში;

აქ უკლებლივ შემოჯარდებიან ჟინი ანთარები, ხოგაის მინდიანი, იახსარები თუ კოპალანი და უკვე მეოცე საუკუნის შუქ-ჩრდილების წიაღიდან ამოფეთქილს მათი გაცოცხლებაც ნაკლებად გაუჭირდიდდება.

ხოლო რაც შეეხება თავად პოეზიის ენის საიდუმლოს, უსწავლული რამ არისებ, ეგ შეგირდო, ჩემო, ჯოჯოხეთი, გაუნელებელ ცეცხლში კირთება. ეს იგივე დუენდეა, თეორიით გადმოცემული, მირაჟი, როცა გუდიაშვილის მშვენიერ ბანოვანს ვირისყურება მეცნიერები ლანცეტითა და გამადიდებელი შუშით უკირკიტებენ;

ეს ღვთით მონიჭებული მადლია, ზენაარეული წყალობაა, ურომლისოდ ამ სტრიქონების გულდასმით წაკითხვას არც ინებებ, თვალს გადაავლებ, ირონიული ღიმილით მოისვრი დავიწყების მტვრისკენ, მაგრამ შენ ერთადერთს მაცხოვარი სიყრმიდანვე მხრებზე დაგაბერტყავს უჩინარის დანახვის თუ გადმოცემის უნარს და ცხადია, სულშეძრული მიუჩოჩდები მის უდიდებულესობას.

დანარჩენი ხომ მეტნაკლებად გამიცხადებია და თუ „სუფევას“ ბოლომდე მიადევნებ გაფაციცებულ მზერას, იქნებ რაღაც არსებითი

ამოკრიბო შენი ოსტატის — გურუს, შენი გური ოტობაიას მართუდ ქცეულ ცხოვრებიდან, რაიც მცირეოდენად მაინც შეგეშველება ოთხიათასი წლით მიძინებული ლაზერე-სამშობლოს ჯერეთ გამოსაღვიძელად და მერმე — საკუთარი მეობის თუ დედაკოსმოსის შესაცნობად შეუთავსებელ განზომილებათა შეთავსების გზაზე.

III

სტილი ქმნის ადამიანს

„დათა თუთაშხია“ — ქართული რომანის მწვერვალი

ამ მონაკვეთის უკეთ დასათაურება გამიძნელდა. დიახაც წერის მანერა ქმნის ბელეტრისტს: მოშაირეს თუ მერომანეს და რადგანაც არისტოტელეს მიხედვით სტილი ორბოლოიანი ჯოხია, რომლის ერთი წვერო დაფაზე განცდათა აღნუსხვის მატარებელია, ხოლო მეორე — წაშლის საშუალება, იტყვის სტაგირელი ხანდახან: სტილი შეაბრუნაო, ანუ დახვეწე ტექსტიო, და რამდენადაც ნატრიალებია სტილი, ანუ რამდენადაც გაკეთილშობილებულია მასალა, ნაწარმოებიც იმდენად გამობრწყინდება ხოლმე.

ამ პროცესს ჰორაციუსი უფრო ხატოვნად თხზულების ათი წლით ხარის ტყავში გახვევას მიუსადაგებს, რათა ასოცი თვის შემდეგ ავტორმა რაღაც მანქანებით აღმოაჩინოს განჯინის უჯრაში მტვერმოკიდებული ნაშრომი და უცხო თვალით, სხვის ქმნილებასავით აღიქვას ოდესღაც საკუთარი წიაღიდან გამოსული წვა-მდუღარება.

სტილის შებრუნება, „ბურუსის“ ავტორისებურად თუ მოვუქცევთ ენას და რომანების დაწდევების საშუალებაა, მაშინ გური ოტობაიას გაუბუქებლად შეიძლება ვუწოდოთ საკუთარი თავის მტერი და დამაქცევარი რომანელი, ვინაიდან ტრიადის ნაცოდვილარი პირველი წიგნი მას 34-ჯერ გადაუწერია და გადაუბეჭდავს ამავდროულად საშა ეგუტიას ნაჩუქარი „ერიკათი“.

ინდივიდუალური ძალისხმევით უკორექტორებია ორჯერ ათ წელიწადს ხარის ტყავში გამოკრული თუ ვერა, კომპიუტერის ტალანებში შეგზავნილი თხზულება და მხოლოდ მერმე, ისიც ნოესავით მოვლენილი დიმიტრი გულისაშვილის მეშვეობით ღირსებია ბაძგი-

ლენცოფისაგან გამოხშირვა, გამოსარეველება ისე რომ, ქრისტეს შემოდგომას არ დალოდებია, სადაც ღვარძლს თუ იფქლს დათავთავების შემდეგ განაცალკევებენ ხოლმე ერთიმეორესაგან, თანამდევი ბუნების გათვალისწინებით.

და ოდეს გური ოტობაია ხმას იმაღლებს სტილისტურ ცდომილებებზე ამ სამკალში, ეს უწინარესად საკუთარ შემოქმედებას შეეხება. — „სიცოცხლემისჯილების" პირველ-მეორე წიგნებს და არავითარ შემთხვევაში დასახელებული თხზულების მკითხველთან მესამე შეხვედრას — ტრიადის შემკონავ „ოდოიას".

აქედან გამომდინარე მელნის ხალხი რაიმე ახირებულობად, ან იაფფასიან „შურისძიებად" რისთვის ჩამომართმევს ძმის თვალში ბეწვის შემჩნევას, ვინაიდან ჯერ გური ოტობაიას მხედველობასაა გამოცლილი დირე და აწი, ვფიქრობ, რაიმე კერძო ინტერესით არაფრით შეიმწიკვლება მუშაკობა ესე.

ვერ ისწავლა მესხიამ წერა, ვერა, ვერაო, შენიშნავს ორბელიანი მამებისა და შვილების ერგასწლიან ომში, მაგრამ უფრო სავალალო სურათი დღევანდელ ჩვენს ბელეტრისტიკაში ყვანთალებს:

ორსაუკუნოვანი რუსული უღელი ქედზე გაჩენილ კოჟრების გვერდით უამრავ ბარბარიზმს და ფრაზის მათებურად მოქნევის ჩვევას გამოგვიმუშავა. ეს აშკარად თვალშისაცემია ყვითელი თუ ოფიციოზის მოთნე პრესის ზერელე გადათვალიერების დროსაც კი. იგივე ამაზრზენობაა ტელეეკრანიდანაც. ჩვენი საეთერო მასმედიის ყბადაღებულობა ამისი ცოცხალი ნიმუშია რადიომაუწყებლობის კომერციულ-ესტრადული ყბედობის მხარდამხარ. ორსაუკუნოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკა უთვალავ ცთომილ ენობრივ პოზიციას დალექავს ჩვენს მეტყველებაში, რომელიც პატროფილიის თვალთახედვით დიახაც მოითხოვს მიზანმიმართულ, განუხრელ გასწორებას, არა ნაჯახის პოლიტიკით მოსხეპილის და ქირქილ-სისინით გაწაწანებულს, არამედ აღმსარებლობით გამაჯისყურადებულს დასტაქრის კვალობაზე, რამეთუ საქმე შეეხება, ჩვენს ენას, მის მარადუკვდავ სხეულს, სამარის, პირსაც ვერდასათმობს. ჩრდილოური ვერბალური მუტაციები განსაკუთრებით ქართულ მორფოლოგიას დააჩნდება წარუშლელ დამღად, ვინემ ფონეტიკას და სინტაქსს.

ვკითხულობ ჩვენს კლასიკოსებს — კლდიაშვილს, ჯავახიშვილს, გამსახურდიას, ქიაჩელს, სხვათა და გული სიმწრისგან მეწურება:

ამ მართლაც და გიგანტ ხელოვან ხალხს ნუთუ არასდროს დასჭირვებია ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ჩახედვა- მეთქი, მიკვნესის სული.

ერთგან დიდი კონსტანტინე, გრამატიკოსებს დაუცაცხანებს მათი დაუსრულებელი წკავწკაკის გამო ქართულის სიწმინდისათვის:

— ეგრე რომ იყოს, მაშინ შანიძეები ყველაზე დიდი მწერლები იქნებოდნენო, მაგრამ მიმაჩნია, ეგ უბალავრო არგუმენტია. როგორც ზემორე აღმინიშნავს, ძირითადი ცდომილება დაახლოებით ოცდაათიოდე სიტყვის უმართებულო გამოყენების ბუნებისაა და კიდევ რამდენიმე მანკიერი ათეული ფრაზეოლოგია-გამოთქმისა, რისი ამპუტაცია ჩვენს მწერლობას მსწრაფლ გაანთავისუფლებს რუსიციზმების სიმსივნეთაგან.

აწგარდაცვლილი ხელოვანთა ნათელმეობა ზეცაში ტრიალებს და ერის ფსიქიკას ჩაშენებია ქვათა და კირთა; ჰოდა, მათი თხზულებების გამართვას ამიერიდან აღარაფერი ეშველება. მეც ხომ იგივეს ვეხმიანები მკითხველს ნაწარმოების ტრიუმფალური თაღიდანვე:

„ჩემი თხზულებების საბოლოო იერსახეს მხოლოდ და მხოლოდ მათი ავტორის სტიქსის ტალღებთან შეთამამებაღა თუ დააზუსტებს“ ანუ სიკვდილამდე უფლებას ვიტოვებ, ბევრი რამ შევცვალო ჩემს რიმანებში, სტილისტურ-ფრაზეოლოგიური მიმართულებით - მეთქი.

ამ ლმობიერებით ოდეს მივუბრუნდები გულიდან ხორცად გამონატან განწყობილებებს, მეიმედება, ზოილობად არ ჩამომერთმევა მეცადინეობა ესე; არავინ შემომკადრებს უმეცრის სირეგვნით: შეხედეთ, ერთი, ამ ბედოვლათს, თავადაც იგივე შეცდომები მოსვლია, ქაჩალი სიმელოტეს როგორ გვწამებსო, მაგრამ ხმა თუ ამიმაღლებია, შეგირდო, ჩემო, უფრორე შენთვის და შენისთანებისათვის, წინამორმედთა გამოცდილების მოშველიებით.

ჰოდა, რადგანაც დარწმუნებული ვარ მარადისში გადაბრძანებამდე ერთხელაც მიუბრუნდებიან ჩემი კოლეგები თავიანთ შემოქმედებას, ერთხელაც შეატრიალებენ სტილს, ერთხელაც დააწდევებენ ქვევრიდან ქვევრში ათგზის გადანატან ღვინოს, ქანააქინის აუცილებლობით განმიცხადებია: მსგავს ქირურგიულ ჩარევებს საჭიროებს ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“, ოთარ ჭილაძის „აველუმი“, გივი ალხაზიშვილის „ამოდის თუ ჩადის მზე“, მიხო მოსულიშვილის „უჟამო ჟამის რაინდი“, (აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“) თუ სხვა ნებისმიერი, რადგანაც ყველაზე შთამბეჭდავის მაგალითზე შეგპირებივართ ანალიზს, მეუმჯობესება, ისევ დიდი ამირეჯების შემოქმედებით დავუტრიალდეთ საქმეს.

„დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალის“ სტილისტური ანალიზით, ჯერ ერთი, ზედმიწევნით გამოიკვეთება ამ მართლაც თვითმყოფადი ორი თხზულების ერთავტორობა; ამასთან, ისიც მეგულისხმიერება, რომ ბატონ ნოდარ წულეისკირის სიჯიუტით არ ამიხირდებიან, ვი-

ნაიდან სამართლიანი შენიშვნის აღიარება გენიოსთა ხვედრია, ხოლო მართებული მითითების გამო ტლინკების ყრა—ტალანტების ძალისხმევის იდენტური:

არასდროს დამავიწყდება — სამ-ოთხგვერდიანი გამოხმაურება ამ ფრიად რაფინირებული მწერლის ნოველაზე „სისა ტურა“. ყურადღებამოდუნებული მკითხველის მისამართით ვაკონკრეტებ: იმ ნაწარმოების მიხედვით ახალგაზრდა დედას შვილი გარდაეცვლება, პატარა ბონდო. ქალიშვილი თავისნათქვამაა, მშობლებისათვის არასასურველ პიროვნებას გაჰყოლია ცოლად, რომელიც მალე „დიდ სამამულო ომში“ გაუწვევიათ და დაღუპულა კიდეც. ცეროდენა ბონდოსაც ლაჟვარისკენ გაუტოპავს, ანკარა სულს წაჰყოლია ვარდისფერი სხეულის ჟღურტულით; თუმცა დედა ძველებურად აკვანში არწევს პირმშოს, ეთამაშება, ჩვრებში ახვევს და ანანავებს. ხვალ გასვენების დღეა. მეტის დახანება არ შეიძლება. ამ მოლოდინით მშობელი მთვარიანში გადატოპავს სარწეველადან ამოარტახებული მემკვიდრითურთ. წაეხეტება სერი-სერ, კორდი-კორდ, ტყე-ტყე.

ბულბულების სტვენაში, ჩიტების ჟრუალში, ბუნების გასაოცარ ბაბანში მოწოლილი რძისაგან ძუძუები დაბერვია დედას. უცებ რაღაცნაირი ინსტინქტი უბიძგებს მშობელს, ბავშვს ტუჩებს ძალად დააღებინებს, პირში ჩაუჩრის გარუმბებულ კერტისთავს და ანგელოზს უსიცოცხლო წიაღში ჩაუღვარის მაცოცხლებელ ნექტრად. რამდენიმე მუშაკობაც და პატარა ბონდოიაც თვალს აახელს.

აი, სად მოვითხოვდი წერტილს მწერლისაგან. აი, სად აჯობებს ღუზის ჩაშვება-მეთქი, ყელს გამოვუწევდი ორი თითით ჯერ სტუდენტი, ჯერ სამწერლო ასპარეზისთვის უმწიფარი. შემპირდება, დავითანხმებს თითქოს, მაგრამ მორიგ გამოცემაში აღარაფერს გაითვალისწინებს ბატონი ნოდარ წულეისკირი, და ახლაც ძველებული ვარიანტით შინისკენ მიიჩქარის შვილის გაცოცხლებით გახარებული ჯურგუს ცირა; ახლაც გადარეული დარბის ოდა-სახლის ტალანებში ბედნიერი დედა, დიდსა და პატარას აუწყებს ბონდო ბიჭის ხელმეორედ სულისდგმას. ჭკუიდან გადაცდენას სწამებენ. მისი მონათხრობის არავის სჯერა, მაგრამ ფაქტი ყველაზე მძაფრი სამხილი საბუთია და ირწმუნებენ როგორღაც სრული კვირის მანძილზე დანატირები ჩვილის ხელმეორედ მოვლინებას ცოდვილ ცისქვეშეთში.

რანაირი ფინალი შეგვიძენია?! სად აჯობებს თხრობის აღვირის დამოკლება? ნუთუ იოტისოდენად სცოდავს მწერლობისაკენ ახალფეხადგმული გულადი ფეტელავა? ამგვარი სიჯიუტით თუკი განგვიზრახავს გასირაქლემება, კეთილი, მიაყურადონ უბირთა ქვიშროვანების შრიალს, ჩვენ კი დიადი ნაწარმოებების უკეთ გამართვისათვის ვიმუშა-

კოთ, შეგირდო! ხომ მისწავლებია: ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვას-მეთქი?! ან ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის, წყალი რბის და დრო ქროლავს, ჰოდა, ვიაროთ თავაწეულად ლიტერატურული წელგამართულობისაკენ, მოწაფევ, ჩემო!

ყველაზე მიმღები, ყველაზე მიმტევებელი ამ მეცადინეობაში ვინაიდან და რადგანაც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი წარმომისახავს, განსაკუთრებით მისი თხზულებების თვალსაჩინოებით გავმართავთ მსჯელობას, ხოლო შინაარსობრივად, მიზანდასახულობით, ანუ მწერლისმიერი ჭირნახულით, რაფერ, რანაირად და რამდენად აღმიქვამს მეოცე საუკუნის მიწურულის ქართული ბელეტრისტიკის, ეს ორი იშვიათი მონაპოვარი მკითხველის სათანადო მოცალეობისათვის მიგვინდვია.

მაშ, ასე, ვიწყებთ „დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალის“ მიხედვით სტილისტური ლაფსუსების დაფიქსირებას, გვერდების მითითებით, ვინაიდან ოპონენტი ოტობაია დარწმუნებულია, შემდგომ გამოცემებში ეს მხცოვანი — „ხმელი კოპიტი“უფროს კალანდიასბურად, ერთხელაც მიათვალყურადებს სტილის გადაბრუნებას; ერთხელაც დაეღირება ზადისა და ხიჭვის ჩამოშორებას ოსტატის მიუკერძოებელი სწორ-მრუდის შალაშინით; დანარჩენ მწერალთათვის კი პრინციპი ერთ-ერთი სამამულო ანდაზის კვალობაზეა:

კოკას ეუბნებოდნენ და ლიტრავ შენ გესმოდესო.

ყველაზე მეტი ხერგი ჩვენს მწერლობაში ორმაგი უარყოფის წყალობაა. ორმაგი უარყოფა რუსოფილიის მანკიერი მემკვიდრეობაა, ჩვენი მეტყველებისათვის ტრადიციულად არაბუნებრივი, მაგრამ დროთა ვითარებაში ყურს მორგებული, ლამის მართებულად მიჩნეული და უკვე სიტყვაკაზმულობაში სწორ მიმართულებად გაფორმებული.

ეს ტრადიცია მეგრელიზმებით შემოღწეულა ჩვენს ცნობიერებაში. მეგრელი იტყვის: „დღას ვამალინე“, „მუთუნით ვამალინე“, „დღას ვარ მალინე.“ „მუთუნით ვარ მალინე“. „ვარ მალინე“ — „ვერ წავალში“, უარყოფითი მაჩვენებელი ნაწილაკი, „ვა“, „ვერ“, შემდგომში „არა“, შეზრდილივითაა, ერთსხეულიანობის ილუზიას ტოვებს, სინამდვილეში ბარბარიზმია.

„ნიკაგდა ნე პაედუ“-ო, ამბობს რუსი და ლიტერატურაში ჭიპმოჭრილი ქართველიც ბრმად მიჰყვება უცხო თესლის მეტყველებას. ეს ხომ თვალზე გადაკრული საუკუნოვანი ლიბრია, რომლის კორექცია ხელის ერთი მოსმითაა შესაძლებელი, ძალისხმევა იკითხე თორემ. ჩვენი მწერლები ამჟამად, ამ მიმართებით, გარდამავალ პერიოდში იმყოფე-

ბიან, ვინაიდან მართებული ფორმების გვერდით, თანაარსებობს უამრავი ცდომილება, თუმცა რედაქტორებად თითქოსდა წიგნიერი ხალხი უვით:

1. „მაგრამ აქეთ დათას კრიჭა რომ ვერ გაუხსნა ვერაფერმა“ (24), ამ კონტექსტში „ვერ“ ზედმეტია და ამოსაგდები. გასწორების შემთხვევაში წინადადება შემდეგ სახეს მიიღებს; „მაგრამ აქეთ დათას კრიჭა რომ ვერაფერმა გაუხსნა“. ყველაზე მეტი გარანდვები ამ კუთხითაა საჭირო. რედაქტორს, ესთეტს, ბატონ რევაზ თვარაძეს თავად გაპარვია მსგავსი ლაფსუსი ჩინებული წიაღსველების ბოლოსიტყვაობაში „ბედი საღმრთო რაინდისა“, თანაც ოთხგზის. აქედან გამომდინარე — ფორმები, „ვერასგზით ვერ იქნებოდა“, „არასგზით არ მოხდებოდა“, „არსად არ არის მინიშნებული“, „ვერასგზით ვერ ეგუება“, მისახვედრებელია, რომ მარათონული ეპიკური ტილოს კონტროლისას მასაც გაპარვოდა მსგავსი წაბორძიკებანი.

არ დავიზარებთ გულისყურს ამ იშვიათი ფასეულობების რომანის გასაკეთილშობილებლად და სხვა მაგალითების ამონარიდებით წერილი რომ არ გაგვიზვირთდეს, უბრალოდ ნაწარმოების გვერდებს მივუთითებთ, თანაც დავსძენ, წინდებული გამოცემა ეკუთვნის „თეთრი გიორგის“ გრიფს, სიღნაღი, 1997 წელი.

„თუთაშხიამ ვერც ერთი საფარი ვერ შენიშნა“ 16, 20-3, ამ შემთხვევაში მივანიშნებ, რომ ორმაგი უარყოფა მეთექვსმეტე გვერდზე ერთგან და მეოცე გვერდზე სამ ადგილას არის გასასწორებელი- მეთქი.

„ვერ გავიგე ვერაფრით“ 21; „აღარ აყვა აღარავის“ 22-3, 23-3, 24-3, 25 26-2, 27, 29-2, 30, 44, 49, 50, 51, 53, 54, 55, 57-4, 58-2, 59-2, 60, 61; „მარა ვერ დავაჯერე ვერავინ“ — 63-3, 64; „არაფერი არ გამოვიდა“ — 65, „არაფერი არ ვიცი მე“, 66. რა ვუყოთ ლამის ფორმულასავით ქცეულ ამდაგვარ მიდგომას? „არავის საქმეში არ ვერევი მე?“ „ფიცი დამიდვია, აღარ ჩავერევი აღარავის საქმეში“— 67.

კი, ბატონო, ჩემთვის გასაგებია გმირის კოლორიტის შენარჩუნება:ხანდახან უმართებულო გამოთქმა დასაშვებია მეტი სიზუსტისათვის, მაგრამ მთელს რომანს მსგავსი ინტონაციით თუკი გავძეძგავთ, ვის გადავაბაროთ ენის სიწმინდის მეციხოვნობა?

შეგვიძლია თავი ვიმართლოთ:

რომანი ეპისტოლარულია და ამიტომაც ორმაგ უარყოფებს მე ნუ მომაწერთ, მწერალს, არამედ ჩემს გმირებს მოსთხოვეთ პასუხიო, თუმცა მსგავსი მიმართება ფონს ვერ გაგვიყვანს. ქართული ენის სიწ-

მინდე ყველგან და ყოველთვის მოითხოვს ცდომილის გასწორებას. პროკრუსტეს სარეცელის მიმდევრობას ნურავინ დაგვწამებს. აქ ხომ შემეძლო ამგვარადაც დამეწერა: „ნურვინ ნუ დამწამებს-მეთქი", მართებული იქნებოდა?

ამიტომაც „არავითარი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია", 70; სტილისტური ცდომილებაა, თუმცა ეს ფრაზა გრაფი სეგედისგან მომდინარეობს, მეფის ტახტის გულმხურვალე მცველი გენერლისაგან, ამავდროულად „რუსისგან", მაგრამ როდესაც იგი ქართულად საუბრობს გამოთქმა ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს, ან უკიდურეს შემთხვევაში რუსულად აგვემეტყველებინა, სხვა ამბავია.

იგივე რანგისაა „არასგზით არ დაგვეშვა ლიტერატურის გავრცელება", 75; „რომ ვერავითარ გარიგებაზე ვერ წამოვალ, არავითარ კომპრომისს არ დავუშვებ", 76; „ვერასგზით ვერ მოხერხდება", „ვერცერთნაირი შედეგი ვერ მოგვცემს ხელს", 77; „არავის კომპრომეტაციას არ შევუდგებით",79; „ხმა კაი ხანს ვერც ერთმა ვერ ამოიღო", 86-2; 87;

„თითქმის არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო", 84;

„არავინ არ მოვიდა" 88; მართებულია „აღარავინ მოვიდა".

„წყლის მეტი არ უნდა მივცეთ არაფერი", ესეც დიალოგშია. ამავდროულად ცთომილი ფორმით. რა ვიღონოთ, ჩვენებური მეთოდით ხელოვნური გამოგვდის. დავამკვიდროთ ცდომილი ორმაგი უარყოფა?!

„რომ ამბობდი ამ ფარაონის შიშით სათოფეზე ვერ გაივლის ვერც ერთიო", 90;

ხომ შეიძლება ასეთნაირადაც ითქვას: ფარაონის შიშით ვერცერთი გაივლისო?

„იმ გზით აქედან არაფრის წამღები რომ არა ხარ, რატომ არ ფიქრობ ამაზე?" 92-2;

„არ უკითხავს არაფერი", 94; არაფერი უკითხავს;

„ვერც ერთ ცხოველს ვერ შევნიშე", „არაფერი არ მომხდარა ისეთი", 98; ისეთი არაფერი მომხდარა. 99-3; „ადვილად ვერ მიხვდებოდა ვერაკაცი"— 100, ადვილად ვერაკაცი მიხვდებოდა;

„პაემანის ბოლომდე ცხვირს ვერ გავყოფდით საფარიდან ვერც ერთი", 104-105 . „ჭონიას არავითარი წიანაღმდეგობა არ გაუწევია, 106, 108-2;

„არავის და არასოდეს არ ვემხრობი მე", 111;" აღარც ერთი აღარაა ადამიანი მაგათში"? „არასოდეს არ უნდა ჩაერიოს კაცი სხვის ბედიღბალში"; 112;

„მაგას ვერ გავიგებთ ვერასდროს“; მაგას ვერასდროს გავიგებთ;

„ხომ ხედავ, ვერ გამექცევი ვერსაით“. ხომ ხედავ ვერსაით გამექცევი!“ 113;

„შენ არ მატყუებ არასდროს“.შენ არასდროს მატყუებ, 121; 128-2;

„მისი ხელის მოძრაობას თვალი ვერც ერთმა ვერ შევასწარით“— მისი ხელის მოძრაობას თვალი ვეღარცერთმა შევასწარით. 129,2;

„იმდენი მნიშვნელობა სხვაგან არსად არა აქვს“—სხვაგან აღარსად აქვს, „... ზნეობის ნორმებთან არასოდეს არ ვითანხმებ“, „არაფერს არ ვართმევ“, 146-147;

„არავითარი მასალა არ გააჩნდათ“, 156;

„მას იმის მეტი აღარც არაფერი დარჩენოდა“. მას იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, 160; 162-3;

„არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. არავითარ მნიშვნელობას ვანიჭებდი, 164;

„არავითარი გამოცდილება არ გამაჩნია“, 166;

„ეგ საბუთი ჩემთვის საჭირო არაა არაფრად“, 167; 173-2;

„არც ერთი არ მაკმაყოფილებს“. აღარც ერთი მაკმაყოფილებს. 174;

„ვერ გასწავლის ამას ვერავინ“, 181;

„მუსკიას მეტმა არც არავინ იცოდა“. მუსკიას მეტმა აღარავინ იცოდა 192; 220-2;

„ქვა ქვაზე ნუ დარჩება ნურსად-მეთქი!“ ქვა ქვაზე ნურსად დარჩებამეთქი, 226l;

„ხელს ვერ ახლებს ვერვინო“, ხელს ვერავინ ახლებსო. 227; 232-2; 233; 234;

„არაფერი არ დადებია, სახელს რომ გაუფუჭებდა, ისეთი“, 237; 238;

„არავინ არ ღირს არაფრად“, 239; 240-2, 241-2, 242, 243-2, 244;

„ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჩოჩებული ქვა არ გამომეპარებოდა არაფრისდიდებით“. არაფრისდიდებით გამომეპარებოდა, 260, 263, 266, 284-285, 308;

„ვერავინ ვერ გამიბედავს ვერაფერს“. ეს მეგრული ფრაზის პირდაპირი თარგმანია: „მითინ ვაგამბედ მუთუნს“, ქართულად გამართული კი იქნებოდა: ვერავინ ვერაფერს გამიბედავს. 319; 332; 335;

„ვერ გაიგო ვერავინ ვერაფერი“, 340; 341-2; 343-2;

„ძალა არც ერთ არგუმენტს არ გააჩნია“. ძალა აღარც ერთ არგუმენტს გააჩნია, 349; 353;

„არასდროს არ მენახა შემცბარი ეფემია-წინამძღვარი“. შემცბარი ეფემია-წინამძღვარი აღრასოდეს მენახა, 358;

„რომ მიზეზი ვერ გაიგო ვერავინ“, რომ მიზეზი ვეღარავინ გაიგო; 369;

„არაკაცს არ ამოუღია ხმა“. ხმა არაკაცს ამოუღია, 372; 374; 375; 376;

„ვიღაცის მოცემული თავისუფლების იმედი ნუ ექნება ნურავის“. იმედი ნურავის ექნება, 387;

„ვერაფერს ვერ შევადარებ“. ვეღარაფერს შევადარებ, 402; 403-2; 425; 432; 434; 451; 465; 467; 468;

„ამდენ ტუტუცს ერთად ვერ ნახავ ვერსად“ — ... ერთად ვერსად ნახავ, 471; 472; 478; 488;

„აღარასოდეს აღარა ჰქონია“. აღარასოდეს ჰქონია, 505; 521; 528; ეს ფველაფერი ორმაგი უარყოფის თვალსაზრისით“ „დათა თუთაშხიაში“, ვიმეორებ კიდეც, სტილური კოლორიტის შექმნა უმართებულო ქართულით მიუღებელი მგონია.

იგივე ცდომილებებია, დასავლეთ საქართველოს განსხვავებულ გარემოში, „გორა მბორგალში;

„... ვერც ერთმა სახელმწიფო თუ კერძო ინფორმაციის წყარომ ვერ უზრუნველყო ცნობის გავრცელების ისეთი სისწრაფე“ 19; 28; 33;

„რომ არფერი ამდაგვარი არ მოხდება“. რომ ამდაგვარი არაფერი მოხდება, 36; 37; 47;

„რაიმე კონტაქტზე ვერავითარი ძალა ვერ დაიყოლიებდა“, 50; 52; 53; 58; 81;

„არსად არ მსახურობ“. აღარსად მსახურობ, 91; 104; 128;

„ქართველებს არავითარი იარაღი არ გააჩნდათ“, 187; 195.

„ვერავინ ვერ მიაგნებს“. ვერავინ მიაგნებს, 211.

„ერთ კვირაზე მეტს ვერავინ ვერ უძლებს“. ერთ კვირაზე მეტს ვერავინ უძლებს, 213; 252;

„ქრისტეფორეს ვერანაირი წამებით ვერ აკისრებინეს“ — ვერანაირი წამებით აკისრებინეს, 314; 316;

„ვერც ერთი წევრი ვერ გაიმეორებდა“. ვეღარც ერთი წევრი გაიმეორებდა, 338;

„არავის არაფერი უთხრა“, ამ ფრაზაში „თუთაშხიასგან“ განსხვავებით „არ“ ნაწილაკი ამოგდებულია და ასეთი მიდგომები თვალშისაცემია, მაგრამ როგორც გზადაგზა დავინახავთ სამკალი ფრიად არს.

„ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანე“, 479; 480; 487;

„გიჟი არავის ჩხუბში არ ჩაერევა“, 493; 507;

„შენ არასდროს არ გექნება ფული“, ამას მეგრელი ჭონია, ან ვინმე ცხენიპარია სარჩიმელია როდი ამბობს, არამედ თბილისელი მესტამბე

ბესარიონოვიჩი. უნდა იყოს კი „ფული შენ არასოდეს გექნება“, 529, 566; 577;

„ქმარი არც არასდროს ეყოლება“. ქმარიც არასოდეს ეყოლება, 648;

ჩემთვის გასაგებია „მბორგალის“ შინაგანი მონოლოგის სტილისტიკას რომელი მივიწყებული ნაწარმოები დასაფუძვლებია, მაგრამ ვინაიდან გაცხადება მეუხერხულება, შედარებით უწყინარ განჩხრეკვას მივსდიოთ.

„მბორგალი“ სამგზის ნაკლებ ცდომილებას მოიცავს „თუთაშხიასთან“ შედარებით, ორმაგი უარყოფის თვალსაზრისით. ეს ყველაფერი რედაქტირების თუ გამოთქმათა მართებულობის ხარჯზეა, თორემ თავად მსგავსი კონსტრუქციის წინადადებები ორივე რომანში დაახლოებით თანაბარი ოდენობითაა.

2. მეორე მთავარი სტილისტური ცდომილება რიცხვითი სახელის უმართებულო წარმოებაა, რომელიც ორივე ნაწარმოებში სათანადო დოზითაა წარმოდგენილი, მაგრამ ცდომილებების გვერდით მოიძიება მართებული ფორმებიც. ასეთი რიცხვითი სახელი გახლავთ „ორთავე“, „სამთავე“, „ოთხთავე“;

„ორთავეს რაღაცა გვჭირდებოდა“ — ორივეს რაღაცა გვჭირდებოდა 11..

„აქეთ ორთავე ტყუპები ვისხედით“, 31;

„ორთავე ძმა წამოვედით“, 30;

„ორთავე ჯიბიდან ფულები ამოიღო“, 33;

„სამთავემ წიგნებში წაყვეს ცხვირები“, „კალთაში სამთავეს ერთნაირი, შუაზე გაკეცილი წიგნები ედოთ და თვლემდნენ, 40;

„ორნი იყვნენ, ორთავე ქვეითები“, 119;

„ნაბდები სამთავეს სკამების საზურგეებზე გადაეფინა“, 122-I; 123-2; 128;

„ორთავემ მაუზერები მოიმარჯვეს“, 133; 156;

„ორთავეს გაგვეცინა“, 172;

„ჩვენ ორთავე განაბული შევცქეროდით, ორთავეს ღიმილი გვითამაშებდა სახეზე“, 175; 180;

„ორთავენი ბაცაცები იყვნენ, ეხლა ორთავენი ავაზაკები არიან...“ 287;

„ერთნაირად ჩადის ოთხთავეში“, 286; 289; 305; 320;

„თუთაშხიას ორთავ ხელებში მაუზერები ეჭირა“, აქ მცდარია ფორმა „ორთავ“, წესით უნდა იყოს ორივ, და თან ცდომილებაა მრავლობითის შეთანხმებაში, უნდა იყოს ორივ ხელში, 327;

„ორთავემ ერთად დაუწყეს“, 329; იგივე ცდომილებაა, უნდა იყოს ორივემ ერთად დაუწყო, 357;

„სამთავენი ერთად წავიდნენ“, 390; სამივე ერთად წავიდა;

„თავისას და დაახლოებით ორთავე“, 401; 403;

„შემდეგ ორთავენი დემბინს ვესტუმრეთ“, 437; 438; 445;

„ახლა გალავნის სამთავე კედელთან მიიტანეს იერიში“, 451; 452;

„ორივემ ერთდროულად ისკუპა“; „ორთავეს ყველა ადგილიდან წყალი სდიოდა“, 461; 478; 499;

„თავღია ქისა ორთავ ხელებით ეჭირა ბონიას“, ორივე ხელით, 525;

„ორთავე ხელი საფეთქელებში ატაცებინა“, აქ ისევ დროის უთანხმოებაა. 529;

ახლა შევხედოთ „გორა მგორგალს“:

„ჩლიქების კვალი ორთავე მიმართულებით იდო“, 93;

„საკვებიც ორთავეს გეყოფათ“. 97; 105; 126;

„ორთავე შვინდა და ნიშა“, 128; 138; 145;

„ორთავეს ხელი ჩამოგვართვა“; 181;

„ორთავე დაიჭირეს“, 323;

„ორთავე სამსახურში იყვნენ“ — ორივე სამსახურში იყო, 331.

„ორითავენი სპორტსმენები ვიყავით“, ორივე სპორტსმენი ვიყავით, 356; 392; 398;

„ორთავენი ბლუ აღმოჩნდნენ“ — ორივე ბლუ აღმოჩნდა, 417; 419; 445;

„სამთავემ იმუშავა“, 454;

„ვადას სამთავე ერთად ვიხდიდით“, 527; 541;

„ჭკუაზე ორთავენი გადაცდნენ“, „ორთავეს ფეხები გაეფშიკათო“ — ჭკუაზე ორივე გადაცდა, ორივეს ფეხები გაეფშიკა, 617;

ვფიქრობთ „დათა თუთაშხიას“ აქაც მისდევს „გორა მბორგალი“.

3. ქართულ მწერლობაში შეცდომითაა დანერგილი ფასეულობასთან დაკავშირებული მცნება. რუსული „ценность“ ჩვენმა ბელეტრისტიკამ „ღირებულებად“ მოათარგმნა, ღირებულება კი ნივთის გასაყიდი კრიტერიუმია.

ამ ბოლოდროს შეინიშნება ეკონომიკურ ლიტერატურაში მსგავსი ლაფსუსის გასწორება და სადაც თვისებრიობაზეა საუბარი, ყველგან ფასეულობა წერია, ხოლო სადაც მატერიალურ მხარეზე, ფასთან დაკავშირებულ მომენტებზე — ღირებულება. მწერლობაში კი ეს ხარვეზი რატომღაც დღემდე ვერაფრით გამოსწორებულა.

„თუთაშხია“: „ადამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისი ზნეობრივი ღირებულებებით განისაზღვრება“. 9;

რომ არაფერი ვთქვათ ტავტოლოგიაზე, ეს მომენტი ყველგან გასწორებას მოითხოვს.

„სხვა სახის ღირებულებათა შეძენაში რატომ უნდა ვეხმარებოდეთ?“ — სხვა სახის ფასეულობათა... 166;

„აქ მოხდა პირველი გარდატეხა ჩემს აზროვნებასა და სულიერ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულებაში“, 259;

„... მართალია, ერთობ დაბალი, მაგრამ მაინც მდგრადი ღირებულების, ანუ სახნოვის მხარი დამეჭირა,“ 318;

„რომ არ გამოდის, მაშინ ის უნდა აკეთოს კაცმა იმ ორში, რომელი უფრო ღირებულია“, ამას ახლა დათა თუთაშხია ამბობს და არა გრაფი სეგედი, 343.

„რომ ღირსებულებათა გადაფასების ჟამი დამიდგა“, 348.

„მაგრამ ჯანდაბას, მიზანი თუ იქნა უფრო ღირებული“, 470; ისევ დათას მეტყველებაა.

„ხალხი სულიერსა და ნივთიერ ღირებულებებს ქმნის“, 477; 480;

„გორა მბორგალი“: „მას მერე თვით ტერმინი აღარ იხმარება, მაგრამ მის არსს ღირებულება დიდხანს არ დაუკარგავს“, 249;

„პირადად მე, მწოლარეს, ცოტად თუ ბევრად ღირებული იდეები არ მებადა“, 501;

ჩემი წილის ღირებულებად (საფასურად, გასამრჯელოდ ვიტოვებ, აქ, 532.)

4. რუსიციზმის უტყუარ კვალს ჩვენს ბელეტრისტიკაში არცთუ იშვიათად შეეფეთებით სიტყვა „მიიჩნევდა“, „მიიჩნდას“ უმართებულო ფორმას „სთვლიდა“, „თვლის“ სახით, ეს ყველაფერი როგორც ზემორე გაგვიცხადებია, მომდინარეობს ფონემა „სჩიტალ“, სჩიტაეტ“-იდან.

„თუთაშხია“: „თვლით თუ არა დაზარალებულის ჯანმრთელობას...“, 12; აქ უნდა იყოს, „მიიჩნევთ თუ არა“;

„დაზეპირებებს რეზულტატად ითვლიდა“, 89;

„ამ საქმეს წაგებულად არ თვლიდა“, 80;

„ჩემს თავს ვალდებულად ვთვლი“, 165;

„ამას განხორციელებულ თავისუფლებად ვთვლი,“ 173; აქ „ვთვლის“ მაგივრად შეიძლება ჩაჯდეს „მივმიჩნევ“, „წარმოვსახავ“, „ვადასატურებ“, ან სხვა კონსტრუქციით „განხორციელებული თავისუფლება მგონია“, „ეს განხორციელებულ თავისუფლებად შემირაცხავს“ და ა.შ. ოღონდ არა „ვთვლი“; ვთვლი წიწილებს, ფულს; ვთვლი რიცხვებს და არა დასტურის ბადალი მცნება.

„ნაწილობრივ იმანაც შემაფერხა, რომ, ვნახოთ და ასეთ საქმეებში ჩარევას მანდილოსნისთვის შეუფერებლად სთვლიდე?“ 231;

„თავს ვთვლიდი იმ მოგვად,“ 316, 317-2, 371, 423;

ისინი თავს „ციხის პატრონებად“ თვლიდნენ, 426; „მაგრამ დათა თუთაშხიას მაინც სულ სხვა ბუნებისა და არსის ძალად ვთვლიდით,“ 432, 457;

და „გორა მბორგალი“: „მოქალაქეობრივ ვალდებულებად ვთვლიდი,“ 199;

„ქაღალდს მხოლოდ ისინი სთვლიდნენ რაიმე ფულად...“ 177;

„და შედეგს მიღწევად სთვლიდე“, 240;

„რუსული მპყრობელობის სიმბოლოდ სთვლიდა“, 246;

„მე ამ ვითარებაში წასვლას დეზერტირობად ვთვლი“, 256;

5. გამართვას საჭიროებს მეტყველებაში უსწოროდ დამკვიდრებული და მწერლობაშიც უმართებულოდ შემოსული „ფაქტიურად“;

„დათა თუთაშხია“: 138, 139, 2140, 199, 216, ფაქტობრივს მოითხოვს, როგორც ეს გამართულად გამოყენებულა ერთგან; „არც ჭეშმარიტების ამოცნობა გაუჭირდებოდა და არც ფაქტობრივ მასალის მოპოვება“, 266;

თუმცა იქვე, გოჯის მოშორებით კვლავ „ფაქტიური“ წერია, 267, 394;

ამ მომენტს არც „გორა მბორგალი“ ჩამორჩება:

6. ერთგვაროვანი შეცდომებია დაშვებული და მაერთებელი კავშირით დაწყვილებული სიტყვების გადმოცემისას:

„მიგვეშველა კარვის დადგმაში და დაბინავებაშიც“, 14; აქ უნდა იყოს: კარვის დადგმაშიც მოგვეშველა და დაბინავებაშიც; ან კარვის დადგმასა და დაბინავებაშიც მოგვეშველა.

„გზებზე და ბილიკებზე სიარული არ ვარგა არაფრად“; 60, აქ ორმაგი უარყოფა სხვა ცდომილებითაც არის დამძიმებული: და კავშირით დაწყვილებულები ერთ პოზიციაში არ უნდა იმყოფებოდნენ. საჭიროა გზებსა და ბილიკებზე;

„დავიწყებ ფიქრს აქეთ ძროხაზე და ღორზე, იქით ქათამზე და ყანაზე“, 105; უნდა იყოს ძროხსა და ღორზე, ქათამსა და ყანაზე“.

„ყველა საზამთრო ცენტრში და მსხვილ დასახლებულ პუნქტში საგანგებოდ შეარჩია...“ 143; აქაც „ცენტრსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტში“, 154, 163;

„ყველა სარწმუნოებაში და ჩვენს სახარებაში“, 163;

„ერთმანეთის დაცინვაში და ლანძღვაში ვატარებთ დროს“. დაცინვასა და ლანძღვაში, 224; 225;

„საიმპერიო სამმართველოში და სამინისტროში ზარანდიას...“ 264;

„უცხო ქვეყნების რომელ ქალაქებში და რომელ ბანკებში აქვს გახსნილი მიმდინარე ანგარიში ჰაჯი-სეიდს?“ 296.

„... დედაკაცი მორჩილებაში და ღვთისმოსაობაში რა საშუალებებით უნდა მყოლოდა“, 353.

„გორა მბორგალი:“

„გასაჭირში თუ ლხინში განზე გადგომა, ან გულგრილობა?..“ 237.

„წავიდა ისევე, როგორც მთელი მისი თაობა წავიდა — ვინ უმჯობეს სამყაროში, ვინ ციმბირში და ვინ ემიგრაციაში“, უნდა იყოს ვინ ციმბირსა და ვინ ემიგრაციაში. 256.

„ამასობაში, ბანკი ადგილს იცვლის, ადმინისტრაცია სტოვებს თავის სახლებს, „ქვრივები“ ბავშვებითურთ მათ სახლებში თუ ბინებში გადიან საცხოვრებლად“. 362;

„ყირიმში თუ სადღაც იქაურობაში, გერმანელებს აეროდრომი ჰქონდათ“, 402.

7. სტილისტური კელენაობით გამოიყენება ქართულ ბელეტრისტიკაში უმართებულო ფორმებით დამკვიდრებული სიტყვები, როგორიცაა: „თანმიმდევრობით“.

„დ.თ — 14, 428; „ბ. მ.“ 80, 327; საჭიროა თანამიმდევრობით;

8. „მეტ-ნაკლებად“ დეფისს არ საჭიროებს. იწერება ამგვარად: მეტნაკლებად, 28;

9. „ქაოტურის“ მართებული ფორმაა „ქაოსური“, 346;

10. „თვისობრივი“ ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით ყველგან თვისებრივია, ვინაიდან ეს სიტყვა თვისებიდან მომდინარეობს, „დ.თ.“314, 375.

11. „მასიურად“ ცდომილებაა ხალხის მიმართებაში. მასის ცნების გადმოსაცემად საჭიროა „მასობრივად“, ვინაიდან „მასიური“ ნივთიერს გამოხატავს, 295, „გ.მ.“

12. დღემდე ვერაფრით მოგვიშორებია მწერლობაში ზადიანად დამკვიდრებული „ზეზეულად“, მისი სწორი ფორმაა „ზეზეურად“, „დ.თ.“ 286, 625; „გ.მ.“ 625;

13. აჩრდილივით გვსდეს ფეხდაფეხ მანკიერი „ხანდისხან“, ნაცვლად „ხანდახან“-ისა, „დ.თ.“ 117;

14. გასწორებას მოითხოვს „ეჭვს გარეშე“, „ყოველ მიზეზს გარეშე“, თუნდაც ამნაირად — უეჭველად;

15. აქა-იქ ჩასაფრებული:

„მუშნი ზარანდიას ქმედებების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მას „სხვაგვარად არ ძალედვა“, 80. აქ „იმაში მდგომარეობდა“, აშკარა რუსიციზმია, ქართულად იქნება „ის იყო“, ან „ის გახლდათ“. იგივე სიტუაციაა „დ.თ.“, 255, 335;

„ეგ რაში მდგომარებს“? კითხულობს გორა მბორგალი და იქვე პა-

სუხობენ, „იმაში, რომ...“, ასეთი მეტყველება ხომ აშკარად რუსულიდან გადმოღებული ფრაზეოლოგიაა, „გ.მ.“ 95; 316;

16. „ნერვებაშლილი“ უგემოვნობის მადასტურებელია, აჯობებს ძარღვებაშლილი.

17. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კრებითისა და რიცხვითი სახელის ასინქრონულობა: „სახნოვ-ზარანდიას წრის ყველა ურთიერთობები“, „მეხსიერებაში აღვიდგინე ყველა საუბარი; „დ.თ.“ 259.

აქ ერთგან ყველასთან „ურთიერთობების“ მეზობლობა ცდომილია, მეორეგან „საუბარი“ მართებული. როგორ მოვიქცეთ ენობრივი პოზიციიდან, რომელს ვენდოთ, რომელი მივიჩნიოთ ჭეშმარიტად?

საერთოდ აღიარებულია, ნებისმიერ კრებსით სიტყვას შეწყვილებისას სახელი, მხოლობითში ეთანაწყობა ზმნას, რასაც უარყოფს რუსული და მეგრული მეტყველება, მაგრამ თუნდაც სტილური თავისებურების შემოტანა გვნებავდეს, განა ცდომილებებით შევქმნით კოლორიტის ეფექტს?! ჩვენ შეგვეძლო ამის თაობაზე ერთხელ აღვნიშნოთ სადმე, ვთქვათ, ამდაგვარად: გრაფი სეგედი ქართულად მეტყველებისას სიტყვა „ყველას“ მრავლობითში უთანხმებოდაო და მორჩა, გვეცოდინება, რომ ეს მისი ახირებაა, თავისებურება, გრამატიკული ანაქრონიზმები, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე?

„... რომლის წინაშე ყველა, მიუხედავად გონებრივი, წოდებრივი თუ ქონებრივი მონაცემებისა“, იქნებ „მონაცემისა“? 315;

„... და ჩვენც შეგვაყვარა წიგნი, ყველა შვილებს“, 340. ამას ამბობს შალვა ზარანდია, უმაღლესი განათლების კაცი.

ახლა შევხედოთ „გორა მბორგალს“:

„სხივები მილიონობით შტამბებში გამოღწევას ლამობდნენ“, ამ ქაჯურს მორჯულების შემდეგ ამგვარი ამეტყველება უწერია: სხივები მილიონობით შტამბში გამოღწევას ლამობდა. 168;

„თითო სართულზე თითო შვიდოთახიანი ბინა იყო, ფლიგელში უამრავი სათავსოებითა და დამხმარე სადგომებით“. გაქრისტიანების მერმე ეს წინადადებაც ამნაირად მოიქცეოდა: თითო სართულზე შვიდოთახიანი ბინა იყო, ფლიგელში უამრავი სათავსოთი და დამხმარე სადგომით. 273.

„ზემოთმოყვანილი ანდაზით იხელმძღვანელა: დაუწყო ცემა, მაგრამ ნაირ-ნაირი წახალისებებისა და იდეების პროპაგანდის თანხლებით“; გავიგოთ ერთხელ და სამუდამოდ: მილიონობით, ყველა, ნაირნაირი, მრავალი, ბევრი, უამრავი, აურაცხელი და ასე შემდეგ — კრებითი სახელი სიტყვის დამეზობლებისას, გრამატიზაციისას მხოლობით რიცხვს

მოითხოვს; მსგავსი ქირურგიით წინდებული წინადადებაც ასეთნაირ ფორმას შეიძენს: ზემოთმოყვანილი ანდაზით იხელმძღვანელა: დაუწყო ცემა, მაგრამ ნაირნაირი წახალისებისა და იდეის თანხლებით, 289.

18. ცალკე საუბრის თემად მიმაჩნია ქართულის და საერთოდ, ჩვენს მწერლობაში, ფონემა „დაჯდომისა“ და „დასხდომის“ პრობლემა. „დავჯე რუსთველმან,“ გვეტყვის პოეტი, მაგრამ სადაც მრავალობითობაზეა საუბარი, ყველგან „დასხდომას“ აფიქსირებს: „... სანამდე დავქვეითდებოდით, იარაღს ავისხამდით და ისევ შევჯდებოდით“, „ქე ვთქვი უკვე, ათ დღეს ვერც ცხენებზე შევჯექით, არც პირში ჭადის ნატეხი გვქონია და რანაირად ვიქნებოდით, უნდა ამას ლაპარაკი?“ 66; 67.

მოსე ზამთარაძის ნალაპარაკევი, ბუნებრივია, ვერ იქნება სტილისტურად უზადო, აქ პროკრუსტეს სარეცლის მაგალითი ნაკლებად გამოგვადგება, მაგრამ როგორ მოვექცეთ იმ რეალობას, რომ „თუთაშხია“ ეპისტოლარული ნაწარმოებია?! აქ ყველა პერსონაჟი მთხრობელია. მწერალი ფაქტობრივად წამითაც არ ერევა ურთიერთობებში, თუ არ გავითვალისწინებთ ოთხთავის ეპიგრაფებს და შესავალ მონაკვეთს. გამოდის, რომ გმირების ენის ბორძიკობებზე უნდა ვიკელენაოთ გორმოხებიან ხნულში მსვლელობის დარად?

„უფრო გამართლებული იქნებოდა, სხვადასხვა მაგიდებს მივჯდომოდით. აზრადაც არ მოგვსვლია! მივედით, გვერდზე მივუსხედით“. აქ გოგი ტატიშვილი მართებულ ფორმასაც გამოიყენებს და ცდომილსაც, 123.

კი, ბატონო, ესეც მოსათმენია, ვიაზროვნოთ; ტავტალოგიის თავიდან აცდენის მიზნით მოიმოქმედებს მწერალიო, მაგრამ რა ვუყოთ შემდეგ ფრაზას?

„დარბაზში ხმაურიც ისეთი იდგა, როგორც მოშორებით მჯდომთა კონფიდიენციალურ საუბარს სჭირდებოდა“. ეს ხომ უკვე არც თუთაშხიას სიტყვებია, აღარც — მბორგალისა, არამედ, თავად ჭაბუა ამირეჯიბის?!

19. ასევე გაუგებარია ჩემთვის „ხუთკუთხიანი ვარსკვლავი“, ხუთქიმიანი გამიგონია, მაგრამ ვარსკვლავი და კუთხე?! კუთხე ხომ ადამიანის ცნობიერებაში საგნის შიდა მდგომარეობად აღიქმება; კი, ბატონო, არსებობს მართი კუთხე, ბლაგვიცა და მახვილიც, მაგრამ პენტაგრამას თითოეული წვერთან უკვე კუთხე კი არა, ალბათ, 310 გრადუსი მაინც იქმნება; ხოლო 180 გრადუსის შემდეგ კუთხის ხსენება უხერხულია გეომეტრიის პოზიციიდან.

20. ვაშლის გათლა გამიგონია, მაგრამ გაფცქვნა? იფცქვნება ლეღვი, ბანანი, მოკლედ, რასაც კანი ადვილად ძვრება, მაგრამ ვინაიდან ასეთი ბუნებისა არ არის ვაშლი, მსხალი და მისთანანი, ითლება. 187.

ლაზი ვერ გაუფცქვნიდა ვაშლს მშვენიერ ნანოს შალითურის გულის გასახეთქად, გათლით კი მოგეცა ლხენა, შესაძლოა გაწაფული ოფიციანტის დონეზეც...

დასაწყისში ვახსენე, საგანგებოდ ჭაბუა ამირეჯიბზე ვიმსჯელებმეთქი, ვინაიდან მისი შემოქმედება დიახაც ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა, შესწავლისა და გაანალიზებისა, მიუხედავად უთვალავი შენიშვნა დაგროვილა თითქოს.

სხვათა ნუ ეზეიმებათ, ნებისმიერს- მეთქი, რუსთაველის პრემიის ლაურეატს თუ ნობელის პედესტალს დადარაჯებულს. მსაგვსი ცდომილებები თითოეულის თხზულებებს ეძებნება, ცხადია, განსხვავებული დოზით, სიხშირით. ამიტომაც არისტოტელესებური სტილის გადაბრუნება, ანუ თავის ერთხელაც შეწუხება, არავის აწყენდა;

აკი, გური ოტობაია სიმწრის ცრემლით გადახარშავს ღვთისნიერი სტილისტის — დიმიტრი გულისაშვილის მართებულ გაჯორვების და მერამდენე კორექციით შეძლებს ზემოთ განსჯილი ლაფსუსების ლიკვიდაციას!

სტილური ზადი ვისაც ნაკლებად ან თითქმის არ ეძებნება, ერთადერთი აკა მორჩილაძეა ჯერ-ჯერობით ჩვენს სინამდვილეში და მიხარია, წრფელი აღტკინებით მეზეიმება ახალგაზრდა ხელოვანი კაცის წელგამართულობა, რადგანაც ზემორე თქმულისამებრ: სტილი ქმნის ადამიანს, მის პროფესიულ იმიჯს, მისი აზრის სისხარტეს;

ნუ დაუყრით ღორთა მარგალიტებს ტალახშიო, გვასწავლის უფალი იესო, რადგანაც ფეხით გათელავს მას გავეშებული კოლტი ეშმაკეული ლეგიონის ჩვენებებით აბოჟირებული, და ზღვაში გადაცვენილი შემდგომო; არადა, როგორი გულდამწყვეტი სცენა ისახება: ჩვენი ღვაწლმოსილი მწერლები ჰგვანან იმ ბედოვლათ დენდებს, რომლებიც საშობაო აღლუმზე ძვირფასი სმოკინგებითა და სერთუკებით გამოცხადებულან, ბაფთებით ყანყრატოდამშვენებულები. ბრილიანტისთვლიანი სამაჯეები უელავთ, აქვე გაყვითლებული, საუკუნის ჭუჭყამაჯდარი ფრჩხილებით აწკარუნებენ დანა-ჩანგალს, აოხშივრებულ ხინკალსაც დასწვდებიან შიგადაშიგ კეჟერაძეს მიმსგავსებით და არხეინად ტკბებიან ოლიმპოს დალაშქრული მწვერვალების სიზვიადებრწყინვალებით.

დიახ, აკა მორჩილაძე გაარღვევს მეოცე საუკუნის მიწურულის სტილისტურ ცდომილებათა ზღუდეს, სტილისტურ აღრეულობათა მორევს და გავა, შეუფერხებლად გააღწევს ლაღი, უზადო, ხასხასა მოქართულეობის მესამე ათასწლეულის დამაიმედებელ სივრცეში.

რაც შეეხება ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის თხზულებების ახლოით

განჩხრეკას, აქ ჩვენ დიახაც სწორედ ერთგვაროვანი სტილისტური ცდომილებებით ვადგენთ ავტორის ავტოქტონობას, აბორიგენობას.

მხცოვანი მწერალი აღნიშნულ შეცდომებზე თანაბარწილად ბორძიკობს ერთგან და მეორეგანაც, სიყრმისდროინდელი „თუთაშხიას“ ჩავარდნებს ავტომატურად იმეორებს მწუხრისჟამინდელი „მბორგალი“, (აქვე საფიქრალია შემდეგიც: „დათა თუთაშხია“ და „გორა მბორგალი“ თანაბარია ასოთა რაოდენობით — თორმეტ-თორმეტი), ასე რომ, ჭორები მოაშორეთ-მეთქი, შევძახებ ავმოენე ქართველ ზოილებს.

ნებისმიერ მწერალს ჰყავს გმირის პროტოტიპი, პროტაგონისტი, ზოგჯერ მთლად მზამზარეული მასალის სახითაც, ვთქვათ, როგორც ჰომეროსის შემთხვევაა მითების სიუხვით ტროას ომზე; მაგრამ რაჟამს შემოქმედი არსებულ ნედლეულს საკუთარი ცნობიერების ქურაში გადახარშავს და არქიტექტორული ორგანიზაციით ინდივიდუალურ პროფილს მიანიჭებს, აქ ყოველგვარი ფამა უადგილო და ყურით მოთრეულია.

არსენა ოძელაშვილზე უამრავი თხზულება შექმნილა, მესტვირულიც, დრამატულიც, მაგრამ ყველას ჯავახიშვილმა აჯობა.

ასევეა ფაუსტის ყისმათი, რადგანაც მხოლოდ გოეთესთან მიაღწევს სრულყოფილებას მშვენიერი წამის შეჩერების მისტიკა.

თუთაშხიას შესაძლოა გააჩნდა რაიმე საშენი მასალა გრაფი სეგედის მონათხრობის თუ პერსონაჟთა მონაყოლის სახით, მაგრამ თავად ნაწარმოების კონსტრუქცია, კარკასი ხორციან-ძვლიან-სულიან ამირეჯიბისეული რომ გახლავთ, უმეცრის მეტს ვერავის შეაეჭვებს: „თუთაშხია“-„მბორგალის“ ურთიერთმიმართებისა და მსგავსება - განსხვავებულობის თაობაზე ჩვენ მოგვიანებით მეტის მომცველობით დავძრავთ სიტყვას, ახლა კი დაბეჯითებით შეგვიძლია გამოვკვეთოთ:

ორიათასი წლის მიწურულის ქართული პროზა ყველა ნიშნით დოკუმენტურობისკენ გადახრილა. ეს ვერ აიხსნება ლიტერატურათმცოდნეობის ნორმების იგნორირებით, არამედ ერთადერთი პასუხი ეძებნება: შიშველი სიმართლის მოთხოვნილება! განსაკუთრებით, როცა გილიოტინისა და სახრჩობელის საშიშროება მოხსნილია სადამსჯელო არსენალიდან, თორემ ოცდაათიანი წლების უდაბნოეთის რადიუსში ჩვენი ბელეტრისტებისათვის ფუფუნების საგანია მსგავსი ოაზისური სიტუაცია:

რობაქიძე, ჯავახიშვილი, გამსახურდია სიმბოლიკებს სჯერდებიან მეტადრე, თანაც წარსულში გადასროლილ გმირებით ისინი ბოროტების განზოგადოებულ ტიპებს აშიშვლებენ და ასე, რიკოშეტის, ანასხლეტის თეორიით ებრძვიან მანკიერს, ზადს, მაგრამ ჩვენეული

კონკრეტული სინამდვილის დოკუმენტურობის ტენდენცია, დაქრონიკების მიდრეკილება სხვა რამითაც აიხსნება:

მართალია, ტიპის განზოგადოება აღიარებული ლიტერატურული ნორმებითაა ნაკარნახევი, თორემ ჭეშმარიტებისათვის არანაირი მნიშვნელობისაა აქილევსს „აქილევსი" ერქმევა თუ „იმისევსი", რეალური იქნება თუ გამონაგონი.

ფაუსტი თუ მკრებელობითი ხასიათს გამოამჟღავნებს, გასაგებია, მაგრამ ჩვენს მაგალითს შეიძლება შურისძიების მოტივაცია ვუწოდოთ. დიახ, შურისძიების მოტივაცია, როცა სიმბოლოთი, განზოგადოებული მიდგომებით ბოროტების დათრგუნვას არ მყოფინობს ხელოვანის, წესით, მიუმხრობელი სული. იგი სიტუაციის, ვითარების ჭირისუფლის თვალთახედვით აანალიზებს გარემოს, და ყველა დაბრკოლების მამა—მაცილს საკუთარ სახელს მოარგებს, საპასპორტოს, ეროვნების რეკვიზიტწაშლილს, თუ სულაც საბჭოურ წითელყდიანს, თუმცა ფაქტის კონკრეტიზაციით, პერსონაჟის ზედმიწევნითი ნატურალიზმით, სინამდვილის მოურიდალი, ხშირად ფოტოგრაფიული ნიღაბახდილობით, გასრესილია თანამედროვე მანკიერებანი და აქ პირველობას ვერავის დავაბრალებთ, ვინაიდან ჭაბუა ამირეჯიბიც, ოთარ ჩხეიძეც, ოთარ ჭილაძეც, ზაურ კალანდიაც, მიხო მოსულიშვილიც, გივი ალხაზიშვილიც, აკა მორჩილაძეც, გური ოტობაიაც თუ სხვათა, დამოუკიდებლად, ლამის ერთდროულად მისულან ფინიშთან და დასადაფნავი შუბლის დადგენა ჭირს ახლა მსაჯულისათვის;

ძნელია გავარკვიოთ ვინ ავამაღლოთ კვარცხლბეკზე, რომელი. ამას თავის დროზე თვითონ ჟამი მოიმოქმედებს უმტკივნეულოდ — სიკვდილთან შემრიგებელი ბორჯალი, ვინაიდან თითოეულის თხზულება ქრონოლოგიურად თუ სივრციერად ერთ არეალში იქმნება და გამოირიცხება დასესხების თუ პლაგიატობის საშუალება მეთოდის თვალსაზრისით — წმინდა გიორგის ბოძალივით კაკალ გულში უმარჯვებს ბოროტების საკაცობრიო ურჩხულს და დღემდე ვერ გამოსულა იმ სისხლის ოხშივრებიდან; რასაც მტერზე, დუშმანზე, მწიკვლასა და მანკიერზე გამარჯვების თავბრუალი ჰქვია.

დიახ, გმირია დღეს ქართული ბელეტრისტიკა ჟამთააღმწერლის უტყუარი ნიშნით და მხატვრულობის შინაურული სამოსელით.

შორეულ სამურზაყანოში, ზღვისპირა ფიჩორში, ბორსუს უბანში, გაჩაღებულ კერიასთან მასლაათში, დიდედა მარი ჯალაღონხე ბაბუა თომა გელენავას ეტყოდა ხოლმე:

— მუთარე, რავა დათა თუთაშხიასავით იქექები ნაცარშიო. ამ გამონათქვამს ჩემთვის, ადრეულ წლებში, რაიმე მისტიკური მნიშვნელობა არ შეუძენია.

დათა თუთაშხია ერთ ვინმე ჩხირკედელა კაცად მიმიჩნევია, ვინაც უსაქმობისაგან სირაკუზელი მხცოვანის თუ ნაზარეთელი მოყმის მსგავსად ჩხირით ტუტაში იქექება (მეგრულში ნაცარს ტუტა ჰქვია, იგივე თუთა — ამქვეყნიური ზარზეიმის სამომავლო შედეგი) და იქიდან, იმ ფუტურუმ- მერმისიდან იწვევს წარსახოცი ცათამბჯენების თუ კატაკლიზმების აღდგენა-რესტავრაციას; მაგრამ თავად „დათა თუთაშხიას“ ჟურნალ „ცისკარში“ გამოჩენა სამოცდაათიან წლებში, მერე ცალკე წიგნად დასტამბვა თუ ფილმად გაცოცხლება ეკრანზე, ვერაფრით დამაკავშირებინებს ერთმანეთისათვის ამ ორ ფენომენს.

ცნობიერებაში მკვიდრად დაილექება დიდედა მარი ჯალაღონხეს ფრაზა თუთაშხიას ნაცარქექიაობის თაობაზე. მოკლედ, ისე გაირბენს სამათეული წელიწადი რომ ამ ორ ცნებას ვერანაირად შევაუღლებ, ვერანაირად დავაწყვილებ ერთი აზრის საზეიმოდ. მე ხომ იმხანად წამითაც არ მიკითხავს ბებიასათვის თუ ვინაა დათა თუთაშხია, რას მოსაქმებს, ვინაიდან სხვა რამით ვარ გართული — დენთის თეორიით, ანუ ნაღვერდალში ქვამარილის შეკეთებით გაღვივებულ კერიასთან გალაღებული თომა ბაბუას ყირმიზი სახის დასაფინთიხებლად. ამისთვისაც დამრჩება გაურკვეველი დათა თუთაშხიას ვინაობა, თორემ მაცი ხვიტიების, არსენა შონიებისა და ძმათა მათთა აბრაგობის სცენები სასთუმალქვეშ მილაგია დილა-საღამო.

თუთაშხიას ისტორიულობაზე სხვა წყაროებიც მიუთითებენ. მაგალითისათვის, ბატონ ჯემალ გამახარიასა და ბადრი გოგიას წიგნში: „Абхазия - историческая область Грузии. შავით თეთრზე მითითებულია თუთაშხია გვარის არსებობა სამურზაყანოს სინამდვილეში: Список жителей-крестьян по отдельным селам територии современной Абхазии XVI в. დიახაც, ამ უკანასკნელი მომენტი გამიბრწყინებს გონებას უცებ, და მარი დიდედას ნაამბობი მეყსეულად გადაეწნება ჭაბუა ამირეჯიბის საღმრთო რაინდის ბედ-იღბალს.

ბატონ დამიანე გოგოხიასგან მსმენია:

— ცეკაში აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეობის პერიოდში, გარკვეული როლი ვითამაშე „თუთაშხიას“ გამოქვეყნების საკითხის დადებითად გადაწყვეტაშიო. საჭირო იყო ოფიციოზისგან თვალის ერთგვარი დახუჭვა, წათვლემა, ყურადღების მოდუნებაო, და ეს ხელისუფლებისაგან ჩინებულად განხორციელდება, გაირინდება ოფოციოზი, რათა საშობაო ჭინთვებით მოევლინოს სამყაროს რომანი-საგა, რომელიც აგუმბათებს მეორე ათასწლეულის ქართული ბელეტრისტიკის შენობას; რამეთუ ეს ნაგებობა მართლაც ტაძრის მისადარებელია, სალოცავი ადგილისა, მოწიწებით თავს რომ გახრევინებს ზღურბლიდანვე.

ქართულ მწერლობას გადაულახავი მაინც დარჩება ორი ბარიერი. ეს პრეტენზიები არავინ ჩამომართვას მატრაბაზულ გამოხდომად, ვინაიდან გური ოტობაიაც ამ სიტყვაკაზმული შენობის კენჭად მიიჩნევს საკუთარ პერსონას და ბრალდებათა წყება, თუნდაც მის შემოქმედებას ნაკლებად კენწლავდეს, საკითხი მაინც გადაუწყვეტელია.

იყო ადრე მცდელობა, ვთქვათ, ვაჟა-ფშაველა სიმბოლისტად მოენათლათ, მაგრამ მიუხედავად მთის არწივის შემოქმედებაში სიმბოლისტური ხელწერის არსებობისა, იგი ამ სკოლის, ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი ვერანაირად იქნება, რამეთუ საქართველოში იმხანად თავად სიბოლიზმის საძმო, სიმბოლიზმის ოლიგარქია არ არსებობს. ამ პროცესს მოგვიანებით განახორციელებენ „ცისფერყანწელები“. ასევე ერთი ბელეტრისტის ლიტერატურული მონაპოვრები ვერაფრით გაიტანს საყოველთაო ლელოს, თუმცა გაზაფხულის მაუწყებელ მერცხლად შესაძლებელია ვივარაუდოთ მისი მოჭიკჭიკება.

მაშ, მივყვეთ მსჯელობას და შევხედოთ თუ რა წინაამღდეგობანი დარჩება გადაულახავი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას.

გმირის პრობლემაზე ვიტყვით, ქართული ბელეტრისტიკა ბოლოს და ბოლოს ჩინებულად განახორციელებს ეროვნული იდეალის გამოძერწვას, გამოქანდაკებას: მიუხედავად მრავალი ბორძიკისა სასროლეთის მეათე უწვრილესი რგოლი დაზიანებულია, აღებულია უკანასკნელი ბასტიონი შინაგანი კულტურისა და მოთხოვნისა. საყოველთაო აღიარებაც მოვა ხვალ-ზეგ ნობელის კომიტეტიდან. პირველი პრობლემა სტილის ფენომენთანაა დაკავშირებული. არაფერს ვამბობ თავად ესთეტიკური კანონზომიერებების ნიველირებებზე. ქართული მწერლობა ვერაფრით აღიკაზმება რაფინირებული, მომჭირნე და უცდომელი სიტყვიერი სამოსლით.

მეორე მთავარზე ნიშანდობლივი ზადი ის გახლავთ, რომ ქართული მწიგნობრობა ვერაფრით გამიჯვნია, თუნდაც კუს ნაბიჯზე, ტრადიციულ დოგმებს და ვერანაირად აუთვისებია საუკუნის ოციანი წლების ლიტერატურული მონაპოვრები, ე.წ. „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდად მონათლული ჩვენში თუ სხვაგან.

აი, ის ორი არსებითი ხარვეზი, რომელსაც შესაძლოა, ვინმე გური ოტობაია რამდენადმე ებრძვის, ეპაექრება, მაგრამ მდინარის ტანი ვერაფრით აღავსებს ოკეანეს. თუმცა მრავალსიტყვაობას მოვეშვათ და ათი მცნების მერვე მუხლის პერსონაჟობა რომ არა დავიმსახუროთ, თითოეულ დებულებას მივყვეთ პუნქტობრივად:

კალისტიკა იმით არის საინტერესო, რომ ფორმულის დონეზე განიხილავს შემოქმედებით კვანძებს და უკვე დაკრისტალებულის აღნაგო-

ბით გვაწვდის ცოდნას ნებისმიერი ნაწარმოების ძირითად წარმმართველ განზომილებაზე. ამისთანა მოტორი, ქვაკუთხედი თითოეული თხზულებისათვის ლიტერატურული გმირია, რომელიც უმეტეს კლასიკურ წიგნში ბინარული ნიშან-თვისებითაა წარმოდგენილი, ბიპოლარული შინაარსით.

უმეტეს გმირს ზოგადკაცობრიული ფასეულობების გვერდით ეძებნება დამანგრეველი სამყაროისეული ალტენრატივა, რომელთან შერკინებისას იძერწება თავადაც, როგორც ფოლადი — ცეცხლისა და ურო-გრდემლის მეხთატეხაში. ეს სარკისებური ანარეკლია დადებითი ემოციებისა, რისკენაც განუხრელად ილტვის თეოსოფური თუ მატერიალისტური მსოფლიო, იგივე ალტერ ეგო, იგივე დადებით-უარყოფითის დაუსრულებელი ჭიდილი, იგივე ზევსისა და პრომეთეს, აქილევსისა და ჰექტორის, ფაუსტისა და მეფისტოფელის დაუსაბამო დაჯახებანი.

ეს პროცესი იგივეობრივია ჩვენთანაც, ცხადია, ნიშანდობლივი შემოქმედებითი მუხტის გათვალისწინებით:

შუშანიკი — ვარსქენ პიტიახში;

ავთანდილ-ტარიელ-ფრიდონი— ქაჯეთის ციხე;

მინდია— წუთისოფელი, არსენა — კუჭატნელი, თარაშ ემუხვარი— არზაყანი, თუთაშხია — ზარანდია, სხვანი და სხვანი;

აი, ის არსებითი ანი და ჰოე, რომლის დიაპაზონში ხორციელდება გმირის აღზევება-დაცემის მისტერია.

ბატონ რევაზ თვარაძეს სამართლიანად შეუშინავს „დათა თუთაშხიას“ ორგანზომილებიანობა. თუთაშხია და მუშნი ზარანდია ერთი მედალიონის ორი მხარეა, ალჩუ და თოხანის კრებითობაა, ავერს-რევერსის ჯამი, სადაც დათა საწუთროს მომწამვლელ ოკეანეში ტალღებისგან მიმოტყორცნისას განიწმინდება მწიკვლისაგან, წდევდება ტობავარჩხილის ნაკადივით, კათარზისდება მისი სული და მაღლდება ქრისტეს უძირითადეს მიზნამდე: გიყვარდეს მტერი შენი, რომელსაც ვეღარაფრით ეთანაწყობა ბიბლიის მცნებათა ათდოგმეული — სადაც თვალი თვალის წილ ამოიშრიტება, კბილი კბილის წილ ამოიგლიჯება, სული სულის წილ ამოიქოლება.

ებრაელი ერი ამისთვისაც გასწირავს მათივე ქანაანის წიაღიდან ამოხეთქილ ზოგადკაცობრიულ ნათელს, ვინაიდან იესოს მიერ შემოთავაზებული მიმტევებლობისათვის ჯერაც არ არის მზად აღთქმული ქვეყნის ძიებაში ორმოცწლიანი ხეტიალით ილაჯგაწყვეტილი იუდეველი; თუმცა ოდეს საღმრთო რაინდი შავ მერანს მიუგზავნის საკუთარი

გოლგოთის ასაკოკოლავებლად სახელმწიფოს ძალმომრეობითი აპარატის განსახიერებას — გორგალკაც მუშნის, იგივე ოცდაათი ვერცხლის სიმბოლიკას, ყოველივე გასრულებულია; განმზადებულია ბილიკები ცათა ზეფირებით თუთაშხიასათვის უფლის ხელმარჯვნივ დასაჯდომად, როგორც ეს ქორი-ბედისმწერალის მისნობით მოუნიშნავს ავტორს მეოთხე კარის ზღურბლთანვე:

,,დაუტევა და იქმნა იგი ხორციელ ღმერთად''.

აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ფერის სიმბოლიკა: თუთაშხია მთვარის ხატებაა, მთვარის დღე, ნათელის იდენტური კატეგორია, როცა მუშნი ზარანდიას მთვარის მხედრის ხელითვე შავი ტაიჭი გაეგზავნება მხილებისა და განმსაჯულების სიმბოლოდ, იგივე ტროას ცხენი, რომელმაც უნდა დალეწოს ბოროტების ციტადელი — ილიონის კარიბჭე. წმიდა გიორგის ნათელ-მირონი, ჯეგე მისარონის გამუდმებული შემართულობა მაცხოვრის საქმეთათვის, ,,მთვარის მოტაცებიდანვე'' ღვივდება ქართულ ბელეტრისტიკაში;

ავთანდილის ხატთანაც კიანთებს ეს შუქდიადობა, გნებავთ მინდიასთანაც, მაგრამ თუთაშხიამდე ბოროტების დასათრგუნად ძალადობას ძალადობითვე უპირისპირდება ნებისმიერი პერსონაჟი და ვინაიდან სიავის წარკვეთა გაათმაგებით აღმოაცენებს სიმსივნეთა ლეგიონებს, აღარაფერი დარჩება საღმრთო რაინდს გარდა აღმსარებლობისა, გარდა მხილებისა, გარდა საკუთარი სულის მსხვერპლად მიტანისა სალამანდრას დარად ცეცხლის ჩასაქრობად, რომელიც გეჰენიასავით შემოგზნებია ათასთა მიწიერ გულ-გვამს და ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს ბაწარაღებით.

გმირის პრობლემა ქართულ ბელეტრისტიკაში დიახაც აქ მოკონცხდება, დიახაც აქ დამწვერვალდება ზოგადკაცობრიული კრიტერიუმებით და აწ ძნელია, ან სულაც მიუღწეველი მითოლოგიურ-სიმბოლისტურ ჭრილში სხვა ინდივიდის განხილვა ნორმად და ნიმუშად.

ჰომეროსს არ აინტერესებს ზნეობრიობის კვლევა ოდისევსის გვემისას. ის ემპირიულ ბორტებასაა მიჩერებული, რომლის დათრგუნვისათვის ითაკელ ძეს ცბიერება, გველის გონება და გამჭრიახობა მიბოძებია სიმამაცესთან ერთად;

დანტესთანაც ბოროტების სხეულში, როგორც ცვილში დანა, ისე მიცურავს ბეატრიჩესაკენ, ანუ მარადიული სისპეტაკისაკენ შემართული ალიგიერის სული, რომელიც ზეგარდმო უფლისეული განზომილების უახლოესი სამყოფელია;

ფაუსტიც მეფისტოფელის დახვანჯულ საქმეთა გამოსწორების ერთგვარი ლაკმუსია, სადაც რაციო განაგებს იმპულსურ საწყისებს

და კეთილმოსაქმეობის საზღვრებით ვიწროვდება თითქოს დაბრკოლებათა მამის ამაზრზენი სამკალი, მაგრამ მაინც გარეგანი ძალის მიუმხრობლად, ზეციერის ხელის გამოუწვდენლად, (რომელიც ამავდროულად ფაუსტური ფენომენის ერთგვარი შეფასებაცაა ქრისტიანული მორალის გათვალისწინებით), ვერაფრით განიშორებს ჯოჯოხეთის ბჭეებს;

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობიდან, მხოლოდ თუთაშხია, მხოლოდ საღმრთო რაინდი აღწევს უკვდავებასთან თვითნაბად ზიარებას, მარადიულობასთან, იგივე პირველსაწყისთან, აღმსარებლობისა და მსხვერპლად მიტანის მეოხებით, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის შემწეობით, ანუ გარეგანი სიკვდილის საკუთარი განზვარაკებით, თვითმომსხვერპლეობით და აქ საომარ იარაღად უცილობლად შტაინერის უმაღლეს კატეგორიამდე აყვანილი გოლგოთას მისტერიაა, არიმანულსა და ლუციფერულს შორის ნაზარეთიანელის მოწამეობა, მიუხედავად იმისა, რომ აღარსად ფიგურირებს თავად მეცნიერთეოლოგის სახელი, ქაჩალ გორა თუ „ბარაბას“ ძახილით ძარღვებაშლილი ბრბო.

მეორე ათასწლეული, იესოს სხეულებრივ-სულიერი არსებობის ოცსაუკუნოვანი ისტორია იხურება თუთაშხიას განუხრელი მსვლელობით წარმართულობიდან ზექრისტიანულობისაკენ, გაუცნობიერებელი წყდიადსულიდან გამზიანებულ ზესულიერებისკენ და სხვანაირი ინტერპრეტაცია, მართალია, ოდენ მიწიერ განზომილებებში დურთავს საღმრთო რაინდს, მაგრამ რაჟამს აწყვეტილია შურისძიების მოტივაციებითა და ბოროტების აღხოცვა ძალმომრეობის მეთოდებით, გახსნილია გზა უფრო მაღალი, უფრო ჭეშმარიტი ფასეულობებისაკენ, ანუ მწიკვლისა და ზადის საბოლოო გამოსწორებისაკენ, ვინაიდან თავად ბოროტება არ არის ცნობიერი საკუთარ ქმედება - საქციელში; მის ორგანიზაციაში ისეთნაირი უკუღმართობითაა განფენილი დადებით-უარყოფითი ენერგიები, რომ ყოველი ქირურგია, მჯიღები და მუჯლუგუნები მარტოოდენ გამძაფრების რეაქციას იწვევს და არავითარ შემთხვევაში საკუთარ ბუნებაში ჩაღრმავებას, საკუთარი ავმოსაქმეობის ანალიზს.

ამისთვისაც გამოივლის თუთაშხია შორზე უშორესი გზას, რომლის მსგავსი თითზე ჩამოსათვლელია კაცობრიული მნიშვნელობის ბელეტრისტიკაში; გზას თვითბომონობით, თვითმოწამეობით ბოროტების თვალის ასახელად; დიახაც უძვირფასესის მსხვერპლად მიტანის გამორიცხვით ვეღარაფრით გადაილახება ურჩხულის თვალსაწიერიდან

არსებულ სინამდვილესა და მის ცხოველურ სულს შორის აღმართული უმეცრების კედელი, ფარდა.

მხოლოდ სულიერი ენერგიის გაღებით, მხოლოდ არსობის პურის შეუნანებლობით განთავისუფლდება ცხოველი, მხეცი უკუღმართი იმპულსებისგან და თუკი აქამდე ურჩხულის ძალით დათრგუნვის მცდელობა მოკვეთილი ყოველი თავის წილ შვიდს ამოყრის და ამდენჯერვე განამრავლებს ბოროტებას ერს შინა, აწ სხვანაირად მოიმოქმედებს თუთაშხია, აწ განკერძოებულ იარაღ-საშუალებას მოიმარჯვებს ათასგზის დანაჭიდარ დრაკონის დასაძლევად:

,, — ესერა, კაცნო! მოველ ხსნისათვის თქვენდა მძლავრობისაგან ურჩხულისა. ჰა, მაგალითი, ვით არს ჯერ მისვლა მსხვერპლად მოყვასისა თვისისათვის, ერისა მარადობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!

მოიკვეთა თუთაშხამ თავისთავე დაშნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურჩხულსა და დანთქმა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათ ცოტა კაცთაც და დანთქმა მან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან; მოიკვეთეს და მიუგდეს მათაცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი თვისი საზიზღარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გამომდინარესი ხახით. იხილა ერმან ესე ყოველი და რომელთამე აგრეთვე აჭმიეს ასონი თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზედა, ვითა კაცი, კნინ ექმნა ბრჭყალნი და დინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განიპო მკერდი თუთაშხამ, ამოიგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა დანთქმა მან, არამედ ჰრქვა მეტყველებითა კაცებრითა:

— არღარა ვარ მწყურვალი სისხლთა, არღარა მიძს სურვილი ჭამად კაცთა. და მიეცა მყის ყველაკასა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი,'' ,,დ.თ.'',406.

დიახ, კოლექტიური მსხვერპლად მიტანის გამორიცხვით, მარტოოდენ თვით თუთაშხიასაც გაუჭირდება ურჩხულის გადაამიანურება, ვინაიდან იმოდენა უძღომელია მადა მოლოქისა, მაგრამ გუნდური მემსხვერპლეობა მხოლოდ მისაბაძი პიროვნების მეოხებით მიიღწევა, დიახაც. გმირის მეშვეობით, და არა — ფსევდოგმირისა, ვინაც მიუხედავად უამრავი დაყრილი ხმისა, შეუმღვრევლად გაივლის წუთისოფლის ოღროჩოღროვან თემშარას და აღარსად წაიბორძიკებს;

ბოროტებაზე გამარჯვების სხვა გზას აღარც ქრისტიანობა ცნობს და მით უფრო— საერისკაცო ბელეტრისტიკა. თუთაშხიას საგას ბო-

ლო აკორდები, მისი წუთისოფელში ოდისევსური ხეტიალის ორათეულწლიანი უდასასრულობა, იშვიათი კონტრაპუნქტით გვირგვინდება;

როდესაც მიხვედრილია თუთაშხია საყოველთაო სიკეთის მისაღწევად აუცილებელი პირობა ბოროტების დათრგუნვაა, მაგრამ ამ გამარჯვების გზაზე ძალადობის მეთოდები გამოუსადეგარია, თანაც მარტომსვლელობით ამ ღონისძიებას ვეღარაფრით განახორციელებ, საჭიროა თავად ერის ნაწილისგან მაინც სრული თანადგომა მხეცის საკუთარი ხორცით დაპურებაში; და რაჟამს ჯერ გარემომცველი, თითქოსდა თანმდევი ხალხია საამისოდ მოსამართი, სამსხვერპლოდ განსამწესებელი, თუმცა მხეცის მორჯულების შემდეგ ფორმულა - ბედისმწერლობის შესატყვისად თითოეულს აღუდგინდება გაღებული სხეული, რედუუქცირდება დაკარგული ასო-სახსარი, და ვინაიდან გვარად ჯმუხაძის, იგივე ბიკენტი იალქანიძის დუქანში დატრიალებული უბედურების შეჩერებას თუთაშხია ვეღარაფრით მოახერხებს, ვეღარ შეიძლებს ენაამოცლილი ასთიონა-სტუკაჩისაგან ესოდენი ავკაცობის წარმოდგენას — შხამ-სამსალასათვის თუ გაიმეტებს ადამიანს, უკვე სავსებით მიესწრაფვის საკუთარ ფინალს, ერთადერთს და განუმეორებელს, როგორც სიკვდილს;

დაბადება ხომ ჩვენგან უკითხავად, ჩვენგან დამოუკიდებლად გვებოძება, მაგრამ სიკვდილი ჩვენი მოღვაწეობის ლოგიკური შედეგია ხოლმე, და შარუხიას ნაქონარ წისქვილში, ქილერი ბონიას საუფლოში შეაღწევს დათა საკუთარი გოლგოთის აღსასრულებლად, თუმცა ოთხი, დარდისა და შიმშილისაგან ძუკნა ძაღლს დამსგავსებული ასულის პატრონს, ოთხი თვის მოლოდინეობის შემდეგ, სახელდახელო ჩუბინობით მოუხერხდება განა თუთაშხიას განგმირვა?! და ვინაიდან ბონია თუთაშხიას სულიერი გარდატეხილობის ლაკმუსია დოლაბის ხიხინში შედედება მთავარი პოსტულატი:

,,მოსაკლავი რომ იყო, არ მოგკლავდი მაინც... მტერი ხარ ჩემი და ისე გამოვა, ვითომ ყველა მტერი მოსაკლავია. ჩემი ხელით შენი სიკვდილი უარეს საქმეს იზამს, ვიდრე შენ იზამ შენი ბოროტი სიცოცხლით, მაგრამ გულუბრყვილო ხარ და გულუბრყვილო კაცი ხელჩასაქნევი არაა... იფიქრე, განგებამ ფიქრისთვის გააჩინა ადამიანი‘‘.

ასე დაფინალდება დილეტანტი ქილერი ბონიას ზრახვები იოლი გამდიდრების გზაზე და თუთაშხიას მეცადინეობა ბოროტის მოკეთილშობილების წიაღ.

ამჯერად გასამრჯელო დათას მხრივ ხორცი როდია, ადრე ურჩხულისათვის სასუსნავად მიბოძებული, კიდურები თუ თავად გული — უმაღლესი კატეგორია; ფულს მიართმევს ჯოჯოხეთის გამნათებელს,

მაგრამ ოცდაათ ვერცხლსა თუ ზარანდიას სამსახურისაგან ბონიასთვის გასაცემ ასაღებ ხუთას თუმანს იქნებ თუთაშხიას ხუთი მანეთი ჯობდეს, თუმცა როდესაც ქისაში საგანგებოდ ჩაახედებს, მისახვედრებელია: არანაკლები გასამრჯელოა მოყუჩებული იქ ბონიას ცხოველი სულის მოსალმობიერებლად, კლანჭების დასაცვენად, დინგის გაცხვირპირებისათვის; წყალში ჩაყრის ზარანდიას სამსახურს ქილერი-ბონია სამოცი მანეთის გასამრჯელოს, ნაყიდ წისქვილს, და აწი აშკარა სიმპათიით, შეუვალი გულშემატკივრობით გაანდობს ბოროტების მთავარ სათავეს, თუ ვისგანაც მომდინარეობს ყოველივე — ზარანდიასგან, იგივე ტყუპისცალი ძმისაგან, იგივე ალტერ ეგოსაგან: საღმრთო რაინდი და ბელზებელთა შეფი ტყუპისცალი და-ძმის შთამომავალია.

მუშნი ზარანდია თუთაშხიაა დედით, დათას მამიდაშვილი. მართალია, ბიოლოგია არ ცნობს სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან განვითარებული ტყუპის შთამომავლობის იდენტიფიკაციას, მაგრამ გარეგნული მსგავსობა მწერლისათვის დიახაც აუცილებელი პირობაა შინაგანი ასიმეტრიულობის დასაზუსტებლად, რომ თურმე თითქოსდა ერთსახოვანში, თითქოსდა ფორმით ერთარსში, შესაძლებელია ბუდობდეს განსხვავებული, ურთიერთგამომრიცხველი, ჩვენს შემთხვევაში — სატანა და უფალი.

ეს მომენტი ბატონ რევაზ თვარაძესაც ჩინებულად შეუნიშნავს ორგზის.

გრაფი სეგედის დაკვირვებით — „მუშნი ზარანდიას გადავხედე, წამით მომეჩვენა, რომ ეს ტანხმელი კაცი სკამზე გორგალივით იდო, კისერი ჰქონდა მოღერებული“.

გაივლის ხანი და უკვე პოლიციის სათადარიგო გენერალი ზარანდიას ადრინდელ შეფასებას ამჯერად გარკვევით აზუსტებს: „როგორც ერთხელ, ოთხი-ხუთი წლის წინ, ისევ მომეჩვენა, რომ მუშნი ზარანდია სავარძელში გორგალივით იდო და კისერი ჰქონდა მოღერებული“.

გორგალივით რომელი ქვეწარმავალი იღლაკნება და კისერსაც რომელი იღერებს ფაკირთა სალამურის ხმაზე, ალბათ, ძნელი ამოსაცნობი არ არის. ქვეშეცნეული, ნაწარმოებისეული სიმპათიები წუთი-წუთ, წამი-წამ გადანაპირდება გრაფი სეგედისაგან თუთაშხიას სასარგებლოდ: თავად ბოროტების უმთავრესი სათავე, მისი უავგუსტოესობის კვერთხისა და ტახტის მეციხოვნე განსდგომია უკვე მუშნი ზარანდიას, სეგედისგანვე აღზევებულს და გასწრებულს ბოროტების ბილიკების აბურდვაში; განსდგომია და სიკეთისაკენ გაუპირდაპირებია, სიკეთისაკენ მიდრეკილა. ალბათ, ესეც არის მთავარი მიზეზი ნაწარმოების ფინალში სა-

ხელმწიფო მოხელე გრაფი სეგედი ზედმიწევნით რომ ემთხვევა, სინქრონულდება მწერალში; შეირწყმება ორი სტილი — საყოფაცხოვრებო-კანცელარული და ბელეტრისტულ-ხატოვანი; იდენტიფიცირდება სეგედი-ამირეჯიბი, და ყოველგვარი საფუძველი გამოეცლება შესავალიდანვე გაცხადებულ ვერსიას: თითქოს მწერალი გრაფის ნაწერების ნაწილს თუთაშხიას თანამედროვეთა კარდაკარ სიარულით შეავსებს, შეამთლიანებს.

მწერლისა და მთავარი მთხრობელის ენობრივი ქსოვილი სინთეზდება, თორემ აქამდე ჩინოვნიკურად მოსაუბრე სეგედისგან სრული მოულოდნელობაა ცხოველმყოფელი მიწიერებით გაჯერებული სცენების წარმოდგენა. ზემორე ვახსენეთ: ბოროტება - სიკეთის ჭიდილის მარათონულ გზაზე ნაწარმოების ფინალის მიხედვით გადმობირებულია, ნებსით თუ უნებლიეთ თუთაშხიას საქმეში გახირული პერსონაჟები:

გრაფი სეგედი უკვე აშკარად უპირისპირდება მუშნი ზარანდიას — თუთაშხიასთან კაცს აფრენენ მოსაფრთხილებლად;

გადმობირებულია წისქვილის თხუნელა-ქილერი ბონია—საზღაურად გაცემული ოთხი, ძუკნა ძაღლს დამსგავსებული ასულის სამზითვო თანხით;

გადმობირებულია თავად უკანონო მამის სიკვდილის განმახორციელებელი გუდუნა პერტია, იგივე გუდუ თუთაშხია, ნაბიჭვრობის, ბუშობის შხამ-სამსალით გონმოწამლული ყმაწვილი, უკვე ჩვიდმეტი წლისა ტელემაქესავით, მაგრამ ოდისევსის პირმშოსგან განსხვავებით მამის საქმეთა მოქომაგე კი არა, მომშთობი მთლად; და როცა კეფადამეხილი თუთაშხია უკანასკნელი გმირობისათვის შეიმართება, ალიბს ამზადებს ზარანდიას ხაფანგებისგან ცდომილი მემკვიდრისათვის; მალაქია ნინუას სამჭედლოს მიესვენება მთელი ენერგიის დაძაბვით, ბოღაზთან მომლოდინე თეთრ ფელუკას ახსენებს, სამსუნში გადასვლას იმოწმებს, გულიების ქორწილში მუშნისათვის შავი მერნის საჩუქრად მირთმევას ავალებს მოსე ჯგალიას, და შემოქმედის ფანტაზიით კულიტვირებული ფლატედან შურდულივით ჩაიხაფრება ზღვის აქაფქაფებულ მღელვარებაში;

შვილი ვერ წაიწყმედს სახელს მამისმკვლელობით, ვერც შეპირებულ ხუთი ათასი მანეთი დააწვება მის სინდისს წარუხოცელ ბრალდებად, დედასთან ერთად გადაიკარგება სამშობლოდან, აბრაგი თუთაშხია ფელუკით სამსუნს გაემგაზვრაო, ამისი მტკიცებით. მერმე მის ნავალზე სრული სითეთრეთია, დამაბრმავებელი არარაისობა, თუმცა რატომ?! მიტია ჯვარშეიშვილის ნაშიერივით, ვინ იცის, იქნება ისიც

თანამემამულეთათვის სავნო-საგოდებელ საქმეთ წინამძღვრობს მიტილენიჩის მსგავსად?

მიტილენიჩი ხომ გორა მბორგალის სულის სარკისებური წაკითხვაა, იგივეა, რაც თუთაშხიასათვის ზარანდია, გორგალივით დახვეული ყლმოღერუბული უნასი;

„ეშმაკების უსტაბაში ხარ, მიტილენიჩ", (572,) ეხმიანება მოფიქრალ გამომძიებელს მეხუთედ მრბოლელი გორა.

ორივე რომანში რიცხვი „4" საკრალურ დონეზეა აყვანილი: „თუთაშხია" ოთხკარიანია; ფონია ოთხი თვე უცდის დათას გამოჩენას; გორას ოთხი გაქცევა ჩაეფუშება. ეს ყველაფერი ოთხთავის საკრალურობისაკენ უბიძგებს მკითხველს უნებლიეთ, და ქვეტექსტურად მიანიშნებს კიდეც წმინდანის გამოძერწვის ასპარეზს.

არავინ უწყის გამოიღებს თუ არა შედეგს დათას მიერ ზარანდიასათვის სიკვდილის საფასურად მიგზავნილი ცხენი, რომელსაც ახლოსაც არ გაიკარებს საღმრთო რაინდის ტყუპისცალი სატანა, მაგრამ მეოთხე წელიწადს გაურკვეველი ავადმყოფობით — მელანქოლიის მძიმე ფორმით აღესრულება: ჩაესვენება ბოროტების მზე, როგორც კი მისი მასაზრდოებელი მუხტი დაიშრიტება — დათა თუთაშხია.

მწერლის სწავლებით, სიკეთე და ბოროტება ურთიერთგადაჯჭვული აქსიომაა. ჩვენ მაცილისეულის დაურვება გვწადია, როგორც რუსთაველთანაა მითითებული: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო, ანუ ბოროტების დაქვემდებარება საშვილიშვილო საქმეთათვის; მივიღებთ კი ორივეს გაცამტვერებას და მაინც უკვდავების საზრისს წუთისოფლის თვალუწვდენლობაში, ანუ იგივე ზესთასოფლის, მარადიული სამყაროს განზომილებების თანაფარდობა ყოველდღიურთან.

გორასვე ფიქრებით: „ცხოვრება სამჟღავნებელია, კაცი — შიგ ჩაგდებული ფირი". დაახლოებით იგივე, რაც საუკუნის მიწურულს პრეზიდენტ გამსახურდია რომ დამართებს ჩვენს ბიურგერულ საზოგადოებას, უკეთ ურბანისტულ კასტას — კარონნი თბილისელის სახელით დამკვიდრებულს ქართველი კაცის ცნობიერებაში და საგრძნობლად განტოლვილს ზოგადეროვნული ფასეულობებისაგან, კინტოურთან, კოსმოპოლიტურთან, რაღაც აჯაბსანდლურთან წილნაყარს.

დიდი მწერალი თითო-ოროლა თხზულებაში ამოწურავს ხოლმე სათქმელს. მეტიც რომ დააკაბადონოს, განახალხუროს, მაინც თითო-ოროლაში განსხეულდება არსებითად და დროთა ვითარებაში დანარჩენს, დავიწყების საბიბლიოთეკო თუ სამუზეუმო მტვერი დაეფინება.

ჰომეროსი „ილიადასა" და „ოდისეაში" ზედმიწევნით ამოსრუტავს

სათქმელს, თუმცა ბრმა აედს ბერძნული მითოლოგია ხონჩასავით ედგა წინ — არგონავტების ფათერაკიანი მოგზაურობები ოიდიპოს - ანტიგონეიანად, და მაინც უმთავრესს ჩაეჭიდება მამფალი მეჰანგე: ფეხმარდი აქილევსის პიროვნულ ტრაგედიას და ცბიერი ოდისევსის მრავალჭირთათმენით მოპოვებულ ტკბილ სიბერეს. ამ ორი ეპიკური ტილოს სარკისებურების თაობაზე სხვაგანაც გვიმსჯელია: პირველ სიმღერას XXIV რომ შეესაბამება, II—XXIII, XII—XIII და ა.შ.

დავაკვირდეთ შინაარსსაც — სინთეზური თხრობის „ილიადა", სადაც ყველა ფრაზა, შტრიხი, დეტალი ტროის დასაქცევადაა მიმართული; „ოდისეა" უკვე მოგზაურულ-მოხეტიალურ ფაბულას ირჩევს, გამოცლილია ფეხრთა ქვეშ „ილიადას" თხრობის ბალავარი, მიატკაცუნებს აფრებს სცილასა და ქარიბდას შორის, უფრორე იმიტომ, რომ პირველ თხზულებაში დაძლეულია მოძრაობის სტატიკურობიდან გადმოცემა, რაც მომდევნოში წესით, შებრუნებული მეთოდით უნდა განხორციელდეს, ანუ სტატიკურობის მოძრაობიდან აღქმით;

ჰომეროსის შემოქმედება ჭოგრიტივითაა, ერთი ბოლოდან ახლო ხედით საჩინოვდება გარდასული რეალობა, მეორე საჭვრეტელიდან შორსაა გატყორცნილი წუთისოფლის ღავღავი.

დანტე „ღვთაებრივ კომედიაში" ჩამოაქანდაკებს უკომპრომისო სულის ფლატეებს;

სერვანტესი „დონ კიხოტით" ქარის წისქვილების ფრთების დგაფუნით შეაბარბაცებს კუზიან ენგიდუნიასაც;

გოეთე „ფაუსტთან" დაატყვევებს მშვენიერ წამს — კაცობრიობის ნეტარ გარინდებას.

რუსთველიც აქ არის ქაჯავეთის ციტადელის დამნაცრავი სამსახოვანი გმირით — ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილით.

ამ საოლიმპო აღმართზე სიზიფეს ლოდს მიაგორებს ჭაბუა ამირეჯიბიც, უკეთ ხურჯინივით გადაუკიდია მხარზე „თუთაშხია" - „მბორგალი", და დაუსრულებელი ქაქანის თუ ყბედობის ფონზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს სანუკვარი სერობისაკენ, თუმცა ჯერ მრავალი აღდგენითი სამუშაოა მოსამთავრებელი.

დიახაც, მე უნდა დამერღვია ეს მოჩვენებით ოლიმპიური სიმშვიდე მისი შემოქმედების გარშემო, თითქოს ყველა ბასტიონი აღებულია, ყველა ნიშნული ზურგს უკანაა მოტოვებული, აწ უკვდავების წყაროში ჩაყურყუმელავებაღა დაშთენილა უდაბნოეთიდან გამოღეწეულისათვის.

მაგარამ გური ოტობაია კეთილთვისებიანი ლაკმუსია თანამოკალმეთათვის, იგივე ნაწარმოებს ათი წლით შემოხვეული ხარის ტყავია, მე-

სამე თვალისჩინი, ოდესმე უსათუოდ რომ ეწვევა ბედის ნებიერს. და ასეც აღსრულდება, — „თუთაშხია“ - „მბორგალს“ პირუთვნელი მსაჯული მოევლინება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ავტორისევე სულთამზეობის პერიოდში ჩამოიშოროს მის თხზულებებს ზადი და ხენეში. ასე ნებავს ბედისმწერალს, ასე მზმანებია მე ქრისტეშობის არეალში და ასე განესრულება ყოველივე მეორე ათასწლეულის დამხურავი თხზულებათა საბოლოო ჩამოქანდაკებით.

ბოროტის კეთილად გარდაქმნის მისტიკა უმთავრესი ეზოტერიაა ქრისტიანულ მორალში და თუთაშხიას საგაც ზედმიწევნით აკმაყოფილებს მართლმადიდებლობის ამ უმაღლესი თეოლოგიური კატეგორიის მსოფლგანცდას. ჭონიაც კი, ეს ნაცარქექია ბადალი ვირთხა თორიას კასრიდან, სიკეთის მთესველ პიროვნებად გადაქცეულა საღმრთო რაინდის სულიერებასთან ზიარების მერმე. გრაფი სეგედის კათარზისზე ხომ ჯეროვნად გვისაუბრია, მაგრამ პერსონაჟის ყველაზე ქვეტექსტური გადმობირება ქალბატონ სალომე ბაზიერაშვილოდიშარიასთანაა.

ჯერე ერთი, იგი მონასტრის ცვილისფერ ცხოვრებას ზურგს შეაქცევს და მონაზვნის აღკაზმულობას ჩითის ჭრელაჭრუა სამოსალზე გაცვლის; მერედა, ეფემია წინამძღვრის თუთაშხიასთან დიალოგში, როგორც მადასტურებელი ძალა ოთხგზის გამოესარჩლება ოთხთავის პოსტულატებით საღვთო რაინდის პერსონას, მიუხედავად მოსალოდნელი უმკაცრესი სასჯელისა, ოდეს თუთაშხია მხოლოდ ქადაგების სახსარ-ღონეს, მოქმედების უვარგის ტაქტიკად შერაცხავს და ძალის აუცილებლობას ახსენებს მიზნის მიღწევის მართებულ საშუალებად.

ჯერაც ვერ ამაღლებულა მისი სული სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის ფორმულამდე, „რამეთუ უმჯობეს არს ჩვენდა, რათა ერთი კაცი მოკუდეს ერისათვის, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდესო“. და წინამძღვრის განაჩენი — „ეშმაკეული არს და ცბის“, უკვე ოცი წლის მონაზონ გოგონასაც ეკუთვნის თუთაშხიას მხარდამხარ, როგორც თანამზრახველს, როგორც საღმრთო რაინდის მოსარჩლეს სულით და ხორცით. სხვათა შორის აღსანიშნავია აქვე, რომ თუთაშხიას დიაპოზონი საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს, ნებისმიერ კატეგორიას შეეხება ანიდან ჰოემდე, გარდა მღვდელთმსახურების და საგიჟეთისა.

აქაც დაფიქრების საგანია ავტორისეული პოზიცია, ვინაიდან ამისთანა კოლორიტულ სფეროებს არაფრით გაუშვებდა ხელიდან გონსასეირო ამბებს დადარაჯებული ბელეტრისტი. აქ ქვეტექსტის პასუხად ერთი სახიერი ვარაუდი ამოიზრდება ოდენ: უფლის სახლად მიჩნეული

ტაძარი ამაზრზენობაა თუთაშხიასთვის, როგორც ქრისტეს საქმეთა გამრუდების უმთავრესი სათავე, ვინაიდან დიახაც საავკაცო ქმედებისავთის უფრო მიდიან ისინი მონასტერში, ვიდრე მაღალზნეობის სამსახურად; ამიტომაც, ბუნებრივია, თუთაშხია აღარაფრით აღიკვეცება ბერად, აღარაფრით შედგება იგი რუსეთის მონასტერში მღვდელმსახურად, მით უფრო— სხვა გვარით. ეს უკვე დასაწყისშივე დამარცხებული საქმეა, რამეთუ საზოგადო ბედნიერებისათვის ერისკაცობა სჯობია, საიდანაც გამარგვლის მეტი საშუალებაა, თუნდაც ეს სამოროდო განწყობილება სატანისაგან მომდინარეობდეს.

ჯერხანობით ხომ მთვარის ფავორიტს ბოროტებასთან საბრძოლველ იარაღად თვითზვარაკეულობა არ აურჩევია ერთადერთ უცთომელ სახსარ-საშუალებად? და ეფემია წინამძღრისაგან ლამის დამდაბლებულა, ლამის ფეხით გათელილა ბრბოსთან გათანაბრებული მისი ფენომენი: „ამის უფლება მხოლოდ მესიებს აქვთ“, „მხოლოდ მესიებს“, თანაც, „ისიც მაშინ, თუ საამისოდ ვითარება არის მომწიფებული“! როგორი განაჩენია ყოველივე ბოროტებასთან დაუსრულებელ ჭიდილში გათანგული აბრაგისათვის?

თითქოს წყალია გადასხმული თუთაშხიას ყოველი მუშაკობისათვის. ამიტომაც არაფერია გასაკვირი, რომ არასოდეს შედეგს იგი ბერად. ეფემია წინამძღვარიც ხომ ვალს მოიხდის უფლის, დათას წინაშე, როგორც მოძღვარი, როგორც სისხლით ნათესავი თუ სულაც მალვით მიჯნური, იმისდა მიუხედავად, ეფემია დედით თუთაშხიაა?

აქ ერთ დეტალზე ყურადღების გამახვილება უთუოდ ღირს:

დათა თუთაშხია, რომელიც ეკრანული ცნობიერებით შემოსულა საზოგადოებაში, რამდენადმე განსხვავდება წიგნიერისაგან. აქ, ჯერ ერთი, ყველა მთხრობელი ამოყრილია მოქმედებიდან და მათ ადგილას თავად რეჟისორის ობიექტივი გვევლინება, მაგრამ ზოგჯერ კომპოზიციური მთლიანობისათვის თუ ნაწარმოების სიმკვიდრისათვის მოგონილი ხერხი განაბნევს თხზულებისმიერ რიფებს, მეჩიჩებს, ჩვენი გულისხმიერების წილ საგანგებოდ დახაფანგებულს. მსგავსი ქმედებანი ავტორს სრულებით არ სჭირია, მისთვის უმთავრესი თუთაშხიას პიროვნების სრულყოფილი აღდგენაა, და დანარჩენს მნიშვნელობა დაუკარგავს, უკეთ ნებისმიერია თუ პერსონაჟთა ცხოვრებანი ერთმანეთს ვერ გადაკვეთენ, ან პირიქით მეტი შეხების შესაძლებლობა გაუჩნდებათ და ამით ნაწარმოების კუთრი წონა გაიზრდება.

რომანის ქსოვილის სტილური თავისებურება ეპისტოლარულია, თუმცა ყველგან შენარჩუნებულია ქრონოლოგიურობა მოქმედების

განვითარების თვალსაზრისით. სისტემაშია მოყვანილი მასალის მოწოდების თანამიმდევრობის პრაქტიკაც.

გრაფი სეგედის მახერხემლებელ მეგზურობას მიზანმიმართულად ავსებენ აბრაგთან ნაკონტაქტები პიროვნებანი:

ტერორისტი ნიკიფორე ბუბუტეიშვილი;

კაციჭამია ვირთხების გამომყვანი ქუჯი თორია;

იურიდიული კანტორის მესვეური ირაკლი ხურციძე;

პოლიცმაისტერი ნიკანდრო ქილია;

აბრაგი თუთაშხიას კოლეგა — ყაჩაღი ბექარ ჯეირანაშვილი;

ზარანდიებთან შვილივით გაზრდილი შავლეგ გოგინაშვილი — იგივე შალვა ზარანდია;

ჰელმინთოლოგი რობერტ პავლეს ძე ხაპლინი, იგივე ყაფლანიანცი — თაფლიანიძეებთან, სამადაშვილებთან, ფარლაღაშვილებთან ნაზიარები სისხლით, შემდგომში კაპლანად მოვლინებული ქვეყანას და რევოლუციის წლებში ხაპლანად გადანათლული ლენინის ქილერი ქალის შიშით, გვარნაცვალი, მოყურადე, მეხუთე კოლონის ტიპიური სალდაფონი სტუკაჩი;

ალექსი სნეგირი — პროფესიონალი რევოლუციონერი;

შალვა თუხარელი; ყალბი ფულის მჭრელი ვასო გოდერძიშვილი, სხვანი და სხვანი... აქ ყოველი სიტუაციის თუ სიუჟეტის სულისჩამდგმელი გრაფი სეგედი ან მწერალი ყოფილიყო, თითქოს არაფერი შეიცვლებოდა, მოქმედების განვითარების სქემა იგივე დარჩებოდა; შენობა კომპოზიციურად იგივე აღნაგობას შეინარჩუნებდა, სამაგიეროდ დაირღვეოდა თავად ნაწარმოების სტილისტიკა, ენობრივი ფენომენი, რომელიც ,,დათა თუთაშხიაში'' ერთ-ერთი უდიდესი შენაძენია, ვინაიდან როგორც ადრე აღგვინიშნავს, ნაწარმოებში მკვეთრადაა გამიჯნული მწერლის უმწირესი ჩარევები პერსონაჟთა მონათხრობისაგან და მითუფრო მთავარი მესვეურის — გრაფის სეგედის მონაყოლისაგან.

ავტორს, ცხადია, ბუნებით ებოძება ღვთიური გამოცდილება, ცოდნა პერსონაჟის სპეციფიკურობის თაობაზე; რომ მეურმე, მჭედელი და აფთიაქარი გამორჩეული ენობრივი ქსოვილით ახასიათებენ ერთსა და იმავე სინამდვილეს: თვითეულს პროფესიული, და აქედან გამომდინარე — ტემპერამენტული თვისებიდან, განსხვავებულ ტემბრს, ხასიათს დაანათლის განგება; ამიტომაც მათი მონათხრობით აღდგენილი მოვლენა ვერაფრით დაემთხვევა ერთმანეთს დროსა და სივრცეში, აკუტაგავას ნოველის ,,უსიერ ტყეში'' მსგავსად.

ამ სამი მოსაუბრის თვალწინ ჩაქროლილი ეტლი განსხვავებული ფორმა-შინაარსისა იქნება, სამივე ინდივიდუუმის გათვალისწინებით.

ერთგან თავად ეტლი წამოიწევა მეტის სიცხადით;

მეორეგან ცხენების მოსართავები, ბორბლების აღკაზმულობა და დაჭედილი ფლოქვების თემშარაზე ანაპერწკლება;

მესამესთან ნეფე-პატარძლის ზიზილ-პიპილები, სუნამოს სურნელი თუ გახვითქული მერნების ოფლისგან დარჩენილ ნესტოთა თროთლვა.

ეს ანაბანა ავტორს ზედმიწევნით გაუთავისებია. იმიტომაც ელვარებს ათასფრად თუთაშხიას გარშემოწერილობა მთელის სისავსით, ვიდრე ფინალში სეგედისა და მწერლის ფენომენი შეწყვილდებოდეს; შესინთეზდებოდეს მთხრობელ-ავტორი იდენტიფიკაციის ქვეტექსტური მოტივებით. ალბათ, ესეც უდიდესი ამაგს დასდებს თუთაშხიას ზედმიწევნით გახალხურებას.

დღევანდელ თუ ისტორიულ საქართველოში იშვიათია ლიტერატურული გმირი, რომელიც პოპულარობით „საღმრთო რაინდს“ გატოლებოდეს;

იგი დიდი ხანია უკან ჩამოიტოვებს ღვთაებრივ ავთანდილებს, ბაშიაჩუკებს, მამლუკებს, ოძელაშვილებს, ემუხვარებს და არსაკიძეთ; თანამედროვე ხელგარჯილობანი ხომ ახლოსაც ვერ მივლენ;

თუთაშხია დაიპყრობს ყველა სიმაღლეს.

დღეს რიგითნი, თუთაშხიას სიტყვებს აზომებენ არსენას არშინითა და არსაკიძის მკლავით; თხზულების კოორდინატებიდან განვჭვრეტთ სამყაროს და მის ყბაში მოქცეული ადამიანის ბედ-ილბალს; ვადგენთ სიკეთე-ბოროტებას შორის არსებულ დისბალანსს, და რადგან თუთაშხიას ეკრანული ვერსია ერთგვარი გამარტივებით შეძლებს ზედმიწევნით მიიტანოს საზოგადოების ფართო ფენებთან ნაწარმოების ძირითადი მიზანსწრაფულობანი, აწ დაუნჯებული მკითხველი მეტის გაფაციცებით მისჩერებია ფაბულის ამკინძავ მალებს, მათ შორის დამყარებულ ნერვიულ შეერთებებს;

ვამწვერვალებთ ზემოთ განვითარებულ სენტენციას, რომ თუთაშხია ბერად ვერ აღიკვეცება, ვინაიდან მისი ცხოვრების უმთავრესი კრედო— სამკალია: სხვანაიარად არ ძალუძს, და ასევე ვერც ყვითელი სახლის მოწყენილობისათვის გაიმეტებს სულს კევინ კიზის ინდიელების ტომის ბელადივით, რომანიდან: „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“.

საზოგადოების აი, ეს ორი სფერო გამოხშირულა „თუთაშხიას“ სივრციდან, როგორც ზედმეტი ბარგი, როგორც ზედმეტი სამკაული, ვინაიდან თეოლოგიურ ნავსაყუდელს თუ სულპყრობილთა სავანეს ზედმიწევნით შეესაბამება თავად ქუჯი თორიას კასრი — ქვეყანა, საწუთრო, წუთისოფელი, და რა აუცილებლობაა ამერიკის ხელმეორედ აღმოჩენა,

ღია კარების მტვრევა, ისიც დათა თუთაშხიასნაირი ჭეშმარიტების მაძიებელი კაცისაგან?

ცოდნოდა „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდი ბატონ ჭაბუას, ამ მისიას უფრო მოხერხებულად გაართმევდა თავს, მეტის მომჭირნეობითა და სამიზნეთა ათიანების დაჟაკანებით;

ნაწარმოების ეპიცენტრად ამისთანა შემთხვევაში უცილობლად თორიას ლაზარეთი მოგვევლინებოდა — როგორც ქვეყნიერების სიმბოლო რკინის კასრთან ერთად. მაგრამ ვინაიდან, სხვაგვარია თხზულების სტილისტიკა, ჩვენც არსებულით ვიმსჯელოთ, უკეთ გადავხედოთ მწერლის ოსტატობის გენეზისს „თუთაშხიადან“ „მბორგალამდე“.

ორივე თხზულება მოცულობით ლამის იდენტურია — მონუმენტური. პირველის შექმნის თარიღი რატომღაც ნიველირებულია, მაგრამ მეორე ათ წელიწადში შექმნილა — 84-დან 94-მდე. „თუთაშხია“ ტრადიციულ თხრობითობას ირჩევს ამოსავალ წერტილად, მეთოდად; ხატოვნებას, ფერწერას დიალოგების მეშვეობით. განგებ არ ტენის გვერდებს ზოგიერთი ბელეტრისტივით; განგებ არ ანიჭებს ლითონსხმულის, ზოდის ფორმას, თუმცა არქიტექტონიკით, სჯა-ბაასისათვის დამახასიათებელი ინტონაციითაა ასასახი.

პირველი რომანი ოდეს გმირის განვლილი ცხოვრების ქრონოზაციასაა დაქვემდებარებული, მეორე რამდენადმე ქაოსურია, და თითქოს ემორჩილება „ცნობიერების ნაკადის“ ხასიათს, მაგრამ ეს „თითქოს“ შემთხვევით არ მოგვიშველებია, ვინაიდან მხოლოდ გასაუბრება საკუთარ თავთან, მხოლოდ გაბაასება საკუთარ მესთან, არ კმარა ქვეცნობიერის ამოსამზევებლად.

სულაც არ არის შეძრწუნებული გორა მბორგალი. მისი მარათონული მარბენლობა, გლეჯივით თუ ხვრელში მძრომელობით, ასპარეზია დიახაც — საკუთარი წარსულის ზედმიწევნით გაშუქებისათვის.

თანაც რაჟამს გზა ოთხი თვის სავალია, მისახვედრებელია, როგორი პროპორციით უნდა შეზავდეს ახლანდელი დრო ნამყოსთან;

ჩვენი მაგალითით კი გორა მბორგალი სამჯერ მეტს ფიქრობს ვიდრე მოქმედებს. ესეც მისაღებია „ცნობიერების ნაკადის“ სტილისტიკის ნაწარმოებისათვის.

ჩემი რომან-ტრიადა „სიცოცხლემისჯილების“ პირველი-მეორე წიგნებიც თანამიმდევრულად აკონკრეტებენ ქვეცნობიერის გამოვლენის ტექნიკას: ფოლკნერ-ჯოისის ხელწერა აქ შედარებით გამარტივებულია, გაიოლებული სამამულო ვითარების გათვალისწინებით და სადაც მომენტი, დეტალი ქმნის მსგავსი ვითარების რესტავრაციის აუცილებლობას, გადამღერებულა, თუმცა თავად ქვეცნობიერის გამოვ-

ლენის უმთავრესი შტრიხები კვლავაც ბურუსითაა დაფარული და ვინაიდან შინაგანი მონოლოგის თხზულებანი: „არტისტული გადატრიალება“, „აველუმი“, თუ „გორა მბორგალი“ ტრადიციული მეთოდებით ასახავენ ქვეცნობიერის გამოაშკარავების ტექნიკას, ვეღარ მოუმარჯვებიათ ქვეცნობიერის განამდვილების იარაღი, გადაჭრით შეიძლება ითქვას: ქართული ბელეტრისტიკის ორათასწლეული ვალში დარჩენილა ამ მეთოდის წინაშე (ერთი მერცხლის ჭიკჭიკი ხომ გაზაფხულს ვერ მოიყვანს), ჰოდა, ვინაიდან, „ცნობიერების ნაკადი“ ოცდამეერთე საუკუნის გადასაჭრელ დილემად ქცეულა, ისევ „მბორგალის“ აღნაგობას დავუბრუნდეთ.

აქ ოფლში მცურავი მარბენალი, რომელსაც „პირში ჟოლოს გემო ჰქონდა და ჰაერში მყრალი ოხშივარი ტრიალებდა“, დიახაც ჟოლოს ფონემასაა დადარაჯებული თხრობის წნულების, კვანძების გასაჩაღებლად: „კაცო, თუ რესტორანში ვარ, იქ ჟოლოს ჩაროზი ბოლოში იციან, არადა... შეხედე ამ ბებერს! ექიმიც ყოფილა, ჟოლოს ჩაი დამალევინა, ოფლი მომადინა“.

აღმოჩნდა, რომ დიდი მსაჯულივით ამირეჯიბი წაუკითხავს არაფერს სტოვებს, და საამჟამოდ მისი მწერლური სტილისტიკა 180 გრადუსით გაემიჯნება ტრადიციულ თხრობას.

„სიცოცხლემისჯილების“ პირველი წიგნის გმირი — ბედისწერით შეძრული ფრთოსანი ჭიანჭველა — მოეხეტება თოვლჭყაპიან გზაზე, საკუთარი პიროვნების წაშლის რეალობით სულშეძრული, კვენტინ ქომპსონის დარად შეძრწუნებული, და მხოლოდ მოგვიანებით, დიდი ღელვების გადავლის შემდეგ მოიცლის ერთ ჭურჭელში ორი პიროვნების დასაფიქსირებლად: ბონდო ჰალიძონია და ბუტუტი ხანთარიძე ცინიკურ დიალოგში ჩაერთვებიან, ვინაიდან სხვაგვარად ძნელია ქრისტედ მოსავლენი პიროვნების წიაღში ნორმალური, ადამიანური მსჯელობის გამართვა ცაბაოთის პრობლემაზე:

„გორავ, საყვარელო! პოედიმ კ პალკინუ“ — ეუბნება ალტერ ეგოს მომასლაათე გორა. „იყრანტალონო“ შემოიშველიებს დასახელებული წიგნის ინტონაციას. და როგორი დამაფიქრელიც იყოს მბორგალის კოლექტორიდან გამოქცევა, მის დეტალიზაციას მწერალი თავს ავადმყოფურად არიდებს.

ზონების, უჟლაგებისა და ვეტლაგების ბინადართა თქმულისამებრ ხვრელით გასაქცევი არტერია ათწლეულობით მზადდება. იქ ბარი და ნიჩაბი ძალყინ-წერაქვიანად სრულიად გამოუსადეგარია, ვინაიდან მამლის ქურდის გამოცდილებისამებრ, ფიცს ერწმუნები, მაგრამ კუდი გაგაოცებს. იქ, ხვრელში, დიახაც სანტიმეტრობით გასწევენ მიჯნას,

ათწლეულობით. თანაც მემაღაროეს ნიკაპი მიწაზე უდევს, კეფა გვირაბის ჭერს მიგლესვია, საგანგებო ხალათი აცვია, გუშინდელი გვარდიელის აღკაზმულობის იერისა, ათეული გარეჯიბით დამშვენებული; ჰოდა, ნუღარ გაგვიკვირდება, კოვზით, დიახ, დიახ, კარგად აფხიანებული კოვზით, მუჭა-მუჭა შემოაქვთ გაფხვიერებული მიწა; ჯიბეში იყრიან, ბრუნდებიან საკანში, პარაშაში ცლიან, ჯოხით კარგად მოურევენ დურდუბოში. ამგვარად გაიტანენ ზედამხედველის თვალის ასახვევად. თორემ „მბორგალის“ მიხედვით, გლეჯვით გაქცევა დახატული თუა, ხვრელით გაპარვა ფრიად ორიგინალურია.

ციხეში პოლიტიკურები და კანონიერი ქურდები ერთმანეთს რისთვის ვერ ჰგუობენ, ესეც დიდ საიდუმლოს არ წარმოადგენს. ქურდისათვის ციხე მეორე ოჯახია; ამას ამირეჯიბიც ცნობს, მაგრამ მათ შორის კონტაქტი აბსოლუტურად რომ გამოირიცხება? საქმე ის გახლავთ, რომ ქურდს, როგორც ასეთს, სამშობლო არ გააჩნია. ის კოსმოპოლიტი პერსონაა; მისთვის პატროფილური განცდები მეორეხარისხოვანია, რელიგიაც— სხვათა შორის.

ქურდისთვის მთავარი კრიტერიუმი საკუთარი სახელის შეუბღალავობაა და მოსაქაფი არენა.

ამისთანა პირობებში, როდესაც ზონაში მეკუჭნავედ მოკალათდები, აქ ასაკი ვერაფერი გამართლებაა. ეს უკვე ციხის ან ზონის ადმინისტრაციასთან გარიგების ტოლფასია, კომპრომისის იდენტური, მეტიც — სავარაუდო სტუკაჩობა, კრუხსაც რომ უწოდებს მრავალნატანჯი მწერალი, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავაცნობიეროთ, რომ პოლიტიკურებში ქურდული კლანი მომავალ დამსჯელს ხედავს, სახელმწიფო მოღვაწეს, კანონმდებელს ბოლოს და ბოლოს, რომელიც ადრე თუ გვიან ჟილეტს განუმზადებს მომთვინიერებელ განაბს, თუ სულაც ხის ბუშლატს — კუბოს — ამირეჯიბისებურად?

ჰოდა, ამისთანა ვითარებაში ყოვლად გამორიცხულია პოლიტიკოსებსა და კანონიერ ქურდებს შორის რაიმე თანამშრომლობაზე საუბარი, რომ აღარაფერი ვთქვათ ხელშეუხებლობაზე. ციხეში, ზონაში, პოლიტიკურებიც უკლებლივ ქურდების დაკრულზე ცეკვავენ ზეკებივით, მუჟიკებსავით თუ იგივე შობლათა მსგავსად. ამით სატუსაღოების ცხოვრების წესი არ იცვლება. მოკლედ, ფრიად გასაკვირია გორა მბორგალის მეხუთე გაქცევა, რომელიც ვინმე ფილიპოვის მომზადებულია ზედმიწევნით. ზედ კოლექტორზე დაშენებული ერთ-ერთი ბანაკი გორას სამფლობელოა, სადაც მეკუჭნავეობით ირჩენს თავს, თორემ ხვრელიდან როგორ გამოეტევა „თბილი საცვლებით, მოხერის სვიტრით, ირმის ბეწვის შარვლით, ჩუქჩური უნტებით, ირმისვე კაპიუ-

შონიანი ზედატანით, დუნდულს ქვევით მკვიდრად შემოსაკრავი ზორტით, მერე ყურებიანი ბეწვის ქუდით, ამის ზემოთ რეზინის წებოში ამოვლებული ტილოს ქარგაუმტარი ბალახონით და სულ გარედან — თეთრი, წვივებამდე ჩამოშვებლი, უსაშველოდ ფართო ნიღაბხალათით, რომელსაც საგანგებო კონსტრუქციის წყალობით (კონსტრუქციას შენობაზე იტყვიან. ჯობია, ფორმა, გ.ო.) კარავის მაგივრობაც უნდა გაეწია", ამას ზედ დავურთოთ ზურგჩანთაც და მისახვედრებელია რამხელა ხვრელის გამზადება დასჭირდებოდა გორას.

აქვე ცდომილია, ალბათ, გამქცევთა ჩამწკრივება ორმოცდასამმეტრიანი ხვრელის წიაღში, თანაც გონსასეიროდ, დუნდულოში დანის ჩხვლეტა. ასეთი სიხალვათე კი „ხვრელების გიჟ" კარაპუხინს კი არა მემაღაროეებს თუ მეშახტეთ შეშურდებათ! ჰოდა, ამნაირად აღკაზმული გორა სამ ათასეულ კილომეტრთან დაჭიდებას რომ განიზრახავს მშობიარე ქალივით აკივლებულ პურგაში, რომელმაც უნდა გააჩინოს მბორგალი თოვლეთიდან, ყინვის სულიდან — იგლუსიდან — ყინულის ლოდების სახლიდან, საადამიანოსკენ, კორიდასკენ, რელსებზე დასაჯდომად და სხვა არაფერი, არანაირი ცხოვრებისეული მიზანი თუთაშხიასთან მოზომილი, თუთაშხიასთან დაგეზიანებული.

უნებლიეთ გებადება კითხვა: საკუთარ თავთან გაჯიბრება და შენეული სისუსტეების დაჯაბნვა თუკია მიზანი, ესეც მცირე ბარიერი როდია, „თუთაშხიასვე" გამოცდილებით, მაგრამ ნივთიერ, ხელშესახებ სივრცეში, როცა გადავიყვანთ ორივე ნაწარმობის კუთრ წონას, დათასთვის მახლობელი რძის პროდუქციით, „თუთაშხია" შებოლილი სულგუნის სადარია, ჭიისთვის მიუკარებლი, საშვილიშვილო. სულუგუნის ბოლში გამოყვანას წინ უსწრებს რამდენიმე პროცედურა: შედედების სემანტიკა, მაჭიკნასვამი რძე ოდეს შესქელდება და მთვარესავით ყველს დაბადებს ნაცადი ხელი, ამისთანა საკვებს, ჭყინტს ვეძახით — უამრავი კერძეულის ნედლეულს, მაგრამ შესანახად უვარგისს. ბუნებრივ პირობებში უმარილოდ მალე ამჟავდება, აფუვდება და ძვირფას თვისებას კარგავს, ხოლო დამარილებული საღეჭი რეზინასმაგვარია, მწკლარტე.

ქართველს ემარჯვებოდა ჭყინტი ყველის სულუგუნად გარდაქმნის, გურმანობა: ექიმი — ნუა. თითქოს გადაზელვის პროცესში ჭყინტ ყველს აკლდება შრატის სახით ცხიმი, ერბოვნობა, მაგრამ წარმოიდგინეთ, ახალ თვისებრიობას იძენს იგი, ახალ საფეხურზე ააღწევს და უკვე სულუგუნად გარდაქმნილი რამდენიმე კვირა-თვე იხანგრძლივებს სიცოცხლეს; თუმცა ისევ წამოტივტივდება შენახვის პრობლემაც. უმარილოდ სულუგუნიც ვერ ძლებს დიდხანს და აი,

აქედან, ამ მეორე ტექნოლოგიიდან, თუთაშხია მწყემსი სამზადის ოჯინჯალეზე ჩამოაკონწიალებს სულუგუნის წყებას შესაბოლად და დროთა ვითარებაში კვამლისგან გაჯერებული გამზადებულა კიდეც სამუდამო არსებობისთვის.

ჩასვენებულა დაკონსერვების, „დაცელოფანების“ თუ სხვა ღონისძიებათა უმწიფარი მსოფლიო გამოცდილებანი: შებოლილი სულუგუნი — ჭყინტი ყველის მესამეული მეტამორფოზა — უკვე სრულყოფილების საუფლოში დაამკვიდრებს მას, და უხეშ შედარებად რომც ჩამოგვერთვას, „თუთაშხია“ ამ უკანასკნელის ტიპისაა, ცრემლისმომდენი კვამლით გაჯერებული, ხოლო „მბორგალი“ ჯერაც ვერ გაცდენია დამარილებული ჭყინტის აღნაგობას, კაზლას რომ ეძახიან თუთაშხიასვე სამშობლოში.

სტილის გადაბრუნება, ნაწარმოების ხარის ტყავში ათ წელიწადს გამოხვევის აუცილებლობა „თუთაშხიას“ ზედმიწევნით გამოუვლია, ხოლო „მბორგალი“ ამ საფეხურებს შიგადაშიგ საჭიროებს მოშველიებული უზარმაზარი ინფორმაციის დაწდევების, გამოხშირვების თუ სულაც ამპუტაციის თვალსაზრისით.

აქ ფიქრი ფიქრისთვის მოშველიებულა და არა — თავად გმირის შინაგანი სამყაროს დასაფიქსირებლად. ხელოვნურობის ნიშნით აღბეჭდილა ლამის გიგანტი ფიჭვების წარმტაცებელ პურგაში საბჭოურ რეჟიმს გამოქცეული პატიმარი, რომელსაც უარეს შემთხვევაში ზონის შესასვლელთან დახვრეტა ელის სხვათა ჭკუის სასწავლებლად, ან უკეთესობის პირობებში სამუდამო ტუსაღობა. და მიუხედავად ყოველივესი ჩინებულად მორგებია გარემოს იაგორ კარგარეთელის საძილე ტომარა. მწერალი გაურბის ახლანდელ დროს, მწირია პრეზენსი მარბენალის პულსაციიდან. ის თითქოს წარსულით იცოხნება, რომელიც მის თავზე როდი დატრიალებულა წისქვილის დოლაბივით, არამედ მთელი ქვეყნის ტრაგედიაა, მაგრამ ვერბალურ რესტავრაციებში იკარგება „თუთაშხიასეული“ ჯადოსნური დასწრების ეფექტი თუ თავად თხრობის მრავალპრიზმიანობა.

ნებიმიერ ფსიქოლოგიაში ფროიდები, უზნაძეები, ქვეცნობიერის პრიმატს ანიჭებენ უპირატესობას, როგორც ადამიანის შინაგანის წარმართველ ძალას, როგორც იმანენტურის გარეგანში გამოვლენის ქვაკუთხედს, მაგრამ „მბორგალისათვის“, ფიქრი სატვირთო შემადგენლობებით მოიზიდება, კუბმეტრობითა და ვაგონებით; მას არ ახასიათებს მოწოდების იმპულსური თავისებურება, მხოლოდ გეომეტრიულ მოცულებითობას ემორჩილება და გამოირჩევა ძალდატანების ქოლერიკული ხელწერით.

არადა, საბჭოური ლაგერებიდან ხუთგზის გამოქცეულს,

საწუთროს ხუთგზის გამმეტებელ პერსონის სულიდან არ შეიგრძნება სიმწრის თუ შეჭირვებულობის სურნელი: თითქოს კაფე „როტონდა-დან", ან „მულენ რუჟიდან" გვეხმიანება მწერლის დაუდგრომლობა, რომელიც ძირითადად ავტობიოგრაფიული ხაზისაა, დოკუმენტურობის უტყუარი სამხილი მასალით გაპოხილი და ამდენად, მემუარული სტილის იწილობიწილო, ნაკლებად რომ ეკონტაქტება გამონაგონს, უფრო მტკიცებითი მნიშვნელობისაა, მწერლის ბიოგრაფიის დამადასტურებელი გუჯარ-სიგელია, იმიჯის ალიბი. ფსიქოლოგიაში კი ცნობილია ფრაზა: ვინც ამტკიცებს, ის ტყუის. ესთეტიკური პოზიციიდან „მბორგალის" გაუმართლებელი წიაღსვლების მიუხედავად, მოიძებნება მკითხველის წარმართველი შინაგანი ჭიდილი დამთრგუნველ ძალასთან, მიტილენიჩთან, იგივე სატანურ საწყისთან, რომელიც ქართული წარმოშობისაა, „ჩორტ ნერუსკია", მიტია ჯვარშეიშვილის წუთიერი გატაცების უმისამართოდ გაბნეული თესლის ამოჯეჯილება და მაინც ზარანდიას შეუპოვრობით მომართული მიზნის მისაღწევად.

პერიფერიული ზონები და საპატიმროებია მისი სტიქია. ლიანდაგის სიახლოვის სატუსაღოები მიტილენიჩის მაძიებლურ სულს აღარ აკმაყოფილებს, ვინაიდან მარბენალი ორი-სამი საათის მანძილზე ხალხმრავალ ქალაქში ამოჰყოფს თავს და სამუდამოდ გამსხლტარია ხელიდან კუდით დაჭერილი თევზის მსგავსად.

აქ კი სრული მარათონია, უკიდეგანო სივრცე, თეთრი უდაბნოეთის დივიზიონი, მონუმენტური ციებ-ცხელება. საკვანძო პუნქტები ასეული კილომეტრით მოშორებია ერთიმეორეს, როგორც უდაბნოეთის ჭებია და ოაზისები, ყუმლეთი; წყურვილით სიკვდილი ელის საკუთარ ბუნებაში ჩაუხედავს, ტლუს და უგუნურს.

ამისთვისაც მიანიშნებს ავიცენა, იგივე იბნ-სინა, შვილი სინასი: მი-ირთვი წყარო საკუთარ აუზიდანაო, მაგრამ ქალივით აკვნესებულ პურგაში როგორ გინდა გააღწიო ფიქრის და ოცნების უნარს მოკლებულმა ადამიანმა?!

აქ მედიტაცია დიახაც ავიცენასეული ფორმულის მისადაგებაა განსხვავებულ ვითარებასთან: თუ გინდა გადარჩე პურგაში, მიიირთვი ფიქრი საკუთარ სულიდანო, მოგვითარგმნის მბორგალი და რეცეპტი თითქოს უტყუარია, მაგრამ ცდომილი თავად ამ ფიქრის მოწოდების პრაქტიკა გვესახება: გაოჩნებული ნახირის მორეკვა გაცხადების ქართაში და არა უშურველი ბუნებრიობა. გაქცეული კაცის მდგომარეობიდან გამომდინარე ათასობით კილომეტრის გადალახვის ერთადერთი საშუალება — ფიქრი ვეღარ იქნება სწორხაზოვანი, მაინცდამაინც ერთმიზნიერი, ერთი მიმართულების. აქ იგნორირებულია თავად ადამია-

ნის შინაგანი სამყაროს მოძრაობის თავისებურება, რომ მდინარისგან, თუნდაც სხივისგან განსხვავებით, ფიქრი სწორხაზოვან ტალღობრივის ნაცვლად სპირალურად მოძრაობს, ანუ გარკვეული წინსწრაფვის შემდეგ, უბრუნდება საწყის მდგომარეობას, ექვემდებარება განშტოებით მსვლელობებსაც, რომელმაც Ფ პუნქტიდან Ი-სკენ მიმავალი შესაძლოა Ჭ-სთან გადაგისროლოს და თავად ფიქრით მოხმობილი მასალის თავისებურებამ ს-ში დაგაბრუნოს, კვლავ „იფსილონთან“ მიგასწრაფოს და შემდგომად ᲗᲘ-სთან, გახეტიალოს ერთხანობას „Უ“, „Ა“, „პ“, „რ“, მწკრივით და ისევ წამოუაროს „იქსებისკენ“ თუ „იოტებისკენ“.

ყველაფერს შეიძლება მიეჩინოს კალაპოტი სურვილისამებრ, მდინარის ტოტს— წისქვილის ღარში მისაშვებად; თავად მდინარეს — ჰიდროელექტროსადგურის მძლავრი ტურბინების დასატრიალებლად; მზის სხივსაც კი პრიზმებისა და სარკეების მეშვეობით; მარტენის ღუმელში გამლღვარ მოთუხთუხე ლითონსაც დასაგლინად, მაგრამ სტიქიას და ფიქრს ვერაფრით დარაზმავს ვინმე ყაზარმული წესრიგით, ვერანაირად შებოჭავს ცოდნის და კანონზომიერების არტახებით. რაიმე სქემით და მიზანდასახულობით მსგავსი პროკრუსტეობა, თავად ფიქრის ხასიათის უცოდინრობაა, ინფანტილური უმწიფრობა ასაკმოყრილი დაუნჯებულობის საწინააღმდეგოდ.

ფიქრი, მართალია, გარკვეული დროის მონაკვეთში კი ემორჩილება ადამიანს, ექვემდებარება მის მაკონტროლებელ ძალას, მაგრამ საკმარისია პიროვნებაში ჩაერთოს შინაგანი ძალისხმევა, ქვეცნობიერი მომენტი, რომ მყისვე გადააცდენს დაწესებული კალაპოტიდან და აქამდე ნილოსის მდინარებას ატორღიალებული, შესაძლოა არაგვის სიგიჟმაჟეში გაიხლართო;

ასე რომ, საკუთარ თავთან დარჩენილი, მსუჟე პასაჟებს ვეღარაფით წარმოაჩენ იმ თანამიმდევრობით, როგორც ამას ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ახერხებს „გორა მბორგალში“.

მოვიშველიოთ ტიპიური მაგალითი:

„გორა ჭაში გამოხოხდა. ზეზე ადგა, ღრმა ამოსუნთქვას დაფრუტუნება ამოაყოლა, ჭის სარქველს ფარნის ჭავლი მიაბჯინა. კარში შავი პურგა მძვინვარებდა. მიაყურა, კვნესის მაგვარი რამ გაიგონა“. (ეს მწერალია — გორას გარეშემო არსებული ნებისმიერი ინფომაციის საცავის გამგებელი და წარმართველი ამავდროულად).

„როგორი ნაცნობი ხმაა! (გაუელვებს გორას ფიქრში, უკეთ საკუთარ მეორე მეს ესაურება მბორგალი, გ.ო.), რაღაც ისეთს წააგავს, როდისღაც რომ მსმენია, (ალბათ, ოდესღაც, გ.ო.) და მეხსიერებაში

ჩამრჩა... მშობიარე ქალის კვნესაა?! კი, მაშინ... ის ქალი ზუსტად ასე კვნესოდა — გრძელ ნაწყვეტებად, განწირულად".

აი, როგორი ასოციაცია წარმოშვა გორას ფიქრში პურგას დედაკაცის მიმსგავსებით დაკვნესებამ. ეს ჩინებული შედარებაა, მიგნება, მწერლური ჯილდო, მაგრამ შევხედოთ რანაირად ვითარდება მოქმედება შემდგომ?

„ერთხანს კიდევ უსმინა და ჩაცმა-დახურვას მიჰყო ხელი"... გასაგებია გორას არ სცალია პურგა—მშობიარე დედაკაცის მიმართულებით ფიქრის გასაჩაღებლად, ვინაიდან მის წინაშე უფრო მთავარი აუცილებლობაა: თბილად შემოსვა და კვალის რაც შეიძლება შორს გატანა, მდევრის შესაძლო მოხელთებისაგან თავდაღწევა, საძებარი რადიუსის გაფართოება.

„თოვლზე ავიდა" გორა, „ჭაში ჩაკიდულებულ ბაწარს დახედა, ახალგაზრდობის დროინდელ მოგონებას შეჰღიმა... ყარაგანდაში, დუბოვკაში ორმოცდასამეტრიანი ხვრელი გაიტანეს. კენჭით პირველი, ანუ ის, ვისაც ბოლო ორი მტკაველი უნდა გაეტანა და გასულიყო, კარპუხინი გახლდათ. ამ კაცს „ხვრელების გიჟი ერქვა, ვინაიდან რამდენიმე წარმატებული გათხრის მონაწილე იყო და ერთხელაც ვერ გაიქცა: „ბოლო ნაბიჯის უნარი" არ გააჩნდა, ღიაზე გასვლისა — იქ, შესაძლოა, გესროლონ!

ჩამწკრივდნენ — კარპუხინი, კუცენკო, ორთოიძე, გორა, ბოგდანი. კარპუხინმა მიწა გაანგრია. სიომ შემოაწია, გასვლაა საჭირო. კარპუხინს მკვდრის გაშეშებამ დარია ხელი — ვერც რამ გაიგონა, არც კუცენკოს მიერ დუნდულში ნაჩხვლეტი დანის წვერი უგრძვნია. მორივით იდო, შოკი!.. ბოგდანმა სთქვა:

— გორა, კიევში კოლექციონერს ვიცნობ, პრეზერვატივებს აგროვებს, ხუთასზე მეტი აქვს! თავად ცვედანია, იმპოტენტი..."

კურსივით ჩემგან აღჭურვილი ტექსტი ტიპიური ცნობიერების ნაკადია, ანუ მეხუთე გაღწევის ძალისხმევით ერთ-ერთი მსგავსი პასაჟით აღმოცენება გორას ცნობიერებაში, ოღონდ გათვალისწინებული არ არის თავად „ცნობიერების ნაკადის" ასახვის ბუნება-ხასიათი, ტრადიციული სინტაქსითაა მოწოდებული.

სულ რაღაც კუს ნაბიჯისხელა აშორებს ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს „ცნობიერების ნაკადისაგან", წრუწუნას კუდისხელა.

შევეცადოთ აღნიშნული ეპიზოდის „ცნობიერების ნაკადზე" მოქცევა:

„გასატანი ხვრელის წინ ჩამწკრივებულან კარპუხინი, კუცენკო, ორთოიძე, გორა, ბოგდანი. „ხვრელების გიჟი" კარპუხინი მიწას გაანგ-

რევს. სიო შემოაწვევს. გასვლაა საჭირო, მაგრამ კარპუხინისთვის მკვდრის გაშეშებას დაურევია ხელი, გახევებულა. კუცენკო დუნდულაში დანის წვერს უჩხვლეტს. მორივითაა კარპუხინი.

ბოგდანი. გორა, კიევში კოლექციონერს ვიცნობ, პრეზერვატივებს აგროვებს, ხუთასზე მეტი აქვს! თავად ცვედანია, იმპოტენტი...“

ეს ყველაფერი შავი შრიფტთი გადმოიცემა „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში. შესაძლოა, ინფორმაციული თუ ტექნიკის თვალსაზრისითაც დიდად არ განირჩეოდეს აქ დატოლებული ეპიზოდები ერთმანეთისაგან, მაგრამ ოდეს გავითვალისწინებთ ქვეცნობიერის ბუნებას, მის ხასიათს და სემანტიკას, აღმოჩნდება, რომ ზოგჯერ, თუნდაც მკაცრად დაკონტროლებული მედიტაციის პირობებშიც, თავად გულჩახვეული და შინაგანი მდუღარებით გარემოსილი პიროვნების წიაღში, მსგავსი სიტუაცია აღმოაცენებს, აღადგენს, არესტავრირებს, ბადალს, ალიკვალს უკვე გარდახდილს, უკვე მომხდარს, მაგრამ გმირის მეობაში მკვიდრად შენახულს. და როდესაც იგივეობრივი მეთოდით მოიშველიება ჭიდან ამომძვრალი გორას ფიქრში ერთ-ერთი გაქცევისას კარპუხინის გაშეშების სცენა და ბოგდანის ნათქვამიც ზედმიწევნით აღდგენილია, უკვე ბუნებრივია გადასვლა ფიქრის მდინარების მიმართულებით; არ დაირღვევა თანამედროვე თხრობის მართებულება, შინაგანი მონოლოგი არ დაემსგავსება ტრადიციული თხრობითისა და ექსპრესიულის უგემოვნო ნაზავს, რამეთუ ახალ ღვინოებს ახალ თხიერში ასხამენ, ამის თაობაზე ხომ თავად ოცი წლის სალომე ბაზიერაშვილი-ოდიშარიასი უკეთ იტყვის:

„რაითა არა განხეთქეს ღვინომან ახალმან თხიერნი იგი, და ღვინო დათხიოს და თხიერნი წარწყდნენ“(ლუკა 5,37).

და თუკი ეს სიბრძნე მყარად გაგვიცნობიერებია პირველივე რომანიდან, მაშინ რატომ ვარღვეთ თამაშის წესებს მეორეში, რისთვის არ ვემორჩილებით კანონის უზენაესობას? რატომ კულტივირდება ახალი სტილი ძველ სხეულში? რატომ ემყნობა შეუთაუვსებელი უცხოს? ამისთანა შემთხვევაში ხომ ყოველი ქირურგია, ყოველი მეცადინეობა წყალში ჩაცვენილა იმუნოლოგიის პოზიციიდან?

გორას ცნობიერებაში ამოტივტივებული, ბოგდანის ნათქვამი, მსჯელობას აგრძელებს სექსუალურ შესაძლებლობაზე, ე.წ. მამაკაცურ უძლურებაზე:

„კი, იმპოტენცია სხვადასხვანაირია. ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯი! ეგ ყველაფერში ძნელია, ყოველთვის ჭირს... პურგა ისევ კივის. გამოდარებას მშობიარობს?.. დედას ტკივილი აკივლებს. ბავშვს — ბოლო, „გადამწყვეტი ნაბიჯი“ უჭირს, ყოყმანებს, დაიბადოს თუ არა?“

... ბოლო „გადამწყვეტი ნაბიჯი“ წინწკლებით რომ გადმოიცემა, წინა ოთხჯერადი გაქცევიდანაა, რომელიღაცა მრბოლელის მიერ კარპუხინისათვის მიკერებული ფრაზიდან: „გადამწყვეტი ნაბიჯის“ უნარი არ გააჩნიაო. ამიტომაც მოექცევა იგი ფიქრთამდინარებისას წინწკლებში. „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურაში კი მას უბრალოდ შავი შრიფტით, ან კურსივით გადმოსცემენ.

ეს მეთოდი, დაწინწკლვები, დოსტოევსკის მიხვედრილობას იქით ვერ მიდის. რასკოლნიკოვიც მსგავსად ფიქრობს, როდესაც მისი დის გამბახებლის წერილის ფრაზები უტრიალებს თავში და დიახაც წინწკლებით მოიშველიებს მას, მაგრამ დოსტოევსკის შემდეგ ასერგასი წელი გასულა და ლიტერატურული პროცესი პრუსტ-ჯოის-ფოლკნერის მერმეც ერთ ადგილზე როდი გაჩერებულა...

რაც შეეხება გორას ფიქრის მდინარებას, აქ საინტერესო რაკურსითაა წარმოჩენილი გასაქცევი გვირაბიდან პატიმრის გამოსვლა და ჩვილის საშობაო ჭინთვები.

მივედევნოთ რომანის ტექსტს:

„არ არის საყოყმანო? იქ არ ურჩევნია? სითბოში, სიმაძღრეში, სიმშვიდეში. დედებს ყველაზე უფრო, ალბათ, სწორედ ბავშვის ყოყმანის დროს სტკივათ... პურგა შენით მშობიარობს და ამიტომ კივის. ყოყმანობ? გვიანი როდია, ჩაბრუნდი. რაღას უდგეხარ, გორავ, საკუთარ თავს უმტკიცებ, რომ მშვიდი ხარ და არაფრის შიში იცი?... ჩავბრუნდე? უკვე დავიბადე, ყოყმანი არასდროს მქონია, ფიქრი მქონდა და ისიც ჭაში დამრჩა. პურგამ უნდა გამიყვანოს სამშვიდობოზე, ერთადერთი შესაძლებლობაა. დავიბადე! ხა, ხაა, ამჯერად ხალვათობა იყო, ადვილი მშობიარობა! პირველი, როცა ქვეყნიერებას მოვევლინე, თოთხმეტნახევარი გირვანქა ვყოფილვარ, ექვსი კილოგრამი ორას გრამნაკლები. (რადგანაც საგანგებოდ აკონკრეტებს გორა თავის წონადობას, ბარემ შევუსწორებთ ცოტაოდნად — გირვანქა 409,5 გრამია, ხოლო 14,5 ჯერ მისი სიდიდე — 5.937 კილოგრამი, ანუ დასახელებულზე სრული 137 გრამით მეტი. ვფიქრობ აქ აფთიაქარის სასწორის სიზუსტით დაკონკრეტების არანაირი აუცილებლობაა. მბორგალი პროვიზორი იყოს ან ოქროს ამრწყავი, სხვა საკითხია, გ.ო). მაშინ გირვანქობა იყო. როგორი გასაჩენი ვიყავი! მეორედ კარის ღრიჭოში გაძვრომა მომიხდა. ვიწრო იყო, ოხერი, იმდენად ვიწრო, რომ ყველაფერი გავიხადე, მეოთხე ცდაზეღა გავეტიე (დაიხსომეთ ეს საკრალური ციფრი, ოთხთავის სემანტიკა, გ.ო.), ეს საქართველოში იყო, პერანგის ამარა მომიხდა სიარული. კარგი, რომ გაზაფხული იდგა. მესამედ — ყარაგანდაში, გლეჯით წასვლისას, მანქანიდან, თხრილი და

ბრუსტვერი... მეოთხე ნამდვილ დაბადებას ჰგავდა, ხვრელი ვიწრო და გრძელი იყო, ძლივს გავაღწიე. ეს მეხუთეა, კოლექტორის ჭამ მშვა და პურგამ. მეოთხე და მეხუთე მშობიარობა, ქალებისგანაც გამიგონია, სულ ადვილი ყოფილა... პირველად, დედაჩემის სიტყვით, პერანგით დავიბადე. მეორედაც ნაცრისფერი პერანგი მეცვა, მესამედ და მეოთხედ — ყარაგანდაში, ორივეჯერ ხამი ტილოს პერანგი, კინაღამ დავიხრჩე. ეს მეხუთე დაბადებაა, თეთრი პერანგი მაქვსს... (გულისხმობს პურგას, თოვლის საბურველს, გ.ო.) თავით ფეხამდე ბეწვეულში ვარ გახვეული, ამდენი არც ერთ თბილისელ ლამაზმანს არ ექნება და სანაძლეოს დავდებ, დაბადებისას ზურგჩანთა ძეხორციელს არავის გამოჰყოლია! ამოვიღოთ და გავუდგეთ გზას ქვის სამტეხლოსკენ... რა ხანია, აქ დგეხარ და რაღაც სისულელეებზე ფიქრობ. ხომ დაუმტკიცე საკუთარ თავს, რომ უშიშარი ხარ და „ფეხებზე გკიდია ორი და ათი შაური“? (ეს ფრაზაც ზონების სინამდვილიდანაა, „ცნობიერების ნაკადის“ კონსერვატორიული გადმოცემა, გ.ო.), კმარა „წადი, შვილო, შკოლაში“, (ძნელია გაარკვიო ვისი ფრაზა აღმოუცენდა უცებ გორას, ვისი წინადადებით აშენებს აზრს, გ.ო.), თორემ მოვა ბუა და შეგჭამს!.. მართალი ხარ. პურგაში გუშაგებს ხშირად ამოწმებენ, ე მანდ, კი არ ჩამოიარონ და! გაუმარჯოს ქვის სამტეხლოს, როგორც იმედისა და სასოების სახეს, გინა ხატს. ვერაფრით დავადგინე, რომელია უფრო მართებული, სახე თუ ხატი. იერსახესაც ხმარობენ... კაცო, რა დავა-კამათი აგიტყდა, რომელიც გნებავდეს, ის იყოს სწორი და მართებული. საქმეს მიხედე!“

ასეთია გორას ფიქრის სპირალოგრამა. მის მედიტაციაში ჩაკინძულია აქა-იქ წარსულში თანამოსაუბრის სამახსოვრო ფრაზები, რასაც ზოგჯერ აკომენტარებს კიდეც თავისთავის მაძიებელი კაცი. გარბის გორა მბორგალი, განელტვის სატუსაღოების ამაზრზენობას, მისულსწრაფობს ლიანდაგზე დასაჯდომად, რომელიც „გადაჯაჭვულნის“ ფინალის მსგავსად სამშვიდობოზე გაღწევის სიმბოლიკაა; გარბის, მაგრამ უფრო არსებითი საკუთარი თავის აღმოცენება ყოფილა, და მართლაც ნაწარმოების დასკვნით ნაწილში მბორგალი დიახაც ეზიარება ამ სიბრძნეს, თავად პერსონაჟი კი ძნელია დაადგინო რომელია „გამქცევმაზოხისტი“, „მორკინალი“ თუ „მძლევარი“, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ „თუთაშხიასა“ და „მბორგალშიც“ მოძებნილია ეპიკური თხზულებისათვის აუცილებელი „შარა გრძელი“ —სინიბთა ფეხმარდობის გამოსაცდელად.

რაც შეეხება „გონსასეირო ამბავთა“ მოწოდების თანადროულობას, ამას ჰომეროსის „ილიადა“ დაამტკიცებს მიზეზ-

შედეგობრივი ესთეტიკური მიდგომებით, და ჰორაციუსის მართალმოსიტყვეობამ ხომ მთლად დააფორმულებს ნაწაროებში ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართებებს: ახლა უნდა ითქვას, ის რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი გადაინახოს სხვა მომენტისათვის, სულ სხვა სიტუაციის ასახსნელადო (ჰორაციუსი). ანუ ჩვენი ლექსის მამფალისებურად: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების, და არაფერია გასაკვირი აქა-იქ „მბორგალის“ მისამართით პრეტენზიები გაგვიჩნდეს, განსაკუთრებით რომანის შუაწელიდან მასალათა მოუზომავი ჩამომწკრივებისათვის, რომელიც ამავდროულად ეურჩება შინაგან მოთხოვნილებებს, ნებითია, ყურითმოთრეული.

„თუთაშხიას“ ესოდენ პოპულარობას დიახაც ეს უიშვიათესი წონასწორობა განსაზღვრავს, მთავარისა და მეორეხარისხოვანის ოქროს კვეთას პრინციპებით განლაგება — 618:382, თუმცა გიგა ლორთქიფანიძისეულ კინოსცენარში უფრო გამარტივებულა ნაწარმოების ზოგადკაცობრული აღმართები, ბიბლიის ენით მოხმობილი ოთხივე კარის გასააზრებლად.

აქ თხზულების დანაწევრება, აღნიშნულისამებრ, საკრალურობითაა მირონცხებული, ოთხთავის ასოციაციის შესაქმელად მოშველიებულია არქაული ინტონაციაც, თუმცა მბორგალთანაც ცხრაკარიანობით წარმართული კანონზომიერებაა, როგორც სრულყოფილებასთან მიახლოების პარადიგმა. ეს ყოველივე იმპულსური, ინტუიციური მონაგარია და არავითარ შემთხვევაში — „თუთაშხიასებური“ მიზანდასახულობა.

ხოლო თავად „მბორგალის“ შინაგანი მონოლოგი, „ცნობიერების ნაკადის“ სულშეძრულობისგან განსხვავებით, ინდინფერენტულია, სიკვდილის ალბათობას ოთხგზის ნაზიარები კაცის გულგრილობიდანაა, როცა ტკივილი სიხშირეთა გამო კარგავს სიმწვავეს.

ამიტომაც მბორგალის სულის ინტერიერში ფიქრის მდინარებას ჭაბუკური განცდა კი არა მარაზმული რაციო განსაზღვრავს; ცეცხლის გრაგნილები კი არ ამოძრავებს, ნაღვერდალი და ღველფი, არამედ ძლივსმბჟუტავი ნაცარი, თავისი ცხოვრების უნიათო კენწერო-შედეგი, და რადგანაც მბორგალს „გარეთ მყოფთათვის არაფერი შეუძლია“, საკუთარივე სიტყვები აეკვიატება „□ - □□□□□!“ — მე არავინო, ლამის ჰომერულ თემას გადაწვდეს, ოდეს პოლიფემის გამოქვაბულში მომწყდეული ულისე ციკლოპს „არავინ“ სახელით გამოეცნაურება.

აქ თავს იჩენს ლამის არასრულფასოვნების კომპლექსში გადაზრდილი ზედმეტი ადამიანის ფსიქოლოგია.

მბორგალის ფიქრის მდინარების ნათელსაყოფად მერვე კარის ამონარიდის მოშველიებაც იკმარებს. აქ ერთგვარად გაანალიზებულია მბორგალი — ადამიანის საზრისი; იგივე მიდგომებია, როგორც ვაჟას ლექსში: „რამ შემქმნა ადამიანად, რად აღარ მოველ წვიმადა“.

სადაც არის ნაწარმოები გასრულდება და გორას გონება წუხს, რომ ამდენი ხანია მოდის და საქართველოდან ჩრდილოეთში გადმობარგების მიზეზებზე სიტყვა არ წამოსცდენია.

„არაფერი გავიხსენოთ“? ეკითხება ალტერ ეგოს, რომელიც 2000 კილომეტრიან პურგაში ერთგულ თანამოსაუბრედ შეხიდებია. „მაშინ რეაბილიტაციისა და გათავისუფლების დღიდან დავიწყოთ“. ერთხელ კანონიერად წამოსულა ბანაკიდან კაცი — არავინ და საუბარი მაინც ვერაფრით გაჩაღებულა სასურველი შინაარსით. ამას მოგვიანებით იგრძნობს მთხრობელი: „არა, გამოუსწორებელი ყბედი ხარ, საქართველოს მიტოვების მიზეზებიდან დაიწყე და — ღმერთო ჩემო — საით წახვედი? საქმეს ჰეგელის„სულის ფილოსოფიაზე“ მსჯელობამაც ვერ უშველა (ალბათ, „გონის ფილოსოფია“, რომელშიც „თუთაშხიაში“ რეალიზებული შეხედულებაა წარმოდგენილი, გ.ო.) „ისტორიული პიროვნებები აღჭურვილნი არიან მსოფლიო-ისტორიული სულითა და მისიით. როცა მათი მისია ამოიწურება, ისინი კვდებიან“ მაკედონელივით, ნაპოლეონსავით, თუნდაც მუშნი ზარანდიას მსგავსად.

ყოველივეს გათვალისწინებით, მბორგალიც მისია ამოწურული პიროვნებაა.

მისთვის მთავარი ლიანდაგზე დაჯდომაა. მართალია, ადრე ხსენებული მივიწყებული რომანისგმირივით „ამაში მივიღე ის ოცდახუთი და გამისამოცდათხუთმეტდაო“, ირწმუნება გორა, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ უმთავრესზე ვილაპარაკოთ, და ეს უძირითადესი მემატიანეს დოკუმენტურობაა, რომლისკენაც არსებითად გადახრილა ქართული ბელეტრისტიკა — ბატონების: ოთარ ჩხეიძის, ოთარ ჭილაძის, ზაურ კალანდიას, აკა მორჩილაძის თუ სხვათა თხზულებებში. განსაკუთრებულად ფასეული ამ ქრონოლოგიაში სამი ამწვერვალება მიმაჩნია: არსენა მარაბდელის ფენომენი, ჩანძოლანი და კორიდა; და რადგანაც რიგითობის პრინციპის დაცვა ვერაფერს შეცვლის ტრადიციული პროზის კომპოზიციურობის საზიანოდ, დავიწყოთ ოძელაშვილით.

არსენას მუხტი ნაწარმოების ექსპოზიციადანვე შემოდის, მაგრამ ეს თემა ყურით მოთრეული სულაც არ გახლავთ, არამედ, თავად მარბენალი კაცის ახლანდელი ვითარებით განსაზღვრული. საქმე ის არის, რომ კოლექტორით გამოქცეული, უკვე მეხუთედ გაჩენილი გორა, უკან ჩამოიტოვებს ძალადობის პირველ სცენას:

რევოლუცია კომეტას ჰგავს, უზარმაზარი კუდი იცის, დაახლოებით ისეთივე, როგორი სასხლავი დანითაც გაირღვევა გორას ლეიბი. აფათურებენ შიგნით ბანჯგვლიან ხელს სამხილი მასალის საპოვნელად და გამოღვიძებული ბიჭუნა ამ უსიამო ფათურ-ბორიალში — „დედიკო, მუცელი გამიჭრესო“, დაიყვირებს. იმდენად ზარდამცემი აღმოჩნდება მოზარდის ტრამვირება კომეტის კუდით, თერთმეტ წლამდე სიზმარშიაც ჩაედევნება და ლოგინსაც ასველებს ხოლმე;

არა, ამ მონაკვეთში როდის აღსდგება ოძელაშვილის საგა. არც ფილიპოვთან გაბაასების ჟამს, როცა განთავისუფლებული პატიმრისაგან სანტა კლაუსივით ერგება გაქცევისათვის აუცილებელი ყოველი წვრილმანი. აღარც სტალინიზმის მანკიერებათა დაფიქსირებისას თუ გამქცევთა კლასიფიკაციისას. ჯერ სამზადისია, ჯერ მიტილენიჩისა და გორას დისტანციური შეხლა-შემოხლაა. ერთი მიუყვება თავის ბედისწერას, მიმართულებას არკვევს, დროს აზუსტებს; მეორე — სიბარიტი როდია, გოგლიმოგლით გაზრდილი, „პარტიასა და სამშობლოს იქ უნდა ემსახუროს, სადაც მეტი საჭიროებაა“. თანაც მიტილენიჩი ხომ ქართული სისხლითაა აშენებულ-განთესილი და ამდენად — არასრულფასოვნების კომპლექსებით დაზურგული.

მიტილენიჩი მონდომებით დაარჭობს პირველ დროშაკს მეთოთხმეტე ზონის სავარაუდო ადგილსამყოფელზე. გორას ზურგს უკანაა ოცდაოთხი საათი და ოცდათექვსმეტი კილომეტრი. მის ცნობიერებაში გაიელვებს კვიცზე რწყილივით მომხტარი იაგორა პაპას, იგივე ნეტარის, დანალაპარაკები: წყლით უკვე იყო. ახლა ცეცხლით წაირღვნება.

ზურგს უკანაა სექტანტით დაზუსტებული ორიენტირი, მეოთხმოცე მერიდიანისა და სამოცდამეათე პარალელის გადაკვეთაზე მდგარი გოლიცინების ქოხი. თვით ჯიმშედის ჰარამხანის გონსასეირო ამბებიც ჩავლილია. ჰოდა, მხოლოდ გაქცევის ოცდამეცხრე დღეს გადაეყრება კიდეც მარტოკაც კოლია-სანთელს, რომელიც ეფემია წინამღვარის სიტყვებში აკუმილებული სიბნელის შემანგრეველი ძალაა. ირემის საჭიროებას უსაბუთებს პოლიტიკური მარბენალი კოლია-სანთელს, და როდესაც მბორგალი საყიდლად ჯიბეზე გაიკრავს ხელს:

„ვერ მოგყიდი... — ეტყვის მარტოკაცი, რომელიც თვეში ერთხელ გამოდის დაბაში და ყვირის: — პოლიტიკანებო, წაეთრიეთ, გაუმარჯოს ჩრდილოეთის ხალხთა თავისუფლებასო. ამის გამგონე ხალხს თურმე ტანში აზრიალებს — თუ გინდა, მოიპარე, აქა მყავს, მაგრამ დაბაში ვიტყვი, ირემი დამეკარგა-მეთქი. თუ გაიგეს, რომ მოგყიდე, სანთელი ვიღა იქნება?“

აი, როგორი რეალობა ესაფუძვლება ოძელაშვილის ამოტივტივე-

ბას, სანთლის, დიახ, გზის მანათობლის თუ წყდიადის შემანგრეველი ძალის სიმბოლიკა — რეალობას და ფიქრის მდინარებას შორის სრული ჰარმონიაა როგორც არსად.

„კმარა!.. — ემუსაიფება მბორგალი საკუთარ თავს, — ირმის ხორციც მაქვს, ირემიც მყავს, თხილამურებზე ვდგავარ... კაი რაღაცაზე ვფიქრობდი, ის გავიხსენეოთ... ზემელის სასაფლაო იყო... კი, ეგ იყო. იქ გაგონილებიდან ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იქნება ოძელაშვილზე ნაამბობმა მოახდინა“.

აი, როგორ გადაჯაჭვულა ერთმანეთს კოლია-სანთელისა და სახალხო გმირის ფენომენი, თუმცა გორა მბორგალის კვლევის საგანს სულაც არ წარმოადგენს თავად არსენა ყაჩაღის, თუ საერთოდ ყაჩაღობის პრობლემა. მისთვის მთავარი გმირის გარშემო შექმნილი სიტუაციების დაკონკრეტებაა, უკეთ — მწერლის ფანტაზიისთვის ერთგვარი წყლის გადასხმა, მისი გამომგონებლობის კომპრომეტირება.

მიხაკა — მიუნჰაუზენის პროფილიც შემოცურდება საკუთარ თავთან მობაასე გორას მეობაში, სიმინდზე ასწრაფებული, გამონთებულ მგელს წყრთა ტაროთი რომ დაუჩუჩქავს თავს.

მოშველიებულია აგრეთვე ვინმე მხედარი გიგოლას გოროზი პორტრეტი, რომელიც ჩამოუქვეითებლად ხუთლიტრიან თასს ამოწრუპავს სურა ღვინოს დაცლის შემდეგ. შინაურობაში შელაპარაკდებიან გოლიათი კაცის გამასპინძლების გამო. ის ხომ გიორგი კუჭატნელია — ფოლკლორის მიხედვით არსენას მკვლელი და აქ გაიხსნება ბრჭყალები, ჩვენს ცნობიერებაში, მესტვირულით თუ — თავად ჯავახიშვილის მონუმენტური რომანით გამრუდებულად შემოსულისა.

თურმე კუჭატნელი სულაც არ არის არსენას მკვლელი და საერთოდ ოძელაშვილი არავის გამოუსალმებია საწუთროსგან; ისევ წამოტივტივდება თუთაშხიას და ზარანდიას ურთიერთგამნსაზღვრელი ტანდემურობა. აქ, ამ შემთხვევაში, კუჭატნელის სამსახური ის გახლავთ, რომ მარბიელებსა და მძარცველებს ებრძვის, არსენას დევნა კი არსადროს ჰკისრებია. ერთმანეთში თურმე ალალი ძმაკაცობა ჰქონიათ, ბევრჯერ უხილავთ სუფრაზე ხელიხელგადახვეული.

ხოლო, რასაც იალქანიძის დუქანში დატრიალებულივით მუხათგვერდის დუქანის დახლში მილილა იხილავს, სულაც არ არის რეალობის ნასუფრალი. კბილებამდე შეიარაღებული, ვინმე გალეშილი ახმახით აწიოკებულ დუქანში გიორგი კუჭატნელი შემოვა მხლებელი ბელაქნელი ლეკი ჰამზათი და არა გამზათით. ის ახმახი ღვინოს მისთავაზებს სეფისკვერიძეს, მაგრამ მორწმუნე კუჭატნელი წითელ პარასკევს

ღვინოს არ გაეკარება და როდესაც „მოეთრიე, დამილიეთ თორემ მე ვიციო“, აღრიალდება მავანი, თანაც „არსენა ვარ, ყურებს დაგაჭრითო“, „ჭკუით იყავი ბიძიკო, თვარა, მოვიცლი შენთვისო“, შეეხმიანება თუთაშხიასებურად სეფისკვერიძე და ოდეს ჩხუბისთავი სასიკვდილოდ მოუღერებს დამბაჩას, ჰამზათის ტყვიით უსულოდ დაენარცხება იატაკზე ცხვირპირწაშლილი (გაიხსენეთ „ძეგლი ყველასთვის“).

და სწორედ აქედან ჩაისახება არსენა ოძელაშვილის აღსასრულის საგა. დაკვალიანებულია დახლიდრები, რომ ოძელაშვილის მოკვდინებაზე მომხდარისამებრ ილაპარაკონ. დუქნიდან ოციოდე ნაბიჯზე დააგდებენ „ეროვნულ გმირს“. ცოტა ხანში ჰამზა მარამბდელის მარჯვენასაც მოარბენინებს მთიელთა ადათ-წესის თანახმად. კვლავ კორექტივებია შეტანილი მესტვირულში. ახლა მკლავის მომჭრელად კუჭატნელი გამოიჩხირება. შემდგომად, თავად გედევანიშვილს ზარებს დაარისხებინებენ ფსევდო-არსენას დასაკრძალავად. აი, როგორი ასოთხმოცი გრადუსით შემოატრიალებს საზოგადოებაში სიღრმისეულად ჩაჩნეული სინამდვილის შტრიხებს გორა მბორგალი — ამირეჯიბი ჭაბუა.

გამართლებაც მოძებნილია მსგავსი მუტაციისათვის: თითქოს ოძელაშვილის მოკვდინება ყველას ხელს აძლევს: ხალხს იმიტომ, რომ მფარველობისათვის გამუდმებული წიოკობისგან ამოისუნთქოს; თავად-აზნაურობას რუსთა ხელმწიფის საოტებლად, გლეხობის ასამოძრავებლად ოძელაშვილის ავტორიტეტი სჭირდება; აქვე, მკვდრეთით აღმსდგარი არსენა, საზოგადოებაში მეტ ენთუზიაზმს და შემართებას გამოიწვევს.

თითქოს დალაგებულია ყველა მყესი აღნაგობის კვალობაზე, მაგრამ გვავიწყდება უფრო მთავარი მიზანდასახულობა: ჩვენ გმირი უნდა ვძერწოთ არა ისეთი, როგორიც არის, არამედ—როგორიც უნდა იყოს, როგორის აშენებისაც გვკარნახობს მისი გეგმილი. აქედან გამომდინარე ოძელაშვილის ფენომენს, თუნდაც შეკოწიწებულს, ნიადაგი გამოცლია. ეს ტენდენცია მწერალი ჭაბუა ამირეჯიბის უმთავრეს ცთომილებად მიმაჩნია. ეროვნული გმირების სულიერ სამყაროში ხელის ფათური, მათი კორექტირებანი ილუზიათა გასაქარწყლებლად, თუ სხვა რამ საჭოჭმანო, დიახაც უიდეობის, უპერსპექტივობის სინდრომით დასნებოვანება მგონია. გორა მბორგალის ფენომენი ხომ მისივე სიტყვებით: კაცი არავინაა, კაცი არარაისი. აქედან გამომდინარე ყველა ფასეულობას თუკი გაუბრალოვება ელის, ბარაქალა ჩვენ! როგორი მოსათმენია, სიტყვისათვის, ვთქვათ და აკა მორჩილაძეს ზარანდია

და გრაფი სეგედი მინირომანში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, მხატვარი ხაფოს კლიენტებად დაესახა?!

უმომავლო მბორგალის ნიჰილისტური განწყობილება წარხოცავს ქართული სულიერებისგან გმირის მოთხოვნილებას, ვინაიდან ყველაფერი ამაოება ამაოებათაა. „გლეჯვით“ თუ ხვრელებიდან მეხუთედ გამოღწეული მბორგალისათვის ეროვნული ფასეულობანი გადაწურულია, გამქრალია მიზნის უზენაესობა, მიმართულების ბიძგი და ენერგია, იმპულსურია: გაქცევა გაქცევისათვის, და ამდენად — ყალბიც, ვინაიდან უბრალოდ რელსაზე დასაჯდომად, საკუთარი თავის წინაშე შესაძლებლობათა დასადასტურებლად გამოვლილი ათასობით კილომეტრი, ფარსია, კომეტას კუდივით მაცდური, და ამდენად, პატარა ერის სამომავლო სივრცის დადგენისას არათუ ქომაგი და მეოხი, ერთობ ამაბორჯებელიც, დეზორიენტაციად რომ ითარგმნება დედაქართულში.

დათა თუთაშხიაც დაახლოებით მსგავსი ინერტულობით დაასრულებს სიცოცხლეს, ბოროტების შემწყნარებლობით, სიავის მიმართ კეთილის მიგებით, ავხორცობის წინააღმდეგ ალტურიზმით დახვედრის გზებით, და ქრისტიანული მორალით ზედმიწევნით გამართლებულია გმირის საღმრთო მისიით მოვლენა, მაგრამ რა ვუყოთ ადამიანთათვის წმინდა გიორგის განუხრელ მოწამობას? აი, სად ეჯახება ერის მიზადნასახულობას ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ინერტულობა, არათუ თავად წარმოაჩენს მაგალითს სამომავლო არსებობისათვის, აწ არსებულსაც გამოაცლის პედესტალებს და მისაბაძი ადმიანის ვაკუუმში ხელიდან გვეცლება სამომავლო რწმენა, სამერმისო იმედი.

მსგავსი დამოკიდებულებაა სხვა პასაჟებიდანაც, თუნდაც ილია ჭავჭავაძის მიმართებაში, მაგრამ ჩვენ შეპირებული გორაკისკენ დავიძრათ—ჩანძოლანისკენ, რომელიც უცილობლად კავშირშია სიყრმისდროინდელ „ნეტართან“, წარსულში წყლით შემუსვრავს რომ ადასტურებს და მომავალში ცეცხლით იავარქმნას გვპრიდება.

სანამ ამ მონაკვეთზე ვიტყოდეთ რამეს, „მოთამაშე“ მიტილენიჩი ზედმიწევნით აკონტროლებს გორას მარათონულ მსვლელობას დროშაკების (ალმების) მწკრივით. მბორგალი უკვე ვასიგანის სათავეებთანაა; აშნას სამფლობელო „ოტრადამდე“ სამასიოდე კილომეტრი დარჩენია.

უამრავი გონსასეირო ამბავია ჩამოტოვებული. წარუშლელია როზენბერგის გვამის ნაჯახით დაჩეხვა ექვს ნაჭრად და ისე მიბარება ყინულის ხაროში.

მბორგალის შინაგანი მონოლოგი არსებითად რომ განსხვავდება მიტილენიჩის ფიქრისაგან, ამის თაობაზე თქმულა. გორა საკუთარ თუ ქვეყნის საუკუნოვან ბოგინობას უჩინარი შემადგენლობებით აიდევნებს პურგაში გაჭრისას. მიტილენიჩის გონება კი საყველპურო იმპულსებითაა დაძაგრული, ცოლების გაქცევითა და მბორგალის ადგილსამყოფლის დაზუსტებით. მათი მეტყველებაც განსხვავებული შრიფტით გადმოიცემა. მიტილენიჩის ფიქრი მწერლისეულ ფონეტიკას ემთხვევა, როცა გორას სულის მოძრაობა შავი პეტიტით გამოიკვეთება, მაგრამ უმჯობესია მივედევნოთ მთავარს, ჩანძოლანის ფენომენს.

გორა მბორგალი ჩანძოლანის ლექციებს იმ დროს შეუერთდება, როდესაც ეს ღირსებით აღსავსე, გარეგნობითაც სანდომიანი ტიბეტელი, მშვიდი ტემბრითა და ძუნწი ჟესტიკულაციით ასეთნაირად ქადაგებს:

„ხელმოცარულთა ბოლო თავშესაფარი პოლიტიკანობაა... გამარჯვების მთავარი პირობა უნიჭობაა. ნიჭი თუ გაქვს, საქმეს ვერ მოერევი, მიზანს ვერ მიაღწევ... აუცილებლად საჭიროა იმის რწმენაც, რომ დამარცხებათა მიზეზი შენში კი არა, გარემოცვაშია... დამარცხებებმა განდიდების მანია უნდა შეგძინოთ. კიდევ ერთი რამ არის საჭირო — სიმხდალე... სიმხდალე განდიდების მანიის თანამავალია და მომდინარეობს რწმენიდან, რომ მე თუ დავიღუპები, ჩემს გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს... თქვენი მანიპულაციებისათვის დასახული ნიადაგი, მზად უნდა იყოს მარცვლის მიღების, გაღივებისა და ყლორტის ამოტანისათვის. მიაქციეთ ყურადღება, ახალგაზრდობის პოლიტიზებულმა ნაწილმა წვერ-ულვაში მოუშვა. ეს ნიშნავს, რომ რევოლუციური სიტუაცია მწიფდება... სისტემის ავტორი აღესრულა, უკვე ჯოჯოხეთშია. მისმა კლევრეტებმა ხელისუფლება ვერ გაიყვეს, ჟანდარმთა მამამთავარი მოაშთეს... მოგეხსენებათ, დიდ ბელადს პარანოიისა და განდიდების მანიის გარდა, ტერორის აკვიატებული შიშიც აწვალებდა. გულაგის დაარსების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ... გულაგი სახელმწიფოსთვის ზარალის მეტი რომ არაფერია, კარგად მოგეხსენებათ... ეს სისტემა კომუნიზმის მტრების აღსაზრდელი უნივერსიტეტია... ამათი განეიტრალებაა საჭირო... წარმოიდგინეთ უფართოესი ამნისტი-

ები, კმაყოფილი ადამიანები, თავისუფალი მუშახელი, ჩაშვებული ბანაკები, ფულადი რესურსების ეკონომია, თავისუფალი მსოფლიოს რეაქცია!.. ათეულ მილიონობით ადამიანის გულის მოგება შეიძლება!... გულაგი რედუმენტია და უნდა გარდაიქმნას, ან დაინგრეს და ხელახლა აშენდეს... გაუმარჯოს დემოკრატიის ჰიპერტროფიას, ანუ ქაოსს... სიბრძნე აჯანყებას ვნებს, სიბრძნე აჯანყებამდე და მისი დამარცხებისა თუ გამარჯვების მერეა საჭირო"...

აი, როგორი იდეებით კვებავს მბორგალსა და ლექციის მოსურვილეთ ჩანძოლანი, ხოლო როგორც კი მეხუთე-მეექვსე ბანაკის საცეცხლე ზონასთან ტყვიამფქვრევებისგან რამდენიმე პატიმარი მოიცელება, საყოველთაო გაფიცვაც აგორდება.

დააკვირდით, ეს პასაჟი რამდენადმე ენათესავება თუთაშხიას ციხის სცენებს, ოღონდ განსხვავდება მოტივაცია. საღვთო რაინდის რომანში ბუნტი მამათმავლების საკნებში ურჩების შეგზავნის საშიშროებიდანაა ამოწვერილი. შემუშავდება დოკუმენტი, რომლის სამგვერდიანი პრეამბულა მოთხოვნათა თორმეტივე პუნქტით მოიცავს ორთაჭალის ციხის რეალობებს.

,,ციხის კანცელარიაში, საავადმყოფოში თუ საწყობში მომუშავე პატიმრებიდან დაწყებული — მრეცხავებით, დამლაგებლებითა და ასენიზატორებით გათავებული პრივილიგირებულ ფენას ეკუთვნოდა, რომელიც ციხის ადმინისტრაციის სულიერი თუ ფიზიკური ნასუფრალით იკვებებოდა, მის ბრძანებებს, წესებს თუ უკანონო ღონისძიებებს მზადყოფნით ასრულებდა".

გორა მბორგალიც მეკუჭნავეა, ამ კატეგორიის ტუსაღი, და ოდეს მის პერსონას არ კვებავს რაიმე ამაღლებული მიზანი, მხოლოდ რელსზე დასაჯდომად გადაუსერავს ათასობით კილომეტრი, იქმნება გადაულახავი წინააღმდეგობა: როგორ შეიძლება ნასედკას ხალათში შეძვრე, თუკი არ გამოძრავებს ზეადამიანური მისიის აღსრულება? თუმცა მოვეშვათ და კვლავ გულაგისა და ციხის ამბოხებათა იდენტურობის საკითხს დავუბრუნდეთ.

,,თუთაშხიას" მეტეხის ციხეში მეამბოხეთა მიზანს შეადგენს: ,,ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტით აღთქმული დაპირებების დაუყოვნებლივ აღსრულება... და კიდევ თერთმეტი კერძო პუნქტი, (ერთით ნაკლები ,,მბორგალის" კომიტეტის სხდომის დოკუმენტისგან, გ.ო.) რაც ციხეებ-

ში რეჟიმის გაადამიანურებას, ინვალიდების, ავადმყოფების, მცირესასჯელიანი პატიმრებისა და ქალების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და სხვა ამგვარ პირობებს შეიცავდა".

ახლა „გორას" სიტუაციას შევხედოთ:

„სამგვერდიან პრეამბულას მოსდევდა მოთხოვნათა თორმეტი პუნქტი: 1. სანომრო სისტემის გაუქმება. იგულისხმებოდა ნომრები, ჩვენი გვარ-სახელის მაგივრობას რომ ასრულებდა და გვეკერა მკერდზე, მარცხენა მკლავზე, მარჯვენა ბარძაყზე და ქუდზე. 2. ბარაკების გაღება, ანუ იმ წესის გაუქმება, რომლის თანახმად, საღამოს შვიდიდან დილის ექვს საათამდე ჩაკეტილში ვისხედით. 3. გისოსების მოხსნა საცხოვრებელი სადგომებიდან. 4. მიწერ-მოწერის თავისუფლება. ოფიციალურად წელიწადში ორი წერილის მიწერის უფლება გვქონდა. პრაქტიკულად არც ეს ხდებოდა. 5. პატიმართა მასის ცნობა მხარედ. ამით გვინდოდა მიგვეღწია ისეთი ვითარებისათვის, როცა ყველა საჭირბოროტო საკითხი ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებით, ურთიერთშეთანხმებით გადაწყდებოდა. 6. რვასაათიანი სამუშაო დღე. ათსაათიანზე ნაკლები დღიდან გულაგის დაარსებისა, არც ერთ ბანაკში არ ყოფილა. 7. ყველა უცხოელის გაყვანა პატიმრობის ვადის თავიანთ სამშობლოში მოსახდელად, თუ მათი კანონი ამას საჭიროდ ჩათვლის. 8. მცირევადიანი პატიმრების გაყვანა ცალკე ბანაკში, სანამ მათი მომავალი გადაწყდებოდეს. 9. ინვალიდების გაყვანა და დაუყოვნებლივ გათავისუფლება. 10. წვრილშვილი ქალების დაუყოვნებლივ გათავისუფლება, რისთვისაც ან უნდა ჰქონოდათ მისჯილი პატიმრობა, გარდა წინასწარგანზრახული მკვლელობისა და ამასთან გათანაბრებული დანაშაულისა. 11. ოსო-ს ლიკვიდიცია — ასე ერქვა ორგანოს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა უფლება, უშიშრობის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე, დაუსწრებლად გამოეტანა განაჩენი სამი წლიდან დახვრეტის ჩათვლით. 12. უკლებლივ ყველა პოლიტიკური საქმის ხელახლა გამოძიება. იგულისხმებოდა არა მარტო იმჟამინდელი პატიმრების საქმეები, არამედ უშიშროების ორგანოების მიერ ოდესმე გამოძიებული ყველა საქმე".

ეს პუნქტები რამდენადმე მოიცავს მეტეხის ციხის პოლიტმოთხოვნებს, იმის გათვალისწინებით, რომ ციხე- კოლონიები, გულაგისაგან განსხვავებული რეჟიმის სატუსაღოა და მოუხედავად ყოველივესი, ორივეგან გათვალისწინებულია საკუთარი რეალობა, ეპოქა, დრო, ვითარება, და იმისდა მიხედვით გაშლილა მოთხოვნათა შინაარსიც.

მოგვიანებით სტუკაჩის აგორებულ ამბოხებაზე ჩანძოლანი იტყვის: „სვიატოპოლკი პირველი გამოძიების დროს არის გადაბირებული და საიდუმლო ნიღბით განთავისუფლებული".

საკუთარი მოთხოვნების საფუძველზე უცხოობისა და ავადმყოფო-

ბის საბაბით დაშორდებიან გორა და ჩანძოლანი, მაგრამ „მბორგალით“ მოშველიებული მასალა „თუთაშხიას“ ციხის პასაჟების გამაგრებას ესაფუძვლება. ყოველივე გვაფიქრებს, რომ მწერალი „თუთაშხიას“ ლექსიკით აშენებს „მბორგალს“ რაღაც ეჭვების გასაფანტავად და ეს ზედმიწევნითი მტკიცებანი უფრო ამძაფრებს სიტუაციას სტილური განსხვავებულობის გამო.

„თუთაშხია“ მიუხედავად თვალშისაცემი ვერბალურ-სტილური ცდომილებებისა, ასწილად რაფინირებულია „მბორგალზე“.

პირველის კუთრი წონა აბანოზის, ძელქვას შესადარებელი თუა, მეორე თხმელას სიმყიფეს ვერ გაცდება, თანაც მაისში მოჭრილისას.

„თუთაშხიას“ დამსახურება ისიც არის, რომ ყველაფერს ახლა როდი ამბობს ჰორაციუსის სწავლებისამებრ, ზოგი რამ შემდგომისათვის გადანახულა.

მაგალითისათვის, ერსა და რასაზე განსჯა, გადაებმება ნოეს ბოთლზე მსჯელობას. ეს მართებული პოზიციაა ანუ წონასწორობის დაცვის იშვიათი უნარი. აქვე ბელეტრისტული აქსიომაა, გვერდში ნახსენები სამახსოვრო სიტყვა, არათუ მის მეზობლობაში, საერთოდ მოიხსენიო ნაწარომების სივრცეში, თუკი რაიმე სტილური აუცილებლობა არ გვაიძულებს.

„მრავალგზისი“ მწერლის საყვარელი სიტყვაა ორივე რომანში და თანაც ხშირადხმარებული. იგივე ითქმის „გონსასეიროზე“. მსგავსი სტილისტიკა მოსათმენია ჩვენი აღიარებული დაუდევრობის გათვალისწინებით, მაგრამ მაშინ რა საჭიროა სინონიმების არსენალი? შემოვიფარგლები წინათქმით, სადაც მწერალი უკვე თავს ვერ იმართლებს პერსონაჟების კოლორიტისათვის სტილურ თავისებურებებით. ამ ორგვერდიან პროლოგში ათზე მეტი წინადადებაა „იყო“ ზმნით გადმოცემული. თითქოს ეს ფორმა ერთადერთი გახლდეს ქართულ მორფოლოგიაში.

„ჩემს ხელთ არსებული ნაწარმოების მხოლოდ ერთი მეხუთედი თუ ერთი მეექვსედი იყო“.

როდესაც გვერდები „იყოებითაა“ აჭრელებული და სტილის მოთხოვნითაც არ შეიგრძნობა ტექსტის გაკეთილშობილების აუცილებლობა, თავს ზემოთ ძალა არ რჩება, მაგრამ ერთსაც დავსძენთ: დასახელებული წინადადება ხომ შეიძლებოდა სხვაგვარადაც მოგვეწოდებინა?

„ხელთ ნაწარმოების მხოლოდ ერთი მეხუთედი თუ ერთი მეექვსედი მქონდა“;

„მარტოხელა კაცი იყო“ — მარტოხელა კაცი გახლდათ. „ეს მაღალი კაცი მაღალი, ძალიან გამხდარი, ფერმკრთალი და სახედანოჭებული მოხუცი იყო“. მწერლობაში არსებობს ხერხი დაშტამპული „იყოების“ თავიდან ასაცილებლად, როცა კავშირით გადაებმება მომდევნო წინადადებას... „ფერმკრთალსა და სახედანაოჭებულ მოხუცს, მიუხედავად წლის დროისა და ამინდისა, შავი კასტორის პალტო ეცვა“.

ქართული ზმნები აურწყავი ოკეანეა, და თითო-ოროლა პრეზენსით, დამეთანხმებით, ვერსაით გავიფონებთ.

იგივე ვითარებაა „მბორგალში“ ანიდან ჰოემდე:

„ძალყინებით სავსე იყო ოთახი“, საჭიროების გამო წინადადების მორჯულება შეიძლებოდა, თუნდაც ამგვარად: ოთახი ძალყინებს აევსო...

„ტომარა ღვედებით იყო დაბმული“, ეს წინადადებაც შებოჭილობის შთაბეჭდილებას სტოვებს „ტომარა ღვედებით დაებათ“.

„ყინული მდინარისა იყო“, „წლეულს გაზაფხული ადრეული იყო“, „დურალუმინის მილებისა იყო“, „იმავე გაქცევის დღეებში იყო“ და ა.შ.

მოსაწესრიგებელია „თუთაშხიაშიც“ და განსაკუთრებით „მბორგალში“ სინტაქსური პოზიცია.

„კაბინეტი შიგნიდან ჰქონდა ჩაკეტილი“; „სიგელიც ორიოდე ჰქონდა მიღებული“, ამ კატეგორიის ცდომილებათა მორჯულებაც შესაძლებელია ხელის ერთი მოსმით: კაბინეტი შიგნიდან ჩაეკეტა; სიგელიც ორიოდე მიეღო.

„მბორგალის“66 გვერდზე ხომ ნამყო დროის კორიანტელია მთლად და დამატებით იმდენ რედაქტორულ ჩარევას მოითხოვს, ვფიქრობ, რამდენიმე რევაზ თვარაძე აუვიდეს თორმეტ კვირას.

ეს ყოველივე გადაჭრით გვაფიქრებინებს: „თუთაშხიათი“ მიღწეული სტილური რაფინირებულობა, დახვეწილობა და ფრაზის მოქნილობა, გაუფასურებულია „გორა მბორგალით“, ამაზე იტყვიან: კამეჩმა თავისი ნახნავი თვითონ დატკეპნაო.

ესეც ამძაფრებს განცდას, რომ „თუთაშხიას“ ჟანრის თვალსაზრისით მართებულად დარქმევია რომანი, ხოლო „მბორგალი“ ტიპიური მემუარებია.

მე ვუსურვებდი კიდევ მეორე სიცოცხლეს ღვაწლმოსილ მწერალს, ლებანიძისებურად თუ ვიტყვით: „ლენცოფა აგიცელია, მორჩი კეთილი გიცვნია, რა წიგნი დაგიწერია, რა სიკვდილები გიგრძვნია!“-თქო, და იქვე ჩემი დღეებიც მოგმატებოდეთ-მეთქი, ანუ სვანეთში რომ იტყვიან: მიშ გუ ლადეღ სი, მახვშო, ოღონდ ეს ნაწარმოები ბოლომდე გასრულდეს, სტილური თუ სხვა რამ ზადისაგან.

წინ კიდევ დაგვრჩა „მბორგალის“ დასკვნითი ნაწილის ანალიზი, რომელიც ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის მსოფლმხედველობას ახალი რაკურსით წარმოაჩენს და კვლავაც ბატონი რევაზ თვარაძის შესავალი წერილის შესატყვისად გამართლებას მოუძებნის ფინალის „სუერტე მუერტეს“ — მოკვდინების მსვლელობის ფილოსოფიას. (644 გვერდზე მთელი აბზაცი ორგზის მეორდება, არა სტილური მოთხოვნით, არამედ დაუდევრობით, როგორც რუსები იტყვიან; „ხალატნოსტ“ — „ბოლოთქმა“, „ტომი!..“), მაგრამ დიახაც ეს ეპილოგი უკიდურესობამდე გახსნის „თუთაშხიასა“ და „მბორგალის“ შემწყნარებლობას ცხოვრებასთან, სტიქიასთან, გნებავთ კორიდასთან, რომელიც საწუთროს სრული მოდელია, სიმბოლო.

დონ ხოსე არტიგას სიტყვებით კი:

„ჩვენ ესპანელები ვართ, მოგეხსენებათ, კორიდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. რა არ დაწერილა, მაგრამ ჩვენ, ამ სუფრასთან მსხდომთ, თქვენეული განმარტების მაგვარი არსად შემხვედრიაო“, გაენდობა მწერალს, ხოლო მოგვიანებით ვინმე უნივერსიტეტის ისტორიის მასწავლებელი, ორმოცს მიტანებული ქალი მამაკაცის სახელით — ტომი და „კგბ“ ამოტვიფრული უშველებელი წიგნით, ამგვარ გაცხადებას მოისმენს მწერალი-მბორგალისაგან:

„ესპანეთში რეკონკისტა — დამპყრობლის მიერ მიტაცებული სამფლობელოების ბრძოლებით დაბრუნება — მერვე საუკუნეში დაიწყო. კორიდამ აქ თავისი პირველყოფილი სახით ბალკანეთიდან მეთერთმეტე საუკუნეში შემოაღწია, ხოლო ბალკანეთში უხსოვარ დროს — კოლხეთიდან. შესაძლოა ესპანეთში ეს სანახაობა სულაც ბასკებმა შემოიტანეს. გამუდმებით მეომარ ხალხს მტერთან ბრძოლისა და გამარჯვების ამსახველი რაიმე თამაშის შექმნა რომ მოსწყურებოდა განა საკვირველია? ერების უმრავლესობას აქვს ამ ფუნქციის მატარებელი გასართობები, სანახაობები თუ მისტერიები. ცნობილია კორიდას თავდაპირველად სხვა ხასიათი ჰქონდა. დროთა ვითარებაში ესპანელებმა იგი თავის მოთხოვნილებებს მოარგეს და საუკუნეების მანძილზე ბრძოლისა და გამარჯვების, დამპყრობლის განადგურების პროპაგანდისათვის იყენებდნენ“.

„სოლ“ — მზის გული შემოსასვლელში ნაქირავებ ბალიშებზე მოკალათდებიან.

„მაშ ეს კაცობრიობაა“, კითხულობს ტომი. ამის შემდგომ ზედმიწევნითაა აღწერილი კორიდას მსვლელობა, იგივე მოკვდინების პროცესი — სუერტე დე მუერტე: ორკესტი, აღლუმის წინამძღოლი სამი მატადორი, შემდეგ წმინდა გიორგის მიმსგავსებული პიკადორი,

რომელსაც სამი ბანდერიოლერო მოსდევს. აქვე არის სამი კაპეადორი— ხარის გამღიზიანებლები, მერმე პუნტილიერო, ქუადრილა დე არსტრე — მოკლული ხარის ასპარეზიდან ცხენებით გამთრევი, და რაც მთავარია, აფასიონადოები — თავგადადებული გულშემატკივრები, იგივე კაცობრიობა სრული.

,, — კაცობრიობის ისტორიაც ასეა, გორ? — ეკითხება თაკარა მზით გაბეზრებული ტომი მბორგალს, — შენ მართალი ხარ: შემოჭრა, მოგერიება, გაქცევა, გამოდევნება, დამარცხება, გამარჯვება, კიდევ რა? ეს ომია. ომი — რაღაცის ბოლო და ახლის დასაწყისი. ომი, ანუ უხეში ძალის ზეიმი და ისევე სიკვდილის დასაწყისი...

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!.. სუერტე დე მუერტე — მოკვდინების მსვლელობა... — აღმოხდება ამერიკელ ისტორიკოსს. — ხალხში გამუდმებით არის დაუკონკრეტებელი პროტესტის ქვეცნობიერი გრძნობა და ამის ზედმეტი სისხლივით დრო და დრო გამოშვება სჭირდება...

— ამაოება ამაოებათა! — დაასკვნის მბორგალი და რატომღაც ამაღლებული, მაჟორული ფერებით იხატება დევნილი ტოროს აღსრულების სცენა, ლამის ნატურალიზმით აისახება მატადორის ოსტატობანი ნესტოებდაბერილი, ნაწამები, სისხლდანთხეული ხარისა.

არაფრით განსხვავდება ეს ამაზრზენობა გლადიატორების ორთაბრძოლებისაგან. ჯიჰადგარი — მებრძოლი შავი ხარი განადერიას მატიანეში შევა, მაგრამ თუთაშხიების კუნაპეტი პირუტყვი, ცისფერთვალება და კვერცხის ფორმის თეთრი კიოფით მარჯვენა ფერდზე, გაფანტულა, განბნეულა ახალციხის მხარეს, მალაკანების თუ სხვათა სასუფევლად.

ვერ გამოიზრდება მათი ჯილაგისაგან ჯიჰადგირთა ღირსეული ჩამომავალი, არ დასჭირდება მატადორს მათი ყანწიანი თავების დესფილირება, რადგანაც ერთხელ დაფერფლილს ვეღარაფრით აანთებ;

ამიტომაც სრულიად ზედმეტი მგონია ნაწარმოების გმირი-შემოქმედის რიტორიკული შეკითხვა:

,,ვინა ხარ შენ, გორა მბორგალო, ხარი თუ ესპადა?''

სრულიად უადგილოა მბორგალის მიერ ეს გამოცანები, ვინაიდან რანაირად შეიძლება შთამომავლობის გადასარჩენადაც მეამბოხეობდე და ამავდროულად გულნამცეცობით ამხობდე საკუთარ თავს?

,,მბორგალით'' ,,თუთაშხიასთან'' შებურუსებულ უამრავ კითხვას გაეცემა პასუხი. ავტორი თავგადაკლული ამტკიცებს, ფრჩხილებს ხსნის, გამოგვიაშკარავებს პირველი რომანის გაბუნდოვანებულ პასაჟებს. აქვე

კორიდად, ციხედ, თორიას კასრად, სუერტე დე მუერტედ წარმოსახავს მთელს ცივილიზაციას ნებისმიერი მშვენიერი ფასეულობითა თუ მონაგარით, აურაცხელი სამსჭვალით რომ ებრძვის ყოველგვარ ამაღლებულს, უბიწოდშობილი ქრისტესგან მოყოლებული ბნელშიდამწყდეული ხარით დამთავრებულს.

და ხარი, ვინაიდან პირველადი ცივილიზაციის სიმბოლოა; და რადგანაც იდენტურია ძროხისა და ქალის ფეხმძიმობის ვადა, (ადამიანებს ხარის რქიანებად გამოსახავენ შუმერში), ჩანს, ესპანური კორიდაც დასაბამისეულ მესისხლეობას გადმოსცემს, რომლის წინააღმდეგ იმთავითვე აღსდგება ბიბლია ათი მცნების მეექვსე პოსტულატით: არა კაც ჰკლა! და მაინც — სანახაობად, გასართობად ქცეული, არა გრძნობათა მეუფე, არამედ— ჯირკვლებით მგალობელი კაცობრიობის ველურობის რუდიმენტი.

მწერალს კი ევალებოდა და ამაღლდა კიდეც ყოველივე ანტიჰუმანურზე; დროშასავით ააფრიალა მაცხოვრის სამარადისო სიტყვებს: გიყვარდეს მტერი შენიო, რომელი შეგნება გაამარჯვებინებს მხეცსა და ურჩხულზე მიწიერ თუთაშხას საკუთარი ხორცის გაღებით თანამოაზრეთა მხარდამხარ, და რომელი კოლექტიური მემსხვერპლეობამ გასაოცრად გარდაუსახავს დინგს სახედ დრაკონს, ბრჭყალს — ფრჩხილად, უძღები მადას— თანალმობად.

ეს ყველაფერი მოხვეჭილია „თუთაშხიას“ მეშვეობით, ხოლო „მბორგალი“ მისი ერთგვარი კომენტირებაა, სქოლიო, მეტის სიცხადისათვის, იგივე მასა-ენერგია, კოსმოსში ხომალდის გაღწევა საჭიროებს დანადგარებისა და საწვავის სახით; მაგრამ გვეჩვენება — ყველაფერზე გაზომილად გვისაუბრია.

* * *

წელიწადზე მეტია წინდებული წერილი გამისრულებია, თუმცა მის გამოქვეყნებას საშველი ვერაფრით დაადგება ვრცეულობის გამო თუ სულაც უფლის განგებით.

ჯერ არის და გაზეთ „არგოს“ კორესპონდენტი ქალიშვილი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაზე სიტყვის დაძვრას მომანდობს. ცხადია, სიხარულით დავთანხმდები და ყოველშემთხვევისთვის დასახელებული მასალის ქსეროასლსაც წამოვიძღოლიებ.

დავსხდებით ზემელზე ყოფილ საბაგიროებთან, მაგრამ როცა შევატყობ გაზეთჩიკს, რომ სასიქადულო მწერლის ბელეტრისტულ მემკვიდრეობასთან საკმაოდ მწყრალადაა, დიქტოფონს გამოვართვევინებ:

— ჯობია ამით იხელმძღვანელოთ -მეთქი, დავაკვალიანებ და გავეცლები.

ბუნებრივია, ვერ ვიხილავ იმ მასალას „აღორძინების“ პერიოდიკაში.

„ცისკარსაც“ ებევრება მისი მოცულობა, თუმცა თითქოს სარედაქციო კოლეგიის წევრი მეთქმის.

„სუფევის“ გამოცემაც დამიგვიანდება და შემრჩება ასე თვიდან თვემდე.

მაჩაბლის 13-ში „განახლებული ივერიის“ რედაქციაში ავაკითხავ გრიგალებთან ნარკინალ ბერმუხას. ხელის ზურგზე (ნები ხელის სიბრტყეა საბას მიხედვით) ვეამბორები ჩვეულებისამებრ და იქ გავენდობი, რომ დაახლოებით ოთხი სასტამბო ფორმის გამოკვლევა მიმიძღვნია მისი შემოქმედებისათვის.

— მართლაც ამხელაოო, — გაიოცებს ბატონი ჭაბუა.

ეგ არის და ეგ.

შემდგომ აკვნიდანვე დაბედებული უამრავი წანწალი მომინელებს ოჯახთან ერთად:

თავდასხმა.

ტრავმა — ფიზიკური, სულიერი.

ვიზები. სანკტ-პეტერბურგი. მოსკოვი.

კლინიკები. ხელის გაწვდენანი. უშურველი თანადგომა.

კვლავ თბილისში ვარ.

მიგვიანდება ბელეტრისტული ინტერვიუ ბატონ გიორგი გაჩეჩილაძესთან.

„ათი ზეღირსეული ქართველი“, ამგვარია ჩემი პროგრამა.

სატროტუარო საუბარში ბატონი გოგის სიმპათიები რატომღაც „ბორიაყისკენ“ იხრება პირველადობის პრიზმით.

ჩემთვის გაურკვეველი ესთეტიკური კრიტერიუმებით წარმართულა ბატონ ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფორსირებული წარმოჩენა.

ამაგის დაფასებას რა სჯობია, ადამიანურ მოფერებას, მაგრამ ზომიერებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი?!

მეოცე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის კორიფეების ხუთეულში, საცოდაობაა, დანაშაული თუ არა, ჭაბუა ამირეჯიბი გამოვტოვოთ, გამოგვრჩეს!

ქართული ესთეტიკური აზროვნების ავტომეტრი როსტომ ჩხეიძის ნუსხა კი ამგვარია:

1. ვასილ ბარნოვი, „მიმქრალი შარავანდედი“;

2. მიხეილ ჯავახიშვილი, „ჯაყოს ხიზნები“;

3. კონსტანტინე გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“;

4. ლევან გოთუა, „გმირთა ვარამი“;

5. ოთარ ჩხეიძე, „ბორიაყი“.

და წარმოიდგინეთ, ცამდე მართალია ჩვენი ავტომეტრი, ვინაიდან „დათა თუთაშხიას“ ზებგერითობა, წყალწყვა ვეღარაფრით ემაშტაბება ზემორე ხუთეულის აეროდრომებს თუ ნავსადგურებს, სანამდის სათანადო სარბენი ბილიკები და პირსები არ მიეგებება მის ზოგადკაცობრიულ მუხტ-ენერგიას; ვიდრე სადაგი დისტანციიდან არ გაცნობიერდება მისი კოსმოგონიური პარამეტრები, მოუწევს ასე, ზეფირებსა თუ ტალღათა გრაგნილებში, გარიყული ხეტიალი ახლომხედველი და მეორღობე შთამომავლობის პატრონს.

„თუთაშხიასთან“ „მთვარის მოტაცების“ დატოლებაღა თუ ესინდისიერება ჩვენს პირუთვნელ გემოვნებას, და ისიც — მოკრძალებული თანამეინახეობით: ოდეს ზიარ უღელში შებმული ეს ორი ლაბა ჩვენი სიტყვიერებისა, მეურმეს მიერაა გაწონასწორებული ტოლის დადებით, ანუ დამოკლებულია ღერძი „თუთაშხიას“ მხარეს, რათა საკაცობრიო ტვირთის ზიდვისას „მთვარის მოტაცებას“ რამდენადმე გაუიოლდეს.

სხვები დახარებას ვერმოსწრებული მოზვრებია, სასკორავშივე ჩამქრალი.იგივე სენითაა შეპყრობილი მახლობელი ლიტერატურული მონაგარი: „თუთარჩელა“, „სამოსელი პირველი“, „ხმა მღაღადებლისა“ თუ „აველუმი“.

ზემორე შევთანხმებულვართ, რომ სტილისტური ცდომილებანი ნებისმიერი შემოქმედებითი პალიტრა-ტემპერამენტის ავტორის თხზულებაში დაახლოებით თანაბარია, ვერბალური საშენის მასალის უმართებულო გამოყენების თვალსაწიერით.

რაც შეეხება ზოგადკაცობრიულ ფასეულობებს, თუთაშხიამ დაიპყრო ფეხდაუკარებელი ყველა მწვერვალი და მისი გამორჩეული მარტოსულობაც სულხან-საბას ცნობილი „სიტყვისკონისეული“ განმარტებიდან მოდის — „მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა“.

არ ჩამომერთმევა გადამეტებულ შეფასებად თუკი განვაცხადებ: „დათა თუთაშხია“ ის ნაწარმოებია, რომელიც ტოლძალოვნად იტევადებს ქართული ბელეტრისტიკის სიფხიანეს ფაბულა-სიუჟეტის მოულოდნელი აფექტების თვალსაზრისით და „ვეფხისტყაოსნისა“ და ვაჟას „სტუმარმასპინძლის“, „ალუდა ქეთელაურის“, „გველისმჭამელის“ ერთსხეულად გააზრების შემდგომ, მესამე ნაწარმოებად გვევლინება სამამულო მწერლობაში. იმდენად ეროვნულია იგი, იმდენად მოხარშულა ქართლოსიანთა სულიერების ცოდვა-მადლის ქვაბში, რომ სამისდღემშიოდ იმკვიდ-

რებს თავს მკითხველის ცნობიერებაში ჩინგიზ აითმათოვის „მანქურთის“ ეპიზოდის წარუშლელობით რომანიდან „ი დოლშე ვეკა დილილას დენ“.

ათიანში არტყამს მესიტყვეთა მამფალი ჰომეროსი „ილიადა-ოდისეათი“.

დანტეც ათიანში ახვედრებს „ღვთაებრივი კომედიით“;

ათიანები გაუმსჭვალავს მიგელ დე საავადრას „დონ კიხოტით“;

ბდღვირს ადენს ათიანებს გოეთე „ფაუსტით“.

ჭაბუა ამირეჯიბიც მათი ჯილაგის ჩუბინია თავისი საღმრთო რაინდით, იგივე მამაკაცური საწყისის ეტალონი გმირით, რომელსაც მეგრულ ლექსში ამნაირად ემღერება: „თუთა—მუმა ჩქიმი“ — „მთვარე—მამა ჩემი“.

ქუდბედი იღბლიანობის საიდუმლო კი ურთულესი უბრალოებაა და არა — სიმარტივე — იგი რომელიმე კონკრეტული თაობის სალხინებლად როდი შექმნილა, არამედ — მთელი ოქტავით, დოდან დომდე იპყრობს ყრმობიდან დაწყებულ მიმხცოვნობით დამთავრებულ ჩვენს ასაკობრივ გრადაციებს.

საამისოდ შერჩეულია ბასრზე უბასრესი სიუჟეტური წახნაგები, რომელიც ულმობლად გადაფარავს ჩვენს ლიტერატურულ გემოვნებებს, ერთხელ და სამუდამოდ დააჩნდება ჩვენს დანაგვიანებულ თუ დაუწერელ სულთა დაფებს.

ეს ბედისწერაცაა ერთდროულად და უფლისეული ჯილდოც, იმ ქვეშის მარცვალის დარად, რომელიც ოკეანეთა აბორგებისას, მილიონიდან ერთადერთი მოემწყვდევა ხოლმე გახსნილ ნიჟარაში იშვიათი პერანგიანობის წყალობით და მერმე ბნელეთის შემანგრეველ მარგალიტად გადაიქცევა მიუკერძოებელი დროის უდასასრულო ტრიალში.

კაზმული სიტყვის ამბროზია

ნონა ბერაიხეს ოპერაცია სამხედრო ჰოსპიტალში ჩინებულად ჩაივლის. თოფჩიაშვილის ჯგუფი ორიოდე საათში დამში მოიყვანს საქმეს. ვახტანგის დაის წიაღს მოაშორებენ კომეტასავით შემოჭრილ უცხო სხეულს და გაფაციცებით ჩავუსაფრდებით ონკოლოგიურ დასკვნებს.

ნონა პირწავარდნილი მამიდაა, მეორე ნატა კანსტანტინოვა, მასავით ყირმიზი, თავთუხისფერი თმით, ჰაეროვანი. თრთოლვით დამუხტული და ექსცენტრიულობით გამორჩეული თანაც.

გასხვისებული ძმის გამოჩენაზე ნიკაპი აუკანკალდება.

უთქვამს, უმისობა მსპობდაო. თხილნარში გავრბოდი ტირილით გუ-

ლის მოსაჯავრებლად, ან საკუჭნაოში ჩავიკეტებოდი და იქ გამოვიგ-ლოვებდი წართმეულსო.

ნონა ლექსებსაც წერს ხოლმე. ამას წინათ „ცისკარი“ გვერდებს და-უთმობს, მაგრამ მეიმედება, ხვალ-ზეგ სულ სხვა მდუღარებით აელვარ-დება მისი პოეზია.

გამოჩნდება ვახტანგი და ფერი გვიხუნდება ყველას. უნებლიე ცრემ-ლი ლოყას გაუხაზავს.

წელიწადზე მეტია ოპერაციას ეჩიჩინებიან, მაგრამ სანამ ვახტანგი არ აუხირდება, თავს იკატუნებს, ფეხს ითრევს.

სამეგრელოში დღემდე ცოცხლობს ამგვარი ფრაზა: **ჯიმაშ გურ-შენ და სოდგა ჩილამურს გიოჭვაუათანსუნ, თექ დოლო შქვით წანას ვეფალუნსია — ძმის გამო და სადაც ცრემლს დააპკუ-რებს, იქ ბალახი (მდელო) შვიდ წელიწადს ვერ ამოვაო** — საამისო არაფერი გვჭირს ღვთის შეწევნით, უბრალოდ ფრთიან გამო-ნათქვამად ვიმოწმებთ.

დაისვამს წინ ბერაიხე დაი მიშველია ძმას და თვალთვალით დნება.

ჰოსპიტალში მომსვლელების არმიაა. ახლობლები ახერხებენ შენო-ბაში შემოღწევას და პალატაში ფეხის მონაცვლეობა ჭირს. ათი ამდენი გულშემატკივარი დაბლა ბაბანებს, კორპუსის ალაყაფის კარებთან.

პალატაში ყვავილების მდინარეა ლებანიძისებურად. მაღალ ღერო-იანი ვარდების ტრფიალია ნონა და სამლიტრიანი ქილები კედლის გასწ-ვრივ ჩამწკრივებულან, მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე...

ვახტანგი ნებისმიერ წვრილმანს იჭვნეულობს. ბოლო დღეს კინაღამ ოპერაციას ჩაშლის, აქაოდა, ჯერ დიაგნოზი დაგვეზუსტებინაო, მაგრამ როცა აუხსნიან:დათესვა ოპერაციამდე შეუძლებელიაო, თვალდახუჭუ-ლი თავის ქიცინით დაყაბულდება.

დასრულდება ოპერაცია და კვლავ ქირურგს ჩაუღრმავდება ძირის-ძირამდე, შემდგომ ანესთეზიოლოგსა და მკურნალ ექიმს მიუჩოჩდება. ყველასათვის მიგებულია სათანადო პატივი. ახლა გულისყური ლისის ტბის ონკოლოგიურისკენაა.

ამასობაში ნონაც დაახელს დიდრონ, შრატისფერ თვალებს.

ვახტანგიო, დაიკვნესებს მიბნედილი და უნებლიეთ პანტომიმის თე-ატრის იშვიათი სპექტაკლის მოყურადე შევიქნები.აქ სიტყვას წონადო-ბა დაუკარგავს, ძირითადი ფუნქცია მიმიკას, ჟესტიკულაციას უტვირ-თავს და დაძარღვულ ტორებში — მაგნოლიის ყვავილებივით გაფითრე-ბული თითების ორგიებს.

ფურტის თამაშით შევიქცევთ რიგ-რიგობით ბერაიხეს.

მთაკაც სერაპიონ კვარაცხელიას ავტობუსი მეტროპოლიტენის სადგურ „ვარკეთილის“ მისადგომებთან უთვისტომოდ მიუტოვებია, თუმცა ვინ არის გამშვები?! ჩემი პროფესიის კაცს არ მიძნელდება აქ მელანქოლიის სადაურობის დადგენა — ნონათი ხარობს ვახტანგი და მიშველიათი მზეობს ბერაიხე. დისწული ცირაც ამისთვის წაუმოსკოვებია ჩემს ძმობილს თვეების წინათ ორდინატურაში დასახელოვნებლად. ვახტანგში ნონა აერთიანებს ჭეშმარიტი დედისა და გამზრდელის ხატებს; ნონაშია აკუმულირებული გამჩენელ-დამპურებელი ხორცით, ძვლითა და სულით.

ფუძის ანგელოზის აურათი დამუხტვის ბოლო აკორდებია.

ოცდათერთმეტი მარტის დილასისხამიდან ქალაქში დავბორიალებთ.

შეძენილია სამი ბაგაჟის სამყოფი წიგნები — აკა მორჩილაძის თხზულებები, ყურბან საიდის „ალი და ნინო“, ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ვაჟას რჩეული, „ვეფხისტყაოსანი“ და გალაკტიონი, სერვანტესის ბაჩანა ბრეგაძისეული თარგმანი, ირაკლი აბაშიძის რედაქტორობით გამოცემული ქართული ენციკლოპედიის სრული კომპლექტი... სხვანი და სხვანი, მაგრამ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის უშვიდტომეულოდ ამ სავსებას რაღაც მნიშვნელოვანი აკლია და ჩვენც საღვთო რაინდის ავტორისაკენ დაველირებით.

მეცხრე სართულზე მობინადრე მხცოვან მწერალს ახლახან მიულუნავს თვალი, მაგრამ ქალბატონ თამარის უნისონით შემოპატიჟება, მსწრაფლ წამოაფუცხუნებს.

ხმელ კოპიტად ხმობილი შემოქმედი ძველებურად თავის სტიქიაში — პასიანსითაც ერთობა და გვისმენს ამავდროულად. ყელთან ძახველივით უელავს ღია ჭრილობა. მეორე ოპერაცია შედეგიანი გამომდგარა და ამიერიდან უპრობლემოდ ეწაფება სითხეს, ლუკმასაც ინებებს მეუღლის კოვზიანი ხელით მიგებებულს.

ზეციური ნათელი დასციაგებს თავზე ბატონ ჭაბუას.

გაიცვლება წინადადებები.

თავდაპირველად ბერმუხა მწერალი წაიძუნწებს ცოტას, მხოლოდ „გორა მბორგალის“ ბოლო გამოცემით დაგვასაჩუქრებს დაუპატიჟებელ სტუმრებს, მაგრამ თანდათან ურთიერთობის ძაფები ილამბება და თანადროულს, დიახაც, ამ შტრიხების ზედმიწევნით დაფიქსირებას მივიჩნევ.

— დღევანდელი რუსეთის დედაქალაქი კარდინალურად განსხვავდე-

ბა ათი წლის წინანდლისაგან, — განგვანათლებს ვახტანგი კარენნოი მოსკოველის დარად, — ახლანდელი რუსი აბსოლუტურად შეცვლილი პიროვნებაა. იაფფასიანი კავკასიური წარმოდგენები მასზე ჩაესვენა ერთხელ და სამუდამოდ — თითქოს საქმეები სამვარსკვლავიანი კონიაკით იჩარხებოდეს. ქალაქში წარმოუდგენელი მშენებლობები გაჩაღებულა. იმდენი სარეკლამო აქსესუარია, ერთმა გერმანელმა ბიზნესმენმა შეიცხადა: **მარტო ამაზე გახარჯული ელექტროენერგია გაანათებდა მთელს ბერლინსო**. მართლაც და განუზომელია რუსი კაცის ლტოლვა უპრობლემო ცხოვრებისაკენ. იქ ხუთკაციანი ზომიერი ვახშამი მინიმუმ 500 დოლარი ფასობს. სიტყვამ მოიტანა და ზემოთხსენებულ კომერსანტს სადილი გავუშალე მეგობრების წრეში. შესვა ორიოდე სარჩა და გაიკრიფეა ენად, მოჰყვა ჰიტლერის განდიდებას.

რუსები გაბუსხულან. ,,მაინ კამპფი'' იმათ არ წაუკითხავთ, მაგრამ ორმოციანი წლების სუსხი ჯერაც ზარავთ. მეტის მოთმენა არ შეიძლება და ეგრევე ვაჯახებ:

კი, მაგრამ სტალინი-მეთქი. შესაძლოა მაგარი ვინმე იყო შენი შიკლგრიუბერი, ფიურერის ნამდვილი გვარი ნეხვის ხოჭოდ ითარგმნება ჩვენებურად.

ბატონი ჭაბუა გადაფიჩინდება, ჰომერული სიცილი უხმოა, ტუჩების მოძრაობითღა აღიქმება. წამით შეეშვება პასიანს. თვინიერი მეუღლე წყალს აყლუპებს მილაკიანი ფინჯანიდან.

— ,,ფუნაგორია'', — წერს ბატონი ჭაბუა მომცრო დაფაზე ფლომასტრით, რომელზეც ჩაწნული ასოები ხარვეზის ჩამოწევისთანავე წაიშლება და ხელებს ისევ ბანქოს საკრალურობით დაასაქმებს.

— ჰოდა, მივახლი ამას დაურიდებლად. თანაც ნიშნისმოგებით დავსძენ: სხვანაირად რომ ყოფილიყო, გენერალი სიმუსი შენს ადოლფს ბუნკერში როგორ შეკვეხავდა-მეთქი. ნაციონალ-დემოკრატების ლიდერს ტვინს უმღვრევდნენ გურჯიევები და რობაქიძენი, როცა არიული რასის უპირატესობებს დაულაგებდნენ წინ და ,,კლიუნულ'' შენმა გიტლერმაც: გაუგონარ ანტისემიტიზმში ჩაეფლო. ჰოდა, ბუნებრივია, იწვნია კიდეც თავისი-მეთქი.

წარმოგიდგენიათ იმ საუბრის შემდეგ დამიძმობილდა ჩვენი ბიზნესმენი ჰანსი. მე ებრაელების აპოლოგეტი სულაც არა ვარ, მაგრამ ვინც კი ამ ხალხის წინააღმდეგ გალაშქრულა, მხრებზე თავი არავის შერჩა:

კისერი მოიტეხა ეგვიპტემ მოსე წინასწარმეტყველის დროს.

კისერი მოიტეხა რომმა და საბჭოეთმა. ჰოდა, ამათთან შედარებით რა ბედენაა?! დღეს პოლიტიკას, რომელსაც თავისი მოღვაწეობის ენდ-შპილში, ებრაული ფაქტორი არ გაუთვალისწინებია, სრული ფიასკო ელის მოღვაწეობის მიტელ- შპილში, რადგანაც იშვიათია ერი, რომელ-საც ესოდენი შინაგანი მდგრადობის ატომგული გააჩნდეს. უმთავრესი ფაქტორი კი აქ ერთიანი ღმერთის მორჩილებაა ეს, აღებმიცემობის ენი-თუთქმელი სილაღე, თუ ოპტიმალური მიმართულებების პოვნის უნარი ბიზნესის არენაზე.

პარტნიორობისას ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელთან ებ-რაელი მოგების პრიმატსაა ჩასაფრებული, მაგრამ საკუთარ ჯიშ-ჯილაგთან 30 პროცენტიანი შეღავათი ფრთებს შეასხამს ხოლმე. ათწ-ლეულების შემდეგ გაიშიფრება „ადიდასისა“ და „პუმას“ მესვეურების ღვიძლი ძმობის ამბავი. თავიდან კონკურენტები რომ ეგონათ, სინამდვი-ლეში ერთ ოაზისში აგროვებდნენ თურმე დოვლათს, რომლის არტერი-ული დინება ისრაელის აღორძინებას ხმარდებოდა არსებითად.

კომერციის სპეციფიკიდან გამომდინარე მე ბევრი მოგზაურობა მი-წევს, ბატონო ჭაბუა, განსაკუთრებით ევროპულ ქვეყნებში: იტალია, ესპანეთი, გერმანია, დანია, შვეცია...

მწერალი ისევ შეიშმუშნება. დაიჭერს ამ მომენტს ვახტანგი და მეტი გულდინჯობით გააგრძელებს:

— ევროპის ქვეყნებში, ბატონო, ჭაბუა, ჩემი ძმობილი ოტობაიის დასავლეთ პროვინციას რომ ეძახის, ნებისმიერი სახელმწიფოს სმოკინგი დღეს ებრაელი თერძის მიერაა შეკერილი. ამის ამოსაცნობად დიდი მოდელიორის უნარები სულაც არ არის საჭირო, არც „ბურდას“ ჟურ-ნალებში ბუდრაობა და აღარც გერმან ბაზელის სტუდიაში რონინი. ებრაული სული იმიტომაცაა დიადი, რომ ნებისმიერ ქვეყანაში ამ ერს დიასპორის სახით სასიცოცხლო ინფორმაციის მომნიჭებელი ანტენები ჩაუმონტაჟებია მსოფლიო პროცესების სრულყოფილი სურათის მისა-ღებად. ჰოდა, ამისთანა ვითარებაში, შიკლ გრიუბერის „მესერშიდტე-ბი“ და დახაუ რისი მაქნისია, როცა ქვეყნიერებას მართავს ებრაული ფარული ხელისუფლება, უჩინარი ხელი, ვიზუალურად. ახლა დგება სა-კითხი ასე: ჩავყვეთ თუ ჩავათრევინოთ თავი ამ ძალას? მე, მაგალითად, ჩაყოლას ვამჯობინებდი, ვინაიდან ხომ გვისწავლია ბიბლიიდან, ნასვამ და ტიტლიკანა ნოეს როგორ მოახურავენ ქსოვილის ნაჭერს, სემი და მისი უფროსი ძმა იაფეტი, ანუ ჩვენი თავდაპირველი წინაპარი. ჩვენ ეს ორი

ხალხი ქამიანელებისაგან განსხვავებით, ერთი მიმართულებით მივდიოდიო ოდითგანვე და ორიენტეციის შეცვლა რაღა დროსია?!

ჩემი გოგო ვიკა, სიძე და სამი შვილიშვილი დანიაში იმყოფებიან დიპლომატიური მისიით. იქიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი მსოფლიო, ვეება რუსეთიც და პაწაწკინტელა საქართველოც. გადაავლებ პლანეტას თვალს ამ გადასახედიდან და მიხვდები, რომ კომუნიზმის საფუძვლები თურმე ებრაელებისათვის შეუქმნიათ მარქსსა და ენგელსს.

მოვქრივართ სარკისებურ ტრასაზე. საჭეს სიძე უზის, პაპუაშვილია გვარად, კახური წარმოშობისაა, მაგრამ კოლხური მოკრძალებაც შეუთვისებია სოხუმში ცხოვრების დროს. გადააგდებს ვიღაც „მერსედესის“ ფანჯრიდან სიგარეტის ნამწვავს და ჩემი ასულიც დაბარებულივით მობილურს მოიმარჯვებს. საჭირო ნომერს კრეფს გამალებით. სხაპასხუპით ელაპარაკება დანიურად. პოლიგლოტი ასული მარგუნა ბედმა. მგონია ათზე მეტი ენა იცის. შვილიშვილებიც ამ ყაიდის გამომსვლია, თავიდან გაუჭირდათ თითქოს დანიური სწავლა, მაგრამ უკვე ადგილობრივ ბავშვებს რეპეტიტორობენ.

რას შვრები-მეთქი, ვეკითხები.

პოლიციაში დავრეკე და იმ „მერსედესის“ სერია გადავეციო.

თქვენისთანა ბიოგრაფიის კაცისთვის ამნაირი საქციელი მიუღებელია. ამისთანებს ციხეებსა და ზონებში ნასედკებს ეძახიან, ჩამშვებებს, მაგრამ დანიური სინამდვილიდან გამომდინარე, აუგ ნამოქმედარს არავინ გაპატიებს. ძმაც რომ იყო, გაგამხელენ. არავინ მოგიტევებს სახელმწიფო გადასახადის გადამალვას. ყველაფერი გამჭვირვალეა და წამითაც არ იგრძნობა ჩვენებური ოცდაათიანი წლების დასმენების სუსხი. იქ ცილისწამებებს ფეხს არავინ აუბამს, ვინაიდან ტყუილის მთქმელს სხვანაირად მოეკითხება. აი, სიმართლისათვის თავგამოდება, სამართლიანობისათვის უკომპრომისობა ნებისმიერი დანიელის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. მე აქ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. განა ნაკლებ უგვანობას მოვიმოქმედებთ ჩვენ, საყვარელ მამულში, როცა ზურგს უკან ვჭორავთ და ვანადგურებთ მოყვასს?! განა უფლის თვალში ნაკლები სიბილწით წარვსდგებით დასახელებულ უზნეობის მალულად ჩამდენნი?! დანიაში ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და კონფრონტაციასაც ნაკლებად იწვევს.

ორიოდე საათში გადმოურეკავენ პოლიციიდან ჩემს ვიკას. გაირკვევა, რომ „მერსედესის“ მძღოლი ვიღაც საბჭოელი ყოფილა, უფრო კონკრეტულად კი საქართველოს მოქალაქე.

დანიურ სოფლებში ფერმერული მეურნეობაა ძირითადად.

რძეს ვყიდულობდი ერთი ცოლ-ქმრისაგან. ორმოცდაათამდე შავ-ჭრელ ძროხას წველიდნენ. რძით სავსე ბიდონებს პირდაპირ ქუჩაში დგამ-დნენ. ჩამოივლის მანქანა და მიაქვს. არავინ მოიფიქრებს რძისთვის წყლის დამატებას, პირიქით, ცხიმიანობის პროცენტულობა პატრონისგანვე გა-ნისაზღვრება. ეს ჩვენ ვიცით, ოცმოცური ხრიკები, რომელიც აქაურ ქვეყნებში თავს გვჭრის უკვე სავალალოდ. იმათი ფერმა მერძეული მი-მართულებისა გახლდათ. როცა ჯოგში ფური დაიბადება, მიუჩენენ სა-სურველ ადგილს, მაგრამ ხარი თუ გამოერია, პრობლემაც იმატებს, რადგანაც ფერმერებს თავად უწევს ჯარიმის გადახდა სახელმწიფოსათ-ვის. და ერთხელ გულწრფელად რომ მოვიხიბლები ხბოს კუნტრუშით, დამითმიაო, მეტყვის ოჯახის უფროსი, ოც დოლარად მოგცემო. ნამდ-ვილად მოგებულში რჩებოდა ფერმერი, რადგანაც სახელმწიფოსთვის 50 დოლარი უნდა გადაეხადა თურმე. განვუცხადე ეს ყველაფერი ვიკას და პრინც ჰამლეტს, ალბათ, ნაკლები ვაიუშველებელი დატყდომია თავს, ვინემ — მე.

შენ სამწვადედ გაიმეტებ იმას, და მერე ბავშვებთან მე როგორ ვიც-ხოვროო. მოკლედ გამჯორავენ გვარიანად. ბატონო, ჭაბუა, გური ოტო-ბაიის სოფლის დასავლეთ პროვინციიდან ამნაირი გამჭვირვალობით მოჩანს მთელი მსოფლიო. დღეს ეროვნულ უპირატესობებს ებღაუჭება ნებისმიერი სახელმწიფო: არიქა, მე ვარ უფრო ძველი ერი, კაცობრიო-ბის დასაბამი ჩვენგან იწყებაო. რელიგიური განსხვავებულობის ანაფო-რებს მოისხამენ ინფორმაციული ვაკუუმის გარანტად, როცა ევროპა კოსმოსური სივრცისავით ღიაა ყველასათვის.

მიხილავს ვიკასთან მე თუთაშხიას დანიური გამოცემა.

ბატონი ჭაბუა ისევ დაეხსნება პასეანსს. წიგნების კარადისაკენ მიის-წრაფვის. ზედიზედ გამოაქვს ჩინებულად გაფორმებული წიგნები. მკლავზე უწყვია ისინი. წინ დაგვილაგებს დანიურ, შვედურ, ფინურ, ფრანგულ, გერმანულ გამოცემებს. მართალია, მთლად „ნეოსტუდიის“ შვიდტომეულს ტოლს ვერ დაუდებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არც მის გამომჩენს ვხედავ ვინმეს.

— თქვენს უნახავად მოსკოვში ჩასვლა გულში ხინჯად ჩამრჩებოდა, ბატონო, ჭაბუა. ალბათ, შენი შნავდით, აქ „დათა თუთახშიას“ ყველგან „კანონგარეშე“ აწერია. ევროპელებს უყვართ სათაურში შინაარსის კონცენტრაცია, რადგანაც ისინი სათაურს კომპასის მნიშვნელობას ანი-ჭებენ. მე პარფიუმერიის ბიზნესში ვტრიალებ და სიტყვაკაზმული მწერ-

ლობის სურნელსაც ჯეროვნად აღვიქვამ. შევხედოთ, როგორი განსხვავებაა სამშობლოსადმი დამოკიდებულება ებრაელ და ქართველ ერებს შორის. ჩვენ მივსტირით წართმეულ ტერიტორიებს. თავს ვიკლავთ წასაგლეჯად ცერზე შემართულისათვის, როცა ებრაელი 26 საუკუნის შემდეგ გამუდმებით იბრძვის ხრიოკი მიწისათვის, ამასთან თეორიულად დედამიწიდან განიხილავს მამულის ცნებას, საზღვრებს. ამას კოსმოპოლიტიზმსაც ვეძახით ჩვენ, პატრიოტები, ირონიით, მაგრამ უფრო სერიოზულად ჩავხედოთ საკითხის არსს, და მივხვდებით, რომ განსხვავებაა არა მხოლოდ მასშტაბებში, მიდგომაშიც. ებრაელებს ისრაელის გარდა არამატერიალური უამრავი სამშობლო გააჩნიათ: ფასეულობებში განსხვავებული, როგორიცაა: მსოფლიო კაპიტალი. 600 მილიარდერიდან 500-ზე მეტი ებრაელია; მასონური ლოჟების ერთობლიობა, იგივე უჩინარი ხელი; გაერო, ეუთო, შვედეთის აკადემია. თავიდან ცდომილებები იმათაც მოსდიოდათ, როცა მეორეხარისხოვან ლეგერლეფს საფოდ წარმოაჩენდნენ, მაგრამ ნობელის პრემიით დადაფნულთა ლაშქარში 90 პროცენტი ებრაელია თუ მეტი არა. ნაწარმოების სიდიადე ხშირ შემთხვევაში ეწირებოდა პოლიტიკურ კონიუქტურას. სოლჟენიცინის ,,არქიპელაგის გულაგი'' ტოლსტოის ,,ყირიმულ მოთხრობებს'' კოჭებამდეც ვერ შესწვდება მხატვრულობის თვალსაზრისით, რომ არაფერი ვთქვათ ,,ომსა და მშვიდობაზე'', თუმცა, უფრო გასათვალისწინებელი რეალობა ის არის, რომ ებრაელებმაც ისწავლეს მოჩვენებითი დათმობები და ლიტერატურულ პრემიებს ხან ფოლკნერს გადაუგდებენ სახრავ ძვლად და ხანაც — მარკესს. უმთავრესი ძალისხმევა მათ საბუნებისმეტყველო დარგებისკენ მიმართეს და ყოველი ასი ნობელიანტიდან დღეს ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ასტრონომიის დარგში 99 ებრაელია, ანუ ნობელიანტობის ნიშნით ჩამოყალიბებულა ებრაელების ტექნოკრატიული სახელმწიფო. ჭრილში თუ განვიხილავთ ქართულ, გნებავთ სომხურ ეთნოსს, აბსოლუტურად ხელმოცარულებად გამოვიყურებით. ვინაიდან დასწრებულია გონიერების ზესახელმწიფოს ფორმირება და უკვე იმ საზღვრების გადალახვა თითქმის შეუძლებელია.

თუთაშხია საღვთო რაინდია, მთვარის ღვთაების მხედარი, რომელიც მართლმადიდებლური მორალით ამარცხებს საკუთარ წიაღშივე აღმოცენებულ ბოროტებას, ამ შემთხვევაში უნასივით დაგორგლილ ზარანდიას, მაგრამ გავითვალისწინოთ სხვა რეალობაც, კონკრეტულად კი ის, თუ ვინ შექმნა ორივე, რომელმა სინამდვილემ. ცხადია, უნგრეთის არეა-

ლიდან წამოსულმა მეფის რუსეთის მოხელე გრაფი სეგედმა, რომელიც ვერავინ დამარწმუნებს ებრაელი არ იყო. მორდოხაი ხილული ურიაა, თავისი ანგარიშიანი ფსიქოლოგიით, ბატონო ჭაბუა, და ამდენად ყველასათვის ხელმისაწვდომი, მაგრამ გრაფი სეგედი მთელი ნაწარმოების ხერხემალია, ვინაც ცხადლივ შექმნა ეს სპექტაკლი, ეს დრამა — თუთაშხია-ზარანდიას სამყაროისეული კონფლიქტის სახით. ამიტომაც მიმაჩნდა და მიმაჩნია, თქვენი ნაწარმოები გაცდენილია ეროვნული პარტიკულარიზმის ჩარჩოებს. ის განფენილია გალაქტიკური მსოფლგანცდით და უწინარესად ამის გამო იმსახურებს უპირველეს ლიტერატურულ ჯილდოს მსოფლიოში. თუმცა, აქაც არის ერთი გადაულახავი ბარიერი, კერძოდ — კომერციის ენაზე — პროპაგანდაში დაბანდებული კაპიტალი, რომელიც რომანში კოდირებულ ფარულ დინებებს სააშკარაოზე გამოიტანდა და ყოველდღიურ სასაუბრო თემად აქცევდა წიგნიერ მსოფლიოში. ამ გრანდიოზული სამუშაოების შესრულებას არაებრაელი მწერლისათვის დიდძალი სახსრები სჭირდება. ნობელიანტობისთვის განკუთვნილი 200 ათასი დოლარი, აი, აქ, ყულაბაშიც რომ გვედოს ახლა, გასაშვები თანხის მხოლოდ ათი პროცენტია.

სხვანაირად აუხსნელია ჩემთვის ტოლსტოის ორგზის გაწბილება შვედეთის აკადემიისაგან, რომელიც თავიდან ინტონაციებში წამოუყირმიზებლად ესესხებოდა სტენდალის „მადამ ბოვარს". ჩვენთვის უმთავ-

რესია ყოველთვის გვახსოვდეს ეროვნული ფასეულობების კოსმოპოლიტიკურ ოკეანეში ჩამდინარების ტექნოლოგია. სხვანაირი ბედისწერა მსოფლიოს არ უწერია. ამ პრიზმით ჯერ-ჯერობით მხოლოდ ებრაელი ერი იყურება, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მან გააფართოვა სამშობლოს პარტიკულარული საზღვრები და იდილიურ ორღობეს კოსმოსური გაქანება მიანიჭა.მე ჩემს ძმობილს, რომლის ტალანტში ეჭვი არ მეპარება, დროულად უნდა გამოვუფერთხო თავიდან ოტობაიური ეგოცენტრიზმი, დამაბრმავებელი პატროფილია და მის სათქმელს სადინარი ზოგადკაცობრიულისკენ უნდა მივანიჭო. სხვანაირი ,,ურაჟაი'' ნებისმიერ მწერალთან წყლის ამაო ნაფვაა. ზოგადადამიანურით აირწყვება ,,ილიადა'', რომელსაც მარქსი ეტალონის, ნიმუშში მნიშვნელობას ანიჭებს. ზოგადკაცობრიულით გვხიბლავს ალიგიერი და გოეთე. ლამანჩიდან ზოგადსამყაროისეულით გვაღვრევინებს სიმწრის ცრემლს სერვანტესი. საყოველთაო ფასეულობებით გვატყვევებს ,,ვეფხისტყაოსანი'', ვაჟა. თქვენთანაც მსგავსი სიტუაციაა, ბატონო ჭაბუა, მაგრამ სავალალოდ მე ვერ ვხედავ კრიტიკული აზროვნების პროდუქციას, ამ მიმართულებით. აი, სად არის ჩვენი აქილევსის ქუსლები. დღეს რეკლამა კარგი გაგებით განუსაზღვრელი მნიშვნელობისაა საბაზრო ურთიერთობის პირობებში. გავიხსენოთ მოლა ნასრედინის მაგალითი, ფაფას არიგებენო, რომ წაექილიკება ვიღაც აბეზარს და როცა იქითკენ მოძრაობები გახშირდება, თვითონაც წამოავლებს ხელს კოვზსა და ჯამს.დღეს მასას შვიდასგვერდიანი რომანის კითხვას ორწუთიანი საეთერო კლიპიურჩევნია ინტერესის გასაღვიძებლად, სადაც დაწნეხილადაა გადმოცემული ნაწარმოების უმთავრესი ღირსებები. ჰოდა, გადავწყვიტე ჩემს ძმობილს გამოვაბერტყვინო თავიდან ოტობაიური ოფოფები, რადგანაც ჯერ კიდევ შესწევს უნარი შექმნას რაიმე ფასეული, ოღონდაც თქვენი გენიალური უბრალოების დაუფლებით. ამიტომაც ნებას თუ დამრთავთ, ბატონო ჭაბუა, იქნებ გეკურთხებინათ იგი თავზე ხელის დადებით. დღეს 31 მარტია, ორშაბათი, საღვთო რაინდის ასპარეზის ბორჯალი, მთვარის ღვთაების დღე — თუთაშხა.

ქალბატონ თამარს დამუხტული ფოტოაპარატი მოუმარჯვებია, მე ბედოვლათს მუხლი ჩამიხრია დიდი ხელოვანის სავარძელთან, ბანქოსაგან გამონთავისუფლებელ მარჯვენას დამასვენებს ნაგოლგოთარ თხემზე და ცრიატებს ობიექტივის სანთელი. ჭაბუკური სიჩაუქით წარიმართება მერმე ბატონი ჭაბუა და ახლა ჩემთვის ცასავით ნათელია, რომ ხვალ დილით ვახტანგს უშვიდტომეულოდ არ მოუწევს მოსკოვში გაფრენა.

***

ვგონებ სექტემბრის დამდეგსაა.

მწერალთა სახლის წინ მანქანაში ჩაჯდომისას გამოსამშვიდობებლად გამოწოდებულ მარჯვენაზე ვემთხვევი ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს.

გაიკვირვებენ ზურგს უკან სამოწყალო სტიპენდიის მომლოდინე კოლეგები, მაგრამ რა უწყიან ვიეთთა ქარავნის მსვლელობის მისტერიისა?!

ამას აქეთ ჩემს ლაბორატორიულ ქვაბში ვიხარშები ვარკეთილსა თუ ძმები კაკაბაძეების სამგზის გადანათლულ ქუჩაზე.

კოსტავას 14-ში შევიტყობ ბატონი ჭაბუას ოთხმოცი წლისთავის შესახებ.

ორ დეკემბერსაა დანიშნული საღამო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ერთხელაც ჩავაკორექტირებ წერილს და „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელ მდივანს გადავცემ გამოსაქვეყნებლად, თუმცა ბოლომდე ვერ მივედევნები ბოჰემურ დიდღელვაში მოყოლილი და კვლავაც შემიფერხდება მისი დაბეჭდვა.

მამაპაპური შობა ჩავლილია.

ოცდახუთი დეკემბრის ღამით ალილოობაზე მეც მივლია მშობლიურ ოტობაიაში სახეგამურულს.

ახლა ამეებისთივს ვის სცალია? თითქოს გადამვიწყნია სიმღერა.

ტელეფონით ვეხმიანები ოთხმოცი წლის იუბილარს.

სრული ოცდაათი წლითაა უფროსი, წარმართებში მიჩუმათებული ქრისტეს ასაკით.

სიხარულით მიმიპატიჟებენ, ოღონდ წინასწარ დარეკვას მთხოვენ.

თურმე საავადმყოფოშია წასასვლელი ბატონი ჭაბუა.

მეასედ ვკითხულობ მრავლადნაჩორკნ წერილს. თავში რუსთაველის სტრიქონი მიტრიალებს სულ: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ვაანალიზებ საჩუქრად გამზადებულ რომანზე წარწერილ ფრაზას:

„ნობელის პრემიის ლაურეატობის ერთადერთ კანდიდატს XX საუკუნის ქართული ბელეტრისტიკიდან“.

წრფელზე წრფელია და უცდომელი თვენახევრის წინანდელი ჩემი დამოკიდებულება მხცოვანი იუბილარი მწერლის შემოქმედებისადმი.

ეს მათამამებს, ეს ამლესავს ამირეჯიბებთან სავიზიტოდ.

ცრის.

აქა-იქ თოვლის ფთილასაც გამოურევს ცარგვალი.

ქვეითად ავუყვები ჭავჭავაძის პროსპექტს.

ზურგსუკანაა ყმაწვილკაცობის უმაგალითო ტაძარი — უნივერსიტეტი.

პირჯვარს გადავიწერ სტუდქალაქის ტერიტორიაზე ამოზიდულ მონასტერთან.

გავიკითხ-გამოვიკითხავ და დავაზუსტებ თამარაშვილის ქუჩის ანიაგანს.

მსუბუქი ნისლი ფარავს ხევში ჩაბუდებულ მერვე კორპუსს.

მეგებებიან ბიჭები: ქუცუნა—ქურციკი და შალვა.

თავაზიანად მეპატიჟება შინ ქალბატონი თამარ.

ბატონი ჭაბუას ეს-ეს არის მოსკოვური ტელევიზიის ხალხი გაუსტუმრებია და წამით მითვლემილა, მაგრამ მაინც ფეხზე დამიხვდება.

სიკეთის განსახიერებაა ჯავახიშვილების ასული.

ჭაბუას ერთ-ერთი ცოლი ჩემი თანაკურსელი გახლდათ, მაგრამ სამოციანი წლებიდან მწერლის ოდისევსური ხეტიალის ჟამი განქარდება და მის ჭარმაგულ ენერგიას უსათნოესი თამარის ღვთისმოსავი კდემამოსილება იურვებს. მოგვიანებით, შვიდტომეულის გადათვალიერებისას საოჯახო ალბომის ფოტოებიდან დავადასტურებ ყოველივეს:

სადღაც ზღვისპირა ქალაქის კიბეებზე დგანან ახალშეუღლებულნი. შემოსილობა ხალვათია, ხავერდოვანი ზაფხულისა. კაცს უწინაფრო თეთრი ქუდი ახურავს. ქალიშვილი გაუხსნელი მარაოთი ხელში მისჩერებია ფოტოაპარატის ობიექტივიდან ლურჯი ფრინველის გამოფრენას. ფეხები ქოშებში წაუდგამს. ორი თითი ჩანს წაჭრილი ჭვინტიდან. ცერს უსწრებს მეორე და ფრანგების დაკვირვება გამიელვებს თავში: უპრობლემო ცხოვრება თუ გსურს, ისეთი ქალი შეირთე, რომლის ფეხის ცერი მომდევნო თითზე მოკლეა. ამისთანა აღნაგობას ბერძნულ ტერფსაც ეძახიან სკულპტორები და გაწონასწორებული ბუნების უტყუარი განსახიერებაა მარბენალი მწერლის დედოფალი-ღუზა.

სუფრაზე ხელად გაჩნდება კერძები, ტკბილეული, ხილი, ღვინო.

ფეხზეწამომდგარი დავლოცავ ოჯახს. ეს პოზა შურობუმუ სამურზაყანოდან მემზითვება.არ დავაწვები ჩამწერის ღილაკს.

ამირეჯიბებიდან ეგზალტირებულად გამოსულს ნასაუბრების ნატამალი არ მახსოვს რომან-ტრიადა „სიცოცხემისჯილების“ მეორე წიგნს ათვალიერებს ბატონი ჭაბუა.

— აქ გამოეციო, — უკვირს.

ზომა-წონას უსინჯავს. უთვალიერებს შეკერილობას, ყუის სიგლუვე-სიმრგვლოვანეს.

— ჩინებულიაო, — მიქებს თხზულების პოლიგრაფიულ დონეს.

შესანახად კი არ გადასცემს გულთამხილავ მეუღლეს, ლოგინისკენ მოისვრის მსუბუქად, მოვიცლი შენთვისაცო, ამისი ქვეტექსტით. ახალი ბანქო უთრთის ხელში. მთლად ამისი ჯადოქარი ვარ, მაგრამ ამირეჯიბებთან კრუპიეობით ხომ არ მოვიწონებ თავს?!

დარწმუნებული ვარ, მეტი გულგახსნილობის დრო-ჟამიც მოვა სამწერლობო დიალოგის მხარდამხარ.

კურაშაიტების ძესავით აი, რა მსიზმრებია მე უფლის მეექვსე გამოცხადებისას:

ტალახიან, სლიპინა გზაზე მიმავალს ქოქოლით მომყმრიან სახედარღვეული თანამედროვე კოლეგები, ფხოჭნიან ლიამწოვს, ვერ აგუნდავებენ ფაფადქცეულ მიწას და იმ ამაზრზენობიდან გვარიანად დაწინაურებულს, ოდეს შესამწიკვლად მომახლიან, პირქარი უკანვე მიუბრუნებთ შხეფად დარდუბალა-შმორს. მაგრამ წინ, გვარიანა შორს, გვერდიგვერდ მოხმაურობს თეთრი და შავი არაგვი. იქით შემაღლებული ბექობია. ვხედავ სავარძელში მოკალათებულ დიდოსტატ კონსტრანტინეს მიმინოსებურ იერს. უფრო შორს კიდევ სხვებს — მაცხოვრის კვართში გაბუნდოვანებულებს. სოფლის კინოთეატრში რომ დაგვმართნია ხოლმე, ფოკუსი მოშლილა, თიკანაძის ფოტოსავითაა — „ტკბილი ნესვი“ და ძარღვებაწეწილი მაყურებელი: რეზკოსტ! რეზკოსტო, იძახის ფილტვების გაგლეჯვამდე. აი, იმგვარად და იმნაირად.

მხოლოდ ერთადერთია ჩემი ქომაგი და ისიც — ჭაბუა ამირეჯიბი. გადმოუწვდია მარჯვენა თეთრ არაგვზე, გადმომცდარა შავს და სადაც ალპურ ბალახებში მთვლემარე ლოდების ლაშქარია, მოუგებებია საამბორებლად. თითქოს მცდის, თითქოს განმჩხრეკს ახლოით. მაგრამ ეს ქმედება მე ხომ რამდენიმეგზის აღმისრულებია უკვე რეალურ დროში, სრულიად ძალდაუტანებლად და გულწრფელად, ზურგსუკან აჩურჩულებული კოლეგების თანდასწრებით? ჰოდა, რომ დავეწაფები დაშაშრული ბაგეებით საღმრთო რაინდის მეხოტბის ტალიან ხელის ზურგს, გასაოცარი სიმსუბუქე დირიჟაბლსავით მიტაცებს. ვეღარაფრით ვარკვევ, გამოწოდებული მკლავის ძალისხმევით გავაღწევ გალმა თუ კიდევ სხვა რამ ჯადოქრობით. აქ მეღვიძება. აქ ვიფშვნეტ თვალებს და ეგრევე სამუშაო მაგიდასთან მომლოდინე საშა ეგუტიას „ერიკას“ ვეძგერები სულში გაცრიატებული ხილვის დასატყვევებლად.

სადღეგრძელო ჯერ არ ჩამიმთავრებია.

ბატონი ჭაბუა ფიცხელი მოძრაობებით შლის პასეანსს. მეც ამნაირად ვერთობი ხოლმე. ბონაპარტეს საყვარელი მჩხიბაობით შევიქცევ თავს.და მაშინ შეგირდის თვინიერებით გავუმხელ ოსტატს მარცხენა მხარზე ამბორისა და ხელზე კოცნის საკრაულობას:

— ხელზე მანდილოსანს ემთხვევიან ხოლმე კაცები და კიდევ — მოძღვარს სულისას-მეთქი, განვმარტავ ქართველ ბელეტრისტთათვის უჩვეულო თავაზიანობას ჩემსას. — მარცხენა მხარზე ამბორი კი შენს მარჯვნივ დაბუდებული უფლისეული ძალის გადმოსვლაა სასურველი პიროვნების დაუცველ ველში-მეთქი.

ნეტარებს მახვში მასპინძელი, სიგიჟემდე მიხარია და ლამის ვიბღავლო აცამზევებულმა: უეჭველად ჩამოიტანთ საქართველოში ნობელის პრემიას, ბატონო ჭაბუა-მეთქი. მთავარია მეორე სუნთქვა, სულში მიმოფანტული მუგუზლების თავმოყრა, სასიცოცხლო ენერგიების ამოქმედება. მე ვიზამ ამას ტიბეტური საიდუმლოებებში მეტნაკლებად გაწაფული-მეთქი.

ვერ ვიხსენებ ახლა, ფიქრის ჩარჩოში მომწყდეული ეს მედიტაცია ხმამაღლა თუ გაცხადებულა, თუმცა ჩინელ მოჭადრაკესთან ჩიბურდანიძის დამარცხების გამო აქვითინებას რომ ვახსნებ, ყველაფერი გარკვეულია, ყველაფერს მისჩენია თავისი ადგილი და დრო.

— შვიდტომეული! — ბრძანებს ბატონი ჭაბუა.

მსმენია ამის თაობაზე. ჩემს სიყრმის მეგობარის პაატა ნაცვლიშვილის დიზაინითაა უცხოეთში გამოცემული.

შემოიტანენ ყუთს. გახსნიან. პასეანსით გართულს მიაწოდებენ აფრიკული ლომის შეფერილობის პირველ ტომს და ავტოკალმის გაჯიუტებით გალარავს ბატონი ჭაბუა ხუთიოდე სტრიქონს. არ ვსულსწრაფობ წარწერის წაკითხვას. ოჯახში მიბრუნებულს შვილები დამასწრებენ იშვიათი ნადავლის დათვალიერებას. არ ვუშლი მათაც ჩინებული გამოცემით ტკბობას. სრულიად განმარტოებული, მამლების მესამე გადაყივლების შემდეგ, ფორზაცის მოპირდაპირე ტიტულზე ამისთანა კალიგრაფიას დავაფიქსირებ:

„ბატონ გური ოტობაიას, — წარწერის წინ ლოგინზე დასვენებულ რომანს გადახედავს სათვალის ლინზიდან მახვში მასპინძელი, — უმშვენიერეს მწერალსა და პირუთვნელ მამულიშვილს, უღრმესი პატივისცემით, სიყვარულითა და მოკრძალებით, თქვენი ჭაბუა ამირეჯიბი, თბილისი, დეკემბერი, — 2001“.

წავიკითხავ და გულზე მომეშვება.

ერთხელ და სამუდამოდ გამოტანილია განაჩენი ჩემი ბელეტრისტული მოღვაწეობისათვის: “პირუთვნელი მამულიშვილი“;

აწი, არც დატოვებული წერილის ავკარგიანობა მიკანკალებს გულს.

მე ხომ ვერსიის დონეზე გავანდობ ოჯახს ჩემს გულისწადილს, რაზედაც ბატონი ჭაბუა შემეკამათება:

— როგორ გეკადრება, მწერალი იმისთვისაა მწერალი, რომ საკუთარი აზრი გულღიად მიიტანოს მკითხველებთანო.

ვემოკრძალები.

— ასინათესი არ იყოს, ორი ხომ უკეთ შენიშნავს ჩავარდნებს, საჩოთიროს თუ უხერხულს-მეთქი.

გარინდებით მისმენს პასეანსის ტალანებში მობორიალე.

ხორხის ოპერაციას მიხსენებს. საზღვარგარეთული დასტაქარობა ვერ გამომდგარა მაინცდამაინც შედეგიანი. ნერვი დაუზიანებიათ და სარქველი არ ეხსნება. უჭირს სითხის მიღება. დიაგნოსტიკის ცენტრში დაიარება ეს დღეები, ფრიდონ თოდუასთან. მორიგი ოპერაციისათვის ემზადება. ოდინდელი ომახიანი ხმის დაბრუნებისათვის სანტიაგოსავით ეჯიუტება ბედისწერას. დარწმუნებული ვარ ყველაფერი ჩინებულად ჩაივლის, ვინაიდან მას ნავში ჰყავს უკვე დამხმარე შეგირდი. ესეც რომ არა, ლეგენდებს ხომ უნდა მიემატოს მორიგი საგა, მითი?! თანაც ხმა ბატონ ჭაბუას უცილობლად სჭირდება, ვინაიდან სტოკჰოლმის კათედრაზე ამაღლებისას დიახაც თვითონ უნდა წარმოთქვას იქ საშვილიშვილო სიტყვა. კავკასიური ტემბრი აუცილებელია შუაგულ ევროპაში, რათა ქართული ბელეტრისტიკის სიდიადემ მთელს დედამიწას გადაუგრგვინოს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთით.

ასე ჩაუფიქრებია ბედისმწერალს და იჭვნეულობა რა ბედენაა?!

არ შევაწყენ თავს ამირეჯიბთა ჯალაბს.

მისახსოვრებენ გაზეთებს, ,,ამონარიდებს თხზულებებიდან'' სიმფონიური ლექსიკონის თვისებით შეკონილს.

იშვიათი ნადავლი არავისთვის მეთმობა.

— ბარტერული გაცვლაა, — ხუმრობს ქალბატონი თამარ.

— ნამდვილი ,,ტრაფეით'' მე მივდივარ-მეთქი და ასე დავეშვები ჟინჟღლიან ხეობაში.

ვაკის პარკამდე გამიყვანს ბატონი ჭაბუას მძღოლი. იქ ჩამოვხტები. აღარც ტაქსის მოლოდინი გამიხანგძლივდება.

ჭეშმარიტად, მართლაც ზღაპრული გამოცემაა ,,შვიდტომეული''.

მე ყოველთვის მაოცებდა პერანგის ძმობილი პატარა ნაცვლიშვილის გემოვნება.

ბოლო დროს სხვა მრავალთან ერთად, იგი საგამომცემლო საქმიანობითაც ისახელებს თავს.

თვალწინ მიდგას ახლა თემურ ჭკუასელის ორწიგნეული: ,,წინ, წი-

ნაპრებისკენ“! და „კვამლის სინდრომი“.

სადარბაზო სარკეს მისჩერებია სმოკინგიანი ავტორი — ჩვენი ჭოტიკა და იქიდან შავჩოხოსანი ორეული ირეკლება. იგივე სცენაა გათამაშებული მომდევნო წიგნში, ოღონდ ახლა ევროპულად შემოსილი ჩოხოსანი ილანდება სარკის წიაღიდან.

შვიდტომეული კლასიკური თავდაჭერილობისა და ავანგარდისტული სითამამის ერთგვარი სიმბიოზია.

ფორზაცი თხზულებათა ხელნაწერების შინაურულ გარჯილობას დაუმშვენებია.

განსხვავებული მხოლოდ პირველი ტომია: შედარებით მოცლილი კაცის მიერ შესრულებული კალიგრაფია, მწყობრი, ლითონივით სხმული. შემდგომ და შემდგომ, თითქოს ალალს დაუქროლიაო, აირევა, აქაოსდება სული.

მოძრაობა, დინამიზმი შესჩენია სიტყვებს, სტრიქონებს.

წაფრენილი ასოები.

გადაადგილებანი.

შავი ტუშის ულმობელი ნაკვალევი.

ეს ყველაფერი ადამიანის ხასიათის საცნაურად შემოუთავაზებია პარმაღიდანვე დიზაინერს და აფერუმ მას!

თვალშისაცემია შვიდტომეულის ოქროცურვილი ყდა სახედაღარული პორტრეტის პროფილით. წინხედი კატორღათა საქმეებს შერჩენია წარწერით: მარბენალი გაქცევის მიდრეკილებით.

კონტრტიტულზე თავმოყრილია შვიდტომეულის მთელი შინაარსი, რომელიც ერთგვარი გზიმსკვლევის მოვალეობასაც ასრულებს. მსხვილი შრიფტით გამოკვეთილა ჩამონათვალში ერთიდან შვიდამდე ტომის კოორდინატები.

ილუსტრაციები ლევან ცუცქირიძისა „თეთრი გიორგის“ გრიფიდან გადმოსულა.

გამომცემელი „ნეოსტუდიაა“.

სპონსორი —„ მაგთი GSM“.

შემდგენლები თანამეცხედრე და ასული გახლავან.

რედაქტორობის უმძიმესი ტვირთი, ბატონ ვაჟა გიგაშვილს უკისრია.

ოქროცურვილია წიგნის არშია. ვერაფრით ვიხსენებ, რას ეძახიან პოლიგრაფიები გილიოტინით ჩამოჭრილი ფურცლების კიდეს?

სანიშნო ზონარიც ბაჯაღლოსფერს დაიკრავს.

ტექსტის მოწოდების სტილი ენციკლოპედიური ხასიათისაა, განსა-

კუთრებით — სქოლიოთა მიმართებაში: ნებისმიერი უცხო სიტყვა, ტრადიციულისაგან გამორჩევით ველზე განიმარტება.

შრიფტი მსუყეა, ვგონებკომპიუტერის 11 პუნქტი.

ტომის მიმანიშნებელ ციფრს ფარავს სათანადო თხზულების გვერდი.

ახლა გული მიფრთონავს: იქნებ სხვა ჩარევებითაც გამოირჩევა შვიდტომეული და ღია კარებს ტყუილად ვამტვრევ-მეთქი.

გადმოვიღებ ადრე განხილულ ნაწარმოებებს და შვიდტომეულთან ერთად ფურცელ-ფურცელ მივედევნები.

ზედმიწევნით გაკორექტურებულა.

„დ. თ.“, 59 „სიამედო“ — „შვიდტომეული“, II, 129, „საიმედოა“;

„დ. თ.“, 105, „ღმერმა“, — „შვიდტომეული“, II, 201, „ღმერთმა“;

„დ. თ.“, 188, „გამაჯობათ“ — „შვიდტომეული“, II, 330, „გამარჯობათ“;

„გ. მ.“, 22, „ეთანაღებოდა“ — „შვიდტომეული“, IV, 499, „ეთანადებოდა“;

„გ. მ.“, 110, „მიატყუებივართო“ — „შვიდტომეული“, IV, 126, „მოუტყუებივართო“;

„გ. მ.“, 217. „მწითური“ — „შვიდტომეული“, IV, 227, „წითური“.

დაფიქსირებული რამდენიმე მაგალითით ცხადლივ დავადასტურებ, რომ „შვიდტომეული“ ხელახლა აწყობილა, მერამდენედ გაუვლია კორექტურის მომქანცველი სამუშაოები, მაგრამ ტექსტების გულდასმითი შეჯერება მარწმუნებს: წიგნების ქსოვილს ეს არ შეხებია: სტილისტურ ცდომილებათა ოცეული კვლავაც ძალაშია. მეტიც — ახალი ავტორები მორიგ შეცდომებს დაიმგზავრებენ. უკეთ, თითოეული ტომის წინასიტყვაობის შემოქმედი — ლოცმანი, ახალ ხარვეზებს გვთავაზობს:

ბ-ნ აკ. ბაქრაძე: „ის ღირებულებები, ის მსოფლშეგრძნება“, II, 9.

„ღირებულებათა სკალაზე“, II, 10;

„არანაირ ვითარებაში არ“, „ფაქტიურად“, II, ქ-ნ ჟ. სირაძე: „აღარაფერი აღარ შეიძლება“:

„აღარავითარი წილი აღარ უძევს სიკეთეში“;

„აღარავითარი შანსი აღარ ჰქონდა“, IV, 24.

„არაფრისდიდებით დახმარების ხელს არ გაგიწვდიდნენ“;

„დამნაშავედ ვთვლი“ და ა.შ.

სიტყვა „ხელდასხმა“ აქ ოთხგზის ცდომილი ფორმითაა მოშველიებული — „ ხელდასმული “, IV, 15, 6-3.

ჩვენი შენიშვნებიდან გასწორებულს რასაც ვიხილავ „შვიდტომეულში“, ორჯერ გამეორებული ბოლოთქმაა, „ტომის“ მონაკვეთი.

აქვე სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ წინასიტყვაობათა ახალი ავტორები მოვლენათა არსში წვდომის გასაოცარ უნარს ავლენენ და განზოგადოების იშვიათი თვისებით გამოირჩევიან:

საინტერესოდ აანალიზებს ბატონი აკაკი ბაქრაძე ძუბა ძაძუას შურისძიების მოტივებს, რომლისკენაც თავაწეულად და უყოყმანოდ მიისწრაფის თუთაშხია, რათა მოსახდენი აღსრულდეს, სამართალმა პური ჭამოს.

ამოცნობილია ადამიანთა უფლება - უუფლებობის ოთხგანზომილებიანობა: სამი აკრძალვის ნუსხა შემინულია და ერთი — ნებადართულობისა — მინაწართმეული, ბუზების საასპარეზო არენად ქცევის კვალობაზე.

ცხოველ ყურადღებას იმსახურებს ქ-ნ ჟაკლინ სირაძის დაკვირვებანი „გორა მბორგალის“ ექვსპლანიანობის, ექვსმონოლოგიანობის თაობაზე.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ბატონ ჭაბუას ხელგაკრულ წარწერას ჩემს მისამართით: „პირუთვნელ მამულიშვილს“.

როგორ მოვიქცე, დავიდუმო ბაგე?

არამც და არამც, შეგირდო, ჩემო!

არ გვყვანან ჩვენ პროფესიონალი რედაქტორები!

დღეს სანთლითაც ვერ მოძებნი ცხონებული დიმიტრი გულისაშვილისნაირ ერუდიტს, რომელსაც თავის დროზე გოგლას „ნატვრის ხე“ ურანდავს, მიუხედავად ავტორის ჯუჯღუნ-ბუხუნისა.

რედაქტორი იგივე სარკეა მწერლისთვის.

იგი დიახაც ვალდებულია სწორ-მრუდის შალაშინით გაწვართოს მწერლის ესა თუ ის მოუხეშავი სტრიქონი, წინადადება, ფრაზა, ფრაგმენტი, გნებავთ პასაჟი თუ თავებიც კი. მაგრამ სხვას რომ შეუსწორო, ჯერ შენ უნდა იცოდე, ჯერ თავად უნდა იყო განსწავლული და ამავდროულად— ჭიპმოჭრილი სტილისტიკაში:

უცხოელი მკითხველისათვის ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაში სახამუშო არაფერია.

რუსისთვის, გერმანელისთვის თუ ინგლისელისათვის, ბუნებრივად ითარგმნება: ორმაგი უარყოფა, „ვთვლი“, „ფაქტიურად“, „ორთავე“, „ღირებულება“, „ქაოტური“, „ყოველ მიზეზ გარეშე“ და სხვა, მაგრამ რას ვეუბნებით ჩვენს მომავალს, XXI საუკუნის საქართველოის მოზარდ თაობას და კიდევ — პოეტების მამფალ რუსთაველს, რომელმაც რვა საუკუნის წინ თავანკარა ქართული გვიანდერძა მეტყველებისა და ქცევის ბა-

რომეტრად, ნიმუშად?! რომელიც ორიოდე საუკუნეში თვალშისაცემად აგვიმღვრევია რუსიციზმებით?!

დარწმუნებული ვარ, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, როგორც იშვიათი გულისხმიერების დენდი და სიტყვის დიდოსტატი, კადნიერებაში არ ჩამომართმევს ესოდენ თავგადაკლულობას და მთელი არსებით მჯერა, რომ შვედეთიდან ნანინატრი ჯილდოთი დაბრუნებული, ერთადერთ გური ოტობაიას მიანდობს თავისი თვითნაბადი შემოქმედების მართლზომიერი რედაქტირების მისიას.

ვიმეორებ, ყოველივე უფლისეული კარნახითაა - მეთქი.

აქვე, ისიც მეიმედება წინამორბედი მწერლის ხატების წინაშე მოწიწებით თავდადრეკილს, რომ გაივლის თხუთმეტი, ოცდაათი წელიწადი და მერმე თავად გური ოტობაია გამოიწვდის მარჯვენას თეთრი და შავი არ აგვის ქარაფებიდან, ჯერაც უჩინარი, თუმცა საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ვინმე მესხი მელექსე-მერომანეს საამბორებლად თუ სულაც ჟამმიუკარებელ ზესთასოფელში გადასანაპირებლად.

* * *

მთამსვლელებმა იცმან ზედმეტი წონის ფასი, ეგრევე მოიშორებენ ხოლმე. ამიტომაცაა მათი ბარგი და აღკაზმულობა აფთიაქარის სასწორით აწონილი. პაროვიზორის პროფესიიის ხსენებამ მომაგონა მამაჩემი მიხეილის სიტყვები: ზოგი ექიმი იმისთანა რეცეპტს გამოწერს, ხოლმე, შვილო, რომ იმის მიხე:დვით რომ დავამზადო წამალი, ნახევარი სამურზაყანო დაიხოცებაო. აფთიაქარის პინასთან და სინჯარასთან მეტ არტახებს შეიძენს სასწორის უღელი და პეინა. მწერლობაში კი სრული განუკითხაობაა. არაფრად დაგიდევენ ფრაზის წონასწორობას. მღერიან ისე, როგორც ემღერებათ და არა როგორც საჭიროა, აუცილებელი. გავიხსენოთ ღვთაებრივი ჰორაციუსი: ახლა უნდა ითქვას ის, რაც უნდა ითქვას ახლა, დანარჩენი უნდა შევინახოთ მომავალი ნაწარმოებისათვისო.

შენიშვნები

სონეტი ჭიანჭველას

ჭიანჭველა მაშინ იღუპება, როცა ფრთა გამოუვა,
როცა მიწას დასტოვებს და ცაში ეძებს სამოსახლოს,
როცა ბრმად მიელტვის ვარსკვლავების ხახას,
თუმცა ფრთების გარეშე უკვდავებას ვერავინ ეღირსება.

ჭიანჭველა დაღუპულია სამშობლოში თუ არ სუფევს,
გარდასული დღის შეძულება არ განუახლებს წინანდელს,
იმას ფრთები განაშორებს მტერსა და მოკეთეს,
მაგრამ ნათლეს ვერ დააგზნებს ფრთებით თუ არ ინარნარა.

ვერსაიდან დაკარგავ გულში რაც არ არსებულა,
ტყვია დაახალეს თვინიერს, როცა ერთხელ გაცოფდა,
ზოგჯერ ჯვარზე დაჭედება უსასრულო ლოცვის დღეა.

ეგებ სულაც გამაცხოვრდი ფრთები რომ აღმოგიცენდა?!
მფრინავო, ჭიანჭველავ, სიკვდილი რაოდენ მადლია,
ყოფნის უფლება რომ იყოს, ქვეყანა რამსიფართეა.

Thesis — ჰეგელის ფილოსოფიაში (ტრიადა) თეზა მოვლენის საწყისი მდგომარეობაა, რომელსაც მოსდევს მისი საწინააღმდეგო ვითარება — ანტითეზა და შემდგომ მესამე ეტაპის დროს ხდება მათი სინთეზი, საუკეთესო ნიშან-თვისებათა შეერთება.

რინა – ყოფნა, არსებობა, ეგზისტენცი (მეგრ.)

ორანი – რიდი, შიში მოკრძალება (მეგრ.)

მენცარი – მეცნიერი, გულთმისანი (მეგრ).

ჯიმაგე –ძმაო, შემოგევლე, ძმაო, გენაცვალე (მეგრ)

აჰურამაზდა – ზოროასტროზმის ერთ-ერთი ღვთაება, რომელიც განასახიერებს ნათელს, სიკეთეს.

სპორადული – არა მუდმივი, არა საყოველთაო (ბერძ)

Homo sapiens — მოაზროვნე ადამიანი (ლათ)

Cott sei bei uns – ღმერთო, იყავი ჩვენთან! (გერმ)

Verschonen Sie mich mit ihren Bemerkungen – მიხსენით. თქვენი შენიშვნებისაგან! (გერმ)

Self- made man – თავისი თავის შემქმნელი ადამიანი (ინგლ)

Fater alles ungluklich – ყველა დაბრკოლების მამა, ე.ი. ეშმაკი (გერმ)

რაბი – რაბი მოძღვარია ქართულად (ებრ-ერმეუ)

ღურუ – სიკვდილი (მეგრ)

Nolli me tangere – ხელი არ მახლო (ლათ)

Vivere, melitare est – ცხოვრება ბრძოლაა (ლათ)

ხრონცი – დაბერებული, დაჩაჩანაკებული (იმერ)

აპრიმანი – ზოროასტრიზმის ერთ-ერთი ღვთაება, აჰურამაზდას საპირისპირო ძალას განასახიერებს, როგორიცაა: ბნელი, ბოროტი.

აპეირონი – განუსაზღვრელი, უსაზღვრო, მარადმოძრავი (ბერძ)

ანაქსიმანდრე – ბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი, სტიქიური დიალექტიკოსი, თალესის მოწაფე. მან შემოიტანა ყოველივე არსებულის, პირველი საწყისის – არხეს ცნება და ასეთ პირველ საწყისად აპეირონს თვლიდა.

ანაქსიმენე მილეთელი – ბერძენი ფილოსოფოსი (588-525) მისი მოძღვრების თანახმად ყოველივე არსებული წარმოშობა პირველი მატერიის –ჰაერისგან და უკანვე უბრუნდება მას.

ჰომომერიები – მსგავსნაწილებიანები (ბერძ)

პირონი – ბერძენი ფილოსოფოსი (365-265) ანტიკური სკეპტიციზმის ფუძემდებელი.

ჰერაკლიტე – ბერძენი ფილოსოფოსი (544-443) მატერიალისტი, დიალექტიკოსი. მის მიხედვით „ეს კოსმოსი ერთი და იგივეა ყოარ ადამიანს, არამედ იგი იყო, არის და იქნება, მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც ხან ქრება, ხან ინთება“.

დემოკრიტე – ბერძენი ფილოსოსფოსი (460-370) მატერიალისტი, ბერძენთა შორის პირველი ენციკლოპედიური გონებისა კ.მარქსის მიხედვით. ატომისტური მოძღვრების ფუძემდებელი.

კატალეპსისი –ცნება.

ძენონი – ბერძენი ფილოსოფოსი. (336-264)

აბსოლუტური გონი – მსოფლიო სული, ყველაფრის საწყისი იდეალისტურ ფილოსოფიაში.

ბერგსონი ანრი – ფრანგი ფილოსოსფოსი – იდეალისტი (1859-1941) ინტუიციზმის წარმომადგენელი.

კირკეგორი სიორენ – დანიელი რელიგიური ფილოსოფოსი (1813-1855) ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი.

შპენგლერი ოსვალდ – გერმანელი ფილოსოფოს-იდეალისტი (1880-1936) სიცოცხლის ფილოსოფიის–ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელი.

ჰაიდეგერი მარტინ – გერმანელი ფილოსოფოსი (1889-1976) ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მთავარი წარმომადგენელი.

Femininum – მდედრობითი სქესის წარმომადგენელი (ლათ.)

Menage a trois – ქალის ერთდროული ცხოვრება ორ მამაკაცთან. ბსამის მეოჯახეობა (ფრანგ.)

სამკალი ფრიად არს... – „ოთხთავი“.

Trifolium melitotus – ლოტოსი (ლათ.)

დაიმონი – დემონი (ბერძ.)

და რომელმან.. – „ოთხთავი“.

„მცირედ მორწმუნეო“ – „ოთხთავი“.

ბუბალუსი – კამეჩი (ლათ.)

უჩაქვერსემია – შავქვესკნელი, მოუსავლეთი (მეგრ.)

კორდატა – ტუნგი, ეთერზეთოვანი ხე-მცენარე.

Status belli – ომის მდგომარეობა (ლათ.)

ჯორჯ გეოლორდ სიმპსონი (1902-1984) იგი იკვლევდა ევოლუციის ტემპებს და ფორმებს.

ერნსტ მაირი (1904) ცნობილია მისი წიგნი „სისტემატიკა და სახეობათა წარმოშობა“.

ჰექსლი ჟულიან (1881-1984) სინთეზური ევოლუციის თეორიის წარმომადგენელი.

Pater, de te fabula norratur – მამა, რაზე ითქმის არაკი (ლათ.)

Dei gratia, silentium, Bututi – ღვთის გულისთვის, იყუჩე, ბუტუტი (ლათ.

Alea iacta est – წილი ნაყარია (ლათ).

Caesar citra Robiconem, sed non supra grammaticos – კეისარი რუბიკონს გაღმა, მაგრამ არა გრამატიკოსებზე მაღლა (ლათ.)

Culpa levis — პატარა ცოდვა (ლათ)

ქიმმეხვარით, ქიმმეხვარითია – მომეხმარეთ, მომეხმარეთოო (მეგრ)

სფინქსი – ძველ ეგვიპტეში უზარმაზარი ქვის ფიგურა – ადამიანის თავის მქონე მწოლარე ლომი, ფარაონების ძლიერების სიმბოლო (ბერძ)

იეროგლიფი – ქვაზე ამოკვეთილი წმინდა ნიშნები (ბერძ.)

Arare litus – ზღვის ნაპირის ხვნა, უნაყოფო შრომა (ლათ)

Lues — ათაშანგი, სიფილისი (ლათ)

Formica rufa – ტყის წითური ჭიანჭველა (ლათ)

Ab equis ad asinos – ცხენთაგან ვირებზე, ჩამოქვეითება (ლათ)

Scropularia nodosa – შავწამალა (ლათ)

Datura stramonium – ლემა (ლათ)

Clachoma hederracea – ოშოშა (ლათ)

hyoscyamus nigeri – ლენცოფა (ლათ)

მაკიაველი ნიკოლო –იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი – (1467-1527), რომლის კრედოა – მიზანი ამართლებს საშუალებას.

სცილა– ექვსთავიანი მყეფარე ურჩხული ძაღლის ტანით, რომელიც ბინადრობდა ზღვისპირა კლდეში ქარიბდას პირისპირ, კრიტაიდის ასული (ბერძ)

ქარიბდა– მესინის სრუტის მორევის ურჩხული (ბერძ)

status qvo– არსებული მდგომარეობა (ლათ)

ლუკა – „ოთხთავის“, იგივე „სახარებას“ ერთ-ერთი ავტორთაგანი.

ვაცაიჭარე – საბრალო, საწყალობელი, საცოდავი (მეგრ)

Aut Caesar, aut nihil – ან კეისარი, ან არაფერი (ლათ.)

ვაშინერს – არ სახსენებელ არს, არეგების, აკრძალულია, ტაბუ აქვს დადებული (მეგრ)

ანოფელესი – მალარიის გამავრცელებელი კოღო (ბერძ)

„**Pavta pei**“ – ყველაფერი მოედინება, ე.ი. ცვალებადია (ბერძ)

Qvo vadis – ვიდრე ხვალ (ლათ)

Pele-mele – დომხალი (ფრანგ)

მენდელი იან, ძმა გრეგორი – ჩეხი მეცნიერი,გენეტიკის საფუძვლების პირველაღმომჩენი. დაიბადა სოფელ ჰაიცენდორფში (1822-1884)

სეტონი უოლტერ –კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ)ასპირანტი, რომელმაც 1903 წ. უჯრედში არსებული წყვილადი სტრუქტურები – ქრომოსომები, გენს მიამსგავსა.

თომას პანტ მორგანი – კოლუმბიის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი, ზოოლოგი და ემბრიოლოგი.

ვილერი, ლეკასი, შლაიპი, რუზსკი – მურმოლოგები, ჭიანჭველათმცოდნეები.

ერლიხი – სალვარსანისა და ნეოსალვარსანის შემქმნელი. ეს პრეპარატი ათაშანგის ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა ანტიბიოტიკების აღმოჩენამდე.

ჩირე, ჩალამი – საფლობი, ჭაობი (მეგრ)

დიხაგუმბა – ძველკოლხური სამარხები, ამომაღლებული სამაროვანები, ყორღანები.

ღორონთი სქან ოროში გოლვაფრო – ღმერთო, შენს ნათელს (ჩრდილს) შემოვევლე (მეგრ)

ანაქორეტი – განდეგილი, მეუდაბნოე (ბერძ)

არამხუტუ – დევგმირი კოლხურ მითოლოგიაში, ამირანის, აბრსკილისა და პრომეთეს პროტოტიპი.

ვერბალური – სიტყვიერი (ლათ)

კლოდ მანე – ფრანგი ფერმწერი.

აბორჯებული – ორიენტაციადაკარგული,დროის შეგრძნება წართმეული (მეგ)

სამურზაყანო –მურზაყან შარვაშიძის სამთავრო, დღევანდელი გალის რაიონი.

ღირწკინი – ჭრიალი (მეგრ)
ალაგე – ღობეზე გადასასვლელი ადგილი (იმერ. გურ, მეგრ)
მაბჟალია – რძიტანა (მეგრ)
ონტყოლაშე – საფლობი (მეგრ)
ფაფალა – ხაბო, მდინარის ფრიალო ნაპირი (მეგრ)
ფარკალი — ფამფალით სიარული (მეგრ)
ჯიმადი – ბიძა, ბიძია (მეგრ)
ჩქიმი წყვირთალი ბოში – ჩემი აშოლტილი ვაჟი (მეგრ.)
Dilerium tremens — თეთრი ციებ-ცხელება (ლათ.)
Pro et contra – მომხრე და წინააღმდეგი (ლათ)
Felis domenticus – შინაური კატა (ლათ)
Tertius gaudens – მესამე მოხარულია (ლათ)
Ajo — ვადასტურებ (ლათ)
Norse te ipsum – შეიცან თავი შენი (ლათ)

ენტროპია –კლასიკური ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი მცნება. მეცნიერებაში შემოიტანა რ. კლაუზუსმა. მიკროსკოპიული თვალსაზრისით გამოხატავს ენერგიის გარდაქმნის უნარს.

არომორფიზმი – ორგანიზმის მორფო-ფიზიოლოგიური პროგრესი, ა. სევერცევის მიხედვით.

Talus Achillis – აქილევსის ქუსლი (ლათ)

ბალზაკის ანტიკვარი – „შაგრენის ტყავის“ პერსონაჟი.

ტოგა – ძველი რომის მოქალაქეთა ტანსაცმელი, გრძელი თეთრი წამოსასხამი.

სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი – იგულისხმება იესო ქრისტე.

ანდროლოგია – მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს მამაკაცის უნაყოფობას და მისი მკურნალობის მეთოდებს (ბერძგ)

Odine, odinia – სამშობიარო ჭინთვა (ლათ)

Agnus dei – ღვთის კრავი (ლათ)

ფენოტიპი – ორგანიზმში გარეგნულად გამოვლენილი ნიშან-თვისებათა ერთობლიობა (ბერძ)

გენოტიპი – ორგანიზმში ფარულად არსებულ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა (ბერძ)

დედალოსი – მითიური მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი.

ვავა, ბაბაია – ვაი, მამიკო (მეგრ.)

ბრმანი აღიხილვნენ... – „ოთხთავი“

დომინანტური – გარეგნულად გამოვლენილი ნიშან-თვისება, რომელიც თრგუნავს რეცესიულს (ლათ)

რეცესიული – დაქვემდებარებული, ფარული (ლათ)

Hic hereat aqua – აქ გუბდება წყალი (ლათ)

meta – შემდგომი, შემდგომად (ლათ.)

არა არს... – „ოთხთავი“.

რასტინიაკი – ონორე დე ბალზაკის „ადამიანური კომედიების“ ერთ-ერთი პერსონაჟი, გაქნილობის გაიძვერობის სინონიმი.

ბიტი – ინფორმაციის რაოდენობის ორობითი საზომი ერთეული (ინგლ).

ვერავის ხელ-ეწიფების... –„ოთხთავი“.

არა პურითა... – „ოთხთავი“.

Cantus cycneus –გედის სიმღერა (ლათ)

ფიქრთა ქარიშხლით გაბრუებული – ადგილი თ.დოსტოევსკის რომანიდან „დანაშაული და სასჯელი“.

Aut Caesar, aut nihil! vivere, militare est! – ან კეისარი, ან არაფერი; ცხოვრება ბრძოლაა (ლათ.)

ზურა –ლაჩარი, მშიშარაა მეგრულად, ხოლო ზურალ სვანურში ქალს ნიშნავს.

ღვეტერია – ყელმშვენიერი (მეგრ)

თამაკონი – სოფელი მარტვილის რაიონში.

მაფშალია – იგივე თათრული ბულბული და ბერძნული იადონია მეგრულში, მესვიასაც ეძახიან.

რინტუ მოთა –თხა, ახტაჯანა შვილიშვილი (მეგრ)

ოკვანწაია – საქანელა (მეგრ)

ბოგიშბოგი – შორეულზე შორეული ნათესავი (მეგრ)

ორკოლი – დოქი, ხელადა.

ხვეხვერია – ფუმფულა, ფაფუკი, თან თბილიც (მეგრ.)

ჯანჯუხა –სიმინდის ფქვილისა და იზაბელას წვენის თათარაში ამოვლებული ძაფზე აცმული თხილის ჩურჩხელა (მეგრ)

რეაბილიტაცია – უსაფუძვლოდ შელახული ღირსების აღდგენა, უსამართლოდ დასჯილთა გამართლება (ლათ)

იღაბაჩანი ფართო-ფართო –ილაყბონ, იყბედონ, იღაღადონ ფართე-ფართე (მეგრ)

ამბრაზურა – ნახვრეტი თავდაცვით ნაგებობაში ქვემეხის, ნაღმსატყორცნის ან ტყვიამფრქვევის სასროლად (ფრანგ)

ინგლისური სნეულება – რაქიტი.

მუშენი ძღაბი? –რათა გოგო? (მეგრ)

ვახანებული – არდასაცილებელი (მეგრ)

იეღოვა, იაჰვე – იუდეიზმის უზენაესი ღვთაება (ძვ.ებრ)

იფიქანდური – სხვანაირი, რაღაც თავისებური.

მეიოზი – შემცირება, დაკლება, ცხოველური და მცენარეული უჯრედის დაყოფის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროს ხდება ქრომოსომების რისცხვის განახევრება (ბერძ)

Bubalus arnee – ინდური კამეჩი (ლათ)

Bubalus mindorensis – მინდორენსისეული კამეჩი (ლათ.)

Anoa – ანოა.

sincerus cafrer –კაფრული, აფრიკული კამეჩი (ლათ.)

ადენინი, გუანინი, ციტოზინი, თიმინი – აზოტის შემცველი ორგანული ნაერთები.

უაა – ურაცილინ-ადენინი –ადენინი.

უაგ – ურაცილინ-ადენინი-გუანინი.

უგა – ურაცილინ-გუანინი-ადენინი.

ღნმ – დეზოქსირნუკლეინის მჟავა.

ტრიპლეტი – გენის სტრუქტურული კომპონენტი, რომელიც გარკვეული თანამიმდევრობითა განლაგებული – სამი აზოტოვანი ფუძით.

ნუკლეიტიდი – რთული ორგანული ნაერთები, რომლებიც წარმოადგენენ, დრნ, ღნმ-ს სტრუქტურულ ერთეულებს.

ქაჩალ გორა – გოლგოთა, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს.

„მარწყვის მდელო“ – ფილმი ბერგმანისა.

რასკოლნიკოვი როდიონ – თ. დოსტოევსკის რომანის „დანაშაულის და სასჯელის“ გმირი.

ოთხხელიანები – ე.ი. მაიმუნები.

გამოვიღეს ეშმაკნი... – „ოთხთავი“.

ელოი, ლამა საბათქანი – ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის მიმატოვე (ებრაულ.)

უთური – უბრდელი (მეგრ.)

ალიტერაცია – პოეტური ხერხი, ლექსის ტაეპში ერთი და იმავე თანხმოვნის რამდენჯერმე გამეორება (ლათ.)

ქვექვერია – ტანდაბალი და გაფუყული (მეგრ.)

სანტა კლაუსი – წმინდა კლაუსი, თოვლის ბაბუა (ლათ.)

ნაირობი –კენიის დედაქალაქი.

კენია – სახელმწიფო აფრიკაში, თეთრ მთას ნიშნავს.

ნიშანი – მიცვალებულის ტანსაცმელი (მეგრ.)

გობსეკი – ონორე დე ბალზაკის „ადამიანური კომედიების“ კოლორიტული პერსონაჟი, სიძუნწის განსახიერება.

რკინის ფარდა – საბჭოთა კავშირის სინონიმი, უხეში ძალის სიმბოლო.

ისკარიოტელი – იუდა.

სამკალი ფრიად არს... – „ოთხთავი“.

სტრესი – დაძაბვა, ძლიერი გამღიზიანებლის მოქმედების შედეგად ორგანიზმისწონასწორობის დარღვევა (ინგლ.)

O, sancta simplicitas – ო, წმინდა გულუბრყვილობავ (ლათ.)

სოხანე – იატაკად დატკეპნილი მიწა (რაჭ.; იმერ.)

ჰუმუსი – ხელსაყრელი პირობები, ნეშომპალა (ლათ.)

Hoemorrhagia arterialis – არტერიული სისხლდენა (ლათ.)

ელეკინი ძღაბი... – ჩაიწერე, გოგო, ცოტა. შემოუშვი სტუმარი, თორემ ამაღამ გასაპატიოსნებელი გაგიხდებით და იხტუნეთ მერე (მეგრ.)

ქართი – ასე ეძახიან მეგრელები თბილისს.

Finis – დასასრული (ლათ.)

მორდია – ნათლია (მეგრ.)

ბეჭვილი ბოში – ბედდამწვარი ბიჭი. (მეგრ.)

პელეტი – უშველებელი, ვეება მრავალრიცხოვანი, სავსე. (მეგრ.)

ოხრიალაია – ხეშეშა, სრიალა თმა (მეგრ.)

ვაგიცორქო მა.. –არ გიყვარვარ მე, არ მოგწონვარ მე, მაინც თავზე შემოგევლე, შენი ჭირი მე (მეგრ.)

ცხვაბარი – მუხლჩაუხრელი ჯაფა, გარჯა (მეგრ.)

მარა სქვამ-სქვამი.. – მაგრამ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით თავბრუს დაახვევდი, ალბათ, ბავშვს. ჩაიბერდებოდით, აბა, და რა გეშველებოდათ (მეგრ.)

ჟღირტალი მოჭყუდუ – უმწიფარი პატარძალი (მეგრ.)

გინასხიპური მუ რდუ – გადასახტომი რა იყო (მეგრ.)

რინაშ დროს – რინა, ნტინაშ დროს – ნტინა –ყოფნის დროს – ყოფნა, გაქცევის დროს – გაქცევა (მეგრ.)

ტუტული – ბიჭუკელა, ბავშვისთვის საალერსო, მაგრამ მოზრდილისათვის დამამცირებელი მიმართვა(მეგრ.)

ოდაბადელი პრინცი – იგულისხმება ჭიჭე კვეკვე, ჰამლეტს ამსგავსებენ ირონიულად.

ოსერშე – ვახშამი (მეგრ)

სტეპენდია-პენსია... –სტიპენდია-პენსია ერთ კვირას გადამარჩენს, შემინახავს. (მეგრ.)

მიტოზი – უჯრედების არაპირდაპირი დაყოფა – მცენარეთა და ცხოველთა უჯრედის გამრავლების ერთ-ერთი საშუალება, რომლის დროსაც ხდება ქრომოსომების გარდაქმნა (ბერძ.)

სანთობიო – პატარა ოთახი ახლად დაქორწინებულთათვის.

ღობერი კაკლარით... – ღობე – ეკლით, მეგრელი – მეგრელი (მეგრ.)

egzema iatrogenis – ეგზემა იატროგენური, ექიმისმხრივი, მკურნალობა რომ სჭირდება (ლათ.)

მისტიკური – ზებუნებრივი ძალების რწმენა (ბერძ.)

ჰოროსკოპი – ვარსკვლავთა განლაგების ცხრილი, რომელსაც ადგენდნენ შუა საუკუნეებში ასტროლოგები ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველოდ.(ბერძ.)

ფემინიზაცია – მამაკაცში ქალის მეორეული ნიშნების მოჭარბება, ზედმეტი განაზება მამაკაცისა (ლათ.)

ტელეპატია – შორი მანძილიდან სხვისი აზრი გაგება უსიტყვოდ (ბერძ.)

ბერმუდის სამკუთხედი – ადგილი ატლანტიკის ოკეანში, რომელსაც მიეწერება მრავალი უცნაურობა, გემების, თვითმფრინავების დაღუპვა და მისთანები.

მეტაფიზიკური – ფიზიკის შემდეგ, იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც განიხილავს ცდის მიღმიურ მოვლენებს, როგორიცაა: ღმერთი, სული და მისთ.

კინტურ-მანტური –ჩხირკედელაობა (მეგრ.)

ოჩოკოჩი – ვაქკაცი, ოჩოპინტრე (მეგრ.)

ტყაშმაფა – ტყის მეფე, ალი (მეგრ.)

ფსიქასთენია – ნერვიული დაავადეა, რომლისთვვისაც დამახასიათებელი უკიდურესი გაუბედაობა, ეჭვნეულობა, აკვიატებული აზრები (ბერძ.)

ბაჩაჩია ბუსკა – თვინიერი ბუსკა (მეგრ.)

ჩერჩელა ჩელა – ზოზინა ჩელა (მეგრ.)

კველა – ორფეხა სკამი, ჯორკო (მეგრ.)

წკონდა – წმინდა (მეგრ.)

არიან საჭურისნი... – „ოთხთავი“.

ღღვაკალია – ჯღა (მეგრ.)

ჯიჯი – ბიძიკო (მეგრ.)

ჩქიმი თოლი გვირალეფი – ჩემო დიდრონთვალებიანნო (მეგრ.)

საფიზმი – დედათმავლობა, ქალთა ურთიერთ სქესობრივი სწრაფვა.

პერვერსია –გაუკუღმართება, გარყვნა (ლათ.)

პარაფილია – სქესობრივ კმაყოფილებას იწვევს მოქმედება, რომელსაც სულაც არ გააჩნია საამისო ნიშან-თვისება (ლათ.)

პედერასტია – მამათმავლობა, სქესობრივი გაუკუღმართება მამაკაცებს ან მამაკაცსა და ბავშვს შორის (ბერძ.)

ჰომოსექსუალიზმი – არაბუნებრივი ლტოლვა თავისივე სქესის პირისადმი (ბერძ.)

პედოფილი – სქესობრივი ლტოლვა ბავშვებისადმი (ბერძ.)

კოროფილია – სიყვარული მოუმწიფებელი გოგონებისადმი (ბერძ.)

გრაოფილია – სიყვარული მოხუცი ქალებისადმი (ბერძ.)

სადიზმი – სხვისი წვალებით, ტაჯვით სიამოვნების მიღება, ფრანგი მწერლის მარკიზ დე სადის მიხედვით.

მაზოხიზმი – ავსტრიელი მწერლის ზახე– მაზოხის მიხედვით. მაზოხიზმის დროს სიამოვნებას განიცდის წამებული.

პიგმალიონიზმი – პიგმალიონი კვიპრსის მეფე, რომელიც მოქანდაკე იყო. სპილოს ძვლისაგან გააკეთა ულამაზესი ქალის ქან-

დაკება, რომელიც თვითონვე შეუყვარდა. სიყვარული სკუოპტურის ნიმუშებისადმი.

ნარცისიზმი – ნარცისი ლამაზი ჭაბუკმ ბერძნულ მითოლობიაში, რომელმაც უარყო ექოს სიყვარული, რის გამო ყვავილად გადააქციეს. ჩაჰყურებდა წყალში თავის გამოსახულებას ნარცისი და ტკბებოდა. საკუთარი თავის სიყვარული.

ზოოფილი – სექსუალური კავშირის დაჭერა ცხოველებთან (ბერძ.)

ნეკროფილია – სექსუალური ლტოლვა გვამებისადმი (ბერძ.)

libido sexualis – სექსუალური ლტოლვა (ლათ.)

ტრანსვევტიციზმი – საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმელი იწვევს პიროოვნებაში ორგაზმს.

ერექცია – მამაკაცის სასქესო ასოს გაბერვა და გამაგრება სქესობრივი აგზნების დროს (ბერძ.)

სკოპოფილია – კმაყოფილების მიღება სხვათა სქესობრივი აქტის თვალთვალით.

ექსპიბიციონიზმი – საწინააღმდეგო სქესში უშვერი სიტყვებით სირცხვილის გრძნობის გამოწვევა.

კინდე – პასიური პარტნიორი (ლათ.)

ტრიბადია – ხახუნით სექსუალური აქტის მიღწევა (ლათ.)

defluvium – სექსუალური აქტის დასასრული (ლათ.)

ორგაზმი – სექსუალური აქტის კულმინაციური ფაზა (ბერძ.)

კოიტუსი – სქესობრივი აქტი

სისა ტურა მურსია... – სისა ტურა მოდისო, ბონდო ბიჭს სძინავსო, ბონდო ბიჭი დედას ჩაეხუტება მკერდშიო (მეგრ.)

ოხუტოლე – ჩახუტებია (მეგრ.)

მაშინ ჰრქუა... – „სახარება“.

აპრიორი – ცდისაგან დამოუკიდებელი (ლათ.)

ბაჭამ ქორთუ – ტკიპიანი ქართველი (მეგრ.)

ნოწკერია – სიგრძივ დაპობილი შეშა (მეგრ.)

ტყორტყოში – მღვრიე ნაკადი (მეგრ.)

ქორეთო, შური ქოიდგუნანო? – ხართ, სული გიდგათ (მეგრ.)

მონტეგი – უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ გმირის, რომეოს გვარი.

კაპულეტი – ჯულიეტას გვარი.

ორჯოყონი – ოყლაყი (მეგრ.)

მაცირა – ქალიშვილობას რომ ჩემულობს, ისეთი (მეგრ.)

სი ჯუა, ჯუა – შე ძუკნა, ძუკნა! (მეგრ.)

ალფონსინა – ალფონსი კაცი, რომელიც საყვარლის ხარჯზე ცხოვრობს, ამჯერად იგივე მარგარიტა გოტიე, ალ. დიუმა შვილის გახმაურებული რომანის მიხედვით.

ჯადუნია – ყველას ტვირთის მზიდველი ჯაგლაგი, დაჯგვალული, წუთისოფლისგან დაბეჩავებული (მეგრ.)

ენდოგენური – შინაგანი –ორგანიზმისეული მიზეზებით განპირობებული დაავადება (ბერძ.)

ეგზოგენური – ავადმყოფობა გარეშე მიზეზებით განპირობებული (ბერძ.)

სომატური – სხეულთან დაკავშირებული დაავადება (ბერძ.)

ფსიქოზი – ადამიანის ფსიქიკის არანორმალურობა (ბერძ.)

ხუცუსი – იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამების ავტორი.

აუტოინტოქსიკაცია – თვითმოწამვლა (ლათ.)

აუტიზმი – აზრის კონცეტრაცია საკუთარ თავზე. იგი მოწყვეტილია გარე საყაროს, ცხოვრობს არარეალურ, წარმოსახულ საყაროში (ბერძ.)

ამბივალანტობა – ერთა და იმავე დროს გარკვეულ პირთა და საგანთა მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო განცდა. დამახასიათებელია შიზოფრენიისთვის (ლათ.)

ოიდიპოსი – ბერძენი ტრაგიკოსის სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“ გმირი, რომელიც ამარცხებს სფინქსს, ამოიცნობს რა მის მიერ დასმულ შეკითხვას, უნებლიეთ კლავს მამას, შეირთავს საკუთარ დედას. ოიდიპოსის კომპლექსი იგივეა, რაც სისხლის აღრევა.

ეპილეპსია – ბნედა, ავი ზნე, თავის ტვინის ქრონიკული პოლიეტიოლოგიური დაავადება (ბერძ.)

პარანოია – სიგიჟე, ფსიქიკური დაავადება, ახასიათებს აფექტური ბოდვა, დევნის, განდიდების მანია (ბერძ.)

კატატონური – ერთგვარი ნერვიულ ფსიქიკური აშლილობა.

დეგრადაცია – გადაგვარება, ორგანიზმის ფსიქიკური დაქვეითება (ლათ.)

აპერცეფცია – აღქმის დამოკიდებულება ადამიანის გამოცდილებაზე, ცოდნის მარაგზე (ლათ.)

იპოქონდრია – ავადმყოფური შიში საკუთარი ჯანმრთელობის დაეჭვების გამო. ადამიანი მიიწერს დაავადებას, რომელიც არა აქვს (ბერძ.)

შოკი – ორგანიზმის ფუნქციების საერთო მძიმე მოშლილობა, რასაც იწვევს ძლიერი ფიზიკური დაზიანება ან ფსიქიკური შერყევა (ინგლ.)

ცურუ – უმწიფვარი, თავკერძა, ნორჩი ასაკის გამო შეუსმენარი (მეგრ.)

ჩემერცხი, ჩემერცხი – დამეხსენ, დამეხსენ (მეგრ.)

ოსანა – უფალო გვიშველე (არმეულ-ებრაული)

Nathes-klunes – დუნდულოებ–საჯდომი (ლათ.)

ᲨᲒᲙᲥ – ოქრო (ლათ.)

Argentum – ვერცხლი (ლათ.)

აკაი – იაპონურიფირმა

ლამინარია – წაბლისფერი წყალმცენარე, ზღვის კომბოსტოს ერთგვარი სახეობა (ბერძ.)

აქტინია – მარჯნის პოლიპი ერთგვარი (ბერძ.)

Buthus Eusorpius –ჭრელი მორიელი (ლათ.)

სარდაკია – ბალახი (მეგრ.)

მაფატია – ბალახი (მეგრ.)

ყვარია – ყვავი (მეგრ.)

ჯაშქვიდუ – ხემხრჩობელი, ღვედკეცი (მეგრ.)

Ex arena funiculium nectis – ქვიშისგან თოკს გრეხს. (ლათ.)

დოლიქოკეფალია – გრძელთავიანი ადამიანი (ბერძ.)

რეზუსი – ჰემაგლუტინოგენი, რომელიც პირველად აღმოაჩინეს მაკაკა რეზუსის სისხლში. ადამიანის სისხლი, რომელიც 87-85 პროცენტ რეზუს ფაქტორს შეიცავს დადებით რეზუსიანია.

პიგმენტაცია – ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილების შეღებვა პიგმენტით, საღებავი ნივთიერებით. (ლათ.)

ულოტრიხია – ხუჭუჭთმიანობა.

P – მშობლები, **F** – შვილები, შემდგომი თაობა იან მენდელის მიხედვით.

ჯენკინსი ფლემინგ – ინჟინერი, მან კომენტარი გაუკეთა დარვინის პანაგენეზისის თეორიას.

ზიგოტა – ორი სასქესო უჯრედის შეერთებით მიღებული ახალი უჯრედი. შეწყვილებული.

ნოვოკაინურ-ანტიბიოტიკური ბლოკადა – ერთ-ერთი მეთოდი პროსტატიტის მკურნალობის დროს.

ძივავა – დედოფალა, თოჯინა ჭინჭებისაგან გამონასკვული.(აფხ.)

არა არს წინასწარმეტყველი... – „ოთხთავი“.

როდია – როდიონ რასკოლნიკოვი.

დიო სო რექ! – ჯერ სადა ხარ (მეგრ.)

Kathapsis – განწმენდა (ბერძ.)

ოლივიე ჰასი – ჯულიეტას როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი.

ძეფირელი ფრანკო – ცნობილი იტალიელი კინორეჟისორი, „რომეო და ჯულიეტას“ ეკრანიზაციის(1968) ავტორი.

უაიტინგი – რომეოს როლის შემსრულებელი კინომსახიობი.

სამების მეორე იპოსტასი – ე.ი. ქრისტე. პირველია მამა ღმერთი, მეორე – ძე და მესამე – სულიწმინდა.

ნემეის ლომი – რომელიც მოკლა ჰერაკლემ.

ავგიას თავლა – ავგია ელადის მითიური მეფეა, როლის თავლა 30 წელიწადი არ იწმინდებოდა, გაასუფთავა ჰერაკლემ ერთ დღეში.

ფედრა – თესევსის მეუღლე, რომელსაც შეუყვარდა გერი.

იოკასტე – ოიდიპოსის დედა და მეუღლე.

ანაბიოზი – ორგანიზმის ისეთი მდგომარეობა, როდესაც სასიცოცხლო პროცესები დროებით შეწყვეტილია (ბერძ.)

თუთა ახალი... – მთვარევ ახალო, შენ გამახარე (მეგრ.)

სი ტვენგერე, სი – შე სულელო, შენა (მეგრ.)

სი მართალო ჩალაია – შე მართლაც სულელო (მეგრ.)

სი ტვინგალ დო ფოჩოია – შე გამოტვინებულო და ჩურჩუტო (მეგრ.)

Lux veritatis –ჭეშმარიტების სხივი (ლათ.)

Jus priame noctis –პირველი ღამის უფლება (ლათ.)

Fama – დარხეული ხმა(ლათ.)

Mater dolorosa – მგლოვიარე დედა, ღვთის მშობელი (ლათ.)

ტიმონი – ბერძენი ფილოსოფოსი.

In statu finiendi – დასრულების ვითარებაში (ლათ.)

Marasmus senilis – სიბერისეული მიხრწნილობა (ლათ.)

Is cadet ante senem quisait ante diem – ის კვდება სიბერემდე, ვინც თავისი ასაკისთვის შეუფერებლად გონიერია (ლათ.)

Ecce homo – აი, კაცი! ქრისტეზე ითქმის (ლათ.)

Omnia vincit amor – სიყვარული ყოველივეს ძლევს (ლათ.)

ალტრუიზმი – მზადყოფნა სხვას შესწიროს თავისი პირადი ინტერესები (ლათ.)

Linea descendes –დაღმავალი ხაზი ნათესაობისა (ლათ.)

ხო-ხო მუს იხირთონუდ გვიტი? – ხოხო რას ჯავრობდა-შფოთავდა გვიტი? (მეგრ.)

გინოფორილი – გადახურული, გადანახური (მეგრ.)

კუტუ შოლირი მაფუ – კუტუ სველი მაქვს (მეგრ.)

NB – ნოტა ბენე, დაიხსომე (ლათ.)

ნეტარ იყვნენ... – „ოთხთავი“

ღუდი მარსიოლუაფუ... – თავბრუ მესხმის, თვალთ მიბნელდება (მეგრ.)

სოხანე – მიწატკეპნილი იატაკი (რაჭ.)

წურფა – სიწიფეში გემავალი (მეგრ.)

პატენი – ბატონო (მეგრ.)

сплашной обман – მტკნარი წყლის სიცრუე (რუს.)

ენდიგუნია – ქვეყნიერება.

რქუას მას ერთმან... („ოთხთავი“)

გორდიას კვანძი – იტყვიან გადაუჭრელ საქმეზე. ვინც ამ კვანძს გახსნიდა, თქმულისამებრ, მსოფლიოს. დაიპყრობდა, არადა, ნასკვის გამხსნელს მთელ ცხოვრება ძაფების ხლართში უნდა ევალალა. ალექსანდრე მაკედონელმა ხმლით აკუწა კვანძი იგი და თავდავიწყებით გადაეშვა მსოფლიო ბატონობისათვის მომართულ ომში.

სარჩევი

005 რინა პირველი
ბუტუტი
142857

064 რინა მეორე
მაფა ჰალიძონია
285714

097 რინა მესამე
კოჩია ჰალიძონია
428571

187 რინა მეოთხე
კვეკვე ანთარია
571428

216 რინა მეხუთე
კემე ანთარია
714285

270 რინა მეექვსე
მილანდარ მუშუქია
857142

334 რინა მეშვიდე
დურუ ჰალიძონია

377 სიცოცხლემისჯილები

380 Обреченные на бессмертие

382 რინამისჯილი

392 მეტამორფოზანი

397 სიცოცხლემისჯილები“
(სინოფსისი)

405 პაექრობა „ცნობიერების ნაკადთან“

408 დაუსტამბავი წიგნის წინასიტყვაობა, ნეტარი დიმიტრიგულისაშვილი და სხვ.

430 „ჩორნაია პანტერადან“ როკი ოდიშელი-ამდე

439 „როკი“ანუ გზა სამშობლოსაკენ

445 დაკარგული გმირის ძიებაში

454 საგა როკი ოდიშელიაზე... უფრო მეტი საგის შემქმნელზე და სხვათა შესახებ

460 ყუფუნხეს „ საგა როკი ოდიშელიაზე“ Ω – მეგას (OMEGA – O-დიდი) სმოგში

481 სტილი ქმნის ადამიანს

537 შენიშვნები

552 სარჩევი

GURI OTOBAIA

FIXED TO THE LIFE
Flying ants
tesis

ГУРИ ОТОБАИА

ОБРЕЧЕННЫЙ ЖИТЬ
Крылатий муравей
тезис

გური ოტობაია

სიცოცხლემისჯილები

რომანი-ტრიადა

ფრთოსანი ჭიანჭველა

THESIS

რედაქტორი
ნანა ხუფენია

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა შპს „აისში“,
პოლიგრაფიული უზრუნველყოფა —
ციფრული ბეჭდვის სტამბა „ბენე“.
ტირაჟი 300 ეგზემპლარი.
ფასი — 30 ლარი

თბილისი
2005